
არჩილ ჩაჩხიანი



დაშნაკთა ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომი.



გამომცემლობა „არადანი"

თბილისი 2007

უაკ (UDC) 94 (479. 22)
ჩ 329

რედაქტორი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ელვერ კუპატაძე

რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მაყვალა ნათმელაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვახტანგ გურული

წინამდებარე ნაშრომი სამხედრო–სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევაა, რომელშიც უმდიდრეს წყაროთმცოდნეობის ბაზაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული თვალსაზრისით პირველადაა წარმოდგენილი სომეხთა ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგია და მისი გენეზისი. სრულყოფილადაა გაშუქებული დაშნაკური სომხეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყება და მსვლელობა, გაანალიზებულია მისი სამხედრო–პოლიტიკური შედეგები.

ნაშრომში მთელი რიგი საკითხები სრულიად ახლებური ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი.

მონოგრაფია განკუთვნილია მეცნიერ–ისტორიკოსებისათვის, ასპირანტებისათვის, აგრეთვე ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

ISBN 99928-72-48-9

C გამომცემლობა არადანი 2006

რედაქტორისაგან

წინამდებარე მონოგრაფიას საფუძვლად დაედო ავტორის, ბატონ არჩილ ჩაჩხიანის საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მან წარმატებით დაიცვა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. საკვალიფიკაციო ნაშრომმა შეზღუდული მოცულობის გამო, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები ვერ დაიტია. სამაგიეროდ, ამ წიგნში ისინი შეტ–ნაკლები სისრულით აისახა, რამაც უფრო სრულყოფილი, დამაჯერებელი და საინტერესო გახადა წარმოდგენილი ნაშრომი.

ა. ჩაჩხიანის მონოგრაფია სამხედრო–სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევაა და ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს. მასში არა მხოლოდ სომხეთ–საქართველოს 1918 წლის ომის ისტორიაა სამხედრო ასპექტით დეტალურად განხილული, არამედ მაღალ პროფესიულ დონეზეა გაშუქებული სამხედრო ხელოვნების, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები.

ქართველ ისტორიკოსთაგან ა. ჩაჩხიანმა სომხეთ–საქართველოს ომი პირველმა შეისწავლა სამხედრო–მეცნიერული ასპექტით, რითაც ქართულ ისტორიოგრაფიას გარკვეული სამსახური გაუწია. ეს ნაშრომი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ა. ჩაჩხიანის სახით არა დამწყები, არამედ კვალიფიციური სამხედრო ისტორიკოსი ჰყავს, რომელსაც მომავალშიც ხელეწიფება წარმატებით შეასრულოს საინტერესო და დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაოები.

წინამდებარე წიგნი მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზაზეა დაფუძნებული, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანებები და განკარგულებები, გენერალური შტაბის დირექტივები და მითითებები, შიფროტელეგრამები, ფრონტის სარდლებისა და სხვადასხვა რანგის მეთაურთა საბრძოლო ბრძანებები, გადაწყვეტილებები, მოხსენებითი ბარათები, სტრატეგიული ჩანაფიქრები და გეგმები, ბრძოლის ტაქტიკური ფორმები, სხვადასხვა სახეობისა და გვარეობის საჯარისო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ურთიერთმოქმედების აშსახველი დოკუმენტები, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მასალები და მრავალი სხვა საინტერესო ოპერატიული მასალა. სწორედ მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზეა მეცნიერულად შესწავლილი სომხეთ–საქართველოს ომი და მასთან დაკავშირებული სამხედრო–

პოლიტიკური საკითხები, გაკეთებულია საკვლევი პრობლემების ავტორისეული ინტერპრეტაცია და გამოტანილია სათანადო დასკვნები.

წიგნი პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება, მისი საკმაოდ ვრცელი პირველი ნაწილი, უძველესი დროიდან საკითხის ისტორიულ ექსკურსს ეხება, ხოლო მეორე, ძირითადი ნაწილი, სომხეთ—საქართველოს ომის დაწყებას, მსვლელობასა და დამთავრებას აშუქებს, მისი სათანადო სამხედრო—პოლიტიკური შედეგებით.

უტყუარ დოკუმენტურ პირველწყაროებსა და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, ავტორი პირუთვნელი ობიექტური მსჯელობით ააშკარავებს სომეხთა რევოლუციური ფედერაციის — დაშნაკთა სოციალისტური პარტიის ფსევდოსოციალისტურ ხასიათს, მის უკიდურესად რეაქციულ, შოვინისტურ პროგრამას, რომელიც პრაქტიკულად ვლინდებოდა და გამოხატულებას პოულობდა სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების ყაჩაღურ მოქმედებებში, აღმოსავლეთ ანატოლიისა და ამიერკავკასიის მშვიდობიანი მუსულმანური (და არა მხოლოდ მათი) მოსახლეობის ძარცვა—რბევასა და ხოცვა—ჟლეტაში. ასეთ ყოვლად გაუმართლებელ ბარბაროსულ მოქმედებებს ყველაზე უფრო მასობრივად თურქეთის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი. ეს კი, თავის მხრივ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ხსნის დღის წესრიგიდან საქვეყნოდ გახმაურებულ ე.წ „სომეხთა გენოციდის" საკითხს. ყოველ შემთხვევაში, წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალები საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ გადახედილ და ახლებურად იქნას შეფასებული ეს მეტად მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ულტრარეაქციულად განწყობილი სომხების მიერ ყოვლად გაუმართლებელი, ყოვლად მიუტევებელი, უკიდურესად ბარბაროსული, მიზანთროპული საბრძოლო—ტერორისტული მოქმედებები თურქი, აზერბაიჯანელი და ქურთი მოსახლეობის მიმართ, ჰეგემონიის დაუსაბუთებელი პრეტენ—ზიები, მეზობელი ერების შევიწროება და მათი ფიზიკური ლიკვიდა—ცია, აგრეთვე, სხვათა კულტურულ ფასეულობათა მითვისება, ისტორიის არნახული ფალსიფიკაცია თუ სხვა ექსტრემისტული მოთხოვნები და მისწრაფებები, რბილად რომ ვთქვათ, კარგს არაფერს მოუტანს თვით სომხებს. ამიტომ „კარგი მთქმელი — კარგი გამგონის" პოზიციიდან გამომდინარე, კეთილმოსურნე ავტორის, ა. ჩაჩხიანის ეს წიგნი სასარგებლო და საჭირო გაფრთხილებაა ესტრემისტულად

განწყობილი და დაშნაკცუტიუნის პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფი სომხებისათვის.

წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული შესწავლისა და მათი საერთო ანალიზის ფონზე, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ დაშნაკური იდეოლოგია ისეთივე საშიში პოლიტიკური მოვლენაა, როგორიც ნაციონალ–სოციალიზმი იყო თავის დროზე. გამომდინარე იქიდან, რომ დაშნაკური იდეოლოგია ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ფაშისტურს, ამიტომ გადაჭრით თუ არა, გარკვეულწილად მაინც, იგი მის წინამორბედად უნდა ჩაითვა–ლოს.

ის, რასაც სომეხთა დაშნაკური საბრძოლო რაზმები ჩადიოდნენ თურქი, აზერბაიჯანელი, ქურთი და ქართველი ეროვნების მუსულმანი მოსახლეობის მიმართ, არა თუ განსხვავდებოდა მეორე მსოფლიო ომში ფაშისტთა შემზარავი მხეცობებისაგან, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, აღემატებოდა კიდეც მათ. ამით ფაშისტებს ერთგვარად უმზადებდა წინაპირობებს უსაზარლესი მხეცობებისა და კაცთმოძულე–ობისათვის. სხვაობა მათ შორის კი მხოლოდ მასშტაბებშია, რომელიც უდავოდ ფაშისტთა მხარის სასარგებლოდაა. ამ მიმართებით, მეტად ნიშანდობლივია ის ისტორიული ფაქტიც, რომ დაშნაკური საბრძოლო–ტერორისტული რაზმების მეთაურთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც სომხური ისტორიოგრაფიის მიერ ეროვნული გმირების რანგში არიან აყვანილნი, II მსოფლიო ომის მსვლელობისას, სომეხთა ნაცისტურ საჯარისო ფორმირებებს ხელმძღვანელობდნენ. ამ ქვედანაყოფების სადამსჯელო მოქმედებები კი, ოკუპირებულ ტერიტო–რიებზე მაცხოვრებელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიმართ, განსაკუთრებული მიზანდასახულობით, სისასტიკითა და დაუნდობლო–ბით გამოირჩეოდა.

და დღესაც, გარკვეულ სომხურ წრეებში ისევ ცოცხლობს დაშნაკური იდეოლოგია და სომეხთა ეფემერული სახელმწიფოს – „დიდი არმენიის" შექმნის იდეა. დღესაც, ჯავახეთის სომხეთთან მიერთების საკითხი ისევ დღის წესრიგში დგას და იგი დაშნაკთა პარტიის მიერ ისევ პირველხარისხოვან ამოცანადაა დასახული. იქნებ ამ წიგნმა მაინც გამოაფხიზლოს „დიდი არმენიის" შექმნის ავანტიურისტული გეგმის მსურველები და ისინიც, ვინც აშკარად თუ ფარულად, დღესაც თანაუგრძნობს აგრესიული სეპარატიზმისა და ნაციონალური ექსპანსიონიზმის იდეას. ეს წიგნი დიდი გაფრთხილებაა მათთვისაც, ვინც სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა

დაშნაკცუტიუნის დამღუპველი იდეოლოგიური ზეგავლენისაგან. ყველამ, პირველ რიგში კი სომეხმა სეპარატისტებმა და ულტრანაციონალისტებმა, მწარე ისტორიული გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ...

შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ ჩვენც, ქართველებმაც. ყოველად გაუმართლებელი ქართული ტოლერანტობა გვერდზე გადავდოთ, შემგუებლობისა და მოყრუების პოლიტიკას თავი დავანებოთ და ბოლოსდაბოლოს ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ: მეზობლობასაც, მეგობრობასაც, ისტორიულ ტრადიციებსაც, აგრეთვე ფარულ თუ აშკარა მტრობასაც...

სომხეთ–საქართველოს ომის ნეგატიური შედეგები კარგად ჰქონდათ და აქვთ გაცნობიერებული სომეხი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებსა და მეცნიერებს, რომელთაგან ოვანეს თუმანიანისა და რიჩარდ ოვანესიანის დასახელებაც იკმარებდა. ამ მიმართებით კი განსაკუთრებით საინტერესოა სომხეთის პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერ მინისტრის, თვით ბატონ ოვანეს კაჩაზნუნის შემდეგი მოსაზრება – „ვიბრძოლეთ იმ მეზობელთან, რომელთანაც ყველაზე უფრო მჭიდრო ურთიერთობები უნდა გვქონოდა. ჩვენ საქართველოს გავლით ვუკავშირდებოდით გარე სამყაროს. ჩვენი გულწრფელი სურვილი იყო ქართველებთან კეთილმოსურნე ურთიერთობების დამყარება, მაგრამ ეს ვერ შევძელით. ამაში გარკვეული როლი, საქართველოს მთავრობის პოზიციასთან ერთად, ჩვენმა უძლურებამ და პოლიტიკურმა განუვითარებლობამაც ითამაშა...“

1918 წელს სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ საქართველოსათვის თავსმოხვეული ომი, რა თქმა უნდა, იმდროინდელი ქართული საზოგადოების ფართო განსჯის საგანი გახდა, რომელსაც ამ წიგნში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენის მხრივ კი, დიდი იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულსაა მის მიერ წარმოთქმული – „ჩვენ სრულიად გულწრფელად, სუფთა გულით ვუსურვებდით ჩვენს მეზობლებს ამ ინტერესების გამარჯვებას. სულით და გულით გვწადია მათი თავისუფალი, შეუზღუდავი განვითარება, მაგრამ მხოლოდ სომეხი ეროვნების ბუნებრივ საზღვრებში...“

დაშნაკთა ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომი.

ცუდად ჰქონიათ მაგ უბედურებს ომის საღერღელი, ძმაო, აშლილი,
ცოტა მოიცადეთ, კაცი არ ვიყო, დედას უტირებს მაზნიაშვილი...
სირცხვილი, ძმაო, მხოლოდ ის არი, ქართველმა თავი რომ გაუყადროს
მაგ ქეციანი ზინვორების ჰდროს. მალე ნახავენ თავიანთ თამაშს,
თავზე ლაფდასხმულ ჩათლახ უსტაბაშს...

ტიციან ტაბიძე. 1928 წ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მხოლოდ სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ყოფა არ არის ზოგადად ერის ყოფიერების განმსაზღვრელი ნიშანი, მაგრამ ყოველი ერისათვის ბუნებრივია სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის, განმტკიცებისა და გაძლიერებისაკენ. ეს ნებისმიერი ერის საღი ინსტინქტია და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი ყოფა ყოველი ერის ნორმალურ ყოფად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა კი ერისათვის უდიდესი ტკივილი და ტრაგედიაა. მცირე და სუსტი ერებისათვის ეროვნული საკითხი არის საკითხი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა, საკითხი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის, შენარჩუნებისა და გაძლიერებისა. თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ, სომხებიც და ქართველებიც მსოფლიოს იმ ხალხთა რიცხვს განეკუთვნებიან, რომლებსაც სახელმწიფოებრივი ყოფის უძველესი ტრადიციები გააჩნდათ, ხოლო მათ საცხოვრისებს ღმერთმა უშუალო მეზობლობა არგუნა წილად. ასწლეულების განმავლობაში თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად ისინი ხშირად ებრძოდნენ ერთად ირანსა და ზოროასტრიზმს, არაბთა სახალიფოსა და შიიზმს, თურქულ ტომებსა და სუნიზმს, მონღოლებსა და სპარსელებს, და... ერთმორწმუნე ბიზანტიასაც კი...

ისტორიულმა ბედისწერამ ისე ინება, რომ უდიდესი ძალისხმევის ფასად ქართველმა ერმა თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ყოფა შეინარჩუნა და ერთიანი საქართველოსა თუ ცალკეული ქართული სამეფო–სამთავროების სახით XIX საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია. სომხებს კი სხვა ბედი ერგოთ წილად... საუკუნეების განმავლობაში, არა თუ სომხური სამთავრო–სახელმწიფოების, არამედ თავად სომხური ეთნოსის ყოფნა–

არყოფნის საკითხი მდგარა ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ. არაერთხელ ყოფილა, რომ სარწმუნოებრივი თავსებადობის პრინციპიდან გამომდინარე, ქართველ მეფეებს სომეხი ერისათვის თავს დატეხილი დიდი უბედურება აუცილებიათ და სომხური ეთნოსი, როგორც ასეთი, განადგურებისაგან გადაურჩენიათ. სომხებსაც შესაბამისად აღუქვამთ ქართველთა ეს დიდი მადლი. მაგრამ სამწუხაროდ, ისეთი მაგალითებიც ყოფილა ხშირად, როცა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებელი სომხებიც, ქართველთა მიმართ სიძულვილის, ორპირობისა და ღალატის ქრესტომათიულ ქმედებებს ჩადიოდნენ. ისტორიული მაგალითები საკმარისზე მეტია. ასე იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდეც, ბაგრატუნების დინასტიის მეფობისას, შაჰ–აბასის ბატონობის დროსაც, აღა–მაჰმად ხან ყაჯარის მიერ თბილისის აღებისას და თუნდაც სულ უახლოეს წარსულში, 1992–1993 წლებში, აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე რუსეთ–საქართველოს ომის მსვლელობის დროს.

ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად არ შეადგენს სომხურ–ქართული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების დაწვრილებითი შესწავლა და ანალიზი. ჩვენი კვლევის მიზანს საქართველო–სომხეთის სახელმწიფოებრივ–ტერიტორიული ინტერესებისა და პრეტენზიების, ე.წ. „სადავო მიწების" ისტორიული კუთვნილების, სომხეთ–საქართველოს შორის 1918–1919 წლებში მიმდინარე ომისა და ამ ფონზე XX საუკუნის 10–იანი წლების მიწურულს ამიერკავკასიაში განვითარებული სამხედრო–პოლიტიკური საკითხების ანალიზი წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი – 1918–1919 წლებში სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის წარმოებული ომის ისტორიული, პოლიტიკური და ნაციონალურ–იდეოლოგიური წანამძღვრების განხილვა, ამ ომისა და საბრძოლო მოქმედებების სამხედრო–სტრატეგიული, ოპერატიული თუ ტაქტიკური მონახაზების შესწავლა.

1918–1919 წლების სომხეთ–საქართველოს ომი სამხედრო–ისტორიული თვალსაზრისით ფაქტიურად შეუსწავლელია, რაც გარკვეულწილად ალბათ შესაბამისი საარქივო მასალების მიუწვდომლობითა და იმ ინტერნაციონალური იდეოლოგიური წნეხის არსებობით შეიძლება აიხსნას, რაც ქართველთა და სომეხთა იძულებითი, სამოცდაათწლიანი პერიოდის ტოტალიტარულ რეჟიმში თანაცხოვრებით იყო გამოწვეული ერთიან, უნიტარულ საბჭოთა იმპერიაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემატური თემატიკის შესახებ არ არსებობს სპეციალური გამოკვლევები არც სამხედრო ისტორიის კუთხით, არც საჯარისო ტაქტიკისა და არც ოპერატიული ანალიზის თვალსაზრისით. მით უმეტეს, არ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების სტრატეგიული ხედვა.

სომხეთ–საქართველოს ომთან დაკავშირებული მრავალი საკითხი კიდევ ერთი თეთრი ლაქაა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სფეროდან, რომლის მეცნიერული, ობიექტური და არგუმენტირებული შესწავლა პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანად დავისახეთ, ამიერკავკა–

სიაში და კერძოდ საქართველოში არსებული დღევანდელი არასტაბილური სიტუაციიდან გამომდინარე. ამ მიმართებით ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ 1918–1920 წლებში ამიერკავკასიის ახლადგაჩენილ რესპუბლიკებს შორის არსებული იდეოლოგიური და პოლიტიკური უთანხმოებების, ტერიტორიული პრეტენზიებისა და მოთხოვნების საერთო ტენდენციები ძალიან წააგავს რეგიონში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას, ხოლო სომხეთ–აზერბაიჯანის მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული შეიარაღებული დაპირისპირება დღესაც წარმოადგენს მსოფლიოს ერთ–ერთ ცხელ წერტილსა და გადაუჭრელ ეთნო–ტერიტორიულ კონფლიქტს. სომხეთ–საქართველოს დღევანდელი ურთიერთობებიც ნამდვილად ვერ ჩაითვლება კეთილმეზობლურად. ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებული საერთო პოლიტიკური მდგომარეობა იმ შენელებული მოქმედების ნაღმს წარმოადგენს ქართულ–სომხურ ურთიერთობებში, რომელიც ნამდვილად არ არის ბოლომდე განეიტრალებული და ეს პრობლემაც ადრე თუ გვიან აუცილებლად იჩენს თავს.

საერთოდ, ისტორია ხშირად მეორდება...

ხსენებული თემის შესახებ აქამდე არსებულ ნაშრომებში, კვლევებსა თუ პუბლიკაციებში, 1918–1919 წლების სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული შეიარაღებული დაპირისპირება ზოგან მცირე სახელმწიფოებრივი უთანხმოების, ზოგან საზღვრისპირა კონფლიქტის, უმნიშვნელო შეტაკებისა თუ მიწის ვიწრო ზოლისათვის წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ინცინდენტის სახელებითაა მონათლული. რეალურად კი, ეს სახელმწიფოებრივი დაპირისპირება სრულმასშტაბიან ომს წარმოადგენდა სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის, ყველა პოლიტიკური ასპექტისა და საბრძოლო კომპონენტის ჩათვლით. ამ ომის შედეგების სტატისტიკურ მონაცემებსა და საერთო ანალიტიკურ შეფასებას ჩვენ ნაშრომის ბოლოს წარმოვადგენთ. აქ კი მხოლოდ მცირე ამონარიდს მოვიყვანთ ამ ომის შედეგების საშიშროების შესახებ 1919 წლის სამხედრო ჟურნალ „მხედრიდან":

„ქართული მხედრობა თავისი ერის მომავალს იცავდა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გამარჯვებულ აღამაჰმადხანზე უფრო საშიშარნი საქართველოსათვის, გამარჯვებული დაშნაკცაკანები იყვნენ".[1] დიახ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო უწყებაში ნამდვილად სწორად აფასებდნენ იმ დიდ საშიშროებას, რის წინაშეც აღმოჩნდა ქართლოსის მოდგმა 1918 წლის ბოლოსათვის.

ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის, პროცესის, პერიოდის და მით უმეტეს, კრიტიკული დაპირისპირების ფონზე სამხედრო–პოლიტიკური ურთიერთობების განხილვა–შესწავლა და ობიექტური ანალიზის ჩატარება, უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს ნებისმიერი მკვლევარის მხრიდან. მკვლევარის ეთიკა მოითხოვს, რომ პრობლემატური საკითხები ყოველგვარი მიკერძოებისა და პირადი სიმპათიების უგულებელყოფით იქნას შესწავლილი. დასმული საკითხების სპექტრი მრავალფეროვანია, საკამათო საკითხი კი ძალიან ბევრი.

მოცემულ თემატიკასთან მიმართებაში, ქართველ ისტორიკოს–მკვლევართა მიერ აქამდე შექმნილ ნაშრომებში ალბათ ზოგადი კონიუნქტურის გათვალისწინებით, მაინც არ და ვერ იქნა ბოლომდე შესწავლილი და შეფასებული ამიერკავკასიაში იმ დროს არსებული ზოგადი სამხედრო–პოლიტიკური მდგომარეობა, ე.წ. ,,სომხური საკითხის'' წარმოშობის წანამძღვრები და გენეზისი, მისი განვითარების ტენდენციები და შემდგომი ევოლუცია, სომხეთ–საქართველოს ომის მიმდინარეობისას საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამთავრობო ინსტიტუტებისა და სამხედრო უწყების ნებისმიერი რგოლისა თუ პასუხისმგებელი პირის პროფესიული ღირსებისა და პირადი თვისებების როლი.

ჩვენს მიერ შექმნილი ნაშრომი ძირითადში საარქივო ოპერატიულ მასალებსა და სხვა დოკუმენტურ პირველწყაროებს ეყრდნობა. ძირფესვიანად იქნა მოძიებული და შესწავლილი საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული შესაბამისი მასალები – ძირითადში ფონდები №№ 1864, 1878, 1964, 1969 და სხვა. საარქივო ფონდებში მიკვლეული დიპლომატიური მიმოწერა და ოპერატიული დანიშნულების შიფროგრამები, პასუხისმგებელ პირთა პირდაპირი საუბრების სტენოგრაფიული ჩანაწერები და სამხედრო დანიშნულების ტელეგრამები, საბრძოლო ბრძანებები და პატაკები, საომარ მოქმედებათა ჟურნალებიდან ამონაწერები და მოხსენებითი ბარათები, უტყუარ პირველწყაროებს და არ შევცდებით თუ ვიტყვით – მართლაც უნიკალურ მასალას წარმოადგენს, რამაც საშუალება მოგვცა აქამდე მრავალი ბუნდოვანი თუ საკამათო საკითხისათვის აგვეხადა ფარდა.

გამომდინარე საკვლევი პრობლემის მნიშვნელობიდან ერთის მხრივ, და ნაშრომის შეზღუდული ფორმატიდან მეორეს მხრივ, შევეცადეთ მაქსიმალურად სრულად წარმოგვედგინა ამ საკითხთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტაცია. ,,გამომდინარე იქიდან, რომ სომხეთ–საქართველოს ომის ისტორიის შედგენისათვის მთავარი ღირებულება მხოლოდ წერილობით დოკუმენტებს აქვთ, ამ ომის შემსწავლელ სამხედრო–საისტორიო კომისიას შექმნილი პოლიტიკური გარემოს, ომის საბაბისა და მიზეზების შესასწავლად ესაჭიროება ამ საკითხთან დაკავშირებული მთავრობის ყველა დადგენილების, ტელეგრამისა და დოკუმენტის ასლი. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე გავეცნოთ იმ მოლაპარაკებების შინაარსს, რომელსაც მთავრობა აწარმოებდა ამ საკითხთან დაკავშირებით მოკავშირე სახელმწიფოთა მისიებთან''.[2]

მოყვანილი ციტატა სომხეთ–საქართველოს ომის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს, ამ ომში ქართული შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო დაჯგუფების საველე შტაბის უფროსს, სწორუპოვარ ქართველ მხედართმთავარსა და მამულიშვილს, გენერალ–მაიორ გიორგი კვინიტაძეს ეკუთვნის. დიახ, ფართო საზოგადოებისათვის ალბათ უცნობი ფაქტია, რომ სომხეთ–საქართველოს ომის დასრულებისთანავე, 1919 წლის იანვრის ბოლოს შეიქმნა ამ ომის შემსწავლელი სახელმწიფო–საისტორიო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა სწორედ გენერალი

კვინიტაძე, მაგრამ სამწუხაროდ, 1919 წლის თებერვლიდან აფხაზეთისა და სამცხე–ჯავახეთის რეგიონებში განვითარებულმა სამხედრო–პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა კომისიის მუშაობის გაგრძელება, რადგან გენერალი კვინიტაძე ახალციხის ფრონტის სარდლად დაინიშნა. ამით კომისიამ არსებობა შეწყვიტა. ჩვენ შევეცადეთ გაგვეგრძელებინა დიდი სარდლის მიერ დაწყებული ეს მნიშვნელოვანი საქმე და ჩვენის აზრით, გარკვეული სიცხადე შევიტანეთ ამ მეტად საკამათო და ბუნდოვანი საკითხის შესწავლის საქმეში.

კვლევისათვის გამოვიყენეთ აგრეთვე ჩვენთვის ხელმისაწვდომი კალიფორნიის ჰარვარდის უნივერსიტეტის სტენფორდის ინსტიტუტის ჰუვერის „ომის, რევოლუციისა და მშვიდობის" არქივთსაცავში არსებული დოკუმენტაცია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა მემუარული ნაშრომები და ჩანაწერები, რომლებიც ან უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ომში, ან მჭიდრო შეხება ჰქონდათ აღნიშნულ საკითხთან. ამ მიმართებით, დიდია ცნობილი მეცნიერის, ბატონ გურამ შარაძის წვლილი. სწორედ მისი ძალისხმევის ფასად მოხერხდა გავცნობოდით საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა მემუარებს. უაღრესად ფასეულია იმდროინდელი ქართველი გენერალიტეტისა და ოფიცერთა კორპუსის ისეთი წარმომადგენლების მოგონებები, როგორებიცაა: გ. კვინიტაძე, გ. მაზნიაშვილი, შ. მაღლაკელიძე, ალ. ზაქარიაძე, ვ. გოგუაძე, ვ. თევზაძე, ვ. ჯუღელი. აგრეთვე საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ მოღვაწეთა: დ. ვაჩნაძის, გრ. ლორთქიფანიძის, რ. გაბაშვილის, ვ. ნოზაძის, ზ. ავალიშვილის და სხვათა ანალიტიკური ნაშრომები.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო დიდი ქართველი მეცნიერის, პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის, სომხეთ–საქართველოს ომის უშუალო მონაწილის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის აქამდე უცნობ მემუარებში წარმოდგენილი მასალების გაცნობაც, რისი მიგნებისა და პირველად გამოქვეყნების უფლება და დიდი პატივი ჩვენ გვხვდა წილად.

პრაქტიკულად სრულადაა შესწავლილი და გამოყენებული იმდროინდელი პერიოდიკის მასალები, რომლებიც აღნიშნულ საკითხთან არის დაკავშირებული და თავის დროზე გამოქვეყნებული იყო გაზეთებში: „საქართველო", „სახალხო საქმე", „საქართველოს რესპუბლიკა", „ბორბა", „ერთობა" და სხვა. ჟურნალებში: „რესპუბლიკის ჯარი", „თეატრი და ცხოვრება" და სხვა. მეტად მნიშვნელოვანია ამ თემასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის, ქართული თეატრის დიდი მოამაგისა და მეცენატის, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" გამომცემელ–რედაქტორის, ბატონ იოსებ იმედაშვილის დოკუმენტურ–მხატვრული ჩანაწერები, რომელიც მან, როგორც სომხეთ–საქართველოს ომის პირველი ეტაპის ბატალიების უშუალო თვითმხილველმა შექმნა საფრონტო ჟურნალისტის ამპლუაში. სომხეთ–საქართველოს ურთიერთობების

სრულად და ამომწურავად გასაშუქებლად შესწავლილი და გამოყენებული იქნა ქართველი და სომეხი ავტორების სამეცნიერო ნაშრომები და გამოკვლევები, რომელთა ჩამოთვლაც აქ შორს წაგვიყვანს, მაგრამ ამ მიმართებაში მაინც უნდა გამოვყოთ ქართველი ისტორიკოსისა და არშენოლოგის, პროფესორ ალექსანდრე აბდალაძის დიდი ღვაწლი. მისმა ორიგინალურმა თარგმანებმა საშუალება მოგვცა გავცნობოდით საკვლევ თემასთან დაკავშირებულ სომხურ ენაზე არსებულ ლიტერატურას.

სომეხთა რევოლუციური ფედერაციის — დაშნაკთა სოციალისტური პარტიის შესახებ სრულყოფილი მასალების მოსაძიებლად და მასზე მუშაობისას ვსარგებლობდით საარქივო პირველწყაროებით, ხოლო დაშნაკთა პარტიის სამხედრო—პოლიტიკურ ფიგურათა მოღვაწეობისა და პარტიის დღევანდელი სამოქმედო პროგრამის შესწავლისათვის — საერთაშორისო—საინფორმაციო ელექტრონულ ქსელში დაცული პარტიის ისტორიისა და აქტივობის ამსახველი საარქივო მასალებით.

პოლიტიკური, უშუალოდ სამხედრო და ოპერატიული ხელოვნების, საჯარისო და საბრძოლო ტაქტიკის საკითხების სრულყოფილად შესწავლისა და წარმოჩენის მიზნით ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ, რუს, თურქ, ფრანგ, ბრიტანელ, ამერიკულ და სხვა ავტორთა ფუნდამენტური ნაშრომები და სტატიები ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან მიმართებაში და მათი შეჯერების, ურთიერთდაპირისპირების, შემდგომი ანალიზისა და სინთეზის გზით, ჩვენის აზრით, მოხერხდა რეალობასთან მაქსიმალურად დაახლოებული ობიექტური სურათის დადგენა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომს, რა თქმა უნდა, სულაც არა აქვს აბსოლუტური სრულყოფილებისა და უცილო ჭეშმარიტების პრეტენზია.

1918—1919 წლების, სომხეთ—საქართველოს ომის შესახებ ქართველ თუ საზღვარგარეთელ ავტორთა მიერ აქამდე შექმნილ მეცნიერულ ნაშრომებსა და ანალიტიკურ სტატიებში, როგორც წესი, საერთო სურათი შეიმჩნევა. ამ ომთან დაკავშირებული მრავალი პოლიტიკური თუ სამხედრო—პოლიტიკური საკითხი არასწორადაა გაშუქებული, ხოლო ისტორიული ფაქტები დამახინჯებული და ტენდენციურია. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ თითქმის ყველა ამ ნაშრომში პრაქტიკულად ერთი და იგივე შეცდომებია დაშვებული.

ზემოთქმულის დემონსტრირებისათვის ერთ მაგალითს მოვიყვანთ. თვით ღრმად პატივცემული და უაღრესად ავტორიტეტული მკვლევარი, ცნობილი ქართველი მწერალი და ისტორიკოსი, პროფესორი ლევან სანიკიძე, თავის ისტორიულ მონოგრაფიაში „მესამე დასის საქართველო", სულ რაღაც ერთ ფურცელს უთმობს სომხეთ—საქართველოს ომის საკითხების განხილვას, მაშინ, როცა თვით ნაშრომი საკმაოდ სქელტანიანია და 540 გვერდს მოიცავს. ყველაზე უფრო გასაკვირი და ძნელად ასახსნელი კი ისაა, რომ ამ

ერთ ფურცელზე გადმოცემული სომხეთ–საქართველოს ომის ზოგადი მიმოხილვა, უამრავი უზუსტობითა და პირდაპირ უნდა ითქვას, შეცდომითაა აღსავსე. ერთადერთი არგუმენტი, რითაც შექმნილი სურათი შეიძლება ავხსნათ, ალბათ ისაა, რომ ამ მონოგრაფიის შექმნისას (1987–1989 წლები) სომხეთ–საქართველოს ომის შესახებ არსებული დოკუმენტები და საარქივო მასალები ნაწილობრივ მიუწვდომელი იყო და შესაბამისად, სრულყოფილი კვლევების ჩატარების საშუალებაც არ არსებობდა. ჩვენ შევეცდებით გამოვასწოროთ ეს ხარვეზები და ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინოთ.

ბატონი ლევან სანიკიძე წერს: „1918 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ნოტები დაუგზავნა სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა მთავრობებს, საერთო, ამიერკავკასიის კონფერენციის მოწვევის შესახებ. მაგრამ კავკასიის ხალხთა კონფერენციის მოწვევა – ეს თავისთავად ფრიად გონივრული და სასურველი განაზრახი – არ განხორციელდა. ეს არ მოისურვა სომხეთის დაშნაკურმა ხელისუფლებამ. *საქართველოს მესვეურები დიპლომატიური წერილებით რამდენჯერმე შეეცადნენ დაეყოლიებინათ სამხრეთელი მეზობლები, მაგრამ ამ „დაყოლიების ცდებს" შედეგად მოჰყვა... ომი! დიახ, – ეს მოხდა 1918 წლის დეკემბერში, სწორედ მაშინ, როცა ამიერკავკასიაში, მის სამივე სატახტოში ჩამდგარიყვნენ ინგლისელები, სულ 20000 სამხედრო მოსამსახურით. სომხებმა ქართველებისათვის სრულიად მოულოდნელად გადმოლახეს საზღვარი, სოფელ სანაინთან.* ქართველები ცდილობდნენ „გონს მოეყვანათ" *თავისი ისტორიული და მარადიული ძმები.* მაგრამ საშველი არ გაჩნდა. ქართველებმა ხელი გამოიღეს, შეტევაზე გადავიდნენ და... ასე დაიწყო *„სომხეთ–საქართველოს" ომი* – სამარცხვინო ლაქა ამ *ორი ხალხის ხანგრძლივსა და სუფთა მატიანეში.*

ეს „ომი" გაგრძელდა ათი დღე (21–31 დეკემბერი) და დამთავრდა ინგლის–საფრანგეთის წარმომადგენელთა ჩარევით და „თავგამოდებით". (სხვათა შორის, როცა სომხები შეტევაზე მოდიოდნენ, ინგლისელები მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ და ხელს არ უშლიდნენ, ხოლო, როცა ქართველებმა მტერი უკუაქციეს და გამოედევნენ, მაშინ კი გამოიღეს თავი ქართველების შესაკავებლად და საერთოდ ზავის ჩამოსაგდებად).

ასე, რომ – ქართველებს და სომხებს, რომლებთაც *საუკუნეთა მანძილზე, ერთმანეთის საზღვრების ჩხრეკით თავი მაინცდამაინც არასოდეს შეუწუხებიათ* – ახლა მათი სამეზობლო სამანების დადგენა შორეული ბრიტანეთიდან მოსული *არამცოდნეებისა* და არამკითხეებისათვის მიენდოთ. ბრიტანელებმაც თავისი „ალბიონური სიდინჯით", *წაკიდებული მეზობლები ომამდელ საზღვრებზე დააბრუნეს*..." (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[3]

ჩვენ პუნქტებად შევეცდებით აღვნიშნოთ ღრმად პატივცემული ავტორის მიერ ალბათ უნებლიეთ დაშვებული შეცდომები და გამოვასწოროთ იგი. მით უმეტეს, რომ მოცემულ თემასთან დაკავშირებით, იდენტურია სხვა ქართველ მკვლევართა მიერ გამეორებული შეცდომები.

1. ნაშრომში შეცდომითაა დასახელებული სომხეთ—საქართველოს ომის მიმდინარეობის პერიოდი — 1918 წლის 21–31 დეკემბერი. სინამდვილეში, დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის ომი მიმდინარეობდა 1918 წლის 18 ოქტომბრიდან 1919 წლის 17 იანვრამდე. სწორედ 1918 წლის 18 ოქტომბერს დაარღვიეს პირველად დაშნაკური სომხეთის რეგულარულმა საჯარისო ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა დამოუკიდებელი საქართველოს დე ფაქტო საზღვრები და მოახდინეს მისი გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია. ხოლო 1919 წლის 17 იანვარს, სამმხრივი ბრიტანულ—ქართულ—სომხური სამშვიდობო კონფერენციის მეოთხე სხდომაზე საბოლოოდ მოეწერა ხელი სომხეთ—საქართველოს შორის დადებულ საზავო პირობებს. სომხური სარდლობის მიერ სრულმასშტაბიანი ღია საომარი მოქმედებების დაწყების ბრძანება 1918 წლის 13 დეკემბერს გაიცა, ხოლო სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე ცეცხლი 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 24^{00} საათზე შეწყდა. საერთოდ გაუგებარია ომის დაწყების თარიღად 21 დეკემბრის დასახელება. თუ ზუსტად დავიცავთ ომის მიმდინარეობის ფაქტობრივ ქრონოლოგიასა და მოვლენებს, 1918 წლის 21 დეკემბერი იმით იყო აღსანიშნავი, რომ სწორედ ამ დღეს ორი უსასტიკესი ბრძოლა დაიწყო სომხეთ—საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრის ბორჩალოს საბრძოლო მოქმედებების ორ განსხვავებულ რაიონში — დაღეთ— ხაჩინსა და სადახლოში. პირველ შემთხვევაში, ქართული შენაერთის (სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარის ქვედანაყოფები) შეტევითი მოქმედებები დაღეთ—ხაჩინზე, ხოლო მეორეში — სომხური მსროლელი პოლკებისა და მოხალისეთა საბრძოლო რაზმების განმეორებითი შტურმი სადახლოზე. ორივე ბრძოლა სომხეთ—საქართველოს ომის მიმდინარეობის შუა პერიოდს მოიცავს და არა მის დასაწყისს. ამ ბრძოლების ბატალურ სცენებსა და პერიპეტიებს ჩვენ ნაშრომის შესაბამის თავში განვიხილავთ დაწვრილებით და მათ ტაქტიკურ ანალიზსაც შემოგთავაზებთ.
2. წარმოდგენილ მონოგრაფიაში დარღვეულია სომხეთ—საქართველოს ომსა და კავკასიის ხალხთა სამშვიდობო კონფერენციას შორის არსებული მიზეზ—შედეგობრივი კავშირი. ავტორის მიხედვით ჯერ მოწვეულ იქნა, უფრო ზუსტად, საქართველოს მთავრობის მხრიდან გამოთქმული იქნა სურვილი კონფერენციის მოწვევისა, რასაც სომხებმა ომით უპასუხეს. სინამდვილეში, საერთო კავკასიური სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის სურვილი საქართველოს მთავრობის მიერ სწორედ სომეხთა მხრიდან უკვე დაწყებული შეიარაღებული აგრესიის განსანეიტრალებლად იყო გამოთქმული. საქართველოს მთავრობის მიერ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და

მთიელთა რესპუბლიკის მთავრობებს სამშვიდობო კონფერენციაზე ოფიციალური მოწვევა 1918 წლის 27 ოქტომბერს დაეგზავნათ. ომის დაწყების სწორი თარიღის – 1918 წლის 18 ოქტომბრის დაფიქსირება ავტომატურად ხსნის ავტორის ზემოთ აღნიშნულ უზუსტობას. სხვათა შორის, უშუალოდ პირდაპირი ქართულ–სომხური სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვის პირველადი ინიციატივა სომხებს ეკუთვნოდათ, რასაც საქართველოს „პაციფისტურმა" მთავრობამ თავი აარიდა. მიზეზებზე ქვემოთ ვისაუბრებთ დაწვრილებით.

3. როდესაც ვსაუბრობთ ანტანტის წევრი ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების შემოსვლაზე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ეხება გაერთიანებული სამეფოს საოკუპაციო ჯარების სამხედრო კონტინგენტს, და არა საკუთრივ ინგლისელებისას. საქმე იმაშია, რომ I მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე, ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ, ბალკანეთის, სირიისა და მესოპოტამიის ფრონტებზე, გაერთიანებული სამეფოს ბრიტანულ შენაერთებთან ერთად ინდური და ნეპალური საშხედრო ნაწილები, აგრეთვე ავსტრალია–ახალი ზელანდიის საარმიო კორპუსის „ANZAC" (Australia – New Zealand Army Corps) საექსპედიციო შენაერთები იქნენ გადმოსრო–ლილი, რომელთა გარკვეული ნაწილიც სწორედ 1918–1919 წლებში იქნა შემოყვანილი ამიერკავკასიაში, თბილისში კი 1919 წლის იანვრიდან ინდური ნაწილები განლაგდნენ. ასე, რომ ამიერკავკასიის ოკუპაციასთან მიმართებაში საუბარი ინგლისელთა, ხაზს ვუსვამთ – ინგლისელთა, და არა ზოგადად, გაერთიანებული სამეფოს, ან უკიდურეს შემთხვევაში, ბრიტანელთა სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების შესახებ – არაკორექტულია.

4. შეცდომითაა მითითებული აგრეთვე ბრიტანელთა ჯარების შემოსვლის თარიღი საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქში – 1918 წლის დეკემბერი.. სომხეთ–საქართველოს შორის საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, საქართველოს ტერიტორიაზე ბრიტანული საოკუპაციო ჯარები საერთოდ არ იდგნენ. ამ დროს თბილისში მხოლოდ რამდენიმე ბრიტანელი ოფიცერი იმყოფებოდა მათზე დაკისრებული სპეციალური მისიის შესასრულებლად. 1918 წლის დეკემბრის ბოლოდან ისინი მხოლოდ ბათუმის ოლქს აკონტროლებდნენ, სადაც ბრიტანელთა 27–ე დივიზიის ნაწილები იქნა შეყვანილი ბრიგადის გენერალ კუკ–კოლისის (Cooke–Collis) მეთაურობით. ბათუმი ამ პერიოდისათვის საქართველოს იურისდიქ–ციაში, ცხადია, არ შედიოდა. პირველმა ბრიტანულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწაზე ფეხი 1919 წლის 3 იანვარს დაადგეს ქალაქ ფოთში, ხოლო

თბილისში გაერთიანებული სამეფოს საჯარისო კონტინგენტი (სხვათა შორის, სიპაიების ინდური ქვედანაყოფები), ბრიგადის გენერალ გ. ტ. ფორესტიე–უოკერის (G. T. Forestier–Walker) მეთაურობით, 1919 წლის 16 იანვარს ჩამოვიდა. ასევე არაზუსტია ნაშრომში მითითებული ბრიტანული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობაც. გაერთიანებული სამეფოს საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი ამიერკავკასიაში გაცილებით მცირე იყო ავტორის მიერ მითითებულ რაოდენობაზე. თბილისში კი, სადაც 1919 წლის დასაწყისიდან გაერთიანებული სამეფოს ბალკანეთისა და ამიერკავკასიის გაერთიანებული სარდლობის შტაბი განთავსდა გენერალ–მაიორ ჯორჯ. ფ. მილნის (George. F. Milne) საერთო ხელმძღვანელობით, მათი რაოდენობა ორ ბრიგადას არ აღემატებოდა. სულ ეს იყო. სომხეთ–საქართველოს ომის დროს, ღია საომარი მოქმედებების გაშლის პერიოდში, 1918 წლის დეკემბრისათვის, გაერთიანებული სამეფოს საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქს აკონტროლებდა და არა „ამიერკავკასიის სამივე სატახტოს". ამ პერიოდში ბრიტანული ჯარების ქვედანაყოფები არც თბილისში და არც ერევანში არ იმყოფებოდნენ.

5. სომხებს სანაინთან არ დაურღვევიათ საქართველოს საზღვრები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლის მომენტიდან, სომხეთ–საქართველოს დროებითი ფაქტობრივი სახელმწიფო საზღვარი სადგურ სანაინიდან გაცილებით უფრო სამხრეთით გადიოდა. თბილისი–ალექსანდროპოლისის (გუმბრი, საბჭოთა პერიოდის ლენინაკანი, დღეს უკვე გიუმრი) რკინიგზის ხაზის გასწვრივ, იგი რკინიგზის სადგურ შაღალისა (დღევანდელი სადგური ვანაძორი) და ქალაქ ყარაქილისას (დღევანდელი ქალაქი ვანაძორი, საბჭოთა პერიოდის კიროვაკანი) შორის მდებარე რკინიგზის მეორე გვირაბთან გადიოდა, ბაზუმის (ჯავახეთის, ბეზობდალის) ქედთან, მდინარე დებედას (ბერდუჯი) ხეობაში, სანაინიდან მთელი 30–35 კილო–მეტრით სამხრეთით. თუმცა, ქართული მხრიდან იგი ფაქტობრივად, სოფელ ქოლაგერანთან იყო დაფიქსირებული. სწორედ ქოლაგერანთან იყო განლაგებული საქართველოს ერთგული მოკავშირეებისა და პროტექტორების – გერმანელთა საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო საგუშაგოებიც. შაღალიდან კი თურქული საოკუპაციო ჯარები იდგნენ, რომლებსაც „ომის უფლებით" ეჭირათ ეს ტერიტორიები. ასე, რომ სანაინთან არარსებულ საზღვარს, სომხები ცხადია, სანაინთან ვერც დაარღვევდნენ.

6. ქართველები და სომხები „ისტორიული და მარადიული ძმები" ნამდვილად არ ყოფილან და მათი ხანგრძლივი ისტორიული

ურთიერთობების გზა ცალსახად სულაც არ განისაზღვრება, როგორც — „სუფთა მატიანე". სიმართლე ისაა, რომ ეროვნული აღმავლობის იმ იშვიათ პერიოდებში, როცა სომეხთა ესა თუ ის სამეფო—სამთავრო სახელმწიფოებრივ—პოლიტიკურ და შესაბამის სამხედრო ძლიერებას მიაღწევდა, უმალ იწყებდა შეიარაღებულ აგრესიას საკუთარი მეზობლებისა და მათ შორის ქართველების წინააღმდეგ, დაწყებული უძველესი დროიდან. თუ სომეხთა აგრესიული ნაციონალისტურ—ექსპანსიონისტური პოლიტიკა და შესაბამისად აქტიური შეიარაღებული დაპირისპირებები ქართველებთან მიმართებაში მაინცდამაინც არაა აღბეჭდილი ჩვენს ისტორიულ ცნობიერებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ სომხებს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდი სულ ორჯერ ჰქონდათ (მეფე ტიგრან დიდისა და აშოტ II ბაგრატუნის დროს) და ამ პერიოდში მათ ორჯერვე მიიტაცეს საქართველოს კუთვნილი ძირძველი ისტორიული მიწები. საერთოდ, ერთობ მოკლე ისტორული მეხსიერება გვაქვს ქართველებს.

7. არც ის მოსაზრებაა მართებული, რომ „ქართველებსა და სომხებს, საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის საზღვრების ჩხრეკვით თავი მაინცდამაინც არასოდეს არ შეუწუხებიათ". შეუწუხებიათ და მერე როგორ შეუწუხებიათ. დანამდვილებით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ სომხებს მუდმივად ჰქონდათ, ახლაც აქეთ და მომავალშიც ექნებათ ქართველებთან და არა მხოლოდ მათთან, პერმანენტული ტერიტორიული პრეტენზიები. სწორედ ესაა იმ ყბადაღებული და სომეხთა მიერ საქვეყნოდ აფიშირებული „სომხური საკითხის" დედააზრი და სომხური უკიდურესად აგრესიული საგარეო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი, სომეხ დაშნაკთა ულტრანაციონა—ლისტურ—ექსპანსიონისტური აქტივობის ქვაკუთხედი და ამ იდეოლოგიური ფენომენის არსებობის ბუნებრივი ფორმა. თუ რამდენად სამართლიანი იყო და არის სომეხ ულტრანაციონალისტთა მიერ ქართველებისადმი (და არა მარტო მათდამი) წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიების არსი — სხვა საკითხია.

8. არც ის დასკვნაა სწორი, რომ „ბრიტანელებმა თავისი „ალბიონური სიდინჯით" წაკიდებული მეზობლები ომამდელ საზღვრებზე დააბრუნეს". სხვათა შორის, ასეთ დასკვნას აკეთებს პრაქტიკულად ყველა ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი. და ჩვენის აზრით, მოცემული საკითხის ასეთი გაშუქება არის სწორედ ყველაზე დიდი და შეიძლება ითქვას, გამოუსწორებელი შეცდომა. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ბრიტანელთა ჩარევითა და საქართველოს მთავრობის, პირადად ბატონი ნოე ჟორდანიას დიდი მეცადინეობით, ქართულმა საჯარისო შენაერთებმა ცეცხლი 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 24^{00} საათზე შეწყვიტეს და არსებული

ოპერატიული მდგომარეობით შეჩერდნენ სოფლების: ლამბალო – სადახლო – ოფრეთი – ახკერპი – ლოქჯანდარი – საათლოს ფრონტის ხაზზე და არა ომამდელ საზღვარზე. ამის შემდეგ ქართველ ჯარისკაცს ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, ისტორიული ქართული ლორე–ბამბაკის მიწაზე ფეხი აღარ დაუდგამს, თუ არ ჩავთვლით 1919–1920 წლების რაღაც ორთვენახევრიან პერიოდს, როდესაც საქართველომ სომხეთის გასაბჭოების გამო, დროებით მოახერხა ამ მიწებზე თავისი დე იურე და დე ფაქტო იურისდიქციის აღდგენა. ზემოთ აღნიშნულ ფრონტის ხაზზევე დაფიქსირდა სომხეთ–საქართველოს შორის გავლებული ე.წ. „დროებითი საზღვარი", ხოლო მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები, ანუ, ისტორიული ლორე–ტაშირი, 1919 წლის 27 იანვრიდან „ლორეს ნეიტრალურ ზონად" გამოცხადდა და იქ ბრიტანელთა პირდაპირი სამხედრო ადმინისტრაცია დამყარდა. სწორედ ამ ე.წ. „ნეიტრალურ ზონაში" განხორციელდა მოგვიანებით, 1921 წლის თებერვალში ლორეს პროვოკაცია, რეალურად კი ბოლშევიკური აგრესია საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ და შესაბამისად ბოლშევიკთა მიერ, ოდნავ მოგვიანებით, სწორედ ეს „დროებითი საზღვარი" იქნა ცნობილი საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის არსებულ სახელმწიფო საზღვრად. შესაბამისად, უკვე საბჭოთა სომხეთს ამ ხაზის სამხრეთით მდებარე ქართული სახელმწიფოს ისტორიული ლორე–ბამბაკის მიწებიც გადაეცა. აქედან გამომდინარე, 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათისათვის დაფიქსირებული სომხეთ–საქართველოს საომარ მოქმედებათა ფრონტის ხაზი, დღეს უკვე დამოუკიდებელ სომხეთსა და საქართველოს შორის არსებულ იურიდიულ და ფაქტობრივ სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს.

9. ბრიტანელების „არამცოდნეებად" მონათვლა რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. ყველა, ყველა და ბრიტანელებს ნამდვილად არასდროს და მით უმეტეს XX საუკუნის პირველ მეოთხედში არ ეშლებოდათ და არც ახლა ეშლებათ გლობალურ, მით უმეტეს ლოკალურ სამხედრო–პოლიტიკურ საკითხებში სწორად გარკვევა და თავიანთთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად ხელსაყრელი იყო და არის ეს გადაწყვეტილებები ამა თუ იმ ხალხებისა და ქვეყნებისათვის. ჩვენ, რა თქმა უნდა, საქართველოს და სომხეთსაც ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში. სხვათა შორის, ბრიტანელთა იმ ვერდიქტის მიმართ, რომ ლორე–ტაშირის მიწა „ნეიტრალურ ზონად" გამოცხადდა, სომხები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს მთავრობისაგან განსხვავებით. მადაგახსნილი დაშნაკები ახალქალაქის მაზრაშიც მოითხოვდნენ ბრიტანელებისაგან პირდაპირი სამხედრო

ადმინისტრაციის დამყარებას და ახალქალაქის სომხური დიასპორისა და ლტოლვილების სეპარატისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ბრიტანელებმა ძალიან კარგად ითამაშეს თავიანთი დადგმული პატარა პოლიტიკური თამაში ამიერკავკასიაში და შესაბამისად რეგიონის ლეგალურ დომინანტებადაც იქცნენ აქ მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში. ბათუმის ოლქი მათ მხოლოდ 1920 წლის ბოლოს დატოვეს.

10. და ბოლოს. აბსოლუტურად გაუგებარია სომხეთ—საქართველოს ომის რატომღაც ბრჭყალებში ჩასმა და მისი კნინობით ფორმაში მოხსენიება, რითაც ავტორი ალბათ ამ ომის ფსევდორეალობაზე ან მის მცირე სამხედრო—პოლიტიკურ მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს. ცალსახად ვამტკიცებთ, რომ 1918–1919 წლების სომხეთ—საქართველოს ომი ორივე სახელმწიფოსათვის ძალიან სერიოზულ სამხედრო—პოლიტიკურ დაპირისპირებასა და პირდაპირ უნდა ითქვას — სრულმასშტაბიან ომს წარმოადგენდა მისი ყველა შემადგენელი საბრძოლო კომპონენტისა და პოლიტიკური ასპექტის ჩათვლით. ამ მიმართებით ყველაზე საინტერესო და აქამდე უცნობი ფაქტი კი ისაა, რომ სომხეთ—საქართველოს ომის მსვლელობისას, ხაზს ვუსვამთ — საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას, ქართული მხრიდან, საერთო ჯამში, 20 ათასზე მეტი კაცის საომარი მობილიზაცია განხორციელდა. მობილიზაცია იძულებით 1919 წლის 1 იანვრიდან შეწყდა, ფორმალურად კი 1919 წლის 6 იანვარს დასრულდა. არანაკლებ საყურადღებო ფაქტორია ისიც, რომ ამ ომის მსვლელობისას უდიდესი იყო მთელი ქართული საზოგადოების სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ეროვნული კონსოლიდაციის შეგრძნება, რომლის მსგავსსაც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პირველი რესპუბლიკის არსებობის მთელი სამწლიანი ისტორიის მანძილზე აღარც ჰქონია ადგილი, თვით 1921 წლის ბოლშევიკური აგრესიის დროსაც კი. ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი კი ისაა, რომ სწორედ ამ ომის გამო, საქართველოსა და სომხეთის პირველ რესპუბლიკებს შორის შექმნილმა ცივმა, არაკეთილმეზობლურმა და დაძაბულმა ურთიერთდამოკიდებულებამ, ოდნავ მოგვიანებით, უკვე 1920–1921 წლებში, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკებისა და საერთოდ მთელი რეგიონის პოლიტიკური მოწყობისა და მათი ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების შემდგომი გადანაწილების საქმეში.

საკმაოდ სრულყოფილად და საფუძვლიანადაა განხილული სომხეთ—საქართველოს პოლიტიკური დაპირისპირების საკითხები შოთა ვადაჭკორიას ნაშრომში „საქართველო—სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1918–1920)". ხსენებულ ნაშრომში ბუნებრივია, სომხურ—ქართული ურთიერთობების მხოლოდ პოლიტიკური და

დიპლომატიური ასპექტებია განხილული, მაგრამ მონაცემთა ძირითად წყაროდ მხოლოდ იმდროინდელი ოფიციალური პერიოდიკაა გამოყენებული. აქედან გამომდინარე, ბევრი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი საფუძვლიანად არაა განხილული და გარკვეული უზუსტობებიცაა დაშვებული. შ. ვადაჭკორია მოგვითხრობს: „როცა ქართული ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და სომხებმა უკანდახევა დაიწყეს, გარეგნულად მაყურებლის როლში მდგომი ინგლისის მისიის წარმომადგენლები საქმეში ჩაერივნენ და ქართული მხრისაგან ომის შეწყვეტის აუცილებლობა მოითხოვეს. ეს წინადადება მას შემდეგ იქნა მიღებული, როცა *ქართული ჯარის ნაწილებმა ომამდელი სასაზღვრო ხაზი დაიჭირეს*". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ)[4] აქაც იგივე უზუსტობაა დაშვებული საზღვრის საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ავტორს იმდროინდელ პერიოდიკაზე დაყრდნობით ომის დაწყების თარიღად 1918 წლის 9 დეკემბერი აქვს მითითებული, რაც ასევე არასწორია.

შემდეგი ავტორი, გურამ მარხულია: „*1918 წლის დეკემბერში* ომის გამოუცხადებლად სომხეთმა სამარცხვინო ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ მოკლე ხანში *სომხეთის ჯარი განადგურებულ და განდევნილ იქნა საქართველოდან*". (ხაზგასმა ჩვენია – ა. ჩ).[5] ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით აქაც იგივე შეცდომაა დაშვებული. უფრო დიდი შეცდომა კი ისაა, რომ ამ ომის შედეგად სომხეთის საჯარისო ნაწილები და საბრძოლო რაზმები „განადგურებული და საქართველოდან განდევნილი არ იქნა".

გაზეთ „კვირის პალიტრის" 2005 წლის 31 ოქტომბერი – 6 ნოემბრის ნომერში სომხეთ–საქართველოს ომთან დაკავშირებული პუბლიკაცია გამოქვეყნდა, ცოტა არ იყოს ჩვენთვის აზრობრივად გაუგებარი და დამაინტრიგებელი სათაურით: „გამარჯვებით გასრულებული სიკვდილისა და სისხლის ნადიმი (სომხეთ–საქართველოს ომი)". სამწუხაროდ, სტატიის ავტორი მითითებული არაა. პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ კი უფრო განგვიმტკიცდა ის აზრი, რომ ქართული საზოგადოებისათვის და არა მარტო მისთვის, ამ ომის რეალური ისტორია სრულიად უცნობია. სტატია კი არა მარტო უხეში შეცდომებით, არამედ რეალურისაგან დიამეტრალურად საწინააღმდეგო მონაცემებითაა აღსავსე. ამ შეცდომებს ნაშრომის შესაბამის თავებში განვიხილავთ და გამოვასწორებთ. ყველაზე დიდი შეცდომა კი ისაა, რომ ამ პუბლიკაციაში ომში გამარჯვებულად ქართული მხარეა გამოყვანილი, ხოლო სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებათა მასშტაბები და მნიშვნელობა უაღრესად დამცრობილი და დაკნინებულია. მსგავს სურათს ვაწყდებით სხვა ავტორებთანაც, რომლებსაც აქ აღარ მოვიყვანთ. შეცდომები და უზუსტობები ტიპიურია.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მთავარი და უცილო ღირებულება ალბათ ისაა, რომ მკაცრად და მიუკერძოებლად, ობიექტურობის მაქსიმალური დაცვით, ყოველგვარი შერბილებისა და შელამაზების გარეშე შევეცადეთ

წარმოგვედგინა ის რეალური პოლიტიკური და სამხედრო–პოლიტიკური სურათი, რაც XX საუკუნის 10–იანი წლების ბოლოს განვითარდა ამიერკავკასიის რეგიონში ზოგადად. ამ ფონზე დაწვრილებით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ 1918–1919 წლებში სომხეთსა და საქართველოს შორის წარმოებული ომის თითოეული ასპექტი, რეგიონში იმ დროს არსებული სამხედრო–პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით.

სომხეთ–საქართველოს ომის აქამდე ცნობილი საკითხები, მისი თითოეული ასპექტის ჩათვლით, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ბუნდოვანი და არაზუსტია. აქ ძალიან ბევრ წინააღმდეგობასა და ერთი შეხედვით ერთმანეთის გამომრიცხავ მოსაზრებებსაც ვაწყდებით. განვითარებულ სამხედრო–პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში, სახელმწიფოებრივი მასშტაბებით, იმდენად არაორგანული იყო საქართველოს მთავრობის დიპლომატიური ნაბიჯები და სამხედრო–პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომ თვით უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობაც კი არ უწყოდა მთავრობის პოლიტიკური აქტივობის შესახებ, პოლიტიკოსები კი სწორად ვერ და არ აანალიზებდნენ ფრონტებზე შექმნილ ოპერატიულ მდგომარეობას და ადეკვატურ ნაბიჯებსაც არ დგამდნენ, ან თუ დგამდნენ, სამწუხაროდ, დიდი დაგვიანებით. თვით სომხეთ–საქართველოს ომის უშუალო მონაწილეების მემუარებშიც კი იმდენი შეუსაბამობა და უზუსტობაა დაშვებული, რომ მსგავსი ფაქტები ძნელად ასახსნელთა კატეგორიას განეკუთვნება. და საერთოდ იქმნება შთაბეჭდილება, რომ დამოკიდებულება სომხეთ–საქართველოს ომსა და მის შედეგებთან, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერაც არ იქნა სრული სერიოზულობით ბოლომდე აღქმული.

ისტორიული რეალობა კი ისაა, რომ სწორედ სომხეთ–საქართველოს ომი იყო პირველი სერიოზული სამხედრო–პოლიტიკური გამოცდა სრულიად ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსათვის და საერთო ჯამში, 1921 წლის თებერვალ–მარტამდე ერთადერთი პოლიტიკურად წაგებული, დიახ, ერთადერთი პოლიტიკური შედეგებით წაგებული ომი პირველი რესპუბლიკის არსებობის სამწლიანი ისტორიის მანძილზე. როცა საქართველოს დამარცხებაზე ვსაუბრობთ, რა ოქმა უნდა, სულაც არა გვაქვს მხედველობაში მხოლოდ წმინდათ საბრძოლო მოქმედებების ოპერატიული, გნებავთ, ტაქტიკური შედეგები, დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებისა თუ ჯარების ბრძოლისუნარიანობის საკითხების ანალიზის ფონზე გაკეთებული დასკვნები. როდესაც ამ ომში ქართველთა დამარცხებაზე ვსაუბრობთ, აქ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ომის შედეგები, როგორც სახელმწიფოს ინსტიტუციური აქტივობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი შედეგი, მისი თითოეული – ტერიტორიული, სამხედრო–პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო–ტექნიკური და სხვა ასპექტების საერთო ანალიტიკური შედეგი. ამ თვალსაზრისით კი საქართველოს პირველი რესპუბლიკა დამარცხდა. დამარცხდა უსამართლოდ და დაუმსახურებლად.

დამარცხდა გაცილებით სუსტ და ულირს მოწინააღმდეგესთან და ამ მარცხში არცთუ უკანასკნელი როლი, თუ მთავარი არა, მის „დემოკრატიულ" და „ჰუმანურ" სოციალ–დემოკრატიულ მთავრობას და პირადად მის თავმჯდომარეს მიუძღოდა. ამ ომის შედეგებმა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანებით, უკვე 1920–1921 წლებში დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიულად კუთვნილი ძირძველი მიწების ტერიტორიული გადანაწილების პროცესსა და მისი მოწყობის შემდგომ ბედზე, სომხეთისაზე კი – გადამწყვეტი.

პროფესორი გრიგოლ ჟვანია, სომეხ მწერალ, ვინმე გრანტ ბაგრაზიანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ ვაჰან პაპაზიანის მიერ „გოლოს არმენიასა" და „ნეზავისიმაია როსიაში" გამოქვეყნებული პასკვილების პასუხად გაზეთ „საქართველოს" 1995 წლის 8 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში, სათაურით, „იდეოლოგიური დივერსია", წერს: „ნუთუ მწერლისთვის არ უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუ რატომ არ ეხებიან ამ ომის ისტორიას პოპულარულ გამოცემებში სომეხი და ქართველი ისტორიკოსები? მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ისინი არ ეხებიან ამ საკითხს არა იმიტომ, რომ არ იციან მისი ისტორია, არამედ არ სურთ ორ მეზობელ და მეგობარ ერს შორის მაშინდელი ომით გამოწვეული იმ მძიმე ჭრილობების გაღიზიანება, რომელიც მიიღო ომის შედეგად მის მონაწილე ორივე მხარემ".[6]

ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ბატონი გრიგოლის ამ დასკვნას. დიახ, ჩვენ არ ვიცით ამ ომის ისტორია და უფრო დიდი უბედურება კი ისაა, რომ განვლილი მწარე გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანაც არ გვსურს. ქართველების მხრიდან აღნიშნული საკითხისადმი მსგავსი მიდგომა და დაფარული ჭირის კიდევ უფრო დამალვა ნამდვილად არაა სიკეთის მომტანი არც ქართველებისათვის და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პირველ რიგში, არც თვით სომეხი ხალხისათვის.

რაც შეეხება სომეხი ავტორების მიერ სომხეთ–საქართველოს ომის ისტორიის გაშუქების საერთო სურათს, ამ საკითხებში ისინი ნამდვილად არ იჩენენ პასიურობასა და თავმდაბლობას. მათ მიერ შექმნილ „ნაშრომთა" უმეტესობა კი მკვეთრად ტენდენციური და ანტიქართულია. უფრო მეტიც, სულ უკანასკნელ ხანს სომეხი ავტორები ისე გაკადნიერდნენ, რომ მათ მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა და „ნაშრომებში" გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ზოგადად საქართველოსა და ქართველების შესახებ, იმდენად ცინიკური და შეურაცხმყოფელია, რომ აშკარად პათოლოგიურ ხასიათს ატარებს. მათ მიერ შეთითხნილ პასკვილებში კი ისეთი ისტერიული ტონალობები ჟღერს, რომ ძალზე საეჭვოა ისინი საღ ჭკუაზე იყოს დაწერილი. (იხილეთ ანზორ თოთაძის „სომეხი ვაი–მეცნიერების ანტიქართული ისტერია" და აკადემიკოს ˛იაკობ ახუაშვილის „ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები".)

იგივე გრანტ ბაგრაზიანთან დაკავშირებით, მისი ციტირებისას, დიდ ქართველ მწერალ, რევაზ ჯაფარიძესთან ვკითხულობთ: „მხედართმთავრებს" (ქართველებს — ა. ჩ.) გაეცათ ბრძანება: დაიპყარით ლორი!.. (ლორეს გადასომხურებული ვარიანტი — ლორი — ა. ჩ.) საქართველოს ჯარი სომხეთში შეიჭრა. ომი! მაგრამ ეს ავანტიურა მეზობელი რესპუბლიკის „მეომრებისათვის" (Вояк — ა. ჩ.) უსახელოდ დამთავრდა. ცუდად შეიარაღებულმა სომხეთის არმიამ თავის თავში გამონახა ძალები, რომ წინ აღდგომოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს და „მენშევიკ–გორლოპანებს" (ვერაფრით ვერ მოვუძებნეთ დამამცირებელ რუსულ Горлопан–ს ზუსტი ქართული შესატყვისი — ა. ჩ.) წარმატების არავითარი იმედი არ დაუტოვა. მოწინააღმდეგის არმიამ უკან მოკურცხლა (Драпанула — ა. ჩ.) ნავთლუღსა და კოჯრამდე".[7]

— რას იტყვის ბატონი მწერალი და მასთან ერთად დაინტერესებული მკითხველიც, თუ გამოირკვა, რომ რამდენი სიტყვაცაა ზემოთ დამოწმებულ სტატიაში, ორი იმდენი ტყუილია? — რიტორიკულ კითხვას სვამს ბატონი რ. ჯაფარიძე. აბსოლუტურად ვეთანხმებით ავტორის რეზიუმეს. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ არა თუ ორი, ათი იმდენია ტყუილი და რაც მთავარია — მოყვანილ პასკვილში ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული.

აი, ასეთი, ან დაახლოებით ასეთი (იშვიათი გამონაკლისი გარდა) ხედვა არსებობს ზოგადად, სომხეთ–საქართველოს ომის შესახებ თითქმის ყველა სომეხ და ზოგიერთ უცხოელ ავტორთან (აქ, ჩვენ პირველ რიგში, რუსულ პროსომხურ ისტორიოგრაფიას ვგულისხმობთ.)

ბოლოსდაბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღდგეს და ობიექტურად დაიხატოს 1918–1919 წლებში სომხეთ–საქართველოს შორის არსებული უკიდურესი პოლიტიკური დაპირისპირებისა და საომარი ბატალიების მიმდინარეობის სრული სურათი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეცეს უმძიმეს კითხვებს პასუხი — რა პოლიტიკური და სამხედრო–პოლიტიკური ურთიერთობები არსებობდა საქართველოსა და სომხეთის პირველ რესპუბლიკებს შორის მთელი 1918 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში? რაში მდგომარეობდა სომხების მიერ ქართველებისადმი წაყენებული პრეტენზიების რეალური არსი? საზოგადოდ, როგორ წარმოიქმნა სომხური ნაციონალისტური სეპარატიზმისა და ექსპანსიონიზმის აგრესიული იდეოლოგია? რაში მდგომარეობდა წარსულში და მდგომარეობს დღეს სომეხ დაშნაკთა ულტრანაციონალიზმი? ევოლუციის რა გზა გაიარა დაშნაკთა რევოლუციურმა მოძრაობამ და რამ მიიყვანა ბოლოსდაბოლოს საქართველოსა და სომხეთის პირველი რესპუბლიკების მთავრობები ღია შეიარაღებულ დაპირისპირებამდე? საერთოდ, რაში მდგომარეობდა საკვეყნოდ გახმაურებული ყბადაღებული „სომხური საკითხის" არსი? როგორი იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და ზოგადად ქართველი სოციალ–დემოკრატების, პირადად პატრონ ნოე ჟორდანიას, როლი ამ დაპირისპირების გაღვივებასა და მისი სამართლიანად დასრულების საქმეში? როგორი იყო

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და საგარეო უწყების პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობის სპექტრი 1918 წლის ბოლოს? სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, როგორი სტრატეგიული, ოპერატიული თუ ტაქტიკური მდგომარეობა იქმნებოდა საომარ მოქმედებათა თეატრებზე ომის მსვლელობისას? ვინ იყვნენ ის სახელოვანი თუ უსახელო ქართველი გმირები, ვინც ამ ომში გამარჯვების ახალი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს ომების მრავალსაუკუნოვან მატიანეში და ღირსეულად მოიხადეს თავისი მამულიშვილური ვალი. საბოლოოდ რა შედეგებით დასრულდა სომხეთ—საქართველოს 1918—1919 წლების საომარი დაპირისპირება და როგორი იყო ამ ომის სამხედრო—პოლიტიკური მნიშვნელობა?

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი, არსებითად, დასმული საკითხების მეცნიერული თვლსაზრისით მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სომხეთ—საქართველოს ომთან მიმართებაში ყველაზე საინტერესო და გასაკვირი ისაა, რომ თვით იმდროინდელ და თანამედროვე სომეხ ავტორთა უმეტესობა ვერ უარყოფს იმ უცილობელ ფაქტს, რომ სომხეთ—საქართველოს ომში ღია აგრესორების როლში არარატის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობა და მისი შეიარაღებული ძალები იყვნენ. მაგრამ სომეხი და პროსომეხი ავტორები ჯიუტად და თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ არარატის მთავრობა საომარი მოქმედებების დაწყებამდე საქართველოს მთავრობის მიერ სომხეთის მიმართ წარმოებულმა აგრესიული საგარეო, სამხედრო, იდეოლოგიური და ეკონომიკური კურსის გატარების პოლიტიკამ მიიყვანა.

ამ მოსაზრებათა შესაბამისად, სომეხ დაშნაკთა მიერ 1918 წლისათვის საქართველოს მთავრობისადმი წაყენებული პრეტენზიების ჩამონათვალი ოთხ ძირითად პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. 1918 წლის დასაწყისში ქართველების სომხებისადმი ღალატი თურქთა შეიარაღებულ აგრესიასთან მიმართებაში.

2. საქართველოს მთავრობის არაჰუმანური დამოკიდებულება დევნილი სომეხი ლტოლვილებისადმი.

3. საქართველოს მიერ არარატის რესპუბლიკის წინააღმდეგ წარმოებული ეკონომიკური და საკომუნიკაციო ბლოკადა.

და რაც მთავარია:

4. 1918 წლისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მიერ „ძირძველი სომხური მიწების" ოკუპაციის ფაქტი.

ჩვენ აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველი სამი პუნქტი სრულებით არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და მათში გამოთქმული პრეტენზიები მტკნარი სიცრუე და საშინელი ცილისწამებაა ქართული მხარის მიმართ. ჩვენს ამ დასკვნას წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის თავებში დავამტკიცებთ.

რაც შეეხება მეოთხე პუნქტში გამოთქმულ ტერიტორიულ პრეტენზიას, მას ცალსახად ვეთანხმებით, ოღონდ იმ შესწორებით, რომ სომეხ დაშნაკთა ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ სწორედ ძირძველი ქართული მიწების ოკუპაციის მცდელობა იყო ამ ომის გამომწვევი ერთადერთი მიზეზი და დანარჩენი სამი, მხოლოდ ამ მეოთხე პუნქტის დასამძიმებლად იყო შეთხზული და მოგონილი სომეხ პროპაგანდისტთა და მათ მხარდამჭერთა მიერ.

სწორედ ეს „სადავო" ისტორიული ქართული მიწები უნდა ქცეულიყო სომეხთა ეფემერული სახელმწიფოს – „დიადი არმენიის" ერთ–ერთ შემადგენელ ელემენტად. პირველი სამი პუნქტი კი ისეთი აშკარა უსირცხვილობითა და უტიფრობით იყო შეთხზული და შეკოწიწებული, რაც მხოლოდ დაშნაკთა ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგიის აპოლოგეტებს შეიძლებოდა მოსვლოდათ თავში.

რაც შეეხება საკუთრივ „დიად არმენიას", იგი ე.წ. „დიდი არმენიის", „მცირე არმენიისა" და „ქილიკიის არმენიისაგან" უნდა შემდგარიყო. საინტერესოა, რომ ამ ე.წ. „დიდი არმენიის" ჩრდილოეთ და ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში ისტორიული საქართველოს თითქმის ნახევარი იყო ჩართული, ხოლო „მცირე არმენიაში" საქართველოს ისტორიული მხარე – სპერი. რეალობა კი სწორედ რომ დიამეტრალურად განსხვავებული იყო:

„საჭიროა, რომ სომხებმა ხელი აიღონ ქვეყნიერების წინაშე ქართველთა სისტემატურ დამცირებაზე, რაც, ცხადია, მეტისმეტად აღიზიანებს უკანასკნელთ, შეკვეცონ თავიანთი მადა საერთოდ ქართული დოვლათის მიმართ და კერძოდ, სიხარბით გამოწვეულ თავიანთ ახლანდელ მისწრაფებათა ერთგვარი გამართლებისათვის არ ამტკიცონ ის სრულიად ყალბი აზრი, რომ თითქოს აღმოსავლეთი საქართველო უძველეს დროში დიდ სომხეთში შედიოდა, მაშინ როდესაც, სინამდვილეში პირიქით იყო: თვით სომხეთი თავისი „შეუდარებელი" (ჯანშიევის გამოთქმაა) სატახტო ქალაქით ანით, საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ მეფის დროს და თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, რაც თვით სომეხი ისტორიკოსების მიერ აღიარებული ფაქტია"[8]. ეს სტრიქონები თითქმის ასათი წლის წინაა დაწერილი. მისი ავტორი დიდი იაკობ გოგებაშვილია.

ერთი შეხედვით ისეთი მარტივი და დღესავით ნათელი საკითხი, როგორიცაა სომეხ ნაციონალისტთა მიერ 1918 წელს საქართველოსადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიები, რეალურად სულაც არაა ტრივიალური და ცალსახა. იგი შორს ცილდება სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის მთელი 1918 წლის განმავლობაში არსებულ სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების საკითხს როგორც დროში, ასევე სივრცეში. ეს დამოკიდებულება და სომხური აგრესიული საგარეო პოლიტიკის პრობლემური საკითხები ორგანულადაა დაკავშირებული

და უფრო მეტიც, დაფუძნებულია ისეთ საინტერესო იდეოლოგიურ ფენომენზე, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ,,სომხური საკითხის'' სახელწოდებით შევიდა.

,,სომხური საკითხის'' ცნება, მისი წარმოქმნა, გენეზისი, განვითარების გზები და შემდგომი მეტამორფოზები იმდენად მნიშვნელოვანი და ფუძემდებლური ფენომენი იყო სომხურ–ქართულ ურთიერთობებში, და არა მარტო აქ, რომ მისი ძირითადი მომენტების განხილვის გარეშე შეუძლებელია ბოლომდე საფუძვლიანად ჩავწვდეთ 1918–1919 წლების სომხეთ–საქართველოს ომის პოლიტიკური და სამხედრო–პოლიტიკური წანამძღვრების ნამდვილ არსს.

სწორედ ,,სომხური საკითხის'' დასმა და არსებობა, როგორც ასეთი, იყო ამ ომის ფუძემდებლური მიზეზი და მისი გარკვეული გამართლების მცდელობაც სომხური მხრიდან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადაუდებლად მივიჩნიეთ გარკვეული მიმოხილვა და ანალიზი გაგვეკეთებინა იმ ძირითადი განმსაზღვრელი იდეოლოგიურ–პოლიტიკური პროცესებისა, რომლებიც წინ უძღოდა 1918–1919 წლების სომხეთ–საქართველოს ომს და ეს საკითხები ნაშრომის პირველ თავში ჩავრთეთ. ათეულობით ისტორიკოსის მრავალწლიანი თავაუღებელი შრომაა ალბათ იმისათვის საჭირო, რომ სრულად, მეცნიერულ დონეზე იქნას შესწავლილი და წარმოდგენილი ,,სომხური საკითხისა'' და სომხური ულტრანაციონალიზმის წარმომავლობის ყველა ასპექტი. ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ იმ უმნიშვნელოვანესი მომენტების გაშუქებით შემოვიფარგლეთ, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული სომხური აგრესიული სეპარატიზმისა და ულტრანაციონალიზმის წარმოშობასთან და კიდევ ერთხელ შევეცადეთ ნათელი მოგვეფინა ამ მეტად საინტერესო, არაერთგვაროვანი, წინააღმდეგობებით აღსავსე და საშიში, დიახ, საშიში – უაღრესად საშიში მოვლენისათვის. ამ საშიშროების მოახლოებას, არსებული რეალიების ანალიზის ფონზე, ჯერ კიდევ დიდი იაკობ გოგებაშვილი წინასწარმეტყველებდა XIX საუკუნის ბოლოს:

,,ქართველთა სიკეთიანობა და სიბოროტის მალე დავიწყება შეადგენს გულკეთილობის საფუძველს. ასეა თუ ისე, რადგან დავა ატეხილია, საჭიროა მისი გადაჭრა სრული ობიექტურობითა და მიუდგომლობით, და მაშინ დროებით გაღვიძებული ვნებათაღელვა მიწყნარდება და ადგილს დაუთმობს ტომებს შორის ნორმალურ ურთიერთობას. ყველაზე უარესია აღძრული საკითხის ნახევრად გადაჭრა, მის დიდი ხნით ღიად დატოვება და იმ ქრონიკულ ავადმყოფობად გადაქცევაა, რომელიც ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს''[9]. ეს სტრიქონები 1897 წელსაა დაწერილი. ეს ის პერიოდია, როდესაც სომეხ ნაციონალისტთა უაღრესად აგრესიული და ექსპანსიონისტური მოსწრაფებები ეს–ესაა აქტიურდება და თვისობრივად ახალ ფაზაში შედის. მაგრამ ისტორიულად ჯერ ყველაფერი ისევ წინ არის – მართალია, სომეხ დაშნაკებს უკვე დაწყებული აქვთ

ანატოლიის არასომხური მოსახლეობის სისხლიანი დარბევები, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ მოუწყვიათ ამიერკავკასიის მუსულმანური მოსახლეობის დემოციდი, ჯერ არ დაწყებულა I მსოფლიო ომი, ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაუმჟღავნებიათ მათ ქართველთა წინაშე თავისი იდეოლოგიური და ტერიტორიული პრეტენზიების სრული მასშტაბები და ბოლოს, სომეხ დაშნაკებს ჯერ კიდევ არ წამოუწყიათ საქართველოსთან ომი და არ დაულურიათ ქართველთა სისხლი. მიუხედავად ამისა, იაკობ გოგებაშვილის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერილი ეს სტრიქონები, დღესაც აქტუალურია და სრულად ეხმიანება დღევანდელ რეალობას.

რაც შეეხება უშუალოდ სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომის საკითხებს, ცნობებს სომხეთისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების სტრუქტურებისა და საბრძოლო ორგანიზაციის შესახებ, მათ საომარ სამზადისს, საომარ მოქმედებათა თეატრის ზოგად მიმოხილვასა და დაპირისპირებული მხარეების ძალთა სტრატეგიულ გაშლას, მეორე თავში გვაქვს განხილული.

ამ ომის ცალკეული ბრძოლებისა და ბატალური სცენების აღწერა, მათთან დაკავშირებული სამხედრო–ოპერატიული და ტაქტიკური მონახაზების შესწავლა – ნაშრომის მესამე, მეოთხე და მეხუთე თავებშია წარმოდგენილი და გაანალიზებული. შესაბამისად, აქვეა განხილული ამ ომის მსვლელობის დროს განვითარებული უმნიშვნელოვანესი გლობალური სამხედრო–პოლიტიკური ხასიათის მოვლენები და ჩვენთვის საინტერესო სომხურ–ქართული სამხედრო–პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების მთელი სპექტრი.

წიგნის მეექვსე თავში კი ღია საომარი მოქმედებების შეწყვეტა, სამმხრივი ბრიტანულ–ქართულ–სომხური საზავო მოლაპარაკებების მასალები და სომხეთ–საქართველოს ომის სამხედრო–პოლიტიკური შედეგებია გაანალიზებული. დასკვნით ნაწილში კი, დამატებით, სომეხთა რევოლუციური ფედერაციის – დაშნაკთა სოციალისტური პარტიის თანამედროვე სამოქმედო პროგრამის ძირითადი პუნქტებია წარმოდგენილი, სადაც განსჯისა და შემდგომი ანალიზისათვის მეტად საინტერესო მასალებია გამომზეურებული. აქვეა გაკეთებულია შემაჯამებელი დასკვნები.

თავი I

§1. „სომხური საკითხის" ცნება და მისი გენეზისი. სომეხთა ექსპანსიონისტური მისწრაფებები და მითი „დიადი არმენიის" შესახებ.

სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა,
სხვა უდევთ გულში მათ დაფარული,
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური
— ძმობა, ერთობა და სიყვარული.
აკაკი წერეთელი. 1911 წ.

სომეხ ნაციონალისტთა სეპარატისტული იდეოლოგია და აქედან გამომდინარე მათი ექსპანსიონისტური განწყობები არ ახალია — ძველია. ალბათ იმდენად ძველი, რამდენადაც თავად სომხური ეთნოსი, როგორც ასეთი. ეს იდეოლოგია საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს და იგი სომეხთა „ეროვნული განუმეორებლობისა და განსაკუთრებულობის" ავადმყოფურ იდეაზეა დაფუძნებული. სომეხთა პათოლოგიური „განსაკუთრებულობის" საუკუნეებში მიძინებულმა ამ იდეოლოგიამ კი რიგი ფაქტორების ზეგავლენით XIX საუკუნის ბოლოსათვის თვისობრივად განსხვავებულ დონეს მიაღწია.

ძველი და თანამედროვე სომხური ისტორიოგრაფიით, კაცობრიობის არსებობისა და განვითარების მრავალათასწლოვან ისტორიაში სხვადასხვა ცივილიზაციების ნებისმიერი წინ გადადგმული ნაბიჯი, როგორც წესი, სომხებს მიეწერებათ. უფრო მეტიც, ამ თეორიით, არ არსებობს მსოფლიო ცივილიზაციების მიერ შექმნილი მეტ–ნაკლებად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფასეულობა, რომელშიც სომხებს მთავარი და გადამწყვეტი როლი არ ჰქონდეთ მიკუთვნებული — ისინი არიან თურმე ბიბლიური ნოეს მეორე სამშობლო და ადამის მოდგმის რეინკარნაცია, კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი და პირველი ანბანის შემქმნელები, (ფინიკიური ანბანიც თურმე სომხურზეა დაფუძნებული) წინა აზიასა და ამიერკავკასიაში კულტურის შემომტანები და გამავრცელებლები. ისინი არიან თურმე ლითონისა და მეტალურგიის მამები, სწორუპოვარი მეომრები და უბადლო შემოქმედნი, ჭეშმარიტი მეცნიერები და მსოფლიოს განმანათლებლები, უბრო მშენებლები. ისინი არიან თურმე პირველი ქრისტიანები და ამავე დროს ზეადამიანური არიული რასის გამორჩეული წარმომადგენლები, განსაკუთ–რებული სამოციქულო ქვეყანა და ხალხი, აღსავსე ქრისტესმიერი სიყვარუ–ლითა და სათნოებით. ისინი არიან თურმე ნაირის ხალხები და ურარტუს იმპერია. სომხები ფლობდნენ თურმე უდიდეს მიწებს მესოპოტამიაში, ანატოლიასა და კაპადოკიაში, ამიერკავკასიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში და მათი სახელმწიფოც — „დიადი არმენია", თურმე სამ ზღვას — შავ, ხმელთაშუა და კასპიის ზღვებს შორის ყოფილა გადაჭიმული ოდითგანვე.

ასეთი მოსაზრებები და დასკვნები რომ რომელიმე კერძო პიროვნებას, ან თუნდაც პირთა ჯგუფს ეკუთვნოდეს, ყურადღებასაც არ მივაქცევდით, მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ზემოთქმულის აპოლოგეტებად სერიოზული სომხური სამეცნიერო და პოლიტიკური წრეები გვევლინებოდნენ ადრეც და გვევლინებიან ახლაც. სომხური და მსოფლიოს სომეხთა ისტორიოგრაფია, სომხური და მსოფლიო მასმედიის საშუალებები, ინტერნეტის ვებ–გვერდები და საიტები წალეკილია ისეთი აშკარა, უსირცხვილო და ზღვარს გადასული ფალსიფიკაციებითა და დანაშაულებრივი ტყუილებით სომეხთა ისტორიისა და მათი ეროვნული განუმეორებლობის შესახებ, რომ მათი დეტალური, დაწვრილებითი განხილვა, მათზე მსჯელობა და მეცნიერული კამათის გამართვა ერთი სამეცნიერო ნაშრომისა და მოცემული ფორმატის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია. და რაც მთავარია – ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებში ჩაღრმავება, უბრალოდ არასერიოზულობად მიგვაჩნია.

ამ მიმართებით ყველაზე აღმაშფოთებელი და საგანგაშო კი ისაა, რომ ყოველივე ზემოთქმულის ტოტალური აგიტაცია და აღვირახსნილი პროპაგანდა ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში მცხოვრები მეზობელი ერებისა და ხალხების უკიდურესი დამცირებისა და არ შეეცდებით თუ ვიტყვით – პირდაპირი შეურაცხყოფის მიყენების ფონზე მიმდინარეობს.

ჩვენ მხოლოდ ერთ, მეტად საინტერესო და ნიშანდობლივ დოკუმენტს განვიხილავთ, სადაც პრაქტიკულად სრულადაა წარმოდგენილი იმ შეხედულებებისა და პრეტენზიების ძირითადი თეზისები, რაც სომხებს XIX საუკუნის ბოლოდან გაუჩნდათ და მასში სრულიად სომეხთა ნააზრევი და მიზნები იყო გამომზეურებული. ამ იდეების მსოფლიო საზოგადოების წინაშე ოფიციალურად წარდგენა, ასე ვთქვათ, გარკვეული სახის პრეზენტაცია კი XX საუკუნის 10–იანი წლების ბოლოს მოხდა.

ესაა სწორედ ის ყბადაღებული დოკუმენტი, რეალურად კი დეზინფორმაციული შინაარსის სომხური პასკვილი, სათაურით – „სომხური საკითხი", რომელიც 1919 წლის დასაწყისში მომზადდა სომეხთა მსოფლიო და სომხეთის (არარატის) რესპუბლიკის ნაციონალური საბჭოების მიერ. ეს ე.წ. „დოკუმენტი" პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად იყო განსაზღვრული. ამ დოკუმენტს ხელს ორი პიროვნება – მსოფლიოს სომეხთა ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე, ოტომანთა იმპერიის ყოფილი მაღალჩინოსანი, პოლოს ნუბარ ფაშა და ამიერკავკასიის სომეხთა ნაციონა–ლური საბჭოს თავმჯდომარე, არარატის რესპუბლიკის „საგარეო საქმეთა მინისტრი", პირწავარდნილი დაშნაკისტი და პროვოკატორი, ავეტის აჰარონიანი აწერენ ხელს.

ჩვენ დაშნაკთა ულტრანაციონალისტური და უკიდურესად შოვინისტური იდეოლოგიის დამახასიათებელ ზოგიერთ, მხოლოდ მეტად ნიშანდობლივ „მარგალიტს" მოვიყვანთ ამ დოკუმენტიდან:

„მსოფლიო თანამეგობრობის დიდმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალის–წინონ ის ენერგია, შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, რომელსაც ფლობს და

ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროში ავლენს სომეხი ერი, (სომხური განსაკუთრებული უნივერსალიზმი — ა. ჩ.) რომელიც მაღალკულტურულია და პროგრესის უდავო ნიჭი გააჩნია".[1]

„სომხები შრომისმოყვარე, შემოქმედი და მწარმოებელი ერია, მაგრამ ისინი ფატალურად ინერტულ ატმოსფეროში ცხოვრობენ. სომხები ნამდვილ არიელ–ქრისტიანებს(?!) წარმოადგენენ, (გამაოგნებლად არათავსებადი სიტყვათა შეთავსებაა — ა. ჩ.) მაგრამ ისინი თათრულ მაჰმადიანურ ზღვაში იღრჩობიან. სულით დასავლეთელი, სომეხი, თურქთა და თათართა ე.ი. აღმოსავლეთის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ხალხებს შორის ცხოვრობს და ალბათ ესაა ყველაზე უფრო ტრაგიკული სომეხი ერისათვის".[2]

„კავკასიის სომხეთში მცხოვრები სომხები ყოველთვის წარმოადგენდნენ რეგიონის მოსახლეობის მთავარ ელემენტს, როგორც თავისი ინტელიგენ–ტური უპირატესობით, ასევე თავისი ეკონომიკური როლითა და რაოდე–ნობით". (შესაშური თავმდაბლობაა — ა. ჩ.)[3]

„ჯერ კიდევ უძველესი ისტორია აღნიშნავდა სომხების ღირსებას, რომლებიც თავისი შემოქმედებითი მიდგომითა და სიმამაცით (გაუგებარია სომეხთა რა სიმამაცეზეა ლაპარაკი — ა. ჩ.) ცდილობდნენ ფართოდ გაეშალათ ვაჭრობა და მრეწველობა მთელს წინა აზიაში, რომლებიც ფინიკიელებთან და ბერძნებთან ერთად ცივილიზაციის პიონერებს წარმოად–გენდნენ აღმოსავლეთში."[4]

„გონებრივი შესაძლებლობების განსაკუთრებული უნარისა და შრომაში გამოვლენილი საგულდაგულოობის გამო, სომეხ ჩინოვნიკთა რიცხვიც დიდია. მათი რაოდენობა და შრომის შედეგები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სომხების გარეშე თურქული სახელმწიფო მექანიზმი უმალ გაჩერდებოდა. (ე.ი. თურქეთი, როგორც ასეთი, დღეს აღარ უნდა არსებობდეს — ა. ჩ.). როგორც თურქეთში, ასევე სპარსეთსა და რუსეთში სომხებმა ყურადღება მიიქციეს თავისი ადმინისტრაციული, დიპლომატიური და სამხედრო ნიჭიერებით. მათ ბევრი გენერალი მისცეს რუსეთის ჯარს. თურქეთსა და უნგრეთს — დიდი მმართველები. (ეს უნგრეთი მაინც საიდან მოიტანეს? — ა. ჩ.) თურქეთს, სპარსეთსა და სხვა ქვეყნებს მრავალი დიპლომატი. სომხებმა განსაკუთრე–ბული ყურადღება ბოლო 50 წლის განმავლობაში მიიქციეს გონებრივი შემოქმედების ყველა სფეროში, ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ხელოვნე–ბაში". (რატომღაც არ გვახსენდება XIX საუკუნის დიდი სომეხი ხელოვანი, ლიტერატორი ან მეცნიერი — ა. ჩ.).[5]

შემდეგ ფერები უფრო მძაფრდება, კონტრასტებიც იკვეთება და სომხური ნაციონალიზმის აპოლეგეტები სხვა მეზობელი ერებისა და ხალხების (რა თქმა უნდა, მათ შორის ქართველებიც იგულისხმებიან) პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადადიან. ამ დიად სომხურ ქარტიაში ვკითხულობთ: „ყველა სხვა ეროვნულ ელემენტს საერთო რიცხოვნობითა და მნიშვნელობით მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია და ისინი ნახევრად ველურ ტომებს განეკუთვნებიან, რომლებსაც არ გააჩნიათ არც საკუთარი ხელოვნება, არც

ლიტერატურა, არც ისტორია და რომლებთაც მთელი თავისი არსებობის ჰანძილზე არაფერი არ მიუციათ ცივილიზაციისათვის". („ყველა სხვა მეორეხარისხოვან ეროვნულ ელემენტში", რა თქმა უნდა, „ნახევრად ველური ქართველი ტომებიც" იგულისხმებიან — ა. ჩ.).[6]

აი, ასეთი იყო სომეხი დაშნაკების „სამართლიანი შეფასებების" არსი ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში მცხოვრები ხალხების მიმართ ერთის მხრივ, და სომეხთა „ღვთიურობისა და განუმეორებლობის" შესახებ, მეორეს მხრივ.

და ბოლოს. ადამიანური მკრეხელობის აპოთეოზი — სომხეთი და სომეხი ხალხი ჯვარცმულ მაცხოვარსაა შედარებული და იგი კაცობრიობის მიერ ჩადენილი ყველა ცოდვისათვის შეწირულ უმანკო ზვარაკად და ამავე დროს ამ ცოდვების განმკითხველადაა წარმოდგენილი. XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთში დაშნაკთა იდეოლოგიის გამმხმოვანებელი და ერთ—ერთი პირველი რუპორი, პირწავარდნილი ნაციონალისტი და დაშნაკისტი, გრიგოლ ჩალხუშიანი ფრანგი მკვლევარისა და პუბლიცისტის, ანრი ბარბის (Henry Barbie) წიგნის „Въ странъ ужаса. Мученица Арменія"—ს (ჯერ სათაური რად ღირს) შესავალში პათეტიკურად წერს:

„და მეცხადება მე კორეჯიოს სურათი — გამხდარი, ფერმკრთალი, ტანჯული ქრისტეს სახება... თავზე დიდი, მძიმე, ეკლიანი გვირგვინით. მისი წვეტიანი ეკლები ღრმადაა ჩასობილი სხეულში და უმწიკვლო სისხლი მსხვილ წვეთებად მოედინება ჭრილობებიდან. დიახ, ეს სომხეთია, „ტანჯული სომხეთი..."[7] ერთობ საყურადღებოა, რომ ეს წიგნი თბილისშია გამოცემული 1919 წელს.

ჯერ—ჯერობით ალბათ საკმარისია. სხვათა შორის, ამ ე.წ. „Армянскій вопросъ"—ის ძირითადი თეზისები დაშნაკთა იდეოლოგიურ ბელადებს გაცილებით უფრო ადრე ჰქონდათ ჩამოყალიბებული და ისინი პერმანენტულად იხვეწებოდა მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში. სომეხთა იდეოლოგიის მთავარ პროპაგანდისტულ რუპორსა და დამრტყმელ ძალას კი საწყის ეტაპზე, სწორედ ბატონი გრ. ჩალხუშიანი წარმოადგენდა, რომლის „ნაშრომებსა" და „პუბლიკაციებში" ძალიან კარგად ჩანს სომხური ნაციონალიზმის, ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის განვითარების ის ევოლუციური გზა, რასაც დინამიკაში განიცდიდა ეს იდეოლოგია.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი წიგნი, სათაურით — „Красная книга", რომელიც იმავე 1919 წელს გამოიცა დონის როსტოვში და იმთავითვე მიუწვდომელი აღმოჩნდა მთლიანად კავკასიელებისა და მათ შორის, ქართული საზოგადოებისათვის. საინტერესოა თვით ამ წიგნის დასახელებაც, რომელიც ოტომანთა იმპერიაში გამოცემული კანონთა კრებულის „Kırmızı Kitap"—ის (წითელი წიგნი) ზუსტი პერიფრაზი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსმალური „წითელი წიგნი" ოტომანთა იმპერიის სამართლებრივ—იურიდიული დოკუმენტებისა და აქტების კრებულს წარმოადგენდა. ალბათ იმ მინიშნებით, რომ სომხური „წითელი წიგნიც" ოსმალური

„წითელი წიგნის" მსგავსად ვითომც მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ დოკუმენტებზე იყო აგებული, ბატონმა ჩალხუშიანმაც თავის „ნაშრომსაც" წითელი წიგნი უწოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩალხუშიანის ეს „ნაშრომი" ქართული საზოგადოებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, და არა იმიტომ, რომ იგი იმთავითვე ბესტსელერად და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, არამედ იმიტომ, რომ სომეხთა მიერ ამ წიგნის არსებობა ქართველებისა და საერთოდ კავკასიელებისათვის თავიდანვე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ისმის კითხვა — რატომ? პასუხი მარტივია. იმიტომ, რომ ეს წიგნი სხვა არაფერი იყო, თუ არა უსირცხვილო დასმენების, დეზინფორმაციებისა და ცილისწა-მებების კორიანტელი ქართველებისა და ამიერკავკასიის სხვა ხალხების, განსაკუთრებით მუსულმანური მოსახლეობის მიმართ, ხოლო ამ კრებულისა და მასში თავმოყრილი „უტყუარი დოკუმენტების" ძირითადი თეზისების წარდგენა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მალულად იყო გათვალის-წინებული, რაც ასე დამახასიათებელი იყო სომეხი დაშნაკებისათვის.

ქართველი ავტორის, ცნობილი სოციალ-დემოკრატის, პეტრე გელეიშვილის (ყარიბი) ნაშრომში, იგივე სათაურით — „წითელი წიგნი", რომელიც სომეხთა „წითელი წიგნის" პასუხს წარმოადგენს, რეზიუმირე-ბულია სომხური „წითელი წიგნის" ძირითადი ხაზი და მისი დედააზრი მოკლედ ასეა გადმოცემული:

„სომხური წითელი წიგნის გამოცემის ძირითადი მიზანი იქამდე დადის, რომ სომეხი ხალხი ევროპული კულტურის მქონე ერთადერთი მატარებელი ხალხია, რომელსაც უბედობის გამო უკულტურო ხალხების, ერთის მხრივ ქართველების, ხოლო მეორეს მხრივ კი თურქებისა და თათრების გარემოცვაში უხდება ცხოვრება. ეს უკულტურო ხალხები ყველგან და ყოველთვის სდევნიან თურმე სომეხ ხალხს და ხელს უშლიან მას შეასრულოს „მთელი მცირე აზიისა და ამიერკავკასიის განმანათლებლების" დიადი ისტორიული მისია".[8]

კიდევ უფრო ადრე, კერძოდ, 1905 წელს, იგივე გრ. ჩალხუშიანის ავტორობით, იმავე დონის როსტოვში გამოცემულ წიგნში, იგივე სათაურით: „Армянскій вопросъ", მაგრამ ამჯერად Въ Россіи, უკვე ნათლად ჩანს ის „პატარა-პატარა" მოთხოვნები და პრეტენზიები, რასაც სომეხი ხალხის სახელით „გაუბედავად" უყენებს ბატონი ჩალხუშიანი მეფის ცარისტულ პოლიტიკას ამიერკავკასიაში.

ჩვენ არც აქ მოვიყვანთ ყველა ციტატას ამ „ნაშრომიდან" და მხოლოდ ყველაზე ნიშანდობლივი მომენტების წარმოდგენით შემოვიფარგლებით. ბატონი ჩალხუშიანის აზრთა მსვლელობა შემდეგში მდგომარეობს. გარუსებისა და ცარისტული ჩაგვრის საპასუხოდ იგი გულამოსკვნით მოთქვამს:

„გარუსების ზოგიერთი ორგანიზატორი სომხური საკითხის გადაწყვეტი-სათვის შემდეგ ფორმულას აყენებდა: კავკასიის გარუსებისათვის და სომხური

სეპარატიზმის სამუდამოდ აღმოსაფხვრელად ერთადერთი გზა არსებობს — სომხების ციმბირში გადასახლება და მათ ადგილზე მართლმადიდებლების ჩამოსახლება," და აქვე, კომენტარის სახით აანალიზებს — „მარტივი და გენიალურია! უაზრობაა ელაპარაკო ყველა ამ კაცთმოძულეს და შეაგნებინო, რომ არ შეიძლება ასეთი დაუნდობელი მოპყრობა მთელი ხალხისადმი, ცოცხალი ადამიანებისადმი. არა! კმარა კაცთმოძულეობა! დროა სხვა გზები ვეძიოთ ზნეობრიობიდან თუ არა, საღი აზრიდან გამომდინარე მაინც"...[9]

ცალსახად ვეთანხმებით ბატონ ჩალხუშიანს დასკვნის იმ პუნქტში, სადაც ადამიანური ბოროტების ერთ–ერთი უმძიმეს ფორმად მთელი ერებისა და ხალხების მათი ისტორიულად კუთვნილი მიწებიდან გადასახლებაა მიჩნეული. დიახ, კუთვნილი მიწებიდან — თავისი კუთვნილი მიწებიდან. მაგრამ ბატონ ჩალხუშიანს და საერთოდ სომხურ საზოგადოებას კუთვნილ მიწებთან დაკავშირებული საკითხების, რასაც ქვემოთ ვაჩვენებთ არაერთხელ, ცოტა სხვანაირი, თავისებური გაგება აქვთ.

მეორეს მხრივ, ეხება რა სომეხთა მიერ რევოლუციური შეიარაღებული ჯგუფების, ფაქტიურად კი სომხური ტერორისტული ბანდების ჩამოყალიბების საკითხს, იგი ამბობს: „როცა მთელი თურქეთის სომხეთი სისხლში ცურავდა, სომხებმა დაიწყეს თავისი ბუნებრივი ზიზღი იარაღისადმი და ხელში აიღეს იგი. რუსეთსა და საზღვარგარეთ დაიწყო შეიარაღებული წრეებისა და კომიტეტების ჩამოყალიბება. ახალგაზრდობა იარაღდებოდა, გადადიოდა საზღვარზე (იგულისხმება რუსეთ–თურქეთის საზღვარი — ა. ჩ.) და პირდაპირ სიკვდილზე მიდიოდა *ქურთთა* (მივაქციოთ ყურადღება — „ქურთთა" — ა. ჩ.) სიმხეცით აღშფოთებული. თუ გნებავთ, ჩათვალეთ ისინი რევოლუციონერებად, მაგრამ ეს მოძრაობა არა რუსეთის, არამედ თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული."[10]

აქ უკვე გამოკვეთილად ჩანს სომეხ ნაციონალისტთა მხრიდან ის ღია დასმენა და სამიზნე რუსებისათვის, რომელიც მათ უკვე შერჩეული ყავთ. ეს სამიზნე თურქეთია და იქ მაცხოვრებელი ქურთი, დიახ ქურთი ხალხი. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ქვევით ჩვენ კიდევ არაერთხელ ვაჩვენებთ, რომ გარკვეულ პერიოდებში ასეთი პოლიტიკური დასმენების სერია ამა თუ იმ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების, ხალხებისა და სახელმწიფოების მიმართ სომეხ ნაციონალისტთა პოლიტიკური არსებობისა და აქტიურობის ბუნებრივი ფორმაა.

ე.წ. „რუსეთის სომხეთში" შექმნილი სომეხთა ე.წ. „რევოლუციური სულისკვეთების" აღმოსაფხვრელად კი ბატონი ჩალხუშიანი ძალიან საინტერესო და ნიშანდობლივ რეცეპტს სთავაზობს ცარიზმის მესვეურთ: „2 მაისს ვესალმებოდით რა კავკასიის მეფისნაცვალს ნახიჭევანის სადგურზე, (აქ საუბარია კავკასიაში ახლადდანიშნულ მეფისნაცვალზე, გენერალ–ადიუტანტ, გრაფ ილარიონ ვორონცოვ–დაშკოვზე — ა. ჩ.) *ორი მეზობელი ქალაქის — ნახიჭევანისა და დონის როსტოვის* სომეხი საზოგადოების სახელით ჩვენ განვუცხადეთ მას:

„ალბათ თქვენ მოგახსენებდნენ, რომ სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, სომხური საკითხის გამწვავებაში სომხური რევოლუციური კომიტეტები არიან დამნაშავენი. და თუ მართლაც არსებობენ ასეთი კომიტეტები, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ კავკასიაში ყველაფერი ვერაა წესრიგში და მას რაღაც ორგანული სენი ხრავს. მხოლოდ დაავადებულ ორგანიზმში იბუდებენ *მიკრობები.* მაგრამ რომელი გამოცდილი ექიმი დაიწყებს მიკრობებთან ბრძოლას? *ექიმი იმ გარემოს სპობს, იმ კითარებას, იმ პირობებს* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.), რომლებიც ხელს უწყობენ ამ მიკრობების არსებობას"(?!)[11] როგორც ვხედავთ, ერთობ საინტერესო და ნიშანდობლივი „ფილოსოფიაა".

ჯერ ერთი, ავტორი რაღაც გაურკვეველი და ჩვენთვის უცნობი კრიტერიუმებით დონის როსტოვსა და ნახიჭევანს მეზობელ ქალაქებად იხსენიებს. გეოგრაფიული კატეგორიებით მსგავსი აპელირება აქამდე ჩვენთვის ნამდვილად არ იყო ცნობილი და ვერანაირი საზომით ვერ ვუსადაგებთ მეზობელი ქალაქების ცნებას ნახიჭევანსა და დონის როსტოვს. რა თქმა უნდა, ბატონ ჩალხუშიანის ეს პასაჟი შემთხვევითობას სულაც არ მიეწერება. ამ საკითხებში ჩალხუშიანსა და სხვა დაშნაკ იდეოლოგებს მხოლოდ მათთვის მისაღები საზომები ჰქონდათ. აქ უკვე დევს კიდევ ერთი პატარა, სომხური, ერთი შეხედვით უწყინარი „შეცდომა", მაგრამ კარგად გააზრებული და შორს გამიზნული „შეცდომა". კარგად ჩანს, რომ უკვე მაშინ, სომეხ ნაციონალისტებს ნამდვილად ჰყოფნიდათ თავხედობა (სხვანაირად ვერ ვუწოდებთ), რომ დონის როსტოვი (XX სუკუნის დასაწყისისათვის დონის როსტოვში საკმაოდ დიდი წილი იყო სომეხი მოსახლეობისა. ცხადია, ისინი ლტოლვილებს წარმოადგენდნენ ოსმალთა იმპერიიდან) და ნახიჭევანი მეზობელ ქალაქებად გამოეცხადებინათ და იდეოლოგიურად დაეფიქსირებინათ კიდეც ის გეოგრაფიული პარალელები და პუნქტები, სადამდეც წარმოედგინათ დაშნაკებს ე.წ. „დიადი არმენიის", იმ მონოეთნიკური ვირტუალური სომხური სახელმწიფოს საზღვრები, რომლის შექმნისათვის ბრძოლაც მათ უკვე დაწყებული ჰქონდათ.

სხვათა შორის, XX საუკუნის დასაწყისისათვის დაშნაკთა მიერ გამოცემულ ამ ჰიპოთეზური სახელმწიფოს ერთ—ერთ რუკაზე, დონის როსტოვიც „დიად არმენიაში" იყო ჩართული. შესაძლებლია, ბატონი გრ. ჩალხუშიანი აქ სომეხი ლტოლვილების დონის ახალშენს — „დონის ნახიჭევანს" გულისხმობს, რომელიც მთლიანად ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხებით იყო დასახლებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ქალაქი მოხსენიებული უნდა იყოს ან „დონის ნახიჭევანის", ან „ახალი ნახიჭევანის", ან უკიდურეს შემთხვევაში, „ნორ—ნახიჭევანის" სახელით. მაგრამ ბატონი ჩალხუშიანი აღნიშნული ქალაქის დასახელებისას ამ აუცილებელ თავსართებსაც „იევწყებს" და ხელოვნური გაბუნდოვანების გზით საკუთარ ფანტაზიებს აძლევს გასაქანს.

მეორე და მთავარი. დაშნაკთა იდეოლოგები როგორც ჩანს გეოგრაფიის გარდა მედიცინასა და ქირურგიაშიც „ვერ ერკვევიან" ჯეროვნად. მაინც როგორ უნდა გავიგოთ „იმ გარემოს, იმ ვითარების, იმ პირობების მოსპობა", სადაც ეს „მიკრობები" (თავად ავტორის აზრთა მსვლელობის მიხედვით, ალბათ სომხური რევოლუციური კომიტეტები და საბრძოლო რაზმები) გამრავლდნენ? ხელი არ ახლოთ „მიკრობებს" და მოსპეთ გარემო? ე.ი. — რუსებო! მოსპეთ ის ხალხები და ერები, რომლებიც მომავალი „დიადი არმენიის" ტერიტორიებზე ცხოვრობენ და ხელს უშლიან სომეხ დაშნაკებს ამ ერების სახელმწიფოთა ტერიტორიების ხარჯზე შეაკოწიწონ თავისი მონოეთნიკური სომხური სახელმწიფო?!

ბატონი ჩალხუშიანი აქ უკვე, მართალია შეფარვით, მეტაფორებით და ჯერ—ჯერობით დახურული ტექსტით გვესაუბრება სომეხთა მეზობლად მცხოვრები ხალხების ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ სულ მალე სომეხ დაშნაკთა მიერ მორიდებით გაჟღერებული ეს იდეოლოგიური ჩანაფიქრები სომეხ „რევოლუციონერთა" და მათი პარტიული „საბრძოლო რაზმების" ძირითად საქმიანობად იქცევა.

ბატონ გრ. ჩალხუშიანის ფილოსოფიით, ერთის მხრივ, უდიდესი ბოროტებაა ხალხების გადასახლება მათი საცხოვრისიდან, თუ ეს საკითხი სომხებს ეხებათ. მაგრამ, მეორეს მხრივ, აუცილებელი და საჭიროა იმ ერებისა და ხალხების გაჟლეტა, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ მომავალი „დიადი არმენიის" მიწებზე.

აი, ასეთი ორმაგი სტანდარტებით აპელირებდნენ სომეხი ნაციონალის—ტები. უკვე XIX საუკუნის ბოლოდან. მაგრამ აქაც ცდება, მწარედ ცდება ავტორი. დასნებოვნებული და დაავადებული ორგანიზმის გამოსაჯანსაღებლად, მით უმეტეს, დაავადების საწყის ეტაპზე, სწორედ მიკრობებსა და ვირუსებს ებრძვიან პირველ რიგში და არა დაუყოვნებლივი რადიკალური ჩარევით იწყებენ მის მკურნალობას. თავად ბატონ გრ. ჩალხუშიანის ინტერპრეტაციით კი „მიკრობებად" სწორედ დაშნაკური რევოლუციური კომიტეტები და შეიარაღებული ბანდები მოიაზრებოდნენ. ამ შეფასებაში კი ნამდვილად ვეთანხმებით დაშნაკთა რუპორს.

ბატონი გრ. ჩალხუშიანი აქვე უყენებს კავკასიის ახლადდანიშნულ მეფისნაცვალს სომეხთა მოთხოვნებს, რომლის ჩვენთვის საინტერესო პუნქტებსაც შემდეგი სახე აქვს:

„§.6. პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობა. იმპერიის ფარგლებში სომეხთათვის საპასპორტო სისტემის გაუქმება.

§.18. თურქეთიდან გადმოსახლებული სომხებისათვის, რომლებმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, მიწის ნადელების გამოყოფა ამიერკავკასიის ფარგლებში.

§.19. მშვიდობიანობის დროს სომეხთათვის სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდა კავკასიის მხარეში".[12]

და აქვე არ იშურებს ავანსად ღრმა რევერანსებს მეფისნაცვლისადმი: „კავკასიაში ახალი მეფისნაცვლის დანიშვნასთან ერთად, როგორსაც ღრმად განათლებული გრაფი ი. ი. ვორონცოვ–დაშკოვი წარმოადგენს, შორეთში უკვე გამოკრთის ის სინათლე, რომელიც ახალი ცხოვრების მომასწავებელია. და ისე გვინდა გვჯეროდეს, რომ ბოლოსდაბოლოს დადგება ის ნათელი დღე, რომელსაც ასე ველოდებით".[13]

სულ მალე გამოჩნდება და ისტორიის შემდგომი მსვლელობითაც დადასტურდება, თუ რა „ნათელი დღის" ნატვრაში იყვნენ სომეხი ულტრანაციონალისტები 1905 წლისათვის.

ამის შემდეგ ისევ იწყება იმ „დიდი" დამსახურებების წარმოჩენა და აფიშირება, რაშიც თურმე სომხებს მიუძღვით უდიდესი როლი ამიერკავკასიის „გაკულტურებასა" და საზოგადოდ, რუსეთის იმპერიის გაძლიერების საქმეში – განსაკუთრებით კი აგრარულ და ფინანსურ საკითხებში. იგივე ჩალხუშიანი, იგივე „ნაშრომში" აგრძელებს:

„იცის კი მკითხველმა მრავალტანჯული სომეხი ხალხის ისტორია სოხუმის ოლქსა და საერთოდ შავიზღვისპირეთში? თურქეთის კომპანიის შემდეგ (აქ 1877–1878 წლების რუსეთ–თურქეთის ომზეა საუბარი – ა. ჩ.) ისინი აქ ტრაპიზონიდან, სამსუნიდან და მათი მეზობელი რაიონებიდან გადმოსახლდნენ. აქ, ადრე, მხოლოდ გაუვალი ჭაობები იყო, ხოლო ცხოვრების პირობები – საშინელი. ციებ–ცხელებისაგან ათასობით ადამიანი იღუპებოდა. მაგრამ აი, მოვიდნენ სომხები და თავად შერვაშიძის თქმით, დაიწყეს თამბაქოს საუკეთესო ჯიშების მოყვანა. მათ გამოაღვიძეს აქამდე მიძინებული მხარე. მიწის ფასებმაც აიწია, რამაც მისი არენდაც გაზარდა. ხაზინის შემოსავლებმაც იმატა".[14]

ცინიზმისა და თვალის ახვევის კიდევ ერთი კლასიკური, სომხური ნიმუშია. ჩალხუშიანის მიერ მზიური აფხაზეთი ამაზონის გაუვალ ჭაობებად და მალარიის ბუდედაა დახატული.

სიმართლე კი ისაა, რომ საქართველოს, კერძოდ აფხაზეთის მიწაზე გადმოსახლებული სომხები ნამდვილ ოაზისსა და სამოთხეში აღმოჩნდნენ არა მარტო მხარის ბუნებრივი და კლიმატური პირობების, არამედ მათთვის მინიჭებული დიდი ეკონომიკური და სოციალური შეღავათების მხრივაც. ციტატა რუსი ავტორის, მ. ახოვის ნაშრომიდან – „Россія и армяне", რომელიც 1897 წელსაა გამოცემული და ზუსტად ამიერკავკასიაში სომეხთა ერთ–ერთი მასობრივი გადმოსახლების პერიოდს შეესაბამება:

„სომეხ გადმოსახლებულებს ჩვენი ამიერკავკასიის ოლქებში რუსეთი შემდეგ შეღავათებს უწევდა: თავისუფალი ვაჭრობა, მიწის ნაკვეთების გამოყოფა, გადასახადებიდან განთავისუფლება ექვსი წლით, ყოველგვარი მიწის ბეგარისაგან კი სამი წლით. ამასთან ერთად, დამკვიდრებულ იქნა სომხებით დასახლებული ოლქების დროებითი მმართველობის სისტემა, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე სომხები დაინიშნენ".[15] და აქვე აგრძელებს: „სახელმწიფოსგან შეღავათიან პირობებში გადაცემული მიწების დასაკუთრე–

ბის შემდეგ სომხებმა თანდათანობით და შეუპოვრად დაიწყეს სხვა მეზობელი საუკეთესო მიწების შემოერთება ისე, რომ არ ერიდებოდნენ არც თაღლითობას და არც სხვა გარიგებებს. წინა საუკუნეში შემოსულები, ყველასაგან დავიწყებული სომხები, რომლებიც თავიანთ ნაციონალობასაც კი მალავდნენ მეზობელი ხალხებისაგან მათდამი ზიზღის გამო, რომლებთათვისაც თვით სიტყვა „სომეხიც" კი ლანძღვის შემცველი იყო, მალე გადაიქცნენ თათრებსა და ქართველებზე გაბატონებულ ერად. *ამიერკავკასია ნელ–ნელა „სომხდებოდა..."*[16] (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ)

ასზე მეტი წლის წინ რუსი ავტორის მიერ გამოთქმულ ამ შეფასებას სომხების შესახებ, ადეკვატურად ეხმიანება უკვე თანამედროვე ამერიკელი დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის, ჯეიმს ბარტონის შემდეგი ციტატა: „სომხები განსაკუთრებული ხალხია. ისინი არაჩვეულებრივ ნიჭს ფლობენ, რომ სადაც კი არ უნდა მოხვდნენ, ყველას შეაძულონ თავი...".

აი, ასეთ „აუტანელ და მძიმე" პირობებში უხდებოდათ თურმე სომხებს ქართული მიწების „ათვისება და გაკულტურება". იგივე ავტორი ასეთ რეზიუმეს უკეთებს გადმოსახლებული სომხების საერთო მდგომარეობას რუსეთის იმპერიასა და კერძოდ ამიერკავკასიაში: „სომხური კოლონიების მდგომარეობა ბრწყინვალეა, მათი ნადელები კი – უზარმაზარი. მაგალითად, შელკოვნიკოვის დროს ერთ–ერთ სომხურ კოლონიაში თითოეულ სომხურ ოჯახზე მიზომილი იყო 297 დესიატინა მიწა და როცა მათ კიდევ შეუერთდათ ცხრა ოჯახი, მათ თვითნებურად მიიერთეს დამატებით 30000 დესიატინა სახელმწიფოს კუთვნილი მიწები. როგორ არ უნდა გაფურჩქნულიყვნენ და გამდიდრებულიყვნენ ასეთ პირობებში სომხები! ადმინისტრაციის მხრიდან მათდამი მფარველობამ ისინი ისეთ სიამაყემდე და კადნიერებამდე მიიყვანა ბოლოს, რომ მიწათმოქმედების მინისტრის ბოლო ვიზიტის დროს, სომხებმა მას მოთხოვნა წაუყენეს იმ ადგილებიდან რუსების გასახლებისა და მათ მაგივრად ანატოლიელი სომხების გამოგზავნის შესახებ".[17]

რუსეთის წინაშე სომხების სხვა „დამსახურებების" აღწერისათვის იგივე დონის როსტოვში, დაშნაკთა იდეოლოგიური პროპაგანდის რუსეთის ამ სომხურ ცენტრში დასტამბული მეორე წიგნიდან მოვიშველიებთ ციტატას, რომლის ავტორიც ამჯერად მღვდელი (ტერტერა) სტეფანე პაპაიანია და მის ნაშრომს ასევე ეწოდება – „Заслуги армянъ передъ Россіей". ამ „ნაშრომში" უკვე სომეხთა სამხედრო დამსახურებებზეცაა საუბარი რუსეთის იმპერიის წინაშე. მასში ვკითხულობთ:

„უამრავი ფაქტია სომხების მიერ რუსთა მხედრობის დახმარებებზე ამიერკავკასიის ისტორიაში, ისე ბევრი, რომ მათი თითებზე ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ისინი (სომხები – ა. ჩ.) ადგენდნენ „ოპოლჩენიებს" და უდიდესი საშიშროების მიუხედავად, რუსის ჯართან მიჰქონდათ სურსათი და სხვა აღჭურვილობა. მტრის მხრიდან უეცარი ჩასაფრებების შემთხვევაში კი, ადგილობრივი ენების ცოდნის გამო, მოხერხებულად უქცევდნენ გვერდს მტრის ჩასაფრებებს და შველოდნენ რუსთა გარნიზონებს."[18]

მკითხველი ალბათ ამ წინადადების გაგრძელებასა და ფერების შემდგომ გამძაფრებას ელოდება სომეხთა საბრძოლო დამსახურებების გრძელი ჩამონათვლით, მაგრამ მას იმედი უნდა გავუცრუოთ, ყველაფერი ამით სრულდება — სულ ეს არის, არც მეტი და არც ნაკლები.

აი, თურმე რაოდენ შეუფასებელი სამხედრო ღვაწლი მიუძღვით სომხებს რუსეთის კავკასიის არმიის წინაშე. ამის შემდეგ, ბატონი პაპაიანის მიერ ჩამოთვლილია ის სომეხი სამხედრო მოღვაწეები და რატომღაც სასულიერო პირნიც, რომლებთაც თურმე „უდიდესი წვლილი" მიუძღვით რუსეთის იმპერიის გაძლიერებაში. გარდა ამისა, მოყვანილია თითოეული მათგანის მცირე ბიოგრაფიული მონაცემებიც. აი, რუსთა მოამაგე ეს დიდი სომეხი მოღვაწეებიც. სასულიერო პირნი:

კათოლიკოს–პატრიარქი — მათევოსI, კათოლიკოსი — მკრტიჩI, პატრიარქი — ნერსესV. გენერალიტეტი: გრაფი, მიხეილ ლორის–მელიქოვი, არზას არტემის ძე ტერ–გუკასოვი, ივანე დავითის ძე ლაზარევი, ბებუთ მარტიროსის ძე შელკოვნიკოვი, იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზოვი(?!) (კიდევ ერთი სომხად მიწერილი ქართველი). აქაც სულ ეს არის. თურმე მხოლოდ ამ გენერალიტეტის დამსახურებაა თურმე ის, რომ ცარიზმმა გზა გაიკვლია ამიერკავკასიაში და ოსმალეთსა და სპარსეთს გარკვეული ტერიტორიები ჩამოაჭრა. პაპაიანი ისეთი ჰონორით იხსენიებს სომეხ გენერალიტეტს და მათ სამხედრო დამსახურებებს, თითქოს ისინი არა ძირითადად სომხებით დასახლებული მიწებისათვის იბრძოდნენ რუსეთის არმიის შემადგენლობაში, რაშიც პირველ რიგში სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი და მათი მთავარი დანიშნულებაც ეს უნდა ყოფილიყო, არამედ, თითქოს ერმაკის ციმბირულ ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა.

სიმართლე უნდა ითქვას, გონების დაძაბვისდა მიუხედავად, ვერაფრით ვერ მივხვდით თუ რაში გამოიხატებოდა ზემოხსენებული სომეხი სასულიერო პირების დიდი დამსახურებები რუსეთის იმპერიის წინაშე. რაც ყველაზე საინტერესოა, ამის შესახებ, თვით ბატონი პაპაიანიც რატომღაც ჯიუტად დუმს. სამაგიეროდ „სომეხთა უანგარო დახმარებებთან" დაკავშირებით რუსი ავტორები არ ინარჩუნებენ დუმილს. აი, ერთ–ერთი მათგანის მოსაზრებაც, რომელიც ქალაქ კიევში დაბეჭდილ წიგნშია გადმოცემული და 1906 წლითაა დათარიღებული. ამ წიგნში მოყვანილი მასალა სწორედ ბატონ პაპაიანის ზემოხსენებულ „ნაშრომში" წამოყენებული მოსაზრებების კონტრარგუმენტს წარმოადგენს და კარგად ხსნის სომეხთა მიერ რუსეთის არმიისათვის გაწეული „დიდი დამსახურებების" რეალურ არსს:

„ლაპარაკები იმის შესახებ, რომ 1877–1878 წლებში რუსეთის ან თურქეთის სომხობა „დიდ, უანგარო დახმარებებს უწევდა რუსეთს", სიმართლე გითხრათ მე არასოდეს არ მსმენია. მაგრამ კარგად ვიცი ის, რომ ამ ომში მრავალმა რუსეთის სომეხმა იშოვნა დიდი ფული საინტენდანტო და საარტილერიო უწყისების გამოყენებით. ჰკითხეთ ვერმიშევს, თუნდაც ა. ფ. ფრიდონოვს, ი. ს. შახნაზაროვს, გ. დ. ქართველოვს, პიტოევს, პ. სიტოვცევს

და სხვებს".[19] და იქვე ამატებს: „ხოლო ჩვენ თურქული ტანჯვისაგან დავიხსენით და გულში ჩავიკარით ბევრი უმადური პაიკელი. (Гайканцев — ა. ჩ.) ასე, მაგალითად, 1828 წელს ადერბეიჯანიდან ერივანის გუბერნიაში გადმოსახლებულ იქნა 8000 სომხური ოჯახი (აქ ირანის აზერბაიჯანსა და თურქმენჩაის ზავზეა საუბარი — ა. ჩ.). ადრიანოპოლისის ზავის შემდეგ კი — 90000".[20]

ახალს ნამდვილად ვერაფერს ვერ დავამატებთ. სომეხთა „უანგარობა" და „მხედრული სიმამაცე" ხომ საყოველთაოდ ცნობილია. სომეხთა ეროვნული ხასიათის ამ შტრიხებს ასე აღწერს XIX საუკუნის მეორე რუსი ავტორი, მ. ახოვი: „თუ რას წარმოადგენენ სომხები და როგორი დამოკიდებულება იყო კავკასიაში სომხებისადმი 30–იან წლებში, კარგად ჩანს პუშკინის პოემიდან, სადაც შვილის შემჩვენებელი მამა, ასე წყევლის შვილს — „შენ მონა და მხდალი, და ნამდვილი სომეხი ხარ!".[21]

სომეხთა „განსაკუთრებული ნიჭიერება", „კაცობრიობის წინაშე უდიდესი დამსახურებები" და სომეხთა „დიდი მეფეების" მოღვაწეობა კი ამავე ავტორის მიერ ასეა შეფასებული: „სომხები თავისი ერის უძველესი წარმომავლობით ამაყობენ. „ოთხი ათასი წელია ცხოვრობენ სომხეთის შვილები, — თქვა თავის მიმართვაში დღევანდელმა კათოლიკოსმა მკრტიჩმა, — „ოთხი ათასი წელია არსებობს სომხეთი და იგი ახლაც ცოცხალია, მაშინ როცა მისი მეზობელი დიდი ხალხები, მიდიელები და ასურელები დიდი ხანია გადაშენდნენ და მათი კვალი მხოლოდ ისტორიაში დარჩა".

რა თქმა უნდა, არავინ არ დაიწყებს ამ საკითხზე კამათს, თუმცა სომეხთა ეს სიძველე არსებითად იგავ–არაკებზეა დაფუძნებული. მაგრამ შეიძლება ასეთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე ხალხის სიამაყის საგანი მხოლოდ მისი სიძველე იყოს, მაშინ, როცა ამ ხნის განმავლობაში მათ არ მოეპოვებათ ადამიანური კულტურის მეტ–ნაკლებად მნიშვნელოვანი ისტორიული კვალი? მათი მეზობლები, ასურელები და მიდიელები მართალია გადაშენდნენ, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მაინც ჩადეს თავისი წვლილი...

სომხებმა კი რა შექმნეს? და ამ კითხვაზე პასუხს ვერ მოვიძიებთ. ამ ერის არსებობის 4000 წლის მანძილზე ვერ მოძებნით ამ ეროვნების ერთ კაცსაც კი, განსხვავებით სხვა ხალხებისაგან, ვისაც შეიძლება მიესადაგოს სიტყვა „დიდი", — არც მუსიკოსი, არც მოაზროვნე, არც მხატვარი, არც პოეტი, არც მწერალი! სამაგიეროდ, ოჰ, როგორ ამაყობენ თავისი ისტორიკოსი მოსე ხორენაცით!..

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მათი სიამაყის საგნის, ძველი სომხეთის სიდიადესა და მნიშვნელობაზე საუბრისას მხოლოდ ტიგრან დიდის მეფობის ხანაზე მითითება შეუძლიათ. მის მთელ სიდიადეს კი მხოლოდ ის შეადგენდა, რომ თავდაპირველად მან შეძლო რამდენიმე სუსტი მეზობელი სამეფოს დაპყრობა, (მანამდე და მას შემდეგაც თვითონ სომხეთი რამდენჯერ ჩავარდნილა გაცილებით უარეს მდგომარეობაში!) შემდეგ კი თავადაც

დაკარგა თავისი სამფლობელოებისა და ნაძარცვი ქონების ნაწილი და ჰქონდა ბედნიერება განადგურებულ ყოფილიყო რომაელებისაგან.
ცივილიზებულ სამყაროსთან მხოლოდ ამ შეხების წყალობით შევიდა იგი რომაულ წერილობით წყაროებში და ამით შემოუნახა მან თავისი სახელი მომავალ თაობებს. არა რომაელთაგან, არამედ სხვათა მიერ, მაგალითად, პართიელებთან ან სკვითებთან დამარცხების შემთხვევაში, სამუდამო დავიწყებას მიეცემოდა მისი მეფობაც და მის შესახებაც მხოლოდ სომეხ ისტორიკოსთა არაფრისმთქმელი და მნიშვნელობის არმქონე ცნობები დარჩებოდა".[22] ველიჩკოს მიხედვით კი ,,სომხეთის ისტორია დახუნძლულია ,,ჭეშმარიტი'' და ,,უეჭველი'' ფაქტებით. მისი ფურცლები სავსეა ,,დიდებად'' წოდებული მოღვაწეების სახელებით, რომელთა არსებობის ფაქტი, სომხურის გარდა, ოფიციალური საისტორიო მეცნიერებისათვის უცნობია. ისტორიისათვის ცნობილი პიროვნებების მოღვაწეობა კი, როგორც წესი, აღმატებულ ფორმებში არის გადმოცემული".

აი, ასეთია XIX საუკუნის რუსული წყაროებით სომეხთა ცივილურობისა და კულტურის შესახებ არსებული ზოგადი ხედვა. სომეხთა ანტიკურ სამყაროსთან შეხება და მათი ,,ციცილური მაღალკულტურულობა'' კი რომაულ წერილობით წყაროებში ასეა დახასიათებული: ,,სომხებიც ხალხნი არიან, მაგრამ თავიანთ სახლებში ოთხზე დადიან''.[23] ეს შეფასება კი რომაელ ისტორიკოსსა და მოაზროვნეს, პეტრონიუსს ეკუთვნის.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, XX საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ნათლად იყო გამოკვეთილი ის კონტურები, თუ სად, როგორ და რა საშუალებებით აპირებდნენ სომეხი ნაციონალისტები თავისი ახალი სახელმწიფოს, რაღაც მონოეთნიკური სომხური თემის მსგავსი — ,,დიადი არმენიის'' შექმნას. სომხური სახელმწიფოს შექმნის ამ გზაზე სომეხთა ულტრანაციონალისტური იდეოლოგიის ძირითადი სტრატეგიული ხაზიც იკვეთება — ამიერკავკასიისა და ანატოლიის მიწების ბუნებრივი და იძულებითი ,,გასომხება'', იქ მაცხოვრებელი ხალხების ლიკვიდაცია და მათი კუთვნილი ტერიტორიების ჩამოჭრა, ამ მიწების შეერთება და... მაგრამ ამ ავადმყოფური იდეის ფრთაშესხმისათვის კიდევ დიდი შრომა და გრძელი გზა იყო გასავლელი...

სომეხთა ეროვნული განსაკუთრებულობის შეგრძნება დაედო სწორედ საფუძვლად XIX საუკუნის ბოლოდან მათ ექსპანსიონისტურ განწყობებს და უაღრესად აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებას მეზობლად მცხოვრები ხალხებისა და ქვეყნების მიმართ.

§2. სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესი საქართველოში

თვალცრემლიანი ჰაოსი ქართლოსს მოადგა კარზედა,
გასაწყლებულსა სახითა, კონკები ეცვა ტანზედა
— ჰე, ძმაო ქართლოს, სადა ხარ, გამოიხედე კარშია?!
ნუთუ დაჩაგრულ მოძმესა ბინას არ მისცემ სახლშია?
ვაჟა ფშაველა. 1899 წ.

სომხური ეთნოსის, როგორც ასეთის, ისტორიული წარმომავლობისა და რასობრივი კუთვნილების შესახებ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ერთიანი, ჩამოყალიბებული და მწყობრი მოსაზრება არ არსებობს. ერთნი მათ მკვიდრ კავკასიურ ეთნოსად თვლიან და სამხრეთ ამიერკავკასიის აბორიგენ ხალხად მოიაზრებენ. მეორენი მათ ამიერკავკასიაში სამხრეთიდან მოსულ სემიტურ ტომებს — არამეელებს მიაკუთვნებენ, რომლებმაც ადგილობრივი მკვიდრი ხალხების ასიმილაცია მოახდინეს. მესამენი მათ კიმერიელების შთამომავლებად მიიჩნევენ, რომლებმაც საბოლოო ჯამში მაღალგანვითარებული დიაოხისა და ურარტუს ცივილიზაციები მოაოხრეს და შთანთქეს. სხვები სომხებს ჩრდილო—დასავლეთიდან გადმოხვეწილ ინდო—ევროპული რასის ფრიგიულ ტომებს მიაკუთვნებენ, რომლებიც „ხალხთა დიდი გადასახლების" დროს მოხვდნენ სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და ადგილობრივ ტომებთან ბუნებრივი თუ იძულებითი ასიმილაციის გზით სომეხი ერის კონგლომერატი წარმოქმნეს, ზოგიერთნი სომხებს ბოშების ტომობრივ ჯგუფთან აიგივებენ და ა.შ. და ა.შ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სომხური ეთნოსის გენეტიკური და ისტორიული გენეზისი ერთობ ბუნდოვანია და მსოფლიო სამეცნიერო წრეებში სომეხი ერის წარმომავლობის, მათი ავტოტექტონურობის შესახებ ერთიანი, დასრულებული და მეცნიერულად დასაბუთებული მწყობრი თეორია არ არსებობს.

ამჯერად, ჩვენ საქართველოში სომხური ეთნოსის დემოგრაფიული ექსპანსიისა და განთესვის მოკლე მიმოხილვას გავაკეთებთ მხოლოდ. აღნიშნული საკითხი არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორის არაერთ ნაშრომშია განხილული. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია გურამ მაისურაძის ფუნდამენტური ნაშრომი: „საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV–XVIII სს)", სადაც ღრმა მეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ამ საუკუნოვანი, რთული და არაერთგვაროვანი პროცესების პრაქტიკულად ყველა ასპექტი. მდიდარ ფაქტოლოგიურ და წყაროთმცოდნეობის ბაზაზეა განხილული იგივე საკითხები ანზორ თოთაძის ნაშრომში — „სომეხი ვაი–მეცნიერების ანტიქართული ისტერია". სომეხთა საქართველოს

ტერიტორიებზე შემოსვლისა და განთესვის მეტად საინტერესო მასალებს გამოშეურებული აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის ნაშრომშიც — „ახალი ქვათა ღელები, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები", აგრეთვე შ. და ო თეთვაძეების ნაშრომში „სომხები საქართველოში" და სხვა.

ალნიშნული თემებია შესწავლილი და გაანალიზებული სხვა ქართველ და უცხოელ ავტორებთანაც. მათი აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მიუხედავად ამისა, ჩვენ კიდევ ერთხელ შევეხებით ამ საყოველთაოდ ცნობილი პროცესის ზოგიერთ საინტერესო მომენტს, ხოლო სომეხთა დემოგრაფიული ექსპანსიის საკითხს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, უფრო მეტად გავშლით, რადგან ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიებზე სომეხთა შემოსვლის პერმანენტული და პერიოდული პროცესები რაოდენობრივად და თვისობრივად ახალ საფეხურზე ადის და იგი მკაცრად განსაზღვრულ ელფერს იძენს. ამ საკითხების განხილვისას, სრული ობიექტურობისათვის, ჩვენ აქცენტს ძირითადში არაქართულ (მათ შორის სომხურ) წყაროებზე გავაკეთებთ.

საზოგადოდ, სომხებით დასახლებულ საქართველოს ტერიტორიებს ძირითადში ზემო ქართლის დღევანდელი ახალციხე—ახალქალაქის რეგიონი, აგრეთვე საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოგიერთი უბანი და ამჟამად სომხეთის შემადგენლობაში ჩართული ლორე—ტაშირი, უფრო ზუსტად კი ისტორიული ქვემო ქართლის ლორე—ბამბაკის რეგიონი შეადგენს. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესების სფეროს, შესასწავლი თემიდან გამომდინარე, სწორედ ლორე—ბამბაკისა და ახალციხე—ახალქალაქის რეგიონები წარმოადგენს. სწორედ ის რეგიონები, რომელთა ტერიტორიულ—პოლიტიკური მოწყობისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი იქცა განხეთქილების ვაშლად 1918—1920 წლებში სომხურ—ქართულ სახელმწიფოებრივ და სამხედრო—პოლიტიკურ ურთიერთობებში და ეს პრობლემა დღესაც არაა საბოლოოდ მოგვარებული.

დღეს, მეცნიერული თვალსაზრისით უკვე საყოველთაოდ დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის თეორია, რომ სწორედ პროტოქართველები იყვნენ პირველი ევროპელები და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ზემოთ ხსენებული ტერიტორიების აბორიგენ მოსახლეობას. ისიც შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიაში ორგანიზებული სოციალური საზოგადოებების განვითარებული კულტურებისა და პირველი სახელმწიფოებრიობის ჩანასახების არსებობაც ამიერკავკასიის სწორედ ამ ტერიტორიებს უკავშირდება. ესეც მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია. ამიერკავკასიის ამ რეგიონის დიდ გეოსტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, როცა წერდა:

„საქართველო ერთ საუცხოოდ გარემოზიდულს ქვეყანას წარმოადგენს... თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველი ერისათვის ბუმბერაზი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით. დასავლეთით კი მის ტერიტორიებს შავი ზღვის, აღმოსავლეთით

მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული... ამ პირობების წყალობითაც შეძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივი ისტორიული არსებობის დროს მრავალი მტრის მოგერიება და თავის ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც კარგად ესმოდათ და ამიტომ არაერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავის სახელმწიფოს ამ ბუნებრივი საზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ".[24]

მოყვანილ ამონარიდში ქართველი ერის საცხოვრისის გეოგრაფიული აღწერისა და მისი სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ ტერიტორიის ლანდშაფტურ თავისებურებებზეა აქცენტი გაკეთებული, რაც სულაც არაა შემთხვევითი მოვლენა. საზოგადოდ, „ყოველი ცივილიზებული ერი მისთვის დამახასიათებელი საწარმოო–სამეურნეო და კულტურული საქმიანობისათვის შესაფერის ბუნებრივ–სამეურნეო გარემოში იქმნის სარბიელს, რის გამოც, უმეტესწილად, ეთნიკური და ბუნებრივ–გეოგრაფიული საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთი საზღვრის პოლიტიკური შეცვლა მხოლოდ ძალას ეყრდნობა და დროებითი ხასიათი აქვს. მტკვრისა და არაქსის ხეობები ცალ–ცალკე ერთმანეთისაგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ გეოგრაფიულ გარემოსა და სამეურნეო კომპლექსებს ქმნიან, რითაც სრულიად ბუნებრივად იხაზება ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული სამოქმედო ასპარეზი".[25]

დიახ, სწორედ მტკვრისა და ჭოროხის აუზები ერთის მხრივ, და არაქსის აუზი მეორეს მხრივ, წარმოადგენდნენ ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიულ საცხოვრისს.

კითხვას, თუ რა დროიდან შეინიშნება სომხური მოსახლეობის არსებობა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე, დღეს ცალსახა პასუხი არ მოეპოვება. „ლეონტი მროველის მტკიცებით, სომხური მოსახლეობა საქართველოში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ამიერკავკასიაში ლაშქრობამდე, ე.ი. ძვ. წ. აღ. IV–III საუკუნეებამდე ყოფილა დაფუძნებული. თავის ცნობილ მეფეთა ისტორიაში იგი წერს: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული".[26] ხოლო ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ქვემო ქართლის ეთნო–კულტურული და რელიგიურ–სულიერი მემკვიდრეობის შესახებ ცნობებს 1918 წლის 9 ნოემბრის გაზეთი „საქართველო" ვახტანგ გორგასალის სახელს უკავშირებს, სადაც ვკითხულობთ:

„ეს კუთხე ოდითგანვე დასახლებული იყო მარტო ქართველის ტომით და 400–ზე მეტი სოფელი ითვლებოდა. ადგილ–მდებარეობაც ქართველ თავად–აზნაურებისა იყო. ამას ჰმოწმობს ისიც, რომ მე–5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასლანმა აქ რამდენიმე დიდი ეკლესია–მონასტერი ააგო და მასთან სამი საეპისკოპოსო კათედრა:

ახტალის ვრცელი ტაძარი, გააკეთა ვახტანგ გორგასლანმა და დასვა აქ ეპისკოპოსი და ამის ხელთ იქმნა 120 სოფელი.

სიონი ბოლნისისა, ესეც საეპისკოპოსო ტაძარი, რომელთა ეპისკოპოს ბოლნელს ებარა 100–ზე მეტი სოფელი და მისი სამღვდელოება.

მანგლისის ვრცელი ტაძარი, საეპისკოპოსო, რომელსაც ეწოდებოდა მანგლელი, რომელსც ებარა 15–ზე მეტი ქართველი სოფლების სამღვდელოება.

ახპატის ეკლესია, ვრცელი, გუმბათიანი, აღაშენა ვახტანგ გორგასლანმა. დღეს იგი სომეხთ უპყრიათ.

სანაინის ტაძარი, აღშენებული ვახტანგ გორგასლანის შვილისაგან, დღეს უპყრიათ სომხებს."[27]

სტატიაში ნახსენები სანაინისა და ახპატის ეკლესიების სომეხთა მიერ „პყრობა", არა ამ ეკლესიების სომხური სახელმწიფოს ტერიტორიებზე მდებარეობას აღნიშნავს 1918 წლისათვის, არამედ ამ ქართული, მართლმადიდებლური ეკლესიების მონოფიზიტურ ტაძრებად გადაკეთებასა და საქართველოს ტერიტორიებზე მცხოვრები სომეხი მრევლის მიერ მათ დასაკუთრებას აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ. საინტერესოა, რომ ამ ეკლესიათა ნაწილზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული წარწერები. ნაწილი ქართული წარწერებისა კი ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მიერ ჩამოფხეკილია, წარწერიანი ქვები კი მოპარული. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, არაერთია და ისინი საყოველთაოდაა ცნობილი. პრაქტიკულად სრულადაა წარმოდგენილი ამ იდეოლოგიური და რელიგიურ–კულტურული თაღლითობის ფაქტოლოგიური მასალა ანზორ თოთაძის ნაშრომში „სომეხი ვაი–მეცნიერების ანტიქართული ისტერია", ხოლო გურამ მარხულიას ზემოთ მოყვანილ ნაშრომში XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსის, ვ. ლ. ველიჩკოს ციტატაა დამოწმებული, სადაც ზუსტადაა შეფასებული სომეხთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კულტურული ექსპანსიის ძირითადი შტრიხები:

„სომხები ხელიდან არ უშვებენ საშუალებას, რომ პარაზიტული გზით წარმოაჩინონ თავისი ისტორიული „დამსახურებები" და დღევანდელი „ღირსებები", თან ისე, რომ ჩირქი მოსცხონ მეზობლად მცხოვრებ ხალხებს, რომლებსაც უფრო ნათელი, უეჭველი და ღირსეული ისტორია ჰქონდათ. ისტორიულ–არქეოლოგიური თვალსაზრისით, ისინი ქართველებს ყოვლად უნამუსო წესით ძარცვავენ: ისტორიული ძეგლებიდან ფხეკენ ქართულ წარწერებს, ითვისებენ მართლმადიდებლურ სამრეკლოებსა და დაცარიელებულ ეკლესიებს, თხზავენ ისტორიულ ფალსიფიკაციებს და უეჭველ სომხურ სამფლობელოებად იმ ოლქებზე უთითებენ, სადაც თითოეული ქვა ღაღადებს ყოფილ ქართულ სამეფოზე... ისინი მაგალითად, ცდილობენ ისტორიული უფლებები მიითვისონ ახალციხის მაზრაზე. თითოეულმა კავკასიელმა იცის, რომ ამ კუთხით... მნიშვნელოვან წილად, სომხები, როგორც თურქეთიდან ლტოლვილები, XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდნენ იქ".[28]

მართლაც ყოვლისმომცველი შეფასებაა. ძნელია ერთმნიშვნელოვნად არ დაეთანხმოს კაცი ციტატაში წარმოდგენილ მოსაზრებას. და იქვე ციტატა ვ. ველიჩკოს ცნობილი წიგნიდან – Who are Armenians?:

„სომხების პირველი დაქირავებული მოღვაწე რუსულ ლიტერატურაში, სენკოვსკი იყო, რომელიც სომეხთა საყოველთაო განდიდების სტილში წერდა ბარონ ბრამბეუსის ფსევდონიმით. შემდეგ სომეხთა აღზევებას აგრძელებდნენ სომეხი „ისტორიკოსები" – ემინი („მოსე ხორენაცის ისტორია"), ხუდობაშევი („სომხეთის რევიუ"), მოგვიანებით – ერიცოვი („კავკასიის ძველი დრო", 1872, №1) – მიუხედავად წარსულის ისეთი უეჭველი მოწმეებისა, როგორიც წარსულის ისტორიული ძეგლებია, ისინი ერთი მიმართულებით მუშაობდნენ. ისინი, მაგალითისათვის, ცდილობენ მოჰპარონ ქართველებს მათი ისტორიული უფლებები საათაბაგოზე, ე.ი. ათაბაგ ჯაყელის საკუთრებაზე (დღევანდელი ახალციხის რაიონი). ამასთან ერთად, ყოველმა კავკასიელმა იცის, რომ დიდი თამარის გვირგვინის დაფუძნების უეჭველ კვალს ამ რეგიონში მივყავართ და აქაური მუსულმანური მოსახლეობა გათურქებულ ქართველებს წარმოადგენენ, რომლებიც ქართულად მეტყველებენ. სომხები კი აქ თურქეთიდან მოვიდნენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში და ისინი ამ რეგიონის აბორიგენ მოსახლეობას არ წარმოადგენენ".

სომხური მოსახლეობის პირველი დიდი განთესვა მათი ისტორიული საცხოვრისიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე, ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის დროიდან იწყება, როცა დაუნდობელ დამპყრობლებს გამოქცეულ სომხობას, საქართველომ გაუღო ფართოდ კარი და ისინი ქართველებისათვის ჩვეული გულარხეინა სტუმართმოყვარეობით შეიფარა თავის კალთებს ქვეშ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხური მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი არაბთა ბატონობამდეც ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიებზე. ამ პერიოდიდან, ე.ი. არაბთა ბატონობის დროიდან დაწყებული, სომხებს საკუთარი, დამოუკიდებელი და ერთიანი სახელმწიფოებრიობა ამიერკავკასიაში ფაქტიურად აღარც ღირსებიათ, თუ არ ჩავთვლით ბაგრატუნების სამეფოს არსებობის ხანმოკლე პერიოდს, აგრეთვე სომეხი კვირიკიანების (ბაგრატუნების უმცროსი შტო) უდღეური „ტაშირ–ძორაგეთის" ფსევდოსამეფოს არსებობას სწორედ ქვემო ქართლის მიწებზე.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „სომეხთა ერისთავთერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელმაც სომეხთა სამეფო აღადგინა, თავისი სამეფოს სამფლობელოების გაფართოებისათვის ჩრდილოეთისაკენ ისწრაფვოდა და ქართლის დაპყრობას ცდილობდა... სომეხმა მეფეებმა მოახერხეს და ქვემო ქართლის რაღაც ნაწილი დაიპყრეს, მათ შორის ტაშირი, ანუ „ქართველთა ველი".[29] და შემდეგ აგრძელებს: „სამშვილდეში 1065 წელს იჯდა „სომეხთა მეფე" კვირიკე, რომლის ძმასაც სუმბატი ერქვა. ბაგრატ IV–მ დაატყვევა კვირიკე მეფე ქვეშის მიდამოებში. სომეხთა ერისთავმა დაუთმო მას ყველა ციხე–სიმაგრე, მაგრამ „გულმოწყალება გამოიჩინა მეფე ბაგრატმა"

(ასეთმა „გულმოწყალებებმა" მიიყვანა ქართველები ბოლოსდაბოლოს დღეს არსებულ მდგომარეობამდე – ა. ჩ.) და ჩამოართვა მას მხოლოდ სამშვილდე. ამის სანაცვლოდ საქართველოს მეფეს დაემორჩილნენ ყოველნი სომეხნი... დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, კერძოდ, *დაწყებული 1118 წლიდან, მთელი ეს მხარე, საქართველოს ქვემო ნაწილი და თვითონ „სომხითი" საქართველოს უდავო კუთვნილებას წარმოადგენდა და მას სომხები უკვე აღარასოდეს აღარ ფლობდნენ".* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[30]

დიახ, 1118 წლიდან დაწყებული, სომხები ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიებს უკვე აღარასოდეს აღარ ფლობდნენ. შემდგომი რვაასი წლის განმავლობაში, ე.ი. 1918 წლამდე, სომხები უწყვეტად იმყოფებოდნენ თურქ–სელჯუკების, მონღოლების, შუააზიური ტომების, შემდეგ ოსმალების, სპარსელებისა და რუსების ბატონობის ქვეშ და მათ მიერ შექმნილი იმპერიების შემადგენლობაში. უკეთეს შემთხვევაში, სრულ ვასალურ დაქვემდებარებაში. მთელი ამ რვაასწლიანი პერიოდის განმავლობაში ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ სომხებს ეროვნული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კეთილდღეობის ერთი საუკუნე. მაშინ, როცა ისინი მეფე დავითის დიდი ძალისხმევით XI საუკუნეში თურქ–სელჯუკთა ბატონობის უღლისაგან განთავისუფლდნენ, ხოლო თამარის ეპოქაში მათ სრულ კულტურულ და სულიერ აღმავლობას მიაღწიეს.

ლორე–ბამბაკის მხარის უდავოდ ქართულ კუთვნილებასა და მის უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობაზე დიდი ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1919 წელს წერდა: „ის, რომ ძველ დროშიც ქართველებს კარგად ესმოდათ ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის უდიდესი როლი და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს დაცვის საქმეში ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ ამ მხარის უცხო დამპყრობელთაგან გათავისუფლება დაისახეს ამოცანად, და მხოლოდ იმის შემდეგ რაც თბილისის სამხრეთით მდებარე მიწები დაიბრუნეს, დაიწყეს საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. თბილისის აღების შემდეგაც საქართველოს ეს ნაწილი მით უმეტეს არ კარგავდა თავის დიდ მნიშვნელობას. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ლორეს ციხე–სიმაგრე საქართველოს ჯარების მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის „დაჯდომის ადგილს", ანუ, რეზიდენციას წარმოად–გენდა".[31]

ერთ–ერთი სომეხი ავტორი სომეხთაგან „ვანქის" სახელით წოდებულ ეკლესიაზე, ინტერნეტ–საითში წერს: „ამ ფერდობზე მდებარეობს მშვენიერი, მოწითალო ფერის თლილი ქვებით ნაგები ჰნე–ვანქის ეკლესია, რომელიც ქართველთა მეფის დიდი მხედართმთავრების – ეროვნებით სომხების, ზაქარია და ივანე ზაქარიანების საკუთრება იყო. ისინი მონოფიზიტები იყვნენ და მათი შვილები ამ მიწებზე არსებული სომხური სამეფოს მმართველებს წარმოადგენდნენ. მათი საგვარეულო საძვალეც აქ მდებარობს. ამ ეკლესიაზე არსებული ქართული წარწერებიც სწორედ ამას ადასტურებენ".

ამ ციტატაში თამარის ეპოქის დიდ ქართველ მხედართმთავრებზე, ზაქარია და ივანე მხარგრძელებზეა საუბარი. სომეხთა იდეოლოგიური ვარიაციებით ისინი გვარით ზაქარიანებად, ხოლო ალმსარებლობის მიხედვით, გრეგორიანელ მონოფიზიტებად და ცხადია, სომხებად არიან მონათლულნი. აქ კიდევ ერთი სომხური, მაგრამ უკვე ძალიან გაცვეთილი ეშმაკობაა ნახმარი. მხარგრძელების მონოფიზიტობაზე აპელირება სხვა არაფერია, თუ არა მათი სომხებად წარმოჩენისა და შესაბამისად ლორეს სომხურ კუთვნილებად წარმოჩენის უსუსური მცდელობა. კარგადაა ცნობილი, რომ რელიგიური სეპარაცია და ალმსარებლობის ეროვნულობასთან იდენტიფიცირება მხოლოდ ზოგიერთ ხალხშია გავრცელებული. მსოფლიოს არცერთი სხვა ხალხი არ აღიარებს გრეგორიანულ მონოფიზიტობას სომხების გარდა. XIX საუკუნის შუა წლებამდე (სხვათა შორის, დღესაც) ბუნებაში პრაქტიკულად არ არსებობდა არასომეხი ეროვნების ადამიანი, რომელიც კონფესიურად მონოფიზიტი გრეგორიანელი ყოფილიყოს. ცნება, „გრეგორიანელი მონოფიზიტი – სომეხი", განუყოფელია. ქართლ–კახეთის სამეფოსა და ერევნის სახანოს რუსეთის იმპერიაში მოქცევის შემდეგ, სწორედ ამიტომ ცდილობდნენ სომხები მოსაზღვრე ტერიტორიების ქართული მოსახლეობის გრეგორიანულ მონოფიზიტობაზე მოქცევას და შემდგომ მათ სომხებად გამოცხადებას, რასაც ცარიზმიც დიდი ენთუზიაზმით უჭერდა მხარს Divide et impera–ს პრინციპით.

ამ ისტორიულ ფენომენს სომეხი ავტორები, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ უტყუარი წყაროები ერთმნიშვნელოვნად მეტყველებენ ამაზე. „ცარიზმის ადგილობრივმა მოხელეებმა ახალციხის მოსახლეობას აუკრძალეს ქართულ ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა–ლოცვის შესრულება და სომხური ენა გააბატონეს" – იტყობინებოდა გაზეთი „ივერია" 1891 წელს".[32] ხოლო იაკობ ხუციანოვმა (ხუციშვილი), პეტრე ხარისჭარაშვილმა (კონსტანტინეპოლში ქართული მონასტრისა და სასულიერო სასწავლებლის დამაარსებელი), მიხეილ თამარაშვილმა, ალიოზ ბათმანაშვილმა, ანდრია წინამძღვრიშვილმა და სხვებმა აშკარად განაცხადეს:

„ჩვენი ფიზიონომია, ყოფაქცევა, წმინდა ქართული სახელები დედაკაცებისა, სასაფლაოების ქართულად წარწერანი ცხადად ამტკიცებენ ჩვენს ვინაობას, ძალად ვერ გავუსომხებივართ დღემდის და ახლა რისთვის სომხობა უნდა ვიკისროთ... სომხური ტიპიკონი (წირვა–ლოცვა), ჩვენ ქართველ კათოლიკებს ვერ გაგვასომხებს ისე, როგორც რუსები, ფრანგები, პოლონელები და სხვა ეროვნების ხალხები ბერძნებად, ან რომაელებად არ გახდებიან... ჩვენი ერი, როგორც გრძელტოტებიანი, დიდი ხნის ხეზე გასული ვაზი, ხშირად გაუტაცნია, შეურყევია და აუკლია ქარიშხალს, მაგრამ ნიადაგიდან ამოგლეჯა მისი კი ვერ შეძლებია".[33]

ადრეც, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სწორედ ამ გზით ხდებოდა ქართველი მოსახლეობის გადასომხება და ფსევდოსომხური ეთნიკური უმრავლესობის სურათის შექმნა სომხეთთან მოსაზღვრე

ისტორიულ ქართულ მიწებზე და არა მხოლოდ აქ. მდიდარ ფაქტოლოგიურ და ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით სრულად და არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი აღნიშნული პროცესები ანზორ თოთაძისა და იაკობ ახუაშვილის ზემოთ მოყვანილ ნაშრომებში. ობიექტურად, სხვა ერებში კი ეროვნებისა და კონფესიის ცნებებს ერთმანეთთან არავითარი ურთიერთდა–მოკიდებულება არა აქვთ, მით უმეტეს ქართველებთან მიმართებაში. ქართველები ოდესღაც იყვნენ წარმართები, ახლა კი არიან მართლმადიდებელი ქრისტიანებიც, კათოლიკებიც და მაჰმადიანებიც, მცირე რაოდენობით სხვა კონფესიების მიმდევრებიც.

ასე, რომ ზემოთ მოყვანილი სომხური არგუმენტი მხარგრძელების არაქართველობის შესახებ, უკვე მოძველებული და ძალიან გაცვეთილია. სომეხ ავტორთა მტკიცებულებების არგუმენტირებისათვის ისინი ნამდვილად აღარ გამოდგება. სომეხთაგან ჰნე–ვანქად წოდებული ეკლესია კი სხვა არაფერია, თუ არა აღპატის ცნობილი ქართული მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი – „ძელი (ჯვარი) ჭეშმარიტი", რომელიც ზემოთ იყო ჩვენს მიერ მოხსენიებული.

სომეხთაგან კიდევ ერთ „ვანქად" წოდებული ეკლესიის შესახებ კი აღვნიშნავთ, რომ „სწორედ ამ ფერდობზე ვნახეთ საკმაოდ კარგად დაცული თლილი მოწითალო ქვით ნაშენი მოზრდილი უგუმბათო ეკლესია და ნასოფლარი. ამ ეკლესიის წარწერა ბარტოლომეის მიერ გადმოღებული, ბროსემ გამოსცა (Mélanges Asiatiques. t. II). ეკლესია ვანქის სახელით არის მოხსენიებული, ნამდვილად კი „თევდორე–წმინდანი" ანუ „თედორ–წმინდანი" რქმევია. ეს სახელი ვერ ამოუკითხავს ბროსეს და კიდევ ბევრი სხვა შეცდომები აქვს გარჩევაში".[34]

თამარის მეფობის შემდგომაც, უწყვეტად, ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი, ანუ, ლორე–ბამბაკ–ტაშირი ქართული სახელმწიფოსა და ქართველთა კუთვნილება იყო მუდამ. „ორბელები აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულოს წარმოადგენდნენ XII–XIII საუკუნეებში. თავდაპირველად ისინი ორბეთის ციხეს ფლობდნენ (დღევანდელი თეთრიწყაროს რ–ნი) და სწორედ აქედან წარმოდგება მათი გვარიც. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ორბელები დემეტრე I–ისა და დავით დემეტრეს ძის მეფობისას, როცა მათმა გვარმა მემკვიდრეობით მიიღო ამირსპასალარის სახელი, ხოლო საგამგებლო ქვეყნად – ლორე. ორბელების სახლის მეთაური – ივანე ორბელი ერთდროულად დაეუფლა ამირსპასალა–რისა და მანდატურთუხუცესის სახელს და გიორგი III–ის დროს ანისის გამგებელიც კი იყო, ხოლო მისი ძმა – ლიპარიტ ორბელი, ჯერ ამირახორი და შემდეგ ქართლის ერისთავი გახდა, მაგრამ ორბელები ამასაც არ დასჯერდნენ და გიორგი III–ის ნაცვლად ივანე ორბელის სიძის, დემნა უფლისწულის გამეფებით სურდათ სამეფო კარზე და სამეფოში თავიანთი უპირველესი მდგომარეობის საბოლოოდ განმტკიცება. ორბელთა შეთქმულება დამარცხდა და შესაბამისად ისინი სასტიკად დაისაჯნენ. მათი საგვარეულო

მამულები კი მეფის ერთგულ დიდებულებს გადაეცათ. ფიზიკურ სასჯელს მხოლოდ აზერბაიჯანის ათაბაგთან დახმარებისათვის გაგზავნილი ლიპარიტ სუმბათის ძე და მისი ძენი გადაურჩნენ. მათგან მხოლოდ ივანე დააბრუნეს თამარის დროს საქართველოში ფიცით, მაგრამ მამისეული ქონებიდან მხოლოდ ორბეთი დაუბრუნეს. თამარის დროსვე დააბრუნეს საქართველოში ლიპარიტის შვილიშვილი ლიპარიტ ელიგუმის ძე ორბელი, რომელსაც საგანმგებლოდ სივნიეთი (დღევანდელი სომხეთის სამხრეთის პროვინცია „სუინიკი" — ა. ჩ.) უბოძეს. ორბელების ამ შტომ, რომელიც მოგვიანებით გასომხდა, მისცა სწორედ დასაბამი სომეხ ორბელებს".[35]

სამწუხაროდ, ჩვენ მართლაც რომ ენციკლოპედიურ ჭეშმარიტებების შესახებ გვიხდება მეტად უსაგნო და თავისთავად ცხადი ფაქტების კონსტატაცია. მაგრამ, როგორც ჩანს ეს საქმე მაინც აუცილებელია. ანბანური ჭეშმარიტებების პერიოდული გამეორება დროებით მაინც შეანელებს იმ აღვირახსნილი უმეცრებისა და უზნეობის ნიაღვარს, რაც ასე მძლავრად მოსჩქეფს სომეხი ავტორებისა და ვაი—მეცნიერებისაგან. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქვევით რამდენჯერმე კიდევ დაგვჭირდება ენციკლოპედიური ჭეშმარიტებების გამეორება, ხაზს ვუსვავთ — გამეორება, და არა მტკიცება.

საკუთრივ მხარგრძელებთან მიმართებაში კი დიდი ისტორიული სიმართლე ასეთია:

„მხარგრძელები (მხარგრძელიშვილები) დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო XII—XIII საუკუნეების საქართველოში. მათი აღზევება დაიწყო გიორგი III—ის კარზე დემნა უფლისწულის ამბოხების (1177 წ.) შემდეგ. განსაკუთრებით გაძლიერდნენ მეფე თამარისა და მისი მემკვიდრეების, ლაშა გიორგისა და რუსუდანის დროს. სამეფო კარზე არსებული 6 ვეზირის თანამდებობიდან — ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, ათაბაგისა და მსახურთუხუცესისა — ხელში მხარგრძელებსა და მის საგვარეულო წარმო— მადგენლებს ეპყრათ. მხარგრძელები მსხვილი მემამულეები იყვნენ. მათ მამულებს შეადგენდა ქვემო ქართლისა და სამხრეთ—აღმოსავლეთ საქართვე— ლოს ნაწილი (ანისი, გაგი, თმოგვი, შამქორი), აგრეთვე შემოერთებული სომხეთის თემების მნიშვნელოვანი ნაწილი (ანისი, დვინი, გელაქუნი, ნორბერდი, თავუზი, ერგევანქი და სხვა) აქედან, მხარგრძელების უფროს შტოს (ზაქარიას სახლს) ეკუთვნოდა: ქართლში — ლორე—ტაშირი, სომხეთში შირაქი, არარტი, სივნიეთი. უმცროს შტოს (ივანეს სახლს) — ქვემო ქართლის ნაწილი, სომხეთში — დვინის მხარე. გაგელი მხარგრძელები ფლობდნენ: ქვემო ქართლში გაგის მხარეს, შამქორს (განძამდე) და მის მიმდებარე ტერიტორიებს.

მხარგრძელთა საგვარეულო მონასტრები იყო აღპატის ჯვრის მონასტერი (ძელი ჭეშმარიტი — ა. ჩ.), სანაინი, ქობერი, ჰნევანქი (აქ სწორედ თევდორე—წმინდანზეა საუბარი — ა. ჩ.), კოში და სხვა. არ დასტურება სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე ამ მიწებზე ქართველების მფარველობის ქვეშ

ჩამოყალიბდა ვასალური სომხური ავტონომიური სახელმწიფო, რომლის მთავრები იყვნენ ზაქარიდები (ლ. ბაბაიანი, ჰ. არუთინიანი, ჰ. სამველიანი) არ დასტურება ისიც, რომ „მხარგრძელები" იყო მხოლოდ თამარის ამირსპასალარის — სარგისის ზედწოდება და არა გვარი, და, რომ ამ საგვარეულოს ეწოდებოდა არა მხარგრძელები, არამედ — „ზაქარიდები" (ა. შაქნაზარიანი, ს. ერმიანი და სხვა). XII საუკუნის ბოლოდან მხარგრძელები გვარით, ენით, კულტურით, სარწმუნოებით ქართველები არიან. მათი წინაპრები კი ქართველები და საერთოდ კავკასიელებიც არ იყვნენ. ერთნი მიიჩნევენ, რომ მათი წინაპრები ეროვნებით ქურთები იყვნენ (მ. ბროსე, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ჰ. მანანდიანი, ი. ორბელი და სხვა).

XIII საუკუნის ქართული წყაროები კი (თამარის ისტორიკოსები) მათ მიიჩნევდნენ ძველი ირანის ლეგენდარული მეფის, არტაქსერქსე I მხარგრძელის (აქიმენიდი) შთამომავლებად. როგორც ჩანს, მხარგრძელთა წინაპრები XI საუკუნის 50—60—იან წლებში გადმოსახლებულან ქვემო ქართლში, რომლის მიზეზიც იოანე ბაგრატიონის ცნობით, მათი გაქრისტიანება ყოფილა და ამ ნიადაგზე სარწმუნოებრივი დევნა. ქართულ და სომხურ წყაროებში მოხსენიებულ მხარგრძელთა შტოს პირველი წარმომადგენელი იყო ხოსრო, მისი შვილები კი იყვნენ ავაგ—სარგისი და ქარიმი. სწორედ ავაგ—სარგისის შვილი იყო ზაქარია I, თამარის ამირსპასალარის — სარგისის მამა. XII საუკუნის ბოლოს მხარგრძელებს ორი საგვარეულო განშტოება გამოეყო: გაგელები და თმოგველები. კონფესიურად მხარგრძელები, თავდაპირველად მონოფიზიტობის აღმსარებლები იყვნენ, ხოლო შემდეგ დიოფიზიტობა მიიღეს. (გაგელები და თმოგველები თავიდანვე დიოფიზიტები იყვნენ)".[36]

შემდგომშიც, ხსენებულ მიწებს ისევ ქართველები ფლობდნენ — „ბარათაშვილები ფეოდალური საგვარეულო XV—XIX საუკუნეებში საქართველოში. ფუძის შემქმნელია ბარათა ქაჩიბაძე—ქაჩიბაიძე... ორბელიანები (იგივე ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები, ჯამბაკურ—ორბელიანები) ფეოდალური გვარი საქართველოში, ბარათაშვილების ერთ—ერთი შტო. ორბელიანების სამფლობელო იყო ქციისა (ხრამი — ა. ჩ.) და დმანისის ხეობათა დიდი ნაწილი, აგრეთვე ტაშირი".[37]

შეუფასებელია ის დოკუმენტური მასალები, რასაც ბატონ ალექსანდრე აბდალაძესა აქვს წარმოდგენილი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც სომხურ წყაროებზეა დაფუძნებული:

„1437 წ. სომხური ხელნაწერის ანდერძ—მინაწერში ნათქვამია: „ჩვენ ძმობის წევრები (ბერები — ალ. ა.) გავიქეცით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში... წარჩინებულებთან და ხალხთან ერთად. ამ მიზეზების გამო დავმკვიდრდით სანაინის ამ წმინდა მონასტერში." როგორც ვხედავთ, სომხეთიდან ლტოლვილი სომეხი ბერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლორე—ტაშირში მდებარე სანაინი საქართველოს ორგანული ნაწილია. ასევე, 1438 წელს სომხურ ანდერძ—მინაწერში ხუცესი ასტვაწატური გვამცნობს:

„დავაწერინე ეს წიგნი უცხო ქვეყანაში, საქართველოში, ოვანეს მღვდელს, ახპატის მონასტერში... არქიეპისკოპოს უფალ ზაქარიას წინამძღოლობისას, საქართველოში ალექსანდრე დიდის მეფობისას, ამ მხარეში, ლორეს ოლქში.... ბეშქენის გამგებლობის ჟამს''. აშკარაა, რომ სომეხ ხუცესს ლორე–ტაშირი და მასში მდებარე ახპატი საქართველოს ორგანულ ნაწილად, სომხეთისათვის უცხო მხარედ მიაჩნია. ცხადია, მით უფრო მტკიცე იყო ამგვარი რწმენა, თვალსაზრისი ქართველთა შორის. ომან ხერხეულიძის ცნობით ერეკლე II–მ „ფრიადისა ღონისძიებათა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვერცხლისა''. ამგვარი მადნები გამოვლენილ იქნა ახტალაში. ნაგულისხმევია ლორე–ტაშირში მდებარე ახტალა. არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ ქართველ მემატიანეებს ერეკლე II–ის მამულად არაქართული მხარე დაესახელებინოთ. ამდენად, საქართველოში ლორე–ტაშირს ძირეულ ქართულ მიწა–წყლად აღიქვამდნენ.''[38]

სომეხთა მასიური გადმოსახლების მეორე დიდი ტალღა საქართველოში, შაჰ–აბასის ამიერკავკასიაში შემოსევისა და ბატონობის პერიოდს უკავშირდება, როცა იგი სომხეთის ტერიტორიაზე ერევნის სახანოს აარსებს.

„ერევნის სახანო 1604 წელს დააარსა შაჰ–აბას I–მა აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე, რომლის ცენტრი იყო არარატის ველი ქ. ერევნითურთ. სახანოში მთელი ადმინისტრაციული და სამხედრო ხელისუფლება შაჰის მიერ დანიშნულ სარდალს ეკუთვნოდა. იგი ითვლებოდა ხელმწიფოს ნაცვლად და მას ბეგლარბეგი ეწოდებოდა. სახანო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად – მაჰალებად იყოფოდა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის მათი რაოდენობა 15–ს აღწევდა, რომელთა მმართველებს ნაიბები ან, სხვანაირად ბეგები ეწოდებოდა. ნაიბებს ხშირად გამაჰმადიანებული სომხებისა და ქართველების წრიდან ნიშნავდნენ. ქართველები თვით ერევნის ხანებიც ყოფილან. მაგალითად, გარკვეულ დროს ერევნის ხანი იყო კონსტანტინე კახთა მეფე (იგივე მაჰმად ყული ხანი). ნადირ–შაჰის მოკვლის შემდეგ (1747 წ.) ირანი ანარქიამ მოიცვა და ცალკეულმა სახანოებმაც, მათ შორის ერევნის სახანომაც ნახევრად დამოუკიდებლობა მოიპოვა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაძლიერებულმა ქართლ–კახეთმა ერევნის სახანო თავის ვასალად აქცია''.[39]

ამ პერიოდში საგრძნობლად მატულობს საქართველოში სომხური მოსახლეობის რაოდენობაც და მათი როლიც ქვეყნის სავაჭრო–ეკონომიკურ სფეროში. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერისა და მკვლევარის, სტეფან ჯონსის (Stephen. F. Jones) მიხედვით: „XVII საუკუნის მისიონერი დონ ქრისტეფორე დე კასტელი აღნიშნავს, რომ „საქართველოს მეფეებს თავის ადმინისტრაციაში მრავალი სომეხი ჰყავდა'', ხოლო კირილე თუმანოვი, რეგიონის ერთ–ერთი ცნობილი სწავლული წერდა, რომ „...სომხები ისეთივე როლს თამაშობდნენ საქართველოში, როგორსაც ბერძენი და ებრაელი ვაჭრები ოტომანთა იმპერიაში, რომლებიც თავის კომერციულ და დიპლომატიურ

კავშირებს იყენებდნენ სომხურ დიასპორებში და საქართველოში ვაჭრობის სფეროს უმეტეს ნაწილს აკონტროლებდნენ".[40]

„XVIII საუკუნის დასაწყისში ერევნის სახანოში ეროვნულ–გამათავისუფლებელმა მოძრაობამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლაში სომხებს მხარს უჭერდა ქართლის მეფე ვახტანგ VI და განჯის მოსახლეობაც. რუსეთ–ირანის ომების დროს (1804–13, 1826–28 წ.წ.) ერევნის სახანოში ფართოდ გაიშალა სახალხო მოძრაობა რუსეთთან შეერთების მოთხოვნით, რასაც თავის მხრივ ბიძგს აძლევდა უკვე რუსეთის ფარგლებში მოქცეული საქართველოც. 1828 წლის თურქმენჩაის ზავით, ერევნის სახანო რუსეთს შეუერთდა".[41]

ეხება რა, საქართველოს სამხრეთის საზღვრების საკითხს, ივანე ჯავახიშვილი იმავე ნაშრომში აღიშნავს: „ერეკლეს მეფობის დროსაც, თუნდაც 1783 წელს, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, სამხრეთი საზღვარი და მთელი ქვემო ქართლი, ე.ი. სომხითი–ლორე–ბამბაკი–ბორჩალუ საქართველოს უცილო კუთვნილებას წარმოადგენდა და საზღვარიც უფრო სამხრეთით გადიოდა და გამყოფ ხაზს ერივანის (ბამბაკის) მთები წარმოადგენდა".[42]

ისტორიული ლორეს უცილოდ ქართულ კუთვნილებაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართლ–კახეთის სამეფოს მთელი შემოსავლების მეოთხედს სწორედ აქ აღმოჩენილი სპილენძისა და ვერცხლის მადნების დამუშავებით შემოსული თანხები შეადგენდა ერეკლე II–ის მეფობისას.

სომხურ–ქართულ უშუალო თანაარსებობას ცარისტული რუსეთის იმპერიამ დაუსვა წერტილი XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ქართლ–კახეთის სამეფო საკუთარი იმპერიის საზღვრებში მოაქცია და ქართული სახელმწიფოებრიობაც გააუქმა. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიები, კერძოდ, საქართველოს ქვემო ქართლის ნაწილი, ანუ, ლორე–ბამბაკი, რუსული ადმინისტრაციული დაყოფით, თავისთავად ცხადია საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, ტფილისის გუბერნიის ტერიტორიულ–ადმინისტრაციული სტატუსით. თბილისისავე გუბერნიაში აღმოჩნდა ჩართული დღევანდელი ახალციხე–ახალქალაქის რეგიონიც. ამ დროისათვის აქ მცხოვრები სომხები უკვე სრულად იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს რუსეთის იმპერიაში იძულებითი გაერთიანების შემდეგ, ოდინდელი ქართული ტერიტორია – ლორე–ბამბაკი, თავისი ისტორიული, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, ეთნიკური (დიახ, ეთნიკურიც) და კულტურული სამართალმემკვიდრეობის პრინციპებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ტფილისის და არა ერივანის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა.

XIX საუკუნიდან დაწყებული საქართველოს ტერიტორიების სომხური მშვიდობიანი ექსპანსიის პოლიტიკა ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს ახალი სომხური დიასპორების შექმნაზე უდიდესი გავლენა იქონია XIX

საუკუნის რუსეთ–თურქეთის ომებმა, რომელთა შედეგად სომეხ ლტოლვილთა ახალ–ახალი ტალღები პერმანენტულად სახლდებოდნენ ქართულ მიწებზე.

დიდი ამერიკელი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის, ეროვნებით სომეხი რიჩარდ ოვანესიანის (Richard G. Hovannisian) ცნობით: „1830 წლისათვის 100000–ზე მეტი სომეხი დასახლდა ახალქალაქისა და ახალციხის რეგიონებში – ისტორიულ ქართულ მიწებზე".[43]

XIX საუკუნის განმავლობაში სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე განსახლების დინამიკაზე კი შემდეგ სტატისტიკურ მასალებს გვაწვდის ბატონი შოთა ვადაჭკორია: „1804 წელს ერევნის სახანოდან თბილისში სომეხ ჩამოსახლებულთა რიცხვი 2000 კაცს უდრიდა. 1807–1808 წლებში თბილისის გუბერნიასა და ავლაბარში 338 სომხური ოჯახი (1906 სული) ჩამოასახლეს, ხოლო 1809–1811 წლებში მთავარმართებელ ტორმასოვის დროს, ყარაბაღიდან 428 ოჯახი (2140 სული) ბოლნისში ჩამოასახლეს. 1829 წელს ყარსის, არზრუმის და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან 14000 ათასი ოჯახი. რუსეთის შემწეობით, საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებებიდან გამომდინარე, მათი მატების დინამიური პროცესი შემდეგ სურათს იძლევა: 1865 წელს საქართველოში ცხოვრობდა 122,6 ათასი სომეხი, 1880 წელს – 172,9 ათასი სომეხი, 1897 წელს – 197,0 ათასამდე. 1897–1902 წლებში საქართველოში 55 ათასი სომეხი ჩამოასახლეს. აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე, თბილისში სომხების რაოდენობა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე გაიზარდა, რომელთაგან 68 ათასი ახლად მოსული იყო..."[44]

რუსული წყაროებით კი XIX საუკუნის ბოლოსათვის ახალციხეში სომეხთა გადმოსახლების შემდეგი სურათია დახატული: „სამი – არზრუმის, ყარსის და ბაიაზეთის საფაშოებიდან არზრუმის არქიეპისკოპოსმა კარაპეტმა რუსეთში თან გამოიყოლა მხარის თითქმის მთელი ქრისტიანული მოსახლეობა – 70000 კაცამდე. არქიეპისკოპოსი კარაპეტი არზრუმიდან ახალციხემდე გადმოსახლებულებთან ერთად ფეხით გამოემართა".[45]

XIX საუკუნის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა სომხური მოსახლეობის წილი რუსეთის იმპერიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთულ გუბერნიებში. იგივე ავტორთან სომეხთა მასობრივი მიგრაციისა და სოციალური კეთილდღეობის სურათი ასეა დახატული:

„ჩვენი სამხრეთ ვოლგისპირეთის გუბერნიები, შავიზღვისპირეთი, დონის ოლქი, ბესარაბია სომხებითაა გადაჭედილი. ასტრახანი და დონის როსტოვი – თითქმის სომხური ქალაქებია. (შემთხვევითი არაა, რომ საზღვარგარეთ გამოცემული „დიადი არმენიის" ერთ–ერთ რუკაზე ეს უკანასკნელი როსტოვამდე ვრცელდება). კავკასიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშინ, როცა რუსები იქ არ დაიშვებოდნენ, სომხები, რომლებიც დიდი შეღავათებითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ასევე ჩვენი უნიათობის შედეგად, იმდენად გაძლიერდნენ ეკონომიურად, რომ დღევანდელი ვითარების ბატონ–პატრონებს წარმოადგენენ – განსაკუთრებით ტფილისის, ერივანის,

ელისავეტპოლის გუბერნიებში. *ტფილისი ფაქტიურად სომხებს ეკუთვნით*". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[46]

XIX–XX საუკუნეებში სომეხთა მიერ საქართველოს ტერიტორიების მშვიდობიანი ექსპანსიისა და ათვისების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იგივე სტეფან ჯონსი:

„სომეხთა მასობრივი მიგრაცია საქართველოში XIX საუკუნიდან დაიწყო რუსეთ–თურქეთის 1828–1829, 1877–1878, აგრეთვე 1890–იანი წლებიდან, როცა სომეხ ლტოლვილებს ნება დაერთოთ დასახლებულიყვნენ მესხეთ–ჯავახეთში, თრიალეთში, თბილისში და საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში სოხუმისა და ბათუმის გარშემო, საიდანაც დიდი ნაწილი ადგილობრივი მუსულმანი მოსახლეობისა გადასახლდა ოტომანთა მიწებზე 1828–1829 წლების ომის დროს... 1897–დან 1902 წლამდე პერიოდში სულთან აბდულ ჰამიდისა და ქურთთა რეპერესიების გამო სომეხ ემიგრანტთა რიცხვი დაახლოებით 55000–ს შეადგენდა, ხოლო თბილისის სომეხთა მოსახლეობა 1897–დან 1910–მდე 46700–დან 125000–მდე გაიზარდა. სომეხთა ბოლო შემოსვლა 1915 წლის ჟლეტის შემდეგ მოხდა, როცა დაახლოებით 250000 სომეხმა შეაფარა თავი რუსეთს, რომელთა დიდი უმრავლესობა სამხრეთ საქართველოში დასახლდა".[47]

კონკრეტულად ქვემო ქართლის ლორე–ტაშირის რაიონში კი სომეხთა დასახლებებზე შემდეგ ცნობებს გვაწვდის დიდი ივანე ჯავახიშვილი: „ქვემო ქართლში, ანუ, სომხითსა და ლორეში მელიქ აბოვის გარდა, არავინ არ დასახლებულა. (მას მეფე ერეკლემ მისცა აქ დასახლების უფლება – ა. ჩ.) საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ეს მხარე სრულიად უდაბური იყო და მხოლოდ 1827–29 წლებში, როცა თურქეთიდან გამოიქცა 100000, ხოლო სპარსეთიდან 30000 სული, მათი ნაწილი დასახლდა ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი კი ერივანის გუბერნიაში. მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ქვემო ქართლში სომხების მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობა".[48]

მეფე ერეკლე II–ისა და გიორგი XII–ის მეფობის პერიოდში ქართლ–კახეთის სამეფოში სომეხთა შემოსვლის შენიღბული თვალთმაქცური პოლიტიკა ზუსტადაა შეფასებული ბატონ იაკობ ახუაშვილის მიერ:

„სომხებმა ერთდროულად ორ სკამზე იწყეს ჯდომა, ორმაგი კავშირის შეკვრის ეშმაკური გზა აირჩიეს. ერთის მხრივ, მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან თვალთმაქცობდნენ, საქართველოში შემოიხიზნებოდნენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი და აქ შედარებით მყუდრო თავშესაფარს ჰპოვებდნენ, იმავე დროს, მეორეს მხრივ, კი იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე და საქართველოში რუსეთის მთავრობის დახმარებით თავიანთ საქმეს იკეთებდნენ".[49]

სტეფან ჯონსი კი, იტალიელი მოგზაურისა და მისიონერის, ლუიჯი ვილარის ცნობებზე დაყრდნობით იმ სოციალური კეთილდღეობის სურათს

გვიხატავს, რასაც სომხები განიცდიდნენ საქართველოში და კერძოდ თბილისში, XX საუკუნის დასაწყისისათვის:

„სომეხთა დომინანტური მდგომარეობა ვაჭრობაში, დაწყებული მსხვილი ვაჭრებიდან და დამთავრებული წვრილი მესაკუთრეებით აშკარად თვალში საცემია. ლუიჯი ვილარი, რომელმაც მოინახულა თბილისი 1905 წელს წერდა: „სომხები ქალაქის კომერციული აქტივობის ყველა დონეს აკონტროლებენ. ერთხელ მთავარ ქუჩაზე (თბილისის – ა. ჩ.) სეირნობისას მე აღმოვაჩინე, რომ ყველა დიდი მაღაზია თუ მნიშვნელოვანი ფირმა სომხების საკუთრებაა. ქართველები კი თავის მხრივ კარგავენ თავიანთ სიმდიდრეს... *უნდა ითქვას რომ თბილისი ნელ–ნელა სომხური ნაციონალიზმის უმთავრესი ცენტრი ხდება*". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[50]

მ. ახოვის მიხედვით კი: „სომეხთა დიდი რაოდენობა (ამიერკავკასიაში – ა. ჩ.) და მათი როლი, რასაც ისინი თამაშობენ მხარის ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, კავკასიის მაცხოვრებლებისათვისაც კარგად შესამჩნევია. *ეს კიდევ უფრო ზრდის სომხობის მნიშვნელობასა და პრესტიჟს, რომლებიც აქაურობის ბატონ–პატრონებად გრძნობენ თავს და როგორც „რჩეული ხალხი" დარწმუნებულნი არიან კიდეც იმაში, რომ ეს ასეც უნდა იყოს*". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[51]

საერთო ჯამში კი, მეტი დამაჯერებლობისათვის, ლორე–ტაშირისა და სამცხე–ჯავახეთის ოდინდელი ქართული კუთვნილების შესახებ, მოვიყვანთ კიდევ ერთ მტკიცებულებას, რომელიც თვით მოვსეს ხორენაცს, სომეხთათვის ესოდენ სათაყვანებელ პიროვნებას ეკუთვნის. ქვემოთ მოყვანილი ციტატა სანკტ– პეტერბურგში, 1877 წელს გამოცემული წიგნიდან „სომხეთის გეოგრაფია" არის ამოღებული, გვ. 38–40. და აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ნაშრომშია „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ" მოყვანილი:

„რა შეიძლება ამოვკრიფოთ სომხური ცნობებიდან ამ საკითხის გარშემო? ავიღოთ ყველაზე სუბიექტურად შეფასებული წყარო, ცნობილი „სომხური გეოგრაფია", რომელსაც ტრადიცია მოვსეს ხორენაცს მიაწერს და ჩვენი ერის (იგულისხმება ჩვ. წთ. აღ. – ა. ჩ.) V საუკუნის თხზულებად მიიჩნევს... აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ „გეოგრაფია" მოგვითხრობს: „იერია, ესე იგი საქართველო, ეგერიდან აღმოსავლეთით, კავკასიაში სარმატიასთან მოსაზღვრეობით, გაშლილია მდინარე მტკვრის გაყოლებით ალვანეთის საზღვრებამდე. საქართველოს ტერიტორიები შემდეგია: *კლარჯნი, არდაჰანი, შავშეთი, კავახნი, სამცხე,* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) აჭარა... *მანგლისის ხეობა, ქვეშის ხეობა,* (ახლანდელი ბაშკიჩეთის, ანუ დმანისის რაიონის ძველი სახელწოდება – ს. ჯ.), *ბოლნისის ხეობა, თრელი* (ესე იგი თრიალეთი – ს. ჯ.), *კანგარნი, ტაშირი* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) და სხვა".[52]

წარმოდგენილი, ამჯერად უკვე სომხური წყაროს მიხედვით, კიდევ ერთხელ ცალასახად მტკიცდება ლორე–ტაშირისა და სამცხე–ჯავახეთის რეგიონების უდავოდ ისტორიული ქართული კუთვნილების საკითხი.

XX საუკუნის 10–იანი წლებისათვის კი შემდეგი სურათი გვაქვს. მოვიყვანთ მსოფლიოში ალბათ ყველაზე უფრო ავტორიტეტული და პრესტიჟული გამოცემის – ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების (ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის) ენციკლოპედია „ბრიტანიკას" ცნობებს ტფილისისა და ერივანის გუბერნიების შესახებ, რომლებიც 1911 წლითაა დათარიღებული – ე.ი. ზუსტად ჩვენთვის საინტერესო პერიოდს შეეხება. აქ მეტად საინტერესო და უმნიშვნელოვანესი მასალებია გადმოცემული აღნიშნული გუბერნიების საზღვრების შესახებ, ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპზე, ასევე მოსახლეობის რაოდენობაზე, მათ ეთნიკურ შემადგენლობაზე და ა.შ.

„ტფილისის გუბერნია – რუსეთის ტრანსკავკასიური გუბერნია, მოიცავს კავკასიის მთავარ ქედსა და სომხეთის მთიანეთს შორის არსებული დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს. გუბერნია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, მაგრამ *სპილენძი მხოლოდ ალავერდსა და ახტალაში მოიპოვება.* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.). ნავთობი და მინერალური წყლები ბევრია. გუბერნიის მიწები ირწყვება მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების წყლებით (ლიახვი, არაგვი, იორი და ალაზანი). ყველა ესენი ფართოდ გამოიყენება ირიგაციაში. გუბერნიის ყველაზე დაბალ ადგილზეა უწყლო, ვრცელი სტეპები – *შირაქი და ყარაიაზი,* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.). მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა, რომლებიც დასახლებულია მომთაბარე თათრებით. გუბერნიის ფართობია 15601 კვ. კმ. (17140 კვ. კმ. ზაქათალის ჩათვლით) და მოსახლეობა 1906 წლის მონაცემებით შეადგენდა 1081900 კაცს. გუბერნია დაყოფილია ცხრა მაზრად. გუბერნიის სამაზრო ქალაქებია ტფილისი, ახალქალაქი, ახალციხე, დუშეთი, გორი, სიღნაღი და თელავი. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სოფლის მეურნეობა შეადგენს... გუბერნიის ცენტრს ტფილისი წარმოადგენს და მისი მოსახლეობა 1897 წელს შეადგენდა 160645 კაცს, 1883 წელს კი 104024–ს. ქალაქის მოსახლეობა მოიცავს ქართველებს, რუსებს, გერმანელებს, სპარსელებსა და თათრებს." როგორც ვხედავთ, ენციკლოპედიის მიხედვით, თბილისის გუბერნიის მასშტაბებით, XX საუკუნის დასაწყისისათვის აქ მაცხოვრებელ სომეხთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალში სომხები საერთოდ არც არიან მოხსენიებულნი.

იმავე ენციკლოპედიაში: „ერივანის გუბერნია – რუსეთის გუბერნია ტრანსკავკასიაში, რომელიც შემოსაზღვრულია ყარსის პროვინციით დასავლეთიდან, ტფილისის გუბერნიით ჩრდილოეთიდან, ელიზავეტპოლის მაზრით ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, სპარსეთითა და თურქეთის სომხეთით სამხრეთიდან. იგი მოიცავს უზარმაზარი პლატოს ცენტრალურ ნაწილს, სადაც განლაგებულია ჩამქრალი ვულკანები ალაღოზე (14440 ფუტი) და არარატი (16925 ფუტი). ამ პლატოზეა განლაგებული გოგჩას

ტბა (540 კვ. კმ.). ტერიტორია უწყლოა და ირიგაციას მოითხოვს. ირიგაციისათვის ძირითადში გამოიყენება მდინარე არაქსის წყლები, რომელიც ამავე დროს საზღვარს წარმოადგენს სპარსეთთან. მდინარე არაქსის ზედა წელი ქვიანი უდაბნოა. სასარგებლო წიაღისეულით გუბერნია სავარაუდოდ მდიდარია, მაგრამ აქ მხოლოდ ქვამარილის მოპოვება ხდება. გუბერნიის მოსახლეობა 1897 წლის მონაცემებით შეადგენს 829578 ადამიანს, აქედან მხოლოდ 357086–ია ქალი. ქალაქებში ცხოვრობს სულ 82278 კაცი. 1906 წლის მონაცემებით გუბერნიის მოსახლეობა შეადგენდა 909100 კაცს. აქედან სომხები 441000, თათრები (40%), ქურთები 49389, რუსები, ბერძნები და თათები. თათრებიდან უმეტესობა შიიტია, მხოლოდ 27596–ია სუნიტი, ხოლო 7772 იეზიდია. გუბერნია იყოფა შვიდ მაზრად – ერივანი, ალექსანდროპოლისი, ეჩმიაძინი, ნახიჭევანი, ნოვობაიაზეთი, სურმალი და შარურ–დარალაგეზი. ერივანი ან ირვანი, სპარსულად რევანი – გუბერნიის მთავარი ქალაქია. ქალაქის ძირითად მოსახლეობას შეადგენს სომხები, სპარსელები და თათრები. არიან აგრეთვე რუსები და ბერძნები".[53]

როგორც ვხედავთ, მთლიანად, თვით ერივანის გუბერნიაშიც კი, 1906 წლის მონაცემებით, სომხები გუბერნიის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეადგენდნენ.

ყოველივეს თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფრო ობიექტური, სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტები ლორე–ბამბაკის რაიონის უდავო ქართულ კუთვნილებაზე XIX–XX საუკუნეებისთვისაც, ალბათ ბუნებაში აღარც არსებობს. ისიც უდავოა, რომ მეცნიერული თვალსაზრისით, ბრიტანული მხარე ნამდვილად ნეიტრალურ და უაღრესად ავტორიტეტულ მხარეს წარმოადგენს.

ჩვენ შეგნებულად ვუვლით გვერდს სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე გადმოსახლების მასიურ პროცესს I მსოფლიო ომის პერიოდში, რამეთუ აღნიშნული საკითხი კიდევ ერთი დიდი პრობლემატური და შეუსწავლელი თემაა „სომხური საკითხისა" და ე.წ. „სომეხთა გენოციდის" სფეროდან, რაც ცალკე კვლევა–ძიების საგანს წარმოადგენს.

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგაც ისტორიული, პოლიტიკური, ტერიტორიული და ეკონომიკური სამართალმემკვიდრეობის პრინციპების გათვალისწინებით, ტფილისის გუბერნიაში შემავალი ლორე–ტაშირის რეგიონი ფაქტობრივად ისევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში მოექცა. თავისთავად ცხადია, რომ ამ რეგიონზე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფაქტობრივი იურისდიქციაც ვრცელდებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ლორეს რეგიონის პოლიტიკურ, სამხედრო, ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ კადრსაც, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობა ნიშნავდა. ამ უცილობელ ჭეშმარიტებას ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტიც ადასტურებს – საქართველოს რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრის, ბატონ გრიგოლ გიორგაძის განკარგულება:

„ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს. 01. 06. 1918.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების ჯავშნოსანი მატარებლებისა და ავტომობილებისათვის საჭიროა რკინა და სხვა მასალები, რომლის გარეშეც ჯავშნოსანი მატარებლები და ავტომობილები ვერ გაართმევენ თავს მათ წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტას. ზემოხსენებული მასალების მიღება შესაძლებელია ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნებიდან, სადაც მიმღებ პირებად მიეკვლინებიან სანაინის რკინიგზის სადგურის უფროსი დავით დეკდარიანი და სამთო ტექნიკოსი სიმონ შუბლაძე.

გიორგაძე".[54]

ამ განკარგულების ტექსტიდან ჩანს, რომ ლორეს რაიონის მთელი სამეურნეო ინფრასტრუქტურა საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკუთრებაა და შესაბამისად, რეგიონის სამრეწველო—სამეურნეო კადრიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებებით ინიშნებოდა. ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი განკარგულება 1918 წლის 1 ივნისითაა დათარიღებული, ე.ი. ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლიდან და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან სულ რამდენიმე დღეში, რაც კიდევ ერთხელ, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს მოცემული რეგიონის საქართველოს პირველი რესპუბლიკისადმი ფაქტობრივი კუთვნილების საკითხს და ქართული სახელმწიფოს მხრიდან მისი სრული ადმინისტრაციული კონტროლის ფაქტს.

ალბათ ბედის ირონიაა, რომ სწორედ ამ დროს, 1918 წლის ივნისის თვეში, ოსმალთა იმპერიაში „საგარეო ტურნეს" დროს, არარატის რესპუბლიკის დაშნაკი ლიდერები „ალექსანდრე და გევორქ ხატისიანები, აჰარონიანი და პაპაჯანიანი იმის შესახებ მსჯელობდნენ, რომ სომხეთის რესპუბლიკაში ერივანის გუბერნიის, მთიანი ელისავეტპოლისა და ახალქალაქი—ლორის რაიონების ჩართვით სამ ამიერკავკასიურ სახელმწიფოს შორის თანასწორობისა და ბალანსის მდგომარეობა დამყარდებოდა".[55]

§3. ქართველი „პროგერმანელები" და ქართული ლეგიონი.

„საქართველოს იმ ხანად ხშირად ადარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილი იმპერიის ანარქიის უდაბნოში. და უნდა ითქვას, რომ ეს შედარება საკმაოდ სწორია. ამიტომ იყო, რომ საქართველო წარმოადგენდა იმ ჟამად ყველა დევნილთა, ლტოლვილთა და

დამარცხებულთა თავშესაფარს. თურქების მიერ აწიოკებული სომხები და ბერძნები, თათართა მიერ დარბეული სომხები და ამის საპასუხოდ სომეხთა მიერ შევიწროებული მაჰმადიანები, რუსთა მიერ დევნილი მთიელები და აზერბაიჯანელები და სხვა მაჰმადიანთა მიერ აყრილი რუსები...

ერთი სიტყვით, ლტოლვილნი და შევიწროებულნი, მიუხედავად მათი რწმენისა და სარწმუნოებისა, საქართველოში პოულობდნენ მშვიდ თავშესაფარს; და ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო დამშეული იყო, ვინაიდან მას ირგვლივ და მის წინააღმდეგ საშინელი ბრძოლა წარმოებდა, როცა ოსმალეთი მას თავის მტრად რაცხდა, დიდ ანტანტას თავისი მოწინააღმდეგე ბანაკის დამხმარედ მიაჩნდა და ფარულ ბოლშევიკობას სწამებდა, თეთრი რუსეთი იმპერიის მთლიანობის დამრღვევად და კომუნიზმის აგენტად ნათლავდა, წითელი რუსეთი კი კონტრრევოლუციურ ბუდესა და დენიკინის მოკავშირეს უწოდებდა, ხოლო ორივე ერთად თანაბარი სისასტიკითა და ვერაგობით, საშინელ სასურსათო და პოლიტიკურ–ეკონომიკური რკალს არტყამდა ირგვლივ და მოუსვენრად მუშაობდა მის შიგნიდან ასაფეთქებლად."[56]

ეს სიტყვები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონი გრიგოლის მოსაზრებებს საქართველოში არსებული იმდროინდელი მდგომარეობის შეფასებაში. იგი, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი ჩინოვნიკი და შემდეგ კი თვით რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, ბუნებრივია, ფლობდა ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას და აკონტროლებდა იმ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში 1917–1921 წლების პერიოდში.

რაც შეეხება ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებას ანტანტის წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს მიმართ გამოხატული უნდობლობის ფაქტს, მეტი სიცხადისათვის საკითხი გაშლასა და უფრო დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. ასეთი მიდგომა უფრო ნათელს გახდის ჩვენი თემატიკის ძირითადი საკვანძო საკითხების გახსნას. საუბარი I მსოფლიო ომსა და მასთან მიმართებაში სხვადასხვა ქართული პოლიტიკური წრეების მიერ დაკავებული პოზიციების ანალიზს ეხება.

ისტორიული რეალობაა, რომ თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ხანგრძლივი, მთელი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ქართველები ხშირად მდგარან „ნაკლები ბოროტების" არჩევანის წინაშე, ხოლო ხელსაყრელი მოკავშირის შერჩევის პრობლემა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, ქართული სახელმწიფოსათვის პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა მუდამ.

XX საუკუნის 10–იანი წლებისთვისაც, ქართული საზოგადოება მსგავსი დილემის წინაშე დადგა. ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობამ სწორად გააანალიზა, რომ I მსოფლიო ომის შედეგები გადამწყვეტ როლს

ითამაშებდნენ მომავალი მსოფლიოს ტერიტორიალურ–პოლიტიკურ გადანაწილებასა და მისი შემდგომი მოწყობის საქმეში. მათ მართებულად აღიქვეს ის მდგომარეობაც, რომ ეს იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი. მაგრამ საკითხი ასე იდგა – ანტანტა თუ სამთა კავშირი? („სამთა კავშირი" – გერმანია – ავსტრო–უნგრეთი – თურქეთის სამხედრო–პოლიტიკური ალიანსი. უკვე ომის მსვლელობისას მას ბულგარეთიც შეუერთდა და იგი „ოთხთა კავშირად" გარდაიქმნა).

გარკვეული პარტიები, სოციალ–დემოკრატების თავკაცობით, პროანტან–ტურ პოზიციას იჭერდნენ. გარკვეულ წრეებს, ეროვნულ–დემოკრატების სახით კი, გერმანია, როგორც სამთა კავშირის ლიდერი მიაჩნდათ თავის ბუნებრივ მოკავშირედ რუსეთის იმპერიისაგან თავის დასაღწევად.

ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიაში ქართველ ეროვნულ–დემოკრატთა დელეგაციაც გაიგზავნა იმპერიის უმაღლეს ხელმძღვანელობას–თან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით. გერმანიაში მყოფი ქართული დელეგაციის ერთ–ერთი წევრი, ეროვნულ–დემოკრატი, „მიხაკო წერეთელი პირადად შეხვდა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ლიუდენდორფს და სთხოვა მოეწყო მისი აუდიენცია კაიზერ ვილჰელმ მეორესთან."[57]

გარდა ამისა, „უცხოეთში მყოფი მ. წერეთელი და გ. მაჩაბელი შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს. მ. წერეთელმა გრაფ პურტალესს მიმართა თურმე შეკითხვით – მომავალ საზავო კონფერენციაზე იქნებოდა თუ არა მოსმენილი საქართველოს მემორანდუმი, გამარჯვებული გერმანია და მისი მოკავშირეები დაეხმარებიან თუ არა ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. საპასუხოდ გერმანიის რწმუნებულმა განაცხადა, რომ ჩვენი პოლიტიკა განისაზღვრება ქართველთა მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისად. თუ ისინი აქტიურად იმოქმედებენ რუსეთის წინააღმდეგ, გერმანია დაიცავს საქართველოს ინტერესებს, მხარს დაუჭერს მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მ. წერეთელმა ივარაუდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველები 50–ათასიან ლაშქარს შეკრებდნენ. გერმანიის წარმომადგენლებმა კი ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიარაღება, დაარწმუნეს მოლაპარაკებაში მონაწილე ეროვნული დემოკრატები, რომ საომარი საჭურველის ნაწილი უკვე მიტანილი იყო ტრაპიზონში და თუ შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდებოდა, იგი გადაეგზავნებაო აჯანყებულ ქართველთა ლაშქარს".[58]

მართლაც, მალე ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი) და გაჩაღდა აქტიური მუშაობა ქართული ლეგიონის ფორმირებისათვის ცარისტული რუსეთის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში. ამ კუთხით, ქართველმა ეროვნულ–დემოკრატებმა რეალურ შედეგებსაც მიაღწიეს. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტის, ეროვნულ–დემოკრატიული პარტიისა და პარლამენტის წევრის, ბატონ რეზო

გაბაშვილის მემუარიდან: „ჩვენის მხრით, შიგნით საქართველოში, ჩვენ ვაწყობდით ორგანიზაციებს, გაფაციცებით ვაგროვებდით იარაღს და რამდენიმე საწყობიც გვქონდა უკვე, როდესაც მოულოდნელად ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი და ჩამოიტანა ხელშეკრულებანი გერმანიის, ავსტრიის და ოსმალეთის მთავრობების, რომ ისინი სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ყველაფრით ხელს შეუწყობდნენ მას".[59]

ქართული საზოგადოების ფართო ფენებისათვის ალბათ უცნობია ის ფაქტი, რომ გერმანელთა მიერ მართლაც რამდენჯერმე განხორციელდა გარკვეული რაოდენობის იარაღის ფარულად შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი გერმანული წყალქვეშა ნავებით, რითაც გარკვეული არსენალიც შეიქმნა.

პირველი ქართული ლეგიონი, რომელიც ამ ეტაპზე ძირითადად ლაზებითა და აჭარლებით იყო დაკომპლექტებული, პოლკოვნიკ გიორგი (ლეო) კერესელიძის მეთაურობით, I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაება და საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებსაც მიაღწია. „ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქის რუსული სამხედრო გარნიზონი მცირერიცხოვანი იყო და მისი მეთაურიც, გენერალი ელშინი საკმაოდ უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლაზებმა და აჭარლებმა, რომლებსაც რუსეთ– თურქეთის განვლილ სამ ომში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი მაღალი საბრძოლო თვისებები. თურქებმა ზედმეტი სირთულეების გარეშე შესძლეს 6000–დე რეგულარული ჯარის შეკრება და 15 ნოემბრისათვის შეტევაზე გადავიდნენ".[60] – წერს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko–Caucasian border. 1828–1921" კავკასიის ომებისა და სამხედრო ისტორიის ცნობილი მკვლევარი უ. ალენი. (W. E. D. Alenn.)

ახლადჩამოყალიბებულმა ქართულმა ლეგიონებმა „საზღვარზე მყოფ რუს კაზაკთა რაზმები გაანადგურეს და აიღეს რამდენიმე სოფელი. მათ ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ქვემეხი და ტყვედ აიყვანეს მრავალი რუსი ჯარისკაცი".[61] ქართული ლეგიონების მიერ მურღულთან და მაჭახელასთან ჩატარებულმა სწორედ ამ წარმატებულმა ოპერაციამ გაუკაფა გზა გერმანულ–თურქული სადესანტო ნაწილების ელვისებურ წარმატებას ბათუმთან, I მსოფლიო ომის დაწყების პირველსავე ეტაპზე, 1918 წლის ნოემბრის თვეში. „ხოფაში გადმოსხმულ იქნა კონსტანტინოპოლის 1–ლი საარმიო კორპუსის მე–7 და მე–8 პოლკების საზღვაო დესანტი, გერმანელი მაიორ შტანკეს მეთაურობით, რომლებიც უეცრად შეეჯრნენ მდ. ჭოროხის ხეობაში, ბრძოლებით დაიკავეს არტანუჯი, ართვინი, ბორჩხა და რუსებს მდ. აჭარისწყალამდე დაახევინეს".[62] – გვამცნობს ცნობილი რუსი საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსი და მკვლევარი, გენერალ–ლეიტენანტი ი. კორსუნი. „რუსული ჯარების წარუმატებელი მოქმედებებისათვის გენერალი ელშინი,

ბათუმის ოლქის სარდალი გადააყენეს და იგი მაღალკომპეტენტურმა სამხედრო პირმა, გენერალმა ვ. ლიახოვმა შეცვალა".[63]

სწორედ ამ მოვლენებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ცარიზმის მკვეთრად ანტიაჭარულ და ანტიქართულ განწყობებზე, ხოლო მუსულმან აჭარლებსა და ლაზებზე, რომლებსაც ისედაც არ თვლიდა ქართველებად, დაწოლა გააძლიერა. ცარიზმმა უმალ „გამოაცხადა მთელი აჭარა მოღალატედ, „ომის დროს აჯანყებულად" და აპირებდა განმეორებას ძველი ხერხისა, – გაეჟლიტა და გადაერეკა მაჰმადიანი (მათ მუდამ „თათრებად" აცხადებდნენ რუსები და აღწერის დროს ათავსებდნენ თათართა რუბრიკაში მოსახლეობისა) ქართველები ოსმალეთში და მათ ადგილზე დაესახლებინა ქრისტიანი რუსები და სომხები (როგორც ეს წინა ომებში ხდებოდა)".[64]

გარკვეული ქართული წრეების მხრიდან გერმანო–თურქებისადმი ასეთი დამოკიდებულება და მაიორ შტანკეს დესანტის მიერ განხორციელებული ართვინ–არტანუჯის წარმატებული სამხედრო ოპერაცია დაედო საფუძვლად ანტანტის წევრი ქვეყნების არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას ზოგადად ქართველებისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი წრეების მიმართ I მსოფლიო ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც მხოლოდ რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში მრავალი ქართველი გენერალი და ოფიცერი მსახურობდა, რომლებიც მთელ შენაერთებს მეთაურობდნენ და დიდი პროფესიონალიზმითა და წარმატებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ზემოხსენებული მიზეზების გამო, ანტანტის წევრი ქვეყნების ანტი–ქართული დამოკიდებულება დამატებითი კოზირი აღმოჩნდა პროანტან–ტურად განწყობილი სომეხი დაშნაკებისათვის, რომლებმაც 1918 წლიდან აქტიური პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს მტრის ახალი ხატის შექმნისა და ქართველთა „პროგერმანელობის" წარმოსაჩენად ანტანტის წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით კი ბრიტანელთა თვალში.

ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძის ზემოთ მოყვანილ ციტატაში კი ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკისათვის მხოლოდ „წითელი და თეთრი რუსეთები" წარმოადგენ–დნენ დაუძინებელ მტრებს. ამ მიმართებაში, 1918 წლისათვის, სომეხ დაშნაკთა შენიღბული, კარგად გააზრებული ანტიქართული ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგია არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკისათვის, ვიდრე საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ცარისტული თუ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გამჟღავნებული ღია აგრესიული მოქმედებები. კონკრეტულად კი, 1918 წლისათვის, რუსეთი, „თეთრიც" და „წითელიც", სულს ღაფავდა და იგი რევოლუციის, კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის ფატალურ რკალში იყო მოქცეული.

ქართული პოლიტიკური წრეების გერმანოფილურმა განწყობებმა კი I მსოფლიო ომის მსვლელობისას და მთელი 1918 წლის განმავლობაში,

ნოყიერი ნიადაგი შექმნა სომეხ დაშნაკთა მიერ ქართველთა ანტანტის წევრი ქვეყნებისა და მსოფლიო საზოგადოების წინაშე შემდგომი დასმენებისა და ცილისწამებისათვის. შესაბამისად, დაშნაკ პროვოკატორთა ამ ქმედებებმა მოკავშირეთა მხრიდან მკვეთრად ანტიქართული განწყობების გამძაფრებასაც შეუწყო ხელი, რამაც ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ახალი, დიდი გამოცდის წინაშე დააყენა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის სომხებმა, რა თქმა უნდა ცარიზმის შოვინისტური და იმპერიული პოლიტიკის დიდი მხარდაჭერით, ბოლოსდაბოლოს შეძლეს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ეთნიკური დისბალანსის შექმნა და სომხური უმრავლესობის ხელოვნური სურათის დამყარება. სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესმა საქართველოში I მსოფლიო ომის მსვლელობისას კი, საბოლოო ჯამში, შეუქცევადი ხასიათი მიიღო და საქართველო ახალი, დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა.

სწორედ ასეთ ბაზისზე დაყრდნობით დაიწყეს სომეხმა დაშნაკებმა თავისი შორს გამიზნული და კარგად გააზრებული ექსპანსიონისტური ჩანაფიქრის განხორციელება ქართველებთან და საქართველოსთან და არა მხოლოდ მასთან მიმართებაში. ზუსტად აღნიშნავს ბატონი შოთა ვადაჭკორია, რომ „საქართველოს ხელისუფალთა ტოლერანტობა და ათიათასობით სომეხი ლტოლვილის საქართველოში თავშეფარება დაშნაკცუტიუნის პარტიის მეშვეობით, ქართველ ერს ბუმერანგივით დაუბრუნდა და თავსატეხი პრობლემების წინაშე დააყენა. ერთი შეხედვით დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სომხის ნაციონალისტურმა პარტიამ ლტოლვილი სომხები ქართველთა წინააღმდეგ მაქსიმალურად გამოიყენა და არსებული ხელისუფლების დასამხობად კიბის ყველა საფეხური მოსინჯა".[65]

§4. ახალი რევოლუციური იდეოლოგია და სომხური ნაციონალისტურ–რევოლუციური პარტიები.

XIX საუკუნის „80–იანი წლები სომხებისათვის საბედისწერო წლები იყო. რუსეთში ფინეთიდან კავკასიამდე გაისმოდა ლოზუნგი „რუსეთი რუსებისათვის!' ამ ლოზუნგს მოჰყვა სომხების ათვალწუნება და მათდამი პოლიტიკური უნდობლობა. 1885 წელს დაიხურა 500–დე სომხური სკოლა,

30 ათასი მოსწავლე ქუჩაში დარჩა. ცარიზმის მოხელეებს გაახსენდათ, რომ ზოგიერთ სომხურ სკოლაში ეკიდა „დიდი არმენიის" ისტორიული რუკები, ლოცვა–წირვა სომხურად მიმდინარეობდა. 1903 წლის 12 ივნისის განკარგულებით სომხურ–გრეგორიანულ ეკლესიას ჩამოერთვა საეკლესიო ქონება. შეზღუდეს მისი თვითმმართველობა. სახელმწიფო სამსახურში სომხებს არ ღებულობდნენ. ძველ მოსამსახურეებს სამსახურს რუსეთში თავაზობდნენ. როგორც უკვე ითქვა, სომხები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად იქნა მიჩნეული".[66] – გვამცნობენ პატივცემული ავტორები, ო. და შ. თეთვაძეები თავის წიგნში – „სომხები საქართველოში". ყოველივე ამის მიზეზად კი ავტორები იმას თვლიან, რომ „რუსეთის ბიუროკრატიას „ჩვეულებად" და კანონად ჰქონდა რომელიმე კავკასიელი ერის ნიშანში ამოღება და მისი განსაკუთრებით დევნა–შევიწროება".[67]

ავტორთა ამ დასკვნას კი ნამდვილად ვერ გავიზიარებთ. არაარგუმენტი–რებული და ზედმეტად გულუბრყვილო გვეჩვენება იგი. ყოველივე ზემოთქმულის მიზეზი გაცილებით უფრო სერიოზული და ფუნდამენტურია. მისი ფესვები გაცილებით უფრო ღრმად მიდის დროსა და სივრცეში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

დღევანდელი მსოფლიოს სომეხთა ტოტალური აგიტაცია–პროპაგანდის ფონზე, ერთი შეხედვით თითქოს პარადოქსულადაც კი ჟღერს, მაგრამ ისტორიული რეალობაა, რომ საუკუნეების განმავლობაში თურქულ სახელმწიფოში მცხოვრები სომხები იმპერიისათვის ყველაზე უფრო ერთგულ და მორჩილ ხალხს წარმოადგენდა.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, სომხები ერთადერთ პრივილეგირებულ ხალხად იქცნენ სელჯუკიანთა თურქულ სახელმწიფოში, სადაც სრულად იქნა შენარჩუნებული მათი კონფესიური და კულტურული თავისუფლება. ჯერ კიდევ „მეჰმედ II–ის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მან სრულად დაუმორჩილა მონარქიის ყველა მართლმადიდებელი როგორც აღმსარებლობის, ასევე სამოქალაქო ცხოვრების წესით პატრიარქს, ხოლო საბერძნეთსა და ანატოლიაში მცხოვრები სომხები საწმყსოდ სომხურ–გრიგორიანულ საეპისკოპოსოს გადასცა ბურსაში, რომელიც სანეპისკოპოსის (არქიეპისკოპოსის – ა. ჩ.) რანგში იქნა აყვანილი და საცხოვრებლად სტამბოლში იქნა გადაყვანილი. ფადიშაჰის (სულთნის – ა. ჩ.) ფირმანი უფლებას აძლევდა მას მინიჭებული დიდი უფლებებით ესარგებლა, მისი და მისი მრევლის მიერ არსებული კანონების პატივისცემის საპასუხოდ. *ოტომანთა მიერ სომხური რელიგიისადმი გამოჩენილი ლოიალობისა და პრივილეგიების მიუხედავად, სწორედ ეს ეპოქა შეიძლება ჩაითვალოს სომხურ–გრეგორიანული ეკლესიის ყველაზე მეტად დაცემის პერიოდად. მაგრამ ამას თავად კათოლიკოსები უწყობდნენ ხელს – კონსტანტინოპოლის, სისის, ახტამარის და ეჩმიაძინის. ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილები, ისინი საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოებას ცდილობდნენ, თუნდაც მეზობელი საპატრიარქოების ხაზიანად*".

(ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).[68] ეს ციტატა რუს ავტორს, ჩვენთვის უკვე ცნობილ მ. ახოვს ეკუთვნის.

ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. შემდგომშიც, ოტომანთა იმპერიის ფარგლებში, თურქეთის აღმოსავლურ ვილაიეთებში მცხოვრებ სომხებს, საბოლოოდ დაუმკვიდრდათ იმპერიის ყველაზე უფრო „ლოიალური ერის" სახელი და ეს პროცესი XIX საუკუნის 80–იან წლებამდე აღარც შეცვლილა. ამ პერიოდამდე ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ ერთ ოფიციალურ დოკუმენტს და ვერ მოვიყვანთ ერთ ისეთ ისტორიულ ფაქტსაც კი, სადაც სომეხთა ჩაგვრასა და შევიწროებაზე იყოს საუბარი უკვე ოტომანთა იმპერიაში. თვით სომეხი ავტორებიც კი აღნიშნავენ ამას, ან უკიდურეს შემთხვევაში, დუმილით უვლიან გვერდს სომეხთა კეთილდღეობაზე საუბარს ე.წ. „თურქეთის სომხეთში", როგორც სელჯუკიანთა დროს, ასევე ოტომანთა იმპერიაში. უფრო მეტიც, დროის მსვლელობასთან ერთად, სომეხთა საერთო კეთილდღეობის დონე განუხრელად იზრდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ ენციკლოპედიურ ჭეშმარიტებას წარმოვადგენთ:

„როდესაც 1876 წელს სულთანი აბდულ–ჰამიდი ავიდა ოსმალეთის ტახტზე, სომხების მდგომარეობა როგორც თურქეთში, ასევე რუსეთში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე განვლილი საუკუნეების განმავლობაში".[69] ეს ცნობა კი ენციკლოპედია „Britanica"–დანაა მოყვანილი.

სომეხთა მსოფლიო პროპაგანდისა და ტოტალური დეზინფორმაციის გამოისობით, დღეს, ერთი შეხედვით დაუჯერებლად გვეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ სომხები ოტომანთა იმპერიაში ერთადერთი პრივილეგირებული ხალხი იყო, რომლებიც სრული კულტურული ავტონომიის უფლებებით სარგებლობდნენ, რაც აღმოსავლური მონარქიების ისტორიაში ნამდვილად უპრეცენდენტო შემთხვევაა. ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიის მსგავსი ხარისხი დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროშიც კი იშვიათია. ეს საკითხი კიდევ ერთი დიდი თემაა და ამჯერად მას, ცხადია, სრულად ვერ განვიხილავთ.

სომეხთა ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის დონე კი განუხრელად იზრდებოდა. „აღმოსავლეთის ვილაიეთებში ვაჭრების (58%), ექიმებისა და ფარმაცევტების (60%) ნახევარზე უფრო მეტს და მომპოვებელ მრეწველობაში დაკავებული პირების სამ მეოთხედს (75%) სომხები შეადგენდნენ. ამ დარგებში თურქების მხოლოდ ერთი მესამედი იყო დასაქმებული".[70] წარმოდგენილი სტატისტიკური მასალა სომეხი ავტორის, კ. მესროპის მონაცემებზე დაყრდნობითაა გაკეთებული, რომელიც მის მიერ კონსტანტინოპოლში 1919 წელს გამოცემული წიგნიდანაა ამოღებული. როგორც ვხედავთ, აქ უკვე თვით სომეხი ავტორები ვერ უვლიან გვერდს და აღიარებენ სომეხთა პრივილეგირებულ მდგომარეობას ოტომანთა იმპერიის ვილაიეთებში.

ვაჭრობისადმი თავიანთი ბუნებრივი მიდრეკილების წყალობით, სომხები მალე იქცნენ იმპერიის ერთ–ერთ უმდიდრეს ხალხად. განსაკუთრებითაა

აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სომხები ოტომანთა იმპერიაში მთავარი ფინანსური ინსტიტუტებისა და თვით „დიდებული პორტას'' მინისტრთა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებსაც კი ფლობდნენ.

რაც შეეხება სომეხთა სოციალურ–ეკონომიურ მდგომარეობას რუსეთის იმპერიაში, ჩვენ ზევითაც გვქონდა განხილული იმ საერთო ეროვნული კეთილდღეობის სურათი, რასაც განიცდიდა ეს პრივილეგირებული ხალხი ცარიზმის დროს XIX საუკუნის 80–იან წლებამდე.

მდიდარმა კოსტანტინოპოლელმა სომხებმა მალე დაიწყეს თავიანთი შვილებისა და სომეხი ახალგაზრდობის ევროპაში გაგზავნა განათლების მისაღებად და აი, სწორედ აქ მოხდა მათი პირველადი შეხვედრა ევროპულ კულტურასა და იმ ახლად ჩასახულ იდეოლოგიასთან, რასაც მარქსიზმი და რევოლუციური მოძრაობა ერქვა. რევოლუცია, სოციალიზმი, ახალი დემოკრატიის, რეალური მოსახლეობის პრინციპების აღიარება და ერთა თვითგამორკვევის მოდური იდეები მისაღები და სასურველი აღმოჩნდა მათი ცნობიერებისათვის. ამ ახალმა იდეოლოგიამ უდიდესი პოპულარობა სწორედ ოტომანთა იმპერიის სომხურ საზოგადოებაში მოიპოვა, რამაც მისი გარკვეული ნაწილის აქტიური ჩაბმა გამოიწვია მარქსისტულ და რევოლუციურ მოძრაობაში.

სწორედ 80–იანი წლებიდან იწყება სომეხთა პოლიტიკური აქტივობის ზრდის პროცესი, როგორც თურქეთში, ასევე რუსეთში. ბუნებრივია, რომ მარქსიზმმა ყველაზე ნოყიერი ნიადაგი ეთნიკური შემადგენლობით ყველაზე ჭრელ და ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში, რუსეთსა და თურქეთის გარკვეულ ვილაიეთებში ჰპოვა. ამ იდეოლოგიის ერთ–ერთმა ძირითადმა დებულებამ – „რეალური მოსახლეობისა და ერთა თვით–გამორკვევის დემოკრატიულმა პრინციპმა'' კი განსაკუთრებული პოპულარობა ორივე იმპერიის სწორედ სომხურ საზოგადოებაში მოიპოვა და ბუნებრივია, რომ სახელმწიფოებრიობადაკარგულმა ერმა გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით, რასაც ოდნავ ქვემოთ წარმოვადგენთ, თავისი პოლიტიკური აქტივობის აქცენტი რევოლუციასა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაზე გააკეთა, რაც საბოლოო ჯამში, ახალი სომხური სახელმწიფოს შექმნაში უნდა გამოხატულიყო.

საწყის ეტაპზე სომეხთა რევოლუციური მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდული პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას ითვალისწინებდა ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში. სომხებს ამ ბრძოლაში თავისი მდიდარი საზღვარგარეთელი თანამემამულეებისა და ევროპის შესაბამისი წრეების დიდი მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. ამ მიმართებით კი განსაკუთრებით ევროპული ფაქტორის როლია აღსანიშნავი.

სწორედ ევროპული ფაქტორის მნიშვნელობასა და სომეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე ზეგავლენას აღნიშნავს თვით ცნობილი დაშნაკი იდეოლოგი და ისტორიკოსი, მიქაელ ვარანდიანი თავის ნაშრომში:

„დასაწყისიდანვე სომხური მოძრაობის მიზანს ოტომანთა ტირანიის წინააღმდეგ მიმართული ისეთი საყოველთაო ბრძოლის ორგანიზება და ქვეყანაში მუდმივი რევოლუციური მდგომარეობის შექმნა შეადგენდა, *რომელიც მესამე ფაქტორის — ევროპული ფაქტორის ჩარევას გამოიწვევდა*". (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)[71]

დიახ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალთა იმპერია ევროპის მოწინავე ქვეყნების პირველი რიგის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში აღმოჩნდა მოქცეული — როგორც აზიის კარიბჭე და გასაღების მდიდარი ბაზარი ერთის მხრივ, და როგორც რუსეთის იმპერიის სამხრეთისაკენ საუკუნოვანი ექსპანსიური ზრახვების წინააღმდეგ მოაზრებული მძლავრი ბუფერი, მეორეს მხრივ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მიძინებული ბუფერის გააქტიურებისათვის ახალი იდეა და რუსულ—თურქული ახალი დაპირისპირების ესკალაცია იყო საჭირო. XIX საუკუნის ბოლოსათვის, ეპოქის შესაბამის ყველაზე ხელსაყრელ იდეას კი, მოსახლეობის გარკვეულ ფენებში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივება და მათ ნაციონალურ გრძნობებზე თამაში წარმოადგენდა...

და ამუშავდა დიდი სახელმწიფოების დიდი დიპლომატიური მანქანა ანატოლიასა და ამიერკავკასიაში... და სომხებიც, როგორც ყველაზე ხელსაყრელი ინსტრუმენტი, თავისდაუნებურად აღმოჩნდნენ ჩართულნი დიდი იმპერიების დიდ პოლიტიკურ თამაშებში.

ეროვნული განსაკუთრებულობისა და აბსოლუტიზმის შეგრძნებიდან გამომდინარე, XIX საუკუნის ბოლოსათვის ორივე იმპერიაში მცხოვრები სომხური საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სრული სოციალური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის, სულ მალე კი რეგიონალური დომინანტო— ბის პრეტენზიებიც გაუჩნდა.

„80—იანი წლების ბოლოდან ევროპულმა დიპლომატიამ მოხერხებულად ისარგებლა სომხების ბუნებრივი უკმაყოფილებით თურქთა იმპერიაში. იგი ამ უკმაყოფილების ხელოვნურად გაღრმავებას შეეცადა, რითაც ხელი შეეშლებოდა რუსეთსა და თურქეთს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას და რუსეთის სწრაფვას სრუტეებისაკენ. ეს კი აუცილებლად დაარღვევდა ახლო აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ წონასწორობას. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ევროპული დიპლომატია ძალას არ იშურებდა, რომ ამა თუ იმ გზით რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ ახალ ომში ჩაეთრია და ამავე დროს, შინაგანი წინააღმდეგობებით დაესუსტებინა თურქეთი... *თავისი მიზნების მისაღწევად დასავლეთ ევროპის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მოხერხებულად ჩაგონეს სომხებს აზრი მათი გაუსაძლისი პირობებისა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლის შესახებ ევროპის დახმარებით*". (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).[72]

„სომხური რეფორმების გატარებას ისინი მანიფესტაციებისა და ანტისულთანური შეიარაღებული გამოსვლების გზით ცდილობდნენ,

რისთვისაც ევროპას უნდა დაეჭირა მხარი".[73] – შენიშნავს მეორე ავტორი. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, უილიამ ლანგერი კი აღნიშნავს:

„ევროპელები ეთანხმებოდნენ იმას, რომ სომეხი აგიტატორების მიზანს (თურქეთში – ა. ჩ.) შინაგანი არეულობებისა და არაადამიანური რეპრესიების მოწყობა შეადგენდა. ამავე დროს, სომხები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ამ გზით დიდ სახელმწიფოთა ინტერვენციის პროვოცირებას მოახდენდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ცხადია, რომ ისინი განსაკუთრებული სისასტიკით უმეტესად თურქეთის იმ რაიონებში მოქმედებდნენ, სადაც სომხური მოსახლეობა უიმედოდ მცირე იყო. ერთ–ერთი რევოლუციონერი უამბობდა დოქტორ ჰამელინს, რომ ჰუნჩაკთა ბანდებმა თავისი დანიშნულება თურქებისა და ქურთების მკვლელობებში ნახეს, ცეცხლს მისცეს მათი სოფლები, შემდეგ კი მთებში გაქცევით უშველეს თავს. შურისძიებით აღვსილი მუსულმანები საპასუხოდ თავს დაეცნენ დაუცველ სომხებს და ისეთივე ბარბაროსული მეთოდებით გაუსწორდნენ მათ. სომხები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთი შემოვიდოდა (თურქეთში – ა. ჩ.) ჰუმანიზმისა და ქრისტიანული ცივილიზაციის დაცვის საბაბით და შესაბამის ზომებსაც გაატარებდა" – The diplomacy of Imperialism. William L. Langer, Alfred A. Knopfe, New York, 1960. გვ. 157.

თავიანთი მერკანტილური მიზნების მისაღწევად სომეხი „რევოლიუციო–ნერები" სხვა ქვეყნების მაგალითს იშველიებდნენ და თვით უკიდურესი ზომების გატარებასაც კი არ უარყოფდნენ. აი, რას აცხადებდა სომეხ რევოლუციონერთა ერთ–ერთი ლიდერი: „ჩვენ, სომხებმა თავისუფ–ლებისაკენ მიმავალი გზა ავირჩიეთ. ევროპამ მოუსმინა ბულგარეთს, აღიარა იქ მომხდარი საშინელებები და გაანთავისუფლა იგი. ევროპა ჩვენ ყვირილსაც მოუსმენს, როცა იგი გაუსაძლის ზღვარს მიაღწევს და მილიონობით ქალისა და ბავშვის სისხლსაც დაინახავს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ამაში და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ ამას".[74]

და ასე დაიბადა „სომხური საკითხის" ცნება მსოფლიო პოლიტიკის სფეროში და შესაბამისად, სომეხთა მიერ შეითხზა მითი „დიადი არმენიის" შესახებ.

დანამდვილებით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ 80–იან წლებამდე თავად ე.წ. „თურქეთის სომხეთშიც" კი, ე.წ. „სომხური საკითხის" ცნება, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, მას სულ სხვა ელფერი ჰქონდა. თურქები, სომხები და ქურთები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ მშვიდობიანად გვერდიგვერდ და მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოებანი ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონფლიქტის საზღვრებს არ ცილდებოდა.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა რუსეთის ცარისტულ იმპერიაშიც. XIX საუკუნის ბოლოდან კი, სომხურ–ნაციონალური განსაკუთრებულობის გრნობით აღვსილებმა, რევოლუციური იდეოლოგიით შთაგონებულებმა და

ევროპის ქვეყნების შესაბამისი წრეების მხარდაჭერით გათამამებულმა სომეხმა ნაციონალისტებმა ჩათვალეს, რომ შესაბამისი სიტუაცია მომწიფებულია და წამოაყენეს ფანტასტიკური სახელმწიფოს – „დიადი არმენიის" შექმნის იდეა. მაგრამ ისინი ვერც კი ხვდებოდნენ, რომ ამ დიდი პოლიტიკური პროვოკაციის ნამდვილი ავტორები სულ სხვა ქვეყნები და სხვა წრეები იყვნენ, რომლებიც მათთვის კარგად გარკვეულ მიზნებსა და შედეგებზე აკეთებდნენ გათვლებს.

სომეხმა ნაციონალისტებმა კი, სომეხი ხალხისდა საბედისწეროდ, ამ ჰიპოთეზური სომხური სახელმწიფოს საზღვრებში, მიუხედავად მისი ისტორიული და სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, ყველა ის ტერიტორია და ადგილი ჩართეს, სადაც კი ოდესმე დაუდგამს სომეხს ფეხი. ამ საკითხთან მიმართებაში ერთობ ნიშანდობლივია მ. ახოვის შემდეგი სიტყვები:

„თუ გავითვალისწინებთ კეთილდღეობის იმ დონეს, რასაც მიაღწიეს ჩვენთან სომხებმა და მათი განსაკუთრებულობის შეგრძნებას დავუმატებთ მათ ბუნებრივ პატივმოყვარეობასა და ბაქიაობას, რამაც მათი საუკეთესო ისტორიკოსი, მოსე ხორენაციც კი იქამდე მიიყვანა, რომ სომეხ მეფეთა, მათ შორის არტაშეს დიდის (უცილობლად დიდის) არაფრით დასაბუთებული და მოგონილი გმირობების შესახებ ეთხზა არაკები, რომელსაც თურმე მხოლოდ სიკვდილმა შეუშალა ხელი ლამის მთვარეც დაეპყრო, *ისიც გავიხსენოთ თუ როგორ საგულდაგულოდ იჩქმალება ყველა სომეხ ისტორიკოსთან სომხეთის სრული უსუსურობისა და პოლიტიკური არარაობის არსი. ამის შემდგომ სულაც აღარ არის გასაკვირი, რომ ეს „რჩეული ხალხი" უცებ დიად არმენიაზე ალაპარაკდა!* ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ყოველივე ეს რუსეთის საზღვრებში ხდება, იქ, სადაც სომხები ისე კარგად ცხოვრობენ, როგორც არსად და არასდროს არ უცხოვრიათ". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[75] სომეხთა სწორედ ამ „განუმეორებელი ისტორიისა" და მოღვაწეების შესახებ აღნიშნავდა ვ. ველიჩკო: „სომხეთის ისტორია დახუნძლულია „ჭეშმარიტი" და „უეჭველი" ფაქტებით. მისი ფურცლები სავსეა „დიდებად" წოდებული მოღვაწეების სახელებით, რომელთა არსებობის ფაქტი, სომხურის გარდა, ოფიციალური საისტორიო მეცნიერებისათვის უცნობია. ისტორიი– სათვის ცნობილი პიროვნებების მოღვაწეობა კი, როგორც წესი, აღმატებულ ფორმებში არის გადმოცემული".

XIX საუკუნის ბოლოსათვის სომეხმა ნაციონალისტებმა თავისი თავიც და სომეხი ხალხიც დაარწმუნეს იმაში, რომ დასავლეთ ევროპის გავლენიანი წრეები მართლაც წუხდნენ სომეხი ერის ბედზე. სომეხთათვის დამახასიათე– ბელმა ეროვნულმა თვისებებმა კი მნიშვნელოვანწილად დააჩქარა ეს პროცესები. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავს ბატონი გურამ მარხულია:

„მრავალწლიანი კოლოსალური თეორიული, საორგანიზაციო და იდეურ– პოლიტიკური მუშაობის შედეგად სომხეთის ძველ საზღვრებში აღდგენის

იდეის აუცილებლობა სომხური საზოგადოების ყველა ფენის მიერ იქნა შეთვისებული და მიღებული. ამ მისწრაფებებს თურქებისადმი ისტორიული ზიზღი და ქართველებისადმი შური ედო საფუძვლად".[76]

სომეხი ულტრანაციონალისტების აზრით, ერთის მხრივ ევროპის იმპერიული წრეების განწყობა და მეორეს მხრივ, ახალი რევოლუციური იდეოლოგია სომეხთა ახალი ეროვნული სახელმწიფოს დაბადების საიმედო წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ე.ი. ყველა შემთხვევაში, სომხებს რომელიმე დაპირისპირებული მხარის (ერთის მხრივ ევროპის იმპერიალისტური წრეები და მეორეს მხრივ მარქსისტული იდეოლოგია) და ბუნებრივია, ერთ–ერთი ნებისმიერი გამარჯვებული ბანაკის უეჭველი მხარდაჭერა უნდა მოეპოვებინა.

მაგრამ სამწუხაროდ, და სამწუხაროდ პირველ რიგში სომეხი ხალხისათვის, მწარედ ცდებოდნენ სომეხი ნაციონალისტები. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ევროპისათვის სომეხი ხალხი მხოლოდ დროებით ხელსაყრელ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ორ დიდ იმპერიას – ოტომანთა და რუსეთის იმპერიებს შორის არსებული დაპირისპირების კიდევ უფრო გაღვივებისათვის, რაც მათ წინა აზიაში გავლენის სფეროების შემდგომ გაფართოებაში დაეხმარებოდათ.

დიახ, ევროპის დაინტერესებული წრეების მიერ რუსეთისა და თურქეთის იმპერიების ტერიტორიებზე გაბნეული სომხობის ნაციონალურ გრძნობებზე მანიპულირებას უნდა ეთამაშა სწორედ იმ კატალიზატორის როლი, რომელიც ამიერკავკასიასა და წინა აზიაში არსებულ ისედაც არამდგრად გეოპოლიტიკურ წონასწორობას კიდევ უფრო დაარღვევდა. ამიტომაც, დასავლეთ ევროპის დაინტერესებული წრეების ზეგავლენითა და აქტიური მხარდაჭერით ინტენსიურად დაიწყო სომეხთა შორის რევოლუციურ–სეპარატისტული განწყობების ჩასახვა–განვითარება, რაც საწყის ეტაპზე, სომხური ნაციონალისტურ–პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში გამოიხატა. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავს თანამედროვე თურქი პოლიტოლოგი და ისტორიკოსი, დოქტორი ერდალ ილთერი: „ნამდვილი დამნაშავენი იმპერიალისტური ქვეყნები იყვნენ, რომლებმაც სომხური საზოგადოების პროვოცირება მოახდინეს და თავგზა აუბნიეს მას".[77]

სომეხთა პირველი ნაციონალისტური პოლიტიკური პარტია – „არმენაკანი", ოტომანთა იმპერიაში, ქალაქ ვანში, 1885 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი, მდიდარი კონსტანტინოპოლელი ფინანსისტისა და ოტომანთა იმპერიის მაღალჩინოსნის, მიქაელ პორტუკალ ფაშას შვილი, მკრტიჩ პორტუკალიანი იყო. პარტიის დევნის გამო, მალე იგი ემიგრაციაში, საფრანგეთში მიდის, და შესაბამისად პარტიის შტაბ–ბინაც მარსელში გადადის. პარტიის ამოცანას სომხური სახელმწიფოს დაარსებისათვის ბრძოლის პროპაგანდა წარმოადგენდა ევროპაში მაცხოვრებელ სომხებს შორის. პარტიის მიზანს კი სომეხთა პოლიტიკური

უფლებების დაცვა და ეროვნული თვითგამორკვევის უფლება შეადგენდა რევოლუციური მოძრაობის გააქტიურების გზით.

„არმენაკანის" წევრები ვანისა და მის გარშემო მალე შეიარაღდნენ და დაიწყეს ინტენსიური სამხედრო წვრთნები „სომეხთა საყოველთაო რევოლუციის" მოსაწყობად. მალე გაიხსნა პარტიის წარმომადგენლობები ტრაპიზონში, კონსტანტინოპოლში, გარდა ამისა, რუსეთში, სპარსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ, პროსომეხი ამერიკელი ისტორიკოსის, ჯონ უოლკერის სიტყვებით — „პარტია მალე გაითქვიფა წმინდათ ტერორისტულ აქტებში".

პირველი მარქსისტული ტიპის სომეხთა რევოლუციური პარტია ჩამოყალიბდა კავკასიელი სომეხის, ფანატიკოსი რევოლუციონერის, ავეტის ნაზარბეგიანისა და მისი შვიდი სტუდენტი მეგობრის მიერ 1887 წელს, შვეიცარიაში, ჟენევაში. პარტიის სიმბოლოს ზარი წარმოადგენდა (სომხურად ზარი — ჰუნჩაკ), სწორედ ამიტომაც ამ პარტიამ ჰუნჩაკის სახელწოდება მიიღო. ჰუნჩაკთა რიგებში უმეტესობას კავკასიელი სომხები წარმოადგენდნენ. მოგვიანებით პარტიის შტაბ–ბინა ჯერ ლოზანაში, შემდეგ კი ლონდონში იქნა გადატანილი.

ორგანიზაციულად, პარტიის უმაღლეს დირექტიულ–მმართველობით ორგანოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი) წარმოადგენდა. ჰუნჩაკთა რევოლუციური პარტიის მიზანს „თავისუფალი თურქეთის სომხეთი" წარმოადგენდა, მთავარ მამოძრავებელ ძალად კი, როგორც ეს ეპოქას შეეფერებოდა, მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირი იყო მიჩნეული. სწორედ მუშათა და გლეხთაგან უნდა შემდგარიყო ორგანიზებული პარტიზანული რაზმები რევოლუციური ბრძოლების საწარმოებლად. საწყის ეტაპზე ამ ბრძოლაში განსაზღვრული იყო აგრეთვე ოტომანთა იმპერიის მოსახლეობის არასომხური ნაწილის ჩართვაც, როგორებიც იყვნენ მაგალითად, ასურელები და არამუსულმანი ქურთი–იეზიდები.

ჰუნჩაკთა პარტიის პროგრამის IV თავი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ მიზნის მიღწევის მეთოდებსა და საშუალებებზე:

„ჩვენი მიზნის მიღწევის უმოკლესი გზა რევოლუციური მოძრაობის დაწყებაა, რაც ნიშნავს — ძალის გამოყენებას, თურქეთის სომხეთში ხალხის მომზადებას თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ ომის წარმოებისათვის საყოველთაო რევოლუციის გზით. ამ მოქმედებების არსი შემდეგში მდგომარეობს:

1. პროპაგანდა: პრესის, პროკლამაციებისა და ზეპირსიტყვიერების გამოყენება ჰუნჩაკთა რევოლუციური იდეების გასავრცელებლად სომხურ მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მუშათა კლასში. რევოლუციური ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მუშათა რევოლუციური რაზმების შექმნა.
2. ტერორი: ტერორისტული აქტების განხორციელება თურქული ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საიდუმლო აგენტების, ინფორ–

მატორებისა და მოღალატეების წინააღმდეგ. ტერორი უნდა გახდეს მთავარი იარაღი და საშუალება რევოლუციური ორგანიზაციებისა და მოძრაობის დასაცავად.

3. საბრძოლო რაზმების ორგანიზაცია: რევოლუციური სამხედრო ქვედანაყოფები მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყვნენ სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ქვედანაყოფები უნდა იქცნენ საყოველთაო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდად.
4. საყოველთაო რევოლუციის ორგანიზაცია: გარკვეული რევოლუციური ქვედანაყოფები უნდა გაერთიანდნენ ერთიან ჰარმონიულ მთლიანში, სადაც თითოეული მათგანი იმოქმედებს ერთიანი ტაქტიკით უახლოესი და საბოლოო მიზნის მისაღწევად. თითოეული ამ ორგანიზაციის მართვა და ხელმძღვანელობა უნდა ხდებოდეს ერთი ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით.
5. რევოლუციური ქვედანაყოფების ჩამოყალიბება.
6. ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებები უნდა იქცეს ყველაზე უფრო ხელსაყრელ მომენტად საყოველთაო რევოლუციის გზით ჩვენი მიზნების უსწრაფესი მიღწევისათვის''.[78]

აი, ასეთი იყო სომეხთა ახლად ჩასახული რევოლუციური მოძრაობის იდეოლოგიური წანამძღვრები და ისტორიული გენეზისი, პირველი სომხური ნაციონალური რევოლუციური პარტიების წარმოქმნის მოკლე ისტორია და მათი სამოქმედო პროგრამების ძირითადი პუნქტები.

§5. სომეხთა რევოლუციური ფედერაცია — დაშნაკთა სოციალისტური პარტია „დაშნაკცუტიუნი'' და სომხური ულტრანაციონალიზმის შემდგომი განვითარება.

სომხური მარქსისტული, სოციალისტური და ამავე დროს, ნაციონალისტური ტიპის რევოლუციური პარტია — სომეხთა რევოლუციური ფედერაცია, ანუ, სხვანაირად — დაშნაკთა სოციალისტური პარტია — „დაშნაკცუტიუნი'', დაარსდა არა „თურქეთის'' ან „რუსეთის სომხეთში'', ან სადმე ევროპაში, არამედ საქართველოში, მის დედაქალაქში, თბილისში, 1890 წლის ოქტომბერს, ქრისტოფერ მიქაელიანის (ელენი) (1866–1905), სტეფანე ზორიანისა (როსტომი) (1867–1919) და სიმონ ზავარიანის (ანტონი)

(1866–1913) მიერ. (სამივეს თბილისში ჰქონდა საშუალო განათლება მიღებული, უმაღლესი აგრონომიული განათლება კი მოსკოვში).

ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით–დირექტიულ ორგანოს პარტიის მთავარი ბიურო წარმოადგენდა, აღმასრულებელი ძალაუფლება კი პარტიის რეგიონალურ კომიტეტებზე გადანაწილდა. ცალსახად და გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ დაარსების მომენტიდან დღემდე, პარტიის უმაღლესი დირექტიული ორგანოს – პარტიის მთავარი ბიუროს სრული შემადგენლობა და მისი იერარქიული კიბის ორგანოთა სუბორდინაციის წესები მკაცრად გასაიდუმლოებული იყო მაშინაც და გასაიდუმლოებულია ახლაც. სრულიად საიდუმლოს გრიფი დშნაკთა პარტიის ხელმძღვანელ კადრებსა და მათ ფუნქციებზე დღესაც ვრცელდება. დღეისათვის, ერთადერთი რაც ცნობილია, ისაა, რომ უკანასკნელ ხანს, ჰარაირ მარუხიანი, ირანში დაბადებული და საბერძნეთში მცხოვრები სომეხი ხელმძღვანელობდა 1985 წლამდე დაშნაკთა პარტიის მთავარ ბიუროს. ამის შემდგომი ინფორმაცია მიუწვდომელია.

დაარსების დღიდან პარტიის მთავარ ბიუროს მორიგეობით ხელმძღვანელობდნენ ქრისტოფერ მიქაელიანი, სიმონ ზავარიანი და სტეფანე ზორიანი, სომეხთა ულტრანაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგიის ეს ოდიოზური რუხი კარდინალები. სწორედ ამ პარტიული ტრიუმვირატის წევრები წარმოადგენდნენ დიდი სომხური ულტრანაციონალისტური მოძრაობის დიქტატორებსა და მის ლეგენდარულ იდეოლოგიურ ბელადებს.

დაშნაკთა პარტიამ მალე დააარსა თავისი დასავლეთის ბიურო, რომელშიც გაერთიანდნენ წარმომადგენლობები პარიზში, ლონდონში, ბრიუსელში, ბერლინში, ლაიფციგში, ჟენევაში, რომსა და მილანში. პარტიის აღმოსავლეთის ბიურომ კი ოტომანთა იმპერიაში ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და სომეხთა რევოლუციური აქტივობის გაზრდაზე აიღო პასუხისმგებლობა. პარტიის მთავრი ბიუროს მიერ მალე დაისვა „ორი სომხეთის'' თვითგამორკვევისა და ავტონომიზაციისათვის ბრძოლის საკითხი. და შესაბამისად სომეხთა მიერ მალე დაიწყო მეზობლად მცხოვრები ხალხების, პირველ რიგში კი მუსულმანური მოსახლეობის შევიწროების, დარბევებისა და ტერორისტული აქტების ორგანიზებული სერია.

დაშნაკური იდეოლოგია აშკარად ზედმეტად აფასებდა ინდივიდების როლს ისტორიაში. პარტია თავისი მოქმედებების სტილით, ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და აღსრულების სქემით, აშკარად რუსულ ნაროდნიკულ მოძრაობასთან და სოციალ–რევოლუციონერთა პარტიასთან იდგა ახლოს, ყოველ შემთხვევაში, მეთოდებით მაინც. პარტიის აქტივობის ტერორისტულ მეთოდებთან დაკავშირებით, დაშნაკური იდეოლოგიის ერთ–ერთი ლიდერი, მიქაელ ვარანდიანი გულწრფელად აღიარებდა: „ჯგუფი, რომლსაც ათეულობით თოფი და ხანჯალი გადაჰქონდა სომხეთში (ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში – ა. ჩ.), ჩვენს თვალში უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე მომავლის მოწყობის ათეულობით საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა''.[79]

აი, სწორედ ყოველივე ზემოთქმული იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლოდან რუსეთში, ისევე როგორც თურქეთში, სახელმწიფოს მხრიდან მკვეთრად შეიცვალა სომხებისადმი დამოკიდებულება და ისინი იმპერიებისათვის არაკეთილსაიმედო ხალხად იქნენ მიჩნეულნი, განსაკუთრებით კი XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის I რევოლუციის დროს.

ცარიზმის გამკაცრებული პოლიტიკისა და მეფის მოხელეების, აგრეთვე ამიერკავკასიის მუსულმანური მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით ბრძოლა ტერაქტების გზით, დაშნაკებმა სწორედ გრიგოლ გოლიცინის ამიერკავკასიაში მთავარმართებლობის პერიოდში გაშალეს. ეს პერიოდი 1903–1906 წლებს მოიცავს და იგი, ბუნებრივია, რევოლუციური აქტივობის პიკს ემთხვევა. სწორედ ეს პერიოდი მოიცავს გოლიცინის მკაცრი მმართველობის ხანას და ცარიზმის მიერ ამიერკავკასიის სომეხთა მიმართ წარმოებული აღეკვატური დისკრიმინაციის პერიოდს. დაპირისპირების ამ ეტაპზე დაშნაკებმა ცარიზმის გამოწვევას გამოწვევითვე უპასუხეს. რუსეთში „სისხლიანი ტერაქტების შედეგად, რომელიც ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა განსაკუთრებული სისასტიკით, ასეულობით რუსი მეფის მოხელე დაეცა სომეხი ტერორისტების ტყვიების, ხანჯლებისა და ბომბებისაგან. თვით მეფის ნაცვალი კავკასიაში, გოლიცინი, რომელიც მძიმედ დაიჭრა, ძლივს გადაურჩა სიკვდილს".[80] – აღნიშნავს თავის ნაშრომში სტეფან ჯონსი.

როგორც ვხედავთ, სომხები მართლაც წარმოადგენდნენ „პიონერებს", როგორც აღნიშნული იყო ჩვენს მიერ ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში წარმოდგენილ „სომხურ საკითხში", მაგრამ არა ცივილიზაციისა და კულტურის გამავრცელებლებისა, არამედ ექსტრემიზმისა და ტერორიზმისა.

დიახ, დაშნაკებმა, ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და აღსრულების ამ ნამდვილმა პიონერებმა, სულ მალე გამოამჟღავნეს თავისი რეალური სახე. ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ სომეხი ავტორის ციტატას წარმოვადგენთ. ცნობილი დაშნაკი მოღვაწე, კ. პაპაზიანი თავის მემუარულ ნაშრომში გულწრფელად აღიარებს: „თავისი მიზნების მიღწევისათვის, ტერორიზმი, როგორც პოლიტიკა და მეთოდი, თავდაპირველად დაშნაკცუტიუნის კავკასიის კომიტეტმა დანერგა".[81]

სწორედ დაშნაკთა სოციალისტური პარტიის ექსტრემისტულ–ტერორისტული საქმიანობა გახდა სომხების წინააღმდეგ ცარიზმის მიერ გატარებული მკაცრი პოლიტიკის რეალური მიზეზი და არა ზემოთ ხსენებული, ცარიზმის რაღაც „განსაკუთრებული ჩვეულება".

მსგავსი სცენარით განვითარდა მოქმედებები ოტომანთა იმპერიაშიც – ტერორისტული აქტები იმპერიის მაღალი რანგის მოხელეების წინააღმდეგ, მძევალთა აყვანა, იმპერიის არასომეხი მოსახლეობის მკვლელობები და ა.შ. და ა.შ. ისტორიული ფაქტები უამრავია. ტერორისტული აქტი თვით სულთნის – აბდულ ჰამიდის წინააღმდეგაც განხორციელდა, მაგრამ იგი

სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, ხოლო ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელი, დაშნაკთა პარტიის ერთ–ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი იდეოლოგიური მამა, ქრისტოფერ მიქაელიან–ელენი, თავისივე დამზადებული ყუმბარის აფეთქების შედეგად დაიღუპა 1905 წელს. ცხადია, ყველა ამ ზემოხსენებული ფაქტის გამომზეურებას სომხური ისტორიოგრაფია თავს არიდებს.

გამომდინარე ცარისტული აპარატის საპასუხო რეაქციიდან, დაშნაკებმა დროებითი კაპიტულაცია გამოაცხადეს. რეპრესიების კიდევ უფრო გამკაცრების თავიდან აცილების მიზნით კი, დაშნაკებმა მალე აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და 180^0–ით შეცვალეს თავისი პოლიტიკური კურსი ცარიზმთან მიმართებაში. შესაბამისად, ცარიზმის რეპრესიულმა აპარატმაც შეარბილა სომეხთა დევნა. ამ ახალი, სომხებთან კოოლაბორაციონისტული კურსის გატარებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი როლი ამიერკავკასიის ახლადდანიშნულმა მეფისნაცვალმა, გენერალ–ადიუტანტ გრაფ ილარიონ ვორონცოვ–დაშკოვმა ითამაშა, რომლის დამოკიდებულება სომხებისადმი ლოიალური, ხოლო მის მიერ გატარებული საერთო ამიერკავკასიური პოლიტიკაც, შესაბამისად უფრო მოქნილი გახდა.

დაშნაკთა ერთ–ერთი ლიდერი, პირწავარდნილი ნაციონალისტი და პროვოკატორი, ალექსანდრე ხატისოვი (სხვათა შორის ქალაქ თბილისის თავი 1917 წლიდან) ასე იმართლებდა თავს მეფისნაცვლის წინაშე და დაშნაკთა განხორციელებულ ტერაქტებსაც გადაუდებელ აუცილებლობად თვლიდა. ამონარიდი კიევში 1906 წელს გამოცემული წიგნიდან – Грузинско–Армянскія претензии и Закавказская революція:

„რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ სომხურ ბუნტს ასეთი გულახდილობით ხსნის დელეგატი ხატისოვი მეფის ნაცვლის საბჭოს წინაშე, რომელიც მოწვეული იყო სომეხთა და თათართა შერიგების მიზნით. ეს ახსნა–განმარტება „Новое время"–მ გადმობეჭდა გაზეთ „Кавказ"–დან და იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მთავრობის მხრიდან თურქეთის სომხებისადმი გამოჩენილმა გულგრილობამ, ვითომცდა უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა რუსეთის სომხები და „საიდუმლო–რევოლუციური" დაცვის მიზნით ჩამოაყალიბეს კბილებამდე შეიარაღებული საბრძოლო ორგანიზაცია „დაშნაკცუტიუნი". როდესაც თავად რუსეთში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა, სულაც არ არის გასაკვირი(!) რომ ხსენებულმა ანტირუსულად გარდაქმნილმა ორგანიზაციამ რუსულ რევოლუციასთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულმა განაგრძო სვლა, კავკასიაში კი იგი ადგილობრივი სომხების დასაცავად აღდგა, რადგან *ისინი უარეს მდგომარეობაში ჩავარდნენ, ვიდრე „თურქეთის სომხები"*. (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[82]

ასეთი იყო იმ პოლიტიკური თვალთმაქცობისა და ლავირების ხარისხი, რაც ასე დამახასიათებელი გახდა შემდეგ, საზოგადოდ, მთელი დაშნაკური მოძრაობისათვის.

მალე, ვორონცოვ–დაშკოვის მმართველობის პერიოდში, მართლაც „ოქროს ხანა" დაუდგათ დაშნაკებს. სწორედ ამ მომენტიდან ეყრება საფუძველი სომეხთა და რუსთა „საუკუნოვან სიყვარულსაც". ამ „სიყვარულის" წარმოშობასა და მიზეზებს შემდეგი არგუმენტებით ხსნის ცნობილი სომეხი პუბლიცისტი, ბ. იშხანიანი:

„რუსეთის სომხებისათვის რუსული სახელმწიფოებრიობის იდეა სისხლ–ხორცეულ საკითხად იქცა ჩვენს განაპირა მხარეში (На нашей окрайне – ა. ჩ.). არც ერთი სხვა ერი (ქართველებიც კი) ისე არ იყვნენ დაინტერესებულნი რუსული სახელმწიფოს სიძლიერესა და მის მძლავრ საფუძვლებში, როგორც სომხები. სომეხი ერის ფსიქოლოგიაში არსებული ეს ღრმა ტრადიცია *(რუსეთისადმი სიყვარული)* (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში – **Любовь к Росии** – ა. ჩ.) შედეგი იყო მთელი რიგი ისტორიული, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორებისა. აი, რატომ იყვნენ სომხები მზად, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით მხარი დაეჭირათ ძლიერი რუსული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ჩვენს განაპირა მხარეში. *მეორეხარისხოვანია ის საკითხი, თუ რა სისტემისა და რეჟიმის მიმდევარი იქნება რუსული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. ეს ამ რეფორმების პრობლემაა, რომელიც არაფერს არ წარმოადგენს იმ დილემასთან შედარებით, რომელსაც ჩვენს განაპირა მხარეში რუსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ყოფნა–არყოფნის საკითხი ჰქვია*". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[83]

სომეხთა აი ასეთი გაფეტიშებული ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობას ეყრებოდა საფუძველი რუსების მიმართ XX საუკუნის დასაწყისიდან. მოტანილი ციტატა იმითაც არის საინტერესო, რომ აქ სიტყვათა ერთობ საინტერესო წყობას ვხვდებით – На нашей окрайне.

აქ კიდევ ერთ დაშიფრულ სომხურ ეშმაკობას ვაწყდებით. ერთობ ბუნდოვანი და მრავლისმეტყველი გეოგრაფიული ცნებაა. ზემოთაც ვნახეთ, რომ გეოგრაფიული კატეგორიების ხელოვნური გაბუნდოვანებაც ერთობ დამახასიათებელი შტრიხია დაშნაკთათვის. ხსენებული წიგნი 1919 წელსაა დაწერილი და ჩვენდა გასაკვირად იგი ბაქოშია გამოცემული. ცხადია, ჩვენთვის უცნობია თუ რომელ თვეში გამოიცა იგი, მაგრამ 1919 წელი ზუსტად ის პერიოდია, როცა ამიერკავკასიაში ერთდროულად სამივე დამოუკიდებელი რესპუბლიკა არსებობდა, განსხვავებით თუნდაც 1918 ან 1920 წლებისაგან. მაშინ საინტერესოა, რას გულისხმობდა ბატონი ბ. იშხანიანი მეტად ბუნდოვან ტერმინ „Наша окрайна"–ს ქვეშ? – სომხეთს? აზერბაიჯანს? საქართველოს? თუ სამივე რესპუბლიკას ერთად? იქნებ მთელ კავკასიასაც? ან უფრო მეტსაც? კითხვის ნიშნები აქაც საკმარისზე მეტია.

იმ დასკვნაში კი აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონ შ. და ო. თეთვაძეებს, რომ *„ი. ვორონცოვ–დაშკოვმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით მფარველობის ქვეშ აიყვანა სომეხი ნაციონალისტები და სომხური ბურჟუაზია.* რუსეთის მთავრობას სომეხთა მიერ პოლიტიკურ

დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობა კი ფიქრადაც არ მოსდიოდა, ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა, სომეხთა ჩამოსახლება საქართველოს საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდათ. მაგრამ როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე დაიწყეს მსჯელობა, მაშინ უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ პოლიტიკოსებს ოსმალეთიდან სომეხთა საქართველოში გადმოსახლება, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, *...მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ–ეროვნული გეგმის, გაბნეული სომხებისათვის ერთიანი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საჭიროშენო ადგილები არჩეული...".* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[84]

ბატონ დავით ვაჩნაძის შეფასებით კი „ვორონცოვის პოლიტიკამ მოხერხებულად გამოიყენა ქართველი მამულიშვილური წრეების მოწინააღმდეგე ძალები: პოლიტიკური პირველობის მაძიებელი და „კლასთა ბრძოლის" მედროშე ქართველი მარქსელების პარტია, მრავლად მოკალათებული საქართველოში სომხის დალალობა და შუაგულ ქართლში ქართველების მამულ–დედულზე დამიზნებული, ხიზნებად ჩამოსახლებული ოსობა... ვორონცოვის პოლიტიკა ზურგს უმაგრებდა სომხების პრეტენზიებს, მიმართულს აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი ტერიტორიის ნაწილების მათ სასარგებლოდ ჩამოჭრაზე („თბილისის გუბერნიის გადამიჯვნის პროექტი".)[85]

სომეხთა რევოლუციური ფედერაციის – დაშნაკთა სოციალისტური პარტიის მეოთხე კონგრესზე, რომელიც ვენაში ჩატარდა 1907 წელს, პარტია მუშათა II ინტერნაციონალში გაერთიანდა. 1917 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემულ დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმის (მიღებულ იქნა 1907 წელს, პარტიის იგივე IV კონგრესზე, ვენაში) ჩვენთვის საინტერესო პუნქტებს კი შემდეგი სახე ჰქონდა:

„სომეხთა რევოლუციური პარტია დაშნაკცუტიუნი", როგორც რევოლუციური და სოციალისტური პარტია მიზნად ისახავს *სომეხი მშრომელი მასების კლასობრივი და ნაციონალური ინტერესების დაცვას,* (აქაც ერთობ საინტერესო სიტყვათა წყობაა – ა. ჩ.) რაც არსებული მონარქიის სახალხო მმართველობით, ხოლო კაპიტალიზმის, შრომის იარაღებისა და საშუალებების სოციალიზაციით შეცვლას ითვალისწინებს.

ხელმძღვანელობს რა სოციალისტური პრინციპებითა და იმ ოლქების რეალური საჭიროებებით, რომლებიც სომხებითაა დასახლებული, პარტია ხელმძღვანელობს შემდეგი მოთხოვნებით: (პროგრამა–minimum).

პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში.

ა) თურქეთის სომხეთისათვის:*

1. *თურქეთის სომხეთი წარმოადგენს კონსტიტუციური თურქეთის განუყოფელ ნაწილს* და სარგებლობს ფართო ადგილობრივი ავტონომიით.

* – 1907 წელს მიღებული პროგრამის ის ნაწილი, რომელიც თურქეთს ეკუთვნის, ომის შედეგების გათვალისწინებით შეიძლება შეიცვალოს.

2. *ოტომანთა ცენტრალური მთავრობა, ორგანიზებული კონსტიტუციურ და დემოკრატიულ საწყისებზე* განაგებს მთელი სახელმწიფოს საერთო საქმეებს – საგარეო პოლიტიკას, თავდაცვას, მონეტარულ სისტემას, ფოსტასა და ტელეგრაფს. სხვა სახელმწიფო ფუნქციებს ავტონომიური ოლქები განაგებენ.

ბ) ამიერკავკასიისათვის:

5. ამიერკავკასიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პირველი მეორეზე დამოკიდებულია სახელმწიფოს დაცვის, საგარეო პოლიტიკის, მონეტარულ და საბაჟო საკითხებში.

8. ამიერკავკასის რესპუბლიკა კანტონებად იყოფა, რომლებიც სარგებლობენ სრული ადგილობრივი ავტონომიით. კომუნები (თემები) სარგებლობენ თანაბარი უფლებებით შიდა საკითხებში.

9. *კანტონების საზღვრების დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ* (ალბათ იგულისხმება ეთნიკურ – ა. ჩ.) *და კულტურულ თავისებურებებს მოსახლეობის რაც შეიძლება ერთგვაროვანი ჯგუფების თავმოყრისათვის.*

11. პირდაპირი კანონმდებლობა: ინიციატივისა და რეფერენდუმის უფლება. საერთო ორივე ქვეყნისათვის:

14. ერის უფლება თავისუფალ თვითგამორკვევაზე – ყველა ნაციონალური და რელიგიური ჯგუფების სრული თანასწორობა. ყველა მემკვიდრეობითი პრივილეგიების გაუქმება.

16. გადაადგილების თავისუფლება: საპასპორტო რეჟიმის შეცვლა.

20. ორი მთავარი ადგილობრივი ენის აუცილებელი ცოდნა კანტონებისა და თემების თანამდებობის პირთათვის, და სამი ადგილობრივი ენისა – მთელი მხარის ადმინისტრაციისათვის. სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია.

21. *მუდმივი არმიის შეცვლა სახალხო მილიციით. იარაღის ტარების უნარის მქონე თითოეული მოქალაქე მონაწილეობს მილიციაში. მილიციონერები მოვალეობას იხდიან თავიანთ ოლქებში. მილიციის გაწვევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფოს თავისუფლებასა და ერთიანობას საფრთხე ემუქრება.* თითოეული მილიციონერი სამსახურის გავლის პერიოდში იღებს მინიმალური ხელფასის ოდენობის ანაზღაურებას''. (ხაზგასმები ჩვენია – ა. ჩ.)[86]

აი, ასეთი სახე ჰქონდა თბილისში 1917 წელს რუსულ ენაზე გამოცემული დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმის ჩვენთვის საინტერესო ძირითად პუნქტებს.

წარმოდგენილ დოკუმენტში, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული და მით უმეტეს, საგანგაშო თითქოს არაფერია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ამ პუნქტებს, მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივალთ. კერძოდ:

პრეამბულაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ დაშნაკთა პარტიის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ სომეხი ერისათვის ზრუნვაა. 1–ლ და მე–2 პუნქტებში ხაზგასმულია ოტომანთა იმპერიის კონსტიტუციურობა და დემოკრატიულობა(?!). ეს თემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უაღრესად საინტერესო და არაორდინარულია, იგი ცილდება ჩვენი კვლევის სფეროს და აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ, თუმცა გარკვეულ მიმოხილვას მაინც გავაკეთებთ. ამ საკითხთან მიმართებაში კი კიდევ ერთ ენციკლოპედიურ ჭეშმარიტებას წარმოვადგენთ:

„თურქეთის კონსტიტუციის გამოცხადება, 1908 წელს, სომეხთა მიერ ჭეშმარიტად მეგობრობის ახალი ერის დასაწყისად იქნა აღქმული. ახალგაზრდა თურქთა ადმინისტრაციამ (აქ იტიხადისტებსა და „ახალგაზრდა თურქთა“ ერთიანობისა და პროგრესის პარტიაზეა საუბარი – ა. ჩ.) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სომეხი ხალხის მდგომარეობა. პოლიტიკური დევნილები სახლებში დაბრუნდნენ და მათ ქონებაც დაუბრუნდათ. სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებამ აქამდე არნახულ დონეს მიაღწია. სომეხთათვის სამხედრო სამსახურსა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში დაშვების შესაძლებლობამ ახალი სტატუსი შესძინა მათ. რუსეთის ამიერკავკასიის სომხებიც არანაკლებ კეთილდღეობას განიცდიდნენ. საზღვრის ორივე მხარეს მაცხოვრებელი სომეხი ხალხი არასდროს არ ყოფილა ასე ერთიანი და გაფურჩქნული (Prosperous – ა. ჩ.)“.[87]

ეს ციტატაც ენციკლოპედია „Britanica“–დანაა მოყვანილი. ხოლო სომეხი საბჭოთა ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1975–1985 წლებში, ჯონ კირაკოსიანი გულწრფელად აღიარებს: „1911 წლისათვის დასავლეთ სომხეთში (ოსმალეთში – ა. ჩ.) 1083 სომხური სკოლა მოქმედებდა, რომლებშიც 80 ათასი ბიჭი და 30 ათასი გოგონა სწავლობდა“.[88] მართლაც მრავლისმეტყველი ციფრებია.

დაშნაკურ–იტიხადისტური ერთიანობისა და ჰარმონიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დაშნაკთა პარტიის ერთ–ერთი ლიდერის, ატომ შახრიკიანის შემდეგი სიტყვები, რომელიც 1910 წელსაა წარმოთქმული: „არც ერთი სხვა ერი, გარდა სომეხი ერისა, თავისი განვითარების გეოგრაფიული, ეთნიკური, ისტორიული პირობებით ისე არაა დაინტერესებული იმაში, რომ ***უყვარდეს და დაიცვას*** (ზუსტად ასეა ტექსტში – **Любить и защищать** – ა. ჩ.) ოსმალური კავშირი. კავშირის თითოეული

წევრის, განსაკუთრებით კი სომეხი ერის ინტერესები მოითხოვენ, რომ დაეხმაროთ ამ სახელმწიფოს აღორძინებისა და განვითარების საქმეში".[89]

აი, ასეთი, რუსების შემდეგ „მეორე დიდი სიყვარული" ჩაისახა სომხებსა და ოსმალებს შორის უკვე 1909 წლიდან, თურქეთის ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქების" (იტიხადისტების) მოსვლის შემდეგ. ერთობ „მოსიყვარულე" ხალხად იქცნენ უცებ სომხები XX საუკუნის 10–იან წლებში. თვით სტეფანე ზორიან–როსტომიც კი, ლონდონში ყოფნისას საზეიმოდ აცხადებდა:

„გარწმუნებთ, რომ თურქეთის სომხეთის სომეხ მოსახლეობას არასდროს არ ჰქონია ასეთი მშვიდი და უსაფრთხო ცხოვრება, როგორც ეს 1909 წლიდან, ახალი რეჟიმის პირობებში იყო. მე ვცხოვრობდი ამ ქვეყანაში და პირადად დავრწმუნდი ამაში".[90] როგორც ვხედავთ, 1910 წლისათვის რუსეთის იმპერიის მსგავსად, აქაც სომხურ–თურქული ურთიერთობების სრული იდილიის სურათი გვაქვს სახეზე.

ასეთ ოაზისურ პირობებში აღმოჩნდნენ სომხები თურქეთის ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქთა" მოსვლისთანავე, რომლებმაც სომეხ დაშნაკებს გასულ წლებში იმპერიის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაული აპატიეს. „ახალგაზრდა თურქთა" იმპერიის სომეხი მოსახლეობისადმი მინიჭებული სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული ავტონომიის ხარისხი კი იმდენად მაღალი იყო, რომ იგი დღევანდელი, XXI საუკუნის დემოკრატიისთვისაც კი სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ნიშანდობლივ მომენტს გამოვყოფთ:

1. მხოლოდ და მხოლოდ სომხებისათვის შენარჩუნებული და დაცული იყო ეროვნებისა და გვარ–სახელების ჩაწერა პირადობის დამადასტურებელ საბუთებში.
2. ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე სრულდებოდა სომხური ტიპიკონი.
3. ფუნქციონირებდა ასეულობით სომხური სკოლა, სადაც სწავლა–განათლება სომხურ ენაზე მიმდინარეობდა.
4. სომხურ ენაზე გამოდიოდა მრავალი გაზეთი. სომხურ ენაზე იბეჭდებოდა წიგნები.
5. ვითარდებოდა და იფურჩქნებოდა სომხური კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგი.
6. და რაც მთავარია – აბსოლუტურად შეუზღუდავი იყო სომეხთათვის იმპერიის სახელმწიფო–ადმინისტრაციული აპარატისა და სამხედრო კარიერის ნებისმიერი საფეხურის დაკავების შესაძლებლობა და პერსპექტივა. სწორედ ამ უფლებების რეალიზაცია იყო ის, რომ თურქეთის პარლამენტში XX საუკუნის 10–იან წლებში მნიშვნელოვანი იყო სომეხი ეროვნების დეპუტატთა რიცხვი, ხოლო სომხებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, თვითმმართველობის ორგანოებში

საპასუხისმგებლო პოსტები მხოლოდ სომეხი ეროვნების წარმომად-გენლებზე მოდიოდა.

ალბათ ეს ჩამონათვალიც საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ სომხური აგრესიული სეპარატიზმი და ექსპანსიონისტური მისწრაფებები თუნდაც ოტომანთა იმპერიაში არ იყო გამოწვეული სომეხთა მძიმე და აუტანელი მდგომარეობით, რის დახატვასაც ახლა ცდილობენ სომეხი და პროსომეხი ვაი-მეცნიერები და პროეკატორი ავტორები. ის მოსაზრებაც, თითქოს თურქეთის სომხური მოსახლეობა რელიგიურ, ეროვნულ ან სოციალურ ჩაგვრასა და დევნას განიცდიდა – მტკნარი სიცრუეა. მტკნარი სიცრუეა ისიც, თითქოს XX საუკუნის დასაწყისის სომხურ-აზერბაიჯანულ ან სომხურ-თურქულ პერმანენტულ ტერიტორიულ დავებს რელიგიური სარჩული ედო საფუძვლად და სომხები თავისი სარწუნოებისა და ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის იბრძოდნენ და იბრძვიან. და საერთოდ, ტოტალურ სიცრუეზეა დაფუძნებული სომეხი დაშნაკების მთელი იდეოლოგია, ამ იდეოლოგიის სტრატეგიული ხაზიც და მისი მოქმედებების ტაქტიკაც.

ასეთი სასტარტო პირობებით შეხვდნენ სომეხი ნაციონალისტები ახალი ერის დადგომას. აქ ჩვენ, XX საუკუნის 10-იანი წლები და I მსოფლიო ომის დაწყება გვაქვს მხედველობაში.

დავუბრუნდეთ დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმის ჩვენთვის საინტერესო და მეტად ნიშანდობლივ პუნქტებს.

მე-8, მე-9 და მე-11 პუნქტების მიხედვით ამიერკავკასია თანაბარი უფლებების მქონე კანტონებად უნდა დაიყოს, რაც ერთი შეხედვით, მართლაც ძალიან დემოკრატიულად ჟღერს, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ კანტონებში უნდა გაერთიანდნენ ლოკალური უმრავლესობის მქონე ეროვნული ჯგუფები. უფრო ზუსტად, ამ ე.წ. „კანტონების" საზღვრები შემოიწერება არსებული მომენტისათვის მცხოვრები ეროვნებების მხოლოდ და მხოლოდ რეალური რაოდენობის მიხედვით და ეს პროცესი „ინიციატივისა" და „რეფერენდუმის" გზით უნდა განხორციელდეს. მაგრამ აქ არ არის მითითებული ვისი „ინიციატივით" უნდა ჩატარდეს ეს ე.წ. „რეფერენდუმი". რაც ყველაზე საინტერესოა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპმა თანაბრად უნდა იმუშაოს როგორც თურქეთის, ასევე რუსეთის (ამიერკავკასიის) ტერიტორიაზე.

მე-14 პუნქტის მოთხოვნები აშკარად ფორმალური ხარკის მოხდაა სოციალისტური იდეალებისადმი და კიდევ ერთი ნათელი მაგალითი დაშნაკი ნაციონალისტების ცუდად შენიღბული ხრიკებისა. რომელ „ნაციონალურ და რელიგიურ ჯგუფებზე" შეიძლებოდა საუბარი მონოეთნიკურ „დიად არმენიაში".

მე-16 პუნქტის მიხედვით სომხებით დასახლებულ კანტონებს შორის, მიუხედავად იმისა, ისინი თურქეთში იქნებიან თუ ამიერკავკასიაში, საპასპორტო რეჟიმი უნდა გაუქმდეს (გავიხსენოთ გრ. ჩალხუშიანის

მოთხოვნების ერთ–ერთი პუნქტი ი. ვორონცოვ–დაშკოვისადმი), ანუ, განხორციელდეს სომეხთა შეუზღუდავი მიმოსვლა და ყოველგვარი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებთან, რაც საერთო ჯაშში, კონკრეტული მომენტისათვის სომეხი მოსახლეობის ლოკალური უმრავლესობის ხელოვნურად შექმნისა და ლოკალური დომინირების შესაძლებლობას იძლევა.

მე–20 პუნქტი დაშნაკთა პარტიის პროგრამის ალბათ ყველაზე უფრო შენილბული და დაშიფრული ელემენტია. ამ პუნქტში აშკარად სპეციალურად აღრეული ისეთი ფუნდამენტური პოლიტიკურ–ადმინისტრაციული და გეოგრაფიული კატეგორიები, როგორიცაა თემი, კანტონი, მხარე, სახელმწიფო. ორი ენის ცოდნაში ალბათ სომხურისა და თურქულის ცოდნა იგულისხმება ოტომანთა იმპერიაში მცხოვრები სომხებისათვის. სომხურისა და რუსულის ცოდნა – რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სომხებისათვის. ხოლო სამი ენის ცოდნაში, შესაბამისად – სომხური, თურქული და რუსული ენების ცოდნა. მაგრამ სრულიად გაუგებარია პროგრამა მინიმუმის ამ პუნქტის ბოლო წინადადება – „Государственный языкъ обязателенъ". ძალიან საინტერესოა, კიდევ რომელი სახელმწიფოს რომელ სახელმწიფო ენის ცოდნაზეა საუბარი? ყველა ზემოთ დასმული კითხვა რიტორიკულია და მასზე შესაბამისი პასუხების მოძებნა მკითხველისათვის მიგვინდვია.

21–ე პუნქტის მიხედვით სომეხთათვის უქმდება რეგულარულ ჯარში სამსახური, ე.ი. სომეხი ეროვნების მქონე პირები თავიანთი ქვეყნების (თურქეთისა და რუსეთის) წინაშე თავიდან იცილებენ ნებისმიერი ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის პირველად და წმიდათაწმინდა მოვალეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტია თავისი პროგრამის დონეზე მოითხოვდა თითოეული სომეხისაგან მასიურ ეროვნულ დეზერტირობას. სამაგიეროდ, საჭიროების შემთხვევაში, სრული მობილიზაცია ცხადდება იარაღის ტარების უნარის მქონე თითოეული სომეხი ეროვნების მქონე მოქალაქისათვის. ე.ი. „საჭიროების" შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განუზომლად დიდი რაოდენობის სამხედრო კონტინგენტის მობილიზაცია. მაგრამ აქ არ არის განსაზღვრული თუ ვინ, რა შემთხვევაში და რომელი ორგანო აცხადებს სრულ ეროვნულ მობილიზაციას. და რაც მთავარია, ეს ე.წ. „მილიციონერები" თავის სამხედრო მოვალეობას იხდიან მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ „ნაციონალურ კანტონებში". დასმულ რიტორიკულ კითხვებსაც, ცხადია, შემდეგი პასუხი მოეძებნება:

საყოველთაო მობილიზაციის საჭიროებას, რა თქმა უნდა, სომეხ დაშნაკთა სოციალისტური პარტია და მისი მთავარი ბიურო განსაზღვრავს. პარტიის მთავარი ბიურო კი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს მაშინ, იქ და ისეთ მასშტაბებით, როდესაც, როგორც და სადაც ამას ჩათვლის იგი საჭიროდ. აი, სწორედ აქაა ძაღლის თავი ჩამარხული...

ყოველივე ზემოთქმულისა და ყველა წყალქვეშა დინების გაშიფვრის შემდეგ, ვიღებთ შემდეგ დასრულებულ სურათს:

1907 (და 1917 წელსაც) წლისათვის დაშნაკთა პარტია, ანუ, სომეხთა ყველაზე უფრო რეაქციული და ნაციონალისტური მოძრაობის იდეოლოგიური ფორპოსტი, ოტომანთა იმპერიის კონსტიტუციურ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ თვლიდა, ცარისტული რუსეთისაგან განსხვავებით. მიზეზებზე ზემოთ გვქონდა საუბარი. პარტია 1907 წლის მდგომარეობით აშკარად აღიარებდა ოტომანთა იმპერიის ურღვევობას, თუმცა, 1917 წელს დამატებული შენიშვნის ძალით, I მსოფლიო ომის შედეგების გათვალისწინებაა დაშვებული. ყბადაღებული „რეალური მოსახლეობისა“ და „ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპებიდან" გამომდინარე, ეროვნული კანტონების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა სომეხი ეროვნების მქონე მოსახლეობის ლოკალური სიჭარბის მიღწევა ამიერკავკასიისა და ოტომანთა იმპერიის ტერიტორიების განსაზღვრულ რეგიონებში (რეალური მოსახლეობის პრინციპი) და აქედან გამომდინარე, „დიადი არმენიის" ელემენტების შექმნა. ამ ელემენტებს შორის ურთიერთობები და მიმოსვლა თავისუფალი და შეუზღუდავი უნდა იყოს. შემდეგ კი, „საერთო რეფერენდუმით“ (ერთა თვითგამორკვევის პრინციპი) მოხდება თითოეული ამ ელემენტის ლეგიტიმაცია და შეერთება. აქედან კი ვირტუალური მონოეთნიკური სახელმწიფოს შეკოწიწებამდე ერთი ნაბიჯია.

სწორედ ყოველივე ზემოთქმული იყო მიზეზი იმისა, რომ რაც უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს ოფიციალურად დააყენა სომეხი ლტოლვილების ახალქალაქის მაზრიდან უკან, ახლადგაჩენილ სომხურ სახელმწიფოში დაბრუნების საკითხი, სომხეთის მთავრობამ უარი განაცხადა თავისი ხალხის მიღებაზე. სომხეთის მთავრობის ასეთი პოზიციის მიზეზების შესახებ გაზეთი „ერთობის" რედაქცია სამართლიანად აღნიშნავდა:

„ლტოლვილთა მიღებაზე დაშნაკელებმა უარი განაცხადეს, რადგან ისინი ხელმძღვანელობდნენ „დიდი სომხეთის" იდეით, ეშინოდათ ახალქალაქის მაზრაში სომეხ მცხოვრებთა რიცხვი შემცირებულიყო... მათ აზრად ჰქონდათ მომავალში ახალქალაქის მაზრაზე პრეტენზია გამოეცხადებინათ და ამ განზრახვაზე როგორ აიღებდნენ ხელს". იგივე გაზეთის მეორე სტატიაში კი გარკვევითაა ნათქვამი, რომ *„სომეხი ლტოლვილნი (დაშნაკთათვის) ის მძიმე არტილერიაა, რომლის ყუმბარები მათი აზრით საქართველოს რესპუბლიკას შიგ გულში ხვდება!* და განა ამაზე ხელს აიღებენ?" (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).[91]

ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ თავი შეიკავა გადამწყვეტი ზომების გატარებისაგან და სომეხი ლტოლვილები ახალქალაქის მაზრაში დატოვა, რითაც საქართველოს მომავლისა და ქართველთათვის საბედისწერო და მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. თუ რა შედეგები მოჰყვა ამ ერთი შეხედვით ჰუმანურ, რეალურად კი ყოვლად უპასუხისმგებლო და ანტიეროვნულ გადაწყვეტილებას, ეს უკვე საუკუნის შემდეგ გაცხადდა სრულად დღევანდელ საქართველოში. ჯავახეთის საკითხი კიდევ ერთი დიდი

ანტიქართული ნაღმია დღევანდელ ქართულ სინამდვილეში, რომლის დამანგრეველ შედეგებს სულ მალე მოიმკის საქართველო...

ახალქალაქისაგან განსხვავებით, იგივე 1918 წელს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ უდავოდ მართებული და გადამჭრელი ზომები გაატარა კახეთში, ლაგოდეხის რაიონში თავმოყრილ სომეხ ლტოლვილებთან მიმართებაში, რითაც ეფექტურად აღკვეთა სომხური ექსპანსიის მორიგი მცდელობა საქართველოს კიდევ ერთ რეგიონში. ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად ზუსტად აღნიშნავს თანამედროვე აზერბაიჯანელი მკვლევარი, ბახტიარ ნაჯაფოვი:

„როდესაც 1918 წლის ივლისში სომხები შეეცადნენ 15 ათასი ლტოლვილი ჩაესახლებინათ ლაგოდეხში, ისინი ქართველების მკვეთრ წინააღმდეგობას წააწყდნენ, რომლებმაც საჯარისო ნაწილების მეშვეობით ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიების გარეშე გარეკეს ისინი". შემდეგ კი აგრძელებს: „თუ წარსულის მწარე გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები სწორად მოიქცნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს სომეხთა მიერ ლაგოდეხიც „ძირძველ სომხურ მიწად" იქნებოდა გამოცხადებული და იგი მეორე ყარაბაღად გაღაიქცეოდა".[92] აბსოლუტურად ვეთანხმებით ავტორის ისტორიულად გამართლებულ დასკვნას.

დავუბრუნდეთ დაშნაკური იდეოლოგიის ფუძემდებლურ თეზისებს. დაშნაკური ექსპანსიონიზმის სტრატეგიულ ხაზთან დაკავშირებულ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მრავლისმეტყველ კითხვას კი შემდეგი სახე აქვს – როგორ უნდა მოხდეს ამიერკავკასიასა და თურქეთის აღმოსავლურ ვილაიეთებში სომხური ეთნოსის სიჭარბის შექმნა?

აი, აქ კი, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო საინტერესო და „სათუთ" პუნქტსაც მივადექით.

დასმული კითხვის პასუხი გენიალურად მარტივია: საჭიროა ამ სიჭარბის შექმნა სადაც შესაძლებელია ნებაყოფლობით, მშვიდობიანი გზითა და დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხელოვნური მანიპულაციებით, სადაც კი ეს არაა შესაძლებელი – ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის გასახლებისა და ლიკვიდაციის, დიახ ლიკვიდაციის გზით. გავიხსენოთ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ბატონ გრ. ჩალხუშიანის ფილოსოფია ამ საკითხთან დაკავშირებით სომეხთათვის არასასურველი გარემოს, პირობებისა და ვითარების მოსპობის შესახებ. ანუ, პირდაპირ რომ ითქვას, მეზობელი ხალხების დევნა–გასახლებისა და ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, დაშნაკთა პარტია და მისი მთავარი ბიურო საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე, „სახელმწიფოს (რომელი სახელმწიფოს? არარსებული „დიადი არმენიის"?) თავისუფლებისა და ერთიანობის" დაცვის ლოზუნგით აღჭურვილი, სომხური ეთნოსის საყოველთაო მობილიზაციას გამოაცხადებს.

როგორც ვხედავთ, უკვე აშკარად გამოიკვეთა უკიდურესი, უაღრესად აგრესიული და საშიში სომხურ–დაშნაკური ექსპანსიონიზმისა და ულტრანაციონალისტური სეპარატიზმის კონტურები.

სოციალისტურ იდეოლოგიაზე ფორმალური დაყრდნობით, რეალურად კი მკვეთრად ულტრანაციონალისტური ქმედებებით აი, ასე მარტივად მოხდება ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიების სომეხთა მიერ ათვისება (რისი დიდი გამოცდილებაც მათ ასე უხვად ჰქონდათ წარსულშიც და აქვთ აწმყოშიც) და შესაბამისად — ,,დიადი არმენიის'' შეკოწიწება.

ამ მიმართებით ზუსტად ახასიათებს დაშნაკთა მოქმედებების სტრატეგიულ ხაზსა და პარტიული იდეოლოგიის არაბუნებრივ სინთეზს სტეფან ჯონსი — *„პარტიის სტრატეგია ყოველთვის იყო ნაციონალიზმისა და სოციალიზმის კომბინაცია. პარტიის თეორეტიკოსების აზრით, მხოლოდ საკუთარი ერის ინტერესების გატარება იყო მათი მთავარი მიზნის — სოციალიზმისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა.* სომეხი, რომელიც არ იყო ნამდვილი სოციალისტი, (ე.ი. დაშნაკი ნაციონალისტი — ა. ჩ.) არ შეიძლება ყოფილიყო ჭეშმარიტი პატრიოტი''. (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).[93]

თავისთავად ცხადია, რომ დაშნაკთა მოქმედებების დიდი სტრატეგიული ხაზი ულტრანაციონალისტური, ხოლო ტაქტიკა — ერთდროულად ნაროდნიკული, სოციალისტური და ნაციონალისტური იყო, გააჩნია არსებულ ვითარებებსა და შექმნილ სიტუაციას. უფრო გასაგებად, მარტივად და პირდაპირ რომ ითქვას, ეს იყო არასომხური, ძირითადში მუსულმანური მოსახლეობის დევნის, ძარცვა—გლეჯის, მათთან სისხლიანი ანგარიშსწორებისა და პოლიტიკური ტერორისტული აქტების განხორციელების ტაქტიკა. ცალსახად აღსანიშნავია, რომ ტერორი, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ტერორისტული აქტების განხორციელება, იყო და დღესაც რჩება დიდი დაშნაკური იდეოლოგიის არსებობისა და აქტივობის ბუნებრივ ფორმად.

რაც შეეხება პოლიტიკურ ტერაქტებს, ისინი მხოლოდ ცარისტი ან ოტომანი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ კი არა, იშვიათად, საკუთარი თანამემამულეების წინააღმდეგაც იგეგმებოდა და ხორციელდებოდა. ამ ტერაქტების მსხვერპლნი ის სომხები გამხდარან, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ დაშნაკთა იდეოლოგიას და პარტიის სისხლიან საქმიანობას, ან უარს ამბობდნენ პარტიისთვის ფინანსური დახმარებების გაწევაზე. ერთობ ნიშანდობლივია, რომ დაშნაკებმა ტერაქტის შედეგად იმქვეყნად გაისტუმრეს დამოუკიდებელი სომხეთის პირველი ფინანსთა მინისტრი ხაჩატურ ხარჩიკიანი, რომელსაც მანამდე ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობაში შესაბამისი მინისტრის პოსტი ეკავა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ეს პოლიტიკური ტერაქტი სწორედ სომხეთ—საქართველოს ომის მსვლელობისას განხორციელდა ერევანში.

ზოგადად კი დაშნაკთა მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების შესახებ ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს ტერაქტები არ ხორციელდებოდა წმინდათ ,,კლასობრივი მტრების'' წინააღმდეგ, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. იმდენად, რამდენადაც დაშნაკური მოძრაობა მკაცრად მონოეთნიკური იყო, აქედან გამომდინარე, დაშნაკთა მთელი აქტივობაც

რეალურად ყველა არასომეხის ლიკვიდაციაში გამოიხატებოდა. რევოლუცია, სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი ის მოხერხებული და მოდური შირმა გამოდგა, რომლის უკან ამოფარებული დაშნაკებიც თავიანთ „დიდ სომხურ" სისხლიან საქმეს აკეთებდნენ.

სწორედ ასეთი კაცთმოძულეობისა და სხვა ერებისადმი შეუწყნარებლობის იდეოლოგია იყო და არის დაშნაკური „ფილოსოფიის" ქვაკუთხედი, რომელიც თავის მხრივ „სომხური საკითხის" გადაჭრის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ერთი საუკუნის წინაც და წარმოადგენს დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისისათვის. ყოველივე ეს კი ათასგვარი დემოკრატიული, ჰუმანური, სოციალური და კულტურული ინსტიტუტების შირმით ინილბებოდა მაშინაც და ინილბება ახლაც.

რუსებსა და თურქებთან „საუკუნო სიყვარულის" ფიცით შეკრულმა სომხებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს ეს იდილიური დამოკიდებულება. სულ მალე, „ახალგაზრდა თურქებთან" ალიანსში შესულმა დაშნაკებმა, რუსეთთან პარალელურად, ოტომანთა იმპერიაშიც მოახერხეს სომხებისადმი დამოკიდებულების კარდინალურად შეცვლა. საერთაშორისო დაძაბულობის ზრდისა და I მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად, დაშნაკთა ულტრანაციონალისტურმა განწყობებმა და მადამ შესაბამისად მოიმატა და პარტიამ სომეხი ერი კიდევ უფრო საშიშ პოლიტიკურ თამაშებში ჩააბა, ვიდრე ეს საუკუნის დასაწყისში იყო.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტრატეგიული საგარეო ხაზიდან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე, I მსოფლიო ომის წინ, გლობალურად ისევ აგორდა დიდი პროსომხური ტალღა. ევროპის შესაბამისი დაინტერესებული წრეების მხრიდან დაშნაკი პარტიული აქტივისტებისა და დაშნაკური საბრძოლო–ტერორისტული ჯგუფების იდეოლოგიური მხარდაჭერა და დახმარებების გაწევა დაიწყო ფინანსებით, შეიარაღებითა და ა.შ. ჯონ კირაკოსიანი:

„დაწყებული 1912–1913 წლებიდან პრესის ფურცლებზე კვლავ გაჩნდა პუბლიკაციები და მოსაზრებები, რომ საფრანგეთმა, ინგლისმა და რუსეთმა ორგანიზება უნდა გაუკეთონ დახმარებებს, უნდა მოამარაგონ სომხები იარაღითა და ფულით, შეიყვანონ ჯარები და გაათავისუფლონ სომხები თურქთა ბატონობისაგან".[94]

ამ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტები და თვით სომხური ეკლესია. უფრო მეტიც, სომხური ეკლესიები დაშნაკთა ფარული შეხვედრების ადგილებად და იარაღის საწყობებად გამოიყენებოდა. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დაწყებამდე ფიქსირდება ის დიდი ფინანსური დახმარებები, რასაც ეს პოლიტიკური წრეები და გავლენიანი საზღვარგარეთული სომხური დიასპორები იჩენდნენ დაშნაკური საბრძოლო რაზმების მომზადებისა და შეიარაღებისათვის. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ დოკუმენტს. ესაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ბოსტონში გამომავალი სომეხთა ნაციონალისტური გაზეთის „ჰაირენიკის" 1913 წლის

20 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ამიერკავკასიის სომეხთა ნაციონალური საბჭოს სამადლობელი ტელეგრამა დაშნაკთა ამერიკის ბოსტონის კომიტეტი– სადმი. ტელეგრამას შემდეგი ლაკონური ტექსტი ჰქონდა:

„თბილისი. 16 მარტი. 1913 წელი. სომეხთა ფედერაციის ბოსტონის ალმოსავლურ კომიტეტს. 47061 მანეთი და 11 კაპიკი მივიღეთ. მადლობა ბიუროსა და მოხალისეების (საბრძოლო–ტერორისტული ჯგუფები – ა. ჩ.) მხარდაჭერისათვის. მღვდელი მესროპი".[95]

რუსული ყოვლადმყრობელური პოლიტიკისათვის კი, I მსოფლიო ომის წინ „სომხური საკითხის" ხელმეორედ წამოწევა სწორედ ის კოზირი გახლდათ, რაც პანსლავიზმის ცარისტული იდეოლოგებისათვის საუკუნოვანი იმპერიული ოცნების – კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ გზაზე რუსული აგრესიის გამამართლებელ საბაბად უნდა ქცეულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავდა გერმანიის ელჩი კონსტანტინოპოლში, ვანენჰაიმი, 1913 წლის 10 ივნისს: „სომხური საკითხი – ის გასაღებია, რომელმაც სრუტეები უნდა გახსნას რუსეთისათვის".[96]

საერთო ჯამში, 1914 წლის ივლისისათვის, არზრუმში გამართულ პარტიის VIII საიდუმლო ყრილობაზე დაშნაკებმა მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღეს დადგენილება – „ადგილებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სომეხი მოსახლეობის საიდუმლო შეიარაღება".[97]

თავისთავად ცხადია, რომ ამ პერიოდისათვის „თურქეთის სომხეთში" მკვეთრად გაიზარდა რუსეთის პოლიტიკის აშკარად ძირგამომთხრელი საქმიანობაც და გლობალური მასშტაბით ოტომანთა იმპერია ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა მოქცეული. ამ თვალსაზრისით ინტერესს არაა მოკლებული „ოტომანთა იმპერიის გენერალური შტაბის უფროსის, *გენერალ ფონ ლიმანის* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) მემუარი, რომელიც 1921 წლის 4 ივნისის „Deutche algemaine zeitung"–ში გამოქვეყნდა:

„სომხებით დასახლებული ადგილებიდან ჩვენს ხელთ მოხვედრილი სააგიტაციო ფურცლებიდან, ძირგამომთხრელი ბროშურებიდან, საბრძოლო მასალებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ამოღებით მტკიცდება, რომ აჯანყება რუსების დახმარებით მზადდებოდა. სტამბოლში სომეხთა მიერ თურქეთის მაღალი ჩინის სახელმწიფო მოღვაწეებსა და სამხედრო პირებზე იგეგმებოდა ტერორისტული აქტები..."[98]

ამ ამონარიდში აშკარად შეცდომითაა დასახელებული ოტომანთა იმპერიის გენერალური შტაბის უფროსის გვარი. უნდა იყოს – გენერალი ბრონზარტ ფონ შელენდორფი. ხოლო რაც შეეხება „გენერალ ფონ ლიმანს" – გენერალი ლიმან ფონ სანდერსი თურქეთში გერმანიის საიმპერატორო ჯარების მისიის ხელმძღვანელი და ერთდროულად ოტომანთა იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორი იყო.[99]

ისიც ისტორიული ფაქტია, რომ ჯერ კიდევ I მსოფლიო ომამდე, 1914 წლის დასაწყისისათვის, მუსა–დაღის ავანტიურისტულ შეტაკებაში

დამარცხების შემდეგ, ფრანგული გემებით იქნა ევაკუირებული ერთ–ერთი სომხური ტერორისტული საბრძოლო რაზმის ნარჩენები პორტ–საიდში. სწორედ მათ ბაზაზე მოხდა შემდეგ სომხური „აღმოსავლური ლეგიონის" ფორმირება და დაიწყო ინტენსიური საბრძოლო წვრთნები საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ. ინგლისელების დახმარებით კი ბევრი მათგანი ბალკანეთში, სალონიკში, სამხედრო სასწავლებლებში გაიგზავნა.

საბოლოოდ, უკვე I მსოფლიო ომის მსვლელობისას, სამხედრო ბაზაზე, ფამაგუსტადან (კვიპროსი) 58 კილომეტრში ჩამოყალიბდა სომხური „აღმოსავლეთის ლეგიონი", რომელიც პალესტინის ფრონტზე გაიგზავნა და იგი ბრიტანელი გენერლის, ალენბაის შენაერთში იქნა ჩართული.[100] ამ ინფორმაციის წყარო, სომეხი ავტორის, ლუის ნალბანდიანის სტატიაა. და აი, უკვე პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის, პარიზში გამომავალი ჟურნალ „ჰუნჩაკის" მოწინავე სტატიის მოწოდებაც მსოფლიოს სრულიად სომეხთა მიმართ:

„სრულიად სომეხმა ხალხმა უნდა მოუხმოს თავის მორალურ და მატერიალურ ნებას და მაღლა ასწიოს რევოლუციის მახვილი! სრულიად სომხეთი უნდა ჩაერთოს ამ მსოფლიო კონფლიქტში, როგორც ანტანტისა და განსაკუთრებით რუსეთის იარაღის ამხანაგი. ისინი უნდა გაერთიანდნენ და სრული სარგებელი უნდა მიიღონ იმ საბოლოო გამარჯვებისაგან, რასაც სომხეთი, ქილიკია, კავკასია მიაღწევს... იმ გმირების სისხლისაგან, რომლებიც მსხვერპლად შეეწირებიან ამ დიად სომხურ საქმეს... და სომხეთი იამაყებს დიადი სომხური საქმისათვის დაღვრილი მათი სისხლით".[101]

მაგრამ ეს ყველაფერი 1914 წელს იყო, მანამდე კი დაშნაკურმა „საბრძოლო რაზმებმა" ჩამოყალიბებისა და განვითარების გრძელი, წინააღმდეგობებით აღსავსე და სისხლიანი გზა განვლეს...

§6. დაშნაკური მოძრაობის საბრძოლო–ტერორისტული რაზმები და მათი ლეგენდარული ბელადები

XIX საუკუნის 90–იანი წლებიდან ამიერკავკასიაში, ე.წ. „რუსეთის სომხეთში" ინტენსიურად დაიწყო სომეხთა საბრძოლო–ტერორისტული რაზმების (ხუმბების) ჩამოყალიბება, რომლებსაც არჩეული ბელადი–

წინამძღოლები (ხუმბაპეტები) ჩაუდგნენ სათავეში. დაშნაკთა პარტბიუროს მითითებით, ინტენსიურად დაიწყო ამ რაზმების საიდუმლოდ გადაგზავნა ოსმალთა ტერიტორიებზე.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ სომხური საბრძოლო–ტერორისტული რაზმების აქტივობა მათი „მოღვაწეობის" საწყის ეტაპზე არა თურქების, არამედ იმპერიის სხვა არაქრისტიანი ხალხების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს განსაკუთრებით ქურთებს ეხებათ, რამდენადაც ამ ორი ხალხის გეოგრაფიული საცხოვრისი ოტომანტა იმპერიაში პრაქტიკულად ერთად მდებარეობდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტების კონსტატირებას სომეხი ავტორები დღეს უკვე თავს არიდებენ. დაშნაკთა ეს „საბრძოლო აქტივობები" ქურთული დასახლებებისა და სოფლების აწიოკებითა და ძარცვა–გლეჯით იწყებოდა და მათთან შეიარაღებული შეტაკებებით სრულდებოდა. მდგომარეობის გართულებისას კი სასწრაფოდ ტოვებდნენ შეტაკების ადგილებს და როგორც წესი, თავს ისევ „რუსეთის სომხეთს" აფარებდნენ, ხოლო ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას ქურთებისა და თურქული ადმინისტრაციის ადეკვატური შურისძიებისათვის წირავდნენ. სომეხი ავტორი ჰრაჩ დასნაბედიანი:

„თბილისში სომხური ორგანიზაციები იქმნებოდა. მათი წევრები პერიოდულად ჩადიოდნენ ოტომანთა სომხეთში, რათა უკეთ გაცნობოდნენ არსებულ სიტუაციას, იქ მაცხოვრებელი სომხების განწყობას. საზღვრის ორივე მხარეს ისინი სამხედრო რაზმებს, „დროშაკებს" ქმნიდნენ. დასაელეთ სომხეთის სხვადასხვა რეგიონში „ბანდიტთა" (brigands – ა. ჩ.) ბანდები და პარტიზანთა რაზმები მოქმედებდნენ ან იქმნებოდნენ... რუსეთის ქალაქები – მოსკოვი, სანკტ–პეტერბურგი და თბილისი სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. 1890 წელს, სარქის გუგუნიანმა, სანკტ–პეტერბურგელმა სტუდენტმა, 125 კაციანი შეიარაღებულ პატრიოტთა რაზმი შექმნა და ყარსის გზით თურქეთის სომხეთში გადავიდა".[102] იგივე ფაქტოლოგიურ მასალასთან დაკავშირებით კი პეტრე გელეიშვილი (ყარიბი) წერს:

„1890 წლის სექტემბრის ბოლოს თურქეთში რუსეთიდან გადასული პირველი ასეთი ერთეული, კუკუჯანიანის (უნდა იყოს გუგუნიანის – ა. ჩ.) რევოლუციური ჯგუფი გამოჩნდა, რომელმაც ქურთებთან მცირე შეტაკების შემდეგ, სასწრაფოდ შეაფარა თავი ისევ რუსეთის ტერიტორიას. მაგრამ აქ მათ მოუსწრეს რუსმა ჯარისკაცებმა და ორმხრივი სროლისას, სანამ ჯგუფის ხელში ჩაგდება მოხერხდებოდა, რუსების მხრიდან რამდენიმე ჯარისკაცი იქნა მოკლული".[103]

„სხვა ბანდები თურქეთში სპარსეთის გზით იგზავნებოდნენ, რომლებიც მრავალ თავსატეხს უჩენდნენ თურქეთის ხელისუფალთ".[104] – აღნიშნავს მესამე ავტორი.

მალე დაშნაკებმა თავისი მოქმედებების არეალი და მასშტაბებიც გაზარდეს. ამ რაზმების საქმიანობასა და მიზნებს ზუსტად ახასიათებს იგივე პეტრე გელეიშვილი:

„1898–1899 წლებში რევოლუციური ჯგუფების აქტივობის არეალი მუშისა და სასუნის რაიონებში გადადის, სადაც მოქმედებდა სეროპის, მოგვიანებით კი, ანდრანიკის ჯგუფები. *ყველა ამ მოქმედების შედეგი ერთი იყო – სოფლის სომეხი მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის დანგრევა, რომლებზედაც გადმოვიდოდა მუსულმანთა მთელი შურისძიების სისასტიკე.... დარწმუნებულნი იმაში, რომ დიდი სახელმწიფოები მათ დაეხმარებიან, სომეხთა რევოლუციური მოღვაწეები შემდეგი პრინციპით მოქმედებდნენ: ერთის მხრივ, რაც შეიძლება მეტი გამოსვლებისა და ბუნტის პროვოცირება და მეორეს მხრივ, სისხლისღვრასა და ბუნტებზე რაც შეიძლება ხმამაღალი ყვირილის ატეხვა, ამასთან ერთად – მათი მასშტაბების უზომოდ გაბერვა*".[105] და ბოლოს ავტორი ანზოგადებს: *„თავიანთ მოთხოვნებს ისინი ყოველთვის უზომოდ გაზრდილად აყენებდნენ"*. (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.). ცალსახად ვეთანხმებით ავტორის ისტორიულად გამართლებულ დასკვნას.

ერთობ საინტერესო და ნიშანდობლივია „სომხური წინააღმდეგობის" ლიდერებისა და დაშნაკური საბრძოლო–ტერორისტული რაზმების მეთაურების „მოღვაწეობა" და მათ მიერ განვლილი „საბრძოლო გზა", რომლებიც პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებით ცნობილი სომეხი გენერლებისა და მეთაურების მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს განვიხილავთ შემდგომი ანალიზისათვის. ეს დაშნაკი გენერლები და საველე მეთაურები არიან:

სომეხთა „ჯორჯ ვაშინგტონად" შერაცხული – გენერალი ანდრანიკ ტოროს ოზანიანი, (*ანდრანიკი*), „ზანგეზურის ლომად" წოდებული – გენერალი გარეგინ ტერ არუთიუნიანი (*ნჟდე*), ცნობილი ჯალათი და ბაქოს მოვლენების „გმირი" – ამაზასპ სრვანცტიანი (*ამაზასპი*) და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ოდიოზური პერსონა, სომეხთა „ჰანიბალი" – გენერალი დრასთამატ კანაიანი (*დრო*).

„ანდრანიკ ტოროს ოზანიანი (ანდრანიკი) (1865–1927). დაიბადა 1865 წლის 25 თებერვალს, სოფელ შაბინ–ყარაისარში. დედა ადრე მოუკვდა. იგი 15 წლისა იყო, როცა პირველად მოკლა თურქი მოხელე და თავი მთებს შეაფარა. აქ იგი შეუერთდა წინააღმდეგობის სხვა მებრძოლებს და დაუკავშირდა ე.წ. ფიდაისტებს. მალე იგი შეიპყრეს და დააპატიმრეს. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ იგი გადადის კონსტანტინოპოლში და იწყებს ჩალიჩებით ვაჭრობას. აქ თავდაპირველად ანდრანიკი ჰუნჩაკთა პარტიაში გაერთიანდა, მაგრამ იდეოლოგიური უთანხმოებების გამო მალე დატოვა იგი, გადავიდა ბათუმში და შეუერთდა დაშნაკთა პარტიას. აქ მალე ანდრანიკი დაუახლოვდა დაშნაკთა ერთ–ერთ ბელადს, როსტომს (სტეფანე ზორიანი – ა. ჩ.), რომელიც მას „ფიდაისტების ღმერთს" უწოდებდა. დროთა

განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი მებრძოლი და პარტიის აქტივისტი. (ე.ი. პროფესიონალი მკვლელი–ტერორისტი – ა. ჩ.)

ფიდაისტების ბელადის, სეროფ ფაშას სიკვდილის შემდეგ, ანდრანიკი იქნა არჩეულ მათ ბელადად. 1901 წლიდან მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა წარმატებული ბრძოლები სასუნთან, დარონთან, ვანქთან, რამაც მას სომეხთა შორის დიდი სახელი და პატივისცემა მოუპოვა. მალე მან სეროფ ფაშას მკვლელი, ქურთთა ტომის ბელადი ჰალილ ფაშა გამოასალმა სოცოცხლეს. მას დიდად სწყალობდა ბედი და ყველა დიდი–პატარა ბრძოლასა და შეტაკებიდან ხელუხლებელი გამოდიოდა, რითაც მალე „სომეხთა აქილევსის" სახელიც მოიპოვა. ანდრანიკის პიროვნება ლეგენდებით შეიმოსა და სომეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. „ანდრანიკი არაა ჩვეულებრივი მოკვდავი, იგი ადამიანი–მოჩვენებაა" – აღიარებდნენ, როგორც მტრები, ასევე მოყვრები.

1904 წელს იგი თავის რაზმთან ერთად გადადის ირანში, შემდეგ კი სამხრეთ ამიერკავკასიაში. 1905 წლიდან იგი მიდის ჟენევასა და ვენაში, შემდეგ კი ბულგარეთში. 1912 წლამდე იგი მოგზაურობს საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში, სადაც პოლიტიკური საქმიანობითაა დაკავებული.

დაშნაკური იდეოლოგიით შთაგონებული, ბალკანური ომების დროს, 1912–1913 წლებში, ანდრანიკი აქტიურად ჩაერთო თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც იგი მეორე ცნობილ სომეხ ხუმბაპეტთან – გარეგინ ნეჟდესთან ერთად ბულგარეთში თავის მიერ შექმნილ ერთ–ერთ სომხურ შენაერთს მეთაურობდა და უდიდესი სახელი და წარმატება მოიპოვა როგორც თანამებრძოლებში, ასევე მოკავშირეებში.

I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი გადმოდის ამიერკავკასიაში და მეფის რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში მეთაურობს სომეხთა ერთ–ერთ საბრძოლო რაზმს, მოგვიანებით I ნაციონა–ლურ პოლკს".

1914–1918 წლების მოღვაწეობას ჩვენ ქვევით განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

„1918–1919 წლებში იგი ზანგეზურისა და ყარაბაღის ბრძოლების ერთ–ერთი ხელმძღვანელია. მალე იგი წინააღმდეგობაში მოდის დაშნაკებთან, უარს ამბობს ყველა საბრძოლო ჯილდოსა და ინსიგნიებზე და სამუდამოდ ტოვებს სამშობლოს. იგი გადადის სპარსეთში, მოგვიანებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ფუძნდება კალიფორნიის შტატის ქალაქ ფრესნოში, სადაც გარდაიცვლება კიდეც 1927 წლის 31 აგვისტოს. მალე მისი ნეშტი გადმოასვენეს საფრანგეთში და პერ–ლაშეზის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას. 2000 წელს სომხეთის მეორე რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მისი სამშობლოში გადმოსვენების შესახებ. მას სომეხთა „ჯორჯ ვაშინგტონს" უწოდებდნენ..."[106]

ასეთია გენერალ ანდრანიკ ტოროს ოზანიანის მოკლე ცხოვრებისეული და საბრძოლო ბიოგრაფია სომეხი ავტორის, დოქტორ ჰ. ვართაპეტიანის

მიხედვით. ლეგენდების, ტყუილ–მართლისა და თვალებში ნაცრის შეყრის მსგავსი მაგალითი ძნელად წარმოსადგენია საღად მოაზროვნე ადამიანისათვის. აი, ასეთი „ღრმად მეცნიერული" დონითა და ობიექტურობით გამოირჩევა პრაქტიკულად ყველა სომეხი ავტორის „ნაშრომი". ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ „ნაშრომებში" დროის მსვლელობასა და წლების მატებასთან ერთად გეომეტრიული პროგრესიით მატულობს მოვლენებისა და ისტორიული ფაქტების თავაწყვეტილი ფალსიფიკაციის ხარისხიც. გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ეს „ბიოგრაფიაც" ამის ნათელი დადასტურებაა. წარმოდგენილი მასალა კი ინტერნეტშია განთავსებული და მას მთელი მსოფლიო ეცნობა.

ახლა ჩვენ შევიტანთ „მცირე კორექტივებს" ამ ბიოგრაფიაში და შევეცდებით აღვადგინოთ ისტორიული რეალობა.

დიახ, ავტორი სწორად იქცევა, როცა ანდრანიკის „საბრძოლო გზის" დაწყებას მისი ადრეული სიჭაბუკის წლებიდან აღწერს. მაგრამ იგი დუმს იმაზე, რომ ეს იყო არასრულწლოვანი ანდრანიკის ტერორისტული და კრიმინალური ცხოვრების გრძელი გზის დასაწყისი. სეროფ ფაშა, რომელიც მოგვიანებით შეცვალა ანდრანიკმა, არა ფიდაისტების ჯგუფის ბელადი, არამედ ჩვეულებრივი ყაჩაღთა ბანდის მეთაური იყო, რომლის მთავარ ფუნქციასა და ცხოვრების კრედოს მშვიდობიანი ქურთი მოსახლეობის ძარცვა–გლეჯა, აწიოკება და მკვლელობები წარმოადგენდა. ფიდაიზმი შიიტი ისლამისტების ყველაზე უფრო რეაქციულ ფილოსოფიურ–კასტურ მოძღვრებას წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ სომეხი მონოფიზიტები, რევოლუციონერ–ტერორისტები და კრიმინალები სეროფი და ანდრანიკი ამ მოძღვრების მიმდევრები, ან კიდევ უფრო არარეალური, ერთ–ერთი ასეთი ჯგუფის ხელმძღვანელები ყოფილიყვნენ.

ფიდაისტები მართლაც მეამბოხეებს წარმოადგენდნენ ოსმალთა იმპერიაში და მათი ამბოხის მიზეზებს რელიგიური სარჩული ედო საფუძვლად. სომხური რაზმები კი ჩვეულებრივ ყაჩაღთა ბანდებს წარმოადგენდნენ, რომელთა წიაღშიც იშვა ე.წ. „დაშნაკური რაზმები". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სომეხ ვაი–ავტორთა მეორე ჯგუფი დაშნაკურ ბანდებს ჰაიდუკურ მოძრაობას ადარებს ბალკანეთის მაგალითზე, რითაც ამ კრიმინალური ბანდების საქმიანობის ეროვნულ–განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან გაიგივებას ცდილობს. საზოგადოდ კი, ფიდაისტებთან და ჰაიდუკებთან პარალელის გავლებით, სომეხი ავტორები ცდილობენ გარკვეული ლეგენდარულობის საფარველით შებურონ საზოგადოდ დაშნაკური რაზმების მეთაურები და ა შემთხვევაში ანდრანიკის პერსონა. ასეთი გზით კი, მოხერხებულად იჩქმალება დაშნაკური ბანდებისა და მათი ხუმბაპეტების რეალური კრიმინალური საქმიანობის არსი.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ფაქტიურად, 1901 წლიდან იწყება მისი აქტიური ტერორისტული და კრიმინალური მოღვაწეობა. მაგრამ ავტორი იმას აღარ ამბობს, თუ რატომ შეაფარა 1904 წლიდან მან და მისმა

რაზმმა ირანს თავი. არ ამბობს, რომ ეს თურქული და რუსული ადმინისტრაციის ადეკვატური სისხლის სამართლის დევნის შედეგი იყო.

მოყვანილი ბიოგრაფიის ავტორისეული ვარიანტიდანაც კარგად ჩანს ანდრანიკის ის უპრინციპობა, სხვადასხვა ბატონთა წინაშე მუხლმოყრა და ის უკიდურესი ექსტრემიზმი, რითაც იგი დაშნაკელის კვალობაზეც კი გამოირჩევა. ჯერ ფიდაისტები (უფრო ზუსტად კი ყაჩაღთა ბანდა), შემდეგ ჰუნჩაკები, შემდეგ დაშნაკები. უკიდურესი ექსტრემისტული პოზიციების გამო — პირველი განხეთქილება დაშნაკებთან უკვე 1907 წელს. 1912 წლიდან ბატონთა გამოცვლა და ბულგარეთში წასვლა. ხოლო 1914 წლიდან ისევ ბატონთა გამოცვლა და ამჯერად თავისი მოსისხლე მტრის, რუსეთის იმპერატორის სამსახურში ჩადგომა.

თითოეული ეს თარიღი რუსეთისა და ოტომანთა იმპერიებისათვის უმნიშვნელოვანესი თარიღებია და ისინი ამ სახელმწიფოთა ახალ ეტაპებსა და ახალი სისხლიანი მოვლენების ესკალაციას უკავშირდება. ყველა ამ სისხლიანი მოვლენების ეპიცენტრში კი სწორედ ანდრანიკი გვევლინებოდა, სომეხთა „ჯორჯ ვაშინგტონი". იმაზეც დუმს ავტორი, რომ 1919 წლიდან იგი თავად დაშნაკური იდეოლოგიისათვისაც კი უკიდურესი ექსტრემისტული და რეაქციული მოქმედებებისა და შეხედულებების გამო ჩამოშორდა მშობლიურ პარტიას, სამუდამოდ დატოვა სამშობლო და თავი ემიგრაციას შეაფარა. გენერალ ანდრანიკის „მხედრულ სიმამაცესა და მებრძოლ სულზე" კი ქვემოთ, შესაბამის თავში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

სომეხთა იდუმალებით მოცული გმირი — გარეგინ ტერ არუთიუნიანი (ნეჯდე). (1886–1957). დაიბადა ნახიჭევანში დაახლოებით 1886 წელს. ცნობები საწყისი განათლების შესახებ არ მოიპოვება. იგი ახალგაზრდობა–დანვე ჩაერთო დაშნაკურ მოძრაობაში და მისი ერთ–ერთი აქტიური წევრი გახდა. სწორედ დაშნაკთა პარტიის უშუალო ქმედებით გაიკეთა მან ბრწყინვალე სამხედრო კარიერა. იგი სხვა ოთხ სომეხ ახალგაზრდასთან ერთად ბულგარეთის დაშნაკთა პარტიის ბიუროს ინიციატივით მიევლინებულ იქნა კენიაშევოს (სოფია) სამხედრო აკადემიაში ოფიცერთა კურსების გასავლელად. მაშინ იგი 19 წლისა იყო. 1907 წელს იგი ასრულებს ოფიცერთა კურსებს და ბრუნდება კავკასიაში. რუს მოხელეთა წინააღმდეგ განხორიელებული ტერორისტული აქტების გამო მას აპატიმრებენ, მაგრამ მალე იპარება ციხიდან და 1911 წელს ლტოლვილის სტატუსით გადადის ბულგარეთში.

ბალკანეთის ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი ერთიანდება ანდრანიკის ბრიგადაში და აქედან იწყება მისი, როგორც სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის დიდი კარიერა. ბალკანეთის ომის დროს მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორატორმა და ოფიცერმა. მისი მეთაურობით ტყვედ იქნა აყვანილი თურქთა არმიის გენერალი, მისმა ნაწილმა კი წარმატებული ბრძოლებით გაიარა მარმარილოს ზღვამდე. ბალკანეთის ომის დასრულებისათვის იგი უკვე ცალკეული სომხური რაზმის მეთაურია.

I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი, ისევე როგორ(გენერალი ანდრანიკი რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაშია. აქ იგ დროს რაზმში ირიცხება და მისი მოადგილის თანამდებობაზე მსახურობს.

1918–1920 წლებში იგი თურქთა და აზერბაიჯანელთა წინააღმდე აქტიურად მებრძოლი რაზმის მეთაურია. სწორედ მისი ბანდის წევრების მიე განხორციელდა ქართველ მუსულმანთა ხოცვა–ჟლეტა ახალქალაქში 191 წელს. 1921 წელს ნეჯდე ბოლშევიკთა წინააღმდეგ მიმართული აჯანყები ერთ–ერთი მეთაურია ზანგეზურში და დამარცხების შემდეგ სპარსეთშ გაქცევით შველის თავს, შემდეგ კი ბულგარეთში ამოყოფს თავ ბულგარეთში ყოფნისას იგი გადავიდა აქტიურ პარტიულ მოღვაწეობაზე დ აქ იგი, როგორც დაშნაკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრ აარსებს და ხელმძღვანელობს ბულგარეთის დაშნაკთა ახალგაზრდულ პარტიას. 1933 წელს ამერიკის დაშნაკთა მიწვევით ჩადის ამერიკი შეერთებულ შტატებში და აგრძელებს აქტიურ პარტიულ მოღვაწეობას. აქა იგი ამერიკის სომეხთა ახალგაზრდა დაშნაკთა პარტიას დამფუძნებელი დ ხელმძღვანელია.

30–იანი წლების ბოლოს იგი თავის მეთაურსა და სულიერ ძმას დრასთამატ კანაიანს უკავშირდება და მასთან ერთად გერმანელი ფაშისტები პროტექტორატის ქვეშ იწყებს სომეხთა ცნობილი 812–ე ნაცისტურ ბატალიონის ჩამოყალიბებას. II მსოფლიო ომში ამ ბატალიონთან ერთად იგ მონაწილეობს სისხლიან სადამსჯელო ოპერაციებში გერმანელთა მიე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაშ განსაკუთრებით ბოლშევიკთა და ებრაელთა წინააღმდეგ.

1944 წლიდან, გერმანელთა უკან დახევასთან დაკავშირებით იგი გადადი ბულგარეთში და აქ აფარებს თავს. საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ, 194 წელს, ნეჯდეს აპატიმრებენ და ციმბირში ასახლებენ. დიდი ამნისტიის დრო იგი გაანთავისუფლეს. მას განსაზღვრული ჰქონდა სომხეთში, შემდეგ კ რუმინეთსა და ამერიკაში გამგზავრება. მაგრამ მოსკოვში ჩამოსვლისთანავ მას ხელმეორედ აპატიმრებენ და უკან, ციმბირში აგზავნიან, სადაც გარდაიც ვლება კიდეც 1957 წელს.

სომეხთა სათაყვანებელი გმირი, მოხალისეთა რაზმების უცვლელ მეთაური და ცნობილი ჯალათი, ამაზასპ სრვანცტიანი, (ამაზასპი) (1873–1921). დაიბადა 1873 წელს ქალაქ ვანში. ახალგაზრდობიდანვ აღმოჩნდა ჩართული რევოლუციურ–ტერორისტულ საქმიანობაში. თავდაპირ ველად იგი ჰუნჩაკთა რევოლუციური რაზმის თავკაცია, მოგვიანებით დაშნაკთა ტერორისტული მოძრაობის ერთ–ერთი ლიდერი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1905–1906 წლებში თურქეთის მუსულმანურ მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ სისხლიან დარბევებში და აქედანვ იწყება მისი როგორც მებრძოლისა და მეთაურის კარიერა. თურქულ ხელისუფლების დევნის გამო, მალე გადმოდის ერევანში, შემდეგ კი შუშაში.

1906 წლიდან ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის მუსულმანთა და მეფის მოხელეთა წინააღმდეგ მიმართულ სასტიკ ანგარიშსწორებებს, რის გამოც სხვა დაშნაკ მოღვაწეებთან ერთად მეფის ხელისუფლების მიერ იქნა დაპატიმრებული და ციმბირში გადასახლებული. ჩადენილი დანაშაულობები–სათვის მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 1913 წელს იგი ახერხებს გადასახლებიდან გამოქცევას და გადადის ევროპაში, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში.

I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მეფემ მას დანაშაულობები აპატია და მის მიერ შექმნილ მოხალისეთა რაზმთან ერთად კავკასიის არმიაში გაერთიანდა. იგი მოხალისეთა მე–3 რაზმის მეთაურად დაინიშნა. აქტიურად მონაწილეობს ვანსა და ბითლისთან გამართულ „ბრძოლებში", ხოლო 1917 წლიდან ალაშკერტის რაიონის საპოლიციო ძალების უფროსად ინიშნება, სადაც განსაკუთრებული გულმოდგინებით აწარმოებს მშვიდობიანი მაჰმადიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ სისხლიან ანგარიშსწორებებს.

1918 წლიდან იგი უკვე „აღმოსავლეთის ფრონტზეა" და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბაქოს ბოლშევიკურ ავანტიურაში, აქ იგი სომეხთა ნაციონალურ მე–3 ბრიგადას მეთაურობს, რომელიც ბაქოს ბოლშევიკური კომუნის შეიარაღებული ძალების მთავარ დამრტყმელ საბრძოლო შენაერთს წარმოადგენდა, რომლის ქვედანაყოფებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ აზერბაიჯანის მუსულმანური მოსახელობის ხოცვა–ჟლეტის საქმეში. თურქულ–აზერბაიჯანული ჯარების მიერ ბაქოს აღების შემდეგ კი, 1918 წლის სექტემბრის ბოლოდან ირანში გადადის.

I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრუნდება სომხეთში და ნორბაიაზეთში დისლოცირებული სომხური შენაერთის მეთაურად ინიშნება. 1920 წელს მონაწილეობს სომხეთ–ქემალისტთა ომში, აგრეთვე ბოლშევიკთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის თებერვალში მას აპატიმრებენ და ერევნის ციხეში სვამენ, სადაც გარდაიცვლება კიდეც.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია ამაზასპის ორგანიზატორული თვისებები. კავკასიის მე–3 ბრიგადა, რომელიც მხოლოდ სომხებისაგან შედგებოდა და ყველაზე დიდი შენაერთის წარმოადგენდა, თავისი ბრწყინვალე შტაბითა და სამეთაურო შემადგენლობით, მის უდიდეს ნიჭსა და ენერგიაზე მეტყველებდა".[107] ეს სომეხი ავტორის, აკადემიკოს გრანტ ავეტისიანის შეფასებაა. ეს კი, დოკუმენტურად დადასტურებული ამაზასპის პიროვნების მთავარი იდეოლოგიური კრედოა: *„ყოველი მუსულმანი მისთვის მტერი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მუსულმანი იყო".* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[108] დოქტორ კაზიმზადეს ეს ციტატა ამხანაგ სტეფანე შაუმიანის მიერ ლენინისა და სტალინისადმი გაგზავნილი ცნობილი ტელეგრამის ტექსტიდან აქვს აღებული. „Телеграма Шаумяна Ленину Сталину, 12 июля, 1918". Памяти 26 бакинских комиссаров. Красный архив. №4–5. (89–90) 1938. გვ. 16.

ყოველთა სომეხთა სათაყვანებელი პიროვნება და ცოცხალი ლეგენდა, სომეხთა „ჰანიბალი", გენერალი დრასთამატ კანაიანი, (დრო). (1883–1956). დაიბადა 1883 წლის 1 მაისს, ქ. იგდირში. რუსული გიმნაზიის დასრულების შემდეგ იგი ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირდა დაშნაკებს და ამ პარტიის ერთ–ერთი აქტიური წევრი შეიქმნა. სულ 16 წლისა იყო, როცა პირველად მიიღო მონაწილეობა დაშნაკების მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში. თურქი მოხელის მოკვლის შემდეგ კი რუსეთის ტერიტორიაზე გადმოდის და 1904 წელს სწავლას პიატიგორსკის სამხედრო სასწავლებელში აგრძელებს. 1905 წლიდან იგი უკვე აქტიურად მონაწილეობს სადამსჯელო მოქმედებებში თურქთა და კავკასიის აზერბაიჯან– ელთა წინააღმდეგ, აგრეთვე – მეფის მოხელეების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში.

რუსული ხელისუფლების მხრიდან დევნის გამო, 1907 წლიდან გადადის ბაიაზეთში და წვრილი ბიზნესის საფარქვეშ აქტიურად იწყებს მოღვაწეობას სომეხთა ახალ–ახალი საბრძოლო–ტერორისტული რაზმების შექმნისა და შეიარაღებისათვის. ვაჭრობას შეფარებული, რეალურად იგი იარაღის არალეგალური შეძენითა და მისი „რუსეთის სომხეთის" ტერიტორიაზე შემოტანითაა დაკავებული. მალე მას მეფის ორი მაღალი რანგის მოხელის მკვლელობისათვის აპატიმრებენ. მალე მეფემ მას დანაშაული აპატია და I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ნება დართო მას თავის რაზმთან ერთად გაერთიანებულიყო რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში. აქ იგი მე–2 სომხური რაზმის მეთაურად ინიშნება და მონაწილეობს კავკასიის ფრონტზე წარმოებულ საომარ მოქმედებებში.

– *„მე ჯარისკაცი ვარ და პოლიტიკის არაფერი გამეგება.* (ხაზგასმა ჩვენია – ა. ჩ.) ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ჩვენი გადაწყვეტი ბრძოლა იქნება. თავისუფლება ან სიკვდილი. სხვა გზა ჩვენ არ გაგვაჩნია. მე ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრი ჩვენგანი ბრძოლის ველიდან ვერ დაბრუნდება, მაგრამ დიდი საქმეები დიდ მსხვერპლს მოითხოვენ" – მეტად პატრიოტული და ამაღელვებელი სიტყვებია. სომხური ჰეროიკული ისტორიოგრაფია ამ ფრთოსან ციტატას გენერალ დროს მიაწერს. საფუძველშივე ჩანს, რომ ეს ლამაზი ციტატა იდეური ფალსიფიკაციაა.

გენერალი დრასთამატ კანაიანი, ბავშვობიდან სამარის კარამდე, პირწავარდნილი დაშნაკისტი, პარტიის აქტიური წევრი და მისი ერთ–ერთი იდეოლოგიური ლიდერი გახლდათ. სწორედ პარტიული ბრძოლა, ანუ, სისხლიანი ტერორი და არასომხური მოსახლეობისაგან ანატოლიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიების ეთნიკური წმენდა შეადგენდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად არსს. 1917 წლიდან იგი სომხური ნაციონალური საარმიო კორპუსის კომისრად ინიშნება, ე.ი სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარ იდეოლოგიურ ბელადად გვევლინება. ასე, რომ მის აპოლიტიკურობაზე აპელირება თვალებში ნაცრის შეყრის კიდევ ერთი უსუსური მცდელობაა. სულ მალე კი ისიც დადასტურდება დოკუმენ–

ტურად, თუ რა წარმოადგენდა გენერალ დრასთამატ კანაიანისათვის „დიდ საქმეებს".

ზემოთ მოყვანილის მსგავს სენტენციას, სხვათა შორის, იგი სომხეთ—საქართველოს ომის დასაწყისშიც წარმოთქვამს, რომელიც უფრო მეტი დრამატიზმითა და ტრაღიზმითაა აღსავსე. 1918 წლის 12 დეკემბერს, ყარაქილისაში, გენერალმა დრომ ბატონ სვიმონ მდივანს, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს სომხეთში, განუცხადა, რომ „იგი უკან არ დაიხევს საქართველოს წინააღმდეგ ღია საომარი მოქმედებების დაწყების წინაშეც, რადგან საქართველოს მთავრობის მოქმედებები ახალქალაქსა და ბორჩალოში აშკარად აგრესიულია სომხეთის მიმართ და საჭიროა მისი დროული აღკვეთა. იგი თვლის, რომ სომხეთისათვის დადგა ის ჟამი, როცა სომხეთი რისკზე უნდა წავიდეს. თუ მას უბედურება დაატყდება თავს და იგი განადგურებულ იქნება, ე.ი. ასეთი ყოფილა მისი ბედი, მაგრამ მან ყოველგვარი ზომები უნდა გაატაროს, რომ მიიღოს ის, რაც მის უცილობელ კუთვნილებას წარმოადგენს".[109]

აი, ასეთი ისტორიული დილემების წინაშე იდგა თურმე გენერალი დრო 1914 წელს და 1918 წელსაც, როდესაც უალტერნატივო გადაწყვეტილებებს იღებდა, ერთ შემთხვევაში ოსმალთა იმპერიისა და მეორე შემთხვევაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებისათვის.

1918 წლის განმავლობაში მის მოღვაწეობას ჩვენ ქვევით განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

1920 წლის ბოლოს იგი სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად ინიშნება და ერთდროულად რესპუბლიკის დიქტატორად ცხადდება (ეს სულაც არ არის ხუმრობა ან სიტყვის გაქცევა. ამ ფაქტს ჩვენ შესაბამის თავში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით). რაც ყველაზე საინტერესოა, სომხეთის გასაბჭოებისთანავე, ალიანსში შედის ბოლშევიკებთან და გარკვეული პერიოდი საბჭოთა სომხეთის შეიარაღებული ძალების სახალხო კომისრის მოვალეობასაც ასრულებდა. მაგრამ ბოლშევიკები რისი ბოლშევიკები იქნებოდნენ, ბოლომდე რომ მინდობოდნენ მას. ან დრო რისი დრო იყო, რომ ბოლომდე ეერთგულა ახალი პატრონებისათვის. მართლაც, 1921 წლიდან იგი ნეჯდესა და ამაზასპთან ერთად ბრძოლას იწყებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ზანგეზურსა და მთიან ყარაბაღში.

დაშნაკთა აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1921 წლის გაზაფხულიდან იგი სპარსეთში გადადის, შემდეგ კი რუმინეთში. 30—იანი წლებიდან იგი აქტიურ თანამშრომლობას იწყებს ნაცისტებთან და ხელმძღვანელობს სომხური ნაციონალური ბატალიონის ჩამოყალიბებას ვერმახტის შემადგენლობაში. II მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში ცნობილ 812—ე სომხურ ნაცისტურ ბატალიონს აყალიბებს, სადაც მის მოადგილედ ნეჯდე ინიშნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებული ბატალიონი განსაკუთრებული

სისასტიკით მონაწილეობდა ნაცისტთა სადამსჯელო ოპერაციებში გერმანელ–თა მიერ დაპყრობილი უკრაინისა და ყირიმის ტერიტორიებზე.

II მსოფლიო ომის დასრულებისას, ნეჯდესგან განსხვავებით იგი ფარულად ტოვებს ევროპას და თავს ამერიკის შეერთებულ შტატებს აფარებს, სავარაუდოდ ინკოგნიტოდ. 50–იანი წლებიდან იწყება მისი პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ახალი ეტაპი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას იგი ხელმძღვანელობს ერთ–ერთ სომხურ დიასპორას და აქტიურად იღწვის დაშნაკური იდეოლოგიის ამოსავალი წერტილის – „დიადი არმენიის" იდეის პროპაგანდისათვის. მალე, თავისი ნაციონალისტური შეხედულებების გამო, იძულებულია დატოვოს შტატები და არალეგალურად გადადის საცხოვრებლად ლიბანში, ბეირუთში. შემდეგ იგი ისევ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუნდება, სადაც გარდაიცვლება კიდეც 1956 წელს. დაასაფლავეს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ უოთერთაუნში, მაგრამ ამით მისი ცოდვილი სულის ვოიაჟები არ დასრულებულა.

2000 წლის მაისში მისი ნეშტი დიდი პატივით გადმოასვენეს სომხეთში და 28 მაისს ოფიციალური სამთავრობო ცერემონიალების შემდეგ დაკრძალეს ბაშ–აბარანის მემორიალურ მთაზე, ერევნიდან 50 კილომეტრზე ჩრდილოეთით, სწორედ იმ ადგილას, სადაც მისი მეთაურობით სომხურმა ქვედანაყოფებმა წარმატებული თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებები აწარმოეს 1918 წლის მაისის ბრძოლებში თურქთა წინააღმდეგ.

„იგი სომხური წინააღმდეგობის სიმბოლო იყო... მისმა მოქმედებებმა განსაზღვრა თითოეული სომხის ცნობიერებაში ეროვნული თვითიდენტიფი–კაციის შეგრძნება" – ეს ფრთოსანი სიტყვებიც, ცხადია, სომეხ ავტორს ეკუთვნის.

აი, ასეთია დაშნაკთა საბრძოლო რაზმების მეთაურთა გრძელი და სისხლიანი საბრძოლო ბიოგრაფიების ძირითადი შტრიხები. ისინი ისე გვანან ერთმანეთს, რომ მკითხველს ერთი პიროვნების ბიოგრაფია ეგონება. და მართლაც იდენტურია მათ მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზები. იდენტურია მათი მსოფლმხედველობა, აზრები და მიზნები. იდენტურია ამ მიზნების განხორციელების გზებიც. რაც ყველაზე ნიშანდობლივი და საგანგაშოა – იდენტური და დღესაც აღმატებულად ლეგენდარულია სომეხი ხალხის დამოკიდებულება დაშნაკთა პარტიისა და მისი უკიდურესად აგრესიული იდეოლოგიის ამ ერთგული შვილების მიმართ, რომელთაც სისხლის ღვრისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანიათ სხვა ხალხებისა და პირველ რიგში, თვით სომეხი ერისათვის.

I მსოფლიო ომის წინა პერიოდისათვის დაშნაკთა პარტიამ ნათლად ჩამოაყალიბა პარტიის მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა ოტომანთა იმპერიის ომში ჩართვის შემთხვევაში: თუ რუსეთის არმია გადმოკვეთავს ოსმალთა იმპერიის საზღვრებს, უნდა დაიწყოს სომეხთა საყოველთაო და დაუყოვნებლივი აჯანყება. თურქეთის ჯარი ორ ცეცხლს შუა უნდა მოჰყვეს. თურქეთის სამთავრობი ჯარები უნდა დაკავდნენ შიდა ფრონტის საბრძოლო

მოქმედებებით. თურქეთის არმიის სომეხი ეროვნების ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა იარაღიანად უნდა მიატოვონ თავიანთი ნაწილები და შექმნან ორგანიზებული შეიარაღებული რაზმები. რუსეთთან მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობა კი უნდა გადავიდეს რუსეთში და მათგან შეიქმნას მოხალისეთა საბრძოლო რაზმები.

სწორედ ამ მიზნებისათვის დაფუძნდა თბილისში სომეხთა ეროვნული საბჭო, ქალაქის მერის, პირწავარდნილი დაშნაკისტისა და პროვოკატორის, ალექსანდრე ხატისოვის ხელმძღვანელობით.

სომეხთა ნაციონალური საბჭოს მთავარ ფუნქციას ამ ეტაპზე მოხალისეებისაგან საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბება, მათი ორგანიზება და შეიარაღება შეადგენდა. ინტენსიური ტემპებით დაიწყო აღნიშნული სამუშაოების შესრულება. პირველი ორგანიზებული ქვედანაყოფი შეიქმნა გენერალ ანდრანიკის მეთაურობით, რომელიც ჩრდილოეთ ირანში შეუერთდა რუსეთის ჯარს. მეორე იყო დროს, მესამე და მეოთხე კი შესაბამისად, ამაზასპისა და კერის რაზმები, რომლებმაც საბრძოლო აქტიურობა დასავლეთის მიმართულებაზე გადაიტანეს.

ყველაფერი კი შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „გადაეცით თქვენს მრევლს, რომ სომეხ ხალხს ბრწყინვალე მომავალი ელის". ეს სიტყვები იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს ეკუთვნის, რომელიც მან სომეხთა კათოლიკოსს შემოუთვალა იმ წერილის პასუხად, რომელშიც კათოლიკოსი გევორქV იმპერატორს სომეხთა დაცვას თხოვდა ომის დაწყების შემთხვევაში.

საინტერესოა, რას წარმოადგენდნენ დაშნაკთა ეს ქებული „რაზმები" და რა „საბრძოლო დამსახურებები" ჰქონდათ მათ რუსეთის არმიისა და მოკავშირეების წინაშე? მართლა ისეთი შთამბეჭდავი იყო ამ რაზმების წარმატებები, რაზედაც მაშინაც საქვეყნოდ გაჰკიოდნენ და ახლაც უსაზღვრო ხოტბას ასხამენ დაშნაკი პროპაგანდისტები? რას ისახავდნენ ეს რაზმები მიზნად? მართლა ერთგულად ედგნენ ისინი გვერდში რუსეთის კავკასიის არმიის რეგულარულ ნაწილებს? მართლა ასეთი სწორუპოვარი მეთაურები იყვნენ ზემოთ დასახელებული ხუმბაპეტები?

თემა საკმაოდ მოცულობითია და მოცემულ ფორმატში, რა თქმა უნდა, მისი სრულყოფილად წარმოდგენა შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ მოკლე დოკუმენტურ ცნობებს წარმოვადგენთ ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად. თემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ნიშანდობლივ საკითხს კი შესაბამის თავში განვიხილავთ.

I მსოფლიო ომის დაწყებიდან სულ მალე მეფის მთავრობა და იმპერიის ადმინისტრაცია დარწმუნდა სომხების, როგორც მოკავშირეების არასაიმედოობაში. ჩვენი ეს დასკვნა ისტორიულად დასაბუთებული ფაქტია. მალე თავისი მუდმივი პრეტენზიებით, ინტრიგებით, სიხარბითა და ლაჩრობით, სომხებმა თავის წინააღმდეგ აამხედრეს როგორც კავკასიის არმიის ოფიცრები, ასევე კავკასიის მმართველობით–ადმინისტრაციული აპარატიც. ამ სომხურ–რუსული დროებითი ანტაგონიზმის მიზეზები კარგადაა

წარმოდგენილი კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციის კანცელარიაში არსებულ პატაკში. ამონარიდები ამ მეტად საინტერესო დოკუმენტიდან:

„თურქეთთან ომის დასაწყისი, როგორც ცნობილია სომხური მოხალისეთა რაზმების (Дружин – ა. ჩ.) ჩამოყალიბებით აღინიშნა, რომელთა წევრები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ და მათი აზრით აქ დაღვრილ სისხლს მომავალი ავტონომიური სომხეთი უნდა განებანა, ხოლო აქაური სამხედრო კადრები მომავალი ავტონომიური სომხეთის შეიარაღებული ძალების კადრების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ეს იმედები არ გამართლდა. ომის დაწყებიდან უკვე 1/2 წლის შემდეგ კავკასიის არმიის მთავარსარდლის (სომეხთაგან ერთობ სათაყვანებელი პიროვნება, იგივე ი. ვორონცოვ–დაშკოვი – ა. ჩ.) მიერ გადაუდებლად ჩაითვალა, „დრუჟინების" ნაცვლად სამხედრო ორგანიზაციის – სომხური მსროლელი ბატალიონების ჩამოყალიბება, რომლებსაც სამწყობრო ოფიცრები ჩაუდგებოდნენ სათავეში. ასეთ გადაწყვეტილებას მოხალისეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოეხმაურა. ამით მოხალისეთა „დრუჟინებმა" ფაქტიურად არსებობა შეწყვიტეს".[110]

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის არმიის მთავარსარდლის ეს გადაწყვეტილება მოხალისეთა რაზმების გარდაქმნის შესახებ მათ თავკაცთა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და ეს ბრძანება შეუსრულებელი დარჩა. „ანდრანიკს სურს, რომ სომხური რაზმები არ იყვნენ დამოკიდებულნი სამხედრო მეთაურებზე და ისინი პარტიზანული ომით (ე.ი. ძარცვა–გლეჯითა და მკვლელობებით – ა. ჩ.) იყვნენ დაკავებულნი თურქებისა და ქურთების წინააღმდეგ... იგდირში სომეხ მოხალისეთა თავკაცების შეკრება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანდრანიკი, ბასთურმაჯიანი, დრო, ბრაციანი და სხვები. ამ შეკრებაზე ხმათა უმრალესობით გადაწყდა, რომ მოხალისეთა რაზმები არ დაშლილიყო, ხოლო დაწყებული საქმე უფრო დიდი ენერგიითა და მასშტაბებით გაგრძელებულიყო".[111]

სხვა დოკუმენტი: „პარტიამ (დაშნაკცუტიუნი) გადაწყვიტა ყოველმხრივ აღდგომოდა წინ ამ პროექტის განხორციელებას, მაგრამ თუ მაინც მოხდებოდა რაზმების პოლკებად გარდაქმნა, მაშინ ისინი გადაწეულნი იქნებიან სამხრეთით, ინგლისელების ჯარებთან შესაერთებლად, რადგან პარტია თვლის, რომ ეს რაზმები მისი საკუთარი შეიარაღებული ძალებია, რომელთა ხელმძღვანელობა მხოლოდ პარტიის პრეროგატივაა".[112]

როგორც ვხედავთ, დაშნაკთა საბრძოლო თავკაცები უკვე მზად იყვნენ განდგომოდნენ თავიანთ მფარველ რუსებს და ახალი ფავორიტების, ბრიტანელების ფრთებქვეშ ეპოვათ საიმედო თავშესაფარი. ერთობ დიდი საშიშროების წინაშე დადგა უცებ სომეხთა რუსეთისადმი „საუკუნო სიყვარულის" გრძნობა. ყოველივე ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ 1916 წლიდან სომხურმა რაზმებმა ფაქტიურად არსებობა შეწყვიტეს. თავად ანდრანიკ ოზანიანი კი 1916 წლის მარტიდან „თადარიგში" გავიდა და მთელი 1916–1917 წლები თბილისსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გაატარა. აი,

,ასეთი იყო საქმის რეალური ვითარება სომხურ ,,დრუჟინებთან'' და ,,პოლკებთან'' დაკავშირებით.

ზემოთ მოყვანილ მეტად საინტერესო საარქივო დოკუმენტებზე კი ჩვენს მიერ გაკეთებული დასკვნები შემდეგია. სომხური ე.წ. ,,მოხალისეთა დრუჟინები'' მართლაც მხოლოდ დაშნაკთა პარტიის სადამსჯელო სამხედრო ფორმირებებს' წარმოადგენდნენ, რომელთა მთავარ დანიშნულებასა და მიზანს ამიერკავკასიისა და ანატოლიის ტერიტორიების არასომეხი მოსახლეობისაგან ,,გაწმენდა'', ე.ი. მათი ყოველმხრივი შევიწროება და დემოციდი წარმოად— გენდა. თუ გავიხსენებთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ დაშნაკთა პარტიის პროგრამის სამოქმედო მინიმუმსაც, ადვილად მივხვდებით, რომ სწორედ ასეთი ე.წ. ,,მილიციის'' ორგანიზება იყო პარტიის ერთ—ერთი მთავარი ამოცანა. თავისთავად ცხადია, რომ დაშნაკები თავიანთი ,,საბრძოლო რაზმების'' არავითარ სამხედრო ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩართვაზე არ დათანხმდებოდნენ. ამ რაზმების დანიშნულებას არა კავკასიის ფრონტის საომარ მოქმედებებში რეალური მონაწილეობა შედგენდა რეგულარული ჯარების სტატუსით, არამედ საომარი მოქმედებების საფარქვეშ, დაშნაკთა პარტბიუროს დირექტივით განსაზღვრული ბინძური საქმის კეთება — რეგიონის არასომეხი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა—ჟლეტა და შესაბამისად, ტერიტორიების გამოთავისუფლება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცალსახად უნდა ითქვას, რომ დაშნაკთა მიერ კარგად მოგონილი და შეთხზულია მითი სომხური საბრძოლო რაზმების დიდი საბრძოლო დამსახურებების შესახებ I მსოფლიო ომის კავკასიის საომარ მოქმედებათა თეატრებზე. სომხებმა უმალ დაივიწყეს თავიანთი ,,საუკუნო სიყვარული'' რუსებისადმი და პირველივე უთანხმოების დროს მზად იყვნენ ელალატნათ მათთვის, გადაეყვანათ რა საბრძოლო რაზმები ბრიტანელთა დაქვემდებარებაში. აი, დაშნაკთა ერთგულებისა და საიმედოობის კიდევ ერთი დასტური.

სხვათა შორის, სომეხთა არასაიმედოობისა და ,,რევოლუციონერობის'' შესახებ კიდევ ერთ დოკუმენტშია საუბარი, რომელიც კავკასიის არმიის სამხედრო სარდლობის მიერაა შედგენილი და მას რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, მოგვიანებით კი თვით არმიის სარდალი, გენერალი ნიკოლოზ იუდენიჩი აწერს ხელს. ეს დოკუმენტი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ უკვე კავკასიის რუსული ადმინისტრაცია აფიქსირებს თავის პოლიტიკურ ნებას ,,სომეხთა ავტონომიის'' არამიზანშეწონილობაზე.

,,თუმცა სომხებმა დიდი მსხვერპლი (მივაქციოთ ყურადღება — დიდი მსხვერპლი და არა ღვაწლი — ა. ჩ.) გაწიეს მოკავშირეებისათვის, მაგრამ ისინი მაინც არ იმსახურებენ ავტონომიას, რადგან მათ სხვა ორგანიზაციები გარდა რევოლუციურისა (უფრო სწორია, იკითხებოდეს — ტერორისტულისა — ა. ჩ.) არ გააჩნიათ, რომლებიც სომეხთა აზრს გამოხატავენ. და რადგანაც ეს ორგანიზაციები მტრულად არიან განწყობილნი რუსეთისადმი, უნდა

ვიგულისხმოთ, რომ ავტონომიაც, რომელიც ამ ორგანიზაციების ხელში აღმოჩნდება, მტრულად იქნება რუსეთისადმი განწყობილი".[113]

სწორედ ზემოთ მოყვანილი მოვლენები იყო იმის ერთ–ერთი მთავარი მიზეზი, რომ როდესაც 1915 წლის 8 მარტს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის შეთანხმება დაიდო (მოგვიანებით, 1916 წელს, მას რუსეთიც შეუერთდა და იგი „საიქს–პიკოს" შეთანხმების სახელწოდებით შევიდა ისტორიაში) თურქეთის ტერიტორიების დანაწილების შესახებ, „დიდ სამეულს" სომხური ავტონომიისა და სომხური სახელმწიფოს შექმნის საკითხი საერთოდ „დაავიწყდა". ამ შეთანხმების თანახმად, ოტომანთა იმპერიის სომხებით დასახლებული ტერიტორიებიდან საფრანგეთს უნდა გადაცემოდა ზეითუნი, ხაჯინი, დიარბექირი, მაიერფარკი, სივასი, ედესა და ქილიკია (ადანა, კაისერი, მარაში), ხოლო რუსეთს – ტრაპიზონი, არზრუმი, ბითლისი, ვანი და თურქეთის ქურთისტანი. რაც მთავარია, „საიქს–პიკოს" შეთანხმებით რუსეთის ხელში მისი იმპერიული სულისა და აზროვნების საუკუნოვანი ოცნება – კონსტანტინოპოლი და სრუტეების რაიონი გადადიოდა.

აი, ასე უნდა განაწილებულიყო ჯერ კიდევ მოუნადირებელი დათვის ტყავი დიდ მოკავშირეებს შორის და ამით ოტომანთა საუკუნოვან იმპერიასაც უნდა დასმოდა წერტილი. ანტანტამ თავისი „პატარა მოკავშირისათვის", რომელიც დიდი სამეულის იმედებს „ვერ ამართლებდა", ვერაფერი ვერ გაიმეტა. და ვერც გაიმეტებდა, რადგან სომეხ ნაციონალისტთა ილუზორული იმედები ევროპის მოწინავე ქვეყნებისა და რუსეთის მხრიდან, ახალი სომხური სახელმწიფოს – „დიადი არმენიის" ნათლიებად მოვლინების შესახებ, ჩანასახშივე ქიმერული იყო და მარცხისათვის განწირული.

რაც შეეხება სომეხთა ე.წ. „ბატალიონების" თუ „პოლკებისა" და დაშნაკური საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთებას და მათ რეალურ საქმიანობას რუსეთის კავკასიის არმიის მიერ ოკუპირებულ თურქულ ტერიტორიებზე, მის შესახებ შესაბამის პარაგრაფში გვექნება უფრო დაწვრილებითი საუბარი.

§7. დაშნაკთა შეიარაღებული ექსპანსიის დასაწყისი ამიერკავკასიაში. დაშნაკურ–ბოლშევიკური და დაშნაკურ–ესერული ალიანსების რეალური სახე.

მაშ ასე – სამ ზღვას შუა. სამ ზღვას შუა „დიადი არმენიის" რუკა შემოიხაზა და რა თქმა უნდა, მასში ლორე–ბამბაკისა და ახალციხე–ახალქალაქის რეგიონებიც მოექცა. თუ ამ ე.წ. „ისტორიული სომხეთის" „ისტორიულ რუკას" გადავხედავთ, კიდევ უფრო განსაცვიფრებელ სურათს წავაწყდებით. „დიადი არმენიის" ჩვენთვის საინტერესო ჩრდილოეთის საზღვრები მოიცავს მთელს ქვემო და ზემო ქართლს, თრიალეთს, გარე კახეთსა და შუა ქართლსაც – ფაქტობრივად მდინარე მტკვრის საქართველოს აუზის მთელ მარჯვენა სანაპიროს. აი, ასეთი იყო „დიადი არმენიის" მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი, რომლის აღდგენაც დაისახეს სომეხთა რევოლუციური ფედერაციის პარტიის წევრებმა.

„დიადი არმენიის" დასავლეთის ტერიტორიებზე ამჯერად არ გავამახვილებთ განსაკუთრებულ ყურადღებას, თუმცა აღვნიშნავთ, რომ მასში ჩართული იყო მთელი ტაო–კლარჯეთი და ისტორიული სპერი, აგრეთვე ლაზეთი. XIX საუკუნის ბოლოდან, ამ ეფემერული სახელმწიფოს დედაქალაქად დაშნაკთა მიერ აღმოსავლეთ ანატოლიის უდიდესი ქალაქი, თურქეთის სომეხთა პოლიტიკური აქტივობის ცენტრი, არზრუმი, ისტორიული თეოდოსიოპოლისი მოიაზრებოდა. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის, ყოფილი სახანოს ცენტრი, ერევანი, საცოდავი მიწურების ქალაქს წარმოადგენდა და მას სომხები არასდროს არ თვლიდნენ ყურადღების ღირსად.

სომეხთა რევოლუციური აქტიურობის ზრდის საყურადღებო დასაწყისი ამიერკავკასიის სეიმის პერიოდში დაიწყო, 1917 წელს, როცა ბოლშევიკი სტეფანე შაუმიანი თბილისში, ალექსანდრეს ბაღში გამართული მასობრივი პროვოკაციული გამოსვლის გზით შეეცადა ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდებას. ნოე ჟორდანია:

„ლენინმა თავის ნამესტნიკად დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა ისე დაფრთხა, რომ მიიმალა. მათ საიდუმლო ორგანიზაციამ მოაწყო მიტინგი ალექსანდროვის ბაღში იმ მიზნით, რომ იქიდან წასულიყვნენ სეიმის გასარეკად და შაუმიანის ხელისუფლების გამოსაცხადებლად. ბიურო აღმასტკომისა შეიყარა საჩქაროთ და გაგზავნა თავისი განსაკუთრებული რაზმი ვლ. იმნაძის წინამძღოლობით მიტინგის გასარეკათ და ურჩების დასაჭერად. შედეგი ცნობილია". იმაზედ კი კი აღარას ამბობს ჟორდანია, შაუმიანს რომ დაეჩემებინა: ამიერკავკასია სამ ნაწილად უნდა დაიყოს – დასავლეთი (ყოფილი ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიები) შუა (სომხეთი და აღმოსავლეთი საქართველო) და აღმოსავლეთი (აზერბაიჯანი და დაღესტანი). კარგად მოეფიქრებინა „ლენინელ ნამესტნიკს": ნახევარზე მეტი საქართველო სომხეთად უნდა გამოეცხადებინა, რასაკვირველია, „პროლეტარული

ინტერნაციონალიზმის" მოტივით! ხოლო, სანამ ეს შაჲი ოცნება მხოლოდ ოცნებადვე რჩებოდა, მანამ მისმა ავტორმა თბილისის ალექსანდრეს ბაღში სისხლის დაქცევას მიაღწია."[114]

მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, 1918 წლიდან დაშნაკთა მთელი ყურადღება და სომხური სამხედრო შენაერთების ძალების სრული კონცენტრაცია ანატოლიის ფრონტისაკენ კი არა, არამედ აღმოსავლეთისაკენ იქნა გადატანილი. მიზეზი – 1918 წლის დასაწყისისათვის სომხურ–დაშნაკური აგრესიული ექსპანსიონიზმისათვის ხელსაყრელი სიტუაციის დადგომა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში...

და აქ ვაწყდებით ერთობ საინტერესო და ერთი შეხედვით არაორდინარულ საკითხს, რაც დაშნაკთა და ბოლშევიკთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას შეეხება. ეს საიდუმლო კონტაქტები ბოლშევიკებსა და დაშნაკელებს შორის ერთ–ერთი იმ საინტერესო ისტორიულ ფენომენთაგანია, რომელიც ყოველთვის გასაიდუმლოებული და ტაბუდადებული თემა იყო ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში. თითქოს დაუჯერებელია, რომ ბაქოს ბოლშევიკური დიქტატურის პერიოდში ასეთი არაბუნებრივი სამხედრო–პოლიტიკური ალიანსი არსებობდა. ბოლშევიკები ხომ ყოველთვის პირსისხლიან ჯალათებად და იდეოლოგიურ მტრებად ხატავდნენ დაშნაკებს. კარგად შენიღბულ–შელამაზებული სისხლიანი ალიანსის ნამდვილი სახე და ისტორიული რეალობა კი სულ სხვა იყო.

ამ ალიანსის მიზეზებისა და მიზნების სრულყოფილი ანალიზია ჩატარებული ბახტიარ ნაჯაფოვის ფუნდამენტურ ნაშრომში „Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX–начале XX в. Часть вторая":

„ბოლშევიკებისა და დაშნაკების ეს არააფიშირებული და არსებითად „იატაკქვეშა" კავშირი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს არაბუნებრივი. თითქოს ინტერნაციონალისტი ბოლშევიკები „მსოფლიო რევოლუციისათვის" იბრძვიან, დაშნაკები კი, პირიქით, ულტრანაციონალისტები არიან და „დიადი არმენიის" შექმნისათვის იღწვიან. მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს იდეოლოგიური განსხვავება არც ისეთი დიდი დაბრკოლება აღმოჩნდა მათი გაერთიანებისთვის, მით უმეტეს, რომ ორივე შემთხვევაში, მათი საბოლოო მიზნები ქიმერული აღმოჩნდა. (მართლაც, მითი „მსოფლიო რევოლუციისა და კომუნიზმის" შესახებ ისეთივე უსაფუძვლო აღმოჩნდა, როგორც მითი „დიადი არმენიის" შესახებ). ამ ეტაპზე კი ბოლშევიკებსა და დაშნაკებს ერთი მიზანი ამოძრავებდათ – ჩამოეშორებინათ ხელისუფლებისაგან აზერბაიჯანელები, პირველ რიგში, „მუსავატი".

აახლოებდათ მათ აგრეთვე, სრული უპრინციპობა, ტოტალური ტერორის პრაქტიკა, დემოკრატიის ნებისმიერი ფორმებისადმი შეუთავსებლობა, ყველა საკითხის ძალოვანი მეთოდებით გადაჭრის პრაქტიკა. დაშნაკებსა და ბოლშევიკებს აერთიანებდათ აგრეთვე რევოლუციური ფრაზეოლოგიისადმი

ერთნაირი მიდრეკილებები, დემაგოგიური ლოზუნგები, პოპულისტური ჟესტები, ხმამაღალი მოწოდებები სოციალიზმის იდეების ერთგულებისადმი. ამავე დროს, ამ კავშირით ორივე მხარე დიდ სარგებელს ნახულობდა: დაშნაკები რუსეთის ბოლშევიკებისა და ესერების მხარდაჭერას მოიპოვებდნენ, რომლებიც უკვე მაშინ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას. ბოლშევიკები კი იძენდნენ დაშნაკთა მზა სამხედრო ორგანიზაციას – დამრტყმელ ძალას, რომელსაც შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა ამიერკავკასიაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო''.[115]

ყოვლისმომცველი და სრული ანალიზია წარმოდგენილი. აბსოლუტურად ვეთანხმებით ავტორის ისტორიულად გამართლებულ მოსაზრებებს.

ბოლშევიკურ–დაშნაკურ ალიანსზე მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სტეფან ჯონსიც. იგი ამჯერად ბოლშევიკთა ერთ–ერთი იდეოლოგიური მამისა და მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსის, საბჭოთა რუსეთის ერთ–ერთი ცენტრალური ფიგურის, ლეონ ბრონშტეინ–ტროცკისა და სომეხ დაშნაკთა იდეოლოგიური ბელადების – ,,დოქტორ'' ზავრიევის (ექიმ აკოფ ზავარიანის), სტეფანე ზორიანისა (როსტომი) და სხვათა ერთი შეხედვით არაორდინარულ ურთიერთდამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას:

,,ტროცკი პერსონალურად უზრუნველყოფდა დაშნაკთა წარმომადგენლების უსაფრთხოებასა და გადაადგილებას ცენტრალურ რუსეთში. მაშინ, როცა ბევრი არაბოლშევიკი გაიქცა პეტროგრადიდან, ,,დოქტორი'' ზავრიევი, დაშნაკთა ერთ–ერთი ლიდერი და დაშნაკელთა ,,საგარეო საქმეთა მინისტრი'', ამიერკავკასიიდან დაბრუნდა დედაქალაქში (იგულისხმება პეტროგრადი – ა. ჩ.) ლიპარიტ ნაზარიანცთან ერთად, რომელთა მიზანსაც სოვნარკომთან შეთანხმების დადება იყო. ამის მსგავსად, ბაქოს სომეხთა საბჭოს დავალებით როსტომ ზორიანი, შემდეგ კი არტაშეს ჩილინგარიანი მიწვეულ იქნენ რუსეთის ახალი პატრონების მიერ. თბილისში კი, მენშევიკთა ზეწოლით, კომისარიატის მიერ ბოლშევიკური პრესა აიკრძალა, ხოლო შაუმიანზე დაპატიმრების ბრძანება გაიცა. სომეხთა ნაციონალისტურმა პარტიამ დაიცვა თავისი ბოლშევიკი თანამემამულე და იგი საიდუმლოდ უსაფრთხო ადგილას გააპარა. ეს ორი ორგანიზაცია ოფიციალურად შემდგომშიც აგრძელებდა ერთმანეთთან თანამშრომლობას''.[116]

სტეფანე შაუმიანის თბილისიდან ბაქოში გაპარების ამბავთან დაკავშირებით არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ჩვენის აზრით ერთობ საინტერესო და ჩვენთვის ცოტა ძნელად ასახსნელ მოვლენას. სტეფან ჯონსის მიხედვით შაუმიანი თბილისიდან დაშნაკებმა გააპარეს, რაც ლოგიკის ჩარჩოებშიც ჯდება. ამავე დროს, ვალოდია გოგუაძე, ცნობილი ქართველი სოციალ–დემოკრატი და რევოლუციონერი, პირველი რესპუბლიკის ერთ–ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურა და მოღვაწე, მართლაც ლეგენდარული და დაუმარცხებელი მეთაური, (პირველს მიენიჭა ,,რევოლუციის პირველი რაინდის'' საპატიო წოდება) თავის მემუარში წერს:

„რუსის ჯართან ერთად გავიყვანე მათი მეთაური კუზნეცოვი და შაუმიანი. (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.) მათ მადლობა გადამიხადეს. ამ ოპერაციებისა გამო რუსის ჯარის უფროსებისაგან მივიღე დოკუმენტები, რომელსაც მარცხენა მხარეზე აზის შემდეგი ბეჭედი: სამხ. რევ. შტაბი მე—17, 22, 23, 24 და 28 კავკასიის, მე—13 და მე—15 თურქესტანის და მეორე ეკატერინეს ყაზახთა პოლკის შერეული რაზმის. 19 თებერვალი, 1918 წ. ნომერი 18. სადგური ეელახი, ამიერკავკასიის რკინის გზა.

დოკუმენტის შინაარსი იყო: ჯავშნიანი მატარებლის უფროსს. სამხედრო რევოლუციონური შტაბი უღრმეს მადლობას უძღვნის ჯავშნიანი მატარებლის უფროსს, კაპიტან გოგუაძეს, რომელმაც გააცილა ჩვენი რაზმები მესამასე ვერსიდან (სადგური ნავთლუღი — ა. ჩ.) ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ეელახამდე; მიიღო მხურვალე მონაწილეობა განჯასთან მომხდარ შეტაკებაში და ჯავშნიანი მატარებლის არტილერიის ცეცხლით გაანთავისუფლა გზა ეშელონებისათვის შეიარაღებული თათრებისაგან. შტაბი გულითად მადლობას უძღვნის აგრეთვე ჯავშნიანი მატარებლის კომანდას მისი თავგანწირული მონაწილეობისათვის ბრძოლაში.

სამხედრო შტაბის თავმჯდომარე — (ხელისმოწერა ვერ გავარჩიე).

რაზმის უფროსი — პოლუმორდვინოვ; შტაბის უფროსი — ჟურავიოვ".[117]

გოგუაძის მიერ შაუმიანისადმი გაწეული სამსახური ჩვენთვის ცოტა ძნელად ასახსნელია. გაუგებარია, რომ გოგუაძემ, ქართული სოციალ—დემოკრატიის ერთ—ერთმა ბურჯმა და მენშევიკების პარტიული სამხედრო ორგანიზაციის ერთ—ერთმა უთვალსაჩინოესმა ლიდერმა, მტერს გაუწია მსგავსი სამსახური. როგორც ჩანს „რევოლუციის პირველი რაინდისათვის" ცნებები — რევოლუცია და რევოლუციონერი, მართლაც რაღაც ზეალმატებულ, განსხვავებულ კატეგორიებს წარმოადგენდა.

სწორედ დაშნაკურ—ბოლშევიკური ურთიერთთანამშრომლობის შედეგი იყო ის, რომ საქართველოში ხელმოცარული შაუმიანი, ლენინის ნაცვალი ამიერკავკასიაში, ამჯერად აზერბაიჯანის გასაბჭოების ავანგარდში აღმოჩნდა და 1918 წლის მარტიდან სომხურ—რუსული დაშნაკურ—ბოლშევიკური ალიანსი შეიკრა განჯაში (განძა, ელისავეტპოლი, საბჭოთა კიროვაბადი, დღეს ისევ განჯა) მყოფი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დასამხობად. სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის აღმოსავლეთის დაჯგუფება დაუყოვნებლივ გადავიდა ბოლშევიკთა დაქვემდებარებაში. და შესაბამისად, დაშნაკური სომხეთის შეიარაღებული ძალების ეს საბრძოლო შენაერთი საბჭოთა რუსეთის პროპაგანდისტულმა ისტორიოგრაფიამ „ბაქოს მშრომელთა წითელ არმიად" მონათლა უმალ.

„სომხური შეიარაღებული ძალები (იგულისხმება აღმოსავლეთის დაჯგუფება — ა. ჩ.) ბაქოს კომისართა საბჭოს დაქვემდებარებაში გადავიდნენ. ჩამოყალიბდა სამი ბრიგადა, რომელთაც ამაზასპი და პოდპოლკოვნიკები ბექ—ზურაბიანი და არუთინიანი ჩაუდგნენ სათავეში. კორპუსის მეთაური

პოლკოვნიკი კაზარიანი იყო, შტაბის უფროსის თანამდებობა კი პოლკოვნიკ ავეტისიანს ეკავა. ჯარები ემზადებოდნენ მარშისათვის დასავლეთის მიმართულებით, სადაც სომხურ შენაერთებს გააფთრებული ბრძოლები ჰქონდათ გამართული თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ".[118]

ამ სტრიქონების ავტორიც აკადემიკოსი გრანტ ავეტისიანია. იგი ძალიან გულუბრყვილო ტონით წერს, რომ „ჯარები ემზადებოდნენ მარშისათვის დასავლეთის მიმართულებით"... და ცდილობს შენიღბოს შაუმიან–ზორიანის იდეური ხელმძღვანელობით შემზადებული ბოლშევიკურ–დაშნაკური შეიარაღებული აგრესიის დასაწყისი განჯისაკენ, სადაც აზერბაიჯანის კანონიერი მთავრობა იყო დროებით განთავსებული. ეს სისხლიანი ავანტიურა კი საბჭოთა ისტორიოგრაფიამ „ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობად" მონათლა.

ისტორიული ფაქტების მართლაც რომ გამაოგნებელი ფალსიფიკაციაა. ბაქოს ოკუპაციის სომხური ოპერაციის იდეოლოგიურ დაგეგმარებას სათავეში ჩვენთვის კარგად ცნობილი, „დიდი დაშნაკური სამეულის" უკანასკნელი ცოცხალი წევრი და პარტიის „იდეოლოგიური მამა" – როსტომი ედგა სათავეში, რომელიც „ი. ბაგრამიანთან და ა. ბაგრატუნისთან ერთად 7 მარტიდან ჩავიდნენ ბაქოში".[119]

„ორივე პარტია ერთი და იმავე მტრებად აღიარებდნენ როგორც მუსავატელთა პარტიას, ასევე მუსულმანთა „ველურ დივიზიას". ბაქოს სომხებისათვის ბოლშევიზმი „რუსიზმის", ხოლო მუსავატიზმი „თურქიზმის" ექვივალენტური ცნებები იყო"[120] – აღნიშნავს სტეფან ჯონსი.

ბაქოს სომხურ–რუსული, სხვანაირად, დაშნაკურ–ბოლშევიკური გადატ–რიალება შესდგა. ფაქტობრივად ეს იყო „დიადი არმენიის" ბოდვითი იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმული პირველი დიდი, რეალური ნაბიჯი. უფრო ადრე, სომეხთათვის სამწუხაროდ, „პირველ, ხმელთაშუა ზღვამდე", გასვლის იდეა ჩაიშალა, როცა ქილიკიაში მოქმედ სომხურ რაზმს, ზემოხსენებულ „სომეხთა აღმოსავლურ ლეგიონსა" და ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას, ფრანგებმა ჯერ კიდევ 1915 წლისათვის არაერთმნიშვნელოვნად აგრძნობინეს, რომ ქილიკია ფრანგთა სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედიოდა. სამაგიეროდ, სომეხ დაშნაკთათვის რეალურად შეიქმნა „მეორე ზღვაზე" გასვლის პერსპექტივა. „პირველი – ხმელთაშუა ზღვა" ჯერ–ჯერობით დაკარგულია. სამაგიეროდ მიღწეულია „მეორე – კასპიის ზღვამდე". მართალია, ეს დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით მდებარე და ჩაკეტილი ზღვაა, მაგრამ ეს არაფერია, ეს იდეას არ ცვლის, დასაწყისისათვის ერთ–ერთ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაც საკმარისია.

ბაქოს სისხლიანი გადატრიალების დროს, 1918 წლის მარტში, აუცილებლად აღსანიშნავია სომხური სამხედრო ქვედანაყოფებისა და საბრძოლო რაზმების მიერ მშვიდობიანი მაჰმადიანური მოსახლეობის იმ უმოწყალო ხოცვა–ჟლეტის ფაქტები, რასაც ამ დროს ჰქონდა ადგილი. ამ მოვლენების აღწერისას ჩვენ მხოლოდ უცხოელი ავტორის სტრიქონებს

მოვიყვანთ: „როგორც კი სომხებმა წითლების მხარდაჭერა მოიპოვეს (რომლებიც თათრებს კონტრრევოლუციურ ელემენტებად თვლიდნენ), ბრძოლა მალე გადაიზარდა თათარი მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტაში. რამდენიმე ათასი თათარი დახოცეს, ხოლო ბაქოს მუსულმანური მოსახლეობის თითქმის ნახევარმა ქალაქი დატოვა"[121] — წერს უ. ალენი. მაგრამ ეს მოვლენებიც არ იყო დაშნაკთა მიერ აზერბაიჯანელი ხალხის დემოციდის ხანგრძლივი პროცესის დასაწყისი.

დაშნაკთა სისხლიანი „მოღვაწეობის" დასაწყისი ამიერკავკასიაში, 1905–1907 წლების რევოლუციის პერიოდს უკავშირდება, როცა დაშნაკურმა ე.წ. „საბრძოლო რაზმებმა" ოტომანთა იმპერიაში დაწყებული მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტის შემდეგ უკვე ამიერკავკასიაშიც მოსინჯეს თავიანთი ძალები. ამ ფაქტებს მრავალი ავტორი და ისტორიული მასალა ადასტურებს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მხოლოდ ერთ მემუარს მოვიყვანთ, რომელიც ბაქოში დატრიალებული ამბების თვითმხილველს ეკუთვნის. ამ მემუარების ავტორი ეროვნებით სომეხი, ო. არუთიუნიანია. აი, რას წერს იგი:

„1905 წლის დასაწყისში ბაქოში დატრიალებული ძმათამკვლელი ჟლეტა ქამარლის რაიონში გრძელდებოდა, სადაც შეიარაღებული ბანდიტი–მაუზერისტები დათარეშობდნენ. აზერბაიჯანული მოსახლეობის განადგურებას ისინი შემდეგი ლოზუნგით ახორციელებდნენ: „განურჩევლად დახოცე რაც შეიძლება მეტი, დაუნდობლად ძარცვე ყველა". ისინი სომხურ სოფლებში დაბრწყოდნენ, სიტყვით გამოდიოდნენ, მოუწოდებდნენ მშრომელ გლეხობას იარაღით ხელში „დაეცვათ სომეხთა ღირსება და სიცოცხლე" და ამით ცდილობდნენ აემხედრებინათ სომეხი მოსახლეობა აზერბაიჯანელების წინააღმდეგ. დაშნაკელი ბანდიტები ძარცვავდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, წვავდნენ მათ სოფლებს. ამ ამბების დასრულებისას, სომეხი ხალხის ეს ეგრეთ წოდებული „მხსნელები" სახლებში ბრუნდებოდნენ და ღრეობებს მართავდნენ თავიანთი „გამარჯვებების" აღსანიშნავად".[122]

დავუბრუნდეთ ბაქოს ამბებს. 1918 წლის მარტის თვიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაქოში დატრიალებული სისხლიანი ოპერაციის პარალელურად, გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ბრიგადა ანალოგიურ ოპერაციებს ატარებს ნახიჭევანში. მუსულმანთა წინააღმდეგ წარმატებითი სადამსჯელო ოპერაციების დასრულებისას, 1918 წლის 14 ივნისს ანდრანიკი პატაკს უგზავნის... სტეფანე შაუმიანს, კავკასიის საგანგებო კომისარს, სადაც ატყობინებდა, რომ იგი (ანდრანიკი) ნახიჭევანის მაზრას რუსეთის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად თვლის და „იგი და მისი რაზმი რუსეთის ცენტრალური მთავრობის სრულ გამგებლობასა და დაქვემდებარებაში იმყოფებიან".

ხაპასუხო ტელეგრამაში შაუმიანი პასუხობს: „ჯულფა. ანდრანიკს – ს.ხალხო გმერს. თქვენი ტელეგრამა მივიღეთ. მისი სრული ტექსტი

ცენტრალურ მთავრობას გადავეცით მოსკოვში. ჩემის მხრივ მოგესალმებით, როგორც ნამდვილ სახალხო გმირს...''[123]

აი, ასეთი გულისამაჩუყებელი და პათეტიკით აღსავსე იყო სომეხი ხალხის ამ ორი დიდი შვილის – „ამიერკავკასიაში ლენინის სომეხი ნამესტნიკისა'' და სომეხთა „ჯორჯ ვაშინგტონის'' მიმოწერა. სომეხთა „ჯორჯ ვაშინგტონი'' ნახიჭევანის მაზრას „რუსეთის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად'' მიიჩნევს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გეოგრაფიულ კატეგორიებთან მიმართებაში, დაშნაკთა იდეოლოგიური და სამხედრო ბელადები ისე მანიპულირებდნენ, როგორც ცირკის ჟონგლიორები ფერად–ფერადი რგოლებით... და გენერალი ანდრანიკ ოზანიანიც, ყველაზე უფრო ექსტრემისტულად განწყობილი და უაღრესად რადიკალი დაშნაკი, 1918 წლის ივნისისათვის უკვე აშკარად „რუსეთის ცენტრალური მთავრობის'', ე.ი. ბოლშევიკების ხელქვეითად აღიარებს თავს.

ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლის მეორე დღესვე, 1918 წლის 29 მაისს, ბაქოს დაშნაკურ–ბოლშევიკური საბჭო შემდეგ რეზოლუციას იღებს: „ბაქოს დემოკრატია და მთელი ამიერკავკასიის მუშები და გლეხები არაფრით არ შეურიგდებიან რევოლუციური რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამყოფას და იარაღით ხელში იბრძოლებენ თურქულ–გერმანული ბანდებისა და მათი მოკავშირეების, მოღალატე ჩხენკელის, ზიათხანოვის, ყოელისა და მათი კომპანიის წინააღმდეგ''.[124]

მიღებული რეზოლუციის შესაბამისად, იწყება ბაქოს „რევოლუციური წითელი არმიის'', რეალურად კი დაშნაკური შენაერთების შეტევითი მოქმედებები დასავლეთისაკენ, განჯის მიმართულებით. მაგრამ ბოლშევიკურ–დაშნაკური ალიანსის ამ ავანტიურისტულ ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა და იგი სრული კრახით დასრულდა.

1918 წლის ზაფხულის მიწურულს რუს ბოლშევიკთათვის საერთო სამხედრო–პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოური ინტერვენციის განხორციელება დაიწყო. ცხადია, ბოლშევიკებს ბაქოსა და ამიერკავკასიისათვის დროებით აღარ ეცალათ და მათი პოზიციებიც აქ ძალიან შესუსტდა. ამავე დროს, ოსმალთა კავკასიის მე–3 არმიის მე–15 საარმიო კორპუსის შენაერთებმა გენერალ ნური ფაშას საერთო სარდლობით წარმატებული საომარი სვლა დაიწყეს ბაქოსაკენ. სამხედრო–პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლასა და საბჭოთა რუსეთის პოზიციების შესუსტებასთან ერთად სომხები მყის იცვლიან პოზიციას და ისევე, როგორც 1915 წელს, ბრიტანული ჯარების ფრთებქვეშ ცდილობენ პოზიციების შენარჩუნებას, ანუ, მთავარია სასურველი შედეგის დადგომა და არა დასახული მიზნების მიღწევის გზები. ამ ეტაპზე, დაშნაკები უმალ ახდენენ შაუმიანისა და მისი სახით გაკოტრებული რუსული ბოლშევიზმის იგნორირებას და ამჯერად უკვე ახალი „ძველი ფავორიტის'' – ბრიტანელთა საექსპედიციო ჯარების კონტინგენტის წინაშე იხრიან ქედს.

საქმე იმაშია, რომ რუსული საექსპედიციო კორპუსის მიერ ირანის დატოვებასთან ერთად ირანის ტერიტორიაზე შემოსვლას მესოპოტამიის ფრონტის ბრიტანული შენაერთები იწყებენ და სულ მცირე დროში ახდენენ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციას. ბრიტანელთა საბოლოო ინტერესების ვექტორი, ცხადია, ამიერკავკასიასა და ბაქოსკენ იყო მიმართული:

„ჯერ კიდევ გერმანელების კავკასიიდან წასვლამდე დაშნაკები ინგლისელთა სარდლობასთან დელეგაციებს აგზავნიდნენ და მათ ამიერკავკასიის ოკუპაციისათვის იწვევდნენ. კაპიტანი კოლმანიანი, რომელიც 1918 წლის სექტემბერში სპეციალურ მივლინებაში იმყოფებოდა ბაქოში, ენზელისა და პეტროვსკში, თავის სრულიად საიდუმლო პატაკში სომხეთის საგარეო მინისტრისადმი წერდა: ინგლისელთა მოწვევის ინიციატივა, ფაქტიურად, სომხებისაგან მომდინარეობდა (სომეხთა ეროვნული საბჭო). ამასვე ადასტურებს ბაქოს რუსთა ეროვნული საბჭოს ერთ–ერთი წევრი, თეთრგვარდიელი ბ. ბაიკოვი თავის მოგონებებში, რომელიც მან ბერლინში გამომავალ „რუსული რევოლუციის არქივის" ფურცლებზე გამოაქვეყნა: „სომეხთა ეროვნული საბჭოს ერთ–ერთი წევრი, სათანადო რწმუნებებით აღჭურვილი ს. ა. გაზაროვი – წერდა ბაიკოვი – ენზელიში იქნა მივლინებული, გენერალ დანსტერვილთან, ინგლისის ჯარების სარდალთან სპარსეთში, მოლაპარაკებებისა და ბაქოში მოწვევისათვის, ქალაქის დასაცავად".[125]

სომეხ დაშნაკთა აქტიურ მოლაპარაკებებს ბრიტანელებთან ზემოთ აღნიშნულ თარიღზე გაცილებით უფრო ადრე და მათი ბაქოში მოწვევის ფაქტს, სხვათა შორის, ვერც სომეხი ავტორები უარყოფენ. იგივე გრანტ ავეტისიანი: „1918 წლის ივნისში ინგლისელებთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით ბაქოს სომეხთა ნაციონალური საბჭოს მიერ მივლინებულ იქნენ მ. ტერ–პოღოსიანი და სარქის არარატიანი".[126]

მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ სომეხი დაშნაკები უკვე ივნისის თვიდან აწარმოებდნენ ბოლშევიკების ზურგს უკან სეპარატისტულ მოლაპარაკებებს ბრიტანელებთან ბაქოს ოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ივნისის თვეში ეპყრათ ბაქოში ყველაზე მყარად ხელისუფლების სადაველები ბოლშევიკებს. აი, სომეხთა ერთგული პარტნიორობის კიდევ ერთი ნიმუში.

გაკოტრებული ბაქოს ბოლშევიკური კომუნა კი ისევ სომეხთა ხელით დაემხო და ამჯერად უკვე ესერებთან ალიანსში ე.წ. „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა" დამყარდა. ეს დაშნაკთა კიდევ ერთი მეტამორფოზა იყო. ბაქოს ბოლშევიკური კომუნის გაქცეული და თითქმის უკვე სამშვიდობოს გასული ხელმძღვანელები კი, ამხანაგ შაუმიანის თავკაცობით, დააპატიმრეს. „27–ე კომისარი" – ამხანაგი ანასტას მიქოიანი – რაღაც ჯადოსნური მანქანებით ახერხებს თავდახსნას და... დანარჩენი 26 კომისრის შემდგომი ბედი საქვეყნოდ ცნობილია.

ერთობ საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებული ერთი ფაქტიც, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილი ფრანგი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის, ანრი ბარბის წიგნში — „ბოლშევიზმის უკიდურესობანი და სომხური ეპოპეა" არის გადმოცემული: „ბოლშევიკთა ძირითადი ხელმძღვანელები — შაუმიანი, ფიოლეტოვი, ჯაფარიძე დაპატიმრებულ იქნენ. შაუმიანის ბარგში ნაპოვნი იქნა 80 მილიონი რუბლი ოქროთი".[127]

დიახ, ეს ის ანრი ბარბია, XX საუკუნის დასაწყისში სომეხთაგან ლამის გაღმერთებული ანრი ბარბი, რომელიც იმჟამად ისე ღრმად იყო დაბანგული დაშნაკური პროპაგანდის ზეგავლენით, რომ აშკარად ტენდენციურად აშუქებდა „სომხურ საკითხს". თუმცა, მისი აქ მოყვანილი ნაშრომის გამოცემის შემდეგ არა გვგონია სომეხთათვის იგი ისევ სათაყვანებელ პიროვნებად დარჩენილიყოს.

„საინტერესოა, მკვლელების — ამაზასპისა და ლალაევის ბანდების მიერ ყუბასა და დივიჩში ნაძარცვი ოქროს გატანა ხომ არ სურდა შაუმიანს?"[128] — სვამს ამ საკითხთან დაკავშირებით რიტორიკულ კითხვას მეორე ავტორი.

ჯერ კიდევ ბაქოს კომუნის დამხობამდე, საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად, სომეხმა დაშნაკებმა დიდი მეცადინეობის შედეგად იმასაც კი მიაღწიეს, რომ I მსოფლიო ომის დროიდან ირანში დარჩენილი უკანასკნელი რუსული სამხედრო მაღალორგანიზებული კაზაკთა საკავალერიო ნაწილი ბაქოში შემოიყვანეს. როგორც ვხედავთ, ამჯერად დაშნაკებმა ბრიტანელებთან ერთად თეთრგვარდიელ პოლკოვნიკთანაც დაამყარეს მჭიდრო კონტაქტები. გამაოგნებელი იყო დაშნაკთა ყველა ეს მეტამორფოზა, ხოლო რუსულ საკავალერიო პოლკთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვის თქმა.

მას შემდეგ, რაც სპარსეთში დისლოცირებულმა რუსულმა საექსპედიციო კორპუსმა (სხვათა შორის, მას წარმოშობით ქართველი, და ალბათ XX საუკუნის ცარისტული გენერალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული, ამავე დროს ჩვენთვის ყველაზე ნაკლებად ცნობილი მხედართმთავარი, გენერალი ნიკოლოზ ბარათოვ-ბარათაშვილი სარდლობდა) რუსული მონარქიის დამხობის შემდეგ დატოვა ირანი, ერთადერთი ორგანიზებული სამხედრო ნაწილი, რომელიც იქ დარჩა, დონის კაზაკთა პოლკი იყო პოლკოვნიკ ლაზარ ბიჩერახოვის მეთაურობით. „ბიჩერახოვი ტიპიური რუსი იმპერიალისტი იყო. მისი ქვედანყოფები საშინელი რეპუტაციით სარგებლობდნენ სპარსეთში, რომლის სახელიც დღევანდლამდე ახსოვთ იქ. (ეს სტრიქონები 1951 წელსაა დაწერილი — ა. ჩ.) იგი მკვეთრად ანტიბოლშევიკი იყო. მისი ყველაზე დიდი ოცნება ბაქოს საბჭოთა კომუნის დამხობა იყო, მაგრამ უფრო მეტად მას თურქები სძულდა და ამ ეტაპზე მის მთავარ მიზანსაც ბაქოს ოკუპაციაში თურქთათვის დასწრება წარმოადგენდა".[129]

ერთი შეხედვით დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია, რომ 1918 წლის ივნისის თვისათვის ზორიან-შაუმიან-ბიჩერახოვის დაშნაკურ-ბოლშევიკურ-ცარისტუ-

ლი კოოლაბორაცია შესდგა და აზერბაიჯანში ირანიდან ლაზარ ბიჩერახოვის პოლკი შემოვიდა. თავად პოლკოვნიკი ბიჩერახოვი კი ბაქოს დამცველთა ე.წ. „აქტიური ჯგუფის" მეთაურად დაინიშნა, ხოლო თავისი პოლკი მან უმალ წითელი არმიის ერთ–ერთ ნაწილად გამოაცხადა(?!).

რა თქმა უნდა, მოცემულ მომენტში პოლკოვნიკი ბიჩერახოვი კონიუნქტურული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა და მისი წითელი არმიის ოფიცრად და რევოლუციის ერთ–ერთ ბელადად გარდასახვა (ისევე, როგორც გენერალ ანდრანიკისა, ან ცნობილი ჰუნჩაკი ამაზასპისა, ან არანაკლებ ცნობილი კრიმინალის, სტეფანე ლალაევისა) ისტორიის ბოროტი ხუმრობა უფრო იყო, ვიდრე ობიექტური რეალობა. ზუსტად ამ დროს კი ლაზარის უმცროსი ძმა, გიორგი ბიჩერახოვი, მთიელთა ე.წ. „თერგის რესპუბლიკაში" ანტისაბჭოთა შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. სინამდვილეში კი ლაზარ ბიჩერახოვი, რა თქმა უნდა, დაჯერებულ ცარისტად დარჩა. სულ მალე კი, კრიტიკულ სიტუაციაში, მან საკუთარი პოლკი საბრძოლო პოზიციებიდან მოხსნა და პორტ–პეტროვსკის (დღევანდელი მახაჩყალა) გავლით ჩრდილო კავკასიაში გადაიყვანა, სადაც თავისი ძმის შენაერთს დაუკავშირდა.

აი, ასეთი გამაოგნებელი, წარმოუდგენელი, მრავალფეროვანი და ერთი შეხედვით ალოგიკური იყო ის იდეოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო ვნებათა ღელვანი, რასაც ამიერკავკასიის „საბჭოთა ოაზისში" ჰქონდა ადგილი მთელი 1918 წლის განმავლობაში.

ბიჩერახოვის თერგის კაზაკთა პოლკის აზერბაიჯანში შემოსვლიდან სულ მცირე ხანში, უკვე „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის" დაშნაკი ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით, ბაქოში ირანში დისლოცირებული ბრიტანული საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი იწყებს შემოსვლას. გენერალ–მაიორ ლაიონელ დანსტერვილის (Lionel Dunsterwille) საექსპედიციო კორპუსის პირველი ქვედანაყოფები პოლკოვნიკ ქ. ბ. სტოქსის (C. B. Stokes) მეთაურობით ირანის პორტ ენზელიდან ბაქოში აგვისტოს დასაწყისში გადმოსხდნენ. 1918 წლის 17 აგვისტოს კი თვით გენერალი დანსტერვილი შემოდის ბაქოში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების ძირითად კონტინგენტთან ერთად. ესერები და დაშნაკები კი, გენერალ აკოფ ბაგრატუნისა და სტეფანე ზორიანის მეთაურობით, ერთგულებისა და თავდადების ნიშნად, პატიმრობაში აყვანილ ბაქოს 26 ბოლშევიკ კომისარს ბრიტანელებს აბარებენ...

ესეც ასე. ახალ პატრონებს ერთგულების დემონსტრირება სჭირდებათ. მაგრამ სულ მალე დაშნაკთა დიდ იმედებს უფრო დიდი იმედების გაცრუება მოჰყვა თან. დაშნაკების მოლოდინისდა მიუხედავად, გენერალ დანსტერვილის საექსპედიციო ჯარების კონტინგენტი სულ რაღაც 1200 კაცისა და ორი ჯავშანმანქანისაგან შედგებოდა. ესაა და ეს. ბაქოს „გმირული დაცვის ეპოპეაში" კი მთავარი ის იყო, რომ „ჩამოსვლიდან სულ მოკლე ხანში, დანსტერვილი დარწმუნდა, რომ რეალურად ქალაქის დაცვა შეუძლებელი

იყო. სომეხი და რუსი ჯარისკაცები აბსოლუტურად დემორალიზებულნი იყვნენ, მათ რიგებში ანარქია გაბატონებულიყო, იმართებოდა გაუთავებელი მიტინგები, „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა" ინტრიგებით იყო დაკავებული, მათი ლიდერები კი ინგლისელების ზურგსუკან, გენერალ ლუდენდორფის სახით, გერმანელებთან აწარმოებდნენ სეპარატისტულ მოლაპარაკებებს".[130]

აი, სომეხ დაშნაკთა „ერთგულებასა და პრინციპულობის" კიდევ ერთი დასტური. ბრიტანელებთან და ესერებთან არსებული ალიანსის პარალელურად, დაშნაკებმა ამჯერად საიდუმლო სეპარატისტული კავშირები გერმანელებთანაც გააბეს. გერმანელებთან ალიანსის ამ ფაქტს თვით რიჩარდ ოვანესიანიც ადასტურებს.

„ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის" დამცველთა ესერულ–დაშნაკური ე.წ. საბრძოლო რაზმები კი, ტრადიციულად, დემორალიზებულნი და ბრძოლისუუნარონი იყვნენ. გენერალ დანსტერვილის საექსპედიციო კონტინგენტის ოფიცრის, მაიორ დონოჰიუს (Donohoe) მოგონებიდან: „ჩვენ გაკვირვებულნი ვიყავით ბაქოს დამცველთა უცნაური სამხედრო ეთიკით, რომლებიც ხშირად ფრონტის მთელ უბნებს ტოვებდნენ და გაუთავებელ პოლიტიკურ მიტინგებში მონაწილეობდნენ, ან თავიანთ მეგობარ გოგონებთან ერთად ქალაქში ჩაის სმით იყვნენ დაკავებულნი".[131]

ბაქოში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, დაშნაკებმა მთელი მსოფლიო შეძრეს სომეხთათვის დახმარებებისა და მოკავშირეთა მხრიდან პირდაპირი სამხედრო ჩარევის მოთხოვნით. სრული სიმძლავრით ამუშავდა დაშნაკთა პროპაგანდისტული მანქანაც და გლობალური მასშტაბებით დაიწყო დეზინფორმაციების გავრცელება. დაშნაკთა ამ აქტივობის ყველაზე დიდ მხარდამჭერად, ცხადია, დიდი ბრიტანეთის პარლამენტი გამოდიოდა, მაგრამ „ბრიტანულ პარლამენტს არც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ჩამორჩა. ასე მაგალითად, ერთ–ერთმა კონგრესმენმა თავის გამოსვლაში ამერიკის პრეზიდენტისაგან მოითხოვა, რომ სომეხი მოსახლეობის დასაცავად მას სასწრაფოდ გაეგზავნა ბაქოში ლინკორი(?!)...

ამ ფაქტის კომენტირებისას ისტორიკოსი ირონიულად აღნიშნავს: „თუ როგორ აპირებდნენ ამერიკელები, რომ ბაქოში ლინკორი მოხვედრილიყო, თანამედროვე ისტორიის ერთ–ერთ უდიდეს საიდუმლოებად რჩება".[132]

1918 წლის სექტემბერშიც ზუსტად ისეთივე წარმატებით უღალატეს სომხურმა სამხედრო შენაერთებმა ბრიტანელებს, როგორც ორიოდე თვის წინ ბოლშევიკური კომუნის ბელადებს და ოსმალთა მიერ ბაქოზე შეტევითი ოპერაციის დაწყებამდე მიატოვეს ქალაქის თავდაცვითი პოზიციები. ღალატი, სიტყვის გატეხვა, სრული უპრინციპობა, ინტრიგები და საკუთარი დიდი იდეის ნებისმიერი გზებით მიღწევის მეთოდიკა იყო დაშნაკთა მოქმედებების უცვლელი ტაქტიკა.

„15 სექტემბერს როსტომთან და ტერ–პოღოსიანთან (ფრონტის მომარაგების უფროსი) ერთად, ბაგრატუნიმ ქალაქი დატოვა და ენზელიში

გაემგზავრა. ბაქოდან პეტროვსკში გაემგზავრა 26 ათასი კაცი. ენზელიში – 9500 (მათგან 8 ათასი ლტოლვილი), კრასნოვოდსკში – 4500 კაცი (მათგან 4 ათასი ლტოლვილი). სულ 40000 ათასი კაცი, აქედან 10 ათასი ჯარისკაცი".[133] „სომხების მიერ მიტოვებული ბრიტანული ჯარები, რომელსაც მხოლოდ რუსები ედგნენ მხარში, 16 საათიანი ბრძოლების შემდეგ, იძულებულნი გახდნენ დაეცალათ ბაქო"[134] – აღნიშნავდა ბრიტანელთა საექსპედიციო კორპუსის სარდალი, გენერალი დანსტერვილი მოგვიანებით თავის მემუარებში.

აქაც, ისევე როგორც ოტომანთა იმპერიის სინამდვილეში, დაშნაკებმა ჩვეულებისამებრ, ბედის ანაბარა მიატოვეს ბაქოს სომეხი მოსახლეობა და თანამემამულეები თურქულ–აზერბაიჯანული საპასუხო აგრესიისა და შურისძიების პირისპირ დატოვეს. სომეხ დაშნაკთა უზარმაზარმა, 10 ათასიანმა საყოველთაოდ ნაქებმა სამხედრო კონტინგენტმა და გენერალიტეტ–მა კი ფაქტობრივად უბრძოლველად, პანიკით დატოვა ქალაქი.

ბაქოს თურქულ ოკუპაციასთან დაკავშირებით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ჩვენის აზრით, ერთ მეტად საინტერესო ეპიზოდს. თურქულ–აზერბაიჯანული გაერთიანებული ძალების მიერ ბაქოს აღების ოპერაციის წინ, გენერალი ბაგრატუნი მიმართავს გენერალ დანსტერვილს:

„ჩვენ თქვენს გამო დავკარგეთ პეტროვის ორიათასიანი რაზმისა და რუსეთის, თუნდაც ბოლშევიკურის დახმარების იმედი, ამაზე რას ფიქრობთ?" დანსტერვილმა უპასუხა, რომ იგი „განუწყვეტლივ ითხოვს დახმარებას ბაღდადიდან (მან აჩვენა შესაბამისი ტელეგრამები). სამ ბატალიონს შემპირდნენ, მაგრამ მომცეს მხოლოდ ერთი, ბოლოსდაბოლოს კი უარი მითხრეს ყოველგვარ დახმარებაზე *და აცრემლებულმა* (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში – Со слезами на глазах – ა. ჩ.) დაამატა: „შემპირდნენ, მაგრამ არ მომცეს".[135]

ეს სტრიქონებიც აკადემიკოს გრანტ ავეტისიანს ეკუთვნის. ალბათ ძნელია საზოგადოდ უფრო კომიკური სცენის წარმოდგენა, ვიდრე დაშნაკურ–ბოლშევიკურ–ესერული სომხურ–რუსული ალიანსისათვის აცრემლებული ბრიტანელი როიალისტი გენერლის წარმოდგენა... ამ ამონარიდთან დაკავში–რებით, ალბათ კომენტარის გაკეთებაც კი უხერხულია.

„დიადი არმენიისა" და ამიერკავკასიის რუსული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის ილუზიამ ამ ეტაპზე მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან ცარისტული არმიის სომეხი გენერლები – ბაგრატუნი და ბაგრამიანი, რუსი ბოლშევიკები – პეტროვი და ფიოლეტოვი, სომეხი ბოლშევიკები – შაუმიანი და ყორღანოვი, გაუგებარი ეთნიკური წარმომავლობის ცარისტი კაზაკი პოლკოვნიკი ბიჩერახოვი, ჰუნჩაკთა პარტიის ვეტერანი ჯალათი, ამაზასპი, სისხლის სამართლის დამნაშავე და ბანდიტთა თავკაცი ლალაევი და ყველა ისინი, ფაქტობრივად ერთიანი დაშნაკური დროშის ქვეშ გააერთიანა.

აი, ასეთი ამოუხსნელი სამხედრო–პოლიტიკური რებუსები ითხზვებოდა ამიერკავკასიის „კომუნისტურ მექაში" მთელი 1918 წლის განმავლობაში. რა

თქმა უნდა, ბაქოზე საკუთარი ინტერესები ცარისტებსაც ჰქონდათ და ბრიტანელებსაც, რითაც მშვენივრად ისარგებლა სომეხთა ბოლშევიკურ–დაშნაკურმა ალიანსმა ჯერ „ბაქოს კომუნის", შემდეგ კი სომხურ–რუსულმა ესერულ–დაშნაკურმა ალიანსმა, „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის" უღელური რესპუბლიკების არსებობის პერიოდებში.

დაშნაკებმა დიდი წარმატებით გამოიყენეს ბრიტანული საექსპედიციო კორპუსის პირადი შემადგენლობა გენერალ დანსტერვილის მეთაურობით, აგრეთვე რუსების – პეტროვისა და ბიჩერახოვის ბოლშევიკური და ცარისტული შეიარაღებული საბრძოლო რაზმები თავისი რეჟიმის დროებით შესანარჩუნებლად.

ამ დიდი დაჯგუფების იდეოლოგიურ ბელადს არა სომეხთა ბოლშევიკი ლიდერი შაუმიანი, ცარისტი–დაშნაკელი გენერალი ბაგრატუნი, ან კიდევ სხვა ვინმე, არამედ გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს – ყოველივე ამის უკან სომეხთა პარტიული მამა და დიდი მოძღვარი, დაშნაკთა ლეგენდარული ბელადი და მისი იდეოლოგიური კურსის რუხი კარდინალი – სტეფანე ზორიან–როსტომი ედგა სათავეში. როგორც იტყვიან, „მიზანი ამართლებს საშუალებას".

დიახ, მაკიაველიზმი წარმოადგენდა ყოველთვის და წარმოადგენს ახლაც სომეხი დაშნაკების საბრძოლო, უტყუარ იდეოლოგიურ იარაღსა და ზნეობრივ საყრდენს. დაშნაკთა მოქმედებების უცვლელ სტრატეგიას კი ის წარმოადგენდა, რომ ისინი, საბოლოო ჯამში, ნებისმიერი გამარჯვებული ბლოკის მხარეს უნდა აღმოჩენილიყვნენ. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ამიერკავკასიაში საბოლოოდ გამარჯვებულ მხარედ თურქები გამოვიდოდნენ თუ გერმანელები, რუსი ცარისტები თუ ბოლშევიკები, ანტანტის წევრი ქვეყნები თუ რუსი ესერები. ასეთი იყო ისტორიული რეალობა.

ბაქოს ამბების პარალელურად, 1918 წლის მარტის თვეშივე იწყება სომხური საარმიო კორპუსის დასავლეთის დაჯგუფების აქტიური თავდაცვითი (ჯერ–ჯერობით თავდაცვითი) საბრძოლო მოქმედებები ოტომანთა მე–3 კავკასიური არმიის შენაერთების წინააღმდეგ, გენერალ–ლეიტენანტ თომა ნაზარბეგოვის სარდლობით.

„თურქებმა, რომელთა მიზანსაც ბაქოს დაპყრობა შეადგენდა, დაარღვიეს რა ყოველგვარი მოლაპარაკებები, აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. მათ დაიპყრეს *ახალქალაქი*, შირაქი; არარატის ველი, *ლორი*(?!), და ყარაბაღსა და ნახიჭევანს უმიზნებდნენ. ყარაბექირის (გენერალი ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა – ოტომანთა იპერიის შეიარაღებული ძალების მე–3 არმიის მე–15 კორპუსის სარდალი – ა. ჩ.) კორპუსის მეწინავე ქვედანაყოფები 7 კილომეტრზე იმყოფებოდნენ ერევნიდან".[136]

აკადემიკოს გ. ავატისიანის ამ მოკლე ციტატაში ტყუილ–მართალის ისეთი კორიანტელია დაყენებული და ისე ოსტატურადაა ყოველივე შეზავებული, რომ გაუთვითცნობიერებული მკითხველისათვის მეტად დამაჯე–

რებლადაც კი ჟღერს. მაგრამ აქ ერთი საკითხია საინტერესო. რა საქმე აქვ
ბატონ ავეტისიანსა და სხვა სომეხ ავტორებს ახალქალაქსა და ლორესთან
ნუთუ ასე შესტკივათ მათ გული ამ ქართულ მიწებზე?

რა თქმა უნდა, არა. ახალქალაქის პერმანენტული მოხსენიებით, იგ
კიდევ ერთხელ ცდილობს გაუსვას ხაზი ხსენებული რაიონების ვითომ
სომხურ კუთვნილებას და ამით დიდ შეცდომაში შეჰყავს მკითხველ
თურქების მიერ ლორეს რაიონის დაპყრობაც მორიგი სომხური ეშმაკობა
ავტორი ვითომცდა „სომხური მიწების" საყოველთაო ოკუპაციის ფაქტით
სომხების მძიმე მდგომარეობის კიდევ ერთხელ აფიშირებას ცდილობ
ალმატებულ ფორმებში.

ისტორიული რეალობა კი შემდეგში მდგომარეობს. თურქებს ლორე
რაიონი არ დაუპყრიათ. ალაევერდი–წითელ ხიდთან გამართულ პირველსავ
ბრძოლაში 1918 წლის გაზაფხულზე, ივნისის დასაწყისში, ქართულ
რეგულარული ჯარისა და წითელი გვარდიის რაზმებმა, გერმანულ
ქვედანაყოფების დახმარებით უკან დაახევინეს თურქული ნაწილებს და ისინ
რამდენიმე ათეულ კილომეტრზე გადაისროლეს რკინიგზის სადგურ შაღალი
იქით. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით უფრო დაწვრილებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალები
დასავლეთის დაჯგუფებამ გენერლების ანდრანიკის, ნაზარბეგოვის, არეშიევის
არარატოვის მეთაურობით, უიმედოდ დაიწყო უკანდახევა და ერთმანეთი
მიყოლებით დატოვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ქალაქები და ციხე
სიმაგრეები: ერზინჯანი, ბაიბურთი, არზრუმი, სარიყამიში, ყარსი. სომხურ
შენაერთის პანიკურ უკან დახევას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ჩვე
ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. ხოლ
გენერლებმა – დრასთამატ კანაიანმა და მოვსეს სილიკოვმა ოტომანთა მე–1
დივიზიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებში გარკვეული წარმატები
მოპოვება შეძლეს სარდარაბადისა და ბაშ–აბარანის რაიონებში, რითაც
ყოფილი ერევნის გუბერნიის გარკვეული ნაწილიც შეინარჩუნეს.

ანდრანიკ–ნაზარბეგოვის მარტის თვის მთელი საბრძოლო ეპოპე
პანიკური გაქცევა უფრო იყო, ვიდრე ორგანიზებული უკანდახევა. მიუხედავა
იმისა, რომ ისინი ფაქტიურად სინქრონულად იხევდნენ უკან პარალელურ
მარშრუტებით დილიჟანისაკენ, სამხედრო ისტორიოგრაფიამ სომეხთა ე
სამაცხვინო მარცხი რატომღაც მხოლოდ გენერალ ნაზარბეგოვის უღიმღამო
ხელმძღვანელობას მიაწერა და სომეხ მხედართმთავრებში მას „ყველაზ
უიღბლო გენერალი" უწოდა. „ნაზარბეგოვის ჩავარდნამ თურქთა 36–ე დ
მე–5 კავკასიის დივიზიების წინააღმდეგ ერევნის დაჯგუფების მდგომარე
ობაზეც არსებითად იმოქმედა".[137]

საბოლოოდ, პანიკურად უკან დახეულმა სომხურმა შენაერთებმა გეოქჩაი
(სევანის) ტბის მაღლობებს შეაფარეს თავი. მალე თურქები განჯაშიც
შევიდნენ, სადაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონიერი მთავრობ
იმყოფებოდა და თურქულ–აზერბაიჯანულმა გაერთიანებულმა ძალებმ

ტრიპოლიდან გამოძახებული ოტომანი გენერლის, ისმაილ ენვერ ფაშას უმცროსი ძმის, ნური ფაშას საერთო სარდლობით, წარმატებული წინსვლა დაიწყეს ბაქოსაკენ. 1918 წლის 16–17 სექტემბრისათვის კი ბაქოშიც შევიდნენ.

სომხურ–რუსული დაშნაკურ–ბოლშევიკური და დაშნაკურ–ესერული ბაბილონის გოდოლი დაინგრა. ბაქოს „ბოლშევიკურმა კომუნამ" და „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურამ" კი, ამ მახინჯმა სახელმწიფოებრივ–საზოგადოებრივმა წარმონაქმნებმა, შეკოწიწებიდან სულ რამდენიმე თვის თავზე თავისი არსებობა შეწყვიტეს. მათი მთავარი შემოქმედნი, დაშნაკი ნაციონალისტები და ბაქოს სომხური მოსახლეობა კი, ისტორიაში უკვე მერამდენედ, ამიერკავკასიის, შუა აზიის, სპარსეთისა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებზე მიმოიფანტნენ. თურანული იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი კი პანთურქისტებისათვის წარმატებული გამოდგა.


თავი II

§1. საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და ჯარების საორგანიზაციო–საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს.

საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების რთული და არაერთგვაროვანი პროცესი ფაქტიურად 1917 წლის ბოლოდან იწყება, მას შემდეგ, რაც რუსეთში ავანტიურისტული სამხედრო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების სადავეები ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ. საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით, ბოლშევიკებმა დიდი პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს I მსოფლიო ომის ფრონტებზე მებრძოლი რუსული არმიების პირადი შემადგენლობის რევოლუციურ რელსებზე გადასაყვანად. ომიდან გამოსვლის მიზნით კი მათ სეპარატისტული საზავო მოლაპარაკებები დაიწყეს ოთხთა კავშირის წევრებთან, რის შედეგადაც, 1917 ბოლოდან რუსეთის კავკასიის ფრონტმა რღვევა იწყო და მისი შენარჩუნებისათვის ფრონტის სარდლობის წინაშე ეროვნულ პრინციპზე აგებული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანაც დადგა: ,,კავკასიის არმიის სარდლობა საბოლოოდ იმ აზრამდე მივიდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოტივირებულ ნაციონალურ შენაერთებს შეეძლოთ შექმნილი სიტუაციის გადარჩენა''.[1]

ასე იწყებოდა ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიის ჩამოყალიბების რთული და არაერთგვაროვანი პროცესი, რომლის საორგანიზაციო–საბრძოლო სტრუქტურაც მისი ეროვნული შენაერთებით დაკომპლექტების პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული. გენერალი კვინიტაძე: ,,განსაზღვრული იყო ერთი საჯარისო გაერთიანების – ამიერკავკასიის არმიის ჩამოყალიბება ქართული, სომხური და მაჰმადიანური საარმიო კორპუსების, ბერძნული დივიზიისა და გერმანული პოლკის შემადგენლობით''.[2]

ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიის სტრუქტურა სქემატურად ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



ცნობილი სამხედრო–პოლიტიკური მოვლენების გამო, ამიერკავკასიის ფედერაცია მალე დაიშალა და ცხადია, საბოლოო ჯამში, ინტერნაციონალური კავკასიური არმიის ჩამოყალიბებაც ვეღარ მოხერხდა.

1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ერთდროულად თითოეული რესპუბლიკა–სათვის დღის წესრიგში საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანაც დადგა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ფედერაციის დაშლამდე უკვე არსებობდა საქართველოს წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის რაზმები და ერთი ქართული დივიზიის ჩანასახი. სწორედ ამ საჯარისო ფორმირებებმა შეადგინეს საქართველოს შეიარაღებუ–ლი ძალების ძირითადი ბირთვი უკვე დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ.

თუმცა, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალები ძირითადში მაინც მილიციური ტიპისა იყო და ლაშქრის (ლაშქრის, და არა ჯარის) შეკრებაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობის დროს სწორედ ასეთი ლაშქარი შეადგენდა საქართველოს ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის საბრძოლო და პროფესიული მომზადების ხარისხი ვერ იდგა სათანადო დონეზე. ჩვენს მიერ გაკეთებული ეს დასკვნა, ცხადია, მხოლოდ რიგით შემადგენლობას ეხება. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოს რეგულარული ჯარის მე–2 ქვეითი დივიზიის მე–5 პოლკის დამრტყმელი შერეული ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის პატაკის შინაარსიც:

„ყველა ბრძოლაში აღსანიშნავია კაპიტან ამაშუკელის, პოდპორუჩიკების – ჩაჩავას, ჩხენკელის, პრაპორშიკების – დოლიძისა და კანდელაკის საბრძოლო დამსახურება, რომლებიც თავისი მოქმედებებითა და სიმამაცით მაგალითს აძლევდნენ *გაუწვრთნელ, გამოუცდელ ჯარისკაცებს, რომელთა შორი ბევრი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პოლკში სულ რამდენიმე დღის მოსულები იყვნენ. მეც და ჩემს ოფიცრებსაც პირდაპირ პოზიციებზე გვიხდებოდა ჯარისკაცთათვის იარაღის დატენვის, სამიზნის დაყენებისა და სროლის სწავლება*". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ).[3]

და ეს მაშინ, როცა საბრძოლო ორგანიზებისა და საერთო დისციპლინის მხრივ, სწორედ მე–5 და მე–6 ქვეითი პოლკები ითვლებოდნენ საქართველოს რეგულარული ჯარის ყველაზე მაღალორგანიზებულ ნაწილებად.

ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესზე გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მოგვითხრობს:

„ქართული საარმიო კორპუსის ბირთვი 1917 წლის ბოლოს ფრონტიდან დაბრუნებული ორი ქართული პოლკი (ერთი ქვეითი, ერთი საკავალერიო) და ქუთაისში შემდგარი ერთი სათადარიგო ბატალიონი (ათასეული) უნდა გამხდარიყო".[4]

საერთო ჯამში, იდეაში, საომარი მოქმედებების დროს, ქართული კორპუსის სტრუქტურა სამი დივიზიით იყო განსაზღვრული: ,,იგეგმებოდა მესამე დივიზიის შექმნა და მისი დაბანაკება ბათუმ–ართვინ–არდაგან–ახალციხის რაიონებში, რომ რაღაც გვყოლოდა ოსმალეთის წინააღმდეგ".[5]

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ საომარი მოქმედებების დროს, ე.წ. ,,ქართული საარმიო კორპუსი" 1918 წლისათვის ორ არასრულ ,,დივიზიად" იყო წარმოადგენილი და მათ დივიზიებიც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ისინი არც სტრუქტურით, არც შეიარაღებითა და მითუმეტეს, არც პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით, ნამდვილად არ შეესაბამებოდნენ აღნიშნულ შენაერთებს.

მე–2 ქართული ქვეითი დივიზიის კომპლექტაცია და საბრძოლო სტრუქტურამდე აყვანა მხოლოდ სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობისას, დეკემბრის ბოლოს დასრულდა. ცხენოსანი ბრიგადის სრული ფორმირება კი საერთოდ აღარ განხორციელებულა. 1–ლი ქვეითი დივიზიის ნაწილები დასავლეთ საქართველოში იყო დისლოცირებული, დივიზიის შტაბით ქ. ქუთაისში, ხოლო მე–2 დივიზიისა – აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით ქ. თბილისში. 1918 წლისათვის მათ შესაბამისად გენერლები არჯევანიძე და მაზნიაშვილი მეთაურობდნენ.

საქართველოს წითელი, მოგვიანებით სახალხო გვარდია ძირითადში მმართველი სოციალ–დემოკრატიული პარტიის საბრძოლო შენაერთს წარმოადგენდა და მისი სამეთაურო შემადგენლობაც ამ პარტიის აქტივისტებით იყო დაკომპლექტებული. არსებობდა აგრეთვე ანალოგიური პრინციპით აგებული სხვა საბრძოლო რაზმებიც (მაგ. სოციალისტ–ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის), რომლებიც სულ მალე სახალხო გვარდიაში გაერთიანდნენ.

გვარდიის უმაღლეს მმართველ ორგანოს მთავარი შტაბი წარმოადგენდა ჯერ 13, შემდეგ კი 21 კაცის შემადგენლობით და მას უცვლელად სოციალ–დემოკრატთა ერთ–ერთი ლიდერი (გამენშეეიკებული ბოლშევიკი) ვალიკო ჯუღელი ედგა სათავეში, ხოლო გვარდიის საპატიო სარდლის თანამდებობა თვით მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ნოე ჟორდანიას ეკავა. შტაბის შემადგენლობა შემდეგი იყო: ალ. დგებუაძე, ალ. მაისურაძე, ვლ. მგელაძე, ვლ. ჯიბლაძე, ანდრო ჭიაბრიშვილი, ილ. ქარცივაძე, ვ. ცინცაძე, კ. ორაგველიძე, დ. საღირაშვილი, თ. შენგელია, გოგიშვილი, ვარდოიანი და სხვა. გვარდიის რეგიონალური მართვის სტრუქტურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მოიცავდა, სადაც მას გვარდიის რაიონული შტაბები ჰქონდა დაფუძნებული.

სახალხო გვარდიას გააჩნდა ქვეითი, საკავალერიო და საარტილერიო ნაწილები, მის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ჯარების ტექნიკური სახეობა – ჯავშანმატარებლების პარკი, რომელსაც სათავეში სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ქართველი ოფიცერი, პორუჩიკი ვალოდია გოგუაძე ედგა. 1917 წლის ბოლოდან საქართველოს წითელმა გვარდიამ არაერთი

ლოკალური ხასიათის საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტას გაართვა თავი, რაც ძირითადში მცირე მასშტაბის ადგილობრივი კონფლიქტებისა და ბოლშევიკთა გამოსვლების ჩახშობაში გამოიხატებოდა.

გვარდიაში უცხო ხილი არ იყო უდისციპლინობა, არაორგანიზებულობა, თვით დაუმორჩილებლობაც კი საბრძოლო მოქმედებების დროს. „გვარდიამ არ იცოდა რაა თავდაცვა, რაა ბრძოლა, ომში არ ყოფილან უმეტესობა. დაზვერვა არ არსებობდა... აბა შეიძლება ჯარი გყავდეს და დაზვერვა არ იყოს? დაზვერვისათვის თანხა არ არსებობდა. ორად ორი კაცი იყო დაზვერვის მთელი უწყებისათვის — ალექსანდრე ბაგრატიონი, პოლკოვნიკი და ვალიკო თევზაძე. მე იმას ვერ ვიტყვი, რომ გვარდია ბრძოლის ველზე არ გამოდიოდა თქო, მაგრამ რა ძალა იყო, ეს სხვა ამბავია. როგორც სამხედრო ძალა, გვარდია გამოუსადეგარი იყო".[6]

გვარდიის ნაწილების არაორგანიზებულობამ და უდისციპლინობამ მასშტაბურად სწორედ სომხეთ—საქართველოს ომის მიმდინარეობისას იჩინა პირველად თავი, როცა ორ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში, ეკატერინენფელდ—თან და განსაკუთრებით შულავერთან, გვარდიის ქვედანაყოფების ყოველად უპასუხისმგებლო მოქმედებებმა სასწორზე შეაგდო ამ ბრძოლების ბედი და დიდ ხიფათში ჩააგდო სხვა ქართული ქვედანაყოფები. უფრო მეტიც, სახალხო გვარდიის ყოველად უპასუხისმგებლო მოქმედებებმა შულავერის ოპერაციის მსვლელობისას, გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც ამ ომის საბოლოო შედეგები.

გვარდიის სწორედ ეს მოქმედებები უნდა გამხდარიყო საყოველთაო განგაშის წინაპირობა, რომლის გაუთვალისწინებლობამაც, სამწუხაროდ, მოგვიანებით, უკვე 1921 წლის თებერვალში, სრული კატასტროფის წინაშე დააყენა ქართული ჯარი და მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობა.

სახალხო გვარდიის საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკურ ანალიზსა და შეფასებას სომხეთ—საქართველოს ომში, ეკატერინენფელდთან და შულავერთან, ჩვენ ქვევით, საბრძოლო მოქმედებათა განხილვისას შევეხებით უფრო დაწვრილებით. ამჯერად კი ვიტყვით, რომ ერთ—ერთი ძირითადი მიზეზი ზემოთქმულისა ისიც იყო, რომ გვარდიის ხელმძღვანელობასა და სამეთაურო რგოლში თითქმის არ იყო კადრის, პროფესიონალი და გამოცდილი ოფიცერი. კადრის ოფიცრები მხოლოდ საომარი მოქმედებების დროს მიეწვლინებოდნენ გვარდიაში, რასაც მინიმალური ეფექტი მოჰქონდა.

საქართველოს რეგულარული ჯარიც არ გამოირჩეოდა საზოგადოდ სანიმუშო მდგომარეობით, მაგრამ ერთ—ერთი ყველაზე შემაშფოთებელი მოვლენა საქართველოს შეიარაღებული ძალების სისტემაში, წითელ (სახალხო) გვარდიასა და რეგულარულ ჯარს შორის არსებული დაპირისპირება იყო:

„ჯარისკაცები იყვნენ სახლებში თოფებითა და ტანსაცმლით და საჭიროების შემთხვევაში ცხადდებოდნენ თავთავიანთ ნაწილებში, ისე, როგორც ეს შვეიცარიაშია. სახალხო გვარდიაში ოფიცრების ხარისხები

(იგულისხმება სამხედრო წოდებები — ა. ჩ.) არ იყო. გვარდიას უმეტესად შეადგენდნენ უმთავრესად პარტიის წევრები, მენშევიკები. მხოლოდ ერთი ათასეული იყო შედგენილი სოციალისტ–ფედერალისტების მიერ გენ. იოსებ გედევანიშვილის უფროსობით, რომელიც პირველი ომის წინ, პოლიტიკური საქმიანობისათვის ჯარიდან იყო განთავისუფლებული. ჯარსა და გვარდიას შორის ურთიერთობა ვერ იყო იდეალური. გვარდიის ოფიცრებს ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია, რაც მუდმივ ჯარს აღიზიანებდა."[7]

აქ, შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ იოსებ (სოსო) გედევანიშვილი 1918 წლის დასაწყისისათვის კაპიტნის ჩინს ატარებდა და მისი გაგენერლებაც, გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ სწრაფად მოხდა, ხოლო ის ფაქტი, რომ გვარდიასა და რეგულარული ჯარის ნაწილებს შორის პრივილეგიებში დიდი სხვაობა იყო, წარმოადგენდა სწორედ ქართული შეიარაღებული ძალების ერთ–ერთ უდიდეს დამანგრეველ ფაქტორს.

გარდა ამისა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ წითელი გვარდია პოლიტიზირებული, ფაქტიურად ერთპარტიულობის პრინციპზე აგებული პრეტორიანული საბრძოლო შენაერთი იყო და მისი მთელი პირადი შემადგენლობის იდეოლოგიაც, როგორც რიგითი, ასევე სამეთაურო შემადგენლობისა, გასაგები მიზეზების გამო, სოციალისტურ–ინტერნაციონალისტური უფრო იყო, ვიდრე ეროვნული და პატრიოტული. „ძველი ჯარისკაცი ჯარში არა ჩერდებოდა. შეკრებდნენ პოლკს, მისცემდნენ იარაღს, ჩააცმევდნენ (საწყობებში იარაღი და ტანისამოსი ჯერ კიდევ ბევრი იყო), ავარჯიშებდნენ რამდენიმე დღეს და ერთ მშვენიერ დღეს ყაზარმა ცარიელი დახვდებოდათ. მიდიოდნენ იარაღიანად. მთავრობამ ჩამოაყალიბა წითელი გვარდია, რომლის სათავეში დააყენა ვალერიან ჯუღელი. გვარდია იყო უფრო საეგზეკუციო ნაწილი, ხალხში თავიდანვე გაუტყდა სახელი, როგორც დამსჯელ შენაერთს".[8]

საწყის ეტაპზე საქართველოს პირველი, ორგანიზებული საჯარისო შენაერთი შედგებოდა „ერთი ქვეითი ბატალიონის, ერთი გვარდიის ბატალიონის, ერთი ბატარეის, გვარდიის ერთი ცხენოსანი დივიზიის, ერთი გერმანული — ბავარიელ ეგერთა — ბატალიონისაგან".[9] დამატებით ჯავშან–მატარებლების პარკი, აგრეთვე საავიაციო რაზმები თბილისსა და ქუთაისში, მცირე ფლოტი — ბაზირებით ფოთში.

ჯარების იმჟამინდელი საორგანიზაციო–საშტატო სტრუქტურით ეს საბრძოლო ერთეული ფაქტიურად ერთ სრულ, გაშლილ ბრიგადას წარმოადგენდა. ამ ამონარიდში აშკარად შეცდომაა დაშვებული საკავალერიო დივიზიასთან დაკავშირებით. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში საკავალერიო დივიზია არასოდეს არ არსებობდა. უნდა იყოს მაქსიმუმ საკავალერიო ბრიგადა.

საინტერესოა გენერალური შტაბის ოფიცრის, პოლკოვნიკ ვ. თევზაძის მოგონება ქართული ჯარის ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით: „ჩვენი მთავრობა, როგორც მოვიხსენიე, სოციალისტური იყო და დიდ სურვილს არ

იჩენდა რეგულარული ჯარის მოწყობისათვის. საკმარისად მიაჩნდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, როგორიც შვეიცარიაში იყო, ე.ი. მილიციური სისტემის. არ ვიცი თუ ეს მიზანშეწონილი იყო ისეთ მძიმე პირობებში, როდესაც საქართველო გარშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით. მახსოვს, გენ. ოდიშელიძე, დიდად განათლებული და დამსახურებული ოფიცერი მხარს უჭერდა ამ წინადადებას, საჭიროდ არ სცნობდა ოფიცერთა ხარისხებს, მათ მაგიერ უკეთესად მიაჩნდა ოფიცერთა წოდება დაკავებული თანამდებობის თანახმად აღნიშნულიყო, როგორც გუნდის, ათასეულის, (ასეულის, ბატალიონის — ა. ჩ.) პოლკის უფროსი და სხვა. კომისიამ საბოლოოდ გადაწყვიტა შექმნილიყო 3 ქვეითი ბრიგადა, ერთი ცხენოსანი პოლკი და ცალკეული ბრიგადები — არტილერიის, საპიორთა და სხვა დარგების".[10]

საერთო ჯამში, მშვიდობიანი პერიოდისათვის ქვეითი ჯარის სამი ბრიგადის შექმნა განისაზღვრა, რომელიც ომის შემთხვევაში სამ დივიზიად უნდა გაშლილიყო. 1918 წლისათვის, რეალურად, დასახული ამოცანა ვერ შესრულდა და შესაბამისი ნაწილები და შენაერთები ვერ ჩამოყალიბდა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ცალასახად უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია — ქართული მაღალორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების არშექმნის მთავარი მიზეზი საქართველოს სოციალ—დემოკრატიული ხელისუფლების იდეოლოგიური პოზიცია და შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივი გაპარტიულების პრინციპი იყო. სწორედ ამის გამო არ იქნა მიღებული ამიერკავკასიაში გერმანელთა საიმპერატორო ჯარების სარდლის, გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის რჩევა ქართული ჯარის სტრუქტურისა და კომპლექტაციის საკითხების შესახებ.

„გერმანელების დროს მიღებული სამხედრო პროექტები — ორი ქვეითთა და ერთი ცხენოსანი დივიზიის შექმნა მოხდა ნაწილობრივ და არა სრული შემადგენლობით და ცხენოსანი დივიზიის სრული გამოკლებით. ამის მიზეზი განმარტა ცნობილმა მენშევიკმა ზაქარია გურულმა: ცხენოსანი დივიზია გადაიქცევა თავად—აზნაურთა საჯირითო სარბიელად და ჩვენ არ გვესაჭიროებაო".[11]

კავალერიის არშექმნის გამაოგნებელი არგუმენტია წარმოდგენილი მემუარში. აქ, ჩვენის აზრით, ყოველგვარი კომენტარის გაკეთებაც კი ზედმეტია. ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით საქართველოს პარლამენტის წევრის, ეროვნულ—დემოკრატის, დავით ვაჩნაძის მოსაზრებებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ იგი პროფესიონალი სამხედრო პირი იყო:

„ს.—დ. (იგულისხმება სოციალ—დემოკრატთა — ა. ჩ.) მთავრობა თავიდან ცივად და უნდობლად დახვდა გენერალ ფონ კრესის წინადადება— რჩევას ერთი მთლიანი ეროვნული ჯარის საჩქაროდ შედგენისათვის, ნაცვლად სამრად უვარგისი პარტიული გვარდიისა.

— ჩვენ ვართ მოსულნი დროებით და ალბათ მოგვიხდება უკან დაბრუნება. უჯაროდ თქვენი სამშობლო ადვილად წაილეკება მეზობლებისაგან. ისარგებლეთ ჩვენი აქ ყოფნით, გამოცდილებით, ყოველგვარი დახმარებით და შეადგინეთ წესიერი, მაგარი ქართული ჯარი და გაიმაგრეთ თქვენი ქვეყანაო — მოუწოდებდნენ გერმანელი მრჩევლები ს.—დემოკრატების მეთაურებს პარლამენტის სამხედრო კომისიაში, მაგრამ ამაოდ. ს.—დემოკრატები უარით დახვდნენ მათ წარმოდგენილ სამხედრო გეგმას, რომელიც მოითხოვდა ერთგვაროვანი მუდმივი ქართული ეროვნული ჯარის მოწყობას (როგორც მთავარ ძალოვან ნაწილს მომავალი საერთო კავკასიის ჯარისა) და პარტიული გვარდიის გაუქმებას... მიზეზი ასეთი გახელებული წინააღმდეგობისა ყველასათვის ნათელი იყო: პარტიული გვარდია მათ ესაჭიროებოდათ დაწყებული მიწების კონფისკაციის საქმის უზრუნველყოფისათვის და მომავალ დამფუძნებელ კრებაში სოფლის ხალხის უმრავლესობის ხმის მილებისათვის თავისი პარტიული დიქტატურის განმტკიცებისათვის. ამასთანავე მათ ეშინოდათ და ამას არც მალავდნენ, რომ ეროვნულ ჯარს სათავეში, მათი აზრით, „რეაქციონერი" ოფიცრები, თავადაზნაურობის ჩამომავლობისა ჩაუდგებოდნენ".[12]

რა თქმა უნდა, მოყვანილ ციტატაში ავტორის გერმანოფილური განწყობა იგრძნობა, (გაგახსენებთ, რომ მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გერმანიაში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1962 წელს) მაგრამ ფაქტია, რომ ციტატაში მოყვანილი მოსაზრება დოკუმენტურად და რაც მთავარია, ფაქტობრივად დადასტურებულია.

გენერალი კვინიტაძეც ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბების საკითხისადმი არასწორი მიდგომის მთავარ მიზეზად მთავრობის პარტიულ—იდეოლოგიურ შეხედულებებს ასახელებს: „მაშინ, როცა მეზობელ ამიერკავკასიურ სახელმწიფოებში სამხედრო ორგანიზაციას მეთაურობდნენ: აზერბაიჯანში — გენერლები მეხმანდაროვი და შიხლინსკი, სომხეთში — გენერალი ნაზარბეგოვი, ჩვენი მთავრობა სამხედრო მინისტრად ნიშნავდა ხან სახალხო მასწავლებელს, ხან საერო მოღვაწეს, ხან ექიმს, ოღონდ მეთაური სოციალ—დემოკრატი ყოფილიყო. ერთ—ერთი მათგანის თანაშემწე გახლდი; ერთხელ ბატალიონის გასტუმრებისას, მეთაურს ეუთხარი, ორი ქვემეხი (орудие — ა. ჩ.) წაიღე—მეთქი და სამხედრო მინისტრმა მკითხა: „ბატონო გიორგი, ორი ქვემეხი რამდენი ზარბაზანია?

— ეგეც თქვენი ჯარის „აღმშენებელი" და „მეთაური".[13]

იმჟამად საქართველოში არსებული რუსულის იდენტური არმიის მართვის უმაღლესი სტრუქტურისათვის აუცილებელი იყო, რომ სამხედრო სამინისტროს სათავეში სამხედრო პირი ყოფილიყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ შეიარაღებული ძალების მთავარი საბრძოლო—დაგეგმარებითი ორგანო — „არმიის ტვინი", ანუ, გენერალური შტაბი, სტრუქტურულად უშუალოდ სამხედრო სამინისტროში შედიოდა და მის ერთ—ერთ განყოფილებას წარმოადგენდა. აქ სამხედრო მინისტრი იყო


მთავარი განმმკარგველი და პირველი პირი წმინდათ სამხედრო პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

ევროპის მოწინავე ქვეყნებში, უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან, სამხედრო სამინისტრო და გენერალური შტაბი გაყოფილი იყო და მათი ფუნქციებიც მკვეთრად იყო გამიჯნული. აქ სწორედ გენერალური შტაბის უფროსი იყო ჯარების საბრძოლო მზადყოფნაზე პასუხისმგებელი და შესაბამის ბრძანებებსა და განკარგულებებსაც ის გასცემდა ერთპიროვნულად. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სამხედრო მინისტრი წმინდათ პოლიტიკური ფიგურა იყო და იგი თავისი უწყების მხოლოდ ძირითად სტრატეგიულ–პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდა.

ასეთი მდგომარეობაა უკვე დღეს საქართველოს სამხედრო ძალების უწყებაში, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის არსებული „სამხედრო სამინსტრო – გენერალური შტაბის'' არადიფერენცირებული სისტემისათვის კი არანაირად არ იყო მართებული სამოქალაქო პირის, არაპროფესიონალი სამხედრო მინისტრის არსებობა. სხვათა შორის, ასეთი უნიკალური მდგომარეობა იმდროინდელ რეალობაში, მხოლოდ საქართველოში იყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი, საერთო ჯამში, ქართული საარმიო კორპუსის სტრუქტურა 1918 წლისათვის, სქემატურად, შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:



სომხეთ—საქართველოს ომის მსვლელობისას, ფრონტებზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ინტენსიურად დაიწყო მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბებაც, რომლებსაც გამოცდილი ოფიცრები ჩაუდგნენ სათავეში, მაგრამ საერთო სამხედრო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადების მხრივ ეს რაზმები პრაქტიკულად არაბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები აღმოჩნდნენ და მათ წინაშე დასმულ ამოცანას ვერ გაართვეს თავი.

ამ რაზმებში არსებული მდგომარეობა თითქმის ყველა პარამეტრით ანალოგიური აღმოჩნდა სახალხო გვარდიაში არსებული მდგომარეობისა, იმ განსხვავებით, რომ ეს რაზმები არაპარტიულობის პრინციპით იქნა ჩამოყალიბებული. ამის ნათელი დადასტურებაა გენერალ—მაიორ მაზნიაშვილის შემდეგი სიტყვები:

„დანარჩენი სამხედრო ნაწილები სხვადასხვა დასახელებებით „განსაკუთრებული რაზმი ჟორდანიასი", „კერესელიძის", „ფხაკაძის" და სხვა, არაფერს წარმოადგენდნენ, ყველა ეს რაზმები ქაღალდზე ირიცხებოდნენ, იღებდნენ სურსათს, ტანსაცმელს და საჭმელს არა ჯარისკაცების არსებული რიცხვის მიხედვით, არამედ თანახმად შედგენილი სიებისა. საგულისხმო ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაყაშვილი და სხვა უფროსები მოითხოვდნენ მთავრობისაგან, თავიდან მოეშორებინა მათთვის ამგვარი ჯარის ნაწილები, მათ ხელი არავინ არ ახლო, მხოლოდ შემდეგში დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ ეს რაზმები დაშალეს სამუდამოდ".[14]

სულ მალე ნათელი გახდა მოხალისეთა რაზმების ლიკვიდაციის აუცილებლობაც და მთავრობამაც, მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაშალა ისინი. ეს ფაქტი სამხედრო მინისტრის ქვემოთ მოყვანილი ბრძანებით დასტურდება:

„ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ №134. 28. 12. 1918.

გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ მოხალისეთა ცალკე რაზმების შედგენა მეტად ფერხდება და შესაფერ ნაყოფს არ გვაძლევს. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ასეთი რაზმებისათვის მომარაგეობის მოწყობა, მათი მოძრაობა და გამოკვება იმდენად მძიმე პირობებში გვიხდება, რომ მოხალისეთა რაზმები ვერ ასრულებენ და ვერც შეასრულებენ საომარ დავალებას. აუარებელ ხარჯებს იწვევს ხსენებული რაზმების დაარსება, სამაგიეროდ კი რადგანაც ოფიცრობა არა ჰყავთ, მჭიდრო ორგანიზაცია არ არსებობს, იგინი ვერ იჩენენ საკმაო უნარს მოქმედების დროს და ვერც აანაზღაურებენ მათთვის დახარჯულ აუარებელ ფულს.

ვბრძანებ:

შეჩერებულ იქმნას მოხალისეთა რაზმების შედგენა. ისინი, რომლებიც ეხლა დგებიან უნდა დაიშალონ და მათი როგორც ცალკე რაზმების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. ჯარის კაცნი, ვინც სამხედრო ბეგარის მოვალეა, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ რეგულარულ ნაწილებში; მოხალისენიც

უნდა შეეიდნენ აგრეთვე რეგულარულ ნაწილში. ნაწილის არჩევა მათს სურვილზეა დამოკიდებული. მინისტრი გიორგაძე."[15]

სამხედრო მინისტრის ეს ბრძანება 1918 წლის 28 დეკემბერსაა გამოცემული, იმ დროს, როცა სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები თავის გადამწყვეტ ფაზაშია შესული და ქართული ჯარი ეს–ესაა წარმატებით ავითარებდა დაწყებულ კონტრშეტევით ოპერაციას. ასეთ დროს სამხედრო ნაწილების დაშლისა და რეორგანიზაციის ბრძანების გამოცემა კი სამხედრო სამინისტროს პირველი პირის მიერ, ჯარების არაორგანიზებული და უთავბოლო მართვის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

ჯარების საბრძოლო ორგანიზაციის მხრივ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იგივე სისტემა მოქმედებდა, რაც ყოფილი მეფის რუსეთის არმიაში და იგი პოლკურ–დივიზიურ წყობაზე იყო აგებული.

უცხოური წყაროები საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო რიცხოვნობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდიან: „ქართველებს ჰყავდათ მხოლოდ არასტაბილური ნაციონალური არმია (არაუმეტეს 10000 კაცისა)".[16]

მოგვიანებით, 1918 წლის ბოლოსათვის მოხერხდა ქართული რეგულარული ჯარის ორ დივიზიამდე აყვანა, მაგრამ არასდროს მას სრულ საარმიო კორპუსამდე და მით უმეტეს, არმიამდე არ მიუღწევია, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებების შემთხვევაში, მთავრობის მიერ 67000–იანი ჯარის მომზადება და მობილიზაცია იყო დაგეგმილი. საერთო ჯამში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილეში, მშვიდობიანობის პერიოდში, საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობა, რეალურად, 13 ათასზე მეტი არასოდეს არ ყოფილა.

საქართველოს რეგულარული შეიარაღებული ძალების შემადგენლობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი „საქართველო" პუბლიკაციაში, სათაურით – „ქართული ჯარის პარადი", რომელიც სწორედ სომხეთ–საქართველოს ომის დროს, ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა თბილისში:

„გუშინ, 21 ღვინობისთვეს გოლოვინის პროსპექტზე საქართველოს პარლამენტის წინ გაიმართა საქართველოს ჯარების პარადი. საუცხოოდ მოწყობილი რაზმები, მამაცი აფიცრები და მძიმე არტილერია ხალხზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. პარადი მთელი საათი გაგრძელდა, რის დროსაც ტრამვაის მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. ჯარის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. პარადში მონაწილეობდა ქვეითი ჯარის მე–4 და მე–5 პოლკები და გუსართა მე–2 პოლკი, საარტილერიო ბრიგადის 1–ლი ბატარეა, ქართულ–გერმანული ლეგიონი, მფრინავთა და საავტომობილო როტები, სანაპირო როტა, სამორტირო დივიზიონის ნაწილი და სხვა. პარადზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქართულ–გერმანული ლეგიონი. პარადს ხელმძღვანელობდა გენერალ–მაიორი მაზნიაშვილი.

პარადი მიიღო სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ სამხედრო სამინისტროსთან მყოფ გერმანელი მრჩევლის ფონ–ფოლფსველის თანდასწრებით. პარადს დაესწრნენ საქართველოს გენერალიტეტი და პარლამენტის წევრები."[17]

სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებასაც იგივე სარჩული დაედო, რაც ქართულისას, კერძოდ, „სომხური ტერიტორიებისა" და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა. გენერალი გულბექიანი წერდა:

„სომეხი ჯარისკაცები აცნობიერებდნენ, რომ კავკასიის ფრონტის მორღვევა მათი საუკუნოვანი, დაუძინებელი მტრის შემოჭრას მოასწავებდა მათ მშობლიურ, სისხლით მორწყულ „ჰაიასტანში". ისინი გრძნობდნენ, რომ კავკასიის ფრონტის ლიკვიდაცია ტოლფასი იყო სომეხი ერის დაღუპვისა".[18]

ამავე დროს, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლადფორმირებული სომხური სამხედრო შენაერთების საბრძოლო მოქმედებების პერსპექტივაში სულ სხვა რამ იყო ჩადებული – დაშნაკთა ექსპანსიონისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული შეიარაღებული აგრესია და ამიერკავკასიისა და თურქეთის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილების ოკუპაცია.

ჯარების ორგანიზაციის მხრივ აქაც რუსული სისტემა იყო დატოვებული და ცხადია, ქართულის ანალოგიური იყო. ქართველ მენშევიკთა იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ, სომეხ დაშნაკთა პოლიტიკური ხედვა და მიზნები აბსოლუტურად ჯდებოდა თითოეული სომეხი ეროვნების სამხედრო მოსამსახურის ნაციონალისტურ მისწრაფებებთან. და ეს ეხება არა მარტო საკუთრივ სომხეთსა ან თურქეთში მაცხოვრებელ სომხებს, არამედ რუსეთის არმიაში მოსამსახურე სომეხი ეროვნების თითქმის ყველა გენერალსა და ოფიცერს. საბოლოო ჯამში, სომხებმა ქართველებთან შედარებით, რიცხობრივად გაცილებით უფრო დიდი არმიის შექმნა შეძლეს.

მართალია, რეალურად სომხური საარმიო კორპუსის ჩამოყალიბება 1917 წლიდან დაიწყო, მაგრამ პირველი სომხური ეროვნული სამხედრო ნაწილების ჩანასახი, როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია, მეფის რუსეთის კავკასიის არმიის წიაღში იშვა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წელს. ედუარდ აბრამიანი:

„ეს იყო ოთხი სომხური საბრძოლო რაზმი. მალე მათ კიდევ სამი დაემატა. მათ მეთაურობდნენ (რიგის მიხედვით – ა. ჩ.): ანდრანიკ ოზანიანი, დრასთამატ კანაიანი, ამაზასპი, კერი, ვარდან მელრაბიანი, არშაკ ჯამბოლადიანი და ოვსეპ არღუთიანი. ეს რაზმები მოგვიანებით გამსხვილდა და მათი რაოდენობა ოთხამდე შემცირდა. ამ რაზმებს შორის ყველაზე დიდი იყო გენერალ ანდრანიკ ოზანიანის რაზმი – 1500 კაცი. 1915 წლის აპრილიდან მე–2, მე–3 და მე–4 რაზმები გაერთიანდა და შეიქმნა სომხური პოლკი, რომელსაც სათავეში მელრაბიანი ჩაუდგა. 1916 წლის ზაფხულიდან შეიქმნა ხუთი სომხური ქვეითი ბატალიონი, რომლებიც რუსეთის კავკასიის არმიაში გაერთიანდნენ."[19]

მოყვანილ ციტატაში ავტორი აშკარად ცდება. 1914–1915 წლებისათვის ანდრანიკ ოზანიანს სამხედრო წოდება, მით უმეტეს გენერლისა, არ ჰქონია. გარდა ამისა, გამსხვილებული სომხური ბატალიონები რუსეთის კავკასიის არმიაში არ გაერთიანებულან. პირიქით, სწორედ 1916 წლიდან შეწყვიტეს ფაქტობრივად თავისი არსებობა ამ ე.წ. სომხურმა „დრუჟინებმა".

1917 წლის ბოლოსათვის ფაქტობრივად უკვე ჩამოყალიბებული იყო კავკასიის სომეხთა საარმიო კორპუსი გენერალ თომა ნაზარბეგოვის სარდლობით, რომელიც მანამადე რუსეთის კავკასიის არმიის მე–2 მსროლელ დივიზიას მეთაურობდა. პოლკოვნიკ ვ. თევზაძის მოგონებიდან: „ემსახურობდი კავკასიის მსროლელთა მე–8 პოლკში, სადაც სამასამდე ქართველი ირიცხებოდა, ხოლო დივიზიას უფროსობდა გენერალი ნაზარბეგოვი, დიდად სიმპათიური და პატივსაცემი სომეხი".[20]

საერთო ჯამში, სომხური საარმიო კორპუსის პირადი შემადგენლობა 1918 წლის დასაწყისისათვის დაახლოებით 40000 კაცს შეადგენდა, რომელიც სამ – დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის დაჯგუფად დაიყო. სხვათა შორის, ამ დროისათვის სომხური ნაწილები თვით თბილისშიც კი იქმნებოდა. ბატონი ნიკო კეცხოველის მემუარებიდან: „ამ დროს დაიწყო სხვა ნაწილების ჩამოყალიბებაც. სომხური ნაწილიც ყალიბდებოდა თბილისში, ე.წ. ზეითუნის პოლკი. მეტად აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. ერთხელ დილით, უფრო სწორად გამთენისას ხმა გავარდა, არ ვიცი კი საიდან, ზეითუნის პოლკი ჩვენკენ მოდის, იარაღი უნდა აგვყაროსო. ჩვენი ყაზარმის წინ კინოთეატრი აპალო იყო, ზეითუნის პოლკი კი იმას უკან იდგა, მაშასადამე იქვე".[21]

სომხეთის ეროვნული კორპუსის შესახებ შემდეგ ცნობებს ვკითხულობთ უ. ალენისა და პ. მურატოვის ზემოხსენებულ ნაშრომში:

„1918 წლის 1 იანვრისათვის სომხური საარმიო კორპუსი შედგებოდა ორი მსროლელი დივიზიის, მოხალისეთა სამი ბრიგადის, ცხენოსანი ბრიგადისა და მილიციის (მოხალისეთა ლაშქრის – ა. ჩ.) რამდენიმე ბატალიონისაგან. თითოეული მსროლელი დივიზია შედგებოდა სამ–სამ ბატალიონიანი ოთხ–ოთხი პოლკისაგან. მოხალისეთა ბრიგადები მოიცავდა ოთხ ბატალიონს თითოეული, ხოლო ცხენოსანი ბრიგადა შედგებოდა ორი ცხენოსანი პოლკისაგან, თითოეული ოთხ–ოთხი ესკადრონით. მსროლელი დივიზიები იმ სომხური რაზმების პირადი შემადგენლობებით იყვნენ დაკომპლექტებულნი, რომლებიც 1914–1916 წლებში საომარი კამპანიის დროს აწარმოებდნენ წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებს რუსეთის არმიის შემადგენლობაში. სწორედ იუდენიჩის არმიის სომეხი სამხედროებით იყო დაკომპლექტებული ეს დივიზიები. ქვეითი ჯარი კარგად იყო აღჭურვილი ტყვიამფრქვევებით. არტილერია კი უფრო ძლიერიც შეიძლება ყოფილიყო, რადგან სომხები პროფესიონალი და გაწვრთნილი არტილერისტების სიმცირეს განიცდიდნენ. მძიმე არტილერიის ექვსი ბატარეა (თითოეული ოთხი საველე ქვემეხით) ამ ორ მსროლელ დივიზიაში შედიოდა სტრუქტურულად,

მაშინ, როცა მსუბუქი სამთო ბატარეები მოხალისეთა ბრიგადებში იყვნენ ჩართულნი".[22]

სტეფან ჯონსი კი დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის სომხური კორპუსის ნაწილების დისლოკაციაზე:

„1918 წლის იანვრის ბოლოსათვის ნაზარბეგიანის დივიზიებს დაკავებული ჰქონდათ ძირითადი პოზიციები ერევნიდან ვანამდე და არზრუმამდე. მათი დისლოკაცია ასე გამოიყურებოდა:

I დივიზია – გენერალი არეშიანი. 1–ლი პოლკი. (არზრუმი–ერზინჯანი). მე–2 პოლკი (ხნუსი). მე–3 პოლკი. (ერევანი). მე–4 პოლკი. (ერზინჯანი – ერევანი).


II დივიზია – პოლკოვნიკი სილიკიანი. 1–ლი პოლკი. (ვანი). მე–2 პოლკი. (ერევანი). მე–3 პოლკი (ალექსანდროპოლისი). მე–4 პოლკი. (ალექსანდროპოლისი).

III დივიზია – გენერალი ანდრანიკი (ოზანიანი). 1–ლი ბრიგადა. (ერზინჯან–არზრუმი). მე–2 ბრიგადა. (ხნუსი). მე–3 ბრიგადა. (ვანი).

ვანის, ერზინჯანისა და არზრუმის მიდამოებში იყვნენ განლაგებულნი აგრეთვე თურქეთის სომხეთის მოხალისეთა პატარ–პატარა ჯგუფები... სომხური კორპუსის ძალებს ნამდვილად აღემატებოდა 250 მილის სიგრძის მქონე ერზინჯანი–ვანის ფრონტის დაჭერა. კავშირგაბმულობის სისტემის მოუწყობლობა, *რუსეთისა და თურქეთის სომხებს შორის გარკვეული უთანხმოებები, გაბოცდილი რეგულარული ჯარის უქონლობა და ულისციპლინობა, მეტად ზღუდავდა ნაზარბეგიანის ძალების სიძლიერეს. ამავე დროს, რამდენიმე ათასი გაწვრთნილი სომეხი ჯარისკაცი ბაქოში იყო თავმოყრილი, ხოლო დამატებით ათასობით ბრძოლისუნარიანი მამაკაცი ერივანის, ტფილისის, ელიზავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში იმყოფებოდა, სადაც მუსულმანურ–სომხური დაპირისპირება საშიშ მდგომარეობამდე მიდიოდა".* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[23]

ხაზგასმული ნაწილის კომენტირებისას კი დავამატებდით, რომ ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი, თუ 1918 წლისათვის რატომ იყო თავმოყრილი ბაქოსა და მის შემოგარენში სომხური ნაწილები და საბრძოლო რაზმები და რა საქმიანობით იყვნენ ისინი დაკავებულნი. ხოლო ძალიან მალე ისიც გაცხადდება, თუ რისთვის იყო თავმოყრილი თბილისის, ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში სომეხი ეროვნების „ათასობით ბრძოლისუნარიანი მამაკაცი".

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის სტრუქტურა, 1918 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სქემატურად ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



უცხოელი ავტორები სომხური შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას იძლევიან: „სომხური ნაწილები სუსტი და ნაკლებად ეფექტური იყო. ბატალიონების პირადი შემადგენლობა 400–დან 600 კაცამდე მერყეობდა. ამის გათვალისწინებით, ოცდაოთხი მსროლელი ბატალიონისა და რვა მოხალისეთა ბატალიონის საერთო რიცხოვნობით, სომეხთა ნაციონალური არმია არ აღემატებოდა 16000 მსროლელს, 1000 ცხენოსანს და 4000 სახალხო მოლაშქრეს (მილიციას)".[24]

„1918 წლის 26 ივლისიდან გენერალ ნაზარბეგიანის №99 ბრძანებით სომხური ნაციონალური კორპუსის ცალკეული დივიზიამდე დაყვანა მოხდა".[25] სომხური მხარის ეს იძულებითი ნაბიჯი იმით იყო გამოწვეული, რომ 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის საზავო პირობებით სომხურმა მხარემ თავისი შეიარაღებული ძალების დივიზიამდე დაყვანა ივალდებულა.

სომხებმა ამ ვალდებულების ფაქტობრივი იგნორირება მარტივი და მეტად ეფექტური გზით მოახდინეს, თან ისე, რომ ფორმალურად მოლაპარაკებების პირობები არ დაურღვევიათ. კერძოდ, მათ თავიდანვე ცალკეული სომხური კორპუსის შემადგენლობაში არ შეიყვანეს გენერალ ანდრანიკ ოზანიანის მოხალისეთა ბრიგადა — ერთ–ერთი მსხვილი საჯარისო შენაერთი და შესაბამისად, სომხეთის ოფიციალურმა მთავრობამ მასზე პასუხისმგებლობაც თავიდან მოიშორა. ასეთი დასკვნის საფუძველს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც იძლევა, სადაც სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი არშაკ ჯამალიანი შემდეგი სახის „ახსნა–განმარტებას" აძლევს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. 10. 10. 1918.

თქვენი ამა წლის 25 ივლისის №2325 მომართვაზე ჩემი მთავრობის დავალებით პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდეგი:

გენერალ ანდრანიკის რაზმის მოქმედებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაისის შუა რიცხვებში, ანუ, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ცალკეულ სახელმწიფოებად დაშლამდე, პასუხისმგებლობის აღება სომხეთის მთავრობას არ შეუძლია, რადგან გენერალ ანდრანიკის რაზმი ცალკეული სომხური კორპუსის შემადგენლობაში არ შედიოდა და იგი მოქმედებდა სომხეთის ფარგლებს გარეთ. ჯამალიანი".[26] ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს საპროტესტო ნოტა ანდრანიკის რაზმის მიერ ქართველი თავადის ადგილ–მამულის გაპარტახების გამო იყო წარდგენილი.

ბატონ არშაკ ჯამალიანის პასუხიდან ნათლად ჩანს, თუ რა მარტივად და მოხერხებულად იქნა სომხეთის მთავრობის მიერ ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა „გადაჭრილი". სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ თავიდან მოიშორა პასუხისმგებლობა. მოიშორა ფორმალურად, რეალურად კი ანდრანიკის ბრიგადა დაშნაკური აგრესიის ძირითად დამრტყმელ შენაერთს წარმოადგენდა ზანგეზურსა და ყარაბაღში. აი, საბუთიც: „ზანგეზურის მაზრის უფროსისაგან განჯის გუბერნატორმა დეპეშა მიიღო არდრანიკისა და მისი რაზმის მოქმედების შესახებ, რომლიდანც ჩანს, რომ ანდრანიკს საკმარისი ძალები ჰყავს შეკრებული ადგილობრივი სომხებისაგან და აპირებს ქ. შუშას ახლოს სარიბაბის მხარეზე გაჭრას. ანდრანიკს ჰყავს 10000 კაცზე მეტი, აქვს ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები".[27]

ედუარდ აბრამიანის მიხედვით, 1918 წლის ზაფხულისათვის ცალკეულ დივიზიამდე დაყვანილი სომხური კორპუსი შემდეგი შენაერთებისა და ქვედანაყოფებისაგან შედგებოდა:

„2 მსროლელი დივიზია, ოთხ–ოთხი მსროლელი პოლკისა და საარტილერიო ბრიგადის შემადგენლობით, ცალკეული საკავალერიო ბრიგადა, ორი პოლკითა და ერთი სამთო ბატალიონით, ალექსანდროპოლისის მსროლელი ბრიგადა. თავის მხრივ ბრიგადა შედგებოდა 5 მსროლელი პოლკისა და 3 ცალკეული ბატალიონისაგან. კორპუსის შემადგენლობაში იყო აგრეთვე მეტყვიამფრქვეველთა ქვედანაყოფები და საარტილერიო დივიზიონები. პარტიზანული და ცხენოსანი პოლკი ყარსში, *ქვეითი პოლკები ლორიში, შუშაში, ახალქალაქში, ნუხსა და ახალციხეში, სარეზერვო პოლკი ლორიში.* გარდა ამისა, 2 მსროლელი ბატალიონი, 2 მენაღმეთა, 3 საავტომობილო ოცეული, *მე–3 კავკასიური საავიაციო რაზმი,* 4 რადიოსადგური. კორპუსს გააჩნდა ოფიცერთა სკოლა, საწვრთნელი ბატალიონი, 10 ჰოსპიტალი, საოპერაციო რაზმები და სხვა. 1918 წლის 31 იელისის მონაცემებით კორპუსის პირადი შემადგენლობა იყო: ერევნის გარნიზონი – 491 ოფიცერი და 14040 ჯარისკაცი, ნერკინ ახტაის გარნიზონი – 150 ოფიცერი და 2172 ჯარისკაცი, დილიჟანის გარნიზონი – 162 ოფიცერი და 2157 ჯარისკაცი, ნორ–ბაიაზეთის გარნიზონი – 15 ოფიცერი და 403 ჯარისკაცი. საერთო ჯამში – 19500 სამხედრო მოსამსახურე, აქედან: ოფიცერი – 818, ხოლო ჯარისკაცი 18772".[28] (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)

ამონარიდში მოყვანილი ხაზგასმული დასახელებები – „ლორი" და „ახალციხე", ისევ და ისევ ლორესა და ახალციხის გადასომხურებული ვარიანტებია. ამ საკითხთან მიმართებაში კი ერთობ გასაკვირია, რომ სომხებმა ახალქალაქს აქამდე ჯერ–ჯერობით ვერაფერი ვერ მოუხერხეს და არ უცდიათ მისი სახელის გადასომხურება.

მოყვანილი ამონარიდის კომენტირებისას კი, განსაცვიფრებელია, ზოგადად, სომეხი ავტორებისა და ამ შემთხვევაში ედუარდ აბრამიანის ფანტაზიის მასშტაბები და უცილო ჭეშმარიტების ის ვირტუალური ხედვა, რითაც მისთვის სასურველის რეალობად წარმოსახვას ცდილობს. არავითარი მითიური სომხური გარნიზონები და ქვეითი პოლკები ახალქალაქში, ახალციხესა და ლორეში არც 1918 წელს, არც მანამდე და არც შემდეგში არ მდგარა. არ მდგარა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მიწები დასაბამიდან ქართული იყო. აქ ისტორიული ფაქტებისა და რეალობების ტიპიურ ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე, რაც ასე უხვად მოიპოვება სომეხ და პროსომეხ ავტორთა „ნაშრომებში".

აბსურდული მოსაზრებების გამუდმებითი კონსტატირება, ამ აზრის მართებულობის დამკვიდრებას უწყობს ხელს გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვის. გარდა ამისა, არავითარი მითიური „მე–3 კავკასიური საავიაციო რაზმი" სომხეთის შეიარაღებულ ძალებს ცხადია, არ გააჩნდა, რასაც ჩვენ ოდნავ ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ

უფრო დაწვრილებით. არავითარი მითიური ,,სომხური პოლკები'' არ მდგარა აგრეთვე ნუხსა და შუშაში. ესეც მტკნარი სიცრუეა. ავტორი თავისთვის სასურველს რეალობად წარმოსახავს. ამავე დროს, ასეთი ტაქტიკა გარკვეულ პროპაგანდისტულ დატვირთვასაც ატარებს.

საქმე იმაშია, რომ სომხურ ნაწილებსა და ქვედანაყოფებს ხშირად ენიჭებოდათ სახელები, რომლებიც გარკვეულ მოვლენებს, მემორიალურ–გეოგრაფიულ კატეგორიებსა თუ პიროვნებებს უკავშირდებოდა და არა სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილებს. მაგალითად ,,ვანის პოლკი'', ,,მუშის პოლკი'', ,,სასუნის პოლკი'', თუნდაც იგივე თბილისში ფორმირებული და დისლოცირებული ე.წ. ,,ზეითუნის პოლკი'', ან სულ უახლოეს წარსულში, აფხაზეთის რეგიონში მოქმედი სომეხთა ავადსახსენებელი ე.წ. ,,ბაგრამიანის ბატალიონი''. მაგალითად, დასახელება ,,ვანის პოლკი'' სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სომხური პოლკი ქალაქ ვანში იყო ფორმირებული და დისლოცირებული, ისევე როგორც, ვთქვათ ,,ზეითუნის პოლკი''. ვანის პოლკი, ვანის მოვლენების ხაზგასმისა და დაშნაკთა ნაციონალისტური იდეების აგიტაციისათვის ატარებდა მხოლოდ ამ სახელს. და საერთოდ აღსანიშნავია, რომ წარმოსახვების ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობდა მთელი სომხური სამყარო 1918–1920 წლებში.

1918 წლის განმავლობაში ქართულ ჯარში იგივე სამხედრო წოდებები იყო, რაც მეფის რუსეთის არმიაში. უმცროსი და უფროსი ოფიცრებისათვის: პოდპორუჩიკი, პორუჩიკი, შტაბის კაპიტანი, კაპიტანი, პოდპოლკოვნიკი, პოლკოვნიკი. კავალერიაშიც შენარჩუნებული იყო სპეციალური სამხედრო წოდებები – კორნეტი, ვახმისტრი, როტმისტრი. სახალხო გვარდიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხედრო ან სხვა სპეციალური წოდებები არ იყო. რეგულარულ ჯარში უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობისთვისაც დაცული იყო ის წოდებრივი რანგირება, რაც ცარისტული არმიიდან იყო გადმოყოლილი. სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობის პერიოდში დოკუმენტურ მასალებში გვხვდება უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის რანგირებული სამხედრო წოდებები – გენერალ–მაიორი და გენერალ–ლეიტენანტი. მოგვიანებით, საქართველოს რეგულარული ჯარის გენერალთა კორპუსისათვის მხოლოდ ერთი სამხედრო წოდება – გენერალი დამტკიცდა.

სამხედრო წოდებების მხრივ ანალოგიური მდგომარეობა იყო სომხეთის შეიარაღებულ ძალებშიც, ხოლო სომეხ გენერალიტეტში 1918 წლისათვის უმაღლესი სამხედრო წოდების მატარებელი მხოლოდ ერთო პიროვნება, სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის სარდალი – გენერალ–ლეიტენანტი თომა ნაზარბეგოვი იყო. 1919 წლის გაზაფხულისათვის გენერალ–ლეიტენანტის მაღალი სამხედრო წოდება სომხეთის სამხედრო მინისტრმა ივანე (ოვანეს) ახვერდოვმაც მიიღო საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომში მიღწეული წარმატებისათვის.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, 1918 წლისათვის სომხეთის შეიარაღებული ძალები, პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით,

საკმაოდ მძლავრ საჯარისო შენაერთს წარმოადგენდა. სომხებმა პრაქტიკულად შეძლეს ერთი სრული საარმიო კორპუსის სტრუქტურის ჩამოყალიბება. საერთო ჯამში, მთელი 1918 წლის მონაცემებით, სომხეთის შეიარაღებული ძალები რიცხობრივად რამდენჯერმე აღემატებოდა საბრძოლო მწყობრში მდგომი საქართველოს შეიარაღებულ ძალების პირად შემადგენლობას.

§2. სომხეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსი და სამეთაურო შემადგენლობა 1918 წელს

I მსოფლიო ომის დასაწყისიდან რუსეთის კავკასიის არმიას მეფისნაცვალი, გენერალ–ადიუტანტი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ–დაშკოვი სარდლობდა, არმიის შტაბის უფროსის თანამდებობა კი ცარისტული გენერალიტეტის ერთ–ერთ უთვალსაჩინოეს სარდალს, გენერალ ნიკოლოზ იუდენიჩს ეკავა, რომელიც სულ მალე მოექცა კიდეც რუსეთის კავკასიის არმიას სათავეში. 1917 წლიდან, ცარიზმის დამხობის შემდეგ, იგი გენერალმა პრჟევალსკიმ შეცვალა, ხოლო თაეის მხრივ გენერალი პრჟევალსკი – გენერალმა ლებედინსკიმ. 1917 წლის ბოლოსათვის უ. ალენისა და პ. მურატოვის მიხედვით: ,,ქართული და სომხური კორპუსების მეთაურის თანამდებობა ნომინალურად კავკასიის ფრონტის სარდალს, ეროვნებით რუსს, გენერალ ლებედინსკის ეკავა, მაგრამ რეალური ძალაუფლება ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ქართველ გენერალს, ოდიშელიძეს (ილია – ა. ჩ.) ჰქონდა მინიჭებული".[29]

ასეთი იყო კავკასიის არმიის სამეთაურო შემადგენლობა 1918 წლის დასაწყისისათვის, რომლის სტრუქტურაც ნომინალურად ორი, სომხური და ქართული საარმიო კორპუსებით იყო წარმოდგენილი.

ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების სამეთაურო შემადგენლობის შესახებ კი კვინიტაძის მოგონებებში ვკითხულობთ: ,,კორპუსის მეთაურად დანიშნული იყო პოლკოვნიკი ახმეტელი, მისი შტაბის უფროსად – იოსებ გედევანიშვილი. კორპუსში სამი დივიზია ჰყავდათ: ერთს მეთაურობდა გენერალი ართმელაძე, მეორეს – პოდპოლკოვნიკი კარგარეთელი და მესამეს – გენერალი *ანჯაფარიძე* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)".[30] იქვე: ,,მოგვიანებით კორპუსის სარდლობა შეიცვალა და შესაბამისად დაინიშნენ – კორპუსის

მეთაურად, გენერალი გაბაშვილი (ვასილ – ა. ჩ.), ხოლო შტაბის უფროსად პოდპოლკოვნიკი ზაქარიაძე (ალექსანდრე – ა. ჩ.)".[31]

თავად გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ცნობით კი: „კორპუსის მეთაურად დანიშნულ იქნა პოლკ. სტეფანე ახმეტელი, მისი შტაბის უფროსად – კაპ. სოსო გედევანიშვილი, 1–ლი დივიზიის მეთაურად (ქუთაისში) – ღენ. არჯევანიძე, 2–ე დივიზიის მეთაურად (თბილისში) პპოლ. კარგარეთელი, ცხენოსანი ბრიგადის – ღენ. რატიშვილი. ქართული ცხენოსანი რაზმი უკვე არსებობდა სპარსეთში და ელოდნენ მის დაბრუნებას. (აქ სწორედ გენერალ ნიკოლოზ ბარათოვ–ბარათაშვილის სპარსეთის საექსპედიციო კორპუსის ერთ–ერთ ნაწილზეა საუბარი – ა. ჩ.) შემდეგში ცხენოსანი ბრიგადის მეთაურად დაინიშნა ღენ. გიგუშა ერისთვი".[32]

გენერალ კვინიტაძის მემუარში, ჩვენს მიერ ხაზგასმულ ადგილას, ალბათ კორექტურული შეცდომაა გაპარული. ასეთი პიროვნება – დივიზიის მეთაური გენერალი ანჯაფარიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილეში არ არსებობდა. ეჭვს გარეშეა, უნდა იყოს გენერალი გიორგი არჯევანიძე – არზრუმის ოპერაციის გმირი და რუსეთის კავკასიის არმიის ერთ–ერთი წარმატებული ოფიცერი – „დამსახურებული მეთაური და ნამდვილი ქართველი".[33]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ საქართველოს მთავრობა შეუდგა პროფესიონალური, რეგულარული ჯარის ჩამოყალიბებისა და ორგანიზების მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. მაგრამ შეუდგა თითქმის იგივე მეთოდებითა და იდეოლოგიით, როგორითაც თავის დროზე ყალიბდებოდა წითელი გვარდია. საყოველთაოდ აღიარებულია ის მოსაზრება, რომ თუნდაც მხოლოდ რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში იმდენი ნიჭიერი და წარმატებული ქართველი გენერალი და ოფიცერი მსახურობდა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის არმიას დაამშვენებდა.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მეფის არმიის ქართველ სამხედრო მოსამსახურეთათვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა მისაღები აღმოჩნდა და მათი უმეტესობა მზად იყო სათანადო წვლილი შეეტანა დამოუკიდებელი საქართველოს არმიის აღმშენებლობის საქმეში. მაგრამ აქაც, ხშირად, სამეთაურო კადრების შერჩევასა და თანამდებობრივ გადაადგილებებში მმართველი პარტიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირადი ნდობისა და სიმპათიების მიხედვით დანიშვნებს, ან პირდაპირ რომ ვთქვათ, დანიშვნებსა და სამსახურეობრივ გადაადგილებებს იდეოლოგიური საიმედოობის პრინციპიდან გამომდინარე.

ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარი და კურიოზული გადაწყვეტილებები ოფიცერთა გარკვეული ჯგუფისათვის სამხედრო წოდებების მინიჭების თაობაზე. გენერალი კვინიტაძე: „კაპიტანი გედევანიშვილი კაპიტნობიდან ჯერ პოლკოვნიკად გადახტა, მერე – გენერლად. კაპიტან ჯიჯიხიასაც ეკატერინენფელდის ბრძოლებისათვის

პოლკოვნიკობა მიანიჭეს. არ არსებობდა სამართლიანი შეფასება. პოლკოვნიკებს რატიშვილსა და თავაძეს (მე–2 ქართული დივიზიის მე–5 და მე–6 ქვეითი პოლკების მეთაურები – ა. ჩ.) გენერლობა უბოძეს იმისათვის, რომ მათმა ნაწილებმა სომხეთ–საქართველოს ომში თავი გამოიჩინეს. არადა, არც რატიშვილი და არც თავაძე ამ ომში არ მონაწილეობდნენ".[34]

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ ამ ომის ნამდვილი გმირები კი – გენერალი მაზნიაშვილი და გენერალი კვინიტაძე, მადლობის გამოცხადების ღირსებადაც კი არ ჩათვალეს.

სომხეთ–საქართველოს ომის დასაწყისისათვის საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანამდებობა სოციალ–დემოკრატ გრიგოლ გიორგაძეს ეკავა. მას ორი მოადგილე ჰყავდა: გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი – სამწყობრო–ოპერატიულ ნაწილში და გენერალი ზაქარია მდივანი – სამეურნეო ნაწილში. მხოლოდ ერთი, 1918 წლის განმავლობაში პარტიული საიმედოობისა და პირადი ნდობის ნიშნით საქართველოს არმიაში სამხედრო მინისტრის სამი მოადგილე გამოიცვალა.

ამავე ნიშნით ომებისა და დიდი ბრძოლების დროს ყოველმხრივ გაუმართლებელი საველე შტაბები ყალიბდებოდა, თავისი თანდართული შტატებით, რომლებსაც ფაქტიურად გენერალური შტაბის ფუნქციები ჰქონდა შეთავსებული. საომარი მოქმედებების წარმოებისას მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს და ისიც დიდი დაგვიანებით ინიშნებოდა მთავარსარდლად მართლაც ღირსეული და გამორჩეული გენერალი. გვარდია კი ფაქტობრივად დამოუკიდებლად მოქმედებდა.

არ ენდობოდნენ ქართველი სოციალ–დემოკრატები მეფის არმიის ყოფილ ოფიცრებსა და გენერლებს არა პროფესიული თვისებების ან ეროვნული თვითშეგნების, არამედ იდეოლოგიური არათავსებადობის გამო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ქართულ არისტოკრატულ წრეებს მიეკუთვნებოდნენ და ქართველი ორთოდოქსი მარქსისტებისათვის „კლასობრივ მტრებად" მოიაზრებოდნენ. და ეს ის ხალხი იყო, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა ოდნავ მოგვიანებით, უკვე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გმირულად შესწირეს თავი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მაგრამ არა ომში, არა უშუალოდ ბრძოლის ველზე, რაც ისედაც შეადგენდა მათ თუნდაც პროფესიულ მოვალეობას, არამედ დაიხვრიტნენ ბოლშევიკთა მიერ ჩეკას ჯურღმულებსა და სასაკლაოებზე, რისი თავიდან აცილებაც თავისუფლად შეეძლოთ. ისინი ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ თავისი ეროვნული და პატრიოტული მრწამსისა. მათ პირნათლად მოიხადეს მხედრული ვალი სამშობლოს, ღვთისა და ერის წინაშე. მენშევიკური მთავრობა კი გაიქცა. გაიქცა სამუდამოდ და ემიგრაციაში ყოფნისას პრაქტიკულად აღარაფერი გაუკეთებია საქართველოსა და ქართველი ერის სასიკეთოდ.

სომხეთ–საქართველოს ომში მონაწილე სარდალთა და მეთაურთა უმრავლესობამ მოგვიანებით ზვარაკად მიიტანა საკუთარი სიცოცხლე

სამშობლოს საკეთილდღეო საკურთხეველზე. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ უმაღლესი სამხედრო სამეთაურო შემადგენლობიდან ზოგიერთ მათგანს მაინც დავასახელებთ. გენერლები: გიორგი მაზნიაშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, აბელ მაყაშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, გიორგი და ვარდენ წულუკიძეები, სტეფანე ახმეტელაშვილი. ქართველი ხალხისდა საუბედუროდ, მამულისათვის შეწირულ ამ კაცებს ქრისტიანული დასაფლავებაც კი არ ღირსებიათ. მათი საფლავები კი დაკარგულია... და ალბათ სამუდამოდ.

ყველაზე ამაზრზენი კი გენერლების — ალექსანდრე ანდრონიკაშვილისა და ვარდენ წულუკიძის (საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი მთავარსარდალი) საქმესთან მიმართებაში ისაა, რომ ეს ორი დიდი მამულიშვილი ისევ ქართველის, ოფიცრისა და მათი „თანამებრძოლის" მიერ იქნა გაცემული. ჩვენ არ ვაპირებთ მისი ვინაობის დაფარვას, რაოდენ გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს ეს ფაქტი. ქართველ სამხედროთა ეს შეთქმულება მათმა თანამონაწილემ, პოლკოვნიკმა ნარეკელაძემ გასცა, რომლის ბინაზეც იმართებოდა „სამხედრო ცენტრის" საიდუმლო შეხვედრები. საქმე საქართველოს 1922 წლის აჯანყების მოწყობას ეხება, რომელსაც სწორედ ეს გენერლები ხელმძღვანელობდნენ:

„1922 წლის აჯანყების „სამხედრო ცენტრის" წევრები 1923 წლის 19 მაისს ერთი უდიდესი ქართველი მოღალატე რენეგატის, სერგო ორჯონიკიძის ხელმოწერით თბილისში ჩასაფრებულმა მოსკოვის ჯალათებმა დახოცეს 15 გამოჩენილი ქართველი მხედარი და მამულიშვილი, რომელთაც ბრალდებოდათ ქართველი ხალხის დაწყებული ეროვნული აჯანყების შემზადება–მონაწილეობა. გამცემი პოლკოვნიკი ნარეკილაძე კი გააპარეს სადღაც რუსეთის მიყრუებულ მხარეში...

აი, მათი ბოლო სიტყვებიც.

გენერალი წულუკიძე: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების ტოლფასია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს და ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლებს".

გენერალი ანდრონიკაშვილი: „სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე... იქნება ქართველები ყველა ამისთანები გეგონათ (მიუთითებს კვანტალიანზე). მრავალი ათასი, ჩვენზე უკეთესნი ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს".[35]

რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების სამეთაურო შემადგენლობის პროფესიული მომზადების დონეს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული შეიარაღებული ძალები, განვლილი საბრძოლო გზის, პროფესიული მომზადებისა და გამოცდილების მხრივ გენერალთა და ოფიცერთა საუკეთესო კადრებით იყო დაკომპლექტებული. პრაქტიკულად ყველა ისინი ცარისტული რუსეთის არმიების შემადგენლობაში მსახურობდნენ I მსოფლიო ომის დროს,

დიდი საბრძოლო გზა ჰქონდათ გავლილი და ამდენად, უმდიდრესი საბრძოლო გამოცდილებაც ჰქონდათ მიღებული.

უშუალოდ სომხეთ–საქართველოს ომის მონაწილე ქართველი გენერლებისა და ოფიცრებიდან კი ისეთების დასახელებაც საკმარისია, როგორებიც იყვნენ: გ. კვინიტაძე, გ. მაზნიაშვილი, ა. მაყაშვილი, ალ. ანდრონიკაშვილი, ალ. გედევანიშვილი, გ. წულუკიძე, ქ. ჩხეტიანი, ვლ. იმნაძე, დ. სუმბათაშვილი, გ. ციციშვილი, ს. ახმეტელაშვილი, ლ. მაღალაშვილი, ზ. ბაქრაძე, ალ. ზაქარიაძე, ნ. გარდაფხაძე, ვ. გოგუაძე, ლ. კერესელიძე, დ. მიქაბერიძე, ქ. ჩოლოყაშვილი და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა. ბევრი მათგანი რუსეთის არმიებში პოლკებსა და მთელ დივიზიებსაც კი მეთაურობდნენ და სამხედრო დამსახურებებისათვის რუსეთის იმპერიის უმაღლესი საბრძოლო ჯილდოების კავალრები იყვნენ. ზოგი მათგანი კი რუსეთის კავკასიის არმიის მიერ განხორციელებული ყველაზე დიდი საარმიო ოპერაციის – არზრუმის აღების გმირებადაც იყვნენ აღიარებულნი. თავის მემუარში გენერალი კვინიტაძე აღნიშნავდა:

„გენერლების თაობაზე შემოგთავაზებთ ჩემს მიერ 1919 წელს შედგენილ მცირე სტატისტიკას. თურმე 25 ქართველი გენერლიდან რუსის არმიის რიგებში სამსახურისათვის გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა 23 გენერალი. საგულისხმო ფაქტია. საეჭვოა, რომ ყოველი 25 რუსი გენერლიდან 23 გიორგის კავალერი ყოფილიყოს. შტაბ და ობერ–ოფიცრებზე აღარაფერს ვამბობ".[36]

ამ მიმართებით, ყოველად გაუგებარია ის მოვლენა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელი, ბატონი ნოე ჟორდანია და მისი პარტიული გარემოცვა აშკარა უნდობლობას უცხადებდა ქართველი გენერალიტეტის დიდ ნაწილს. აღმაშფოთებელია ის ფაქტები, რომ ასეთი დამოკიდებულებები ყველაზე უფრო გამოკვეთილად ყველაზე უფრო თავდადებულ და წარმატებულ გენერლებთან – გ. კვინიტაძესა და გ. მაზნიაშვილთან მიმართებაში იკვეთება. ფართო საზოგადოებისათვის შეიძლება ცნობილიც კი არაა ის ფაქტები, რომ ამ დიდი მხედართმთავრებისა და მამულიშვილების წინააღმდეგ რამდენჯერმე განხორციელდა სახელმწიფო აპარატის მხრიდან დევნისა და ოფიცრის მუნდირის ღირსების შემლახველი მოქმედებები, როგორიცაა – უმიზეზოდ თანამდებობიდან გადაყენება, ყოველად უკანონო და უსაფუძვლო ჩხრეკები, თვით დაპატიმრებაც კი. გენერალ აბელ (ბალო) მაყაშვილს კი იმაში ადანაშაულებდნენ, რომ იგი თავის ფაქსიმილეს თავადის წოდებას ურთავდა – Князъ Макаев.

საქართველოს დიდი სარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის მთელი დანაშაული კი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ყოფილი „მეფის არმიის ოფიცერი" იყო და 1918 წლისათვის, სამწუხაროდ, ქართულ ენას სრულყოფილად ვერ ფლობდა. ქართული ენის არასათანადო ცოდნას, იგი, სხვათა შორის, ძალიან განიცდიდა. საქართველოს სამსახურში ჩამდგარი გენერალი მაინც პოულობდა დროს და ინტენსიურად სწავლობდა მშობლიურ

ენას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ეს საკითხი გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილის მიერაც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ იყო დასახული, რაც ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტითაც დასტურდება.

„სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების უფროსის ბრძანება №2. 1918 წლის 31 აგვისტო. ქ. ტფილისი.

§2. ჩემდამი დაქვემდებარებული განყოფილების ყველა მოსამსახურე, რომლებიც ჩაწერილნი არიან ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე, ვალდებულნი არიან თავის დროზე გამოცხადდნენ ლექცია–გაკვეთილებზე და საპატიო მიზეზების გარეშე არ გააცდინონ ისინი. მათ კი, ვისაც არა აქვს სურვილი გააგრძელონ მეცადინეობები, ვალდებულნი არიან დროზე აცნობონ ამის შესახებ კურსების გამგეს, – პოდპორუჩიკ ლეჟავას.

გენერალური შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის გენერალ–მაიორი ანდრონიკაშვილი. კანცელარიის უფროსი, პოლკოვნიკი პეტრიევი.”[37]

საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელ შემადგენლობაზე 1918 წლის შემოდგომისათვის სრულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მთავრობის ქვემოთ მოყვანილი ბრძანება.

„საქართველოს მთავრობის ბრძანება სამხედრო სამინისტროსადმი. №43. 27. 08. 1918.

სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილებაში ინიშნებიან:

გენერალური შტაბის განყოფილების უფროსად – საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გენერალური შტაბის სამმართველოს ყოფილი უფროსი – გენერალური შტაბის გენერალ–მაიორი ანდრონიკოვი.

გენერალური შტაბის განყოფილების ოპერატიული სექციის უფროსად – საქართველოს რესპუბლიკის ჯარების საველე შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, ზაქარიაძე.

სადაზვერვო ქვეგანყოფილების უფროსად – საქართველოს რესპუბლიკის ჯარების საველე შტაბის სამწყობრო ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ძაგანია.

გენერალური შტაბის განყოფილების საორგანიზაციო სექციის უფროსად, გენერალური შტაბის სამმართველოს ყოფილი გენერალ–კვარტერმეისტერი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი.

ჯარების კომპლექტაციის ქვეგანყოფილების უფროსად – გენერალური შტაბის სამმართველოს სამობილიზაციო ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ივანოვი.

ჯარების განთავსების ქვეგანყოფილების უფროსად – საქართველოს რესბუბლიკის ჯარების საველე შტაბის დაზვერვის ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი.

კანცელარიის უფროსად – პეტრიევი.

საარტილერიო სექციის უფროსად – გენერალ–ლეიტენანტი ქუთათე–ლაძე".[38]

საქართველოსაგან განსხვავებით, სომხეთის შეიარაღებული ძალებისათვის ხელმძღვანელი სამეთაურო კადრების შერჩევა განსხვავებული პრინციპით ხორციელდებოდა. სომხეთის არმიისათვის გენერალთა და ოფიცერთა შერჩევა და მოზიდვა ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, ძირითადში განვლილი საბრძოლო გზისა და პროფესიული ნიშნით ხორციელდებოდა. სომხური ნაციონალური კორპუსის ჩამოყალიბების ინიციატივას რუსეთის არმიის ოფიცრები, პოდპოლკოვნიკები ი. ტიგრანიანი და ნ. მელიქ–ფარსადანიანი, პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, გენერალური შტაბის გენერალ–მაიორი ლ. ტიგრანიანი და გენერალური შტაბის გენერალ–მაიორი ა. ბაგრატუნი ჩაუდგნენ სათავეში.

1917 წლის აგვისტოში სომხური კორპუსი რუსული საარმიო კორპუსების ანალოგიური სტრუქტურით დაიგეგმა. სომეხი ავტორის, ც. აღაიანის მიხედვით ამ კორპუსის ჩამოყალიბება გენერალ ბაგრატუნის დაევალა. მისი გათვლებით სომხური კორპუსის პირად შემადგენლობას 80000–თვის უნდა მიეღწია.[39]

სომხური ნაციონალური კორპუსის მონახაზი პეტროგრადში რუსეთის სამხედრო მინისტრის მოადგილეს სავენკოვს წარედგინა განსახილველად. დაფუძნდა სომეხთა სამხედრო კომისრის თანამდებობა თბილისში(?!) და კომისრად დაშნაკთა პარტბიუროს გადაწყვეტილებით გენერალ–მაიორი ივანე (ოვანეს) აზვერდოვი დაინიშნა, რომელიც სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივნისიდან, სომხეთის პირველ სამხედრო მინისტრადაც დაინიშნა.

საერთო ჯამში, I მსოფლიო ომის ფრონტებიდან კავკასიის ფრონტზე 40000 სომეხი ეროვნების ოფიცრისა და ჯარისკაცის გადმოყვანა დაიგეგმა. ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ გენერლები ი. აზვერდიანი, ბოზოიანი, პოდპოლკოვნიკი ნ. მელიქ–ფარსადანიანი და სხვები. 15 დეკემბრიდან კი გენერალი ბაგრატუნიც ჩართო აქტიურ მუშაობაში.

დასავლეთის მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა და მიმართულების სარდლობა გენერალმა თომა ნაზარბეგოვმა შეითავსა. ამ მიმართულებაზეე მოიყარეს თავი გენერლებმა არეშიევმა, სილიკოვმა, დრომ, ყორღანოვმა, არარატიანმა. სამხრეთის მიმართულებაზე გენერალმა ანდრანიკ ოზანიანმა, რომლის დაქვემდებარებაში იყო როგორც რეგულარული, ასევე ძირითადში მოხალისეთა ნაწილები, აღმოსავლეთისაზე კი – გენერლებმა ბაგრატუნიმ, ბაგრამიანმა, აგრეთვე ამაზასპმა.

სომხური საარმიო კორპუსის სამეთაურო შემადგენლობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს სტეფან ჯონსის სქელტანიანი მონოგრაფია Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994: A comperison:

„კორპუსის მეთაურად დანიშნული იყო რუსეთ–იაპონიისა და ჩრდილოეთ სპარსეთის 1914–1917 წლების საომარი მოქმედებებისათვის მრავალჯერ დაჯილდოებული გენერალი თომა ნაზარბეგოვი. დრო (დრასთამატ კანაიანი), მეფის რამდენიმე მაღალი რანგის მოხელის მკვლელი და 1914–1915 წლებში მოხალისეთა ერთ–ერთი რაზმის მეთაური, კორპუსის კომისარი იყო. კორპუსის ორ დივიზიას შესაბამისად მეთაურობდნენ გენერალი არეშოვი და პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი – ა. ჩ.) სილიკოვი, მესამეს – ანდრანიკი, ხოლო ცხენოსან ბრიგადას – პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი – ა. ჩ.) ყორღანოვი...''[40]

ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ განვლილი საბრძოლო გზითა და პროფესიონალური მომზადების დონით, როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის შეიარაღებული ძალების სამეთაურო შემადგენლობა და რეგულარული ჯარის ნაწილები ოფიცერთა გამოცდილი კადრებით იყო დაკომპლექტებული.

რაც შეეხება მიზანდასახულობის ფაქტორსა და სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის ერთიან სამხედრო–პოლიტიკურ ხედვას, აქ, სომხური მხარე ქართულთან შედარებით დიდ უპირატესობას ფლობდა.

§3. სომხეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალური სახე და საბრძოლო სულისკვეთება.

ზოგადად, საჯარისო ნაწილებისა და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება და მათი ზნეობრივ–მორალური მდგომარეობა ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის, ხშირ შემთხვევებში კი მას გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება. ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიას მრავლად ახსოვს ისეთი ფაქტი, როდესაც ამ ფაქტორს გადამწყვეტი როლი უთამაშია და ერთი შეხედვით მარცხისათვის განწირული მხარე გამარჯვებულიც კი გამოსულა.

ჩვენ ისტორიულ წიაღსვლებს ამჯერად თავს ავარიდებთ და არ განვიხილავთ ქართველი და სომეხი ეთნოსის დამოკიდებულებას ზოგადად

ომებისადმი, მათთვის ისტორიულად დამახასიათებელ და საყოველთაოდ ცნობილ საბრძოლო სულისკვეთებას. ერთი კია, რომ „ომი სომეხთათვის შემთხვევითი საქმე იყო. მათ სპეციალურ საყვარელ საქმიანობას ვაჭრობა და რეწვა წარმოადგენდა".[41] ეს შეფასება რუს ავტორს ეკუთვნის.

ნაშრომის ფორმატის გათვალისწინებით, ამ პარაგრაფში ჩვენ მხოლოდ XX საუკუნის 10—იანი წლების მდგომარეობას განვიხილავთ. ქართული და სომხური საჯარისო ნაწილებისა და საერთოდ, მათი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ზნეობრივ—მორალური დონისა და საბრძოლო სულისკვეთების მდგომარეობა მთელი 1918 წლის განმავლობაში მკვეთრად განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, ეს სულისკვეთება პერმანენტულად იცვლებოდა მთელი 1918 წლის განმავლობაში. არსებითად რომ გავერკვეთ ამ საკითხში, აუცილებელია იმ განვლილი საბრძოლო გზის მოკლე მიმოხილვის ჩატარება, რაც ქართულმა და განსაკუთრებით სომხურმა საჯარისო შენაერთებმა და ნაწილებმა გაიარეს მთელი 1918 წლის განმავლობაში.

ამ კუთხით, ჩვენ ზემოთ, ეპიზოდურად მოგვიწია სომხური საბრძოლო რაზმებისა და ნაწილების აქტივობის ცალკეულ დეტალებთან შეხება, ამჯერად კი უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს, სწორედ ჯარების პირადი შემადგენლობის მორალურ—ზნეობრივი და საბრძოლო სულისკვეთების რაკურსში. იმდენად, რამდენადაც სომხეთის შეიარაღებული ძალები, ცალკეული ე. წ. „საბრძოლო რაზმების" სახით ჩაისახა რუსეთის კავკასიის არმიის წიაღში, ამიტომ აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ამ რაზმების „სახელოვანი საბრძოლო გზა", დაწყებული 1914 წლიდან.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ რუსეთის კავკასიის არმიას ომის დაწყების პირველივე ეტაპზე შეუერთდა უკვე არსებული (მაგ. ანდრანიკის რაზმი), ან ახლად ჩამოყალიბებული სომხური ეროვნული ე.წ. „ოპოლჩენიის" საბრძოლო რაზმები, რომლებიც კავკასიის არმიის რეგულარულ ნაწილებთან ერთად ჩაებნენ საომარ მოქმედებებში. სომხური საბრძოლო რაზმების შესახებ მეტ—ნაკლებად სრულ ინფორმაციას გვაძლევს ჩვენთვის უკვე ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი და მკვლევარი ანრი ბარბი თავის წიგნში „Въ странѣ ужаса. Мученица Арменія": „ბიურომ (დაშნაკთა პარტბიურო — ა. ჩ.) გამოიძახა ცნობილი ბელადები ანდრანიკი, კერი, დრო, ამაზასპი და აბდულ—ჰამიდის ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა მეთაურები... მოხალისეთა პირველი რაზმი ანდრანიკის მეთაურობით გაიგზავნა სპარსეთის ფრონტზე, მეორე, დროს მეთაურობით — ბაიაზეთში, მესამე, ამაზასპის რაზმი — ყაგიზმანში, ხოლო მეოთხე, კერის რაზმი — ოლთისზე...

1915 წლის აპრილში კერის, დროსა და ამაზასპის სამი რაზმი გაერთიანდა ვარდანის (მელრაბიანი — ა. ჩ.) საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ და მან იერიში მიიტანა ვანზე... როცა სომეხი მოხალისეები ვანის კედლებს მიუახლოვდნენ — თურქები გაიქცნენ და 1915 წლის 6 მაისს რუსეთის არმია ძლევამოსილად შევიდა ვანში".[42]

აი, ასეთი ჰეროიკული ეპოსის დონეზე ხდებოდა სომეხ მოხალისეთა საბრძოლო რაზმების დამსახურებების წარმოდგენა სომეხი და პროსომხური ორიენტაციის უცხოელი ავტორების მიერ. ამ რაზმების „სახელოვანი საბრძოლო გზისა და მიღწეული წარმატებების" შესახებ სომხურმა ისტორიოგრაფიამ ლამის ლეგენდარულ სიმაღლეებამდე აიყვანა ამ რაზმების მეთაურებისა და პირადი შემადგენლობის დამსახურებები არა მარტო სომეხი ხალხის, არამედ თვით რუსეთის კავკასიის არმიის წინაშე. „თურქეთთან ომში სომეხთა ლიდერებმა მთელ მსოფლიოს მოსდეს ამბავი თავიანთი მოხალისე რაზმების დამსახურებებზე, რომლებიც ყველგან და ყოველთვის ამარცხებდნენ თურმე თურქეთის არმიას."[43] – წერდა თავის წიგნში, „Красная Книга", პეტრე გელეიშვილი.

ისმის კითხვა, იყო კი ნამდვილად ეს ასე? რა ძალას წარმოადგენდა ეს ყბადაღებული „სომხური პოლკები" და რა საბრძოლო დამსახურებები ჰქონდათ მათ? საერთოდ, როგორი იყო ამ „პოლკების" პირადი შემადგენლობის მორალური სახე და საბრძოლო სულისკვეთება?

დასმული კითხვები ნამდვილად არ არის ტრივიალური და მარტივი. იგი საფუძვლიან და არგუმენტირებულ განხილვას მოითხოვს.

ფაქტი ისაა, რომ სანამ რუსეთის კავკასიის არმია ომის პირველ ეტაპზე წარმატებულ შეტევით ოპერაციებს ანხორციელებდა, სომეხი მოხალისეების რაზმებიც რეგულარულ ჯართან ერთად მიიწევდნენ წინ და „ომის სისხლიანი კვალის ლიკვიდაციით იყვნენ დაკავებულნი. ქურთებისა და თათრების მიერ დატოვებულ სოფლებსა და სავარგულებს აძლევდნენ ცეცხლს, ხოცავდნენ ბრძოლის ველზე დარჩენილ დაჭრილებს, სიკვდილით უსწორდებოდნენ თვით რუსი ჯარისკაცებისა და კაზაკების მიერ კონვოირებულ ტყვეებს".[44]

აი, ასეთი „საბრძოლო დამსახურებებით" გამოირჩეოდნენ ეს ე.წ. „სომხური პოლკები". ანუ, დაშნაკური რაზმები ე.წ. „პარტიზანული ომით", რეალურად კი, თურქეთის მუსულმანური (და არა მხოლოდ მათი) მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტით, მათი ქონების ძარცვით, გაპარტახებითა და განადგურებით იყვნენ დაკავებულნი. აი, რას ვკითხულობთ რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის განსაკუთრებულ საქმეში, სადაც ერთ–ერთი რუსი ოფიცერი ამბობს:

„თითქმის ყველა ჩვენი ოფიცერი მოწმე იყო იმისა, თუ როგორ არღვევდნენ სამხედრო დისციპლინას არა მარტო რაზმების წევრები, არამედ მათი მეთაურებიც. ჩვენ ვხედავდით მათ შორის განხეთქილებებსა და ინტრიგებს, ამპარტავნობას, სიმხდალეს, ძარცვისა და ყაჩაღობის ფაქტებს, და რაც მთავარია, ჩვენს მიერ დაკავებულ თურქულ ოლქებში, ზოგჯერ კი კავკასიის მუსულმანურ მოსახლეობაზე ძალადობას".[45] ასეთი ქმედებები–სათვის ვანში შედგენილ იქნა სამხედრო–საველე სასამართლო, რომელმაც „ტყვე ქურთების მკვლელობისათვის სამ მოხალისეს: კუტრიკ ტიოსოვს, აზის მინასოვს და მესროპ მელიქოვს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა".[46] ამით აღშფოთებულმა ვანის გუბერნატორმა არამმა მოითხოვა: „რუსეთის არმიას

ტყვედ ჩაბარებული ყველა ქურთი ჩათვლილ იქნას სამხედრო დამნაშავედ და მათ მიმართ გატარდეს დასჯის უკიდურესი ზომა, ე.ი. სიკვდილით დასჯა".[47]

ეს კი გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მემუარია: „იარაღის ტარების უნარის მქონე ყველა მუსულმანი თურქეთის არმიაში იმყოფებოდა, ამიტომ სომეხთათვის სირთულეს არ წარმოადგენდა მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალო ხოცვა–ჟლეტა. სომხები მხოლოდ ზურგიდან და ფლანგებიდან ქურდული თავდასხმებით არ შემოიფარგლებოდნენ, ისინი მშვიდობიანი მუსულმანი მოსახლეობის ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი. სომეხთა მიერ ჩემთვის ცნობილი მხეცობის ფაქტები მრავალჯერ აღემატებოდა თურქთათვის მიწერილ ულმობლობას".[48]

ამ საკითხთან დაკავშირებით, სრული ობიექტურობისათვის ისევ სომეხი ავტორის, ა. ლალაიანის სიტყვებს დავიმოწმებთ მისი ნაშრომიდან „Контрреволюционный Дашнакцутюн и империалистическая война 1914–1918 г.г.", სადაც ვარამი, სომეხთა ერთ–ერთი „საბრძოლო რაზმის" თავკაცი, ასე გადმოგვცემს თავისი „გმირობის" ამბებს:

„მე ყველაფრის განურჩევლად გავანადგურე თურქული სოფელი ბასარ–გეჩარი. მაგრამ ხანდახან ტყვიები დაგვენანება კაცს. ჩემის აზრით, ამ ძაღლების წინააღმდეგ ყველაზე საიმედო გზა შემდეგია – ბრძოლის შემდეგ უნდა შეაგროვო ყველა ცოცხლად გადარჩენილი, ჩაყაროო ღრმა ჭაში და ზემოდან მძიმე ქვებით ჩაქოლო, ისე, რომ არავინ არ გადარჩეს. მეც ასე მოვიქეცი: შევაგროვე ყველა მამაკაცი, ქალი და ბავშვი, ჩავყარე ჭაში და ქვებით ამოვავსე იგი".[49] სხვათა შორის, ასეთი ჭების 90–იან წლებში ჩატარებული გათხრების დოკუმენტური ვიდეო მასალებიც არსებობს, საიდანაც კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი ფაქტების რეალობა.

„ცნობილი თურქოფობი, ხოსე არფა კი წერს: „1914 წელს თურქთა დამარცხების შემდეგ სარიყამიშთან, რუსთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თურქეთისა და კავკასიელი სომხების მოხალისეთა რაზმები გამოჩნდნენ. ერთ–ერთ მათგანს სისხლისმსმელი, ვინმე ანდრანიკი მეთაურობდა... ეს სომხები შურს იძიებდნენ ქურთებზე და გაუგონარ მხეცობებს ჩადიოდნენ მათ მიმართ. 1915–დან 1918 წლამდე თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში 600000–დე ქურთი იქნა მოკლული".[50]

1983 წლის ჟურნალ „San Francisco Chronicle" 11 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ვინმე ბ. ამარიანის სტატიის (ცხადია, იგი ე.წ. „სომეხთა გენოციდზე" მოთქვამდა) საპასუხო პუბლიკაცია, სადაც ვკითხულობთ:

„ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი და პირველადი ინფორმაცია სომეხთა მხეცობების შესახებ ჩვენი ხალხის (ებრაელების) წინააღმდეგ, რომელიც წინ უსწრებდა ე.წ. 1915 წლის სომეხთა ჟლეტას, როგორც ამას თქვენ ამტკიცებთ. ჩვენ მოწმენი ვართ 148 ჩვენი თანამემამულის სიკვდილით დასჯისა არზრუმთან ახლოს, ჩვენი სომეხი მეზობლების მიერ, რომლებმაც

ამავე დროს გაანადგურეს ყველა და ყველაფერი, რაც აქამდე ებრაელებსა და მუსულმანებს ეკუთვნოდათ...

ელიჰუ ბენ ლევი, ვაკავილი, კალიფორნია".

ცნობილი მოვლენების შემდგომ, 1917 წლის 18 დეკემბერს რუსებსა და თურქებს შორის იდება ერზინჯანის ხელშეკრულება დაზავების შესახებ, რომლის შემდეგაც კავკასიის ფრონტმა ინტენსიურად იწყო რღვევა. ბოლშევიზმის სენით დაავადებულმა რუსმა ჯარისკაცებმა მასობრივად დაიწყეს დეზერტირობა და რუსეთისაკენ დენა. მას შემდეგ კი, რაც კავკასიის ფრონტი მოირღვა, ბუნებრივია, ფრონტის შეკავების ძირითადი სიმძიმე სწორედ სომხური კორპუსის პირად შემადგენლობაზე უნდა გადასულიყო. აი, აქ კი, სომხები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. დადგა დრო, როცა მათ ნაქებ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში საიმედოდ იმალებოდნენ რუსული ხიშტების უკან, უნდა ეჩვენებინათ თუ რას წარმოადგენდნენ ისინი რეალურად. დაშნაკებმა სასწრაფოდ გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია. სომხური კორპუსის სარდალმა, გენერალმა ნაზარბეგოვმა სომეხ ხალხს მიმართა: „მოდით ყველა, ვისაც იარაღის ხმარება შეუძლია. მოდით თქვენი იარაღითა და ვაზნებით და თან იქონიეთ ხუთი დღის საკვები მარაგი".[51] დაყრდნობილია გაზეთ „არენას" 1918 წლის №109—ში გამოქვეყნებულ მასალაზე.

ქალაქ არზრუმის დაცვა და დასავლეთის ფრონტის სარდლობა კი „სომეხთა ჯორჯ ვაშინგტონს", ანდრანიკ ტოროს ოზანიანს დაევალა, რომელიც 1916 წლიდან ღრმა ზურგში, თბილისსა და ჩრდილო კავკასიაში იმყოფებოდა. ამ მისიისათვის იგი სასწრაფოდ იქნა კადრში გაწვეული და ამიერკავკასიის მთავრობისაგან „ავანსად" რუსეთის არმიის გენერალ—მაიორის ჩინიც ებოძა.

გენერალი ანდრანიკი არზრუმში 1918 წლის 17 თებერვალს ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლისთანავე აღმოჩნდა, რომ სომეხთა „რჩეული ნაწილები" უკვე სრულიად დეზორგანიზებული და გახრწნილი იყო მოროდიორობის, მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა—გლეჯისა და ხოცვა—ულეტისაგან.

1918 წლის თებერვლის ბოლოდან იწყება ოსმალთა მე—3 არმიის ნაწილების შეტევითი ოპერაცია აღმოსავლეთის მიმართულებაზე გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას სარდლობით და... აქ უცებ აღმოჩნდა, რომ სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალები, რომელზეც საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ დაშნაკები, რომ შექმნეს „უძლეველი არმია", აბსოლუტურად უსუსურები აღმოჩნდნენ საომარი მოქმედებების დამოუკიდებლად წარმოებისათვის. უცებ იჩინა თავი მათმა არაორგანიზებულობამ, სიმხდალემ, დეზერეტირობამ. სომხურმა ნაწილებმა სასწრაფოდ დაიწყეს პანიკური უკანდახევა, თუმცა ჩვეულ ძარცვა—გლეჯასა და მშვიდობიანი არასომხური მოსახლეობის ხოცვა—ულეტაზე არც ახლა უთქვამთ უარი. მოკლე დროში თურქულმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს ბაიბურთი, ერზინჯანი, არზრუმი, ტრაპიზონი.

სომეხთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალზე და საბრძოლო სულზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოყვანილი საარქივო მასალები. ისინი სრულად ხდიან ფარდას იმ მდგომარეობას, თუ რა ხდებოდა 1918 წლის დასაწყისისათვის ერზინჯანი–არზრუმის სომხურ გარნიზონებში და რას წარმოადგენდნენ სომეხთა ეს ნაქები ჯარები. არზრუმის დაკარგვასთან დაკავშირებით სასწრაფოდ დაინიშნა სპეციალური საველე მომკვლევი კომისია გენერალ გერასიმოვის ხელმძღვანელობით.

სწორედ ამ კომისიის მასალების გაცნობაა მეტად მნიშვნელოვანი ჩვენთვის. ერთობ საინტერესოა არზრუმის მე–2 საალყო საარტილერიო პოლკის მეთაურის, ცარისტული არმიის ოფიცრის, პოდპოლკოვნიკ ტვერდოხლებოვის მემუარების გაცნობა არზრუმში დატრიალებული მოვლენების შესახებ 1918 წლის დასაწყისისათვის, რომლის უშუალო თვითმხილველსაც იგი წარმოადგენდა.[52]

„რუსების წასვლის შემდეგ არზრუმის კომენდანტად დაინიშნა ბულგარელი სომეხი — ტორკომი და ერთდროულად დაიწყო მშვიდობიანი თურქი მოსახლეობის მასიური დარბევები და ხოცვა–ჟლეტა. ტვერდოხლებოვის მონაცემებით, ერზინჯანში სომხებმა დახოცეს 800 მშვიდობიანი თურქი, სოფელ ილიჯაში, არზრუმთან ახლოს, ასევე ამოწყვიტეს მთელი მოსახლეობა. (სხვათა შორის, ისევე როგორც ბასარ–გეჩარის შემთხვევაში, სოფელ ილიჯაში ჩატარებული გათხრების შესახებაც არსებობს ვიდეო მასალა, საიდანაც კარგად ჩანს „უძლეველ სომეხ მეომართა საგმირო საქმეები" — ა. ჩ.) სომხები თავიანთ საქციელს იმით ამართლებდნენ, თითქოს ოკუპირებული ქალაქების მოსახლეობა შეიარაღებულ გამოსვლებს აპირებდა სომხების წინააღმდეგ". შემდეგ პოდპოლკოვნიკი ტვერდოხლებოვი აგრძელებს: „ჩვენ, რუს ოფიცრებს, რომლებიც თითქმის ორი წელი გვერდიგვერდ ვცხოვრობდით ქალაქის მოსახლეობასთან და მშვენივრად ვიცნობდით მათ, არ გვჯეროდა მოსახლეობის ვითომდა აჯანყების შესახებ და დაუფარავად დავცინოდით სომეხთა სიმხდალეს".[53]

აანალიზებს რა გენერალ ანდრანიკისა და საერთოდ სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობის ქმედებებს, იგი ასკვნის: „არ ვიცი, იქნებ ანდრანიკი ძალიანაც კომპეტენტური იყო საომარ საქმეებში, მაგრამ მისი განკარგულებები, რომლებიც ეხებოდა არტილერიას და მე გადმომეცემოდა პოლკოვნიკ დოლუხანოვის პირით, გამაოგნებელი იყო თავისი დილეტანტობით. აშკარად ჩანდა, რომ სომხები ანდრანიკის მეთაურობით მთელ იმედებს რუსულ ზარბაზნებსა და არტილერიის რუს ოფიცრებზე ამყარებდნენ... მათი მთავარი მიზანი თავიდანვე ნათელი იყო: თავიანთი გაქცევა რუსული ზარბაზნებით დაეფარათ. სინამდვილეშიც ასე გამოვიდა".[54]

თურქული ქვედანაყოფები კი ქალაქს უახლოვდებოდნენ. ასეთ ვითარებაში სომეხ ჯარისკაცთა მიერ კიდევ უფრო გაიზარდა არზრუმის მოსახლეობის

ძარცვა–გლეჯვის, ქონების განადგურებისა და ხოცვა–ჟლეტვის მაშტაბები იგივე მემუარიდან:

„მე საქმის კურსში ჩავაყენე „დოქტორი" ზავრიევი, (ჩვენთვის უკვე ცნობილი ექიმი აკოფ ზავარიანი, რომელსაც იმ მომენტისათვის მეტად ორიგინალური პოსტი ეკავა – „დაპყრობილი ოლქების მთავარი გენერალ–კომისრის (ანდრანიკ ოზანიანის) თანაშემწე" – ა. ჩ.) რომ ქალაქში დარბევები და ქონების ულმობელი გაჩანაგება დაიწყო... შემდეგ მე შევეკითხე მას, თუ რისთვის მიჰყავს მილიციას სადღაც ქალაქის მუსულმანი მოსახლეობა. მან მიპასუხა, რომ მათ რკინიგზის ხაზის გასაწმენდათ აგროვებენ. ჩემს შენიშვნაზე კი, თუ რატომ ხდება მათი გარეკვა მაინცდამაინც შუაღამისას და ისიც უმეტესად მოხუცებისა და ხეიბრებისა, მან დაამატა, რომ ამის შესახებ არაფერი არ იცის".[55]

ქალაქის მისადგომებთან თურქთა მცირერიცხოვანი ავანგარდის გამოჩენისთანავე კი სომხურმა ნაქებმა ჯარებმა უმალ დაიხიეს უკან და ყოველგვარი შებრძოლების გარეშე დათმეს საგულდაგულოდ გამაგრებული პოზიციები – „უკანდახეულები საცოდავ და ამაზრზენ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ისინი ხან მოკლე საბრძოლო მწკრივებად გაიშლებოდნენ, ხან ისევ შეგროვდებოდნენ ერთად. აშკარად ჩანდა, რომ სიმხდალისა და შიშისაგან წინ წაწევას ვერ ბედავდნენ".[56]

„მოხდა ზუსტად ისე, როგორც წარმომედგინა. გარბოდნენ და ზურგს რუსული ზარბაზნებითა და რუსი ოფიცრებით იმაგრებდნენ. მაშინ, როცა რუსი ოფიცრები ბრძოლაში თვისი ხელით ტენიდნენ და უმიზნებდნენ ზარბაზნებს, რითაც შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს აკავებდნენ, სომეხი „მეომრები" მათ ზურგს უკან ხოცავდნენ და კუწავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას... აღმოჩნდა, რომ სომეხთა მამაცი ქვეითი ჯარი, ღამით, სიბნელის საფარქვეშ, თითქმის სრულად გაიქცა ბრძოლის ველიდან, თავს უშველა და ყარსის შოსესაკენ გაიფანტა. ამ გაქცევას ურაგანის სახე ჰქონდა... თუმცა არა, ურაგანი ვერ შეძლებდა ასე ჩქარა დაეცალა არზრუმი სომხებისაგან, რა სიჩქარითაც თავად სომხებმა მიატოვეს ქალაქი. თავად ის ფაქტი, რომ თავდაცვის ხაზზე და ქალაქში ფაქტიურად არ აღმოჩნდნენ მოკლული და დაჭრილი სომეხი ჯარისკაცები, თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ მედგრად და დიდხანს იბრძოდნენ ისინი".[57]

წარმოდგენილი დოკუმენტური მასალების გაცნობისას, ჩვენის აზრით, ყოველგვარი კომენტარების გაკეთებაც კი ზედმეტია, იმდენად ნათელია ყველაფერი.

სხვათა შორის, ზუსტად ასეთ ტემპში და ასეთივე წარმატებით დაცალეს სომხურმა ნაწილებმა ქალაქი შულავერი სომხეთ–საქართველოს ომში, 1918 წლის 29 დეკემბრის გამთენიისას და თავქუდმოგლეჯილებმა მოჰკურცხლეს აირუმისაკენ. ამ საკითხს ჩვენ ნაშრომის შესაბამის თავში განვიხილავთ დაწვრილებით.

დოკუმენტურად და ფაქტობრივად დადასტურებულია, რომ არზრუმის დაცვის ხაზზე, ბოლომდე მხოლოდ რამდენიმე რუსი და ქართველი ოფიცერი იდგა. მხოლოდ ეს ოფიცრები დარჩნენ არზრუმის მთავარ ფორტთან და თურქთა იერიშებს ჩადგმული ლულიდან კარტეჩის საარტილერიო ცეცხლით იგერიებდნენ. ისმის კითხვა — ვინ იყვნენ ეს თავგადადებული ოფიცრები?

„ესენი იყვნენ: პოლკ. ალექსანდროვი, შტ. კაპიტანი მიკულინი და რამდენიმე სხვა რუსი ოფიცერი. ქართველი ოფიცრები კი ოთხნი იყვნენ: მდივანი, ხუციევი, ზუხბაია და ხუციევი. ისინი თავის საბრძოლო პოზიციებზე ბოლომდე, უკანასკნელი ჭურვის გასროლამდე დარჩნენ, შემდეგ კი მწყობრიდან გამოიყვანეს ქვემეხები და წავიდნენ".[58] ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ქართველ და რუს ოფიცერთა ამ ჯგუფთან ერთადერთი სომეხი ოფიცერიც იმყოფებოდა — პორუჩიკი აკოფიანი.

აი, პასუხიც დაშნაკთა ბრალდებების ერთ—ერთ პუნქტზე ქართველთა მიმართ, სადაც ისინი ღალატში ადანაშაულებდნენ ქართველებს თურქთა შემოტევის დროს, არზრუმის მიმართულებაზე. მოყვანილი დოკუმენტური მასალების წარმოდგენით კი, ღალატის რეალური სურათი და ნამდვილი მოღალატეების ვინაობა უკვე ცალსახად გარკვეულია.

საზოგადოდ კი, აი, ასეთი გმირული სულსკვეთებისა აღმოჩნდნენ „მამაცი სომეხი ზინვორები" და ასეთი ბრძოლისუნარიანები გამოდგნენ რეალურად მათი ნაქები „პოლკები". ცალმხრივობაში რომ არ დაგვდონ ბრალი, ჩვენს ამ მოსაზრებებს სხვა დოკუმენტური მასალებითაც გავამაგრებთ. ამჯერად, გენერალ გერასიმოვის სამხედრო—საველე კომისიის მასალებს მოვიყვანთ. კომისიის ამ მასალებში თვით გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ჩვენებებია დაფიქსირებული, რომელიც მას არზრუმის სამარცხვინოდ დატოვების გამო ჩამოერთვა. ამ ჩვენებებში სრულად ჩანს როგორც სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობის სრული მორალური გახრწნისა და გადაგვარების სურათი, აგრეთვე თვით გენერალ ანდრანიკ ოზანიანის უსუსური და ყოვლად გაუმართლებელი მცდელობა თავისი დანაშაულებრივი უმოქმედობისა და სიმხდალის გამართლებისათვის:

„არზრუმში ჩემი ჩამოსვლიდან მცირე ხანში ჩემთან სომეხ ჯარისკაცთა დელეგაცია მოვიდა თხოვნით, რომ ისინი სახლში გამეშვა. მე გაშვებას მათ 10 დღის შემდეგ შევპირდი, როცა არზრუმში გამაგრება მოვიდოდა გენერალ ნაზარბეგოვისა და გენერალ ორდიშევის მეთაურობით. 2 საათის შემდეგ ჩემთან ისევ გამოცხადდა 8 კაცი იგივე თხოვნით, რომლებიც მე იგივე პასუხით გავისტუმრე უკან. მე—4 პოლკის ჯარისკაცებმა თვითნებურად დაიწყეს პოზიციებიდან ქალაქში წასვლა. მე გადამწყვეტი ზომების მიღება მომიხდა, რომ ალმეკვეთა მსგავსი ქმედებები (ერთ—ერთ ჯარისკაცს ბრტყლად შემოკარი შიშველი მახვილი).

I—ლი სომხური პოლკის ოფიცრებმაც დაიწყეს თვითნებურად პოზიციების დატოვება. ასევე იქცეოდნენ ჯარისკაცები სოფელ ილიჯასთან. მე პირადად გაველაპარაკე მათთან, რომ დამერწმუნებინა ისინი არ მიეტოვებინათ პოზიციები,

მაგრამ ჩემს მიახლოებაზე მათ ჰაერში რამდენჯერმე გაისროლეს, ხოლო ორმა ჯარისკაცმა მკერდში დამიმიზნა შაშხანა... მე ვუბრძანე პოლკოვნიკ ბეჟამბეგს, რომ ხელში აეღო 1–ლი პოლკის საერთო ხელმძღვანელობა და დაეკავებინა პოზიციები ილიჯა – თექე–დარასის შორის, მაგრამ ეს ბრძანება არ შესრულდა...

26 თებერვალს თურქებმა შეტევა წამოიწყეს... ჩვენთან პანიკა დაიწყო და (სომეხმა – ა. ჩ.) ჯარისკაცებმა გაარღვიეს რა მავთულხლართები, ქალაქში შემოვარდნენ, 27 თებერვალს კი ქალაქიდანაც დაიწყეს გაქცევა...

ჩემს არზრუმში ჩასვლამდე უკვე დაეტოვებინა ქალაქი 4000 ჯარისკაცს. 2 მარტს მე ფეხით გავემართე ყარსის შოსეს გასწვრივ, სადაც ჩვენი ბატარეა იყო განლაგებული. აღმოჩნდა, რომ ბატარეა არ ისროდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში შოსეზე უწყვეტად მოედინებოდნენ ჯარისკაცები. აქვე გამოიარა პოლკოვნიკმა ბეჟამბეგმა... მე გავაგრძელე გზა და ჩავედი ჰასან–ყალაში. გზაში მე დაახლოებით 8 ათას კაცს გადმოვასწარი. მათ შორის ოფიცრებიც იყვნენ: პოლკოვნიკი დოლუხანოვი, კაპიტანი ჯამგოცოვი თავისი ბატარეით და კაპიტანი ჯამბოლადოვი".[59]

აი, ასეთია სომეხთა „ცოცხალი ლეგენდისა" და „ჯორჯ ვაშინგტონის" ჩვენების ძირითადი მომენტები, რომელიც მისცა მან გენერალ–მაიორ გერასიმოვის საგამომძიებო კომისიას ქალაქ არზრუმის სამარცხვინოდ დატოვების შემდეგ. ამ ჩვენებებში აშკარად ჩანს ის სულიერი, მორალური და ზნეობრივი მდგომარეობა, რითაც ხასიათდებოდა მთლიანად არზრუმის სომხური გარნიზონის ჯარები და თვით მათი სარდლის, გენერალ ანდრანიკ ოზანიანის საბრძოლო სულისკვეთება.

ზუსტად ამ დროს კი, როცა თურქთა გარდაუვალი შეტევითი ოპერაცია უნდა დაწყებულიყო არზრუმზე, სომეხთა სხვა საბრძოლო ნაწილები არა დასავლეთის ფრონტზე და არზრუმის მიდამოებში იყო დისლოცირებული, არამედ ერივანის გუბერნიაში და აქ მშვიდობიანი აზერბაიჯანული მოსახლეობის – მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მორიგი ძარცვა–გლეჯითა და სისხლიანი ანგარიშსწორებებით იყვნენ დაკავებულნი. ამ „საბრძოლო ნაწილებს" კი გენერალი დრასთამატ კანაიანი–დრო მეთაურობდა. ამ რაზმების საქმიანობის აღწერისათვის სრული დამაჯერებლობისა და ობიექტურობისათვის ისევ ნაცად ხერხს მივმართავთ. მოვიყვანთ ამონარიდს სომეხი ავტორის ნაშრომიდან:

„1918 წლის 20 თებერვალს ნაციონალური ბრძოლის არენად ერივანი იქცა. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ერივანის მოვლენები ინსცენირებულ იქნა დროსა და პოლკოვნიკ ფირუმიანის მიერ. 1918 წლის 22 თებერვალს დაშნაკურმა ჯარებმა ალყაში მოაქციეს აზერბაიჯანული სოფელი ულუხანლო და დროს ბრძანებით მას საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. სისხლიანი ეროვნებათაშორისი შეტაკებები მიმდინარეობდა აგრეთვე სურმალიში, კამარლუსა და სხვა ადგილებში. დავალუს რაიონში დაშნაკური რაზმები კურო თარხანიანისა და პოლკოვნიკ ტერ–სარქისიანის მეთაურობით

ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობისა და მხეცობის გაუგონარ ქმედებებს ჩადიოდნენ".[60]

როგორც ვხედავთ, სახეზეა სომხური „საბრძოლო რაზმების დიდი ბელადებისა" და პირადი შემადგენლობის გახრწნისა და გადაგვარების სრული სურათი... მაგრამ აღწერილი ფაქტები კიდევ არაა ყველაფერი. იგივე გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ჩვენებიდან: „ჰასან–ყალაში, ქაფრი–ქაისა და ხორასანში 7 მატარებელი იდგა ლტოლვილი ქალებისა და ბავშვებისათვის. მაგრამ დაახლოებით 4000–მა ჯარისკაცმა – მათ შორის ოფიცრებიც იყვნენ – გადმოყარეს ისინი მატარებლებიდან და თავად უშველეს თავს".[61]

როგორც ვხედავთ, სომეხთა ეს ნაქები „ჯარები" საკუთარი ტყავის გადასარჩენად არც საკუთარ ლტოლვილებს ინდობდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა უკან. და ეს მაშინ, როცა თურქთა საბრძოლო ავანგარდი სულ რაღაც 2500 კაცს შეადგენდა. სომხური ნაწილები კი პირველხარისხოვან გამაგრებულ ქალაქ–სიმაგრეში იმყოფებოდნენ 600 ზარბაზნითა და ქვემეხით და მათი პირადი შემადგენლობაც 15000 კაცს შეადგენდა. სომხებმა კი ყოველგვარი ბრძოლების გარეშე დატოვეს არზრუმი. მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებთ და დავამატებთ, რომ ასეთივე „წარმატებით" მოქმედებდნენ სომხური გარნიზონები სარიყამიშიდან და ყარსიდან გაქცევისას, სომეხთა I–ლი დივიზიის მეთაურის, გენერალ არეშიევის მეთაურობით. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორც ვხედავთ, სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობის არავითარ მორალურ მდგომარეობასა და საბრძოლო სულისკვეთებაზე ლაპარაკიც კი, ცხადია, არ შეიძლება.

აი, გენერალ ვიშინსკის შეტყობინებაც, რომელიც 1918 წლის 2 მარტითაა დათარიღებული, სადაც სომხური კორპუსის ის ნარჩენებია დასახელებული, რომლებიც უკვე 1 მარტისათვის დარჩა სომეხთა „ქებული ჯარებიდან": „გაწვდით ცნობებს მოწინააღმდეგესა და საერთო მდგომარეობაზე სომხურ ნაწილებში. I–ლი მარტისათვის ჰასან–ყალაში მტერი არ ჩანდა ათიოდე ცხენოსანის გარდა. დილის 10 საათის მოხსენებებში მტრის არსებობა არ ფიქსირდება. როგორც ჩანს, იგი ჰასან–ყალადან ჯერ არ იძვრება. სომეხთა რეგულარულმა ჯარის ნაწილებმა არსებობა შეწყვიტეს და სათითაოდ მიაშურეს სახლებს. ჩვენი არიერგარდული ნაწილები (ფაქტობრივად კი საფრონტო ავანგარდები – ა. ჩ.) ასეა განლაგებული: სანაბევროდ გაქცეული ცხენოსანი ასეული ხორასანშია, ცხენოსანი პოლკის ესკადრონი ყარა–ურგანში. სეფუსა და მურატის ცხენოსნები, დაახლოებით 100 კაცი, ყარაქილისასა და ყარაყურთისაკენ გაემართნენ".[62]

აი, ასეთი იყო იმ ნაქები და საქვეყნოდ აფიშირებული სომხური ჯარის საცოდავი ნარჩენები, რომლებიც სარიყამიშის მისადგომებთან იყვნენ თავმოყრილნი.

გამოკვეთილად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ გენერალმა ოზანიანმა ერთ–ერთმა პირველმა უშველა თავს არზრუმიდან გაქცევით და თან ისე, რომ

არავითარი უკანდახევის საბრძოლო ბრძანება მის მიერ დაწერილი არც ყოფილა. 1918 წლის 3 მარტით დათარიღებულ სარიყამიშიდან თბილისში გამოგზავნილ ტელეგრამას კი შემდეგი სახე აქვს:

„ტფილისი. სასწრაფო. კავკასიის არმიის მთავარსარდალს. 03. 03. 1918.

მე მოღალატეებისა და გამცემების გარემოცვაში აღმოვჩნდი. გთხოვთ, სამუდამოდ გამათავისუფლოთ თქვენს მიერ დანიშნული სომხური შერეული რაზმის უფროსის თანამდებობიდან. მიზეზების დასახელებისაგან თავს ვიკავებ. ხვალ მივემგზავრები სარიყამიშიდან.

გენერალი ანდრანიკი. სომხური შერეული რაზმის უფროსის ადიუტანტი, პოდპ. თუმანოვი".[63]

ესეც ჩვენი ნაქები „სომეხთა ჯორჯ ვაშინგტონი". შიშისაგან თავგზააბნეული ანდრანიკი ისე ტოვებს დაკავებულ თანამდებობას, თავის შენაერთსა და ქალაქ სარიყამიშს, რომ ტელეგრამის პასუხსაც არ ელოდება არმიის სარდლობისაგან. და მართლაც, რეალური საბრძოლო მოქმედებები და საომარი ფრონტი ხომ ასე უცხო ხილი იყო სომეხთა ნაქები ჯარებისათვის. ისინი ხომ მხოლოდ მშვიდობიანი და უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ იჩენდნენ უზომო ვაჟკაცობასა და გამბედაობას რუსული ხიშტების საფარქვეშ. ასე იყო მსოფლიო ომის მიმდინარეობისას 1914–1915 წლებში და ასე გაგრძელდება დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის არსებობის დროსაც. ზუსტად ასევე წარიმართა მოვლენები სომხეთ–საქართველოს ომშიც, სადაც სომხებმა ქართველების წინააღმდეგ ომი „თავისი დიდი მოკავშირეების", ბრიტანელებისა და ცარისტი გენერლების მხარდაჭერის იმედით წამოიწყეს.

საველე საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, გენერალი გერასიმოვი კი ასეთ დასკვნას ურთავს საგამოძიებო მასალებს, ზემოთ აღწერილ ამბებთან დაკავშირებით, რომელსაც არ შეიძლება ცალსახად არ დაეთანხმოს კაცი: „მე ვფიქრობ, რომ ეს (სომეხთა პანიკური გაქცევა ფრონტის ხაზიდან – ა. ჩ.) აიხსნება მათი ტყვედ ჩავარდნის შიშით. იმდენად, რამდენადაც სომეხთა და თურქთა, *განსაკუთრებით კი სომეხთა და ქურთთა შორის* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) არსებული საუკუნოვანი მტრობის გამო, ტყვედ ჩავარდნილი სომხები არ იმედოვნებდნენ, რომ მათ ცოცხლად დატოვებდნენ, განსაკუთრებით იმ ექსცესების შემდგომ, რასაც ისინი ჩადიოდნენ მშვიდობიანი თურქი და ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ".[64]

დაშნაკური საბრძოლო რაზმების მიერ მშვიდობინი მუსულმანური მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტა ასეთივე „წარმატებით" გაგრძელდა ამიერკავკასიაშიც, მათ შორის ქართველი მაჰმადიანებისა, საქართველოს ისტორიულ მიწებზე, სადაც მოიყარეს თავი უკანდახეული სომხური რაზმების ნარჩენებმა.

ბევრისათვის არცაა ცნობილი და დღეს უკვე დავიწყებასაა მიცემული ის ფაქტებიც, რომ 1918 წლის დასაწყისიდან ახალციხე–ახალქალაქის რეგიონში სომეხთა მიერ მშვიდობიანი მაჰმადიანური მოსახლეობის (მათ შორის ქართველების) დემოციდიც მიმდინარეობდა, რომლის ავანგარდშიც, ამჯერად,

ნეჯდეს სადამსჯელო ქვედანაყოფები იმყოფებოდნენ. დოკუმენტური მასალა უამრავია. ერთ–ერთი მათგანი:

„თუ გოკიოში მუშაობდა ჯალათი უსულო ხეჩო, დანარჩენ სოფლებში იყვნენ გაგზავნილნი ანდრანიკის მოწაფენი, ნიკოლა და ნეჯდე... ყუდალიაში გადაარჩიეს მამაკაცები ცალკე, ამოარჩიეს მათ შორის 12 უფრო შეგნებული, გადააბეს ერთიმეორეზე და შიგ სოფელში თავიანთ ცოლ–შვილის წინ დახვრიტეს. იქვე, იმ აუარებელი ხალხის თვალწინ გააუპატიურეს ორი ქალიშვილი. მსხვერპლებმა ბარბაროსების ქვეშ დალიეს სული.

ფარაონის ტბა აივსო საღამოელი მაცხოვრებლების გვამებით. არ დაინდეს არც დიდი და არც პატარა... არ დაინდეს არც უწყინარი, თავმდაბალი და გულ–უხვი შავქათ–ბეგ ფალავანდიშვილი, რომლის კარი მუდამ ღია იყო ყველასათვის. მოჰკლეს ერთადერთი ვაჟიშვილი თავის დედის თვალწინ. გაათრიეს და წამებაში მოჰკლეს 80 წლის მოხუცნი: ჰაქ–ხოჯა და ქამალ–ბეგ ფალავანდიშვილები, რომლებმაც არ იცოდნენ მეჩეთისა და სახლის გარდა სხვა არაფერი. მაჰმადიანთა სოფლებიდან დახოცილთა გარდა ჰყავდათ დატუსაღებული 230 მამაკაცი. მათ შორის იყვნენ ხუთი ძმა ფალავანდიშვილები ოთხი გიმნაზიელი შვილითურთ.

ვინ მოიფიქრებდა და წარმოიდგენდა, თუ ამოდენა ხალს, როგორც პირუტყვს ამოჰხოცავდნენ და ისიც ტანჯვით. გაჰყავდათ სამ–სამი კაცი ერთმანეთზე გადაბმულნი ყველას თანდასწრებით და ესროდნენ ტყვიას. თუ მსხვერპლი არ დაეცემოდა, მისცვივდებოდნენ ხიშტებით, დანებით და ცულებით ჟლეტდნენ ბოლოს. ამ ტრაგედიაში სომხების ბავშვებიც კი იღებდნენ მონაწილეობას, აივაზიანის (ახალქალაქის თავი – ა. ჩ.) სიძის, ჰაიროს მეთაურობით''.[65] – იტყობინებოდა გაზეთი „სახალხო საქმის'' 436–ე ნომერი.

გენარალი დრასთამატ კანაიანი–დრო კი, ნეჯდეს პირდაპირი მეთაური და მისი სულიერი ძმა, თავისი ქვედანაყოფების ასეთ მოქმედებებს ამიერკავკა–სიაში, გულგრილად „ზურგის წმენდის სტრატეგიული აუცილებლობით'' ხსნიდა.[66]

ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს კიდეც, რომ სომხეთის საჯარისო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების მოქმედებათა შეფასებისას, ამიერკავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობის მიმართ, ზედმეტად მკაცრი და ტენდენციურებიც კი ვართ. თითქოს არ ყოფილა საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის ფაქტები სომხური ქვედანაყოფების მიერ სომხეთ–საქართველოს ომის დროს? თითქოს არ არის ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში აღბეჭდილი მსგავსი ფაქტები?

მართალია... ჩვენ არ გვახსოვს და არ მოგვეპოვება ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევისა და ხოცვა–ჟლეტის ცნობები სომხეთ–საქრთველოს ომის მსვლელობისას. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ საბედნიეროდ (საბედნიეროდ მხოლოდ ამ მიმართებაში) სომხეთ–საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრები, განსაკუთრებით ბორჩალოს

მაზრის ქვედა ზონა, 1918 წლისათვის, პრაქტიკულად მხოლოდ საქართველოს სომეხი ეროვნების მოქალაქეებით დასახლებულ რეგიონებს მოიცავდა, სადაც ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სომხეთის რეგულარული ჯარის მხარდამხარ ებრძოდა ქართული არმიისა და სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებს. სწორედ ამიტომაა, რომ ქართველი ეროვნების მშვიდობიანი მოსახლეობა გადაურჩა სომხური საჯარისო ქვედანაყოფებისა და საბრძოლო რაზმების დაუნდობელ და ყოვლად არაქრისტიანულ მოპყრობას.

სამაგიეროდ, სომხური საბრძოლო ქვედანაყოფების გამხეცებული, ყოვლად არაადამიანური და უმოწყალო ანგარიშსწორებები ქართველ სამხედრო ტყვეებზე, დაჭრილებსა და ბრძოლაში დაღუპულ მეომრებზე გადმოვიდა სრული სისასტიკით. საარქივო დოკუმენტებში უამრავია ქართველ ტყვეთა წამებისა და დახვრეტის, დაღუპულთა გვამების დამახინჯებისა და შეურაცხყოფის დამადასტურებელი მასალა. უნებურად იბადება კითხვები: რატომ? რამ გაამხეცა ასე „პირველი ქრისტიანული ქვეყნის" შვილები? სად გაქრა მათი „ქრისტიანული სათნოება"? ანდა, რა შეიძლება ვუწოდოთ ბრძოლაში დაღუპულთა გვამების შეურაცხყოფასა და ყოვლად არაადამიანურ მოპყრობას? აი, ზოგიერთი ფაქტიც:

1918 წლის 20 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს" ნომერში ვკითხულობთ: „პირველ დღეებში ტყვედ წაყვანილი 5 ჯარისკაცი სომხებს დაუხვრეტიათ".[67]

„როდესაც მივიდნენ იმ სოფელში, სადაც ჩვენი ჯარისკაცები მოკლეს, ამ სოფელს ეწოდება აგარაკი, ამათ ის ორი ჯარისკაცი ეპოვნათ საშინლად დამახინჯებული და მაშინვე ურმით გამოეგზავნათ ვორონცოვკაში"....[68]

ან კიდევ: „მოკლულები საშინლად დაემახინჯებინათ. რუბენისთვის რამდენიმე შტიკი ეკრათ ლაჩარ მტერს. თვალებიც შტიკით დაემახინჯებინათ. აფხაზავაც და სხვებიც უწვალებიათ და ურმებით წაუღიათ. უზუნლიარის შესავალში მარცხნივ პატარა მდინარე მოდის. მას გვერდით ორი არშინის სიმაღლეზე გზატკეცილი მიჰყვება და ეს შეურაცხოფილი გვამები ამ ღელის პირად დაეყარათ, ზევიდან ცოტა მიწა წაეყარათ და თავი მიენებებინათ... მხოლოდ ორი თვის შემდეგ ეღირსათ ქრისტიანული დასაფლავება".[69]

ამონარიდი ამ ომში გმირულად დაღუპული ქართველი ოფიცრის, პორუჩიკ დ. ბარნაბიშვილის ბიოგრაფიიდან: „გაატიტვლეს სულ მთლად და შიშველი ეგდო მინდორში ნადირთა შესაჭმელად 15 დღე. მერე კი დაასაფლავეს 9 მხედართან ერთად".[70]

იმავე პერიოდის გაზეთ „საქართველოში" კი ანდრანიკ ოზანიანის „ყარაბაღის ბრიგადის" მოქმედებებზე ზანგეზურში შემდეგს ვკითხულობთ:

„აღერბეიჯანის მთავრობამ განჯიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: იმის შემდეგ, რაც ინგლის–საფრანგეთის დელეგაციამ ანდრანიკას წინადადება მისცა შეეწყვიტა საომარი მოქმედებები მაჰმადიანთა წინააღმდეგ, მაჰმადიანები დაენდვნენ დიდი სახელმწიფოს დელეგაციას და ჯარმა თავისი პოზიციები

მიატოვა, საიდანაც სომხებს იგერიებდნენ და სახლებში გაიფანტა. ამით ისარგებლა ანდრანიკამ და უბრძანა თავის ჯარს, რომელიც შესდგება ოსმალეთისა და ადგილობრივი სომხებისაგან, შეჰსეოდნენ მაჰმადიანთა სოფლებს. ბრძანებისთანავე მთელი სომხობა იარაღით ფეხზე დადგა, დაეცნენ მაჰმადიანთა სოფლებს და მხეცურად ჟლეტდნენ ხალხს განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, აწვალებდნენ გვამებს, დედებს სჭრიან ძუძუებს და პირში უდებენ ბავშვებს. ორი ქალი მთლად გაატიტვლეს და ისე გაუშვეს სასაცილოს გულისთვის. 12 სოფელზე მეტი მთლად გადაწვეს. 10 ქალი სომხებმა თან წაიყვანეს. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ და ჯარი გამოაგზავნოთ.

ზანგეზურის ჯარის უფროსი, მელიქ–ნამაზალიევი."[71]

და ბოლოს, ამონარიდი ამ ეპიზოდის უშუალო თვითმხილველის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ქართული კულტურის მოამაგის, ბატონ იოსებ იმედაშვილის პუბლიკაციიდან:

„ქრისტეშობის თერთმეტმა კიდევ ერთხელ გაატიტვლა ადამიანის სულის სიბნელე და გამოაჩინა მისი სიმხეცე. ამ დღეს გამოჩნდა ვერაგი, უნამუსო მტრის საზიზღრობა: თოვლით გადაპენტილ ფერდობზე, მოწმენდილ დილით გენერალმა წულუკიძემ ჭოგრით გახედა ბრძოლის ველს, ფერდობს, სადაც საზარელი სურათი დაეხატა, სურათი, რომლის მსგავსი არც ერთ ომში არ შეხვედრია — ეს იყო აქა–იქ დაყრილი ნათრევ–ნაწამები გვამები მეომართა...

გენერალმა თვალთ არ დაუჯერა და პორუჩიკი კორძაია გაგზავნა, რომ ყოველივე ეს შეემოწმებინა. პორუჩიკ კორძაიამ დაჰხედა და რა ნახა — ღამით სომხებს დაეტიტვლებინათ და შეეპილწათ მუხანათურ თავდასხმაში დახოცილი ქართველი ოფიცერ ჯარისკაცნი. აგერა ტიტლიკანა მეომარი, რომელსაც სასირცხო ასო მოჭრილი აქვს და პირში სჩრია. აგერ ლერწამ–ტანის ვაჟკაცი ახალად წვერ–ულვაშ აკოკრებული, ქოჩორ–გადავარცხნილი, ბაგეზე ღიმ–გაუქრობელი, — ვინ იცის რა წუთებში აღმოხდა სული, მკვდრად გაპობილია, ეტყობა უკვე გაციებულისათვის დაუციათ ხანჯალი. აგერ ჩასხმული ბიჭი, ვეფხვს რომ ჰგავს, კეფაგახეთქილი, მკლავებ–შემოკაწრული, სახსრებში გადაღრღნილი. აგერ ცხვირ–მოჭრილები, მთლად გატიტვლებულნი. აგერ შუბით თვალებჩათხრილ–ნი, აგერ ასო–ასო აკუწული...

და ყოველივე ეს მოიმოქმედა ადამიანის ხელმა, — სომეხთა მეწინავე ჯარმა, ბრბოს სახელით მონათლულმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სომხის ცნობილი და რევოლუციონერებად წოდებულნი ბელადნი..."[72]

ეს საშინელებებით აღსავსე სტრიქონები ტყუილად არ მოგვიტანია. იგი არ ითვალისწინებს ზოგადად სომეხი ხალხისადმი სიძულვილისა და ზიზღის გაღვივებას, მაგრამ მოყვანილი დოკუმენტური მასალები კიდევ ერთი დიდი გაფრთხილებაა იმის შესახებ, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ცრუ იდეალებითა და მიზნებით დაბინდული ადამიანის გონება.

ყოველივე ზემოთქმული ცალსახად ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სომხეთის შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში გაერთიანებული ყველა სამხედრო ნაწილი და ქვედანაყოფი მარადიორობით, ძარცვა–გლეჯითა და მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტით იყო დაკავებული.

რა თქმა უნდა, სომხეთის არმიაშიც არსებობდნენ ისეთი ნაწილებიც, რომლებიც მართლაც წარმოადგენდნენ ორგანიზებულ და ბრძოლისუნარიან სამხედრო ერთეულებს. ეს პირველ რიგში სომეხთა მე–2 მსროლელი დივიზიის პოლკებს შეეხებათ, რომელსაც გენერალი მოვსეს სილიკოვი (სილიკიანი) მეთაურობდა. ფაქტია, რომ ოტომანთა შენაერთების ძლევამოსილ წინსვლას ერევნის მიმართულებით, სწორედ ამ დივიზიის ნაწილები აღუდგნენ წინ და წარმატებული საბრძოლო მოქმედებებით გუბერნიის ცენტრი შეინარჩუნეს. სწორედ მაშინ, როცა გენერლები ნაზარბეგოვი და ანდრანიკი უიმედოდ იხევდნენ უკან, „გენერალი სილიკოვი თავის წილ ბრძოლებს აწარმოებდა ერევნის რაიონში. 15 მაისს სილიკოვი, რომლის ძალებიც 6000–დან 7000–მდე კაცს შეადგენდა (მე–5 და მე–6 მსროლელი პოლკები, მე–4 პოლკის ერთი ბატალიონი, მოხალისეთა ვანის 1–ლი და მე–2 პოლკები, ერთი საკავალერიო პოლკი და 28 ქვემეხი), წარმატებულად აღუდგა წინ თურქთა აგრესიას".[73]

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ მე–2 მსროლელი დივიზიის მე–5, მე–6 და ნაწილობრივ მე–4 პოლკები წარმოადგენდნენ სომხეთის შეიარაღებული ძალების ყველაზე ორგანიზებულ და ბრძოლისუნარიან სამხედრო ნაწილებს და სწორედ ამ დივიზიის ნაწილები აღმოჩნდნენ ჩართულნი სომხეთ–საქართველოს ომში 1918 წლის ოქტომბრიდან.

რა თქმა უნდა, ზოგიერთი ქართული საჯარისო ნაწილის პირადი შემადგენლობის მორალური მდგომარეობის სურათიც არ იყო სანიმუშო. აქაც ჰქონდა ადგილი სახელმწიფო ქონების დატაცებისა და ქურდობის ფაქტებს. „ძველი ჯარისკაცი ჯარში არა ჩერდებოდა. შეკრებდნენ პოლკს, მისცემდნენ იარაღს, ჩააცმევდნენ (საწყობებში იარაღი და ტანისამოსი ჯერ ბევრი იყო), ავარჯიშებდნენ რანდენიმე დღეს და ერთ მშვენიერ დღეს ყაზარმა ცარიელი დახვდებოდათ. მიდიოდნენ იარაღიანად".[74]

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარვყოფთ იმასაც, რომ სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობისას, ქართველთა მხრიდანაც ჰქონდა ადგილი სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ყოვლად გაუმართლებელი ანგარიშსწორებების ფაქტებს, მაგრამ ეს მოქმედებები მხოლოდ ცალკეული პიროვნებების მხრიდან იყო ინიცირებული შურისძიების მიზნით და იგი არაფრით არ იყო მოტივირებული ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსით, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით არარატის რესპუბლიკის მმართველ წრეებზე. ჩვენ აქაც არ ვაპირებთ ხელი დავაფაროთ ქართული მხარის მსგავს ქმედებებს და მისი ნამოქმედარი მხოლოდ ნათელ ფერებში დავხატოთ.

ქართულ გვარდიასთან დაკავშირებით კი ერთ ამონარიდს მოვიყვანთ ცნობილი ეროვნულ–დემოკრატის, რეზო გაბაშვილის მოგონებიდან, რომელიც

წითელი გვარდიის ყოვლად უღირს ქმედებებს ეხება, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" ბოლშევიკური აჯანყების ჩაქრობის დროს: „სახელოვანმა ჩვენმა გვარდიამ გაცარცვა, გადასწვა ოსების სოფლები, გააუპატიურა დედაკაცები... მე კი ჩემი თვალით ვუყურებდი გორზე გამოტარებული ნადავლი საქონლისა და ურმების ქარავანს, დატვირთულს საოჯახო ნივთებით — წინ და გვერდებიდან შეიარაღებული გვარდიელების თანხლებით. მერე კი საით გადაატარეს ეს ქარავანი არავინ იცის, არც მე — ოღონდ კი ვიცი, „სახელმწიფო შემოსავალში" არ გატარებულა არასოდეს".[75]

საყოველთაოდაა ცნობილი ის ფაქტიც, რომ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელის მიერ, ყოვლად უღირსი საქციელისათვის, პირადად იქნა დახვრეტილი ერთ—ერთი გვარდიელი დაღეთ—ხაჩინის ოპერაციის დროს, სწორედ სომხეთ—საქართველოს ომის მსვლელობისას.

წარმოდგენილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ დაშნაკთა ე.წ. „საბრძოლო რაზმები", ფაქტობრივად კი სადამსჯელო—ტერორისტული ბანდები, სომეხ და პროსომეხ ავტორთა მიერ „სომხურ პოლკებად" მონათლული, რეალურად თურქეთისა და ამიერკავკასიის მშვიდობიანი მუსულმანური მოსახლეობის ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო მათი ქცევა საომარ მოქმედებათა რაიონებში, ცალსახად მეტყველებს მათ მხედრულ სულისკვეთებასა და მორალურ სახეზე.

საბრძოლო სულისკვეთების საერთო მაჩვენებლის მხრივ, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთელ სტრუქტურას, როგორც რეგულარულ ჯარს, ასევე სახალხო გვარდიასა და მოხალისეთა რაზმებს, დიდი უპირატესობა გააჩნდა სომხებთან შედარებით, რამაც სულ მალე უდიდესი როლი ითამაშა სომხეთ—საქართველოს ომის საერთო მსვლელობაშიც.

§4. სომხეთ—საქართველო და მათი მოკავშირეები 1918 წელს.

ზოგადად, მოკავშირის პრობლემა, ხელსაყრელი სტრატეგიული პარტნიორის განსაზღვრა და შერჩევა ყოველთვის წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საკითხს ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორად გადაჭრილი ეს ამოცანა ხშირად გადამწყვეტ როლს

თამაშობდა ამა თუ იმ სახელმწიფოს შემდგომ ბედსა და მომავალზე. პირიქით, გაუთვლელ გადაწყვეტილებებსა და სტრატეგიულ შეცდომებს კი არაერთი სახელმწიფოსა თუ ერის ყოფნა–არყოფნის საკითხზე უთამაშია გადამწყვეტი როლი. პატარა სახელმწიფოებისათვის კი ეს საკითხი ორმაგად საპასუხისმგებლო პრობლემას წარმოადგენდა. საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში სტრატეგიული პარტნიორის შერჩევა კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ოდითგან, როგორც ევროპა–აზიის შესაყარი და აზიის მუსულმანური სამყაროს ბუფერი დანარჩენ სამყაროსთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ორივე რესპუბლიკის წინაშე მწვავედ დაისვა სტრატეგიული სამხედრო–პოლიტიკური მოკავშირის სწორად განსაზღვრისა და შერჩევის პრობლემა. თუ ისტორიულად აქამდე საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივ–სტრატეგიული გეგმები ასე თუ ისე ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც პირველ რიგში მათ სახელმწიფოებრივ და ფიზიკურ გადარჩენას გულისხმობდა საერთო გარეშე მტრებთან ბრძოლაში, ახლა მათი საერთო პოლიტიკური და სამხედრო–სტრატეგიული გეზი მკვეთრად იყო შეცვლილი.

რა თქმა უნდა, ორივე სახელმწიფოს წინაშე ისევ მათი ბრძოლის საუკუნოვანი პრობლემა იდგა – ეროვნული თვითგადარჩენა, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდა რესპუბლიკების თვითგადარჩენის პრობლემა სომეხთა ნაციონალისტური იდეოლოგიის, გლობალური პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებითა და ამიერკავკასიის რეგიონში არსებული საერთო მდგომარეობის გამო, უკვე ამოვარდნილი იყო ურთიერთინტერესებიდან. შესაბამისად, მათი მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზებიც საფუძველშივე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესთა ვექტორები მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ქართველთათვის ქართული სახელმწიფოებრივი ყოფის ეროვნული მეხსიერება ჯერ კიდევ ცოცხალი და რეალური იყო, ანუ, ქართველებს საკმაოდ ნათლად ესახებოდათ ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი მისი ყველა ასპექტის ჩათვლით, თუნდაც 1801 წლის მდგომარეობით. სომხებისათვის კი არსებული მდგომარეობა განსხვავებულ იყო. აქ დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს ცნება, მხოლოდ და მხოლოდ ღრმად მივიწყებული, სადღაც დალექილი იდეის დონეზე იყო მოაზრებული. რვაასწლიანმა უცხოურმა ბატონობამ ახლად გამოჩეკილ ეროვნულ აზროვნებას რეალიზმის გრძნობა დაუკარგა და ის დილემის წინაშე დააყენა – ან აღდგენილი ყოფილი „რუსეთის სომხეთი" (ერევნის გუბერნია) და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, ან ავტონომიური „თურქეთის სომხეთი" და მასზე მიბმული ე.წ. „დიადი არმენიის" ეფემერული იდეის გამოცოცხლება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული იდეოლოგიის მიძინებული მდგომარეობიდან გამოსული სომხები ეპოქის

შექმნილ საერთაშორისო ურთულეს მდგომარეობაში ვერ გაერკვნენ და ილუზორულ მიზნებზე გააკეთეს გათვლები. დაშნაკური იდეოლოგიის ბელადებმა მეორე, ავანტიურისტული არჩევანი მიიღო და ამით ამიერკავკასია— ანატოლიის ხალხები და თვით სომეხი ერი, დიდი საფრთხის წინაშე დააყენა.

დიდმა პოლიტიკამ ისე ინება, რომ სომხეთი და საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ფაქტიურად ერთმანეთს დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ ჩართულნი. ,,დიადი არმენიის'' დაშნაკმა აპოლეგეტებმა ანტანტის — ანტიკაიზერული და ანტიოსმალური ალიანსის მხარე დაიჭირეს, ხოლო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებითი პროგერმანული კურსი დაიკავა.

სომეხთა მიერ პროანტანტური კურსის არჩევა თავისთავად გულისხმობდა პროცარისტულ კურსსაც, რაც თავის მხრივ ,,სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ'' გენერალ ანტონ დენიკინთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ითვალისწინებდა, ხოლო ქართველთათვის ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ გერმანელები აღმოჩნდნენ რეალური მოკავშირეების როლში.

სომეხი ავტორები, რა თქმა უნდა, დღემდე ჯიუტად ამტკიცებენ არარატის რესპუბლიკის მთავრობაზე პროანტანტური და პროდენიკინური ფაქტორების არარსებობას, მაგრამ არსებული დოკუმენტები და ისტორიული ფაქტები თავისთავად მეტყველებენ ამაზე. რუსი ავტორი, ი. შახდინი: ,,დაშნაკელები ყოველმხრივ იყვნენ დაკავშირებულნი რუს თეთრგვარდიელებთან, დაწყებული მთავრობის წევრებიდან და დამთავრებული ცნობილი ანდრანიკით''.[76]

დაშნაკთა გათვლა გენერალ დენიკინსა და მის მხარდაჭერაზე შემდეგში მდგომარეობდა:

,,პოლკოვნიკ ვლასოვის აზრით, დახმარება, რაზეც შეიძლება დაშნაკელებს გაეკეთებინათ მოხალისეთა არმიაზე ანგარიში მენშევიკურ საქართველოსთან საბრძოლველად, შემდეგში მდგომარეობდა:

ა) საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბება და მათი გაგზავნა ბათუმის გავლით სომხეთში, რომლებიც შეძლებდნენ დამოუკიდებელი ამოცანების გადაჭრას.

ბ) საბრძოლო მასალებისა და სურსათის გაგზავნა.

გ) სოჭის დაკავება და ამით საქართველოზე ზეწოლის განხორციელება სოხუმის შემდგომი დაკავების მუქარით.

დ) გერმანიიდან და ავსტრიიდან წამოსული ტყვეების შეიარაღება და მათი გაგზავნა სომხეთში სომხური ნაციონალური ნაწილების შესავსებად''.[77]

მართლაც, შემდგომში განვითარებულმა სამხედრო—პოლიტიკურმა მოვლენებმა ცალსახად დაგვანახა, რომ საქართველოსთან მიმართებაში ამ გათვლის ყველა პუნქტი ზუსტად შესრულდა, რამაც უკვე სომხეთ—

საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დროს, 1918 წლის ბოლოს, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ქართული მხარე.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალების სამეთაურო და რიგით შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ კავკასიის არმიის ეროვნებით რუს სამხედრო მოსამსახურეებს. ვ. თევზაძე: ,,სომხეთის მდგომარეობაც კრიტიკული იყო. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ეროვნების სიძულვილი სომხებს აზერბაიჯანისადმი და ოსმალეთისადმი აიძულებდა მათ მფარველის ძებნას, ამად რუსეთს თვლიდნენ და თავისი ჯარის მოწყობა ყოფილი რუსეთის ოფიცრებს, ტომით რუსებს დააკისრეს. მუდმივ კავშირში იყვნენ კონტრ–რევოლუციონერ გენერლებთან. ესენი სომხეთის ჯარს თავის გამოყოფილ კორპუსად სთვლიდნენ. რიცხვითაც ბევრნი იყვნენ, რადგან დიდი სიძნელეების გამო ომის შემდეგ რუსეთში დაბრუნებას, სომხეთში დარჩენას არჩევდნენ".[78]

ყოფილი მეფის რუსეთის არმიის რუს ოფიცრებს სომხეთის არმიაში მნიშვნელოვანი სამეთაურო თანამდებობები ეკავათ. ისინი მთელ ნაწილებსა და მიმართულებებსაც კი მეთაურობდნენ, ხოლო საშტაბო თანამდებობები, ფაქტობრივად, მთლიანად გენერალ დენიკინის ,,დობროარმიის" ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული. გენერალ კვინიტაძის თქმით: ,,ჩვენმა ოფიცრობამ სომხურ ჯარს ,,დენიკინის მე–7 კორპუსი" შეარქვა."[79] და მართლაც, 1918 წლის 1 ნოემბერს გამართულ ყუბანის სამხარეო რადის საზეიმო სხდომაზე გენერალი დენიკინი აცხადებდა: ,,მიუხედავად ცალკეული განსხვავებისა, მაინც შესაძლებელია ჩვენი გაერთიანება დონთან, ყირიმთან, თერგთან, სომხეთთან, კასპიისპირა ოლქთან".[80]

იგივე ავტორთან: ,,სომხეთის არმიაში უმაღლესი სამეთაურო თანამდებობების დიდი ნაწილი დენიკინელ ოფიცრებს ეკავათ. სომხეთის ჯარის შარურის რაიონის სამხედრო უფროსად სომხეთის მთავრობის მიერ დენიკინელი პოლკოვნიკი – სპიცინი დაინიშნა, ხოლო სომხური შეიარაღებული ძალების შტაბი ფაქტიურად მთლიანად დენიკინელების ხელში იყო."[81]

ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობისას, სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარი საველე შტაბის უფროსის თანამდებობაც მეფის ყოფილ ოფიცერს, ეროვნებით რუსს, პოდპოლკოვნიკ შნეურს ეკავა. ასევე, ამ ომში, ქართველთა წინააღმდეგ მოქმედი სომეხთა სამი დამრტყმელი პოლკიდან ორს – რუსი ოფიცრები, პოდპოლკოვნიკი კოროლკოვი და პოლკოვნიკი ნესტოროვსკი მეთაურობდნენ.

ზემოთ აღწერილი ბაქოს ამბების შემდეგ კი სომეხთა აღმოსავლეთის დაჯგუფების გაფანტულმა ზოგიერთმა ქვედანაყოფმა ავადსახსენებელი ბიჩერახოვის რაზმში დაიწყო გაერთიანება, რომელიც უკვე ბრიტანელთა მიერ ბაქოს მეორედ ოკუპაციისთანავე, 1918 წლის დეკემბრიდან შემოვიდა ბაქოში და ისევ თავისი ჩვეული სისხლიანი საქმიანობა განაგრძო: ,,შტაბის კაპიტანმა კოლმანიანმა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა, 1918 წლის 14

ოქტომბერს შემდეგი სახის ტელეგრამა გამოუგზავნა თბილისში განლაგებულ სომეხთა ეროვნულ საბჭოს: „სომხური ნაწილები პეტროვსკში ჯგუფდებიან და შედიან ბიჩერახოვის რაზმში".[82]

დაშნაკურ–დენიკინურ ალიანსზე საუბარს კი ისევ ნაცადი ხერხით და ისევ სომხური წყაროს წარმოჩენით დავასრულებთ. ესაა, ერევანში, 1991 წელს დაბეჭდილი ენციკლოპედიური გამოცემა, უკვე ბანალურად ცნობილი სათაურით – „Армянский вопрос. Энциклопедия". მასში ვკითხულობთ: „სიმონ ვრაციანი (გრუზიანი, გრუზინიანი. 1882–1969. წ.წ.) – სომხეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე... სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918), რესპუბლიკის წარმომადგენლად დაინიშნა სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა არმიაში".[83]

როგორც ვხედავთ, არარატის რესპუბლიკის მთავრობას 1918–1919 წლებში თავისი ოფიციალური წარმომადგენელიც კი ჰყავდა წარგზავნილი გენერალ დენიკინის „სამხრეთ რუსეთის მთავრობაში". ერთობ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბატონი სიმონ ვრაციანი, დაშნაკური იდეოლოგიის ერთ–ერთი ლიდერთაგანი, 1917 წლიდან თბილისში გამომავალი დაშნაკური იდეოლოგიის რუპორის, გაზეთ „ორიზონის" მთავარი რედაქტორი იყო, ხოლო 1920 წლის ნოემბრიდან – თვით სომხეთის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობის უკანასკნელი, მეოთხე თავმჯდომარე.

ამჯერად, დაშნაკთა უშუალო კავშირებზე ბრიტანელებთან, აღარ გავამახვილებთ ყურადღებას, რამეთუ ზემოთ, ბაქოს მოვლენების განხილვისას, გარკვეულწილად უკვე შევეხეთ მას, ხოლო დაშნაკურ–ბრიტანულ ალიანსსა და ბრიტანულ ფაქტორზე უფრო დაწვრილებით ნაშრომის შესაბამის თავსა და პარაგრაფში გვექნება საუბარი.

საქართველოს სამხედრო–პოლიტიკურ მოკავშირეებზე საუბრისას კი, პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და სამხედრო სამინისტროს, სახელმწიფოს შიერ წარმოებული საომარი მოქმედებების შემთხვევაში, საერთო–სამობილიზაციო გეგმა და პოტენციური მოკავშირეების როლი და ადგილი განსაზღვრული არ ჰქონდა. არ ჰქონდა იმიტომ, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკა, „ზოგადკაცობრიული ღირებულებებისა და საერთაშორისო დემოკრატიის" პრინციპებიდან გამომდინარე, არ თვლიდა საჭიროდ სამხედრო დოქტრინის შემუშავებას, არ ჰქონდა განსაზღვრული მოსალოდნელი სამხედრო–პოლიტიკური საფრთხეების მიმართულებები და დონეები, გამოცხადებული ჰქონდა მკაცრი საგარეო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და კავკასიაში განვითარებულ უმძიმეს სამხედრო–პოლიტიკურ მოვლენებს ვარდისფერი სათვალით აკვირდებოდა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა ერთადერთ დასაყრდენ ძალად და მოკავშირედ, პირველ რიგში, მხოლოდ და მხოლოდ „მსოფლიოს ინტერნაციონალურ დემოკრატიას" მიიჩნევდა და არა რეალურ სამხედრო ძალას. სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და დამოუკიდებ–

ლობის შენარჩუნების პანაცეად კი მხოლოდ ცივილიზებული მსოფლიოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმალურად ცნობასა და ერთა ლიგაში გაერთიანებას თვლიდა. და ეს იყო პირველი ქართული რესპუბლიკის მმართველი პარტიის, მთავრობისა და მთლიანად ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედია. გრიგოლ ლორთქიფანიძე:

,,ერთადერთი ჩვენი მოკავშირე, რასაკვირველია, მორალური მოკავშირე იყო ინტერნაციონალური სოციალ–დემოკრატია. (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) და ჩვენ მის წინაშე წმიდა სინდისით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიუხედავად შეიძლება ამა თუ იმ კერძო შეცდომისა და ელამი ნაბიჯებისა, მსოფლიო პროლეტარიატის პატარა ქართულმა რაზმმა ყველაზე რთულ და საშინ მდგომარეობაში უმწიკვლოდ გაიტანა შრომის დიდი დროშა. ის მას არავითარ შემთხვევაში, მაშინაც კი არ დაუხრია, როცა მედროშეს აუცილებელი ფიზიკური სიკვდილი ემუქრებოდა".[84]

ამ მიმართებით, ცალსახად და გადაჭრით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული პროგერმანული კურსი იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და ხსნა, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ გერმანულ საოკუპაციო ჯარების სარდლობისა და პირადად გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის დიდი დამსახურების წყალობით გადაურჩა ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულ ოკუპაციას. ფაქტია, რომ ქართულ–გერმანულმა მეგობრულმა ურთიერთობებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ საქართველოში დისლოცირებული გერმანული საოკუპაციო კონტინგენტის გარკვეული საჯარისო ქვედანაყოფები ქართული რეგულარული ჯარის შემადგენელ ნაწილადაც კი იქცა, ხოლო ე.წ. ,,ქართულ–გერმანული ლეგიონი" რეგიონის საუკეთესო სამხედრო ნაწილს წარმოადგენდა.

პირველი გერმანული საჯარისო ნაწილები საქართველოში 1918 წლის ივნისის დასაწყისში გამოჩნდნენ. ,,გერმანიის ჯარების რაოდენობასა და განზრახვაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ მარტო ფოთში მათი რაოდენობა 10000 კაცს აღემატებოდა. თბილისში დამატებით ჩამოვიდა გერმანიის დიდი სამხედრო ნაწილები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა საავიაციო ქვედანაყოფები, კავალერიის ბრიგადები და მძიმე არტილერია. მარტოოდენ გერმანელი მფრინავები, შოფერები, რკინიგზელები და სხვა სამხედრო სპეციალისტები თბილისში ითვლებოდნენ 2000–ზე მეტ კაცი".[85]

გერმანელთა საოკუპაციო ჯარების პირადი შემადგენლობის შესახებ დაახლოებით იგივე მონაცემებია ნაჩვენები სხვა ავტორთანაც – ,,ივნისის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდა 15 ათასი გერმანელი სამხედრო მოსამსახურე, არტილერიით, ავიაციითა და ტყვიამფრქვევებით, გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის სარდლობით. აქედან 10000 კაცი – ფოთში და 5000 კაცი – თბილისში".[86]

ჩვენის აზრით, გერმანული ჯარების შესახებ აქ მოტანილი ცნობები ცოტა გადაჭარბებულია, კავალერიის ნაწილებთან მიმართებაში მაინც. დოკუმენტების იგივე კრებულში მოყვანილია გაზეთ „ბორბას" ინფორმაცია, სადაც გარდა გერმანელთა საჯარისო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ჩამონათვლისა დაფიქსირებულია გერმანული მხარის სარდლობაც ამიერკავკასიასა და საქართველოში:

„შეეხო რა საქართველოში გერმანელთა რაზმის სარდლად პოლკოვნიკ ფონ–დერ ჰოლცის დანიშვნას, ბატონმა ცუგმაიერმა განაცხადა, რომ ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება გერმანელთა ორი ორორბატალიონიანი პოლკი, აღჭურვილი არტილერიისა და ტყვიამფრქვევების სათანადო რაოდენობით. გარდა ამისა, აქ იმყოფება ყოველგვარი სპეციალისტების – მფრინავების, რკინიგზელების, ავტომობილისტების, ელექტროტექნიკოსების, რადიოტელეგრაფისტების, მედიცინის პერსონალისა და სხვათა დიდი რაოდენობა. პოლკოვნიკ ფონ დერ ჰოლცთან ერთად ახლად მოვიდა 1100 სპაციალისტი. ფონ დერ ჰოლცს უჭირავს ბრიგადის მეთაურის თანამდებობა და ის უშუალოდ ემორჩილება გენერალ ფონ კრესს, როგორც გერმანიის დელეგაციის მეთაურს საქართველოში".[87]

აქ უნდა შევეხოთ ერთ არაარსებით საკითხსაც. ამიერკავკასიაში გერმანიის საიმპერატორო ჯარების სარდლის სახელი და გვარი იყო – გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი. კრესი მისი სახელი იყო და არა გვარი, მაგრამ რატომღაც ყველგან, თვით ოფიციალურ დოკუმენტებშიაც კი, იგი მხოლოდ სახელით – გენერალ ფონ კრესად მოიხსენიება. გერმანული სამხედრო კონტინგენტის აღწერისას კი, არსებითი საკითხი ისაა, რომ დოკუმენტურად არ დასტურდება გერმანული საკავალერიო ბრიგადების, ხაზს ვუსვამთ – *საკავალერიო ბრიგადების* საქართველოში არსებობის ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამხედრო ნაწილებს სომხეთ–საქართველოს ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, ყოველ შემთხვევაში, მის გადამწყვეტ ფაზაში, დეკემბრის ბრძოლების დროს, თუმცა პირველ ეტაპზე, ოქტომბრის თვეში წარმოებული ბრძოლების დროს, სწორედ გერმანული სასაზღვრო ქვედანაყოფები აღმოჩნდნენ დაპირისპირებულნი სომხურ ავანგარდებთან. სწორედ გერმანული სასაზღვრო რაზმების მეთაურთა ოპერატიულმა და უაღრესად პროფესიონალურმა ქმედებებმა ითამაშეს უმნიშვნელოვანესი როლი დაწყებული კონფლიქტის პირველსავე ეტაპზე სასწრაფოდ ამოსაწურად.

უნდა ითქვას, რომ გერმანიის საიმპერატორო ჯარების სარდლობამ და მთლიანად გერმანულმა სამხედრო კონტინგენტმა, უკანასკნელი ჯარისკაცის ჩათვლით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი 1918 წლის განმავლობაში მეტად დადებითი როლი ითამაშა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში, აღკვეთა რა თურქთა აგრესია. საერთო ჯამში კი, არ შეცდებით თუ ვიტყვით, რომ მთელი 1918 წლის განმაელობაში

გერმანელებმა თავიანთი მოღვაწეობის ყველა ასპექტში, მართლაც ნათელი კვალი დატოვეს საქართველოში.

§5. დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღება

საქართველოსა და სომხეთის პირველი რესპუბლიკების შეიარაღებულ ძალებში, შეიარაღების სისტემებით აღჭურვის საქმეში, საერთო მდგომარეობის მხრივ, განსხვავებული სურათი იყო. ეს განსხვავება, განსაკუთრებით, შეიარაღების ტექნიკურ სახეობებს შეეხება.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ძირითად ინდივიდუალურ სასროლ იარაღად 1918 წლის ბოლოსათვის მიღებული იყო რუსული წარმოების 1891 წლის ნიშუშის მოსინის სისტემის, ე.წ. სამხაზიანი, 7,62მმ კალიბრის შაშხანა, რომელიც იმ დროისათვის ერთ–ერთი საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა, თუმცა წითელი გვარდია ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ძირითადში მოძველებული შვეიცარული შაშხანებით იქნა აღჭურვილი – „ამხანაგებო, ჩვენ მივმართეთ ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს და აქ ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია ამხანაგმა ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორმა. ის გაგებით მოეკიდა ამ თხოვნას და ჩვენ მივიღეთ 500 შაშხანა და 15 ათასი ვაზნა. იმედი გვქონდა, რომ გამოგვიყოფდნენ რუსული წარმოების სამხაზიან შაშხანებს, მაგრამ სამწუხაროდ, ბატონმა გენერლებმა, გენერალ ლებედინსკის მეთაურობით, რომლებიც ჯერ ისევ შტაბში იყვნენ განთავსებულნი, ძველი, შვეიცარული წარმოების შაშხანები მოგვცეს"[88] – აღნიშნავდა ბატონი ვალიკო ჯუღელი სახალხო გვარდიის დაარსების ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო გამოსვლაში პარლამენტის წინაშე, 1918 წლის 12 დეკემბერს. შეიარაღებაში მცირე რაოდენობით იყო აგრეთვე ლებელის სისტემის შაშხანა. კავალერიისათვის შეიარაღებაში მიღებული იყო დამოკლებული შაშხანა – კარაბინი, ხოლო ოფიცერთა შემადგენლობისათვის, დამატებით, ნაგანის ტიპის რევოლვერი და მცირე რაოდენობით ბრაუნინგის პისტოლეტები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა წითელი გვარდიის პირადი შემადგენლობის თანამედროვე ტიპის იარაღით აღჭურვის საქმე, გვარდიის მიერ არსენალის აღებით, 1917 წლის 12 დეკემბერიდან. წითელი გვარდიის ამ წარმატებულ ოპერაციას სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მეთაური, მეფის არმიის

ყოფილი პორუჩიკი, ელადიმერ (ვალოდია) გოგუაძე ხელმძღვანელობდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მეტად თავდადებული და უზომოდ გაბედული, შეიძლება ითქვას თავზეხელაღებული კაცი იყო, მრავალი ბრძოლისა და შეტაკების მონაწილე, რომელიც ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა იქიდან.

რა თქმა უნდა, აქ ვერ განვიხილავთ ვ. გოგუაძის რევოლუციური თუ საბრძოლო მოღვაწეობის ყველა დეტალს. იგი ისედაც სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ერთ–ერთი ცენტრალური ფიგურა იყო, ამიტომაც მის შესახებ არაერთხელ გვექნება ქვევითაც საუბარი. მოვლენებს წინ გაუსწრებთ და ვიტყვით, რომ საბედნიეროდ, ვალოდია გოგუაძე იმ მცირერიცხოვან ქართველ სამხედროთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ბოლშევიკთა რეპერესიებს გადაურჩა და სიცოცხლე ემიგრაციაში დაასრულა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული რუსული არსენალის აღების ზემოხსენებული ოპერაცია კი გვარდიის ერთ–ერთ საუკეთესო ოპერაციათა რიცხვს განეკუთვნებოდა.

სომხეთის არმიის შეირაღებაშიც, რა თქმა უნდა, ძირითად სასროლ იარაღს ასევე რუსული წარმოების სამხაზიანი შაშხანა წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს, გასაგები მიზეზების გამო, დიდი რაოდენობით იყო აგრეთვე უცხოური წარმოების იარაღი – ბრიტანული, ფრანგული, თურქული, თვით ე.წ. „ბერდანკებიც" კი. ძლიერი საცეცხლე საშუალებებიდან – ტყვიამფრქვევებიდან, ორივე მხარე, თავისთავად ცხადია, შეიარაღებული იყო ძირითადში მაქსიმის ტიპის დაზგის ტყვიამფრქვევებითა და მცირე რაოდენობით, მსუბუქი – ლუისის ტიპის ტყვიამფრქვევებით. საარტილერიო სისტემების ტიპების მხრივაც იდენტური მდგომარეობა იყო. ორივე მხარეს შეიარაღებაში ჰქონდა რუსული წარმოების 1909 წლის ნიმუშის სამთო ქვემეხი, 1900 საველე და 1902 წლის ნიმუშის მსუბუქი ქვემეხები.

მძიმე საალყო არტილერიით არც ერთი მხარე არ იყო აღჭურვილი, რადგან რუსეთის კავკასიის არმიის შეიარაღებაში არსებული მთელი საალყო არტილერია არზრუმისა და ყარსის სტრატეგიულ სიმაგრეებში იყო თავმოყრილი და იგი თურქებს დარჩათ სამხედრო ალაფად სომეხთა სამარცხვინო უკანდახევის შემდეგ.

არაორდინარულად ჟღერს, მაგრამ სასროლი იარაღის, საბრძოლო აღჭურვილობისა და არტილერიის რაოდენობის მხრივ, სომხურ მხარეს ქართულთან შედარებით უპირატესობა გააჩნდა.

საქმე იმაშია, რომ 1917 წლის გაზაფხულისათვის კავკასიის არმიის სარდლობის მიერ დიდი შეტევითი ოპერაცია იყო დაგეგმილი ცენტრალური ანატოლიისა და სამხრეთის ოპერატიულ მიმართულებებზე, მესოპოტამიაში დისლოცირებულ დიდი ბრიტანეთის საექსპედიციო ძალებთან ალიანსში. ამის გამო, კავკასიის არმიის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მთელი სასაწყობო რესურსები ფრონტთან ახლოს, თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე იქნა გადატანილი, რითაც ფაქტობრივად საქართველოში არსებული არსენალები და საწყობები დაცლილი აღმოჩნდა.[89]

გასაგები მიზეზების გამო, აღნიშნული ოპერაცია ვერ განხორციელდა და 1917 წლის ბოლოდან მთელი ეს აუარებელი საფრონტო მარაგი ფაქტობრივად სომხურ კორპუსს ჩაუვარდა ხელში. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ერთობ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტეფან ჯონსი: „ალბათ ირონიის მომგვრელია ის მდგომარეობა, რომ ბევრ რაიონში, სადაც თავმოყრილი იყო რუსეთის კავკასიის არმიის სასურსათო, საბრძოლო მასალების, კაუშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე საველე სამედიცინო აღჭურვილობის აურაცხელი მარაგები, მათი დაცვისათვის (სომხურ — ა. ჩ.) კორპუსს ჯარისკაცები არ ჰყოფნიდა".[90]

ამ საკითხთან მიმართებაში, აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „დამოუკიდებლობის მთელი სამი წლის განმავლობაში საქართველოს დახმარების სახით დასავლეთიდან არ მიუღია არც ერთი ერთეული თოფი, ქვემეხი და საბრძოლო მასალა".[91] ეს ინფორმაცია კი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ 1955 წელს გამოქვეყნებული ოფიციალური მემორანდუმიდანაა წარმოდგენილი. მართლაც ისტორიული ფაქტია, რომ სომხურ საარმიო კორპუსს უზღვავი სამხედრო ქონების დაცვისა და განკარგვისათვის პირადი შემადგენლობაც კი არ ჰყოფნიდა.

ასე, რომ სომეხი და პროსომეხი ავტორების ტენდენციური მსჯელობა სომეხთა არასათანადოდ შეიარაღებასა და საბრძოლო უზრუნველყოფის შესახებ, მორიგი დეზინფორმაცია და მტკნარი სიცრუეა, რასაც ძალიან ხშირად მიმართავენ და ავრცელებენ ისინი.

უდიდესი განსხვავება იყო საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ბრძოლის ტექნიკური საშუალებებით — ჯავშნოსანი მატარებლებით აღჭურვის საქმეში. საქართველოს წითელი გვარდის ხელმძღვანელობამ და პირადად ვლადიმერ გოგუაძემ ამ მხრივ ჯეროვანი ინიციატივა გამოიჩინა და ქართული შეიარაღებული ძალები შესაბამისად აღჭურვა ჯავშანმატარებლებით. ფაქტიურად რუსეთის კავკასიის არმიის ჯავშანმატარებლების მთელი პარკი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საკუთრებაში აღმოჩნდა. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ თბილისშივე ხდებოდა ახალი ჯავშნოსანი მატარებლების აგება და დაზიანებულების შეკეთებაც.

ასე, რომ ამ მაჩვენებლით, ქართული მხარე აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდა სომხებთან შედარებით. ეს „შაითან მაშინა", როგორც მას ადგილობრივი თათრები უწოდებდნენ, დამოუკიდებლად ბრძოლის წარმოებისა და ქვეითთა საცეცხლე მხარდაჭერის მაღალეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა, რომელიც ცეცხლის წარმოების მძლავრი საშუალებებითა (დაზგის ტყვიამფრქვევი) და საარტილერიო დანადგარებით (სამთო ქვემეხი) იყო აღჭურვილი. ნიშანდობლივია, რომ ჯავშანმატარებლებს, გარდა რიგობრივი, საბორტო ნომრისა, საკუთარი სახელებიც ჰქონდათ მინიჭებული. მაგალითად, ჯავშანმატარებელი №1 — „რესპუბლიკელი", ჯავშანმატარებელი №3 — „თავისუფლების სიმაგრე" და ა.შ.

თვით ვალოდია გოგუაძე ასე აღწერს ჯავშანმატარებლის საბრძოლო შესაძლებლობებსა და ეკიპაჟის ფუნქციებს:

„მე გადავწყვიტე მეშოვნა მეომრები ჯავშნოსანისათვის. ისინი მე განსაკუთრებული რაზმიდან მომცეს, სულ 70 კაცი.. ამათში სამი ჩემი ძმა იყო. ყველა იყო ომში გამოცდილი ჯარისკაცი. კომანდის წევრები იყვნენ ნაცელები და ზემდეგები, ორდენებით დაჯილდოებულნი, მეტყვიამფრქვეველები და ქვეითი ჯარისკაცები. ჯავშნოსანზე იდგა ორი სამთო ქვემეხი, მაქსიმისა და ლუისის ტყვიამფრქვევები, მათი ვაზნებითა და ყუმბარებით. ყველა მეომარს ჰქონდა რევოლვერი და კარაბინი.

ჯავშნოსანი შესდგებოდა ორი საბრძოლო ვაგონიდან, ერთი ცეიჰგაუზიდან (საბრძოლო მასალების საცავი – ა. ჩ.) და ერთი ორთქლმავალისაგან. ორთქლმავალი შუაში იყო მიბმული. ვაგონებიდან ორთქლმავალზე ტელეფონი იყო გაყვანილი. მეთაურის კოშკი აღმართული იყო ორთქლმავალზე. ჯავშნოსანის ნაყოფიერი ბრძოლა დამოკიდებულია მის მოხერხებულ მანევრებზე და სწორედ ამიტომ კოშკი მოწყობილია ორთქლმავალზე.

მატარებელზე იყო ერთი მემანქანე, ორი მისი თანაშემწე, ერთი უფროსი კონდუქტორი და ორი მისი თანაშემწე, ერთი მატარებლის შემკეთებელი, ერთი რკინის გზის ოსტატი ხიდების და რელსების მცოდნე, ერთი დამწმენდი ვაგონისა. ჯავშნოსანზე იყო სამი ვაგონი, სადაც მეომრები ცხოვრობდნენ. როდესაც ჯავშნოსანი ომში შედიოდა, მაშინ ვაგონებს შშვიდობიან სადგურზე ვტოვებდით. მატარებელზე იყო მუდმივი ტელეფონისტი და უფროსი ადიუტანტი.

სულ ჯავშნოსანის პერსონალი შესდგებოდა 80 კაცისაგან. ზოგი მეომრის გვარი აღარ მახსოვს. იყვნენ: ძმები ლომჯარია, მოგველაძე, სერაპიონ ჭელიძე, კონ. ჭელიძე, ცეცხლაძენი, ჯაში, სამი ჩემი ძმა, ხუხუნაიშვილი, ბერძენიშვილი, ვანო სარიევი, საშა გოგავა, უფროსი კონდუქტორი სკამკოჩაიშვილი, რაჟდენ სალუქვაძე, (ჩემი თანაშემწე), გრიშა კვინიკაძე (ჩემი ადიუტანტი), ანდრო ცეცხლაძე და სხვანი".[92]

ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ ქართული ჯავშანმატარებლის საბრძოლო ეკიპაჟებში ვალოდია გოგუაძის ძმების გარდა, თვით მისი მეულღეც კი ირიცხებოდა.

აღსანიშნავია, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში ქართულმა ჯავშანმატარებლებმა დიდი როლი ითამაშეს ამა თუ იმ ლოკალური საბრძოლო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. უდიდესი იყო ჯავშანმატარებლების როლი სომხეთ–საქართველოს ომის დროსაც, განსაკუთრებით მის პირველ ეტაპზე, ოქტომბრის ბრძოლების დროს.

1918 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში 6 ჯავშანმატარებელი ირიცხებოდა. წლის დასაწყისისათვის „ჯავშნოსნები ასე იყო განაწილებული: ორი იყო ბორჩალოს მაზრაში, ერთი იყო კახეთში, ორი ნატანებში და ერთი განჯაში".[93]

ქართული მხარის ჯავშანმატარებლებით უზრუნველყოფის ანალოგიური მდგომარეობა იყო აგრეთვე ჯარების ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული სახეობის — ავიაციით უზრუნველყოფის საქმეშიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, იმ დროისათვის ავიაცია, როგორც ასეთი, ჯარების ცალკეულ სახეობას არ მიეკუთვნებოდა და სტრუქტურულად იგი საინჟინრო—ტექნიკურ ჯარებში იყო ჩართული.

ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, რუსეთის კავკასიის არმიის მთელი საავიაციო პარკიც, ჯავშანმატარებლების მსგავსად, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საკუთრებაში დარჩა. შეიარაღებაში იყო ყოფილი რუსეთის კავკასიის არმიის კუთვნილი ფრანგული წარმოების „ვუაზენისა" და „ფარმანის" მოდელის მონოპლანები. გარდა ამისა, საქართველოში გერმანელთა შემოსვლის შემდეგ ბაზირებულ იქნა აგრეთვე გერმანული თვითმფრინავები თავისი ეკიპაჟებითურთ:

„3 ივნისს მოვიდა გერმანელთა მცირე ნაწილი. 10 რიცხვში, დღის 3 საათზე ფოთიდან მოვიდა გერმანელთა ეშელონები, რიცხვით 1000 კაცზე მეტი. ეშელონის შემადგენლობაში შედიან მსროლელები, მოიერიშე ჯგუფები, მფრინავები, ბომბდამშენები და სხვა. უახლოეს დღეებში თბილისში მოელიან ეშელონების დიდ რაოდენობას იარაღით, საჭურვლითა და სანიტარული ქონებით. ყველაფერი ეს მოვა ფოთიდან, სადაც ხდება გადმოტვირთვა გერმანიის გემებიდან. ფოთშივე დგას გერმანიის წყალქვეშა ნავების ფლოტილია".[94] გარდა ამისა: „ქუთაისში მოვიდა გერმანელთა სამხედრო ნაწილი, აღჭურვილი ტყვიამფრქვევებითა და თვითმფრინავებით".[95]

ჩვენთვის უცნობია, თუ ზუსტად რა მოდელის თვითმფრინავები შეადგენდნენ გერმანული საოკუპაციო ჯარების საავიაციო პარკს, მაგრამ სავარაუდოა, რომ საქართველოში განლაგებული გერმანიის საიმპერატორო ჯარების შეიარაღებაში „ავიატიკისა" და „ფოკეს" მოდელის ბიპლანები უნდა ყოფილიყო.

„საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის თაობაზე საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული დებულების მიხედვით, სამხედრო ავიაციამ შესაბამისი ადგილი დაიკავა შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში. კერძოდ, იგი შევიდა გენერალური შტაბის განყოფილების „საინჟინრო—სატექნიკო სექციის" შემადგენლობაში, ხოლო ამავე რიცხვით დათარიღებული საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარს, სხვა ნაწილებთან ერთად შეადგენდა 1 საავიაციო გუნდი, რომელიც თავის მხრივ ორი რაზმისა და ერთი პარკისაგან შედგებოდა".[96]

1918 წლისათვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული თვითმფრინავების ზუსტი რაოდენობა უცნობია. სავარაუდოდ, იგი სამ ათეულამდე უნდა ყოფილიყო, ბაზირებით — თბილისსა და ქუთაისში. „საავიაციო ფორმირებების პირადი შემადგენლობა მთლიანობაში (საავიაციო

სკოლის გარდა) მოიცავდა 34 ოფიცერს, 496 ჯარისკაცს და 9 მოსამსახურეს".[97] თუ თვითმფრინავების აღნიშნულ რაოდენობას გერმანულ ავიაციასაც დავუმატებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ 1918 წლისათვის ქართულ–გერმანულ კოალიციას იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერი საავიაციო პარკი ჰყავდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ იმ დროისათვის საჰაერო თავდაცვის სპეციალური საბრძოლო საშუალებები, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა და საკმაოდ ძნელი იყო სახმელეთო საცეცხლე საშუალებებით ავიაციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება, გასაგები გახდება, თუ რამდენად მობილური და ტაქტიკურად ეფექტური იყო ავიაციის გამოყენება ლოკალური ხასიათის საბრძოლო მოქმედებებში.

დოკუმენტურად არ მტკიცდება, მონაწილეობდა თუ არა გერმანული ავიაცია და გერმანული ეკიპაჟები სომხეთ–საქართველოს ომში, მის საწყის ეტაპზე. მაგრამ გერმანული თვითმფრინავების საბრძოლო გამოყენების ფაქტი, ბოლშევიკთა წინააღმდეგ დუშეთის მაზრაში, ეჭვს არ იწვევს. „აჯანყების ჩახშობაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მყოფმა გერმანელმა იმპერიალისტებმა. ისინი მენშევიკებს ეხმარებოდნენ სამხედრო ინსტრუქტორებით, არტილერიითა და თვითმფრინავებით... ამბოხებულთა ბანაკი გერმანელთა აეროპლანებით იბომბებოდა".[98]

ასევე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ქართული ავიაციისა და ქართული ეკიპაჟების მონაწილეობა სომხეთ–საქართველოს ომში. ამ დასკვნას შესაბამის თავში მოყვანილი უტყუარი მასალებით დავამტკიცებთ.

სომხეთ–საქართველოს ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის ერთ–ერთ ოფიციალურ მიმართვაში გენერალური შტაბის განყოფილების საინჟინრო–ტექნიკური სექციის უფროსისადმი (პოლკოვნიკი თაყაიშვილი) კი ვკითხულობთ:

„მოთხოვნა №29. 12. 02. 1919. გენერალური შტაბის განყოფილების საინჟინრო სექციის უფროსს.

თავდაცვის მინისტრის მიერ მე დავალებული მაქვს საქართველო–სომხეთის ომის ისტორიის საკითხების შესწავლა. გთხოვთ სასწრაფოდ მომაწოდოთ ხსენებულ ომში საინჟინრი უწყების მოღვაწეობის მოკლე ანგარიში. აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, კეთდებოდა თუ არა რამე საომარ მოქმედებათა თეატრის მოსაწყობად საინჟინრო უზრუნველყოფის მხრივ. *ამასთან ერთად, გთხოვთ მომაწოდოთ ანგარიში ავიაციის მოქმედების შესახებ.*" (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[99]

სამწუხაროდ, საინჟინრო სექციის უფროსის მიერ ამ მოთხოვნაზეც პასუხი კომისიაში გაგზავნილ არ იქნა, რადგან 1919 წლის დასაწყისისათვის ახალციხეში განვითარებული მოვლენების გამო, კომისიის თავმჯდომარე, გენერალი კვინიტაძე ახალციხის ფრონტის სარდლად დაინიშნა. ამით კი ხსენებულმა კომისიამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

ისევე, როგორც ზოგადად ეროვნული შეიარაღებული ძალების ალმშენებლობის საქმეში, ავიაციასთან დამოკიდებულებაშიც არ იჩენდა საქართველოს მთავრობა ჯეროვან ყურადღებას, რაც საქართველოს სამხედრო–საჰაერო ძალების ბრძოლისუნარიანობის გაზრდას შეუწყობდა ხელს. ამ საკითხებისადმი უყურადღებობა, არაპროფესიული, უფრო მეტიც, არასახელმწიფოებრივი მიდგომა გახდა სწორედ მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიის ერთადერთმა რესპუბლიკამ, რომელიც საკმაოდ მძლავრ საავიაციო პარკს ფლობდა, არსებობის მთელი სამწლიანი პერიოდის განმალობაში, თვით 1921 წლის ბოლშევიკური აგრესიის დროსაც კი, ჯეროვნად ვერ გამოიყენა ეს დიდი უპირატესობა. მაგალითად, „მხოლოდ 1918 წელს, ფრენისას დაიმსხვრა 18 აპარატი (აქედან 4 თვითმფრინავი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან)... მაგრამ რაც ყველაზე მძიმე და აუნაზღაურებელი იყო, ამ კატასტროფებს ქართველი მფრინავები ეწირებოდნენ".[100]

ყოველივე ამის მიზეზი კი საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციისა და მომსახურების ნორმებისა და მოთხოვნების დარღვევა იყო, რაც მთავრობის მხრიდან სათანადო დაუფინანსებლობით იყო გამოწვეული.

სომხურ მხარეს ჯავშანმატარებლების პარკი და ავიაცია საერთოდ არ გააჩნდა. უფრო მეტიც, მას არ გააჩნდა არც სპეციალური სარკინიგზო შემადგენლობა (სანიტარული მატარებელი). და საერთოდ, სომხეთის რესპუბლიკის საკუთრებაში 1918 წლისათვის სამგზავრო მატარებლის ერთადერთი შემადგენლობა იყო, რომელიც ძირითადში სამთავრობო გადაზიდვებით იყო დაკავებული. ამ დასკვნას, ჩვენ ოდნავ ქვემოთ, შესაბამის თავში წარმოდგენილ პირველწყაროებზე დაყრდნობით დავამტკიცებთ.

მიუხედავად ამისა, სომეხი ავტორები (ედუარდ ბრამიანი, გრანტ ავეტისიანი და სხვა) დღემდე ჯიუტად ამტკიცებენ არარატის რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1918–1920 წლებში, სომხური ჯავშანმატარებლების, საბრძოლო ავიაციისა და სხვა ჯავშანტექნიკის არსებობის ფაქტს, თუმცა სრულიად გაუგებარია ამ არაარგუმენტირებულ მტკიცებულებათა მიზანი. როგორც ჩანს, ლორესა და ახალქალაქში დისლოცირებული მითიური სომხური პოლკებისა არ იყოს, სომხური ავიაციისა და ჯავშანტექნიკის ვითომცდა არსებობით, ისინი სომხური საარმიო კორპუსის სიძლიერისა და მთლიანად არარატის რესპუბლიკის ინსტიტუციური სტრუქტურების დასრულებული სახის სისტემად წარმოჩენას ცდილობენ.

ისტორიული რეალობა კი დიამეტრალურად საწინააღმდეგო იყო. აკადემიკოსი გრანტ ავეტისიანი წერს: „ერთდროულად გაიმართა დიდი მუშობა სომხური კორპუსისა და მისი პირადი შემადგენლობის ჯავშნოსანი მატარებლებით, ავტომობილებით, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველსაყოფად. *სომხური კორპუსის საჭიროებისათვის გაიგზავნა რამდენიმე ჯავშანმატარებელი, ავტომობილი, ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობები, სანიტარული მატარებელი*".[101]

აქ ბატონი აკადემიკოსი აშკარად ცდება, ან უკიდურეს შემთხვევაში, არაობიექტურ ინფორმაციას ფლობს და ავრცელებს. სომხურ საარმიო კორპუსს, არც ამიერკავკასიის ფედერაციის და არც დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის არსებობისას, არავითარი ჯავშანმატარებლები, ავიაცია, ავტომობილი და სპეციალური სარკინიგზო შემადგენლობა არ ჰყოლია თავის განკარგულებაში, მიუხედავად იმისა, რომ გენერალი ნაზარბეგოვი დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიის არმიის შტაბიდან მათ გამოყოფას სომხური კორპუსისათვის.

ზემოთ წარმოდგენილ ამონარიდში კი ავტორი ჩვენის აზრით დაშიფრულ დეზინფორმაციას ავრცელებს. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ნახევარსიმართლე კი დეზინფორმაციაზე უარესია. ბატონი აკადემიკოსის მოყვანილ ციტატაში უპირო ზმნაა ნახმარი — „გაიგზავნა...“

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ „სომხური კორპუსის საჭიროები— სათვის გაიგზავნა...“, მაგრამ იმას კი აღარ აკონკრეტებს, თუ ვის მიერ, სად და რა დანიშნულებით იქნა გაგზავნილი ზემოხსენებული სამხედრო ტექნიკა.

ისტორიული რეალობა კი ისაა, რომ 1918 წლის ზაფხულისათვის აზერბაიჯანის კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ბაქოს ბოლშევიკური დიქტატურის ჯარების, ფაქტობრივად კი სომხური ნაციონალური კორპუსის აღმოსავლეთის დაჯგუფების დიდი შეტევითი ოპერაცია დაიწყო განჯისაკენ. შაუმიანის მოთხოვნის საფუძველზე, აგრესიის სამხედრო—ტექნიკური მხარდაჭერისათვის ლენინის პირადი ბრძანებით ასტრახანიდან ბაქოში გაიგზავნა: „80 ქვემეხი, 160 ტყვიამფრქვევი, 10000 შაშხანა, 200000 ვაზნა და სამოსი. *20 ივნისს ბაქოში ჩამოვიდა 4 ჯავშნოსანი და 13 თვითმფრინავი...*“[102]

დიახ, ლენინის მიერ „ბაქოს ბოლშევიკური კომუნისათვის“ გაგზავნილ ამ რუსულ თვითმფრინავებსა და ჯავშნოსან მატარებლებზეა საუბარი სწორედ ზემოთ მოყვანილ ციტატაში, რითაც სომეხმა ავტორებმა მოხერხებულად ისარგებლეს და ეს ტექნიკა სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების კუთვნილებად მონათლეს უმალ.

არაერთხელ ვაჩვენეთ, რომ სასურველის რეალობად წარმოჩენის სურვილი ერთობ დამახასიათებელი შტრიხია სომეხი და პროსომეხი ავტორებისათვის. თავისი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ისინი არაფერს დაგიდევენ. ამ ლოგიკით, ბაქოს დაშნაკური—ბოლშევიკური და დაშნაკურ— ესერული დიქტატორული ალიანსების კონტროლქვეშ არსებული კასპიის ზღვის მთელი ფლოტიც სომხეთის შეიარაღებული ძალების კუთვნილებად შეიძლება იქნას მიჩნეული, მაგრამ კიდევ კარგი, „სომხური ავიაციისაგან“ განსხვავებით, აქ სომეხი ავტორები ზომიერების გრძნობას ველარ ღალატობენ, მეტად კომიკურ სიტუაციაში არ იგდებენ თავს და „სომხეთის სამხედრო—საზღვაო ფლოტზე“ არ საუბრობენ.

აი, ასეთი იყო მითიური „სომხური ავიაციისა და ჯავშანმატარებლების“ შესახებ არსებული ისტორიული რეალობები. აქაც, ამ ეპიზოდში, ბატონი

აკადემიკოსის მიერ საგულდაგულოდ ინიღბება 1918 წლის დაშნაკურ–ბოლშევიკური ალიანსის ფაქტი.

მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობისათვის ისევ ნაცად ხერხს მივმართავთ და ბატონ აკადემიკოსს ისევ სომეხ ავტორს, რიჩარდ ოვანესიანს დავუპირისპირებთ, რომელიც თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „The republic of Armenia. The first year, 1918–1919", ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ და ლაკონიურად აღნიშნავს: „სომხეთის შეიარაღებულ ძალებს 1918 წლისათვის თვითმფრინავები არ გააჩნდა".[103] არა გვგონია ბატონი ავეტისიანი ხსენებულ ნაშრომს არ იცნობდეს.

საკითხის ამოწურვისა და სისრულისათვის კი, შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ სომხეთის პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს არავითარი ავიაცია, სპეციალური სარკინიგზო შემადგენლობა და ჯავშანტექნიკა არ გააჩნდა არა მარტო 1918 წელს, არამედ არც 1919 და არც 1920 წლებში. ასეთი იყო ისტორიული რეალობა.

ქვემოთ მოყვანილია იმ ძირითადი სასროლი იარაღისა და საარტილერიო შეიარაღების ტაქტიკურ–ტექნიკური მონაცემები, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალები 1918 წლის ბოლოსათვის:

საარტილერიო სისტემა	კალიბრი (მმ)	ჭურვის მასა (კგ)	სროლის ზღვრული მანძილი (კმ)
1902 წლის ნიმუშის საველე ზარბაზანი	76,2	6,5	8,5
1909 წლის ნიმუშის საველე ჰაუბიცა	122	23,3	7,7
1910 წლის ნიმუშის სწრაფმსროლი ქვემეხი	107	16,4	10,7
1910 წლის ნიმუშის მძიმე ჰაუბიცა	152	40,9	7,7

სასროლი იარაღის სისტემა	კალიბრი (მმ)	სროლის ზღვრული მანძილი (მ)
მოსინის სისტემის 1891 წლის ნიმუშის შაშხანა	7,65	3000
მაქსიმის სისტემის დაზგის ტყვიამფრქვევი	7,65	3000

რეზიუმეს სახით კი უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა ინდივიდუალური სასროლი იარაღისა და საარტილერიო შეიარაღების ტიპებით დაახლოებით ერთნაირად იყო უზრუნველყოფილი, თუმცა საომარ მოქმედებათა პირველ ეტაპზე, საერთო მზადყოფნის მდგომარეობიდან გამომდინარე, სომხური მხარე ამ მაჩვენებლით გარკვეულ უპირატესობას ფლობდა. რაც შეეხება ქვეითთა საბრძოლო მხარდაჭერის ისეთ მძლავრ ტექნიკურ საშუალებებს, როგორიცაა ჯაშნოსანი მატარებლები და მით უმეტეს ავიაცია, აქ, ქართული მხარის უპირატესობა აშკარა იყო.

თავი III

§1. დაპირისპირებულ მხარეთა სამზადისი ომისათვის

დაპირისპირებულ მხარეთა ომისათვის სამზადისის საკითხში დიამეტრალურად განსხვავებული მდგომარეობაა. ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო და სხვა უტყუარი დოკუმენტური მასალების შეჯერების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ სომხური მხარე ომისათვის მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, გამალებით და საგულდაგულოდ ემზადებოდა, მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა არა თუ ომის წარმოების პირველ ეტაპზე, არამედ 1918 წლის დეკემბრის თვის შუა რიცხვებშიც კი, სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზე არ იჯერებდა სომეხთა მხრიდან დაწყებულ სამხედრო აგრესიას.

უფრო მეტიც, ქართული პოლიტიკური ელიტა 1918 წლის 16 დეკემბრამდე ჯიუტად არ აღიარებდა ომის დაწყების ფაქტს და სომხურ სამხედრო აგრესიას ცალკეული დაშნაკური ბანდების გამოხდომებად აღიქვამდა მხოლოდ. 1918 წლის 16 დეკემბრისათვის კი, საომარ მოქმედებათა ფრონტებზე უკვე ასეულობით ქართველი მეომარი იყო დაღუპული, ხოლო ძირძველი ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული.

დაწყებული 1917 წლის ბოლოდან, სომეხთა „საგარეო საქმეთა მინისტრი" ავეტის აჰარონიანი, ალექსანდრე ხატისიანი და სხვანი, თავის მხლებლებთან ერთად საზღვარგარეთულ ტურნეებს მართავდნენ ანტანტისა და ოთხთა კავშირის ქვეყნებში მომავალი სომხური სახელმწიფოს შექმნისათვის შესაძლო პარტნიორებისა და მხარდამჭერების მოძიების მიზნით. დადასტურებული ფაქტია, რომ ამ ვოიაჟების დროს სომხური დელეგაცია თვით კრემლის უმაღლეს ხელმძღვანელობასაც კი შეხვდა.

ამ პოლიტიკური ვოიაჟების სპექტრში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ უკვე 1918 წლისათვის, სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე, დაშნაკებმა მყის შეიცვალეს თავისი „შეურიგებელი პოზიციები" თურქებისადმი და მათთან სეპარატისტული მორიგებების გზას დაადგნენ. ეს სეპარატისტული შეხვედრები სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის ივნისში შედგა თურქეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრებთან, ისმაილ ენვერ ფაშასა და მეჰმედ თალაათ ფაშასთან. დაშნაკთა პოლიტიკურ ლიდერთა ეს შეხვედრები ბათუმის საზავო პირობების შერბილების თხოვნების სერიას მოიცავდა. რიჩარდ ოვანესიანის მიხედვით, აჰარონიან–ხატისოვის მისია შემდეგ გეგმებს ისახავდა მიზნად:

„1. ოტომანთა მთავრობასა და გავლენიან წრეებში კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვება.

2. თურქთაგან პამბაკ–ლორის (ლორე–ბამბაკის გადასომხურებული ვარიანტი – ა. ჩ.) დაცლაზე ზეგავლენის მოხდენა.

3. სომეხი ლტოლვილების დაბრუნების პროცესის ფორსირება ბათუმის საზაო პირობებით თურქთათვის გადაცემულ ტერიტორიებზე.
4. დაერწმუნებინათ თურქი ლიდერები იმაში, რომ სიცოცხლისუნარიანი სომხეთის გარეშე, ამიერკავკასიაში შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარება. ამიტომ, საქართველოს–თან და აზერბაიჯანთან საკამათო ამიერკავკასიური მიწების სომხებისათვის მიკუთვნება.
5. გერმანიის მიერ რესპუბლიკის (სომხეთის – ა. ჩ.) ცნობა „დიდებულ პორტაზე" შემდგომი ზეგავლენის მოსახდენად".[1]

ჯონ კირაკოსიანის მიხედვით კი, რაც სომხურ საარქივო მასალებზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი: „ახალქალაქის თურქეთთან მიერთება, სადაც მოსახლეობის 76%–ს სომხები წარმოადგენენ – ძალადობაა, რაც გუბერნიის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოთხოვნებს არ შეესაბამება... ახალქალაქის გუბერნიის სომხურ მოსახლეობას თურქეთიდან გამოყოფა და თავისი ბედის სომხეთის რესპუბლიკასთან დაკავშირება სურს".[2]

აი, ასეთი იყო სომეხ დაშნაკთა პოლიტიკურ–იდეოლოგიური აქტივობის სტრატეგია 1918 წლის ივნისის თვეში და კიდევ უფრო გამაოგნებელია ამ ოდიოზური მიზნების მისაღწევად თურქებთან ალიანსში შესვლა. კირაკოსიანთან წარმოდგენილი მასალებით ცოტა გაურკვეველია, საერთოდ რა კატეგორიებით აზროვნებდნენ ბატონები ა. აპარონიანი და ალ. ხატისოვი. რომელ „ძალადობასა" და რომელი „სომხური მოსახლეობის სურვილებზე" შეიძლებოდა ომში გამარჯვებულ, მით უმეტეს, თურქულ მხარესთან საუბარი.

რიჩარდ ოვანესიანთან წარმოდგენილი მოთხოვნების მე–4 პუნქტში კი ცალსახად იყო ჩამოყალიბებული ის შენიღბული ულტიმატუმი, რომ „სიცოცხლისუნარიანი სომხეთის", უფრო ზუსტად რომ ითქვას, „დიადი არმენიის" შექმნის გარეშე, ამიერკავკასიაში ყოველგვარი მშვიდობის დამყარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამავე პუნქტში, ამჯერად, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, სომეხი დაშნაკები საქართველოსა და აზერბაიჯანთან ე.წ. „სადავო მიწების" არარატის რესპუბლიკისათვის გადაცემას და ამ საქმეში თურქთა მხარდაჭერას ითხოვდნენ. ყოველივე ამას კი ყოვლად გაუგებარი „სამართლიანობის" პრინციპების დაცვით ამყარებდნენ.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და დამოუკიდებელ რესპუბლიკათა დეკლარირებიდან სულ რამდენიმე დღეში, სომეხ დაშნაკთა სამთავრობო დელეგაციის წევრები აშკარა სეპარატისტულ ალიანსში შევიდნენ ოტომანთა იმპერიის მმართველ წრეებთან და საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული რიჩარდ ოვანესიანის შემდეგი პასაჟი კი ყოველგვარ საღ აზრს ცილდება და იგი აშკარად ფანტასტიკის სფეროში გადადის. ავტორი გვამცნობს:

„იელისის ბოლოსათვის ხატისიანის შეტყობინებით, თურქები ბოლოსდაბოლოს დათანხმდნენ ორი რეგიონის (ალბათ ლორე–ბამბაკი და

ახალქალქი – ა. ჩ.) დაცლას და ნება დართეს სომხურ ნაწილებს მოეხდინათ მათი ოკუპაცია".[3] მართლაც რომ გამაოგნებელია სომეხ ავტორთა მიერ ისტორიული ფაქტებით, რეალიებით, სიერცით, დროით, სახელმწიფოთა ინტერესებითა და სხვა ფუნდამენტური ცნებებით მსგავსი ჟონგლიორობა. სხვა შეფასება წარმოდგენილ ციტატას ნამდვილად არ მოეძებნება.

დაშნაკურ–ბოლშევიკური ალიანსის მიერ ბაქოს სისხლიანი ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, სექტემბრის შუა რიცხვებში ე.წ. „ბოლშევიკური კომუნა" და „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა" დაეცა და მისი მთავარი საჯარისო ძალა – სომხეთის საარმიო კორპუსის აღმოსავლეთის დაჯგუფების ძირითადმა ნაწილმა პანიკით დატოვა ქალაქი. ამ შენაერთებმა ბაქოს სომხურ მოსახლეობასთან ერთად ბაქო–ენზელისა და ბაქო–კრასნოვოდსკის გზით ირანს, შუა აზიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შეაფარა თავი. აღმოსავლეთის დაჯგუფების სომხური შენაერთის გარკვეული ნაწილი და ლტოლვილები ენზელიდან ირანის გავლით ჯულფაში გადმოვიდნენ და უკვე ნოემბრისათვის სამხრეთ სომხეთში აღმოჩნდნენ. მათ წინაშე ახალი ამოცანა დადგა...

მთელი 1918 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სომხების დასავლეთის დაჯგუფების შენაერთები და სამხედრო ნაწილები მეტ–ნაკლებად წარმატებულ თავდაცვით ოპერაციებს აწარმოებდნენ ოსმალთა მე–3 არმიის შენაერთების წინააღმდეგ. უკვე სექტემბრის თვისათვის საერთო მდგომარეობა დასტაბილურდა და სომხეთის დაშნაკური მთავრობის წინაშე ჩრდილოეთისაკენ შეიარაღებული აგრესიის ამოცანაც დადგა, რამაც სომხური შენაერთების საომარ მზადყოფნის რეჟიმში გადაყვანა გამოიწვია.

სომხეთის მთავრობა კომპლექსური გზით დაადგა დასახული გეგმის განხორციელებას. ომისათვის მზადების გეგმა მოიცავდა არა მარტო საკუთრივ საჯარისო შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებას, არამედ საქართველოს სომხებით დასახლებული რაიონების სომეხი მოსახლეობის შესაბამის მომზადებას, რაც უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი საბრძოლო შტაბების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის შეიარაღებას, საბოტაჟს, ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და განხორციელებას, მოქმედებების საერთო კოორდინაციასა და სხვა ღონისძიებების გატარებას ისახავდა მიზნად. რაც მთავარია, სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში მცხოვრები სომხების სამობილიზაციო შეკრებას, შეიარაღებასა და მოგვიანებით მათ საომარ მოქმედებათა თეატრებზე გაგზავნას, იარაღისა და საბრძოლო მასალების საიდუმლო საწყობების მოწყობასა და დაცვას და ა.შ. ეს პროცესები აშკარად სექტემბრის თვიდან დაიწყო და სომხეთ–საქართველოს შორის ომის წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა.

გენერალი გიორგი კვინიტაძე, როგორც სომხეთ–საქართველოს ომის ისტორიის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, ომის

დასრულებისთანავე, სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსს შემდეგი სახის მოთხოვნას უგზავნის:

„პოლკოვნიკ თულაევის მოხსენებითი ბარათის თანახმად, მან თქვენ წარმოგიდგინათ სომხეთის მთავრობის 1918 წლის 10 სექტემბრის ბრძანება ბორჩალოს მაზრის ქვედა ნაწილის საომარ მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ, აგრეთვე საქართველო–სომხეთს შორის ომის წარმოებისას ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოსახლეობის მოქმედებების ინსტრუქცი–ები".[4]

სამწუხაროდ, სომხეთის მთავრობის ეს ბრძანება ქართულ არქივებში დაცული არ აღმოჩნდა, ამიტომ უშუალოდ მისი წარმოდგენა ჩვენს მიერ არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, სხვა მრავალი პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულების საფუძველზე აშკარაა ის ფაქტი, რომ სომხური მხარე საომარი მოქმედებებისათვის წინასწარ, გამალებით და საგულდაგულოდ ემზადებოდა. რა თქმა უნდა, სომხური მხარე ყოველივე ამას ჯიუტად უარყოფდა ომის პირველი ეტაპის დასრულებისასაც კი, კერძოდ 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს. საქართველოს მთავრობის პროტესტზე სომხეთის მთავრობის მიერ საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ სომხეთის რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში, პირწავარდნილი დაშნაკი, ბატონი არშაკ ჯამალიანი ასეთ პასუხს სცემს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

„თქვენი 28 ოქტომბრის №4503 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ არავითარი ბრძანება ჯარების მობილიზაციის შესახებ სომხეთის მთავრობას არ გაუცია. გაზეთებში გაჟღერებული ცნობა კი ალბათ ეხება სომხეთის მთავრობის მიერ გამოცხადებულ ჩვეულებრივ, მორიგ გაწვევას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს არსებულ კონფლიქტთან და იგი თვენახევრის წინ გაიცა".[5]

მიუხედავად დაშნაკთა პარტბიუროს მიერ გამოცხადებული საყოველთაო მობილიზაციის უარყოფისა, ბატონი ჯამალიანი თავისდაუნებურად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სომხეთის მთავრობის მიერ მობილიზაციის ბრძანება, მართლაც სექტემბრის დასაწყისში იქნა გაცემული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ცნობას, რაც გენერალ კვინიტაძის ზემოთ განხილულ წერილშია მოყვანილი.

სომხეთის მხრიდან მოსალოდნელი შეიარაღებული აგრესიის შესახებ კი საქართველოს მთავრობა და სამხედრო სამინისტრო არავითარ ინფორმაციას არ ფლობდა. საველე შტაბის დაზვერვის სამსახურის უფროსის, პოლკოვნიკ (იმჟამად პოდპოლკოვნიკ) ვ. თევზაძის მოგონებიდან: „1918 წლის დამდეგს (თარიღი არ მახსოვს) სრულიად მოულოდნელად სომხეთის ჯარი შემოიჭრა ბორჩალოს მაზრაში და დაგვიწყო ომი. *ჩვენთვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. საზღვრებიც სუსტად იყო დაცული...*" (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[6]

გასაკვირია, რომ ამ სტრიქონების ავტორი, ომის უშუალო მონაწილე და საველე შტაბის დაზვერვის უფროსი, ომის დაწყების თარიღთან

დაკავშირებით აშკარად ცდება. ,,1918 წლის დამდეგი'' არაფრით არ ესადაგება ომის დაწყების რეალურ თარიღს, რომ ეს შეცდომა კორექტურულ, ან ტიპოგრაფიულ უზუსტობად ჩავთვალოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაქოს კამპანიის ჩავარდნის შემდეგ, დაშნაკთა ექსპანსიონისტური აგრესიის ვექტორმა საქართველოსკენ გადმოინაცვლა. 1918 წლის შემოდგომიდან საქართველოს ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების სომეხ მოსახლეობაში დიდი იდეოლოგიური ანტიქართული მუშაობა გაიშალა, რომელსაც ჩვენთვის კარგად ცნობილი დაშნაკთა ,,დიდი სამეულის უკანასკნელი მოჰიკანი'', დაშნაკური იდეოლოგიის რუხი კარდინალი, როსტომი ჩაუდგა სათავეში, ის როსტომი, რომელიც 1913 წლისათვისაც კი, თურქთა მზეს ფიცულობდა, ხოლო I მსოფლიო ომის მსვლელობისას და ბაქოს მოვლენების დროს, თურქეთისა და ამიერკავკასიის მუსულმანური მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტის მთავარი იდეოლოგი და სულისჩამდგმელი იყო.

რუს ბოლშევიკებსა და ბრიტანელებთან ალიანსში შესვლის შემდეგ, ბაქოს ოკუპაციისას, ალბათ ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რომ საქართველოს წინააღმდეგ სომხები თავის ,,საუკუნეობრივ დაუძინებელ მტერს'' – ოსმალებს დაუკავშირდებოდნენ. მართლაც რომ გამაოგნებელია ის გარდაქმნები და პოზიციებისა თუ შეხედულებების ის რადიკალური ცვლილებები, რასაც ,,დიადი მიზნის'' მისაღწევად აწარმოებდნენ დაშნაკთა იდეოლოგიური მამები. ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ ამ ეტაპზე სომეხი ნაციონალისტები საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში, თურქებთან და ამიერკავკასიის ადგილობრივ მუსულმან ბეგებთან შეუდნენ ალიანსში.

,,სომხები და მაჰმადიანები (ახალციხეში) დაპირისპირებულნი იყვნენ და მათ შემრიგებელ როლს ქართველები თამაშობდნენ, მაგრამ როცა საქმე საქართველოს ეხებოდა, სომხები და მაჰმადიანები მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი და საშიში იყო...''[7] მოყვანილი ციტატა ახალციხის ადმინისტრაციის ინსპექტორის, ბატონ შალვა მაღლაკელიძის მოგონებებიდანაა მოყვანილი. ახალციხე–ახალქალაქის სომეხთა და ადგილობრივ ბეგთა ალიანსს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, გაზეთ ,,სახალხო საქმის'' 9 ნოემბრის შემდეგი პუბლიკაციაც ადასტურებს: ,,დღეს მესამე დღეა, რაც სომხების მეთაურობით კერძო კრებები იმართება ქალაქის თვითმმართველობაში ბეგებთან ერთად. რა თქმა უნდა, სომეხთა მიზანია შეერთდნენ მაჰმადიანებთან და არ შემოუშვან ახალციხეში ქართველები.''[8]

საქართველოს დამფუძნებელი კრების ახალციხის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, გ. ანჯაფარიძის მოხსენების სტენოგრაფიული ჩანაწერი:

,,...მეორეს მხრივ, საუბედუროდ, ახალციხეში ოსმალოს ხალხის ერთი ჯგუფი, ტომით არაქართველი, დაინტერესებული იყო იმაში, რომ ქართველები არ ამოსულიყვნენ ახალციხეში, ახალციხის მაზრაში, რადგან

მათ სურდათ სულ სხვა სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნა – მე ვამბობ სომხებზე. წარმოიდგინეთ, რომ მოხდა შეთანხმება ქართველი ბეგებისა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სომხებისა. რასაკვირველია, მთელი სომხის ხალხი არ ერია ამ შეთანხმებაში, მაგრამ მათი მეთაურები კი თითქმის ყველა! მოხდა შეთანხმება იმ ნიადაგზე, რომ მესხეთი და ჯავახეთი უნდა დაეყოთ ერთმანეთს შორის.

ჯავახეთი უნდა მისცემოდა სომხებს, მესხეთი კი იმ სახელმწიფოს, რომელსაც ქმნიდნენ სერვერ–ბეგი და სხვები. (აქ საუბარია სერვერ ბეგ ქვაბლიანელსა (ქობლიანსკი) და ე.წ. „ყარსის რესპუბლიკაზე" – ა. ჩ.). არჩეულ იქნა შერეული დელეგაცია მუსლიმანებისა და სომხებისა, რომელის გაემგზავრა ჯერ ახალქალაქში და შემდეგ ერევანში... დელეგაციის ნაწილმა გაგზავნა დეპეშები კონსტანტინოპოლში, მოკავშირეთა მისიების სახელზე. ამ დეპეშაში ისინი პროტესტს აცხადებდნენ იმის შესახებ, რომ საქართველო, რომელსაც ჰყავს მოყვარედ გერმანია, ცდილობს ძალით ჩაიგდოს ხელში ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, სადაც მუსლიმანები შეადგენენ 100000 და სომხები კი 70000–ზე მეტ მოსახლეობას, და რომ არც ერთ მათგანს არ სურს საქართველო".[9]

მაშ ასე. როსტომი და კომპანია. როსტომი და დაშნაკები ერთის მხრივ და ჟორდანია და სოციალ–დემოკრატები მეორეს მხრივ. სომეხი ერის ეს „გულშემატკივარი სვავები" ამჯერად უკვე სამცხე–ჯავახეთის რეგიონში აქტიურობენ საქართველოს წინააღმდეგ და ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამჯერად დაშნაკურ–მუსულმანური ალიანსია შეკრული.

1918 წლის 25 ოქტომბერს ბატონ ჯამალიანის მიერ ჟორდანიასადმი გაგზავნილ №1403 წერილში ვკითხულობთ:

„მოწყალე ხელმწიფეო, ნოე ბესარიონის ძეე, გ. გვარჯალაძემ (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – ა. ჩ.) განმიცხადა, რომ მას ხელთა აქვს დოკუმენტები, სადაც თურქეთის წარმომადგენელი საქართველოში – აბდულ ქერიმ ფაშა სთავაზობს ქართულ მხარეს თურქთა წასვლის გამო დაიკავოს ლორეს რაიონი. ჩვენი მხრიდან, მეც ასეთივე წარმატებით ვაცხადებ, რომ სომხურ მხარესაც აქვს ანალოგიური შემოთავაზება იმავე თურქეთის წარმომადგენლისაგან სომხეთში – მამედ ალი ფაშასგან. როგორც ხედავთ, თვით ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ტერიტორიებს აქ სთავაზობენ ქართველებს და იქ, ერევანში სომხებს, იმაზე მეტყველებს, რომ ეს საკითხი უნდა გადაიჭრას მხოლოდ ჩვენი ორი მხარის უშუალო მოლაპარაკებების გზით.

ბატონო მინისტრო, მიიღეთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა.

ჯამალიანი".[10]

ბატონი ჯამალიანი არ უარყოფს, რომ თურქთა მიერ მართლაც ჰქონდა ადგილი ასეთ შეთავაზებას. ჰქონდა თუ არა თურქული მხრიდან საქართველოს მთავრობას ამგვარი შემოთავაზება, წარმოდგენილის გარდა,

სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება. მკვლევარის ეთიკა მოითხოვს, რომ ხსენებულ დოკუმენტს ვენდოთ, მაგრამ ფაქტობრივი მასალა ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ სომეხთა მიერ ლორესა და ახალქალაქის რეგიონების ოკუპაციის დასაწყისი, 1918 წლის 18 ოქტომბერსა და 6 დეკემბერს, ქართული მხარისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. არ არის გამორიცხული, რომ თურქული მხრიდან ქართულ მხარეს მართლაც ჰქონდა ასეთი შეთავაზება გაკეთებული, მაგრამ ერთი საკითხია შეთავაზება და სულ სხვაა მისი რეალიზაცია.

რა თქმა უნდა, თურქული მხარე ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ ლორე–ახალქალაქის რეგიონებიდან თავისი წასვლის შემდეგ სომხებსა და ქართველებს შორის მდგომარეობა დაძაბულიყო, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტი საომარ მოქმედებებშიც გადაზრდილიყო. სწორედ ამაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი ის ე.წ. „შეთავაზებები", რომელიც ერთდროულად გააკეთა თურქულმა მხარემ სომხებისა და ქართველების წინაშე. თურქების გადასაწყვეტი ნამდვილად აღარ იყო მის მიერ პოსტოკუპირებული ქართული მიწების შემდგომი ბედი. ეს შეთავაზებები სხვა არა იყო რა, თუ არა თურქთა მიერ ჰაერში ბრმად ნასროლი ტყვია – იქნებ მოვარტყათ? აი, ასეთი იყო თურქების მიერ კარგად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა. ფაქტია, რომ ქართველებმა ამ წინადადებაზე რეაგირება არ მოახდინეს, სომხებმა კი ამ „შეთავაზებებით" ისარგებლეს და ალიანსი შეკრეს თურქებთან. თურქებმა კარგად იცოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე.

საომარი მოქმედებების საწარმოებლად სულაც არ არის საჭირო ორივე მხარის თანხმობა. ომის დაწყებას ერთი მხარის საბრძოლო აქტივობაც ყოფნის. ფაქტია, რომ სომხებმა მიიღეს ეს წინადადება. ჩვენს ამ დასკვნას რიჩარდ ოვანესიანიც ადასტურებს, რომლიც მოსაზრებები თავის მხრივ სომხურ არქივებს ეყრდნობა: „5 ოქტომბერს, როდესაც ოტომანთა იმპერია კაპიტულაციისათვის ემზადებოდა, ჰალილმა მოიწვია რამდენიმე (სომეხი – ა. ჩ.) ოფიცერი და მათ ლორისა და პამბაკის სომხეთისათვის გადაცემის საკითხები გააცნო".[11] რა „გულუბრყვილოდაა" ნათქვამი, რომ სომეხ ოფიცრებს ჰალილ ფაშამ სომხეთისათვის ლორესა და ბამბაკის „გადაცემის" საკითხი გააცნო.

ქართული მიწების შემდგომ ოკუპაციასთან დაკავშირებით, ბატონი სვიმონ მდივანი, საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი სომხეთში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, შემდეგი შინაარსის შიფროგრამას უგზავნის, სადაც „თურქულ შეთავაზებაზეა" საუბარი:

„შიფროგრამა №63. საგარეო საქმეთა მინისტრს. 30. 11. 1918.

საპარლამენტო წრეებიდან მომდინარე ინფორმაციაზე დაყრდნობით, თურქეთის სარდლობამ შესთავაზა სომხეთის მთავრობას ახალქალაქის მაზრის დაკავება.

მდივანი".[12]

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დასტურდება შემდეგი შიფროგრამით, რომელიც 2 დეკემბერსაა გაგზავნილი ერევანში საქართველოს რწმუნებულთან: „ახლა მივიღეთ დადასტურება თქვენს შეტყობინებაზე თურქთა მიერ სომხებისათვის გაკეთებულ შეთავაზებაზე ახალქალაქის მაზრის დაკავების შესახებ. როგორც ჩანს, ეს სომხეთის მთავრობასა და თურქთა სარდლობას შორის არსებული შეთანხმების შედეგია. შეეცადეთ ეს საკითხი გამოარკვიოთ ტიგრანიანთან.

გეგეჭკორი".[13]

სომხურ–თურქულ ალიანსსა და თურქეთის მხრიდან საქართველოსა და სომხეთის მთავრობების მიმართ შეთავაზებებზე პოსტოკუპაციური ტერიტორიების დაკავების შესახებ შემდეგ ვერსიას გვთავაზობს ცნობილი ისტორიკოსი, დოქტორი ფირუზ კაზიმზადე თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „The struggle for Transcaucasia (1917–1921)":

„დეკემბრის დასაწყისში თურქებმა ამიერკავკასიიდან ევაკუაცია დაიწყეს, მაგრამ წასვლამდე მათ ბოროტი ტრიუკი შესთავაზეს საქართველოსა და სომხეთს. მათ ინფორმაცია მიაწოდეს ამ უკანასკნელს, რომ 6 დეკემბრის შემდეგ სომხებს შეუძლიათ დაიკავონ ოტომანთა იმპერიის მიერ დაცლილი ტერიტორიები. ანალოგიური შეტყობინება ჩაუვიდათ ქართველებსაც, მაგრამ ამ ნოტაში თურქთა ევაკუაციის დღედ 4 დეკემბერი იყო დასახელებული. ამის გამო, როდესაც სომხური ნაწილები ლორისა (ისევ „ლორეს" სომხური ვარიანტი – „ლორი" – ა. ჩ.) და ბორჩალოს რაიონებში შევიდნენ, მათ ქართული ქვედანაყოფები აღმოაჩინეს იქ, რომლებმაც სომხების წინსვლა აღკვეთეს".[14]

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ამ ერთ აბზაცში რამდენიმე უზუსტობა და შეცდომაა დაშვებული. იმ ფუნდამენტურ საკითხზე, რომ სომხებმა „ლორისა და ბორჩალოს რაიონებში" შესვლისას იქ ქართველები „აღმოაჩინეს" კომენტარების გაკეთება და კამათის გამართვა ცოტა უხერხულადაც გვეჩვენება.

ჯერ ერთი. 1918 წლისათვის ბუნებაში ასეთი სახელმწიფოებრივ–ადმინისტრაციული ერთეული – „ლორის რაიონი" არ არსებობდა. თუ აქ საუბარია არა ადმინისტრაციულ, არამედ გეოგრაფიულ დაყოფაზე და ვთქვათ ტერმინი – „მაზრა" ზუსტად ვერ იქნა თარგმნილი ბორჩალოსთან მიმართებაში – სხვა საქმეა, მაგრამ მაშინ გაუგებარია ლორესა და ბორჩალოს ერთ დონეზე მოაზრება. საქართველოს ისტორიული ქალაქი და კუთხე „ლორე", 1918 წლისათვის „დაბა ჯალალ–ოღლის" სახელს ატარებდა, რომელსაც უკვე გასაბჭოების შემდეგ სომხემა გადაარქვეს სახელი და მას სტეფანავანი უწოდეს, „ლენინის სომეხი ნამესტნიკის" პატივსაცემად. იმ დროისათვის კი, დაბა ჯალალ–ოღლი ბორჩალოს მაზრის შემადგენლობაში იყო ადმინისტრაციულად ჩართული.

მეორე. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი უტყუარი საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ცალსახად მტკიცდება, რომ თურქებმა

სომხებს ამიერკავკასიის პოსტოკუპაციური ტერიტორიების დაკავება ჯერ კიდევ 1918 წლის 25 ოქტომბრამდე შესთავაზეს, რასაც ჯამალიანის ჟორდანიასადმი გაგზავნილი №1403 ტელეგრამის შინაარსიც ადასტურებს. ზუსტად როდის იყო გაკეთებული ეს შეთავაზება, დოკუმენტურად არ არის ცნობილი.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი. ქართველებს „აღმოსაჩენი" ბორჩალოს მაზრაში არაფერი არ ჭირდათ. ბორჩალოს მაზრის ტერიტორია იყო, არის და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი. 1918 წლისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან სულ რამდენიმე დღეში, ბორჩალოს მაზრის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დე–ფაქტო იურისდიქცია ვრცელდებოდა შესამაბისი სამხედრო ქვედანაყოფების, სააჯოსა და სხვა ადმინისტრაციულ–ეკონომიკური სტრუქტურების განთავსებით. გამონაკლისს წარმოადგენდა მაზრის სამხრეთის მცირე ზოლი, რომელიც თურქთა მიერ იყო ოკუპირებული „ომის უფლებით". დაწვრილებით ამაზე ჩვენ ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში გვექნება საუბარი, სადაც უტყუარი საარქივო მასალებისა და დოკუმენტების წარმოდგენით, კიდევ ერთხელ მოვფენთ ნათელს ამ ისედაც დღესავით ნათელ საკითხს.

ერთადერთი არგუმენტი, რითაც შეიძლება აიხსნას დოქტორ კაზიმზადეს მიერ მოყვანილი ცნობები, ალბათ ისაა, რომ ნაშრომში მოყვანილი ციტატა გენერალ ანტონ დენიკინის მემუარებზეა დაფუძნებული, რომელიც მის მიერ 1924 წელს, ბერლინში გამოცემულ ნაშრომში „Ocherki russkoi smuti, vol, IV" იყო წარმოდგენილი. გენერალ დენიკინის პროსომხური ორიენტაცია უკვე გვქონდა განხილული შესაბამის პარაგრაფში, ხოლო მისი „დობროარმიის" საშტაბო დოკუმენტაციების ობიექტურობასა და საიმედოობაზე ქვემოთ გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

დაშნაკური სომხეთისა და ოსმალეთის სამხედრო–პოლიტიკური ალიანსის სპექტრი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების სომეხთათვის შეთავაზებით არ ამოიწურებოდა. რაც არ უნდა გასაკვირი და ერთი შეხედვით დაუჯერებელიც იყოს, მოპოვებული საარქივო დოკუმენტებით მტკიცდება, რომ თურქული მხარე სომხებს შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებითაც ეხმარებოდა.

პორუჩიკ გოგუაძესა და მთავარი საბაჟოს რევიზორს, ალშიბაიას შორის გამართული პირდაპირი საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი:

„ – აი რა. აქ, ჩვენთან, სადგურ სანაინზე, ტყვია–წამლითა და საბრძოლო მასალებით დატვირთული თურქული მატარებელი დგას, რომელსაც გეზი ალექსანდროპოლისისაკენ უჭირავს. უნდა გავატაროთ თუ არა ეს მატარებელი, თუ დავაბრუნოთ უკან? და საერთოდ, გავატაროთ თუ არა თურქული მატარებლები სომხეთისაკენ? გაცნობებთ, რომ იქიდან, ე.ი. სომხეთიდან აღარაფერი აღარ ბრუნდება უკან. მოახსენეთ მას, ვისაც ხელეწიფება გადაწყვეტილების მიღება. ველი სასწრაფო განკარგულებებს".[15]

ეს დოკუმენტი, სამწუხაროდ, დათარიღებული არაა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თურქულმა ქვედანაყოფებმა ალექსანდროპოლისი ნოემბრის ბოლოსათვის დატოვეს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გოგუაძესა და ალშიბაიას შორის პირდაპირი ხაზით საუბარი ნოემბრის ბოლოს – დეკემბრის დასაწყისში გაიმართა, უფრო ზუსტად კი 24 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე, რადგან თურქულ სამხედრო ქვედანაყოფებს ქალაქი ალექსანდროპოლისი 24 ნოემბრისთვის უკვე დატოვებული ჰქონდათ, ხოლო 6 დეკემბერიდან სომხურმა ნაწილებმა ახალქალაქის მაზრის გარკვეული ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს – „გუმბრიდან ჩამოსულთა სიტყვით, ნოემბრის 22–დან ოსმალებმა დაიწყეს გუმბრის დაცლა. ნოემბრის 24–ს ქალაქში ოსმალთა ჯარი აღარ ყოფილა. გუმბრში ოსმალთა მმართველობა დარჩა".[16]

ჩვენთვის უცნობია თუ რა ბედი ეწია ხსენებულ ეშელონს, დაკავებულ იქნა იგი თუ არა, და ჩავიდა თუ არა იგი ალექსანდროპოლისში, მაგრამ ერთი რამ ცხადია – მსგავსი ეშელონი რამდენიმე იყო. უფრო მეტიც, არის მოსაზრება, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალების გარკვეული ქვედანაყოფები სომხებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდნენ ახალქალაქის მაზრის ოკუპაციის მცდელობაში 1918 წლის 6 დეკემბერიდან. ამაზე ირიბ მინიშნებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ბათუმში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის, ბატონ დიომიდე თოფურიძის შეტყობინება საგარეო საქმეთა მინისტრისადმი, თუმცა ეს ცნობები სხვა დოკუმენტებითა და ფაქტებით არ დასტურდება.

ყოველად თავზეხელაღებული მუშაობა გააჩაღა სომხურმა მხარემ ომის სამზადისისათვის თვით საქართველოს დედაქალაქში, თბილისში. აშკარად თუ საიდუმლოდ დაიწყო სომეხი ეროვნების მოქალაქეების შეიარაღება და მომზადება. თბილისში დაშნაკთა მესვეურებმა მთელი არსენალების დაგროვება შეძლეს, მალე კი მათ სომხეთში გადაგზავნაზეც დაიწყეს ზრუნვა. დოკუმენ–ტური საარქივო მასალა უამრავია. მათი აქ მოტანა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ რამდენიმე:

„აირუმიდან – სამხედრო მინისტრს.

დღეს გაიარეს მატარებლებმა №593 და №655, გადიდებული შემადგენლობით, ორი ორთქლმავლით. შიგ სომეხთა ეშელონები ისხდნენ სხვადასვაგვარი ნაწილისა და მოწყალების დები. ესენი ლტოლვილთა სახით მიემგზავრებოდნენ, ყველანი მტრულ და საომარ გუნებაზე და განწყობილებაზე არიან. მოაქვთ იარაღი და კონტრაბანდა. ვაგონები დახურულია და დაბეჭდილია დიპლომატიური ბეჭდებით. გთხოვთ მაცნობოთ, ამნაირი მატარებლები გავატაროთ თუ არა.

კაპიტანი დიდებულიძე".[17]

ქრისტეფორე რაჭველიშვილი გაზეთ „სახალხო საქმის" 9 ნოემბრის ნომერში მიუთითებდა, რომ „დაშნაკცუტიუნი უდიდესის მტერია და მოძულე საქართველოს დამოუკიდებლობისა. იგი ყოველ ზომას მიმართავს ჩვენს

დასაღუპავად. არ ერიდება პროვოკაციას, ათასგვარ ჭორს, ცილისწამებას და იარაღითაც კი ეპირება შებრძოლებას, როგორც ყველგან, სადაც კი სომხები ცხოვრობენ... ისტორიულმა მუხანათობამ ამ ხალხში შეჰქმნა სული მონისა, მლიქვნელისა და ორპირისა. ერთის მხრივ ერთგულებას, მეგობრობას გვეფიცებიან, მეორე მხრით მუხანათურად ზურგში ლახვრის ჩაცემას გვპირდებიან. კართაგენი, საქართველო უნდა დაინგრეს, აი, იდუმალი მათი ზრახვა და წადილი. საქართველო უნდა დაიღუპოს — ამბობენ ისინი პრესაში, ბნელ კუთხეებში, კაფეებში, რესტორნები, თეტრებში, დაწესებულებებში, შინ და გარეთ, ოჯახში და კერძო ლაპარაკში. საშინელი ატმოსფერო შეიქმნა, ჰაერი მოიწამლა მათი ქადაგებით, ზედმეტი ნერვიულობა დაიბადა საზოგადოებაში. საოცარი და სახიფათო ისაა, რომ არ იცი როდის დაუჯერო ამ მუხანათ ხალხს, როდის არიან გულწრფელნი. არ იცი ნამდვილად რა აზრი აქვთ და რა სწადიათ".[18]

„ოქტომბრის 21—ს ტფილისში სომეხ—ქართველთა დამოკიდებულების ერთ მეტად დამაფიქრებელ ინცინდენტს ჰქონდა ადგილი, რამაც ისე გაამწვავა მდგომარეობა, რომ ჩვენის მთავრობისა და ქალაქის თავის ტაქტიკურსა და ფრთხილ საქმეში ჩარევას არ ჰქონოდა ადგილი, ადვილი შესაძლებელია სისხლის ღვრაც მოხდებოდა. საქმე იმაშია, რომ სიონის ქუჩაზე, მანთაშევის ქარვასლაში ჩვენს მთავრობის დაუკითხავად სომხებს მოუწყვიათ საწყობები, სადაც მოიპოვება ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები, დიდძალი თოფები, ყუმბარები, ტყვია—პატრონები და სხვა სამხედრო მასალები. აშკარაა, თუ რამდენად საშიშია ქალაქის შუაგულში ამოდენა ასაფეთქებელი მასალის შენახვა, სხვა რომ არა ვთქვათ რა".[19]

„საგარეო საქმეთა მინისტრს. №4080. 7 გიორგობისთვე. 1918.

პასუხად თქვენის წერილისა 6 გიორგობისთვის თარიღით №4708, გაცნობებთ, რომ ქალაქ ტფილისის მილიციის ბრძანება იარაღის აყრის შესახებ ეხება სომეხ ოფიცრებსაც, იმათ გარდა, რომელნიც მირიცხულნი არიან ერევნის დიპლომატიურ მისსიაზე. რაც შეეხება დანარჩენს — მოგახსენებთ, რომ მე—2 ცალკეული სომხური საარტილერიო დივიზიონის მე—2 ბატარეის ქონების შენახვას სამინისტრო კისრულობს. ჯარისკაცნი კი უნდა სასწრაფოდ გაიგზავნონ თავიანთ სამშობლოში და აქ იარაღის ტარების ნება არა აქვთ. ბატარეის ცხენები შეიძლება გაიგზავნოს ამ ჯარისკაცებთან ერთად, ერთი ეშელონით.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

საერთო განყოფილების უფროსის მ/შ, პოლკოვნიკი გედევანიშვილი."[20]

რაც შეეხება სომხური კორპუსის თბილისში განთავსებული საარტილერიო ბატარეის შეიარაღებას, რომელიც 13 ოქტომბერს იქნა აღმოჩენილი, მის ძირითად ჩამონათვალს შემდეგი სახე ჰქონდა:

1902 წლის ნიმუშის ზარბაზანი	— 4 ც.
ზარბაზნის ლაფეტი კომპლექტში	— 4 ც.
ზარბაზნის საკეტი საბრძოლო მდგომარეობაში	— 3 ც.

სამიზნე, პანორამით, ტყავის ფუტლიარში	– 4 ც.
„ერიქსონის" საველე ტელეფონი, კომპლექტში	– 6 ც.
კოჭა კაბელით	– 18 ც.
სტერეო მილი 10–ჯერადი გადიდებით	– 2 ც.
მიხაილოვსკ–ტუროვის კუთხემზომი და ბუსოლი	– 5 ც.
პრიზმული ბინოკლი 6–ჯერადი გადიდებით	– 10 ც.
შაშხანა შვეიცარული წარმოების	– 10 ც.
შაშხანის ვაზნა	– 25 ფუთი
ინგლისური მაღალყელიანი ფეხსაცმელი	– 15 წყვ.
ცხენი	– 6 სული".

და ეს კიდევ არაა ყველაფერი.

მე–5 ქვეითი ქართული პოლკის შერეული ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის საბრძოლო პატაკში პოლკის მეთაურისადმი, ვკითხულობთ:

„...ამასთან ერთად დავამატებ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მტერი იბრძოდა სხვადასხვა ტიპის იარაღით, როგორც სამხაზიანი, ასევე თურქულით, ფრანგულით, იყო აგრეთვე ბერდანკები და ჩახმახიანი თოფებიც კი. *სამხაზიანი შაშხანების უმეტესობა დაშლილ მდგომარეობაში იყო გადმოზიდული, რადგან ისინი ორ ნაწილად იყო გადაბერხილი.* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.). ასეთი შაშხანები ბევრი მოვიპოვეთ. შაშხანის ვაზნებს თავები ჰქონდათ ჩაჭრილი. ასე რომ, ისინი საშინელ ჭრილობებს იწვევდნენ, ასეთი ვაზნებიც ძალიან ბევრი ჩავიგდეთ ხელში."[21]

ის უცილო ფაქტი, რომ სომეხი დაშნაკები საქართველოს წინააღმდეგ ომისათვის საგულდაგულოდ და გამალებით ემზადებოდნენ, აიარაღებდნენ და წვრთნიდნენ თვით საქართველოს სომხურ მოსახლეობას, ქვემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალიდანაც ჩანს. აქაც, ოტომანთა იმპერიის ანალოგიით ჯერ კიდევ სომხეთ–საქართველოს შორის ღია საომარი მოქმედებების დაწყებამდე სომხეთთან მოსაზღვრე რაიონებში დაშნაკური იდეოლოგიით მოწამლული სომხური მოსახლეობის მიერ ადგილი ჰქონდა ქართველ სამხედრო მოსამსხურეებზე თავდასხმებსა და მათი მკვლელობის ფაქტებს.

ამონარიდი ვორონცოვკაში დისლოცირებული ქართული სასაზღვრო რაზმის რიგითის, ა. ადუაშვილის მოხსენებითი ბარათიდან, სადაც იგი გენერალ ციციშვილის ადიუტანტის, პორუჩიკ რუბენ პაპუაშვილისა და მისი ჯგუფის დაღუპვის ეპიზოდს აღწერს:

„...სოფელ ოვანდარში დანამდვილებით მიაგნეს კვალს და დაიწყეს საეჭვო პირების დაპატიმრება. ამ სოფლის რჩეული ახალგაზრდობა თურმე დილიდანვე შეიარაღებული და თხრილებში ყოფილან ჩამჯდარი და ელოდნენ მხოლოდ ჩვენი ჯარის მოსელას. სოფლის შესაყალი დაუტოვებიათ მხოლოდ. დანარჩენ ადგილებში ჩასაფრებულან. როდესაც ჩვენებს კომისარის თანაშემწე უნახავთ, რამდენიმე ახალგაზრდობა დაუჭერიათ და უთქვამთ თუ მკვლელები

არ მოგვეცით სულ დაგატყვევებთ ყველასო. მაშინ ამათ უთქვამთ, ამ სახლში ცხოვრობენ, ვინც თქვენი ჯარისკაცი მოკლაო. როდესაც რუბენი სახლში შევიდა იქ ვერავინ ვერ უნახამს, მაშინ ამ ხალხს უთქვამს, ის მალე მოვა და თითონ დაგაჭერიებთო, მანამ კი სადილი მიირთვითო. ორი ცხვარი დაუკლამთ, ცხენები ჩამოურთმევიათ (სუყველა ცხენებით იყვნენ) და ამასობაში კაცი უფრენიათ სოფელ უზუნლიარში, (რადგან შტაბი იქა ქონიათ) არიქა მოგვეშველეთო.

ამ გაიძვერა და მხდალ ხალხს, სამასამდე შეიარაღებულს, მომზადებულს, ჩასაფრებულს კიდევ ვერ გაუბედნიათ ამათი თერთმეტი კაცის შებრძოლება და კიდევ უზუნლიარიდგან დაუბარებიათ ხალხი მოსაშველებლად. ესენი სრულიად გულწრფელად მინდობიან, რადგან არავითარ ღალატს არ მოელოდნენ. თავისუფლად დაისვენეს და სადილს უნდა შესდგომოდნენ, რომ რამდენიმე შეიარაღებულ კაცს მოჰკრეს მთაზე მიმავალს თვალი. სოფლის მილიციონერები არიანო უთქვამთ. პატარა ხანს გაუვლია და კიდევ დაუნახამთ გუნდი შეიარაღებული. ესენი ვინღა არიანო. არ ვიციითო. ეს სოფელი დაბლობზეა და გარს სულ მაღლობები არტყავს და თურმე სულ შემოარტყეს ალყა სოფელს და დაუშინეს. მოტყუებული ხალხი წამოცვივდნენ, მაგრამ ცხენები დამალული აღმოჩნდა. ამათ ცეპი გამართეს, მაგრამ რა უნდა გაეწყო თერთმეტ კაცს და ისიც სრულიად მოულოდნელად, რადგან ყოველი მხრიდან ისროდნენ და ესენი თითქმის ხეირიანად ვერც კი ხედამდნენ. იძულებული შეიქმნენ ორად გაყოფილიყვნენ. ნახევარმა მარჯვნივ დაიწყო სროლა და ნახევარმა მარცხნივ. როდესაც იერიში მიიტანეს ჩვენებმა და პერებეშკებით წავიდნენ, მაშინ სეტყვასავით მოდიოდა ლაჩრულად გამოსროლილი ათასი ტყვია.

ასე თუ ისე, ცოცხლად ჩავარდნა არ შეიძლებოდა და ამიტომ პერებეშკით უნდოდათ რო ბრძოლით მიახლოებოდნენ. მაშინ ერთი საუკეთესო ჯარისკაცი აფხაზავა დიომიდე წაიქცა. მას რამდენიმე ტყვია ერთად მოხვდა. მას მიყვა მეორე მესროპაშვილი, მოხვდა მესამესაც. რუბენი მაშინ კიდევ გაჰკიოდა სომხებს, ჰოიტ თქვე ლაჩრებოვო, მაგრამ მას აღარ დასცალდა ამ სიტყვის დამთავრება, მუცელში მოხვდა ერთი ტყვია და ის დაეცა, მაგრამ კიდევ წამოხტა ზეზე, ნუთუ ამ ციგნებმა მომკლანო დაიძახა თურმე, მაგრამ მას მეორე ტყვია თავში მოხვდა და წამსვე დალია სული. მასთან მივარდნილა ერთი ჯარისკაცი ჩხაიძე და ხელი დაუვლია მისთვის, მაგრამ იმ ჩხაიძესაც მოხვედრია რამდენიმე ტყვია და ისიც დაცემულა.

მე შემთხვევა მქონდა ის ჩხაიძე მენახა და ეს ამბავი, ნამდვილი ამბავი, სწორედ იმან გადმომცა. მე იმ დღეს ტყვედ ვიყავ. ჩხაიძეს უვლიდი. მას ფეხები ტყვიით ჰქონდა მომტვრეული, რომელიც ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ყარაქილისაში".[22]

სომხეთის რეგულარული ჯარის ოფიცრების მიერ მთელი რიგი საველე სწავლებებისა და სამხედრო წვრთნების გამართვა დაიგეგმა საზღვრისპირა

სომხურ მოსახლეობაში. სომეხთა მე–5 მსროლელი პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ტერ–ნიკოგოსოვის ინსტრუქცია:

„პრაპორშიკ ტერ–პეტროსიანს. მე–5 სომხების ქვეითი ლეგიონის უფროსის მწყობრი ნაწილი. 01. 11. 1918. სოფ. გერგერი.

გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ წადით სოფ. ვარიაბლუტში, დაიბარეთ კომისარი, გამოაცხადეთ ამასთან დართული ბრძანება, შეუდექით ადგილობრივ მაცხოვრებლებში ახალ ჯარისკაცთა მოგროვებას 20–დან 32 წლამდე. შადგინეთ „ოპოლჩენიის" ასეულები და ხვალვე გამომიგზავნეთ მოგროვილ ჯარისკაცთა სიები. მათ სწავლასა და გაწვრთნას შეუდექით ხვალინდელი დღიდანვე. სწავლა უნდა სწარმოებდეს 2 საათი. 0,5 საათი ტანვარჯიშობა, 0,5 საათი სიტყვიერი სწავლა, 1 საათი სასროლი და საველე წესდებები. დაგროვილი ჯარისკაცები დაყავით 4 გუნდათ, თითო გუნდს დაუნიშნეთ უნტერ ოფიცერი და ეფრეიტორი. კვირაში ორჯერ – ოთხშაბათობით და შაბათობით გამოცხადდით ჩემთან და მომახსენეთ საქმის ვითარება. მაგ სოფელში თქვენ იქნებით კომენდანტი.

პოლკოვნიკი ნიკოგოსოვი."[23]

როგორც ვხედავთ, სომხური მხარე ძალიან ინტენსიურად ემზადებოდა საომარი მოქმედებებისათვის როგორც მობილიზაციის, შეიარაღებისა და დივერსიული ჯგუფების მომზადების, (რაც ითვალისწინებდა ხიდების დანაღმვას, რკინიგზის ლიანდაგების აყრას, კაუშირგაბმულობის ბაზების დაზიანებას და ა.შ.) ასევე საომარ მოქმედებათა თეატრის საინჟინრო მომზადების მხრივ. ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული მხარე არა თუ ომის წინა პერიოდში და მისი მსვლელობის პირველ ეტაპზე, არამედ მოგვიანებითაც კი არ ფლობდა ამის შესახებ ინფორმაციას. არ ჯეროდა, თუ არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მას არა ხელისუფლებით უკმაყოფილო ცალკეული ჯგუფების შეიარაღებულ პანდიტურ თავდასხმებთან, არამედ სომხეთის რეგულარულ ჯართან და პირდაპირ, ღია საომარ მოქმედებებთან ჰქონდა საქმე:

„გარეშე საქმეთა მინისტრი, ევგენი გეგეჭკორი, თითქო იმუქრებოდა კიდეც: – სომხებს თუ ომი გამოუცხადეთ, სამსახურიდან გადავდგებით. ალბათ ყაჩაღები ესხმიან ჩვენს დარაჯებს, თორემ სომხეთი როგორ შემოგვკადრებს ჩვენს ჯარებს ამისთანა თავხედობასო. ჩვენი მტერი რომ იყოს, თავის თავს რაღას ერჩისო. მე ცნობები მაქვს, რომ სანაძინის მიდამოების მცხოვრებთ მშვიდობიანობა სწყურიათ, მკვრამ თავგასული ბრბოები აშფოთებენ ხალხსო. გარეშე საქმეთა მინისტრი თავის ამ მოსაზრებას საბუთითაც ამტკიცებდა. სხვათა შორის, წარმოადგინა ახლახან მიღებული განაჩენი, სოფლების ღიდი და პატარა დურნუკელთა დადგენილი:

„განაჩენი №10.

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მაწერნი, ღიდი დურნუკისა და პატარა დურნუკის მცხოვრებელნი, ვადგენთ ამას განაჩენს მას ზედა, რომ პირველი სოფლის მცხოვრებელნი ვემორჩილებით საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის მთავრობას და ყოველ მის მოთხოვნილებას ვასრულებთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ სოფლებში ხუთი თვის წინათ თბილისიდან მოდიოდნენ პროპაგანდისტები და მცხოვრებთ აღელვებდნენ. ერთი მათგანი იყო ტერტერ ოჰანესა ბადალიანცის სიძე, კაზარიანცი. ეს პროპაგანდისტები ყველანი დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრები იყვნენ. გარდა ამისა, თურმე ამაეე პროპაგანდისტებს მოუზიდნიათ სხვა და სხვა იარაღი და ყუმბარები. ყველა ამას ინახავდნენ ტერტერ ოჰანეს ბადალიანცის სახლში. ეხლა ვითხოვთ მთავრობის წინაშე გვიშუამდგომლოთ, რომ ასეთი ხალხისაგან დაგვიფაროთ.' ამაში მთავრობას ვაძლევთ, რაც იარაღი გვაქვს და ხუთ კაცს მძევლად. ამიტომ საკუთარ ხელს ვაწერთ.

განაჩენი ესე შემოწმებული იყო დურნუკის სასოფლო კომიტეტის ხელის მოწერით და ბეჭდით".[24]

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების მიერ ქართული მიწების პირველადი ოკუპაცია 1918 წლის 18 ოქტომბერს განხორციელდა, ხოლო სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები 1918 წლის 6 და 9 დეკემბერს გაიშალა, საქართველოს მთავრობა და სამხედრო მინისტრი მხოლოდ 16 დეკემბერს აღიარებს პირველად, რომ ეს იყო არა ცალკეული შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფების მოქმედებები, არამედ ომი, სომხეთ—საქართველოს ომი. საქართველოს სამხედრო მინისტრის გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერი, წარმოთქმული 16 დეკემბერს გამართულ საპარლამენტო სხდომაზე:

„...ვისთან გვაქვს საქმე? აი, გუშინ ჩვენ მივიღეთ ამის გამოსარკვევად ცნობები: გვაქვს უტყუარი საბუთები, წერილობითი საბუთები, რომელიც უნდა აღვნიშნო, ძალიან სამწუხაროა. გამოირკვა, რომ ჩვენი რაზმების წინააღმდეგ მოქმედებს შეიარაღებული ძალა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სომხების ჯარის აფიცრები: ფირუმოვი, ხაჩატუროვი, მირიმანოვი, ტოლმაზოვი და სხვა. ისინი ხელმძღვანელობენ არა ბანდებს, არამედ ნამდვილ რეგულარულ ჯარს. არსებობს შტაბები, რომელსაც ეს აფიცრები განაგებენ: მაგალითად, შტაბია შაგალიში და მას მირიმანოვი (სხვათა შორის, თბილისელი სომეხი, სულ მალე ქართველთა მიერ ტყვედ აყვანილი, შემდეგში კი ბოლშევიკთა ერთ—ერთი შენაერთის მეთაური — ა. ჩ.) ხელმძღვანელობს. არის აგრეთვე შტაბი კარაკლისში მატვეევის მეთაურობით;

ამ მოქმედ ძალებს აქვთ კავშირი ერთმანეთთან, შეერთებულნი არიან ერთმანეთთან ტელეფონით. არსებობს მთავარი ხაზიც, რომლითაც მთავარი მოქმედება სწარმოებს: კარაკლის — ყარაგელან — დილიჟანი. აი ხაზი, რომლითაც ესენი მოქმედებენ; აი, შტაბები, სადაც ისინი დაბანაკებულნი არიან და აწვდიან ერთმანეთს ტყვიებს, ზარბაზნებს, ტყვიის მფრქვეველებს. შტაბებს კავშირი აქვთ ერთმანეთში, მათ აქვთ ცნობები, სად რამდენი პატრონაა, სად რამდენი ჩექმაა, სად რამდენი ტანისამოსია. მოქმედებს რეგულარული ჯარი, რომლის ნომრები ჩვენ ვიცით. მათ ჰყავთ მზვერაევები...

საინტერესოა ცნობები, რომლებიც ხელთა გვაქვს: მოწინააღმდეგე ატყობინებს ერთმანეთს ერთი ადგილიდან მეორეში – გამოგზავნეთ ტყვეები, ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები, ჩვენ გამოგიგზავნით ვაგონებს. აღნიშნულია, რამდენ დახურულ ვაგონს გაუგზავნიან და რამდენს ღიას. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ერთი ადგილიდან ეკითხებიან კარაკლისს: „გამოცხადებულია თუ არა ომი? ჩვენ მზადა ვართ", „შესაძლებელია, რომ ჩვენ წავიდეთ ბატალიონებად", „ჩვენ გამოგიგზავნეთ 600 ოსმალური თოფი" და სხვა. ეს არის ცნობა, რომელიც წუხელი მიეიღეთ".[25]

ქართული მხარის მიერ ომისათვის სამზადისის საკითხის შესწავლა და მისი შემდგომი ანალიზის ჩატარება ძალიან მარტივია იმ უბრალი მიზეზის გამო, რომ მზადება ომისათვის, როგორც ასეთი, საერთოდ არავის არც აზრად მოსვლია და იგი არც მიმდინარეობდა. უამრავი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის შესწავლის სფუძველზე ცალსახად ვადასტურებთ გენერალ კვინიტაძის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით:

„რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ომისათვის მზადებას, ასეთი რამ საერთოდ არ ყოფილა, არც საგარეო პოლიტიკაში და არც სამხედრო თვალსაზრისით. სომხებმა ეს კარგად იცოდნენ და ომისათვის უკვე მზად იყვნენ, იმედი ჰქონდათ, რომ უეცრად მიიტაცებდნენ სასურველ რაიონებს".[26]

ზემოთ წარმოდგენილი უამრავი დოკუმეტური და ფაქტობრივი მასალის მიუხედავად, დაშნაკურ აგრესიასთან მიმართებაში, ღია საომარი მოქმედებების პირველ ეტაპზე, 1918 წლის 16 დეკემბრამდე „საქართველოს ლმობიერმა სოციალისტურმა უმაღლესმა კრებამ დიდი ხმის უპირატესობით დაადგინა: საქართველოს სამხრეთ საზღვარზე უბრალო ბრბოები გადმოსულა, ეგრეთ წოდებული ბანდები და ამათ წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა რესპუბლიკის დამცირება იქნებაო..."[27]

§2. საომარ მოქმედებათა თეატრის მოკლე სტრატეგიული მიმოხილვა.

ის ფაქტი, რომ ლორე–ბამბაკი ოდითგანვე წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს სამხრეთის სტრატეგიულ რეგიონს, უდავოა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმაც და შესაბამისად, ამ რაიონის შესაფერის დაცვა–გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. რელიეფისა

და ლანდშაფტის მხრივ, ბამბაკისა (ერევნის) და ბაზუმის (ჯავახეთის) ქედები წარმოადგენდნენ ჩვენს ქვეყანაში სამხრეთიდან მომავალი მტრისა თუ მოკეთისათვის არსებულ ბუნებრივ ბარიერს.

ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ სამხრეთიდან ხორციელდებოდა საქართველოში ათასწლეულების განმავლობაში ათასი ჯურის მტრის შემოსვლა. როდესაც ქართულ სახელმწიფოს მკვიდრად ეპყრა სამხრეთის ეს ბუნებრივი კარიბჭე, იგი ღირსეულად აღუდგებოდა წინ მტრის შემოსევებსაც, ხოლო როცა მისი სამხრეთის ზღუდეები მორღვეული იყო, მტერი ფაქტიურად დაუბრკოლებლად აღწევდა საქართველოს გულს. ამ ქედების ჩრდილოეთით, თავდაცვისა და ხანგრძლივი ბრძოლების საწარმოებლად სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ლანდშაფტური პირობები აღარ მოიძებნებოდა.

გაზეთ „საქართველოს" 1918 წლის 18 ოქტომბრის ნომერში ბამბაკი საქართველოს „სამხრეთის დარიალად" და „საქართველოს გასაღებადაა" მოხსენიებული:

„ბამბაკი და აბოცი ჩვენი სამხრეთის დარიალია. ამ რაიონში იხლართება სამხრეთიდან საქართველოში მომავალი გზები: 1. აღსტაფა–დილიჟანი, 2. ერივანი–ყარაქილისა–ჯელალოღლი, 3. გუმბრი–ვორონცოვკა. ვისაც ხელში აქვს ეს კვანძი გზებისა, საქართველოს ბედი და კარებიც მისია. ხიფათის დროს მას ეძლევა უპირატესობა თავისუფალი მანევრებისა და თავის ძალების სწრაფი გადაჯგუფებისა. თვითონ თითქმის მიუვალი, მკერდი უგზო მთების ფარით აქვს აფარებული, ხოლო მის მოპირდაპირედ გული გახსნილი აქვს და იგი შეიძლება ერთის დაკვრით იქნეს განგმირული.

როცა საქართველოს მაგრად ედგა ფეხი ყაზახ–ბამბაკზე, თავისი სამხრეთი ნახევარი და დედაქალაქიც მტკიცედ ჰქონდა შენახული, ხოლო როცა ეს კარები ღია რჩებოდა, საქართველოს ბედი სწყდებოდა კრწანისს, სამშვილდესა და ხრამის ნაპირებზე, ესე იგი თბილისის გვერდით. რად სდუმს ჩვენი მთავრობა, რომელსაც მთელი თავისი ენერგია ენაზე დაუგროვებია? ეს ესმის თუ არა მას, რომ ამ გასაღებს, რომელსაც სომხეთი ფარულად იდებს ჯიბეში, საქართველოსათვის საბედისწერო მნიშვნელობა აქვს? და თუ არ ესმის – რატომ არ დაეკითხება ჩვენს სამხედრო სამინისტროს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს ამ საქმეში უკანასკნელი სიტყვა?"[28]

ლორე–ბამბაკის მხარის უდავოდ ქართულ კუთვნილებასა და მის უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობაზე დიდი ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს წერდა:

„ის, რომ ძველ დროშიც ქართველებს კარგად ესმოდათ ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის უდიდესი როლი და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს დაცვის საქმეში იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ ამ მხარის უცხო დამპყრობელთაგან. გათავისუფლება დაისახეს ამოცანად, და მხოლოდ იმის შემდეგ რაც თბილისის სამხრეთით მდებარე მიწები დაიბრუნეს, დაიწყეს საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლები-

სათვის ბრძოლა. თბილისის აღების შემდეგაც საქართველოს ეს ნაწილი მით უმეტეს არ კარგავდა თავის დიდ მნიშვნელობას. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ლორეს ციხე–სიმაგრე საქართველოს ჯარების მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის „დაჯდომის ადგილს", ანუ, რეზიდენციას წარმოადგენდა".[29]

ეხება რა საქართველოს სამხრეთის საზღვრების საკითხს, იგივე ივანე ჯავახიშვილი იმავე ნაშრომში აღნიშნავს: „ერეკლეს მეფობის დროს, თუნდაც 1783 წელს, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, სამხრეთი საზღვარი და მთელი ქვემო ქართლი, ე.ი. სომხითი – ლორე – ბამბაკი – ბორჩალუ საქართველოს უცილო კუთვნილებას წარმოადგენდა და საზღვარიც უფრო სამხრეთით გადიოდა და გამყოფ ხაზს ერივანის (ბამბაკის) მთები წარმოადგენდა."[30]

უცილო ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ ბამბაკის, ანუ, ერივანის ქედი წარმოადგენდა სწორედ XVIII საუკუნის ბოლოსაც, ერეკლეს მეფობის დროს, ქართლ–კახეთის სამეფოს სამხრეთის სახელმწიფო საზღვარს.

მაგრამ სომეხი ვაი–მეცნიერები და ავტორები არად დაგიდევენ ისტორიულ რეალიებს და ტერიტორიული კუთვნილების საკითხებზე მსჯელობისას ტრადიციულად, მეტად ორიგინალური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. ამ მიმართებაში მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია სომეხი ავტორის, ა. შახატუნიანის მიერ ჯერ კიდევ საუკუნის წინ, თავის ნაშრომში „Административный передъль Закавказского края" გაჟღერებული „მეცნიერული დასკვნა", რომ თურმე „ახალქალაქისა და ლორის საქართველოდ აღიარება ტფილისის გუბერნიის ქართულ ფიზიონომიას არღვევს".[31] ვერაფერს ვერ ვიტყვით, ერთობ ორიგინალური მოსაზრებაა.

საქართველოს ლორე–ბამბაკისა და ახალქალაქის რეგიონების ტერიტო–რიები გადაიქცა სწორედ სომხეთ–საქართველოს ომის საომარ მოქმედებათა თეატრებად, სადაც 1918 წლის ბოლოსათვის სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები გაიშალა.

სომხეთ–საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრის სტრატეგიულ აღწერაში გეოგრაფიული და სხვა ობიექტების დახასიათებისას ჩვენს მიერ რიცხვითი მონაცემები და სხვა რაოდენობრივი პარამეტრები საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის კარტოგრაფიული სამსახურის მიერ 1978 წელს შედგენილი რეგიონის ოპერატიული რუკების მონაცემებზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი, რომელიც თავის მხრივ 50–იანი წლების დასაწყისის აეროფოტოგადაღებებსა და გეოდეზიურ აზომვებზეა დაფუძნებული. ცხადია, 30–35 წლის შემდეგ, რეგიონის რელიეფური, ბუნებრივი და კლიმატური პირობები ფაქტიურად უცვლელად შეგვიძლია მიეიღოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ქვემოთ მოტანილი თვისობრივი და რიცხვითი მონაცემებიც უზუსტეს ინფორმაციას წარმოადგენს.

საომარ მოქმედებათა თეატრის გეოგრაფიული შესწავლისა და სტრატეგიული მიმოხილვის პროცესს გარკვეულწილად ართულებდა ის

ფაქტი, რომ ჩვენთვის საინტერესო არეალში სოფლებმა, ქალაქებმა სხვადასხვა დასახლებულმა პუნქტებმა, მდინარეების, მთებისა და ქედების აგრეთვე სხვა გეოგრაფიული ობიექტების დასახელებებმა მხოლოდ XX საუკუნის განმავლობაში, რამდენჯერმე შეიცვალეს სახელი. გარკვეულწილად ასეთი მოვლენები ახსნადია, რადგან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და თანაფარდობების თითქმის პერმანენტულმა ცვლილებებმა მთელი XX საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი დაღი დაასვა რეგიონის ტოპონომიკას. მრავალ დასახლებულ პუნქტს დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი, ზოგს პირიქით, ეთნიკური და პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გადაერქვა, ზოგიერთი მათგანს სხვა პუნქტის სახელი ჩაენაცვლა და ა. შ.

ამ მხრივ მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია საქართველოს ქვემო ქართლის ლორე–ბამბაკის რეგიონის, ანუ, ყოფილი ბორჩალოს მაზრის ის ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ პუნქტთა დასახელებების ცვლილების ტენდენცია, რომლებიც ამჯამად დღევანდელ სომხურ სახელმწიფოშია ჩართული. მთავარი ტენდენცია კი ისაა, რომ სომხებმა მაქსიმალურად შეცვალეს ყველა ამ პუნქტის თურქულენოვანი დასახელება, ხოლო ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ნაწილობრივ, სომხეთის რესპუბლიკის კომუნისტურ წარსულთან დაკავშირებული ტოპონიმიკაც.

პირველი მიზეზი სომხურ–აზერბაიჯანული და სომხურ–თურქული ურთიერთობების ზოგადი კონიუნქტურიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ახსნადია. მაგალითად: ქალაქი ყარაქილისა (საბჭოთა კიროვაკანი, დღეს უკვე ვანაძორი). გარდა ამისა, სოფლები: ყარაქილისა (ლერნოვიტი), ყაჩაღანი (არევაწაღი), ალექსანდროვკა (ურუთი), ამრაკიცი (კიროვი), აგრწინი (კუიბიშევი), შაღალი (ვანაძორი), ქოლაგერანი (ძორაგეთი), უზუნლარი (ოძუნი), ლამბალო (ბაგრატაშენი) და ა.შ. და ა.შ. ზოგიერთი მათგანისათვის, სახელი არ შეუცვლიათ და მათ ისტორიული სახელები აღუდგათ. მაგალითად: ტაშირი, (ყოფილი ტაშირი, შემდეგ ვორონცოვკა, საბჭოთა პერიოდის კალინინო). მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც, სხვადასხვა დასახლებული პუნქტების ორიგინალურ დასახელებებს ელერადობა შეცვლილი აქვთ და გადასომხურებულია. მაგალითად: აგარაკი – აკარაკი, ბამბაკი – პამბაკი, გუჯაბი – ხუჭაპი, ძეხი (დისიხი) – ძაგიძორი და სხვა. როგორც ვხედავთ, ზოგადი ტენდენციები შესამჩნევია. მაგრამ გაუგებარია სომეხი ერის წინაშე რა განსაკუთრებული დამსახურებების გამო დარჩა შეუცვლელი სოფელ ჰაიდარბეკს დასახელება და მას დღესაც სვერდლოვი ეწოდება. ისტორიული ქართული ქალაქის – ლორეს დღევანდელ დასახელება – სტეფანავანთან მიმართებაში კი ყველაფერი გასაგებია. იგი ხომ სომეხი ერის საამაყო შვილისა და „დიდი რევოლუციონერის", „ლენინის კავკასიის ნამესტნიკის", სტეფანე შაუმიანის სახელთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს საზღვრებში მოქცეულ ობიექტებს. ტოპონიმიკაში აქაც მნიშვნელოვანი ცვლილებებია. საქართველოს

ამ რეგიონში, ტოპონიმიკასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია შულავერის დასახლებასთან დაკავშირებული ცვლილებები. კერძოდ, XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქალაქი შულავერი კომუნისტური ეპოქის ქალაქი შაუმიანია(?!) — დღევანდელი ნაღვარევი, ხოლო პატარა შულავერი — დღევანდელი სოფელი შულავერია. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიის სხვა დასახლებულ პუნქტებს, ძირითადში ყველა მათგანს აღდგენილი აქვთ ძველი ისტორიული დასახელება: დმანისი, ბოლნისი, მარნეული, თეთრიწყარო, და ა.შ.

ჩვენი კვლევისას, თხრობის მეტი სიცხადისა და დინამიურობისათვის, უმჯობესად ჩავთვალეთ, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ესა თუ ის დასახლებული პუნქტი და სხვა გეოგრაფიული ობიექტი მოვიხსენიოთ იმ დასახელებით, როგორითაც დაფიქსირებულია იგი ისტორიულ დოკუმენტებსა და საარქივო მასალებში XX საუკუნის დასაწყისისათვის, იქვე მოვიტანოთ მისი დღევანდელი დასახელება და ასე მოვახდინოთ მათი იდენტიფიცირება.

გეოგრაფიულად, 1918–1919 წლების სომხეთსა და საქართველოს შორის წარმოებულ საომარ მოქმედებათა თეატრი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს და იგი ყოფილი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის მნიშვნელოვან ნაწილსა და ახალქალაქის მაზრის სამხრეთ ნაწილზეა განფენილი. საომარ მოქმედებათა ეს არეალი დღევანდელი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოთა ტერიტორიებზეა განთავსებული.

საერთო ჯამში, სომხეთ–საქართველოს 1918 წლის საომარ მოქმედებათა თეატრის საზღვრები შემდეგი წირებით შეიძლება შემოისაზღვროს. ჩრდილოეთიდან: ახალქალაქი — აღბულახი (ბელიკლიუჩი, თეთრიწყარო), — ეკატერინენფელდი (ქალაქი ბოლნისი) — რკინიგზის სადგური სანდარი (მარნეული, ბორჩალო). აღმოსავლეთიდან: სადგური სანდარი — სადახლო — სანაინი — ქორინჯი. სამხრეთიდან და სამხრეთ–დასავლეთიდან: ქორინჯი — მდ. კამენკა (მდ. ძორაგეთი) — ტროიცკოე — ახალქალაქი.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის მასშტაბებით, სომხეთ–საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრის ტერიტორია უზარმაზარია და იგი 7000 კვადრატულ კილომეტრს აღწევს. ეს რაიონი საქართველოს სამხრეთის საზღვრების გასწვრივ არის განლაგებული და ძირითადში მთიან რეგიონს წარმოადგენს, სადაც უხვადაა ქედები და მთის მასივები. ეს ქედები სხვადასხვა მიმართულებით მიემართებიან და ქმნიან ზოგან მაღალ პლატოებს, ზოგან კი შედარებით დაბალ ზეგნებს. ქედების ფერდობები მკვეთრად დახრამული და დანაწევრებულია, ზოგან კანიონისებური.

ამ ქედებს შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანია ე.წ. „სველი მთები" (ჯავახეთის, ბეზობდალის ან ბაზუმის ქედი), რომელიც საომარ მოქმედებათა თეატრს ორ, ერთმანეთისაგან პრაქტიკულად დამოუკიდებელ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის საბრძოლო მოქმედებების რაიონებად ყოფს. ჯავახეთის ქედი ახალქალაქის, წალკისა და გორის მაზრების საზღვრიდან იწყება, ტეხილად მიემართება სამხრეთ–აღმოსავლეთისაკენ და მთავრდება

ყარაქილისასთან, სადაც იგი აქ ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავს მდინარე ბამბაკის ხეობას. ჯავახეთის ქედის საერთო სიგრძე 120 კილომეტრია და მისი უმაღლესი წერტილი დალი–დაღის მთაა, სიმაღლით 2900 მეტრი. სწორედ ეს მწვერვალი ყოფს ჯავახეთის ქედს ორ – ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად. ამ ქედების საშუალო სიმაღლე 1500 მეტრამდეა, თუმცა ცალკეულ უბნებში 2500 მეტრს აღწევს.

საომარ მოქმედებათა დასავლეთის რაიონი მოიცავს ახალქალაქის, წალკისა და გომარეთის მთიან პლატოს, რომელიც თავის მხრივ დაქსელილია ჯავახეთის ქედის განშტოებებითა და ტბების დიდი რაოდენობით. აღმოსავლეთის რაიონი – ჯავახეთის ქედის შუა ნაწილში – ლორე–ტაშირის დაბლობს, ანუ, ისტორიულ ,,ქართველთა ველს'', რომელიც ამავე დროს, მდინარე კამენკას (ძორაგეთი) გაშლილ ხეობას წარმოადგენს, ლოქის ქედს, მდინარეების დებედას (ბერდუჯი), მაშაველასა და ხრამის (ქცია) ხეობებს. აღნიშნული პლატოები შევსებულია ჯავახეთის ქედების განშტოებებით. კერძოდ, ლორეს დაბლობი შემოსაზღვრულია სამხრეთიდან ბამბაკისა და ბაზუმის ქედებით, ხოლო ჩრდილოეთიდან – სომხითის (ლოქის) ქედით, რომელიც ამავე დროს მდინარეების კამენკასა და მაშაველას წყალგამყოფს წარმოადგენს. იგი დმანისიდან სადახლომდე, უფრო ზუსტად კი ტაბაწყურის ტბიდან ქალაქ დილიჟანამდეა გადაჭიმული და მაქსიმალურ სიგანეს მე–60 მერიდიანის გასწვრივ აღწევს.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ ჯავახეთის ქედი ალექსანდროპოლისიდან და ახალქალაქიდან აღმოსავლეთისაკენ, თბილისამდე მომავალი უმოკლესი გზების ბუნებრივ ბარიერსაც წარმოადგენს. ჯავახეთის ქედი თავისი საშუალო სიმაღლითა და რელიეფის სირთულით, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში, პრაქტიკულად გაუვალია ჯარების დიდი მასების, კავალერიისა და არტილერიის გადაადგილებისათვის, ამიტომ, ოპერატიული და ტაქტიკური თვალსაზრისით, სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები, დასავლეთის (ახალქალაქის) და აღმოსავლეთის (ბორჩალოს) საომარ მოქმედებათა თეატრებზე, პრაქტიკულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა.

1918 წლის მდგომარეობით, საომარ მოქმედებათა რაიონები მაგისტრალური გზებით ცუდად იყო უზრუნველყოფილი. ისინი ძირითადში მდინარეთა ხეობებს მიუყვებოდნენ. ესენია: რკინიგზის ხაზი თბილისი – ალექსანდროპოლისი (გუმბრი, შემდეგ ლენინაკანი, დღეს გიუმრი). რკინიგზა ერთლიანდაგიანია და მიუყვება მდინარეების – დებედასა და ბამბაკის ხეობებს. აირუმიდან დაწყებული ხეობა საკმაოდ ღრმაა, მაგალითად, ახტალა–სანაინის უბანზე მისი სიღრმე 10–15 მეტრს აღწევს. რკინიგზის ლიანდაგი საკმაოდ მკვეთრ მოსახვევებსა (სიმრუდე – 250 მ და ნაკლები) და ჰორიზონტალური დახრილობის უბნებს შეიცავს (ქანობი – 15%–მდე). ამ ფაქტორების გამო, მატარებლის დიდი სიჩქარით მოძრაობა შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ რელიეფისა და რკინიგზის ხაზის მახასიათებელი სწორედ

ეს ფაქტორები გახდა ქართული ჯარის ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიზეზად სანაინი–აირუმის უბანზე საბრძოლო მოქმედებებისას, დეკემბრის თვეში. ამავე დროს, აირუმი–უზუნლარის რკინიგზის მონაკვეთზე 20–მდე დიდ–პატარა ხიდი და რამდენიმე გვირაბია, რომელთა მწყობრიდან გამოყვანაც დიდი ხნით იწვევს რეგიონის სრულ სარკინიგზო იზოლაციას, რაც რეალურად განხორციელდა კიდეც სომეხთა მიერ დეკემბრის თვეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს.

საავტომობილო გზებით რეგიონი 1918 წლისათვის მეტ–ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო და ისინი ძირითადში დღევანდელ მდგომარეობას შეესაბამება. ეს საავტომობილო გზები იყო: 1) თბილისი – შულავერი. 2) თბილისი – ვორონცოვკა – ალექსანდროპოლისი (ვორონცოვკა – დარბაზის განშტოებით). 3) თბილისი – კოდა – ბელიკლიუჩი. 4) თბილისი – მანგლისი. 5) ალექსანდროპოლისი – ახალქალაქი. 6) ახალქალაქი – ახალციხე. 7) ახალქალაქი – ბაკურიანი – ბორჯომი. 8) ახალქალაქი – არდაგანი (არტაანი). თუმცა ნათელია, რომ 1918 წლის მდგომარეობით, რეგიონის საავტომობილი გზების ქსელი ნამდვილად არ წარმოადგენდა შეტყობინების სტრატეგიულ ინფრასტრუქტურას და ჯარებისა და არტილერიის ოპერატიული გადაადგილებისათვის ისინი ნაკლებად მოხერხებული იყო.

საომარი მოქმედებების შემთხვევაში, მოსახერხებელი მიმოსვლის გზების უქონლობა, ჯარების სწრაფი მანევრირების შესაძლებლობას ართულებდა, როგორც წმინდათ საბრძოლო მოქმედებებისათვის, ასევე მათი ზურგის უზრუნველყოფის მხრივაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალზე გართულებული იყო ჯარების სწრაფი გადაადგილება, რაც ამავე დროს ბრძოლისათვის მოუმზადებელ მხარეს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა და შესაძლებელს ხდიდა ჯარების დროულ ტაქტიკურ მანევრსა და შესაბამისი ძალების საბრძოლო გაშლას.

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო საშუალებებითა და ხაზებით რეგიონი ცუდად იყო უზრუნველყოფილი და სატელეგრაფო შეტყობინება ლორეს უბანზე მხოლოდ ძირითად სარკინიგზო სადგურებზე – ალავერდსა და სანაინში, აგრეთვე ვორონცოვკაში იყო. ეკატერინენფელდის უბანზე – თვითონ ეკატერინენფელდში, ხოლო ახალქალაქის უბანზე – თვითონ ახალქალაქში. დეკემბრის თვის პირველივე რიცხვებიდან, ვორონცოვკის უბანზე, სომეხთა მხრიდან დივერსიული აქტების განხორციელების გამო, სატელეგრაფო შეტყობინება ფაქტობრივად შეწყდა. ამ ფაქტმა ერთობ რთულ ვითარებაში ჩააგდო ვორონცოვკაში დისლოცირებულ ქართული საჯარისო და სასაზღვრო ქვედანაყოფები და მისი შტაბი. ვორონცოვკაში დისლოცირებული ქართული სასაზღვრო გარნიზონის სარდლობა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზეც კი (9–13 დეკემბერი) არ იყო სრულად ინფორმირებული არსებულ სიტუაციაზე. ამ ეტაპზე, სანაინთან ოპერატიული

კავშირგაბმულობის ერთადერთ საშუალებას საფელდეგერო სამსახური წარმოადგენდა.

ტყეებითა და მწვანე საფარით ლორეს დაბლობი ძალზედ ღარიბია და იგი მხოლოდ ბაზუმის ქედის სამხრეთის დაბოლოების ჩრდილო კალთაზეა მცირე რაოდენობით. იგივე ითქმის ახალქალაქის რაიონზე. ტყის საფარით მდიდარია ლოქის ქედი და განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი კალთები. აქ ძირითადში ფართოფოთლოვან ტყეთა მასივებია, რომლებიც მთათა ფერდობებზე 1800–1900 მეტრ სიმაღლემდეა გავრცელებული. ხეების საშუალო სიმაღლე 15–20 მეტრია. ასე რომ, ლოქის ქედის ტყეები ჯარების დისლოკაციის ადგილისა და მათი მარშით გადაადგილების შესანიღბავად ხელსაყრელ ბუნებრივ ფაქტორს წარმოადგენდა. სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ომის ერთ–ერთ ეპიზოდში, როცა სომეხთა მე–5 მსროლელმა პოლკმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა შეუმჩნეველად შეძლეს ეკატერინენფელდში დისლოცირებული სახალხო გვარდიის შენაერთზე მოულოდნელი და უძლიერესი იერიშის მიტანა 1918 წლის 19 დეკემბრის გამთენიისას.

მდინარეებით რეგიონი მეტ–ნაკლებად მდიდარია და მთავარ მდინარეებს წარმოადგენს: დებედა (ბერდუჯი), ხრამი, მაშავერა, კამენკა–ძორაგეთი. ფორსირებისათვის (კავალერიისა და არტილერიის ჩათვლით) მდინარეები ხელსაყრელია, განსაკუთრებით ზამთრის მცირეწყლიანობის დროს – ხრამისა და დებედას ქვემო წელის გამოკლებით. მდინარე დებედას სიგანე 15–80 მეტრია, სიღრმე 0,5–2,0 მეტრი, ფსკერი ქვიანი და მყარია. კალაპოტი მიხვეულ–მოხვეულია და მისი ხეობა, განსაკუთრებით სანაინი–ალავერდი–აირუმის უბანზე, კანიონისებური. ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბრძოლო მოქმედებების ერთ–ერთ ეპიზოდში, ხოლო მდინარე დებედას ქვემო წელის გაუვალობამ დეკემბრის ბოლოსათვის ერთობ შეაფერხა ერთ–ერთი ქართული საჯარისო კოლონის შეტევითი ოპერაციის დროული განვითარება ლამბალო–სადახლოს მიმართულებაზე, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საომარ მოქმედებათა შემდგომ მსვლელობაზე.

ჰავა ზომიერად კონტინენტალურია, ზომიერად თბილი ზაფხულითა და მკაცრი, უხვთოვლიანი ზამთრით. ზამთარი ფაქტიურად ნოემბერში იწყება და მარტამდე გრძელდება. ტემპერატურების აბსოლუტური წლიური ამპლიტუდა მთაში $+16^0$–დან -25^0–დეა, თოვლის საფარის სიმაღლე დაბლობში 30 სმ–ს, ხოლო მთებში 3–4 მეტრსაც აღწევს. რაიონში ხშირია ქარები, საშუალო სიჩქარით 4,5 მ/წმ, ზამთრობით კი გრიგალის ტიპის. გასაგები მიზეზების გამო ჩვენ რეგიონის ზამთრის კლიმატურ პირობების აღწერაზე უფრო ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან სომხეთ–საქართველოს ომის მთავარი საბრძოლო მოქმედებების გაშლას წელიწადის სწორედ ამ დროს ჰქონდა ადგილი.

ერთობ საინტერესოა და მნიშვნელოვანი სომარ მოქმედებათა თეატრის მოსახლეობის იმ ეთნიკური შემადგენლობის სურათის დადგენა, რომელიც დაფიქსირებული იყო 1918 წლის მდგომარეობით. ამ საკითხთან მიმართებაში, აქვე ცალსახად აღვნიშნავთ, რომ ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონის ლორეს საბრძოლო მოქმედებათა რაიონი მთლიანობაში 1918 წლისათვის უკვე პრაქტიკულად სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული და ეს მდგომარეობა შეადგენდა სწორედ სომეხ დაშნაკთა აგრესიული იდეოლოგიის მძლავრი მხარდაჭერის ფაქტორსა და ანტიქართული პროვოკაციების განხორციელების უტყუარ იარაღს. მცირე იყო რუსი სექტანტების, აზერბაიჯანელებისა (თათრების) და სხვა ხალხების რიცხვი.

სომარ მოქმედებათა თეატრის ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების საბრძოლო მოქმედებათა რაიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და მათი პირობითი თანაფარდობის დადგენისათვის სომხეთ—საქართველოს ომის ისტორიის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ შექმნილ საარქივო მასალებს მოვიყვანთ. ამ დოკუმენტს შავი ფანქრით შესრულებული ხელნაწერის სახე აქვს და ჩვენის აზრით, იგი თავად გენერალ—მაიორ გიორგი კვინიტაძეს უნდა ეკუთვნოდეს

„მოსახლეობა მთების ძირსა და ზეგნებზე ცხოვრობს. „სველი მთების" დასავლეთის ზოლი (ახალქალაქის მაზრა) ძირითადში დასახლებულია სომხებით, რუსებით, დუხობორებითა და ნაწილობრივ თათრებით. ლორეს სტეპის მოსახლეობას ძირითადში შეადგენენ დუხობორები და მალაკნები, აგრეთვე მართლმადიდებლები, შემდეგ სომხები და თათრები. ამამლი— გერგერის ხაზის აღმოსავლეთით მოსახლეობა უფრო მჭიდროა, ვიდრე დასავლეთით. იგი შედგება სომხებისაგან, რუსებისაგან, რომლებიც დასახლებულნი არიან სოფლებში ნოვოპოკროვკა, კამენკა, ნიკოლაევკა, გერგერი. არის აგრეთვე თათრული მოსახლეობა.

ახალქალაქის მოსახლეობა: სომხები — ძირითადში თურქეთიდან გადმოსახლებულები, რომელთაც საუკეთესო საძოვრები უკავიათ, აბორიგენი— ქართველები, რუსები და თათრები. ქართველებით დასახლებულია მდინარე ფარავანის მარჯვენა სანაპირო, ახალქალაქის სამხრეთით. ძირითადი მოსახლეობა სომხებია. წალკის მოსახლეობაში არიან ბერძნები, სომხები, ქართველები, ციგნები და თათრები. სჭარბობს ბერძნული მოსახლეობა. გომარეთი დასახლებულია ბერძნებითა და ქართველებით. მაშაერა — თათრები და რუსი დუხობორები. ლორეს დაბლობზე ძირითადი მოსახლეობაა რუსები, გრეგორიანელი სომხები, კათოლიკე სომხები, თათრები, ბერძნები. ბორჩალოს მაზრის მოსახლეობაა თათრები, სომხები, ბერძნები, რუსები, ქართველები, გერმანელები და ციგნები.

„ბევრია თუ არა მათ შორის მკვიდრი მოსახლეობა, ძნელი სათქმელია დამადასტურებელი დოკუმენტების უქონლობის გამო, მაგრამ ამ სომხების უმეტესობა მოსული ელემენტია ყოფილ საქართველოს სამეფოში. პირველად ისინი აქ აღმოჩნდნენ სამხედრო ტყვეების სახით წამოსხმულნი თათრების,

არაბების, სპარსელების, ქართველებისა და სხვა დამპყრობლების მიერ. XVII საუკუნის ბოლოს ყარაბაღის შავი ჭირის დროს, ნაწილი სომხებისა გადმოსახლდა ახლანდელ ტფილისთან (ლისი, ბოლნისი, კოდა, კუმისი, წავკისი). მათი ნაწილი აქ მოვიდა სპარსეთიდან 1829 წლის თურქმენჩაის ზავის დადების შემდეგ. 1878 წლის ადრიანოპოლისის ზავის დადების შემდეგ კი არზრუმიდან რუსებს გამოჰყვა 90000 სომეხი, რომელთაგან 30000 დღევანდელი ახალქალაქის მაზრაში დასახლდა. არც თუ ისე მცირე რაოდენობა სომხებისა მოვიდა ტფილისის გუბერნიაში უკვე სულ უკანასკნელ ხანს, 1897–1898 წლების სომეხთა დარბევის დროს." (აქ საუბარია სულთან აბდულ–ჰამიდის საპასუხო რეპრესიებზე სომეხთა მიმართ, რაც ზემოთ უკვე განხილული გვქონდა — ა. ჩ.)[32]

ამონარიდი სრულად მოვიტანეთ. იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებათა რაიონებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ XX საუკუნის პირველი ათწლეულისათვის. აშკარაა, რომ ეთნიკური ჯგუფების რაოდენობრივი თანაფარდობის შეფასებისათვის ეს ჯგუფები რიგითობის მიხედვითაა ჩამოთვლილი.

მოტანილი საარქივო მასალის უკანასკნელი აბზაცი ჩვენთვის უკვე ცნობილი სამხედრო პირის, გენერალ ვლადიმერ ლიახოვის მიერ შედგენილი ამიერკავკასიის სტრატეგიული მიმოხილვის სამხედრო–სტატისტიკური ანგარიშიდანაა წარმოდგენილი. როგორც ვხედავთ, რუსული სამხედრო წყაროების მონაცემებიც სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე გადმოსახლებების შესახებ, ფაქტობრივად სრულად იმეორებს ჩვენს მიერ შესაბამის თავში წარმოდგენილი მასალების მონაცემებს.

ვერ დავეთანხმებით გენერალ ლიახოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საქართველოში „ქართველი დამპყრობლების" მიერ იქნა შემოყვანილი ტყვეების სახით. მეტად ორიგინალური და საინტერესო მოსაზრებაა. გაუგებარი და ალოგიკურია აგრეთვე უცხოელი დამპყრობლების მიერაც სომხების საქართველოში ტყვეების სახით შემოყვანის არსი და მიზეზები. მსგავსი ფაქტები ან თუნდაც მიახლოებული დასკვნები, სხვა ავტორთა მონაცემებითა და ისტორიული წერილობითი, ზეპირსიტყვიერი ან ნებისმიერი სხვა წყაროებით, თვით სომხურითაც კი, არ დასტურდება.

ქართველებს სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორიები არასდროს არ დაუპყრიათ. ისინი მხოლოდ იგივე სომეხი ხალხის თხოვნითა და ნებით და მათთან კავშირში ლაშქრავდნენ სომხურ ტერიტორიებს (ხაზს ვუსვამთ – სომხურ, ე.ი. სომხებით დასახლებულ და არა სომხეთის კუთვნილ ტერიტორიებს) ირანელი, ბიზანტიელი, არაბი, თურქი, მონღოლი თუ სპარსელი დამპყრობლებისაგან ამ ტერიტორიების გასათავისუფლებლად და სომეხი ერის, როგორც ეთნოსის ფიზიკური გადარჩენისათვის.

რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდების განმავლობაში ისტორიული სომხეთის ტერიტორიები საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშიც იყო ჩართული, ან საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, მაგრამ აქ სრულად იყო დაცული და უზრუნველყოფილი სომეხი ხალხის სრული სოციალურ–კულტურული უფლებები.

გენერალ ლიახოვის გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით კი შენიშვნის სახით დავამატებთ – როგორც ჩანს ,,სომეხთა ტყვეებად წამოსხმა'' იმ შემთხვევებს უკავშირდება, როცა ქართველ მეფეებს ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე, ხანდახან იძულებით გადაჰყავდათ სომხური მოსახლეობა საქართველოში გაპარტახებული მხარეების დასახლებისა და შემდგომი ათვისებისათვის. ასეთი მიგრაციული პროცესები, როგორც წესი, სწორედ ქვემო ქართლის ტერიტორიებზე ხორციელდებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ,,1779 წელს, ერევანზე ლაშქრობისას, ერეკლე II–მ რვა სოფლის მოსახლეობა აჰყარა და საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ჩაასახლა. ლეოს (არაქელ ბაბახანიანის) აზრით, ერეკლეს ეს ჩასახლება სწორედ ეკონომიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი''.[33] უდავოდ, სომეხთა სწორედ ამ მიგრაციულ პროცესებს გულისხმობს რუსი ავტორი მოყვანილ აბზაცში. ნაკლებად ალბათურია, რომ გენერალი ლიახოვი საქართველოს ისტორიის ერეკლე II–ის მეფობისწინა ხანას გულისხმობდეს. რუსი გენერლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების ქრონოლოგიაშიც სწორედ ეს პერიოდი უდება ორგანულად.

§3. დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიული გეგმები.

სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობის ქართველთათვის კრიტიკულ მომენტში, კერძოდ, 1918 წლის 19 დეკემბრის გაზეთ ,,საქართველოს'' 243–ე ნომერში საქართველოს ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ბატონ პირიდონ კედიას წერილი გამოქვეყნდა, სადაც იგი სომხეთ–საქართველოს მიმდინარე ომს აძლევდა შეფასებას და მისი შედეგების გარკვეულ პროგნოზსაც აკეთებდა. ამონარიდი საგაზეთო პუბლიკაციიდან:

,,ეს პირველი ომია ქართველისა და სომხისა. მხოლოდ ღალატს და უთაურობას შეუძლია შეცვალოს ისტორიის განაჩენი. გამარჯვება უნდა

ეკუთვნოდეს მამაც და სამართლიანობის მატარებელ ხალხს, ორიენ ეს თვისება აქვს საქართველოს. უმადურობა და მუხანათობა უნდა დაისაჯოს – და თუ არასდროს არ ყოფილა გამარჯვებული სომხეთის ხმალი, მოღალატე დაშნაკელების ხელში მაინც ვერასდროს ვერ გაიმარჯვებს. ქართველს ხალხს ეს ომი დაუკარგავს ილუზიების რწმენას სომხების კეთილმეზობლობაზე და მეტ ენერგიას მისცემს სახელმწიფო შემოქმედებას. აგრეთვე, ერთხელ და სამუდამოდ შემოიხაზება მისი სახელმწიფო საზღვრები, რომ შემდეგისათვის აღგილი არ ჰქონდეს შხამიან ირინდენტიზმს".[34] მართალი აღმოჩნდა ბატონი სპირიდონი. *დიახ, მხოლოდ ღალატსა და უთაურობას შეეძლო შეეცვალა ისტორიის განაჩენი, რაც სამწუხაროდ, ასეც მოხდა.*

საქართველოს მენშევიკური მთავრობა არ აღმოჩნდა ის ეროვნული ძალა, რომელიც საქართველოსა და ქართველ ხალხს გაამარჯვებინებდა, რომლის იდეოლოგიის მთავარი ამოსავალი წერტილიც ეროვნული იდეა იქნებოდა და არა ინფანტილური დემოკრატიისა და უდღეური ინტერნაციონალიზმის გრძნობა. საქართველოსა და სომხეთის მარადიული კეთილმეზობლობისა და მათ შორის ომების არარსებობის დეკლარირების საკითხში კი, სამწუხაროდ, ცდებოდა ბატონი სპირიდონი. ქართველ–სომეხთა ურთიერთობების შეფასებაში, ბევრი ცდებოდა წარსულშიც და სამწუხაროდ ბევრი ცდება ახლაც.

ისტორიული რეალობა და სიმართლე კი ისაა, რომ როგორც კი სომხები სახელმწიფოებრივი და შესაბამისად სამხედრო ძლიერების გარკვეულ დონეს მიაღწევდნენ, უმალ იწყებდნენ შეიარაღებულ აგრესიას მეზობლების, მათ შორის ქართველების წინააღმდეგ. ხოლო სხვადასხვა სახელმწიფოების სომხური დიასპორები, ნებისმიერი ხელსაყრელი პირობების დადგომის შემთხვევაში, უმალ გადაიქცეოდნენ „მეხუთე კოლონებად" და ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობას უთხრიდნენ ძირს. ასე იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ტიგრან II–ის მეფობის დროს, როცა სომხეთმა საქართველოს სწორედ ისტორიული ქვემო ქართლის ნაწილი, ლორე–ტაშირი („ქართველთა ველი") ჩამოაჭრა. ასე იყო აშოტ I–ის მეფობის დროსაც, როცა სომხებმა განმეორებით დაიპყრეს იგივე მხარე და დამატებით საქართველოს ტაო–კლარჯეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიებიც მიისაკუთრეს.

სომხებს ასეთი სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდი სულ ორჯერ ჰქონდათ და ორივეჯერ გამოილაშქრეს ქართველთა წინააღმდეგ. ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს ისტორიული ფაქტები ცნობილი არ ყოფილიყო ბატონი სპირიდონისათვის. რა მოკლე ისტორიული მეხსიერება გვქონია ქართველებს სხვისგან მოყენებული ტკივილების დავიწყებაში. უდავოა, ეს ქართული, ყოვლად გაუმართლებელი და მეტად საზიანო ტოლერანტული განწყობების ბრალია უცხო ტომთა მიმართ.

სწორედ ზემოთ თქმულის დასტურია ისიც, რომ არა თუ ასწლეულების წინ, არამედ სულ რაღაც ცხრა ათეული წლის წინათ, სომხეთ–საქართველოს

შორის წარმოებული ომის რეალური ისტორია დღევანდელი საქართველოს სინამდვილეშიც ძალიან ცოტამ თუ იცის და ახსოვს. უკვე ძალიან ცოტას თუ ტკივა ის ტკივილი, რასაც ამ ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნა და ძირძველი ქართული მიწების ყივილი ჰქვია. დავიწყებული ისტორია კი ბუნდოვანი მომავლის წინაპირობაა. მსგავსი ტენდენციები კი ძალიან სახიფათოა. სომხეთთან მიმართებაში კი ეს სახიფათოა ორმაგად, რადგან ამიერკავკასიასა და საქართველოში შექმნილი დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს XX საუკუნის დასაწყისისათვის რეგიონში არსებულ მდგომარეობას.

ამ მოკლევადიან ორ გამონათებას შორის ასწლეულების განმავლობაში, სომხური ეთნოსი ხიზანთა და ლტოლვილთა სახით განუწყვეტელ მიგრაციას განიცდიდა რეგიონალური და გლობალური მასშტაბებით, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში. ამ პროცესებს, მიუხედავად სომხების მიერ ათვისებული მიწების სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, სომეხთა სოციალური კეთილდღეობისადმი მისწრაფებისა და შემგუობლობის თანდაყოლილი გრძნობაც აადვილებდა. ჩვენი ამ შეფასების არგუმენტირებისათვის, ტენდენციურობაში რომ არ დაგვდონ ბრალი, ისევ სომეხი ავტორის ციტატას დავიმოწმებთ.

აი, რას ამბობს თავის თანამემამულეებზე XIX საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, ხუდობაშევი: ,,სომხები ადვილად ხდებიან კოსმოპოლიტები, ისინი ადვილად წყდებიან იმ მიწას, სადაც დაიბადნენ. საკუთარი მიწა–წყლის დაცვას, ამ მიწა–წყლის დატოვებას ამჯობინებენ. ქვეყნიერების ნებისმიერი კუთხე მათ თავის ბუნებრივ საცხოვრისად მიაჩნიათ, სადაც თავისუფლად შეძლებენ საკუთარი აღმსარებლობის ასრულებასა და ამქვეყნიური სიამეებით დატკბობას''.[35]

სრული და ამომწურავი შეფასებაა მოცემული სომხური ეთნოსის შემგუებლური ინსტინქტებისა და მათი ,,მებრძოლი სულის'' შესახებ, თუმცა კი იმაში ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ ,,სომხები ადვილად ხდებიან კოსმოპოლიტები''. *არა, სომხები არასდროს არ ხდებიან და არც გამხდარან კოსმოპოლიტები. სწორედ ამ ფენომენშია განივთებული იმ ყბადაღებული ,,სომხური საკითხის'' ცნება,* რომელიც წითელი ხაზივით გასდევს ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომს.

მიუხედავად წარმოშობისა და განელილი ისტორიული გზისა, გეოგრაფიული საცხოვრისის მდებარეობისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, სომეხი ყველგან სომხად რჩება თავისი ენით, მრწამსით, სარწმუნოებით, კულტურით, ეროვნული სულით, ინტერესებით, ცნობიერებითა და მიზნებით. იგი ყოველთვის ინარჩუნებს თავის ნაციონალურ თუ კონფესიურ თვითმყოფადობას და სრულ მზადყოფნაშია დიადი სომხური იდეისათვის. სწორედ ესაა ყველაზე არსებითი პრობლემა და ყურადსაღები ფაქტორი ,,სომხური საკითხის'' ფენომენის განხილვისას.

ზუსტად აღწერს სომეხთა არსებობისა და ცხოვრების წესს, XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი, ლეონიდ ზაგურსკი თავის წიგნში:

„აქ უნდა აღინიშნოს, რომ სომხებს აქეთ ჩვენა (ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე შეძენილი) – ადვილად მიატოვონ თავიანთი სამშობლო და ხალისით დასახლდნენ ქვეყნებში, რომლებიც მათ მატერიალურ სარგებელს პირდება. გადასახლებისთანავე ისინი აგებენ (აგრეთვე ითვისებენ – ა. ჩ.) ეკლესიებს, რომლებშიც, ჩვეულებრივ, განათავსებენ წინა სამშობლოდან წამოღებულ ძველებურ საეკლესიო წიგნებს. შემდეგ ისინი სახლდებიან ეკლესიების გარშემო, იძენენ უძრავ ქონებას, ხელში იგდებენ ვაჭრობას და მშვენივრად ეგუებიან ახალი ქვეყნის პირობებს. მათში კარგად განვითარებული თემური სულის წყალობით, სომხები აყალიბებენ მეტ-ნაკლებად იზოლირებულ თემს, რომელიც არ ასიმილირდება აბორიგენებთან და ინარჩუნებს თავისი ნაციონალური ხასიათის ძირითად თვისებებს. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ქვეყანა, რომელშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დამკვიდრდა ეს საქმოსანი და კოლონიზატორული ხალხი, ნელ-ნელა ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს ის ოდითგანვე სომხებით იყო დასახლებული".[36] აქ კი ყოველგვარი შენიშვნების გარეშე ვეთანხმებით ავტორის მოსაზრებებს.

იფარავდა სომხებს ესა თუ ის ქვეყანა და საკუთარი მიწიდან აყრილი ჰაოსის დევნილი ნაშიერი სახლდებოდა უცხო ქვეყნების მიტოვებულ და ნაკლებად დასახლებულ, და როგორც წესი, მთიან რეგიონებში. შემდეგ კი კულტურულ-რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური ექსპანსიის ხარჯზე სომხური პოპულაციის თანდათანობითი გაზრდის, სტატისტიკური მონაცემების მანიპულაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ხელოვნური ასიმილაციის გზით იწყებდა კულტურული, ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნების წამოყენებას. ნებისმიერი ხელსაყრელი პირობების დადგომის შემთხვევაში კი აწყობდა შეთქმულებას, აჯანყებასა და ომს იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც იყო იგი შეფარებული...

და აარსებდნენ უცხო სახელმწიფოთა მიწებზე სომეხი ლტოლვილები სომხურ „სამთავროებსა" თუ „სამეფოებს". და მოგზაურობდნენ შესაბამისად ე.წ. „სომხური სახელმწიფოებისა" და „სომხური სამეფოების" დედაქალაქები ვანის ტბიდან (ვანი, ძვ. წთ. აღ. VI საუკუნე) ტიგროსისაკენ (ტიგრანაკერტი, ძვ. წთ. აღ. I საუკუნე.), ტიგროსიდან არარატის ველისაკენ (დვინი, IV საუკუნე), არარატის ველიდან ტაო-კლარჯეთისაკენ (ანისი, X საუკუნე) (ქართული მიწებისაკენ!), ტაო-კლარჯეთიდან ქილიკიისაკენ (ტარსოსი, XI საუკუნე), ქილიკიიდან ისევ არარატის ველისაკენ (ერევანი, 1918 წ), არარატის ველიდან ისევ... ქართული მიწებისაკენ? (არზრუმი? ტფილისი?, 1919წ.?)... ყოველ შემთხვევაში, ციკლური პროცესების თანმიმდევრობის ლოგიკა ამაზე მიუთითებს.

რა თქმა უნდა, დღეს შეიძლება სასაცილოდ და არასერიოზულადაც კი ეღერდეს ის მოსაზრება, მაგრამ XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსათვის დაშნაკთა მიერ ახალი სომხური სახელმწიფოს დედაქალაქის თბილისში გადმოტანის საშიშროება მართლაც იდგა დღის წესრიგში. მაგრამ ამ საკითხის შესახებ იმდროინდელ ოფიციალურ გამოსვლებშიც რომ

მსჯელობდნენ – ესეც ფაქტია. ბატონ სპირიდონ კედიას საპარლამენტო გამოსვლიდან: „აქ მარტო ბორჩალო–ახალქალაქის საკითხი არ არის. აქ ტფილისის საკითხია. მეტიც, რასიული იდეის ბატონობის საკითხია. საქართველოში ერთმბრძანებლობა ვის უნდა ეპყრას შეუცილებლად, საქართველოს იდეას თუ სომხეთის იდეას? ეროვნული არსობისა, ეროვნული ყოფნა–არყოფნის საკითხია, ამიტომ შეუბრალებელი და შეუდრეკელი უნდა იყოს საქართველოს მახვილის მრისხანება".[37]

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სომხებისა და ქართველების ურთიერთობათა საკითხების საერთო შეფასებაში, მართალია ცოტა გადაჭარბებული, მაგრამ ყველაზე უფრო რეალისტური და პატრიოტული პოზიციები თავიდანვე ქართველ ეროვნულ–დემოკრატებს ეჭირათ და ეპოქის მაჯისცემასაც ყველაზე სწორად ისინი აღიქვამდნენ.

რაც შეეხება სომხეთის სტრატეგიულ სახელმწიფო–პოლიტიკურ გეგმებს საქართველოსთან მიმართებაში, ეროვნულ–დემოკრატების ზემოთ მოყვანილი დასკვნა ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული და მას არსებობის სრული უფლება გააჩნია. თუმცა, ჩვენის აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება ბატონი სპირიდონის მსჯელობა – „რასიული იდეის ბატონობის" საკითხში მაინც.

ჩვენ მხოლოდ დასაბუთებულ მსჯელობას გავმართავთ 1918 წლის ბოლოსათვის არსებული სომხების სამხედრო–სტრატეგიული გეგმების შესახებ საქართველოსთან მიმართებაში.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, დაშნაკთა იდეოლოგიისა და პოლიტიკის ამომავალი წერტილი სხვა სახელმწიფოთა მიწების ათვისება იყო – ვისთან თავიდანვე შეიარაღებული აგრესიის გზით, ვისთან ხიზანთა სახით შესვლისა და ეთნიკური უმრავლესობის ხელოვნურად შექმნით. ამის შემდგომ კი სეპარატიზმის ფონზე ამ ტერიტორიების არარსებულ სომხეთის სახელმწიფოსთან მიერთების მოთხოვნით. სომხური აგრესიული საგარეო პოლიტიკის სრული სქემა კი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ლტოლვილთა შესახლება → მშვიდობიანი ექსპანსია → დემოგრაფიული დისბალანსის შექმნა → აგრესიული სეპარატიზმი → ტერორისტული აქტები → შეიარაღებული ექსპანსია → ღია საომარი მოქმედებები, შემდეგ კი ე.წ. „სომხური მიწების" გაერთიანება და „დიადი არმენიის" შეკოწიწება. რა თქმა უნდა, გარკვეულ შემთხვევებსა და გარკვეულ ქვეყნებთან მიმართებაში შეიძლება სქემის რომელიმე ელემენტი გამოტოვებულიც კი იყოს. მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში დაშნაკური იდეოლოგიისა და აგრესიული ხოქმედების მექანიზმის ყველა ელემენტი სრულად იქნა ამუშავებული.

დაშნაკური სომხეთის პრეტენზიები საქართველოს მიწებზე და აქედან გამომდინარე მისი სტრატეგიული გეგმები სრულად და ცალსახადაა გადმოცემული ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტში, სადაც სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერ–მინისტრი, ბატონი ოვანეს კაჩაზნუნი

(ორიგინალური გვარი — იგითხანიანი) გენერლებს — სილიკოვსა და დროს, ბრიტანელი კაპიტანი გრინისათვის (ბრიტანეთის საოკუპაციო საჯარისო კონტინგენტის ოფიცერი ამიერკავკასიაში, მასზე ჩვენ ქვემოთ გვექნება დაწვრილებითი საუბარი — ა. ჩ.) წარსადგენად შემდეგი ხასიათის ინსტრუქციებს აძლევს. აქ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო მეორე პუნქტს მოვიყვანთ:

„ერივანიდან. ყარაქილისაში. 15. 12. 1918. 24 საათი და 00 წუთი. მანასიანს, ასლი გენერალ სილიკოვს.

დაუყოვნებლივ გადაეცით დროს შემდეგი ტელეგრამა:

2) პარლამენტში მოხსენების გასაკეთებლად აუცილებელია კაპიტანი გრინისათვის გაკეთდეს შემდეგი ახსნა—განმარტება. *ხალხთა თვითგამორკვევისა და ეთნიკური პრინციპის თანახმად, ახალქალაქის მაზრას მთლიანად და ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილს ყოველგვარი ეჭვის გარეშე მივიჩნევთ სომხეთის კუთვნილებად, სადავოდ კი მხოლოდ მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს ვთვლით.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)

მინისტრი—თავმჯდომარე კაჩაზნუნი".[38]

ამ დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ ე.წ. „სადავო მიწებად" დაშნაკთა იდეოლოგიური მამები მხოლოდ მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე მიწებს, ანუ, მთელ თრიალეთსა და საქართველოს დედაქალაქის შემოგარენს თვლიდნენ, სადაც 1918 წლის ბოლოსათვის საკმაოდ დიდი იყო სომხური და გადასომხებული მოსახლეობის წილი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ თვით ქალაქ თბილისშიც მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა იყო და ფინანსურად და ადმინისტრაციულადაც თბილისი ფაქტობრივად სომხების ხელში იყო, მაშინ ბატონ სპირიდონ კედიას ზემოთ მოყვანილი ციტატა, სულაც აღარ მოგვეჩვენება არასერიოზულ მოსაზრებად.

ასე, რომ 1918 წლის ოქტომბერ—დეკემბერში საქართველო საშიშროების, დიდი საშიშროების წინაშე იდგა. ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ სომხური მხარის უახლოეს სტრატეგიულ მიზანს საქართველოს ახალქალაქის მაზრისა მთლიანად (გაგახსენებთ, რომ 1918 წლისათვის ახალქალაქის მაზრა მოიცავდა დღევანდელი ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის რაიონებს, აგრეთვე ბორჯომის, ქარელისა და ხაშურის რაიონების ნაწილსაც — ა. ჩ.) და ბორჩალოს მაზრის ნაწილის (მდინარე ხრამამდე) დაპყრობა შეადგენდა, ხოლო ქართლის დანარჩენი ნაწილის (თბილისის ჩათვლით) კუთვნილების საკითხი კი უნდა გადაწყვეტილიყო ან ომის, ან მოლაპარაკებების გზით.

აი, ასეთი იყო ჩვენი „კეთილი, ქრისტიანი და მშვიდობისმოყვარე" მეზობლების შენიღბული სტრატეგიული გეგმები საქართველოსთან მიმართებაში. სომეხი ავტორი, ჰამლეტ გევორქიანი კი თავის წიგნში, სათაურით „დრო", წერს:

„აუცილებელი იყო კიდევ ერთი აღმაფრენა, ერთი გადამწყვეტი გამარჯვება და *საქართველოს დედაქალაქისკენ მიმავალი მთავარი გზა გაბსნილი იქნებოდა*... რის შემდეგაც უკვე გაიხსნებოდა *თიფლისისაკენ მიმავალი გზა*..." (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[39] და ა.შ. და ა.შ. იმავე გვერდზე სომეხი ავტორი კიდევ უფრო დამაჯერებლად აგრძელებს: „გავითვა-ლისწინებთ რა, დროს რკინისებურ ნებისყოფას, სტრატეგის უზადო უნარს და მიზანსწრაფვას, აგრეთვე მისი ჯარის ბრწყინვალე საბრძოლო მზადყოფნას, დისციპლინირებულობას და ლტოლვას ომის გამარჯვებამდე მისაყვანად, შესაძლებელია გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ იგი აუცილებლად გაანადგურებდა გენერალ მაზნიევის არმიას და *აიღებდა საქართველოს დედაქალაქს*, ინგლისელები და ფრანგები რომ არ ჩარეულიყვნენ". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[40]

როგორც ვხედავთ, ისევ ტიპიური სომხური ბაქი–ბუქობა და ბოდვითი იდეები. დიახ, ნატრობდნენ 1918 წლისათვის და ალბათ დღესაც ნატრობენ გარკვეული სომხური წრეები „თბილისის აღებასა" და მისი ალბათ „დიადი არმენიის" დედაქალაქად ხილვას.

საკვირველია, როგორ ჰგავს თითქმის ყველა სომეხი და პროსომეხი ავტორის აზრთა მსვლელობა წყლის ორი წვეთივით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მივიღებთ მხოლოდ ამ მასალებს უეჭველ მტკიცებულებად და პირველწყაროდ, მაგრამ ყველა წარმოდგენილი არგუმენტის საერთო ანალიზის საფუძველზე სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სომხეთის დიდ სტრატეგიულ გეგმებში 1918 წლის ბოლოსათვის თბილისის დაპყრობა ნამდვილად შედიოდა. ტიციან ტაბიძე:

ტფილისს თავისი აქვს სატირალი და ამიტომაც ასევე სტირის:
ტყუილია, სომხები ლაჩრები იყვნენ, დიდებულად არიან შეიარაღებულნი.
უთუოდ აიღებენ ტფილისს, – ვაი, სირცხვილო,
– ვაი, თავო და თავო, – ვაი, საქართველო,
– ვის გაუგონია დუქნის ბიჭების ომი?
ეს გვარდია კი არა თავლაფდასხმაა.
დახე, რომ ომში კიდეც ეჩრება...
უთუოდ შემოვლენ ტფილისში სომხები
და მთელ ქვეყანაზე თავი მოგვეჭრება!..
– ეს მარტო ერთი კაცის არ არის აზრი,
ასე ფიქრობს კაფე „დარბაზი"...

კიდევ უფრო შორს მიდის ბატონი ვიქტორ ნოზაძე სომხური აგრესიის საბოლოო მიზნის შეფასებისას. იგი აღნიშნავდა:

„სომხურმა მმართველმა წრეებმა ომი გაბედეს მხოლოდ იმ იმედით, რომ კავკასიაში მომავალი ინგლისი მათ მხარს დაუჭერდა, და თუ სომხეთი ინგლისელებს ფაქტის წინაშე დააყენებდა, მას ხელში შერჩებოდა ყველა მის მიერ დაკავებული ტერიტორია. სომხეთის ფართო გეგმის მიზანი იყო – თბილისის ხელში ჩაგდება და მესხეთის დაკავება. ამგვარად, სომხეთი

ზღვასთან იქნებოდა შეერთებული ბათუმით".[41] და აქვე „ჩვენ ვიცით, რომ ამ პოლიტიკურ ცენტრთან, დედაქალაქის საკითხთან გადაბმულია მთავარი ძარღვი ქართულ და სომხურ ეროვნებათა. აქ მთავარი ტფილისის საკითხია. ჩვენ ვალდებულნი ვართ დღევანდელ კრებას გავაგებინოთ, რომ ეს პლანები ვიცით. ჩვენ ვიცით რა პოლიტიკა ასულდგმულებს სომხების ომს. და თუ ეს მოხდა, ეს არ იქნება პოლიტიკა ლორისა, ეს იქნება პოლიტიკა ტფილისისათვის ბრძოლისა. ეს ის პოლიტიკაა, რომელიც ცდილობს მთელი ტერიტორია ტფილისიდან დაწყებული ერევნამდის და ქვევითაც გაამრთელოს ერთ სახელმწიფოდ და საქართველოს დედაქალაქი სომხეთის დედაქალაქად აქციოს ჯერ ფაქტიურად, და შემდეგ ფორმალურად".[42]

ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით ამ მოსაზრებებს, მაგრამ ცოტა გვიჭირს ბატონ ვიქტორ ნოზაძის დასკვნის უცილობლად მიღება. რა თქმა უნდა, ჩვენ ცალსახად ვიზიარებთ მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სომხური შეარაღებული აგრესიის საბოლოო მიზანს „დიადი არმენიის" შექმნა წარმოადგენდა მის ფანტასტიკურ საზღვრებში, რაც ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ არაერთხელ, მაგრამ დაშნაკთა ეს კონკრეტული აქტივობა, კერძოდ, სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომი, ამ ეტაპზე ნამდვილად არ ითვალისწინებდა შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას. ამ მიზნის რეალიზაციისათვის სომეხთა შეიარაღებული აგრესია დასავლეთისაკენ მოგვიანებით, 1920 წლისათვის დაიწყო, რაც სისხლში იქნა ჩახშობილი ბოლშევიკურ–ქემალისტური ალიანსის მიერ. და დღეს გვიკვირს, რომ მსგავს ვნებათა ღელვასა და მისწრაფებებს ჰქონდა ადგილი იმ წლებში სომეხთა მხრიდან. გვიკვირს და არ გვეჯერება.

ახლა კი, ამ საკითხთან დაკავშირებული ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება – *ცალსახად ვაცხადებთ, რომ სომეხ დაშნაკთა მიერ თბილისის დაპყრობის გეგმა თავის დროზე იდეოლოგიურად თვით საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთაგან იყო ეიზირებული.* და ყოველივე ამის თავი და თავი, რა თქმა უნდა, ისევ ქართველი კაცი იყო, თავგადაკლული ქართველი „ინტერნაციონალისტი" და „დემოკრატი", გლობალისტი და მსოფლიო მოქალაქე – სხვა არავინ. ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულზე, ამიერკავკასიის „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების" თავმჯდომარე, ხალხთა თვითგამორკვევის დემოკრატიული და ეთნიკური უმრავლესობის პრინციპების მხურვალე მხარდამჭერი, ინტერნაციონალიზმის იდეების მქადაგებელი, „ქართული დემოკრატიის მამა", „პატარა მარქსი" – „დიდი ნოე" ჟორდანია ბრძანებდა საქართველოს დედაქალაქის შესახებ:

„თბილისი მაინცდამაინც საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ–აღმოსავლეთი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებს და აზერბაიჯანელებს, და მხოლოდ დასავლეთი მესამედი – „ვერა" – და აქეთ მდებარე ტერიტორია გეეკუთვნის ქართველებს".[43]

მართლაც რომ შესაშური ხელგაშლილობა და გულუხვობაა. და რაც მთავარია, ძირითადი სამიზნეც დასახულია. და დასახულია დაშნაკური სომხეთისათვის. და კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით ამ მეხუთე კოლონას, როცა დაშნაკთა იდეოლოგიური შუქურა და გზამკვლევი თავად საქართველოს „მინისტრი–თავმჯდომარე", ბატონი ჟორდანია იყო, ერთი ხელის მოსმით რომ ბლანდავდა და აკოწიწებდა ახალი, „დემოკრატიული და ინტერნაციონალური" საქართველოს რესპუბლიკის მომავალს – ძალიან ბუნდოვანს, საეჭვოსა და სახიფათოს.

რაც შეეხება სომხეთთან მიმართებაში ქრთული მხარის სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ გეგმებს, აქ საქმე გაცილებით მარტივადაა. მარტივადაა იმიტომ, რომ ამ საკითხთან მიმართებაში რაიმე გეგმა, როგორც ასეთი, ქართულ მხარეს უბრალოდ არ გააჩნდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ არქივში მოძიებულ იქნა ხელნაწერი დოკუმენტი (ფანქრით შესრულებული მოკლე ჩანაწერი), რომელიც უდავოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბშია შესრულებული და თავისი შინაარსით მეტად ზოგად პროგნოზს წარმოადგენს იმ ოპერატიული მიმართულებებისა, საიდანაც სტრატეგიულ–ოპერატიული და ტექნიკური თვალსაზრისით დასაშვები იყო სომხეთის შეიარაღებული ძალების შესაძლო აგრესია. ჩვენის აზრით, იგი პოლკოვნიკ ალექსანდრე ზაქარიაძის მიერ უნდა იყოს შესრულებული. აი, ეს დოკუმენტიც:

„სომხეთის შეიარაღებულ ძალებს საქართველოს საზღვრებში შემოჭრისას შეეძლოთ ესარგებლათ შემდეგი ოპერატიული მიმართულებებით:

1. ალექსანდროპოლისი – ახალქალაქი, საიდანაც:
   ა) ახალქალაქი – ახალციხე – აბასთუმანი – ქუთაისი.
   ბ) ახალქალაქი – ბორჯომი – გორი.
   გ) ახალქალაქი – ხრამი (გომარეთი ან ბაშკიჩეტი) – ტფილისი.
2. ალექსანდროპოლისი – ვორონცოვკა – ეკატერინენფელდი – ტფილისი.
3. ყარაქილისა – შულავერი – ტფილისი.
4. ელენოვკა (დღევანდელი სევანი – ა. ჩ.) – დილიჟანი – წითელი ხიდი – ტფილისი."[44]

სამწუხაროდ, წარმოდგენილ საარქივო მასალას არც თარიღი უსვია და არც ხელმოწერა აქვს. ჩვენ გვესმის, რომ ამგვარი ჩანაწერი იურიდიულ, უტყუარ პირველწყაროდ არ გამოდგება, მაგრამ განსჯისათვის მაინც საინტერესო ინფორმაციას იძლევა. კერძოდ, ჩანაწერი წარსულ დროში მომხდარ ფაქტს აღნუსხავს. (იგი ცხადია რუსულ ენაზეა შედგენილი და მის დასაწყისსაც შემდეგი სახე აქვს: Вооружённыя силы Арменіи для своего вторженія в пределы Грузии могли воспользоватся... და შემდეგ როგორც ტექსტშია წარმოდგენილი).

მოყვანილ დოკუმენტში ყველაზე მთავარი ისაა, რომ იგი მხოლოდ სომეხთა მიერ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგაა შედგენილი. ხოლო

მისი ტექსტის გაანალიზებით სხვა საინტერესო დასკვნების გაკეთებაცაა შესაძლებელი, კერძოდ:

1. აშკარაა, რომ დაშნაკური აგრესიის ოპერატიული მიმართულებების გათვლა ჩატარებულია post factum. ჩანაწერში წარმოდგენილი დაშნაკური აგრესიის შესაძლო მარშრუტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ქართულ მხარეს არ ჰქონდა გამოკვეთილი და შეფასებული საფრთხის დონეები და უცხოური აგრესიის ყველაზე უფრო ალბათური მიმართულებები. აქედან დასკვნა – ქართულ მხარეს, თავისთავად ცხადია, არც დაშნაკური აგრესიის შესაბამისი პრევენციის გეგმა გააჩნდა.
2. დაშნაკური აგრესიის საბოლოო მიზნად, თითოეულ სქემაში, ძირითადში თბილისია დასახული და აქედან გამომდინარე, ჩვენი ზემოთ მოყვანილი მსჯელობაც თბილისის შესახებ, სულაც არ არის საფუძველს მოკლებული.
3. ხელნაწერში წარმოდგენილი დაშნაკური აგრესიის შესაძლო მარშრუტები მრავალფეროვანია, მაგრამ აქ არ არის უფრო დაწვრილებით გათვალისწინებული სომხური შეიარაღებული ძალების შემოჭრისა და გადაადგილების ერთ–ერთი ძირითადი ოპერატიული მიმართულება: ყარაქილისა – ჯალალ–ოღლი – ვორონცოვკა – პრივოლნოე – ბოლნის–ხაჩინი – ეკატერინენფელდი – თბილისი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს გენერალურ შტაბში სამხრეთის, სომხეთის მიმართულება იმ უმძიმეს წლებში არაფრით არ მოიაზრებოდა შესაძლო აგრესიების პოტენციურ მიმართულებად.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი საარქივო პირველწყარო კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული მხრიდან არა თუ რაიმე სამხედრო–ოპერატიული გეგმის არარსებობის ფაქტს, არამედ, შესაძლო საფრთხეების შეფასებისა და ამ საფრთხეების თავიდან აცილების პრევენციული ღონისძიებების არარსებობასაც.

§4. დაპირისპირებულ მხარეთა საომარი მობილიზაცია.

სომხეთ–საქართველოს ომის შესახებ დაცული საარქივო დოკუმენტური მასალების ზოგადი სიმწირის მიუხედავად, დაპირისპირებულ მხარეთა მიერ ჯარების სამობილიზაციო მზადებისა და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ზომების გატარების შესწავლა–ანალიზისათვის სხვა საკითხებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა. საქმე იმაშია, რომ სომხეთ–საქართველოს შორის წარმოებული ომის ისტორიის შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სამხედრო სამინისტროს პირადი (პიროვნული) შემადგენლობის განყოფილების უფროსის, გენერალ–მაიორ ვარდენ წულუკიძისა (07. 02. 1919. №404) და გენერალური შტაბის საარტილერიო სექციის უფროსის, გენერალ–ლეიტენანტ კირილე ქუთათელაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტაციები წარედგინა (14. 02. 1919. №625), რომელიც ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უკვე ომის მსვლელობისას სხვადასხვა ნაწილებზე გაცემული იარაღისა და საბრძოლო მასალების რაოდენობრივი მონაცემების შესახებ. მოძიებული საარქივო დოკუმენტაცია ამავდროულად სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული მხარის მიერ გატარებულ სამობილიზაციო ღონისძიებათა მასშტაბებზე.

საარტილერიო სექციის უფროსის 1919 წლის 14 თებერვლის №625 მოხსენებით ბარათს, წარდგენილს სომხეთ–საქართველოს ომის შემსწავლელი კომისიისადმი, შემდეგი სახე ჰქონდა: ,,ჯერ კიდევ ომის ოფიციალურად გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, სომეხთა მიერ ჩვენს სასაზღვრო საგუშაგოებზე მოულოდნელ თავდასხმამდე, საარტილერიო სექციისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მუშაობა იმას უჩვენებდნენ, რომ განვითარებული მოვლენები ერთობ სეროზულ ხასიათს იღებდნენ. 13 დეკემბრისათვის სადახლოს რაზმში გაგზავნილ იქნა შაშხანის 100000 ვაზნა.

ამის შემდეგ კი უფრო მსხვილი და მრავალფეროვანი გაცემები დაიწყო. უფრო ადრე ჩემს მიერ ქუთაისში კომისარიატებიდან იარაღის ჩასაბარებლად მიელინებულ იქნა ოფიცერი. ომის გამოცხადების შემდეგ კი ჩემს მიერ იქ მიელინებულ იქნა ჩემი თანაშემწე სამხედრო ნაწილებზე შაშხანების, ტყვიამფრქვეველებისა და შაშხანის ვაზნების გასაცემად, რის შესახებაც ყოველდღიურად მეგზავნებოდა პირდაპირი ხაზით შესაბამისი მოხსენებები. რკინიგზის საარტილერიო ჩიხში მუდმივ მზადყოფნაში გვყავდა საბრძოლო მასალებით დატვირთული ვაგონები ფრონტზე გასაგზავნად.

სანდარში ჩემი განკარგულებით მოწყობილ იქნა მეწინავე საარტილერიო საწყობი, რომელიც მოგვიანებით აშაღა–სარალში იქნა გადატანილი. ამგვარად, ჯარების მომარაგება ხდებოდა თბილისის მთავარი და ქუთაისისა და სანდარი/აშაღა–სარალის მეწინავე საწყობებიდან. თანდართული უწყისების მიხედვით კარგად ჩანს როგორც გაცემული საბრძოლო ქონების რაოდენობა, ასევე სასაწყობო ნაშთები. (უწყისები 1, 2, 3, 4.)

არტილერიის მატერიალური ნაწილის შეკეთებისათვის მოწყობილ იქნა მოძრავი საარტილერიო სახელოსნო (ვაგონებში). ასეთი სახელოსნო გაგზავნილ იქნა სადახლოს მიმართულებით. გარდა ამისა, სახალხო გვარდიის ჯარებში გაგზავნილ იქნენ ხელოსნები არტილერიის მატერიალური ნაწილის შესაკეთებლად. გენერალ–ლეიტენანტი ქუთათელაძე. მომარაგების ქვეგანყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ტუმილინი. საქმის მწარმოებელი, პოდპორუჩიკი კანდელაკი".[45]

ამავე პატაკში დანართების სახითაა წარმოდგენილი გენერალური შტაბის განყოფილების საარტილერიო სექციის სასაწყობო ნაშთებისა და ქართულ სამხედრო ნაწილებსა და საბრძოლო რაზმებზე გაცემული შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების უწყისები.

შეიარაღების მეწინავე საწყობების სასაწყობო ნაშთები — უწყისი 1

დასახელება / საწყობი	3–ხაზიანი შაშხანა	3–ხაზიანი შაშხანის ვაზნა	მაქსიმის ტყვიამფრქვეველი	სამოთ ნაღმი (ჭურვი)	სამოთ შრაპნელი	მსუბუქ ნაღმი (ჭურვი)	მსუბუქ შრაპნელი	48 მმ–იანი ქუმბარა	48 მმ–იანი შრაპნელი	რევოლვერის ვაზნა
ქუთაისი	14436	5393670	195	7381	760	1259	2775	–	–	-
სანდარი/ აშღა–სარალი	1800	1465000	–	2620	1890	300	1512	120	160	500

* – აქედან, „ნაგანი" – 3000, „ბრაუნინგი" – 2000.

ქუთაისის საწყობიდან გაცემა — უწყისი 2

დასახელება / სამხედრო ნაწილი	3–ხაზიანი შაშხანა	მაქსიმის ტყვიამფრქვეველი	შაშხანის ვაზნა	სამოთ ნაღმი	სამ შრაპ
1–ლი ქვეითი პოლკი	1850	18	100200	–	-
მე–2 ქვეითი პოლკი	1900	–	31820	–	-
მე–3 ქვეითი პოლკი	1200	13	250000	–	-
ქართველ მუსულმანთა ბატალიონი	500	4	–	–	-
ფხაკაძის რაზმი	300	4	40000	–	-
1–ლი საარტილერიო ბრიგადა	–	–	–	300	75
სულ :	5750	39	692020	300	75

სანდარი/აშაღა–სარალის მეწინავე საწყობებიდან გაცემა უწყისი 3

დასახელება სამხედრო ნაწილი	შაშხანა	შაშხანის ვაზნა	სამოო ნაღმი (ჭურვი)	სამოო შრაპნელი	მსუბუქი ნაღმი (ჭურვი)	მსუბუქი შრაპნელი	48 მმ–იანი შრაპნელი	48 მმ–იანი ყუმბარა	ნაკანის ვაზნა
I ქვითი პოლკი	–	30000	–	–	–	–	–	–	–
III ქვითი პოლკი	–	52000	–	–	–	–	–	–	–
IV ქვითი პოლკი	–	164000	–	–	–	–	–	–	–
VI ქვითი პოლკი	–	146000	–	–	–	–	–	–	–
II არტ. ბრიგადა	–	–	700	710	190	310	–	–	1286
I ცხენოს პოლკი	–	8000	–	–	–	–	–	–	–
IIცხენოსანი პოლკი	–	20000	–	–	–	–	–	–	–
II სამთო-ცხენ ბატ	–	1000	150	150	–	–	–	–	–
სასაზღვრო რაზმი	–	7000	–	–	–	–	–	–	–
საარმიო არტ. ბრიგ	–	–	–	–	–	–	37	35	–
საჭაპ ბატალიონი	–	15000	–	–	–	–	–	–	–
საჭაპან ბატალიონი	20	2000	–	–	–	–	–	–	–
გენ.წულუკიძის რაზ	–	70000	–	–	–	–	–	–	–
ღლონტის პოლკი	–	50000	–	–	–	–	–	–	–
გენმაღალოვის რაზ	500	50000	–	–	–	–	–	–	–
კაპ.უთნელაევას რაზ	–	10000	–	–	–	–	–	–	–
პოლკ ლეკვინაძე	–	54000	–	–	–	–	–	–	–
საყარაულო რაზმი	–	10000	–	–	–	–	–	–	–
ყარაიზის რაზმი	15	42000	–	–	–	–	–	–	–
სახალხო გვარდია	–	230000	230	370	70	40	–	–	–
ხრამის ხიდის დაც	–	20000	–	–	–	–	–	–	–
გიაურარხის დაცვა	10	–	–	–	–	–	–	–	–
ცალკულ პირებზე	4	50	–	–	–	–	–	–	–
სულ:	549	943250	1180	1230	260	350	37	35	1286

სამხედრო ნაწილი	დასახელება	3-საზარბაზნე შაშხანა	მაქსიმის ტყვიამფრქვევი	საშიო შრაპნელი	საშიო ნაღმი (ჭურვი)	მსუბუქი შრაპნელი	მსუბუქი ნაღმი (ჭურვი)	შაშხანის ვაზნა	ნაგანის ვაზნა	ბრაუნინგის ვაზნა
I ქვეით პოლკი		23	–	–	–	–	–	30000	–	–
III ქვეით პოლკი		–	–	–	–	–	–	44000	–	–
IV ქვეით პოლკი		1600	14	–	–	–	–	300000	2205	–
V ქვეით პოლკი		2400	12	–	–	–	–	500000	–	–
VI ქვეით პოლკი		1200	–	–	–	–	–	100000	–	–
II დივიზ შტაბი		149	–	–	–	–	–	3000	–	–
I ცხენ პოლკი		–	4	–	–	–	–	100000	1000	–
II ცხენ პოლკი		600	–	–	–	–	–	120000	–	–
III ცხენ პოლკი		–	–	–	–	–	–	–	1000	–
II მანგ სას რაზ		300	–	–	–	–	–	–	–	–
III დარ სას რაზ		–	–	–	–	–	–	–	–	–
სას ჯარის შტაბი		177	–	–	–	–	–	9300	–	–
მენაღმეთა ბატ		350	–	–	–	–	–	62350	–	–
I არტ ბრიგადა		–	–	–	–	–	–	–	300	30
II არტ ბრიგადა		119	–	–	–	40	40	6000	400	10
საარმიო არტბრიგ		25	–	–	–	–	–	3000	1100	45
საეტაპ ბატალ		750	–	–	–	–	–	–	–	–
სამხ სამ ადმ რაზ		–	–	–	–	–	–	–	–	–
ქართ მუსუ ბატ		–	–	–	–	–	–	15000	–	–
ქართული ლეგიო		640	6	–	–	–	–	175000	2000	–
ოფიცერ განრაზ		450	4	–	–	–	–	–	–	–
მუსულმანთა რაზ		200	2	–	–	–	–	10000	–	–
თელავის ცხ რაზ		100	–	–	–	–	–	40000	–	–
სახალხო გვარდია		1300	2	2200	3200	1200	3200	800000	2175	360
ტფილისი მილიც		200	1	–	–	–	–	39000	–	–
ახალც ცხენ რაზ		400	–	–	–	–	–	12000	1000	–
სულ:		10983	45	2200	3200	1240	3240	2368650	11180	445

* – აქ, სამხედრო ნაწილებსა და საბრძოლო რაზმებზე გაცემული იარაღისა და საბრძოლო მასალების მხოლოდ ძირითადი პოზიციები წარმოდგენილი.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მენშევიკური მთავრობის სამხედრო–პოლიტიკური აქტიურობის თითქმის ნებისმიერი გამოვლინება, რბილად რომ ვთქვათ, დიდ გაკვირვებას იწვევს, იმდენად არაადეკვატური და შეუსაბამო იყო იგი. მობილიზაციის საკითხიც ერთ–ერთი ასეთთაგანია.

საქართველოს მთავრობამ სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლებიდან მხოლოდ ათი დღის შემდეგ გამოაცხადა თავისი პრეტორიანული შენაერთის – სახალხო გვარდიის რესპუბლიკური მობილიზაცია და მოხალისეთა საყოველთაო გაწვევის კამპანია, რაც ოფიციალურად 1919 წლის 6 იანვარს დასრულდა. ამის შესახებ ცალსახად მეტყველებს საარქივო დოკუმენტებში დაცული სამხედრო სამინისტროს „პიროვნული შემადგენლობის განყოფილების" გაწვევის უწყისები და იმდროინდელი ქართული პერიოდიკა. გაზეთ „საქართველოს" 18 დეკემბრის ნომერში გამოყვეყნებულ საქართველოს სახალხო გვარდიის სამობილიზაციო მოწოდებას შემდეგი სახე ჰქონდა:

„სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოწოდება.

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა მოწოდება დაუგზავნა გორის, ხაშურის, შორაპნის, ქუთაისის, სამტრედიის, თელავის, სიღნაღის, სართიჭალის სახალხო გვარდიის შტაბებს.

აჯანყებული სომეხი ბრბოები და სამხედრო ნაწილები, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ხელმძღვანელობით, რომლებმაც მოკლეს ქარჩიკიანი და აზატიანი და მეზობლად მცხოვრებ ხალხებს დიდ უბედურებაში აგდებენ, თავს დაესხნენ ჩვენს მოსაზღვრე რაზმებს და ჯარისკაცები დაგვიხოცეს. გვსურს რა, შევაჩეროთ სისხლის ღვრა, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მოიწვიოს წითელი დროშის ქვეშ სრულიად სახალხო გვარდია. გაწვეული რაზმები თავის აფიცრებით დაუყოვნებლივ თბილისში გამოაგზავნეთ. სხვა ნაწილებისაგან ცალკე რაზმები შეადგინეთ და საჩქაროდ გამოაგზავნეთ თბილისში. გააძლიერეთ თვალ–ყურის დევნა აგვისტობრივ და ბეჯითად დაიცავით ხიდები. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ თავისუფლება და რევოლუცია თქვენს დახმარებას ელის. ეშელონების გაგზავნის დროის შესახებ ტელეგრაფით აცნობეთ გვარდიის მთავარ შტაბს".[46]

აი, ასეთი იყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სამობილიზაციო მოწოდება. დიახ, წითელი დროშის ქვეშ უყრიდნენ თავს ამხანაგ გვარდიელებს თავისუფლებისა და რევოლუციის დასაცავად. ისევ ვერ ეხვდებით ვერაფრით, რომელი რევოლუციის რომელი მონაპოვრების დაცვაზე გაჰყვიროდნენ მუდმივად ქართველი სოციალ–დემოკრატები? ან იქნებ სამშობლოს არ სჭირდებოდა დაცვა? ან, იქნებ რევოლუცია და სამშობლო ერთი და იგივე ცნებები იყო და ქართველი მარქსისტების გარდა სხვა ვერავინ ვერ ხვდებოდა ამ უცილობელ ჭეშმარიტებას? ან იქნებ დაშნაკთა მიერ უკვე ერევანში გადაბარგებული ხარჩიკიანისა და აზატიანის მკვლელობა

იმავე რიგის მძიმე დანაშაული იყო, როგორისაც უკვე ასეულობით ქართველი ჯარისკაცის განადგურება და ისტორიულად ძირძველი ქართული მიწების დაპყრობა?

სამწუხაროდ, კითხვის ნიშნები აქაც საკმარისზე მეტია. და უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ დასმული კითხვები აქაც რიტორიკულია.

საქართველოს მთავრობის მიერ კი 1918 წლის 19 დეკემბერს გაცემულ მოხალისეთა გაწვევის სამობილიზაციო განკარგულებას შემდეგი სახე ჰქონდა:

„თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა დგება მოხალისეთა რაზმები, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შუძლია ჩაეწეროს, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურობენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯარისკაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.

მოწვეულ ჯარისკაცებად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 95, 96, 97, 98 წლებში დაბადებული ახალგაზრდები.

1. ყველა მოხალისეთ, რომლებიც მსახურობენ სხვა და სხვა დაწესებულებებში — ადგილები შეენახებათ.
2. სამხედრო მოქმედებების გაკეთების შემდეგ თავისუფალნი იქნებიან.
3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს: გენ—მაიორ მაღალაშვილს, გენ—მაიორ კერესელიძეს (გიორგი), პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს. ჩაწერა შეიძლება ბარიატინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 14 საათამდე და 16 საათიდან 18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი, გენ—მაიორი, მაღალაშვილი.

19 ქრისტეშობისთვე, ქ. თბილისი.”

რაც შეეხება სამხედრო სამინისტროს „პიროვნული შემადგენლობის” განყოფილების მიერ ჩატარებულ თადარიგის ოფიცერთა გაწვევას, აქ შემდეგი სურათი იყო. წარმოდგენილ პატაკს შემდეგი სახე ჰქონდა:

„წარმოგიდგენთ იმ თადარიგის ოფიცერთა სიას, რომლებიც გაწვეულ იქნენ ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი განყოფილების მიერ, ამავე დროს გაცნობებთ, რომ გენერალური შტაბის უფროსის განკარგულების შესაბამისად, თადარიგის ოფიცერთა გაწვევა ჩატარებულ იქნა აგრეთვე ქუთაისის სამხედრო უფროსის მიერ, რომლებიც სხვადასხვა ნაწილებში იქნენ ჩარიცხულნი, მაგრამ მათ შესახებ მე არავითარი ცნობები არ გამაჩნია.

გენერალ—მაიორი წულუკიძე. (ვარდენ — ა. ჩ.).

უფროსის თანაშემწე... (გვარი გაურკვეველად წერია — ა. ჩ.)”.[47]

გენერალ—მაიორი ვარდენ წულუკიძე არ უნდა ავურიოთ გენერალ—მაიორ გიორგი წულუკიძეში, რომელიც სომხეთ—საქართველოს ომის დაწყებამდე ქართული მე—2 ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური იყო. სწორედ გენერალი გიორგი წულუკიძე დაინიშნა ბორჩალოს მაზრის გენერალ—გუბერნატორად, და სომხეთ—საქართველოს ომის საწყის ეტაპზე, 1918 წლის 24

ოქტომბრიდან, იგი სარდლობდა ქართული შეიარაღებული ძალების საჯარისო გარნიზონს ბორჩალოს მაზრის საომარ მოქმედებათა თეატრზე.

ამ დროისათვის საქართველოს სამხედრო სამინისტროს „პიროვნული შემადგენლობის" განყოფილების უფროსის თანამდებობა გენერალ-მაიორ ვარდენ წულუკიძეს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელ, არშემდგარ მთავარსარდალს ეკავა. ეს სწორედ ის გენერალი წულუკიძეა, რომელიც მოგვიანებით, 1923 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იქნა დახვრეტილი ანტიბოლშევიკური შეთქმულების ორგანიზებისათვის სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, რაც ნაშრომის შესაბამის თავში გვქონდა განხილული.

უწყისების მიხედვით, ოფიცერთა თადარიგიდან გაწვევა 1918 წლის 21 დეკემბერს დაიწყო და 1919 წლის 6 იანვარს დასრულდა. „პიროვნული შემადგენლობის განყოფილების" მონაცემებით საომარ მოქმედებათა ბორჩალოს მაზრის თეატრზე აღმოსავლეთ საქართველოდან სულ გაწვეულ იქნა თადარიგის 261 ოფიცერი და საომარი დროის ჩინოვნიკი. აქ ქუთაისის გუბერნიის მონაცემები გათვალისწინებული არ არის და იგი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მონაცემებს მოიცავს.

წოდების მიხედვით გაწვეულნი იყვნენ ოფიცრები პრაპორშიკიდან როტმისტრის ჩათვლით, კერძოდ:

პრაპორშიკი — 134, კორნეტი — 8, პოდპორუჩიკი — 57, პორუჩიკი — 30, შტაბის კაპიტანი — 8, შტაბის როტმისტრი — 2, კაპიტანი — 3, როტმისტრი — 1, საომარი დროის ჩინოვნიკი — 3. კიდევ 15 ოფიცრის სამხედრო წოდება დაკონკრეტებული არ არის.

სამხედრო შენაერთებში, ნაწილებსა და ქვედანაყოფებში თადარიგიდან გაწვეულ ოფიცერთა განაწილებას კი ასეთი სახე ჰქონდა:

„მე-2 ქვეითი დივიზია: პრაპორშიკი — 71, პოდპორუჩიკი — 27, პორუჩიკი — 20, შტაბის კაპიტანი — 3, როტმისტრი — 1, კორნეტი — 1.

მოხალისეთა რაზმი: პრაპორშიკი — 13, პოდპორუჩიკი — 7, შტაბის კაპიტანი — 1, კაპიტანი — 2, კორნეტი — 3.

ოფიცერთა რაზმი: პრაპორშიკი — 12, პოდპორუჩიკი — 2, პორუჩიკი — 2, შტაბის კაპიტანი — 2, შტაბის როტმისტრი — 1.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი: პრაპორშიკი — 6, პოდპორუჩიკი — 7, პორუჩიკი — 1, შტაბის კაპიტანი — 1.

ცხენოსანი ბრიგადა: კორნეტი — 4, პრაპორშიკი — 2, პორუჩიკი — 1, შტაბის კაპიტანი — 1.

პოდპოლკოვნიკ დუმბაძის საჭაპანე ბატალიონი: საომარი დროის ჩინოვნიკი — 2, პრაპორშიკი — 9, პოდპორუჩიკი — 3, პორუჩიკი — 1, შტაბის როტმისტრი — 1.

გენშტაბის განყოფილების უფროსის განკარგულებაში: საომარი დროის ჩინოვნიკი — 1, პრაპორშიკი — 9, პოდპორუჩიკი — 3, პორუჩიკი — 1.

1-ლი ცხენოსანი დივიზია: პრაპორშიკი — 3, პოდპორუჩიკი — 2.

გენერალ ბენაევის განკარგულებაში: პრაპორშიკი — 9, პოდპორუჩიკი — 6, პორუჩიკი — 4, კაპიტანი — 1.

გარდა ამისა, სხვადასხვა ნაწილების დაქვემდებარებაში გადანაწილდა კიდევ 15 ოფიცერი".[48]

(მოპოვებულ საარქივო მასალებში წარმოდგენილია თადარიგიდან გაწვეულ ოფიცერთა სახელობითი სიაც — ა. ჩ.)

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მთავრობის მოწოდებას მობილიზაციასა და მოხალისეთა რაზმების შედგენის შესახებ სრულიად საქართველო გამოეხმაურა. 1918 წლის დეკემბერი — 1919 წლის იანვრის პერიოდული პრესა სავსეა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა თუ რაიონების მოსახლეობის მოწოდებებითა და გამოძახილებით ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების მხარდასაჭერად. უფრო მეტიც, ბაქოს ქართველი მოსახლეობისაგან ჩამოყალიბდა მოხალისეთა რაზმი, რომელიც სრულ მზადყოფნაში იყო ფრონტზე გამოსამგზავრებლად.

ქართველმა ხალხმა, მთავრობისდა საპირისპიროდ, ბოლომდე გაიაზრა შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და დაუფიქრებლად ჩადგა სამშობლოს სამსახურში. უდიდესი იყო ქართული მოწინავე საზოგადოებისა და საერთოდ ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთება და საბრძოლო აღმაფრენა. „აღსანიშნავია, რომ ბათუმის ეპოპეისას, ამ ქალაქის დაცვას უმთავრესად დასავლეთ საქართველო გამოეხმაურა. სომხებთან ომს კი — მთელი საქართველო. ომი ერთობ პოპულარული გამოდგა, თბილისთან მტრის სიახლოვე და ჩვენი ხელმოცარვა მხოლოდ აღაგზნებდა და გულს უნათებდა ხალხს. მტერი სულ 2—3 ვერსით იყო თბილისს დაშორებული და პირველ ყოვლისა, დროის მოგება გახლდათ საჭირო".[49] — იგონებს თავის მემუარში გენერალი კვინიტაძე.

ამ ამონარიდში ნამდვილად უზუსტობაა გაპარული სომხური შეიარაღებული ავანგარდების თბილისიდან დაშორების საკითხში. 2—3 ვერსის მაგივრად, აქ სულ მცირე, 20—30 ვერსი უნდა იკითხებოდეს. რა თქმა უნდა, ეს შეცდომა არაფრით არ შეიძლება გენერალ კვინიტაძეს მივაკუთვნოთ. ალბათ ეს ტიპოგრაფიული უზუსტობაა მხოლოდ და მხოლოდ. ხოლო სომხური შეიარაღებული ავანგარდების თბილისთან მაქსიმალური მიახლოების საკითხს, უფრო დაწვრილებით შესაბამის თავში განვიხილავთ.

საყოველთაო მობილიზაციასთან დაკავშირებით კი, მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მოწოდებას მოვიტანთ, რომელიც ჩვენის აზრით, ყველაზე კარგად გამოხატავს იმ განწყობასა და საბრძოლო შემართებას, რასაც მოცული ჰყავდა სრულიად საქართველო, სრულიად ქართველობა. ეს მოწოდება მუსულმან ქართველთა განმათავისუფლებელ კომიტეტს და სრულიად აჭარელ ხალხს ეკუთვნოდა:

„როგორც ჩვენ ერთმორწმუნე ძმებს, მუსლიმანებს, ასევე ჩვენ ღვიძლ ძმებს, ქრისტიან ქართველებს, ვერაგულად ეპყრობიან დიდსა და პატარას, ასახიჩრებენ ყველას, ვისაც ხელში ჩაიგდებენ. ასეთი სასტიკი, ველურ

საშუალებათა ხმარებით განზრახული აქვთ დაიპყრონ მთელი ბორჩალოს მაზრა, ახალ–ქალაქი, ახალ–ციხე, და სხვა კიდევ ვინ იცის, რომელი ჩვენი ქვეყნის კუთხეები. და ხომ იცით, როცა სომხის ავაზაკი და არა დემოკრატიული ჯარის ნაწილები გამოილაშქრებენ ჩვენზე, რა უბედურებანი დაგვატყდება თავზე?! ოჯახს გაგვინადგურებენ, ნამუსს აგვხდიან, აგვყრიან და საშვილიშვილოდ სულ ერთიანად მოგვსპობენ.

გაფრთხილებთ მამულიშვილნო! დაგვიდგა ყოფნა არ ყოფნის დრო, ეხლა უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ოჯახი, ჩვენი ნამუსი და ჩვენი სახლ–კარი. სწორედ ეხლა უნდა ავიღოთ იარაღი და ამოვუდგეთ გვერდში სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენს თანამემამულე ქრისტიან ქართველებს, რომლებიც უკვე პირნათლად ასრულებენ სამშობლოს მიერ დაკისრებულ წმინდა მოვალეობას და სდევნიან მუხანათურად შემოსულ ავაზაკებს.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მემედ–ბეგ სანჯაყ–ბეგის შვილი აბაშიძე. მდივანი, დიასამიძე."[50]

აი, ასეთი იყო აჭარელთა განწყობა და საბრძოლო მზადყოფნა სომხეთ–საქართველოს ომისათვის. გაგახსენებთ, რომ ახალციხის მაზრაში გენერალ მაყაშვილის დაქვემდებარებაში უკვე ნოემბრის პირველი რიცხვებიდან იმყოფებოდა აჭარელთა 500 კაციანი რაზმი პოლკოვნიკ მემედ ბეგ აბაშიძის მეთაურობით, რომელიც საკუთარი სინდისისა და პატრიოტული განწყობებით აღსავსე ჩადგა სრულიად საქართველოს დამცველთა რიგებში. მაგრამ არის ამ მოწოდებაში ისეთი დეტალიც, ისეთი შტრიხიც, რომელიც იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური აზროვნების მთავარ დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს სამწუხაროდ.

ეს შტრიხი ისევ და ისევ ის ყბადაღებული „ქართული დემოკრატიაა", რომლითაც ასე მოჰქონდათ თავი მენშევიკებს და როგორც ჩანს, არა მხოლოდ მათ. ზემოთ მოყვანილ მოწოდებაში ამ ფენომენის მეტად საინტერესო ფორმას — „დემოკრატიულ ჯარს" ვხვდებით. სიტყვათა ამ კომბინაციის ქვეშ, რა თქმა უნდა არ იგულისხმებოდა დემოკრატიულობის პრინციპებზე დაფუძნებული ჯარების საორგანიზაციო–მართვის ფორმა და სტილი ქვედანაყოფებში, არამედ ჯარების საბრძოლო მოქმედებებისა და აქტივობის განსხვავებული გამოხატულება, შეზავებული რაღაც გაუგებარი „დემოკრატიული" ელფერით. სიტყვა „დემოკრატია", თავისი ყველაზე მახინჯი, გადაჯიშებული და ეპოქისათვის ყველაზე შეუფერებელი ფორმით იყო სწორედ ის ჯადოსნური სიტყვა, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად და არადანიშნულებისამებრ იხმარებოდა საქართველოს იდეოლოგიური და პოლიტიკური მამების მიერ. ასეთი დასკვნების გაკეთება, სამწუხაროდ, ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა. .

ქართულ მხარესთან შედარებით, სომხური მხარის მიერ განხორციელებულ სამობილიზაციო საკითხებზე საუბარი გაცილებით მარტივია. მარტივია იმდენად, რამდენადაც არარატის მთავრობის მიერ

სომხეთ–საქართველოს ომისათვის, მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, 191
წლის სექტემბრის პირველივე რიცხვებიდან მობილიზებულ იქნა, რაც ზემო
გეკონდა განხილული, და მასში დასაწყისიდანვე მონაწილეობდა სომხეთი
რეგულარული ჯარის ძირითადი კონტინგენტი. დამატებით — ამიერკავკასიაში
რუსეთსა და ანატოლიაში მოსახლე სომხებისაგან შედგენილი ე.წ
„მოხალისეთა რაზმები", აგრეთვე საომარ მოქმედებათა რაიონებში შემოსულ
და დასახლებული, იარაღის ტარების უნარის მქონე საქართველოს თითქმის
ყველა სომეხი ეროვნების მოქალაქე. აი, ასეთი იყო საქმის რეალური არსი.

§5. დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლა.

1918 წლის 28 მაისს, ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებად
დაშლისთანავე დაფიქსირდა დე ფაქტო საქართველოს საზღვრებიც. ჩვენ
მტკიცება ქვემოთ მოყვანილი უტყუარი საარქივო დოკუმენტით დასტურდება
სადაც სომეხთა ნაციონალური საარმიო კორპუსის სარდალი, გენერალ–
ლეიტენანტი თომა ნაზარბეგოვი, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფედერაციის
შინაგან საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს, შემდეგი შინაარსის
შიფროგრამას უგზავნის:

„ყარაკლისიდან. 28. 05. 1918.

ჩემს მიერ მიღებული სარწმუნო ცნობებით დღეს ყარაკლისში
თბილისიდან მოვიდა ორთქლმავალი ერთი სამგზავრო ვაგონით, რომლითაც
ჩამოვიდა გერმანელი ოფიცერი 12 გერმანელი ჯარისკაცით სამხედრო
ტყვეებთაგან სადგურ ყარაკლისისა და რკინიგზის ხაზის დასაცავად. სხვა
გერმანელი ჯარისკაცები ორმოცი კაცის რაოდენობით იმყოფებიან სადგურ
სანაინში და მათაც მინდობილი აქვთ სადგურის დაცვა. გთხოვთ მაცნობოთ
რას მოასწავებს ასეთი დაცვა და როგორ მოვექცეთ ასეთ რაზმს.

ნაზარბეგოვი."[51]

ამ მომენტიდან, ე.ი. 1918 წლის 28 მაისიდან დაწყებული, ლორეს
რეგიონში ფაქტობრივი ქართული იურისდიქცია აღდგა. ასე, რომ სომეხი
ავტორის მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობა ლორეს რაიონის თურქთა მიერ
პყრობის შესახებ, მართებული არ არის. საეჭვოა, რომ ბატონ გრანტ

ავტისიანისათვის ეს ფაქტი არ იყოს ცნობილი, მაგრამ ჩვენის აზრით, იგი კიდევ ერთხელ, სპეციალურად ავრცელებს კარგად განსაზღვრულ დეზინფორმაციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წლის „12 თებერვალს, მოახდინეს რა 5 დივიზიისა და დამატებით ირეგულარული (ძირითადში ქურთთა ცხენოსანი) საჯარისო ნაწილების კონცენტრაცია, ოსმალეთის ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ და მოკლე ხანში დაიკავეს ერზინჯანი, არზრუმი, ტრაპიზონი, ყარსი, ართვინი, ბათუმი. ანუ, ბრესტის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიები. გარდა ამისა, მოახდინეს ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების, აგრეთვე ოზურგეთის ოკუპაცია, სადაც მათ მყარ დასაყრდენად ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობა დახვდათ".[52]

საერთო ჯამში, ოტომანთა იმპერიის მე–3 არმიის შენაერთების ძლევამოსილი შეტევითი ოპერაციის ფონზე, რომელსაც გენერალი მეჰმედ ვეჰიფ ფაშა, მოგვიანებით კი იაყუბ შევქი ფაშა და ნური ფაშა სარდლობდნენ, ოტომანთა მთავრობასა და საქართველოს, სომხეთის, აგრეთვე აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობებს შორის, 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის საზავო კონფერენციაზე ხელშეკრულება დაიდო საზღვრების დადგენაზე. თუმცა, ამ შეთანხმებაში საუბარი იყო ოსმალთა იმპერიასა და მთლიანად ამიერკავკასიის ფედერაციას შორის ახალი საზღვრების შესახებ და არა თურქეთსა და ამიერკავკასიის თითოეულ რესპუბლიკას შორის საზღვრების დადგენაზე.

საზღვრის საკითხი შეთანხმების II სტატიაში იყო წარმოდგენილი. ჩვენ ამ სტატიას სრულად მოვიყვანთ, იმდენად, რამდენადაც იგი ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია და ოსმალთა იმპერიასა და მთლიანად ამიერკავკასიას შორის იურიდიულად და ფაქტობრივად დაფიქსირებულ სახელმწიფო საზღვარს გამოსახავს 1918 წლის ივნის–ოქტომბრის პერიოდისათვის:

„ქვემოთ მოყვანილი სასაზღვრო ხაზი გამოყოფს ერთმანეთისაგან ოტომანთა იმპერიასა და საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. საზღვარი იწყება იქ, სადაც მდინარე ჩოლოქი უერთდება შავ ზღვას და ემთხვევა ოტომანტა იმპერიასა და რუსეთს შორის 1877 წლამდე არსებულ ძველ საზღვარს. შემდეგ იგი აღწევს შაენაბადას მთამდე და მთების მწვერვალების გავლით მიემართება ხალხამასა და მეფისწყაროს მთებამდე (1856 წლის საზღვრებით).

ამის შემდეგ იგი უხვევს სამხრეთისაკენ, გადის ფარსადალის მთის წვერზე აბასთუმნიდან სამხრეთით ორ კილომეტრზე, უხვევს ჩრდილო–აღმოსავლეთისაკენ და აღწევს კარხულდაღის მთას. აქედან, ჯერ 5 კილომეტრზე მიემართება ჩრდილო–აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ სამხრეთ–აღმოსავლეთით აღწევს გორკელს, აწყურიდან სამხრეთით 2 კილომეტრზე კვეთს მდინარე მტკვარს და ქაიბაშის, ორთათავის, ქარაიას მთის წვერების გავლით აღწევს ტაპისხორსკას (ტაბაწყურის – ა. ჩ.) ტბას და იქიდან

სამხრეთით გრძელდება მოლითის მონასტრამდე. საზღვარი ისე კვეთს ამ ტბას, რომ მოლითის მონასტრიდან უშუალოდ გავლებული სწორი ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები, რომლებიც ერთნახევარი კილომეტრით ჩამორჩება ტბის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილს, რჩება ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე. შემდეგ კი მიდის თავკოთელიის მთამდე.

აქ იგი უხვევს სამხრეთით და შავნაბადას, ყარაკუხუს, სამსარის მთიანი მასივის მწვერვალებზე გავლით, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და დევექერანის მთების წვერებზე გადის. შემდეგ მიემართება სამხრეთისაკენ და აჩრიკარის, ბაშრირანისა და ნურახმანის მწვერვალებზე გადის. ნურახმანის მთიდან მთის წვერებზე გავლით იგი გრძელდება სამხრეთისაკენ და ტფილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზს კვეთს სოფელ აღბულახიდან ხუთ კილომეტრზე.

აქედან სწორი ხაზით მიემართება ხანვალისაკენ, სადაც თითქმის სწორი ხაზით აღწევს ყველაზე მაღალ წერტილს ალაგეზს და ისევ სწორი ხაზით კვეთს ეჩმიაძინ–სარდარაბადის შოსეს, ეჩმიაძინიდან დასავლეთით 7 კილომეტრზე. შემდეგ იგი 7 კილომეტრზე გარს უვლის ამ ქალაქს და ალექსანდროპოლის–ჯულფას რკინიგზის ხაზის პარალელურად მიემართება რკინიგზის ხაზიდან 10 კილომეტრის დაშორებით და 16 კილომეტრში სამხრეთით ბაშკიარანთან კვეთს გზას, რომელიც აქედან რკინიგზისაკენ მიემართება. შემდეგ იგი უხვევს სამხრეთ–აღმოსავლეთისაკენ, 1 კილომეტრზე უვლის გვერდს სოფელ აშაღი–ყარაბაღლარს. შაბაღლუს, ყარაქაჩისა და აშაღი–ჩენაქიჯის გავლით აღწევს ელფინჩაის, რომელსაც მიყვება იგი არფამდე.

დაწყებული აქედან, იგი ემთხვევა მდინარე არფაჩაის კალაპოტს, მიდის ქაიალუმდე და მდინარე ქაის გასწვრივ აღწევს აღტაბანის მწვერვალს. შემდეგ იგი გრძელდება ყარათურნას, არაჯის, ყარაქლისის მთის წვერებზე, აღწევს ბელიონჩაის წყალგამყოფამდე, მიყვება მდინარის კალაპოტს, აღწევს სამხრეთით აზას, რომელიც რუსეთ–სპარსეთის ყოფილი საზღვრის ხაზზე მდებარეობს.

სასაზღვრო ხაზის საბოლოო დაზუსტება განხორციელება ადგილზე, ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისიის მიერ".[53]

როგორც ვხედავთ, საზავო მოლაპარაკებების შედეგად დადებულ ხელშეკრულების ძალით, საზღვრები ოტომანთა იმპერიასა და ცალკ–ცალკე ამიერკავკასიის ახლადგაჩენილ რესპუბლიკებს შორის არც მომხდარა, რაც არცაა გასაკვირი, რამეთუ ამიერკავკასიის ფედერაცია სულ რაღაც ერთი კვირის დაშლილი იყო. შეთანხმების III სტატიაში კი ნათქვამი იყო:

„საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრების დადგენისთანავე ეცნობება ოტომანთა საიმპერატორო მთავრობას და შედგენილი ოქმები ჩართული იქნება ამ შეთანხმების ტექსტში".[54]

საზავო მოლაპარაკებებზე მესამე მხარედ გერმანული სარდლობა იყო წარმოდგენილი გენერალ ფონ დერ ჰოლცის სახით. ამიერკავკასიის ახლად გაჩენილ რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო საკითხებზე მოლაპარაკებები და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მთელი 1918 წლის განმავლობაში აღარც განხორციელებულა. ასე, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში მათ შორის მხოლოდ დე ფაქტო საზღვრები იყო დაფიქსირებული.

აღნიშნული ხელშეკრულების დადებიდან სულ რაღაც ორ დღეში თურქულ მხარეს ახალი პრეტენზიები გაუჩნდა საქართველოს მთავრობის მიმართ. თურქული სამხედრო შენაერთების ელისავეტპოლისაკენ შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად, ყარაქილისა – დილიჯანი – ყაზახის მარშრუტზე გასასვლელად და რკინიგზით სარგებლობის საბაბით, თურქულმა მხარემ დამატებითი მოთხოვნები წამოაყენა ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილისა და ე.წ. „გატეხილი (წითელი) ხიდის" „დროებითი ოკუპაციის" თაობაზე.

ამ საკითხის გადაწყვეტისა და თურქული ექსპანსიის შემდგომი აღკვეთის საქმეში საქართველოს მთავრობამ შეძლო გერმანული მხარის მიმხრობა. გერმანული სარდლობისა და პირადად გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის მიერ თურქთა ეს მოთხოვნები გაზიარებულ არ იქნა. ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა გერმანული სარდლობისა და პირადად გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის კეთილგანწყობისა და სრული მხარდაჭერის მოპოვება, თვით სამხედრო მხარდაჭერის ჩათვლითაც კი.

ისტორიული ფაქტია, რომ ქართულ–გერმანულ ნაწილებსა და სახალხო გვარდიის რაზმებს გააფთრებულ ბრძოლაში ჩაბმა მოუწიათ თურქთა ახალი აგრესიის აღსაკვეთად ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში. მიუხედავად 4 ივნისს დადებული ხელშეკრულებისა, უ. ალენის მიხედვით:

„თურქთა შენაერთის მეთაურმა ვეჰიფ ფაშამ 10 ივნისს ალექსანდროპოლისის რეგიონში განლაგებულ თურქეთის მე–9 ქვეით დივიზიას საბრძოლო ბრძანება გასცა შეტევითი ოპერაციის დასაწყებად თბილისის მიმართულებით. 10 ივნისს თურქული მეწინავე ნაწილები საომარ მოქმედებებში ჩაერთვნენ ქართულ–გერმანულ ნაწილებთან ვორონცოვკასთან და ბორჩალოსკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის გასწვრივ. გერმანელთა ორი ასეული და კრესის მოხალისეები ქართველ გვარდიელებთან (Militiamen – ა. ჩ.) ერთად წინ აღუდგნენ თურქთა შეტევას".[55]

ამის შემდეგ ავტორი მეტად ორიგინალურად აგრძელებს თხრობას: „ხანმოკლე შეტაკებების შემდეგ თურქებმა უკან დაახევინეს გერმანულ–ქართულ ქვედანაყოფებს და გარკვეული რაოდენობის ტყვეებიც აიყვანეს. მომდევნო დღეს ამ „სკანდალურ ინცინდენტს" გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის ტელეგრამა მოჰყვა, სადაც ყველა გერმანული ქვედანაყოფისა და გერმანელი წარმომადგენლის თურქეთიდან გაწვევის შესახებ იყო ლაპარაკი. თურქებს უნდა შეეწყვიტათ თავიანთი შეტევა და

დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებიათ საბრძოლო მოქმედებების დროს აყვანილი ტყვეები".[56]

აქ ავტორი აშკარად ტენდენციურად მსჯელობს. იგი არაობიექტურად აშუქებს საბრძოლო მოქმედებების შედეგებს, თუმცა იმ პუნქტში, რომელიც გერმანელთა პროტესტს ეხება, იგი სიმართლეს წერს. მართლაც, გერმანელებმა ოფიციალური მოთხოვნა წაუყენეს თურქეთის მმართველ ტრიუმვირატს, ვეჰიფ ფაშას, ამ უმართავი და არაპროგნოზირებადი გენერლის სასწრაფოდ გადაყენების შესახებ, მისი აგრესიული მოქმედებებისა და 4 ივნისს დადებული საზაო ხელშეკრულების დარღვევის გამო. გერმანულმა სარდლობამ არ აპატია ვეჰიფ ფაშას ბათუმის კონფერენციის საზაო პირობების დარღვევა. ყოველივე ამის შედეგად, გენერალი ვეჰიფ ფაშა სასწრაფოდ გაიწვიეს კონსტანტინოპოლში, ხოლო იგი გენერალმა იაყუბ შევქი ფაშამ შეცვალა.

წითელ ხიდთან და ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში გამართული საბრძოლო მოქმედებების შესახებ სიმართლე ისაა, რომ გააფთრებული ბრძოლების შედეგად ქართულ–გერმანული საჯარისო ფორმირებების მიერ წარმატებით იქნა აღკვეთილი თურქული ნაწილების წინსვლა და ისინი სამხრეთისაკენ იქნენ გადასროლილი. ეს საბრძოლო ეპიზოდი ასე აქვს აღწერილი მის უშუალო მონაწილესა და ამ ბრძოლების გმირს, პორუჩიკ ვ. გოგუაძეს:

„თათრებს (თურქებს – ა. ჩ.) გაეძარცვათ ალავერდის ქარხანა და რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი მზადა ჰქონდათ წასაღებად. ყველა ნადავლი უკანა ჯავშნიანს ჩავაბარე და მე სანაინზე გავილაშქრე. სანაინზე 200 კაცი ტყვედ ავიყვანეთ და ეშელონს გავეკიდეთ. მათ ორთქლმავალი გაფუჭებოდათ და ამის შედეგად მათ სადგურ კობერთან დავეწიეთ. მე ბრძანება არ მქონდა კობერს იქით წავსულიყავი. ეშელონს ზარბაზანი ვესროლეთ და დავამტვრიეთ. ოსმალოს ჯარისკაცების ნაწილი ტყვედ წამოვიყვანეთ.

სანაინში ხელთ ვიგდეთ სურსათი და ცხენის ჯოგი. აქვე ვიშოვნეთ სარიკამიშიდან ჩამოტანილი ტელეფონისა და ტელეგრაფის აპარატები. ყოველივე ეს თბილისს გავაგზავნე ტყვეებთან ერთად. საღამოს ექვს საათზე სანაინში მოვიდა ჩვენი ჯარი. ჯავშნოსანმა სხვების დაუხმარებლად დაიცვა ოცდაათი ვერსის მანძილი. რკინის გზა ამ რაიონში გაყვანილია მდინარე დებედაჩაის პირზე და შეჭრილია კლდეებში. ამიტომ აქ ჯავშნოსანის მოქმედება ძალიან შეფერხებულია და ძნელი. ბორჩალოს მცხოვრებნი, ბერძნები და სომხები, გამარჯვებას გვილოცავდნენ და იარაღითაც გვეხმარებოდნენ მტერთან ბრძოლაში".[57]

სხვათა შორის, თურქთა წინააღმდეგ სანაინი–წითელი ხიდის რაიონში გამართულ ამ ბრძოლაში გერმანელი ჯარისკაცებიც დაიღუპნენ, რომლებიც სრული მხედრული პატივით იქნენ მიბარებულნი ქართულ მიწას.

რა თქმა უნდა, ამ საბრძოლო მოქმედებების შეფასებაში ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ვ. გოგუაძის აზრს, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი ქართველია და ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ წითელი ხიდი — სანაინის ბრძოლის შედეგები თავისთავად მეტყველებენ პორუჩიკ ვ. გოგუაძის მემუარების ობიექტურობაზე.

ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ ამ მარცხის გამო, თურქულმა ნაწილებმა უკან დაიხიეს და საბოლოო ჯამში მდინარე კამენკას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიები დაიკავეს, სახელდობრ — სოფლები: ნოვო–პოკროვკა, ჯალალ–ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანლური, კურტანი, დარა–ქენდი, შემდეგ ალექსანდროპოლისის რკინიგზის 117–ე ვერსი ქობერსა და ქოლაგერანს შორის, სოფელ მარცამდე და ლორუთამდე. ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე თურქთა აგრესია აღკვეთილ იქნა და შესაბამისად იგი ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა დაიკავეს, რომლებიც შემდეგ პუნქტებში განლაგდნენ: ვორონცოვკა, ალექსანდროვკა, აიდარბეკი, მღართი, ქობერის ასაქცევი, წათერი და ქორინჯი.[58] ამ ქართული საჯარისო ქვედანაყოფების საერთო მეთაურად პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე იქნა დანიშნული, ხოლო ქართველ მესაზღვრეთა რაზმის უფროსად — პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი.

საერთო ჯამში, 1918 წლის ივნისიდან საქართველო–სომხეთის ფაქტობრივი საზღვარი თბილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზის უბანზე, სადგურ ყარაქილისასა და შაღალის შუა მდებარე მეორე გვირაბთან დაფიქსირდა. „საქართველოს მთავრობამ გერმანიის მისიის უფროსს აცნობა, რომ მან განკარგულება გასცა ამიერკავკასიის ლიანდაგზე ტერიტორიის დაჭერისათვის, ბაქოსკენ, მტკვრის ხიდამდე სადგურ ფოილოს პირდაპირ და გუმბრის ლიანდაგზე გვირაბის შუამდე სადგურ კარაკლის და სადგურ შაგალის შუა. ყოფილი საქართველოს საზღვრებს რომ დავემყაროთ, აღმოსავლეთ მხრივ, რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატის ძალით საქართველოს საზღვრებს შეადგენს ის ადგილიც, რომელიც ზემოთ დასახელებულ ადგილებს იქით არის".[59]

რიჩარდ ოვანესიანის მიხედვით კი: „შერეული ქართულ–გერმანული სასაზღვრო საგუშაგოები განლაგდნენ შემდეგ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში: ვორონცოვკა, ჰაიდარბეკი, ალექსანდროვკა, წათერი, ქობერი და ქორინჯი. თურქთა მიერ დაკავებული ზოლი, ფაქტობრივად, მდინარე კამენკას მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა და მოიცავდა სოფლებს: ნოვო–პოკროვკა, ჯალალ–ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართაბლური, კურტანი და დარა–ქენდი, შემდეგ კი დასავლეთისაკენ სადგური ქობერი და დასახლებები — მარცი და ლორუთი".[60]

აი, ასეთი მდგომარეობა დამყარდა 1918 წლის ივნისის თვიდან ბორჩალოს მაზრაში, რომელიც ცხადია დროებითი ხასიათისა იყო და იგი რაიმე ფორმალური შეთანხმებით არ იყო განმტკიცებული. შექმნილი სიტუაციიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, ე.ი.

დამოუკიდებელი რესპუბლიკების გამოცხადების მომენტიდან, საქართველოს სომხეთთან, ფაქტობრივი, უშუალო საზღვარი არ ჰქონდა და იგი სომხეთის ტერიტორიისაგან გამოყოფილი იყო სწორედ იმ ვიწრო ზოლით, რომელიც თურქთა მიერ იქნა ოკუპირებული „ომის უფლებით".

ასეთი სურათი 1918 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებამდე იქნა შენარჩუნებული, ე.ი. მანამდე, სანამ თურქულმა მხარემ აღნიშნული რაიონის დაცლა არ დაიწყო საკუთარი სამხედრო ნაწილებისაგან. სწორედ ამ პროცესმა ითამაშა გარკვეული კატალიზატორის როლი სომხური საჯარისო ნაწილების შემდგომი აქტიურობის ზრდაზე.

საქართველოს მთავრობისა და მისი სამხედრო უწყების დანაშაულებრივი შეცდომა იყო ის ფაქტი, რომ ოქტომბრის დასაწყისისათვის სომხურმა ნაწილებმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაიკავეს ის ზოლი და დასახლებული პუნქტები, რომელიც ადრე თურქულ სამხედრო ქვედანაყოფებს ეკავათ. ფაქტობრივად, სომხური საჯარისო ნაწილები უშუალოდ მდინარე კამენკას მარჯვენა სანაპიროზე განლაგდნენ, ხოლო მათი მთავარი საველე შტაბი, ქალაქ ყარაქილისაში იქნა მოწყობილი. სოფელი ჯალალ–ოღლი, ისტორიული ქართული ლორე, დღევანდელი სტეფანავანი კი, საქართველოს წინააღმდეგ სომეხთა სამხედრო აგრესიის ერთ–ერთ მთავარ საყრდენ პუნქტად იქცა ჩრდილოეთის მიმართულებაზე.

საერთო ჯამში, საომარ მოქმედებათა თეატრებზე, სომხეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების საჯარისო ნაწილების სტრატეგიული გაშლის კუთხითაც, ფაქტიურად იგივე მდგომარეობა იყო, რაც საომარი მოქმედებების დაგეგმვის ან სამზადისის თვალსაზრისით. ჯარების საბრძოლო გაშლის საკითხი პირდაპირ მიზეზ–შედეგობრივ კავშირშია ზემოთ დასახელებულ საკითხებთან.

სომხეთ–საქართველოს ომის მიმდინარეობისას, როგორც აღვნიშნეთ, სომხური საჯარისო ნაწილების მთავარი საველე შტაბი ყარაქილისაში იქნა მოწყობილი. მთავარსარდლის მოვალეობას ფაქტობრივად გენერალ დრასთამატ კანაიანი–დრო ასრულებდა, რომელიც ამავე დროს დილიჯან–ლორეს მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას სარდლობდა, თუმცა ნომინალურად ამ სამხედრო ოპერაციას სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის მე–2 მსროლელი დივიზიის მეთაური, გენერალ–მაიორი მოვსეს სილიკოვი ხელმძღვანელობდა. გენერალ დროს არმიის საველე შტაბის უფროსის თანამდებობა კი რუსეთის კავკასიის არმიის ყოფილ ოფიცერს, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკ შნეურს ეკავა. სომხური საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობაზეც, ასევე, რუსეთის კავკასიის არმიის ყოფილი ოფიცერი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი მატვეევი იყო.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული დაშნაკური აგრესიის ავანგარდში სომხეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი კონტინგენტი – 1–ლი, მე–4 მე–5, მე–6 მსროლელი პოლკები, ასევე სომხური კორპუსის

ცხენოსანი ბრიგადის გარკვეული ესკადრონები იყო მობილიზებული. გარდა ამისა, სომეხ მოხალისეთა და „ოპოლჩენიის" საბრძოლო რაზმები.

ჯერ კიდევ სექტემბრის თვიდან ბორჩალოს მაზრის ქვემო ნაწილის სომხურ სოფლებში დაიწყო ადგილობრივი სამხედრო, ე.წ. „ოპოლჩენიის" შტაბების ჩამოყალიბებაც, რომელთა ოპერატიული მართვა მთავარი საველე შტაბიდან ხორციელდებოდა. ამავე დროს, ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე სომეხთა მიერ ქართული მხარის ზურგში შექმნილ იქნა ძლიერი საყრდენი პუნქტები შემდეგ სოფლებში: სომეხთა შეტევის მარჯვენა ფრთაზე – უზუნლარი, ახპატი, შულავერი. მარცხენა ფრთაზე – ჯალალ–ოღლი, ბოლნის–ხაჩინი, დაღეთ–ხაჩინი. ახალქალაქის მიმართულებაზე, გასაგები მიზეზების გამო, სომხებს ასეთი საყრდენი პუნქტები ქართული მხარის ზურგში არ გააჩნდათ.

საომარ მოქმედებათა საწყის ეტაპზე დაპირისპირებულ მხარეთა ძალების სტრატეგიულ გაშლას შემდეგი სახე ჰქონდა:

„ომის დაწყებამდე სომხებს ეჭირათ ორი ქედი: ბამბაკისა და ბეზობდალისა და აგრეთვე მცირე ნაწილი ლორეს მინდერებისა, მდინარე ყარაქილისა და კამენკას მარჯვენა ნაპირი. უპირატესობა მათ მხარეზე იყო. მათ ეჭირათ ჩრდილო ფერდობები ბეზობდალისა და ზედ საზღვრებზე მშენიერი ბაზები ჯალალ–ოღლი, გერგერი და ყარაქილისა, რომელიც დიდი ხანია მოამზადა რუსეთმა ოსმალეთთან საომრად. მაგრამ მათი მთავარი უპირატესობა მათ მომზადებაში და ჩვენს მოუმზადებლობაში იყო.

გარდა ამისა, რადგან ჩვენ ზედ საზღვარზე არ გვქონდა ყაზარმები, ამიტომ ჩვენი ჯარის ერთი ნაწილი იძულებული იყო ჩამძვრალიყო სანაინის ხეობელში, ხოლო მეორე ნაწილი დაბანაკებულიყო აქეთ 20–25 ვერსზე ეორონცოვკასა და პრივოლნოეში. როგორც ჩანს, ჩვენ მდინარე კამენკაზე დარაჯებიც არ გვყოლია".[61]

როგორც ვხედავთ, ძალების სტრატეგიული გაშლის კონტექსტში, ქართველებს გაცილებით უარესი და შეიძლება ითქვას, უიმედო მდგომარეობა ჰქონდათ, ვიდრე სომხებს. ფაქტია, რომ ქართული მცირერიცხოვანი საჯარისო ფორმირებების ამ რაიონში თავმოყრასა და დისპოზიციას სიმბოლური და ფორმალური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე რეალური. აქედან გამომდინარე, სომხებთან ფაქტობრივ საზღვარზე თავმოყრილი ქართული მხარის საჯარისო ქვედანაყოფები ყოველმხრივ მოკლებული იყვნენ მათ წინაშე დასმული სამხედრო–პოლიტიკური ამოცანის რეალიზაციის შესაძლებლობას.

ქართული მხარის მიერ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როცა ქართული საჯარისო ქვედანაყოფები არა ყაზარმებსა და სპეციალურ სადგომებში, არამედ პირდაპირ სომხური სოფლების მოსახლეობაში განათავსა, რითაც სომხურ მხარეს დიდი პროვოკაციების დაგეგმვის შესაძლებლობა მიეცა. ერეზო გაბაშვილი აღნიშნავდა: „მთავრობას ჯარიც კი გაუგზავნია საზღვარზე, მაგრამ ბ–ნ აკაკი ჩხენკელს, – დიპლომატობის გარდა სტრატეგობაც

უკეთესად რომ ეხერხებოდა, — მთავარსარდლის განკარგულება: „ერ
მუშტად ჯარის ყოლა", დაურღვევინებია: „სოფელ—სოფელ ჩააყენეთ პატარ
პატარა ნაწილები, აჯანყება არ მოხდეს სადაო(?) ზონაში"—ო. თუმც
მთავარსარდალი ღენერალი ოდიშელიძე იყო, აკაკის ამხანაგურა
დაურწმუნებია „რევოლუციონერი ღენერალი", დუშეთის გმირი, იოს
გედევანიშვილი და ჯარი გაუფანტიათ".[62]

ქართული შეიარაღებული ძალების მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები კ
განლაგებულნი იყვნენ ძირითადში რკინიგზის სადგურ სანაინში დ
მესაზღვრეთა უმნიშვნელო რაზმი ვორონცოვკასა და პრივოლნოეში
საგუშაგოებით მდინარე კამენკას მარცხენა ნაპირის მხარეს და არა მი
გასწვრივ, აგრეთვე გერმანელთა უმნიშვნელო, მაგრამ მაღალორგანიზებულ
სასაზღვრო საგუშაგოები თბილისი—ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზი
117—ე ვერსზე, ქობერი—ქოლაგერანის უბანსა და მიმდებარე სოფლებში
ქართული სამხედრო გარნიზონის შტაბი სადგურ სანაინში იქნა მოწყობილი.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე, 1918 წლის სექტემბერ—
ოქტომბრის მდგომარეობით ქართული ქვედანაყოფების რიცხოვნობ
ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში ცნობილია — *ფაქტიურად, ერთი გაშლილ
ასეული სანაინის უბანზე და ორი სრული ოცეული ვორონცოვკაში,* გენერალ
ციციშვილის მეთაურობით. ამ მონაცემების ჭეშმარიტებას ჩვენ ქვემოთ,
შესაბამის თავში დავამტკიცებთ უტყუარი საარქივო ოპერატიულ
დოკუმენტაციის წარმოდგენით.

ასეთი იყო სომხური მხარის ძალების სტრატეგიული გაშლა 1918 წლის
ოქტომბრისათვის, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, სანაინი—ვორონცოვკა
უბანზე. ბოლომდე კორექტულები რომ ვიყოთ, დაშნაკური აგრესიის შესაძლო
სცენარების არარსებობის გამო, საერთო ჯამში, ქართული მხარის ძალების
სტრატეგიულ გაშლაზე საუბარი ცოტა გადაჭარბებულიც კია. როგორც
ვხედავთ, ამ მაჩვენებლით სომხური მხარე აბსოლუტურ უპირატესობას
ფლობდა ქართულთან შედარებით. ასე, რომ მორიგი სომხური მითია, ერთის
მხრივ სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების
მცირერიცხოვნობასა და მეორეს მხრივ, ქართველთა მრავალრიცხოვნობასა და
საომარ მზადყოფნაზე აპელირება. ესეც იმ მკვლევართა პროფესიულ
სინდისზე იყოს.

თავი IV

§1. გამოუცხადებელი ომის დასაწყისი და საბრძოლო მოქმედებების პირველი ეტაპი.

არა თუ საზოგადოების ფართო ფენებში, არამედ ისტორიის სპეციალისტთა წრეებშიც დამკვიდრებულია აზრი, რომ სომხეთ–საქართველოს ომის დაწყების თარიღი – 1918 წლის 9 დეკემბერია. თარიღი, როცა სომხეთის შეიარაღებული ძალების საჯარისო ნაწილებმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა მასირებული იერიში მიიტანეს უზუნლარი–სანაინის რაიონში განლაგებულ ქართულ სასაზღვრო საგუშაგოებსა და საჯარისო ქვედანაყოფებზე.

გამოკვეთილად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით ამ ომის უშუალო მონაწილე ქართველ გენერალთა და ოფიცერთა მემუარებში სომხეთ–საქართველოს ომთან მიმართებაში იმდენად დამახინჯებულად და არასწორადაა წარმოდგენილი ისტორიული თარიღები და ფაქტები, რომ ისინი ძნელად ასახსნელთა კატეგორიას განეკუთვნება. მაგალითად:

პორუჩიკი ვალოდია გოგუაძე: *„1919 წელს, ქრისტეშობისთვეში,* სომხებმა ომის გამოუცხადებლად შემოგვიტიეს და რუს თეთრგვარდიელთა დახმარებით ჩვენს მცირერიცხოვან ძალებს სძლიეს და ბორჩალოს მაზრა დაიკავეს...".[1]

პოლკოვნიკი ვალიკო თევზაძე: *„1918 წლის დამდეგს (თარიღი არ მახსოვს)* სრულიად მოულოდნელად სომხეთის ჯარი შემოიჭრა ბორჩალოს მაზრაში და დაგვიწყო ომი".[2]

გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე: *„თხუთმეტ დეკემბერს ღამე,* სომხები მოულოდნელად თავს დაესხნენ ღენ. წულუკიძის მცირე რაზმებს".[3]

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ ავტორებთან ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით სულ სხვადასხვა ცნობებია წარმოდგენილი. ჩვენ გადაჭრით არ ვეთანხმებით ზემოთ წარმოდგენილ ცნობებს და არც 1918 წლის 9 დეკემბრის მითითებაა მართებული ომის დაწყების ზუსტ თარიღად, რამეთუ, სომხეთ–საქართველოს ომი გაცილებით უფრო ადრე, კერძოდ 1918 წლის ოქტომბერში, უფრო ზუსტად კი 18 ოქტომბერს, ე.ი. ზემოთ ხსენებულ თარიღზე თითქმის თვენახევრით ადრე დაიწყო. დაიწყო მაშინ, როცა სომხეთის რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებმა და საბრძოლო რაზმებმა პირველად გადმოლახეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფაქტობრივი საზღვრები და მისი გარკვეული ტერიტორიების ანექსია მოახდინეს.

სომხეთ–საქართველოს ომის დასრულების თარიღათაც, რატომღაც 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათია მიჩნეული. თარიღი, როდესაც სომხეთ–საქართველოს საომარ მოქმედებათა ფრონტებზე ცეცხლი შეწყდა. აქაც არსებითი შეცდომაა დაშვებული.

საზოგადოდ, ომი არ გულისხმობს ამა თუ იმ სახელმწიფოებს შორის მხოლოდ შეიარაღებულ დაპირისპირებას საომარ მოქმედებათა ფრონტებზე. ომი სახელმწიფოებს შორის არსებული რთული, მრავალასპექტიანი მტრული დამოკიდებულებაა, რომელიც შეიარაღებული აგრესიის ფონზე ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიით, ან ომის ოფიციალური გამოცხადებით იწყება და საბოლოოდ ამ სახელმწიფოთა შორის გარკვეული იურიდიული შეთანხმების გაფორმების გზით სრულდება. ასე, რომ ცეცხლის შეწყვეტა სულაც არ ნიშნავს ომის დასასრულს. ომის დასრულების იურიდიული დასტური შეიძლება იყოს დროებითი ზავის დადება, სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება, ან კაპიტულაციაზე ხელის მოწერა.

ამ მიმართებით აღვნიშნავთ, რომ მართალია, პირდაპირი, ღია საომარი მოქმედებები სომხეთისა და საქართველოს შეირაღებულ ძალებს შორის მართლაც 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათზე შეწყდა, მაგრამ სომხეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას საბოლოოდ მხოლოდ 1919 წლის 17 იანვარს მოეწერა ხელი. სწორედ ეს თარიღია სომხეთ—საქართველოს შორის ომის დასრულების ერთადერთი იურიდიულად სწორი თარიღი. მაშასადამე, სომხეთ—საქართველოს შორის წარმოებული ომის პერიოდია — „1918 წლის 18 ოქტომბერი — 1919 წლის 17 იანვარი".

სომხეთ—საქართველოს შორის წარმოებული ომის საერთო მსვლელობა, სამხედრო—პოლიტიკური და ოპერატიული თვალსაზრისით, პირობითად, ოთხ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ:

I ეტაპი. საბრძოლო მოქმედებები ოქტომბრის თვეში.

II ეტაპი. დროებითი ზავის ჩამოგდება და სომხეთ—საქართველოს დიპლომატიური ომი.

III ეტაპი. საომარი მოქმედებები 6 დეკემბრიდან სადახლოს პირველი ბრძოლების ჩათვლით.

IV ეტაპი. შეიარაღების ოპერაცია და ცეცხლის შეწყვეტა.

უტყუარ პირველწყაროებზე დაყრდნობით, ჩვენ სრულად წარმოვაჩენთ და გავაანალიზებთ სომხეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე ომის პრაქტიკულად ყველა ასპექტს.

სომხეთ—საქართველოს ომის დაწყების თარიღი ზუსტად არის დაფიქსირებული საარქივო დოკუმენტებში — 1918 წლის 18 ოქტომბერი. ამ დროს კი საქართველოს დედაქალაქში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, მსგავსს არაფერს ელიან და ყოველდღიურობას მოუცავს არა მარტო სამოქალაქო საზოგადოება, არამედ ქართული პოლიტიკური ელიტა და სამხედრო უწყებაც კი. ქართველი ხალხი მოთმინებითა და მომავლის დიდი იმედით ეწევა ყოველდღიური ცხოვრების მძიმე რუტინას და სომხებიც, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გაღმა მცხოვრებნი, კეთილისმყოფელებად, ნათესავებად და ძმებად მიაჩნიათ ისევ. დაშნაკთა მიერ კი კარგად, დეტალებშია დაგეგმილი როგორც სამხედრო—პოლიტიკური, ასევე

სამოქალაქო–პოლიტიკური ურთიერთობების მთელი სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში.

ძნელია შემთხვევითობას მიეწეროს ის ფაქტი, რომ სწორედ 1918 წლის 16 ოქტომბრისათვის ახსენდება სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელს საქართველოში, ბატონ არშაკ ჯამალიანს ქართველების ის დიდი დამსახურებები და მადლი, რაც მათ გასწიეს ბაქოში, სომეხი ეროვნების მოქალაქეთა მიმართ, როდესაც სომეხთა მართლაც მნიშვნელოვანი ნაწილი იქნა შეფარებული და გადარჩენილი ქართველთა მიერ. ეს ამბები იქ ერთი თვის წინ დატრიალდა და იგი შესაბამის თავში გეკონდა დაწვრილებით განხილული.

ვერაფრით ვერ მივაწერთ შემთხვევითობას ან უნებურ დამთხვევას აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ზუსტად 1918 წლის 18 ოქტომბერს, თბილისში, სომეხთა ეროვნული საბჭოსა და სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობის ინიციატივით იმართება ,,სომხის მოღვაწის, ტიგრან ნაზარიანის სალიტერატურო–საესტეტიკო სალონი, რომელსაც შეუსრულდა მე–12 წლისთავი დაარსებიდან". რომელი მესროპ მაშტოცი, ანდა კირაკოს განძაკეცი იყო ვინმე ტიგრან ნაზარიანი, ან 12 წლისთავი რომელი მრგვალი, საიუბილეო თარიღი იყო, რომ ისეთი წარმომადგენლობითი და პომპეზური საღამოს გამართვის საფუძველს იძლეოდა, რის შესახებაც რესპუბლიკის იმდროინდელი პრესა გვამცნობს:

,,საღამოზე მოწვეულ იყვნენ გარდა სალიტერატურო–საესტეტიკო სალონის მუდმივ წევრებისა, საქართველოს პარლამენტის ფრაქციები, მინისტრები, მთავრობის თავმჯდომარე, ქართული უნივერსიტეტის პროფესორები, საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭო მთელი შემადგენლობით, დიპლომატიის წარმომადგენლები, მეცნიერები, ქართულ და სომხურ კულტურულ–საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ქალაქის თავი, ფრაქციები და სხვა. სომხეთის დიპლომატიური რწმუნებული ა. ჯამალიანი სომხეთისა და მისი დიპლომატიური წარმომადგენლების მხრით მიესალმა საქართველოს და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო და სომხეთი, რომლებსაც 20 საუკუნის განმავლობაში ერთმანეთთან ომები არ ჰქონდათ, რაც იშვიათი მოვლენაა ერების ისტორიაში, ამიერიდანაც თანხმობით იცხოვრებენ".[4]

ძნელია მშვიდად წაიკითხოს კაცმა ეს ინფორმაცია და მითუმეტეს ძნელია ბატონ არშაკ ჯამალიანის გამოსვლის უკომენტაროდ დატოვება. ამ გამოსვლაში ჯამალიანის მხრიდან ფარული ირონია და ნიშნის მოგება უფრო იგრძნობა, ვიდრე გულწრფელი სურვილები. და თუ საქართველო–სომხეთს შორის 20 საუკუნის განმავლობაში ომები არ ყოფილა, ეს უპირველეს ყოვლისა ქართველი კაცის დიდბუნებოვნების შედეგია. მთავარი მიზეზი კი ისაა, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ დაწყებული არაბთა ბატონობის ხანიდან, სომხებს თავისი ერთიანი სახელმწიფოებრიობა ამიერკავკასიაში, როგორც ასეთი, 1918 წლამდე აღარც ღირსებიათ. რაც შეეხება ჯამალიანის

აზრს, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრების 20 საუკუნოვანი პერიოდი იშვიათ მოვლენაა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში — ნამდვილად მართალია დავამატებდით, რომ არა თუ იშვიათი, ნამდვილად არარსებული მოვლენა მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში.

რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთს შორის წარმოებულ ომებს. ეს საკითხი ჩვენ ზემოთ გვქონდა უკვე განხილული. სომხეთ—საქართველოს შორის წარმოებულ ომებზე რომ არ ჰქონოდა წარმოდგენა ბატონ ჯამალიანს, ვერ დავიჯერებთ. ქართველებისაგან განსხვავებით, სომხებს ყოველთვის კარგად ახსოვთ და იციან თავისი ქვეყნის რეალური ისტორია. სომეხთა მიერ სწორედ სომხეთის რეალური ისტორიის ცოდნაა იმის ერთ—ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზი, რომ დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით თხზან სომხებმა და სომხეთის შესახებ ახალ—ახალი, არარსებული, მოგონილი, შელამაზებული და ფანტასტიკური ისტორიები.

ეჭვს გარეშეა, რომ მშვიდობის მტრედად მოვლენილი არშაკ ჯამალიანი, იმ საღამოს, 1918 წლის 18 ოქტომბერს, ნამდვილად იყო ინფორმირებული საქართველოს თავს დატეხილ უბედურებაზე, მაგრამ იგი ცრუობდა. ცრუობდა აშკარად და უმოწყალოდ, ცრუობდა ცინიკურად და არა პირველად და არა უკანასკნელად, რასაც ჩვენ ქვევითაც ვაჩვენებთ არაერთხელ.

კიდევ უფრო გამაოგნებელია იმ მადლიერების გამომხატველი წერილის ტონი, რომლითაც ბატონი ჯამალიანი მიმართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ აკაკი ჩხენკელს 16 ოქტომბერს, ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე, ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ ბაქოს ამბებთან დაკავშირებით:

„16. 10. 1918. თქვენო უსათნოესობავ, ბატონო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარევ,

იმ მძიმე და საზარელ დღეებში, როცა ქალაქ ბაქოში ადგილი ჰქონდა სისხლიან ვაკხანალიას, რომელმაც ათი ათასობით მშვიდობიანი სომეხის სიცოცხლე შეიწირა, საქართველოს მოქალაქეებმა გამოიჩინეს რა უდიდესი კაცთმოყვარეობა და ჰუმანურობა, მრავალი სომხური ოჯახი გდაარჩინეს განადგურებას. იმ ერთეული სომხების სიტყვებით, არა მარტო ბაქოს ქართველთა საბჭოს წევრები, არამედ ცალკეული ქართველებიც უმაგალითო სიმტკიცესა და თავგანწირვას იჩენდნენ სისხლისაგან გამხეცებული ბანდების წინაშე.

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, დარწმუნებული იყოთ ჩემს თქვენდამი აბსოლუტურ და გულწრფელ ერთგულებაში".[5]

როგორც ვხედავთ, იმ დიდი სისხლიანი წარმოდგენისათვის, რასაც სულ მალე დაერქმევა სახელად სომხეთ—საქართველოს ომი, შექმნილი პრელუდია შესანიშნავია. საქართველო—სომხეთის საზღვარზე დატრიალებულ ამბებს დაწვრილებით განვიხილავთ. საარქივო მონაცემებისა და სხვა უტყუარი დოკუმენტური მასალების საფუძველზე, ჩვენ ქრონოლოგიურად, წუთების

სიზუსტით წარმოვადგენთ და გავაანალიზებთ იქ შექმნილ ოპერატიულ ვითარებას.

პირველი მოკლე, ოფიციალური შეტყობინება ქობერის ასაქცევზე (რაზიეზდზე) სომეხთა რაზმების თავდასხმის შესახებ, საქართველოს მთავრობამ რკინიგზის სადგურ სანაინის უფროსის, ყიასოვის (ყიასაშვილი) ხელმოწერით მიიღო 1918 წლის 18 ოქტომბერს.[6]

არქივში დაცულ და ჩვენს მიერ მოპოვებულ სომეხთა აგრესიის შეტყობინების პირველ დოკუმენტს კი რაიონის მილიციის უფროსის, კრავჩენკოს ხელმოწერით შემდეგი სახე ჰქონდა:

„შიფროგრამა №496. სანაინიდან. 19. 10. 1918. 6 საათი და 30 წუთი. სამხედრო. ექსტრენული.

თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაცალეს საქართველოს ტერიტორიები ქობერიდან შაღალიმდე და ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერიტორიებს იკავებენ სომხეთის ჯარები, კერძოდ კი, I–ლი და მე–4 მსროლელი პოლკები. გერმანელებმა მოსთხოვეს მათ საქართველოს ტერიტორიების დაცლა, მაგრამ ეს მოთხოვნები არ სრულდება. გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები საქართველოს საზღვრების დაცვისათვის შესაბამისი შეიარაღებული ძალებით. აგრეთვე უნდა მოხდეს მილიციის შტატების გაძლიერება. დამატებით საჭიროა რკინიგზის უბნის მიმღები კომისიის დანიშვნა.

კრავჩენკო".[7]

სანაინში კი, თავისთავად ცხადია, განთავსებული იყო ქართული საბაჟო, რაც კიდევ ერთი დასტურია აღნიშნული ტერიტორიების ქართული სახელმწიფოსადმი კუთვნილებისა. სანაინის საბაჟოს უფროსად ბატონი ზაქარია თუშაბრამიშვილი სულ რაღაც ორი კვირის დანიშნული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინფორმაციული უზრუნველყოფის მხრივ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ დაპირისპირების სასწრაფოდ ამოსაწურად მის პირველ ეტაპზე. ხსენებულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის ბრძანებას შემდეგი სახე ჰქონდა:

„საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობის–მრეწველობის მინისტრის ბრძანება №6. ქ. ტფილისი.

გადაეყვანილ იქმნას სანაინის საბაჟოში: დროებითი აღმასრულებელი სანაინის საბაჟოს გამგის თანამდებობისა, ლაგოდეხის საბაჟოს გამგის თანაშემწე ზაქარია თუშ–აბრამიშვილი – გამგედ 1 ოქტომბრიდან.

მთავარი საბაჟოს გამგე ბ. მიქაძე. მინისტრი კანდელაკი".[8]

იმავე დღეს, ოდნავ მოგვიანებით, სანაინიდან კიდევ იგზავნება დამატებითი შიფროგრამა:

„შიფროგრამა №493. 19. 10. 1918. საიდუმლო. უაღრესად სასწრაფო. სანაინიდან. ტფილისი. მთავარი საბაჟოს მმართველს. გადაცემის დრო 10 საათი და 10 წუთი. მიღების დრო 10 საათი და 45 წუთი.

მდგომარეობა სერიოზულია. 18 ოქტომბერს, ჩვენი ტერიტორიები ქობერის რაზიეზდიდან სასაზღვრო ხიდამდე და სანაინის მიმდებარე მიდამოები დაკავებულია სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებით, კერძოდ 1–ლი და მე–4 მსრულელი პოლკების ძალებით. გუშინ ადგილობრივმა გერმანულმა ხელისუფლებამ ულტიმატიური ფორმით მოთხოვა მათ საქართველოს ტერიტორიების დაცლა 19 ოქტომბრის საღამოს 7 საათამდე. მიუხედავად ამისა, თურქების წასვლის გამო მიმდინარეობს სომხური ქვედანაყოფების გადმოჯგუფება როგორც საზღვრის აქეთა მხარეს, ასევე საზღვრის აქეთა მხარეს. ალექსანდროპოლისამდე ტერიტორია თითქმის დაცლილია თურქებისაგან. შექმნილი სიტუაციით აღშფოთებული გერმანული რაზმის უფროსი და სადგურ სანაინის კომენდანტი საკმარისი ძალების არქონის გამო მთხოვენ მე, რათა მათი უფროსობის წინაშე დავაყენო შუამდგომლობის საკითხი სასაზღვრო ძალების ან რაიმე სხვა რეალური ძალების სასწრაფოდ გამოგზავნის შესახებ, ჩვენი ტერიტორიების დასაცავად. სასწრაფოდ გადმომეცით პასუხი პირდაპირი ხაზით ადგილობრივი გერმანული ხელისუფლებისათვის მოსახსენებლად".

თუშაბრამიშვილი. დაცვის უფროსი, ლეიტენანტი გიუნტერი. სადგურ სანაინის კომენდანტი, ლეიტენანტი შეინი."[9]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული შიფროგრამა ადგილობრივი საბაჟოს უფროსისა და გერმანელი ოფიცრების ხელით იგზავნება თბილისში. ეს არცაა გასაკვირი, რამეთუ, თურქებთან და გერმანელებთან მიღწეული შეთანხმებით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უშუალოდ სასაზღვრო ზოლზე, სადგურ ქობერთან, ქართული შეიარაღებული ძალები არ იდგა და სასაზღვრო ძალების ფუნქციას საქართველოს მხრიდან, ქობერში განლაგებული გერმანული ქვედანაყოფები ასრულებდნენ. შაღალიდან თურქული ნაწილები იდგნენ „ომის უფლებით". სომხეთის შეიარაღებული ძალების რეგულარულმა ნაწილებმა, კერძოდ, 1–ლი და მე–4 მსროლელი პოლკების ქვედანაყოფებმა 1918 წლის 18 ოქტომბერს ყოველგვარი გაუფრთხილების გარეშე გადმოლახეს საქართველოს დე ფაქტო სახელმწიფო საზღვრები და მისი გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს. საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო აგრესიას ჩვენთვის კარგად ცნობილი ოდიოზური ფიგურა, სომეხთ ლეგენდარული გმირი, გენერალი დრასთამატ კანაიანი – დრო ხელმძღვანელობდა.

19 ოქტომბერს სომხეთის საქმეთა რწმუნებულს საქართველოში, ჯამალიანს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი საპროტესტო, №4303 ნოტა გადაეცა:

„საქართველოს მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ 18 ოქტომბერს სომხეთის რეგულარული ჯარი ნაწილების, კერძოდ კი 1–ლი და მე–4 პოლკების მიერ დაკავებულ იქნა ტფილისის გუბერნიის ნაწილი, კერძოდ ტრიტორია ქობერის რაზიეზდიდან სასაზღვრო ხიდამდე და სანაინის მიმდებარე რაიონი. საქართველოს მთავრობა ყოველთვის მზადაა ერთობლივი

შეთანხმების საფუძველზე მოაგვაროს მეგობრულ სომხეთთან საზღვრების საკითხი. ამასთან ერთად, ვაცხადებთ, რომ სანამ ეს შეთანხმება არ მოხდება, სომხეთის სამხედრო ნაწილების შემოსვლა ტფილისის გუბერნიის საზღვრებში საქართველოს მთავრობის მიერ განიხილება როგორც სომხეთის მხრიდან აშკარად მტრული ნაბიჯი.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გვარჯალაძე. კანცელარიის დირექტორი, ლორთქიფანიძე".[10]

სანაინიდან გამოგზავნილ შიფროგრამებში აქ უკვე გარკვეულ წყვეტასა აქვს ადგილი, რამეთუ ქრონოლოგიურად არსებული შემდეგი შიფროგრამა №512–ის შინაარსიდან ჩანს, რომ ამ შიფროგრამის გაგზავნამდე, ე.ი. 19 ოქტომბრის 22 საათსა და 15 წუთამდე, უკვე იყო გაგზავნილი სანაინში საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბიდან მოთხოვნა შექმნილ სიტუაციაზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის შესახებ. №512 შიფროგრამას კი შემდეგი სახე ჰქონდა:

„შიფროგრამა №512. სანაინიდან. 19. 10. 1918. გაგზავნის დრო 22 საათი და 15 წუთი. მიღების დრო 23 საათი და 15 წუთი. სამხედრო. ექტრენული. რიგგარეშე.

თქვენი შიფროგრამის პასუხად, გთხოვთ მოახსენოთ სამხედრო მინისტრს შემდეგი: დღეს, 19 ოქტომბერს, 14 საათზე რკინიგზის სადგურ ქობერის მოხელეებისაგან მივიღე ორი შეტყობინება, რომ სომხურმა შეიარაღებულმა რაზმმა 3 ოფიცრისა და 20 ჯარისკაცის შემადგენლობით დაიკავა სადგური ქობერი. სიტუაციაში გასარკვევად რკინიგზისა და საბაჟოს მოსამსახურეებთან ერთად მატარებლით გავემგზავრეთ ქობერის მიმართულებით.

1. ქობერის გვირაბამდე, შუქნიშანთან, მატარებელი გაჩერებულ იქნა შეიარაღებული სომხების მიერ.
2. ახსნა–განმარტებისათვის გამოძახებულმა ოფიცერმა განაცხადა, რომ მათ მიღებული აქვთ ბრძანება თავისი რაზმით დაიკავონ რკინიგზის ხაზი სადგურ ქოლაგერანიდან სადგურ ქობერამდე. სხვა ახსნა–განმარტება მას არ მოუცია და არ მიჰასუხა აგრეთვე კითხვაზე, ნიშნავს თუ არა სომხეთის შეიარაღებული ძალების შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე ომის გამოცხადებას.
3. ხვალ, 20–ში ახსნა–განმარტებისათვის ველოდები ქოლაგერანის რაზმის უფროსს.
4. ქორინჯიდან დაბრუნებულმა ლეიტენანტმა კუშელმა მომახსენა, რომ ლეიტენანტ გიუნტერის გუშინდელი ულტიმატუმის შემდეგ სომხური ქვედანაყოფების მიერ 19 საათისათვის ქორინჯი დაცლილია.
5. ქორინჯში დატოვებულია გერმანული საგუშაგო ერთი უნტერ–ოფიცრისა და შვიდი ჯარისკაცის შემადგენლობით.
6. ამრიგად, სომხური ქვედანაყოფების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებულია რკინიგზის ხაზი ქობერის გვირაბის

ჩათვლით, ყველა მიმდებარე სიმაღლე რკინიგზის ორივე მხარეს და სოფელი წათერი.

7. სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილია. მატარებლები ვერ მიდიან სადგურ ქობერამდე, რადგან მათ შეიარაღებული სომხები აჩერებენ.
8. ჩვენი მხლებელი პირნი სადგურ ქობერში არ იქნენ დაშვებულნი. ვორონცოვკასთან კავშირი გაწყვეტილია. არა გვყავს საკმარისი ძალები სხვა სასაზღვრო ობიექტებსა და სოფლებში სიტუაციის დასაზვერად.
9. სანაინში ამჟამად იმყოფება ლეიტენანტი კუშელი, 14 გერმანელი ჯარისკაცი და 4 მილიციონერი, მეთაურთან ერთად.
10. მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით მოგახსენებთ დაუყოვნებლივ.

შეინი, თუშაბრამიშვილი".[11]

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია. ფაქტიურად ერთი დღე-ღამის განმავლობაში სომხურმა ქვედანაყოფებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ზონა შაღალიდან ქობერამდე. ეს კი არც მეტი, არც ნაკლები 20 კილომეტრიანი ზოლია. რაც შეეხება შიფროგრამის მე-4 პუნქტს, აქ ცხადია სომხებმა მხოლოდ ტაქტიკური სვლა გააკეთეს და დროებით დათმეს ქორინჯი. ამ დღესვე, 1918 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის მიერ სომხეთის რწმუნებულს, ბატონ ჯამალიანს ოფიციალური საპროტესტო ნოტა წარედგინა სომხური შეიარაღებული ძალების აგრესიულ ქმედებებთან დაკავშირებით.

20 ოქტომბრის დილას სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის (გენერლების – ალექსანდრე და იოსებ გედევანიშვილების ძმა) მიერ სანაინში შემდეგი სახის შიფროგრამა იგზავნება.

„შიფროგრამა №7. სანაინში. 20. 10. 1918. სამხედრო. ლეიტენანტ შეინს, ასლი ლეიტენანტ გიუნტერს, თუშაბრამიშვილს.

სამხედრო წესით მომახსენეთ რა მდგომარეობაა სანაინის რაიონში. მართალია თუ არა, რომ სომხურმა ქვედანაყოფებმა წინ წამოიწიეს და კვლავ დაიკავეს ქობერი. რა რაოდენობისაა სომხური შეიარაღებული ძალები? ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვორონცოვკაში განლაგებული გერმანული რაზმი არსად არ წავიდეს იქიდან. გთხოვთ, დროდადრო მოახსენოთ შექმნილი სიტუაციის შესახებ გენერალური შტაბის უფროსს".[12]

გენერალურ შტაბში გაგზავნილ საპასუხო შიფროგრამას შემდეგი სახე ჰქონდა:

„შიფროგრამა №522. სანაინიდან. 20. 10. 1918. 2 საათი და 48 წუთი. გენერალური შტაბის უფროსს. ასლი საერთო განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ გედევანოვს.

ახლახანს მოსულმა ქოლაგერანის რაზმის უფროსმა, კაპიტანმა გებლიშმა განმიცხადა, რომ დღეს, 20 ოქტომბერს, ხსნის თავის საგუშაგოებს

ქობერიდან და წათერიდან. სომხური ქვედანაყოფები შესაბამისად დაიხევენ შემდეგ ხაზზე: მდინარე კამენკა — ქობერსა და ქოლაგერანს შორის არსებული ხიდი — სოფელი მარცი. შესრულებისთანავე მოგახსენებთ.

შეინი."[13]

რა თქმა უნდა, ეს ტაქტიკური უკანდახევა სომეხთა მორიგი მანევრი იყო გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღებამდე. ამ შემთხვევაშიც კი, სომხების მიერ უკვე მიტაცებული იყო ქართული მიწების დაახლოებით 20 კილომეტრიანი ზოლი. გარდა ამისა, ფრონტალურად, სანაინამდე ამას ემატებოდა დაუცველი ტერიტორიის კიდევ 20 კმ–იანი ზოლი.

მიუხედავად იმისა, რომ სომხების მიერ ტაქტიკური უკანდახევა მოხდა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პოლკოვნიკ გედევანიშვილის მიერ მაინც იქნა გატარებული სასწრაფო, გადაუდებელი ღონისძიებები. კერძოდ, „ჯავშანმატარებლების უფროსს", პორუჩიკ გოგუაძეს სასწრაფო განკარგულება გაეცა მე–4 ქართული პოლკის სადაზვერვო ჯგუფთან ერთად დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო კონფლიქტის ზონაში. პორუჩიკ გოგუაძის მიერ შესაშური ოპერატიულობით იქნა შესრულებული ბრძანება და 20 ოქტომბრის დილისათვის ერთი ჯანშანმატარებელი, №4, უკვე სანაინშია, მეორე, №1 ჯავშანმატარებელი კი, 20 ოქტომბრის გამთენიისას გაიგზავნა კონფლიქტის ზონაში, პირადად გოგუაძის მეთაურობით.

„შიფროგრამა №625. 20. 10. 1918. სამხედრო მინისტრს.

თქვენი ბრძანებულების შესაბამისად ჯავშანმატარებელი №4 გაემგზავრა 19 ოქტომბრის 6 საათისათვის, მეორე კი №1, — დღეს, დილის 5 საათისათვის, პორუჩიკ გოგუაძის მეთაურობით, რის შესახებაც მოგახსენებთ დაუყოვნებლივ.

ჯავშანმატარებლების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სალუქაძე."[14]

და აქვე, სადგურ ქობერში, პორუჩიკი გოგუაძე პირველ საბრძოლო დავალებას იღებს პოლკოვნიკ გედევანიშვილისაგან:

„შიფროგრამა №672. პოლკოვნიკი გედევანოვი — ჯავშანმატარებლების უფროსს, გოგუაძეს. 20. 10. 1918. სამხედრო. რიგგარეშე. სადგური ქობერი.

დღეს 15 საათზე თქვენთან იგზავნება მე–4 პოლკის მზვერავთა რაზმი. სამხედრო მინისტრი გიბრძანებთ, რომ მოითხოვოთ სომხური ნაწილებისაგან ჩვენი ტერიტორიების სასწრაფოდ დაცლა და უკან დახევა სადგურ შაღალიმდე, რომლის დაკავებაც გევალებათ თქვენ".[15]

პორუჩიკ გოგუაძის მიერ დასახული ამოცანა წარმატებით იქნა შესრულებული. 20 ოქტომბერს, სულ რაღაც 5–6 საათის განმავლობაში მე–4 ქართული პოლკის მზვერავთა რაზმი ჯავშანმატარებლის თანხლებით ჩადის ქობერში და სომხებს შესაბამისი მოთხოვნა გადაეცემათ, რასაც ისინი ოპერატიულად ასრულებენ — 21 საათისათვის სადგური ქობერი დაცლილია. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე სომხურმა ქვედანაყოფებმა ჯავშანმატარებლისათვის აშკარა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს და დროებით უკან დაიხიეს.

იმავე ქართული სადაზვერვო ჯგუფისა და გერმანული საგუშაგოს მიერ დადგინდა ისიც, რომ ვორონცოვკა–პრიეოლნოეს მიმართულებით გადაადგილება დაიწყო სომხურმა რაზმმა, რასაც თბილისში გაგზავნილი შემდეგი შინაარსის შიფროგრამა ადასტურებს.

„შიფროგრამა №548. სანაინიდან. 20. 10. 1918. 21 საათი და 20 წუთი. ექსტრენული. რიგგარეშე. ტფილისი. გენერალური შტაბის უფროსს და საერთო განყოფილების უფროსს გედევანოვს, ბატონი მინისტრისათვის.

გთხოვთ გადასცეთ საიმპერატორო ჯარების სარდლობას შემდეგი: ჯავშანმატარებლების უფროსის, გოგუაძის ჩარევით სასაზღვრო ინციდენტი ამოწურულია. ახლა, დაუზუსტებელი ინფორმაციით სომეხთა რაზმი არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით გადაადგილდება ვორონცოვკასა და პრიეოლნოეს შორის. დაზვერვისათვის გაგზავნილია ლეიტენანტი კუშელი ქართულ–გერმანული რაზმით. მონაცემებს შეგატყობინებთ.

ლეიტენანტი შეინი".[16]

თვითონ გოგუაძე კი სამხედრო მინისტრს შემდეგი სახის საბრძოლო ანგარიშს უგზავნის:

„გუშინ მე მოვიყვანე თქვენი დავალება სისრულეში. სომხების ჯარს დავახვინე იმ ალაგას, საცა იდგნენ ოსმალოს ჯარები. თანახმად თქვენი ბრძანებისა მე დღეს ორ საათზე წარუდგინე ულტიმატუმი სომხის მოწინავე ჯარების უფროსს, რომ ხვალ ორ საათამდის გვიპასუხოს ულტიმატუმზედ, რო ჯარი გაიყვანოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან შაგალის სადგურის იქით. როგორც ირკვევა, სომხების ჯარი ცდილობენ ბორჩალოს მაზრის დაპყრობას, ჯარებს იგინი თავს უყრიან სოფელ დჟალალ–ოღლთან და მის გარშემო. ახლა ყარაკილისიდან ელოდებიან ახალ ძალას. საჭირო არის ეხლავე მიიღოთ ზომები და გამოაგზავნოთ ჯარები ბორჩალოს მაზრის გასაწმენდათ, ვატაროთ ჩვენი ჯავშნოსნები ამ ალაგას. იქით წასვლა უმიზნო იქნება, რადგანაც ყოველ მხრით დაგვრჩება შემორტყმული სომხის ჯარი. ახლა რომ პოზიციები აქვთ მათ უდგათ პულემეტები და ზარბაზნებიც აქვთ. იქ ვმაგრდებით სანამდისაც დავიპყრით. რაზვედჩიკები გაგზავნილი მყავს. ყოველივეს გაცნობებთ.

დჟავშნიანი მატარებლების უფროსი, გოგუაძე".[17]

გოგუაძის ეს შეტყობინება იმითაც არის საინტერესო, რომ იგი, ალბათ მიხვდებოდით, ქართულ ენაზეა შედგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეტყობინებაში უამრავი ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომა დაშვებული, იგი მაინც ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან მთელს ამ მიმოწერაში ერთადერთ ქართულენოვან ტექსტს წარმოადგენს. წარმოდგენილ საბრძოლო პატაკში აშკარად ჩანს ამ მართლაც დაუმარცხებელი მეთაურის ზედმეტად თავდაჯერებული ტონი და ამაღლებული პათოსი. მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობისა და პოლიტიკური ელიტის ყოვლად უსუსური და არაადეკვატური ქმედებები სულ მალე ჩააგდებს „რევოლუციის პირველ რაინდს" გამოუვალ მდგომარეობაში

და მისთვის ესოდენ უჩვეულო მარცხის გემოსაც აზიარებს... მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველაფერი რიგზეა და პორუჩიკი გოგუაძეც მორიგ პატაკს უგზავნის საქართველოს სამხედრო მინისტრს წარმატებული სამხედრო ოპერაციის შესახებ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსის მაღალ პროფესიონალიზმზე, ისიც მეტყველებს, რომ თუნდაც ამ მომენტში, ერთი შეხედვით დასრულებული, სამხედრო ინციდენტისას, პოლკოვნიკი გედევანიშვილი იღებს ოპერატიული თვალსაზრისით სწორ გადაწყვეტილებას და თბილისის საგუბერნიო ბატალიონის ქვედანაყოფების სასწრაფოდ გადასროლას ახდენს ქობერის მიმართულებით. შევნიშნავთ, რომ თბილისის საგუბერნიო ბატალიონი, დაახლოებით დღევანდელი სწრაფი რეაგირების ძალების მსგავსი ნაწილი იყო, უფრო ადრე მას „მფრინავი ბატალიონი" ეწოდებოდა და ძირითადში მილიციურ პრინციპზე იყო აგებული. ხოლო ვორონცოვკის რაიონში დამატებითი ძალები იგზავნება, ქვეითი და საარტილერიო ქვედანაყოფების სახით, გენერალ-მაიორ გიორგი ციციშვილის შეთაურობით.

„შიფროგრამა №3662. სანაინში. 21 ოქტომბერი. 1918. სამხედრო. რიგგარეშე. სანაინში. ჯავშანმატარებლების უფროსს – პოლკოვნიკ გედევანოვისაგან.

ხვალ, 22 ოქტომბერს დღის 12 საათზე მატარებლით თქვენსკენ მოემართება საგუბერნიო ბატალიონის 250 კაცი, ვორონცოვკაზე მარშით მიემართება გენერალ ციციანოვის რაზმი ქვეითებისა და ბატარეის შემადგენლობით. ჩამოსვლისთანავე ის იღებს ხელში მთელი ჯარების საერთო ხელმძღვანელობას. მთელი ბორჩალოს მაზრის სასწრაფო დაცლისა და თბილისის გუბერნიის საზღვრებისაკენ უკან დახევის მოთხოვნა უპირობოა.

პოლკოვნიკი გედევანოვი".[18]

ადგილზე შექმნილი მდგომარეობის შესწავლისა და პრობლემების ოპერატიულად გადაჭრისათვის, სანაინში სასწრაფოდ იგზავნება აგრეთვე გენერალური შტაბის საოპერაციო (ოპერატიული – ა. ჩ.) სექციის უფროსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე. სანაინის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობაზე სრულ სურათს იძლევა ლეიტენანტ კუშელისა და ზაქარია თუშაბრამიშვილის 22 ოქტომბრის პირდაპირი საუბრის სტენოგრამული ჩანაწერი, მთავარი საბაჟო სამმართველოს უფროს ალშიბაიასთან:

„სამხედრო მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსისათვის ცნობისთვის გადმოგცემთ შემდეგ ინფორმაციას. მდგომარეობა 12 საათისათვის შემდეგია: გერმანელთა საგუშაგოს ქორინჯში მიეცა წინადადება დაეცალონ საგუშაგო. წინადადება მიცემულია სომეხი ოფიცრების მხრიდან. საგუშაგოს უფროსმა ლეიტენანტმა კუშელმა გადმოგვცა, რომ ხვალ დილით ველა მოლაპარაკებებზე. დღეს ის გაემართა საგუშაგოების გასაძლიერებლად. ასევე გაემართა მე-4 ქართული პოლკის 20 მზვერავი.

ამჟამად სულ ქორინჯში იმყოფება 1 ოფიცერი, 20 ქართველი და 1 გერმანელი ჯარისკაცი. ჩვენი ამოცანაა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს შევინარჩუნოთ მდგომარეობა, თუნდაც ხვალ დილამდე, დამატებითი ძალები ჩამოსვლამდე. გადაუდებლად გვესახება აგრეთვე ეორონცოვკაში არსებულ მდგომარეობის გაგება, ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებების საწარმოებლად.

ლეიტენანტი კუშელი, თუშაბრამიშვილი".[19]

ამასვე ადასტურებს უშუალოდ ლეიტენანტ კუშელის მიერ გაგზავნილ შიგროგრამა გერმანული ჯარების სარდლობისადმი.

„შიფროგრამა №583. სანაინიდან. 22. 10. 1918. 10 საათი და 45 წუთი გერმანიის საიმპერატორო ჯარების სარდლობას.

სულ ახლახანს შემოვიარე ჩვენი საგუშაგოები და ქორინჯში მივიღე შეტყობინება, რომ სომხები მოითხოვენ ქორინჯის დაცლას, მაგრამ წინასწარ უნდათ ჩემთან მოლაპარაკებების გამართვა. ველი სასწრაფო განკარგულებებს და ინსტრუქციებს."[20]

ვიღებთ გამაოგნებელ სიტუაციას. 1918 წლის 22 ოქტომბრის დილის 12 საათისათვის ბრძოლებში გამობრძმედილი ორი სომხური მსროლელი პოლკის პირისპირ (სავარაუდო რიცხოვნობით 3000–3500 კაცი) ქორინჯში დგას ერთი, გერმანულ–ქართული ოცეული 33 კაცის შემადგენლობით. და კიდევ უფრო გამაოგნებელია ის ფაქტი, რომ ოცეული პოზიციების დათმობას არ აპირებს.

22 ოქტომბერს სანაინისაკენ გაგზავნილი დამატებითი ძალები მეორე დღის გამთენიისას უკვე სანაინშია, რაც შემდეგი დოკუმენტით დასტურდება.

„შიფროგრამა №627. სანაინიდან. 23. 10. 1918. 8 საათი და 32 წუთი. სასწრაფო. სამხედრო მინისტრს.

დღეს, 23–ში პოლკოვნიკ ზაქარიაძესა და საგუბერნიო ბატალიონის რაზმთან ერთად ჩამოვედით სანაინში. დავალებული გვაქვს ადგილზე შევისწავლოთ შექმნილი მდგომარეობა და მივიღოთ შესაბამისი ზომები. პოლკოვნიკ ჩხეიძის ადგილზე არყოფნის გამო, მე, როგორც წოდებით უფროსს, დამევალა რაზმის მეთაურობა. დღეს ვიწყებთ ქობერისაკენ გადაადგილებას, სადაც განვათავსებ კიდეც ჩემს შტაბს.

რაზმის უფროსი, კაპიტანი გუგუშვილი".[21]

ბატონი ჯამალიანი საქართველოს სამხედრო მინისტრის სახელზე მხოლოდ 23 ოქტომბერს აგზავნის მობოდიშების შეტყობინებას საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ ნოტაზე პასუხის დაგვიანებისათვის და მიზეზად ერევნის რადიოსადგურის გაუმართავ მუშაობას ასახელებს.

„შეტყობინება №1352. მოწყალეო ხელმწიფეო, (Милостивый Государь – ა. ჩ.) გრიგოლ ტიმოთეს ძევ.

ამა თვის 22 რიცხვში მე გახლდით რადიოსადგურზე, მაგრამ ვერაფრის დიდებით ჩემს მთავრობასთან დაკავშირება ვერ მოვახერხე, რაც რადიოსადგურის მორიგე ოფიცრის აზრით, რადიოსადგურის გაუმართაო

მუშაობის შედეგია. იმავე მიზეზით, თქვენს მიერ 19 ოქტომბერს წარმოდგენილი ნოტის ერევანში გაგზავნა მხოლოდ 22 ოქტომბრის დილას იქნა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი რადიოსადგურში 20 ოქტომბერს იქნა მიტანილი.

გთხოვთ ბატონო მინისტრო მიიღოთ ჩემი ღრმა რწმუნებანი, თქვენდამი სრული პატივისცემისა და უმწიკვლო ერთგულების ნიშნად.

ჯამალიანი".[22]

ძნელია თუნდაც გაუთვითცნობიერებელმა კაცმა წაიკითხოს ეს წერილი გულგრილად. მისგან იმდენად ზღვარს გადასული ფარისევლობა და მლიქვნელობა ჟონავს, რომ არა გეგონია იგი დიპლომატიური ეტიკეტის ნორმებში ჯდებოდეს. ამავე დროს, იმდენად აშკარა სიცრუითაა ის აღსავსე, რომ დიპლომატიის ისტორიაშიც იშვიათად მოიპოვება სიყალბისა და ცინიზმის მსგავსი ნიმუში. ასეთი რამის დაწერა და ერთდროულად საწინააღმდეგო საქმეების კეთება მხოლოდ ჯამალიანებისა და მისი ძმებისთვის იყო დასაშვები და მიღებული. საქმე იმაშია, რომ საარქივო მასალებში დაცულია დოკუმენტი, რომელიც ჯამალიანის ამ მეტამორფოზას უცბად ხდის ფარდას.

23 ოქტომბერსვე თბილისში სომხური მხრიდან პირველი ოფიციალური სამთავრობო შიფროგრამა იგზავნება აღსტაფიდან. (მივაქციოთ ყურადღება — აღსტაფიდან, და ცხადია, შეტყობინება №1352–ის შემდეგ.)

„შიფროგრამა №101. *აღსტაფიდან.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.) სამთავრობო. 23. 10. 1918. 7 საათი და 55 წუთი. ტფილისი. მინისტრ–თავმჯდომარე ჟორდანიას, ასევე სომხეთის რწმუნებულს საქართველოში ჯამალიანს.

დილიჟანის რაზმის მეთაურმა (ოფიციალურად, ომის საწყის ეტაპზე, ეს თანამდებობა ეკავა გენერალ დრასთამატ კანაიან–დროს — ა. ჩ.) მომახსენა, რომ საქართველოს სარდლობამ წაუყენა მას ულტიმატუმი სადგურ შაღალის დაცლის შესახებ. სომხური მხარისათვის ჩემს მიერ გაცემულია ბრძანება არ დაცალონ სადგური. ქართველების შეტევაზე გადმოსვლის შემთხვევაში კი წარმართონ თავდაცვითი ბრძოლა. შესაძლო ახალი უბედურებების თავიდან აცილებისათვის, მრავალტანჯული საქართველოსა და სომხეთის სახელით, სიმართლისა და სამართლიანობის სახელით, გთხოვთ თავი შეიკავოთ აგრესიული ქმედებებისაგან და შეაკავოთ ქართული ჯარები არსებულ ხაზზე, *ყოველგვარი საკითხები საზღვრების შესახებ კი გადავწყვიტოთ მოლაპარაკებების გზით.*

გაგახსენებთ, თქვენივე საჯარო, საზეიმო განცხადებას შეხვედრაზე რამიშვილის, ახვერონიანისა და ხატისოვის თანდასწრებით, რომ საქართველო ლორეზე პრეტენზიებს არ აცხადებს და იგი დაკავებული აქვს მხოლოდ დროებით, შესამე მხარის მიერ მისი დაკავების თავიდან ასაცილებლად. (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.) ველი თქვენს პასუხს.

მინისტრი–თავმჯდომარე კაჩაზნუნი."[23]

აღსტაფიდან თბილისში გამოგზავნილი სამთავრობო შიფროგრამ
უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც დაწვრილები
განხილვას, ანალიზსა და შესაბამისი დასკვნების გამოტანას მოითხოვს, რა
არ უნდა მწარე უნდა იყოს იგი ორივე დაპირისპირებული მხარისათვის:

შიფროგრამა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს იმ დასკვნას, რო
სომხურ მხარეს დიდი ხნის წინათ ჰქონდა დაგეგმილი საომარი მოქმედებებ
დაწყება საქართველოს წინააღმდეგ ლორე–ტაშირისა და ახალქალაქი
მაზრების სომხეთთან მისაერთებლად. დაშნაკთა მიერ ქართული სახელმწიფო
ამ ისტორიული მიწების ანექსია უნდა გამხდარიყო სწორედ „დიად
არმენიის" ბოდვითი იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმულ ნაბიჯებად. იგ
მხოლოდ შესაბამისი მომენტის დადგომას ელოდებოდა. ელოდებოდა თითქმი
ნახევარი წლის განმავლობაში. და ეს მომენტიც დადგა. ღია აგრესიი
დაწყებისათვის, კერძოდ 1918 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის, სომხეთი
მთავრობა, მისი თავმჯდომარის, ოვანეს კაჩაზნუნის მეთაურობით ფრონტთა
ახლოს, აღსტაფაში გადმობარგდა და ქართული მიწების ოკუპაციის ბრძანებ
დაშნაკთა პარტიის მთავარი ბიუროსა და სომხეთის მთავრობის მიერ სწორედ
აქედან იქნა გაცემული.

თამაშობს რა საქართველოს ხელისუფლების ჰუმანურობისა და
კაცთმოყვარეობის გრძნობებზე, ქართული სოციალ–დემოკრატიის პოლიტიკურ
კურსზე, იგი პირდაპირ თხოვს და მოითხოვს კიდეც ჟორდანიასგან ძირძველი
ქართული მიწების დათმობას სომხეთის სასარგებლოდ. ქართველ მენშევიკთა
ზღვარს გადასული ჰუმანიზმი, ინტერნაციონალიზმი და ყბადაღებული
დემოკრატიულობა იმდენად გამაოგნებელია, რომ ამ საკითხზე კომენტარების
გაკეთება სკმაოდ რთულია.

ცალსახადაა დადასტურებული, რომ ამხანაგ ნოე ჟორდანიას
რამდენჯერმე, დაწყებული 1912 წლიდან და უფრო ადრეც, მართლაც ჰქონდა
გაკეთებული მსგავსი ოფიციალური განცხადებები დაშნაკ ლიდერებთან,
მომავალში ქართული მიწების მათთვის გადაცემის შესახებ, რისი
გაბათილებაც ვერავითარი არგუმენტებით ვერაა შესაძლებელი. ეს
ისტორიულად და დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია. გაკვირვებას
მხოლოდ ის იწვევს, თუ რომელი სამართლებრივი, პოლიტიკური თუ
ზნეობრივ–მორალური კოდექსი აძლევდა უფლებას საქართველოს მთავრობას
და კონკრეტულად მის მეთაურს, მსგავსი ქმედებების განსახორციელებლად.
საქართველო არც რომელიმე პიროვნების, პირთა ჯგუფისა და არც
რომელიმე პარტიის საკუთრებას არც წარმოადგენდა წარსულში და არც
არასდროს იქნება ვისიმე კუთვნილება მომავალში. სამწუხაროდ, ცნებები
„ერი", „მამული", „სამშობლო" ის სიტყვები იყო, რომელსაც ყველაზე
იშვიათად ხმარობდა საქართველოს „ინტერნაციონალისტი და
დემოკრატიული" მთავრობა. სამაგიეროდ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვას
სრული წარმატებით ცვლიდა სიტყვები „დემოკრატია", „დემოკრატია" და
ისევ „დემოკრატია", აქა–იქ „დამოუკიდებლობაც".

თვით ვალიკო ჯუღელიც კი, სახალხო გვარდიის სარდალი, რომლის თავზეც გადაიარა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული დიდ-პატარა ომებისა თუ ბრძოლების ყველა ქარიშხალმა, „დემოკრატიის" სიყვარულსა და მისთვის თავდადებაში, თვით „დიდ ნოესაც" კი აჭარბებს:

„ახლა ჩვენს ორგანიზებულ დემოკრატიას ჰყავს ის შეიარაღებული ძალები, ჭეშმარიტად დემოკრატიული ძალები, რომელიც წუთითაც არ დაუშვებს ხელს დემოკრატიის წითელ დროშას და არ გაუშვებს მას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე".[24] პირველი რესპუბლიკის ქართულ სინამდვილეში, როგორც ჩანს, პაპაზე დიდი კათოლიკებიც არსებობდნენ. კიდევ უარესი — იგივე ვალიკო ჯუღელი: „მე მზადა ვარ უარი ვთქვა ბამბაკსა და ალორზე. დაე, ფლობდნენ ყოველივე ამას სომხები, თუ ეს ჩვენს ნამდვილ მშვობრობას წაადგება. მათ უნდა გაიგონ, რომ მათი საუკეთესო მოკავშირე — ახალგაზრდა ქართული დემოკრატიაა".[25]

გამოგნებელია ქართველი მარქსისტების მხრიდან დემოკრატიის ზღვარს გადასული გრძნობა და მათი ზღაპრული, მართლაც რომ ქართული ხელგაშლილობა.

ბატონ ოვანეს კაჩაზნუნის ზემოთ მოყვანილი ტელეგრამა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ დაინახა თუ არა დაშნაკთა თავკაცმა ქართველთა მტკიცე მოქმედებები და იგრძნო კონტრსაშიშროება, იგი სასწრაფო იდეოლოგიურ კაპიტულაციას იწყებს, რაც ასე დამახასიათებელი იყო დაშნაკთათვის. ბატონი კაჩაზნუნი მწარე და გულისამაჩუყებელი სიტყვებით ცდილობს ქართველთა სიმტკიცის მოდუნებას და სატყუარას უგდებს ჟორდანიას. დიახ, „სამშვიდობო მოლაპარაკებები" სწორედ ის სატყუარა იყო, რომელსაც აუცილებლად წამოეგებოდა საქართველოს „დემოკრატიული" მთავრობა. აკი, წამოეგო კიდეც. მოლაპარაკებების, მიტინგების, კონფერენციების, სხდომების, ფლუმებისა და ათასგვარი თავყრილობების გამართვა იყო ქართველ ხელმძღვანელთა საქმიანობაში ყველაზე მთავარი მომენტი და ის სუსტი წერტილი, რომელსაც ისინი არასოდეს არ და ვერ ღალატობდნენ. მისი ორგანიზებისათვის ისინი ყოველთვის მზად იყვნენ. მსგავსი სახის თავყრილობების მიმართ რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულსა და ლტოლვას განიცდიდნენ ქართველ მენშევიკთა იდეოლოგიური მამები. ამაში არაერთხელ დაურწმუნდებით კიდევ.

რაც შეეხება ბატონ არშაკ ჯამალიანის ფარისეველობასა და მოგონილ ლეგენდებს რადიოსადგურის გაუმართავი მუშაობის შესახებ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა მორიგი ღრმად გააზრებული სიცრუეა. ქვემოთ ჩვენ კიდევ დაინახავთ, რომ ერთ-ერთ კრიტიკულ სიტუაციაში, სომეხთა საბრძოლო ფრონტის მეთაური, ავადსახსენებელი კოროლკოვი პოლკოვნიკ ნაქარიაძესთან შეხვედრისას, დროის მოგების მიზნით ისევ იშველიებს ნაცად ხერხებს და რადიოსადგურის გაუმართაობაზე წუწუნებს. რატომღაც რადიოსადგურები ყველაზე გადამწყვეტ მომენტებში ზიანდებოდნენ, და ისიც

მხოლოდ სომხებისათვის ხელსაყრელ დროს. სიმართლე კი ისაა, რო
ჯამალიანს არაფრით არ უნდოდა გაემხილა საქართველოს მთავრობისათვის
რომ სომხეთის მთავრობის წევრები ამ დროს აღსტაფაში იმყოფებოდნენ დ
არა ერევანში, და ისინი საომარი მოქმედებების დაგეგმარებით იყვნე
დაკავებულნი, რაზედაც ბატონი ჯამალიანი გამორიცხულია, რომ ინფორმი
რებული არ ყოფილიყო.

უსაზღვრო იყო დაშნაკთა მზაკვრობა და ცბიერება. 23 ოქტომბრისათვის
ქობერი–სანაინის უბანზე ჰქონდათ რა გერმანელებთან და ქართველებთან
შედარებით საბრძოლო მწყობრში მყოფი ცოცხალი ძალის სულ მცირ
ასმაგი(!), დიახ ასმაგი უპირატესობა, ამ ეტაპზე მათ მაინც ვერ გაბედე
სრულმასშტაბიანი ღია საომარი მოქმედებების დაწყება და ზემოქმედებისათვის
დიპლომატიური ბერკეტებისა და პოლიტიკური ხრიკების გამოყენება სცადეს
ვერ გაბედეს, მაგრამ ჯერ–ჯერობით...

23 ოქტომბერსვე, პოლკოვნიკ ზაქარიაძეს საქართველოს სამხედრო
მინისტრის მიერ ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის შიფროგრამა ეგზავნება:

„პოლკოვნიკ ზაქარიაძეს.

სომხეთის მთავრობის მეთაურისაგან მივიღეთ შეტყობინება, რო
საზღვრების შესახებ საკითხები გადაეწყვიტოთ მშვიდობიანი მოლაპარაკებების
გზით. აქედან გამომდინარე, გიბრძანებთ, გეკავოთ ის ხაზი, რომელიც აქამდე
ეჭირათ გერმანელებს, სომხური ქვედანაყოფები კი არ უნდა გადმოვიდნე
თურქთა მიერ დაჭერილ ხაზს აქეთ. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვა
სომხების შემდგომი წინსვლა".[26]

ქართული არმია? ქართული არმია კი თავის საქმეს აკეთებდა დ
პირუთვნელად იხდიდა წმინდათა წმინდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე
იმავე დღეს, 23 ოქტომბერს, პოლკოვნიკი ზაქარიაძე მოლაპარაკებებზე
მოსულ სომხეთის არმიის ოფიცერს ხვდება და შესაბამის ახსნა–
განმარტებებს სთხოვს მას.

„შიფროგრამა №636. სანაინიდან 23. 10. 1918. 10 საათი და 20 წუთი
სამხედრო მინისტრს. ასლი გენერალური შტაბის უფროსს.

5 საათზე შევხვდი სომეხთა პოლკოვნიკს, სარკინიგზო უბნის ჯარების
უფროსს, რომელმაც მეგობრული ტონით განმიცხადა, რომ სომხეთის
მთავრობის სამშვიდობო განწყობების შესახებ მისთვის არაფერია ცნობილი
და მას მიღებული აქვს ბრძანება დაიკავოს ქორინჯი–წათერის ხაზი
ქართველ–გერმანელთა მხრიდან ნებისმიერი წინააღმდეგობის გაწევის
შემთხვევაში კი გადავიდეს შეტევაზე და უკუაგდოს ისინი. ჩემს კატეგორიულ
მოთხოვნაზე, რომ დაეცალა ქორინჯი და წათერი, ის ჩაფიქრდა და ხვალ 12
საათისათვის დამპირდა პასუხს. მომივიდა ინფორმაცია, რომ აირუმთან
შემჩნეულია სომეხთა სადაზვერვო ჯგუფები. იქით ვაგზავნი ერთ
ჯავშანმატარებელს. საჭიროა ამ რაიონის დაკავება ქართული საჯარისო
ნაწილებით. და საერთოდ, საჭიროა უფრო სერიოზული მხარდაჭერა.

უკიდურესად საჭიროა რომელიმე ცხენოსანი ნაწილი და არტილერია. მოგახსენებთ, რომ მოვლენებს სჭირდება ძალიან სერიოზული შეფასება. ჩემის აზრით, სომხეთის მთავრობა გულწრფელი არაა. მე ვრჩები სანაინში. გთხოვთ გამოაგზავნოთ აეროპლანი წათერისა და ქორინჯის რაიონების დასაზვერად.

პოლკოვნიკი ზაქარიაძე".[27]

პოლკოვნიკ ზაქარიაძის მიერ აბსოლუტურად ზუსტად იქნა შეფასებული შექმნილი სიტუაცია და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ კავალერიის, არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერის მოთხოვნა ადეკვატურად შეესაბამებოდა შექმნილ მდგომარეობას. აირუმთან სადაზვერვო ჯგუფებისა და სომხური ქვედანაყოფების გამოჩენა კი მართლაც საგანგაშო მდგომარეობას ქმნიდა. რუკაზე თვალის ერთი შევლებითაც ნათლად ჩანს, რომ აირუმთან რკინიგზაზე განხორციელებული თუნდაც მცირე დივერსიული აქტით თითქმის სდახლომდე ხდებოდა რაიონისა და იქ არსებული ქართული ქვედანაყოფების სარკინიგზო იზოლაცია, რაც გარდაუვალი ალყის გამო, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა ქართულ მხარეს.

აქ კიდევ ერთხელ ჩნდება ქართველ ოფიცერთა კორპუსის მაღალი პროფესიონალური დონე. ამ შემთხვევაში, ეს შეფასება ორ კონკრეტულ პიროვნებას — პოლოვნიკებს, ნიკოლოზ გედევანიშვილსა და ალექსანდრე ზაქარიაძეს ეკუთვნით. მიუხედავად იმისა, რომ გენერალი გიორგი კვინიტაძე არ იყო მათზე მაინცდამაინც მაღალი აზრისა, (ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ გენერალი კვინიტაძე მეტად რთულ და არაორდინარულ პიროვნებას წარმოადგენდა) ამ კონკრეტული ქმედებებიდან დაწყებული, სომხეთ— საქართველოს ომის წარმოების პირველ ეტაპზე, ქართველ ოფიცერთა კორპუსის ქმედებებში პრაქტიკულად ვერ აღმოვაჩინეთ ერთი ისეთი დეტალიც კი, რაც გარკვეულწილად შებღალავდა მათ ღირსებას პროფესიული მომზადებისა და ეროვნული თვითშეგნების მხრივ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პორუჩიკ გოგუაძისა და მისი ჯავშანმატარებლების მთელი პირადი შემადგენლობის მაღალი მხედრული სული და საბრძოლო სულისკვეთება. უამრავი ობიექტური თუ სუბიექტური ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, მათი მოქმედებები, დაწყებული საბრძოლო ვითარებაში გარკვევიდან, დამთავრებული საბრძოლო ბრძანების გაცემითა და უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობით, მხოლოდ და მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს ყველა ასპექტში.

სხვათა შორის, უკვე მოგეხსენებათ, დეკემბრის თვეში, ღია სათარი მოქმედებების განახლებისას, სომეხთა მიერ სწორედ აირუმის უბანზე განხორციელებულმა სამხედრო მანევრმა სანაინი—ალავერდის რაიონში მოქმედი ქართული ქვედანაყოფების კატასტროფა გამოიწვია.

დოკუმენტურად არ მტკიცდება, მიიღო თუ არა ქართულმა ავიაციამ ამ ეტაპზე სადაზვერვო—საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, მაგრამ რაღაც სომხეთის შეიარაღებულ ძალებს ცალსახად, საავიაციო ქვედანაყოფები არ გააჩნდა, ამიტომ საკარაუდოა, რომ ქართულ მხარეს სათანადოდ ესარგებლა

ამ დიდი ტექნიკური უპირატესობით და თუნდაც მხოლოდ სადაზვერვო მიზნებით გამოეყენებინა ავიაცია ქორინჯი–წათერისა და აირუმის მიმართულებაზე. თუ ქორინჯი–წათერის მიმართულებაზე ავიაციის გამოყენება საბაზისო აეროდრომებიდან მათი სიშორის გამო საეჭვოა, აირუმთან დამოკიდებულებაში ეს საკითხი დაბრკოლებას არ წარმოადგენდა.

პოლკოვნიკ ზაქარიაძის პროგნოზები გამართლდა. საქართველოს „დემოკრატიული" მთავრობის მომრიგებლური და დამთმობი პოზიციით შეგულიანებულმა სომხურმა ნაწილებმა იმავე დღეს, 23 ოქტომბრის შუადღისათვის პირდაპირი იერიში მიიტანეს ქორინჯის გერმანულ საგუშაგოზე.

„შიფროგრამა №629. სანაინიდან. 23. 10. 1918. 15 საათი და 45 წუთი. უაღრესად სასწრაფო. სამხედრო. სამხედრო მინისტრს, გენერალური შტაბის უფროსს.

2 საათზე სომხეთის შეიარაღებული ძალების დაახლოებით სამმა ასეულმა შეტევა განახორციელა ქორინჯის გერმანულ საგუშაგოზე. გერმანელებმა ბრძოლით დაიწყეს უკან დახევა. საგუშაგოს მხარდასაჭერად სასწრაფოდ ვაგზავნი საგუბერნიო ბატალიონის ასეულს და მეც გოგუაძესთან ერთად ჯავშანმატარებლით მივემგზავრები ქორინჯისაკენ.

პოლკოვნიკი ზაქარიაძე."[28]

ეს უკვე ღია საომარი მოქმედებების დაწყებას ნიშნავდა. იმავე დღეს პოლკოვნიკი ზაქარიაძე სამხედრო მინისტრის სახელზე შემდეგი შინაარსის შიფროგრამას აგზავნის (ნომრის გარეშე):

„ადგილზე ჩასვლით გავარკვიე, რომ გერმანულმა საგუშაგომ ბრძოლის გარეშე დაიხია უკან სომეხთა აღმატებული ძალების წინაშე. გერმანელების მტკიცებით, ქორინჯში იმყოფება სომეხთა არა ნაკლებ ერთი ბატალიონისა, რომელმაც საბრძოლო პოზიციები დაიკავა ახლომდებარე მაღლობებზე. ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შეიარაღებულია. ქორინჯის მიმართულებით ვაგზავნი სადაზვერვო ჯგუფს."[29]

და აქვე ქორინჯში შექმნილი სიტუაცია, რომლის შესახებაც №3 ტელეფონოგრამის შინაარსი გვატყობინებს პოლკოვნიკ ზაქარიაძის ხელმოწერით:

„სომხები მოითხოვენ ქორინჯის დაცლას. გერმანელი ლეიტენანტის მიერ თავისი სარდლობის მხრიდან მიღებულია განკარგულება ულტიმატუმი წაუყენონ სომხებს ქორინჯის დაცლის შესახებ 24 საათის განმავლობაში. თავად მინდოდა ქორინჯში ჩასვლა, მაგრამ გერმანელი ლეიტენანტის რჩევით, გართულებების თავიდან ასაცილებლად, აღარ გავემგზავრე. ულტიმატუმის წასაყენებლად იგი თავად გაემგზავრა ქორინჯში. 5 საათისათვის ჩემთვის ცნობილი გახდა მოლაპარაკებების შედეგები. თვითონ მე ჩვენს მეწინავე საგუშაგოსთან ვიმყოფებოდი, ხიდთან და მინდოდა სომეხთა მეთაურობასთან შეხვედრა, მაგრამ პრაპორშიკზე მაღალი რანგის ოფიცერი ვერ ვნახე. 5 საათისათვის მე მოვითხოვე მათ ზემდგომ მეთაურთან შეხვედრა. ჩემი მკაცრ

მოთხოვნა იქნება, რომ ისინი დაბრუნდნენ იმ პოზიციებზე, რომლების მათ უკავათ თურქთა წასვლამდე. ანუ, ქორინჯი, ხიდი, წათერი და შემდეგ მდინარე კამენკას მარცხენა სანაპირო. *როგორც ჩანს, წათერი მათ ხელშია. მათ დაუყოვნებლივ უნდა დაცალონ იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალ ამ სოფელს იარაღის ძალით დავიკავებთ... ჩვენს წინააღმდეგ 1–ლი და მე–4 სომხური პოლკები მოქმედებენ დროს მეთაურობით. ხიდზე ყველგან ტყვიამფრქვევები აქვთ განლაგებული. სომეხი ოფიცრების თქმით, მათ ნაბრძანები აქვთ მდინარე ხრამამდე გასვლა.* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)

ისინი მხოლოდ მაშველ ძალებს ელიან. თუ სამთავრობო მოლაპარაკებები არ შედგება, მაშინ სოლიდური ძალების თავმოყრა დაგვჭირდება".[30]

აქ უკვე დოკუმენტურადაა დაფიქსირებული და გაცხადებული სომხური შეიარაღებული აგრესიის პირველი სტრატეგიული სამიზნე – მდინარე ხრამის ფორსირება და ხრამის (წითელი) ხიდის ხელში ჩაგდება. გარდა ამისა, ნათლად იკვეთება ისიც, რომ არავითარი სამშვიდობო მოლაპარაკებები, ცხადია, სომხებს არც აინტერესებდათ, რაზედაც ასე იკლავდა თავს ბატონი კაჩაზნუნი. ამ ეტაპზე, ისინი დროის გაყვანის ტაქტიკით მოქმედებდნენ და დამატებითი მაშველი ძალების მოსვლას ელოდებოდნენ მხოლოდ.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ პოლკოვნიკ ალ. ზაქარიაძის მიერ არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებასა და მის მიერ დასახული მოქმედებების ადეკვატურობას. გასაკვირი და შესაშურია ის გაბედულება, რასაც პოლკოვნიკი ზაქარიაძე იჩენს ამ მომენტში. იგი მზადაა რამდენიმე ასეულით კბილებამდე შეიარაღებული სომხური პოლკების წინააღმდეგ დაიწყოს შეტევა. მართლაც გამაოგნებელია ქართველი მეომრის უტეხი სული.

თბილისში მეორე დღეს გაგზავნილი შიფროგრამა გვიჩვენებს, რომ პოლკოვნიკი ზაქარიაძე სომხური კორპუსის დილიჟანის რაზმის სამეთაურო შემადგენლობას შეხვდა.

„ტელეგრამა №659. სანაინიდან. 24. 10. 1918. 17 საათი და 40 წუთი.

დღეს 4 საათსა და 20 წუთზე რკინიგზის ხიდთან სომეხთა დილიჟანის რაზმის მეთაურსა და მისი შტაბის უფროსს შევხვდი. მე თან მახლდნენ პოლკოვნიკი ჩხეიძე და შტაბის როტმისტრი შანიძე. სომხური რაზმის მეთაურმა განმიცხადა, რომ ჩემი გუშინდელი მოთხოვნის პასუხად მას დივიზიის მეთაურისაგან (გენერალი მოვსეს სილიკოვი – ა. ჩ.) მკაცრად აქვს ნაბრძანები ეჭიროს ხაზი ნოვოპოკროვკა – ჯალალ–ოღლი – წათერი – ქორინჯი – კულჩა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს პოზიციები მისი პირადი ბრძანების გარეშე.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ კაჩაზნუნის მიერ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან, ჟორდნიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. *ამავე დროს მან წუხდა, რომ თბილისის რადიოსადგური დროულად ვერ იღებს რადიოგრამებს ერევანიდან და ამიტომაც ეს მოლაპარაკებები ჭიანურდება.* (შორიგი თვალთმაქცობა – ა. ჩ.) ველი შემდგომ განკარგულებებს.

ინფორმაცია მაქვს თათართა უკმაყოფილების შესახებ. თათრებისათვის
ცნობილი შეიქმნა, რომ სომხები რაღაცისათვის ემზადებიან. გაუგებრობების
თავიდან ასაცილებლად, ახლა გადმოვცემ ღია ტექსტით.

პოლკოვნიკი ზაქარიაძე".[31]

განვითარებული მოვლენები ცალსახად გვიჩვენებს, რომ იგი არაფრით არ
შეესაბამებოდა სომხეთის მთავრობის „მშვიდობისმოყვარე" განწყობებს დ
„სამშვიდობო კონფერენციის" მოწვევის სურვილიც მხოლოდ დაშნაკც
მორიგი პოლიტიკური ფანდი იყო. და რაც მთავარია, პოლკოვნიკ ზაქარიაძის
მიერ 23 ოქტომბერს გამოგზავნილ შიფროგრამაში პირველად გაცხადდ
სომეხთა შორს მიმავალი აგრესიული ზრახვები და მათი სტრატეგიულ
მიზანი ხრამის ხიდის დაკავების შესახებ. თუმცა, აღნიშნულ საკითხთა
მიმართებაში, რიჩარდ ოვანესიანი ამ ფაქტის რეალობას ეჭვს ქვეშ აყენებს იმ
მიზეზით, თითქოს ასეთი სრულიად საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებას
სომეხთა რაზმის მეთაურის მხრიდან არ უნდა ჰქონოდა ადგილი. მაგრა
ფაქტი ფაქტად რჩება, უტყუარი საარქივო პირველწყაროები ცალსახად
მეტყველებენ ამაზე. უკვე მოგვიანებით, ღია საომარი მოქმედებების გაშლის
და წარმოების პერიოდში, კიდევ რამდენიმე დოკუმენტშია ცალსახად
დაფიქსირებული სომეხთა აგრესიის უახლოესი სტრატეგიული პუნქტი –
მდინარე ხრამის ხიდი.

საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის შიში და შეშფოთება
აბსოლუტურად გასაგებია. მათ კარგად უწყიან, თუ რას ნიშნავს სომხური
სამხედრო ქვედანაყოფების მიერ „საბრძოლო მოქმედებების" წარმოება,
რომელსაც როგორც წესი, მშვიდობიანი მუსულმანური მოსახლეობის
მასობრივი ხოცვა–ჟლეტა და ეთნიკური წმენდა მოსდევს თან. მათ კარგად
ახსოვთ სულ რამდენიმე თვის წინ, მარტში, ბაქოს გადატრიალების
დაშნაკურ–ბოლშევიკური, ფაქტობრივად კი სომხური სისხლიანი ოპერაცია,
როცა სომეხ დაშნაკთა შეიარაღებულმა ძალების აღმოსავლეთის დაჯგუფებამ
ბოლშევიკებთან ალიანსში ათასობით მუსულმანი მოსახლეობა გაჟლიტა. მათ
კარგად იციან ისიც, რომ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული ომის
პარალელურად, სამხრეთით, ყარაბაღსა და ზანგეზურში უკვე დაწყებულია
სომხების საარმიო კორპუსის სამხრეთის „არალეგალური დაჯგუფების"
სადამსჯელო ოპერაციები, ფაქტობრივად კი მუსულმანთა დემოციდი გენერალ
ანდრანიკ ოზანიანის მეთაურობით – „განჯის გუბერნატორის დეპეშის
თანახმად ანდრანიკას გამარჯვება და მისი ქ. შუშასთან მიახლოება დიდ
საფრთხეს წარმოადგენს და დაღუპვას უქადის ამ ქალაქის მაჰმადიან
მოსახლეობას".[32] – იტყობინება 24 ოქტომბრის „საქართველოს
რესპუბლიკა".

ქობერის მიმართულებით წასული ქართული რაზმი მის წინაშე დასმულ
საბრძოლო ამოცანას წარმატებით ართმევს თავს და მცირე შეტაკების შემდეგ
იკავებს სადგურ ქობერსა და მის შემოგარენს. რაზმს კაპიტანი გუგუშვილი
მეთაურობს.

„შიფროგრამა №45. ქობერიდან. 24. 10. 1918. 10 საათი და 15 წუთი. სიდუმლო. სასწრაფო. სამხედრო მინისტრს, ასლი საგუბერნიო კომისარს და საგუბერნიო ბატალიონის მეთაურს.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკ ზაქარიაძის განკარგულების შესაბამისად, ჩემს დაქვემდებარებაში არსებულმა რაზმმა მე–2, მე–3 და მე–4 ასეულების, საარტილერიო ოცეულის, მეტყვიამფრქვეველთა და მე–4 ქართული პოლკის მზვერავთა გუნდების შემადგენლობით 24 ოქტომბრის დილის 4 საათისათვის დაიკავა სოფლების წათერისა და ქორინჯის მიდამოები, აგრეთვე ქოლაგერანის ხეობა და რკინიგზის ხიდი. მარჯვენა უბანი ჩრდილო–დასავლეთიდან დაკავებულია მე–3 ასეულის ძალებით ორ ტყვიამფრქვევთან ერთად. ასეულის მეთაური კაპიტანი გერმისაშვილი, უმცროსი ოფიცერი თუშიშვილი, მეტყვიამფრქვეველთა გუნდის მეთაური, კაპიტანი ოკოევი.

მარცხენა უბანი დაკავებულია მე–2 ასეულის ძალებით. ასეულის მეთაური პორუჩიკი ინასარიძე, უმცროსი ოფიცერი ჭავჭანიძე და მოვლენილი ოფიცერი, პორუჩიკი ხარაძე. ორი ტყვიამფრქვევი განვალაგე ქოლაგერანის ხეობაში, მდინარე ბამბაკის აქეთა ნაპირზე, რკინიგზის ხიდთან და დამატებით საველე საგუშაგო უნტერ–ოფიცრისა და 9 ჯარისკაცის შემადგენლობით.

თვითონ მე მცირე სარეზერვო ჯგუფთან ერთად ვიმყოფები სადგურ ქობერში. ჩემგან მარჯვნივ და მარცხნივ ჩვენი ქვედანაყოფების არსებობაზე არავითარ ინფორმაციას არ ვფლობ. ჩემს უკან სადგურ სანაინზე მეგულება ორი ჯავშანმატარებელი და შანიძის ასეული. რაც შეეხება კავშირს. მე სრულებით მოწყვეტილი ვარ ჩემს ასეულებს, რომლებთაც სიმაღლეები აქვთ დაკავებული. კავშირი მაქვს მხოლოდ სადგურ სანაინთან, ისიც რკინიგზის სადგურის ტელეფონით. ცოცხალი შეტყობინების ორგანიზება დიდი მანძილისა და ხალხის სიმცირის გამო არ ხერხდება. გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა სასწრაფოდ გამომიგზავნონ სატელეფონო აღჭურვილობა და ტელეფონისტები.

განსაკუთრებული შერეული რაზმის უფროსი, ტფილისის საგუბერნიო ბატალიონის კაპიტანი გუგუშვილი".[33]

მძიმე ოპერატიული მდგომარეობიდან გამომდინარე, 24 ოქტომბრისათვის საქართველოს მთავრობის მიერ ბორჩალოს მაზრაში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება და მაზრის გენერალ–გუბერნატორად და რეგიონის ქართული გარნიზონის საერთო საჯარისო მეთაურად, მე–2 ქართული ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური, გენერალ–მაიორი გიორგი წულუკიძე ინიშნება. ტელეგრამის ადრესატი ვორონცოვკაში განლაგებული ქართული რაზმის უფროსი, გენერალი ციციშვილია.

„შიფროგრამა №192. გენერალური შტაბის განყოფილებიდან. 24. 10. 1918. 15 საათი და 00 წუთი. უაღრესად სასწრაფო. გენერალ ციციანოვს.

სომხების შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს საზღვრის გადმოლახვისა და სოფლების ქორინჯისა და წათერის დაკავებასთან დაკავშირებით, ბორჩალოს მაზრასა და ნაუთლულ–წათერის რკინიგზის ხაზზე

გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა. გენერალ–გუბერნატორად დანიშნულია გენერალი წულუკიძე. გიბრძანებთ დარჩეთ იმ ხაზზე, რომელიც ადრე ჰქონდათ დაკავებული თურქებს. არ დაუშვათ სომხებისა და მათი ნაწილების ამ ხაზს აქეთ გადმოსვლა. მთავრობებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

გენერალი ანდრონიკოვი".[34]

აი, აქ კი მივადექით ძალზე უცნაურ და ერთი შეხედვით აუხსნელ მომენტს. „Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній"–ში მოყვანილი დოკუმენტის თანახმად, 1918 წლის 25 ოქტომბერს, გენერალი წულუკიძე სანაინიდან (დოკუმენტში არ არის მითითებული გამოგზავნის პუნქტი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ეს პუნქტი სანაინი უნდა იყოს, რადგან ბორჩალოს მაზრის ამ უბანზე მხოლოდ სადგურ · სანაინში იყო სატელეგრაფო შეტყობინება) სამხედრო მინისტრის სახელზე შემდეგი შინაარსის ტელეგრამას აგზავნის:

„პირადად შემოვიარე ფრონტები და გამოვარკვიე შემდეგი: სომხებს დაკავებული აქვთ ქორინჯი, ხიდის სამხრეთი ნაწილი და წათერი. მათ პირისპირ ყველგან ჩვენი ჯარები დგანან. ჩემთან ერთად ჩამოსული რაზმი რეზერვის სახით ჯერ–ჯერობით სანაინში დგას. გუშინდელი დღიდან სომხებთან არავითარი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს. ველი თქვენს განკარგულებებს. ღამით არზუმანოვმა ჩაიარა, რომელმაც ტფილისში, მთავრობის თავმჯდომარესთან ტელეგრამა გამოაგზავნა...

მიღებული ცნობებით სომხური სოფლებიდან ახალგაზრდობა გაქრა – სად, ცნობილი არ არის".[35]

ამ მომენტიდან დაწყებული ხსენებულ დოკუმენტთა კრებულში წარმოდგენილი მასალები მხოლოდ გენერალ წულიკიძის ხელმოწერით იგზავნება, რომელთა შინაარსიც გარკვეულწილად არ ემთხვევა ჩვენს მიერ არქივიდან ამოღებულ დოკუმენტაციის შინაარსს. სხვათა შორის, კაპიტან გუგუშვილის რაზმის საბრძოლო აქტივობა ხსენებულ დოკუმენტთა კრებულში საერთოდ არაა დაფიქსირებული. ჩვენ შევეცდებით შევავსოთ ეს დანაკლისი.

25 ოქტომბერს კაპიტანი გუგუშვილი ქობერის რაიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ, საქმის კურსში აყენებს თავის უშუალო მეთაურებს.

„შიფროგრამა №57. ქობერიდან 25. 10. 1918. 9 საათი და 50 წუთი. საიდუმლო. სასწრაფო. ტფილისი. საგუბერნიო კომისარს. ასლი საგუბერნიო ბატალიონის მეთაურს.

მოგახსენებთ, რომ გუშინ, 5 საათზე შეხვედრა მქონდა სომხეთის საბრძოლო რაზმის მეთაურთან, რომელმაც განმიცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დატოვებენ დაკავებულ ტერიტორიებს. ღამის პირველ საათზე მატარებლით ჩაიარა სომხურმა კომისიამ რომელიც ერევანში გაემგზავრა მოლაპარაკებების საწარმოებლად. პასუხს ველოდებით ხვალისათვის. უარის თქმის შემთხვევაში ალბათ დაიწყება ღია, საომარი

მოქმედებები. ჯარისკაცების განწყობა ამაღლებული და საბრძოლოა. მთელი ბორჩალოს მაზრა გადაყვანილია სამხედრო მდგომარეობაზე. ჯერ–ჯერობით მდგომარეობა საგანგაშოა.

კაპიტანი გუგუშვილი".[36]

არ გასულა სულ ერთი საათიც ამ შეტყობინების გაგზავნიდან, რომ წათერის მიდამოებში განლაგებული კაპიტან გუგუშვილის რაზმს სომხებმა ცეცხლი გაუხსნეს.

„შიფროგრამა №708. სანაინიდან. 25. 10. 1918. 14 საათი და 35 წუთი. სამხედრო მინისტრს, გენერალური შტაბის უფროსს.

დღეს, დაახლოებით 11 საათზე, ჩვენი წათერის საჯგუშაგოზე იერიში მიიტანეს სომხურმა ქვედანაყოფებმა... გვყავს დაჭრილები. საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ, სომხებმა უკან დაიხიეს.

გენერალი წულუკიძე."[37]

25 და 26 ოქტომბერს პოზიციური ბრძოლები გაგრძელდა. ქვემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სოფლები წათერი და ჭორინჯი 25–27 ოქტომბრის განმავლობაში რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ამ ეტაპზე ქართული ჯავშნოსანი მატარებლების დროულად საქმეში ჩართვამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საერთო მდგომარეობის დარეგულირებაზე.

თავდაცვის მინისტრის ბრძანებისა და გენერალ წულუკიძის განკარგულებით, შენიხთან აღმოჩენილი სომხური სადაზვერვო რაზმისა და შეიარაღებული ქვედანაყოფების წინააღმდეგ ჯავშანმატარებელი იგზავნება. საბრძოლო ანგარიშს შემდეგი სახე ჰქონდა.

„შიფროგრამა №76. სანაინიდან. 25. 10. 1918. 17 საათი და 55 წუთი. სამხედრო მინისტრს. გენერალური შტაბის უფროსს.

თქვენი ბრძანების შესაბამისად ჩემს მიერ ჯავშანმატარებელი გაყვანილ იქნა სოფელ შენიხთან და გაგზავნილ იქნა სადაზვერვო ჯგუფი. სოფლის მისადგომებთან სადაზვერვო ჯგუფზე მიტანილი იქნა იერიში. ბრძოლა 45 წუთს მიმდინარეობდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩემს მიერ ჯავშანმატარებლიდან მათ დასახმარებლად დამატებით გადასხმულ იქნა ქვეითი რაზმი. საბრძოლო მოქმედებების გამწვავების გამო იძულებული შევიქენი გამეშვა რამდენიმე ჭურვი მტრის პოზიციებისაკენ. მტერი განადგურებულ იქნა, ხოლო დიდებულიძის რაზმმა დაიკავა პოლკოვნიკ ზაქარიაძის მიერ მითითებული საბრძოლო პოზიციები.

გენერალი წულუკიძე".[38]

წარმოდგენილი შეტყობინება გენერალ წულუკიძის ხელმოწერითაა დამოწმებული, თუმცა, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, იგი აშკარად პორუჩიკ გოგუაძეს უნდა ეკუთვნოდეს.

მხოლოდ 26 ოქტომბერს იგზავნება საქართველოს მთავრობის 19 ოქტომბრის ნოტაზე ოფიციალური პასუხი ერევნიდან:

„რადიოგრამა №539. ერევნიდან. 26. 10. 1918. 18 საათი და 35 წუთ
სამხედრო მინისტრს. საგარეო საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს.

ჩვენს ჯარებს მიღებული აქვთ ბრძანება დაიკავონ თურქების მიე
დატოვებული საგუშაგოები. ბრძანების გაცემას ვადასტურებთ. ამჟამა
მიცემულია ბრძანება ქორინჯი—წათერის დაცლის თაობაზე, რომელთ
დაკავება, როგორც ჩანს, მოხდა გაუგებრობის შედაგად. გაეც
განკარგულება თქვენს მხარეს, რომ შეწყვიტონ გამომწვევი მოქმედებანი დ
შეწყდეს ქართული ჯარების გადაადგილება. *საზღვრების საკითხი
მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით კი გთავაზობთ მოწვეულ იქნას სომხურ
ქართული კონფერენცია.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).

პრეზიდენტი—თავმჯდომარე კაჩაზნუნი.

გადასცა: რადიოსადგურის უფროსი მარქარიანი".[39]

წარმოდგენილი რადიოგრამის ტექსტი მეტად საინტერესო დ
მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. აქ ბატონი ოვანე
კაჩაზნუნი უკვე ორჯერ ურცხვად ტყუის. პირველად ტყუის მაშინ, როც
აცხადებს, რომ სომხურ ქვედანაყოფებს გაეცათ ქორინჯი—წათერის დაცლი
ბრძანება, ხოლო მეორედ მაშინ ტყუის, როცა ქორინჯი—წათერის დაკავები
საკითხს გაუგებრობას მიაწერს. ამავე დროს, იგი ქართული სამხედრო
ქვედანაყოფების მხრიდან გამომწვევი მოქმედებებისაგან თავის შეკავებას
მოითხოვს, ანუ, ქართველთა მიერ საკუთარი ტერიტორიების უცხოურ
აგრესიისაგან დაცვა გამომწვევ ქმედებასთანაა გაიგივებული.

ტელეგრამაში კიდევ ერთხელაა კაჩაზნუნის მიერ გამოთქმულ
სამშვიდობო კონფერენციის გამართვის სურვილი, მაგრამ ცხადია, არავითარ
სამშვიდობო მოლაპარაკებები კაჩაზნუნის რეალურად არ აინტერესებდა. ისე
ვიმეორებთ, ვითომცდა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა კაჩაზნუნის
მხრიდან მხოლოდ დროის მოგების მიზნით იყო განპირობებული. მის მიერ
„საზღვრების საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის" ორმხრივი „სომხურ—
ქართული კონფერენციის" მოწვევის სურვილი კი გარკვეულ გარემოებებზე
იყო გათვლილი და ეს დასკვნები ძალიან მალე დადასტურდება.

ეს ის კაჩაზნუნია, ვისაც უკვე დასვრილი აქვს ამიერკავკასიის
მაჰმადიანური მოსახლეობის სისხლით ხელი. ეს ის კაჩაზნუნია, ვის
ბრძანებითაც ამჟამად მიმდინარეობს ზანგეზურსა და ყარაბაღში მშვიდობიან
მუსულმანური მოსახლეობის დაუნდობელი ხოცვა—ჟლეტა. და ბოლოს, ეს ის
კაჩაზნუნია, როიმელიც სულ მალე ქართველების — სომეხთა „ნათესავი დ
მეგობარი ხალხის" სისხლს დაღვრის.

რადიოგრამის გამოგზავნიდან უკვე მეორე დღეს, 27 ოქტომბერს,
გამთენიისას, სომხურმა ქვედანაყოფებმა ისევ სცადეს იერიშის მიტანა
ქართულ საგუშაგოებზე, ამჯერად ისევ წათერი — ქორინჯის ხაზზე, მაგრამ
№4 ჯავშანმატარებლის საქმეში ჩართვამ აქაც გადამწყვეტი როლი ითამაშა.

„შიფროგრამა №120. სანაინიდან. 27. 10. 1918. 9 საათი და 30 წუთ
სამხედრო მინისტრს, ასლი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

27–ში, დილის 5 საათზე, გენერალ წულუკიძის განკარგულებით გაგზავნილ ვიყავი სომხური ქვედანაყოფების შესაჩერებლად, რომლებმაც შეტევა წამოიწყეს ქორინჯი–წათერის მიმართულებით. ადგილზე მისვლისთა–ნავე ჯავშნოსანი მატარებელი ბრძოლაში ჩაება. ბრძოლა რამდენიმე საათს მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგის შეტევა მოგერიებულ იქნა და მტრის ქვედანაყოფებმა უკან დაიხიეს. წათერი და ქორინჯი ისევ ჩვენ ხელში გადმოვიდა. სომხური ქვედანაყოფები გვეკედრებიან, (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში – Умоляют – ა. ჩ.) რომ ჯავშანმატარებელი კვლავ არ გამოვიდეს ხაზზე. ჯავშანმატარებელში გვყავს ერთი დაჭრილი არტილერისტი. ამჟამად სიმშვიდეა.

ჯავშანმატარებლების უფროსი და ხაზის კომენდანტი გოგუაძე.”[40]

27 ოქტომბერსვე, გამთენიისას, გენერალ წულუკიძეს სომეხთა პოლკის მეთაურთან, პოდპოლკოვნიკ კოროლკოვთან ჰქონდა შეხვედრა, რომელმაც მას მთავარსარდლის, გენერალ დროს ხელმოწერილი ოფიციალური წერილი გადასცა წათერისა და ქორინჯის დაცლის თაობაზე:

„შიფროგრამა №781. სანაინიდან. 27. 10. 1918. 18 საათი და 15 წუთი. სამხედრო. სასწრაფო. სამხედრო მინისტრს. გენერალური შტაბის უფროსს.

დილის 7 საათსა და 30 წუთზე სომხურ დელეგაციასთან ერთად გავემართე 118–ე ვერსზე მდებარე ხიდზე. ამ დროისათვის საომარი მოქმედებები შეწყვეტილი იყო. დელეგაციის ნაწილი ყარა–ქილისასაკენ გაემართა, სადაც საერთო მეთაურის – დროს შტაბია განლაგებული. 118–ე ვერსზე მოვიდა პოლკოვნიკი კოროლკოვი, რომელიც სომეხთა სამსახურში იმყოფება და ერთ–ერთ რაზმს მეთაურობს. კოროლკოვმა გადმომცა დროს 26 ოქტომბრით ხელმოწერილი სასწრაფო წერილი, რომელშიც სომეხთა მიერ წათერისა და ქორინჯის დაცლაზეა საუბარი. ჩემი განკარგულებით ცეცხლი შეწყვეტილია და წათერი–ქორინჯი დაკავებულია. სოფლებში დატოვებულია რაზმი 2 ოფიცრისა და 15 ჯარისკაცის ოდენობით. დანარჩენ ნაწილებს ნაბრძანები აქვთ სანაინში თავმოყრა. რომელ ხაზამდე დაიხიეს სომხებმა, ჩემთვის უცნობია, მაგრამ იმედია გამოვარკვევ დროსთან პირადი შეხვედრის გზით. თავს მოვალედ ვთვლი, მოგახსენოთ, რომ საბრძოლო მოქმედებისას თავისი გამბედაობით გამოირჩეოდა ცხენოსანი ასეულის კორნეტი კორძაია, ასევე, სამშობლოს წინაშე მხედრული ვალი მოიხადა ჯავშანმატარებლის მთელმა პირადმა შემადგენლობამ ხუხუნაიშვილის მეთაურობით.

გენერალ–მაიორი წულუკიძე”.[41]

როგორც ვხედავთ, ჯავშანმატარებელმა აქაც წარმატებით გაართვა თავი საბრძოლო ამოცანის შესრულებას. თითქმის დანაკარგების გარეშე სოფლები წათერი და ქორინჯი ისევ დაუბრუნდა საქართველოს, თუმცა სასაზღვრო სადგურ შაღალიმდე ჯერ კიდევ შორსაა...

აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონ რამაზ ცუხიშვილს შემდეგ მოსაზრებაში: „სომხეთის მიერ 1918 წლის 18 ოქტომბრის ბორჩალოს მაზრაში წამოწყებული საომარი ოპერაციები ერთგვარად პროინგლისურ

ხასიათს ატარებდა, და შეიძლება ინგლისის პოლიტიკის ნაყოფად მივიჩნიოთ. არაა გამორიცხული, რომ იმ დროისათვის სომხეთის ხელისუფლების მოქმედება ინგლისის მიერ იყო წაქეზებული, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ებრძოდა რა საქართველოს, სომხეთი ფაქტობრივად ამ ქვეყნებში მყოფ გერმანელებს უპირისპირდებოდა და ასე ინგლისის წისქვილზე ასხამდა წყალს."[42]

აქვე, შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ სომხური აგრესიის მთავარ გამომწვევ მიზეზს დაშნაკთა ექსპანსიონისტურ იდეოლოგიაზე აგებული „დიადი მიზნის" — „დიადი არმენიის" რეალიზაცია წარმოადგენდა. ამ ეტაპზეც, ისევე როგორც ბაქოს კამპანიის დროს, სომხეთი და დიდი ბრიტანეთი ბუნებრივ მოკავშირეებად მოგვევლინნენ. ოქტომბრის მოვლენები და განსაკუთრებით სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლება დეკემბერში, დიახაც, რომ ბრიტანელთა მიერ იყო მოწონებული და ვიზირებული. ბრიტანელებს ამისათვის თავიანთი შორს მიმავალი და კარგად გათვლილი პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ. ამ საკითხებს შესაბამის თავებში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

ასე დასრულდა სომხეთ–საქართველოს გამოუცხადებელი ომის პირველი ეტაპი. მიუხედავად პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი სიმცირისა, სამხედრო–ოპერატიული თვალსაზრისით, პირწმინდა გამარჯვება საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს საკუთარი პროფესიონალიზმისა და საბრძოლო–ტექნიკური საშუალებების მხარდაჭერის, მათი დროული და ეფექტური გამოყენების წყალობით. თუმცა, პოლიტიკური თვალსაზრისით ქართულმა მხარემ სრული გამარჯვების მოპოვება მაინც ვერ შეძლო. 1918 წლის 18 ოქტომბრამდე არსებული ტერიტორიული სტატუსქვოს აღდგენა, მსოფლიოში და კერძოდ, ამიერკავკასიის რეგიონში ახლად შექმნილი სამხედრო–პოლიტიკური გარემოებების გამო, ვეღარ მოხერხდა.

სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით, არარატის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ 1918 წლის ოქტომბერში ჩატარებულ ოპერაციას შემდეგი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს. საერთო ჯამში, ეს იყო სამხედრო ხელოვნების თეორიაში საბრძოლო მოქმედებების კარგად ცნობილი სახეობა — „დაზვერვა ბრძოლით". რიჩარდ ოვანესიანი კი ასე აფასებს ამ მოვლენებს:

„სომეხთა სტრატეგია ქართველთა პოზიციების მოსინჯვა იყო, იმ გათვლით, რომ წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში ისინი უფრო ღრმად წაიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ. მაგრამ გერმანულმა და ქართულმა ქვედანაყოფებმა უახლოესი სადგურიდან უმალ ჩააყენეს საქმის კურსში თბილისი და სომეხთა წინსვლას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს".[43] და აქვე: „სომხეთ–საქართველოს კონფლიქტის პირველი რაუნდი სომეხთათვის წარმატებით დასრულდა. მან ნათლად გამოაჩინა, რომ სომხები არც ისე სუსტები ყოფილან, როგორც ეს ბევრს ეჩვენებოდა".

გარკვეულწილად ვეთანხმებით სომეხი ავტორის ამ მოსაზრებას. ვეთანხმებით მის მოსაზრებას სომეხთა ძლიერებაზე პირადი შემადგენლობის რიცხობრივი მონაცემებისა და შეიარაღების თვალსაზრისით, თუმცა, მათ საბრძოლო სულისკვეთებაზე რა მოგახსენოთ. ფაქტი ისაა, რომ როგორც კი სომხები ქართველთა ურყევ გადაწყვეტილებაში დარწმუნდნენ საკუთარი ტერიტორიების დაცვის შესახებ და საპასუხო დარტყმებიც იგემეს, მათ ტრადიციას არ ულალატეს, მყის დათმეს პოზიციები და უკან დაიხიეს. მიუხედავად დიდი რიცხობრივი უპირატესობისა, სომხურმა ნაწილებმა, ამ ეტაპზე მაინც ვერ გაბედეს სრულმასშტაბიანი, ღია საომარი მოქმედებების გაშლა. როგორც რიჩარდ ოვანესიანის მოყვანილი ციტატიდანაც ჩანს, მცირერიცხოვანი გერმანული საგუშაგოების არსებობამაც დიდი როლი ითამაშა სომეხთა უკან დახევის გადაწყვეტილებაზე.

ბახტიარ ნაჯაფოვი კი ასეთ რეზიუმეს უკეთებს სომეხთა კაპიტულანტურ პოლიტიკას: „(სომეხთა უკან დახევის – ა. ჩ.) ერთ–ერთ მთავარ ფაქტორს ის წარმოადგენდა, რომ ქართველებმა კრიტიკულ მომენტში შეძლეს ორგანიზება და შეტევაზე გადმოსულ სომხეთის ჯარს ძალა დაუპირისპირეს. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ სომხური ნაციონალიზმის წინააღმდეგ მხოლოდ რეალურ ძალაზე დამყარებული ტაქტიკა მოქმედებს ყველაზე ეფექტურად. ნებისმიერ კომპრომისებს, დიალოგებს, მოლაპარაკებებს სომეხი ნაციონალისტები ცალსახად აღიქვამენ – სისუსტის ნიშნად და ასეთი მიდგომა მათ პრეტენზიებს კიდევ უფრო ზრდის".[44]

აბსოლუტურად ვეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას. ამ რაკურსში კი, ქართველმა მენშევიკებმა დანაშაულებრივი პასიურობა გამოიჩინეს და სომხურ აგრესიაზე ადეკვატური და სრული რეაგირება აღარ მოახდინეს.

ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ დაგვანახა, რომ უკვე 1918 წლის დეკემბერიდან, სპარსეთიდან ბაქოში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების გადმოსხდომის შემდეგ, შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, დაშნაკმა ულტრანაციონალისტებმა ჩათვალეს, რომ ქართული მხარე, ანტანტის წევრი ქვეყნების დაწოლით, შესაბამის წინააღმდეგობას ვეღარ გაწევდა და სრულმასშტაბიანი, ღია საომარი მოქმედებები დაიწყეს.

§2. რეგიონში შექმნილი ახალი სამხედრო–პოლიტიკური ვითარება და სომხეთ–საქართველოს დიპლომატიური ომი.

1918 წლის სექტემბრიდან I მსოფლიო ომის სირია–პალესტინისა დ ამიერკავკასიის ფრონტებზე საერთო–სტრატეგიული და ოპერატიულ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. კაიზერის გერმანიის საარმიო შენაერთებმ რამდენიმე მძიმე მარცხი განიცადეს საომარ მოქმედებათა ევროპულ დ აზიურ თეატრებზე და ოქტომბრისათვის სრული კატასტროფის პირზ დადგნენ. 29 სექტემბერს ბულგარეთი აცხადებს კაპიტულაციას და გადი „ოთხთა კავშირიდან". 27 ოქტომბრისათვის კი ფრონტებზე შექმნილ კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, თურქეთი წყვეტს საომარ მოქმედებებს და ითხოვს ზავს.

საზავო მოლაპარაკებები კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში შესდგა ამიტომ იგი ისტორიაში მუდროსის ზავის სახელით შევიდა. მოლაპარაკებებ ბრიტანულ სამხედრო ხომალდ „ფორსაიტის" ბორტზე დაიწყო დ „აგამემნოსზე" გაგრძელდა. თურქეთის მხრიდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა – თურქეთის იმჟამინდელი საზღვაო მინისტრი ხოლო დიდი ბრიტანეთის მხარეს – ადმირალი ს. ა. კელთორფი (S. A. Calthorpe). მუდროსის ზავის ძირითად პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდა:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები იხსნება და მოკავშირეთა ქვეყნების გემებს ეძლევათ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება.

2. დაუყოვნებლივ მოხდეს თურქეთის შეიარაღებული ძალების დაშლა. დაშვებულია მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და შიდა წესრიგის დაცვისთვის საჭირო ძალების არსებობა;

3. დაუყოვნებლივ მოხდეს კავკასიისა და ირანის ტერიტორიებიდან თურქული საოკუპაციო ჯარების გამოყვანა;

4. ანტანტის წევრი ქვეყნები იღებენ სრულ კონტროლს თურქეთის რადიოზე, ტელეგრაფზე, კომუნიკაციებზე, რკინიგზაზე, საზღვაო პორტებზე, სამხედრო გარნიზონებზე;

5. აუცილებლობის შემთხვევაში, ანტანტის წევრი ქვეყნები იტოვებენ უფლებას მოახდინონ თურქეთის ამა თუ იმ პროვინციის ოკუპაცია;

საომარი მოქმედებები ოტომანთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის შეწყდეს 1918 წლის 31 ოქტომბრის 24^{00} საათზე, ადგილობრივი დროით.[45]

არსებული ვალდებულებების გასაკონტროლებლად თურქეთის მთელ ტერიტორიაზე ანტანტის წევრი ქვეყნების სამხედრო მისიები და წარმომადგენლობები დაფუძნდნენ. დანიშნული ზედამხედველი ინსპექტორები პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლება–მოსილებებით აღიჭურვნენ. მუდროსის ზავმა უმძიმეს პირობებში ჩააყენა თურქული სახელმწიფო და ფაქტიურად წერტილი დაუსვა „ახალგაზრდა თურქთა" მმართველობასა და ოტომანთა იმპერიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. მუდროსის ზავი მხოლოდ

იურიდიული გაფორმება იყო ოტომანთა იმპერიის იმ სამხედრო კატასტროფისა, რომლის დადგომაც უკვე 1918 წლის ზაფხულის ბოლოდან იყო ცხადი, მას შემდეგ, რაც გერმანიის არმიებმა გამანადგურებელი მარცხების სერია განიცადეს I მსოფლიო ომის საომარ მოქმედებათა თეატრებზე.

27 ოქტომბერსვე საქართველოს მთავრობა აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელ ხალხთა რესპუბლიკის მთავრობებს სთავაზობს კავკასიის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას მთელი რიგი, პირველ რიგში კი სასაზღვრო საკითხების გადასაჭრელად.

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა კონფერენციაზე გადასაჭრელად დააყენოს შემდეგი საკითხები:

1. ურთიერთცნობა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა, რომელთა მთავრობებიც მოწვეულნი არიან კონფერენციაზე.

2. გადაწყვეტა ყველა სადავო საკითხებისა, მათ შორის საზღვრების საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შესათანხმებლად, ხოლო ასეთი შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში – არბიტრაჟის მეშვეობით.

3. ურთიერთვალდებულება, არც ერთი არ შევიდეს სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ისეთ ურთიერთობაში, რომელიც ვნებას მიაყენებს კონფერენციის მონაწილე რომელიმე ხალხს.

4. სოლიდარული ურთიერთ მხარდაჭერით გამოსვლა მსოფლიო კონგრესზე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ცნობისა და მათი ინტერესების დაცვის მიზნით".[46]

ანტანტის წევრი ქვეყნების შეთანხმებით მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა, სადაც სამივე რესპუბლიკის დედაქალაქში ბრიტანელთა საოკუპაციო შენაერთები უნდა შესულიყვნენ. ამ ჯარების საერთო ხელმძღვანელი, სპარსეთში დისლოცირებული ბრიტანელთა საჯარისო კონტინგენტის ახლადდანიშნული სარდალი, გენერალ–მაიორი უილიამ მონტგომერ ტომსონი (William Montgouimer Thomson), ენზელიდან ნოემბრის პირველ რიცხვებში ბაქოში გამოგზავნილ ტელეგრამაში მკაცრად მოითხოვდა, რომ თურქულ ნაწილებს ორ კვირაში დაეცალათ ბაქო, ხოლო ერთ თვეში – მთელი ამიერკავკასია. ბრიტანელთა მიერ წაყენებული ულტიმატუმის საფუძველზე, თურქულმა საჯარისო შენაერთებმა იძულების წესით დაიწყეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება.

დადგა სომეხთათვის ნანატრი მომენტი. მათი აზრით, როგორც იქნა ელირსათ რეალური და უკვე გამარჯვებული „დიდი მოკავშირის" ტრიუმფალური შემობრძანება ამიერკავკასიაში. გენერალ დანსტერვილის ეპოპეისაგან განსხვავებით, ანტანტის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაცია ამჯერად ბრიტანელთა ერთპიროვნულ მმართველობას მოასწავებდა.

პეტრე გელეიშვილი: „დაშნაკცაკანელი მოღვაწეები მუდმივად ოცნებობდნენ ტერიტორიების გაზრდაზე საქართველოს ხარჯზე. მაგრამ სხვა

დროს, სხვა ვითარებებში, ისინი ვერ გაბედავდნენ წასულიყვნენ რბილად რომ ვთქვათ, მათთვის ესოდენ სარისკო ავანტიურაზე. ისინი მხოლოდ ემზადებოდნენ და უცდიდნენ იმ ხელსაყრელ შემთხვევას, როცა თავისი სანუკვარი მიზნების განხორციელების საშუალება მიეცემოდათ. და ასეთი ხელსაყრელო დროც დადგა. მსოფლიო პოლიტიკაში თავბრუდამხვევი ცვლილებები მოხდა. გერმანიამ, რომელიც საქართველოს მფარველად ითვლებოდა, მარცხი განიცადა და ჰეგემონია მოკავშირეებს დაუთმო. გერმანიის იმპერიის დაცემა სულაც არ იყო მოულოდნელი. დაკვირვებული თვალი თვენახევარი—ორი თვით ადრე იწინასწარმეტყველებდა გერმანიისათვის ასეთ დასასრულს. და იყნოსა რა (ზუსტად ეს სიტყვებია, и почуявъ — ა. ჩ.) ეს ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში,' სომხეთის მთავრობამ დაიწყო მზადება, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო ამ ცვლილებებისგან".[47]

დოქტორი ერდალ ილთერი, 1915 წლის ვანის ამბებთან დაკავშირებით წერს: „რუსული ჯარების ვანთან მოახლოებასთან ერთად, ამ და მეზობელ პროვინციებში მცხოვრებ სომხებში მტრულმა განწყობებმა იმატა და მათ ოტომანთა ადმინისტრაციის წინააღმდეგ დაიწყეს აჯანყება".[48]

აბსოლუტურად მსგავსი სურათი დაიხატა საქართველოსთან მიმართებაშიც 1918 წლის ნოემბერ—დეკემბრის თვეებში. ზემოთ მოყვანილ ტექსტში რუსების მაგივრად ბრიტანელები უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ოტომანთა იმპერიის მაგივრად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ყველაფერი დანარჩენი იდენტურია. მაგრამ, საწყის ეტაპზე სომეხთა მიერ გარკვეული პროპაგანდისტული და იდეოლოგიური სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო, რაშიც დაშნაკთა ლიდერები ნამდვილად არ საჭიროებდნენ სწავლებასა და დახმარებას.

აი, რას წერდა სომეხთა პროპაგანდისტულ შესაძლებლობებსა და საერთოდ სომხებზე, ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწე და მკვლევარი სკოტლენდ—ლიდელი: „სომხები მსოფლიოში საუკეთესო პროპაგანდისტები არიან. მათი პროპაგანდა არაა მხოლოდ უკანასკნელი თვეების შედეგი. ეს პროპაგანდა სისტემატურად მიმდინარეობდა მრავალი წლების განმავლობაში. ვერც რუსეთში, ვერც კავკასიაში ვერ იპოვნით ადამიანს, რომელიც რაიმე კარგს იტყვის სომხების შესახებ. რუსები, თათრები (აზერბაიჯანელები) და ქართველები ვერ იტანენ მათ და ეზიზღებათ ისინი. სწორია თუ არა ეს, ჩემი განსასჯელი არაა, მაგრამ ფაქტი სახეზეა — სომხები აუტანელი რასაა. მაგრამ მათი პროპაგანდა საზღვარგარეთ ისეთია, რომ ევროპა და მთელი მსოფლიო მათ მხარესაა".[49] ამჯერად, აქ კომენტარის გაკეთებისაგან თავს შევიკავებთ...

დაიწყო ქართველებისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აღვირახსნილი, ცილისმწამებლური, ანტიქართული კამპანია — ის, რომ ქართველები ნაციონალისტები არიან, რომ საწყალ სომეხ დევნილებს არ ეხმარებიან, რომ არ ეთანხმებიან ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიულ

პრინციპებს, რომ საქართველოს მთავრობა გერმანულ სარდლობასთან არის ალიანსში, რომ ისინი ახალქალაქსა და ლორეზე, ამ „უდავო და ძირძველ სომხურ ტერიტორიებზე" აცხადებენ პრეტენზიებს, რომ ბლოკადასა და სრულ იზოლაციაში ჰყავთ მოქცეული არარატის რესპუბლიკა და ა.შ. და ა.შ. და ამ საქმეში თბილისში გამომავალი სომხური გაზეთები, დაშნაკური იდეოლოგიის რუპორები „ორიზონი" და „აშხატავორი" ჩაებნენ.

მაგალითად, „ორიზონი": „ენვერ–ფაშა სპობს სომხის ხალხს ოსმალეთში, ხან ხოლო ამავე დანაშაულს ჩადის ადერბეიჯანში და ნ. ჟორდანიას მთავრობა საქართველოში".[50]

იგივე „ორიზონი": „გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფ თავისუფალ საქართველოში იმგვარადვე იჟლიტება სომხის ხალხი, როგორც იჟლიტება სისხლიანი სულთნის სამშობლოში. დახვრეტა–ჩამოხრჩობის, ჟლეტისა და დარბევის ნაცვლად, სომხის ხალხს განადგურების ახალი სასჯელი და ფორმა არგუნეს. მესოპოტამია, ერზერუმი, ბაკურიანი, წალკა, მე–300 ვერსის სადგური, აი, ის გადასასახლებელი ადგილები, სადაც გარეკეს საწყალი სომხის ხალხი და დაუხვრეტავად ასობით და ათასობით საფლავისაკენ ისტუმრებენ".[51]

სწორედ ამ და ამის მსგავს სტატიებში გამოთქმული აზრების შემდგომი ევოლუცია იყო მოგვიანებით მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენ „სომხურ საკითხში" ჩართული ის დიდი ბრალდებები სომეხთა მეზობელი ხალხებისადმი და რა თქმა უნდა ქართველებისადმი, რომლებიც თურმე, ნუ იტყვით და დღენიადაგ მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, თუ როგორ გაეჟლიტათ საწყალი სომხები.

11 დეკემბრის „აშხატავორი" – მოწინავე სტატია: „მუდამ ერთგული დემოკრატიული პრინციპებისა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ

1) საზოგადოდ, ერთა თვითგამორკვევის ყოველი სადავო საკითხი უნდა სწყდებოდეს მოსახლეობის თავისუფალი ნების თავისუფლად გამოცხადების გზით, რეფერენდუმით – და ეთნიური პრინციპის თანახმად.

2) კერძოდ საკითხები ლორისა, ბორჩალოს ნაწილისა და ახალქალაქისა, რომელნიც სომხებს თავის უდავო ტერიტორიებად მიაჩნია, აგრეთვე მხოლოდ ამ ადგილების მცხოვრებთა თავისუფალ თვითგამორკვევას უნდა მივანდოთ. ამას მოითხოვს როგორც ორივე სახელმწიფოს ინტერესები, აგრეთვე ზოგათათვის „სადავო" საკითხების რაციონალური და დადებითი გადაჭრა".

ეს ამონარიდებიც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ სადამდე მივიდა სომეხ დაშნაკთა უმადურობა და საშინელი ცილისწამებები საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის მიმართ. კარგად ჩანს მათი გაძლიერებული მადაც ძირძველი ქართული მიწების ჩასაყლაპავად, რასაც აქამდე ასე გაბედულად ვერ აცხადებდნენ. იმასაც მოესწრო ქართველობა, რომ გათამამებულმა დაშნაკებმა მათ ჭკუის სწავლებაც კი დაუწყეს – „ზოგათათვის", ე.ი. ქართველებისათვის, აქამდე არ ყოფილა თურმე გასაგები,

რომ ლორე–ტაშირი და ახალქალაქი სომხების უდავო კუთვნილებაა და ამაში არაფერია სადავო.

პეტრე გელეიშვილი: „და აი, ამ ბედნიერი დღის მოლოდინში სომეხი ლიდერები პრესასა და შეკრებებზე ანტიქართული იდეის პოპულარიზაციას შეუდგნენ. დაიწყო ძმათამკვლელი აგიტაცია, რომელიც სომხეთიდან მალე გადმოვიდა საქართველოშიც. ყველგან დაიწყო ფულის შეგროვება საქართველოს წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ სომხებით დასახლებულ სოფლებში ადგილობრივი მღვდლები. ისინი საქართველოს წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს ქადაგებდნენ და გლეხებს ფიცს ადებინებდნენ, ამასთან ერთად, ჯვრის ნაცვლად ამბორისათვის ხანჯალს აძლევდნენ, იმის ნიშნად, რომ იარაღით ხელში იბრძოლებდნენ ქართველთა წინააღმდეგ".[52] მაინც ვერ ღალატობს ქართული გადამეტებული ლოიალობის გრძნობას ავტორი და ისევ ძმებად მოიხსენიებს სომხებს.

შექმნილ სიტუაციას სრულად ასახავს გაზეთი „საქართველო" 10 ნოემბრის მოწინავე სტატიაში, აანალიზებს რა საქართველოს პარლამენტში აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გამართულ დებატებს:

„გუშინდელ დღეს პარლამენტში სამახსოვრო დღე იყო. უკანასკნელ დღეებში სომხები ძალიან გათამამდნენ: დაიწყეს პროვოკაციის ცეცხლის დანთება, მოიმიზეზეს ზამთრის მოახლოვება და ლტოლვილებისათვის მოსალოდნელი სიცივის სიმწვავე. მაგრამ საჭირო არ იყო პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, რომ ქართველებს გამოეკვლიათ, თუ რით იყო გამოწვეული დაშნაკების წკმუტუნი. საერთაშორისო ატმოსფეროში იყნოსეს ზამთარში გაზაფხულის დაწყება და დაგუბებული ნაღველი უნდათ ერთად დაანთხიონ, რომ საქართველოს წინააღმდეგ შექმნან ისეთი განწყობა, როგორც მათ მოახერხეს შეექმნათ ოსმალებისა და კავკასიის მაჰმადიანების წინააღმდეგ. სად არის გარანტია, რომ დაშნაკელებს გამზადებული არა აქვთ ნაღმები სწორედ ქართული პარლამენტის ქვეშ ჩასაწყობად. ჩვენ ვიცით, როგორი გეგმები აქვთ სომხებს ხიდების ასაფეთქებლად, როგორ სცდილობენ ისინი ქართველების დამხობას. რატომ არ გააძევებს ქართული მთავრობა ბატონ არშაკ ჯამალიანს, რომლის პროვოკატორულ საქმიანობასაც დღეს თვითონ „ერთობაც" ამხელს. სანამდის უნდა ვითმინოთ ჩვენ ჯამალიანისა და მისი მსგავსი აგენტების თავხედობა?... უკანასკნელ დღეებში სომხები ძალიან გათამამდნენ. ეს სითამამე უკვე გადადის კადნიერებაში, და ისეთ კადნიერებაში, რომელიც ამ მშიშარა ხალხს არას დროს არ გამოუჩენია".[53]

ამავე გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება ინფორმაცია თბილისში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ – „რადგანაც იარაღის ჩაბარება წესისამებრ არ მოხდა და დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან, ამასთანავე სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდის აფეთქების გამო (აქ ძეგვის ხიდის აფეთქების ფაქტზეა საუბარი – ა. ჩ.), თბილისში საალყო წესები გამოცხადდა. თბილისის გენერალ–

გუბერნატორად ინიშნება გენ. მაზნიაშვილი, რომელსაც დაემორჩილება თბილისის შეიარაღებული ძალები და რკინის გზის ლიანდაგი ნავთლულ–დიდუბეს შუა. ბრძანება ძალაშია 8 გიორგობისთვის ღამის 10 საათიდან".

ბატონი ვიქტორ ნოზაძე კი თავის მემუარებში აღნიშნავს: „განსაკუთრებული ბრძოლა ასტეხეს სომხებმა, რომელთაც უცხოეთის პრესაშიც კი საქართველოს მთავრობას განგაში დაუწყეს და იმპერიალისტობაში, დემოკრატიისა და სოციალიზმის ღალატში ბრალსა სდებდნენ. ეს ხომ დიდი ცოდვა უნდა ყოფილიყო სოციალ–დემოკრატიული ქართული მთავრობისათვის! საკითხი მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალშიც კი დაისვა". (საერთაშორისო დასმენის კიდევ ერთი მაგალითი – ა. ჩ)[54]

რაც შეეხება სომეხი ლტოლვილების საკითხს. აქ ცალსახად უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა გამოდიოდა რა თავისი ზღვარს გადასული დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებიდან, სომეხ ლტოლვილებს უფრო დიდ ყურადღებასა და თანადგომას უწევდა, ვიდრე თანამემამულე ქართველებს. 10 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" ეხება რა ლტოლვილთა ფულადი დახმარების საკითხს, ეკითხულობთ: „ამერკავკასიის სეიმმა ამ კომიტეტს (ლტოლვილთა დახმარების – ა. ჩ.) გადასცა 15 მილიონი და ამ ფულში სომხების საბჭომ მიიღო 10 მილიონი მანეთი. თუ რამდენია ლტოლვილი, სწორად გამოანგარიშებული არ არის, მაგრამ ნავარაუდევია 300000. ეს თუნდაც კიდევ ძირს დავუშვათ 150000 მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ამათში სომხები არანაკლებ 120, 110 ათასი მაინც იქნებიან. ესენი გადმოხვეწილი არიან ორი მხრიდან: ერევნის გზით თბილისში და ახალქალაქიდან ბაკურიანში. დანარჩენები გაითქვიფნენ თბილისში და სოფლებში და ჩვენ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია".[55]

თვით სომხური გაზეთებიც კი ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი უფრო დიდ დახმარებას უწევდა სომხეთიდან გადმოხვეწილ ლტოლვილებს, ვიდრე თვით თბილისის მდიდარი სომეხი მოსახლეობა. „გაზეთ „მშაკში" (№207) ექიმი ა. შაჰბაზიანი ფრიად საყურადღებო წერილს უძღვნის სომეხ ლტოლვილთა მოვლა–პატრონობის საკითხს, რომელშიაც მწარე საყვედურით მიმართავს ტფილისის შეძლებულ სომხობას, რომ ის დახმარებას არ უწევს თავის უბედურ მოძმეებს და საჭიროდ მიაჩნია მდიდარ სომხობაზე საგანგებო გადასახადი გაიწეროს ლტოლვილთა დასახმარებლად".[56]

აი, პასუხიც დაშნაკთა ბრალდებების კიდევ ერთ პუნქტზე, სადაც სომეხ ლტოლვილთა მიმართ ქართველთა მიერ არასათანადო დახმარებების გაწევაზეა საუბარი.

როგორც ვხედავთ, ქართველების მხრიდან საუკუნეების განმავლობაში სომეხთათვის თითქოს უკვე კანონად ქცეული დახმარებისა და თანადგომის, საკუთარი მიწაზე შეფარებისა და ყოველგვარ ზღვარს გადასული ლოიალური

მოპყრობის ტრადიცია 1918 წელსაც ისეთივე წარმატებითა და კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით მიმდინარეობდა, როგორც არაბთა ბატონობის დროიდან დაწყებული. საოცარი ისაა, რომ დაშნაკები ამას უკვე დაკანონებულ წესად აღიქვამენ და კი არ ითხოვდნენ, არამედ უკვე ძალიან ამაღლებულ ტონებში მოითხოვდნენ ქართველების მხრიდან ამგვარ მოპყრობას. როგორც იტყვიან, უმადურობას საზღვარი არა აქვს.

შალვა ნუცუბიძე: „ის ერი, რომლის მიმართ ქართველ ერს უდიდესი დამსახურება აქვს, რომლისთვისაც ქართველ ერს არ შეჰშურდა უკანასკნელი ლუკმა – ის ერი, რომლის მიმართ საქართველო ასეთ ძველისძველეს თავაზიანობას, ძველ სტუმართმოყვარეობას იჩენდა, ამ ერმა, ან ყოველ შემთხვევაში, მისმა გაბატონებულმა ნაწილმა, მათმა პოლიტიკოსებმა საკვირველი დაივიწყეს ის ელემენტარული გრძნობა, რომელსაც მადლიერების გრძნობა ეწოდება".[57]

აბსოლუტურად მართალი იყო ბატონი გ. გვაზავა, როცა წერდა: „დავივიწყოთ ბნელი საუკუნე რუსის ბატონობისა, როცა სომხები არ ზოგავდნენ ფულსა და სხვა საშუალებებს, რომ დაემციერებიათ საქართველო მისი წარსული, მისი კულტურა და გადავიდეთ უკანასკნელზე. ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვენ ამ ბოლო დროს სულ გადაყევით სომხებს და მათ პოლიტიკურ ფანტაზიებს შევწირეთ ბევრი ჩვენი ეროვნული ინტერესები. და თუ ჩვენ ბათუმი და აჭარა დავკარგეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მხარი დავუჭირეთ სომხეთის პრეტენზიებს. თავის დროზე რომ მიგვეტოვებია სომხები და გამოგვეცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენ ბათუმიც შეგვრჩებოდა. რომ გაგვიჭირდა, ჩვენ ვთხოვეთ შემწეობა გერმანიას. ამით ჩვენ დავიცავით განადგურებისაგან სომხების ის ნაწილი, რომელიც შემოხიზნული იყო საქართველოში, მაგრამ ნათქვამია: სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნიანო? გავიდნენ თუ არა გერმანელები საქართველოდან და ოსმალები ადერბეიჯანიდან, სომხებმა იფიქრეს, რომ დადგა ჟამი მადლობის გადახდისა. მადლობაც სომხურია: მოღალატური, ვერაგული, უსინდისო".[58]

საქართველო–სომხეთს შორის დაპირისპირების დიპლომატიურ ფრონტზე კი დიდი პოლიტიკური თამაში დაიწყო; თამაში, რომელიც თითქმის თვენახევარს გაგრძელდა. ყარაქილისში, სომეხთა მთავარ საველე შტაბში ჩასული სომეხთა ეროვნული საბჭოს ახლადდანიშნული თავმჯდომარე, ბატონი სააკიანი 1918 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი შინაარსის ტელეგრამას აგზავნის თბილისში:

„ტელეგრამა №20. ყარა–ქილისადან. 02. 11. 1918. 19 საათი და 20 წუთი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

სომეხთა საბჭომ 29 ოქტომბრის სხდომაზე დიდი გულისყურით მოისმინა მინისტრი თავმჯდომარის მოხსენება იმის შესახებ, რომ კონფლიქტი რომელიც წარმოიშვა, გადაჭრილ იქნება ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე. მისცა რა შესაბამისი მითითებანი თავის მთავრობას, სომეხთა

საბჭომ დაადგინა, რომ მიმართოს საქართველოს პარლამენტს იმ ღრმა რწმენით, რომ არავითარ გაუგებრობას არ შეუძლია შეარყიოს ორი მოძმე ხალხის საუკუნეობრივი, ურყევი კავშირი. საბჭოს სჯერა, რომ საქართველოს პარლამენტიც მიიღებს ყოველგვარ ზომებს მომავალი მოლაპარაკებების მოსაწყობად.

სომეხთა საბჭოს თავმჯდომარე – სააკიანი".[59]

ამ ტელეგრამის ტექსტის ყურადღებით წაკითხვა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა და მისი თავმჯდომარე, ბატონი კაჩაზნუნი, 29 ოქტომბრისათვის უკვე ყარაქილისაში, სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარ საველე შტაბშია. მთელი ოქტომბრის განმავლობაში ბატონი კაჩაზნუნი ინტენსიურ ვოიაჟებს მართავდა აღსტაფასა და ყარაქილისას შორის, სწორედ საომარი მოქმედებების გააქტიურების დროს.

წარმოდგენილი ტელეგრამის ტექსტის მიხედვით ცოტა გაუგებარია რომელი ინსტანცია წარმოადგენს სომხეთის უმაღლეს საკანონმდებლო და სახელისუფლებო ორგანოს, სომხეთის მინისტრთა კაბინეტი და პარლამენტი, თუ სომეხთა ეროვნული საბჭო და დაშნაკთა პარტიის ბიურო? როგორი იყო მათ შორის სუბორდინაციის წესი და ვინ ვის აძლევდა მითითებებს? ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს და ვის გამოჰქონდა დადგენილებები? როგორც ვხედავთ, კითხვის ნიშნები აქაც საკმაოდ ბევრია. და ამ კითხვებს სამწუხაროდ ლოგიკური პასუხები არ მოეპოვება. მთელი ეს დიდი სამხედრო–პოლიტიკური თავყრილობა ყარა–ქილისაში კი სხვა არაფერი იყო, თუ არა სომეხ დაშნაკთა ერთობლივი პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული მოქმედებების შეთანხმება და შეჯერება იმ დიდი ექსპანსიონისტური მიზნის მისაღწევად, რასაც „სომხეთის ძირძველი ჩრდილოური მიწების" დაკავება ერქვა.

ზოგადად, სომხეთის პარლამენტს, რესპუბლიკის მთავრობასა და დაშნაკთა პარტიულ ბიუროს შორის არსებული სუბორდინაციის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი აღიარებითი ხასიათის ცნობებს გვაწვდის თვით ბატონი ოვანეს კაჩაზნუნი თავის მემუარულ წიგნში – „The Armenian Revolutionary Federation (Dashnagtzoutiun) Has Nothing To Do Any More", რომელიც პირველად ბუქარესტში გამოიცა სომხურ ენაზე. თვით ამ წიგნის სახელწოდებაც მეტად მრავლისმეტყველია – „სომეხთა რევოლუციურ ფედერაციას (დაშნაკცუტიუნი) საკეთებელი არაფერი აღარა აქვს".

წიგნი 1923 წელსაა გამოცემული. როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან სულ რაღაც ხუთი წელიწადია გასული. წიგნის ინგლისური ვერსია კი 1955 წელს დაიბეჭდა ნიუ იორკში. მისი რედაქტორი ჯონ როი კარლსონია (John Roy Carlson), თარგმანი კი მეთიუ კალენდარს (Matthew A. Callendar) ეკუთვნის. მცირე დეტალი – „დღეს ძნელია, შეუძლებელი თუ არა, აღნიშნული წიგნის მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელში მონახვა. იმის გამო, თუ რას წერს ყოფილი პრემიერ მინისტრი

დაშნაკცუტიუნზე, გარკვეულმა სომხურმა წრეებმა იზრუნეს იმისათვის, რომ ეს წიგნი საერთოდ გამქრალიყო. ზოგი ბიბლიოთეკის კატალოგში წიგნი დაფიქსირებულია, მაგრამ წიგნთსაცავებში იგი აღარ არსებობს" – ეს, თვით წიგნის რედაქტორის შენიშვნაა.

„თავის საქმიანობაში ჩვენი პარტია აკონტროლებდა საკანონმდებლო ხელისუფლებასაც და მთავრობასაც. ჩვენ არც გამბედაობა გვეყო და შესაძლებლობაც არ გვქონდა, რომ ღიად გამოგვეცხადებინა დიქტატურა... ეს არ იყო პარლამენტი. ეს იყო ცარიელი ფორმა შინაარსის გარეშე. სახელმწიფო საკითხებისა და პრობლემების განხილვა–გადაწყვეტა დახურულ კარებს მიღმა მიმდინარეობდა...

რეალურად, საპარლამენტო ფრაქციებიც არ არსებობდნენ, რადგან ეს უკანასკნელნი დაშნაკთა ბიუროს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ისინიც იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ მის ბრძანებებს. ასევე არ არსებობდა მთავრობა. ისიც ბიუროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. იგი ბიუროს კუთვნილი აღმასრულებელი სახის ორგანო იყო სახელმწიფოში...

უცნაური და გამაოგნებელი იყო, რომ პარლამენტის 80 წევრიდან 72 დაშნაკი იყო. მხოლოდ ოთხი პარლამენტარი იყო სხვა პარტიის წევრი. არ არსებობდა ოპოზიციური პარტია, რომელიც წინ აღუდგებოდა უმრავლესობას...

ეს პარლამენტი კი არა მისი კარიკატურა იყო... პარტიის ბიურო პარლამენტს იყო ჩანაცვლებული მისთვის ჩვეული მართვის დიქტატორული სტილით".[60]

ვერაფერს ვერ ვიტყვით. დაშნაკთა პარტიის, სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის, მთავრობისა და საერთოდ, არარატის რესპუბლიკის მთელი პოლიტიკური ისთებლიშმენტის ასეთი ობიექტური და რეალისტური შეფასება ნამდვილად მოულოდნელი და მისასალმებელია, და ისიც ვისგან – პირველი დაშნაკური სახელმწიფოს ყოფილი პირველი პრემიერ მინისტრისა და პირწავარდნილი ულტრანაციონალისტისაგან. მაგრამ ყოველივე ეს მოგვიანებით იყო, მანამდე კი... სხვადასხვა პარტიებსა თუ სახელმწიფო და პოლიტიკურ ინსტიტუტებს ამოფარებული დაშნაკთა პარტია და მისი მთავარი ბიურო, სტეფანე ზორიან–როსტომისა, უფრო ადრე კი ქრისტოფერ მიქაელიანისა და სიმონ ზავარიანის მეთაურობით, მისთვის ჩვეულ სტილსა და რიტმში აგრძელებდა „მოღვაწეობას". ასე, რომ დაშნაკთაგან საზოგადოდ თვალებში ნაცრის შეყრა იყო არარატის რესპუბლიკის პარლამენტზე, მთავრობაზე, სომეხთა ეროვნულ საბჭოზე, დელეგაციებზე, სომხეთის რომელიმე არადაშნაკურ პარტიაზე ან წარმომადგენელზე საუბარი. ასეთ შემთხვევებში, ყველგან და ყოველთვის და პირდაპირ უნდა ვიგულისხმოთ – *„სომეხთა რევოლუციური ფედერაცია – დაშნაკთა სოციალისტური პარტია" და მისი მთავარი ბიურო.* აი, ასეთი იყო საქმის რეალური ვითარება.

ამ პერიოდის ქართულ–სომხური დიპლომატიური მიმოწერა იმ უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს, რომელიც ცალსახად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ არარატის მთავრობა დიდი დიპლომატიური თამაშის გზას დაადგა. დიპლომატიურ ფრონტზე გამართული დიდი პოლიტიკური თამაშის სტრატეგია სომეხთათვის ამ ეტაპზე დროის მოგება იყო, იმ დროისა, რომელიც მათ სასარგებლოდ მუშაობდა. დაშნაკი იდეოლოგების მოქმედებების ტაქტიკას პოლიტიკური ინტრიგების ხლართვა შეადგენდა, დაშნაკთა პარტბიუროს უახლოეს ამოცანას კი არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნება მოკავშირეთა ჯარების ამიერკავკასიის რეგიონში სრულ განლაგებამდე. დაშნაკები ბრიტანულ–ფრანგულ საოკუპაციო რეჟიმს თავის ბუნებრივ მოკავშირედ თვლიდნენ.

საერთო კავკასიური კონფერენციის გახსნა 10 ნოემბრისათვის იყო დანიშნული, მაგრამ ამ თარიღისათვის სომხური დელეგაცია თბილისში არ ჩამოსულა. არდასწრების მიზეზად სომხური ოფიციალური წარმომადგენლობა ისევ ტექნიკურ მხარეს ასახელებს. რიჩარდ ოვანესიანს კი თავის სქელტანიან მონოგრაფიაში The republic of Armenia. The first year, 1918–1919, სომეხთა კონფერენციაზე არდასწრების მიზეზად მართლაც რომ უსუსური არგუმენტი მოჰყავს. თურმე ნუ იტყვით და, ქართველების მიერ ამიერკავკასიის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის ინიციატივამ თავმოყვარეობა შეულახა არარატის რესპუბლიკის მესვეურთ და თურმე ერთობ გაანაწყენა სომხური მხარე: „ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე საქართველო კარნახობდა 'კონფერენციის მოწვევის დროს, ადგილს, მონაწილეებსა და ფორმატს... და ამით ხაზს უსვამდა თავის დომინანტურ მდგომარეობას კავკასიაში".[61] სერიოზული ავტორისათვის მეტად არასერიოზული დასკვნაა.

11 ნოემბერს ნოე ჟორდანია შემდეგი შინაარსის შიფროგრამას უგზავნის სომხეთში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს, ბატონ სვიმონ მდივანს:

„სომხეთის რწმუნებულის განცხადებით, 10 ნოემბრის კონფერენციის შესახებ კავშირგაბმულობის გაუმართაობის გამო, სომხეთის მთავრობას შეტყობინება ჯერაც არ მიულია. გადაეცით სომხეთის მთავრობას, რომ მათი წარმომადგენლების ჩამოუსვლელობის გამო, კონფერენცია კიდევ სამი დღით გადაიდო. სთხოვეთ, რომ კონფერენციაზე მოავლინონ სრული რწმუნებებით აღჭურვილი ორი პირი.

მთავრობის მეთაური ჟორდანია".[62]

იმავე დღეს, თბილისში, საგარეო საქმეთა მინისტრის, ე. გეგეჭკორის სახელზე მდივანისაგან შემდეგი პასუხი იგზავნება:

„ახლახანს მივიღე მთავრობის თავმჯდომარის შიფროგრამა კონფერენციის მოწვევის შესახებ 14 ნოემბერს. სომხები კონფერენციისათვის მზად არ არიან. ისინი ითხოვენ მთიელ ხალხთა კავშირის წარმომადგენლებისა და აზერბაიჯანის მთავრობის კონფერენციისადმი უფლებამოსილების დამოკიდებულების საკითხების დადგენას. ჩემის აზრით, საქმის დადებითად

გადაჭრისათვის საჭიროა კონფერენციის გადადება ორი კვირით, ან უკიდურეს შემთხვევაში, 10 დღით მაინც. სხვა შემთხვევაში კონფერენციის ჩატარება საეჭვოა.

მდივანი."[63]

უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ბატონ ს. მდივანის 13 ნოემბრის შეტყობინება — შიფროგრამა №24, სადაც სომხური მხარე ბოლოსდაბოლოს ოფიციალურად ახმოვანებს საქართველოსადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიების ყველა წვრილმანს.

„შიფროგრამა ერიუანიდან №24. 13. 11. 1918. საგარეო საქმეთა მინისტრს.

დღეს პირველად მოხდა აზრთა გაცვლა–გამოცვლა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიგრანიანთან, რომელსაც გიორგი ხატისოვიც ესწრებოდა. *მათ მოითხოვეს ახალქალაქის მაზრა და გორის მაზრის ნაწილი, რომელიც ესაზღვრება ახალქალაქს, აგრეთვე ბორჩალოს მაზრის ნაწილი მდინარე ხრამამდე. ამ მოთხოვნების საფუძველს წარმოადგენს იმ თათბირებზე გაკეთებული განცხადებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პარტიებს შორის რევოლუციის პერიოდში. მე გადაჭრით უარვყავი მათი მოთხოვნები ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების სომხეთისათვის გადაცემის თაობაზე. სომხების მხრიდან არის იმედები დათმობებზე, მაგრამ ჩვენ ალბათ მოგვიწევს გარკვეული მსხვერპლის გაღება ბორჩალოს მაზრის ხარჯზე. გარდა ამისა, ისინი ალბათ მოითხოვენ კომპენსაციის სახით ჩვენს მხარდაჭერას იმაში, რომ მათ მიეკუთვნოთ ის ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად აზერბაიჯანისა და თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.* ვითხოვ მითითებებს. (ხაზგასმა ჩვენია — ა. ჩ.)

მდივანი".[64]

ესეც ასე. საქართველოს მიმართ სომხური ექსპანსიონისტური მისწრაფებების სრული მასშტაბები ოფიციალურად, სამთავრობო დონეზე პირველად 1918 წლის 13 ნოემბერს გაცხადდა და ბოლოსდაბოლოს დღის წესრიგშიც დადგა. გეოგრაფიულად ბორჩალოს მაზრასთან დაკავშირებული სომხური პრეტენზიები კიდევ წარმოსადგენია. აქ სომეხთა მიერ სასაზღვრო მიჯნაც გამოიკვეთა — მდინარე ხრამი. მაგრამ მეორეს მხრივ, დასავლეთის ზონა — ახალქალაქის მაზრა მთლიანად და ჩრდილოეთით გორის მაზრის ნაწილი, ეს არც მეტი არც ნაკლები დღევანდელი ახალქალაქის რაიონია მთლიანად, დამატებით კი ნინოწმინდისა და წალკის რაიონები და ხაშურის, ქარელისა და ხაშურის რაიონების ნაწილი.

ისტორიულად დადასტურებული ფაქტია ქართველი ორთოდოქსი მარქსისტების მიერ ძირძველი ქართული მიწების გასხვისების დაპირებები სომხებისა და არა მარტო მათ მიმართ. ცნობილი ეროვნულ–დემოკრატი, დავით ვაჩნაძე:

„ემიგრანტობის ხანაში, სომხებთან და ოსებთან შეხვედრების დროს გავეცანით იმ ხანის მათი სამხედრო გამოხატულების სულისკვეთების

ერთ–ერთ მნიშვნელოვან მოტივსაც. ამბობდნენ: ქართველი მენშევიკების წარმომადგენლებმა ჩვენ (ოსებსა და სომხებს) თავიდან ყურები გამოგვიჭედეს დარწმუნებით, რომ მათი პარტია იბრძვის არა საქართველოს რესპუბლიკის შექმნისათვის მის ძველ ტერიტორიულ–სახელმწიფოებრივ საზღვრებში, არამედ სოციალისტური ეროვნული კანტონების დაწესებით, თანამედროვე ეთნოგრაფიულ პრინციპზე აგებული. ჩვენ ვართ ინტერნაციონალისტები, სოციალისტები და არა ნაციონალისტები. თუ ჩვენს ხელში იქნება ძალა–უფლება, ყოველ კანტონს მიეცემა თავისუფლება და ვისაც უნდა იმას მიეკედლოსო".[65]

აი, ასეთი იყო მენშევიკებისათვის ხელისუფლებაში მოსვლის საზღაური. ამ მიზნის მისაღწევად „დიდი ნოე" ქართული მიწებით ეუპჭრებოდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებსა და სხვა „რევოლუციურ პარტიებს".

ჩვენ ზემოთაც ვაჩვენეთ დოკუმენტურად, რომ „დიდი ნოე" და ძმანნი მისნი, 1912 წელს და უფრო ადრეც, მართლაც რომ ქართული ხელგაშლილობით პირდებოდნენ აღნიშნულ მიწებს დაშნაკ ლიდერებს. გაუგებარია, რომელ რევოლუციაზეა საერთოდ საუბარი, რომლის დროსაც „დიდი ნოე" ძირძველ ქართულ მიწებს დაპირდა სომხებს. მაგრამ, არც ისე დიდი იყო „დიდი ნოე", რომ მართლაც ბიბლიური ნოესავით გაენაწილებინა და გაეჩუქებინა თავისი შეხედულებით ქართული მიწები.

ამრიგად, წილი ნაყარია და დიდი პოლიტიკური ვაჭრობა დაიწყო. და ამ თამაშის დასაწყისშივე სომხები დაწინაურებულნი არიან. ნათელი მომავლის იმედით აღსავსე ქართველობამ და სრულიად საქართველომ კი ამ დროს, მისი ისტორიული, მართლაც სისხლით მორწყული მიწების ბედი და მომავალი ქართული „დემოკრატიის მამების" პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ამბიციებს უნდა შესწიროს.

დღევანდელი გადასახედიდან აბსოლუტურად გაუგებარია იმ უნორმო დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება, რითაც აღსავსენი იყვნენ ქართველი სოციალ–დემოკრატები XX საუკუნის დასაწყისში. ნუთუ სამშობლოსა და მამულზე, მის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტზე უფრო არსებითი, უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებებიც არსებობენ? რა უნდა დაერქვას ყოველივე ამას? რა უნდა დაერქვას ქართველი „ინტერნაციონალისტების" მხრიდან ქართული მიწების, მისი წარსულის, მისი აწმყოსა და მისი მომავლისადმი ასეთ დამოკიდებულებას? ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონ ფ. ჟიჟიაშვილის დასკვნას:

„პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად არც ქართველი მენშევიკები ერიდებოდნენ არაფერს და ვაჭრობის საგნად თვლიდნენ ისეთ წმიდათა–წმიდა ფენომენს, როგორიც ეროვნული ტერიტორიაა. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, მსოფლიო ცივილიზაციის ეს უდიდესი მონაპოვარი, იმხანად მრავალი ბინძური ავანტიურის შირმა იყო მხოლოდ".[66]

თბილისიდან 14 ნოემბერს ერევანში გაგზავნილ შიფროგრამაშ
ვკითხულობთ:

„საიდუმლო: – კონფერენციის გადადება ისედაც რთულ ვითარება
კიდევ უფრო ართულებს. აუცილებელია სომხების კონფერენციაშ
მონაწილეობა, რისთვისაც ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ. კონფერენცი
გადაწევა უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია 20 ნოემბრის საღამოს
საათამდე.

აქედან ოფიციალურად: – გაეცნო რა მათ პასუხს, გთხოვთ გადასცე
სომხეთის მთავრობას, რომ საქართველოს მთავრობა გაგებით ეკიდება ა
საკითხს და სთხოვს მას ამ საკითხების გადასაჭრელად უმოკლეს დროშ
გამოაგზავნოს თავისი წარმომადგენლები.

ისევე საიდუმლო: – ამავე დროს, თქვენ გევალებათ შეატყობინო
სომხეთის მთავრობას, რომ წარმომადგენლების გამოუცხადებლობი
შემთხვევაში, აუცილებლობიდან გამომდინარე, ქართულ მხარეს მოუწევ
კონფერენციის მათ გარეშე გახსნა.

საგარეო საქმეთა მინისტრი, გეგეჭკორი.“[67]

ძნელი არის გულგრილად ამ მასალების გაცნობა. ცოტა ბუნდოვანი დ
გაუგებარია, რა წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის უპირველეს
ინტერესს, საკუთარი ტერიტორიების დასაცავად რეალური ქმედებები
განხორციელება თუ კავკასიის ხალხთა კონფერენციის მოწვევა. რჩებ
შთაბეჭდილება, რომ ამ ყბადაღებული სამშვიდობო კონფერენციების ჩატარებ
ქართული მხარის თვითმიზანი უფრო იყო, ვიდრე რეალური, ქმედით
ნაბიჯების გადადგმის სურვილი. აქ აშკარად ჩანს ქართული მხარის
დაბნეულობა და გაუბედაობა. იქნებ შიშიც? მაგრამ ვის, ან რის წინაშე?
ბრიტანეთ–საფრანგეთის გარდაუვალი ზეწოლის წინაშე თუ „მსოფლიოს
ინტერნაციონალურ–დემოკრატიული აზრის“ წინაშე? იქნებ ყველაფრისა
ერთად?

სომხური მხარე აქ უკვე გარკვეულ ტაქტიკურ სვლას აკეთებს
კონფერენციის ფორმატთან დაკავშირებით და არა საერთო–კავკასიური
კონფერენციის, არამედ საზღვრების საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ
ქართულ–სომხური კონფერენციის მოწვევის მოთხოვნას უყენებს ქართულ
მხარეს.

17 ნოემბერს ერევნიდან გამოგზავნილ დეშიფრანტს შემდეგი სახე აქვს:

„დეშიფრანტი №38. ერევნიდან. 17. 11. 1918. საგარეო საქმეთა მინისტრს.

მოგახსენებთ შემდეგს: პირადი მოლაპარაკებების გზით ტიგრანიანთან
მივაღწიე იმას, რომ სომხური მხარე პრინციპში თანახმაა მონაწილეობა
მიიღოს საერთო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა, უშუალოდ
საზღვრების საკითხის განხილვამდე. მაგრამ იმ პირობით, რომ კონკრეტულად
საზღვრების საკითხი გადაიჭრას მხოლოდ ქართულ–სომხური მხარეების
პირდაპირი მოლაპარაკებების გზით. სომხების მოთხოვნით, კონფერენციაზე
სომხური მხარის მიერ საზღვრების საკითხის დასმა მხარდაჭერილი უნდა

იუნას საქართველოს წარმომადგენლების მხრიდან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც თქვენს მიერ მითითებულ 14 ნოემბერს კონფერენციის გახსნა აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რადგან ერთადერთი მატარებელი, რომელიც გააჩნია სომხეთის მთავრობას, ამჟამად ტფილისშია. ამიტომ გთხოვთ გადადოთ კონფერენციის მოწვევა 27 ნოემბრამდე. მდივანი."[68]

ქართულმა მხარემ უშუალო ქართულ—სომხურ კონფერენციის მოწვევასა და „სადავო ტერიტორიების" სასაზღვრო გამიჯვნის საკითხების განხილვას თავის აარიდა. რატომ არ უნდოდა ქართულ მხარეს თუნდაც ქართულ—სომხური ორმხრივი მოლაპარაკებების გამართვა სხვა მონაწილეების გარეშე? რატომ არ სურდა, თავს არიდებდა, თუ ეშინოდა ქართულ მხარეს ერთი ერთზე დარჩენა სომხებთან? ნუთუ ჟორდანია დაშნაკი ლიდერებისათვის მიცემული სიტყვის გატეხვას გაურბოდა? რა თქმა უნდა, ეს არგუმენტი ჟორდანიასა და რამიშვილის მაღალ პიროვნულ თვისებებს უსვავს ხაზს ერთი შეხედვით, მაგრამ სამშობლო? ერი? მოვალეობა? რამ აიძულა ისინი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისთანავე, კიდევ ერთხელ, ასეთი ყოვლად უპასუხისმგებლო და უგუნური დაპირებები მიეცათ კაჩაზნუნისა და ხატისოვისათვის?

ის კი იყო ღირსეული საქციელი, რომ საერთო კავკასიურ კონფერენციაზე იწვევდნენ სომხებს? მათ ხომ მშვენივრად ესმოდათ, რომ ასეთ კონფერენციაზე სომეხთა პრეტენზიები და მოთხოვნები განწირული იქნებოდა? ანდა სეპარატისტული გარიგებები საქართველოს პარლამენტის, აზერბაიჯანისა და თურქეთის ზურგსუკან, სომეხთათვის აზერბაიჯან—თურქეთის წინააღმდეგ ტერიტორიულ პრეტენზიებზე მხარის დაჭერა, იყო კი ღირსეული საქციელი? თავი და თავი ყოველივე ამისა კი, ის იდეოლოგიური ქიმერა — ორთოდოქსალური მარქსიზმი იყო, რომლითაც მთლიანად იყო დასნებოვნებული იმდროინდელი ქართული პოლიტიკის მმართველი ელიტა და არა მხოლოდ იგი. ძმობა, ერთობა, თანასწორობა. არა ერი, არა სამშობლო, არამედ უსახო ელემენტები — მუშა, გლეხი, კლასი, პროლეტარიატი — ეროვნების, ისტორიის, სამშობლოს გარეშე. აი, ის პოლივირუსი, რითაც უზუგეშოდ იყო დაავადებული ქართული მმართველი პოლიტიკური ელიტა და რამაც სულ მალე ფატალურ დასასრულამდე მიიყვანა კიდეც პირველი ქართული რესპუბლიკა.

ქართველი მენშევიკების „მსოფლიო დემოკრატიის" წინაშე პოზიორობამ და რევერანსებმა კი შედეგი არ გამოიღო, ნაყოფი არ მოგვცა. და ვერცს მოგვცემდა, რამეთუ ზოგადად, სოციალ—დემოკრატია დაბადებიდანვე სტერილიზებული და ბერწი იყო.

ქართველ მენშევიკთა იდეოლოგიურ თანაპარტიელებს, „მარქსისტ" დაშნაკელებს კი ამ ეტაპზე ეყოთ ჭკუაც, გამოცდილებაც, (ის გამოცდილება, თუ რას ნიშნავს ერისათვის სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, უსამშობლოდ ყოფა) ეშმაკობაც და კედელთან მიაყენეს ქართული „დემოკრატიის მამები". თან ისე, რომ გამოსავალი აღარ დაუტოვეს მათ. ამ საკითხთან დაკავშირებით

ძნელია არ დავეთანხმოთ დოქტორ კაზიმზადეს დასკვნას: „სომხეთის უხალისობა საერთო კონფერენციაში მონაწილეობის მიმართ აღვილი ასახსნელია. ასეთი სახის კონფერენციაზე ის ვერ წაუყენებდა თავის ჩრდილოელ მეზობელს პრეტენზიებს. აზერბაიჯანისა და სხვა მუსულმანური სახელმწიფოს არბიტრაჟით სომხეთი გრძნობდა, რომ ის ვერაფრით ვერ მიაღწევდა თავის მიზანს. სომეხთა უკომპრომისობის მეორე მიზეზს ის შეადგენდა, რომ ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მოკავშირეთა ამიერკავკასიაში შემოსვლის შემდეგ, ისინი უეჭველად სომხების მხარეს დაიჭერდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის საზიანოდ".[69]

როგორც ვხედავთ, გაუთავებელი დიპლომატიური მიმოწერების მარათონი გრძელდება. აშკარად ჩანს, რომ სომხები დროის მოგებას ცდილობდნენ და ქართულ მხარეს ახალ–ახალ პირობებს კარნახობდნენ. ბოლო მოთხოვნა კი შეეხება საზღვრების საკითხის გადაჭრას მხოლოდ ქართულ–სომხური პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვის გზით. ქართული მხარე გამოდიოდა რა, საყოველთაოობისა და საჯაროობის, სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპებიდან, მომხრე იყო საერთო კავკასიური კონფერენციის მოწვევისა, სომხური მხარე კი კატეგორიული წინააღმდეგი იყო საკითხის ასეთი დასმისა.

სომხური მხარის პოზიცია ახსნადია. იგი თავს არიდებდა იმ საერთო კავკასიურ ზეწოლას, რასაც ნამდვილად ექნებოდა ადგილი კონფერენციაში მონაწილე მხარეების მხრიდან, რადგან სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ ნამდვილად არ იქნებოდა მხარდაჭერილი. გარდა ამისა, სომხებს ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ ამიერკავკასიის ყველა სხვა სახელმწიფოსთანაც, რისი დროზე ადრე გამჟღავნება მას არაფრით არ აძლევდა ხელს. „რეალური მოსახლეობისა და ეთნიკური პრინციპით ხალხთა თვითგამორკვევის დემოკრატიულ პრინციპზე" დაყრდნობით, ანტანტის წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერით გათამამებული სომხური მხარე ნამდვილად აღარ აპირებდა უკან დახევას, რისი დასტურიცაა ზემოთ მოყვანილი დიპლომატიური მიმოწერაც, რამაც ფაქტიურად თვეზე მეტ ხანს გასტანა. თვით რიჩარდ ოვანესიანი წერს:

„საერთაშორისო მდგომარეობის უეცარმა ცვლილებამ შესაბამისი ეფექტი და ზეგავლენა იქონია სომხეთში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე. ბევრი მათგანი, რომლებიც სიტყვებს „რესპუბლიკა", „დამოუკიდებლობა" აღრე დაუფარავი სკეპტიციზმით წარმოთქვამდა, ახლა გრძნობდნენ, რომ დამოუკიდებელ რესპუბლიკას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო."[70]

თუ რა იგულისხმება სიტყვებში – „დამოუკიდებელ რესპუბლიკას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო" – ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი. სიტყვების ქვეშ – „მეტის გაკეთება", ავტორი ორაზროვნად – „მეტი ტერიტორიების მიტაცებას" გულისხმობს. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ლტოლვილების, ხიზნებისა და დარბეულთა სახით სომხური ეთნოსის სიჭარბის ხელოვნურად შექმნის ისტორიულად უწყვეტი პროცესის შედეგები

განსაზღვრავდა იმ მძლავრ ბაზისს, რაზეც იყო დაფუძნებული დაშნაკთათვის მეტად ხელსაყრელი და მოდური ლოზუნგი – „რეალური მოსახლეობისა და ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპი".

სწორად აღნიშნავდა ბატონი თედო ღლონტი, როცა წერდა:

„ტენდენცია სომხის ერის განვითარებისა არის ტენდენცია სპარსეთის და ოსმალეთის მიტოვებისა, ტენდენცია ადერბეიჯანსა და საქართველოში შემოსევისა. ამისდა მიხედვით, სომხობის კავკასიური ცენტრი გადმოდის ჩვენს ქვეყნებში. დაშნაკცუტუნს სურს ამ შემოსვლას, საქართველოს ყოფილ და არსებულ მთლიანობას პოლიტიკური საფუძველი მოურყიოს, შეებრძოლოს და არად აქციოს საქართველოს დამოუკიდებლობა. პირდაპირ საოცარია დაშნაკცუტუნის პლანი: სომხობა დაიფანტა თავისი ნებით და ეხლა ამ დევნილ ერს სურს უმრავლესობის როლი ითამაშოს ოსმალეთშიც, სპარსეთშიც, ადერბეიჯანშიც და საქართველოშიც. საკვირველია, რომ დაშნაკცუტუნის დონ კიხოტები რუმინიის ან ამერიკის სომხებს არ ურჩევენ რუმინიაში და ამერიკაში პოლიტიკურად გაბატონებას".[71] მაგრამ არ ხუმრობდნენ „დაშნაკცუტუნის დონ–კიხოტები", მათ კარგად ჰქონდათ გათვლილი თავიანთი მოქმედებების თითოეული წერილმანი.

1918 წლის 17 ნოემბერს, გენერალ დანსტერვილის ბაქოში შესვლიდან ზუსტად სამ თვეში, ხოლო მისი იქიდან ევაკუაციიდან ორ თვეში, ბაქოში ისევ ენზელიდან და ისევ ზღვით, უკვე მეორედ შემოდის ბრიტანელთა საექსპედიციო კონტინგენტი, კერძოდ, 39–ე ქვეითი ბრიგადის რამდენიმე ასეული გენერალ–მაიორ უილიამ მონტგომერ ტომსონის სარდლობით. მაგრამ, ამჯერად, წინანდელისაგან განსხვავებით, ბრიტანელები ტრიუმფა–ტორებად შემოვიდნენ ამიერკავკასიაში და ბაქოში პირდაპირი ბრიტანული მმართველობაც დაამყარეს.

ბრიტანელებს ბაქოში ჩვენი ძველი ნაცნობი, უკვე გენერლამდე გაზრდილი ლაზარ ბიჩერახოვიც შემოჰყვა ჩრდილო კავკასიიდან, თავისი და თავისი ძმის გაერთიანებული ძალებით. თავისი შენაერთი მან ბაქოს გუბერნიის ერთადერთ ადგილობრივ კანონიერ სამხედრო შენაერთად გამოაცხადა. მის შენაერთში მნიშვნელოვანი იყო სომხების წილიც. მალე ბრიტანელები ნური ფაშას კვალს აგნებენ და აპატიმრებენ მას. სხვათა შორის, ამ საკითხთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სომხებისაგან განსხვავებით, იგი ბოლომდე მადლიერი და ერთგული დარჩა თავისი მოკავშირეების – გერმანელებისა და ბრიტანელთა მკაცრი მოთხოვნის მიუხედავად, მთელი გერმანული საჯარისო კონტინგენტი, დაწყებული გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინიდან, დამთავრებული უკანასკნელი ჯარისკაცით, დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით გაამგზავრა ფოთიდან სამშობლოში. კიდევ ერთხელ გადაჭრით ვიმეორებთ, რომ გერმანელებმა თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში მართლაც ნათელი კვალი დატოვეს საქართველოში.

სწორედ ამ გლობალურმა მოვლენებმა ითამაშეს გარკვეული კატალიზატორის როლი დაშნაკური სომხეთის აგრესიული ექსპანსიონისტური ზრახვების გააქტიურებაზე, ამჯერად უკვე ჩრდილოეთის მიმართულებით, საქართველოს ტერიტორიებისაკენ. „თურქული და გერმანული ნაწილები ჯერ კიდევ არ იყვნენ გასული (ამიერკავკასიიდან — ა. ჩ.), როდესაც სომხეთი თავის ტრიუმფს ზეიმობდა. სომხები ისეთი გრძნობებით აღივსნენ, რომ არავითარ კომპრომისზე აღარ იყვნენ თანახმა".[72] — ზუსტად აღნიშნავს დოქტორი კაზიმზადე თავის ნაშრომში.

დიახ, სომხეთს ანტანტის ქვეყნების „პატარა მოკავშირედ" მიაჩნდა თავი და დარწმუნებული იყო, რომ თავისი „ზღვით მოვლენილი" მფარველი ანგელოზის მხარდაჭერით მას ყველაფრის უფლება ჰქონდა და ამიერიდან ყველაფერი ეპატიებოდა. ბრიტანელთა მეორედ შემოსვლა ბაქოში, სომხებმა ამიერკავკასიისათვის მეორედ მოსვლად მიიღეს, ცხადია, სომხების სასარგებლოდ.

აქ ცოტა წინ გავუსწრებთ მოვლენებს და სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელთა იმ სიტყვას გაგაცნობთ, რომელიც მათ ბრიტანელთა უკვე ბათუმში შემოსვლისას წარმოთქვეს. სამართლიანად წერს ი. შახდინი:

„თუ ბაქოში ბრიტანელთა შემოსვლის ინიციატივა ბაქოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს ეკუთვნოდა, (აქ ბრიტანელთა პირველ შემოსვლა იგულისხმება — ა. ჩ.) 1919 წელს ინგლისელებმა ბათუმის ოკუპაცია ყოველგვარი განსაკუთრებული მოწვევების გარეშეც მოახდინეს. სადესანტო ჯარების სათავეში მოსულ გენერალ ფორესტიე—უოკერს ბათუმში დაშნაკური მთავრობის სამხედრო წარმომადგენლები დახვდნენ — გენერალი არეშიევი და კორნეტი მელიქოვი, რომლებმაც შემდეგი სიტყვებით მიმართეს ბრიტანელებს: „სომხები სრულად იზიარებენ ამ ღირსშესანიშნავი დღის სიხარულს. და ღმერთმა შეისმინა ჩვენი ლოცვა—ვედრება მოკავშირეთა გამარჯვების შესახებ, რითაც ჩვენც გავხდით ამ დიდი ზეიმის მონაწილენი".[73]

ასე ესალმებოდნენ სომეხი დაშნაკები ბრიტანელთა მიერ ქართული მიწების ოკუპაციის ფაქტს. თურმე სომხების ლოცვა—კურთხევით შეძლეს ანტანტის ქვეყნებმა I მსოფლიო ომში გამარჯვების მოპოვება და ახლა სომხებისთვისაც უნდა დამდგარიყო გამარჯვების ჟამი ბრიტანელთა მხარდაჭერით. ეს ის გენერალი არეშიევია, სომეხთა საარმიო კორპუსის 1—ლი მსროლელი დივიზიის მეთაური, ვინც ცხრა თვის წინ, უბრძოლველად ჩააბარა თურქებს საარაკოდ გამაგრებული ციხე—ქალაქი ყარსი და სამარცხვინო გაქცევით უშველა თავს.

ბრიტანელთა ბაქოში შემოსვლიდან ორ დღეში, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე შემდეგი შინაარსის შიფროგრამას უგზავნის ერევანში ბატონ სვიმონ მდივანს:

„გუშინ მთავრობის მიერ მოსმენილი იქნა ჩემი განცხადება სომხეთთან დაკავშირებულ საკითხებში. ჩემი აზრი გაზიარებულ იქნა და ის ითვალისწინებს ჩვენი პოზიციების დაახლოებას. ტერიტორიებთან დაკავში-

რებით, ჩვენი პოზიციები გამოკვეთილია. *აზალქალაქის მაზრის სრულად დატოვების სანაცვლოდ, ჩვენ გარკვეული დათმობებზე უნდა წავიდეთ ლორეს უბანზე. თუ რა დონის დათმობები იქნება ეს, გადაწყდება მოლაპარაკებების პროცესში. ჩვენ ენერგიულად დავუჭერთ მხარს სომხების მოთხოვნას ტერიტორიების გაფართოების შესახებ თურქეთის ტერიტორიებისა და სადაც ეს შესაძლებელი იქნება, აზერბაიჯანის ტერიტორიების ხარჯზე.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)

ცნობისათვის გატყობენებთ, რომ 17 ნოემბერს გენერალი ტომსონი, მოკავშირეების სახელით შევიდა ბაქოში. ტომსონსა და ხოელს (ფატალი ხან ყოელი — ა. ჩ.) შორის მოხდა ტელეგრამების გაცვლა. გადმოგცემთ ტომსონის ტელეგრამას სიტყვა–სიტყვით:

„ენზელიდან ბაქოში. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს. მადლობას მოგახსენებთ თქვენი მისასალმებელი ტელეგრამის გამო და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი შემდგომი ურთიერთდამოკიდებულებები ფრიად დამაკმაყოფილებელი იქნება. გენერალი ტომსონი."

— აქედან ჩანს, რომ ზოგიერთი უპასუხისმგებლო სომეხი პოლიტიკოსის გათვლები, როგორც ჩანს, არ გამართლდება. ინგლისელებს მუსულმანებთან ცუდი ურთიერთობები არ ექნებათ. ჩვენც მივიღეთ ტომსონისაგან შემდეგი შინაარსის ტელეგრამა:

„ზავის პირობების თანახმად, თურქეთის მთელი შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან კავკასიაში ევაკუირებულ უნდა იქნან კავკასიიდან. მოკავშირეთა სახელით მე 17 ნოემბერს შევდივარ ბაქოში და გთხოვთ აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება იმ ღონისძიებების აღსრულებას, რაც ითვალისწინებს თურქეთის ჯარების გატარებას საქართველოს ტერიტორიის გაყოლით ბათუმამდე და ფოთამდე. მოკავშირეებსა და გერმანიას შორის დადებული 11 ნოემბრის ზავის პირობების თანახმად, კეთილი ინებეთ უბრძანოთ გერმანიის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან თქვენს ტერიტორიაზე, რომ დარჩნენ ადგილებზე მანამ, სანამ მე, ან მოკავშირეთა ჯარების ერთ–ერთი სარდალი არ გააცნობს მათ საზავო პირობებს.

გენერალი ტომსონი."[74]

როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობა 1918 წლის ნოემბრის შუა რიცხვებისათვისაც ადასტურებს სომხებისათვის ლორე–ტაშირის რეგიონის დათმობის გადაწყვეტილებას, ისევე როგორც 1912 წელს და 1918 წლის ზაფხულის პერიოდში. ტელეგრამის ტექსტში ბატონი ჟორდანია აცხადებს, რომ ეს საკითხი განხილულ იქნა მთავრობის სხდომაზე და იქ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილებაო. ცოტა საეჭვო სიტუაცია იქმნება.

ხანგრძლივი ძიების მიუხედავად, მსგავს განცხადებას ვერსად ვერ მივაკვლიეთ. ერთი რამ კი აშკარად იკვეთება. საქართველოს პარლამენტი–სათვის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნამდვილად არ იყო ცნობილი. იმდროინდელ პერიოდიკასა და საპარლამენტო სხდომების

სტენოგრაფიულ ანგარიშებში მსგავსი დებატები არსად არაა დაფიქსირებული. დაუჯერებელია, რომ თუნდაც ეროვნულ–დემოკრატებს და სხვებსაც ასეთი გადაწყვეტილებისათვის დაეჭირათ მხარი. პოლიტიკური პროცესების განვითარების ელემენტარული ლოგიკა გვკარნახობს, რომ ამ მოვლენას დიდი პოლიტიკური ვნებათა ღელვა უნდა მოჰყოლოდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლორეს სომხეთისათვის დათმობის პოზიცია მხოლოდ ნოე ჟორდანიამ და მისი უახლოესი პარტიული გარემოცვის წევრებმა დაიკავეს. ჩვენის აზრით, მოცემულ შემთხვევაში, ბატონი ნოე გულწრფელი არ არის და იგი დეზინფორმაციას აწვდის ბატონ მდივანს. გარდა ამისა, გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაეჭირა საქართველოს მთავრობას აქტიურად მხარი სომხეთისათვის სხვა მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ასეთი მოქმედება ხომ თვით ქართული მხარის მიერ მომზადებულ კონფერენციის მოსაწვევად გაგზავნილი ტელეგრამის მე–3 პუნქტს ეწინააღმდეგებოდა. ნუთუ საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობების განელილი ისტორია და თუნდაც ოქტომბრის თვეში დატრიალებული მოვლენები ნათელს არ ხდიდა დაშნაკთა ცუდად შენილბულ ზრახვებს? კიდევ რა იყო იმისათვის საჭირო, რომ ბატონ ჟორდანიასა და მის გუნდს ადეკვატურად შეეფასებინათ შექმნილი მდგომარეობა? ნუთუ დღესავით ნათელი არ იყო დაშნაკთა უკვე გამჟღავნებული უაღრესად აგრესიული ექსპანსიონისტური მისწრაფებები საქართველოსთან მიმართებაში? სამწუხაროდ, კითხვის ნიშნები აქაც ბევრია.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მეორედ შემოსულმა გენერალმა ლაზარ ბიჩერახოვმა და მისმა რუსულ–სომხურმა რაზმმა კი სულ მალე გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე და ზრახვები. ძალიან მალე ბრიტანელებიც მიხვდნენ თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. უშუალოდ გენერალ ტომსონის ბრძანებით ბიჩერახოვის რაზმი განაიარაღეს და დაშალეს. ,,ტფილისში მიღებული ცნობების თანახმად ბაქოში მყოფი ინგლისის ჯარის უფროსის, გენერალ ტომსონის ბრძანებით, ბიჩერახოვის რაზმს იარაღი აჰყარეს, რადგან ამ რაზმმა მშვიდობიან მაცხოვრებლებში ძალადობის ხმარება, ძარცვა–გლეჯა და პოგრომების მოხდენა დაიწყო. ტომსონის ბრძანებით აღნიშნულმა რაზმმა ბაქო უნდა დატოვოს''.[75] გენერალ ბიჩერახოვის რაზმის შემდგომ ბედს ისევ დავუბრუნდებით ნაშრომის შესაბამის თავში.

ამ პერიოდისათვის კი გენერალ წულუკიძის დაქვემდებარებაში მყოფი სანაინი–ვორონცოვკის რაზმი სანივთე ქონებისა და შეიარაღებით მომარაგების მხრივ უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რაზედაც სრულ წარმოდგენას გვიქმნის გენერალ წულუკიძის მიერ 2 ნოემბერს სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილი შემდეგი მოხსენებითი ბარათები:

,,მოცემულ მომენტში ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი რაზმის რიცხოვნობა და მდგომარეობა შემდეგია: საგუბერნიო ბატალიონის მე–4 ასეული – 1 ოფიცერი, 41 ჯარისკაცი, 3 ცხენი. ქრისტოხოსოვის რაზმი – 1 ოფიცერი,

39 ჯარისკაცი, (აქედან 8 ავადმყოფი) 2 ცხენი. მეტყვიამფრქვეველთა გუნდი – 1 ოფიცერი, 10 ჯარისკაცი, რომელთაგან მხოლოდ ერთია მომზადებული ტყვიამფრქვეველით საბრძოლველად, 2 ტყვიამფრქვევი, 1 ცხენი. მე–2 ბატარეის ოცეული – 3 ოფიცერი, 33 ჯარისკაცი, 45 ცხენი. საჭიროა დამატებით 10 ცხენი. მე–3 ბატარეის ოცეული – 4 ოფიცერი, 65 ჯარისკაცი, 55 ცხენი, აქედან ბრძოლისუნარიანია 10, დასამატებელია 12. ხიშტი სულ – 68. არა გვაქვს თბილი სამოსი".[76]

და იქვე: „აცივდა. მთებზე ჩამოთოვა. პირად შემადგენლობას არა აქვს თბილი სამოსი, რაც ბრძოლისუნარიანობის მკვეთრ დაცემას უწყობს ხელს. გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ გამოგვიგზავნონ: თბილი საველე ფორმა – 200, შარვალი თბილი – 200, შინელი – 100, ფაფახი – 200, ჩექმა ან ბათინკი – 150, წვივსახვევი – 150, ფეხსახვევი – 200, თბილი საცვალი – 200, ხელთათმანი – 200.

წულუკიძე."[77]

როგორც ვხედავთ, 1918 წლის 2 ნოემბრისათვის საქართველო–სომხეთის საზღვარზე (ფაქტიურად კი ფრონტის წინა ხაზზე) მდგარი ქართული სამხედრო ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობა და მისი აღჭურვილობა შეადგენს: 10 ოფიცერს, 198 რიგითს (აქედან 8 ავადმყოფია), 106 ცხენს (აქედან 10 ბრძოლისუუნარო), 68 ხიშტს. ე.ი. სულ 200 კაცს, ანუ, ერთ გაშლილ ასეულს. წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით, ცალსახად ჩანს, რომ ამ მომენტისათვის ლორეს რეგიონში დისლოცირებული ქართული საჯარისო გარნიზონის მდგომარეობა მძიმე იყო, ძალიან მძიმე. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი.

ჩვენ არ ვაპირებთ ფაქტების მიჩქმალვასა და ისტორიული რეალობების ტენდენციურად წარმოჩენას. სომხეთ–საქართველოს ფაქტობრივ საზღვართან დისლოცირებული ქართული საჯარისო კონტინგენტის პირადი შემადგენლობისათვის მთავარი უბედურება ის იყო, რომ ქართული რეგულარული ჯარის ზოგიერთ ქვედანაყოფში უკვე შეპარულიყო იმ დამანგრეველი სენის სიმპტომი, რასაც ბოლშევიზმის ვირუსი და ანარქია ერქვა და რომელმაც მოგვიანებით, 1921 წლისათვის საბოლოოდ დაანგრია კიდეც იგი. გენერალმა წულუკიძემ, სულით ხორცამდე სამხედრომ, როგორც ნამდვილმა ოფიცერმა და პროფესიონალმა, კარგად უწყოდა თუ რას მოასწავებდა ბოლშევიზმისა და ანარქიის სინდრომი არმიაში. აქედან გამომდინარე, იგი გადამწყვეტი, მკაცრი, მაგრამ აბსოლუტურად გამართლებული ზომების გატარებას იწყებს. იგი კატეგორიულად მოითხოვს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ასეთი ქვედანაყოფების სასწრაფოდ თბილისში გაწვევას და განიარაღებას.

„შიფროგრამა №14. სანაინიდან. 04. 11. 1918. სასწრაფო. საიდუმლო. სამხედრო მინისტრს. გენერალური შტაბის უფროსს.

დღეს, 4 საათსა და 48 წუთზე ტფილისში გამოგზავნილია რაზმი საგუბერნიო ბატალიონის შემადგენლობიდან. მათმა უსაქციელობამ, მოროდიორობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. დღეს საბაჟოს მიერ

კონფისკებული საქონლიდან მათ სხვადასხვა ნივთები გაიტაცეს. გუშინ, 3 საათზე, ისინი არ დაემორჩილნენ და არ შეასრულეს პოლკოვნიკ ჩხეიძის ბრძანება და იარაღით ხელში გამომწვევად იქცეოდნენ. გარკვეულ ჯარისკაცებს ბოლშევიკური განწყობები აქვთ, რაც დამანგრეველად მოქმედებს დანარჩენებზეც. ჩამოსვლისთანავე, რკინიგზის სადგურზე უნდა მოხდეს მათი დაუყოვნებლივი განიარაღება. ოფიცრები და ასევე ჯარისკაცები სასწრაფოდ უნდა იქნან სამსახურიდან დათხოვნილნი. მათი ტფილისში დატოვება მრავალ გაუთვალისწინებელ გართულებას გამოიწვევს.

წულუკიძე."[78]

როგორც ვხედავთ, გენერალ წულუკიძის გარნიზონის ნაწილი, ყველა სიკეთესთან ერთად, ზნეობრივად აბსოლუტურად გამოხრული და დემორალიზებული აღმოჩნდა. აი, ასეთ საბრძოლო და მორალურ კონდიციაში იმყოფებოდა ქართული ჯარის პირველი ეშელონი საქართველო–სომხეთის საზღვარზე 1918 წლის ნოემბრის დასაწყისისათვის.

ჩვენს მიერ დოკუმენტურად იქნა დადგენილი, თუ წულუკიძის რაზმის რა ნაწილი გაიგზავნა თბილისში. ეს იყო 100 კაცი, ე.ი. მთელი რაზმის ნახევარი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სომხური პოლკების პირისპირ, ნოემბრის დასაწყისში, უზუნლარი–სანაინი–ვორონცოვკის უბანზე, მთელი ერთი კვირის განმავლობაში სულ ერთი არასრული ქართული ასეული იყო დაპირისპირებული. აქედან, 50 კაცი სანაინში და 50 კაცი ვორონცოვკაში. ესაა და ეს.

ამ ეტაპზე, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა იღებს ოპერატიულად სწორ, მაგრამ ტაქტიკურად არასრულ გადაწყვეტილებას და პოზიციებიდან მოხსნილი ქვედანაყოფის ჩასანაცვლებლად, გენერალ ციციშვილის განკარგულებაში, საგუბერნიო ბატალიონის მხოლოდ ერთ, მე–4 ასეულს აგზავნის. გენერალ ციციშვილის რაზმის წევრის, რიგითი ალუაშვილის მოხსენებითი ბარათიდან:

„11 ნოემბერს მეოთხე როტა გაგზავნილ იქნა ვორონცოვკაში საზღვრის დასაცავად და რუბენიც წაჰყვა რა თქმა უნდა. იგი გაეცნო რაზმის უფროსს, გენერალ ციციშვილს. (იქ იდგა რაზმი პაგრანიჩნიკებისა და სხვა ატრიადი, რომელსაც ერთად კამანდრობდა გენერალი ციციშვილი და *რომელიც შესდგებოდა მცირე რიცხვით, სულ 50 კაცისაგან.* მეოთხე როტაც გენერლის განკარგულებაში შევიდა და როდესაც რუბენი ციციშვილს გაეცნო, ის თავის შტაბში გადაიყვანა ადიუტანტად. ჩვენ გვეკავა პოსტები, რომლებიც ერთმანეთს მოშორებული იყო თითქმის ხუთ–ხუთი ვერსით." (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.).[79]

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ მცირე ქვედანაყოფს არანაირად არ შეეძლო დაეფარა ყველა საგუშაგო და სრულად გაეკონტროლებინა სომხეთ–საქართველოს ვორონცოვკა–პრივოლნოეს ზონის სასაზღვრო პერიმეტრი. საქართველოს სასაზღვრო ზოლის დაცვა, მისი პირადი შემადგენლობისა და ქვეყნის სავალალოდ, ისევ მხოლოდ და მხოლოდ 200 კაცს დაეკისრა,

რომლებიც სულ მალე სომხური ნაწილების მიერ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესიის პირისპირ, სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებში აღმოჩნდნენ ჩაბმულნი.

1918 წლის ნოემბერ–დეკემბერში ყველა წინაპირობა შეიქმნა იმისათვის, რომ ყოველთა ქართველთა, და არა მარტო მათი, სანუკვარი ოცნება – მესხეთ–ჯავახეთი ოსმალთა ბატონობის საუკუნეობრივი უღლისაგან განთავისუფლებულიყო და ისევ დედა სამშობლოს დაბრუნებოდა. ოსმალთა მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით XX საუკუნეში, რეგიონი სრული სოციალურ–ეკონომიკური, კულტურული და ეროვნული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

1918 წლის დასასრულისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგიონი რთული ეროვნებათაშორისი და პოლიტიკური ავანტიურების რკალში მოექცა. ბორჩალოს მაზრაში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, აქაც, ახალციხე–ახალქალაქის ზონაშიც გააქტიურდნენ დაშნაკური მოძრაობის ლიდერები და სომხეთთან შეერთების ლოზუნგით დიდი პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს. ცხადია, აქაც პოლიტიკური აქტივობის ეპიცენტრში დაშნაკთა რუხი კარდინალი, სტეფანე ზორიანი–როსტომი და კომპანია აღმოჩნდა.

სიტუაცია კრიტიკული იყო. სომხეთი უკვე აშკარად მზად იყო რეგიონში შეეყვანა თავისი ჯარები და ადგილობრივი სომხური მოსახლეობის მხარდაჭერის იმედით, სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაეწყო საქართველოს წინააღმდეგ. საბედნიეროდ, რეგიონის არასომხურმა მოსახლეობამ და სომეხთა გარკვეულმა ნაწილმაც რეალურად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და დაშნაკთა ავანტიურას არ აჰყვა. ამ რეგიონში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობასა და მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობას სრულად გამოხატავს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" შემდეგი პუბლიკაცია სათაურით – „ახალქალაქის მაზრაში უნუგეშო მდგომარეობაა":

„მაღალი, შავგვრემანი, ახოვანი ტანით, გულადი, პირდაპირი, საიმედო და მასთან გლეხის პირობაზე შეძლებული – ეს ქართველი ჯავახელია, ჩვენი კულტურის წარმომადგენელი. ვინ არ იცის 300 ჯავახელის რაინდული და თავგამოდებული 5 თვის განმავლობაში ახალციხის დაცვა შარშან, ოსმალების შემოსევის დროს? ახლა კი, დამახასიათებელი თვისება ყოველ ქართველი ჯავახელისა ან და კიდევ სომხისა, – არის მხარზედ გადაკიდებული პატარა სამათხოვრო ტომსიკა, დაძონძილი ტანსაცმელი, შიმშილით ფერ მიხდილი სახე. პრესამ უკვე აუწყა საზოგადოებას ყველა ის დადგენილება, რომელიც ყრილობამ ერთხმად გამოიტანა და თუ ზორიანი და კომპანია ახალქალაქში მომხდარ ყრილობას „საჩქაროდ გამომცხვარ გლეხთა ყრილობა"–ს ეძახიან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყრილობაზე წარმოდგენილმა სომეხთა დემოკრატიამ ერთხმად გაკიცხა დაშნაკების პოლიტიკა და მხარი დაუჭირა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას. „დაშნაკებმა მიგვიყვანეს ჩვენ ასეთ უკიდურეს მდგომარეობამდის" – გაიძახოდნენ ისინი. ძნელია დაშნაკელებისათვის ამ დამარცხების ატანა და ისიც სად? „პატარა

სომხეთში", როგორითაც ისინი ახალქალაქის მაზრას მოიხსენიებენ."[80] (აქაც — „სომხური დემოკრატია"?! — ა. ჩ.)

ახალქალაქის მაზრაში სომეხთა დაშნაკურმა იდეოლოგიამ სრული კრახი განიცადა. „დიადი სომხეთის" სამ ელემენტს — „დიდი სომხეთი", „ქილიკიის სომხეთი" და „პატარა სომხეთი", იდეურ–პოლიტიკურად ჯავახეთი, ანუ „პატარა ჩრდილოური სომხეთი", როგორც სომხები უწოდებენ მას, დროებით ჩამოშორდა. ამ რეგიონში სტეფანე ზორიან–როსტომმა და დაშნაკთა პარტიბიურომ მწარე მარცხი განიცადა.

კრიტიკული სიტუაციიდან გამომდინარე, 1918 წლის ნოემბრის თვიდან საქართველოს მთავრობა იღებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას და იწყებს გადაუდებელი ზომების გატარებას სამცხე–ჯავახეთის რეგიონის ქართული ჯარებით დასაკავებლად. მთავრობა მიმართულების სარდლად და მხარის გენერალ–გუბერნატორად გენერალ–მაიორ აბელ (ბალო) მაყაშვილს ნიშნავს, რომელიც თავის მცირერიცხოვან რაზმთან ერთად ახალციხეში შევიდა. „გენერალი მაყაშვილი და მისი შტაბი ახალციხეში იმყოფებოდნენ. ახალციხის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი ხოსიტაშვილი იყო, იროდიონ ევდოშვილის ძმა".[81]

მთელი ერთი თვის განმავლობაში გენერალი მაყაშვილი და მისი შტაბი პრაქტიკულად იზოლირებულნი იყვნენ საქართველოს დანარჩენი ნაწილისაგან და ქართული სახელმწიფოს ფაქტობრივი იურისდიქცია მხოლოდ ქალაქ ახალციხეში ვრცელდებოდა. აღნიშნული საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად, საქართველოს მთავრობისა და სამხედრო სამინისტროს გადაწყვეტილებით ბორჯომში ქართული ჯარების კონცენტრაცია იწყება ახალციხე–ახალქალაქის მაზრების სრულად დაკავების მიზნით. გავახსენებთ, რომ 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით, ახალი სახელმწიფო საზღვარი ოტომანთა იმპერიასა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს (საქართველოს) შორის, საზღვრის ამ უბანზე სოფელ აწყურთან გადიოდა, სამხრეთით ორ კილომეტრზე.

ბორჯომის რაიონში კონცენტრირებული ძირითადი სამხედრო ნაწილები იყო: 1–ლი ქვეითი დივიზიის ორი ქვეითი პოლკი, პოლკოვნიკების – გელოვანისა და ყანჩაველის მეთაურობით, აგრეთვე მოხალისეთა რაზმები – „ფხაკაძის", „კერესელიძის", მოგვიანებით — „ჟორდანიასი". ამ რაზმებზე ჩვენ ზევით უკვე გვქონდა საუბარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებში ბორჯომში მოხდა აგრეთვე ოზურგეთისა და აჭარელ მოხალისეთა 500 კაციანი ბატალიონის, ე.წ. „ქართველ მუსულმანთა ბატალიონის" შემოსვლა, პოლკოვნიკ მემედ ბეგ აბაშიძის მეთაურობით. ამ ფაქტს გენერალ მაყაშვილის შემდეგი შეტყობინებაც ადასტურებს:

„ბორჯომიდან. 08. 11. 1918. 11 საათი და 46 წუთი. სამხედრო მინისტრს.

როტმისტრ ბელიევის მოხსენებითი ბარათის თანახმად აწყურში, სოფელ სახულეთში, რომელიც სოფელ აიარას ახლოს მდებარეობს, ჩამოვიდა აჭარელთა ბატალიონი, 500 კაცის, ერთი ზარბაზნისა და სამი ტყეიამფრქვევის შემადგენლობით. წრიოხის სასაზღვრო საგუშაგოს მოპირდაპირე მხარეს, სოფელ წინუბანთან, თურქები 661 სიმაღლის ფერდობებზე სანგრებს თხრიან.

თავადი მაყაევი. (Князъ Макаев – ა. ჩ.)".[82]

როგორც ვხედავთ, ქართული სამხედრო ნაწილების კონცენტრაცია ბორჯომში უკვე ნოემბრის თვიდან მიმდინარეობდა. ცხადია, ქართული მხარის ამ ნაბიჯს არ შეეძლო არ გამოეწვია სომხეთის მთავრობის ოფიციალური პროტესტი, რომელსაც ამ რეგიონზე პრეტენზიები სამთავრობო დონეზე ჰქონდა გაცხადებული. და მართლაც, 4 დეკემბერს, ერევნიდან თბილისში, საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე, სვიმონ მდივანის მიერ №70 შიფროგრამა იგზავნება, სადაც სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ სირაკან ტიგრანიანის ხელმოწერით დადასტურებული სომხეთის მთავრობის ოფიციალური საპროტესტო ნოტაა გაჟღერებული:

„დღეს ტიგრანიანისაგან გადმომეცა შემდეგი შინაარსის ნოტა – „დღევანდელი შეხვედრის დროს, თქვენგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შევიტყვეთ, რომ საქართველოს მთავრობამ დანიშნა ახალციხე–ახალქალაქის გენერალ–გუბერნატორი. ქართული მხარის მიერ მიმდინარეობს ზომების გატარება ახალქალაქის დასაკავებლად. სომხეთის მთავრობის სახელით ვაცხადებ პროტესტს იმ ქმედებების გამო, რომელიც მიმართულია სომხეთის ტერიტორიული უფლებების წინააღმდეგ ახალქალაქის მაზრასთან მიმართებაში. გთხოვთ ეს განცხადება გადასცეთ საქართველოს მთავრობას.

მდივანი".[83]

ნოტის გადმოცემიდან მეორე დღესვე, 1918 წლის 5 დეკემბერს, ქართული ჯარის ნაწილები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში შედიან: „სამხედრო მინისტრის სახელზე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ– გუბერნატორისაგან მივიღეთ შემდეგი დეპეშა: 5 დეკემბერს, 14 საათზე საქართველოს რესპუბლიკის ჯარი შევიდა ახალციხეში. მცხოვრებნი დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით შეეგება ჯარს. ლოცავდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს. 5 დეკემბრის 10 საათზე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ახალქალაქი. ჯარში სულიერი განწყობილება საუკეთესოა.

მაყაშვილი."[84]

ბატონი ნიკო კეცხოველი კი, რომელმაც სხვათა შორის, ამ ოპერაციის დროს მეკავშირე ოფიცრის მეტად საპასუხისმგებლო როლი შეასრულა გენერალურ შტაბსა და გენერალ მაყაშვილის შტაბს შორის, ასე აღწერს ქართული ჯარის შესვლას ახალციხეში:

„მეორე დღეს, შუადღე გადასული იყო, გამომელვიძა ზარბაზნის გრიალზე. წამოვხტი, ჩავიცვი ხელდახელ, კარში გამოვედი. ხალხი გამოფენილი იყო ბანებზე. ამჭრები ზურნით და დროშებით ეგებებოდა ჯარს,

ჩამოსულიყვნენ ახლო–მახლო ქართული სოფლების მცხოვრებნიც. ბევრი შეიარაღებული იყო, იდგა სიხარული და ჟრიამული. მაღალი, თეთრულვაშებიანი, არწივის ცხვირიანი და ქორული გამომხედვის მქონე გენერალი მაყაშვილი აწყურის მხრიდან შემოსულ ჯარს ეგებებოდა. ორი დღე დავრჩი ახალციხეში, ვეხეტებოდი აქეთ–იქით, ვალეშიც კი ავედი, ყველგან დიდი სიხარული იდგა, მხოლოდ მუსულმანურ მცხოვრებთა თვალებში მოსჩანდა მტრული გამოხედვა".[85]

აღსრულდა. ისტორიული სამართლიანობა აღდგა და მესხეთ–ჯავახეთი დედა სამშობლოს დაუბრუნდა. ისევ ვიმეორებთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რეგიონში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს იყო ერთადერთი სწორი და დროული გადაწყვეტილება. დღესავით ნათელია, რომ ამ სამხედრო–პოლიტიკური აქტით საქართველოს მთავრობამ პოლიტიკური გამჭრიახობა და გაბედულება გამოიჩინა და აღნიშნული რეგიონის სომხეთის ჯარების მიერ გარდაუვალი დაკავების საშიშროება დროული პრევენციული ზომების გატარებით აღკვეთა.

სომხეთის საპროტესტო ნოტაზე საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ პასუხს შემდეგი სახე ჰქონდა:

„შიფროგრამა №5447. ტფილისიდან ერივანში. 07. 12. 1918.

თქვენი №68 ტელეგრამის პასუხად გაცნობებთ, რომ ახალქალაქი ჩვენი ჯარების მიერ დაკავებულია 5 დეკემბრის დილის 10 საათისათვის. ჩვენი მთავრობის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, იმ ძალადობების აღსაკვეთად, რომელთაც ჰქონდა ადგილი როგორც ჯერ კიდევ მაზრაში დარჩენილი თურქული ქვედანაყოფების, ასევე უპასუხისმგებლო პირთა და შეიარაღებული ბანდების მხრიდან."[86]

პრაქტიკულად 1918 წლის 7 დეკემბრის №5447 შიფროგრამის გადაცემით დასრულდა სომხეთ–საქართველოს შორის წარმოებული დიპლო–მატიური ომი. ეს იყო ბოლო გაჟღერებული აკორდი დროებითი ზავის თითქმის თვენახევრიანი პერიოდის განმავლობაში. შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მხარემ ისტორიულად გამართლებული და მეტად ეფექტური ნაბიჯი გადადგა ახალციხე–ახალქალაქის რეგიონში არსებული რეალიების გათვალისწინებით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა მხარემ საერთოდ არ გაითვალისწინა მისი შედეგები და სომხური მხარის ის საპასუხო ნაბიჯები, რაც უცილობლად უნდა მოჰყოლოდა ამ ზომების გატარებას.

დიპლომატია მხოლოდ ოფიციალურ მხარეთა შორის აზრთა ჭიდილი და პოლიტიკური პაექრობა არ არის. ის თავის თავში ორგანულად უნდა მოიცავდეს იმ მოსალოდნელი მიზეზ–შედეგობრივი ფენომენის განჭვრეტასაც, რომელსაც საპასუხოდ განახორციელებს მოწინააღმდეგე მხარე უკვე პრაქტიკულად – ეკონომიკური, სამხედრო–პოლიტიკური და თუნდაც ყველაზე უკიდურესი. – ღია საომარი მოქმედებების სახით. აქ მთელი

სიგრძე–სიგანით უნდა იყოს გაანალიზებული ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა ერთობლიობა, თვით წვრილმანი დეტალების ჩათვლითაც კი.

ამ რაკურსში კი საქართველოს მთავრობამ აშკარად წააგო ლოკალური დიპლომატიური ომი სომხეთის დაშნაკურ მთავრობასთან, რადგან დაშნაკთა საპასუხო, უკიდურესი ნაბიჯის – ღია საომარი მოქმედებების აღკვეთისა და ნეიტრალიზაციისათვის, საქართველოს ხელისუფლება და მისი შეიარაღებული ძალები აბსოლუტურად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. ეს საკითხები ჩვენ დაწვრილებით გვქონდა უკვე ზემოთ განხილული.

სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ ღია აგრესიული მოქმედებების დაწყებაც 1918 წლის 6 დეკემბერს, სწორედ ახალქალაქის მაზრას უკავშირდება, რომელსაც 9 დეკემბერიდან ორგანულად მოჰყვა სრულმას–შტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლა ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, უზუნლარი–სანაინის უბანზე. ამ კონტექსტში ყველაზე გამაოგნებელი ისაა, რომ 1918 წლის ოქტომბერ–ნოემბერში არსებული დაპირისპირების ფონზე, ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ ისევ ვერ თუ არ გამოიტანა შესაბამისი დასკვნები და დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა ქართული სახელმწიფო...

§3. სრულმასშტაბიანი ღია საომარი მოქმედებების დასაწყისი და უზუნლარი–სანაინის ბრძოლა.

სომხეთ–საქართველოს ომში ღია სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების განახლება 1918 წლის დეკემბრის თვეს უკავშირდება. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთო ჯამში, სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ფაქტობრივად შეუსწავლელია. შეუსწავლელია იგი სამხედრო ისტორიის თვალსაზრისითაც. თავისთავად ცხადია, ოპერატიული და ტაქტიკური თვალსაზრისითაც არ ჩატარებულა ეს კვლევები, ხოლო იმ მცირერიცხოვან უცხოელ თუ ქართველ ავტორთა ნაშრომებში, სადაც მეტ–ნაკლები მოცულობითა და სიღრმითაა განხილული ეს საკითხები, პირდაპირ ვიტყვით, უამრავი უზუსტობა და შეცდომაა დაშვებული. ამ საკითხებით დაინტერესე–ბულ მკვლევართა და მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა რიცხვი ერთობ

მცირეა, ხოლო საბრძოლო მოქმედებების აღწერასა და შეფასებებში ხშირად რეალურისაგან დიამეტრალურად განსხვავებული სურათია დახატული. ჩვენი ეს შეფასება თანაბრად ეკუთვნის როგორც უცხოელ, ასევე ქართველ ავტორებს. უზუსტობები და შეცდომებია დაშვებული სპეცტერმინოლოგიაშიც, რაც ბუნდოვანსა და გაუგებარს ხდის ამ ომში განვითარებული უმნიშვნელოვანესი მოვლენების, ბატალიებისა და საბრძოლო პერიპეტიების რეალურ არსსა და მასშტაბებს, ამიტომ, ამ მასალების მიხედვით შეუძლებელი ხდება სომხეთ–საქართველოს ომთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტების სწორად აღქმა და ობიექტური ანალიზის ჩატარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში მაქსიმალურად წარმოვადგინეთ ოპერატიული დანიშნულების მქონე უტყუარი საარქივო პირველწყაროები – ძირითადში საშტაბო დოკუმენტაცია – საფრონტო და დივლომატიური მიმოწერა, ოპერატიული შეტყობინებები, საბრძოლო ბრძანებები, პატაკები, მოხსენებითი ბარათები, ამონაწერები საომარ მოქმედებათა ჟურნალებიდან და ა.შ. აგრეთვე იმდროინდელი პერიოდიკის მასალები, რომელთა საერთო ანალიზმა აქამდე ჭეშმარიტებად მიჩნეული ბევრი მოვლენის ახლებურ ხედვამდე მიგვიყვანა.

სომხეთ–საქართველოს ომის დეკემბრის თვეში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების საერთო სურათი, ოპერატიულ–ტაქტიკური თვალსაზრისითა და საბრძოლო მოქმედებების შედეგების მიხედვით, პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს. ეს ეტაპები ან წმინდათ ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით უნდა გამოიყოს, ეტაპების საომარი მოქმედებების საერთო–ოპერატიული შედეგების გათვალისწინებით, ან ქრონოლოგიის დაუცველად – ცალკეული საბრძოლო მოქმედებების შედეგების მიხედვით.

პირველ შემთხვევაში, ერთ თავში უნდა გაგვეერთიანებინა უზუნლარი–სანაინის, ვორონცოვკის, ალავერდი–ახტალისა და სადახლოს თავდაცვითი ბრძოლები, ხოლო მეორე ეტაპში – საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მიმართულებაზე, ეკატერინენფელდის ბრძოლა, დაღეთ–ხაჩინისა და ბოლნის–ხაჩინის ბრძოლები, ბრძოლები შულავერთან, შულავერის შტურმი და სადახლოს მეორე ბრძოლა. ჩვენ შუალედური არჩევანი გავაკეთეთ და სომხეთ–საქართველოს ომის დეკემბრის თვეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები ქრონოლოგიურ–შედეგობრივი პრინციპით დავალაგეთ. ამ დაყოფაში ძირეული შემობრუნების საკვანძო ეტაპად ქართული მხარის სადახლოს პირველი, 1918 წლის 18–23 დეკემბრის თავდაცვითი ბრძოლები გამოვყავით, რომლითაც ფაქტიურად დასრულდა ქართული საჯარისო ნაწილების უიმედო უკანდახევის ორკვირიანი პერიოდი და 1918 წლის 25 დეკემბრისათვის გარკვეულწილად მოხდა როგორც შულავერი–ბრამის ფრონტის, ასევე მთლიანად სომხეთ–საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრის საერთო ოპერატიული მდგომარეობის სტაბილიზაცია. 1918 წლის 28 დეკემბრიდან კი ქართული მხარის უძლიერესი შეტევითი ოპერაცია დაიწყო სომხეთ–საქართველოს ბორჩალოს მაზრის მთელს ფრონტზე.

დაშნაკთა ექსპანსიონისტური, ანტიქართული იდეოლოგიის გავრცელებისა და სომხეთის შეიარაღებული ძალების მძლავრ საყრდენ პუნქტს ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, ძირითადში, სოფლები ჯალალ–ოღლი და უზუნლარი წარმოადგენდნენ. როგორც შესაბამის თავში აღვნიშნეთ, ქართული მხარის მიერ თავიდანვე დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როცა 1918 წლის იუნისის თვიდან თავისი სასაზღვრო რაზმი მხოლოდ ვორონცოვკა–პრივოლნოეს ხაზზე განალაგა მდინარე კამენკას მარცხენა სანაპირომდე და რეგიონის უდიდესი სოფელი ჯალალ–ოღლი, ფაქტობრივად არარატის რესპუბლიკის კონტროლს ქვეშ აღმოჩნდა ჩართული. სწორედ ჯალალ–ოღლი, ისტორიული ქართული ლორე იქცა ფორპოსტად და მძლავრ პლაცდარმად სომხეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული სამხედრო ნაწილებისა და დაშნაკური ბანდების თავმოყრისა და მათი ქვედანაყოფების საბრძოლო გაშლისათვის ჩრდილოეთის ოპერატიულ მიმართულებაზე.

მართალია, რეგიონის მეორე დიდ სოფელზე, უზუნლარზე ფაქტობრივი ქართული იურისდიქცია ვრცელდებოდა, მაგრამ სწორედ ამ სოფელთანაა დაკავშირებული სომხურ–ქართული ურთიერთობების ესკალაციის ახალი ტალღის აგორება ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში და ამ რეგიონში სომხური საჯარისო ნაწილების მიერ ღია საომარი მოქმედებების განახლება საქართველოს წინააღმდეგ.

ახლა, ამ ეტაპზე, როცა ბაქოში უკვე იმყოფებოდა ბრიტანული საოკუპაციო ჯარების გარკვეული კონტინგენტი და გერმანელებიც გასვლას იწყებდნენ საქართველოდან, დაშნაკთა პარტბიუროს განსაკუთრებული ძალით გააჩაღა ძირგამომთხრელი ანტიქართული მუშაობა საქართველოს სომხებით დასახლებულ სოფლებში. დაშნაკური პროვოკატორული აქტივობის მთავარ ცენტრადაც ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონის სწორედ ეს სოფელი იქცა. აქაც, ვორონცოვკის მსგავსად, ქართული მხარის მიერ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როცა მან ქართული საჯარისო ქვედანაყოფები არა ყაზარმებსა და სადგომებში, არამედ პირდაპირ სოფლების მოსახლეობაში განათავსა, რითაც სომხურ მხარეს დიდი პროვოკაციების დაგეგმვის შესაძლებლობა მისცა.

სომხური და პროსომხური ისტორიოგრაფია უზუნლარი–სანაინის რაიონში განვითარებული მოვლენებისა და დაშნაკთა მიერ ღია საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზების ასახსნელად შემდეგ ვერსიებს ავითარებს. მაგალითად, რიჩარდ ოვანესიანი:

„ქართული ჯარები სომხურ სოფლებში განთავსდა და მათი ხურსათით მომარაგებაც ამ სოფლებს დაევალათ. მათი ქედმაღლური (Contemptuous – ა. ჩ.) და უღირსი დამოკიდებულება ქალების მიმართ აღგზნებრივი მოსახლეობის დიდ პროტესტს იწვევდა... როდესაც ერთ–ერთი ასეთი შემთხვევის დროს სოფელ უზუნლარის მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაწია, სოფლის კომისარი სცემეს, ხოლო მეორე წარმომადგენელი ქართველთა მიერ იქნა მოკლული... დეკემბრის დასაწყისისათვის ჩრდილოეთ ლორი გარდაუვა–

ლი აჯანყების წინაშე დადგა. როდესაც სოფელ უზუნლარის ემისრებმა ძალადობებზე პროტესტის ნიშნად სანაინში მიაკითხეს რაიონის გუბერნატორს, გენერალ წულუკიძეს, მან ისინი დააპატიმრა და თავის რაზმს უბრძანა სოფლისათვის ალყა შემოერტყა პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად".[87]

ცოტა მოულოდნელია ისეთი მკვლევარისაგან, როგორც რიჩარდ ოვანესიანია, მსგავსი დონის არაკების თხზვა. აქ კომენტარს არ გავაკეთებთ. დღესავით ნათელია, რომ ერთობ უსუსური არგუმენტებია მოყვანილი ღია საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზად. 1918 წლის დეკემბრის ე.წ. „ლორეს აჯანყება" ისეთივე მითია შეთხზული დაშნაკთა მიერ, როგორც 1921 წლის თებერვლის „აჯანყება" იგივე ლორეში — ამჯერად ბოლშევიკთა მიერ.

საქართველოს ისტორიულ ლორე—ტაშირის მიწაში, მეფე ერეკლეს მეფობისას, XVIII საუკუნის ბოლოს ჩაგდებულმა მწარე სომხურმა თესლმა სულ მალე გამოიღო თავისი შხამიანი ნაყოფი. რეალურად კი ყველაფერი დაშნაკთა იდეოლოგიური მამების მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაციული გეგმის შესაბამისად განვითარდა.

რა თქმა უნდა, ქართული საჯარისო ნაწილები სულაც არ წარმოადგენდნენ მაღალორგანიზებულ და დისციპლინირებულ ერთეულებს, რაც ზემოთაც იქნა ჩვენს მიერ აღნიშნული, ამიტომ, ცხადია, მათი სომხურ სოფლებში განთავსებით ანტიქართული პროვოკაციებისათვისაც ნოყიერი ნიადაგი შეიქმნებოდა:

„ახლადფორმირებული გვარდიის რიგებში სამხედრო დისციპლინის დარღვევის ფაქტები მოსალოდნელი იყო და სოფელში მდგომ ჯარის ნაწილებთან მოსახლეობის დაპირისპირება სავსებით შესაძლებელი, მაგრამ სომხური სოფლების არაკეთილგანწყობის მიზეზი მხოლოდ ამაში არ მდგომარეობდა. სომხურ მოსახლეობას არ სურდა შერიგებოდა საქართველოს ხელისუფლებას, დამოუკიდებლობისაკენ მოუწოდებდნენ მათ სომეხი ეროვნების პროვოკატორები, რომელთა წაქეზებით სამხედროვალდებული ახალგაზრდობა ერევანში მიდიოდა სამხედრო საქმის დასაუფლებლად".[88]

ძირითადში ვეთანხმებით ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში გვარდიელთა მოხსენიება შეცდომაა. აქ სახალხო გვარდია არაფერ შუაშია. ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, სანაინსა და უზუნლარში, უშუალოდ გენერალ წულუკიძის დაქვემდებარებაში მხოლოდ თბილისის საგუბერნიო ბატალიონის ასეულები და მესაზღვრეთა მცირერიცხოვანი რაზმები იყვნენ განლაგებულნი. ამ მომენტისათვის, უზუნლარი—სანაინის უბანზე არც ერთი გვარდიელი არ იყო. გვარდიელთა საჯარისო ქვედანაყოფი ღია საომარი მოქმედებების საწყის ეტაპზე მხოლოდ გენერალ ციციშვილის რაზმში იყო ჩართული ვორონცოვკა—პრივოლნოეს უბანზე, რომლებმაც იგი 12 დეკემბრისათვის დატოვეს. მიზეზებზე ქვემოთ გვექნება უფრო არსებითი საუბარი. საზოგადოდ,

სახალხო გვარდია საქმეში მხოლოდ მდგომარეობის უკიდურესად გამწვავების დროს ერეოდა, მაშინ, როცა სახეზე იყო ღია საომარი მოქმედებები, ან მსგავსი დონის ანტისამთავრობო გამოსვლები.

გარკვეული ინტერპრეტაციებით სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზების დაახლოებით ასეთივე ვერსიაა წარმოდგენილი რუსულ ჟურნალ „Отечественный Архив"–შიც, სადაც „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის" გენერალ ანტონ დენიკინის საარმიო დაზვერვის სამსახურის ოპერატიული მასალებია წარმოდგენილი დოკუმენტი №2–ის სახით.

ჟურნალის მიხედვით, ეს მასალები კალიფორნიის ჰარვარდის უნივერსიტეტის სტენფორდის ინსტიტუტის ჰუვერის „ომის, მშვიდობისა და რევოლუციის" არქივიდანაა ამოღებული. აქაც, ისევე როგორც სხვა პროდაშნაკურ მასალებში, ბანალური სომხურ–დაშნაკური არაკებია გადმოცერებული – საუბარია იმაზე, რომ ქართველები, თურმე, რატომღაც შეგნებულ ეკონომიკურ და საკომუნიკაციო ბლოკადას უწყობდნენ სომხებს, რომ თურმე, საქართველოს კარები დახშული იყო საწყალი სომეხი ლტოლვილებისათვის, რომ უკვე საქართველოს თავშეფარებულ სომეხ ლტოლვილებს არ უწევდნენ სათანადო დახმარებას, რომ ნუ იტყვით და თბილისიდან ერევანისაკენ მიმავალი მატარებლები იგვიანებდნენ და საზღვარზეც, სადგურ სანაინთან ხდებოდა მგზავრების საბაჟო დათვალიერება და ცალკეული კონტრაბანდული ნივთების ჩამორთმევა და ა.შ. და ა.შ. და შემდეგ:

„ბუნებრივია, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სულ აღარ არის გასაკვირი, რომ როგორც სომხეთის მოსახლეობას, ასევე მთავრობის წარმომადგენლებს – ნერვები უკიდურესად დაძაბული ჰქონდათ. ახალქალაქსა და შემდეგ სანაინში მომხდარი მოვლენები აღმოჩნდა ის საბოლოო წვეთები, რამაც მოთმინების ფიალა აავსო და გარდაუვალი შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია. რომ არ შევჩერდეთ სანაინის ინციდენტის წვრილმანებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართველ ჯარისკაცთა და ზოგჯერ ოფიცერთა შეურაცხყოფამ ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მიმართ ზღვარს მიაღწია, და როდესაც ქართველების მიერ სოფელ უზუნლარის კომისარი იქნა მოკლული, ხოლო მისი ბიძაშვილი დაჭრილი, სოფლელებმა პასუხად ერთი თუ ორი ქართველი ჯარისკაცი დაჭრეს. ამან ქართველთა მხრიდან ახალი რეპრესიები გამოიწვია, რასაც შედეგად ქართველების მიერ სოფელ უზუნლარის საარტილერიო დაბომბვა მოჰყვა ჯავშანმატარებლიდან. უზუნლარის მოსახლეობამ მეზობელი სოფლების მოსახლეობაც აიყოლია, მათ ერევანის მთავრობას მოთხოვეს რეაგირება და – მიეიღეთ ორ მთავრობას შორის კონფლიქტი..."[89]

აი, ასე კონკრეტად და სხარტადაა ჩამორაკრაკებული გენერალ დენიკინის „შტაბო „დოკუმენტში" სომხეთ–საქართველოს შორის ღია საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზები. მაინც რა სუსტი ნერვები ჰქონია თურმე

არარატის რესპუბლიკის მთავრობას და თურმე რა უზომოდ მამაცებ
ყოფილან ეს უზუნლარელი გლეხები, რომ ქართული რეგულარული ჯარის
ქვეითებს გამოუცხადეს საომარი გამოწვევა?! როგორც იტყვიან -
ცალთვალას ყველა ბრმა ეგონაო!

კალიფორნიის ჰარვარდის უნივერსიტეტის სტენფორდის ინსტიტუტის
ჰუვერის „ომის, მშვიდობისა და რევოლუციის" არქივი მსოფლიოში ალბათ
ერთ-ერთი უდიდესი და თემატურადაც მრავალფეროვანი არქივია, სადაც
მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტებია დაცული. რა თქმა
უნდა, ჩვენ ვერაფითარ ეჭვს ვერ შევიტანთ მოტანილი დოკუმენტის
წარმომავლობის ორიგინალობაში, ვიმეორებთ – დოკუმენტის წარმომავლობის
და არა ამ დოკუმენტში გადმოცემული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში. ძაღლის
თავი კი სულ სხვაგანაა დამარხული.

ობიექტურობა მოითხოვს, რომ აქედანვე ცალსახად აღვნიშნოთ -
წარმოდგენილ „დოკუმენტში" არც ერთი წინადადება და დასკვნა სიმართლეს
არ შეესაბამება. ეს „დოკუმენტი" თხრობის საერთო სტილისა და მანერის
მიხედვით უნიჭო დრამის ფაბულას უფრო წააგავს, ვიდრე ფრონტის შტაბის
სადაზვერვო სამსახურის ოპერატიულ-ანალიტიკურ ანგარიშს. ძალიან
საეჭვოა, რომ დენიკინის საარმიო ჯგუფის მთავარ შტაბში მსგავსი დონის
საშტაბო დოკუმენტაციები მუშავდებოდა. და თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ
სულაც ალარ არის გასაკვირი, რომ ამ უზარმაზარმა „დობროარმიამ"
სამარცხვინო კრახით დაასრულა თავისი არსებობა ბოლშევიკური ბრბოების
წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეჭვს გარეშეა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ან წინასწარ
სპეციალურად განსაზღვრული ფალსიფიკაცია იყო, ან კიდევ უარესი
დენიკინისათვის – მის მთავარ შტაბში მართლაც მსგავსი ტიპის ფელეტო-
ნებს წერდნენ რეალური საშტაბო დოკუმენტაციების შედგენის მაგივრად.

სრულად რომ გავაქარწყლოთ №2 დოკუმენტი, ჩვენ არ დავიწყებთ
ქართული ან ნებისმიერი სხვა წყაროების ძიებასა და დამატებითი
კონტრარგუმენტების მოშველიებას. ეს პროცესი დიდ დროს მოითხოვს და
რაც მთავარია, მეტად არასერიოზულად გვესახება არსებულ საქმესთან
მიმართებაში. აქ ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელია. მსგავს
შემთხვევებში უმჯობესია, ოპონენტს მისთვის გასაგებ ენაზე გავესაუბროთ და
შევეცადოთ გაგუნათოთ საგულდაგულოდ დახშული გონება.

ჩვენ ამ „უტყუარ საარქივო მასალას" იგივე რუსულ ჟურნალში
გამოქვეყნებული წყაროებით, ისევ ჰუვერის საარქივო მასალებით და იგივე
დენიკინის „დობროარმიის" შტაბის დოკუმენტაციების წარმოდგენით
გავაქარწყლებთ. შორს წასვლაც არ დაგვჭირდება. ესაა №1 და №3
დოკუმენტები, რომლებიც საქართველოსა და ე.წ. „სამხრეთ" და „ჩრდილოეთ
ოსეთებში" შექმნილი ზოგადი მდგომარეობის ოპერატიული ინფორმაციის
„ანალიზს" წარმოადგენს და იგივე რუსულ ჟურნალ „Отечественный
Архив"-შია მოცემული. აქ არ მოვიყვანთ ასევე პამფლეტის ტიპის

დოკუმენტების სრულ ტექსტებს. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე ნიშანდობლივი აბზაცის გაცნობა და ყველაფერი თავ–თავის ადგილებზე დადგება:

დოკუმენტი №1.

„აგენტურული მონაცემებით დადგინდა რომ თბილისში ჩამოვიდა და აქ იმყოფება კერენსკი. მოსალოდნელია მისი სოხუმში ჩასვლაც...''[90] – კიდევ კარგი, რომ კაიზერი ვილჰელმი არ აღმოაჩინეს დენიკინის შტაბის დაზვერვის ოფიცრებმა თბილისში ან სოხუმში.

„კახეთში მიმდინარეობს გლეხთა ავჯანყება ქართველების წინააღმდეგ მიწის გადასახადებთან დაკავშირებით...''[90] – როგორც ჩანს, დენიკინელთათვის ან „Крестян''–ები იყვნენ ცალკე რაღაც ეთნიკური ჯგუფი, ან „Грузин''–ები – განსაკუთრებული სოციალური კლასი.

ახლა განვიხილოთ დოკუმენტი №3, რომელიც ჭეშმარიტებისა და სიბრძნის არანაკლებ მარგალიტს წარმოადგენს:

„მართლაც, რკინიგზის ხაზი, ბათუმი–ბაქო, ის ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალებაა ამიერკავკასიაში, რომელიც ინგლისელების ხელშია და იგი ოსეთის ტერიტორიაზე გადის, რომელიც რკინიგზის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარეობს და ოსთა ამბოხების შემთხვევაში, რკინიგზის შეტყობინება ბაქო–ბათუმი, პარალიზებული აღმოჩნდება...''[92] – აქამდე რატომღაც დარწმუნებით გვეგონა, რომ ეს ე.წ. „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთები'' კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარეობდნენ და არა ბაქო–თბილისი–ბათუმის რკინიგზის ხაზის ჩრდილოეთით და სამხრეთით. დენიკინის საშტაბო „დოკუმენტის'' მიხედვით კი, ბაქო–თბილისი–ბათუმის რკინიგზის ხაზი, თურმე, ზუსტად კავკასიონის მთავარ ქედზე გადის.

აი, ასე მარტივად და სწრაფად მოხდა №2 „დოკუმენტის'' ამოხსნა ბარონ მიუნჰაუზენის არაკის მსგავსი №1 და №3 „დოკუმენტების'' წარმოდგენით. და მართალაც შაირის დონისაა დენიკინის არმიის მთავარი შტაბის მიერ შედგენილი და აქ წარმოდგენილი „საარქივო მასალები'', რომელიც მართლაც რუსული „სიმკაცრითაა'' წარმოდგენილი „მეტად სერიოზულ'' რუსულ ჟურნალ „Отечественный архив''–ში.

სამწუხარო ისაა, რომ თითქმის ყველა რუსული და მით უმეტეს, სომხური „უტყუარი მასალა'' თუ „საარქივო დოკუმენტაცია'', რომელიც ზოგადად სომხურ–ქართულ ურთიერთობებსა და ჩვენს კერძო შემთხვევაში, სომხეთ–საქართველოს ომს ეხება, მსგავსი მეცნიერული დონითა და აკადემიურობით გამოირჩევა.

სხვათა შორის, იმავე გვერდზე, სადაც სომხეთ–საქართველოს ომის მიზეზების თავისებური ვერსია აქვს წარმოდგენილი რიჩარდ ოვანესიანს თავის წიგნში, უფრო სერიოზულ მსჯელობასაც ვაწყდებით. როგორც ჩანს, ავტორმა მაინც ვერ უღალატა მკვლევარის ეთიკას და ერთ წინადადებაში გადმოსცა ობიექტურად არსებული სიტუაცია:

„ომი დასრულებული იყო, (აქ I მსოფლიო ომზეა საუბარი – ა. ჩ.) მაგრამ ლორის გლეხობა ვერ გრძნობდა ქართული მმართველობიდან სარგებელს და მათ ხმაური ატეხეს (began to clamor – ა. ჩ.) სომხეთთან შესაერთებლად".[93] აქ კი, ნამდვილად ვეთანხმებით ავტორის დასკვნას ოღონდ იმ შესწორებით, რომ გლეხობამ კი არ ატეხა ხმაური, არამედ ისინი კარგად დაგეგმილ და გათვლილ დაშნაკურ პროვოკაციებს აყვნენ. დიახ დაშნაკთა აზრით მათმა საათმა ჩამოჰკრა და ესოდენ სანატრელი მომენტიც დადგა. როგორც ვხედავთ, სომხეთის შეიარაღებული აგრესიის ამ საკვანძო საკითხს ბოლომდე ვერც სომეხმა ავტორმა აუარა გვერდი.

დოქტორი კაზიმზადე კი წერს: „სომეხთა პოზიცია პათეტიკური იყო დიდი მოკავშირეების იმედი რომ არ ჰქონოდათ, ისინი ვერასდროს ვერ გაბედავდნენ ქართველების წინააღმდეგ წასვლას. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბრიტანეთი და საფრანგეთი წინააღმდეგნი არ იქნებოდნენ იმ ხალხის დასჯისა, რომელიც გერმანიასთან თანამშრომლობდა ომის დროს. სომხები თვლიდნენ, რომ დასავლეთი მათ წინაშე ვალში იმყოფებოდა. ხომ თქვა ერთხელ გლადსტონმა, რომ სომხეთის სამსახური ცივილიზაციის სამსახურს ნიშნავს? და მას შემდეგ ხომ ხშირად იმეორებდნენ იგივე ფრაზას ბრიტანელი, ფრანგი და ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეები, მწერლები, სასულიერო პირნი და დიპლომატები? აქამდე ალიანსის წევრებს ხომ არ გადაუჭრიათ წარმატებით სომხური საკითხი?"[94]

უზუნლარი–სანაინის საბრძოლო მოქმედებათა რაიონში განვითარებული მოვლენების რეალურ სურათსა და ღია საომარი მოქმედებების პერიპეტიებს ჩვენ უტყუარ საარქივო მასალებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ.

ნაშრომის შესაბამის თავში ვაჩვენეთ, რომ დაშნაკ პროვოკატორთა მიერ უკვე დიდი ხანია მიმდინარეობდა საქართველოს სომეხი მოსახლეობის არა მარტო შეიარაღება, არამედ მათი საბრძოლო გაწვრთნაც. ნოემბრის თვიდან კი, მას შემდეგ რაც არარატის რესპუბლიკასა და საქართველოს ბორჩალოს მაზრის სომხებით დასახლებულ რაიონებს შორის თურქთა გასვლის გამო პირდაპირი და უშუალო კონტაქტები დამყარდა, ეს პროცესები თვისობრივად ახალ ფაზაში შევიდა. დაშნაკთა პარტბიუროს მითითებით, სომხეთის მთავრობის მიერ სომეხი მოსახლეობის მასიური შეიარაღება და მდგომარეობის დესტაბილიზაციისათვის დაშნაკური ბანდებისა და „რევოლუციური რაზმების" შეგზავნა დაიწყო საქართველოს სომხურ სოფლებში. ერთ–ერთი ეპიზოდი:

„ამავე ქრისტეშობისთვის 1–ში სადგურ სანაინზე გაიარა თბილისიდან გახიზნულმა სომეხთა ჯარის ეშელონმა. ამ ეშელონს საქართველოს სამხედრო სამინისტროსგან ნება ჰქონდა, გაეტარებინათ 129 თოფი, თითო 30 პატრონათი და 500 ფუთი ლობიო. როცა მატარებელი გაჩხრიკეს, აღმოჩნდა ერთი ტყვიის მფრქვეველი. მატარებლის საქარეებში, ფეხისალაგებში და სხვაგან გადამალული იყო დიდძალი რევოლვერი".[95]

ანტისახელმწიფოებრივ, ძირგამომთხრელ ქმედებებში აქტიურად ჩართვნენ აგრეთვე საქართველოს სომეხი ეროვნების მილიციონერებიც. „წულუკიძემ სანასარ გალეჩიანი და რამდენიმე მილიციონერი გადააყენა და თბილისს გამოგზავნა დასასჯელად, რომელთა გადასახლებასაც მოითხოვდა. მაგრამ იმის მაგიერ, რომ ჩვენს მთავრობას ეს მავნე ადამიანი მოეშორებინა, გენ. წულუკიძეს მიწერილობა გაეგზავნა: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ საბახტარიშვილმა შესაძლოდ სცნო ქ. თბილისში მილიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფნი – სედრაქ სარქისიანცი, გარეგინ ბოდელიანცი, ეფრემ ჩობანიანცი, არშაკ ოლანეზოვი, გრიქურ ჩარქინოვი, მუკუჩ კალაშევი, მიხეილ მარიანცი, მიკიჩ ბოშლიანცი, გეორქ პეტროსიანი და ბეგლარ გეორქოვი დაბრუნდნენ თავის სამშობლოში, ბორჩალოს მაზრაში, ხოლო სანასარ გალეჩიანი თბილისში დარჩება მილიციის ზედამხედველობის ქვეშ. №20580. ქრისტეშობისთვე 3''.[96]

გაზეთ „სახალხო საქმის'' საკუთარი კორესპონდენტი კი გვამცნობს: „ბორჩალოში ყოფნისას ჯერ კიდევ 5–ში (დეკემბერს – ა. ჩ.) ღამით შევიტყვე სარწმუნო წყაროებიდან, რომ ოცდაათ შეიარაღებულ კაცამდე სომეხი ყაჩაღების სახით თავს დაეცნენ სოფელ უზუნლიარს, აჰყარეს იარაღი სოფლის კომისარს, მოგვიკლეს ერთი ჯარისკაცი, დაგვიჭრეს ერთი, ხოლო ხუთი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი დაგვიტყვევეს. ამ ვითომდა ყაჩაღებს ძალიან გახარებიათ ოფიცრის ხელში ჩაგდება, რადგანაც იგი რკინის გზების კომენდანტი ბ–ნ. გოგუაძე ჰგონებიათ. ეს სისხლით გაუწმენდელნი გოგუაძეს ეძებდნენ, თურმე მოსაკლავად...''[97]

ჩვენ, რა თქმა უნდა, ცალსახად ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ სოფელ უზუნლარის კომისარი და კიდევ ერთი პირი ქართულ–სომხური დაპირისპირების პროვოცირებისათვის თავად დაშნაკთა მიერ იქნა განიარაღებული და მოკლული, მაგრამ ზოგადად, დაშნაკ პროვოკატორთა „მოღვაწეობის'' სტილი და ისტორიული რეალიები სწორედ ამაზე მეტყველებს. დაშნაკი ნაციონალისტები ხომ ტერორისტული აქტების ნამდვილი პიონერები და მსოფლიო დონის პროფესიონალები იყვნენ.

შემდგომი მოვლენები კი რეალურად ასე განვითარდა. გენერალ წულუკიძის მოხსენების სტენოგრამა სანაინიდან, სადაც სრულადაა წარმოდგენილი დაშნაკთა სისხლიანი „მოღვაწეობა'' უზუნლარი–სანაინის რაიონში ნოემბერ–დეკემბრის პერიოდში:

„...გადმოცემული შეტყობინების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გთხოვთ, სასწრაფოდ მოახსენოთ სამხედრო მინისტრს. სოფელ უზუნლარის მაცხოვრებელთა სითამამე და თავხედობა ყოველგვარ ზღვარს ცილდება. ამ სოფელში გამოჩნდნენ ძალიან ძლიერი ბანდები, რომლებიც თავს „ყაჩაღთა შაიკებს'' უწოდებენ. ამ ბანდების შემადგენლობაში მე–4 სომხური პოლკის ხალხიც შედის, რომელთა მიზანსაც ყველა სომხურ სოფელში ამბოხების მოწყობაა. ჩემს მოთხოვნაზე სოფელ უზუნლარის მოსახლეობისადმი, რომ გაეგდოთ ეს ბანდები სოფლიდან, მათ მიპასუხეს, რომ თუ პოლკოვნიკი

ტერ–ნიკოგოსოვი გვიბრძანებს, მაშინ შესრულდება მისი მითითებ
უწესრიგობები ყოველგვარ ზღვარს გადადის: ნახევარი თვის წინ ამ სოფლი
მოსახლეობის მიერ ოფიცერი და ორი მხედარი იქნა განიარაღებული. 1
ნოემბერს კიდევ იყო ოფიცრისა და სამი მხედრის განიარაღების მცდელობ
რომლებიც სურსათისათვის იყვნენ იქ გაგზავნილნი. 6 დეკემბერ
განაიარაღეს ოფიცერი, ხოლო 45 მხედარი ტყვედ აიყვანეს. მათ დახვრეტა
აპირებდნენ, მაგრამ მათ შეძლეს თავის დაღწევა.

6 დეკემბერსვე იგივე სოფლის მაცხოვრებელნი თავს დაესხნე
სასაზღვრო საგუშაგოს. თერთმეტ კაცს, რომლებიც სოფელში შევიდნე
ჩამოართვეს ყველა ნივთი, იარაღი და ხელყუმბარები. ისინი კი ტყვე
აიყვანეს. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა ერთი მესაზღვრე, რომელი
გუშინ გარდაიცვალა. მის ნეშტს ხვალ დილით ვაგზავნით ქარელში. ერთ
ოფიცერი და 10 ჯარისკაცი გუშინ დავიბრუნეთ. მეორე ოფიცრის ბედ
უცნობია. ამ ბანდების თარეშის თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც სოფე
უზუნლარში აქვთ თავშესაფარი, ვაგზავნი ჩემს ხელთ არსებულ რაზმს დ
მოვითხოვ ამ ბანდების ჩაბარებას. ჩვენი რაზმი, რომელიც ორი მხრიდა
მიემართება, ყველგან აწყდება ძლიერ ცეცხლს. სადგურ სანაინსაც ცეცხლ
უშენენ. სასწრაფოდ მესაჭიროება სულ მცირე ორი ასეული და ორ
მორტირი. ველოდები სამხედრო მინისტრის განკარგულებას. შემდგო
მოქმედებებზე შეგატყობინებთ დაუყოვნებლივ."[98]

საქართველოს სომხებით დასახლებულ რაიონებში დაშნაკურ
შეიარაღებული ბანდებისა და რეგულარული ჯარის მოქმედებების საერთ
სტილი და ხელწერა წყლის ორი წვეთივით ჰგავს მათ მიერ ოტომანტ
იმპერიასა და აზერბაიჯანის სომხებით დასახლებულ რაიონებში წარმოებულ
პროვოკაციულ მოქმედებებს. აქაც და იქაც, მაშინაც და ახლაც მთავარი იყ
ეროვნებათაშორისი ინცინდენტის ინსცენირება, რაც შეიძლება მეტი სისხლი
დაღვრა და შემდეგ ამ სისხლისღვრისა და დაპირისპირების მასშტაბების
უზომოდ გაბერვა, საერთაშორისო ხმაურის ატეხვა და ქართველებისაკენ
როგორც ყველა ბოროტების სათავისაკენ თითის გაშვერა. ხელწერა
მეთოდები და თავისი შორს მიმავალი მიზნების განხორციელების გზები იქა
და აქაც, მაშინაც და ახლაც, ერთნაირი იყო.

დაშნაკი რევოლუციონერ–პოლიტიკოსებისა და მებრძოლ–ტერორისტთ
მთელი საქმიანობა, დაწყებული XIX საუკუნის 90–იანი წლებიდან, სხვ
არაფერი იყო, თუ არა სეპარატისტული ნაციონალიზმის პროპაგანდის
ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულებების, დაგეგმილი პროვოკაციებისა დ
ტერორისტული აქტების იდეოლოგიურად კარგად ასხმული ძეწკვი. ბოლო
სამი ათეული წლის განმავლობაში დაშნაკმა ულტრანაციონალისტებმ
კარგად დახვეწეს თავიანთი პროვოკატორული და სისხლიანი მოქმედებების
სტრატეგია და ტაქტიკა. მით უმეტეს, „დახვეწილად" მოქმედებდნე
დაშნაკები საქართველოსთან მიმართებაში.

ოდნავ მოგვიანებით, უკვე ღია სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზე, ქართული სარდლობის მიერ ზუსტად იქნა გაანალიზებული და შეფასებული სომეხთა პროვოკაციული და შეთანხმებული მოქმედებების ყველა წვრილმანი. ქართული სარდლობის მთავარი საველე შტაბის უფროსის, გენერალ ვლადიმერ იმნაძის 23 დეკემბრის №01235 მითითებაში სახალხო გვარდიის შტაბისადმი ნათქვამია:

„სომხურ ნაწილებთან გამართული ბრძოლების დროს, ყველა შემთხვევაში მოქმედებების საერთო სურათი შეიმჩნევა: ფრონტზე დაწყებული შეტევის პარალელურად, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ხდება ჩვენი ჯარების ფლანგებსა და ზურგში განლაგებული სომხური სოფლების მოსახლეობის აჯანყება. ამასთან ერთად, მათი მოქმედებები, რომელიც როგორც ჩანს, საერთო მეთაურებით იმართება, სრულად შეესაბამება მათ საერთო გეგმას, რის გამოც შეტევაზე გადმოსულ სომხურ ნაწილებს უაღრესად მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ...

ფრონტზე შეტევაზე გადმოსვლასთან ერთდროულად შულავერისა და დამიას მოსახლეობამ გენერალ წულუკიძის ზურგში დაიწყო ყოველგვარი კავშირგაბმულობის საშუალებების დაზიანება და ამავე დროს ორგანიზებული რაზმებით ზურგში დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ჩვენს წინააღმდეგ...“[99]

იმდენად ნაცნობი და აბსოლუტურად იდენტური სიტუაციაა, რომ დასახლებული პუნქტების სახელების მინიშნების გარეშე, კაცი ვერ გაერკვეოდა, აქ I მსოფლიო ომის სომხებით დასახლებულ თურქეთის ვილაიეთებში წარმოებული საომარი მოქმედებებია აღწერილი, თუ სომხეთ–საქართველოს ომის ბატალური სცენები. ზუსტად რუსული ნაწილების შეტევასთან უნისონში ხდებოდა თურქეთის სომხური მოსახლეობის საომარ და დივერსიულ მოქმედებებში ჩართვა 1915–1916 წლებში ალაშკერტის, არზრუმის, ვანის, ბითლისის, მუშისა და სხვა რაიონებში. თურქეთისა და რუსეთის I მსოფლიო ომში ჩაბმამდე კი, თურქეთის სომხურ მოსახლეობას უკვე დაწყებული ჰქონდა მასობრივი საბოტაჟის წარმოება, თურქული სასაზღვრო გარნიზონებისა და ჟანდარმერიის რაზმებზე თავდასხმები, არასომხური მოსახლეობის მკვლელობები, მასიური შეიარაღება, საყოველთაო დეზერტირობა თურქეთის არმიიდან, მოსახლეობის ბრძოლისუნარიანი ნაწილის იარაღთან ერთად რუსეთში გადმოსვლა და ა.შ. და ა.შ.

ზუსტად ასეთივე სცენარით განვითარდა შემდგომი მოქმედებები საქართველოსთან მიმართებაშიც. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ საბედნიეროდ, (საბედნიეროდ მხოლოდ ამ კონტექსტში) საომარი მოქმედებების უზუნლარი–სადახლოსა და ვორონცოვკა–პრივოლნოეს რაიონში არასომხური მოსახლეობა ფაქტობრივად არ ცხოვრობდა, რასაც აუცილებლად მოყვებოდა მათი მასიური ხოცვა–ულეტა. მოგვიანებით, დეკემბრის ბოლოს, მათ მაინც მოახერხეს საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის აწიოკება, ხოლო ისტორიული ქართული სოფელი წარაქვი სომეხთა მიერ მიწასთან იქნა გასწორებული.

კარგად აპრობირებულმა მეთოდიკამ, სამწუხაროდ, საქართველოსთან მიმართებაშიც გამართულად იმუშავა. დაშნაკთა მიერ დაგეგმილი პროვოკაცია შესდგა. ქართული მხარე ადვილად წამოეგო მას (სხვანაირად ვერც იქნებოდა) და მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა.

გენერალ წულუკიძის გადაწყვეტილებით, 9 დეკემბერს უწესრიგობების აღსაკვეთად შესაბამისი რაზმი გამოიყო, სულ 80 კაცამდე. რაზმი ორ კოლონად გაიყო და მათ სათავეში პოლკოვნიკი ჩხეიძე და პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი ჩაუდგნენ. რაზმის მიზანს უზუნლარში ჩაბუდებული დაშნაკური ბანდების ლიკვიდაცია და სოფლის მოსახლეობის განიარაღება შეადგენდა. სომხებიც ამას ელოდებოდნენ. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში ცალსახადაა დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ საერთო არეულობის ინსცენირებაში დაშნაკური ბანდები, ე.წ. „პარტიზანები" და სომხეთის რეგულარული ჯარის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, გენერალ წულუკიძეს ბოლომდე მაინც ვერ წარმოედგინა ამ ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების სრული მასშტაბები. იგი თავისი მცირერიცხოვანი რაზმის გასაძლიერებლად და სიტუაციის გასაკონტროლებლად მხოლოდ ორი ასეულისა და ორი მორტირის გამოგზავნას ითხოვდა.

მოვლენების შემდგომი განვითარების წარმოსაჩენად კი ისევ დოკუმენტებს მოვიშველიებთ. გენერალ წულუკიძის მიერ 9 დეკემბერს გაკეთებული მოხსენების სტენოგრაფიული ჩანაწერი:

„მრავალრიცხოვანი შეიარაღებული სომხის გამო, რომლებმაც უზუნლარში მოიყარეს თავი, დაგეგმილი ოპერაცია გადავდე. რაზმს ვუბრძანე, უკან, სანაინისაკენ დახევა. სამწუხაროდ, გვყავს დაჭრილები და მოკლულები. არტილერიაში ბევრი ცხენია დაჭრილი. დანაკარგების შესახებ მოგვიანებით შეგატყობინებთ".[100]

როგორც ვხედავთ, სომხებმა ჩათვალეს, რომ დაგეგმილმა პროვოკაციებმა კარგად იმუშავეს, ფარული თამაშების დრო დამთავრდა, ღია შეიარაღებული აგრესიისათვის საჭირო საბაბიც მოპოვებულია და 1918 წლის 9 დეკემბრისათვის უზუნლარი—სანაინის უბანზე სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყეს. 10 დეკემბრის სტენოგრამა:

„მოგახსენებთ, რომ 9 დეკემბრის 19 საათისათვის უზუნლარის წინააღმდეგ გაგზავნილი რაზმები უკან, სადგურ სანაინში იქნა დაბრუნებული. ორივე რაზმის მეთაურთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ჩხეიძის რაზმის წინააღმდეგ მოქმედებდა არა ნაკლებ 250 კაცისა, რომლებიც მიუვალ კლდეებში იყვნენ ჩამსხდარნი. სროლის გარდა, ისინი მთებიდან უზარმაზარ ქვებს აგორებდნენ, რომლებმაც რამდენიმე ოფიცერი და მხედარი შეიწირა. სომხები კარგად არიან ჩაცმულნი და შეიარაღებულნი. ბრძანებები სუფთა რუსულზე გაიცემოდა.

პოდპოლკოვნიკ რამაზაშვილის რაზმის წინააღმდეგ მოქმედებდა 100–ზე მეტი კარგად შეიარაღებული სომეხი, რომლებიც ასევე კარგად იყვნენ

ჩაცმულნი და შეიარაღებულნი. 13 საათზე წათერის მაცხოვრებელნიც გამოვიდნენ უზუნლარელთა დასახმარებლად. ჩემს ხელთ არსებული ცნობებით აგვის გარკვეული მოსახლეობაც მონაწილეობდა ორმხრივ სროლებში. 15 საათისათვის ლიანდაგის მარჯვენა მხარეს მდებარე სიმაღლეებიდანაც იქნა ცეცხლი გახსნილი ჩვენი ჯაჭვისა და სადგურის მიმართულებით. ყველა მონაცემებით, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ ძველი ჯარისკაცები და აგრეთვე სომხეთის ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები. სროლისას მოკლულია ცხენოსანი ასეულის კორნეტი ლუკა თეიმურაზის ძე აბულაძე და მოვლინებული ოფიცერი, პორუჩიკი გიორგი ფარსადანის ძე მიქელაძე... (შემდეგ ჩამოთვლილია დაღუპული ჯარისკაცები). მესაზღვრეებთან ერთად სანაინში მყავს 60 მეომარი. გადაუდებლად მიმაჩნია სულ მცირე კიდევ ერთი ასეულის გამოგზავნა".[101]

სანაინში მყოფი ჯავშანმატარებლის საბრძოლო აქტივობას კი შემდეგი სახე ჰქონდა: „სანაინიდან №1 ჯავშნიანი მატარებლის უფროსი ხუნგია დეპეშით იუწყება: ქრისტეშობისთვის 9—ში დილის 8 საათზე რაზმი გაემგზავრა სოფელ უზუნლარში და თან წაიღო 3 ტყვიისმფრქვეველი. როცა ჩვენები კლდის ნაპირს მიუახლოვდნენ, ჩასაფრებულმა სომხებმა სროლა აგვიტეხეს. ჩვენებმაც ჯავშნოსანიდან არტილერიისა და ტყვიისმფრქვეველების ცეცხლით უპასუხეს, რაც საღამოს 8 საათამდე გაგრძელდა. ჩვენებმა მთაზედ ასვლა ვერ მოახერხეს და უკან დაბრუნდნენ. სროლის ადგილზე ჩვენ დავტოვეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი, რადგან მისი ჯარისკაცი მეფარიშვილი მძიმედ დაიჭრა, ხოლო მეორე, ხუნდაძე დაშავდა. დიდად დაზარალდა ქვეითი ჯარი. ჩვენის მხრით მოკლულია 5, დაჭრილია 7, მათ შორის პორუჩიკი ხუბლაძე. უგზოუკვლოდ დაიკარგა 2".[102]

აშკარაა, რომ ქართველთა წინააღმდეგ უკვე სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა დაიწყეს მოქმედება. და ისევ ნაცნობი სურათი. დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა შემდეგია: ქართული ჯავშანმატარებლის, სანაინის 60 კაციანი რაზმისა და მცირერიცხოვანი მესაზღვრეების პირისპირ — სულ დაახლოებით 200 კაცი, დგას კარგად ჯომზადებული, ჩაცმულ—დახურული და შეიარაღებული ორი სომხური პოლკი და რაიონის მთელი სომხური მოსახლეობა, საერთო რიცხოვნობით სულ ცოტა — 3000—3500 კაცი. სომხური მხარის თითქმის ოცმაგი უპირატესობა. ომეხი და პროსომეხი ავტორების აპელირება იმაზე, თითქოს სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობა არ იყო საკმარისად უზრუნველყოფილი სამხედრო სამოსით, სურსათითა და შეიარაღებით — მტკნარი სიცრუეა. ჩვენ ნაშრომის შესაბამის თავშიც ვაჩვენეთ, რომ სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობა ლოჯისტიკის საკითხებში გაცილებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი, ვიდრე ქართული ქვედანაყოფები.

ერთადერთ უპირატესობას, რასაც ქართველები ფლობდნენ სომხებთან შედარებით — ჯავშნოსანი მატარებელი იყო, საბრძოლო მოქმედებების ჩატარდაჭერის ეს მძლავრი საცეცხლე—ტექნიკური საშუალება. მაგრამ, 1918

წლის 9 დეკემბერს გამართული 12 საათიანი ბრძოლის შემდეგ, ქართულმა ჯავშანმატარებელმა უზუნლართან დასახული საბრძოლო ამოცანა ვერ შეასრულა და უკან დაიხია სანაინისაკენ. სომხეთ—საქართველოს თითქმის მთელი ორთვიანი დაპირისპირების პერიოდში ქართული ჯავშანმატარებელი პირველად დამარცხდა.

ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტური მასალების შესწავლის საფუძველზე, აშკარად იკვეთება ის ფაქტი, რომ მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, გენერალ წულუკიძეს ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რასთან ჰქონდა საქმე. მას იმედი ჰქონდა, რომ მის ხელთ არსებული ძალებითა და მცირე შეშველებული ქვედანაყოფებით შეძლებდა სადგურ სანაინის შენარჩუნებას. და ისევე, როგორც ოქტომბრის მოვლენების დროს, ამჯერადაც გენერალ წულუკიძის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განკარგულებით, 9 დეკემბერს, სანაინის მიმართულებით ოპერატიულად იქნა გადასროლილი მე—5 ქვეითი პოლკის ერთი ასეული 150 კაცის შემადგენლობით, კაპიტან ამაშუკელის მეთაურობით. როგორც ჩანს, აქაც ჩათვალეს, რომ ისევე, როგორც ოქტომბრის თვეში განვითარებული მოვლენებისას, ახლაც საკმარისი იქნებოდა დაწყებული „კონფლიქტის" ლიკვიდაცია ერთი ასეულის ძალებით. მაგრამ, ამჯერად, შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა ძირფესვიანად განსხვავდებოდა ოქტომბრის მოვლენებისაგან.

საომარი მოქმედებების განახლებასთან დაკავშირებით, საქართველოს მხრიდან გახმოვანებული პირველი ოფიციალური საპროტესტო სამთავრობო ნოტა №5497, 1918 წლის 9 დეკემბერსვე წარედგინა სომხურ მხარეს:

„...ტელეგრამა №5447—ის დამატებად გაცნობებთ, რომ ახლახანს სამხედრო სამინისტროდან შემოვიდა შეტყობინება, რომ სანაინის მახლობლად პოლკოვნიკ ტერ—ნიკოგოსოვის მეთაურობით გამოჩნდნენ მე—4 სომხური მსროლელი პოლკის ნაწილები, რომლებიც აღიზიანებენ ადგილობრივ მოსახლეობას, ქმნიან უწესრიგობებს, რომლებმაც დღეს სადგურ სანაინის მიმართულებით გახსნეს ცეცხლი... გატყობინებთ ამას და იმედი გვაქვს, რომ მიიღებთ ზომებს არასასურველი ინცინდენტის თავიდან ასაცილებლად...

გეგეჭკორი".[103]

აქ აშკარად შეცდომითაა მოხსენიებული პოლკოვნიკი ტერ—ნიკოგოსოვი მე—4 მსროლელი პოლკის მეთაურად. იგი სომეხთა მე—5 პოლკს მეთაურობდა.

და ისევ გენერალ წულუკიძის პირდაპირი საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი — 1918 წლის 10 დეკემბერი:

„მოცემულ მომენტში სანაინში არსებული მდგომარეობა შემდეგია. სანაინის გარშემო არსებული მთებიდან სომხები ცეცხლს გვიშენენ. ჩვენი რაზმი ცეცხლით არ პასუხობს. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ სოფელი უზუნლარი სომხების მიერაა დაკავებული, რომლებსაც ალბათ

ბანდებს დაარქმევენ. ეს ბანდები უკვე გამოჩნდნენ სანაინისა და ალავერდის ჩრდილოეთით. ალავერდის დასაცავად მყავს მცირერიცხოვანი რაზმი 14 კაცის შემადგენლობით და იქვე გავგზავნე ჯავშანმატარებელი. უწყვეტი ცეცხლის გამო მოკლულების გამოტანას ვერ ვახერხებთ. ჯერ–ჯერობით მოკლულია 15. ამდენივეა დაჭრილიც. ერთი ასეულის გამოგზავნა საკმარისი არ არის. თუ მთავრობას სურს ანარქიის ჩახშობა, შესაბამისი ძალებიც უნდა მოგვაწოდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანაინის რაზმი განწირულია...

უზუნლარში დაპატიმრებული ოფიცრის სიტყვებით იქ აცხადებენ, რომ სოფლიდან არ წავლენ მანამ, სანამ მათ არ უბრძანებთ პოლკოვნიკი ტერ–ნიკოგოსოვი. ტერ–ნიკოგოსოვის შესახებ არც მე და არც ჩემს ოფიცრებს აქამდე არაფერი არ გვსმენია... სხვა სასაზღვრო საგუშაგოები ჯერ–ჯერობით ადგილზეა. მათი ბრძოლებში ჩაბმა ომის გამოცხადებას ნიშნავს. საქართველოს მიწაზე ანარქიის მოწყობა მათ ხელს აძლევთ...''[104]

ამ ინფორმაციიდან ჩანს, რომ გენერალი წულუკიძე უკვე სვდება რეალურად არსებული საქმის ვითარებას, თუმცა სომხეთის რეგულარული ჯარის სრულმასშტაბიან შეტევით ოპერაციას ჯერ–ჯერობით ისევ ბანდების მოქმედებად თვლის და განვითარებულ მოვლენებსაც „ანარქიად'' აფასებს. იმისათვის, რომ შექმნილ მდგომარეობას ომის კვალიფიკაცია არ მისცემოდა, რასაც საგულდაგულოდ მოითხოვდა საქართველოს მთავრობაც, მან სასაზღვრო საგუშაგოები წათერში, ქორინჯსა და ყაჩაღანში ადგილებზე დატოვა, რითაც ისინი ფაქტიურად განწირულნი აღმოჩნდნენ.

სავალალო რეალობა კი ის იყო, რომ სომხეთ–საქართველოს გამოუცხადებელი ომი კარგა ხანია დაწყებული იყო, ფაქტობრივად 1918 წლის 18 ოქტომბრიდან. ისევე, როგორც ოქტომბრის მოვლენების დროს, ახლაც, ქართული საჯარისო ქვედანაყოფების ზურგში, ამჯერად ალავერდის მიდამოებში, სომხური ქვედანაყოფები გამოჩნდნენ. ეს კი მეტად საგანგაშო მდგომარეობას ქმნიდა. სწორედ ამის გამო, გენერალ წულუკიძის ბრძანებით, თბილისიდან გაგზავნილ №3 ჯავშანმატარებელსა და მხარდაჭერის ასეულს სანაინამდე არ ჩაუღწევიათ და მათ სტრატეგიულ პუნქტ ალავერდში ებრძანათ თავდაცვითი პოზიციების დაკავება.

სომხური სამხედრო ნაწილები კი უკვე მასირებულ შეტევაზე იყვნენ გადასულები. ამონაწერი მე–2 ქვეითი დივიზიის მე–5 პოლკის შერეული ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის პატაკიდან:

„კაპიტან ამაშუკელის ასეული 150 კაცისა და ორი ტყვიამფრქვევის შემადგენლობით 1918 წლის 9 დეკემბრის დილის 3 საათზე ეშელონით გაემგზავრა სადგურ სანაინში, ბორჩალოს მაზრის გენერალ–გუბერნატორის, გენერალ–მაიორ წულუკიძის განკარგულებაში. მაგრამ შეცვლილი ვითარების გამო, წულუკიძის პირადი ბრძანების საფუძველზე ასეული სადგურ ალავერდში იქნა გაჩერებული. სადგურ ალავერდში, გენერალ წულუკიძის ბრძანების შესაბამისად, კაპიტანმა ამაშუკელმა თავისი ასეულით

გაბატონებული სიმაღლეები დაიკავა. სანაინსა და ალავერდს შორის რკინიგზის ხაზი ქვებით იყო ჩახერგილი".[105]

1918 წლის 10 დეკემბრის 13 საათის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ჩანს, რომ გენერალი წულუკიძე უკვე ხვდება საქმის რეალურ არსს და საბოლოოდ ადასტურებს საბრძოლო მოქმედებებში სომხეთის რეგულარული ჯარების მონაწილეობას: „ახლახანს მომახსენეს სოფელ წათერიდან, რომ ჩვენს სასაზღვრო საგუშაგოს სომხებმა ალყა შემოარტყეს. რამდენიმე კაცი მოკლულია, დანარჩენები ტყვედ არიან აყვანილნი. ჩვენი საგუშაგოს წინააღმდეგ სომხების მხრიდან მტრულ მოქმედებებს აქვს ადგილი. სოფელ ქორინჯიდან ცნობები არა მაქვს. ჩემს მოვალეობად ეთვლი და ვაცხადებ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ არა ბანდები, არამედ რეგულარული ნაწილები. მოცემულ მომენტში ჩემთან ერთად სანაინში იმყოფება სულ 60 კაცი. გამოგზავნილი ასეული ჩემს მიერ შეჩერებულია ალავერდში. არტილერია ჯერ კიდევ არ მოგვსვლია".[106]

11 დეკემბრის ტელეგრამაში კი პორუჩიკი გოგუაძე სამხედრო მინისტრს ატყობინებს: „დღეს დილაადრიან, სადგურ ალავერდსა და სადგურ სანაინს შორის, 102–ე ვერსზე, სომხების მიერ რკინიგზის ლიანდაგია აყრილი. №3 ჯავშნოსანი ბრძოლაშია ჩაბმული. ჩემს მიერ გაცემულია განკარგულება რკინიგზის აღდგენის შესახებ".[107]

ოქტომბერში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სომხებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს და ჯავშანმატარებლების წინააღმდეგ ბრძოლის მარტივ და ძალზე ეფექტურ გზას მიაგნეს. ეს გზა რკინიგზის ლიანდაგების აყრას, სარკინიგზო ხიდების აფეთქებასა და სხვა მსგავსი სახის დივერსიული აქტების განხორციელებაში გამოიხატებოდა. ჯავშანმატარებლებთან ბრძოლის ასეთმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო და სანაინი–ალავერდის რაიონში დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ასეთი მოქმედებები ჯავშანმატარებლების საბრძოლო შესაძლებლობების შეზღუდვასა და ამავე დროს, ქართული საჯარისო ნაწილებისათვის ალყას მოასწავებდა, აქედან გამომდინარე ყველა თანმდევი შედეგით.

11 დეკემბრის დილას, თბილისიდან სანაინისაკენ დამატებით იგზავნება მე–5 ბატალიონის ორი ასეული, ორი საველე ქვემეხის, მორტირების ორი ოცეულისა და 2 ტყვიამფრქვევის შემადგენლობით, კაპიტან კავკასიძისა და შტაბის კაპიტან ავალიანის მეთაურობით:

„კაპიტან კავკასიძისა და შტაბის კაპიტან ავალიანის ასეულები ტფილისიდან 1918 წლის 11 დეკემბრის დილის $9^{1/2}$ გაემგზავრნენ. სადგურ ახპატთან მისვლისას კაპიტანმა კავკასიძემ ტელეფონით გამოიძახა კაპიტანი ამაშუკელი და ჰკითხა მას, შესაძლებელი იყო თუ არა სადგურ ალავერდამდე ჩასვლა, რადგან სადგურ ახტალის უფროსმა გააფრთხილა, რომ სადგური ალავერდი სომხების მიერაა გარშემორტყმული. კაპიტანმა ამაშუკელმა აცნობა კაპიტან კავკასიძეს, რომ ეშელონს შეუძლია დაიძრას და რაც შეიძლება

სწრაფად. სადგურ ალავერდის ისრის გავლის შემდეგ, კაპიტან კავკასიძის ეშელონს ცეცხლი გაუხსნეს დებედა–ჩაის ორივე ნაპირიდან. ტყვიები ვაგონებს ხვდებოდა, მაგრამ მსხვერპლი არ ყოფილა. ეშელონმა ცეცხლის ქვეშ დაიწყო გადმოსხდომა, მაშინვე ჩაება ბრძოლაში და შეტევა მიიტანა მდინარის ორივე ნაპირზე. ეს იყო 11 დეკემბრის დაახლოებით დღის 4 საათზე".[108]

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მე–5 პოლკის შეშველებული ქვედანაყოფები 11 დეკემბრისათვის ალავერდის მისადგომებთან, როცა მათ პირდაპირ ეშელონიდან მოუწიათ შემხვედრ ბრძოლაში ჩაბმა.

ერთობ საინტერესოა ამ ბრძოლების უშუალო მონაწილის, ბატონ ნიკო კეცხოველის მემუარების გაცნობაც, სწორედ ამ ეპიზოდში. რა თქმა უნდა, ბატონ ნიკოს მიერ მემუარში არ არის დაკონკრეტებული ქვედანაყოფი და მისი სამეთაურო შემადგენლობა, მაგრამ ჩვენს მიერ მოპოვებული უტყუარი მასალების შეჯერების საფუძველზე, აშკარაა, რომ სწორედ ამ ეშელონით გაემგზავრა ბატონი ნიკოც ფრონტზე. იმჟამად იგი მე–5 ქვეითი პოლკის I–ლ საარტილერიო ბატარეაში მსახურობდა ფელდფებელად:

„1918 წლის დეკემბერს, ვაგონებ 10–ში, საღამოს ყაზარმაში მოვიდა ბატარეის უფროსი, სასწრაფოდ შევამზადეთ ბატარეა, უფრო სწორად 2 ზარბაზანი.

– ფრონტზე მიგვიყვანეთ – ბრძანა კაპიტანმა. არ კი უთქვამს რა ფრონტზე...

გაემართეთ ეშელონი და მეორე დღეს საღამოთი უკვე ვიყავით სადგურ ალავერდთან, ბორჩალოში. აქ გავიგეთ მხოლოდ: სომხის ჯარი წამოსულიყო თერიშით. ვორონცოვკაში ამოეხოცათ ჩვენი მესაზღვრეები, დაეჭირათ სანაინი და ალავერდი. მატარებელი არც კი დამდგარიყო, რომ ატყდა სროლა.

გაჩერდით. მოდის ტყვიები წუწუნით და წივილით. გაიწკრიალა ღია ვაგონზე დამაგრებული ზარბაზნის ფარმა ერთხელ, ორჯელ, დაეცა ჯარისკაცი, ქვემო ჭალელი მჭედლიშვილი, ლამაზი, ქოჩორა ბიჭი. – ჩაშასადამე, მოვედით პირდაპირ მოწინააღმდეგის პირისპირ. ასე ვთქვათ, პირში ჩავუვარდით".[109]

აქ მცირე უზუსტობას უშვებს ბატონი ნიკო. 1918 წლის 11 დეკემბრისათვის სომხებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული ალავერდი. გენერალ ციციშვილის ვორონცოვკის რაზმიც ჯერ კიდევ არ იყო ჩანადგურებული.

11 დეკემბრის შუადღისათვის სომხური ქვედანაყოფები უკვე უშუალოდ ალავერდთანაც გამოჩნდნენ.

„ტელეგრამა №232. 11. 12. 1918. სამხედრო მინისტრს.

13 საათსა და 45 წუთზე შეიარაღებულმა სომხებმა დაიკავეს ალავერდის ქარხანასთან მიმდებარე სიმაღლეები და ცეცხლი გაუხსნეს ქარხნის დაცვაში მყოფ ასეულს. კაპიტან ამაშუკელის მიერ ყოველგვარი ზომებია გატარებული. ბეტად სასარგებლო იქნება კიდევ ერთი ჯავშნოსანის გამოგზავნა სადახლო–

აირუმი–შინიხის ხაზის დასაცავად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აირუმს. ალავედი–სანაინის რკინიგზის ხაზი ალალ–ალაგ ქვა–ღორღითაა ჩახერგილი, ერთ ადგილას კი ლიანდაგებია აყრილი. №3 ჯავშნოსანს ამოცანად დაესახა რკინიგზის აღდგენა".[110]

აქაც სწორად აფასებდა გენერალი წულუკიძე აირუმი–ალავერდის მონაკვეთის უსაფრთხოების ოპერატიულ მნიშვნელობას.

მხოლოდ ამ მომენტისათვის ტოვებს ქართული სარდლობა და შტაბი სადგურ სანაინს და ბრძოლებით იწყებს უკანდახევას, სადგურ ალავერდისაკენ. 11 დეკემბრის საღამოსათვის გენერალმა წულუკიძემ და მისმა შტაბმა სადგურ ალავერდში ჩამოაღწია. ამონაწერი პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის პატაკიდან: „11 დეკემბრის საღამოს 8 საათისათვის გენერალმა წულუკიძემ თავის შტაბთან ერთად მოახერხა სანაინიდან სადგურ ალავერდში ჩამოსვლა. დაახლოებით საღამოს 9 საათზე მდინარის მარჯვენა სანაპიროს მაღლობებიდან მასირებული ცეცხლი იქნა გახსნილი სადგურ ალავერდის მიმართულებით. სროლები 40–50 წუთი გრძელდებოდა".[111]

სამწუხარო ფაქტი კი ისაა, რომ ქართული მცირერიცხოვანი საბრძოლო რაზმი, პოდპოლკოვნიკ რამაზაშვილისა და კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით, №1 ჯავშანმატარებელთან ერთად სადგურ სანაინში დარჩა მტრისგან სრულიად ალყაშემორტყმული და ფაქტობრივად განწირული.

იმავე საღამოს, გენერალ წულუკიძეს სადგურ ალავერდიდან უკვე პირდაპირი ხაზით ჰქონდა საუბარი სამხედრო მინისტრთან:

„მოცემულ მომენტში ყველა სიმაღლეები სომხების მიერაა დაკავებული. მათ პირისპირ ჩვენი ქვეითი ჯარი დგას. მიმდინარეობს სროლები, დროდადრო ძლიერი. ჯერ–ჯერობით ალავერდს საშიშროება არ მოელის. დღის 4 საათზე ალავერდში ჩამოვიდა მე–5 პოლკის 2 ასეული 140 კაცით, 2 ტყვიამფრქვევი, 2 საველე ქვემეხი (სწორედ ამ ქვემეხებზეა საუბარი ბატონი ნიკოს ზემოთ მოყვანილ მემუარში – ა. ჩ.) და სამორტირო ოცეული. ეს ძალები გადამწყვეტი მოქმედებებისათვის არ არის საკმარისი. ვიღებთ ყოველგვარ ზომებს ალავერდის დასაცავად, დამატებითი ძალების ჩამოსვლისთანავე კი გადავალ გადამწყვეტ მოქმედებებზე. სანაინთან დარჩა ჯავშნოსანი მატარებელი, 2 ტყვიამფრქვევი, 2 სამთო ქვემეხი და 60 მეომარი...

რკინიგზის ხაზი სანაინსა და ალავერდს შორის ჩახერგილია. რკინიგზის ლიანდაგის საკეტები და ისრები სარკინიგზო კატასტროფების მოწყობის მიზნით დაშლილია. რკინიგზა ქობერსა და სანაინს შორის ასევე დაზიანებულია. სადგურ ქობერში იმყოფება ჩვენი წარმომადგენელი სომხეთის რესპუბლიკაში, ბატონი მდივანი სომხეთის დელეგაციასთან ერთად. ალბათ დელეგაცია უკან დაბრუნდა კარაკლისში. ასე გადმომცა მდივანმა... (ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით – ა. ჩ.)

არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციო ყულფ–აირუმ–შინიხის მიმართულებაზე... ჩემს წინააღმდეგ მოქმედ ძალებში ყოველგვარ ეჭვს გარეშე

მონაწილეობენ რეგულარული ჯარის ნაწილები, მათ გარდა ძველი, ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და სოფლელები...''[112]

რკინიგზის კომენდანტის თანაშემწის, №3 ჯავშანმატარებლის მეთაურის, კაპიტან პაიკაძის 1918 წლის 12 დეკემბრის №44 საბრძოლო პატაკი პორუჩიკ გოგუაძეს: „მოგახსენებთ, რომ ამ მომენტისათვის ჩვენ სადგურ სანაინიდან მოწყვეტილნი ვართ და არავითარი კავშირი არა გვაქვს მასთან. ჩვენი მზვერავების მოხსენებით, ხიდი, რომელიც ერთი ვერსითაა სანაინიდან დაშორებული, იწვის. მათი ინფორმაციით, ჯავშნოსანი №1 სადგურ სანაინის ხაზზე კურსირებით საარტილერიო და ტყვიამფრქვევების ცეცხლს უშენს მოწინააღმდეგეს და იფარავს სადგურ სანაინზე თავმოყრილ ჩვენს ქვედანაყოფებს. ჩვენი მცდელობა, რომ შეგვეკეთებინა ლიანდაგი და შევჭრილიყავით სანაინისაკენ, ჩაიშალა, რადგან მტერი მთებიდან უზარმაზარ ლოდებს აგორებს, რაც ხელს უშლის ჩვენს ჯარისკაცებს გამოვიდნენ ვაგონებიდან და შეაკეთონ ლიანდაგები. დღეს ჯავშნოსანზე დანაკარგები არ არის''.[113]

12 დეკემბერს, გენერალ წულუკიძის განკარგულებაში გაგზავნილი მე–5 ქვეითი პოლკის ცალკეული ქვედანაყოფებისაგან ფორმირდება შერეული ბატალიონი, რომლის მეთაურადაც პოდპოლკოვნიკი მიქაბერიძე ინიშნება.

სოფელი ალავერდი და მისი სამრეწველო ინფრასტრუქტურა იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქართველებისათვის, რომ სამხედრო სამინისტროს მიერ მისი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაცვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. გენერალ წულუკიძის განკარგულებაში გაგზავნილ ქვედანაყოფებს კი სადახლოს გარშემო მდებარე ტაქტიკურად ხელსაყრელი სიმაღლეების დაკავება და თავდაცვითი ბრძოლების მიღების განკარგულება გაეცათ.

მდინარე დებედას მთელ გაყოლებაზე სანაინიდან აირუმამდე საბრძოლო მოქმედებებს ის ართულებდა, რომ როგორც ნაშრომის შესაბამის თავში აღვნიშნეთ, აქ ხეობა ღრმა, ზოგან კანიონისებურია და ტაქტიკურ თვალსაზრისობასაც ის მხარე მოიპოვებდა, რომელიც გაბატონებულ სიმაღლეებზე იქნებოდა თავმოყრილი. ქართული საჯარისო ნაწილების ბრძოლით უზრუნველყოფის ძირითადი მაგისტრალური ხაზი, რკინიგზა, მდინარე დებედას ღრმა ხეობას მიუყვებოდა, სადაც უამრავი მკვეთრი მოსახვევისა და ქანობის უბანი იყო. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებდა ეშელონების გადაადგილების სიჩქარეს. გარდა ამისა, აქ საკმაოდ იყო პატარა საკინიგზო ხიდები, რომელთა მწყობრიდან გამოყვანით ადვილად მოხერხდებოდა ქართული დამხმარე ეშელონების გაუვნებელყოფა და ხელში ჩაგდება.

ალავერდში, მდინარის მარჯვენა ნაპირის „დაკავების მძიმე ამოცანა, სომეხთა განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ შტაბის კაპიტან ავალიანის 60 კაციანი ასეულისა და შტაბის კაპიტან ჩაჩავას მეტყვიამფრქვეველთა ჯგუფის მომაკვდინებელი მეომრების მიერ წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. 11 და 12 დეკემბერს სომხებს სადგურ სადახლოსა და ჩვენს მიერ დაკავებულ

სიმაღლეებზე განუწყვეტელი იერიშები მოჰქონდათ. 13–ში ბატალიონი ძალებით განხორციელდა სანაინისაკენ გაჭრის მცდელობა ჯავშანმატარებლი გამოყენებით, ალყაში მოქცეული რაზმისა და ჯავშანმატარებლი გამოსახსნელად. იმის გამო, რომ გზა ჩახერგილი იყო, ხოლო ერთ ადგილა ხიდი აფეთქებული, დასმული ამოცანა ვერ შესრულდა".[114]

აქ, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული №3 ჯავშანმატარებლის საბრძოლო აქტივობაზეა საუბარი. ეს ამონარიდი მე–5 ქვეითი პოლკის შერეულ ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის პატაკიდან არი მოტანილი.

ქართული მხარის ამ თავგანწირულ ქმედებას შედეგად ის მოჰყვა, რო დიდი სიჩქარით მიმავალმა ჯავშანმატარებელმა მოსახვევიდან გამოსვლისა აფეთქებულ ხიდთან დროულად ვერარ დაამუხრუჭა და იგი რელსებიდა გადავიდა სანაინსა და ალავერდს შორის. ჯავშანმატარებლის რელსებზ დაყენების რამდენიმე ცდა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან „სამწუხაროდ, ჩვე ისევ გვეგონა, რომ საქმე ბანდიტებთან და მოსახლეობის უკმაყოფილო ნაწილთან გვქონდა, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ საქმე გვქონდა არ ყაჩაღებთან, არამედ სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებთან, რომლის გვერდშიც იდგა იარაღის ტარების უნარის მქონე მთელი სომხური მოსახლეობა. 14 დეკემბერს ისევ გვქონდა ჯავშანმატარებლის ამოთრევის მცდელობა, რისთვისაც ღამით, მხარდაჭერისათვის კაპიტან კავკასიძის მიერ პლატო იქნა დაკავებული, მაგრამ სომეხთა მხრიდან გახსნილი უძლიერესი ცეცხლის გამო, ვერ შევძელით დასახული ამოცანის შესრულება. ჩვენ სადგურიდან მოწყვეტილები და ალყაში მოქცეულები ალმოვჩნდით...

14 დეკემბრის საღამოს 6^{30} საათზე ცეცხლი მოწინააღმდეგის მხრიდან ძლიერდება და მდგომარეობა უკიდურესად მძიმდება...".[115]

წარმოდგენა რომ შეგვექმნას, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სანაინი–ალავერდის მიდამოებში გამაგრებული ქართული საჯარისო ქვედანაყოფები, გავაანალიზოთ, თუ როგორი იყო დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა ამ მომენტისათვის:

სომხების მხრიდან სანაინი–ალავერდის მიმართულებაზე ამ ეტაპისათვის მოქმედებდნენ კბილებამდე შეიარაღებული სომხეთის მე–2 მსროლელო დივიზიის (მეთაური – გენერალი მოვსეს სილიკოვი) მე–4 და მე–6 პოლკები, I–ლი მსროლელი დივიზიის (მეთაური – გენერალი არეშიევი) I–ლი პოლკის ბატალიონები, ცხენოსანი ბრიგადის (მეთაური – გენერალი გაბრიელ ყორღანოვი) 3 ესკადრონი, ადგილობრივი სომხური მოსახლეობის ე.წ. „ოპოლჩენიის" რაზმები, არტილერია (დაახლოებით 20 ქვემეხი). საერთო რიცხოვნობა – 6000 კაცი.

ქართველების მხრიდან – საგუბერნიო ბატალიონის სანაინის რაზმის 60 კაცი და ერთი ჯავშანმატარებელი №1. ალავერდთან – მე–5 ქვეითი პოლკის 3 ასეული, მე–6 ქვეითი პოლკის ერთი ასეული, საარტილერიო ბატარეა,

მორტირების ოცეული და ჯავშანმატარებელი №3. საერთო რიცხოვნობა – დახლოებით 500–550 კაცი.

დიახ, დაახლოებით ასეთი იყო დაპირისირებულ მხარეებს შორის არსებული ძალთა თანაფარდობა სანაინი–ალავერდის მიმართულებაზე 1918 წლის 14 დეკემბრისათვის.

ქართველების ისტორიული ბედისწერაა ალბათ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებრივი არსებობის მთელი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი შემთხვევები, როცა ქართველები მტერთან შედარებით რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ. ბედის ირონიაა, რომ აქაც, სომხებთან ომში, უზუნლარი–სანაინი–ალავერდის უბანზე 9 დეკემბრისათვის მათ ჯერ ოც, 14 დეკემბრისათვის კი ათჯერ აღმატებულ მტრის ძალებთან მოუწიათ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა. სამხედრო ხელოვნების თეორიიდან კარგადაა ცნობილი ის დებულება, რომ თავდაცვაში მყოფ მოწინააღმდეგეს წარმატებით შეუძლია აწარმოოს საბრძოლო მოქმედებები იმ შემთხვევაშიც, როცა ძალთა ტაქტიკური თანაფარდობა 1/4–თანაა. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ თავდაცვაში მყოფი მხარე სათანადოდაა მომზადებული საინჟინრო–საფორტიფიკაციო, საარტილერიო და ზურგის უზრუნველყოფის საკითხების მხრივ. რა თქმა უნდა, არაფერი ამის მსგავსი ქართული ქვედანაყოფების მიმართ არ შეიძლება რომ ითქვას. რომელ საბრძოლო მზადყოფნაზეა ლაპარაკი, როცა ქართველ მეთაურთა დიდი ნაწილს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული, რომ მათ საქმე სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებთან და სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებთან ჰქონდათ. ამაზე, ჩვენ მიერ ნაშრომში მოყვანილი უამრავი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალა მეტყველებს ცალსახად.

ქართული მხარის ძლიერ მხარეს და ერთადერთ უპირატესობას ჯავშანმატარებლები წარმოადგენდნენ, მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი ოპერატიული მასალები ცალსახად მეტყველებენ იმაზეც, რომ სომეხთა მიერ ეფექტურად განხორციელდა ქართველთა ამ უპირატესობის გაუვნებელყოფა.

აბსოლუტურად საპირისპირო უნდა ითქვას სომხურ ნაწილებზე. ცოცხალი ძალის, საბრძოლო მზადყოფნისა და ყველა სახის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, სომხური მხარის უპირატესობა არა ათმაგი, არამედ შეუდარებლად დიდი იყო. საქართველოს ომების ისტორიიდან ამ შემთხვევაშიც გაჭირდება ისეთი მაგალითების მოყვანა, სადაც მტერი ქართველებთან შედარებით ათმაგ და მეტ უპირატესობაც ფლობდა. თვით დიდგორშიც კი არ ყოფილა მსგავსი სურათი.

ერთობ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გენერალ დრასთამატ კანაიანის მიერ სწორედ ამ დროსაა გაკეთებული პირველი ულტიმატიური ხასიათის შეტყობინება ქართული მხარისათვის, რითაც, ასე ვთქვათ, „ახსნილი და გამართლებულია" სომხეთის შეიარაღებული ძალების ღია აგრესიის დაწყება საქართველოს წინააღმდეგ:

„ქართულ სამხედრო სარდლობას.

თქვენდამი დაქვემდებარებული ნაწილების ჯარისკაცების დამოკიდებულებ
სომხური მოსახლეობისადმი ყოველგვარ საზღვრებს ცილდება, რის გამო
არსებობს სომხეთის მთავრობის ბრძანება, იარაღის ძალით დაუსვა
წერტილი თქვენს ძალადობას სომეხი მშრომელი გლეხობისადმი. გონ
მოდით, ნუ გაიწყდებათ, რომ თქვენ დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებ
ხართ, რომლის სათავეში მდგარმა პირებმა აღიარეს ერთა თვითგამორკვევი
იდეა და დაუყოვნებლივ დაცალეთ ჩვენი ტერიტორიები, თუ არ გსურ
შემდგომი სისხლის ღვრის გაგრძელება.

დილიჯან—ლორის რაზმის უფროსი, დრო".[116]

აი, ასეთი იყო გენერალ დროს მიმართვა გენერალ წულუკიძისადმ
სადაც იგი მენტორული ტონით „სომეხი მშრომელი გლეხობის" (ერთო
ნიშანდობლივი ფრაზაა) ინტერესების დასაცავად ომს უცხადებდა ქართულ
მხარეს. ამ მიმართვაში ყველაზე ნიშანდობლივი კი ისაა, რომ სომეხთ
მთავარსარდალი საქართველოს სათავეში მყოფი პოლიტიკოსების მიე
საყოველთაოდ აღიარებულ ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიულ
პრინციპების დაცვაზე აკეთებდა აპელირებას. ამ კონტექსტში კი ნამდვილად
მართალი იყო იგი. სწორედ ქართველი ორთოდოქსი მარქსისტების მიე
ღიად აფიშირებული რეალური მოსახლეობისა და ერთა თვითგამორკვევი
ყბადაღებული პრინციპებისადმი ერთგულების გამოხატულებამაც ითამაშა ი
კატალიზატორის როლი, რამაც ამ დონემდე მიიყვანა სომხურ—ქართულ
დაპირისპირება.

სომხეთის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობისა და შეიარაღების
შესახებ ცნობები ჩვენ რიჩარდ ოვანესიანის მონაცემებზე დაყრდნობით
მოვიყვანეთ:

„14 დეკემბრის ყინვიან დილას, სომეხთა მე—4, მე—5 და მე—6 პოლკების
ქვედანაყოფებმა პოლკოვნიკების — ტერ—ნიკოგოსოვის, ნესტოროვსკის დ
კოროლკოვის მეთაურობით სამ კოლონად დაიწყეს შეტევა, რომლის
მიზანსაც ვორონცოვკა—პრივოლნოე—ოფრეთი—აირუმის ხაზის დაკავება
შეადგენდა. დროს არმიის სრულ ძალას შეადგენდა 28 ქვეითი ასეული დ
ცხენოსანთა ოთხი ესკადრონი, აღჭურვილი 26 ზარბაზნითა და 7 სამთო
ქვემეხით. სომხებს უფრო მცირე პირადი შემადგენლობა, სურსათი დ
საბრძოლო მასალები ჰქონდათ ვიდრე ქართველებს, მაგრამ მათი დიდ
უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მათი წინსვლა კეთილგანწყობილ
ტერიტორიებზე მიმდინარეობდა".[117]

აქ დავამატებდით, რომ ხსენებული პოლკების გარდა, საომარ
მოქმედებებში სომეხთა 1—ლი პოლკის ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ. რაც
შეეხება სომეხთა ზურგის საკითხებითა და საბრძოლო აღჭურვილობით
ვითომცდა ცუდად უზრუნველყოფის საკითხს — მტკნარი სიცრუეა, უკეთეს
შემთხვევაში ავტორის შეცდომა. იგივე ეხება სომეხთა მცირერიცხოვნობასაც.
ეს საკითხები არგუმენტირებულად ჩვენ ზემოთ, შესაბამის პარაგრაფში
გვქონდა განხილული.

ამ ეტაპისათვის ქართველთა თავდაცვითი ბრძოლების ორი იზოლირებული უბანი გამოიკვეთა — სანაინი და ალავერდი, რომლებიც ერთმანეთს მოწყვეტილი აღმოჩნდა. აირუმის მიდამოებში აღმოჩენილი სომხური ქვეითი ქვედანაყოფებისა და ცხენოსანი ერთეულების აქტივობამ, ბრძოლების უკეთესი კოორდინირებისათვის, გენერალი წულუკიძე აიძულა სადგურ სანაინიდან სადგურ ალავერდში გადასულიყო. სადგურ სანაინის კომენდანტად და საბრძოლო ჯგუფის მეთაურად მის მიერ პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი იქნა დატოვებული. კრიტიკული სიტუაციიდან გამომდინარე, მალე გენერალ წულუკიძის მიერ სადგურ სანაინის დატოვების ბრძანებაც იქნა გაცემული.

გენერალ წულუკიძის ტელეგრამა სამხედრო მინისტრს, ალავერდიდან. 1918 წლის 14 დეკემბერი:

„ღამემ ორივე უბნაზე სროლების ქვეშ ჩაიარა. 13 დეკემბრის 17 საათისათვის მოვახერხეთ სადგურ სანაინთან სატელეგრაფო კავშირის აღდგენა. სასაზღვრო ქვედანაყოფების პოდპოლკოვნიკის (პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი — ა. ჩ.) მოხსენების თანახმად, რომელიც ჩემს მიერაა იქ დატოვებული სადგურ სანაინის კომენდანტად (აგრეთვე, მე—4 სამთო ბატარეის მეთაურის, კაპიტან ქარუმიძის მოხსენებით) გამოირკვა, რომ რკინიგზის ხაზი ქობერთან და სანაინთან 12—დან 13 დეკემბრის ღამეს და მთელი 13 დეკემბრის განმავლობაში შეიარაღებული სომხების მიერ იქ დატოვებული ყუმბარებით საეს თურქული ვაგონები იქნა დამტვრეული. 13 დეკემბრის ღამით და მთელი დღის განმავლობაში სადგურ სანაინს სომხები ძლიერ ცეცხლს უშენდნენ. 13 დეკემბრის დილით სადგურ სანაინის კომენდანტმა შემდეგი შინაარსის შეტყობინება ჩაიგდო ხელში:

„13—ში სადგურ ქობერში ჩამოვა ეშელონი ბატალიონისა და 6 ტყვიამფრქვევის შემადგენლობით. ისინი უზუნლარში იქნებიან გაგზავნილნი. ხელში ჩაგდებული ჯავშანმატარებელი გამოაგზავნეთ ქოლაგერანში. 13—ში მოათავეთ სადგურ სანაინის საქმე და ხელში ჩაიგდეთ მეორე ჯავშანმატა—რებელი, რადგან მწყობრიდან იქნება გამოყვანილი რკინიგზა ალავერდსა და ახპატს შორის".

სადგურ სანაინზე შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, საბრძოლო მასალების უქონლობამ და სანაინის ქართული გარნიზონის მეტად მცირერიცხოვნობამ, უკვე სულ 40 კაცი, აგრეთვე ჯავშნოსანის დაკარგვის საშიშროებამ, მიმაღებინა გადაწყვეტილება გამეცა განკარგულება სადგურ სანაინის დამცველთა ევაკუაციის შესახებ სადგურ ალავერდში. ყველაფერი რასაც ფასი ჰქონდა ჩამოტანილ იქნა მატარებლით, რომელსაც უკნიდან კონვოირებას ჯავშანმატარებელი უკეთებდა. ალავერდამდე ორ ვერსზე მთიდან ჩამოგდებულ იქნა უზარმაზარი ქვის ლოდი, ალბათ წონით არანაკლებ 100 ფუთისა, რომელიც დაეცა მატარებელს და იგი ორ ნაწილად გახეთქა. ამ ეშელონით ალავერდში ჩამოტანილ იქნა ორი სამთო ქვემეხი. (ეჭვი გარეშეა, რომ ეს ქვემეხები ჯავშანმატარებლიდან იქნა მოხსნილი, რომელზეც

ქვემოთაც იქნება საუბარი პორუჩიკ გოგუაძის მემუარში — ა. ჩ.). დაზიანებული მატარებლისა და რელსების შესაკეთებლად გამოძახებული იქნა დამხმარე მატარებელი, რომელიც უკვე შეუდგა დასახული ამოცანის შესრულებას. ხალხი და ცხენები არ დაშავებულა. საბრძოლო უბნები დაკისრებული ამოცანის შესრულებას შეუდგნენ..."[118]

არსებულ სიტუაციაში სულ არ არის გასაკვირი, რომ ქართული ქვედანაყოფები, 9 დეკემბრიდან დაწყებული, გააფთრებული თავდაცვითი ბრძოლებით იხევდნენ უკან და დიდ დანაკლისსაც განიცდიდნენ. ხაზგასმითაა აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ ქართული ქვედანაყოფები პოზიციურად იხევდნენ უკან და არა უსისტემოდ და პანიკით. უფრო გასაკვირი კი ისაა, თუ მთელი ერთი კვირის განმავლობაში კიდევ როგორ აიტანა სამმა ქართულმა ასეულმა და ორმა ჯავშანმატარებელმა სამი სრული პოლკის დაწოლა. ბატალური სცენების აღწერისას, ჩვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებში, სტრიქონებს შორის ძალიან კარგად იკითხება ქართველ ოფიცერთა და ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთება და სიმტკიცე, იმისდა მიუხედავად, რომ ეს დოკუმენტაცია მეთაურთა საბრძოლო პატაკებს წარმოადგენს და ცხადია, ყოველგვარი ემოციებისაგან დაცლილია.

მე–5 ქვეითი პოლკის შერეული ბატალიონის უმცროსი ოფიცრის, პრაპორშიკ კანდელაკის პატაკი ბატალიონის მეთაურს:

„1918 წლის 13 დეკემბერს მივიღე ბრძანება 25 მსროლელთან ერთად დამეკავებინა სადგურ ალავერდის გაბატონებული სიმაღლე — დარქის მთა. ამ სიმაღლის მარჯვენა მხარეს იმყოფებოდა პოდპორუჩიკი ბადრიევი. მან შემატყობინა, რომ სომხები ამ მთას უტევენ ფრონტალური მიმართულებითა და სოფელ ალავერდის მხრიდან — ხევით. მცირე მანძილის გავლის შემდეგ წავაწყდი ცალკეულ სროლებს, რომელიც თანდათან გაძლიერდა, მაგრამ ბრძანების შესაბამისად გავაგრძელე წინსვლა. ცოტა ხანში სიმაღლეს სომხებმა ყოველი მხრიდან გაუხსნეს ცეცხლი. კლდოვანი გზის გამო ჩვენ სწრაფად გადავაადგილდით წინ, დავიკავეთ მითითებული სიმაღლე და საპასუხო ცეცხლი გავხსენით. მტერი შეჩერებულ იქნა''.[119]

აი, ასეთი იყო რეალურად 1918 წლის 9–15 დეკემბერს განვითარებული საბრძოლო მოქმედებების სურათი სანაინი–ალავერდის უბანზე.

საქართველოს სამხედრო მინისტრის მიერ სათანადოდ დაფასდა ზემოთ მოყვანილ ოფიცერთა მაღალი საბრძოლო სულისკვეთება და შემართება, რისთვისაც მათ ვადამდე მიენიჭათ მორიგი სამხედრო წოდებაც. სამხედრო მინისტრის ბრძანებას შემდეგი ფორმულირება ჰქონდა:

„ბრძანება №233. 19. 12. 1918. ტფილისი.

აყვანილია: პოდპოლკოვნიკის ხარისხზე 1–ლ ცხენოსანი რაზმის როტმისტრი დოლიძე და მის ხელქვეით მყოფი მე–6 რაზმის პირველი გუნდის კაპიტანი მაჭავარიანი იმისთვის, რომ 11, 12, 13 და 14 დეკემბერს სოფელ ალავერდთან ბრძოლების დროს, როცა მოწინააღმდეგე გადაჭარბებული ძალებით ბრძოლის ველის მარჯვენა ნაწილს მარჯვენა ფრთიდან

უკლიდა და ალაევერდის ქარხნის დაჭერას ლამობდა, როტმისტრმა დოლიძემ და კაპიტანმა მაჭავარიანმა მათი ვაჟკაცობისა და გაბედულების მაგალითით გაამხნევეს მათი ქვემყოფნი და შესძლეს პოზიციების შენარჩუნება, რითაც დიდად უშველეს რაზმის მდგომარეობას. ხარისხში უფროსობა აღნიშნულ ოფიცრებს ამა წლის 14 დეკემბრიდან ჩაეთვლებათ.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე".[120]

ახლა კი ამონარიდები თანამედროვე სომეხი ავტორის, ვინმე ჰამლეტ გეორქიანის წიგნიდან, სახელწოდებით – „დრო". წიგნი დღევანდელ სომხეთში, ქალაქ ერევანშია დაბეჭდილი 90–იან წლებში და მისი საგამომცემლო ტირაჟი 30000–ს(!) შეადგენს:

„არ შეუშინდა რა ქართველთა სამხედრო ძალების აშკარა სიჭარბეს, მიუხედავად ყველაფრისა, დრომ გადაწყვიტა მის ხელთ არსებული რაზმებით თავს დასხმოდა და გაენადგურებინა გენერალ წულუკიძის არმია... ქართული არმიისაგან განსხვავებით, რომელიც განუწყვეტლივ იღებდა შევსებას ზურგში მყოფი შენაერთებისაგან, სომხურ პოლკებს იმ ხანებში არც ერთხელ არ მიუღიათ შევსება".[121]

ან კიდევ: „დრომ თავის მდიდარ საბრძოლო ბიოგრაფიაში უკვე მრავალჯერ დაამტკიცა, რომ ომში გამარჯვების ერთადერთ აუცილებელ პირობას ჯარის რაოდენობრივი სიჭარბე სულაც არ წარმოადგენს, ხოლო ბრძოლების ჯამს, მხოლოდ თავდაცვა, თუნდაც წარმატებული, არასოდეს შეესაბამებოდა მის მრწამსს. ომის დროს მისი სტიქია ელვისებური შეტევა და მოულოდნელი დარტყმა იყო... ქართველთა ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა წულუკიძემ დროს არმიის ელვისებური საბრძოლო ტრიუმფის შესაჩერებლად ბრძოლის ველზე გადმოისროლა თიფლისიდან მოსული ახალი საბრძოლო ძალები."[122]

აი, ასეთი, ან დაახლოებით ასეთია თითქმის ყველა სომეხი და პროსომეხი ავტორის აზრები და მტკიცებულებები საზოგადოდ, სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო პერიპეტიების შესახებ. სომხური პოლკების მოწინააღმდეგე მხარედ აქ მითიური „გენერალ წულუკიძის არმიაა" წარმოდგენილი. ამ „არმიის" მთელი პირადი შემადგენლობა კი მთლიანობაში 600–700 კაცს არ აღემატებოდა. ასეთი იყო ჩვენს მიერ უკვე დოკუმენტურად დადასტურებული ისტორიული რეალობა.

როგორც ვხედავთ, სომეხ ავტორთა „ნაშრომებში" ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. მსგავსი ტიპის ამონარიდები ჩვენ ნაშრომის სხვა თავებშიც წარმოვადგინეთ. ცხადია, ყველა ეს სომხური მასალა და იქ მოტანილი მტკიცებულებები რეალური სურათის უცოდინარობით არაა გამოწვეული. მთელი ეს დეზინფორმაცია სომეხთა იმ დიდი დაშნაკურ–ნაციონალისტური იდეოლოგიის პროდუქტი და კარგად გააზრებულ–დაგეგმილი დეზინფორმაციაა, რაც მრავალათასიანი ტირაჟებით ვრცელდება დღესაც, სომხეთშიც და მთელ მსოფლიოშიც.

სხვათა შორის, ბატონ გეეორქიანის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ქართული დამხმარე რაზმების შესახებ, ერთ–ერთ ქართველ ავტორთან დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინფორმაციაა წარმოდგენილი: ,,ქართული ჯარები წულუკიძის მეთაურობით მარცხს მარცხზე განიცდიდნენ და ეს გასაკვირიც არ იყო – არავითარი დამხმარე ძალა, გარდა პოლიტიზებული სახალხო გვარდიის მცირერიცხოვანი რაზმისა, არ გაგზავნილა''.[123]

აქაც შეცდომაა დაშვებული. ამონარიდში არასწორია გვარდიელებთან დაკავშირებული საკითხი. ისევ ვიმეორებთ, რომ გვარდიელთა მოხსენიება მხარდაჭერისა და შეშველებულ ქვედანაყოფებში – არასწორია. გენერალ წულუკიძის რაზმში მხოლოდ რეგულარული ჯარის ქვედანაყოფები იყო ჩართული და დამხმარე ძალადაც მე–5 და მე–6 ქვეითი პოლკების ქვედანაყოფები იგზავნებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ.

ჩვენ დოკუმენტურად ვაჩვენეთ, რომ სომხებს სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზე, უზუნლარი–სანაინის მიმართულებაზე, ქართველებთან შედარებით ცოცხალ ძალაში 9 დეკემბრისათვის სულ მცირე ოცმაგი, ხოლო 15 დეკემბრისათვის ათმაგი უპირატესობა ჰქონდათ. დამხმარე ძალა, რაც გენერალმა წულუკიძემ მიიღო ამ ხნის განმავლობაში, სულ ოთხი ასეული და ორი ჯავშანმატარებელი იყო.

სომხები კი არავითარი დამხმარე ძალის მიღებას არ საჭიროებდნენ სომხეთიდან, რადგან სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის პირველ ეტაპზე, ისინი საქართველოს სომხებით დასახლებულ რეგიონში აწარმოებდნენ ბრძოლებს, ასე რომ, იარაღის ტარების უნარის მქონე ყველა სომეხი ეროვნების მოქალაქე თავისთავად წარმოადგენდა სომხეთის რეგულარული ჯარის უწყვეტ შევსებასა და დიდ საბრძოლო მხარდაჭერას. გარდა ამისა, გენერალ წულუკიძის მიერ 14 დეკემბერს გაგზავნილი ტელეგრამის ტექსტი აშკარად მოწმობს, რომ 13 დეკემბერს სომხებმა ზურგიდან შევსების სახით რეგულარული ჯარის კიდევ ერთი ბატალიონი და 6 ტყვიამფრქვევი მიიღეს. ასე, რომ ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებაში, ბატონი ჰამლეტ გეეორქიანი ცრუობს, ან, უკეთეს შემთხვევაში ცდება.

რაც შეეხება ,,დიდ ტრიუმფატორ'' გენერალ დრასთამატ კანაიან–დროს. ესეც მეორე ჰანიბალი, თუ გაიუს იულიუსი. ჩვენ მისი საბრძოლო ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხების წარმოდგენისას ვაჩვენეთ, რომ მთელი მისი ,,მოღვაწეობა და საბრძოლო გზა'' სხვა არაფერი იყო, თუ არა პოლიტიკური მკვლელობებისა და ტერაქტების, აგრეთვე ყაჩაღობების, უიარაღო, მშვიდობიანი მოსახლეობის (მათ შორის ქართველთა, ბერძენთა, ქურთთა, ებრაელთა, თურქთა, აზერბაიჯანელთა) დარბევებისა და მასიური განადგურების გრძელი და სისხლიანი მარათონი.

გენერალ დრასთამატ კანაიანის ე.წ. ,,საბრძოლო გზა და მხედრული წარმატებები'' მხოლოდ და მხოლოდ მისი პატრონებისა და მფარველების დახმარებებითა და მეშვეობით ხორციელდებოდა და ითხზვებოდა. იმ პატრონებისა, რომლებსაც ძალზე ხშირად და პერმანენტულად იცვლიდა და

შემდეგ ისევ წარბშეუხრელად ღალატობდა „დიდი მხედართმთავარი" არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე.

რაც შეეხება მის მიერ განხორციელებულ მოულოდნელ და ელვისებურ სამხედრო მანევრებს, ამაში გარკვეულწილად მართალია ავტორი, მხოლოდ ერთი შენიშვნით. არა „მოულოდნელი და ელვისებური შეტევა", არამედ პროვოკაციული და ქურდული თავდასხმები. და ისიც ან უიარაღო მოსახლეობაზე, ან რიცხობრივად ათმაგად მცირე მოწინააღმდეგეზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ბრწყინდებოდა „დიდი ტრიუმფატორის მხედრული ნიჭი".

იულიუსად ტყუილად არ მოგვიხსენიებია იგი. ალბათ ბევრისათვის არცაა ცნობილი ის ფაქტი, რომ 1920 წლის ბოლოსათვის გენერალი დრასთამატ ჟანაიანი სომხეთის ე.წ. მთავრობისა და პარლამენტის, ფაქტობრივად კი დაშნაკთა პარტიული ბიუროს მიერ დიქტატორული უფლებებით იქნა აღჭურვილი ბოლშევიკების შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და აღკვეთის იმედით. აი, ეს მოკლე ოფიციალური განცხადებაც:

„სომხეთის რეპუბლიკა. 2 დეკემბერი, 1920 წელი. ერევანი.

შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ თავისი 1920 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა, რომ უარს აცხადებს ყოველგვარ ხელისუფლებაზე და მთელს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას გადასცემს არმიის უმაღლეს მთავარსარდალს — დროს, რომელსაც აქამდე სამხედრო მინისტრის თანამდებობა ეკავა.

ს. ერაციანი (მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი).

მინისტრები: ა. ოვანესიანი. ა. ხონთქარიანი. ხ. დერდერიანი. დრო ჟანაიანი.

ვადასტურებ: ჰ თუმანიანცი. (მინისტრთა საბჭოს აღმასრულებელი თაჟმჯდომარე)".

ესეც ახლადგამომცხვარი, დიქტატორული უფლებებით აღჭურვილი „დიდი ტრიუმფატორი". რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების ინტიტუციური მოწყობის საკითხი მისი საშინაო საქმეა და მასში არავის არა აქვს ჩარევის უფლება, მაგრამ აქ სულ სხვა რამაა საინტერესო. სომეხთა ამ ახლადგამომცხვარმა დიქტატორმა და „ტრიუმფატორმა მთავარსარდალმა", სომხეთის მთავრობის დიდი იმედებისდა მიუხედავად, ხელსაყრელი გარიგების ფასად, მეორე დღესვე გაყიდა სომეხი ხალხის ეროვნული ინტერესები და ბოლშევიკებთან შევიდა ალიანსში. უკვე სათვალავი აერევა კაცს, ეს მერამდენედ უღალატა მან თავის „ურყევ პრინციპებს" და ახალ თუ ყოფილ ძველ პატრონებთან გადაბარგდა. ამისათვის „სომეხთა ჰანიბალმა" თავისი „დაუძინებელი მტრების", ბოლშევიკებისაგან შესაფერისი ანაზღაურებაც მიიღო — სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობა.

აი, ასეთი უტეხი იდეალებისა და მრწამსის მატარებელი იყო სომეხთა „დიდი მთავარსარდალი". მაგრამ ესეც არაა ყველაფერი. თავისი ზღვარს გადასული ამბიციების გამო, სულ მალე, ჩვეულებისამებრ, ბოლშევიკებსაც განუდგა და უღალატა გენერალმა დრასთამატ კანაიანმა. რა თქმა უნდა სომხური და პროსომხური ისტორიოგრაფიის მიერ ეს ისტორიული ფაქტები მკაცრად გასაიდუმლოებული და დაფარულია, ხოლო მისი, როგორც სომეხთა ეროვნული გმირის პიროვნება, ისევე როგორ გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ან ნებისმიერი სხვა ხუმბაპეტისა, იდუმალებისა და ლეგენდების შარავანდედითაა მოსილი.

§4. საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრასა და ვორონცოვკის მიმართულებაზე

ბრძოლები ახალქალაქის მაზრაში.

სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრასა და ვორონცოვკის მიმართულებაზე, ამ ომის ერთ–ერთი საინტერესო ფურცლებია. მიუხედავად იმისა, რომ სომეხთა საომარი აქტივობა ახალქალაქის მაზრასა და ვორონცოვკა–პრივოლნოეს მიმართულებაზე საბრძოლო მოქმედებათა განსხვავებულ რაიონებში მიმდინარეობდა და განსხვავებული იყო ამ აქტივობის ქრონოლოგიაც და შედეგებიც, მათ მაინც აკავშირებთ ერთი საერთო რამ.

ცალსახად აღსანიშნავია, რომ საბრძოლო მოქმედებები როგორც ახალქალაქის მაზრაში, ასევე ვორონცოვკა– პრივოლნოეს მიმართულებაზე. საომარ მოქმედებათა მეორეხარისხოვან უბნებს წარმოადგენდნენ და სტრატეგიული თვალაზრისით მათ შედეგებს, განსაკუთრებით ახალქალაქის მიმართულებაზე, სომხეთ–საქართველოს ომის საერთო მსვლელობაზე დიდი გავლენა არ ჰქონია.

საერთო ჯამში, 1918 წლის ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილების მიერ ღია საომარი მოქმედებების განახლება საქართველოს წინააღმდეგ დეკემბრის თვეში

ახალქალაქის მაზრასთან არის დაკავშირებული. სწორედ ახალქალაქის მაზრის დე ფაქტო ქართული საზღვრები დაარღვიეს პირველად დეკემბრის თვეში სომხურმა საჯარისო ნაწილებმა და საქართველოს ტერიტორიების გარკვეული ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს.

სომხური მხარის მიერ ახალქალაქის მაზრაში ქართული მიწების ოკუპაციის პირველი მცდელობა 1918 წლის 6 დეკემბერს განხორციელდა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებაზე, შეიარაღებულ აგრესიაში მხოლოდ და მხოლოდ სომხეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ჯარის ნაწილები მონაწილეობდნენ, კერძოდ, სომხეთის I—ლი მსროლელი დივიზიის I—ლი და მე—2 პოლკების საკავალერიო და ქვეითი ქვედანაყოფები, განსხვავებით უზუნლარი—სანაინის ან თუნდაც, ვორონცოვკა—პრივოლნოეს მიმართულებისაგან, სადაც რეგულარული ჯარის ნაწილების მხარდამხარ აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში თავიდანვე იყო ჩართული რეგიონების სომხური მოსახლეობაც.

უფრო მეტიც, სომხური და პროსომხური ვერსიებით, უზუნლარი—სანაინისა და ვორონცოვკა—პრივოლნოეს მიმართულებებზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ ადგილობრივი ე.წ. „მშრომელი სომეხი გლეხობისა და მუშების" ე.წ. „აწიოკება და შეურაცხყოფა" ქცეულა თურმე სომხური აგრესიისა და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლების მიზეზად.

ახალქალქის მაზრასთან მიმართებაში სომხური და პროსომხური ისტორიოგრაფია ვეღარ იშველიებს საბრძოლო მოქმედებების განახლების ზემოთ მოყვანილ უსუსურ ვერსიებს, რადგან საქართველოს ამ რეგიონის სომხეთთან მოსაზღვრე მიწები ძირითადად რუსი სექტანტებით იყო დასახლებული და ცხადია, ისინი დაშნაკთათვის ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების პროვოცირებისათვის არ გამოდგებოდნენ, არც თეორიულად და არც პრაქტიკულად. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სომხური და პროსომხური ისტორიოგრაფია ამჯერადაც არანაკლებ თითიდან გამოწოვილი არგუმენტებით ცდილობს სომხური აგრესიის გამართლებას ახალქალაქთან მიმართებაში. საუბარი ჩვენს მიერ მესაბამის თავში დოკუმენტურად განხილულ სომხებისათვის გაკეთებულ ოფიციალურ „შეთავაზებებს" ეხება, პოსტოკუპაციურ პერიოდში ქართული მიწების „დაკავების" თაობაზე.

ერთობ საინტერესოა სომხური ნაწილების მიერ ახალქალქის მაზრის ოკუპაციის გამამართლებელი ის ვერსია, რომელსაც პროსომხური რუსული წყარო გვთავაზობს. ეს ე.წ. „წყარო" ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი გენერალ დენიკინის „დობროარმიის" სამხრეთ რუსეთის საველე შტაბის საარმიო დაზვერვის განყოფილების მიერ შედგენილი ოპერატიული მასალაა, რომელიც ჟურნალ „Отечественный Архив"—ის მიხედვით, ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰუვერის არქივებშია დაცული:

„თურქთა მიერ ახალქალაქის დაცლისა და იმ ცნობის მიღების შემდეგ, რომ ქართველთა მიერ იქ გაგზავნილია საჯარისო ნაწილები, სომხეთის

მთავრობამ გადაუდებლად მიიჩნია თავის მხრივ პრეტენზიები განეცხადები
ახალქალაქის რაიონზე, სადაც მის მიერ სომხური ნაწილი იქნა გაგზავნილ
იმის გამო, რომ სომხური მხარის მიერ დაპირისპირება და შეტაკე
ჩაფიქრებული არ იყო, იქ მხოლოდ ერთი ცხენოსანი ესკადრონი იქ
გაგზავნილი. ესკადრონის მეთაურს ინსტრუქციები მიეცა, რომ შესულიყ
კონტაქტში ქართველებთან და მათი მხრიდან ზეწოლის შემთხვევაშ
წინააღმდეგობის გარეშე დაეხია უკან. ერთი სიტყვით, სახეზე უნდ
ყოფილიყო სომეხთა ინტერესების დემონსტრირება ახალქალაქის რაიონისადმ
და მეტი არაფერი. ეს დემონსტრირება იმისათვის იყო საჭირო, რომ შემდე
დასმულიყო ახალქალაქის კუთვნილების საკითხი.

ქართულმა სარდლობამ ერთობ „გადამჭრელი" ზომები გაატარა. სომხუ
ესკადრონთან კონტაქტში შესვლისა და დაუყოვნებლივ უკან დახევი
მოთხოვნაზე უარის მიღების შემდეგ ერევნიდან დამატებითი ინსტრუქციები
მიღების გარეშე, ქართველებმა მცირერიცხოვან სომხურ რაზმ
ტყვიამფრქვეველისა და თოფების ცეცხლი გაუხსნეს და მიაყენეს რა მა
მნიშვნელოვანი ზარალი, იძულებული გახადეს ისინი დაეხიათ მაზრი
საზღვრებისაკენ".[124]

აი, ასეთი პროზაული და უცოდველი ფორმითაა დახატული რუსულ
წყაროებით სომხური აგრესიის მცდელობა ახალქალაქის მაზრასთა
მიმართებაში. ზემოთ ჩვენ დეტალურად განვიხილეთ აღნიშნული „წყაროს
სანდოობა და ცალსახად ვაჩვენეთ, რომ უზუნლარი—სანაინთან მიმართებაშ
საქმე აშკარა ფალსიფიკაციასთან გვქონდა. გენერალ დენიკინის შტაბის მიუ
შედგენილი „დოკუმენტის" ეს ნაწილიც კიდევ ერთხელ მეტყველებს ამაზე
„დოკუმენტში" ისეთი გულუბრყვილობითაა აღწერილი ის ამბავი, რო
სომხური ესკადრონი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისას ქართულ
საჯარისო ნაწილების მხრიდან წინააღმდეგობას არ ელოდაო, რომ ცოტ
გაუგებარია, საერთოდ რა კატეგორიებით აზროვნებდნენ ხსენებულ
სტრიქონების ავტორები.

გენერალ დენიკინის მთავარი შტაბის სადაზვერვო განყოფილების მიუ
შედგენილ ამ „დოკუმენტში" ისეთი ტერმინები და გეოგრაფიულ
კატეგორიებია გამოყენებული, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისის ყოფილ
რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ—ადმინისტრაციული დაყოფით არ
არსებობდა. ესაა ტერმინი — „ახალქალაქის რაიონი". ტერმინი „რაიონი"
იმდროინდელი საქართველოს, სომხეთის, ან თუნდაც საკუთრივ, რუსეთის
ტერიტორიულ— ადმინისტრაციული დაყოფით არ იხმარებოდა. სხვ
სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერმინ „რაიონს" იმ დროისათვის სულ სხვ
აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა. სამაგიეროდ, რუსულ ენაში მაშინაც
არსებობდა და ცხადია, ახლაცაა ხმარებაში სპეციალური სამხედრო ტერმინი
— „Район боевых действий".

უნდა დავასკვნათ, რომ ხსენებული „დოკუმენტი" ან მოგვიანებით არის
ფალსიფიცირებული, ან, დენიკინელთაგან ახალქალაქის მაზრის, გნებავთ,

რეგიონის იმთავითვე „რაიონად" მოხსენიება სხვა არაფერია, თუ არა თავისდაუნებური მინიშნება იმაზე, რომ ახალქალაქის მაზრა დენიკინის „დობროარმიისა" და სომხეთის მთავრობის მიერ უკვე მაშინ მოიაზრებოდა როგორც „ახალქალაქის საბრძოლო მოქმედებათა რაიონი". და საუბარი იმაზე, თითქოს სომხური ესკადრონი იქ გაგზავნილ იქნა არა კონკრეტული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად, არამედ რაღაც გაუგებარი „ინტერესების დემონსტრირებისათვის" ან კიდევ უფრო გაუგებარი „სამშვიდობო მისიის" შესასრულებლად, აშკარად თვალებში ნაცრის შეყრის უსუსური მცდელობაა.

გარდა ამისა, დოკუმენტის ამ მცირე ამონარიდშიც იმდენი შეუსაბამობა და ერთმანეთის გამომრიცხავი მსჯელობებია, რომ შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად იკითხება. ერთის მხრივ, თურმე, ესკადრონის მეთაურს ინსტრუქციები ჰქონია მიღებული, რომ „ქართველების მხრიდან ზეწოლის შემთხვევაში, წინააღმდეგობის გარეშე დაეხია უკან". მეორეს მხრივ კი, ქართული მხარის მიერ წაყენებული ულტიმატუმის შემდეგ, სომხური ესკადრონის მეთაური, თურმე, ერევნიდან ელოდებოდა კიდევ რაღაც „დამატებით ინსტრუქციებს".

ახალქალაქის მაზრასთან მიმართებაში განხორციელებული სომხური აგრესიის მიმოხილვითი ხასიათის ცნობა, რიჩარდ ოვანესიანის მიერ, ძირითადში, ობიექტურად არის გადმოცემული და იგი მთელ რიგ ქართულ–სომხურ მემუარულ და სომხურ საარქივო მასალებზე დაყრდნობითაა გადმოცემული:

„როგორც კი გენერალმა მაკაევმა წარმატებული სამხედრო მანევრი დაასრულა (აქ ქართული ნაწილების რეგიონში შესვლაზეა საუბარი – ა. ჩ.), მცირე სომხურმა ნაწილმა წინ წაიწია ახალქალაქის მაზრაში (Uezd – ა. ჩ.) და რუს სექტანტთა სოფლები – ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა და ბოგდანოვკა დაიკავა".[125]

მაგრამ მეტად ნიშანდობლივი და დამაფიქრებელია ავტორის შემდეგი დასკვნა – „6 დეკემბრამდე რომ დაეცალათ თურქებს ერევნის გუბერნია და შესაბამისად, სომხური ნაწილები 6 დეკემბრამდე რომ შესულიყვნენ ალექსანდროპოლისში, ახალქალაქისაკენ მიმავალ ძირითად უბანზე, სომეხთა ტაქტიკა ახალქალაქთან მიმართებაში შესაძლებელია ფრიად განსხვავებული ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, ქართული ნაწილების მიერ სტრატეგიული პუნქტების დაპყრობის (Seized – ა. ჩ.) საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა".[126]

აქ აშკარად იკითხება ავტორის სინანული და იმედის გაცრუება ქართველთა მიერ ახალქალაქის „დაპყრობის" ფაქტსა და ამ რეგიონთან მიმართებაში სომეხთა წარუმატებელ სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით. აშკარად იკვეთება ის სურათი, რომ სომხები ბოლომდე არ იყვნენ ინფორმირებულები ქართული საჯარისო ნაწილების ახალქალაქის მაზრაში თავმოყრის ფაქტისა და მათი ძალების შესახებ. ახალქალაქის მაზრასთან

მიმართებაში, სომხური ისტორიოგრაფიით, საკითხი თურმე ასე იდგა – ვინ ვის დაასწრებდა.

სომეხთა „ჰანიბალი", გენერალი დრასთამატ კანაიანი–დრო ამ მომენტისათვის ალექსანდროპოლისში იმყოფებოდა და უდავოა, მისი უშუალო განკარგულების შესაბამისად მოხდებოდა სომხური ესკადრონის მიერ საქართველოს ახალქალაქის მაზრის აღნიშნული ტერიტორიების ოკუპაციის მცდელობა. უდავოა, რომ სომხური საჯარისო ნაწილების ავანგარდი დაშნაკთა პარტბიუროსა და სომხეთის მთავრობის გადაწყვეტილებით იყო იქ შეყვანილი მაზრის ოკუპაციისაათვის, მაგრამ წააწყდნენ რა ქართველთა უტეხ ნებასა და მტკიცე გადაწყვეტილებას, და რაც მთავარია, იწვნიეს რა ელვისებური დარტყმა, მყის თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს უკან, ალექსანდროპოლისის მაზრისაკენ. გენერალი დრო კანაიანი სომხური ესკადრონის საქართველოს ტერიტორიიდან გამოძევების შემდეგაც იმყოფებოდა ალექსანდროპოლისში და ცხადია, რომ აღნიშნული ნაწილის შემდგომი საბრძოლო აქტივობაც, მისი უშუალო განკარგულებით, ბორჩალოს მაზრაში განვითარებული საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, სომეხთათვის ხელსაყრელ მომენტებში ხორციელდებოდა.[127]

ავტორის წუხილი იმაზე, რომ სომხეთის მთავრობის მიერ ახალქალაქის მაზრაში ჯარების 6 დეკემბრამდე შეყვანის შემთხვევაში, საეჭვო იქნებოდა ქრთული მხარის უპირატესობაო, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკას იმსახურებს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ახალციხე–ახალქალაქის რეგიონში შეყვანილი 1–ლი ქართული ქვეითი დივიზიის პოლკები და სხვა საჯარისო ფორმირებები ამ რეგიონისათვის საკმაოდ შთამბეჭდავ ძალას წარმოადგენდა და ეჭვს გარეშეა, სომხური სამხედრო ნაწილები, მით უმეტეს, სომხებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის აშკარა უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით, სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ ქართულ მხარეს. აქ მცირე შედარებაც შეგვიძლია მოვიყვანოთ.

უტყუარი საარქივო დოკუმენტაციის (გენერალური შტაბის საარტილერიო სექციის უწყისები) ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სამცხე–ჯავახეთის საომარ მოქმედებათა თეატრზე, ახალციხე–ახალქალქის რეგიონში, საერთო ჯამში, შემდეგი ქართული საჯარისო ნაწილები და საბრძოლო რაზმები იქნა გადასროლილი:

1. 1–ლი ქვეითი პოლკი – 1850 კაცი;
2. მე–2 ქვეითი პოლკი – 1900 კაცი;
3. მე–3 ქვეითი პოლკი – 1200 კაცი;
4. ქართველ მუსულმანთა ბატალიონი – 500 კაცი;
5. ფხაკაძის რაზმი – 300 კაცი;
6. ახალციხის ცხენოსანი რაზმი – 400 კაცი.

სულ – 6150 კაცი.

ხსენებულ ძალასთან, თუნდაც ორი სომხური ესკადრონის დაპირისპირება, მისი პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთებისა და რიცხოვნობის გათვალისწინებით, 800–1000 კაცამდე, მართლაც რომ სასაცილოა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სომხური ნაწილები არათუ ადგილობრივი რუსი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ, არამედ ისინი აშკარად მტრულად იყვნენ განწყობილნი სომხებისადმი, მაშინ დღესავით ნათელი ხდება, რომ საბრძოლო მოქმედებების ესკალაციის შემთხვევაში, ეს სომხური ნაწილები სრული განადგურებისათვის იყვნენ განწირულები. ასე, რომ რიჩარდ ოვანესიანის მიერ ჩვენს მიერ მოყვანილ ამონარიდში გამოთქმული ჰიპოთეზები, სასურველის რეალობად წარმოჩენის კიდევ ერთი უსუსური მცდელობაა და მეტი არაფერი.

რელურად კი, 1918 წლის დეკემბერის დასაწყისიდან ახალქალაქის მაზრაში მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა.

თურქული „შეთავაზების" შესაბამისად, სომხური რეგულარული ჯარის ესკადრონმა უკვე 1918 წლის 6 დეკემბრის დილით გადაკვეთა საქართველოს ახალქალაქის მაზრის დე ფაქტო საზღვრები და 8 დეკემბრისათვის უბრძოლველად დაიკავა მაზრის რუსი სექტანტებით დასახლებული სოფლები: ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა და ბოგდანოვკა, ანუ, სომხებმა სულ რაღაც სამი დღე–ღამის განმავლობაში, ფაქტობრივად უმტკივნეულოდ მოახდინეს ქართული მიწების 30–35 კილომეტრიანი ზოლის ოკუპირება.

ქართული სარდლობისა და პირადად რეგიონის გენერალ–გუბერნატორის, გენერალ–მაიორ აბელ მაყაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მყის გაატარა ოპერატიული ღონისძიებები სომეხთა დაწყებული აგრესიის საწყის ეტაპზევე აღსაკვეთად. მან სასწრაფოდ მოახდინა 1–ლი ქვეითი დივიზიის ნაწილების, კერძოდ 1–ლი და მე–2 პოლკების ქვედანაყოფების კონცენტრა–ცია და სომეხთა მიერ ოკუპირებული ზონისაკენ გაგზავნა. უკვე 8 დეკემბრისათვის ქართული ნაწილის მეწინავე ქვედანაყოფების მიერ სომხებისადმი წაყენებულ იქნა ულტიმატუმი საქართველოს ტერიტორიების სასწრაფოდ და უპირობოდ დატოვების შესახებ.

გატარებული ღონისძიებების შესახებ გენერალ მაყაშვილის მიერ საქართველოს სამხედრო მინისტრს 1918 წლის 11 დეკემბერს მოხსენდა:

„სომხური ესკადრონი გუშინ უკუგდებულ იქნა ალექსანდროპოლის მაზრის საზღვრებში. მათი ბოგდანოვკიდან წასვლის შემდეგ ისინი გორელოვკასა და სპასსკოეში განლაგდნენ. გარშემო მოსახლეობა ძალიან შეშფოთებულია, მათი წარმომადგენლები კი მომმართავენ თხოვნით, თუ სად შეაფარონ თავი. 9 და 10 დეკემბრის ღამე განსაკუთრებით ყინვიანი იყო. გადაადგილება შეუძლებელი იყო. ბოგდანოვკიდან მათთან გავგზავნე სომეხ ლტოლვილთა კომიტეტის რწმუნებული აბელიანი და პოლკოვნიკი გველესიანი, მოთხოვნით, რომ დაეცალათ გორელოვკა, რაზეც სომხური ესკადრონის მეთაურმა უპასუხა, რომ თავისი უფროსობის მიწერილობის თანახმად დავალებული აქვს ახალქალაქის დაკავება და თხოვა მათ, რომ

მიეცათ დრო თავის ხელმძღვანელებთან დასაკავშირებლად. მას წაეყენა მოთხოვნა დილისათვის დაეცალა საქართველოს ტერიტორიები, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა ძალა.

რაზმმა ღამე ბოგდანოვკაში გაათია, შემდეგ კი გზა გააგრძელა. ჩემთან მოსულმა სოფელ სპასსკოეს მაცხოვრებლებმა მაცნობეს, რომ მოწინააღმდეგე პოზიციებს ამაგრებს და არავის უშვებს იმის იქით. დილით, ჩვენი რაზმი გაემართა გორელოვკისკენ, ხოლო სპასსკოეში დარჩა ასეული. გორელოვკასთან ესკადრონს (სომხურ — ა. ჩ.) პოზიციები ჰქონდა გამაგრებული, მაგრამ ჩვენი ავანგარდის მეთაურის კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად და იმის გამო, რომ მათ ჩვენი ძირითადი ძალების მოახლოება შეიტყვეს, ესკადრონმა 11 დეკემბრისათვის გადაკვეთა მაზრის საზღვრები, ხოლო ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა. ახალციხიდან გამოძახებული ჯარები უკან იქნენ დაბრუნებულნი.

მთელი მოსახლეობა მიესალმება ქართული ჯარის შესვლას. მათი სურვილი მშვიდი ცხოვრების დამკვიდრება და ჩემს მიერ იმ ზარალსა და დანაშაულობებზე საჩივრების განხილვაა, რომლებიც მათ მიაყენეს ჯერ სომხებმა, ხოლო შემდეგ თურქებმა. (აქ, 1918 წლის დასაწყისისათვის ნეჯდეს ტერორისტული სადამსჯელო რაზმების აქტივობასა და საქართველოს მშვიდობიანი მუსულმანური მოსახლეობის ჟლეტაზეა საუბარი, რომელიც ზემოთაც გვქონდა ნახსენები — ა. ჩ.)

საეჭვოა, რომ სომხურ ავანტიურას თვითონ ადგილობრივი სომხების მხარდაჭერა ჰქონოდა, ხოლო დუხობორები და მუსულმანები მზად არიან ყოველმხრივ დაუდგნენ მხარში საქართველოს. დროებით 1—ლ პოლკს ეტოვებ ადგილზე, მცირე ხნის შემდეგ კი მას დავაბრუნებ ახალქალაქში, ხოლო ტროიცკოესა და კარწახში ფხაკაძის ასეულს დავტოვებ, რომელსაც მუსულმანი მოხალისეებით გავაძლიერებ... დროებით სამაზრო კომისრად შტაბის როტმისტრ აბაშიძეს ვნიშნავ, ხოლო კომენდანტად კაპიტან მაჭავარიანს. ახლა მივემართები ახალციხისაკენ, ჩასვლისას ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ".[128] სრული და ამომწურავი ინფორმაციაა გადმოცემული.

წარმოდგენილი ტელეგრამაში არაა ასახული ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებები სომეხთა წინააღმდეგ. იმდროინდელ ქართულ პრესაში კი საკმაოდ ამომწურავი ინფორმაციაა გადმოცემული აღნიშნული მოვლენის შესახებ.

ახალქალაქის რეგიონი ნამდვილად არ წამოადგენდა საომარ მოქმედებათა პირველხარისხოვან თეატრს, რაც დოკუმენტთა კრებულშიც „Изъ исторіи Армяно—Грузинскихъ отношеній" ხაზგასმითაა აღნიშნული — „შემდეგში, რამდენადმე მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებს ახალქალაქის რაიონში ადგილი აღარ ჰქონია. ამ რაიონში განვითარებულ მოვლენებს სომხეთ—საქართველოს ომის საერთო მსვლელობაზე დიდი გავლენა აღარ ჰქონია".[129]

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეს სტრიქონები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მხოლოდ მოყვანილი ფაქტით ამოიწურა საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრაში. რეალურად, მაზრის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებს რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი და ქართული მხედრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითოეულ შემთხვევაში, მათ ღირსეულად გაართვეს თავი დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

დეკემბრის შუა რიცხვებში, სანაინი–ალავერდისა და მოგვიანებით სადახლოს რაიონში მიმდინარე ქართველთათვის უმძიმესი ბრძოლების პარალელურად, სომხურმა ქვედანაყოფებმა ახალქალაქის მაზრაში კიდევ ორჯერ დაარღვიეს საქართველოს საზღვრები და იერიში მიიტანეს აქ განლაგებულ ქართულ ქვედანაყოფებზე:

„16 ქრისტეშობისთვეს, დაახლოებით საღამოს 5 საათზე, სომხები ორ ესკადრონამდე უცბად თავს დაესხა ჩვენს საველე დარაჯებს ახალქალაქის მაზრის საზღვარზე. მცირე ბრძოლის შემდეგ თავდასხმა მოგერიებულ იქნა. მალე სომხებმა შეტევა განაახლეს, მაგრამ მოსულმა ჩვენმა რაზმმა ხელახლა უკუაგდო იგი. ახალი ძალების მიღების შემდეგ სომხებმა კვლავ განაახლეს შემოტევა საღამოს 8 საათზე და შეავიწროვეს ჩვენი ჯარები სოფელ ტროიცკოესთან. ჩვენმა ნაწილებმა კონტრ–იერიშით მტერი განდევნეს სოფელ ტროიცკოედან და დადევნების შემდეგ ისინი საზღვრებს იქით უკუაგდეს. ბრძოლის ველზე სომხებს დარჩათ 20 მოკლული და 40 დაჭრილი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა".[130]

„დეკემბრის 20–ში, დაახლოებით დილის 7 საათზე, ახალქალაქის მაზრაში მტერმა ზარბაზნები დაგვიშინა და ჩვენს პოზიციებს შემოუტია. ბრძოლამ 12 საათამდე გასტანა. ბრძოლა მოწინააღმდეგის სრული დამარცხებით დასრულდა. მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 3 ოფიცერი და 100–ზე მეტი ჯარისკაცი მოკლული. ტყვედ წამოვიყვანეთ 1 ოფიცერი და 50 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის მფრქვეველი, მრავალი თოფი და ტყვია. თავი გამოიჩინეს პოდპ. ხერხეულიძემ და კაპიტანმა მაღალაშვილმა".[131]

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, მართალია ახალქალაქის მაზრაში არ ჰქონდა ადგილი ფართომასშტაბიან საფრონტო ოპერაციებს, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებმა აქ მაინც საკმაოდ სერიოზული ხასიათი მიიღო. საზოგადოდ, საბრძოლო მოქმედებებმა და ქართული მხარის დანაკარგებმა ცოცხალ ძალაში, დეკემბრის შუა რიცხვებიდან ისეთ მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია, რომ საქართველოს მთავრობას ახალქალაქის ფრონტის მხარდაჭერისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარება მოუხდა. ეს ღონისძიებები საბრძოლო მოქმედებების ზურგის სამედიცინო უზრუნველყოფის ზომების გაძლიერებაში გამოიხატებოდა. ამ ღონისძიებათა მასშტაბები თავისთავად მეტყველებენ ახალქალაქის რეგიონში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მთელ სისასტიკესა და შედეგებზე. საქართველოს სამხედრო მინისტრის ბრძანებებიდან:

„ბრძანება №131. 26. 12. 1918.

საჭიროების გამო, დაუყოვნელივ მოეწყოს ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი ლაზარეთი 50 საწოლით.

ბრძანება №132. 26. 12. 1918.

§1. მოეწყოს დაყოვნებლივ პირველი ქვეითთა დივიზიისათვის შემხვევი სასანიტარო რაზმი ახალციხის ფრონტისათვის.

§4. შესდგეს სანაინისა და ახალქალაქის ფრონტებისათვის „დაჭრილთა შემხვევი რაზმები" დადებული შტატებით, პირველ და მეორე დივიზიასთან მიჩემებით.

§6. დაინიშნოს ახალქალაქის ფრონტზე №2 სასანიტარო მატარებელი შესაფერი შტატით.

ბრძანება №134. 28. 12. 1918

§3. შესდგეს ახალციხისა და ახალქალაქისათვის ორი ადგილობრივი ლაზარეთი 50 საწოლით თითოეული დადებული შტატით".[132]

ცალსახად აღსანიშნავია, რომ ახალქალაქის საბრძოლო მოქმედებათა რაიონში მებრძოლმა 1–ლი ქვეითი დივიზიის ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა, გენერალ მაყაშვილის სარდლობით სრული წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში, მათ სწრაფად და ეფექტურად აღკვეთეს სომხური ნაწილების მიერ ქართული მიწების ოკუპაციის ყოველგვარი მცდელობა.

ქართული მხედრობის მოქმედებებისაგან განსხვავებით, სრულიად გაუგებარია საქართველოს მთავრობის ის კურსი და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომელსაც იგი ახალქალაქის მაზრაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ატარებდა. უკვე დაწყებული საომარი მოქმედებების ფონზე, ძნელია სხვა რამ ეწოდოს საქართველოს მთავრობის მკაცრ მითითებებს გენერალ მაყაშვილისადმი ქართული ნაწილების მიერ სომეხი ოკუპანტების დევნისა და მათი სრული განადგურების აკრძალვაზე – თუ არა პოლიტიკური სიბეცე და დანაშაულებრივი უმოქმედობა.

დოკუმენტურად და ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ ქართული სამხედრო ნაწილები სომხური ქვედანაყოფების დევნას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებდნენ და ერთი მეტრითაც არ გადადიოდნენ ალექსანდროპოლისის მაზრის საზღვრებს.

გაუგებარია, რატომ, რას, ან ვის ელოლიავებოდნენ ასე სათუთად ქართული „დემოკრატიის მამები". ყოვლად შეუსაბამო და არაადეკვატური იყო მათ მიერ განხორციელებული დათმობები იმ ოკუპანტთა მიმართ ახალქალაქის მაზრაში, რომლებთაც ბორჩალოს მაზრაში ჰქონდათ უკვე ოკუპირებული ქართული მიწების საგრძნობი ნაწილი და ასეულობით ქართველი მეომრის სისხლი დაღვრილი საომარ მოქმედებათა სანაინი–სადახლოს ფრონტზე.

„გენ. მაყაშვილი უფრო წინ წაიწევდა ერევნისაკენ, – ასეთი იყო მისი შურისძიების გეგმა, – რესპუბლიკის მთავრობის საჩქარო ბრძანება რომ არ მიეღო:

– შეჩერდი! წინ ნულარ წახვალ, ნურც სომეხთა ჯარს გადმოუშვებო!..''[133]

ვორონცოვკის ბრძოლა.

სამარ მოქმედებათა ვორონცოვკის რაიონში გამართული ბრძოლა ერთ–ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი ფურცელია სომხეთ–საქართველოს ომის ისტორიიდან. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტთა კრებულში – Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній–ში საკმაოდ სრულადაა გადმოცემული ამ ბრძოლების პერიპეტიები, ზოგიერთ ქართველ ავტორთან ვორონცოვკაში დატრიალებული მოვლენების აღწერისას უხეშ შეცდომებს ვაწყდებით. კერძოდ:

„სომხები *ბორჩალოს რაიონის* სოფელ ვორონცოვკაში დისლოცირებულ *ასკაციან რაზმს* დაესხნენ თავს, რომელსაც გენერალი *ივანე ციციშვილი* მეთაურობდა. *ექვსი დღის განმავლობაში* მამაცურად იბრძოდნენ მცირერიცხოვანი ქართველები და თავიანთი *ერთადერთი ზარბაზნით* უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას მოწინააღმდეგის ძლიერი არტილერიით აღჭურვილ *ექვს ასეულს*. ციციშვილმა *მთავარ ამოცანად სოფელ ეკატერინფელდისაკენ ბრძოლით უკან დახევა დაისახა მიზნად*''. (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[134]

ამ ამონარიდში მოყვანილი თითოეული ხაზგასმული სიტყვა თუ ფრაზა ეხეშ შეცდომას წარმოადგენს. ჩვენთვის უცნობი და გაუგებარია წარმოდგენილი ცნობების წარმომავლობა. კიდევ ერთხელ დასტურდება ჩვენს ხერ არაერთხელ გაკეთებული ის დასკვნა, რომ ზოგიერთი ქართველი ავტორისა და მთლიანად დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის, ამ ომის რეალური სურათი უცნობია. ჩვენ აქვე არ მოვყვებით თითოეული ხაზგასმული ფრაზის განხილვასა და შეცდომების შესწორებას, რადგან ვაშვებულ შეცდომებს თავისთავად გავასწორებთ თხრობის პროცესში.

რეალურად, 1918 წლის დეკემბრისათვის ვორონცოვკის საბრძოლო ოქმედებათა რაიონში მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვორონცოვკის რაიონში ქართული საჯარისო ფორმირებები ძირითადში 1918 წლის ოქტომბრის თვიდან განლაგდნენ, ხოლესაც გერმანელებთან ალიანსში წარმატებულად იქნა აღკვეთილი ომეხთა პირველი შეიარაღებული აგრესია. 1918 წლის დეკემბრისათვის ორონცოვკაში დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფები გენერალ გიორგი იციშვილის მეთაურობით, ერთობ მცირერიცხოვანი იყო და იგი საგუბერნიო ატალიონის მე–4 ასეულის, სახალხო გვარდიის საარტილერიო დივიზიონის ვედანაყოფისა და მესაზღვრეებისაგან შედგებოდა – სულ 300 კაცამდე. აი, სეთი მცირერიცხოვანი იყო გენერალ ციციშვილის საბრძოლო რაზმი, ომელსაც მდინარე კამენკას გასწვრივ ეკავა სასაზღვრო საგუშაგოები,

ხოლო თავად შტაბი სოფელ ვორონცოვკაში იყო მოწყობილი, საგუშაგოებიდან მთელი 15–20 კილომეტრის მოშორებით.

რა თქმა უნდა, ასეთი მცირერიცხოვანი ძალებით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო დასმული საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულება და სომხეთ–საქართველოს დე ფაქტო სასაზღვრო პერიმეტრის სრული გაკონტროლება. ამ ამოცანის შესრულებას ყველაფერთან ერთად ისიც ართულებდა, რომ ვორონცოვკაში, ამ პერიოდში, სომეხთა დივერსიული მოქმედებების შედეგად, სატელეგრაფო კავშირი პერიოდულად წყდებოდა და სანაინის რეგიონალურ შტაბთან, რომელიც მთელი 30 კილომეტრითაა დაშორებული ვორონცოვკიდან, მხოლოდ საფელდეგერო სამსახურის საშუალებით იყო შესაძლებელი კავშირის დამყარება.

საარქივო მასალებში დაცული პირველი შეტყობინება ვორონცოვკიდან, სომეხთა აშკარა საომარი სამზადისის შესახებ, 1918 წლის 4 დეკემბრითაა დათარიღებული. გენერალ ციციშვილის №219 ტელეგრამას სამხედრო მინისტრისადმი შემდეგი სახე ჰქონდა:

„ჯალალ–ოღლიდან ჩრდილოეთით, ჩვენს ტერიტორიაზე, 4771 სიმაღლესთან სომხებმა სანგრები გათხარეს. სომხური რაზმის უფროსს ამ სანგრების სასწრაფო განადგურების წინადადება მივეცი. თუ ჩემი მოთხოვნა არ შესრულდება, მაშინ მათ მე თვითონ გავანადგურებ მათ".[135]

გენერალ გიორგი ციციშვილისათვის, როგორც ნამდვილი სამხედროსა და პროფესიონალისათვის, ცხადი იყო, რომ ვორონცოვკის უბანზე დაშნაკთა მიერ სერიოზული სამხედრო ოპერაცია მზადდებოდა, რისთვისაც იგი შესაბამისი საჯარისო ქვედანაყოფების გაგზავნას ითხოვდა საქართველოს სამხედრო მინისტრისაგან. ჩვენი ამ დასკვნის მართებულობაზე მეტყველებს ვორონცოვკის რაზმის რიგითის, ა. ადუაშვილის მოხსენებითი ბარათის შინაარსიც:

„7 დეკემბერს ხმებით გაიგო გენერალმა, რომ სანაინში ჩვენს ჯარს შეტაკება მოსვლია სომხის ხალხთან და ამასთანავე რაღაც გული უგრძნობდა გენერალს, რომ აქ რაღაც დაიწყებოდა. ამიტომ ის არაერთხელ დაელაპარაკა მინისტრს, ჯარი მომაშველეო. მინისტრს უპასუხია, არაფერია საშიში, ეს სანაინის ამბები მხოლოდ კონტრრევოლუციონური ყაჩაღების ბრბოებია და მალე გაეფანტავთო. 8–ში გენერალს ამბავი მოუვიდა, რომ ვორონცოვკიდან ოცი ვერსის მოშორებით თავს დასხმიან ჩვენს პოსტებს და ჯარისკაცები მოუკლავთ. მაშინ კიდევ შეეკითხა გენერალი მინისტრს, უსათუოდ შეტაკება მოხდება და გვაჯობებენო. მინისტრს შემოუთვლია – არ გაბედო და წინააღმდეგობა არ გაუწიოო, მდგომარეობა არ გამწვავდეს, ესენი მხოლოდ ყაჩაღური ბანდებია, რომლის წინააღმდეგ თვითონ სომხების წარმომადგენლის სიტყვით თვითონ ისინი მიიღებენ ზომებსო...

მანამდის ეს ამბები მოხდებოდა, ორ თუ სამ დეკემბერს სომხის ხალხს თურმე რაზვედკა გაეკეთებიათ ჩვენს საზღვარზე და როცა ყარაულებს შეუნიშნავთ და დაეძახათ ვინ ხართო, ისინი გაქცეულან, მაშინ ჩვენებს

ესროლათ და რვა თუ ათი დაეპატიმრებიათ. გენერალი მთავრობას შეკითხოდა, სომხის ხალხი ომისათვის ემზადება და მათ დაზორები გამოაგზავნეს, რაზეედკას აკეთებენო. ჯარი გამოგვიგზავნეთ, ჩვენ პატარა ძალები გვყავსო. მინისტრ გიორგაძეს ასე შემოუთვლია — ეგ დაჭერილები სასწრაფოდ გაანთავისუფლე და გენერალს გაუნთავისუფლებია, თავისი თოფებიც კი გაეტნია.

ამ ხალხმა, რომლებმაც გაიგეს ჩვენი მცირე ძალა, გაიგეს რომ ჩვენი ხალხი სრულებით არ მოელის მათ ღალატს, დარწმუნდნენ რა, რომ ადვილი იყო ჩვენი საზღვრების გადმოლახვა, კიდეც მიაღწიეს თავის მიზანს და ამ უსინდისო ხალხმა მუხანათურის ღალატით მახვილი ჩაგვცეს კიდეც ზურგში".[136]

ზემოთ, ჩვენ არაერთხელ მოვიყვანეთ საქართველოს მმართველი პარტიისა და მთავრობის არაადეკვატური და დანაშაულებრივი ქმედებები, ზოგადად ქართული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ის, რაც მოხდა გენერალ ციციშვილის სასაზღვრო რაზმთან მიმართებაში, 1918 წლის დეკემბრის თვეში, ადამიანური წარმოდგენისა და საღი ლოგიკის ყოველგვარ ფარგლებს ცილდება.

საქართველოს მთავრობისა და პირადად მისი თავმჯდომარის, ამხანაგ ნოე ჟორდანიას (სხვანაირად ეს ვერც იქნებოდა) განკარგულებით, 12 დეკემბრისათვის ვორონცოვკის რაზმიდან თბილისში სასწრაფოდ იქნა გამოწვეული გვარდიის საარტილერიო ქვედანაყოფები სახალხო გვარდიის ერთ წლისთავთან დაკავშირებულ სადღესასწაულო აღლუმში მონაწილეობის მისაღებად. და ეს მაშინ, როცა უზუნლარი—სანაინის მიმართულებაზე უკვე დაწყებული იყო სომეხთა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები და თავისთავად ცხადია, ოპერატიული თვალსაზრისით, ვორონცოვკის მიმართულებაც უნდა ქცეულიყო სულ მალე სომხეთ—საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ერთ—ერთ ფრონტალურ უბნად. გენერალ კვინიტაძის მოგონებიდან:

„უკვე მარჯვენა ფრთაზე, კამენკა—ვორონცოვკა—პრივოლნოედან, გენერალ ციციშვილის მცირე რაზმიდან სასწრაფოდ გამოიწვიეს ტფილისში გვარდიის დივიზიონის 150 გვარდიელი საბალხო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად."(?!)[137]

გასაოცარია საქართველოს მთავრობის ის არაადეკვატური ნაბიჯები და გადაწყვეტილებები, რასაც იგი სამხედრო უწყებაში აწარმოებდა. გამაოგნებელია, რა ედღესასწაულებოდათ და ეაღლუმებოდათ ქართველ მარქსისტებს მაშინ, როცა საქართველოს სამხრეთის საზღვრებზე უკვე დაწყებული იყო სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები. ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ გვიწევს იმის გამეორება, რომ ძნელია სხვა ქვეყანას მოეძებნოს საქართველოს მთავრობისა და პირადად მისი თავმჯდომარის მსგავს გადაწყვეტილებებს, თუ არა — დანაშაულებრივი,

ყოვლად უპატიებელი უნიათობა და პოლიტიკური სიბეცე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ნინო ვაშაყმაძე წერს:

„12 დეკემბერს ვორონცოვკიდან თბილისში გამოიწვიეს *საჯარისო შენაერთები* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.) სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად".[138] და იქვე, ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარ დასკვნას აკეთებს: „როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა გრძნობდა მისთვის არახელსაყრელი პოლიტიკური კლიმატის არსებობას სამხრეთ კავკასიაში. ამით უნდა აიხსნას მისი უმოქმედობა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოწესრიგების მცდელობა, სომხეთის მხრიდან სამხედრო ოპერაციების დაწყების პირველ დღეებში".

ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ავტორის ან დასკვნას. საქართველოს მენშევიკური მთავრობის დანაშაულებრივი უმოქმედობის ახსნა მხოლოდ ამიერკავკასიაში ქართველთათვის არახელსაყრელი მდგომარეობის არსებობით, ნამდვილად არ იქნება მართებული. საქართველოს მთავრობის უმოქმედობა და უნიათობა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში შექმნილი არახელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის, არამედ, პირველ რიგში, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმისა და ზღვარს გადასული „დემოკრატიის" შედეგი იყო, რასაც უცვლელად ამჟღავნებდა იგი თავისი მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში. საქართველოს მთავრობის მსგავს ქმედებებს ჩვენ ზემოთაც მივეცით ადეკვატური შეფასება. რაც შეეხება მოყვანილ ციტატაში ხაზგასმულ ადგილს, აღვნიშნავთ, რომ ვორონცოვკა-პრივოლნოეს საბრძოლო მოქმედებათა რაიონში არავითარი სჯარისო შენაერთები, ხაზს ვუსვამთ — შენაერთები, არ იდგნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ომის საწყის ეტაპზე აქ რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის მცირე ქვედანაყოფები იყვნენ მხოლოდ დისლოცირებული და აღლუმში მონაწილეობისათვისაც, თბილისში, სახალხო გვარდიის საარტილერიო დივიზიონის პირადი შემადგენლობა იქნა გამოწვეული.

ზუსტად ამ დღეს, 1918 წლის 12 დეკემბერს კი ვორონცოვკის რაიონში მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა — გენერალ ციციშვილის საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი სამხედრო მინისტრის მოადგილესთან, გენერალ-მაიორ ზაქარია მდივანთან — 1918 წლის 12 დეკემბერი:

ციციშვილი — „გუშინ კოლოსთან მოკლული იქნა ჩემი ორი ჯარისკაცი, გადაუმოწმებელი ინფორმაციით სოფელ უზუნლარში მიმდინარეობს სროლები. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მომახსენა, რომ ისინი სომეხთა მიერ არიან მოკლულები. მინდა შემოვლა გავაკეთო საზღვრის გასწვრივ, რადგანაც სომეხმა მზვერავებმა არაერთხელ მოითარეშეს ჩვენი ტერიტორიები. სომხური მოსახლეობა მათდამი თანაგრძნობითაა განწყობილი და იფარავენ მათ. ვფიქრობ გავიდე სოფელ კოლოსამდე და თუ საჭირო შეიქმნა, უზუნლარამდეც".[139]

გენერალ გიორგი ციციშვილისა და პოლკოვნიკ ალექსანდრე ზაქარიაძის პირდაპირი საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი — 1918 წლის 13 დეკემბერი:

ციციშვილი — ,,გადმოგცემთ სამხედრო მინისტრისადმი მოსახსენებლად ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. სამი დღის წინ, სოფელ აგარაკსა და ალდანს შორის მოკლულ იქნა ჩემს განკარგულებაში მყოფი საგუბერნიო ბატალიონის მე—4 ასეულის 2 ჯარისკაცი. დამნაშავეთა აღმოსაჩენად სოფელ აგარაკში გაგზავნილ იქნა პორუჩიკი შავდია და პრაპორშიკი თეთრუაშვილი 15 ჯარისკაცის თანხლებით.

ამ დროისათვის ჩემთან მოაღწია ხმებმა, რომ სადგურ სანაინთან ბრძოლები მიმდინარეობს. ჯგუფის უსაფრთხოებისათვის ჩემს მიერ გაგზავნილ იქნა საგუბერნიო ასეულის ქვედანაყოფი 2 ოფიცრით, 27 ჯარისკაცითა და 2 ტყვიამფრქვევით. აგარაკის რაზმის მეთაურმა დაადგინა, რომ სომხები თავის საბრძოლო მოქმედებებს უზუნლარიდან დასავლეთისაკენ ავრცელებენ. მათ მიერ ჩვენი საგუშაგოები მოხსნილია. პორუჩიკ შავდიას რაზმის ბედი უცნობია. ისინი ტყვედ არიან აყვანილნი. აგარაკში ყოფნის დროს, ღამის 2 საათზე, სოფლის მოსახლეობის მიერ სომხურ სამხედრო წნაწილებს ინფორმაცია მიეცათ ქართველთა სოფელში ყოფნის შესახებ. სომეხთა დიდი ძალებით მოხდა რაზმზე თავდასხმა. ჩვენი დანაკარგებია 14 ჯარისკაცი, ერთი ოფიცერი, 2 ტყვიამფრქვევი.

სომხური სოფლები ლეჯანი, აიდარბეკი და განსაკუთრებით ოვანდარი შტრულად არიან განწყობილნი ქართველების წინააღმდეგ. აგარაკში სომხების ჯართან ერთად ქართველთა წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობაც იღებდა შონაწილეობას. გუშინ მე მოვახსენე სამხედრო მინისტრის მოადგილეს, რომ ვჯაპირებ მთელ რაზმთან ერთად წინ წავიწიო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული ძალები, განსაკუთრებით კი ქვეითები, იმდენად მცირეა, რომ საჭიროა მისი ჯაძლიერება თუნდაც ორი ასეულით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირდაპირ ჯასელა ალექსანდროვკაზე, ლეჯანსა და აგარაკზე სარისკოა.

ვიმეორებ, რაზმის გაძლიერება ორი ასეულით აუცილებელია, რადგან სომხები დიდი ძალებით თავად გადმოდიან შეტევაზე ჩვენს ტერიტორიებზე. აგარაკში მოსახლეობის გარდა სომხეთის ჯარის 100 კაცი იყო.

ზაქარიაძე — მე ისე გავიგე, რომ პირველი რაზმის ბედი თქვენთვის არ არის ცნობილი, ხოლო ნაჩენები 27 კაცის დანაკარგები მეორე რაზმმა ანიცადა.

ციციშვილი — პირველი რაზმი, სოფელ აგარაკის კომისრის ჩვენებით, ტყვედ არის აყვანილი სოფელ ოვანდარში. მათ შორის არიან დაჭრილები. ვების აზრით, პორუჩიკი პაპუაშვილი მოკლულია. (პორუჩიკ რუბენ პაპუაშვილისა და მისი რაზმის დაღუპვის ეპიზოდს, დაწვრილებით, შესაბამის ადაში მოყვანილ მემუარშიც გავეცანით — ა. ჩ.)

ზაქარიაძე — შეგიძლიათ სრული დაჯერებით თქვათ, რომ ასეთ ოქმედებებში სომეხთა რეგულარული ჯარის ნაწილები იღებენ ონაწილეობას?

ციციშვილი — ყოველგვარ ეჭვს გარაშეა, რომ მონაწილეობას ებულობენ სომეხთა რეგულარული ჯარები. ისინი ჯალალ—ოღლიდან

გამოჩნდნენ. მათთან ერთად საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას იღებენ სოფელ აგარაკის მცხოვრებლებიც.

ზაქარიაძე. — მეორე ჯგუფიდან 1 ოფიცერი და 14 ჯარისკაცი მოკლულია თუ ტყვედ არიან აყვანილნი?

ციციშვილი — ახლახანს მეტყვიამფრქვეველთა რაზმის უფროსმა მომახსენა, რომ მის მიერ ერთი ტყვიამფრქვევი მწყობრიდანაა გამოყვანილი, მეორე კი სოფელ აგარაკში დარჩა. იქვე დარჩა 11 კაცი, რომელთა ბედიც ჩემთვის უცნობია".[140]

გენერალ ციციშვილს მიეცა ნათელი და მკაცრი მითითება: „გამოიძიეთ კოლოსის ინცინდენტი და დამნაშავეები დასაჯეთ მთელი სიმკაცრით. მტკიცედ დაიცავით საზღვარი და აღკვეთეთ სომეხ მზვერავთა მოქმედებები. ახლა ჩვენს დროებით პირობით საზღვარს წარმოადგენს — მდინარე კამენკას მარცხენა ნაპირი, ხოლო ამოცანას — დავიცვათ სწორედ ეს საზღვარი და მასთან მიმდებარე ჩვენი ტერიტორიები".[141]

ციციშვილი — ზაქარიაძეს: „აუცილებელია კარაკლისიდან ბერიოზოვი ბალკაზე, კატურბულახზე, კამენკაზე მანევრების განხორციელება ჩვენი ზურგის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ჩვენი მთავრობის მხრიდან მივიღე კატეგორიული გაფრთხილება, არ გადავიდე კამენკაზე. როგორც შესაძლებელია ჩემი ძალებით დაზვერვას ვატარებ, მაგრამ შტაბიდან რამდენჯერმე მიღებული კატეგორიული გაფრთხილების გამო, არაკეთილმოსურნე ტერიტორიებზე დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელი ხდება".[142]

გენერალ ციციშვილისა და პოლკოვნიკ ზაქარიაძის პირდაპირი საუბრის ეს სტენოგრაფიული ჩანაწერი სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმ ოპერატიულ მდგომარეობაზე, რაც 1918 წლის 13 დეკემბრამდე არსებობდა ვორონცოვკის მიმართულებაზე. აქაც, ახალქალაქის საბრძოლო მოქმედებათა რაიონის მსგავსად, გენერალ ციციშვილს მკაცრი მითითება მიეცა, რომ არ გადასულიყო მდინარე კამენკაზე და მხოლოდ ამ ხაზის დაცვით შემოფარგლულიყო. ხოლო ის ფაქტი, რომ გენერალი ციციშვილი მხოლოდ ორი ასეულის მხარდაჭერას ითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დარწმუნებული იყო სომხეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ჯარების მონაწილეობაში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაში, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მას (ისევე, როგორც გენერალ წულუკიძეს) ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რასთან ჰქონდა საქმე.

გენერალ ციციშვილის ტელეგრამა სამხედრო მინისტრს — 1918 წლის 13 დეკემბერი:

„ვორონცოვკის მე–2 სასაზღვრო უბნის უფროსმა სოფელ ალექსანდროვკიდან მომახსენა: „მოგახსენებთ, რომ ალექსანდროვკის გარშემო სიმაღლეებზე განლაგებულია მტრის სამეთვალყურეო საგუშაგოები. ამ სიმაღლეებიდან ჩანს მთელი გარემო 10 ვერსის მანძილზე, მათ შორის

ვორონცოვკა. სოფელ ლეჯანთან მიმდინარეობს ძლიერი სროლები. ვითხოვ შესაბამის მითითებებს. შტაბის კაპიტანი კონსტანტინოვი". ამასთან ერთად მოგახსენებთ, რომ მოწინააღმდეგე სანაინიდან თანდათან დასავლეთით მოიწევს, ვორონცოვკის მხარეს. ჩემს მიერ გაგზავნილნი არიან მზვერავები. ვემზადები მოწინააღმდეგის შესახვედრად. მხარდაჭერისათვის სულ მცირე 400 კაცია საჭირო, რომელიც ავტომობილებით უნდა გამოაგზავნოთ.

გენერალი ციციანოვი".[143]

იმავე დღეს, 1918 წლის 13 დეკემბერს, სომხური ძალების ავანგარდმა იერიში მიიტანა სოფელ ალექსანდროვკასა და იქ განლაგებულ მცირერიცხოვან ქართულ საგუშაგოზე.

გენერალ ციციშვილის ტელეგრამა სამხედრო მინისტრისადმი:

„ალექსანდროვკიდან გამოქცეულმა ერთ–ერთმა ჯარისკაცმა შემატყობინა, რომ მზის ჩასვლისას ალექსანდროვკაში შემოიჭრა სომეხთა 100 კაციანი რაზმი და დაიკავა იგი. ტყვედ აიყვანეს სასაზღვრო საგუშაგოს ორი ჯარისკაცი და შტაბის კაპიტანი კონსტანტინოვი. სამი გაქცეული ჯარისკაცის ბედი უცნობია.

გენერალი ციციანოვი".[144]

სომეხთა მთავარ დამრტყმელ ძალას ვორონცოვკა–პრიოლნოეს მიმართულებაზე სომხეთის რეგულარული ჯარის მე–2 მსროლელი დივიზიის მე–5 პოლკი წარმოადგენდა, პოლკოვნიკ ტერ–ნიკოგოსოვის მეთაურობით. ამ პოლკთან ერთად, ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ შეიარაღებულ აგრესიაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე ადგილობრივ სომეხ მოხალისეთა საბრძოლო რაზმები.

თუ რას წარმოადგენდა საბრძოლო მომზადების დონითა და შეიარაღებით სომეხთა მე–5 მსროლელი პოლკი, კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი საბრძოლო ბრძანებიდან.

„ბრძანება №603. 13 დეკემბერი. 1918 წელი. დ. ჯალალ–ოღლი. საოპერაციო. რუკა 5 ვერსით დუიმში.

§1. ქართულ ჯარებს უჭირავთ სოფლები ვორონცოვკა და პრიოლნოე.

§2. თანახმად მთავრობის დადგენილებისა, სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაჭერილ უნდა იქნეს ლორი და ბორჩალოს მაზრა მდინარე ხრამამდე. ჩემდამი რწმუნებულ რაზმს ნაბრძანები აქვს დაუყოვნებლივ დაიწყოს შეტევა, დაიჭიროს სოფლები ვორონცოვკა და პრიოლნოე.

დასმული ამოცანის შესრულების მიზნით,

ვბრძანებ:

ბრძოლის ხაზი, კაპიტანი სტეპანიანცი (6 როტა ქვეითი ჯარის მე–5 პოლკისა, სახელდობრ: მე–4, მე–5, მე–9, მე–10, მე–11 და მე–12), არტილერიის მწყობრი – 2 ზარბაზანი მე–4 სამთო ბატარეიდან. ტყვიამფრქვეველების მცირე გუნდი, „მაქსიმისა" 8 ტყვიამფრქვევი და 6 „ლტისა", მე–5 ქვეითი პოლკის მზვერავი ცხენოსანი რაზმი 20 ცხენოსანის შემადგენლობით, სულ – 6 როტა, 2 ზარბაზანი, 14

ტყვიამფრქვეველი და 20 ცხენოსანი, შეტევით წავიდეს არა უგვიანეს 22 საათისა სოფლების ვორონცოვკისა და პრივოლნოეს მიმართულებით, იმ ანგარიშით, რომ გათენებამდის ეს სოფლები იერიშით უნდა აიღონ.

მე–4 როტა ტყვიამფრქვეველების რაზმით წავიდეს წინმავლად, ხოლო მე–9 და მე–10 როტები 40 ნაბიჯის დაშორებით შახმატის წესით მიჰყვეს მე–4 როტას და ბრძოლისათვის გაშლის დროს დაეწყოს მწყობრის ჯგუფებად. მე–11 როტა ხეობიდან გასვლისთანავე მხარს აუხვევს ალექსანდროვკას ურუთისა და აიდარბეგის მხრით და წავა სოფელ პრივოლნოეზე იმ ანგარიშით, რომ იერიშით აიღებენ განთიადამდის.

მე–12 როტა მებრძოლ ჯგუფებს უკან 300 ნაბიჯზე უნდა იდგეს მარქაფად. არტილერია მიდის ჯალალ–ოღლი — ვორონცოვკის გზატკეცილით, მარქაფად მე–12 როტის ნახევარროტებს შუა. ცხენოსანი მზვერავები წაელენ სამ წყებად ფრთებზე და წინ. მე–5 როტა 22 საათზე კატირ–ბულახიდან წავა ვორონცოვკაზე, დამოკიდებულება ექნება კაპიტან სტეპანიანცთან, რომელიც შეტევით მიდის გზატკეცილით და იმასთან ერთად ერთდროულად მიიტანს იერიშს ვორონცოვკაზე დასავლეთით.

ვორონცოვკისა და პრივოლნოეს დაჭერის შემდეგ სოფლები გაიწმინდოს და ფეხდაფეხ მიჰყვეთ ჯარს, ვიდრე ყველა არ დაგნებდებათ.

საერთო მარქაფი (პორუჩიკი ზურაბიანცი) მე–5 პოლკის 1–ლი, მე–2, მე–3, მე–7 და მე–8 როტები, რაზმი 4 „კოლტის" ტყვიამფრქვეველით, ჯალალ–ოღლიში მისვლისთანავე გზატკეცილით უნდა გაემართოს სოფელ ვორონცოვკისკენ თავდაცვის ზომების მიღებით, ვიდრე ჩემს განკარგულებას მიიღებდეთ.

§3. მოეწყოს ტელეფონით დამოკიდებულება ჩემს შტაბს, ბრძოლის ასპარეზის უფროსსა და საერთო მარქაფა ჯარის უფროსთან.

§4. მიეცეს თითო ჯარისკაცს 200 პატრონა.

§5. საბრძოლო მასალები შეივსეთ ჯალალ–ოღლიდან.

§6. დაჭრილთა შემხვევი პუნქტი პოღოსიანცმა გახსნას ვორონცოვკასთან ახლოს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამ სოფელს დავიჭერთ, დაამზადოს იქ საკმარისი მედიკამენტები და შესახვევი მასალა.

§7. საბარგო ურმები განსაკუთრებულ განკარგულებამდის ჯალალ–ოღლიში დარჩნენ, საბარგულის უფროსად ვნიშნავ პრაპორშიკ მნაცაკანიანს. საბარგულის დასაცავად ვნიშნავ მე–5 პოლკის მე–7 როტას.

§8. შტაბი პირველად მე–12 როტასთან იქნება მოწყობილი და იქ უნდა იგზავნებოდეს ყველა ცნობები, ხოლო თუ შტაბის მდებარეობა შეიცვალა, დაუყოვნებლივ გაცნობებთ.

§9. ჩემი მოადგილეები: კაპიტანი სტეპანიანცი, ზურაბიანცი.

ნამდვილი ხელმოწერა: რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი ტერ–ნიკოგოსოვი.

დედანთან სწორია: შტაბის უფროსი, პოდპოლკოვნიკი დაროელიანცი."[145]

მოტანილი ცხრაპუნქტიანი საბრძოლო ბრძანება სრულ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო სომხეთის შეიარაღებული ძალების მე–5 მსროლელი პოლკის ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის რაოდენობასა და შეიარაღებაზე, არამედ იმაზეც, თუ რაოდენ პროფესიონალურ დონეზეა შედგენილი იგი. აქ აშკარად იგრძნობა საერთო საშტაბო კულტურა და მეთაურის მომზადების მაღალი დონე. წარმოდგენილი საბრძოლო ბრძანება იმდროინდელი ჯარების საშტაბო დოკუმენტაციის შედგენის ქრესტომათიულ ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მისი შინაარსიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ აღნიშნული სამხედრო ნაწილი გაშლილ მსროლელ პოლკს წარმოადგენდა.

ბოლოსდაბოლოს, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. 1918 წლის 14 დეკემბრის გამთენიისას, ვორონცოვკა–პრივოლნოეს ხაზზე, სომხეთის შეიარაღებული ძალების მე–5 მსროლელი პოლკის ავანგარდმა იერიში მიიტანა ქართულ საჯარისო ქვედნაყოფზე.

გენერალ ციციშვილის 1918 წლის 15 დეკემბრის შეტყობინება:

„13–ში გამთენიისას (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილი, რიცხვით 500–600 კაცი შეიჭრა ვორონცოვკაში. ბატარეა ოთხნახევარი საათის განმავლობაში მუშაობდა კარტეჩზე. 9 საათისათვის მცირერიცხოვან დამცველთა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ჩვენ დავიწყეთ ნოე–მიხაილოვკისაკენ დახევა, იქიდან კი ნოვრუზ–ხარაბას ჩრდილო–აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლისაკენ. სომეხთა ახალი რაზმებისა და კავალერიის გამოჩენის გამო, ჩემი რაზმის ნარჩენებმა შუშის ქრხნისაკენ დაიხიეს. ჩვენი დანაკარგები უზარმაზარია. დამრჩა 40 ქვეითი და დაახლოებით ამდენივე კაცი არტილერიაში. ჩვენს მიერ მწობრიდანაა გამოყვანილი 3 ქვემეხი. დადგენილია, რომ შეტევას ხელმძღვანელობდნენ ის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც ადრე ჩვენს მიერ ტყვედ იყვნენ აყვანილნი და განთავისუფლებულნი. (გავიხსენოთ რიგითი ადუაშვილის ზემოთ მოყვანილი პატაკი – ა. ჩ.)

ჩვენი დანაკარგებია: 3 ოფიცერი, დაახლოებით 100 ჯარისკაცი. დაღუპულები და დაჭრილები მტრის ხელში დარჩნენ. საბრძოლო მასალები ჩვენს მიერ გადამალულია. ველოდები დამხმარე ძალებს.

ციციანოვი".[146]

ასეთი საკმაოდ ლაკონური შედეგებით დასრულდა ქართული მხარისათვის სომხური ქვედანაყოფების მიერ განხორციელებული შეტევა ვორონცოვკაზე. ის ფაქტი, რომ მთელი ოთხნახევარი საათის განმავლობაში ქართული არტილერია კარტეჩის სროლით იგერიებდა მტრის აღმატებულ ძალებს, კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ბრძოლის მთელ სიმძიმესა და სომეხთა დიდ უპირატესობაზე ცოცხალ ძალაში.

საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით, ვორონცოვკის ბრძოლა ქართული ქვედანაყოფების განწირულ თავდაცვით ბრძოლას წარმოადგენდა მტრის ათჯერ აღმატებულ ძალებთან, რომელიც ფაქტიურად ვორონცოვკის

ქართული რაზმის განადგურებით დასრულდა, ხოლო თავად გენერალმა ციციშვილმა მცირე ჯგუფთან ერთად შეძლო მტრისაგან თავის დაღწევა და ჩრდილოეთისაკენ უკანდახევა.

შენიშვნის სახით დავამატებთ, რომ წამოდგენილ ტელეგრამაში აშკარად შეცდომითაა დასახელებული სომხური ავანგარდის სოფელ ვორონცოვკაზე იერიშის მიტანისა და გენერალ ციციშვილის რაზმის განადგურების თარიღი — 13 დეკემბერი. უდავოა, რომ ტელეგრამაში შეტევის დაწყების თარიღად აღნიშნული უნდა იყოს 14 დეკემბერი, რადგან გენერალ დროს მიერ სომხური ნაწილებისადმი გენერალური შეტევის ბრძანება 13 დეკემბრით თარიღდება. გარდა ამისა, სომეხთა მე–5 მსროლელი პოლკისადმი გაცემული შეტევის საბრძოლო ბრძანებაც 13 დეკემბრითაა დათარიღებული, სომხური ძალების თავმოყრის საწყის პუნქტში, დაბა ჯალალ–ოღლიში, რომელიც ვორონცოვკიდან 8 კილომეტრითაა დაშორებული. ამ მანძილის გავლას საბრძოლო მარშით კი, ორი საათი მაინც ესაჭიროება. ბრძანებაში დაფიქსირებულია შეტევის დაწყების ზუსტი დროც — 1918 წლის 13 დეკემბრის 22 საათი.

აქედან გამომდინარე, სომეხთა იერიში და საბრძოლო მოქმედებების წარმოება ვორონცოვკა–პრივოლნოეზე და ქართული რაზმის განადგურება მხოლოდ და მხოლოდ 14 დეკემბრის დილისათვის იყო შესაძლებელი. ხოლო ის ფაქტი, რომ ქართული მხარე თითქმის ათი საათის განმავლობაში უწევდა წინააღმდეგობას მტრის მრავალჯერ აღმატებულ ძალებს, ცალსახად მიუთითებს ამ ბრძოლის მთელ დრამატულობაზე.

აშკარად არასწორადაა რეზიუმირებული ქალბატონ ნინო ვაშაყმაძის მიერ ვორონცოვკა–პრივოლნოეს ბრძოლის საერთო ტაქტიკური შედეგები. კერძოდ, ავტორი აღნიშნავს: *„ტერ–ნიკოლოსოვის მეთაურობით, პირველმა და მეოთხე მსროლელმა პოლკებმა 13 დეკემბერს გაანადგურეს სახალხო გვარდიის ნაწილები* და დაიკავეს ვორონცოვკა და პრივოლნოე". (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)[147]

ამ ერთ წინადადებაში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული.

1. პოლკოვნიკი ტერ–ნიკოგოსოვი სომეხთა მე–5 მსროლელ პოლკს მეთაურობდა და არა პირველ და მეოთხე პოლკებს.
2. სომეხთა 1–ლი და მე–4 პოლკები საერთოდ არ იბრძოდნენ ვორონცოვკა–პრივოლნოეს მიმართულებაზე. ეს პოლკები უზუნლარი–სანაინი–ალავერდის რაიონში აწარმოებდნენ საბრძოლო მოქმედებებს და მათ პოდპოლკოვნიკი კოროლკოვი და პოლკოვნიკი ნესტოროვსკი მეთაურობდნენ.
3. 12 დეკემბრიდან გენერალ ციციშვილის რაზმის შემადგენლობაში სახალხო გვარდიის ქვედანაყოფები აღარ ირიცხებოდნენ. აქ მხოლოდ ქართული რეგულარული ჯარის საგუბერნიო ბატალიონის მე–4 ასეული და მესაზღვრეთა მცირერიცხოვანი რაზმი იყო დისლოცირებული.

4. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვორონცოვკა–პრიოლნოეს დაკავება და გენერალ ციციშვილის მცირერიცხოვანი რაზმის განადგურება სომეხთა მიერ არა 13 დეკემბერს, არამედ 14 დეკემბრის დილით მოხდა.

ჩვენს მიერ მოყვანილი შესწორებები ნაშრომის შესაბამის ნაწილებში იყო არგუმენტირებული, ამიტომ, დამატებით მტკიცებულებებს აქ აღარ გავიმეორებთ.

§5. ალავერდი–ახტალის თავდაცვითი ბრძოლები და ქართული ჯავშანმატარებლის მანევრი

ათწლეულების განმავლობაში სომხური და პროსომხური ისტორიოგრაფია სომხეთ–საქართველოს ომის შესახებ არაკების შეთხზვითა და სომეხთა საბრძოლო წარმატებების უზომო გაბერვით არის დაკავებული. მათი ინფორმაციებით, ცუდად მომზადებულმა და შეიარაღებულმა სომხურმა ნაწილებმა ომის საწყის ეტაპზე თურმე კუდით ქვა ასროლინეს გენერალ წულუკიძეს, რომლის „არმიამ" თავქუდმოგლეჯილმა მიატოვა საბრძოლო პოზიციები და პანიკური გაქცევით უშველა თურმე თავს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორი შემართებითა და ვაჟკაცობით იბრძოდნენ ქართული ქვედანაყოფები უზუნლარი–სანაინი–ალავერდის უბანზე, სადაც მათ ტრის მრავალჯერადად აღმატებულ ძალებთან უხდებოდათ უმძიმესი თავდაცვითი ბრძოლების წარმოება. ამ პერიოდში, გენერალ წულუკიძის ძამხმარე ძალად ძირითადში მე–2 ქვეითი დივიზიის მე–5 და ნაწილობრივ მე–6 პოლკების ქვედანაყოფები იგზავნებოდნენ, რომლებთაც ფაქტობრივად ირდაპირ ეშელონებიდან უხდებოდათ შემხვედრ ბრძოლებში ჩაბმა.

ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი ქართულ–სომხური წმინდათ პოლიტიკური ურთიერთობებისა და დაპირისპირების წარმოჩენას დეკემბრის ომის განმავლობაში, რამეთუ ეს მასალები სრულყოფილადაა გადმოცემული Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній"–ში. დოკუმენტთა ამ კრებულში სრულადაა ასახული აგრეთვე სომხეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის, ბატონ სვიმონ მდივანის პოლიტიკური აქტივობის პრაქტიკულად ყველა ასპექტი. ამ საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს – სომეხთა მიერ წინასწარ

განსაზღვრული დეზინფორმაციებისა და ათასგვარი ხრიკების საშუალებით ყარაქილისაში ჩასული მდივანისაგან დაფარული იყო საქმის რეალური ვითარება, ხოლო დაშნაკთა იდეოლოგიური და სამხედრო მეთაურები, ფაქტობრივად, დროის გაყვანის ტაქტიკით იყვნენ დაკავებულნი. თვით გენერალი დრასთამატ კანაიანი–დრო კი, სვიმონ მდივანის პირადი მასპინძელი, ქართველთა მოქმედებების შესახებ ისეთი არაკების თხზვით იყო დაკავებული, რომ მსგავსი რამის დაჯერება ნამდვილად ძნელად წარმოსადგენია საღად მოაზროვნე კაცისათვის. დროისა და ფორმატის დაზოგვის მიზნით ჩვენ მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ ნაწყვეტს მოვიყვანთ დოკუმენტიდან, სადაც ნათლად ჩანს სომხური მხარის მიერ თეთრის შავად წარმოდგენის აშკარა მცდელობა. ნაწყვეტი ბატონ სვიმონ მდივანის 1918 წლის 20 დეკემბრის მოხსენებითი ბარათიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

„1918 წლის 10 დეკემბრის საღამოსათვის ჩვენ სადგურ კარაკლისში ჩამოვაღწიეთ. აქ მე მივიღე ცნობები, თითქოს ჩვენი ჯარები სანაინის რაიონში მოსახლეობის ძარცვითა და ძალადობით არიან დაკავებული. მათ (ქართული ჯარის – ა. ჩ.) მიერ რკინიგზის ლიანდაგი აყრილია და სატელეგრაფო შეტყობინებაც შეწყვეტილი...“[148]

ბოლოსდაბოლოს, 13 დეკემბერს:

„დაახლოებით 12 საათზე დროს №894 მოწერილობით სომხური დივიზიის უფროსის გენერალ სილიკოვის შემდეგი შინაარსის ტელეგრამის ასლი გადმომეცა:

კარაკლისი. რაზმის მეთაურ დროს. ქართული ჯარის მოქმედებებმა საქართველოს მიერ ძალადობით დაპყრობილი ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილში, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომლის შემდგომი ატანაც შეუძლებელია. აღნიშნული რაიონიდან მხოლოდ ქართული ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას შეუძლია თავიდან აგვაცილოს შემდგომი სისხლის ღვრა და დაამყაროს საქართველოსა და სომხეთს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები.

ამასთან დაკავშირებით სომხეთის მთავრობას აქვს პატივი აცნობოს საქართველოს მთავრობას, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ბორჩალოს მაზრის სომხური ნაწილიდან. უარის თქმის, ან დაყოვნების შემთხვევაში, სომხეთის მთავრობა იძულებული იქნება მიიღოს ყოველგვარი ზომები სომხეთის საზღვრების დასაცავად ქართული ჯარის ძალადობისა და განუკითხაობისაგან.

მინისტრი თავმჯდომარე კაჩაზნუნი.

იმის გამო, რომ არა ვართ დარწმუნებულნი ტელეგრამის დანიშნულებისამებრ გადაცემაში, გადაეცით ეს ტელეგრამა ქართულ სარდლობას ტფილისში გადასაგზავნად.

12 დეკემბერი. 24 საათი. №00263. გენერალი სილიკოვი“.[149]

ასეთი სახის იყო სომხეთის „მინისტრი თავმჯდომარე" კაჩაზნუნისა და გენერალ სილიკოვის ის ულტიმატუმი, რომელიც სვიმონ მდივანს გადაეცა ყარაქილისაში, 1918 წლის 13 დეკემბერს, ბორჩალოს მაზრაში სრულ–მასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლიდან მხოლოდ მეხუთე დღეს. ამავე დროს, სრულ იზოლაციაში მოქცეულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს არავითარი შესაძლებლობა არ მისცეს, რომ მას საქმის კურსში ჩაეყენებინა ან საქართველოს მთავრობა ან სანაინის ქართული გარნიზონის სარდლობა. ულტიმატუმის წარდგენის ფაქტით, იმის გათვალისწინებით, რომ მდივანს საქართველოს მთავრობასთან დაკავშირების საშუალება არ მისცეს, სომხურმა მხარემ დიპლომატიური ეტიკეტის ფორმალური მხარე დაიცვა, რეალურად კი შემდგომი მოქმედებებისათვის სრული თავისუფლება მიიღო. ასე, რომ ფორმალურად, ქართული მხარისათვის 13 დეკემბერს გადაცემული ულტიმატუმი დაშნაკთა მორიგ პოლიტიკურ ფანდად უნდა შეფასდეს.

მსგავსი შინაარსისა იყო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ სირაკან ტიგრანიანის ხელმოწერით უკვე საქართველოს მთავრობისადმი, მხოლოდ 1918 წლის 15 დეკემბერს გადაცემული №912 ოფიციალური რადიოგრამაც, რომლის სრული ტექსტიც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნდა.[150]

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა სვიმონ მდივანმა ბოლოსდაბოლოს მხოლოდ 16 დეკემბრისათვის მოახერხა ყარაქილისადან დილიჟან–ყაზახ–ალსტაფის შემოვლითი გზით თბილისში დაბრუნება, ისე რომ, სომხურმა მხარემ მას განვითარებულ მოვლენებში გარკვევისა და გენერალ წულუკიძესთან შეხვედრის საშუალება არ მისცა.

მეტად ნიშანდობლივია, რომ მთელი ამ ვოიაჟის დროს 8–დან 14 დეკემბრამდე მის გვერდით იმყოფებოდნენ სომხური ე.წ. „სამშვიდობო კონფერენციის" დელეგაციის წევრები მ. ი. პაპაჯანოვი, ა. ა. აჭარონიანი თავისი მდივნით და სომხეთის სურსათის მინისტრი გ. ი. გულიანი, რომელმაც ამ პოსტზე დაშნაკთა მიერ ერევანში მოკლული ხ. ხარჩიკიანი შეცვალა. გარდა ამისა, ერევნის სამხედრო გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი ბეი–მამიკონიანი, რომელიც შვებულებაში იმყოფებოდა და თურმე სპასუენებლად(?!) მიემგზავრებოდა ყარაქილისაში. თვალებში ნაცრის შეყრის ცდელობის კიდევ ერთი მცდელობა. რატომღაც სწორედ 8 დეკემბერს ახსნა ერევნის სამხედრო გარნიზონის უფროსი შვებულებაში და ახლა ცდამაინც 9 დეკემბრიდან გადაუწყვეტია მას თავისი შვებულების ატარება ყარაქილისაში.

ამ ხნის განმავლობაში კი საომარ მოქმედებათა რაიონში ქართული ჯარის ოპერატიული მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. 14 დეკემბრისათვის, შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, გენერალი წულუკიძე იღებს გადაწყვეტილებას დატოვოს სადგური ალავერდი, ახარღეიოს ალყა და დაიხიოს უკან, სადგურ სადახლოსაკენ.

ბატონი ნიკო კეცხოველი: „წავედით სამნი, ავედით ალავერდის ქარხნებში, გზაში იყო უწესრიგო სროლა, ჩვენც ვისროლეთ რომელილაც მიმართულებით. სრულიად დავმშვიდდი და უკვე ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ალავერდში ქართული ნაწილები იდგა. თელავის მეექვსე პოლკი. იქ ვნახე გიმნაზიის ნაამხანაგარი პეტრე კეზელი. მესამე დღეს მოჰკლეს. ზარბაზნები ავიტანეთ ალავერდში, აქ ორი დღე დავყავით დროდადრო აღმოსავლეთისაკენ ვისროდით...

სასწრაფოდ ჩამოვედით სადგურ ალავერდში. დავტვირთეთ ეშელონი ვეკითხები პორუჩიკ მაყაშვილს წამოსვლის მიზეზს.

— ალყაში ვართ მოქცეულები, — მომიჭრა მოკლედ.

წამოვედით სადგურ ახტალისაკენ, მაგრამ ვერ მოვაღწიეთ. პატარა ხიდი იყო ჩაშლილი".[151]

ალავერდიდან ახპატიკენ ალყის გარღვევის დროს საბრძოლო კოლონების დაფარვა პრაპორშიკ კანდელაკის ოცეულს დაევალა. ამონარიდი მისი პატაკიდან შერეული ბატალიონის მეთაურს:

„სიმაღლეები უკან დახევის მომენტამდე ჩვენს ხელში იყო. 14—ში მდგომარეობა დამძიმდა. სადგურ ალავერდის თავზე და ახპატისაკენ რკინიგზის გასწვრივ არსებული ყველა სიმაღლის, აგრეთვე მდინარის მარჯვენა ნაპირის დაკავება სომხებმა დაიწყეს. მე გამომეგზავნა ბრძანება, რომ დავრჩენილიყავი პოზიციებზე, სანამ უკანასკნელი ეშელონი არ გავიდოდა და მხოლოდ ამის შემდეგ დამეხია უკან და შევერთებოდი როტმისტრ დოლიძის კოლონას, რომელსაც ჩემს მარჯვნივ ეკავა სიმაღლეები ალავერდთან. ღამის ორ საათზე მე დავიწყე მთებიდან ჩამოსვლა შოსეზე მოსახვედრათ, მაგრამ სადგურიდან ცეცხლი გამიხსნეს. სადგური უკვე სომხების მიერ იყო დაკავებული. მე დავიწყე ხევით გასვლა, რომ ხელში არ ჩავვარდნოდი მტერს და ალავერდიდან 7 ვერსზე დავეწიე როტმისტრ დოლიძის კოლონას. რაზმში იმყოფებოდა აგრეთვე 2 ტყვიამფრქვევი პოდპორუჩიკ ჩაჩავას მეთაურობით. მოძრაობა სრულიად ორგანიზებული იყო სოფელ შამბურღის (შამლუღი — ა. ჩ.) გავლით. ავანგარდად ჩვენი ცხენოსანი პოლკის ოცეული და ჩემი ოცეული მიემართებოდა ტყვიამფრქვევებით. 15 დეკემბრის საღამოს 8 საათზე მივაღწიეთ სადგურ სადახლოს".[152]

როგორც ვხედავთ, ქართული ნაწილების უკანდახევა, დაწყებული სანაინიდან არა არაორგანიზებული გაქცევა, არამედ კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული საბრძოლო მანევრი იყო.

15 დეკემბრის საღამოს 8 საათისათვის გენერალ წულუკიძის შტაბმა და მისი რაზმის მცირე ნაწილმა როტმისტრ დოლიძის კოლონაში სადგურ სადახლომდე ჩამოაღწია. მაგრამ სადახლო—ახტალის უბანზე ქართული ქვედანაყოფების ძირითადი ნაწილი სრულიად გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრის აღმატებული ძალებით და მათი მდგომარეობაც უკიდურესად დამძიმდა.

ნიკო კეცხოველი:

„14 დეკემბერს ახტალაში დაგვიწყეს სროლა. ჩვენ ძირს ვართ, ხევის ძირში, რკინიგზაზე, მაღლიდან გვესვრიან, მთების წვერიდან, ჩვენ კერას ვკლებთ. ასე გაგრძელდა 15–ს, 16–ს. დასჭრეს ყრუ–მუნჯი ჯარისკაცი. განზე ეგდო, ღია ადგილას. იმდენი ტყვია მოდის, რომ მიწა ფუტკრივით ზუზუნებს. არ ვერიდები. გავიქეც, ავიკიდე და ჩამოვიყვანე სამშვიდობოს. ნეტა არ ჩამომეყვანა, მაინც მოკლეს...

ჩემს ირგლივ ერთი სამი ტყვია ჩაერჭო მიწაში. ავიხედე, ქედის ქიმიდან ბოლი ჩანს. ავწიე კარაბინი, მაგრამ ხელი ძირს ჩამომივარდა. ვფიქრობ, რაშია საქმე? მინდა ხელი ავწიო, მაგრამ აღარ მემორჩილება. ამ დროს ვიგრძენი კიდევ ბიძგი მხარში, ავტორტმანდი და დავეცი. გული არ წამსვლია. მკლავიდან სისხლმა გადმოჩქეფა, ამავე დროს ლოყაც ამეწვა, მოვისვი მარჯვენა ხელი, სისხლია. აღარ გაჩერდა მიწა, წივიან ჩემს ირგვლივ მიწაში ჩამჯდარი ტყვიები.

– დაგლახვროს ღმერთმა, ეს რამდენი მესვრით?"[153]

ტაქტიკური თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა, ქართული ნაწილების მიერ განხორციელებული უკანდახევის მანევრი ალავერდიდან სადახლოსაკენ. გენერალ წულუკიძის გადაწყვეტილებით, ალავერდის დატოვება ორგანიზებულად, ორ საბრძოლო კოლონად უნდა მომხდარიყო – ქვეითი მწყობრითა და რკინიგზის ხაზით.

პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის პატაკიდან:

„გენერალმა ბრძანა ღამით გავჭრილიყავით სადგურ ახპატისაკენ, თვითონ კი გაეშურა ალავერდის ქარხნისაკენ როტმისტრ დოლიძის რაზმში. გაკეთდა ორი ეშელონი. პირველი ჩემი მეთაურობით, მეორე კი პოდპოლკოვნიკ რამაზოვის ხელმძღვანელობით. დავიძარით 11 საათზე. მე და პოლკოვნიკი ჩხეიძე ორთქლმავალში ვიყავით. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ბრძოლებით უნდა გავჭრილიყავით სადგურ ახპატისაკენ. ახპატამდე ჩვენი დანაკარგები რამდენიმე მოკლული და დაჭრილი იყო. ჩამოვაღწიეთ სადგურ ახპატში, მაგრამ აქ გაჩერების საშუალება არ იყო. აქაც, ისევე როგორც ალავერდში, პოდპოლკოვნიკ ფურცელაძის ქვედანაყოფები ძლივს იკავებდნენ პოზიციებს.

ჩვენ დიდი სიჩქარით გავიჭერით წინ და შევეცადეთ ჯავშანმატარებელს, რომელიც რელსებს ასცდა. ჩვენმა ეშელონმა კატასტროფა განიცადა. დაცვა დავტოვეთ და ჩვენ ქვეითი მწყობრით გავეშურეთ სადგურ ახტალასაკენ. ისეთივე ალყა, სროლები, გზებისა და ტელეფონების მწყობრიდან გამოყვანა. ახტალაში რაზმს სამი დღე ეკავა პოზიციები. ჩვენ შემოგვიერთდა ადგილობრივი მოსახლეობა – სადგურების სანაინის, ალავერდის, ახპატის მოსამსახურე პერსონალი ოჯახებით. სარკინიგზო ხაზი გვირაბის ორივე მხარეს მწყობრიდან იყო გამოყვანილი. მარჯვენა ან მარცხენა ნაპირზე გარღვევა ასეთი ტვირთით შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მიღებული ცნობებით სომხებს ჩასაფრებები ჰქონდათ მოშზადებული. ერთადერთ თავშესაფარს ჩვენთვის და სამოქალაქოებისათვის ჯავშნოსანი შეადგენდა,

რომელიც მოხერხებულად მანევრირებდა და ცეცხლს უხსნიდა მოწინააღ-
მდეგეს".[154]

ახტალასთან გამართული ბრძოლების შესახებ კი იგივე პატაკაშ
ვკითხულობთ:

„15 დეკემბრის დილიდან მე–5 პოლკის ქვედანაყოფები გააფთრებულ
ბრძოლებს აწარმოებდნენ ახტალასთან, მდინარე დებედა–ჩაის ორივ
სანაპიროზე. მიუხედავად მოწინააღმდეგის მიერ ყოველი მხრიდა
წარმოებული ძლიერი ცეცხლისა, თავისი ქვედანაყოფის საბრძოლო მწყობრი
მოხერხებული მანევრირებით, კაპიტანი კავკასიძე ინარჩუნებს მდინარი
მარჯვენა ნაპირს. სიმაღლეებზე შეტევის დროს კაპიტანი კავკასიძე კლდიდა
ჩამოვარდნის გამო ძლიერ დაშავდა ფეხსა და გულმკერდის არეში, მაგრა
მიუხედავად ამისა, ის სალამომდე მაინც დარჩა მწყობრში და არ მისც
მოწინააღმდეგეს ძირს ჩამოსვლის საშუალება...

16 დეკემბრის გამთენიისას მე–5 პოლკის ქვედანაყოფები კაპიტა
ამაშუკელის მეთაურობით სწრაფად იკავებენ სადგურ ახტალას თავზ
მდებარე პლატოს, მდინარის მარცხენა ნაპირზე. მიუხედავად ყოველმხრივ
ძლიერი ცეცხლისა, იგი მთელი დღის განმავლობაში ინარჩუნებს მდინარის ა
მხარეს და მოწინააღმდეგეს არ აძლევს საშუალებას მიუახლოვდეს სადგურ
ახტალას. ტყვიამფრქვევების ზუსტი ცეცხლის, კაპიტან ამაშუკელის, შტაბის
კაპიტან ავალიანის, პორუჩიკ ჩაჩავას, პოდპორუჩიკ ჩხენკელის და პრაპორშიკ
სანებლიძის მოქმედებებისა და სიმამაცის წყალობით, ორი დღის
განმავლობაში პლატო მათ მიერ შენარჩუნებულ იქნა"[155]

ასეთ პირობებში გამოაღწია გენერალი წულუკიძის რაზმის ძირითადმა
ნაწილმა სადგურ ალავერდიდან სადგურ ახტალაში და შემდეგ სადახლოში
ჯერ სარკინიგზო ეშელონით, შემდეგ კი ქვეითი საბრძოლო მწყობრით, სადაც
უკვე ჩამოეღწიათ სომხური ძალების ავანგარდებსა და საბრძოლო–
დაცვისულ ჯგუფებს. თავად გენერალმა წულუკიძემ კი, როგორც ზემოთ
იყო აღნიშნული, სულ სხვა მარშუტით, როტმისტრ დოლიძის რაზმთან
ერთად, ქვეითი მწყობრის კოლონაში დააღწია თავი ალყას.

გაცილებით რთული აღმოჩნდა სხვა ალყაშემორტყმული ქართული
ქვედანაყოფებისათვის ახტალიდან სადახლომდე ჩამოღწევა. ისევ ბატონი ნიკო
კეცხოველი:

„ახტალიდან სადახლომდე ფეხით ვიარეთ, ხშირად მინდოდა ჩაკეცვა,
მაგრამ კოტე ბუდაღაშვილი მეტყოდა:

– დაიცა, ნიკო, კიდევ ცოტა... – და მეც მქონდა გადაწყვეტილი
უეჭველად გავსულიყავ. სადახლოს სადგურში შეეეედით. თენდებოდა.
პირველად დავინახე გობრონ ციცქიშვილი, მაგრამ ისე ვიყავ უკვე როგორც
ჩანს დასუსტებული, რომ ვიყვირე:

– ჩვენები ხართ თუ არა? – და გული კვლავ წამივიდა.

ხუმრობა ხომ არ იყო, ხუთი ტყვიით ვიყავ დაჭრილი, სისხლისგან
დაცლილი, 20 კილომეტრი ფეხით გამოვიარეთ ღამე".[156]

ერთობ საინტერესო და ნიშანდობლივია პორუჩიკ გოგუაძისა და მისი ჯავშანმატარებლის მიერ განხორციელებული ალყის გარღვევის ტაქტიკური საბრძოლო მანევრი, დაწყებული სანაინიდან სადახლოსაკენ უკან დახევის დროს. ამონარიდი ვ. გოგუაძის მემუარიდან:

„14 დეკემბერს ჩვენ უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი გვქონდა. დახმარება ჯარით და სასროლი იარაღით არ მოგვივიდა. 14 დეკემბერს შევკრიბე ჩემი მცირედი მეომრები და მდგომარეობა ავუხსენი. დავადგინეთ სანაინის მიტოვება და იმავე ღამეს უკან წასვლა. ამ საქმის ასრულება მომანდვეს მე. აქ მე მყავდა შეპყრობილი ხუთი სომხის შპიონი, რომელთაც სიკვდილი მოელოდათ. მოვაყვანინე ისინი ჩემთან და მოვაგონე მათ, თუ რა მოელოდათ მათ დანაშაულისათვის.

მე მათ აღუთქვი პატიება, თუ ისინი ჩემს დავალებას შემისრულებდნენ. ავუხსენი მათ, რომ ამაღამ სანაინს ვტოვებდით და ალავერდის გზით თბილისისაკენ მივდიოდით და ისინი ჩვენ უნდა დაგვხმარებოდნენ მეგზურობაში (აქ საუბარია იმაზე, რომ თითქოს გოგუაძის რაზმს სოფელ ალავერდის გავლით უნდა დაეხია უკან ქვეითი მწყობრით და არა სადგურ ალავერდის გავლით სარკინიგზო ეშელონზე — ა. ჩ.). ჯაშუშები სიხარულით დამთანხმდნენ. მე მათ ფული ვაჩუქე და დიდი ჯილდო აღვუთქვი. დარწმუნებულ ვიყავი, როცა მე მათ გავუშვებდი, მიღალატებდნენ და სომხებს აცნობებდნენ ჩემს განზრახვას.

მეც ეს მინდოდა. ჩვენ სამზადისს შევუდექით. დახოცილები მიწას მივაბარეთ, დაჭრილები საიმედო სახლებში მოვათავსეთ. ერთი ჯავშნოსანი ავაფეთქეთ, მეორე დავაზიანეთ.

ჯაშუშები მართლაც ისე მოიქცნენ, როგორც ეფიქრობდი. მათ სომხის ოფიცრებს აცნობეს, რომ ჩვენ ალავერდის მიმართულებით უკან ვიხევდით. სომხებმა რკინის გზაზე ჯარი მოხსნეს და ალავერდისაკენ წაიყვანეს. ალავერდთან შეყრილ სომეხთა ჯარს შრაპნელი დავუშინე და მას დიდი ზიანი მივაყენე. ღამით ჩავდექი ავანგარდში და უკან დავიხიეთ. სახიფათო ადგილი, ტუნელი და ახტალა მშვიდობით გავიარეთ. სომხებს სულ მოეხსნათ თავისი ჯარი რკინის გზაზე და ალავერდის მონასტრის გზაზე გველოდებოდნენ. მივუახლოვდით სოფელ შენიხს. იქ სროლა აგვიტეხეს, მაგრამ ისინი ჩავაჩუმეთ.

სადგურ აირუმთან მივედით. აქ მაღლობები სომხის ჯარებს ეკავათ. ჩვენმა მეომრებმა მტერს შეუტიეს და გაფანტეს. მათ მოიყვანეს ტყვედ 60 კაცი. გავეშურეთ სადახლოსაკენ. გზაზე ჩვენი ჯარი დანგრეულ ხიდს აკეთებდა. იქ ორი ჯავშნოსანი ალფესი გოგუაძის (ვლადიმერ გოგუაძის ძმა — ა. ჩ) მეთაურობით იცდიდა. მივედით სადახლოში და დავისვენეთ".[157]

პრაპორშიკ გოგუაძის მემუარისა და ზემოთ მოყვანილი საარქივო მასალების შეჯერებით, ქართულ ჯავშანმატარებელთა საბრძოლო აქტივობის შესახებ გარკვეული ანალიზის ჩატარებაა შესაძლებელი.

ღია საომარი მოქმედებების საწყის ეტაპზე სადგურ სანაინზე იმყოფებოდა ერთი ქართული ჯავშანმატარებელი — №1. გენერალ წულუკიძის მოთხოვნისთანავე იქ გაიგზავნა კიდევ ერთი ჯავშნოსანი — №3, რომელმაც მძიმე ოპერატიული მდგომარეობის გამო სადგურ სანაინამდე ჩასვლა ვერ მოახერხა და კურსირებდა სანაინი—ალავერდის ხაზზე. ერთ—ერთი ასეთი საბრძოლო მანევრის დროს, სანაინთან ახლოს, ეს ჯავშანმატარებელი რელსებს აცდა და ალყაში აღმოჩნდა მოქცეული.

როგორც გენერალ წულუკიძის პატაკიდან ჩანს, პოდპოლკოვნიკ რამაზაშვილის სანაინის რაზმის ნარჩენების სანაინიდან ალავერდში ევაკუაციისას, ეშელონს კონვოირებას ჯავშნოსანი უკეთებდა, ეს უკვე თბილისიდან ფრონტზე გაგზავნილი კიდევ ერთი, მესამე ჯავშანმატარებელი უნდა ყოფილიყო.

როგორც ჩანს, სანაინის ქართულმა გარნიზონმა ფეხით გამოაღწია სადგურ სანაინიდან დაზიანებულ ადგილებზე, შემდეგ ალავერდიდან სანაინისკენ გაგზავნილ მატარებელში მოხდა მათი განთავსება, ხოლო ახლადჩასული ჯავშნოსანი ამ ევაკუირებული რაზმის კონვოირებას აწარმოებდა ალავერდამდე. წინასწარ მოხდა როგორც №1, ასევე №3 ჯავშნოსნების მწყობრიდან გამოყვანა. თუმცა, ცოტა ბუნდოვანია ვ. გოგუაძის ეს ფორმულირება — „ერთი ჯავშნოსანი ავაფეთქეთ, მეორე დავაზიანეთ". სავარაუდოა, რომ სადგურ სანაინში მყოფი №1 ჯავშნოსანი აფეთქების გარეშე იქნა მართლაც მწყობრიდან გამოყვანილი, ღამით სანაინიდან ქართული რაზმის მალულად გამოსვლის მომენტში, ზედმეტი ყურადღების თავიდან ასაცილებლად, ხოლო — №3 აფეთქებული, რადგან იგი ქართველთათვის შედარებით უსაფრთხო, სანაინი—ალავერდის უბანზე იდგა რელსებს აცდენილი, სანაინიდან 2 ვერსზე ალავერდისაკენ.

სწორედ მესამე ჯავშნოსნით მოხდა პორუჩიკ გოგუაძისა და მისი ეკიპაჟის მიერ ალყიდან თავის დაღწევა უკვე ალავერდიდან სადახლოსაკენ, რომელიც ამავე დროს გენერალი წულუკიძის რაზმის სარკინიგზო ეშელონების ავანგარდს წარმოადგენდა პოლკოვნიკ ჩხეიძისა და პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის მეთაურობით, რაც ზემოთ გვქონდა განხილული. თავად გენერალმა წულუკიძემ და მისმა შტაბმა კი სულ სხვა მარშრუტით, ქვეითი საბრძოლო მწყობრით მოახერხა ალყიდან გამოსვლა, სოფელ ალავერდის გზით. იგი და მისი შტაბი ამ ეშელონებში არ იმყოფებოდნენ. ამ ეპიზოდს ჩვენ ქვევით შევეხებით კიდევ.

უტყუარ პირველწყაროზე დაყრდნობით, (პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის ზემოთ მოყვანილი პატაკი) ალპატსა და ახტალას შორის წულუკიძის რაზმის ეშელონმა ჯავშნოსანთან შეჯახების გამო კატასტროფა განიცადა, რის გამოც ახტალასაკენ გადაადგილება მათ ბრძოლებით მოუწიათ ქვეითად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯავშანმატარებლის პირველი და ბოლო ვაგონები საბრძოლო ვაგონებს წარმოადგენდნენ და ისინი მძიმედ იყვნენ შეჯავშნულები, ცხადია, რომ სწორედ მძიმედ შეჯავშნულ ბოლო ვაგონთან

შეჯახების გამო მოხდა ეშელონების კატასტროფა, ხოლო თვითონ ჯავშნოსანი არ დაზიანებულა, ან მცირედ დაზიანდა. უკიდურეს შემთხვევაში, იგი მხოლოდ რელსებს აცდა, რაც დროულად იქნა გამოსწორებული. ყოველ შემთხვევაში, მან დაუბრკოლებლად შეძლო ბრძოლებით გზის გაგრძელება სადახლოსაკენ.

რაც შეეხება თვითონ შეჯახების ფაქტს:

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო გამოწვეული პანიკით ან რაიმე მსგავსი ფაქტორით. ალყის გარღვევის ეს მანევრი, გასაგები მიზეზების გამო, შუაღამისას განხორციელდა (პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის პატაკში მითითებულია — „დავიძარით 11 საათზე") და სავარაუდოდ, შესაძლო მაქსიმალურ სიჩქარეზე. ასეთ პირობებში, პირველი სარკინიგზო ეშელონის მეშინქანე ცხადია არ და ვერ დაიცავდა უსაფრთხო მოძრაობის წესებს ღამით მოძრაობისას, ისიც იმ შემთხვევაში, როცა მის წინ საბრძოლო მანევრებს ანხორციელებდა ჯავშნოსანი.

ჯავშანმატარებლის მიერ ალყის გარღვევის ეპიზოდში ერთ–ერთი საინტერესო დეტალი ისიცაა, რომ ჯავშანმატარებელი თავქუდმოგლეჯილი კი არ მიქროდა სადახლოსაკენ, როგორც ეს აღწერილია სომხურ და პროსომხურ ლიტერატურაში, არამედ მეთოდურად მიიწევდა წინ და სადაც საჭირო იყო, ჯავშანმატარებლის ეკიპაჟი ქვეით ბრძოლებშიც იღებდა მონაწილეობას. და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დიდი წარმატებითაც. სწორედ ასეთი წარმატებული ბრძოლა გაიმართა აირუმის სიმაღლეებზეც, საიდანაც ჯავშანმატარებლის ეკიპაჟმა ბრძოლის შედეგად ტყვეებიც კი წამოიყვანა. აირუმთან ტყვეების აყვანის ეს ფაქტი სხვა მასალებითაც დასტურდება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, რა თქმა უნდა, საქართველოს „ჰუმანური და პაციფისტი" მთავრობის უეჭველი „დამსახურების" წყალობით, პორუჩიკმა გოგუაძემ, აქამდე მართლაც რომ დაუმარცხებელმა ლეგენდარულმა მეთაურმა, ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი დანაკლისი განიცადა და ისიც ვისგან — სომხებისაგან, იმ სომხებისაგან, რომლებიც ასეულობით იქნა პირადად მის მიერ სიკვდილს გადარჩენილი 1905 წლის ბაქოს მოვლენების დროს და თუნდაც მთელი 1918 წლის განმავლობაშიც. ესეც ისტორიულად დადასტურებული ფაქტია.

ახლა კი „მადლიერი" სომხები განსაკუთრებულად დაგეშილები სწორედ გოგუაძის ხელში ჩასაგდებად ნადირობდნენ, ახსოვდათ რა მისი უდიდესი როლი სომეხთა დამარცხებაში ოქტომბრის თვეში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს. პორუჩიკმა გოგუაძემ თავის ეკიპაჟთან ერთად, კარგად დაგეგმილი საბრძოლო მანევრის წყალობით შეძლო თავი დაეღწია სომეხთა მიერ დაგებული ხაფანგებისათვის. ამ ეპიზოდშიც კიდევ ერთხელ დასტურ–დება მისი, როგორც თავზეხელაღებული, გაბედული მეომრისა და პროფესიონალი ოფიცრის მაღალი სამეთაურო თვისებები.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქართული საჯარისო ქვედანაყოფების ალავერდი–ახტალის თავდაცვითი ბრძოლების საერთო სურათი სრულებითაც არ უნდა შევაფასოთ როგორც საბრძოლო მოქმედებების სამხედრო ტაქტიკის ნიმუში. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ აირუმი–სანაინის რაიონი, ლანდშაფტის მიხედვით საბრძოლო მოქმედებებისათვის მეტად რთულ და სპეციფიკურ რაიონს წარმოადგენდა. ქართული სარდლობის მიერ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როცა გენერალ წულუკიძის მხარდასაჭერად გაგზავნილი პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის სარკინიგზო ეშელონი აირუმთან ყოველგვარი სადაზვერვო მონაცემების გარეშე სრული სვლით შეიჭრა მდინარე დებედას ვიწრო ხეობაში, რომელსაც 14 დეკემბრისათვის უკვე მთლიანად აკონტროლებდნენ სომხები, რაც ქართული მხარისათვის ერთობ სავალალო შედეგებით დასრულდა. ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა აირუმის უბნის უსაფრთხოებას, რაზედაც არაერთხელ მოახსენა სამხედრო მინისტრს გენერალმა წულუკიძემ თავის ოპერატიულ შეტყობინებებში.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მემუარიდან: *„12–ში* (დეკემბერს, ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) წულუკიძის რაზმის დასახმარებლად გაგზავნილი სადარაჯო ლეგიონის ორი ასეული, იმ უბრალო მიზეზით, რომ სადგურ სადახლოში არავინ არ უთხრა, რა ხდებოდა სანაინში, შეიჭრა მატარებლით ხეობაში ზომების მიუღებლად და სადგურ აირუმთან მთელი შემადგენლობა 250 კაცი ტყვედ ჩავარდა“.[158]

გენერალ მაზნიაშვილის მემუარის ამ ეპიზოდში აშკარად შეცდომითაა დასახელებული პოლკოვნიკ ვაჩნაძის ეშელონის გამგზავრების თარიღი – 12 დეკემბერი. ქვემოთ წარმოდგენილი უტყუარი პირველწყაროს მონაცემებით, პოლკოვნიკ ვაჩნაძის ეშელონი ალავერდის მიმართულებით 14 დეკემბერს გაემგზავრა. ამონაწერი მე–5 პოლკის საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან:

„14 დეკემბერი. საბრძოლო რაზმი 13 ოფიცრისა და 240 ჯარისკაცის შემადგენლობით, პოლკოვნიკ ვაჩნაძის მეთაურობით გაგზავნილ იქნა წულუკიძის განკარგულებაში“.[159] ჩვენი ეს დასკვნა სხვა საარქივო დოკუმენტითაც დასტურდება. ეპიზოდი პოლკოვნიკ ვაჩნაძის რაზმის წევრის, გმირულად დაღუპულ პორუჩიკ ვლადიმერ ბარნაბიშვილის საბრძოლო ბიოგრაფიიდან:

„მეორე დღეს, *15 დეკემბერს* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) მიიღო დავალება თავადი ვაჩნაძისაგან ასულიყო გორაზედ თავისი როტით და ებრძოლა სომხების დიდ რეგულიარულ ჯართან (დაახლოებით სადგურ აირუმთან). მნახველების სიტყვით იგი გმირულად გაუძღვა თავის რაზმს. ბრძოლამ $3^{1/2}$ საათს გასტანა, მანამ, სანამ სულ არ ამოწყდა ეს რაზმი თავის აფიცრით. გაატიტვლეს სულ მთლად და შიშველი ეგდო მინდორში ნადირთა შესაჭმელად 15 დღე. მერე კი დაასაფლავეს ცხრა მხედართან ერთად. მისმა ძმამ და სიძემ ძლივს იპოვეს. ამოიღეს საფლავითგან და მიასვენეს ტფილისში“.[160]

გენერალი გიორგი კვინიტაძე კი თავის მემუარში ამ მანევრს ასე აღწერს:

„სანაინში პოლკი გაიგზავნა მატარებლით, პოლკოვნიკ ვაჩნაძის მეთაურობით. ვაჩნაძის ეშელონმა შემადგენლობის მესამედი დაჰკარგა, ტყია–წამალი მთლიანად დახარჯა აირუმში, მაგრამ ეშელონი მაინც არავინ შეაჩერა. სომხებმა ცოცხლად გადარჩენილებს ხეობაში ალყა შემოარტყეს და დატყვევეს. *კიდევ უარესსაც გეტყვით: სანაინის ხეობაში თურმე დაჯავშნული მატარებლები და ჰაუბიცების ბატარეებიც გაუგზავნიათ, რომლებიც ამგვარ გარემოში, რასაკვირველია, სრულიად გამოუსადეგარი იყო*". (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)[161] პოლკოვნიკ ვაჩნაძის ეშელონის შესახებ, რა თქმა უნდა, სრულად ვიზიარებთ ავტორის დასკვნას, მაგრამ ჩვენს მიერ ხაზგასმულ ნაწილში მცირე კომენტარია გასაკეთებელი.

ალბათ ძნელი და მეტად საპასუხისმგებლოა საქართველოს ამ დიდი მხედართმთავრის ოპონირება, მაგრამ გენერალ კვინიტაძის მეორე დასკვნას ნამდვილად ვერ გავიზიარებთ. საქმე იმაშია, რომ ჯავშანმატარებლებიც და ჰაუბიცების ბატარეაც კონფლიქტის ზონაში, გენერალ წულუკიძის მოთხოვნის შესაბამისად, საომარი მოქმედებების დასაწყისშივე იქნა გაგზავნილი. ეს ის პერიოდია, როცა გენერალ წულუკიძის შტაბი და მისი რაზმის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ სანაინის მიდამოებში აწარმოებდა საბრძოლო მოქმედებებს.

რა თქმა უნდა, ქართული ქვედანაყოფებისათის აუცილებელი იყო ასწრაფო საარტილერიო მხარდაჭერა და აქ, მთიან რეგიონში ბრძოლების წარმოებლად სწორედ ჰაუბიცების (მორტირების) გამოყენება იყო ყველაზე მიზანშეწონილი. რაც მთავარია, კიდევ უფრო აუცილებელი იყო ამ და სხვა დამხმარე ძალების სასწრაფო გადასროლა აღნიშნულ რაიონში. ოპერატიულობის თვალსაზრისით, ცოცხალი ძალითა და მძლავრი საცეცხლე საშუალებებით მხარდაჭრისათვის, სწორედ ჯავშნმატარებელი წარმოადგენდა საუკეთესო არჩევანს. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯავშანმატარებლებისა და არტილერიის მხარდაჭერა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ეფექტური, როცა ქართული საჯარისო ქვედანაყოფების ზურგის საიმედო დაცვა იქნებოდა უზრუნველყოფილი.

ასეთი მდგომარეობა კი სანაინის ფრონტზე მხოლოდ 11 დეკემბრამდე არსებობდა. არსებობდა მანამდე, სანამ სომხური ქვედანაყოფები და დგილობრივ მოხალისეთა რაზმები ფლანგურ მანევრს განახორციელებ–ნენ, ზურგიდან მოუვლიდნენ ქართულ პოზიციებს და ყველა გაბატონებულ სიმაღლეს დაიკავებდნენ.

პირველი ჯავშანმატარებელი სწორედ 11 დეკემბრამდე იქნა გაგზავნილი შუალოდ სადგურ სანაინში, რომლის უაღრესად ქმედითუნარიანმა ოქმედებებმა განსაზღვრა სწორედ გენერალ წულუკიძის რაზმის ძირითადი ნაწილის მიერ სადგურ სანაინთან პოზიციების შენარჩუნება მთელი ხუთი ღე–ღამის განმავლობაში. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ უკვე 11 დეკემბრის

საღამოსათვის გენერალი წულუკიძე იძულებული შეიქნა სანაინდან ალავერდში გადმოსულიყო. დაწყებული 13 დეკემბრიდან კი, მხოლოდ რკინიგზის საშუალებით ჯარების გადასროლა, ყოველგვარი სადაზვერვო მონაცემებისა და საბრძოლო მოქმედებათა რაიონის რეკოგნოსცირების გარეშე რა თქმა უნდა დიდი შეცდომა იყო.

ყოველივე ამისი თავი და თავი კი ის გახლდათ, რომ საქართველოს მთავრობისა და სამხედრო სამინისტროს პირველ პირებს, პოლიტიკური შეხედულებების გამო, ჯერ კიდევ არ ჯეროდათ და არ ჰქონდათ ბოლომდე გათავისებული, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის სრულმასშტაბიანი ომი იყო დაწყებული. ისტორიულად დადასტურებულია ფაქტია და ზემოთაც ვნახეთ, რომ საქართველოს სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე გადადგომითაც კი იმუქრებოდა სომხეთთან საპასუხო საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში.

ალავერდი–ახტალის ბრძოლებში ქართული საარქივო მასალები არ იძლევიან ცნობებს ქართული მხარის მატერიალურ დანაკარგებსა და ცოცხალ ძალაზე. რიჩარდ ოვანესიანის მიხედვით კი, რომელიც კადიშევისა და ვრაციანის ნაშრომების მონაცემებზე დაყრდნობითაა მოცემული, ვკითხულობთ:

„ამ სასტიკი ბრძოლების შედეგად, მათ (სომხებმა) ხელში ჩაიგდეს დაახლოებით 100 ჯარისკაცი, უამრავი საკავალერიო აღჭურვილობა, ორთქლმავალი და 50 დატვირთული საზიდარი, რამდენიმე სამთო ქვემეხი და ტყვიამფრქვევი...

16 დეკემბერს კოროლკოვის მარჯვენა ფრთამ განსაცვიფრებელი შეტევის შემდეგ დაიკავა სადგური აირუმი, სადაც ქართველებმა მოკლულების, დაჭრილებისა და ტყვეების სახით 500 კაცი დაკარგეს. მეორე დღეს, ქართველთა მე–5 და მე–6 ქვეითი პოლკები სომეხთა მარწუხებში აღმოჩნდნენ მომწყვდეულები და სრულ განადგურებას მხოლოდ მრიგი 60 კაცის დაკარგვით დააღწიეს თავი, ამასთან ერთად, ბრძოლის ველზე დატოვეს ორი საველე ქვემეხი და 25 ტყვიამფრქვევი.

სადგურ ახტალაში კი სომხებმა ხელში ჩაიგდეს ორი სრულად აღჭურვილი ჯავშნოსანი მატარებელი. ბრძოლაში უუნარო გენერალმა წულუკიძემ ისეთი სისწრაფით მოკურცხლა (fled – ა. ჩ.) სადახლოსკენ, რომ სიჩქარეში, პერსონალურ ვაგონში, საკუთარი საწვიმარიც კი დატოვა".[162]

რიჩარდ ოვანესიანის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ქართული მხარის დანაკარგების შესახებ რეალობას უნდა შეესაბამებოდეს. მართლაც, დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო ქართული მხარის დანაკარგები ცოცხალ ძალასა და მატერიალურ საშუალებებში. თუმცა, სომხების ნაალაფარ „სრულად აღჭურვილ ჯავშანმატარებლებსა და გენერალ წულუკიძის საწვიმარ ლაბადაზე" რა მოგახსენოთ. აირუმს კი, „განსაცვიფრებელი შეტევით" დასაკავებელი არც არაფერი არ ჭირდა, რადგან იგი სომხური სოფელი იყო და თავისთავად ცხადია, სომხეთის

რეგულარული ჯარის ნაწილებმა და დაშნაკურმა ბანდებმა იგი ყოველგვარი ბრძოლების გარეშე დაიკავეს.

§6. სადახლოს თავდაცვითი ბრძოლა და მისი ტაქტიკური ანალიზი

1918 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის მიერ, ბოლოსდაბოლოს შესაბამისი პოლიტიკური შეფასება მიეცა სომეხთა მიერ დაწყებულ ღია სამხედრო აგრესიას. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ოფიციალური საპროტესტო ნოტა პრესით 17 დეკემბერს გამოქვეყნდა:

„თბილისი. 16 ქრისტეშობისთვე. ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელს. საქართველოს მთავრობის პროტესტი.

მთავრობის დავალებით მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: ჩვენ მეზობელ და მეგობრულ განწყობაში მყოფ სომხეთის საზღვარზე, სანაინში და ვორონცოვკაში მდგარ ჩვენს მოსაზღვრე სადარაჯოს 10 ქრისტეშობისთვეს თაუს დაესხა სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილები. მოსაზღვრე ჯარის ნაწილი დახოცეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს. ტელეგრაფი შეწყვეტილია, რკინის გზის ლიანდაგი აყრილი.

საქართველოს მთავრობა ფიქრობდა, რომ ამ მუხანათურ თავდასხმაში არავითარი კავშირი არ ექნებოდა სომხის მთავრობას და მით უმეტეს, თავდასხმა არ იქნებოდა მოწყობილი მისი თანხმობით. ამის გამო, საქართველოს მთავრობამ ტელეგრაფით წინადადება მისცა სომხეთის მთავრობას, რათა მას საჭირო ზომები მიეღო სისხლის ღვრის შესაწყვეტად, მაგრამ არა თუ მიიღეს საჭირო ზომები, პირიქით, სამხედრო მოქმედებები განვითარდა და ჩვენ უკვე მივიღეთ სომხის მთავრობის ოფიციალური განცხადება, რომ ეს მუხანათური თავდასხმა სომხის მთავრობის ბრძანებით მოხდა. ჩვენ მიერ საზღვარზე გაგზავნილი დელეგაცია, რომელშიც საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს წარომადგენელნი არიან, კონალამ მსხვერპლი გახდა ინცინდენტისა.

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც საქართველოს მთავრობამ სომხეთის მთავრობას წინადადებით მიმართა მოწვეულ იქმნას ამიერკავკასიის კონფერენცია ყველა სადავო საკითხთა მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად. *მაგრამ სომხეთის მთავრობამ უარი სთქვა კონფერენციაში მონაწილეობის*

მიღებაზე. ის დაბეჯითებით მოითხოვდა სომხეთ–საქართველოს წინასწარი კონფერენციის მოწვევას. საქართველოს მთავრობა დაეთანხმა სომხეთის მთავრობის სურვილს და მოითხოვა ყველა სადავო საკითხების გადაწყვეტა მომზდარიყო შეთანხმებით, ხოლო თუ შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, სადავო საკითხი გადაწყვეტილიყო საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით. დღე და დღე მოველოდით სომხების დელეგატების მოსვლას, მაგრამ ისინი უკანასკნელ დრომდე არსად გამოჩენილან. ამის მაგივრად კი მოხდა მუხანათური თავდასხმა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ნორმებს სრულებით არ ეთანხმება.

ყველა ზემოხსენებულის ძალით აღვიარებთ, რომ ორივე მეზობელ რესპუბლიკათა შორის სისხლის ღვრის ასაცილებლად ყოველგვარი ზომები ჩვენის მხრით მიღებულ იქმნა, საქართველოს მთავრობა თავის მოვალეობად სთვლის მთელი ქვეყნის წინაშე აღიაროს, რომ, აცხადებს რა ენერგიულ პროტესტს სომხეთის მთავრობის მოქმედებების გამო, ის თავიდან იშორებს *ორ მოძმე ხალხთა შორის სისხლის ღვრის დამღუპველ შედეგთა პასუხისმგებლობას. ამ ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთშორის განწყობილება, რომელნიც უზრუნველყოფდა ორივე ქვეყნის აყვავებას, საუკუნოების განმავლობაში არას დროს არ დარღვეულა და ამ უკანასკნელი გამოსვლის პასუხისმგებლობა მთელი სიმძიმით ეკისრება სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)

საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი".[163]

აი, ასეთი იყო საქართველოს მთავრობის ოფიციალური საპროტესტო ნოტის ტექსტი. ჩვენს მიერ პირველ ხაზგასმაში კი აშკარად არ ამბობს სიმართლეს ბატონი გეგეჭკორი. საქართველოს მთავრობამ არაფრით არ მოისურვა სომხურ მხარესთან პირდაპირი, ორმხრივი მოლაპარაკებების გამართვა. ჩვენი ეს დასკვნაც დოკუმენტურად და ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. მიზეზების შესახებ შესაბამის თავში გვქონდა საუბარი.

მეორე ხაზგასმაში კი ისევ ქართველთა და სომეხთა „საუკუნეობრივ ძმობაზეა" უსაგნო საუბარი. ამ მოწოდებაში ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ საქართველოს მთავრობამ სომხეთთან საომარი მოქმედებების დაწყება ოფიციალურად მხოლოდ 16 დეკემბერს აღიარა, მაშინ, როცა საომარი მოქმედებების რაიონებში უკვე ასეულობით ქართველი მეომარი იყო დაღუპული, ხოლო ბორჩალოს მაზრის გარკვეული ნაწილი ოკუპირებული.

20 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" კი ვკითხულობთ: „თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცნობისა სომხების ჯარების უფროსის ჰდროსაგან, რომ სომხის ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები სომხის მთავრობის ბრძანებით, საქართველოს მთავრობამ ცნო ეს აქტი პირდაპირ ომის გამოცხადებად და სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, ჯამალიანს გადასცა ნოტა, რომ ამიერიდან

საქართველოსა და სომხეთს შორის ყოველგვარი დიპლომატიური მოლაპარაკებები შეწყვეტილია".[164]

16 დეკემბრისათვის ალავერდი–ახტალის ფრონტზე ოპერატიული მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. საქართველოს მთავრობის მიერ სომხეთისადმი ომის გამოცხადების დღესვე, 1918 წლის 16 დეკემბრის ღამით, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, გენერალ წულუკიძის რაზმის ნაწილი ახერხებს ალყიდან თავის დაღწევას ალავერდი–ახტალის რაიონში და 17 დეკემბრის დილის 8 საათისათვის ჩამოდის სადგურ სადახლოში. მე–5 პოლკის უმცროსი ოფიცრის, პრაპორშიკ კანდელაკის პატაკის მიხედვით: „16 (დეკემბრის – ა. ჩ.)–ის ღამით აირუმიდან ალყა გამოარღვია შერეულმა ბატალიონმა".[165]

ამ ეტაპზე, გენერალ წულუკიძის რაზმის შემდგენლობაში სულ იმყოფებოდა: მე–6 ქვეითი პოლკისა და საყარაულო ბატალიონის ქვედანაყოფების, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის შერეული ბატალიონის, სამთო–ცხენოსანი ბატარეისა და მე–4 სამთო ბატარეის ნარჩენები, აგრეთვე ორი ჯავშანმატარებელი ალფეზ გოგუაძის მეთაურობით, რომელიც გენერალ წულუკიძის რაზმის საბრძოლო მხარდაჭერისათვის იქნა გაგზავნილი თბილისიდან სადგურ სადახლოში.

სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ სადგურ სადახლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაცვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მაგრამ აქ არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ქართული ქვედანაყოფები გადატანილი უმძიმესი ბრძოლების შედეგად თითქმის განადგურებული იყო. ყოველგვარ რეზერვს მოკლებულ გენერალ წულიკიძის რაზმის შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატებოდა დასმული ტაქტიკური ამოცანის შესრულება.

სადახლოშივე, გენერალ წულუკიძის რაზმის საველე შტაბის უფროსად, მიელინებული ოფიცერი, სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის ჯარების განთავსებისა და საჯარისო სამსახურის უფროსი, პოდპოლკოვნიკი იოსებ ჩეჩელაშვილი ინიშნება.

მიუხედავად ძალების მნიშვნელოვანი სიმცირისა, გენერალ წულუკიძის მიერ ურყევი გადაწყვეტილება იქნა მიღებულ მის ხელთ არსებული ყველა საშუალებებით მეტ–ნაკლებად ხელსაყრელი პოზიციები დაეკავებინა და ძლიერი თავდაცვითი ზღუდე შეექმნა სადგურ სადახლოსა და მის მიმდებარე საბრძოლო უბანზე. დასმული ამოცანის ძირითადი სიმძიმე პოდპოლკოვნიკ ბერიაშვილის მე–6 პოლკის ქვედანაყოფებსა და მე–5 პოლკის შერეულ ბატალიონს დააწვა. მათ შესაბამისად, თავდაცვის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე ებრძანათ პოზიციების დაკავება.

პოდპოლკოვნიკი მიქაბერიძე: „აქ (სადახლოში – ა. ჩ.) მე–5 ქვეითი პოლკის ასეულები იღებენ ახალ დავალებას, დაიკავონ დიდი უბანი სოფელ დმანის პოზიციებიდან 324 სიმაღლემდე. უბნის სიგრძე დაახლოებით 6 ვერსი. ეს ფართო უბანი დაჭერილ იქნა მე–5 პოლკის ასეულებითა და

პრაპორშიკ დოლიძის მეტყვიამფრქვევეთა ქვედანაყოფის მიერ რამდენიმე დღის განმავლობაში. სადახლოს დატოვებამდე ჩემს ბატალიონს, 160 ჯარისკაცითა და 3 ოფიცრით (დანარჩენები მოკლულები, დაჭრილები და ავადმყოფები) ეკავა ეს პოზიციები".[166] – მე–5 ქვეითი პოლკის შერეული ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის №5 პატაკის დამატება.

როგორც წარმოდგენილი პატაკიდან ვხედავთ, 6 ვერსი სიგრძის ფრონტის დაკავება, ფაქტობრივად ერთი გაშლილი ასეულის ძალებით მოხერხდა რამდენიმე დღე–ღამის განმავლობაში. მართლაც რომ მრავლის–მეტყველი ფაქტია.

ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ქართულ ქვედანაყოფებზე დაკისრებული საბრძოლო ამოცანის შესრულება ნამდვილად აღემატებოდა მათ რეალურ შესაძლებლობებს. არსებული ძალებითა და საშუალებებით, პოდპოლკოვნიკების, მიქაბერიძისა და ბერიაშვილის მიერ პოზიციების შენარჩუნება მხოლოდ დროებითი ძალისხმევა იყო და იგი დამხმარე ძალების მოსვლაზე იყო გათვლილი.

ალსანიშნავია, რომ „საველე სამსახურის უკანასკნელი წესდება საბრძოლველი რიგის გასაგრძელებლად საჭიროს თვლიდა ბატალიონისათვის – 1/2 ვერსს, პოლკისათვის – 2 ვერსს, დივიზიისათვის – 3 ვერსს და კორპუსისათვის – 5–6 ვერსს. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და საველე სამსახურის რიგიც გაგრძელდა. არა მარტო მოგერიებით, არამედ თავდასხმით მოქმედებების დროს ბატალიონს უხდება $1^{1/2}$–2 ვერსზე, დივიზიას – 6–8 ვერსზე და კორპუსს 15–20 ვერსზე რიგის დაჭერა. მოგერიებითი ბრძოლების დროს გამაგრებულ პოზიციებზე საბრძოლველი რიგის გაჭიმვა ფრონტზე გადიდდა იმდენად, რომ თანამედროვე ომამდე ამას ვერც კი დაიჯერებდნენ. ასე მაგალითად, ბატალიონს ხშირად უხდებოდა 5–6 ვერსი, პოლკს – 10–12 ვერსი, დივიზიას – 20–25 ვერსი და კორპუსს – 35–65 ვერსი".[167]

აქ წარმოდგენილი საბრძოლო (საველე) წესდების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ქართულ ქვედანაყოფებს თეორიული შანსიც არ ჰქონდათ დასმული ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად. საერთო ჯამში, ფაქტობრივად, რამდენიმე ასეულს დაეკისრა 10 კილომეტრზე მეტი სიგრძის თავდაცვითი ზღუდის შექმნა. მაუხედავად ამისა, სანაინი–ახტალის უსასტიკესი თავდაცვითი ბრძოლებით გადაქანცულმა გენერალ წულიკიძის რაზმმა წარმატებით გაართვა თავი სომხურ ავანგარდთან წარმოებულ პირველივე ბრძოლას და ტყვეებიც კი აიყვანა.

სომხურმა ავანგარდმა სადახლოზე შეტევა პირველად 18 დეკემბერს განახორციელა. გაზეთი „სახალხო საქმე" ასე აღწერს ამ საბრძოლო ეპიზოდს:

„პირველი შემოტევა სომხებმა გაბედეს დეკემბრის 18–ში. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა. ბურუსიანი დღე იყო. ოფიც. მირიმანოვის, რუს ოფიც.

ფეიკოვსკისა და სხვათა მეთაურობით ორას კაცამდე სადგურიდან ნახევარი ვერსის მანძილზე თავხედურად მოვიდნენ სომხები...

გაიგეს ჩვენებმა მათი მოსვლა. სომხებმა მოსატყუებლად კარგი და მკაფიო ქართულით ჩვენებს შესძახეს: თქვენები ვართ ძმებო, არ გესროლოთო, მაგრამ გვიანღა იყო. ჯავშნოსანი გაეგება რკინის გზით, ხოლო მელიქიშვილის სახლიდან სხვა ჯარის ნაწილები და აუტეხეს სროლა ქურდულად შემოპარულ მტერს. მათმა ასეთმა თავხედურად მოქცევამ ძლიერ გააბრაზა განსვენებული დადიანი, რომელიც ხმლით ხელში გაუძღვა თავის ნაწილებს. მათ წაეშველნენ ფურცელაძე, კონჩოშვილი, სტანიშევსკი, მაჭავარიანი, პოლკ. იმნაძე და შეკუმშეს ვერაგები. მოჰკლეს დადიანი, დაჭრეს პოლკ. იმნაძე, პორუჩიკი თუხარელი და რამდენიმე ჯარისკაცი. გალომდა თენგიზ დადეშქელიანი, რომელმაც თავისი ამხანაგის, დადიანის მოკვლა ღირსეულად გადაუხადა სომხებს. 200 კაციდან გაჰკაფეს და მოჰკლეს 120, ხოლო დანარჩენი ტყვედ წამოიყვანეს 40 კაცამდე და რამდენიმე კაცმა გაასწრო გაქცევა. ემწუხრათ სომხებს ასეთი გამასპინძლება და შემდეგ დეკემბრის 18, 19 და 20 დილის 11 საათამდე ხმა ჩაკმენდილნი აღარსად გამოჩენილან".[168]

სადახლოში აყვანილი სომეხი ტყვეები, მე–4 მსროლელი პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები, იმ დღესვე იყვნენ ჩამოყვანილნი თბილისში. გაზეთი „სახალხო საქმე":

„ოთხშაბათს, დეკემბრის 18–ს ტფილისში ჩამოიყვანეს სომხების ტყვეები რიცხვით 60 კაცი. მათ შორის 40 სამხედრო ტყვეა სადახლოსთან ბრძოლის დროს დატყვევებული. ეს ტყვეები სომეხთა მე–4 პოლკის ჯარისკაცები არიან. *პოლკს მეთაურობს ტფილისში მცხოვრები სომეხი პოლკოვნიკი მირიმანოვი.* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) ტყვეების რიცხვში ორი ოფიცერია, ერთი რუსი – გვარად ერკომსკი. მათი თქმით, ამ ბრძოლის დროს სომხების მეოთხე პოლკს ძლიერ დიდი ზარალი მოსვლია. 20 სომეხი ტყვე ჩამოიყვანეს სოფელ მამაიდან".[169]

მოყვანილ ცნობაში აშკარად არასწორია პოლკოვნიკ მირიმანოვის სომეხთა მე–4 მსროლელი პოლკის მეთაურად მოხსენიება. ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ მე–4 სომხურ პოლკს პოდპოლკოვნიკი კოროლკოვი მეთაურობდა, ხოლო თბილისელი, ეროვნებით სომეხი პოლკოვნიკი მირიმანოვი, სომეხთა შერეულ ავანგარდს მეთაურობდა მხოლოდ.

ზემოაღწერილი, სადახლოს 18 დეკემბრის საბრძოლო ეპიზოდის გაანალიზებისას საინტერესო დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი.

დაწყებული უზუნლარი–სანაინის რაიონში წარმოებული ბრძოლებიდან, სომხური პოლკები და მოხალისეთა საბრძოლო რაზმები ძლევამოსილად მოიწევდნენ წინ, ხოლო ქართული ქვედანაყოფები შესაბამისად, დიდი დანაკარგებით იხევდნენ უკან. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ სომხურმა მხარემ მართლა ირწმუნა, რომ მას ძალუძდა ქართველთა დამარცხება და აქაც, ალავერდში მხოლოდ სომხური ჯარის წინწაწეულმა 200 კაციანმა

ავანგარდმა მიიტანა იერიში გენერალ წულუკიძის რაზმის ნარჩენებზე. მაგრამ ასეთი დასკვნა ნაკლებად უნდა შეესაბამება სიმართლეს, რადგან ასეთ შემთხვევაში, ისინი შენიღბვის ტაქტიკურ სელას არ გააკეთებდნენ და შეფარვით არ წაიწევდნენ წინ.

ფაქტია, რომ სომეხთა იერიში სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით სწორედ ასე იყო დაგეგმილი. შეიძლება დაიბადოს კითხვა — როგორ გაბედა მცირერიცხოვანმა სომხურმა ქვედანაყოფმა ასეთი გაბედული ტაქტიკური მანევრი?

ეჭვს გარეშეა, რომ 200 კაციან ავანგარდს სომეხთა ძირითადი ძალები უმაგრებდნენ ზურგს, რომლებიც შესაბამის მომენტში უნდა ჩართულიყვნენ ბრძოლაში.

ისტორიულად, ქართველებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ 200 კაციანი თავგანწირული რაზმის გაბედულ მოქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია ბრძოლის ველზე და საერთო ჯამში, გაცილებით მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში, მართლაც რომ საარაკო გამარჯვებისათვის მიუღწევია. მაგრამ ეს სხვა დრო, სხვა ისტორია იყო და იქ ქართველები იბრძოდნენ. ალბათ აქაც, ,,ელვისებური შეტევების'' მოტრფიალე გენერალ დრო კანაიანის, ,,სომეხთა ჰანიბალის'' საბრძოლო ჩანაფიქრით, სომხური ნაწილების საბრძოლო მოქმედება სწორედ ასე უნდა განვითარებულიყო, მაგრამ...

ყველა მონაცემებით ჩანს, რომ სომხური სარდლობისათვის წარმოუდგენელი იყო ის ფაქტი, რომ სადახლოს პოზიციები მხოლოდ და მხოლოდ ისევ და ისევ გენერალ წულუკიძის რაზმის ნარჩენებს ჰქონდათ გამაგრებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მცირერიცხოვანი ძალების დასაძლევად სრულიადაც არ იყო საჭირო სომეხთა ზემოთ მოწყობილი შენიღბული მანევრის განხორციელება. მათ ფაქტობრივად, საბრძოლო მარშით შეეძლოთ გაენადგურებინათ მცირერიცხოვანი და უწყვეტი ბრძოლებით გადაქანცული ქართული ქვედანაყოფები, რაც მათ არ გააკეთეს. სომხური ავანგარდის ბრძოლაში ჩაბმისა და მისი განადგურების შემდეგ კი სომხური ჯარის ძირითად ნაწილს ამ ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიუღია. დასკვნა — სომხები შედრკნენ.

ცალსახაა, რომ ისინი არ ელოდნენ ქართველთა მედგარ წინააღმდეგობას, ამასთან ერთად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართველთა მიერ სადახლოსთან მაინც იქნებოდა უკვე ბოლოსდაბოლოს მობილიზებული ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის ძირითადი ნაწილები. მათთვის ცხადია, წარმოუდგენელი იყო იმის დაჯერება, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მობილიზაცია ჯერ არც კი იყო დაწყებული და ამ მიმართულებაზე პირველი საგრძნობი დანაკარგები მათ ისევ და ისევ გენერალ წულუკიძის საბრძოლო რაზმის ნარჩენებმა მიაყენეს.

ამ დასკვნას ის ფაქტიც ამაგრებს, რომ შემდეგი ორი დღე-ღამის განმავლობაში სომხებს ამ უბანზე არავითარი საბრძოლო აქტივობა აღარ

გამოუჩენიათ. ფაქტია, რომ ისინი დამხმარე ძალების მოსვლას ელოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდნენ ძლიერ შეტევით ოპერაციას სადახლოს ასაღებად... ესეც ჩვენი დიდი სტრატეგოსი და მხედართმთავარი გენერალი დრო კანაიანი და მისი თეთრგვარდიული შტაბი, რომლის „მხედრული გენიაც'' უკვდავების შარავანდედით არის მოსილი ყოველთა სომეხთა მიერ. ფაქტია, რომ სომეხთა „ჰანიბალმა'' ამ მიმართულებაზე პირველი მძიმე დანაკლისი განიცადა და აშკარად დაფრთხა.

სადახლოს თავდაცვითი ბრძოლის პირველი ეტაპი ქართველთა სრული და დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. უსასტიკეს ხელჩართულ ბრძოლაში მათ სომხური შენაერთის საბრძოლო ავანგარდი ფაქტიურად აჰკაფეს და მხოლოდ მისმა მცირე ნაწილმა შეძლო რის ვაი–ვაგლახით, გაქცევით ეშველა თავისათვის.

რიჩარდ ოვანესიანი 1918 წლის 18 დეკემბრის სადახლოს პირველი ბრძოლის შესახებ მართლაც რომ ფანტასტიკურ ცნობებს გვაწვდის, რაც ნამდვილად მოულოდნელია ასეთი სერიოზული მკვლევარისაგან, კერძოდ: „სამხედრო საქმეთა მინისტრი გრიგოლ გ. გიორგაძე პირადად ჩაუდგა სათავეში ქართველთა ათასკაციან ქვეით ნაწილს, საკავალერიო ესკადრონს და უკანასკნელ ჯავშანმატარებელს სადახლოში, 18 დეკემბერს. თუმცა ამ მანევრმა დროს მაინც არ ააღებინა ხელი გადაწყვეტილებაზე გაენადგურებინა გენერალი წულუკიძე''(?!)[170]

ჩვენის აზრით, ამ ამონარიდის შესახებ კომენტარის გაკეთებაც კი უხერხულია. არა თუ დასაწერად, წარმოსადგენადაც კი ძნელია მსგავსი სახის დეზინფორმაცია... აქ ბატონი ოვანესიანი სამეცნიერო სფეროდან აშკარად პოპულარულ ფანტასტიკაში გადადის და თავისი წარმოსახვების მასშტაბებით თვით ბარონ მიუნჰაუზენსაც კი აჭარბებს. ოვანესიანის ამ ფანტასტიკური პასაჟის მიზეზები კი მის შემდეგ სტრიქონში ცხადდება — „სომხური ქვედანაყოფები ჯავშნოსანი მატარებლის ცეცხლის წარმოების ზონაში აღმოჩნდნენ და თავდაპირველად მძიმე დანაკარგები განიცადეს''.

ავტორი აშკარად აღიარებს სომეხთა დიდ დანაკარგებს და ამ ფაქტს ოვანესიანი საქართველოს სამხედრო მინისტრის, ვირტუალური ქართული ათასეულისა და ცხენოსანი ესკადრონის ბრძოლაში ჩართვით ამართლებს. სომეხთა დიდი დანაკარგების მთავარ მიზეზად კი იგი ისევ და ისევ სომეხთათვის საბედისწერო ქართულ ჯავშნოსან მატარებელს ასახელებს და არა ერთი მუჭა ქართველების მხედრულ სიმამაცესა და შეუპოვრობას თავგანწირულ ხელჩართულ ბრძოლაში. მეტი დამაჯერებლობისა და ეფექტისათვის კი ავტორი ამ ვირტუალურ ქართულ ნაწილებს პირადად საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს, ბატონ გრიგოლ გიორგაძეს უყენებს სათავეში...

18 დეკემბრიდან სადახლოს ფრონტზე შემდეგი ოპერატიული ვითარება შეიქმნა. დამფრთხალმა სომეხთა მე–4, მე–6 მსროლელმა პოლკებმა, I–ლი პოლკის ქვედანაყოფებმა და საბრძოლო რაზმებმა თავიანთი მოქმედების

ტაქტიკა შეცვალეს. მათ ფლანგური მანევრით გვერდი აუარეს სადახლოს და 19 დეკემბრის გამთენიისას მარშით შევიდნენ ქალაქ შულავერში, თავიანთ მძლავრ საყრდენ პუნქტში, ზურგში მოექცნენ რა სადახლოში დისლოცირებული ქართული რაზმის ნარჩენებს. ამ დღესვე ქალაქ შულავერსა და მეზობელ სოფლებში ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის საყოველთაო საომარი მობილიზაცია განხორციელდა სადახლოზე ძლიერი შეტევითი ოპერაციის დასაწყებად, რის შემდეგაც:

„დეკემბრის 20–ში კარგი, მზიანი დღე გათენდა... დაახლოებით 11 საათზე სომხებმა დაიწყეს მედგარი საარტილერიო დაბომბვა. გამოირკვა, რომ სადახლოს ირგვლივ მტერს საერთო იერიში მოჰქონდა ჩვენზე. ამავე ხანებში ატყდა საშინელი სროლა შულავერის სადგურზე. თურმე 600 ზინვორები დაშვებულიყვნენ შულავერის გორებიდან სადგურ შულავერის დასაჭერად".[171]

სომხურმა საჯარისო ნაწილებმა და მოხალისეთა საბრძოლო რაზმებმა 21–ში სადგური შულავერი დაიკავეს. ქართული მხარისათვის ყველაზე საგანგაშო კი ის იყო, რომ სომხებმა სადგურ შულავერის დაკავებით მოახერხეს ნავთლუღი– სადახლოს რკინიგზის ხაზის მონაკვეთის გადაჭრა, რითაც ქართული ქვედანაყოფები უკვე მერამდენედ, სრულ ალყაში აღმოჩნდნენ მოქცეულები. სავარაუდოდ, სადახლოს 400–450 კაციან ქართულ გარნიზონს სულ მცირე 3500 კაციანი სომხური შეჯარი დაუპირისპირდა – ისევ მრავალჯერადი უპირატესობა.

დღესავით ნათელია, რომ ყოველგვარ რეზერვსა და დამხმარე ძალას მოკლებული გენერალ წულუკიძის რაზმის ნარჩენები დასაღუპავად იყვნენ განწირულები. თავისთავად ცხადია, რომ ქართული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის ფიზიკური მდგომარეობა და საბრძოლო სულისკვეთებაც არ უნდა ყოფილიყო მაღალი, რადგან „მთელი სიმწვავე ბრძოლის წარმოება–თავდაცვისა უნდა აეტანა ათი ვერსის მანძილზე გაშლილ ჩვენს მხედრებს, რომელნიც დეკემბრის 15–დან შეუსვენებლივ და დაუხმარებლივ, ძლიერს თოვლ–ყინულიან დღე–ღამეში დეკემბრის 21–დე იყვნენ გაშლილნი პოზიციებზე".[172]

გენერალ წულუკიძის ერთადერთი ხსნა დამხმარე ძალები იყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დამხმარე ძალები არ გამოჩენილან. საქართველოს მთავრობამ მხოლოდ 18 დეკემბერს გამოაცხადა საომარი მობილიზაცია, რაც ჩვენ ზემოთ გვქონდა დაწვრილებით განხილული და 21 დეკემბრისათვის რეალური ძალების თავმოყრა და მათი ფრონტებზე გაგზავნა ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზებული.

გენერალ კვინიტაძის მემუარიდან: „საველე შტაბის უფროსმა, გენერალმა იმნაძემ, ვითარების აღწერისას და რუკაზე გენერალ წულუკიძის ჯარების განლაგების მითითებისას თქვა, ალბათ დეპეშაში რაღაც არეულია, რადგან შეუძლებელია ჩვენი ჯარები ასე იყოს განლაგებული. მაგრამ ყველაფერი სწორი იყო. ჩვენი ჯარი სადახლის გარშემო, მთის ძირას იდგა და

არსებითად ალყაში იყო მოქცეული. გარშემორტყმული მთების ყველა უმაღლესი წერტილი მოწინააღმდეგის ხელში იყო".[173]

მიუხედავად ასეთი უიმედო ტაქტიკური მდგომარეობისა, ქართულმა ქვედანაყოფებმა რამდენჯერმე მოიგერიეს სომეხთა ძლიერი შეტევა და მტერს უკანაც დაახევინეს. რიჩარდ ოვანესიანი: „22–ში სომხებმა ისევ დაარტყეს და დაიკავეს სადგური სადახლო და მისი გარშემოგარენი, მაგრამ ისინი ხელმეორედ იყვნენ უკუგდებულნი ქართული ქვედანაყოფებისა და ჯავშანმატარებლის მიერ".[174]

ავტორი ვერ უარყოფს სომეხთა მორიგ წარუმატებლობას, ამავე დროს, იგი არ აკონკრეტებს, რომ სულ რაღაც ოთხმა ასეულმა ქანცგაწყვეტილმა ქართველმა მეომარმა აიძულა მრავალრიცხოვანი სომხური შენაერთი უკან დაეხია და სომეხთა წარუმატებლობის მიზეზად ისევ და ისევ ქართულ ჯავშანმატარებელს ასახელებს. ქართული რაზმის ეს დროებითი წარმატება, ბუნებრივია, რაზმის პირადი შემადგენლობის უდიდესი ძალისხმევის შედეგი იყო და იგი ვერ აღკვეთდა საბოლოოდ სომხური შენაერთის განმეორებით შემოტევებს. სომხური ნაწილები შეუპოვრად მოიწევდნენ წინ, ბოლოსდაბოლოს მათ ყველა გაბატონებული სიმაღლე დაიკავეს და ქართული რაზმის თავდაცვითი პოზიციების ფლანგური შემოვლაც განახორციელეს. პოდპოლკოვნიკ ჩეჩელაშვილის პატაკიდან:

„მოგახსენებთ, რომ გენერალ წულუკიძის რაზმში ჩვენი მოვლინებისას სადგურ სადახლოზე, გავერკვიე რა, ვითარებასა და ჩვენი ნაწილების დისპოზიციაში, შევთავაზე გენერალ წულუკიძეს, რომ შეგვეცვალა პოზიციები, დაგვეტოვებინა სადგური და ჯარები გადაგვეჯგუფებინა სადახლოს ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლებზე. (ლამბალოს (დღევანდელი ბაგრატაშენი – ა. ჩ.) ჩრდილო–აღმოსავლეთით და დამიასთან მდებარე სიმაღლეები). ამაზე გენერალმა წულუკიძემ მიპასუხა, რომ მას მიღებული აქვს ბრძანება არ დატოვოს სადგური. არსებითად ჩვენ ტომარაში ვიყავით მოქცეულები, ამასთან ერთად, სომხებს ყველა გაბატონებული სიმაღლე ჰქონდათ დაკავებული".[175]

სადახლოს რაიონში გარშემორტყმული ქართული საჯარისო ნაწილების სამეთაურო შემადგენლობაზე კი სრულ სურათს იძლევა გაზეთ „სახალხო საქმეში" დაბეჭდილი შემდეგი ცნობა:

„მოვიდა გულის შემზარავი ყრუ ცნობები: მთელი ჩვენი ჯარი გარს შემორტყმულია, იქ არის მომწყვდეული შტაბი სარდალ წულუკიძისა და პოლკოვნიკ ჩეჩელაშვილის (უნდა იყოს პოდპოლკოვნიკ ჩეჩელაშვილის – ა. ჩ.) მეთაურობით, იქ დარჩა ოთხი ზარბაზანი პოლკ. ცაგურიასა და კაპ. ქარუმიძის მეთაურობით. პოლკოვნიკი კონჭოშვილი, პოდპოლკ. მაჭავარიანი, კაპ. სტანიშევსკი, პისკუნოვი და სხვა თავის ნაწილებით. იქ არის კორნეტი ნათიშვილი ასეულით, პოლკოვნიკი არჩილ ფურცელაძე (უნდა იყოს პოდპოლკოვნიკი – ა. ჩ.) თავისი ოფიცრებით და ნაწილებით, პოლკ. რამაზაშვილი (უნდა იყოს პოდპოლკოვნიკი – ა. ჩ.) თავის რაზმითა და

ოფიცრებით, პოდპოლ. დოლიძე, (უნდა იყოს როტმისტრი — ა. ჩ.) პოლკოვნიკი ბერიაშვილი (უნდა იყოს პოდპოლკოვნიკი — ა. ჩ.) და სხვანი".[176]

სომხური ნაწილების ფორსირებული შეტევების შედეგად ქართველთათვის ოპერატიული მდგომარეობა ნელ–ნელა დამძიმდა. მიუხედავად ამისა, გენერალმა წულუკიძემ უკანასკნელ წუთებამდე არ მოახდინა თავისი შტაბის ევაკუაცია სადგურ სადახლოდან და უკან დახევის ბრძანებასაც არ მოაწერა ხელი. პოდპოლკოვნიკ ჩეჩელაშვილის პატაკიდან:

„21–ში მე შევთავაზე გენერალ წულუკიძეს სადგურ სადახლოს დატოვება და უკან, მდინარე ხრამის პოზიციებზე გადასვლა. ამავე დროს, ვუთხარი, რომ მოვამზადებ უკან დახევის ბრძანებას. თავდაპირველად გენერალი დამეთანხმა. მე შევად დავწერე ბრძანება და კავშირგაბმულობის უფროსს, კაპიტან ნიშნიანიძეს ვუბრძანე გადაეწერა იგი თეთრად. როდესაც გენერალს ბრძანება წარვუდგინე ხელმოსაწერად, მან თქვა: — „კიდევ უნდა გაუძლოთ!".[177]

1918 წლის 21 დეკემბრის საღამოსათვის კი საბრძოლო პოზიციებზე შემდეგი ვითარება შეიქმნა.

პოდპოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი: „16 საათისათვის რკალი ნელ–ნელა შეიკრა. ჩვენმა არტილერიამ ყველა ჭურვი გაუშვა, სომხებმა კი დაიწყეს არტილერიასთან მიახლოება. მე–4 ბატარეამ კარტეჩის სროლა დაიწყო და ჭურვების არქონის გამო მოიხსნა პოზიციებიდან. ალყაშემორტყმულების დასახმარებლად რაზმის უფროსის თანხმობით მე–6 პოლკის ნახევაროტა გავგზავნე".[178]

პოდპოლკოვნიკი მიქაბერიძე:

„324–ე სიმაღლეზე მრავალი ჩვენი მებრძოლი დაიღუპა. სასიკვდილოთ დაჭრეს პრაპორშიკი დოლიძეც. ჩემდამი დაქვემდებარებულმა ბატალიონმა პოდპოლკოვნიკ ბერიძის (უნდა იყოს, პოდპოლკოვნიკ ბერიაშვილის — ა. ჩ) მე–6 პოლკის ბატალიონი შეცვალა. აქ მე ბრძანება მივიღე მე–6 პოლკის მხარდასაჭერად გამეგზავნა 60 მებრძოლი პოდპორუჩიკ თარხან–მოურავის მეთაურობით (მოვლინებული ოფიცერი).

საღამოს 9 საათისათვის მივიღე ბრძანება დამეკავებინა სოფლების, ლამბალოსა და ბეთარაბჩის შორის მდებარე სიმაღლეები. აღნიშნული უბანი უზომოდ დიდი იყო კაპიტან ამაშუკელისა და პოდპორუჩიკ პლავსკის 60 კაციანი რაზმისა და პოდპორუჩიკ მაჭავარიანის ტფილისის საყარაულო ბატალიონის 50 კაცისათვის.

მართლაც, ამ უბანზე ჩვენი თავდაცვის მარცხენა ფლანგსა და დასახელებულ სიმაღლეებზე მალე გამოჩნდა მოწინააღმდეგის 300 კაციანი რაზმი ტყვიამფრქვევებითა და ძლიერი საკავალერიო მხარდაჭერით. მარცხენა ფრთამ შეძლო პოზიციების შენარჩუნება დღის პირველი საათიდან დაბნელებამდე. ამავე დღის ოთხის ნახევარზე მოწინააღმდეგემ ძლიერი საარტილერიო მხარდაჭერით შეტევა განახორციელა ეკლესიასთან

განლაგებულ ჩვენს პოზიციებზე. ერთდროულად მოხდა ჩვენი მარცხენა ფლანგის გარშემოვლა სოფელ ლამბალოსთან. პირველი ორი შეტევა ჩვენს მიერ წარმატებით იქნა მოგერიებული.

საღამოსათვის შეტევა განმეორდა და მოწინააღმდეგის ცალკეულმა ჯგუფებმა გაარღვიეს ჩვენი თავდაცვის ზღუდეები, როგორც სოფელ დამიასთან, ასევე სოფელ ლამბალოსთან. გარღვეული უბნის აღსადგენად ჯოელგვარი რეზერვები ამოწურული იყო და ბრძოლებმა უკვე სადგურ სადახლოსა და სოფელ ლამბალოს შორის მდებარე ხიდთან გადაინაცვლა. სხვა ქვედანაყოფებთან კავშირი არ იყო და მე შევუერთდი თბილისის საყარაულო ბატალიონისა და მე–5 პოლკის საბრძოლო მწკრივს. საღამოს 11 საათზე გადავწყვიტეთ ბრძოლებით გაგვერღვია ალყა და სამშვიდობოს გავსულიყავით, რაც მოვახერხეთ კიდეც.”[179]

ზემოთ წარმოდგენილი მასალები ქართველ მეთაურთა საბრძოლო პატაკებს წარმოადგენს და ისინი სრულად აღწერენ სადახლოს რაიონში 20–22 დეკემბერს წარმოებული ბრძოლების პერიპეტიებს. მტრის მრავალჯერ აღმატებულ ძალებთან თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად, რა თქმა უნდა, ქართული ქვედანაყოფებისათვის კატასტროფა უნდა დამდგარიყო. მაგრამ იგი უნდა დამდგარიყო არა 22 დეკემბრიდან, არამედ 18 დეკემბერსვე, როდესაც განუწყვეტელი ბრძოლებით მოქანცულ მცირერიცხოვან ქართულ ქვედანაყოფებზე სომეხთა პირველი იერიში იქნა მიტანილი.

მერამდენედ გვიწევს იმის გამეორება, რომ სომსური და პროსომხური ისტორიოგრაფია ქართული საჯარისო ნაწილების მიერ სანაინი–სადახლოს უბანზე წარმოებულ მედგარ თავდაცვით ბრძოლებს ქართველთა პანიკურ უკანდახევად ხატავს. ეს კი ისტორიული რეალობის ისეთი აშკარა ფალსი–ფიკაციაა, როგორც გენერალ დრასთამატ კანაიანის, ანდა, გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ჰანიბალებად წარმოსახვა.

სწორედ გენერალ ოზანიანისათვის, სომეხთა „ჯორჯ ვაშინგტონისათვის” იყო დამახასიათებელი სრული პანიკა და ბრძოლის ველიდან თავქუდმოგლეჯილი გაქცევა. გავიხსენოთ, როგორ იქცეოდნენ გენერალ ანდრანიკის შენაერთები საარაკოდ გამაგრებული ციხე–ქალაქ არზრუმის დატოვებისას 1918 წლის თებერვალ–მარტში, როცა სომხური ნაწილები ყოველგვარ ბრძანების გარეშე მასიურად იხსნებოდნენ სათანადოდ მომზადებული პოზიციებიდან, ხოლო ცხენზე ამხედრებულმა გენერალ ანდრანიკ ტოროს ოზანიანმა პანიკური გაქცევით უშველა თავს და თან ისეთი სისწრაფით, რომ შიშით თავგზააბნეულმა საკუთარ შენაერთებსაც კი გადაასწრო.

ამონარიდი პოდპოლკოვნიკ ჩეჩელაშვილის მოხსენებითი ბარათიდან, სადაც სადახლოს ქართული რაზმის გმირული თავდაცვითი ბრძოლების ბოლო წუთებია აღწერილი:

„როგორც იქნა დაბრუნდა პორუჩიკი ნემსაძე, რომელიც ყვირილით მოუახლოვდა შტაბს:

– სად არის რაზმის უფროსი? სადაა შტაბის უფროსი? – მან შემომთავაზა, რომ დამეწერა ყველა განკარგულება, ამასობაში იგი უზრუნველყოფდა შტაბის დაცვას. შემოგვიერთდა სადგურ სადახლოს კომენდანტი ჯარისკაცებით.

რამდენიმე წუთში შემოვარდა პორუჩიკი ნემსაძე და მითხრა, რომ მეტი დახანება აღარ შეიძლება, რადგან სომხები შტაბს უახლოვდებიან. და დაამატა, რომ მას თავისი მეთაურისაგან ბრძანება აქვს მიღებული დაიცვას შტაბი და განმიცხადა, რომ იგი მე არ დამტოვებდა...

ოცეული საბრძოლო მწკრივში გაიშალა და ჩვენ სადგურ აშაღა–სარალისაკენ დავიწყეთ ბრძოლით უკანდახევა. სავალალო დასასრულის დადგომას მე ერთი დღით ადრე ვევარაუდობდი, ამიტომ დატვირთული საზიდრები და რადიო წინასწარ ბეთარაბჩიში გავაგზავნე".[180]

შერეული ბატალიონის ზურგისა და საბრძოლო აღჭურვილობის საზიდრების ევაკუაციის შესახებ სრულ ინფორმაციას, იგივე პრაპორშიკ კანდელაკის პატაკი იძლევა, საიდანაც კიდევ ერთხელ გარკვევით ჩანს, რომ ქართული ქვედანაყოფების უკან დახევა ორგანიზებული წესით ხდებოდა და მათ მიერ თვით აღჭურვილობაც კი დროულად იქნა ევაკუირებული:

„22 დეკემბრის დილის 6^{30} საათზე მივიღე ბრძანება ბატალიონის კუთვნილი ტვირთის გადასარჩენად, რომელიც 17 საზიდრისაგან შედგებოდა. კოლონა სოფლების, ლამბალოსა და ბეთარაბჩის გავლით სოფელ ახილუ–მამედლუმდე უნდა ჩამეტანა. გზის მარჯვენა მხრიდან სროლები ისმოდა და როცა ბეთარაბჩის აღმოსავლეთით მდებარე სასაფლაოს მივუახლოვდი, მთებზე სომხები დავინახე, რომლებმაც უმალ ცეცხლი გაუხსნეს კოლონას. კოლონა ნელ–ნელა მოვაშორე მთებს და დაბლობზე გავედი. ამრიგად მოვახერხე სოფ. ახილუ–მამედლუმდე ჩასვლა. 25 დეკემბერს რაზმის ინტენდანტს ჩავაბარე საზიდრები, მე კი მივიღე ბრძანება 35 მსროლელთან ერთად ჩემს ნაწილს შევერთებოდი და შემევსო გარღვეული უბანი შერეულ ბატალიონსა და გვარდიელებს შორის, სოფელ ბაითალუდან ყიზ–ყალის კლდეებამდე".[181]

ქართული ქვედანაყოფების მიერ სადახლოს ალყის გარღვევა და უკანდახევა სრული სამხედრო მწყობრით, საბრძოლო ბრძანების შესაბამისად განხორციელდა, ორგანიზებულ კოლონებად. ქვემოთ მოყვანილი საარქივო მასალა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ჩვენი მტკიცებულების არგუმენტირებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტი გენერალ წულუკიძის რაზმის უკანდახევის საბრძოლო ბრძანებას წარმოადგენს:

„ბრძანება სადახლოს რაზმს №3. 21. 12. 1918. 23 საათი და 30 წუთი.

ჩემს დაქვემდებარებაში არსებული რაზმების არაბელსაყრელი პოზიციური განლაგების გამო, ვბრძანებ შეცვლილ იქნას ძველი პოზიციები და დაკავებულ იქნას ახალი, სოფელ არაფლოდან სოფელ დიდ მუღანლომდე-რისთვისაც:

მე–5 პოლკის ნაწილებმა და საყარაულო ბატალიონმა დაიკავონ პოზიციები სადგურ სადახლოს ჩრდილო–აღმოსავლეთით, სოფელ ჭალადან ახმამედლომდე მიმავალი გზის ჩათვლით. ამავე ნაწილებმა, მთელი რაზმის სადახლოდან გამოსვლისას შექმნან არიერგარდი. წულუკიძის საყარაულო ასეულმა შექმნას ფლანგური რაზმი და არიერგარდის მოხსნისას გააგრძელოს გზა ელ–დაღის მთით ახმამედლოზე. ამ ნაწილებმა პოზიციები უნდა დაიკავონ 24 საათისათვის. ავანგარდში იმოძრავებს დრაგუნთა 1–ლი ესკადრონი.

ესკადრონი სადახლოში უნდა გამოცხადდეს $3^{1/2}$ საათზე. მეექვსე პოლკის მე–2 ასეულმა საბრძოლო მწყობრით დატოვოს საბრძოლო უბანი და იყოს სადგურში 4^{00} საათისათვის. კოლონის თავში მყოფი სიმაღლე 324–ის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი რამაზოვი მესაზღვრეებთან ერთად გამოემართოს 3^{15} საათზე. სადგურ სადახლოზე გამოცხადდეს 4 საათისათვის.

არტილერია მარშის დროს განლაგდეს მესაზღვრეების უკან. მე–4 სამთო ბატარეის ოცეული აგრეთვე განლაგდეს მესაზღვრეების უკან და გამოცხადდეს სად. სადახლოში 4^{10} საათზე. მე–4 სამთო ბატარეის ოცეულს უკან მოყვეს სამთო–ცხენოსანი ბატარეა, რომელიც უნდა იყოს სადგურზე 4^{15} საათზე.

მე–6 პოლკის 1–მა ასეულმა საბრძოლო მწყობრით დაიხიოს უკან და მოვიდეს სადგ. სადახლოზე 4^{20} საათისათვის.

მარჯვენა უბნის უფროსი გაემართოს სოფელ მამაიზე, რომელიც დამიის აღმოსავლეთით მდებარეობს რკინიგზის ხაზზე და მოიხსნას პოზიციებიდან 4^{15} საათზე. გამოემართოს მე–6 პოლკის მე–2 ასეულის უკან. მე შტაბთან ერთად მთავარი ძალების კოლონის თავში ვიქნები.

ნაწილების პოზიციებზე განლაგების შესახებ დამატებითი ცნობები მოწოდებულ იქნება კოლონის შესვენების ადგილზე. ყველა ნაწილმა რკინიგზის ხაზთან გადაადგილებისას შეინარჩუნოს საბრძოლო მწყობრი.

რაზმის უფროსი, გენერალ–მაიორი წულუკიძე.

შტაბის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი.

1 – საყარაულო ბატალიონს.

2 – მე–6 პოლკს.

3 – პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძეს.

4 – სამთო–ცხენოსან ბატარეას.

5 – მე–4 სამთო ბატარეას''.[182]

მოყვანილ უკანდახევის საბრძოლო ბრძანებაში ქართული პოლკი, ბატალიონები, ესკადრონი და ბატარეებია მოხსენიებული, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მართლაც ამ დასახელების შესაბამისი ტაქტიკური ერთეულები შეადგენდნენ გენერალ წულუკიძის რაზმს 1918 წლის 22 დეკემბრისათვის. სავალალო რეალობა ისაა, რომ ამ მომენტისათვის ქართული ,,ბატალიონები'' პირადი შემადგენლობის მიხედვით ფაქტობრივად ოცეულებამდე იყო დაყვანილი, რაც ცალახად დასტურდება პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის ზემოთ განხილული პატაკითაც, რომლის მიხედვით, ყველაზე

დიდ, შერეულ ბატალიონში, სომეხთა ბოლო შტურმის დაწყებამდეც კი, სულ რაღაც 163 კაცი ირიცხებოდა.

პროფესიონალი სამხედროსათვის წარმოდგენილი ბრძანების ტექსტის გაცნობისას ცხადი ხდება, რომ მოცემულ ბრძანებას რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი აკლია. კერძოდ, ადეკვატურად არ არის შეფასებული შექმნილი ოპერატიული ვითარება. არ ჩანს ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრი და არ არის ნაჩვენები მეზობელი და მხარდამჭერი ძალების დისპოზიცები. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან მეთაურისათვის, გენერალ წულუკიძისათვის ცხადი იყო, რომ შექმნილ მდგომარეობას მხოლოდ ერთი შეფასება შეიძლება მისცემოდა — კატასტროფული. და ამ კატასტროფული ოპერატიული მდგომარეობის დასაფარავად მეთაურის შეფასებას შემდეგი ფორმულირება აქვს მიცემული — „არახელსაყრელი პოზიციური განლაგება". აღნიშნული შეფასებაც გენერალ წულუკიძის პროფესიონალიზმსა და მაღალ საბრძოლო სულზე მეტყველებს ცალსახად. გარდა ამისა, რაღა თქმა უნდა, რეალურად არავითარი ზემდგომი შტაბი და მეზობელი, დამხმარე ან შეშველებული სამხედრო ერთეულები, თუნდაც საჯარისო ქვედანაყოფები სადახლოს ფრონტზე ამ მომენტისათვის არ არსებობდნენ.

სადახლოს გმირული თავდაცვითი ბრძოლების აღწერისას, განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ არტილერისტებთან დაკავშირებული საბრძოლო ეპიზოდი. მართლაც რომ გასაოცარია მათი თავგანწირვა ალყიდან გამოსვლის მომენტში:

„ყველაზე მეტი გაჭირვება გამოეცლო არტილერისტებს და მათ რაზმს. ბრძოლა ზარბაზნებით 5 საათამდე გაგრძელებულიყო და როდესაც პოლკ. ცაგურიას და ქარუმიძეს შეეტყოთ, რომ ყუმბარები ელეოდათ, წინდაწინვე გამოეგზავნათ სამი ზარბაზანი, ხოლო ბოლომდე იქ ერთი ზარბაზანი დაეტოვებინათ.

მაშინ, როცა საჭირო იყო შრაპნელით მოქმედება მოსეულ მტერზე, უკმარისობისა გამო, გრანატებს ესროდნენ. როდესაც ქარუმიძეს უნახავს საშიში მდგომარეობა ცაგურიასი, ისიც შეშველებია, ერთად შეკუმშულან 80 მეომარი პ. ცაგურიას მეთაურობით და მგლის ხროვასავით გარს შემორტყმული მტრისთვის თავზარდამცემი შეჯყივლებით ჰკვეთებიან. პოლკ. ცაგურიას მიუგდია ცხენი მოიერიშე სომხებზე, გაუკაფავს ხმლით რამდენიმე კაცი და ასე ბრძოლით უვნებლად გამოსულან სამშვიდობოზე. დაჭრილა ცაგურია ბარძაყსა და ხელში ხიშტით...".[183]

სადახლოს თავდაცვითი ბრძოლების ერთობ ნიშანდობლივი ტაქტიკური შეფასებაა მოცემული ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარის" 1919 წლის ნომერში:

„ქართული ჯარი ჯერ კიდევ იმდენად სუსტი იყო, რომ სრულიად მოკლებული იყო ფრონტის გაფართოების უნარს. სომხებს კი შეეძლოთ ეს, რადგან ისინი ოთხჯერ–ხუთჯერ მეტნი იყვნენ. ფრონტის გაფართოებას გარშემორტყმა მოსდევს, თუ მოწინააღმდეგემ მითვე არ უპასუხა მტერს. დეკემბრის 21 და 22–ში სასტიკი ბრძოლები წარმოებს. ზოგი ერთეული

4–5–ჯერ იგერიებს მრავალრიცხოვანი მტრის იერიშებს. მაგრამ სომხები სარგებლობენ რიცხვითი სიჭარბით და გარს ერტყმიან ჩვენ რაზმებს. გარშემორტყმული ერთეულის ბედი, საერთოდ გადაწყვეტილია: იგი ან უნდა გასწყდეს, ან ტყვედ ჩაუვარდეს მტერს. მაგრამ სომხების სტრატეგიის „შედევრები" ისევე არ სჭრის ქართველებზე, როგორც რუსებისა არ სჭრიდა გერმანელებზე. არა თუ ქვეითი ჯარის ნაწილები, არტილერიაც კი ახერხებს (ცაგურიასა და სხვათა მეთაურობით) მტრის რკალის გარღვევას და სამშვიდობოს გამოსვლას".[184]

ახლა კი ისევ სომეხი ავტორი ჰამლეტ გევორქიანი და მისი ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოები – „დრო":

„23 დეკემბერს დრომ გადააჯგუფა თავისი ძალები და გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა ქართული ჯარების წინააღმდეგ. ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლები ქართველთა დამარცხებით დასრულდა. გენერალმა წულუკიძემ კვლავ გაქცევით უშველა თავს და იქაური თურქული (აზერბაიჯანული – ა. ჩ.) მოსახლეობის დახმარების წყალობით გადაურჩა გარდაუვალ სიკვდილს".[185] დიახ, ისევ ქართული „ჯარები" და „არმია" და არა სულ რაღაც სამი ასეული გმირი ქართველი.

პოდპოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი: „22 დეკემბრის ღამით, სადახლოს რაზმმა ბრძოლებით გაარღვია ალყა, დაიხია უკან და შემდეგი ხაზი დაიკავა, სოფლები: ბაითალო–ულაშლო–ახმამედლო–ყაჩაღანი. ამავე დღეს გენერალი წულუკიძე თბილისს გაემგზავრა მოხსენების გასაკეთებლად, მე კი გენერალ სუმბათოვის (გენერალ–მაიორი დავით სუმბათაშვილი, მე–2 ქვეითი დივიზიის მეთაურის მოადგილე – ა. ჩ.) განკარგულებაში გადავედი".[186]

მოტანილი დოკუმენტის მიხედვით, ეს ოპერატიული თავდაცვითი ზღუდე იქნა დაკავებული გენერალ წულუკიძის რაზმის შერეული ბატალიონის ძირითადი ნაწილის მიერ 1918 წლის 23 დეკემბრისათვის, ხოლო რაზმის უმნიშვნელო ნაწილმა მდინარე ხრამის მიმართულებით დაიხია უკან.

სადახლოს 18–23 დეკემბრის თავდაცვით ბრძოლებში ქართული მხარის დანაკარგების შესახებ ქართულ წყაროებში მონაცემები დაცული არ არის. ოველ შემთხვევაში, ჩვენს მიერ მოპოვებულ საარქივო მასალებსა და ბეჭდროინდელ პერიოდიკაში მსგავსი ხასიათის ინფორმაციას ვერ წავაწყდით. ვენი გაანგარიშებით იგი დაახლოებით 100 კაცამდე უნდა ყოფილიყო. ოიჩარდ ოვანესიანის მიხედვით კი, რომელიც ვრაციანის ნაშრომში მოყვანილ ბნობებსა და სომხურ არქივებში დაცულ მასალებზე დაყრდნობითაა ბარმოდგენილი, ვკითხულობთ:

„მეორე დღეს (23 დეკემბერს – ა. ჩ.) დრომ, თორმეტ ასეულს უბრძანა რულმასშტაბიან შეტევაზე გადასვლა. რამდენიმესაათიანი გააფთრებული რძოლების შემდეგ სომხებმა დაიკავეს სტრატეგიული სოფელი და ალაფის ხიხით ხელში ჩაიგდეს სამი ორთქლმავალი, სურსათითა და საბრძოლო სალებით დატვირთული ასზე მეტი საზიდარი და 130–დე ტყვე".[187] ვარაუდოდ, მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები სიმართლეს შეესაბამება.

სადახლოს თავდაცვით ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის, ქართული რაზმის პირადი შემადგენლობის ნაწილი, სამხედრო სამინისტროს წამახალისებელი ბრძანებითაც იქნა აღნიშნული. ფორმატის დაზოგვის მიზნით, ჩვენ აქ მხოლოდ ერთ–ერთ მათგანს მოვიყვანთ.

„ბრძანება №249. 22. 12. 1918.

აყვანილია ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის სოფ. სადახლოსთან, ცხენოსან ჯარში, პოდპოლკოვნიკის ხარისხზე – 1–ლი ცხენოსანი პოლკის როტმისტრი დადიანი (ანდრია).

მინისტრის მაგიერ გენ. მდივანი".[188]

ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ჩვენ არ ვაპირებდით სომხეთ–საქართველოს ომის საერთო სურათის დახატვას მხოლოდ ქართული მხარისათვის მისაღებ ფერებში. ჩვენს მიერ საკვლევი თემის შესწავლა და მისი გაშუქების ტენდენცია არ ითვალისწინებს ამა თუ იმ მხარისათვის გაუმართლებელი ხოტბა–დიდების შესხმას და არაარგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას.

ამ კონტექსტში, 18–23 დეკემბრის სადახლოს ბრძოლებთან დაკავშირებით აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სადახლოსთან წარმოებულ გმირულ საბრძოლო მოქმედებებთან ერთად, ადგილი ჰქონდა ცალკეული ქართული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის მხრიდან გამოვლენილ არამხედრულ ქმედებებსაც, რაც საარქივო მასალებშიაც არის დაფიქსირებული. საქმე მე–5 ქვეითი პოლკის ცალკეული ქართველი ჯარისკაცების მიერ საბრძოლო პოზიციების მიტოვებას ეხება, რაც ასევე არ დარჩენილა ზემდგომ მეთაურთა რეაგირების გარეშე და შესაბამისი ასახვა ჰპოვა სამხედრო მინისტრის მოადგილისა და საომარი მოქმედებების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის შესაბამის ბრძანებაში.

„ბრძანება №1. 19. 01. 1919. ტფილისი. სამხედრო მინისტრის თანაშემწისა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

22 დეკემბრის 1918 წ. №117–ით გამოცემულის საქართველოს მთავრობის ბრძანების §1–ის ძალით, სამხედრო მინისტრის ბრძანებისამებრ, ვაწესებ მეორე ქვეით დივიზიასთან საგანგებო სამხედრო სასამართლოს განსახილველად საქმისა 5–ე ქვეითთა პოლკის 9–ე გუნდის თექვსმეტის ჯარისკაცის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ სამხედრო დადგენილებათა კრებულის XXII წიგნის 245 მუხლის ძალით (ბრძოლის დროს პოზიციის მიტოვებისათვის).

თანაშემწე გედევანიშვილი".[189]

სადახლოს 1918 წლის 18–23 დეკემბრის ბრძოლები კიდევ ერთი უცნობი და გმირული ფურცელია საქართველოს ომების მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან. მიუხედავად განცდილი მარცხისა, ეს ბრძოლები ქართული მხარის გარკვეულ წარმატებად უნდა შეფასდეს. ტაქტიკური თვალსაზრისით, ეს იყო ქართული მხარის თავგანწირული თავდაცვითი ბრძოლა, სადაც

ქართულმა მცირერიცხოვანმა ქვედანაყოფებმა მტრის მრავალჯერად აღმატებულ ძალებთან გააფთრებულ ბრძოლებში, რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში შეძლეს სადახლოს ფრონტის ხაზის შენარჩუნება, რითაც ის ძვირფასი დრო იქნა მოგებული, რომელიც ასე ჭირდებოდა ქართულ შხარეს. ხოლო, შედარებით მცირე დანაკლისებით ალყიდან ბრძოლებით გამოსვლის ფაქტი, ხსენებული მანევრის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად შეიძლება მიეიჩნიოთ.

თავი V

§1. საომარ მოქმედებათა მეორე ეტაპი. ეკატერინენფელდის ბრძოლები

ეკატერინენფელდის ბრძოლები მთლიანობაში, ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია 1918–1919 წლების სომხეთ–საქართველოს ომის ისტორიიდან. მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ ბრძოლების პირველი ეტაპის შედეგებზე იყო გარკვეულწილად დამოკიდებული იმ კატასტროფული ოპერატიული მდგომარეობის გამოსწორება, რომელიც ომის საწყის ეტაპზე შეიქმნა საომარ მოქმედებათა ბორჩალოს თეატრზე, ხოლო ამ ბრძოლების მეორე ეტაპის შედეგებმა განსაზღვრა ფაქტობრივად სომხეთ–საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო საზღვრის გარკვეული უბნის სიდიდე და მოხაზულობა.

ერთობ ნიშანდობლივია, რომ ეკატერინენფელდის ბრძოლები, სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეუსწავლელია და იგი, ისევე როგორც სომხეთ–საქართველოს ომის თითოეული ბრძოლა, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ერთ–ერთი უცნობ ფურცელს წარმოადგენს დღესაც.

ოფიციალური სომხური ისტორიოგრაფია ათწლეულების განმავლობაში ჯიუტად დუმდა და ახლაც დუმს სომხეთ–საქართველოს ომის ამ უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის შესახებ – თითქოს იგი სულაც არ არსებულიყო. ჩვენ ამ შემთხვევაში სომეხი საბჭოთა ისტორიკოსები არა გვყავს მხოლოდ მხედველობაში. ჩვენ საზღვარგარეთის ქვეყნებში და განსაკუთრებით რუსეთში იმ მრავალად მოღვაწე სომეხი ეროვნების მკვლევარ–ისტორიკოსებს ვგულისხმობთ, რომლებიც განვლილი ათწლეულების განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით ქმნიდნენ და ახლაც ქმნიან 1918–1919 წლების სომხეთ–საქართველოს ომის შესახებ თავის „ნაშრომებს".

ზემონათქვამი სრულად ეხება აგრეთვე დღევანდელ სომხეთში მოღვაწე ავტორებსაც, რომლებიც ნამდვილად არ უჩივიან თავმდაბლობასა და ობიექტურებიც არ არიან, როცა სომეხთა „თავბრუდამხვევ და ფანტასტიკურ" გამარჯვებებს ასხამენ ხოტბას. სომეხ ავტორთა დუმილის მიზეზი ადვილი ასახსნელია – სომხეთ–საქართველოს ომის ეკატერინენფელდის ბრძოლა სომეხთა სამარცხვინო მარცხით დასრულდა.

დიახ, საკუთრივ ეკატერინენფელდის ბრძოლა ბორჩალოს მაზრაში პირველი დიდი მარცხი იყო იმ სომხური ნაწილებისათვის, რომლებიც აქამდე მცირერიცხოვან ქართულ საჯარისო ქვედანაყოფებზე მოულოდნელი თავდასხმის გამო ფაქტიურად შეუფერხებლად მოიწევდნენ წინ, საქართველოს გულისაკენ. ქართველი ავტორების მიერ კი, კომუნისტური ეპოქიდან დაწყებული, აღნიშნული თემების ობიექტური შესწავლა და გაშუქება,

გასაგები მიზეზების გამო, ტაბუდადებული თემა იყო და იგი ხელისუფალთა–გან იდეოლოგიურ მკრეხელობად მოინათლებოდა.

არა თუ ქართული საზოგადოების ფართო წრეებისათვის, არამედ ბევრი ქართველი ავტორისთვისაც უცნობია ამ ბრძოლების არა მარტო პერიპეტიები და ცალკეული დეტალები, არამედ ის ფაქტიც, რომ ამ ომში სომხებს ეკატერინენფელდი არ აუღიათ.

არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი 1918 წელს არსებული სომხურ–ქართული ურთიერთობების ძირითადი მომენტები ბატონ ფ. ჟიჟიაშვილის მიერ სტატიაში – „საქართველოს სამხრეთის საზღვრების პრობლემა, ანუ, სომხეთთან ურთიერთდამოკიდებულება 1918 წელს", მაგრამ ნაშრომში სომეხთა საბრძოლო აქტიურობის შესახებ ვკითხულობთ:

„1918 წლის 9 დეკემბერს სომხეთის ჯარმა ომის გამოუცხადებლად დაიწყო შეტევა და რამდენიმე დღეში დაიჭირა *ბორჩალოს მაზრა* და მისი მთავარი სტრატეგიული პუნქტები: კობერი, *ლორე*, სადახლო, *დმანისი, ეკატერინენფელდი*, შულავერი". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[1]

ერთ–ერთი ქართველი ავტორის მეორე სტატიაში კი ვკითხულობთ: „მეორე დღეს სწორედ ამ მაღლობებიდან შემოუტიეს სომხებმა და *გვარდიელთა უმეტესობა ამოხოცეს...*

19 დეკემბრის მარცხი (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) ისეთი მოულოდნელი, მტკივნეული და თანაც თავმოყვარეობის შემლახველი იყო, რომ მარქსისტულ იდეებზე თავგადაკლულ ვალიკო ჯუღელსაც კი თავის დღიურში ჩაუწერია: „19 დეკემბერი, ბრძოლები ეკატერინფელდთან. ჩვენი დამარცხების შემთხვევაში, მე გადავწყვიტე თავის მოკვლა".[2]

მოყვანილ ამონარიდებში ჩვენს მიერ ხაზგასმული თითოეული ფრაზა გარკვეული კომენტარების გაკეთებას მოითხოვს.

სომხებს პირველი შეტევა 1918 წლის 9 დეკემბერს არ დაუწყიათ. როგორც ვნახეთ, იგი უფრო ადრე, 18 ოქტომბერს განხორციელდა. სომხურ ნაწილებს ბორჩალოს მაზრა მთლიანად არ დაუკავებიათ. მათ მხოლოდ მაზრის გარკვეული ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს. რაც შეეხება დაკავებულ პუნქტებს შორის ლორესა და დმანისის ხსენებას, აქ ცოტა ბუნდოვანია, რას გულისხმობს ავტორი. 1918 წლისათვის დასახლებული პუნქტები ასეთი სახელებით – ლორე და დმანისი არ არსებობდნენ. თუ ავტორი აღნიშნული პუნქტების ისტორიულ ან თანამედროვე ტოპონიმებს გულისხმობს, სხვა საქმეა. სხვა შემთხვევაში კი უნდა იყოს – ჯალალ–ოღლი და ბაშკიჩეტი (ან გერინჯუკი). საქმე იმაშია, რომ საქართველოს ისტორიულ ქალაქ ლორეს, რომელსაც დღეს სტეფანავანი ჰქვია, იმ პერიოდისათვის ჯალალ–ოღლი ერქვა. ბაშკიჩეტი დღევანდელი ქალაქი დმანისია, ხოლო გერინჯუკი – სოფელი დმანისი.

ჩვენს მიერ ხაზგასმულ ადგილებში ყველაზე მთავარი და არსებითი კი ისაა, რომ სომხებს ეკატერინენფელდი არ აუღიათ. მეორე ავტორთან კი ეკატერინენფელდის ბრძოლაში „გვარდიელთა უმეტესობა არ ამოუხოციათ"

და რეალურად ქართველთათვის არც „19 დეკემბრის მარცხს" ჰქონია ადგილი. ავტორთა მიერ მოტანილი ეს ცნობები სერიოზული შეცდომებია. სხვათა შორის, მსგავს სურათს სხვა ქართველ ავტორებთანაც ვხვდებით.

რეალურად და ისტორიულად კი საქმის ვითარება შემდეგში იყო:

დაწყებული 1918 წლის 9 დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც დაშნაკური სომხეთის შეიარაღებული ძალების პოლკებმა და საბრძოლო რაზმებმა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები განაახლეს ბორჩალოს მაზრაში, ქართული საჯარისო ქვედანაყოფები უიმედოდ იხევდნენ უკან, უზუნლარიდან სადახლოსაკენ და ამ მიმართულებაზე მოქმედი სომხეთის 1–ლი, მე–4 და მე–6 ქვეითი პოლკებისა და მოხალისეთა რაზმების ჭარბ ძალებთან წარმოებულ გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებში დიდ ზარალს განიცდიდნენ. უზუნლარი–სანაინის, შემდეგ კი ალავერდი–ახტალის დატოვებამ და ქალაქ შულავერის დაკარგვამ, სომხური ნაწილების საქართველოს დედაქალაქთან მახლობლება გამოიწვია, რაც პირდაპირ საშიშროებას უქმნიდა თბილისს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ რეგიონის ძირითადი მოსახლეობა სომხური იყო, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ აგრესორებს და პირდაპირ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში ქართველთა წინააღმდეგ, მაშინ გასაგები გახდება არსებული საშიშროების ხარისხიც.

ქართული შეიარაღებული ძალების თავდაცვის მარჯვენა ფრთაზეც, მდინარების – მაშავერასა და ხრამის ხეობაში, საკმაოდ იყო ოდესღაც ლტოლვილებად შემოსული სომხებით დასახლებული სოფლები, რომელთა უმრავლესობაშიც მკვეთრად ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი განწყობები ჭარბობდა. ამ რაიონის ბრძოლისუნარიანი სომხური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რეგულარულ ჯართან ერთად იყო ჩართული ქართველთა წინააღმდეგ წარმოებულ ღია თუ ფარულ საბრძოლო მოქმედებებში.

ეკატერინენფელდი მდინარე მაშავერაზე გაშენებული გერმანელთა ახალშენი იყო, რომელიც ბორჩალოს მაზრის გერმანული დიასპორის ცენტრს წარმოადგენდა. შეიძლება ბევრისთვის არცაა ცნობილი ის ფაქტი, რომ გერმანელთა გადმოსახლება ამიერკავკასიაში, ტფილისის გუბერნიაში, ერონებით ქართველი დიდი რუსი მხედართმთავრის, პეტრე ბაგრატიონის თაოსნობით მოხდა XIX საუკუნის დასაწყისიდან. მიზანი – ქართველებისგან და ზოგადად, ქრისტიანული მოსახლეობისაგან დაცლილი მიწების ათვისება, ამ მხარის ეკონომიკური და სოციალური აყვავება, აგრეთვე არსებული დემოგრაფიული ბალანსის შეცვლა. მართლაც, გერმანელებმა სულ მოკლე ხანში შეძლეს ჩვეული გულმოდგინებითა და შრომისმოყვარეობით მშვენიერი გერმანული ახალშენებისა და კოლონიების გაშენება, რომელთა ფაქტობრივ ცენტრს წარმოადგენდა სწორედ ეკატერინენფელდი.

ეკატერინენფელდი დღევანდელი ქალაქი ბოლნისია, დღევანდელი ბოლნისის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მოგვიანებით, საბჭოთა

პერიოდში, მას სახელი გადაერქვა და 1931 წლამდე ლუქსემბურგი ეწოდებოდა.

სწორედ გერმანელებით დასახლებული ეკატერინენფელდი იყო რეგიონის ის იდეოლოგიურად საიმედო და მნიშვნელოვანი დასახლება, რომელიც ქართული სახელმწიფოსა და ქართული შეიარაღებული ძალებისათვის ფაქტობრივად ერთადერთ საყრდენ პუნქტსა და საიმედო ფორპოსტს წარმოადგენდა ამ დემოგრაფიულად რთულ რაიონში.

საქართველოს მთავრობისა და შეიარაღებული ძალების სარდლობის მიერ სწორად იქნა პროგნოზირებული ის გარემოება, რომ ეკატერინენფელდის რაიონი სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა სომეხთა მოსალოდნელი წინსვლის თვალსაზ– რისით და სასწრაფო ზომები გაატარა მისი დაცვისათვის. აღნიშნული რაიონის ოპერატიული დაცვის ეს გადაწყვეტილება სახალხო გვარდიის ქვედანაყოფების დაუყოვნებლივ გადასროლას გულისხმობდა ხსენებულ უბანზე.

საერთო ოპერატიული ანალიზის საფუძველზე, სწორედ ამ რაიონში უნდა შექმნილიყო ძლიერი თავდაცვითი ზღუდე სომეხთა მე–5 მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებისა და სომეხი მოხალისეების საბრძოლო რაზმების წინააღმდეგ, რომელთა შემდგომი წინსვლა გარდუვალად უნდა განხორცი– ელებულიყო სწორედ ამ მიმართულებაზე. ვორონცოვკა–პრივოლნოეს რაიონში დისლოცირებული გენერალ ციციშვილის რაზმის განადგურების შემდეგ, სწორედ ამ მიმართულებით დაიხია უკან ქართველთა გადარჩენილმა ცირერიცხოვანმა რაზმმა. პოლკოვნიკ ტერ–ნიკოგოსოვის მე–5 პოლკის ქვედანაყოფებიც ლოქის ქედის გადმოვლით, მაშავერა–ხრამის ხეობაში სწორედ აქ უნდა დაშვებულიყვნენ თბილისისაკენ წინსვლის უმოკლეს მარშრუტზე.

საქართველოს სამხედრო სამინისტროსა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ სწორად განსაზღვრეს სომხური ქვედანაყოფების მოსალოდნელი წინსვლის მარშრუტები, რომელთაგან რა–ერთ ძირითად მიმართულებას სწორედ ვორონცოვკა – პრივოლნოე – ლოქის ქედი – მაშავერას ხეობა და ეკატერინენფელდი შეადგენდა. აქედან კი ქვინარე ხრამის ფორსირებით სომხური ქვედანაყოფები დაუბრკოლებლად ადიოდნენ აღბულახის (ბელი კლიუჩი, დღევანდელი თეთრიწყარო, ისტორიული გორისი – ა. ჩ.) მიმართულებაზე, სადაც მათ ძლიერი საყრდენი პუნქტები, დაღეთ–ხაჩინი და სამშვილდე ეგულებოდათ.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღბულახიდან თბილისამდე რეგიონი ფაქტობრივად სომეხი და გადასომხებული მოსახლეობით იყო დასახლებული, გასაგები ხდება თუ რაოდენ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქართული მხარე იმ შემთხვევაში, სომხების ეს სტრატეგიული ჩანაფიქრი რომ განხორციელებულიყო.

მართლაც, ვორონცოვკის მცირერიცხოვანი სასაზღვრო რაზმის განადგურების შემდეგ, სომეხთა მე–5 მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებმა ადვილად გადალახეს ლოქის ქედი და 17 დეკემბერს დაუბრკოლებლად შევიდნენ სოფელ ბოლნის–ხაჩინში. (დღევანდელი სოფელი ბოლნისი – ა. ჩ.).

ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სომეხი ავტორი, ჰ. გევორქიანი პათეტიკურად აღნიშნავს:

„დრომ ბრწყინვალედ შეასრულა რესპუბლიკის მთავრობის დავალება, ქართველთა ჯარებისაგან გაწმინდა ლორე–ბამბაკი... 17 დეკემბერს ერთ–ერთ სომხურ პოლკს წილად ხვდა წარმატება, დაეკავებინა აგრეთვე ბოლნის–ხაჩინი".[3] მეტი არაფერი. სულ ეს არის. დაკვირვებულ მკითხველს, ნამდვილად გაუკვირდება ბატონ გევორქიანის ასეთი უჩვეულო სიტყვაძუნწობა „ერთ–ერთი სომხური პოლკის მიერ ბოლნის–ხაჩინის წარმატებით დაკავების" შესახებ. ბატონი გევორქიანი თავის „ნაშრომში" აღარაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, კიდევ რა „საბრძოლო წარმატებებით" ისახელა თავი ამ „ერთ–ერთმა სომხურმა პოლკმა" და საერთოდ, რა ბედი ეწია მას.

მოყვანილ ციტატაში რატომღაც აღარ ჩანს სომეხ ავტორთათვის დამახასიათებელი პათოსი. არა ჩანს იმიტომ კი არა, რომ ბოლოსდაბოლოს ისინი თავმდაბლობამ ან ობიექტურობის გრძნობამ შეაწუხა, არამედ იმიტომ, რომ სოფელ ბოლნის–ხაჩინს დასაკავებელი არც არაფერი არ ჭირდა. იგი სომხებით დასახლებული სოფელი იყო და სოფელ დაღეთ–ხაჩინთან ერთად საქართველოს აღნიშნულ რეგიონში სომეხთა შეიარაღებული ძალებისათვის ერთ–ერთ ძირითად საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. ამიტომ, სომხურმა ქვედანაყოფებმა კი არ დაიკავეს, არამედ, ისინი უბრალოდ, უბრძოლველად შევიდნენ სოფელ ბოლნის–ხაჩინში, სხვათა შორის ისევე, როგორც ქალაქ შულავერში. სომეხ ავტორთა უჩვეულო დუმილის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ეკატერინენფელდის ბრძოლა სომეხთა სამარცხვინო მარცხით დასრულდა, რომლებიც აქამდე დიდი წარმატებით მოიწევდნენ წინ.

ბოლნის–ხაჩინი დღევანდელი სოფელი ბოლნისია, სადაც ცნობილი ბოლნისის სიონი მდებარეობს. „ამ სოფელს ბოლნის–ხაჩინს ეძახდნენ იმის გამო, რომ 1779 წელს აქ დასახლებულან ყარაბაღიდან მოსული სომხები. ბოლნისში ყარაბაღელებს მათი თქმით, არავინ დახვედრიათ, გარდა ქაფანაქჩელი თათრებისა, რომლებიც იქ უფრო ადრე მოსულან. თავიანთი სოფლისათვის ყარაბაღელებს „ხაჩინი" უწოდებიათ, რადგანაც მათ მშობლიურ სოფელს ასე რქმევია".[4] იგივე ყარაბაღელი სომხებით იყო დასახლებული რეგიონის მეორე მთავარი სომხური სოფელი – დაღეთ–ხაჩინიც. ეს ის სომხები იყვნენ, რომლებიც ყარაბაღიდან შავი ჭირის ეპიდემიას გამოექცნენ და საქართველომ დიდსულოვნად შეიფარა ისინი. ახლა კი მათი „მადლიერი" ნაშიერნი „ღირს პატივს" მიაგებდნენ ქართველებს.

მოვლენების ზემოთ აღწერილი სქემით განვითარება უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა სადახლო–შულავერის რაიონში თავმოყრილ

ქართული ჯარის ძირითად დაჯგუფებასაც, რადგან ისინი ფაქტობრივად ალყის საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდნენ, ხოლო სანდარ – ამაღა–სარალის რკინიგზის ხაზის დაკავება ქართული ნაწილებისათვის ზურგის სრულ მოწყვეტას ნიშნავდა, რაც კატასტროფის მაუწყებელი იქნებოდა მათთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რაოდენ დიდ ოპერატიულ მნიშვნელობას იძენდა ქართული ქვედანაყოფების ეკატერინენფელდის უბანზე სასწრაფო გადაჯგუფება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, აქვე ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ეკატერინენფელდის საბრძოლო მოქმედებათა თეატრი ნამდვილად არ იყო პირველხარისხოვანი სომხეთ–საქართველოს ომში, როგორადაც სახავდა მას თავის დროზე მმართველი პარტია. მიზეზი გასაგებია – აქ ხომ ძირითადში პარტიული გვარდია აწარმოებდა ბრძოლას. აქედან გამომდინარე, მისი ღვაწლი და დამსახურებები მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო წარმოჩინებული. ქართულ სახელმწიფო და პოლიტიკურ ისთებლიშმენტში უკვე დაფუძნებული იყო ასეთი სიტყვათა წყობა: „სახალხო გვარდია – რესპუბლიკის მთავარი სამხედრო შენაერთია, ხოლო რეგულარული ჯარი – გვარდიის უმცროსი ძმა".

სამხედრო–ოპერატიული თვალსაზრისით, ეკატერინენფელდის ბრძოლები ორ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ. ეს ეტაპებია:

1. საკუთრივ ეკატერინენფელდის ბრძოლა.
2. დაღეთ–ხაჩინისა და ბოლნის–ხაჩინის ბრძოლები.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც ქართველთა წინააღმდეგ მუშაობდა, დრო იყო, დროის ფაქტორი. აქ არაა საუბარი იმ დროზე, რომელიც მოსალოდნელი თავდაცვის რაიონის საფორტიფიკაციო თუ სხვა სახის უზრუნველყოფისათვის ჭირდებოდა ქართულ მხარეს. აქ საუბარია იმაზე, რომ სახალხო გვარდიის ნაწილებს თვით ეკატერინენფელდში ჩასვლა და იქ მეტ–ნაკლებად ხელსაყრელი საბრძოლო პოზიციების დაკავება უნდა მოესწროთ. ტაქტიკური მზადყოფნის გარდა, ასეთ შემთხვევაში ქართული გვარდიის ნაწილების მიერ რაიონის გერმანული და სხვა არასომხური მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებაც იქნებოდა დაცული სომეხთა ანგარიშსწორებებისა და სისხლიანი დარბევებისაგან.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მიერ საომარი მობილიზაცია უაღრესად გვიან, 18 დეკემბერს გამოცხადდა. 18 დეკემბერსვე გამოაცხადა საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარმა შტაბმა სასწრაფო უწყებრივი მობილიზაციაც, რაც წიგნის შესაბამის თავში გვქონდა წარმოდგენილი.

გვარდიის პირველმა ნაწილებმა თბილისში თავმოყრა იმ დღესვე დაიწყეს. ქართული შეიარაღებული ძალების სარდლობისა და გვარდიის მთავარი შტაბის გადაწყვეტილებით, სახალხო გვარდიის რაზმებს ეკატერინენფელდის რაიონში ებრძანათ პოზიციების დაკავება. გვარდიის დაჯგუფების სარდლობა

პირადად გვარდიის მთავარი შტაბის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა ითავა. მასთან იმყოფებოდნენ აგრეთვე მთავარი შტაბის წევრები ალ. მაისურაძე, ალ. დგებუაძე. რაზმის საერთო საჯარისო ხელმძღვანელს, გენერალ–მაიორი სტეფანე ახმეტელაშვილი (ახმეტელი) წარმოადგენდა.

18 დეკემბრის გვიანი ღამისათვის ქვედანაყოფები უკვე ეკატერინენფელდის მიმართულებით გაემგზავრნენ. ძირითადში ესენი იყვნენ თბილისის, სამტრედიის, გურიისა და კახეთის გვარდიის ქვედანაყოფები, აგრეთვე რეგულარული ჯარის ერთი ქვედანაყოფი – სულ 600 კაცი. რაზმის შემადგენლობაში შედიოდა ცხენოსანი ასეული კაპიტან ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის მეთაურობით, აგრეთვე ორი საარტილერიო ბატარეა რვა ზარბაზნით.

ასეთი მცირერიცხოვანი იყო ქართული შეიარაღებული ძალების ის ავანგარდი, რომლებმაც უკვე 19 დეკემბრის გამთენიისას ჩააღწიეს ეკატერინენფელდში. განხორციელებული მარშის შესახებ მხოლოდ დადებითი შეიძლება ითქვას. ეს მანევრი, ოპარატიულობის თვალსაზრისით, მართლაც მაღალ დონეზე ჩატარდა. შემდგომი მოვლენები კი ასე განვითარდა.

პირველივე დიდი შეცდომა, რაც ჯარების საბრძოლო განლაგებას შეეხება – გვარდიის ქვედანაყოფების მიერ საბრძოლო თავდაცვითი პოზიციების დაკავება არ მომხდარა. თავდაცვითი ზღუდეების მოწყობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყველა ისინი შიგ ეკატერინენფელდში, ადგილობრივ მაცხოვრებელთა სახლებში განთავსდნენ და არაა დასამალი, ძილს მისცეს თავი(?!). უფრო დიდი ტაქტიკური შეცდომა კი ის იყო, რომ გვარდიის საველე შტაბის გადაწყვეტილებით, სხვანაირად ეს არც იქნებოდა, ბატარეები არა რაზმის დისლოკაციის ზურგსა და შესაბამის პოზიციებზე, არამედ ავანგარდში განალაგეს. ყველაზე გამაოგნებელი კი ჩვენის აზრით ისაა, რაც აშკარად იკვეთება შესწავლილი მასალების საერთო ანალიზის საფუძველზე, რომ საარტილერიო ბატარეებისა და როგორც ჩანს, მთლიანად ბანაკის დასაცავად არავითარი საჯარისო სამსახურის ღონისძიებები არ გატარებულა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, შეიარაღებისა და პირადი შემადგენლობის უსაფრთხოებისათვის არავითარი სამეთვალყურეო და საყარაულო საგუშაგოები არ მოწყობილა, არ იქნა ორგანიზებული აგრეთვე საპატრულო სამსახურიც.

დღეს ძნელია ერთმნიშვნელოვნად ზუსტად იმის მტკიცება, თუ რომელი მიმართულებიდან შემოვიდნენ სომხური ქვედანაყოფები ეკატერინენფელდში, მაგრამ უეჭველია, რომ მტერი ეკატერინენფელდს სამხრეთიდან და დასავლეთიდან მოადგებოდა. ჩვენი ზემოთ მოყვანილი დასკვნების სიზუსტეს კი თავად ვალიკო ჯუღელიც ადასტურებს თავის მემუარებში:

„მტერმა ღამით მოულოდნელად შემოგვარტყა ალყა. გამთენიისას საერთო იერიშზე გადმოვიდა, შემოიჭრა სოფელში, ხელში ჩაიგდო ჩვენი რვაც ქვემეხი და მაღალ შენობებში ტყვიამფრქვევები დააყენა... პირველი გასროლების ხმა 6 საათზე გაისმა. ჩვენი შტაბიდან ბევრს ჯერ კიდევ ეძინა–

სროლებმა ყველა გაგვაღვიძა, ჩვენ ხელი ვტაცეთ იარაღს და გავიქეცით ჩვენი ბატალიონებისაკენ... არავინ არ იცოდა, თუ რაში იყო საქმე... ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ შემთხვევითი სროლები იყო, მაგრამ მალე ტყვიამფრქვევებიც აკაკანდნენ და ქვემეხებმაც იგრიალეს... ყველაფერი უცებ გაცხადდა... მდგომარეობა მძიმე, საბედისწერო, თითქმის უიმედო იყო... ან სამარცხვინოდ უნდა ჩავბარებოდით მტერს და დიდი სირცხვილისა და ქვეყნის დაღუპვის ფასად გადაგვერჩინა საკუთარი სიცოცხლე, ან თავგანწირულად უნდა ჩავბმულიყავით ბრძოლაში და ასე გადაგვერჩინა საკუთარი თავი და საკუთარი ქვეყანა".[5]

სწორედ ასე გათენდა ეკატერინენფელდში 1918 წლის 19 დეკემბრის სუსხიანი დილა. ვ. ჯუღელის სიტყვებში კი განცვიფრებას ის იწვევს, რომ თურმე „არავინ არ იცოდა, თუ რაში იყო საქმე". უფრო გასაკვირი ის იქნებოდა, რომ ფრონტის ხაზზე მყოფი გვარდიელებისათვის, სწორედაც რომ, მშვიდად გამოძინების საშუალება მიეცათ. მოყვანილი ნაწყვეტიდან ისიც ჩანს, რომ რაზმებისა და ქვედანაყოფების მეთაურები თავთავიანთ ერთეულებთან არ იმყოფებოდნენ და ყველანი შტაბში იყვნენ თავმოყრილი. კიდევ ერთი შეცდომა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოგვეპოვება სომეხთა მხრიდან ეკატერინენფელდის ბრძოლაში მონაწილე პირადი შემადგენლობის ზუსტი რაოდენობა, მაგრამ გარკვეული გამოთვლების გაკეთება მაინცაა შესაძლებელი. აგრესორთა მთავარ დამრტყმელ ძალას ამ მიმართულებაზე სომეხთა მე–5 მსროლელი პოლკი წარმოადგენდა, პოლკოვნიკ ტერ–ნიკოგოსოვის მეთაურობით. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი სომხური სოფლების სომეხ მოსახლეებსაც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტრის საერთო რიცხვი სულ მცირე 2500 კაცს მაინც შეადგენდა, თუ მეტს არა. სახალხო გვარდიის რაზმის პირადი შემადგენლობა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 600 კაცი იყო. აი, ასეთი იყო დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა ეკატერინენფელდში, 1918 წლის 19 დეკემბრისათვის.

თუ რას წარმოადგენდა საბრძოლო მომზადების დონითა და შეიარაღებით სომხეთის რეგულარული ჯარის მე–5 მსროლელი პოლკი, ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი ვორონცოვკა–პრივოლნოეს ბრძოლიდან. სწორედ ამ სამხედრო ნაწილთან და ადგილობრივი სომეხი მოსახლეობისაგან შემდგარ საბრძოლო რაზმებთან მოუწია საქართველოს სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებს ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა ეკატერინენფელდში, 1918 წლის 19 დეკემბრის გამთენიისას.

ზემოთ ხსენებული ორი არჩევანიდან, ქართველების მიერ რა თქმა უნდა, მეორე იქნა მიღებული და:

„ჩვენ თავგანწირულად გადავეშვით ამ ბრძოლაში! უდიდესი აღმაფრენითა და ურყევი რწმენით... მოწმენდილი, ნათელი დილა იდგა... და მთელი გარემო ჩაცმული იყო თეთრ, მბრწყინავ სამოსში... ხალისით ვივსებოდით და რწმენაც გვემატებოდა... და გაჩაღდა ბრძოლა! მშვენიერი, შეუდარებელი ბრძოლა!"[6]

ვალიკო ჯუღელის ალბათ ამ აბზაცში გამოხატული ლირიული პასაჟები ჰქონდა მხედველობაში მის „უკულმა" ამხანაგს, ლევ ტროცკის, (თავის დროზე მენშევიკი ლევ ბრონშტეინ–ტროცკი გაბოლშევიკდა, ბოლშევიკი ჯუღელი კი გამენშევიკდა) როცა ვალიკო ჯუღელის შესახებ წერდა: „Кривляется как испорченный гимназист..."–ო.[7] და სამწუხაროდ, ამ მიმართებაში მართალი იყო იგი, მართალს ამბობდა ამხანაგი ბრონშტეინი.

გააფთრებულმა ხელჩართულმა ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. აქ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრების, ალექსანდრე მაისურაძისა და ალექსანდრე დგებუაძის, განსაკუთრებით კი თვით ვალიკო ჯუღელის პირადი ვაჟკაცობისა და თავგანწირვის ფაქტები, რომლებიც ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ და პირადად იძლეოდნენ ნამდვილი გმირობის მაგალითს. ქართველ გვარდიელთა მთავარ ამოცანას ტყვიამფრქვევთა წერტილების გაუვნებელყოფა და რაც მთავარია, მტრის მიერ დაკავებული ქვემეხების უკან დაბრუნება შეადგენდა. ისევ ვალიკო ჯუღელი: „მე მარცხენა ფლანგზე ვიმყოფებოდი, მარჯვნივ ცენტრში – ალექსანდრე (ალექსანდრე დგებუაძე – ა. ჩ.) ურტყავდა, და უფრო მარჯვნივ კი სანდრო (ალექსანდრე მაისურაძე – ა. ჩ.) იბრძოდა. და ჩვენ სამივენი ჩვენი დატყვევებული ბატარეებისაკენ მივიწევდით".[8]

ყველას ესმოდა, რომ ამ ბრძოლაში სხვა გამოსავალი უკვე აღარ იყო. ან გამარჯვება და პრესტიჟის გადარჩენა, ან გმირული სიკვდილი და... ხელჩართული ბატალური სცენის სრულად წარმოდგენისათვის, ჩვენ ისევ ვალიკო ჯუღელის მემუარს მოვიშველიებთ, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ქართველი კაცის მებრძოლი სულიც და სხვათა შორის, ავტორის მწერლური ნიჭიც:

„ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. უცებ მოირბინა გვარდიელმა და მეუბნება, „სანდრო მოკლეს" – და ლახვარი დამცა გულზე... მაგრამ ცრემლის დრო არ იყო... ამ საზარელმა ამბავმა უცებ დაიარა მებრძოლთა რიგებში. მაგრამ არ შედრკნენ ეს რიგები... პირიქით! უფრო დიდი თავგამეტებით შეუტიეს მტერს, უფრო შეურყეველი ჩანდა მათი ლტოლვა გამარჯვებისაკენ. ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. თოვლის თეთრი საბურველი სისხლის წითელი ლაქებით იყო მორწყული და ბევრ ადგილას ცოცხლებივით იწვნენ მოკლულები... და ვარდებოდნენ ახლები...

მოირბინა მეორე გვარდიელმა და მითხრა – „ალექსანდრე დაჭრეს მძიმედ!" – საშინელმა ტკივილმა შემიკუმშა გული! მე მივხვდი, რომ მეც უნდა მოვმკვდარიყავი და ცივმა სიმშვიდემ დაისადგურა უცებ ჩემს სულში. ქვემეხები გრიალებდნენ, ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ, წიოდნენ ტყვიები და უცებ მე თავს წავადექი ძვირფასი, უსულო სანდროს გვამს... მისი ჩამქრალი და უსიცოცხლო თვალები ნახევრად ღია იყო და პირზე თითქოს ღიმილი შერჩენოდა... გულში გამოვემშვიდობე მას და გვარდიელებს შევძახე:

„ამხანაგებო, ყველანი ხედავთ, ჩვენი სანდრო მაისურაძე მოკლეს. მისი სიკვდილი ჩვენ გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებს. უკან დასახევი გზა აღარა

გვაქვს! თქვენა ხართ მხოლოდ სამშობლოს ხსნა! მხოლოდ წინ! მხოლოდ წინსვლაა ჩვენი გადარჩენა... და მე შევძახე „ვაშაააა"!.. მთელმა ფრონტმა იგრიალა ხმამაღალი და ერთსულოვანი ვაშას ძახილით!"[9]

ბოლოსდაბოლოს გვარდიელთა ურყევმა რწმენამ და თავდადებამ ნაყოფი გამოიღო: „ჩვენ გავანთავისუფლეთ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული სახლები და იქ რამდენიმე ოფიცერი და მრავალი ჯარისკაცი დავატყვევეთ. და როცა ვაშას ძახილით ჩვენს ბატარეებს მივადექით, იქ უკვე იმყოფებოდნენ ალექსანდრე და ქრისტეფორე, რომლებიც მიბრჯნით ურტყამდნენ მტერს. ჩვენს ქვემეხებთან დახოცილი არტილერისტები იწვნენ... მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე".[10]

დღის ბოლოსათვის სომხები უკუიქცნენ და ბრძოლის ველის მიტოვება დაიწყეს. აქ კი საბრძოლო ტაქტიკის მოთხოვნათა შესაბამისად გვარდიის კავალერია ჩაერთო საქმეში. გაქცეულ მტერს კაპიტან ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის 1–ლი ცხენოსანი ასეული დაედევნა.

ასე დასრულდა ეკატერინენფელდის ბრძოლების პირველი ეტაპი. ბრძოლის სტატისტიკური შედეგები კი ასეთი იყო:

„დიდი იყო მსხვერპლი... ჩვენ ვკრეფდით დახოცილებს და მკვდრების გროვა ნელ–ნელა იზრდებოდა... და ყველანი ისინი ჩვენი სასახელო ბიჭები იყვნენ, ჩვენი საუკეთესო ამხანაგები... მთელი 600 კაციანი რაზმიდან დახოცილთა სახით ჩვენ 30 კაცი დავკარგეთ, დაჭრილების სახით კი 70–ზე მეტი. მოწინააღმდეგის დანაკარგები მარტო მოკლულების სახით 100–ზე მეტი იყო. კიდევ 100 კაცზე მეტი ჩავიგდეთ ტყვედ, პატარა, შეშინებული კაპიტნის, ვგონებ სარქისოვის თავკაცობით".[11]

„სახალხო საქმეში" კი ვკითხულობთ: „19 დეკემბრის ეკატერინენფელ–დის ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 300 თოფი, 11 ტყვიამფრქვევი და ტელეფონი. სომხებში მოკლულია 6 ოფიცერი და 130 ჯარისკაცი. დაჭრილების წაყვანა მოასწრეს, რასაც მოწმობს სისხლიანი კვალი გზაზე, რომლითაც სომხები უკან იხევენ. სახალხო გვარდიას მოუკლეს 30 კაცი".[12]

ბრძოლაში დაღუპულ გვარდიელთა რაოდენობაზე ოდნავ განსხვავებულ რიცხვს გვაწვდის იოსებ იმედაშვილი:

„მაისის 26 დამონებული სამშობლოს განთავისუფლების დღეა, ქრისტეშობისთვის 12 (არსენალის აღებისა და წითელი გვარდიის დღე – ა. ჩ.) – ახალგაზრდა საქართველოს ფეხზე დადგომის ნიშანი, ხოლო ქრისტეშობისთვის 24 – საქართველოს განმტკიცების თარიღი. ამ დღეს ჩვენი დედა ქალაქი თბილისი მიწას აბარებდა 32 გვარდიელს თავის სასახელო სანდრო მაისურაძით... იმ გვარდიელთ, რომელნიც ქრისტეშობისთვის 19 ბორჩალოში გმირულად ბრძოლის დროს განიგმირ–ნენ".[13]

მოწინააღმდეგის დანაკარგების შესახებ განსხვავებულ ცნობებს იძლევა ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი":

„19 დეკემბერს ჩვენს გვარდიასაც დაუდგა განცდის დღე სოფელ ეკატერინენფელდთან. მაგრამ მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა. მწვავე, ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ მან შემუსრა, მოწინააღმდეგე და უკუაგდო იგი. საუბედუროდ, გვარდიამაც დაკარგა თავისი გმირი წინამძღოლი სანდრო მაისურაძე, მაგრამ მან მსხვერპლათ 230 მოპირდაპირე გაიყოლა თან".[14]

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს კიდეც, რომ თავისი მასშტაბებითა და დანაკარგების მიხედვით ეკატერინენფელდის ბრძოლა უმნიშვნელო ბრძოლას წარმოადგენდა სომხეთ–საქართველოს ომში და მას დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე, მაგრამ იმდროინდელი პერიოდიკის შეფასებით:

„ეკატერინენფელდში გაიმარჯვა გვარდიამ. მაგრამ ეს იყო აგრეთვე ეროვნული იდეის გამარჯვება. ამიერიდან დემოკრატიისა და ეროვნების საქმე განუყოფელი იქნება საქართველოში. ამაშია ამ ისტორიული გამარჯვების მნიშვნელობა".[15]

სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით, ეკატერინენფელდის ბრძოლა ქართული მხარის თავდაცვით ბრძოლას წარმოადგენდა, რომელიც მალე გადაიზარდა წარმატებულ შეტევით მოქმედებებში, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული მხარის მიერ განხორციელებული დადებების საკავალერიო მანევრი არ იყო სრულფასოვნად ჩატარებული და ბოლომდე მიყვანილი. ეს აშკარაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სომხური მხარის დანაკარგები, როგორც დახოცილთა, ასევე დატყვევებულთა სახით, უფრო მეტი უნდა ყოფილიყო და რაც მთავარია, მათ ველარ უნდა მოეხერხებინათ თავიანთ საყრდენ პუნქტებში ორგანიზებულად თავმოყრა.

როგორც ჩანს, წესად დამკვიდრებული დებულება, რომ ისტორიულად ქართველებს თითქმის ყოველთვის გაცილებით მრავალრიცხოვან მტერთან უხდებოდა ბრძოლა, არც აქ, ეკატერინენფელდის ბრძოლაში დარღვეულა. სომეხთა ძალები ოთხჯერ აღემატებოდნენ ქართველთა ძალებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე აბსოლუტურად მოუმზადებელი ჩაება ამ ბრძოლაში და პრაქტიკულად ის უპირატესობაც დაკარგა, რაც თავდაცვაში მყოფ მხარეს გააჩნია შემტევ მხარესთან შედარებით, თავდაცვის უბნისა და შესაბამისი ზღუდეების სათანადო საინჟინრო მომზადების ხარჯზე – ქართველთა დანაკარგები მინიმალური იყო.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ფაქტობრივად, ბრძოლის დაწყებამდე სომხებს უკვე დაკავებული ჰქონდათ ტაქტიკურად ხელსაყრელი პოზიციები და ქართული არტილერიაც მათ ხელში იყო, საბრძოლო ხელოვნების ყველა დებულების მიხედვით, ქართულ მხარეს გამანადგურებელი მარცხი უნდა ეწვნია, მაგრამ მოხდა საპირისპირო. ცნობილმა ტაქტიკურმა შეფარდებამ 1/4–თან, ქართული გვარდიის წინააღმდეგ ნამდვილად არ იმუშავა და თავდაყირა დააყენა საბრძოლო თეორიის ყველა ცნობილი და აღიარებული დებულება.

სხვა რომ არაფერი, თუნდაც მხოლოდ ამ ერთ ფაქტში მდგომარეობდა ეკატერინენფელდის ბრძოლის ისტორიული ღირებულება, სადაც ერთხელ კიდევ გაიბრწყინა ქართველი მეომრის უტეხმა სულმა. აშკარად ცდება ბატონი რიჩარდ ოვანესიანი როცა წერს, რომ „ბოლოსდაბოლოს (შულავერის ბრძოლაში — ა. ჩ.) ქართველებმაც იგემეს მათთვის ესოდენ სანატრელი გამარჯვების გემო".[16]

ეკატერინენფელდის ბრძოლის მთავარი ღირებულება კი იმაში მდგომარეობდა, რომ სწორედ იგი იყო ქართული მხარის პირველი დიდი გამარჯვება ბორჩალოს მაზრაში. ამ დიდ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი სახალხო გვარდიის პირადი შემადგენლობის მაღალმა საბრძოლო სულმა, იდეის რწმენამ და მხედრულმა შემართებამ ითამაშა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საკუთრივ ეკეტერინენფელდში წარმოებული ბრძოლა მხოლოდ პირველი ეტაპის დასასრული იყო. მაგრამ მთლიანობაში, ამით ეკატერინენფელდის რაიონისათვის ბრძოლა არ დასრულებულა. საქმე იმაშია, რომ ეკატერინენფელდიდან დაფანტულმა მტერმა პანიკურად კი არ დაიწყო სამხრეთისაკენ, სომხეთის საზღვრებისაკენ უკან დახევა, არამედ, საქართველოს სიღრმისაკენ, სომხებით დასახლებულ აღბულახ — სამშვილდე — დაღეთ—ხაჩინის რაიონში დაიწყო თავმოყრა და ადგილობრივი სომეხი, უკვე შეიარაღებული და მომზადებული მოსახლეობის კონცენტრაცია მოახდინა.

იგივე მდგომარეობა შეიქმნა მეორე სომხურ სოფელ ბოლნის—ხაჩინის რაიონში, რომელიც აგრეთვე წარმოადგენდა გარშემო არსებული სომხური სოფლებისათვის დაშნაკური იდეოლოგიის გავრცელებისა და ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების მძლავრ კერას. აქედან გამომდინარე, საკუთრივ ეკატრინენფელდში მოგებული ბრძოლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რეგიონის გაწმენდას სომეხთა რეგულარული ჯარის ნაწილებისა და დაშნაკური ბანდებისაგან.

გაცილებით რთული შეიქმნა აღნიშნულ რაიონებში წარმატების მიღწევა. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დაღეთ—ხაჩინი და ბოლნის—ხაჩინი მდინარე ხრამის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარეებზე მდებარეობს, ხოლო ეკატერინენფელდი მათ შორისა მოთავსებული, მაშინ გასაგები გახდება, თუ რამდენად მოჩვენებითი გახდებოდა ქართველთა გამარჯვება ეკატერინენფელდთან, თუ სასწრაფოდ არ გადაწყდებოდა ამ ორ რაიონში თავმოყრილი მტრის დიდი ძალების განადგურება. შეიძლება ითქვას, რომ ეკატერინენფელდში განლაგებული გვარდიის მცირერიცხოვანი ძალები სოლივით იყვნენ შეჭრილი მტრის პოზიციებში და ფაქტობრივად ისინი ალყაში მოქცევის საშიშროების წინაშე იდგნენ.

ეკატერინენფელდის ბრძოლების სწორედ მეორე ეტაპს წარმოადგენდა ქართველებისათვის დაღეთ—ხაჩინისა და ბოლნის—ხაჩინის შეტევითი ბრძოლები. ამ ეტაპისათვისაც, რა თქმა უნდა, მთავარი ისევ და ისევ დროის ფაქტორი და შესაბამისი ძალების სასწრაფო თავმოყრა იყო, განსაკუთრებით

ქართული მხარისათვის. ამ შემთხვევაშიც ოპერატიული წარმატების მისაღწევად სწორედ ეს ორი მახასიათებელი წარმოადგენდა ამოსავალ წერტილს.

19 და 20 დეკემბრის განმავლობაში გვარდიის ეკატერინენფელდის რაზმმა მნიშვნელოვანი შევსება მიიღო ფედერალისტების საბრძოლო რაზმის სახით. დამატებით, სამხედრო სამინისტროს გადაწყვეტილებით, საბრძოლო მოქმედებების საერთო კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის, ამ დაჯგუფების საველე შტაბის უფროსად პოლკოვნიკი არტემ ჯიჯიხია დაინიშნა:

„ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ. №245. 20. 12. 1918.

ინიშნება: გენერალ–მაიორ ახმეტელაშვილის ჯგუფის შტაბის უფროსის თანამდებობაზე – მე–2 დივიზიის შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ჯიჯიხია.

მდივანი".[17]

ქართული შენაერთი უკვე მზად იყო შეტევითი ბრძოლების გასამართად. აქ, ქართული სარდლობისა და საველე შტაბის მიერ სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და პირველად შეტევითი ოპერაციის დაწყება არა ოპერატიულად მთავარ, ბოლნის–ხაჩინის, არამედ დაღეთ–ხაჩინის მიმართულებაზე დაიგეგმა, რომელიც ფაქტიურად ქართული შენაერთის ზურგში იყო მოქცეული.

დაღეთ–ხაჩინზე შეტევა 1918 წლის 21 დეკემბრის დილით დაიწყო. უსასტიკესი ბრძოლები 5 დღე, 21–დან 25 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ 22 დეკემბრისათვის კაპიტან ჩოლოყაშვილის ესკადრონმა მოახერხა მდინარე ხრამის ფორსირება და მტრის თავდაცვის მარცხენა ფლანგზე გასვლა, ქართული მხარის ამ შეტევას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია, მან შემდგომი განვითარება ვეღარ შეძლო, თუმცა შემდგომი მოქმედებებისათვის გარკვეული პლაცდარმი უკვე შექმნილი იყო. სომხები დიდი ხანია ყოველმხრივ მზად იყვნენ ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად. შესაბამისად, მათ კარგად ჰქონდათ საბრძოლო პოზიციები შერჩეული და სათანადოდ გამაგრებული, ხოლო იარაღი და საბრძოლო მასალები მომარაგებული.

ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა ქართულ მხარეს უწყვეტად მოსდიოდა შევსება ახალი ძალებითა და შეიარაღებით. „22–ში ღამით დამხმარე ძალები მოგვივიდა 500 კაცის შემადგენლობით... 24–ში ეკატერინენფელდიდან ლომთათიძის განთქმული ასეული გამოგვიგზავნეს 6 ტყვიამფრქვევით".[18]

1918 წლის 25 დეკემბრის ბრძოლებით ქართულმა შენაერთმა დაღეთ–ხაჩინი აიღო და ამით ქართული საჯარისო ნაწილების ზურგი გაწმენდილ იქნა. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაღეთ–ხაჩინი ისეთ ძლიერ გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა, რომ მისი აღება თვით თურქებმაც კი ვერ შეძლეს 1918 წლის გაზაფხულის აგრესიის დროს. ქართულმა საჯარისო ფორმირებებმა კი, მართალია, ხანგრძლივი ბრძოლისა და დიდი დანაკარგების

ფასად, მაგრამ მაინც შეძლეს მისი დაკავება. იმდროინდელი ქართული პრესა ასე აფასებს დაღეთ–ხაჩინის ბრძოლას:

(თუ) „ერთი უბრალო აჯანყებული სომხური სოფლის აღებას მარტო ჩვენი მხრით ორმოცდაათ კაცამდე შეეწირა, შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალურ ხანაში უფრო სასტიკი და სისხლისმღვრელი ომები არ უწარმოებია საქართველოს".[19]

აქ წინ გავუსწრებთ მოვლენებს და აღვნიშნავთ, რომ დაღეთ–ხაჩინის ბრძოლა ნამდვილად არ იყო ქართველთა მიერ ბოლომდე დასრულებული. ეჭვს გარეშეა, რომ სომხური რეგულარული ჯარის ნაწილი და დაშნაკ მოხალისეთა ბანდების უმეტესობა ამ ბრძოლების შედეგად არ განადგურებულა. ამ მოვლენებმა ცოტა მოგვიანებით, უკვე 1919 წლის გაზაფხულზე იჩინეს თავი, როცა აღბულახ – დაღეთ–ხაჩინის რაიონში ძლიერი ანტიქართული შეიარაღებული აჯანყებები დაიწყო და საქართველოს მთავრობას რეგულარული ჯარის გამოყენება მოუწია მისი ლიკვიდაცი–ისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 25 დეკემბრისათვის ქართული მხარის მიერ ტაქტიკურად სწორი გადაწყვეტილება იყო მიღებული შენაერთის ძირითადი ძალების სტრატეგიული მნიშვნელობის სამხრეთის მიმართულებაზე გადასასროლად.

დაღეთ–ხაჩინის აღების შემდეგ, ქართული სარდლობის მიერ ცოცხალი ძალისა და საბრძოლო საშუალებების კონცენტრაცია ბოლნის–ხაჩინის მიმართულებაზე დაიწყო. ბოლნის–ხაჩინზე შეტევითი ოპერაციის სრულყოფილად მომზადებას ოთხი დღე დაჭირდა და მის დასაწყისად 30 დეკემბერი გამოცხადდა:

„30–ში ვიწყებთ შეტევას ბოლნის–ხაჩინზე. აქ მოწინააღმდეგის დიდი ძალებია თავმოყრილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვალდებულნი ვართ, გავანადგუროთ ისინი. ჩვენ რვა ქვემეხი, 33 ტყვიამფრქვევი და ათასზე მეტი ხიშტი გვაქვს..."[20]

ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ დაღეთ–ხაჩინისაგან განსხვავებით, რომელიც ქართული ძალების ზურგში მდებარეობდა და ფაქტიურად მოკლებული იყო დამხმარე საბრძოლო საშუალებებით ფრონტალურ უზრუნველყოფას, ბოლნის–ხაჩინი ქართული შენაერთისათვის ფრონტალური უბანი იყო და იქ თავმოყრილ სომხურ ნაწილებსაც ზურგით უზრუნველყო–ფის საკითხები გადაწყვეტილი ჰქონდათ. გარდა ამისა, სომხებს თავდაცვითი ბრძოლის წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელი პოზიციები ეკავათ. ისინი აკონტროლებდნენ ყველა გაბატონებულ სიმაღლეს და მათი ალყაში მოქცევის შესაძლებლობაც პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

ქართული შენაერთის შეტევითი ოპერაცია ბოლნის–ხაჩინზე 30 დეკემბრის გამთენიისას დაიწყო:

„დილის 7 საათზე გავხსენით ცეცხლი. მოწინააღმდეგეს მოხერხებული სიმაღლეები და ხელსაყრელი პოზიციები უჭირავს და ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით გვპასუხობს. ჩვენ ფართო ფრონტით ვუტევთ,

მტრის ფლანგების გარშემოვლით. მარჯვენა ფლანგზე სამტრედიელები, ფედერალისტები და კახელები უტევენ, ცენტრში კადრის სამხედრო მოსამსახურეები და ტფილისის სარეზერვო ბატალიონი, მარცხენა მხარეზე კი გურულთა ცხენოსანი ბატალიონი მოქმედებს".[21]

30 დეკემბრის ბრძოლების შედეგად ბოლნის–ხაჩინი ვერ იქნა აღებული. ღამით ქართული მხარე ისევ იღებს შევსებას ერთი ქვეითი ასეულისა და რაც მთავარია, სამთო–ცხენოსანი ბატარეის სახით, პოლკოვნიკ ცაგურიას მეთაურობით(?!)... დიახ, ეს ის პოლკოვნიკი ცაგურიაა, რომელმაც თავის ბატარეასთან ერთად უსასტიკესი თავდაცვითი ბრძოლები აწარმოა რამდენიმე დღის წინ სადახლოში და ქვემეხებთან ერთად მაინც დააღწია თავი ალყას. ეს ეპიზოდი ჩვენ ზემოთ გვქონდა დაწვრილებით განხილული. მიყენებული ჭრილობების მიუხედავად, 30 დეკემბრისათვის გმირი პოლკოვნიკი თავის ბატარეასთან ერთად უკვე ბოლნის–ხაჩინის მიმართულებაზე იყო.

1918 წლის 31 დეკემბრის დილიდან სრულმასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია განახლდა. ბრძოლები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სომხებმა რამდენიმე ძლიერი კონტრშეტევაც განახორციელეს, მაგრამ საბოლოოდ, უძლიერესი შტურმის შედეგად, დღის ბოლოსათვის, ბოლნის–ხაჩინი აღებულ იქნა:

„ხელში ჩავიგდეთ ტყვეები, ტყვიამფრქვევები, სამხედრო საწყობები, საზიდრები და უზღვავი ქონება. სამწუხაროდ, ქვემეხები ადრე გაეტანათ. შტაბსაც ასევე წინასწარ მარდად მოეკურცხლა".[22] ასეთი იყო ბოლნის–ხაჩინის ბრძოლის შედეგები.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ზოგადად, ეკატერინენელდის უბანი ნამდვილად არ წარმოადგენდა სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებათა პირველხარისხოვან რაიონს. დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა აქ ბრიგადული მასშტაბებისა იყო. მიუხედავად ამისა, ორივე მხრიდან საბრძოლო მოქმედებების დასაწყისიდანვე ჩართული იყო სახმელეთო ჯარების სამივე გვარეობის ძალები, ხოლო სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით, საკუთრივ ეკატერინენფელდის ბრძოლა, შემხვედრი ბრძოლის ერთ–ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა. და ამავე დროს იმის დემონსტრირებას, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ფაქტორს შეადგენს პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება ერთი შეხედვით განწირულ ბრძოლაშიც კი. ამ თვალსაზრისით კი, ეკატერინენფელდის ბრძოლები საქართველოს ომების ისტორიის კიდევ ერთ თვალსაჩინო ფურცელს წარმოადგენს.

დაბოლოს. ეკატერინენფელდის ბრძოლების იდეოლოგიური შეფასება და მისი აპოთეოზი, რომელიც თვით ვალიკო ჯუღელს ეკუთვნის. გამოუსწორებელი „ჰუმანისტისა" და „ინტერნაციონალისტის" ამ სიტყვებშია ალბათ გამოხატული, საზოგადოდ, ქართველი კაცის გამაოგნებელი და საბედისწერო გულუბრყვილობა:

„დიახ, მე მაინც მიყვარდა უბედური სომხები, მაგარამ ნამდვილად ჭირის ღესაით მეჯავრება და ვერ ვიტან სომხებისათვის საბედისწერო და დანაშაულებრივ პარტია „დაშნაკცუთიუნს". ეს პარტია სომეხი ერის ბოროტი გენიაა და ამ ბრძოლაში ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ იგი. და მხოლოდ მაშინ გაეხდებით ჩვენ სომხების საუკეთესო მეგობრები..."[23] ნეტარ არიან მორწმუნენი...

§2. ცვლილებები ქართული სარდლობის შემადგენლობაში და შულავერის ფრონტის სტაბილიზაცია

დაწყებული 1918 წლის 18 დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც სადახლოსთან ქართული ქვედანაყოფების მიერ სომხური შენაერთის ავანგარდი იქნა განადგურებული, სომეხთა ძირითადმა ნაწილმა გარშემოვლითი მანევრით გვერდი აუარა სადახლოს პოზიციებზე გამაგრებულ გენერალ წულუკიძის რაზმის ნარჩენებს, დაუბრკოლებლად გააგრძელა წინსვლა რკინიგზის ხაზისა და მდინარე დებედას გასწვრივ ჩრდილოეთის მიმართულებით და უბრძოლველად, მარშით შევიდა ქალაქ შულავერში. სომხებმა დაიკავეს აგრეთვე სოფლები ლამბალო, შულავერი, მამაი, ლალვარი, ოფრეთი, დამია–გიაურარხი, აშალი–სარალი და ფაქტობრივად მდინარე ხრამის პოზიციებთან გავიდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ სომხურმა საჯარისო ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა 22 დეკემბრისათვის სადახლო–შულავერის საბრძოლო მოქმედებათა რაიონში დაშნაკთა მიერ დასახულ პირველ სტრატეგიულ ზღუდეს, მდინარე ხრამს მიაღწიეს. დამატებით, ვორონცოვკა–ეკატერინენფელდის რაიონში კი მათ ოკუპირებული ჰქონდათ აგრეთვე მთლიანად ზონა მდინარე ხრამამდე, ეკატერინენფელდის გამოკლებით. გარდა ამისა, მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე აღბულახ – დაღეთ–ხაჩინი – სამშვილდის რაიონი. ამ მოქნტისათვის, მთელ ამ ზონაში, მხოლოდ სადახლო წარმოადგენდა სომეხთაგან არაოკუპირებულ ერთადერთ წერტილს, რომელიც გააფთრებული ბრძოლების შედეგად, საბოლოოდ 23 დეკემბრისათვის დაეცა. ეს იყო სომხური სამხედრო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების ყველაზე უფრო ღრმა შემოჭრა საქართველოს ტერიტორიებზე სომხეთ–საქართველოს ომის მთელი მსვლელობის პერიოდში.

ასეთი იყო საბრძოლო მოქმედებების ფრონტის რეალური ხაზი და ის ოპერატიული მდგომარეობა, რაც 1918 წლის 21–23 დეკემბრისათვის შეიქმნა

სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობისას. ასე, რომ მორიგი დეზინფორ–მაცია და ისტორიული ფაქტების მორიგი ფალსიფიკაციის მცდელობაა სომეხ და პროსომეხ ავტორთა მიერ წამოყენებული მოსაზრებები, სომხეთის ჯარის მიერ კოჯრისა და ნავთლულის დაკავების შესახებ. ესეც მათ პროფესიულ სინდისზე იყოს. სასურველის რეალობად წარმოსახვის კიდევ ერთი მცდელობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რიჩარდ ოვანესიანი ობიექტურად აღწერს სომხური ავანგარდების ზღვრულ შემოჭრას საქართველოს ტერიტორიაზე და თბილისთან მათი მაქსიმალური მიახლოების ზღუდეს: „შულავერისა და ბელი კლიუჩის მიღწევით, რომელიც თბილისის მაზრაში მდებარეობდა, სომხეთის ჯარები 45 ვერსით (30 მილით) მიუახლოვდნენ საქართველოს დედაქალაქს".[24]

საკითხის ამოწურვისათვის კი დავამატებდით, რომ დიახაც, კოჯორსა და მის გარშემოგარენში ძირითადად გადასომხებული (გრეგორიანელი–მონოფიზიტი) ქართული მოსახლეობა სახლობდა, ხოლო ნავთლულში მართლაც ათასობით იყვნენ თავმოყრილნი სომხები, მაგრამ არა საქართველოს ქვეშევრდომნი და მოქალაქენი, ან მით უმეტეს, შეიარაღებული სომხური ავანგარდები, არამედ ისევ და ისევ თურქეთიდან და საკუთრივ სომხეთიდან გამოქცეული და ქართველთა მიერ სულგრძელად შეფარებულ სომეხ ლტოლვილთა დიდი არმია.

დიახ, სწორედ ნავთლულის სადგურის მიდამოებში ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილი სომეხ ლტოლვილთა თავშესაფარი წარმოადგენდა იმ ცნობილ „ე–300 ვერსს", რომელიც იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებსა და პერიოდიკაშია ხშირად ნახსენები. იგივე ლეგენდარული ვალოდია გოგუაძე: „1918 წლის გაზაფხულიდან 1919 წლამდე ბორჩალოს მაზრაში სომხეთიდან გამოქცეული სომხის ბავშვები და ქალები, მთებში სიცივე–ყინვაში მიტოვებულნი, მოვაგროვე ორი ათასი სული და ნავთლულში სომხების თავშესაფარს მივუყვანე. სომხების საზოგადოებამ გაზეთ „კავკასსკოე სლოვო"–ში დიდი მადლობა გამოგვიცხადა".[25]

განსაცვიფრებელია სომეხ ულტრანაციონალისტთა იდეოლოგიური მანერები იმ ტერიტორიების უმალ სომხეთად ან სომხების კუთვნილებად შერაცხვა, სადაც კი ოდესმე დაუდგამს სომეხს ფეხი. კოჯორსა და ნავთლულთან მიმართებაშიც სწორედ ამ ფენომენთან გვაქვს საქმე.

სადახლო–შულავერის მიმართულებაზე კი 23 დეკემბრიდან შემდეგი ოპერატიული მდგომარეობა შეიქმნა. აქ გენერალ წულუკიძის რაზმის ნარჩენებმა გამოუვალი მდგომარეობის გამო, მდინარე დებედას მარჯვენა ნაპირის გასწვრივ დაიხიეს ბრძოლებით უკან და ახალ პოზიციებზე გამაგრდნენ. პოდპოლკოვნიკ ჩეჩელაშვილის პატაკიდან: „ჩემი ბატალიონით 24 დეკემბრის დილის 5 საათისათვის ბეთარაბჩიმდე მოვაღწიეთ და გავაგრძელეთ გზა. ამის შემდეგ მივიღე ბრძანება დამეკავებინა საგუშაგო

პოზიციები მდინარე დებედას მარჯვენა სანაპიროზე სოფლების ბაითალუს, ულუშლოს, ყაჩაღანის გასწვრივ".[26]

როგორც ვხედავთ, კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, გენერალ წულუკიძის რაზმის ძირითადმა ნაწილმა აღმოსავლეთისაკენ გადაუხვია, თავი აარიდა სომეხთა მთავარი ძალების ავანგარდთან ფრონტალურ შეხებას და ზემოაღნიშნულ სოფლებთან, ქართველთა თავდაცვის მარცხენა ფლანგზე დაიკავა პოზიციები. გენერალ კვინიტაძის ინფორმაციით, სადახლოს ბრძოლების შემდეგ გენერალ წულუკიძის რაზმში სულ ორასიოდე მებრძოლი იყო დარჩენილი. პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის იგივე პატაკის მიხედვით – „ჩემს რაზმში შედიოდნენ მე–5 პოლკის შერეული ბატალიონი, თბილისის საყარაულო ბატალიონის ნაწილი და მანგლისის მესაზღვრეთა რაზმის შერეული ასეული".

საომარი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ინტენსიურად დაიწყო საქართველოს რეგულარული ჯარის ქვედანაყოფების, სახალხო გვარდიისა და მოხალისეთა ცალკეული რაზმების ფორმირება და სხვადასხვა, პირველ რიგში კი შულავერის ფრონტისაკენ გადასროლა. საქართველოს მთავრობისა და სამხედრო სამინისტროს გადაწყვეტილებით, ამ მიმართულების სარდლად მე–2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალ–მაიორი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა, მის მოადგილედ კი გენერალ–მაიორი დავით სუმბათაშვილი. არაზუსტია ქალბატონ ნინო ვაშყმაძის მიერ გენერალ–მაიორ გიორგი მაზნიაშვილის საომარ მოქმედებათა მთავარსარდლად მოხსენიება სომხეთ–საქართველოს ომში.[27]

გენერალი მაზნიაშვილი 1918 წლისათვის, როგორც ჩვენს მიერ იყო აღნიშნული, ნომინალურად მე–2 ქვეითი დივიზიის მეთაური იყო, ნოემბრის თვიდან – თბილისის გენერალ–გუბერნატორი, დეკემბრის ბოლოდან კი იგი შულავერი–სადახლოს ფრონტს ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, ეკატერინენფელდის ფრონტს – გენერალ–მაიორი სტეფანე ახმეტელაშვილი, ხოლო ახალქალაქის ფრონტს – მაზრის გენერალ–გუბერნატორი, გენერალ–მაიორი აბელ (ბალო) მაყაშვილი სარდლობდნენ. ამ ომში მთავარსარდლის თანამდებობა გენერალური შტაბის გენერალ–მაიორ ალექსანდრე გედევანიშვილს, სამხედრო მინისტრის მოადგილეს ეკავა სამწყობრო–ოპერატიულ დარგში, ხოლო ქართველთა მთავარი საველე შტაბის უფროსად, გენერალი ვლადიმერ იმნაძე იქნა დანიშნული.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ გენერალ გიორგი წულუკიძის თბილისში გაწვევით მისი საბრძოლო კარიერა სომხეთ–საქართველოს ომში არ დასრულებულა. იგი ორ დღეში ისევ დაუბრუნდა შულავერის ფრონტს, მაგრამ არა სარდლად, არამედ უკვე გენერალ მაზნიაშვილის დაქვემდებარებაში გადასული თავისივე საბრძოლო რაზმის მეთაურად. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გამართლებული იყო გენერალ წულუკიძის გენერალ მაზნიაშვილით შეცვლა, მაგრამ არა იმიტომ, რომ გენერალ წულუკიძის პროფესიონალობა იწვევდა ეჭვს, არამედ იმიტომ, რომ მთელი

ორკვირიანი, შეუსვენებელი და თავგანწირული ბრძოლების შემდეგ მისი და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაზმის საერთო მზადყოფნის დონე და საბრძოლო კონდიცია, რაღა თქმა უნდა, აღარ იდგა შესაბამის სიმაღლეზე. ეს მდგომარეობაც საქართველოს „დემოკრატიული, ჰუმანური და პაციფისტი" მთავრობის გამოისობით იყო პირველ რიგში გამოწვეული.

გენერალ მაზნიაშვილის დასახასიათებლად ჩვენის აზრით, ყველაზე პროფესიონალური და სარწმუნო წყარო შევარჩიეთ. ეს წყარო თავად გენერალ კვინიტაძის მემუარია:

„გენერალი მაზნიაშვილი მამაცი კაცია. რამდენჯერმე მინახავს ტყვიის ზუზუნში და გადაჭრით შემიძლია ამის თქმა. ერთობ არასასურველ ვითარებაშიც მამაცია. მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ ესაა მისი ნაკლი — მოჭარბებული სიმამაცე. ხშირად გადადებს ხოლმე თავს. ხშირად მოქცეულა ისე, რომ შეიძლებოდა თავი წაეგო და ხელიდან გამოგვცლოდა ისეთი კაცი, რომლის დაკარგვაც დიდ ზიანს მოგვიტანდა".[28] გენერალ მაზნიაშვილის დასახასიათებლად გენერალ კვინიტაძის მემუარი ტყუილად არ მოგვიყვანია. გენერალი კვინიტაძე, მიუხედავად თავისი ასაკისა (1918 წლისათვის იგი სულ 44 წლისა იყო) უაღრესად პრინციპული, სამხედრო საქმის უდიდესი პროფესიონალი და ერთობ რთული პიროვნება იყო. მას საკმაოდ მკაცრი და ჩამოყალიბებული შეხედულებები ჰქონდა ქართველ სამხედრო მაღალჩინოსნებისა და პოლიტიკოსების პროფესიონალობაზე, სადაც დაღებით შეფასებას სულ რამდენიმე კაცი იმსახურებდა. გენერალი მაზნიაშვილიც ერთ—ერთი მათგანი იყო.

დანიშვნის პირველსავე დღეს, სწორედ გენერალ მაზნიაშვილის მიერ განხორციელებულმა ენერგიულმა ზომებმა შეარბილა გარკვეულწილად ქართველთათვის არსებული ის კატასტროფული მდგომარეობა, რაც შექმნილი იყო ზოგადად საომარ მოქმედებათა ფრონტებზე და განსაკუთრებით შულავერი—სადახლოს მიმართულებაზე 1918 წლის 22 დეკემბრისათვის. ერთობ ნიშანდობლივია ის გამაოგნებელი ფაქტიც, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი, გენერალი კვინიტაძე, მთავრობის ძალისხმევით რამდენიმე თვის წინ იძულებით თადარიგში გასული, საკუთარი სურვილით გამოცხადდა სამობილიზაციო პუნქტში, მოხალისე ოფიცერთა პოლკში ჩასაწერად, რათა ასეთი გზით მაინც მიეღო საომარ მოქმედებებში მონაწილეობა:

„გული მტკიოდა რომ ჩემს თანამებრძოლებს, უკანასკნელი ომის გმირებს (აქ I მსოფლიო ომზეა საუბარი — ა. ჩ.) თავი ეჭრებოდათ, რადგან სერიოზულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლებისათვის უმაღლესი სამხედრო ჯილდოები დაიმსახურეს, აქ კი უდავოდ ყველაზე სუსტმა მტერმა დაამარცხათ".[29]

მოხალისე ოფიცერთა ამ პოლკს პოლკოვნიკი ზაქარია (შაქრო) ბაქრაძე მეთაურობდა. პოლკოვნიკ ბაქრაძის პოლკის მეთაურად დანიშვნისა და

ერთდროულად მისთვის გენერლის წოდების მინიჭების ბრძანებას კი შემდეგი სახე ჰქონდა:

„ბრძანება №235. 20. 12. 1918.

ინიშნება: პოლკოვნიკი ბაქრაძე ოფიცერთა პოლკის უფროსად. (და იმავე ბრძანებით — ა. ჩ.) აყვანილია: გენერალ–მაიორის ხარისხზე წმ. გიორგის ორდენის სტატიის 49 ძალით.

მდივანი.”[30]

ბოლოსდაბოლოს, როგორც ჩანს, მაინც მოერიდათ გენერალ კვინიტაძის რიგით ოფიცრად გაწვევა და იგი გენერალ მაზნიაშვილის დაჯგუფების შტაბის უფროსად დაინიშნა, ზემოხსენებულ პოლკოვნიკ არტემ ჯიჯიხიას ნაცვლად. მისი დანიშვნის ბრძანებას შემდეგი ფორმულირება ჰქონდა:

„ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ. №245. 20. 12. 1918.

ინიშნება: მე–2 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე ყოფილი გადამდგარი გენერალური შტაბის გენერალ–მაიორი კვინიტაძე, ბრიგადის უფროსის ჯამაგირით.

გენერალი მდივანი”.[31]

ახალი სარდლობის დანიშვნა შესაბამისად აღიქვა შულავერის ფრონტის მთელმა პირადმა შემადგენლობამ: „ამავე დღეს ხდება ერთი ღირს შესანიშნავი ცვლილება: ბრძოლის ველს ჩამოდიან ახალი მეთაურები, *მთავარ სარდალი გენ. გ. ივ. მაზნიაშვილი* და შტაბის უფროსი გენერალი გიორგი კვინიტაძე. ისინი კარგად იცნობენ ჩვენს ჯარსაც და მის წინამძღვრებსაც სომხებსაც და თავის საქმესაც. ჯარიც კარგად იცნობს მათ და სიხარულით ეგებება მათ დანიშვნას”.[32]

სხვათა შორის, ამ ოფიციალურ ამონარიდშიც გენერალი მაზნიაშვილი მთავარსარდლად არის მოხსენიებული, რაც შეცდომაა.

რეგულარული ჯარის ნაწილებისა და სახალხო გვარდიის შენაერთის საყოველთაო მობილიზაციის გარდა, დაიწყო მოხალისეთა რაზმების შედგენა, რომელთა საერთო მეთაურად გენერალ–მაიორი ლევან (ლენკო) მაღალაშვილი დაინიშნა.

„ბრძანება №251. 22. 12. 1918.

ინიშნებიან 18 დეკემბრიდან: გენერალ–მაიორი მაღალაშვილი — მოხალისეთა რაზმის უფროსად, გენერალ–მაიორი ფურცელაძე მოადგილედ, პოლკოვნიკი კარგარეთელი — შტაბის უფროსად”.[33] აღსანიშნავია, რომ მე–2 ქვეითი დივიზიის მე–4, მე–5 და მე–6 ქართული ქვეითი პოლკების სამეთაურო შემადგენლობის დანიშვნები ბრძანებით მხოლოდ 23 დეკემბერს განხორციელდა. დანიშვნის ბრძანებებს შემდეგი სახე ჰქონდა:

„ბრძანება №253. 23. 12. 1918.

ინიშნებიან: მე–4 ქვეითთა პოლკში: პოლკოვნიკები — ჯაფარიძე, თოფურიძე, ჩხეიძე, კვინიხიძე, საგინაშვილი. პოდპოლკოვნიკები — ჩერქეზიშვილი, ვაჩნაძე, ჭანტურია, ლეკვინაძე, შალამოვი.

მე–5 ქვეითთა პოლკში: პოლკოვნიკები – ვაჩნაძე, ჭავჭანიძე. პოდპოლკოვნიკები – ნამორაძე, მიქაბერიძე, შარვაშიძე ელიზბარ, შარვაშიძე ივან, ბალუაშვილი, კვიკვიძე, გულისაშვილი.

მე–6 ქვეითთა პოლკში: პოლკოვნიკი ყონჩუაშვილი. პოდპოლკოვნიკები – თათარაშვილი, შაიშმელაშვილი, მაჭავარიანი, ნადირაშვილი, ჯაფარიძე.

მინისტრის მაგიერ, გენერალი მდივანი".

„ბრძანება №192. 26. 12. 1918.

§1. საქართველოს ჯარის დასახმარებლად ებრძანებ ეხლავე შესდგეს სასაწიკაო ათასეული აქ დართული შტატების მიხედვით. სასაწიკაო (სასაზიდრო – ა. ჩ.) ათასეულის სამმართველოს და ოთხი ტრანსპორტის შესაფერისი სამმართველოების შედგენა მოხდეს სადგურ სანდარში.

§2. სასაწიკაო ათასეულის უფროსად ინიშნება პოლკოვნიკი დუმბაძე".[34]

„ბრძანება №265.

ინიშნება: 1–ლი ქვეითთა პოლკის პოდპოლკოვნიკი კაჭახიძე, მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში – ტფილისის გუბერნიის ბატალიონის უფროსად.

ბრძანება №282. 31. 12. 1918.

ინიშნებიან ამა წლის 18 დეკემბრიდან: 1–ლი მოხალისეთა დრუჟინის უფროსად – პოლკოვნიკი ხერხეულიძე. მე–2–რე მოხალისეთა დრუჟინის უფროსად – პოლკოვნიკი აბესაძე. მე–3–მე მოხალისეთა დრუჟინის უფროსად – პოლკოვნიკი ინწკირველი".[35]

გამოკვეთილად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოხალისეთა რიგებში დიდი იყო საქართველოს არაქართული, კერძოდ, ბორჩალოს მაზრის აზერბაიჯანული მოსახლეობის წილიც: „გენერალ ლენკო მაღალაშვილის მოხალისეთა ჯარი საათობით იზრდება. ბორჩალოელმა თათრებმა რომ გაიგეს მაღალაშვილი ჯარებს აგროვებს წუწკი მტრის საწინააღმდეგოდ, ერთ დღეს მხოლოდ სამი სოფლიდან 300 მებრძოლი გამოვიდა, იარაღი მიიღეს და სათანადოდ მათი უფროსი ოფიცრების მეთაურობით ჩვენს ჯარს შეუერთდნენ. თათრები ამბობენ: ერთ დღეს დავიხოცებით და მაგ წუწკებს ჩვენზე არ გავაბატონებთო".[36] საერთო ჯამში, გენერალ მაღალაშვილის დაქვემდებარებაში ბორჩალოელ აზერბაიჯანელ მოხალისეთა 500 კაციანი რაზმი გაერთიანდა.

სასწრაფოდ განხორციელდა აგრეთვე საკავალერიო ქვედანაყოფების სამეთაურო შემადგენლობის დანიშვნებიც.

„ბრძანება №223. 17 დეკემბერი. 1918 წელი. ტფილისი.

ინიშნებიან: სათადარიგო ცხენოსანი ასეულის უფროსად პოლკოვნიკი ნაცვალოვი.

1–ლ ცხენოსან პოლკის უფროსის თანაშემწედ პოლკოვნიკი ხიმშიევი.

2–ე ცხენოსან პოლკის უფროსის თანაშემწედ პოდპოლკოვნიკი ანდრონიკაშვილი.

3–ე ცხენოსან პოლკის უფროსის თანაშემწედ პოდპოლკოვნიკი ლორთქიფანიძე. ყველანი ამა წლის 27 აგვისტოდან".[37]

ქართული სამეთაურო კადრების გადახალისების საკითხებთან დაკავშირებით, ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის ერთ–ერთი ქართველი ავტორის მიერ ქვემოთ მოყვანილი ცნობები, რომელიც ნამდვილად არ შეესაბამება საქმის რეალურ ვითარებას და იგი უხეში შეცდომებითაა აღსავსე. კერძოდ: „სამხედრო მინისტრის ძირითადი ფუნქციის შესრულება „სამოქალაქო პირის" – გრიგოლ გიორგაძის მაგივრად, პროფესიონალ სამხედროს – დავით ვაჩნაძეს დაევალა, რომელმაც ოპერატიულად შეძლო მაზნიაშვილის მიერ მოთხოვნილი 500–ის ნაცვლად 1500 კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარისკაცის გაგზავნა გამოცდილი ოფიცრების – პოლკოვნიკ ბალუაშვილის, კაპიტან შერვაშიძის, კავალერიის პოლკოვნიკ რატიშვილის, პორუჩიკ მესხიშვილის და სხვათა მეთაურობით".[38]

ამ ამონარიდში, სამწუხაროდ, არც ერთი სიტყვა არ შეესაბამება სიმართლეს, გარდა იმისა, რომ პოდპოლკოვნიკი (და არა პოლკოვნიკი) ბალუაშვილი მართლაც გამოცდილი და პროფესიონალი ოფიცერი იყო. მე–5 ქვეითი პოლკის ოფიცრები, ელიზბარ და ივანე შარვაშიძეები პოდპოლკოვნიკები იყვნენ და არა კაპიტნები. ხოლო რაც შეეხება მე–6 პოლკის მეთაურს, კავალერიის პოლკოვნიკ რატიშვილს, მას ამ ომში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა, სხვათა შორის, ისევე, როგორც მე–5 პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ თავაძეს, მიუხედავად იმისა, რომ სწორდ ეს პოლკები წარმოადგენდნენ სომხეთ–საქართველოს ომში ქართული მხარის მთავარ დამრტყმელ ნაწილებს. ეს საკითხი ჩვენ ნაშრომის შესაბამის თავში გვქონდა განხილული. მე–6 ქართულ პოლკს სომხეთ–საქართველოს ომში, პოლკოვნიკი, შემდგომში კი გენერალი ბენაშვილი მეთაურობდა. ასევე, „პროფესიონალ სამხედროს" დავით ვაჩნაძეს სამხედრო მინისტრი – „სამოქალაქო პირი" გრიგოლ გიორგაძე არ შეუცვლია და „1500 კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარისკაცის" მაგივრად მხოლოდ შულავერის ფრონტზე, 31 დეკემბრის მონაცემებით, ზემოხსენებული რაოდენობისაგან არსებითად განსხვავებული რიცხვი, ათჯერ მეტი ქართველი მეომარი იქნა მობილიზებული.

ფრონტის ხაზზე ახლადდანიშნული ქართული სარდლობის ჩამოსვლა და გატარებული პირველადი ღონისძიებები გენერალ მაზნიაშვილის მემუარში ასეა აღწერილი:

„18 დეკემბერს დილის 4 საათზე ჩვენი მატარებელი მივიდა სანდარში, სადაც დამხვდა ჯავშნიანი მატარებელი ვ. გოგუაძისა, რომელმაც მომახსენა, რომ მოწინააღმდეგემ უკვე მოაღწია მდინარე ხრამს და დაიჭირა პატარა შულავერი, ხოლო მათ არა ყავთ არავითარი ძალები, თუ ანგარიშში არ მივიღებთ სანაპირო რაზმის ნაწილებს, რომლებიც უკან დახევის შემდეგ დაბანაკდნენ მდინარე ხრამზე. ჯერ კიდევ ტფილისიდან დავუგზავნე დეპეშები

ჩემი დივიზიის ლეგიონების (აქ და ყველგან ავტორი პოლკების აღსანიშნავად ლეგიონებს ხმარობს — ა. ჩ.) უფროსებს და კატეგორიულად მოვითხოვე, რომ ყველას დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ ჩემს განკარგულებაში ათასეულები (კლასიკური ბატალიონები — ა. ჩ.) და ტყვიისმფრქეველების გუნდები, რომლებიც კი უკვე მზად იყვნენ. ტფილისში დაბანაკებული არტილერია დაიძრა და წამოვიდა სანდარისაკენ. ყოველ წუთს მოველოდით მაშველებს.

პირველი და უმთავრესი ამოცანა, რომელიც მე დავისახე, იყო შემდეგი: შემეჩერებინა მტრის წინსვლა მდ. ხრამზე, სანამ რეზერვი მოვიდოდა. ამ მიზნით ჩემს თანაშემწეს, გენერალ სუმბათაშვილს ვუბრძანე წაეყვანა ერთი ესკადრონი და დაუყოვნებლივ წაეწია მდ. ხრამზე. ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით ესკადრონი მივიდა ხრამთან დილის 4 საათზე და დაუყოვნებლივ შეებრძოლა მტერს.

სომხებმა იფიქრეს, ხრამთან ქართული ჯარის უმთავრესი ძალები მოვიდაო და დაიწყეს უკან დახევა პატარა შულავერისაკენ. გენერალმა მტრის შეცდომით ისარგებლა და დაუყოვნებლივ მიიტანა იერიში რკინის გზის ხაზზედ, ხოლო როცა დაინახა, რომ სომხები არამც თუ რკინის გზას სცლიან, არამედ შულავერის მთების მაღლობებსაც სტოვებენ, დაუყოვნებლივ გაგზავნა 1/2 ესკადრონი სად. აშაღა—სარალის დასაჭერად. იმის მაგივრად, რომ სომხებს გამოეყენებინათ თავისი პოზიციების კარგი მხარეები, მათ დაცალეს ისინი და შეუგუფდნენ ქალაქ შულავერში და პატარა შულავერში.

მტრის არც ერთი შეცდომათაგანი არ დაუტოვებია სუმბათაშვილს უყურადღებოდ და დილის 8 საათზე ჩვენმა მცირერიცხოვანმა რაზმმა უკვე დაიჭირა სად. აშაღი—სარალი და ამასთან ერთად მთის მაღლობები, რომელიც მოდის პატარა შულავერიდან სად. აშაღა—სარალიმდე. დილის 10 საათზე ჩვენმა ჯავშანმატარებელმა ზარბაზნების მოხერხებული სროლით მტერი გამოდევნა შულავერის ბაღებიდან და სანაპირო რაზმის ნაწილები გადავიდნენ ხრამზე და დაიჭირეს პატარა შულავერი. შუადღის 12 საათზე ჩვენი მატარებელი მივიდა სად. აშაღა—სარალიში და დარჩა იქ ომის გათავებამდე".[39]

ქართულმა მხარემ თავისი ახლადმობილიზებული მცირერიცხოვანი ავანგარდის პირველი კონტრშეტევითი ბრძოლები გენერალ—მაიორ დავით სუმბათაშვილის უშუალო მეთაურობით განახორციელა. გამოკვეთილად აღსანიშნავია, რომ ქართული შემტევი ავანგარდი მხოლოდ ერთ ესკადრონსა და ერთ ჯავშნოსან მატარებელს წარმოადგენდა. ამ საბრძოლო მანევრში, ისევე, როგორც სომხეთ—საქართველოს ომის პრაქტიკულად ყველა ეპიზოდში, დაწყებული 18 ოქტომბრის მოვლენებიდან, გაოცებას იწვევს ქართველ მეთაურთა უტეხი მებრძოლი სული და მხედრული სიმამაცე. სულ რაღაც ერთი ესკადრონითა და ჯავშანმატარებლით, მტრის მრავალჯერად აღმატებულ ძალებთან შეტევით ბრძოლაში, სომეხ ავტორთა მტკიცებების საწინააღმდეგოდ, გენერალ სუმბათაშვილის ქვედანაყოფებმა არათუ შეძლეს სომეხთა წინსვლის შეჩერება, არამედ უკანაც დააბრუნეს მას.

ქართული მხარის ტაქტიკური წარმატება პირველ რიგში, რკინიგზის სადგურ აშაღა–სარალის დაკავებაში გამოიხატებოდა, რითაც უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი შეიქმნა შემდგომი აქტიური მოქმედებებისათვის. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ აქაც, ისევე როგორც სადახლოზე სომეხთა პირველი შეტევისას, 18 დეკემბერს, ერთი მუჭა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში სომხური ნაწილები აშკარად დაფრთხნენ და უკან დაიხიეს ქალაქ შულავერისაკენ, რითაც ის ძვირფასი დრო იქნა მოგებული, რაც ასე ჭირდებოდა ქართულ მხარეს სამობილიზაციო ღონისძიებების ფორსირებისათვის. მართლაც რომ მაგიურად მოქმედებდნენ ქართული ჯაჭვნოსნები სომხურ შემტევ ავანგარდებზე. ესეც ჩვენი „სომეხთა ჰანიბალი" და „უზადოდ ნიჭიერი სტრატეგოსი" – გენერალი დრო. შემდეგ კი: „მოვიდა თელავიდან მე–6 მსროლელი ლეგიონის ერთი ათასეული, ტყვიისმფრქვეველების გუნდი და სახალხი გვარდიის რამდენიმე ცალკეული რაზმი, რომლებიც მაშინვე გავგზავნე მაღლობების დასაკავებლად. ეს მაღლობები ჰყოფენ აშაღა–სარალს შულავერისაგან. მტერმა დაიკავა გორაკი ქ. შულავრიდან აღმოსავლეთით მდებარე და თვით ქალაქი".[40]

გენერალი კვნიტაძე: „ასეთი ვითარება დაგვხვდა: *პოლკოვნიკ წულუკიძის* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) ჯარის ნარჩენებმა, 200–მდე კაცმა დებედა–ჩაის ან, სხვანაირად, ბომბაკის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით დაიხია უკან. გენერალ სუმბათაშვილის რაზმმა, ე.ი. პოლკოვნიკ წულუკიძის გასამაგრებლად წამოყვანილმა რამდენიმე ასეულმა მოწინააღმდეგის მეწინავე რაზმებს უკან დაახევინა და ახლა აშაღი–სარალიდან სულ 2–3 ვერსის მანძილზე იდგნენ სამხრეთით, შულავერის მიმართულებით. როგორც გენერალმა სუმბათაშვილმა მოგვახსენა, იგი მაშინ ჩასულა, როცა პოლკოვნიკ წულუკიძემ უკან დახევა დაიწყო...

შულავრის მიმართულებით ერთი გორაკი აიღეს, მაგრამ მერე შეტევა შეწყდა. გენერალ სუმბათაშვილის მოქმედება და განკარგულებები მართებული იყო, უთუოდ სარისკოც, მაგრამ მხოლოდ ამგვარი მოქმედებებით შეიძლებოდა შეგვეჩერებინა შემოტევა სომხებისა, რომლებიც უკვე ორი კვირის განმავლობაში წარმატებით მოიწევდნენ წინ და ამიტომაც ფრთაშესხმულები იბრძოდნენ. სწორედ შულავერისკენ სვლამ აიძულათ, შეტევა შეეწყვიტათ და ქალაქის დაცვაზე ეზრუნათ. გენერალ სუმბათაშვილის მიერ შულავერზე შეტევამ მათი ყურადღება მიიპყრო და შეაჩერა რკინიგზის გასწვრივ შემოტევა თბილისის მიმართულებით. სუმბათაშვილმა ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი დრო მოიგო.

სომხების უფროსობას შორსმჭვრეტელობა რომ გამოეჩინათ, მდინარე დებედა–ჩაის მარჯვენა ნაპირზე უნდა გაეგრძელებინა სვლა რკინიგზის გასწვრივ და ყურადღება არ უნდა მიექცია გენერალ სუმბათაშვილის მოძრაობისათვის შულავერის მიმართულებით. აქ თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა და იოლად გადაგვისროდა ხრამს იქით. საბედნიეროდ, გენერალ სუმბათაშვილის მოქმედების პასუხად სომხები ისე

მოიქცნენ, როგორც ჩვენ გვინდოდა. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, უნდაც მოგვეხერხებინა, რომ შიში ჰქონოდათ, ქართველები შულავერს შეუტევენო. იმ დღეს შულავერის მიმართულებით ერთი გორაკი ავიღეთ, ამან სომხები დაარწმუნა, რომ შულავერის აღება გვინდოდა. ეს კი ძალიან გვაძლევდა ხელს.

გენერალი მაზნიაშვილი საერთო მმართველობაში ჩაერთო და მყისვე შექმნა ორი საბრძოლო უბანი 1) შულავერის მიმართულებით, გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით და 2) მდინარე დებედა–ჩაის მარჯვენა ნაპირზე, არ მახსოვს ვისი მეთაურობით".[41]

გენერალ კვინიტაძის ამ მემუარში აბსოლუტურად გაუგებარია გენერალ–მაიორ გიორგი წულუკიძის პოლკოვნიკად მოხსენიება. ამ ფაქტს ერთჯერად კორექტურულ უზუსტობად ნამდვილად ვერ ჩავთვლით, რადგან იგი მემუარში რამდენჯერმეა გამეორებული. აქ იმდენად აშკარა და ძნელად ასახსნელი შეცდომაა დაშვებული, რომ მასთან დაკავშირებით კონტრარგუმენტების მოყვანასა და შემდგომ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება მდინარე დებედას მარჯვენა ნაპირის საბრძოლო უბნის მეთაურის ვინაობას, იგი ისევ და ისევ გენერალი გიორგი წულუკიძე იყო, რომელიც თავისი საბრძოლო რაზმის ნარჩენებსა და ახლად მობილიზებულ ქვედანაყოფებს ჩაუდგა სათავეში.

1918 წლის 18 დეკემბრიდან საქართველოს მთავრობისათვის გამოიკვეთა, რომ სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული შეიარაღებული აგრესია სრულმასშტაბიან ომს წარმოადგენდა ყველა თანმდევი შედეგით. მობილიზაციის გამოცხადებასთან ერთად საქართველოს მთავრობისა და სამხედრო სამინისტროს მიერ საომარი პერიოდის შესაბამისი სხვა გადაუდებელი ზომების განხორციელებაც დაიწყო. ეს ღონისძიებები პირველ რიგში საორგანიზაციო, ფრონტებზე გაგზავნილი პირადი შემადგენლობის ფინანსური და ზურგის უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებაში გამოიხატებოდა.

„ბრძანება. სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის მიმართ №48. 31. 12. 1918. ტფილისი.

§1. ომიანობისა და არეული მდგომარეობის გამო სამხედრო მინისტრმა ბრძანა შემოღებულ იქნას ამა წლის დეკემბრის 28–დან ყველა შტაბებში და სამხედრო უწყების დაწესებულებებში მუშაობა საღამოობითაც 7 საათიდან 9–მდე. დაწესებულებათა და ცალკე ნაწილების უფროსებს ევალებათ თვალყური ადევნონ დაქვემდებარებულ პირთ, რათა წესიერად აღასრულონ ზემოთ ნახსენები განკარგულება.

ცნობა: საერთო განყოფილების უფროსის ტელეფონოგრამა №5604.

§2. ამა წლის 20 დეკემბერს მთავრობამ დაადგინა:

მიეცეს ერთდროული დახმარებები 1000 მანეთი ყველა ოფიცრებს და ხარისხოსანთ, რომლებიც ემგზავრებიან ფრონტზე, ამას გარდა დღიურად: 10 მანეთი ცოლშვილიანთ და 5 მან. არა ცოლიშვილიანთ ფრონტზე ყოფნის

დროს. ამ ფულის თხოვნის უწყებასთან ერთად უნდა იქმნეს წარმოდგენილი ასლები ბრძანებისა: თუ იგზავნება მთელი შემადგენლობა სამხედრო ნაწილისა – ასლი ბრძანებისა, ანუ განკარგულებისა სამხედრო სამინისტროსი და იმ შემთხვევაში, როდესაც იგზავნებიან კერძო პირნი სამმართველოებიდან, დაწესებულებებიდან და შტაბებიდან – ასლები ბრძანებისა და ამ ნაწილების უფროსისა.

ხელს აწერს გენერალ–მაიორი ყიფშიძე.

საფუძველი: ტელეფონოგრამა ამა წლის 22 დეკემბრიდან №8922 საადმინისტრაციო განყოფილების უფროსის".[42]

„ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ. №102. 16. 12. 1918.

საომარ ასპარეზზედ მყოფი ლაშქარი სხვა და სხვა გარემოებებით გამოწვეული მიზეზების გამო ბევრჯელ მოკლებულია ცხელ საჭმელს. რომ ასეთმა შემთხვევებმა არ ავნოს მეომართა ჯანმრთელობას, ვბრძანებ:

საქართველოს ჯარის მომარაგების უფროსის მიერ ამა წლის 24 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული 1/2 მისხალი ჩაის და 8 მისხალი შაქრის რაოდენობა გადიდებულ იქმნას ომის ასპარეზზედ მყოფ ლაშქრისათვის: ჩაისა 3/4 მისხლამდის და შაქრისა 12 მისხლამდის. განსაზღვრა ომის ასპარეზისა ზურგის ჯარისაგან მიენდოს ლაშქრის მთავარ სარდალს.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე".[43]

მდინარე ხრამის მისადგომებთან გენერალ სუმბათაშვილის უშუალო მეთაურობით გამართული ბრძოლა იქცა სწორედ სომხეთ–საქართველოს ომში ძირეული გარდატეხის დასაწყისად. სწორედ ამ თავზეხელაღებული და მეტად სარისკო ტაქტიკური მანევრის წყალობით ქართულმა ქვედანაყოფებმა რკინიგზის სადგური აშაღა–სარალი დაიკავეს, რამაც ქართველთათვის მოხერხებული პლაცდარმის შექმნა გამოიწვია. სადგურ აშაღა–სარალშივე განლაგდა დაუყოვნებლივ გენერალ მაზნიაშვილის საველე შტაბიც, რომლის დისლოკაციაც მთელი ომის მსვლელობაში აღარც შეცვლილა.

მიუხედავად მცირე ტაქტიკური წარმატებისა, ქართული მხარის საერთო მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ისევ კატასტროფული იყო და მისი ბედიც ამ პერიოდში ისევ ბეწვზე ეკიდა. შექმნილი ვითარების რეალურად წარმოდგენისათვის ისევ გენერალ კვინიტაძის მემუარს მივიშველიებთ:

„კარგად გვესმოდა, რომ მოწინააღმდეგისათვის უნდა წაგვერთმია ინიციატივა, რომელსაც უკვე ორი კვირის განმავლობაში ფლობდა, მაგრამ ისეთი არაფერი გვქონდა, რითაც წართმევას შევძლებდით. დაღამდა. ვიცოდი, რომ მდგომარეობა ბეწვზე ეკიდა. სომხების უმცირესი ძალისხმევა – და ხრამს იქით აღმოვჩნდებოდით. მეთაურები ვიყავით და ჯარი არ გვყავდა. თბილისიდან გულგრილად გვამცნობდნენ, ჯარი ჯერ არ არის, მობილიზაცია ჯერ არ დასრულებულა, დასაჩქარებლად ძალ–ღონეს არ ვიშურებთო და ა.შ. ვაგონში ბოლთას ვცემდი, ისევ რუქას ჩავცქეროდი და ა.შ."[44]

დიახ, ბედის ირონიაა ალბათ ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყებას მთელი 1918 წლის განმავლობაში

რეალურად ანგარიშგასაწევი რეგულარული ჯარი ფაქტობრივად არ გააჩნდა და პირველსავე დიდ ომში იგი აბსოლუტურად მოუმზადებელი ჩაერთო. და ეს მაშინ, როცა I მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტებზე, საერთო ჯამში, 155 ათასი ქართველი იღებდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას. ალბათ ისიც ისტორიული ბედისწერაა, რომ უძველესი დროიდან დაწყებული, ქართველები სხვათა ომებში უფრო მობილიზებულნი და ერთსულოვანნი იყვნენ, ვიდრე ეს პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში ხდებოდა, როცა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობისა და სასიცოცხლო ინტერესების დაცვა არაერთხელ მდგარა დღის წესრიგში. ყოველივე ამის თავი და თავი კი, ისევ და ისევ საქართველოს ,,დემოკრატიული და ინტერნაციონალისტი'' მთავრობის პოლიტიკური სიბეცე და მის მიერ გატარებული დანაშაულებრივი პაციფისტური კურსი იყო.

ამ მომენტისათვის აშკარად იკვეთება, რომ სომეხი დაშნაკებისა და სამხედრო სარდლობის განწყობა და მადა მართლაც პიკს აღწევს. საარქივო მასალების კვლევისას, ჩვენ ერთობ საინტერესო დოკუმენტს წავაწყდით, რომელიც 1918 წლის 24 დეკემბერითაა დათარიღებული. ესაა გენერალ დროს მეორე წერილი ქართულ სარდლობას, სადაც იგი ულტიმატიური მუქარის ფორმით უკვე პირდაპირ მოითხოვს ქართული ნაწილებისაგან არა მარტო ბორჩალოს მაზრის, არამედ, დამატებით, ახალქალაქის მაზრის დაუყოვნებლივ და მთლიანად დაცლას და იქ სომხური ნაწილების შეყვანას.

,,24. 12. 18. ქართულ სამხედრო სარდლობას.

თქვენო აღმატებულებავ, (Ваше превосходительство — ძალიან თავაზიანი დასაწყისია, მაგრამ... — ა. ჩ.)

საქართველოს არმიის საჯარისო ნაწილების მიერ ბორჩალოს მაზრის ნაწილისა და მთლიანად ახალქალაქის მაზრის მიტაცებამ, რომელიც ძირითადად სომხებითაა დასახლებული, ქართული ადმინისტრაციის უპასუხისმგებლო მოქმედებებმა და ჯარების დაუშვებელმა საქციელმა მოსახლეობის სამართლიანი რისხვა გამოიწვია. ამჟამად იარაღის ძალით ქართული რესპუბლიკის ნაწილები მდინარე ხრამს იქით არიან გადასრო-ლილნი და ბორჩალოს მაზრის სომხებით დასახლებული ტერიტორია განთავისუფლებულია.

გაძლევთ წინადადებას საქართველოს რესპუბლიკის ნაწილების მიერ დაუყოვნებლივ იქნას დაცლილი ახალქალაქის მაზრის ტერიტორია, თუ შემდგომი სისხლისღვრა თქვენთვის არაა სასურველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე იძულებული ვიქნები გავაგრძელო საომარი მოქმედებები და გადავიტანო იგი მდ. ხრამის ჩრდილოეთით.

ყაზახ–ბორჩალოს რაზმის უფროსი''.[45]

წარმოდგენილი ულტიმატუმის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ თურმე ,,ქართული ადმინისტრაციის უპასუხისმგებლო მოქმედებებითა და ჯარების დაუშვებელი საქციელით'' აღშფოთებული დაშნაკი ექსპანსიონისტები და სამხედრო ბელადები, ნამდვილად აღარ აპირებდნენ ბორჩალოს მაზრაში

მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილებას და ახალქალაქის სრული ოკუპაციის საკითხიც ისევ დღის წესრიგში იდგა, რასაც ახალქალაქის მაზრაში ამ პერიოდისათვის განვითარებული მოვლენები და სომხური ნაწილების საბრძოლო აქტივობა ადასტურებს.

ქართველთათვის კრიტიკული მდგომარეობის გამოსწორებაც სწორედ 24 დეკემბრიდან იწყება, მაშინ, როცა ბოლოსდაბოლოს შულავერის ფრონტს რკინიგზით პირველმა ნანატრმა სამხედრო ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა მოაღწიეს.

გენერალი კვინიტაძე:

„გამთენიისას 4–5 საათზე კიდევ ერთი მატარებელი ჩამოდგა. მე–5 პოლკის ეშელონი ჩამოვიდა ორი ბატალიონის შემადგენლობით და 15 ტყვიამფრქვევით. კინალამ გადავკოცნე. უეცრად დავმშვიდდი. რამდენიმე საათიც და ინიციატივას ხელში ჩავიგდებდით. თან ეს სამწყობრო ნაწილი გახლდათ. მანამდე გენერალ სუმბათაშვილის ჯარის შემადგენლობაში მე–6 პოლკის პოდპოლკოვნიკის კონჩუევის მხოლოდ 2 როტა იყო, დანარჩენები გვარდია და მოხალისეთა ნაწილები იყვნენ".[46]

კვინიტაძის მემუარში ნახსენები სამხედრო ნაწილები, მე–5 ქვეითი პოლკის მე–3 და მე–4 ბატალიონები იყვნენ 1040 კაცის საერთო რიცხოვნობით, პოლკის მეთაურის მოადგილის, პოლკოვნიკ ბოლღაშვილის მეთაურობით. ამონაწერი მე–5 ქვეითი პოლკის საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან: „24 დეკემბერი. რაზმი პოლკის მეთაურის თანაშემწის, პოლკოვნიკ ბოლღაევის მეთაურობით, მე–3 და მე–4 ბატალიონები 20 ოფიცრისა და 1020 რიგითის შემადგენლობით, გაგზავნილია მე–2 ქვეითი დივიზიის მეთაურის, გენერალ მაზნიევის განკარგულებაში სომხეთის ფრონტზე".[47]

ამ ეტაპისათვის სომხეთის რესპუბლიკის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების შეუჩერებელი წინსვლის პროცესი სრულდება. დაწყებული 25 დეკემბრიდან, სომხეთ–საქართველოს ომის ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე ქართველთათვის საერთო ოპერატიული მდგომარეობა სტაბილურდება და დღის წესრიგშიც შეტევითი ოპერაციის განხორციელების ამოცანა დგება.

§3. შულავერის ოპერაციის მოსამზადებელი ბრძოლები

წიგნის შესაბამის თავებში აღვნიშნეთ, რომ დაშნაკთა სეპარატისტული და ექსპანსიონისტური იდეოლოგიის გავრცელების ძირითად არეალს თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში სოფლები უზუნლარი, დაღეთ–ხაჩინი, ბოლნის–ხაჩინი, აირუმი და ქალაქი შულავერი წარმოადგენდნენ. სწორედ სომხებით დასახლებული ქალაქი შულავერი იყო ბორჩალოს მაზრის ზედა ზონაში დაშნაკთა ანტიქართული შეთქმულების უმთავრესი კერა და სომხური სამხედრო ნაწილების მხარდაჭერის მძლავრი საყრდენი პუნქტი.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ სადახლოს ავლით სომხური ნაწილები 1918 წლის 19 დეკემბერს მარშით შევიდნენ ქალაქ შულავერში და ამ მომენტიდან დაწყებული, ფაქტობრივად იგი იქცა ქართველთა წინააღმდეგ მიმართული დაშნაკური იდეოლოგიური აგრესიის მთავარ ფორპოსტად, ხოლო სომხეთის რეგულარული ჯარისათვის დიდი მხარდაჭერისა და ცოცხალი ძალით შევსების უწყვეტ წყაროდ.

სწორედ ქალაქი შულავერი წარმოადგენდა ბორჩალოს მაზრის ზედა ზონის უდიდეს დასახლებულ პუნქტს და შესაბამისად ამა თუ იმ მხარის მიერ მის პყრობასაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ქართული სარდლობის წინაშეც პირველხარისხოვან ამოცანად ქალაქ შულავერის განთავისუფლების საკითხი დაისვა, სადაც მტრის ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი და გამაგრებული. ამ ძალების განადგურებით უნდა გადაწყვეტილიყო საერთო ჯამში, რეგიონის დაშნაკი აგრესორებისაგან განთავისუფლებისა და მთლიანად სომხეთ–საქართველოს ომის ბედიც.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აქედანვე ცალსახად აღვნიშნავთ, რომ ქალაქ შულავერის აღების ოპერაცია წარმოადგენდა სწორედ სომხეთ–საქართველოს ომის მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლას. სწორედ შულავერის ბრძოლასთანაა დაკავშირებული სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის შეტანაც და ქართული შეიარაღებული ძალების ძლევამოსილი შეტევითი ოპერაციის გაშლა.

ალბათ ბედის ირონია იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკა თავის პირველ დიდ ომში სრულიად მოუმზადებელი ჩაება და ამ ომში ქართველთა წინააღმდეგ სომხები იდგნენ, ის ერი, რომელმაც გარდასულ სისხლიან საუკუნეებში სწორედ ქართველთა მეოხებით გამოიარა და გადარჩა. მათ დიდ მეომრად ვერასოდეს აღიქვამდა ქართველი კაცი და მათი საბრძოლო სულისკვეთებაც საყოველთაოდაა ცნობილი. ახლა კი... ახლა ისტორიის ბოროტ ხუმრობად უნდა ჩათვლილიყო ის მდგომარეობა, რომ დაწყებული 9 დეკემბრიდან ქართული საჯარისო ქვედანაყოფები უიმედოდ იხევდნენ უკან და სომხეთის შეიარაღებული ძალების რეგულარულ ნაწილებსა და დაშნაკურ საბრძოლო რაზმებს 1918 წლის 25 დეკემბრისათვის ბორჩალოს მაზრის მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჰქონდათ

უკვე ოკუპირებული. ამ მომენტისათვის სომხეთ–საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრებზე უკვე ასეულობით ქართველი მეომარი იყო დაღუპული, ხოლო ისტორიული ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული. საგრძნობი იყო ქართული მხარის მატერიალური დანაკარ–გებიც.

ქართული სარდლობისა და გენერალიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკოსთაგან განსხვავებით, რომელთა დიდი ნაწილი იმ დღეებშიც კი სომხებს ისევ „ნათესავ და მეგობარ ხალხად" თვლიდა, ხოლო დაშნაკებს იდეურ თანაპარტიელებად, მათ არ დაუკარგავთ რეალობის შეგრძნება. არ შეიცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართველ ოფიცერთა კორპუსი იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ალბათ ერთ–ერთი ყველაზე უფრო პატრიოტული სულისკვეთებისა აღმოჩნდა, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ეროვნული და პროფესიული მრწამსისა. საქართველოს მთავრობა და ქართველი მარქსისტები კი ქიმერული „სომხური დემოკრატიის" კეთილ ნებაზე ამყარებდნენ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის იმედს.

შულავერის ფრონტის ახლადდანიშნული სარდლობის მიერ იმთავითვე მტკიცე გადაწყვეტილება იქნა მიღებული სომეხ აგრესორთა სრული განადგურებისა და ერევანში შესვლის შესახებ. მიმართულების სარდალმა, გენერალმა მაზნიაშვილმა დანიშვნისთანავე დაიწყო ფრონტის ოპერატიულ მართვაზე მუშაობა, ხოლო საველე შტაბის უფროსის, გენერალ კვინიტაძის მიერ შეტევითი ოპერაციის მეტად საინტერესო გეგმა შემუშავდა:

იმის გამო, რომ სადახლოს 18–23 დეკემბრის ბრძოლების შემდეგ სომხურმა დაჯგუფებამ ალავერდი–ნავთლუღის სარკინიგზო მაგისტრალიდან გადაუხვია და ქალაქ შულავერში გამაგრდა, სომეხთა მიერ აშაღი–სარალი – სადახლოს რკინიგზის მონაკვეთი და თავად სადახლო, ნაკლებად დაცული აღმოჩნდა. ეს მდგომარეობა კი მეტად სათუოს ხდიდა სომხური შენაერთის მიერ მოპოვებული პოზიციების საიმედოობას. სწორედ ეს მომენტი იქნა გათვალისწინებული ფრონტის საველე შტაბის უფროსის, გენერალ კვინიტაძის საბრძოლო ჩანაფიქრში, სადაც სომეხთა დაჯგუფების პოზიციური განლაგების სუსტ მხარეებზე გაკეთდა ძირითადი აქცენტი.

შემუშავებული გეგმის თანახმად, გენერალ სუმბათაშვილის შენაერთის მიერ ქალაქ შულავერზე დაწყებული ფრონტალური შეტევის პარალელურად (რითაც სომეხთა შულავერის დაჯგუფება დაკავდებოდა), გენერალ წულუკიძის ნაწილების მიერ სომეხთა პოზიციების ღრმა ფლანგური მანევრი და სადგურ სადახლოს დაკავება უნდა მომხდარიყო, რასაც ქალაქ შულავერში გამაგრებული სომეხთა მთავარი ძალების ზურგის იზოლაცია უნდა მოჰყოლოდა შედეგად. ერთდროულად განხორციელდებოდა შულავერზე დარტყმა სომეხთა თავდაცვის მარცხენა ფრთიდან გენერალ ჩხეტიანის შენაერთის მიერ.

ოპერაციის შემდეგი ეტაპი – სომეხთა დაჯგუფებისათვის ალყის შემორტყმა და მისი სრული განადგურება კი ტაქტიკურად სწორად

დაგეგმილ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ქართული ნაწილების მასირებულ ფრონტალურ შეტევას ხელთ არსებული მთელი საშუალებებით. ამით უნდა დასრულებულიყო ფაქტობრივად სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების არსებობაც. ოპერაციის მესამე ეტაპი – ქართული შენაერთების ერევანში შესვლა კი მხოლოდ და მხოლოდ საბრძოლო მარშის განხორციელების ტემპებზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც მაქსიმუმ სამ–ოთხ დღე–ღამეში იყო შესაძლებელი:

„ვისარგებლე იმით, რომ მოწინააღმდეგე მდინარე დებედა–ჩაის მარჯვენა ნაპირზე საერთოდ არ ჩანდა და ძალებს შულავერთან მოვუყარე თავი. გეგმის მიხედვით უნდა შეგვეტია სადახლოსათვის, რომელიც გახლდათ სომხების ზურგში შულავერის რაიონში და მათკენ მომავალ ძალასთან კავშირის პუნქტი. ზურგს რომ ჩავიგდებდით ხელში და კავშირსაც გავუწყვეტდით (რაც ძალიან ადვილი იყო, რადგან სადახლოში არავინ იყო) უეჭველად ზურგს მოწყვეტილი შულავერლები, რომლებსაც მარცხენა ფლანგიდანაც უტევდნენ (გენერალი ჩხეტიანი) იძულებულნი გახდებოდნენ პოზიციები დაეთმოთ – ან ტყეედ ჩაბარებულიყვნენ, ან სამხრეთით მთებში გაბნეულიყვნენ".[48]

აი, ასეთი იყო გენერალ კვინიტაძის მიერ შემუშავებული საერთო სტრატეგიული გეგმის მონახაზი. შემუშავებული გეგმა თავისი ჩანაფიქრით მარტივი და გაბედული, შეიძლება ითქვას თავზეხელაღებულიც კი იყო, მაგრამ მას ერთი სუსტი წერტილი გააჩნდა. ეს სუსტი წერტილი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული მხარის საომარი მობილიზაცია სულ რაღაც ერთი კვირის დაწყებული იყო და ამ მომენტისათვის ფრონტებზე საკმარისი რაოდენობის ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის თავმოყრა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია – ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა არავითარ სარეზერვო ნაწილებსა და ქვედანაყოფებზე გათვლების გაკეთება. იმ შემთხვევაში, თუ ზურგს მოწყვეტილი სომხური შენაერთი შეძლებდა ალყის გარღვევას ფრონტალური მიმართულებით, რაც პრინციპში შესაძლებელი იყო ქართველთა სიმცირის გამო, ქართული მხარე უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. რეზერვისა და შეშველებული ძალების არქონის გამო, სომხური შენაერთის წინსვლის შეჩერება ჩრდილოეთის მიმართულებით ხელსაყრელი თავდაცვითი პოზიციების მოუმზადებლობის გამო, მეტად გაჭირდებოდა.

სწორედ ეს მომენტები იქნა გათვალისწინებული ფრონტის სარდლის, გენერალ მაზნიაშვილის მიერ და საერთო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, თავისი შტაბის მიერ შეთავაზებულ ოპერატიულ გეგმაზე უარი თქვა... და ალბათ მართალიც იყო.

დღეს, რა თქმა უნდა, ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, თუ ვინ იყო მართალი – გენერალი მაზნიაშვილი თუ გენერალი კვინიტაძე. შეუძლებელია იმის პროგნოზირებაც, თუ რა მოხდებოდა შემდგომ და რა

ოპერატიული მდგომარეობა შეიქმნებოდა სადახლო–შულავერის საბრძოლო უბანზე იმ შემთხვევაში, საბრძოლო მოქმედებები თავიდანვე გენერალ კვინიტაძის გეგმის მიხედვით რომ განხორციელებულიყო. ორივე შემთხვევაში ერთი რამ არის ცხადი. საქართველოს ორი დიდი სარდლის მიერ, ზოგადად, საომარ მოქმედებათა თეატრის საერთო ხედვა და საბრძოლო ოპერაციების დაგეგმარების სტილი განსხვავებული იყო. თუმცა ისიც ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში, სწორედ ამ ბრძოლებით უნდა დაწყებულიყო ქართული მხარის მძლავრი შეტევითი ოპერაცია დაშნაკ აგრესორთა წინააღმდეგ და ორივე შემთხვევაში იგი მტრის სრული განადგურებით უნდა დასრულებულიყო. განსხვავება მხოლოდ დროში იქნებოდა. ასეთი იყო ისტორიული გარდუვალობაც და ისტორიის ბოროტი ხუმრობისათვის ის კომპენსაციაც, რომ იმ მძიმე, 1918–1921 წლებში ასეთი სწორუპოვარი მხედართმთავრები სარდლობდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

და აქ, გენერალ მაზნიაშვილის პიროვნული და პროფესიული ხასიათის ის ძირითადი შტრიხებიც იკვეთება, რაც ერთი შეხედვით, თითქოს წინააღმდეგობაშიც კი მოდის ერთმანეთთან. ეს შტრიხები, უზომო პირადი სიმამაცე და მისი, როგორც მეთაურის ზედმეტად გამძაფრებული პასუხისმგებლობის გრძნობა იყო მისდამი დაქვემდებარებული შენაერთისა თუ დასმული ამოცანის წინაშე. იგი არასდროს არ გეგმავდა და მით უმეტეს არ ანხორციელებდა ისეთ საბრძოლო ოპერაციას, სადაც ბრძოლის შედეგები და პირადი შემადგენლობა გაუმართლებელი რისკის წინაშე დადგებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გენერალ მაზნიაშვილის მიერ ფრონტის სათანადოდ მომზადებასა და მხოლოდ ამის შემდგომ ქალაქ შულავერზე ფორსირებული შეტევის დაწყებაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება. ამ მეთოდური გეგმის მიხედვით, რა თქმა უნდა მეტი იყო იმის შანსი, რომ ქართული შენაერთების მიერ შედარებით ნაკლები დანაკარგებით იქნებოდა აღებული ქალაქი შულავერი, მაგრამ ამ შემთხვევაში, სომხური ნაწილები შეუფერხებლად დაიხევდნენ უკან, გარკვეულწილად შეინარჩუნებდნენ ბრძოლისუნარიანობას და ადვილად გადავიდოდნენ მათთვის მეტ–ნაკლებად ხელსაყრელ ახალ პოზიციებზე, რაც ახალ საბრძოლო მოქმედებებს, შესაძლო ახალ მსხვერპლსა და დროის გაწელვას ნიშნავდა, რაც სინამდვილეშიც ასე მოხდა.

გენერალ მაზნიაშვილის გეგმის მიხედვით განხორციელებული შულავერის აღების ოპერაცია, ოპერატიული თვალსაზრისით, ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს – მოსამზადებელი ბრძოლები და უშუალოდ ქალაქ შულავერის შტურმი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქალაქ შულავერის ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეები სომხური ქვედანაყოფების მიერ იყო დაკავებული. ამ მიმართულებაზე მთავარ სტრატეგიულ სიმაღლეებს 246,9 და 557 წარმოადგენდნენ. სწორედ ამ სიმაღლეების ფლობა გადაწყვეტდა საბოლოო ჯამში, შულავერის ოპერაციის ბედს. ქართული სარდლობის მხრიდანაც

უპირველეს ამოცანად სწორედ სიმაღლე 246,9–ის დაუფლება დაისახა. გენერალი მაზნიაშვილი:

„ქ. შულავერს თანდათან ვავლებდით გარშემო წრეს. გადავწყვიტე იერიში მიმეტანა 24 დეკემბერს, მაგრამ დამავიწყდა გვარდიის შეთვისებული ჟინიანობა და ავზნიანობა. სომხებმა დაიჭირეს შულავერიდან ჩრდილოეთით მდებარე მაღლობები, გაამაგრეს და დააყენეს ასეული ოთხი ტვიისმფრქვეველით. ეს გარნიზონი იდგა მაღლობზე, რომელიც დასცქეროდა შულავერის მიდამოებს და მტერს შესაძლებლობა ეძლეოდა სრულიად გაენადგურებინა ქალაქის ყველა მისავალი.

ეს გარემოება მაიძულებდა ჯერ დამეჭირა ეს მაღლობები და შემდეგ მიმეტანა საერთო იერიში ქალაქზე. 22 დეკემბერს სოფ. სარაჩლოსთან, რომელიც მდებარეობს შულავერის ჩრდილოეთით, მოვიდა სახალხო გვარდიის რაზმი გენერალ ჩხეტიანის უფროსობით. ამ რაზმს ვუბრძანე, იერიში მიეტანა ამ მაღლობზე 23 დეკემბერს, რომ ამით გაადვილებულიყო იერიში შულავერზე 24 დეკემბრის ღამით".[49]

ამ დროისათვის შულავერის ფრონტზე უკვე დაწყებული იყო მობილიზებული ქართული ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების თავმოყრა, რომელთა ეშელონების ინტენსიური დაცლა სადგურ აშაღა–სარალში ხორციელდებოდა. „მოდის, გვემატება ჯარი და თანდათან გული იმედით ივსება. მოვიდა ოფიცერთა მოხალისე რაზმი კაპ. უთნელოვის ხელმძღვანელობით. მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს ოფიცერთა რაზმი. სწრაფი და საზრიანი მიმოხვრა, სიმწყობრე და დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯი..."[50]

ამ მომენტისათვის შულავერის მიმართულებაზე ქართული დაჯგუფების ძალთა ოპერატიული გაშლა ასეთი იყო:

„მარცხენა ფრთას მეთაურობდა გენერალი ჩხეტიანი. შედიოდნენ: სამტრედიის გვარდიის 500 კაცი, მე–5 პოლკის წინწაწეული ბატალიონი, მე–4 არტ. ბატარეა, სადაზვერვო ესკადრონი. ცენტრი გენერალი სუმბათაშვილი: სხვადასხვა დასახელების 12 ერთეული, მათ შორის მე–6 პოლკის 2 როტა და ოფიცერთა ასეული, აგრეთვე ბრძოლაში, სრულიად უუნარო *წულუკიძის ყოფილი რაზმის მეზღვაურთა როტა*. დანარჩენი მოხალისეები". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[51] გენერალ კვინიტაძის ამ მემუარში აშკარა შეცდომაა გაპარული. ასეთი ქართული ქვედანაყოფი – „წულუკიძის ყოფილი რაზმის მეზღვაურთა როტა" – არ არსებობდა. ეჭვს გარეშეა აქ კორექტურული შეცდომაა. მოცემულ შემთხვევაში საუბარია გენერალ წულუკიძის დაქვემდებარებაში მყოფ *მესაზღვრეთა* და არა მეზღვაურთა ქვედანაყოფზე.

სომხური მხრიდან კი: „ჩვენს შტაბს ცნობები მოსდის, რომ შულავერის რაზმი საათობით იზრდება. მზვერავები ადასტურებენ აქ მეოთხე, მეექვსე და ყაზახის პოლკის ნაწილებს. მათ ემატებათ მოხალისეთა ასეულები და ათასი შეიარაღებული შულავრელი. ასე, რომ შულავერის სომხური რაზმი

დაბოლოს 4 ათას კაცს აღწევს. ამავე დროს სომეხთა ნაწილები ჩნდება ბაბაქიარის ქედზე და იჭერენ აგრეთვე იუხარი–სერალის სტრატეგიულ პუნქტს".[52] როგორც ვხედავთ, აქაც, შულავერთან, სომეხთა რიცხობრივი უპირატესობა სახეზეა.

საარქივო მასალებზე მუშაობისას ჩვენ ერთობ საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ, რომელიც შულავერის ადგილობრივი სომხური მოსახლეობის საომარი მობილიზაციის საკითხს შეეხება. ესაა სომხეთა მე–4 მსროლელი პოლკის მეთაურის, ამ მიმართულების სარდლის, პოდპოლკოვნიკ კოროლკოვის მოწოდება, სადაც სამობილიზაციო საკითხებთან ერთად, მოკავშირეთა მიერ ომის შეწყვეტის მოთხოვნაზეცაა საუბარი. მიკვლეული ხელნაწერი–მოწოდება ორიგინალს წარმოადგენს, იგი ლურჯი მელნითაა ქაღალდის ფურცელზე შესრულებული და ჩვენის აზრით, პირადად კოროლკოვის მიერ უნდა იყოს დაწერილი. აი ეს მოწოდებაც:

„განცხადება.

შულავერის მაცხოვრებლებო. ინგლისელები და ფრანგები ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითხოვენ. აუცილებელია, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს შულავერი დარჩეს სომხეთის საზღვრებში. იარაღის ტარების უნარის მქონე მთელ მოსახლეობას მოვუწოდებ, რომ ჯარისკაცების დასახმარებლად გამოვიდეს „დალიქ დაშის" კლდესთან და მოიგერიოს ქართველთა შეტევა, რომლებიც შულავერის ხელში ჩაგდებას ცდილობენ. 27 დეკემბრის საღამოსათვის მათგან ველოდები პარლამენტიორებს. მოხალისეები გამოცხადდნენ რაზმის შტაბთან.

შულავერის რაზმის უფროსი, პოდპოლკოვნიკი კოროლკოვი".[53]

წარმოდგენილი ორიგინალური საარქივო დოკუმენტი მეტად საყურადღებოა და იგი მეტად საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

1. დოკუმენტი დაუთარიღებელია, მაგრამ შინაარსიდან გამომდინარე, ცხადია, რომ იგი 27 დეკემბრამდეა შესრულებული, სავარაუდოდ – 23–24 დეკემბერისათვის, ქალაქ შულავერის მისადგომებზე ქართველთა შეტევის დაწყებამდე.

2. დოკუმენტში ბრიტანელთა და ფრანგთა „სამშვიდობო" ინიციატივაზეა საუბარი. აქედან დასკვნა – სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ხელმძღვანელობა და თვით საველე მეთაურები ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებამდე დიდი ხნით ადრე ფლობდნენ იმ ინფორმაციას, რომ მოკავშირეთა სამხედრო წარმომადგენლებს, აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს შორის უკვე მიმდინარეობდა სამმხრივი მოლაპარაკებები საომარი მოქმედებების სასწრაფოდ შეწყვეტის შესახებ. ქართული მხარის სარდლობამ და საველე მეთაურთა შემადგენლობამ კი ეს ინფორმაცია მხოლოდ 1918 წლის 31 დეკემბრის საღამოსათვის, ე.ი. ცეცხლის შეწყვეტამდე სულ რამდენიმე საათით ადრე მიიღო, ზოგიერთმა მათგანმა კი – 1919 წლის 1 იანვრის გამთენიისას. ჩვენს ამ დასკვნას

ნაშრომის შესაბამის თავში დავამტკიცებთ უტყუარი პირველწყაროების წარმოდგენით. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მომენტისათვის სომხური სარდლობის მიერ ფსიქოლოგიურ მომენტებზე კეთდებოდა განსაკუთრებული აქცენტი, რაც სომხური ნაწილების სულისკვეთებისა და მიზანდასახულობის გაზრდას შეუწყობდა ხელს, რადგან მათ კარგად უწყოდნენ, რომ ცეცხლის შეწყვეტამდე სულ მცირე დრო რჩებოდა.

3. ქართული მხარის მიერ მოლაპარაკებებისათვის არაუფლებამოსილი პარლამენტიორების გაგზავნა შულავერში 27 დეკემბრის საღამოსათვის, ცხადია, განსაზღვრული არ ყოფილა. ესეც სომხური მხარის მიერ გავრცელებული მორიგი დეზინფორმაცია და ცრუ მანევრი იყო, როგორც ჩანს, რეგიონის უკვე დემორალიზებული სომხური მოსახლეობისა და ჯარის პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად.

4. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით კი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს მთავრობა, არარატის რესპუბლიკის მთავრობისაგან განსხვავებით, უფრო ზუსტად კი ბატონი ჟორდანია და მისი უახლოესი პარტიული გარემოცვა, საქართველოს პარლამენტისა და ქართველი ხალხის ზურგს უკან, ამ მოლაპარაკებებს მეტად ვიწრო წრეში აწარმოებდა და სახელმწიფო დონის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებდა. დაწყებული ინიციატივების შესახებ პირველ რიგში, ქართული სარდლობისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი — მისი ყველა დეტალი თუ არა, თავად ამ ინიციატივებისა და მოლაპარაკებების ფაქტის შესახებ მაინც. აშკარაა, რომ მსგავსი რამ არ ყოფილა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ქართველ მენშევიკთა მიერ სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების არათანმიმდევრული და უსისტემო მართვის კიდევ ერთი დასტური. მსგავს სურათს ჩვენ ზემოთაც შევხვდით არაერთხელ.

5. სამხედრო–სტრატეგიული თვალსაზრისით კი, კოროლკოვის ამ განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ბრიტანულ–ქართულმა ამ „სამშვიდობო ინიციატივებმა" და ქართული სარდლობის არაინფორმირებულობამ ქართული მხარის შემდგომი შეტევითი მოქმედებების ოპერატიულ დაგეგმარებასა და შესრულებაზე იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამაც სულ მალე, სადახლოს მეორე ბრძოლის დროს, ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართული შემტევი ავანგარდები და სასწორზე შეაგდო ამ ბრძოლის ბედი.

დავუბრუნდეთ ისევ შულავერის ფრონტს და აქ შექმნილ ოპერატიულ მდგომარეობას 1918 წლის 25 დეკემბრისათვის. როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, სომეხთა რიცხობრივი, პოზიციური და გნებავთ ინფორმაციული უპირატესობა ამ ეტაპზეც, შულავერის ოპერაციის წინ — უდავოა. მიუხედავად პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი რიცხობრივი სიმცირისა და არასათანადო მომზადებისა, ქართული სარდლობის მიერ შეტევის დაუყოვნებლივი დაწყების გადაწყვეტილება იქნა

მიღებული. ამ ეტაპზე, შემტევ ავანგარდად გენერალ–მაიორ ჩხეტიანის გვარდიელთა რაზმი შეირჩა.

სწორედ გენერალ ქრისტეფორე ჩხეტიანის რაზმში გაერთიანებულ სამტრედიის სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებს ებრძანათ იმ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, რითაც შულავერისაკენ მიმავალი მთავარი გზა იხსნებოდა, ხოლო სხვა ქართულ ნაწილებს საბრძოლო მოქმედებების გაშლის საშუალება მიეცემოდა.

ეკატერინენფელდის ბრძოლების აღწერისას ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ სახალხო გვარდიის ნაწილები ნამდვილად არ წარმოადგენდნენ მაღალორგანიზებულ სამხედრო ერთეულებს, რომლებზედაც სრულად შეიძლებოდა ამა თუ იმ კონკრეტული საბრძოლო ამოცანის დაკისრება.

ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში, ჩვენ კონკრეტულად წარმოვაჩინეთ აგრეთვე ის უპატიებელი შცდომები, რასაც ეკატერინენფელდის ბრძოლაში ჰქონდა ადგილი. მართალია, სახალხო გვარდიის პირადი შემადგენლობა ბრძოლის ველზე ინდივიდუალური მხედრული სიმამაცისა და გმირობის მაგალითებს იძლეოდა, მაგრამ მათი მოქმედებები საბრძოლო ორგანიზებულო–ბის მხრივ, როგორც წესი, უსისტემო და არაპროგნოზირებადი იყო. უდისციპლინობა და დაუმორჩილებლობა, თვითნებობა და სტიქიურობა – აი, ის მოურჩენელი სენი და ჭირი, რითაც უიმედოდ იყო დაავადებული საქართველოს „რევოლუციური სახალხო გვარდია". გენერალი მაზნიაშვილი გვარდიის ამ სენს „შეთვისებულ ჟინიანობასა და ავზნეს" უწოდებს და სამწუხაროდ, მართალი იყო იგი.

შულავერის მისადგომებზე გენერალური შეტევის დასაწყისად 1918 წლის 25 დეკემბრის დღის 3 საათი გამოცხადდა. იმჟამინდელი საბრძოლო ტაქტიკის მოთხოვნათა შესაბამისად, ქვეითთა შეტევის დაწყებამდე სომეხთა გამაგრებული პოზიციების საარტილერიო დამუშავება დაიწყო: „8 ვერსის მანძილზე გაიშალა 14 ზარბაზანი და დეკემბრის 25 ნაშუადღევს სამი საათიდან საშინელი ცეცხლი შეუკიდეს მტერს..."[54]

მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სომხეთ–საქართველოს ომში პირველად, აქ, შულავერის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლებში დასტურდება დოკუმენტურად პირველად ქართული ავიაციის საბრძოლო გამოყენების ფაქტი. კერძოდ:

„მოისმის შორად ჰაერში რაღაც ხსიალის ხმა. გამოჩნდნენ ჩვენი ჰაეროპლანები. ჯერ ერთმა ჩამოუქროლა შულავერს, დაეშვა ძირს შეუარდნივით და რამდენჯერმე სომხების პოზიციებზე სტყორცნა მაღლიდან ყუმბარები. პატარა ხნის შემდეგ მოფრინდა მეორე და მანაც კარგი საუზმე მოუტანა შულავერსა და მის მიდამო პოზიციებს".[55] იმდენად, რამდენადაც შულავერის მიმართულებაზე შეუძლებელი იყო ჯავშანმატარებლების საბრძოლო გამოყენება, ქართული სარდლობის მიერ სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და ქვეითთა შეტევის მოსამზადებელ ეტაპზე, საბრძოლო

მოქმედებებში არტილერიასთან ერთად საჰაერო მხარდაჭერის ბომბდამშენი საშუალებებიც იქნა ჩართული.

კვლევის პროცესში ჩვენ დავადგინეთ ამ მანევრში მონაწილე მფრინავი შემადგენლობის მეთაურის ვინაობა. იგი ქართველი მფრინავი, თბილისის მფრინავთა საავიაციო რაზმის წევრი, პოდპორუჩიკი გორგაძე იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ შულავერის მისადგომებთან წარმატებული საბრძოლო გაფრენებისათვის შესაბამისად დაფასდა მისი დამსახურება: „სომხეთ–საქართველოს ომში გამოჩენილი მამაცობისათვის პორუჩიკის სამხედრო წოდება მიენიჭა თბილისის მფრინავთა რაზმის პოდპორუჩიკ გორგაძეს"[56] – წერდა იმდროინდელი ქართული პრესა.

შემდგომი მოვლენები კი ასე განვითარდა: „25–ში ჩხეტიანმა შემოუარა სომხების ფლანგს და შულავერის თავზე აიღო უმნიშვნელოვანესი მაღლობები.... აღებული მაღლობები გენერალ ჩხეტიანის სამტრედიის გვარდიამ დატოვა ღამით... 26–ში გვარდიამ ისევ აიღო მაღლობები და 2 ტყვიამფრქვეველიც მოიპოვა, მაგრამ ღამით ისევ დატოვა პოზიციები".[57]

სამტრედიის გვარდიის მიერ შულავერის გაბატონებული სტრატეგიული სიმაღლეების აღება მართლაც ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლო საბრძოლო ამოცანა იყო, რაც გვარდიელების მიერ დიდი წარმატებით იქნა გადაწყვეტილი პირველივე შეტევის შემდეგ, მაგრამ გამაოგნებელია ის მიზეზები, რის გამოც მძიმე ბრძოლებით აღებული მაღლობები მათ მიერ ღამის დადგომასთან ერთად იქნა დატოვებული, რომელიც იქვე იქნა სომხების მიერ დაკავებული.

მეორე დღეს კი ქართველ გვარდიელებს ხელმეორედ მოუხდათ მისი აღება... დაღამებისას კი იგი ისევ იქნა დატოვებული?! გვარდიელთა მიერ სტრატეგიული მაღლობების დატოვების მიზეზები კი მართლაც გამაოგნებლად პროზაულია – ღამის სიცივისაგან თავის არიდება და რაზმის დისლოკაციის ადგილზე, სოფელ სარაჩლოში ჩამოსვლა ჩაის დასალევად?! „გვარდიელებს ომისათვის თავისი საკუთარი წესები ჰქონდათ შემუშავებული" – აღნიშნავდა გენერალი მაზნიაშვილი.

აი, ასეთი გაუგონარი თავნებობით ხასიათდებოდა საზოგადოდ გვარდიელთა მოქმედებები ბრძოლის ველზე. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო გვარდია საქართველოს მმართველი პარტიის პრეტორიანულ შენაერთს წარმოადგენდა და ამა თუ იმ კონტექსტში მისი აუგად ხსენება დიდ იდეოლოგიურ მკრეხელობად ითვლებოდა, რაც ფაქტობრივად აკრძალულიც იყო, იმდროინდელმა პრომენშევიკურმა პრესამ მართალია დამალა ეს ფაქტი, მაგრამ ვერ დაფარა ამ გაუგონარი ავანტიურის თანმდევი შედეგები. ქართველ ესერთა გაზეთმა, „სახალხო საქმემ" შერბილებული ფორმებით მაინც დაბეჭდა ამ ბატალიების შედეგების მოკლე ანგარიში თავის 430–ე ნომერში:

„დეკემბრის 26 ჩვენებს საგრძნობი მარცხი მოუვიდათ. გათენებისას ბურუსიან ამინდში სურამისა და სამტრედიის რაიონის სახალხო გვარდიამ

პირდაპირი შეტევით გასწია 557 გორის გამოსწვრივ მაღლობისაკენ და განიზრახა ამ მიდამოების გაწმენდა. სომხები თავისებური ხერხით დახვდნენ. ქართულად გადმოსძახეს: კაცო, თქვენები ვართ, არ გვესროლოთო და თანაც საჟარში გამაგრებულები ახლოს უშვებდნენ გვარდიას. ეს შეცდომა ამ დილას თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, რამდენიმე მოგვიკლეს და 55 კაცამდე დაგვიჭრეს...".[58] შესაბამისად, გვარდიელთა შორის მსხვერპლიც დიდი იყო: „ამ დღეს, (26 დეკემბერს) შულავერის მიდამოებში მსხვერპლად შეიწირა ხაშურის მუშათა რევოლუციის ერთგული დარაჯნი: დ. მეტრეველი, ალ. სირაძე, ს...იძე, ვ. ჩაფრაძე, ი. მშვიდობაძე, აბაიძე, ჯანტლაშვილი და სხვა... აქ, შულავეში თავიანთი საკუთარი სისხლითა და ძვლებით დაიცვეს ჩვენი ქვეყანა ხაშურის გმირებმა წარსულ 26 დეკემბერს, მუხანათ მტრის შემოსევისაგან".[59]

და ისევ „მუშათა რევოლუციის ერთგული დარაჯნი" და არა სამშობლოს, ერისა და მამულისათვის შეწირული გმირები. მართლაც ყოლისმომცველი და მაგიური დატვირთვა ჰქონდა სიტყვა „რევოლუციას" პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში.

გვარდიელთა ამ საქციელმა, არა მარტო დიდი მსხვერპლი და ძვირფასი დროის კარგვა, არამედ სხვა ქართული საჯარისო ნაწილების შეტევითი მოქმედებების შეფერხებაც გამოიწვია. გენერალი კვინიტაძე: „გენერალმა ჩხეტიანმა მოგვახსენა, სამტრედიელებმა ისევ მიატოვეს პოზიციები და უკან ჩამობრუნდნენ, მე კი გთხოვთ, გამიწვიოთ, რადგან არ მსურს ასეთი უდისციპლინო ნაწილის მეთაურობაო. კვლავ მარცხი".[60]

27 დეკემბერს გენერალ მაზნიაშვილის მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული პირადად გაძღოლოდა მე–5 პოლკის ქვედანაყოფებს და ასე გაერღვიათ სომხური პოზიციების ფლანგი. „27–ში მაზნიაშვილმა გადაწყვიტა პირადად წაეყვანა მარჯვენა ფლანგზე მე–5 პოლკის ერთი ბატალიონი და იქ მოეპოვებინა გამარჯვება. ასეც მოიქცა, მაგრამ საუბედუროდ წარუმატებლად. მე–5 პოლკს სრულიად შიშველ ადგილზე მოუწია შეტევამ, არტილერიის მიზანში სროლას კი ნისლი უშლიდა ხელს".[61] ქართული მხარის ამ შეტევას, არასაკმარისი მხარდაჭერის გამო, არსებითი შედეგი არ მოუტანია...

ასე დასრულდა შულავერის აღების სტრატეგიული ოპერაციის პირველი ეტაპი – მოსამზადებელი ბრძოლები. საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით, ეს ბრძოლები იმითაა საინტერესო, რომ აქ სახმელეთო ჯარების სამივე გვარეობის ძალები იღებდნენ მონაწილეობას და რაც მთავარია, ჯარების ოპერატიული მართვაც საერთო შტაბიდან ხორციელდებოდა. მართალია, ქართულმა მხარემ 25–27 დეკემბრის ბრძოლებში ვერ შეძლო საგრძნობი უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადი იყო. სომხური საჯარისო შენაერთისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების მასირებული შეტევითი ოპერაცია უკვე საბოლოოდ იყო აღკვეთილი. 1918 წლის 25 დეკემბრიდან ისინი ეშელონირებულ თავდაცვაში იყვნენ ჩამსხდარნი და ამ

ეტაპიდან დაწყებული, მათ მთავარ საზრუნავსაც არსებული პოზიციების შენარჩუნება წარმოადგენდა და არა მიღწეული წამატებების განვითარება.

შესაბამისად, ამ მომენტიდანვე იწყება ქართული მხარის შეტევითი საბრძოლო მოქმედებების პერიოდიც. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – შულავერის მიდამოებში 25–27 დეკემბერს გამართულმა ბრძოლებმა ცალსახად გამოკვეთა ის ისტორიული გარდუვალობა, რომ სომხური მხარე შულავერს ვერ შეინარჩუნებდა და ქართველთა მიერ მისი აღება მხოლოდ საკმარისი ძალების თავმოყრასა და ტაქტიკური თვალსაზრისით სწორად დაგეგმილ ბრძოლაზე იქნებოდა დამოკიდებული. რიჩარდ ოვანესიანი ასე აღწერს საბრძოლო მოქმედებების ამ პერიოდს:

„24 დეკემბრისათვის მაზნიევის ქვედანაყოფები ისევ უკან იხევდნენ, მაგრამ შემდეგი დღისათვის ათასობით დამატებითი ძალები ჩამოდის ფრონტზე და პირველად ქართულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს სომხური პოზიციები შულავერის მახლობლად. სომეხთა განსაცვიფრებელი შეტევითი წინსვლა 25 დეკემბერს დასრულდა... 25–27 დეკემბერს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ქართველები დიდ სიმამაცეს იჩენდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიეს.".[62]

აქ თვით ოვანესიანიც აღიარებს, რომ „ქართველები დიდ სიმამაცეს იჩენდნენ".

§4. შულავერის აღების ოპერაცია.

1918 წლის 25–27 დეკემბრის ბრძოლების შედეგებმა, რომელსაც ქართული მხარისათვის მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუტანია, ქართულ სარდლობას შემდგომი მოქმედებების ტაქტიკა შეაცვლევინა. ოპერატიული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, საბრძოლო ჩანაფიქრი უცვლელი დარჩა, მაგრამ საერთო წარმატების განმსაზღვრელი სტრატეგიული სიმაღლეების აღების პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიის ნაცვლად, რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებს დაეკისრათ. შეტევის მთავარ მიმართულებაზე ქართული ავანგარდის წინწაწეულ ჯგუფად, ამ ეტაპზე, მე–5 და მე–6 ქვეითი პოლკების ქვედანაყოფები დასახელდნენ. ამასთან ერთად,

განსხვავებულად დაიგეგმა ქართული მხარის შეტევითი ოპერაციის საერთო სტრატეგიაც.

ამ ეტაპზე, როდესაც ჯარების თავმოყრის საწყის რაიონში უკვე კონცენტრირებული იყო ცოცხალი ძალისა და არტილერიის გარკვეული რაოდენობა, გადაწყდა, რომ დაწყებულიყო ფრონტალური შეტევითი ოპერაცია როგორც უშუალოდ ქალაქ შულავერზე, ასევე პარალელურად განხორციელებულიყო ზემოხსენებული ღრმა ფლანგური მანევრი სადახლოს მიმართულებაზე. შემოვლითი ფლანგური მანევრისათვის, სადახლოს უბნის შემტევ ჯგუფად გენერალ წულუკიძის რაზმი შეირჩა, რომელიც ძირითადში მე–5 ქვეითი პოლკის ქვედანაყოფებისა და სხვა შეშველებული რაზმებისაგან იყო დაკომპლექტებული.

ამ მომენტისათვის ქართული მხარის მდგომარეობა იმან გააროულა, რომ „სარკინიგზო მიმართულებით აქა–იქ სომხები გამოჩნდნენ. როგორც ჩანს უკვე იყნოსეს რომ ეს იყო მათი აქილევსის ქუსლი. ამ მიმართულებით აშაღი–სარალიდან 3–4 ვერსის მოშორებით, ერთ–ერთი სოფელი დაიკავეს, ქვემხები დადგეს და მთელი დღე უშენდნენ სადგურ აშაღი–სარალს, ე.ი. შტაბს და რეზერვებს".[63] გენერალ კვინიტაძის მემუარში ნახსენები სომეხთა მიერ დაკავებული სოფელი, ეჭვს გარეშეა, იუხარი–სარალი (ზემო სარალი) უნდა ყოფილიყო, რასაც ოდნავ ქვემოთ ვაჩვენებთ, მაგრამ იმ მომენტისათვის ქართული სარდლობისათვის სომხური საარტილერიო პოზიციების განლაგება ზუსტად არ იყო ცნობილი. გაგახსენებთ, რომ იმდროინდელი საველე არტილერიის ზღვრული სროლის მანძილი 8 კმ–მდე იყო. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო გაამაგრა ის მოსაზრება, რომ შულავერზე შეტევის პარალელურად აუცილებელი იყო სადახლოსაკენ წინსვლა მდინარე დებედას მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, რაც მდინარის ფორსირებას, სწრაფ საბრძოლო მარშს, მოწინააღმდეგის საარტილერიო პოზიციების განადგურებასა და სადახლოზე შემდგომ ფორსირებულ იერიშს ისახავდა მიზნად.

28 დეკემბრისათვის შულავერი–სადახლოს ფრონტზე ფაქტიურად კომბინირებული სრულმასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია დაიგეგმა, რასაც გენერალ კვინიტაძის მიერ მანამდე შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა. ამ ეტაპზე, ქართული დაჯგუფების სარდალმა, გენერალმა მაზნიაშვილმა თავისი შტაბის მიერ შეთავაზებული გეგმა მიიღო. აი, ასეთი იყო საქართველოს ორი დიდი სარდლის სტრატეგიული ჩანაფიქრი, რაც თავისი დაგეგმარების სისრულითა და გაბედულებით მართლაც სამხედრო ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. და აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სომეხი აეტორის, ჰამლეტ გეუორქიანის სიტყვები მისი ჰეროიკული ეპოსიდან, „დრო":

„გაოცებას, აღფრთოვანებას იწვევდნენ სომხური პოლკები და მთავარსარდალი. ჯერაც ყოველგვარ შეცნებას მოკლებული სულ რაღაც 5000–იანი ნახევრად მშიერი ჯარი ფაქტობრივად პირისპირ დაუდგა

საქართველოს რესპუბლიკის მთელ სამხედრო ძალებს და, როგორც წესი, თითქმის ყველა ბრძოლა მისი ძლევამოსილების დასტური იყო. ფრონტის ყველა მონაკვეთზე სომეხი ზინვორები ესით აუწერელი შეუპოვრობითა და შემართებით იბრძოდნენ. გენერალი მაზნიევი სარგებლობდა რა თავისი ჯარების რაოდენობრივი სიჭარბით, განუწყვეტელი შეტევებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას ფრონტის ხან ერთ, ხან მეორე მონაკვეთზე. მაგრამ სომეხი მეომრების გაბედული საპასუხო დარტყმებით ფუშავდა ქართველთა მთავარსარდლის წამოწყებებს".[64]

ისევ თითიდან გამოწოვილი მონაცემები და კარგად შენიღბული დეზინფორმაციების ნაკადი. ამ ამონარიდშიც, ისევე როგორც სომეხ ავტორთა მიერ შეთითხნილ სხვა „ნაშრომებში" ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. ისევ და ისევ „ენით აუწერელი შეუპოვრობითა და შემართებით მებრძოლი სომეხი ზინვორები" „ძლევამოსილი სომხური პოლკები და მათი გასაოცარი მთავარსარდალი" და „ყოველგვარ შევსებას მოკლებული, ნახევრად მშიერი, სულ რაღაც 5000–იანი სომხური ჯარი".

ისტორიული სიმართლე კი ისაა, რომ ამ ეტაპზეც, 28 დეკემბრისათვის, შულავერთან დისლოცირებული ქართული საჯარისო დაჯგუფების პირადი შემადგენლობა, მართლაც, „სულ რაღაც" 3500 კაცს შეადგენდა. სხვათა შორის, ქართველ მეომართა ეს რაოდენობა შულავერის ბრძოლაში, თვით რიჩარდ ოვანესიანთანაცაა დადასტურებული. ამ მონაცემების მიხედვითაც კი, როგორც ვხედავთ, რიცხობრივი უპირატესობა ისევ სომეხთა მხარესაა. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მხოლოდ ქალაქ შულავერის მოსახლეობიდან პოდპოლკოვნიკ კოროლკოვის მოწოდების საფუძველზე დამატებით 1000 კაციანი მოხალისეთა რაზმი იქნა მობილიზებული, არაფერი რომ არ ვთქვათ სხვა სოფლების მაცხოვრებლებზე. გარდა ამისა, რაც მეტად საყურადღებოა – 1918 წლის 27 დეკემბრისათვის ყაზახის რაიონში ბაქოდან ჩამოყვანილ იქნა სომეხ მებრძოლთა ნაწილები, სულ მცირე მსროლელი პოლკის რიცხოვნობით, რომლებიც სწორედ ამ დროიდან ჩაერთვნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში. ეს უდავო ფაქტი ქვემოთ მოყვანილი უტყუარი დოკუმენტით დასტურდება:

„აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლის მიმართვა საქართველოს მთავრობას. 31. 12. 1918. №3405. საგარეო საქმეთა მინისტრს.

თქვენი 27. 12. №5867 მომართვის პასუხად, სადაც საუბარია ბაქოდან სომხური ნაწილების ჩამოსვლაზე ალსტაფაში სომხეთის ჯარებთან შესაერთებლად, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ არიან ჩაბმულნი ომში, მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ სასწრაფო წესით საქმის ყურშია ჩაყენებული აზერბაიჯანის მთავრობა შესაბამისი ზომების გასატარებლად".[65]

ასე, რომ მორიგი დეზინფორმაცია და თვალებში ნაცრის შეყრის კიდევ ერთი მცდელობაა სომეხ ავტორთაგან „ყოველგვარ შევსებას მოკლებულ" სომეხთა ჯარზე ჩივილი. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ სომხური მხარე საინჟინრი, საფორტიფიკაციო, საბრძოლო და ზურგის

უზრუნველყოფის საკითხების მხრივაც კარგად მომზადებულ და გამაგრებულ ეშელონირებულ თავდაცვით პოზიციებს ფლობდა, გასაგები გახდება, რომ მათი ტაქტიკური უპირატესობა ამ ეტაპზეც განუზომლად დიდი იყო.

შულავერის ოპერაციის წინ დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა შემდეგი იყო: „სომხებს ორგანიზაციის მიხედვით 6 პოლკი ჰყავდათ: აქედან შულავერის ბრძოლაში, 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობდა 4 პოლკი, მოხალისეთა პოლკი, შულავერისა და ბამბაკის მოსახლეობა; ჩვენ კი საქმეში ჩავაბით მე–5 პოლკი, მე–6 პოლკის ნაწილი, ქვეითთა და მხედართა 5 ესკადრონი, I–ლი დივიზიის ბატალიონი და გვარდია, რაც ჩვენი ჯარების მხოლოდ მესამედი იყო".[66]

მოყვანილი მონაცემების საერთო ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალების შულავერის დაჯგუფება სულ მცირე 6000–6500 კაცს შეადგენდა, ქართულისა კი, ამ ეტაპზეც, მხოლოდ – 3500–ს. აქაც სომხური მხარის ორმაგი უპირატესობაა. თავდაცვაში ყოფნა კი სომეხთა ტაქტიკურ უპირატესობას კიდევ უფრო ზრდიდა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია – სომხური ჯარი „საქართველოს რესპუბლიკის მთელ სამხედრო ძალებს" არ დადგომია წინ.

საქმე იმაშია, რომ ზუსტად ამ პერიოდში, აფხაზეთის რეგიონში უკვე დაწყებული იყო გენერალ ანტონ დენიკინის „დობროარმიის" მორიგი კავკასიური აგრესია, რომლის ჩასაქრობადაც იქ გაგზავნილი იყო ქართული რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის გარკვეული ქვედანაყოფები გენერლების, ალექსანდრე ქონიაშვილისა და იოსებ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ ისტორიულ ფაქტში მდგომარეობდა დაშნაკურ–დენიკინური კოალიციური ჯარების შეთანხმებული მოქმედებების საერთო სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში.

დიახ, დენიკინის არმიის ერთდროული აგრესია ჩრდილო–დასავლეთიდან წარმოადგენდა სწორედ იმ დიდი ანტიქართული დაშნაკურ–ცარისტული სომხურ–რუსული შეთქმულების მთავარ ფაქტორსა და შემადგენელ კომპონენტს, რაც ასე გულდასმით იჩქმალება ყველა სომეხ და პროსომეხ ავტორთან. ამ საკითხთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავს სტეფან ჯონსი: „ქართველი ლიდერები ადანაშაულებდნენ სომხებს აფხაზეთში ამბოხების მოწყობასა და გენერალ დენიკინთან თანამშრომლობაში, რომელიც საქართველოს ჩრდილო–დასავლეთის ტერიტორიების დაპყრობას ცდილობდა".[67]

ამავე დროს, უკვე ახალციხე–ახალქალაქშიც დაწყებულიყო, ამჯერად მუსულმანურ–დაშნაკური სეპარატისტული გამოსვლები, რომლის მიზანსაც ე.წ. „სამხრეთ–დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული", გნებავთ „ყარსის რესპუბლიკის" შექმნა წარმოადგენდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მთელი ამიერკავკასია 1918 წლის დეკემბრიდან უკვე ბრიტანელთა ერთმმართველობის ზონას წარმოადგენდა, რომელიც აშკარად თანაუგრძნობდა

ამ ანტიქართულ გამოსვლებს, მაშინ გასაგები ხდება თუ რა ელოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამ ტოტალურ აგრესიას რომ ვერ აღდგომოდა წინ. ამ სქემით, საქართველოს ვერ უნდა გაეძლო და იგი უნდა დაცემულიყო.

აი, ასეთი იყო 1918 წლის დეკემბრის ბოლოსათვის საქართველოში შექმნილი რეალური სამხედრო–პოლიტიკური სიტუაცია. აქაც გავუსწრებთ მოვლენებს წინ და ვიტყვით, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა სომხეთ–საქართველოს ომის დასრულებისთანავე თავის თავში გამონახა ძალები და უმოკლეს დროში წარმატებით შეძლო ჯერ დენიკინელთა სამხედრო აგრესიის აღკვეთა აფხაზეთში, შემდეგ კი ყარსის რეჟიმის დაუყოვნებლივი ლიკვიდაციაც, რითაც კიდევ ერთი სასახელო გამარჯვების ფურცელი ჩაწერა საქართველოს ომების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატიანეში.

დავუბრუნდეთ შულავერის ფრონტს. გენერალი კვინიტაძე:

„გადავწყვიტეთ პარალელურად დაგვერტყა სადახლოსათვის. რაზმის უფროსად დაინიშნა წულუკიძე, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადასულიყო დებედაზე და დაეწყო წინსვლა სადახლოსაკენ. ძალიან ზანტად და ცუდად მოქმედებდა. ძალიან გაჭირდებაო დებედას გადალახვა. არა და მარჯვენა ნაპირზე სვლა აუცილებელი იყო.

წულუკიძის ცუდი მოქმედებების გამო დაინიშნა კიდევ ერთი რაზმი მე–6 პოლკის პოდპოლკოვნიკის ჯაფარიძის მეთაურობით. ღამით წულუკიძემ გვაცნობა, რომ დებედაზე გადასვლა ვერ მოეხერხებია და სადახლოსაკენ მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ კი არა, რკინიგზის გაყოლებით წასულა. ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. მაგრამ ზომები უკვე მიღებული იყო. პასუხად დავავალეთ, რომ გაეგრძელებია სადახლოზე შეტევა, გაენადგურებინა გზად შემხვედრი მოწინააღმდეგე, რომელიც არტილერიის ცეცხლს უშენდა სადგურ აშაღა–სარალს.

ამავე დროს გაეაფრთხილეთ, რომ დებედა–ჩაის მარჯვენა ნაპირზე შეტევაზე გადავიდოდა ბატალიონი, რომელსაც ევალებოდა მისთვის მხარდაჭერა სადახლოსკენ სვლისას. და როცა სადახლოში შევიდოდნენ, ეს ბატალიონი მას დაემორჩილებოდა. სხვათა შორის, ეს ბატალიონი ღამით მდინარეზე გადავიდა და ზარბაზნებიც გადაიტანა".[68]

ჩვენის აზრით, გენერალი კვინიტაძე ამ შემთხვევაში ზედმეტად მკაცრად და სუბიექტურად აფასებს გენერალ წულუკიძის ქმედებებს. ჩვენს ამ დასკვნას ოდნავ ქვემოთ, შესაბამისი მონაცემებით გავამაგრებთ, სადაც წულუკიძის რაზმის საბრძოლო წარმატებებზე გვექნება საუბარი.

28 დეკემბრისათვის შულავერის სიმაღლეების აღების მძიმე და მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა რეგულარული ჯარის მე–2 ქვეითი დივიზიის მე–5 და მე–6 პოლკების ქვედანაყოფებს დაეკისრათ. გენერალი კვინიტაძე: „გადაწყდა ცენტრის გაჭრა სუმბათაშვილის მიერ – ჩვენი ცენტრის პირდაპირ იყო ერთი მაღლობი, რომლის აღებაც გადაწყვეტდა ბრძოლას ამ

უბანზე. შეტევის განხორციელება მტკიცე და ორგანიზებულ მე–6 პოლკის ნაწილებს დაევალათ შებინდებისათვის.

– აბა გიგო, თქვენ იცით – ვუთხარი მე – საიმედო მდგომარეობა გაქვთ, არც არტილერია გაკლიათ, ჰაუბიცებიც კი გაქვთ. შეტევა მტკიცე და მედგარ ნაწილს დავაკისროთ, ვთქვათ მე–6 პოლკის როტებს. შებინდებამდე წამოვიწყოთ, როცა სომხები იფიქრებენ, დღეს თავი ქუდში გვაქვსო. იმავე დღეს და იმავე დროს, თუ გორაკი ავიღეთ, დაღამდება და სიბნელე ხელს შეუშლით გორაკისათვის საარტილერიო ცეცხლის გახსნაში. წელიწადის ამ დროს 4 საათზე ბინდდება...".[69]

1918 წლის 28 დეკემბრის 12 საათზე ქალაქ შულავერის აღების ოპერაცია დაიწყო. მტრის პოზიციების საარტილერიო დამუშავება ორ საათს გაგრძელდა. ნაშუადღევს კი ქართული ნაწილების მასირებული შეტევა დაიწყო გაშლილი ფრონტით. გაზეთ „სახალხო საქმის" საკუთარი კორესპონდენტი:

„28 საღამოდან ათი ვერსის მანძილზე გაშლილმა კიდეც მივიტანეთ იერიში. საკითხი შულავერის სრულიად გაწმენდისა მტრისაგან, გადაწყვიტა მეექვსე პოლკის ოთხმა როტამ პოლკოვნიკ კონჭოშვილისა (ყონჩუაშვილი – ა. ჩ.) და პოდპოლკოვნიკ მაჭავარიანის მეთაურობით. მათ დეკემბრის 28–ში შემოუარეს შორიდან შულავერის თავზე უმთავრეს გორას, მათ მხარი მისცა ყ–ს ხელმძღვანელობით კერესელიძის ლეგიონმა, კაპ. უ–ს მეთაურობით ოფიცერთა მოხალისე რაზმმა, პოლკის ნაწილებმა და სომხებს უკვე თავბრუ დაეხვათ და დაფრთხნენ".[70]

წარმოდგენილი ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული საჯარისო დაჯგუფების მიერ შულავერზე განხორციელებული შეტევა სრულმასშტაბიან საერთო–საჯარისო ოპერაციას, გენერალურ ბრძოლას წარმოადგენდა, რომელიც 10 კილომეტრს აღმატებული ფრონტით განხორციელდა. ამონარიდში მოყვანილ ქართველ მეთაურთა დაქარაგმებული სახელები კი შემდეგნაირად იშიფრება: ყ – პოლკოვნიკი ყონჩუაშვილი (კონჭოშვილი), კაპ. უ – კაპიტანი უთნელავა.

და შემდეგ – „სუმბათაშვილის შეტევა ცენტრში წარმატებით დაგვირგვინდა. ყოჩაღი ოფიცრის ა. მაჭავარიანის მეთაურობით, არტილერიისა და ჰაუბიცების დახმარებით, მე–6 პოლკის როტებმა მაღლობი აიღეს და მხოლოდ 10–12 კაცი დაეღუპათ. ცენტრში შულავერის თავზე ვიყავით გამოკიდებულნი. საქმე არსებითად მოგებული იყო...".[71]

როგორც ვხედავთ, შულავერის 28 დეკემბრის საბრძოლო მოქმედებები ფრონტის ამ უბანზე ქართველთათვის დიდი წარმატებით დასრულდა. მე–6 ქვეითი პოლკის ქვედანაყოფებმა პოდპოლკოვნიკ მაჭავარიანის მეთაურობით წარმოუდგენლად მცირე დანაკარგების ფასად შეძლეს შულავერის ერთ–ერთი სტრატეგიული მაღლობის აღება. ამ წარმატებული საბრძოლო მანევრით ქართველთა საერთო პოზიციური უპირატესობაც გამოიკვეთა. წარმატებული გამოდგა აგრეთვე სხვა ქართული ქვედანაყოფების მოქმედებები საბრძოლო

უბნის მარჯვენა ფლანგზე. აქ მე–5 ქვეითი პოლკის ასეულები აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, ბოლოსდაბო–ლოს შეძლეს „დალიქტაშის" მაღლობებზე ხელსაყრელი პოზიციების მოპოვება. ამონაწერი საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან:

„28 დეკემბერი. დღის 12 საათზე დაიწყო მოწინააღმდეგის პოზიციების დაბომბვა. მტერმა ვერ გაუძლო საარტილერიო ცეცხლს და ერთი მეორის მიყოლებით დაიწყო დაკავებული სანგრების გასუფთავება. მე–9 ასეული პირველი გადავიდა შეტევაზე და დაიკავა დალიქტაშის მთის ფერდობზე მოწყობილი სანგრები. მაგრამ სამწუხაროდ, ამ დროს არტილერიამ შეწყვიტა მუშაობა, რადგან სატელეფონო კავშირი შეწყდა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ შეძლო ძალების კონცენტრაცია და კონტრშეტევაზე გადმოსვლა, რის შედეგადაც მე–9 ასეული გამოდევნილ იქნა დაკავებული სანგრებიდან. ასეული ხელმეორედ გადავიდა შეტევაზე და ისევ დაიკავა აღნიშნული პოზიციები. ეს სიმაღლე სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, საბოლოო ჯამში ის ნეიტრალური დარჩა. საბრძოლო უბნის ცენტრსა და მარცხენა ფლანგზე ასევე განხორციელდა ძლიერი შეტევა და დაკავებულ იქნა ახალი პოზიციები. სიბნელის დადგომის გამო ასეულმა ვეღარ შეძლო დაწყებული შეტევის განვითარება და იგი დაკავებულ პოზიციებზე დარჩა.

28 დეკემბრის შეტევებმა დაანახა მოწინააღმდეგეს, რომ იგი ვერ შეინარჩუნებდა შულავერის სიმაღლეებს და ღამით მათ დატოვეს გამაგრებული პოზიციები. ამ ბრძოლების გმირი მე–9 ასეულის მეთაური, შტაბის კაპიტანი მუჩაიძე იყო, რომლის გმირულმა მოქმედებებმა განსაზღვრა კიდეც მთელი ასეულის წარმატება. ამ ბრძოლებში იგი დაიჭრა".[72]

წარმოდგენილი ამონარიდი პოლკის საშტაბო დოკუმანტაციას წარმოადგენს და მასში საბრძოლო მოქმედებების მოკლე ანგარიშია მოცემული, თუმცა აქაც, ისევე როგორც ჩვენს მიერ მოყვანილ სხვა ოპერატიულ საფრონტო დოკუმენტებში, სტრიქონებს შორის კარგად იკითხება ამ ბატალიების სრული დრამატულობა და სიმძაფრე. რიჩარდ ოვანესიანი კი შულავერის ბრძოლის აღწერას შემდეგ სტრიქონებს უძღვნის:

„28–ში მაზნიევმა საყოველთაო შეტევაზე გადაიყვანა თავისი 3500 კაციანი დაჯგუფება და საღამოსათვის დაიბრუნა (retrieved) შულავერი და რამდენიმე სოფელი. ამ ბრძოლების შედეგად სომხებმა 200 კაცზე მეტი დაკარგეს. ბოლოსდაბოლოს ქართველებმაც იგემეს მათთვის ესოდენ სანატრელი გამარჯვების გემო".[73]

ასეთი შედეგებით დასრულდა 1918 წლის 28 დეკემბრის სუსხიანი დღე. 29 დეკემბრის გამთენიისას კი... ამონაწერი მე–5 პოლკის საომარი მოქმედებების ჟურნალიდან:

„29 დეკემბერი. დილის 4 საათზე ჩვენმა დაზვერვამ დაადგინა, რომ პოზიციებზე მოწინააღმდეგე აღარ ჩანს, ცალკეული სამეთვალყურეო საგუშაგოების გარდა. მივიღეთ ბრძანება დაუყოვნებლივ დაგვეწყო შეტევა, მაგრამ არაფრის დიდებით არ შევსულიყავით ქალაქში. რაზმი შეტევაზე

გადაეიდა, გაანადგურა ყველა საგუშაგო და ტყვედ 7 კაცი აიყვანა. ამ ბრძოლებში ყველა ოფიცერი მოწოდების სიმაღლეზე იბრძოდა, განსაკუთრებით, მე–9 ასეულის მეთაური, შტაბის კაპიტანი მუჩაიძე, იმავე ასეულის უმცროსი ოფიცერი, პორუჩიკი ფურცელაძე, მე–10 ასეულის მეთაური, შტაბის კაპიტანი ხერხეულიძე, მე–10 ასეულის უმცროსი ოფიცერი, პრაპორშიკი სამსონია".[74]

რა თქმა უნდა, საერთო ჯამში, 25–29 დეკემბრის ბრძოლებში საგრძნობი იყო აგრეთვე ქართული მხარის დანაკარგებიც, განსაკუთრებით დაჭრილთა სახით. დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია, რომ სომხური მხარე ამ ომში ჯვარედინად ჩახერხილ ვაზნებს ხმარობდა, რაც საშინელ ჭრილობებსა და დასახიჩრებებს იწვევდა. შესაბამისი საარქივო მასალები ნაშრომის შესაბამის თავში გვქონდა წარმოდგენილი. დღეისათვის ასეთი ვაზნების ხმარება საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულია.

შულავერის ბრძოლების სიმძაფრეზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ეტაპზე ქართული მხარის ზურგის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ მნიშვნელოვანი სამთავრობო ღონისძიებები იქნა გატარებული, კერძოდ:

„ბრძანება №134. 28. 12. 1918.

§4. შესდგეს სანაინისა და ახალქალაქის ფრონტებისათვის „დაჭრილთა შემხვევი რაზმები" დადებული შტატებით, პირველ და მეორე დივიზიასთან მიჩემებით.

§5. დაინიშნოს სანაინის ფრონტისათვის №1 სასანიტარო მატარებელი შესაფერი შტატით.

§7. ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი გაფართოვდს 1160 საწოლით და მასთან ერთად შესაფერისი მოსამსახურეთა შტატით.

§10. შესდგეს რვა ავტომობილისაგან სანიტარული რაზმი ფრონტზე დაჭრილთა და ავადმყოფთა გადასაზიდად, რისთვისაც მოხდეს სათანადო განკარგულება. გადაეცეს სანიტარული ავტომობილები სასანიტარო განყოფილებას".[75]

1918 წლის 28 დეკემბრის შულავერის აღების ოპერაცია ქართული მხარის სრული და დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. კარგად მომზადებული საფრონტო ოპერაციის რეალიზაციას სულ რამდენიმე საათი დასჭირდა. უშუალოდ ქალაქ შულავერის შტურმისას ქართული მხარის დანაკარგები მინიმალური იყო.

1918 წლის 29 დეკემბრის დილისათვის შულავერი განთავისუფლდა. სომხურმა პოლკებმა და საბრძოლო რაზმებმა შებრძოლება ვეღარ გაბედეს და გამთენიისას მალულად დაიხიეს უკან. 29 დეკემბრის დილისათვის ქართული ქვედანაყოფები ქალაქ შულავერში შედიან, რომელიც სომხური ნაწილებისაგან უკვე სრულიად დაცლილი იყო.

ისტორიაში უკვე მერამდენედ, მათ პანიკური გაქცევით უშველეს თავს და ქალაქ შულავერის სომხური მოსახლეობა ქართული მხარის ადეკვატური

შურისძიების პირისპირ დატოვეს. აქ არ შეიძლება თავისთავად არ გაგვახსენდეს დაშნაკური საბრძოლო რაზმების, ფაქტიურად კი ტერორისტული ბანდების ანალოგიური ქმედებები აღმოსავლეთ ანატოლიის სოფლებში, სადაც ისინი მუსულმანური მოსახლეობის აწიოკებისა და ჟლეტის შემდეგ, გაქცევით შველოდნენ თავს და თურქეთის ჟანდარმერიისა და რეგულარული ქვედანაყოფების პირისპირ ტოვებდნენ რეგიონის სომხური სოფლების მოსახლეობას. როგორც ვხედავთ, შემდგომ ათწლეულებშიც დაშნაკური ბანდების მოქმედებების ტაქტიკა და სტილი უცვლელი დარჩა. და აქაც, ქართველებთან ომში, სომხები „ტრადიციას" არ ღალატობენ და პოსფაქტუმ მორჩილებისა და პატიების თხოვნით ეგებებიან უკვე გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს. გაზეთი „სახალხო საქმე":

„დეკემბრის 29–ს დილით 11 საათზე სოფ. შუალავერიდან მოვიდნენ დელეგატები 9 კაცის შემადგენლობით, მათ შორის აფთიაქარი, ტფილისელი ბაღდასაროვი და ორი ტერტერა. შულავერმა მორჩილება გამოაცხადა და პატიება ითხოვა. გენ. მაზნიაშვილმა დელეგატებს გამოუცხადა: რა სასჯელს მოგანიჭებს თქვენ, როგორც მოღალატეებს რესპუბლიკის მთავრობა, ეს მან იცის, ხოლო მე, როგორც ჯარის უფროსი, გიბრძანებთ, რომ მოკლე დროში ზარალის ასანაზღაურებლად წარმოადგინოთ განსაზღვრული ხარკი და ყველაფერი რაც ჯარს სჭირდება. გარდა ამისა, უნდა წარმოადგინოთ იარაღი. თუ ვისმე იარაღს აღმოვუჩენ 24 საათში, როგორც მხედარი, არ დავინდობ ყველას ღალატისა და იარაღის წარმოუდგენლობისათვის".[76]

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო ქართველი სარდლის გადაწყვეტილება. მიუხედავად ყველაფრისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჯარების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებისა და რაც მთავარია, ქართველთა მხრიდან ადეკვატური შურისძიების თავიდან აცილების მიზნით, ქალაქის აღების შემდეგ, გენერალ მაზნიაშვილის ბრძანების შესაბამისად, შულავერში ქართული ჯარის მთავარი ძალები არ შესულან. აქ მხოლოდ მცირე ქართული გარნიზონი განთავსდა. ქალაქის კომენდანტად კი პოლკოვნიკი ყონჩუაშვილი დაინიშნა. შულავერის ფრონტის სარდალი, გენერალი მაზნიაშვილი, როგორც ნამდვილი სამხედრო და პროფესიონალი, ღირსეულად მოიქცა. ქართული სარდლობის ეს ღირსეული ჟესტიც, სომხური ისტორიოგრაფიის მიერ, რა თქმა უნდა, მიჩქმალულია.

სომხური მხარის საბრძოლო დანაკარგებსა და მოპოვებულ ალაფზე ქართული წყაროები შემდეგ მონაცემებს იძლევა:

გაზეთი „საქართველო" – „საღამოს 9 საათზე გამოირკვა, რომ ჩვენებმა სრულიად გაწმინდეს მტრისაგან შულავერი, დახოცეს მრავალი და სამი ოფიცერი: ბარხუდაროვი, ავეტის გასპარიანი, პოღოს რაგაიანცი და 105 ტყვე სარალში ჩამოიყვანეს".[77]

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" – „დატყვევებულია 7 აფიცერი და 107 ჯარისკაცი. ხელში ჩაიგდეთ 4 ზარბაზანი და 15 ტყვიისმფრქვეველი, საარტილერიო საზიდრები და საომარი მასალა".[78]

სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი" – „დილით 29 დეკემბერს გენერალ ჩხეტიანის და გენ. სუმბათაშვილის ნაწილები უკვე შევლენ შულავერში, აქ ისინი ბლომად ჰპოვებენ ყოველგვარ მასალას და მოძრავ სამხარეულოს. საინტერესოა აღვნიშნოთ შემდეგი: სომხები იმდენად მარჯვეთა გრძნობდნენ თავს შულავერში, რომ სამი საათის წინ მისი დაცლისა, მათ 1500 ყუმბარა (საარტილერიო ჭურვი – ა. ჩ.) შეაქვთ მასში".[79]

მართლაც მრავლისმეტყველი ფაქტებია. მოტანილი ამონარიდები ცალსახად მეტყველებენ ქართული მხარის ელვისებური შეტევის სრულ წარმატებულობაზე. დიახაც, რიცხობრივად ორჯერ აღმატებულ მტერთან შეტევით ბრძოლაში, მინიმალური დანაკარგების ფასად შულავერის აღების ოპერაცია, სწორედაც რომ სამხედრო ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა, რომელიც ორი დიდი ქართველი სარდლის მიერ იყო შემუშავებული და განხორციელებული. ამ დროისათვის კი „ელვისებური შეტევების მოტრფიალე" სომეხთა „ჰანიბალი" – გენერალი დრო და მისი შიშით თავგზააბნეული „არმია" უკვე სადღაც აირუმს იქით ითქვამდა სულს. ამ ფაქტების შესახებაც სომხური და პროსომხური ისტორიოგრაფია, რა თქმა უნდა, სამარესავით დუმს.

საერთო სტრატეგიული გეგმის მიხედვით, შემდეგი ეტაპისათვის „გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ენერგიული ქმედება და პოლკოვნიკ წულუკიძის სწრაფი სვლა სადახლოსაკენ სომხების ზურგში გასაჭრელად. ამას თუ მივაღწევდით, სრული გამარჯვება მიღწეული იყო და უეჭველად ერევნამდე ისე გავიდოდით, რომ აღარავინ გაგვიწევდა წინააღმდეგობას".[80] – სწორედ ამას ითვალისწინებდა სტრატეგიული ოპერაციის ბოლო, მესამე ეტაპი.

შულავერის აღების პარალელურად ლამბალო–სადახლოს მიმართულებაზე მოვლენები ასე განვითარდა: „გენერალ წულუკიძის სექტორზე, ერთმა ესკადრონმა, რომელიც ქვეითთა და ცხენოსანთაგან შესდგებოდა, იერიში მიიტანა 29 დეკემბერს დილით იუხარი–სერალზე. ჩვენი შტაბის უფროსმა გენ. კვინიტაძემ „შესანიშნავი იერიში" უწოდა ამ იერიშს. ჩვენს რაზმს ერთი თოფიც არ დაუცლია, ისე მიაწყდა მტრის პოზიციას, რომელსაც ერთი ბატალიონი იცავდა ორის ზარბაზნით. მან ასამდე მოპირდაპირე ააგო ხიშტებზე, თვით კი ერთადერთი კაცი დაჰკარგა. რაზმმა ხელთ იგდო 2 ზარბაზანი და ორი ტყვიის მფრქვეველი. იერიში იმდენად სწრაფი იყო, რომ სომხის არტილერიამ სამი ყუმბარის მეტი ვერ მოასწრო გაესროლა".[81]

წარმოდგენილი ამონარიდი ცალსახად მეტყველებს გენერალ წულუკიძის რაზმის ელვისებური შეტევის სრულ წარმატებაში. ამჯერადაც, გააფთრებულ ხელჩართულ ბრძოლაში, ისევე, როგორც სადახლოს პირველ ბრძოლაში, 18 დეკემბერს, მტრის საბრძოლო რაზმი ფაქტიურად განადგურებულ იქნა. სოფელ იუხარი–სარალის აღებით კი მტრის არტილერია იქნა ხელში ჩაგდებული, რომელიც ორი დღე–ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ბომბავდა ქართული საველე შტაბისა და საფრონტო რეზერვების პოზიციებს.

მართლაც გამაოგნებელია ამ მანევრის განხოციელების ტემპებიც და ის ფაქტიც, რომ იუზარი–სარალთან გამართულ გააფთრებულ ხელჩართულ ბრძოლაში, ქართული მხარის დანაკარგი მოწინააღმდეგის ასი მებრძოლის წილ მხოლოდ და მხოლოდ ერთ მეომარს შეადგენდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ძნელია შესაბამისი კომენტარის გაკეთება და ქართველი მეომრის საბრძოლო სულისკვეთებისა და მხედრული სიმამაცის შეფასება. ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიიდანაც შეუძლებელია მსგავსი ბატალური სცენისა და მაგალითის მოყვანა. სომეხ და პროსომეხ ავტორებთან კი იუზარი–სარალთან გამართული ეს კონკრეტული ბრძოლა და მისი შედეგები, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდაა დამალული და მივიწყებული.

29 დეკემბერს სადახლოს მიმართულებით გამართულ ბრძოლებს გაზეთი „სახალხო საქმე'' ასე აღწერს:

„29–ს დილით სადახლოსაკენ ბათალიონი პოლკ. ჯა–ს მეთაურობით მიეშველა გენერალ წულუკიძეს, რომელიც ღამითვე დაედევნა სადახლოსაკენ გაქცეულ სომხობას. ამ ნაწილებმა გათენებისას აიღეს იუზარი–სარალი, სრულიად მოუშლელი ორი საველე ზარბაზანი და აგრეთვე ათი უღელი ხარი, რომლითაც იგინი ზარბაზნებს დაათრევდნენ. აქვე დაატყვევეს ორი ოფიცერი: შტაბს–კაპიტანი აკოპიანი და ტფილისის მოქალაქე პორუჩიკი ივანე არუთინოვი 9 ჯარისკაცით. დანარჩენები დახოცეს. ოფიცერთა მოხალისე რაზმმა შულავერის გორებზე ხელში ჩაიგდო ოთხი ტყვიისმფრქვეველი და მისი მოწყობილობანი. რამდენადაც ირკვევა, სომხები ქუდმოგლეჯილნი მირბიან. სადახლოსაკენ გაქცეულ სომხობას მამაცი პოლკოვნიკი ჯ–ძე და დრაგუნები წულუკიძის მეთაურობით თანდათანობით უკან სდევენ. ამგვარად გენერალ ჩ–ს ნაწილებიც გასდევენ ოპრეტ–ხოჯორნისაკენ უკუ ქცეულ ცნობილ კოროლკოვსა და ნაზარბეგოვს''.[82]

ქართველ მეთაურთა დაქარაგმებული სახელები კი ასე იშიფრება: პოლკოვნიკი ჯა და ჯ–ძე – პოლკოვნიკი (უნდა იყოს პოდპოლკონიკი) ჯაფარიძე, გენერალი ჩ – გენერალი ჩხეტიანი.

საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით, 1918 წლის 28 დეკემბერს დაწყებული შულავერის გენერალური ბრძოლა ქართული მხარის წარმატებული შტურმი იყო, რომელიც 25–29 დეკემბერს წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დამაგვირგვინებელ ნაწილს წარმოადგენდა. ამ საერთო–საჯარისო ოპერაციის თითოეული ბატალია ქართული მხარისათვის დიდი წარმატებით დასრულდა. ხოლო დაგეგმარების სისრულითა და შტურმის განხორციელების ტემპებით, ტაქტიკური თვალსაზრისით, ქალაქ შულავერის აღება წარმატებული შეტევითი ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენდა. საერთო ჯამში, შულავერის ბრძოლა სომხეთ–საქართველოს ომის მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლა იყო, სადაც დაპირისპირებული მხარეების ძალთა საერთო რაოდენობა საარმიო კორპუსის მასშტაბებისა იყო.

ოპერატიული თვალსაზრისით, 28–29 დეკემბრის ბრძოლები იმით იყო აღსანიშნავი, რომ აქ, საბრძოლო მოქმედებებში, შეიარაღებული ძალების ორი სახეობისა და სახმელეთო ძალების ყველა გვარეობის ჯარები მონაწილეობდნენ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში ეს იყო წარმატებით განხორციელებული პირველი საერთო–საჯარისო ოპერაცია, რომელიც ერთიანი შტაბიდან იმართებოდა. იგი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ამ მომენტისათვის, შულავერის ფრონტზე პირველად განხორციელდა ქართული შეიარაღებული ძალების საბრძოლო სტრუქტურების მეტ–ნაკლებად ორგანიზება და ჯარების ოპერატიული მართვის შემდგომი დახვეწა:

„ჩვენთან არმიისა და გვარდიის ნაწილები მუდამ შერეული იყო და მხოლოდ 29–ში, წარმატების შემდეგ მოხერხდა ამ საქმის როგორღაც მოწესრიგება. უკვე მოინიშნა: მარჯვენა კოლონა – მე–5 პოლკი, მარცხენა კოლონა – პოლკოვნიკი წულუკიძე არმიის ნაწილებით, მამაისთან გენერალ სუმბათაშვილის რეზერვში იყრიდა თავს 1–ლი და მე–2 დივიზიის ნაწილები. ჩვენი რაზმის გვარდიამ კი მთლიანად შულავერზე გადაიტანა ყურადღება".[83]

გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შულავერთან გამართულ ბრძოლებში საფრონტო მხარდაჭერის ქართული ბომბდამშენი ავიაცია საერთოდ პირველად იქნა გამოყენებული კავკასიის ომების ისტორიაში. თვით I მსოფლიო ომის მთელი მსვლელობის პერიოდშიც კი, კავკასიის ფრონტზე რუსული ავიაცია ერთადერთხელ იქნა გამოყენებული ბარზრუმის აღების დროს და ისიც მხოლოდ სადაზვერვო დანიშნულებით. უ. ბალენი: „იუდენიჩმა თავისი საველე შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ მასლოვსკის ჰასანყალასა და არზრუმის რაიონების სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება დაავალა... მასლოვსკიმ არზრუმის გამაგრებული რაიონის დაზვერვა დაახლოებით ოცი რუსული თვითმფრინავით შეძლო, რომლებიც პირველად იქნა გამოყენებული საომარი მოქმედებების კავკასიის თეატრზე".[84]

სტრატეგიული თვალსაზრისით, შულავერის ოპერაცია თავისი მასშტაბებითა და საერთო მნიშვნელობით, იმდროინდელი პერიოდიკის მიერ, კრწანისის ისტორიულ ბრძოლასაა შედარებული, რასაც არ შეიძლება ეცალსახად არ დავეთანხმოთ: „შულავერის ბრძოლა ე.წ. Feldschlacht–ი იყო. ბრძოლის ველი 10 ვერსზე იყო გაჭიმული. ჯარების რაოდენობის შესახებ დაწვრილებით ვერაფერს ვიტყვით. ის კი შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ბმასში იმდენი მეომარი იღებდა მონაწილეობას, რამდენიც აღამაჰმადხანის ჯარში მოიპოვებოდა. ამ „გაშლილ ბრძოლაში" ჩვენმა ჯარმა და სარდლებმა დაამტკიცეს, რომ ისინი გაცილებით მაღლა დგანან მოპირდაპირეებზე. სხვა რომ არაფერი მოგვეგო, ესეც საკმაო იყო ჩვენთვის. მაგრამ ნურავინ დაივიწყებს, რომ შულავერის ბრძოლა თუ არ აღემატებოდა, არ დაუვარდებოდა კრწანისის ბრძოლას. ქართული მხედრობა ორივეგან თავისი

ერის მომავალს იცავდა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გამარჯვებულ აღმაჰმადხანზე უფრო საშიშარნი საქართველოსათვის გამარჯვებული დაშნაკცაკანები იყვნენ. მაგრამ ჩვენმა ჯარმა გადაუმტვრია მათ ხერხემალი, უკუაგდო საზღვრებისაკენ, დაიხსნა სამშობლო განსაცდელისაგან''.[85]

მიუხედავად მოპოვებული დიდი წარმატებისა, შულავერის ოპერაციის გაანალიზებისას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში, ქართული სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელდა. ამ თვალსაზრისით, შულავერის ოპერაცია დაუსრულებელი დარჩა. საქმე ქართული საჯარისო ნაწილების მიერ ღრმა ფლანგური მანევრის განხორციელების ტემპებს შეეხება სადახლოს მიმართულებაზე.

ქართული სარდლობის ჩანაფიქრი, რაც შულავერში თავმოყრილი სომხეთის შეიარაღებული ძალების მე–2 მსროლელი დივიზიის ნაწილებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების სრულ განადგურებას ითვალისწინებდა, ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ წულუკიძის მიერ იუხარი–სარალიზე მართლაც საარაკო შეტაკება იქნა მოგებული, მან ვერ შეძლო სადგურ სადახლოს დროული დაკავება და სომხების ძირითადი საჯარისო დაჯგუფების იზოლირება, რასაც მისი სრული განადგურება უნდა მოჰყოლოდა შედეგად. სომხებმა დროზე იყნოსეს საფრთხე და თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს უკან, აირუმისაკენ. ამ მომენტისათვის შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა და დაპირისპირებული მხარეების ძალთა ასეთი გადანაწილება კი შემდგომ საბრძოლო მოქმედებებსაც არ გამორიცხავდა.

და ბოლოს, ამ ბრძოლასთან დაკავშირებული ერთი საინტერესო დეტალი. ცნობილია, რომ შულავერის ოპერაციის მსვლელობა და გარკვეული ბატალური სცენები კინოფირზე იქნა აღბეჭდილი, რაც თავისთავად წარმოადგენს უნიკალურ და მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, არაფერი რომ არ ვთქვათ აღბეჭდილი კადრების უდიდეს ისტორიულ ღირებულებაზე. ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, სამწუხაროდ, აღნიშნული კადრების მიგნება ვერ მოხერხდა, რის გამოც არ მოგვეცა საშუალება გვესარგებლა ამ უძვირფასესი უტყუარი პირველწყაროთი, რაც უდავოდ გაამდიდრებდა ჩვენს მიერ წარმოდ–გენილ ფაქტობრივ მასალას.

§5. სადახლოს შტურმი

სამხედრო–პოლიტიკური მნიშვნელობითა და ოპერატიული ხელოვნების თვალსაზრისით, 1918 წლის 30–31 დეკემბერს წარმოებული სადახლოს ბრძოლები არა მარტო შულავერის ფრონტის, არამედ მთლიანად სომხეთ–საქართველოს ომის ერთ–ერთ ყველაზე უფრო დრამატულ ბრძოლათა რიცხვს განეკუთვნება. სწორედ სადახლოს მეორე ბრძოლისას განვითარებული მოვლენები და მისი შედეგები წარმოადგენდა საქართველოს სამთავრობო წრეების პოლიტიკური აზროვნების გაუთვლელი ნაბიჯების პროდუქტს და ქართული მხედრობის საბრძოლო სულისკვეთების კიდევ ერთ დიდ გამოცდას. ქრონოლოგიურად კი, იგი ამ ომის უკანასკნელი და დამაგვირგვინებელი ბატალია იყო.

აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საომარი მოქმედებების ამ ეტაპისათვის მობილიზებული ქართული ნაწილები და საბრძოლო რაზმები უკვე ძალიან სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და მისი პირადი შემადგენლობა 1918 წლის 30 დეკემბრის ბოლოდან შულავერი–სადახლოს ფრონტზე 10000 კაცს აღწევდა, ხოლო საომარ მოქმედებათა ყველა თეატრზე – 15000–ს. სწორედ 30 დეკემბრიდან შედიოდა თავის დამაგვირგვინებელ ფაზაში 18 დეკემბერს გამოცხადებული საყოველთაო საომარი მობილიზაცია და სწორედ ამ დროიდან იწყებოდა ქართული მხარის მიერ რეალური ძალების თავმოყრა საომარ მოქმედებათა სხვადასხვა ფრონტებზე, პირველ რიგში კი, ყველაზე მნიშვნელოვან, შულავერი–სადახლოს ფრონტზე.

ქართული სარდლობის ოპერატიული გეგმის თანახმად, ქალაქ შულავერის აღებისთანავე დაუყოვნებლივ დადგა დღის წესრიგში სტრატეგიული დასახლებული პუნქტისა და სადგურის – სადახლოს განთავისუფლების საკითხი, რომელიც ალავერდი–სანაინისა და პრივოლნოეს მიმართულებებზე შემდგომი შეტევითი მოქმედებების საბაზისო პლაცდარმად უნდა ქცეულიყო.

ისტორიულმა ბედისწერამ ისე ინება, რომ სადახლოს განთავისუფლების მეტად საპასუხისმგებლო და რთული ამოცანა ისევ მე–2 ქართული დივიზიის ნაწილებს, კერძოდ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი მე–5 ქვეითი პოლკის შერეული ბატალიონის ქვედანაყოფებს დაეკისრათ. ალბათ ამ ფაქტითაც უნდა გაბათილებულიყო ისტორიის ის ბოროტი ხუმრობა, რაც ქართველებს ერგოთ იმხანად წილად და სწორედ იმ ქვედანაყოფებს უნდა დაეტრიალებინათ ისევ ბედის ჩარხი წაღმა, რომლებიც სომხეთ–საქართველოს ომის პირველ ეტაპზე წარმოადგენდნენ ქართული მხარის მთავარ საჯარისო ჯგუფს უზუნლარი–სანაინის საბრძოლო მოქმედებათა რაიონში. სწორედ მე–5 პოლკის ქვედანაყოფებზე გადაიარა გააფთრებული და სისხლიანი ბატალიების მთელმა სიმძიმემ სადახლოს პირველი ბრძოლების დროს.

ბედმა ისე ინება, რომ იმ ქართულ ქვედანაყოფებს გაეთავისუფლებიათ ისევ სადახლო, რომლებმაც 18–23 დეკემბრის უსასტიკესი ბრძოლების შემდეგ დათმეს ეს უმნიშვნელოვანესი პუნქტი და ასე აღდგენილიყო ისტორიული სამართლიანობა.

სწორედ პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის შერეული ბატალიონის ქვედანაყოფები შეადგენდნენ გენერალ წულუკიძის შემტევი ავანგარდის წინწაწეულ ჯგუფს, რომელმაც 1918 წლის 30 დეკემბერს, დილით, მართლაც ელვისებური შეტევით, ერთდროულად დაიკავა მდინარე დებედას მოპირდაპირე ნაპირებზე მდებარე სოფელი ლამბალო (დღევანდელი ბაგრატაშენი) და სადგური სადახლო. სულ მალე კი საბრძოლო მხარდაჭერისათვის მათ მე–6 პოლკის ბატალიონიც შეუერთდა პოდპოლ–კოვნიკ ჯაფარიძის მეთაურობით. გააფთრებული წინააღმდეგობისა და რამდენიმე ძლიერი კონტრშეტევის მიუხედავად, სომეხთა ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია, ქართველთა მძლავრ შეტევას მათ ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს. ქართულმა ქვედანაყოფებმა მყარად შეინარჩუნეს მოპოვებული პოზიციები. ამონარიდი პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის საბრძოლო პატაკიდან:

„ჩემს რაზმში შედიოდა მე–5 პოლკის შერეული ბატალიონის ნაწილები, თბილისის საყარაულო ბატალიონის ნაწილი და მანგლისის მესაზღვრეთა რაზმის შერეული ასეული. $8^{1/4}$ საათზე თოფებისა და საარტილერიო ცეცხლის ქვეშ დავიკავეთ სოფ. ლამბალო და სადგური სადახლო. პირველი სოფელ ლამბალოში პოდპორუჩიკი ვაჩნაძე შევიდა, კანდელაკმა კი სწრაფად დაიკავა გაბატონებული სიმაღლე. მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე სცადა ჩვენი ამ ნაპირიდან უკუგდება ქვეითების, არტილერიისა და *აგრეთვე ჯავშანმატარებლის ცეცხლით* სადგურის მხრიდან, მაგრამ ჩვენ შევძელით აღნიშნული სიმაღლისა და სადგურის შენარჩუნება. სიმაღლეებისა და სადგურ სადახლოს დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ მოვახსენე გენერალ წულუკიძეს. ჩემი რაზმის კვალდაკვალ უშუალოდ მოვიდა მე–6 პოლკის ბატალიონი პოდპოლკოვნიკ ჯაფარიძის მეთაურობით". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[86]

მიუხედავად გადმოცემული მასალის სიძუნწისა, წარმოდგენილი პატაკის მიხედვით კარგად იკითხება ამ ბრძოლების მთელი დრამატულობა. მოყვანილი პატაკი იმითაც არის საინტერესო, რომ დოკუმენტურად პირველად აქ დასტურდება სომხების მიერ ნაალაფარი ქართული ჯავშანმატარებლის საბრძოლო გამოყენების ფაქტი. სხვათა შორის, უკვე სომხური ჯავშანმატარებლის მონაწილეობა სადახლოს მეორე ბრძოლაში არცერთ სომეხ და პროსომეხ ავტორთან არაა დაფიქსირებული. ზემოთ მოყვანილი უტყუარი საარქივო მასალა (აგრეთვე ბრიტანულ გაზეთ Times–ის ცნობა, რომელსაც ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში წარმოვადგენთ) კი ცალსახად მეტყველებს ამ ფაქტზე. ამ საკითხთან დაკავშირებით კი, სომეხ ავტორთა დუმილის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საცეცხლე მხარდაჭერის ეს უმძლავრესი საბრძოლო–ტექნიკური საშუალება, რომელიც

სომხეთ–საქართველოს ომის მთელი მსვლელობის დროს, დაწყებული ოქტომბრის ბრძოლებიდან, ქართული მხარის ერთობ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდა, აქ, სადახლოს მეორე ბრძოლაში სომხებისათვის არაფრის მაქნისი არ გამოდგა.

კიდევ ერთხელ დასტურდება საყოველთაოდ აღიარებული დებულება – მთავარი პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთებაა და არა მხოლოდ ტექნიკური მხარდაჭერის ხარისხი. ასე, რომ სომეხ ავტორთა მიერ მხოლოდ ქართული ჯავშნოსნებისაკენ თითის გაშვერა და ამით სომეხთა წარუმატებლობების ახსნის მცდელობა სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების სხვადასხვა ეტაპებზე, ნამდვილად ძალიან სუსტი არგუმენტი გამოდგა. აქ, სადახლოს მეორე ბრძოლაში, ,,მამაც სომეხ ზინვორებს'' ვეღარც მათთვის სანუკვარმა ჯავშნოსანმა მატარებელმა უშველა, ვერც მათმა ნაქებმა არტილერიამ და ვერც დიდმა სტრატეგოსმა მთავარსარდალმა. ,,მამაცმა სომეხმა ზინვორებმა'' ქართული ქვედანაყოფების გამანადგურებელ შეტევას სადახლოსა და ლამბალოზე 1918 წლის 30 დეკემბრის გამთენიისას ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს, მიუხედავად იმისა, რომ სადგურ სადახლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას ქართული მხარე ჯავშანმატარებლების მხარდაჭერის გარეშე აწარმოებდა.

ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები აღნიშნული უკვე სომხური ჯავშანმატარებლის შემდგომ საბრძოლო აქტივობასა და ბედზე. ელემენტა– რული ლოგიკა კი იმაზე მიუთითებს, რომ სადახლოს მეორე ბრძოლის შემდეგ ქართული მხარის მიერ იგი უკან იქნა დაბრუნებული.

სოფელ ლამბალოსა და სადგურ სადახლოს აღების შემდგომ კი მოვლენები ასე განვითარდა – ქართული სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრის მიხედვით ამ ეტაპზე ღრმა ფლანგური მანევრის ჩატარება დაიგეგმა ლოქის ქედის გადავლით, რასაც სანაინისა და ალავერდის ერთდროული დაკავება, აირუმის რაიონში თავმოყრილი სომხური შენაერთის ალყაში მოქცევისა და მისი სრული განადგურების ოპერაცია უნდა მოჰყოლოდა შედეგად. ამის გამო, ქართული მხარის ძირითადი ძალების კონცენტრაცია შეტევის მარჯვენა ფლანგზე, სიონ–ოფრეთის მიმართულებაზე გადაწყდა. ქართული ძალების სრული გადაჯგუფება და შეტევის საწყის ზღუდეზე გასვლა სწორედ 31 დეკემბრისათვის უნდა დასრულებულიყო, ხოლო 1919 წლის 1 იანვრისათვის ორ კოლონად დაწყებულიყო სრულმასშტაბიანი შეტევითი საფრონტო ოპერაცია სანაინისა და ალავერდის ერთდროულად დასაკავებლად. ამავე დროს განვითარდებოდა ძლიერი შეტევითი ოპერაცია აირუმის მიმართულებაზე, მდინარე დებედასა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ.

გენერალ მაზნიაშვილის მემუარიდან:

,,კავალერიის ლეგიონები, რომლებიც იდგნენ იუხარი–სარალიში, შულავერიდან სადახლოზე დახეულ მტრის ნაწილებს დაეცნენ ხეობიდან სადახლოზე გამოსვლის დროს და სდიეს კარგა მანძილზე. ნაწილი

ამოხოცეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს და ორი გამართული ზარბაზანი წაართვეს. შემდეგ ამოცანად დაისახე სად. სანაინის დაჭერა, რისთვისაც მთავარ ძალებს ვუბრძანე წაეწიათ წინ, დაეკავებინათ სოფელი სადახლო და დაეკეტნათ გამოსავალი ბამბაკის ხეობიდან...

მარჯვენა ფრთას მიეცა განსაკუთრებული, მრავალმნიშვნელოვანი ამოცანა. ის უნდა წასულიყო სოფელ სიონიდან სოფ. ოფრეთისაკენ, გასულიყო სოფელ პრივოლნოეს ხაზზე და იქიდან მიეტანა იერიში სანაინზე... 31 დეკემბრისათვის ჩემი ჯარები უკვე დანიშნულ ადგილზე იყვნენ, ე.ი. მარცხენა ფრთამ დაიკავა ჰატარა ტილიარის წინამდებარე მაღლობი. ცენტრმა ხანმოკლე შეტაკების შემდეგ დაიკავა ლამბალო–სადახლო, გამოჰყო ორი ლეგიონი და გაგზავნა ხე–ტყის სახერხი ქარხნისაკენ ხოჯორნასთან და იქიდან სოფ. ბორდაძორზე. მარჯვენა ფრთამ დაიჭირა ოფრეთი, რომელიც მდებარეობს სანაინის მახლობლად... 1–ლ იანვარს გათენებისას მარჯვენა ფრთის ნაწილებს უნდა დაეკავებინათ ერთდროულად სად. სანაინი და ალავერდი".[87]

ქართული მხარის სტრატეგიული ჩანაფიქრის შესაბამისად, სადახლოს დაკავების შემდეგ, გენერალ წულუკიძის განკარგულებით ქართულმა შემტევმა რაზმმა, რომელიც ამავე დროს მთავარი ძალების მარცხენა ფლანგის ავანგარდს წარმოადგენდა, სადახლოდან დასავლეთით გადაუხვია და ამ მიმართულებით განაგრძო ბრძოლებით წინსვლა. ამ მომენტისათვის სადგურ სადახლოში ქართული მხარის საკმარისი ძალები ჯერ კიდევ არ იყო თავმოყრილი. პოდპოლკოვნიკი მიქაბერიძე:

„30 დეკემბერს ბრძანება მივიღე გადავსულიყავით მთავარი ძალების ავანგარდში და გეზი აგვეღო გულბაღისა და ხოჯორნისაკენ. ჩვენ ბრძოლებით მივიწევდით წინ, ავიღეთ სიმაღლე, შემდეგ კი მე–5 პოლკის უნტერ–ოფიცრის სტეფანაშვილისა და პოდპორუჩიკ ბესელიას მიერ – სოფელი (სოფლის დასახელება მითითებული არ არის. სავარაუდოდ უნდა იყოს სოფელი მოლაოღლი – ა. ჩ.) იქნა აღებული. დღის 2 საათზე ავიღეთ გულბაღი, ხოლო 4 საათზე ხოჯორნი. კაპიტანი კავკასიძე ჰოსპიტალში იქნა გაგზავნილი. შერეული ბატალიონის ოფიცრები – კაპიტანი ამაშუკელი, პოდპორუჩიკი ჩაჩავა, პრაპორშიკი დოლიძე და კანდელაკი უწყვეტად იმყოფებოდნენ ბატალიონის შემადგენლობაში და ყველა ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა".[88] როგორც ვხედავთ, შერეული ბატალიონის ქვედანაყოფების მიერ, რომელთაც ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ოფიცრები მეთაურობდნენ, უმოკლეს დროში იქნა აღებული სადახლოს დასავლეთით მიმდებარე სოფლები და 30 დეკემბრის საღამოსათვის ისინი შეტევის საწყის ზღუდეზე გავიდნენ.

შულავერთან დისლოცირებული ქართული შენაერთის მარჯვენა ფლანგის ავანგარდს 30 დეკემბრის გამთენიისას ასევე ებრძანა შეტევითი მოქმედებების განვითარება სამხრეთ–დასავლეთის მიმართულებით. აქაც მე–5 პოლკის

ქვედანაყოფები აღმოჩნდნენ წინწაწეულ ჯგუფად. ამონაწერი საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან:

„30 დეკემბერი. დილის 5 საათსა და 30 წუთზე საბრძოლო უბნის უფროსისაგან მივიღეთ ბრძანება გადავაადგილებულიყავით ქვემო წერაქვისაკენ და აგველო სოფელი ოფრეთი. პოლკის მეთაური, გენერალი ბალუევი საერთო რეზერვის მარჯვენა დაჯგუფების მეთაურად დაინიშნა, ხოლო პოლკოვნიკი სალინოვი მარჯვენა კოლონის მეთაურად. მარჯვენა კოლონა 1–ლი, მე–2, მე–7 და მე–12 ასეულების შემადგენლობით სოფელ სიონის გავლით სოფელ ოფრეთისაკენ დაიძრა. რეზერვში დატოვებულ იქნა მე–8, მე–9, მე–10 და მე–11 ასეულები. შულავერიდან პოლკი დილის 9 საათზე გამოვიდა. შებინდებისას ჩვენ მივუახლოვდით სოფელ წერაქვს, მაგრამ იგი სრულიად დანგრეული და განადგურებული იყო. ჩვენ დამატებით გავიარეთ 3 ვერსი წერაქვის სიმაღლემდე და დავბანაკდით".[89]

სომხურმა ქვედანაყოფებმა ღრმად დაიხიეს უკან და მეტ–ნაკლებად მნიშვნელოვან საბრძოლო მოქმედებებს ამ მიმართულებაზე ადგილი აღარ ჰქონია. სომეხთა მიერ ისტორიული ქართული სოფელი წერაქვი კი მიწასთან იქნა გასწორებული.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სარდლობა თვით 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო ინფორმირებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ, ხოლო სომხური მხარისათვის დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი მიმდინარე მოლაპარაკებების ფაქტი და ცეცხლის შეწყვეტის ზუსტი დრო, გენერალ წულუკიძის მიერ შეტევითი მოქმედებების დასაწყებად მიმართულებით გადატანა და სადახლოს სტრატეგიულ რაიონში ძალების დაქსაქსვა, უკვე დიდი ტაქტიკური შეცდომა იყო, რაც სულ მალე გადაიზარდა კიდეც ოპერატიულში. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იყო დებედას მარჯვენა ნაპირის უყურადღებოდ დატოვება და შეტევის მარცხენა ფლანგის მოშიშვლება. საქმე იმაშია, რომ შულავერის ბრძოლების შემდეგ უკანდახეულმა სომხურმა ნაწილებმა 30 დეკემბრისათვის აირუმის რაიონში დაიწყეს თავმოყრა. დღესავით ნათელია, რომ სომეხთა კონტრშეტევის შემთხვევაში, სწორედ ქართველთა შეტევის მარცხენა ფრთა დადგებოდა უეჭველი დარტყმის ქვეშ.

ამ მომენტისათვის სომხურ შენაერთს ისევ მოსდის მნიშვნელოვანი შევსება, რასაც თვით სომეხი ავტორებიც კი ვეღარ უარყოფენ და პირველად აღიარებენ ოფიციალურად ამ ფაქტს, თუმცა სარეზერვო ნაწილების ერთობ მცირე რაოდენობას ასახელებენ. ჰამლეტ გევორქიანი:

„30 დეკემბერს, მისი (გენერალ დროს – ა. ჩ.) დაჟინებული მოთხოვნით, ბოლოს და ბოლოს, ბრძოლის ველს დიდი ხნის ნანატრმა შევსებამ მიაღწია, სულ 600 მეომარმა. გასაგებია, შევსება არც თუ ისე დიდი იყო, მაგრამ იმჟამინდელ ვითარებაში მდიდარი საბრძოლო გამოცდილების მქონე 600 ბრძოლისუნარიანი მეომრის მოშველიებას უეჭველად შეიძლებოდა დადებითი გავლენა მოჰყოლოდა შემდგომი საბრძოლო მოვლენების წარმატებით

განვითარებისათვის. აუცილებელი იყო კიდევ ერთი აღმაფრენა, ერთი გადამწყვეტი გამარჯვება და საქართველოს დედაქალაქისაკენ მიმავალი მთავარი გზა გახსნილი იქნებოდა. თავისი პოლკების საბრძოლო რიგების შევსებისა და გადაჯგუფების შემდეგ დრომ განიზრახა ალყაში მოექცია და გაენადგურებინა გენერალ მაზნიევის არმია. ჩვენი რაზმების ზნეობრივი მხარე, საბრძოლო შემართება და გამარჯვების ჟინი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი იყო...''.[90]

წარმოდგენილი ციტატა შინაარსობრივად იმით არის ჩვენთვის საყურადღებო, რომ აქ, ავტორის მიერ პირველადაა დაფიქსირებული სომხური შენაერთის შევსება – ეს არის და ეს. ხოლო ავტორის უკვე ბანალობად ქცეული მსჯელობა სომეხთა ,,გადამწყვეტ გამარჯვებასა და საქართველოს დედაქალაქისაკენ მიმავალი მთავარი გზის გახსნის'' შესახებ, სასურველის რეალობად წარმოსახვის მცდელობაა და არა საღი ანალიზის შედეგი. რომელ ,,საქართველოს დედაქალაქისაკენ მიმავალი გზების გახსნაზეა'' საუბარი, როცა სომხეთის შეიარაღებული ძალები საომარ მოქმედებათა ამ ეტაპისათვის უკვე მოახლოებული კატასტროფის ზღურბლზე იდგა და ორ–სამ დღეშიც მისი არსებობა– არარსებობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. როგორც იტყვიან, ენას ძვალი არა აქვს. მოყვანილ ამონარიდში ისიც კარგად იგრძნობა, რომ ავტორი უკვე ჩვეული რიხით ველარ საუბრობს სომხური რაზმების ,,საბრძოლო შემართებასა და გამარჯვების ჟინზე''. ესეც ნიშანდობლივი მომენტია.

ამ მომენტისათვის ქართული დაჯგუფების მთავარი ძალები, არტილერია და რეზერვი ჯერ კიდევ სოფელ მამაისთან იყო თავმოყრილი, სადახლოდან 5–6 კილომეტრზე ჩრდილოეთით. გენერალი კვინიტაძე ასეთ ტაქტიკურ შეფასებას აძლევს გენერალ წულუკიძის ზემოაღნიშნულ მანევრს:

,,ამასობაში სადახლოს მიმართულებით ასეთი რამ მოხდა. პოლკოვნიკმა წულუკიძემ სადახლოს მხოლოდ 30 დეკემბერს მიაღწია. აქ მიიზიდა მე–6 პოლკის ბატალიონი (ჯაფარიძე), მდინარე დებედა ჩაის მარჯვენა ნაპირს აუყვა, მარცხენა ნაპირზე გადაიყვანა და მთელი თავისი რაზმები გაწვლა სადახლოდან დასავლეთით, ე.ი. აირუმის საწინააღმდეგო მიმართულებით, სადაც სომეხთა მთავარმა ძალამ დაიხია. საიდანაც მოვიდნენ, იქით წავიდნენ. არ შეიძლებოდა ამ მიმართულების დატოვება სერიოზული ყურადღების გარეშე. შემდეგ ბატალიონი მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე გადაიყვანა. არადა რაზმის უფროსი მარჯვენა ნაპირზე ყოფნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამაზე მეტყველებდა ის გარემოებაც, რომ სადახლოს ხელში ჩასაგდებად პოლკოვნიკ წულუკიძის რაზმის სვლა განზრახული იყო მდინარე დებედას მარჯვენა ნაპირზე. საჭირო იყო მარჯვენა ნაპირზე ყურადღების გამახვილება და შედეგად დებედას მარჯვენა ნაპირზე სადახლოდან აღმოსავლეთით მაღლობების დაპყრობა, გაგვიმაგრებდა ზურგს აირუმისა და ალავერდის ქარხნის მიმართულებით ოპერაციებისას. ეს არ შესრულდა და

ლამის სასტიკი საზღაური მივიღეთ. 31 დეკემბერს ჩვენი რეზერვი და არტილერია მამაის რაიონში იდგა".[91]

1918 წლის 31 დეკემბერი სომხეთ—საქართველოს ომის აქტიური საბრძოლო მოქმედებების უკანასკნელი დღე აღმოჩნდა. ამ დღეს, 31 დეკემბერს, ზუსტად 24^{00} საათზე, სამმხრივი ბრიტანულ—ქართულ—სომხური წინასწარი მოლაპარაკებების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფრონტებზე ცეცხლი შეწყდა და შემდგომი საომარი მოქმედებები შეჩერდა.

ზემოთ მოყვანილ ერთ—ერთ საარქივო დოკუმენტში (პოდპოლკოვნიკ კოროლკოვის სამობილიზაციო მოწოდება შულავერის მოსახლეობას) ცალსახად დავაფიქსირეთ ის ფაქტი, რომ ცეცხლის შეწყვეტის თარიღი და ზუსტი დრო სომხეთის შეიარაღებული ძალების სარდლობისა და საველე მეთაურებისათვის დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, ხოლო ქართული მებრძოლი მხარისათვის იგი მხოლოდ უკანასკნელ საათებში გახდა ცნობილი. საქართველოს შეიარაღებული ძალების საომარ მოქმედებათა მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის ოპერატიული შეტყობინება ფრონტების სარდლებს მხოლოდ 31 დეკემბრის საღამოსათვის დაეგზავნათ და პოზიციებზე განლაგებულმა ქართულმა ნაწილებმა იგი გვიან ღამით მიიღეს, ზოგიერთმა მათგანმა კი — 1919 წლის 1 იანვრის გამთენიისას. აი, ეს განკარგულებაც:

„გენერალ მაზნიევს, გენერალ ახმეტელოვს, გენერალ მაკაევს, სასაზღვრო დაცვის უფროსის, პოლკოვნიკ დიდებულიძისათვის გადასაცემად.

მთავრობის ბრძანების შესაბამისად გევალებათ საომარი მოქმედებების შეწყვეტა დღეს, 31 დეკემბერს, 24 საათზე. ჯარები უნდა დარჩნენ იმ ადგილას, რომლებზეც ისინი იმყოფებიან. მეწინავე რაზმების მეთაურები უნდა შეხვდნენ კავშირში სომხურ მეთაურობასთან ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილების გასაცნობად. ამასთან ერთად აცნობონ სომეხთა მეთაურებს, რომ მათმა სამხედრო ნაწილებმა უნდა დაიხიონ იმ ხაზზე, რომლებიც მათ ეჭირათ მტრული მოქმედებების დაწყებამდე. რადაც არ უნდა დაჯდეს, საომარი მოქმედებები უნდა შეწყდეს ჩვენს მიერ მითითებულ დროს. ამ ბრძანების მიღების შესახებ მომახსენეთ დაუყოვნებლივ.

31. 12. 1918. №01384. 14 საათი და 43 წუთი. არმიის სარდალი (Командарм — ა. ჩ.) გედევანოვი".[92]

და სხვა ყველაფერთან ერთად, ამ ფაქტშიც მდგომარეობდა საქართველოს მთავრობის დანაშაულებრივი უყურადღებობა სამხედრო უწყებისადმი ზოგადად და ქართული საველე სარდლობისადმი კერძოდ. საქართველოს მთავრობა მოვალე იყო, რომ ქართული სარდლობა თავის დროზე ჩაეყენებინა საქმის კურსში მიმდინარე მოლაპარაკებებისა და ცეცხლის შეწყვეტის თარიღისა და ზუსტი დროის შესახებ. ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საინფორმაციო უზრუნველყოფისა და აქედან გამომდინარე, მიზანდასახულობის ფაქტორი ამ მომენტისათვის სომხების მხარეს თამაშობდა, რითაც მათ შესანიშნავად ისარგებლეს.

საქართველოს მთავრობის იმ გადაწყვეტილებამ, რომ 31 დეკემბრის 24^{00} საათისათვის ფრონტებზე ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო, ქართული სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრი, 1919 წლის 1 იანვრისათვის ალავერდი–სანაინის დაკავებისა და სომხური შენაერთის ალყაში მოქცევის შესახებ, ჩაშალა. უფრო მეტიც, ამ ეტაპისათვის ქართული საჯარისო ნაწილების სადახლოდან დასავლეთის მიმართულებით გადაჯგუფებამ უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტისა და სადგურის, სადახლოს შენარჩუნების საკითხი დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ყველა ზემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, უდიდესი ძალისხმევის ფასად, სომხური შენაერთის სარდლობამ მოახერხა მის ხელთ არსებული მთელი ძალებისა და მხარდაჭერის ყველა საშუალებების სრული კონცენტრაცია და 31 დეკემბერს ძლიერი კონტრშეტევითი ოპერაცია წამოიწყო ლამბალო–სადახლოს მიმართულებაზე.

სომეხთა კონტრშეტევის პირველ ტაქტიკურ ზღუდეს სოფელ ლამბალოს აღმოსავლეთით მდებარე ლალვარის ქედის სიმაღლეების დაპყრობა წარმოადგენდა, რითაც ხელსაყრელი პლაცდარმი იქმნებოდა სოფელ ლამბალოსა და სადგურ სადახლოზე შემდგომი შეტევის განვითარებისათვის. ჰამლეტ გევორქიანი: „დროს გეგმის მიხედვით, ცენტრში პირდაპირი, ხოლო ფრთებზე შემოვლითი დარტყმებით სომხური რაზმები სწრაფად უნდა გადაადგილებულიყვნენ, ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ სადახლოში მყოფი ქართველთა ჯარის დაჯგუფება, რის შემდეგაც უკვე გაიხსნებოდა თიფლისისაკენ მიმავალი გზა".[93]

ჩვენ შერჩევით არ მოგვყავს სომეხი ავტორის ციტატები გენერალ დროს გენიალური სტრატეგოსობის წარმოსაჩენად. შინაარსობრივად, ეს ამონარიდი კიდევ ერთი ნიმუშია ავტორის, რბილად რომ ვთქვათ, დილეტანტური ხედვისა. დღესავით ნათელია, რომ შემტევი ფრონტისა და ფლანგების ერთდროული წინსვლით შეუძლებელია მტრის ალყაში მოქცევა. ავტორის მიხედვით კი, თურმე გენერალ დროს სწორედ ასეთი ტაქტიკური ჩანაფიქრით დაუგეგმავს შეტევითი ოპერაცია სადახლოში დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფების „სრული შემორტყმისა და განადგურების" მიზნით. თეორიულადაც კი წარმოუდგენელია მსგავსი სამხედრო მანევრის ჩატარება. ციტატაში წარმოდგენილ ამ „ღრმა ანალიზს" კი ისევ აკვიატებული ფრაზა – „თიფლისისაკენ მიმავალი გზა" აგვირგვინებს.

რეალური ფაქტი კი ისაა, რომ საკუთარი რიგების შევსების შემდგომ, სომხურმა ნაწილებმა ძლიერი კონტრშეტევითი ოპერაცია წამოიწყეს ქართველთა შეტევის მარცხენა ფრთაზე, სწორედ იქ, სადაც ქართული პოზიციები ამ მომენტისათვის ძლიერ შესუსტებული იყო. საარტილერიო მომზადების შემდეგ სომხურმა ნაწილებმა და რაზმებმა შეძლეს აქ არსებული ქართული პოზიციების გარღვევა, რასაც სადახლოს აღმოსავლეთით მდებარე ლამბალოს სიმაღლეებისა (ტანა–დაღის მთა) და თვით სოფელ ლამბალოს

დაკავება მოჰყვა შედეგად. სომხური შენაერთის მეორე კოლონამ კი უშუალოდ სადგურ სადახლოს შეუტია.

გენერალი კვინიტაძე: „ამ დროისათვის სომხებს დამხმარე ძალა მოუვიდათ, დასვენებული მე–4 პოლკი და აირუმიდან სადახლოს შეუტიეს. მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა ჩვენს დაბანაკებულ რეზერვს და შეტევა დაიწყო. ეს მიმართულება პოლკოვნიკ წულუკიძეს ეკუთვნოდა ერთდროულად ფლანგიც და ზურგიც. გენერალმა სუმბათაშვილმა დამირეკა, ვითარება გამაცნო და მითითებები მთხოვა. თან დასძინა, ერთი ბატალიონი უკვე დებედას მეორე ნაპირისაკენ გაემართაო. მყისვე გულმა მიგრძნო, რომ პოლკოვნიკ წულუკიძესთან საქმე ვერ იყო კარგად. მაშინ არ ვიცოდი, რომ პოლკ. წულუკიძე აირუმის საწინააღმდეგო მხარეს ღრმად გავიდა.

„თუკი ვინმე გყავთ, ყველა იმ ნაპირზე გადარეკეთ და სწრაფად დაიკავეთ ლამბალოს აღმოსავლეთის ქედი" – ვუპასუხე სუმბათაშვილს. მითხრა, მესმის, მაგრამ ერთი ბატალიონი უკვე გავგზავნე და დანარჩენების გაგზავნა თქვენი ბრძანების გარეშე ვერ გავბედეო. „სასწრაფოდ დაიწყეთ, დროს ნუ კარგავთ". საბედნიეროდ პოლკ. გარდაფხაძის ბატალიონმა მოასწრო მეორე ნაპირზე გადასვლა, პირდაპირ სულზე მიუსწრო და დაიკავა თხემი, საიდანაც ცეცხლით უკუაგდო მოწინააღმდეგის ნაწილები, ხიფათს გადავრჩით".[94]

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, შეუძლებელი აღმოჩნდა სომეხთა შეშველებული ძალების ზუსტი იდენტიფიცირება. გენერალ კვინიტაძის მემუარის მიხედვით, ეს ძალები სომეხთა „დასვენებულ მე–4 პოლკს" წარმოადგენდა, ხოლო გევორქიანთან საერთოდ არაა დასახელებული ამ საბრძოლო ერთეულის წარმომავლობა. იგი მხოლოდ „მდიდარი საბრძოლო გამოცდილების 600 მეომარს" ასახელებს. ჩვენ ვერც ერთი ავტორის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

გენერალი კვინიტაძე თავის მემუარში დასვენებულ მე–4 პოლკზე მიუთითებს. ფაქტობრივად და დოკუმენტურად კი დადასტურებულია, რომ დაშნაკური აგრესიის დასაწყისიდანვე, 1918 წლის 18 ოქტომბრიდან, სწორედ სომხეთის რეგულარული ჯარის მე–2 მსროლელი დივიზიის მე–4 პოლკი იმყოფებოდა ქართველთა წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლების შემტევ ავანგარდში შაღალი–ქორინჯის უბანზე. და იგივე პოლკის ქვედანაყოფებმა განაახლეს უზუნლართან სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები ქართული გარნიზონის წინააღმდეგ 1918 წლის 9 დეკემბრიდან.

ასე, რომ ეს ნაწილი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო სომეხთა მე–2 დივიზიის „დასვენებული მე–4 პოლკი". ხოლო, რაც შეეხება 1–ლი მსროლელი დივიზიის მე–4 პოლკს, მისი საბრძოლო გამოცდილება და მზადრული სულისკვეთება ჩვენთვის კარგადაა უკვე ცნობილი. სწორედ ამ პოლკის ქვედანაყოფები იდგნენ 1918 წლის თებერვალ–მარტში ერზინჯან–არზრუმის ფრონტზე გენერალ ანდრანიკ ტერ ოზანიანის

დაქვემდებარებაში, შიშით თავგზააბნეულებმა რომ მოკურცხლეს ჰასანყალასკენ ჯერ კიდევ თურქთა შემოტევის დაწყებამდე. რაც მთავარია, თურქულ მხარესთან 1918 წლის 4 ივნისს დადებული კაპიტულანტური შეთანხმებით, სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსი მსროლელ დივიზიამდე იქნა დაყვანილი, ასე, რომ ცალკეულ სომხურ დივიზიებზე საუბარი, 1918 წლის ივნისის შემდეგ, ბოლომდე კორექტული არ იქნება.

ამაზასპისა და ანდრანიკის ბრიგადები კი, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ოფიციალური ვერსიით, სომხეთის ცენტრალურ ხელისუფლებას არ ექვემდებარებოდნენ და ისინი „დამოუკიდებლად აწარმოებდნენ საბრძოლო მოქმედებებს" აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. ჰამლეტ გევორქიანთან შეშველებული რაზმის წევრთა მითითებული რაოდენობა ნამდვილად არ უნდა შეესაბამებოდეს ობიექტურ რეალობას, თუმცა იმაში კი ვეთანხმებით ავტორს, რომ სარეზერვო ძალები – „მდიდარი საბრძოლო გამოცდილების" მქონე მეომრები იყვნენ. რიცხოვნობაში კი არ ვეთანხმებით იმიტომ, რომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია, მხოლოდ 600 მეომარს ასეთი არსებითი გავლენა ჰქონოდა საბრძოლო მოქმედებათა ხასიათზე. ჩვენის აზრით, აქ ავტორი აშკარად „თავმდაბლობს" და ხელოვნურად ამცირებს სომხური რაზმის პირადი შემადგენლობის რაოდენობას.

ჩვენის აზრით, რასაც დოკუმენტურად ვერ ვადასტურებთ, ავტორთა მიერ ხსენებული რაზმი წარმოადგენდა სამხედრო ნაწილს, არა ნაკლებ მსროლელი პოლკისა (პირადი შემადგენლობა 1500–1800 კაცი) და იგი შესაძლებელია სომხეთის შეიარაღებული ძალების „არალეგალური" აღმოსავლეთის დაჯგუფებიდან (ცნობილი „ამაზასპის ბრიგადა") ყოფილიყო, რომელმაც 1918 წლის 15 სექტემბერს სამარცხვინოდ დატოვა ბაქო თურქთა შეტევის დაწყებამდე. თუმცა, საბრძოლო გამოცდილება ამ რაზმს ნამდვილად არ აკლდა და რაც მთავარია, იგი ნამდვილად კარგად იყო დასვენებული.

სხვა შემთხვევაში სომეხთა ეს ნაწილი გენერალ ბიჩერახოვის რაზმიდან უნდა ყოფილიყო, რომელიც გენერალ ტომსონის პირადი ბრძანებით იქნა დაშლილი. საქმე იმაშია, რომ ტომსონის გადაწყვეტილებით ბიჩერახოვის რაზმის სომხურ შემადგენლობას ნება დაერთო გადასულიყო ერევნის დაშნაკური მთავრობის განკარგულებაში:

„ბაქოში იმ დროისათვისაც კი 8–10 ათასი სომეხი ჯარისკაცი იმყოფებოდა და აი, მიღებულ იქნა ცნობა, რომ გენერალი ტომსონი პრინციპულად თანახმაა მათ სამშობლოში გაგზავნაზე (შეძლებისდაგვარად იარაღთან ერთად) – მე ვთვლი, რომ ხალხი ეშელონებით უნდა იქნას გაგზავნილი, ნაწილი ყარაბაღში, ნაწილი კი ერევანში, რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში".[95] აშკარად იკვეთება, რომ სომეხთა სწორედ ეს ნაწილები შეიძლებოდა ყოფილიყო გადმოსროლილი სადახლოს ფრონტზე დაშნაკური მთავრობის მიერ, 1918 წლის 30 დეკემბრისათვის.

გააფთრებული ბრძოლების შედეგად, შეშველებული ქართული ნაწილების დახმარებით (პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე), სადახლოსთან ფრონტის

გარღვეული უბანი აღდგენილ იქნა, თუმცა სომხური ნაწილების სრულად განდევნა სოფელ ლამბალოსა და ლალვარის ქედის სიმაღლეებიდან 31 დეკემბრის 24^{00} საათისათვის ვეღარ მოესწრო.

რიჩარდ ოვანესიანი მოკლედ ასე აღწერს სადახლოს მიდამოებში 31 დეკემბერს წარმოებული ბრძოლების საერთო სურათს:

„31 დეკემბრისათვის ორივე არმიისათვის ნათელი იყო, რომ ეს იყო ბოლო შანსი მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა ცეცხლის შეწყვეტამდე, რომელიც შუა ღამით იყო განსაზღვრული. ბრძოლები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სომხურმა კოლონებმა ცენტრსა და მარჯვენა ფლანგზე სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ტიფით დაავადებულმა მარცხენა კოლონამ უკან დაიხია. საღამოსათვის სომხურმა ასეულებმა აიღეს სადახლოს აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეები, ქართველთა ფლანგს შემოუარეს და მამაისთან რკინიგზის ხაზი გადაჭრეს... სოფელი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, *ბოლოსდაბოლოს სომხებმა შეინარჩუნეს თავისი სანგრები და პოზიციები სადგურზე, ხოლო ქართველებმა ქალაქში".* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[96]

წარმოდგენილი ციტატა განსჯისათვის საინტერესო მასალებს იძლევა. ჯერ ერთი, ორივე მხრისათვის არ იყო ნათელი, რომ 31 დეკემბერი საომარ მოქმედებათა ბოლო დღე იყო და ეს ბატალიებიც ბოლო ბრძოლებს წარმოადგენდნენ ცეცხლის შეწყვეტამდე და უკანასკნელ შანსს წარმატების მოპოვებისათვის. და ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე არსებითი აღნიშნული საკითხის განხილვისას. ამ საკითხზე ზემოთაც გვქონდა საუბარი.

სომხებმა მართლაც მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ არა ცენტრსა და მარჯვენა ფლანგზე, არამედ მხოლოდ მარჯვენა ფლანგზე. პირიქით, გენერლების, წულუკიძისა და სუმბათაშვილის ქვედანაყოფებმა საპასუხო კონტრშეტევითი მოქმედებებით, სწორედ ცენტრში შეძლეს სომხური პოზიციების ყველაზე უფრო ღრმად გარღვევა და პრაქტიკულად აირუმამდე გასვლა. შეტევის მარჯვენა ფლანგზეც ქართული ნაწილების საბრძოლო მოქმედებები დიდი წარმატებით დასრულდა. ამონაწერი მე–5 ქვეითი პოლკის საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან:

„31 დეკემბერი. ღამის 1 საათზე მოგვივიდა დამატებითი ძალები – 1–ლი ასეული პოლკის შტაბ–ბინიდან, 9 ოფიცრის, 180 ჯარისკაცის, ერთი მეტყვიამფრქვეველთა ასეულით, 3 ოფიცრის, 50 ჯარისკაცისა და 4 ტყვიამფრქვევის შემადგენლობით. 3 საათზე სოფელ ოფრეთისაკენ გაიგზავნა სადაზვრევო ჯგუფი პრაპორშიკ ხუნდაძის მეთაურობით. მარჯვენა კოლონა გაემართა ოფრეთისაკენ, რეზერვი კი ადგილზე დარჩა. დღის $3^{1/2}$ საათზე 1–ლმა და მე–2 ასეულებმა პოდპოლკოვნიკ შერვაშიძის (პოდპოლკოვნიკი ელიზბარ შერვაშიძე – ა. ჩ.) მეთაურობით ბრძოლებით დაიკავეს წმ. გიორგის სიმაღლე და სოფელი ოფრეთი. ამავე დროს ალაფის სახით ხელში ჩაიგდეს 2 ტყვიამფრქვევი, 3 (გაუგებრად წერია – ა. ჩ.) სრული აღჭურვილობით, ტყვიამფრქვევის ლენტები და ვაზნები. ტყვედ აიყვანეს 5

კაცი. ჩვენი დანაკარგები შეადგენდა 11 დაჭრილსა და 5 მოკლულს. სომხებმა გაქცევით უშველეს თავს სოფელ ჩანახჩისაკენ. საღამოს 6 საათზე ტყედ იქნა აყვანილი 6 სომეხი და დივერსიული ჯგუფი, რომლებიც ქალაქ შულავერის კომენდანტს, პოლკოვნიკ კონჩუევს გაეგზავნა.

სოფელ ოფრეთის დაკავება შედარებით მცირე დანაკარგებით შესაძლებელი გახდა პოდპოლკოვნიკ შერვაშიძის ენერგიული, დროული განკარგულებებისა და მანევრირების გამო, რომელიც მთელი ბრძოლების განმავლობაში უშუალოდ შემტევ 1–ლ ასეულში იმყოფებოდა. ამ ბრძოლების გმირები იყვნენ: პორუჩიკი სანიკიძე და მე–2 ასეულის მეთაური, პორუჩიკი კუჭავა".[97]

რაც შეეხება სომეხთა შეტევის მარცხენა ფრთის უკანდახევის მიზეზს, მიუხედავად ავტორის მიერ არაერთხელ გამოვლენილი ტენდენციურობისა, ასეთი სერიოზული მკვლევარისაგან მაინც მოულოდნელია უკანდახევის მსგავსი მიზეზების მოყვანა. ერთობ უსუსური არგუმენტია წარმოდგენილი სომხური ნაწილების უკან დახევის ასახსნელად. საინტერესოა, სომხური ჯარის რაღა მაინცდამაინც მარცხენა ფრთა აღმოჩნდა ტიფით დაავადებული, რის გამოც, ავტორის ვერსიით მოუწია თურმე მას პოზიციების დათმობა.

ციტატის ბოლო წინადადებაშიც, ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის სომეხთა მიერ სადგურ სადახლოს ფლობის შესახებ, არ ამბობს ავტორი სიმართლეს. ჩვენს ამ კონკრეტულ დასკვნას და ავტორის ტენდენციურ ხედვას ოდნავ ქვემოთ დავამტკიცებთ უტყუარი საარქივო მასალების წარმოდგენით. ჩვენ ქვემოთ კიდევ არაერთხელ ვაჩვენებთ, რომ სადგურ სადახლოს დაკარგვას სომხური მხარე ყველაზე მტკივნეულად განიცდიდა და ყველანაირი საშუალებებით ცდილობდა მის შესახებ დეზინფორმაციული ტალღის აგორებას. ასე იყო 1918 წლის დეკემბრის ბოლოს და როგორც ჩანს ასეა ახლაც, თითქმის ცხრა ათეული წლის შემდეგ.

მიუხედავად სომეხთა მიერ მოპოვებული გარკვეული ტაქტიკური წარმატებისა, სტრატეგიული პუნქტი სადახლო, სოფელიც და რკინიგზის სადგურიც, სომებ ავტორთა მტკიცებების საწინააღმდეგოდ, 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათისათვის არსებული ოპერატიული მდგომარეობით, ქართველთა ხელში დარჩა, რაც დოკუმენტურად და ისტორიულად დადასტურებული ფაქტია.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ქართული მხარის მიერ არ იქნა შესაბამისი ყურადღება მიქცეული სომეხთა შეტევის მარჯვენა ფრთისადმი, რის გამოც სომხურმა ქვედანაყოფებმა შეძლეს ფლანგური შემოვლის განხორციელება ამ უბანზე, აიღეს სოფელი ლამბალო და მთავარი სიმაღლე 2660, მაგრამ სადახლოსთან მიმართებაში ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. მსჯელობის სისრულისათვის კი უტყუარ საარქივო მასალებს მოვიყვანთ. ესაა ქართული სარდლობის მთავარი შტაბის უფროსის, გენერალ–მაიორ ვლადიმერ იმნაძის

შეთხოვნა ფრონტების სარდლებს, არსებული დისპოზიციის პუნქტების ზუსტ ჩვენებაზე 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათის მდგომარეობით:

„ტელეგრამა №52. 02. 01. 1919. 19 საათი და 48 წუთი. ნაკრები. გენერალური შტაბიდან.

აშაღა–სარალი — გენერალ მაზნიევს. ეკატერინენფელდი — გენერალ ახმეტელოვს. ახალციხე — გენერალ მაკაევს.

არმიის სარდალმა (მთავარსარდალი, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი — ა. ჩ.) ბრძანა, რომ უმოკლეს დროში მოგვაწოდოთ შტაბში:

1. ჩვენი ჯარების განლაგების სქემა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მეწინავე ნაწილების პოზიციების ზუსტ ჩვენებას. მასშტაბი დუიმში ორი ვერსი. (1დუიმი=2,54სმ. 1ვერსი=1,0668კმ. — ა. ჩ.)

2. თქვენს დაქვემდებარებაში არსებული ყველა საჯარისო ნაწილის ზუსტი დასახელება, პირადი შემადგენლობის, ქვემეხების, ტყვიამფრქვევების, საზიდრებისა და ცხენების რაოდენობების ზუსტი ჩვენებით. 02. 01. 1919. №01470. იმნაძე.

გადაცემულია ახალციხეში 02. 01. 1919. 18 საათი და 35 წუთი.

გადაცემულია აშაღა–სარალში 02. 01. 1919. 18 საათი და 40 წუთი".[98]

აქ მხოლოდ სადახლო–შულავერის ფრონტის სარდლის, გენერალ მაზნიაშვილის საპასუხო ტელეგრამას მოვიყვანთ, სადაც აღნიშნული მომენტისათვის სრულად ჩანს ქართული და სომხური მხარის წინწაწეული ქედანაყოფების დისპოზიციები და მათ მიერ დაკავებული პუნქტები სადახლოს საბრძოლო მოქმედებათა რაიონში.

უთარიღოდ — „31 დეკემბრის 24 საათისათვის ქართულ ჯარებს დაკავებული აქვთ: სოფ. ოფრეთი, სოფ. ხოჯორნი, სოფ. გულ–ბაღი, *სოფ. სადახლო, სადგური სადახლო,* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.) სოფ. ლამბალო, სადგურ სადახლოს ჩრდილოეთით მდებარე ქედი 1554 სიმაღლიდან ჩრდილო–აღმოსავლეთისაკენ 2660 სიმაღლემდე და შემდეგ წარწერამდე „წყარო", რომელიც წარწერა ხაჩი–ყალას ჩრდილოეთით მდებარეობს. ორიგინალური ხელმოწერა: გენერალი მაზნიევი.

შენიშვნა: *სოფ. ლამბალო და სიმაღლე 2660, 31 დეკემბრის 24 საათისათვის ჩემს მიერ იქნა დაკავებული* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.) და მხოლოდ გენერალ მაზნიევის 1919 წლის 1 იანვრის №139 წერილის საფუძველზე იქნა დატოვებული 1 იანვრის 8 საათისათვის, რომ არ მომხდარიყო ჩვენი ჯარების უშუალო შეხება ქართულ ქედანაყოფებთან და ამით თავიდან აგვეცილებინა გაუთვალისწინებელი შედეგები. დისპოზიციის დანარჩენ პუნქტებს ვეთანხმები.

დრო. სწორია: პოლკოვნიკი ნაცვალოვი".[99]

როგორც ვხედავთ, დოკუმენტის მიხედვით 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათისათვის არსებული მდგომარეობით სადახლო, სოფელიც და სადგურიც, ქართულ ჯარს ჰქონდა დაკავებული, ხოლო გენერალ დრასთამატ

კანაიან–დროს ხელმოწერით დამოწმებული შენიშვნის პუნქტით, მდინარე დებედას მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელი ლამბალო და უშუალოდ სიმაღლე 2660 – სომხეთის ჯარს, რასაც პოლკოვნიკი ნაცვლიშვილიც ადასტურებს.

თუ დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური რუკის სომხეთ–საქართველოს საზღვრის უბანს გადავავლებთ თვალს, ნათლად ჩანს, რომ სწორედ სადახლო–ლამბალოს რაიონში გამავალი სასაზღვრო ხაზი წარმოადგენს სომხეთ–საქართველოს მთელი სასაზღვრო პერიმეტრის ყველაზე უსწორმასწორი და თითქოს არაბუნებრივ უბანს. ეს უბანი სასაზღვრო ხაზის თვალში ყველაზე ადვილად საცემი მონაკვეთია. სომხეთ–საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო საზღვარი ზუსტად იმეორებს დაპირისპირებული ძალების დისპოზიციას და არსებული ფრონტის რეალურ მოხაზულობას 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათის მდგომარეობით. რიჩარდ ოვანესიანი:

„როდესაც ბოლო გასროლის ხმა გაისმა, ორი არმია მეტად უსწორმასწორო ფრონტის ხაზით იყო ერთმანეთს გამოყოფილი: სომხებს დომინანტური მდგომარეობა ეკავათ სადახლოს აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, მაშინ, როცა ქართველები წარმატებით იყვნენ შეჭრილი სამხრეთ–დასავლეთის მიმართულებით".[100] აქ კი ნამდვილად ვეთანხმებით ავტორს. დაპირისპირებულ მხარეთა სწორედ ამ პოზიციურ განლაგებაზე გვქონდა ჩვენც საუბარი.

აქვე გავაგრძელებთ ზემოთ მოყვანილ საარქივო დოკუმენტს, საიდანაც კიდევ ერთხელ, ცალსახად ჩანს, რომ ქართულმა შემტევმა ავანგარდმა ცეცხლის შეწყვეტის სამთავრობო გადაწყვეტილების შესახებ მხოლოდ 1919 წლის 1 იანვრის დილისათვის შეიტყო. ამონაწერი მე–5 პოლკის საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან:

„1 იანვარი. დილის 7 საათზე მილებულ იქნა განკარგულება მე–2 ქვეითი დივიზიის მეთაურისაგან, რომ 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათზე შეგვეწყვიტა ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) შევსულიყავით კონტაქტში სომხურ მხარესთან და ჩაგვეყენებინა ისინი საქმის კურსში ცეცხლის შეწყვეტის დადგენილების შესახებ. ამის ასასრულებლად, პოლკის მეთაურმა მარჯვენა კოლონის უფროსს, პოლკოვნიკ საღინოს უბრძანა, რომ შეეწყვიტა წინსვლა და გაჩერებულიყო სოფელ ოფრეთში. პრაპორშიკი საფაროვი ორ ორდინარეცთან ერთად მივლინებულ იქნა სომხური მხარის მეთაურებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. პრაპორშიკმა საფაროვმა 15 ვერსი გაიარა, ვერავინ ვერ აღმოაჩინა და უკან დაბრუნდა".[101]

წარმოდგენილი დოკუმენტი პირველ რიგში იმით არის აღსანიშნავი, რომ აქაც, ისევე როგორც ვორონცოვკაში განვითარებული მოვლენებისა და ახალაქალაქის მაზრაში მიმდინარე ბრძოლების დროს, ქართველთა შეტევითი

მოქმედებების შეწყვეტის კატეგორიული მოთხოვნაა დაყენებული. კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ მტკიცდება, რომ ქართული შემტევი ქვედანაყოფებისათვის შემდგომი წინსვლის აკრძალვა ისტორიულად მეტად წამგებიანი აღმოჩნდა ქართველთათვის. მსგავს მომენტებს 1992–1993 წლებში აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე რუსეთ–საქართველოს ომშიც ჰქონდა არაერთხელ ადგილი, რამაც ერთ–ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა აქ არსებული მოვლენების შემდგომ განვითარებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მისი შინაარსიდან კარგად ჩანს, თუ რომელ ზღუდემდე დაიხიეს სომხურმა ქვედანაყოფებმა 31 დეკემბრის ბრძოლების შემდეგ. სიონ–ოფრეთის მიმართულებაზე ეს არც მეტი, არც ნაკლები, დაახლოებით ვორონცოვკა–პრივოლნოეს რაიონი იყო. ხოლო ის, თუ 15 ვერსს იქით როგორი იყო სომხური ნაწილების დისპოზიცია, შესაბამისი მასალების არქონის გამო ჩვენთვის უცნობია. როგორც ვხედავთ, აქაც ვერ უღალატეს ,,მამაცმა სომეხმა ზინვორებმა'' ტრადიციას და შიშით თავგზააბნეულებმა მარდად მოკურცხლეს უკან.

1918 წლის 30–31 დეკემბრის სადახლოს ბრძოლების ცალსახა ტაქტიკური შეფასება და შესაბამისი ანალიზის ჩატარება ნამდვილად არაა მარტივი საქმე. ამ ბატალიების წარმოდგენა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული საბრძოლო მოქმედებათა სახეების მიხედვით შეუძლებელია.

მთლიანობაში, გარკვეული მონაკვეთების მიხედვით, ქართული მხარისათვის იგი წარმოადგენდა ელვისებური შტურმის, წარმატებული შეტევითი მოქმედებების, თავდაცვითი და შემხვედრი ბრძოლების თანმიმდევრულ გაშლას. სომხური მხარისათვის კი იგი იყო თავდაცვითი, კონტრშეტევითი, შემხვედრი და ისევ თავდაცვითი ბრძოლების სერია. სომხურისაგან განსხვავებით, ამ ბრძოლებში ქართული შეიარაღებული ძალების მხოლოდ რეგულარული ჯარის მე–4 და მე–5 პოლკების ქვედანაყოფები იღებდნენ მონაწილეობას და აქ მოქმედი ძალებიც ბრიგადული მასშტაბებისა იყო. სომეხთა მხრიდან კი სრულად იქნა კონცენტრირებული მათ ხელთ არსებული მთელი ცოცხალი ძალა, სარეზერვო ქვედანაყოფები და საბრძოლო მხარდაჭერის ყველა საშუალება.

საქართველოს მთავრობის გაუთვლელი მოქმედებების გამო, ქართული სარდლობის მიერ ტაქტიკური შეცდომა იქნა დაშვებული სადახლოდან დასავლეთისაკენ შეტევითი მოქმედებების ფორსირებით, რის გამოც 31 დეკემბრისათვის თვითონ სადახლოსა და ლამბალოს რაიონში დროულად ვერ მოხერხდა საკმარისი ძალების გადაჯგუფება. მართალია, ქართული ქვედანაყოფების მიერ დასავლეთის მიმართულებით წარმოებული ბრძოლები დიდი წარმატებით დასრულდა, მაგრამ მეორეს მხრივ, ძალიან შესუსტდა სადახლოში დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფების მარცხენა ფრთა.

გამომდინარე იქიდან, რომ სომხური მხარის სარდლობისათვის კარგად იყო ცნობილი ცეცხლის შეწყვეტის თარიღი და ზუსტი დრო, მათ მოახერხეს

ძალების დროული გადაჯგუფება, მათ ხელთ არსებული ძალებისა და საშუალებების სრული კონცენტრაცია და თავგანწირული შეტევის დაწყება ლამბალოს მიმართულებით, სადაც გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. ცეცხლის შეწყვეტის სამთავრობო ბრძანებამ კი, 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათისათვის, ქართული საჯარისო ნაწილები ერთობ არასახარბიელო პოზიციებზე შეაჩერა.

საერთო ჯამში, საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით, 1918 წლის 30–31 დეკემბრის სადახლოს საბრძოლო მოქმედებები დაპირისპირებულ მხარეთა გარდამაეალი უპირატესობით მიმდინარე ბრძოლების სერიად შეიძლება შეფასდეს. ამ ბრძოლების დროს მხარეთა დანაკარგებისა და მოპოვებული ალაფის შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები არ მოგვეპოვება. ქართულ საარქივო მასალებსა და პერიოდიკაში ისინი დაცული არ არის.

სადახლოს დრამატული ბრძოლების აღწერას კი ისევ გენერალ კვინიტაძის მემუარით დავასრულებთ, სადაც ორ სტრიქონშია წარმოდგენილი მთლიანად, შულავერი–სადახლოს სტრატეგიული ოპერაციის საერთო წარუმატებლობის მიზეზებიც და ქართველ სამხედროთა გულისტკივილიც წარმატებულად განვითარებული საბრძოლო მოქმედებების. უდროოდ შეწყვეტის გამო:

„31 დეკემბერს, ღამის 12 საათზე გვიბრძანეს, რომ საბრძოლო მოქმედებები შეგვეწყვიტა და გულისტკივილით შევუდექით მოლაპარაკებებს. პოლკოვნიკ წულუკიძეს რომ არ ეზოზინა, სამტრედიის ეშელონი არ გაჩერებულიყო და ამავე ეშელონს ორჯერ თვითნებურად არ მიეტოვებინა თავისი პოზიციები, 31 დეკემბერს ალავერდის ქარხანას კარგა შორს ვიქნებოდით გაცილებული".[102]

თავი VI

§1. ბრიტანული ფაქტორის როლი და საბრძოლო მოქმედებების შეჩერება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო–პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც სულ მალე გადაიზარდა სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებში, სომეხ დაშნაკთა ერთიანი ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო და იგი ამიერკავკასიის რეგიონში 1918 წლის ბოლოსათვის ახლადშექმნილ სამხედრო–პოლიტიკურ ვითარებებზე იყო გათვლილი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სწორადაა ქალბატონ ნინო ჯაშაყმაძის მიერ სომეხი ავტორის კ. ზაქარიანის შემდეგი ციტატა მოყვანილი: „იმ კატასტროფულ სიტუაციაში არავის ჰქონდა რისკის უფლება. *მეოთხე ბლოკის* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) ბედი 1918 წლის ზაფხულში ნათლად გამოიკვეთა. საჭირო იყო დროის მოგება გადასარჩენად".[1] ჩვენთვის უკვე ცნობილია თუ რომელი „დროის მოგებასა" და რომელ „გადარჩენაზეა" საუბარი სომეხ ავტორთან და რა იგულისხმება ამ სიტყვების ქვეშ. მაგრამ ხაზგასმაში გაუგებარია თუ რა „მეოთხე ბლოკზეა" საუბარი. როგორც ჩანს, ფრაზა – „Четверного блока", პირდაპირაა თარგმნილი, რაც მთლიანობაში ბუნდოვანს ხდის წინადადების აზრს. უნდა იყოს – „ოთხთა კავშირი", ან, უკიდურეს შემთხვევაში – „ოთხთა ბლოკი", – გერმანიის, ავსტრო–უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის სამხედრო–პოლიტიკური ალიანსი I მსოფლიო ომში და არა რაღაც გაუგებარი „მეოთხე ბლოკი".

დაშნაკთა პროანტანტურ და ანტიქართულ განწყობებს პეტრე გელეიშვილი შემდეგი სტრიქონებით აღწერს:

„– საქართველოს რესპუბლიკის მზე ჩაესვენა. მოვლენ ინგლისელები და ფრანგები და საქართველოს დამოუკიდებლობასაც მოეღება ბოლო – ისმოდა ბოროტი წინასწარმეტყველება. ყველა ასე ფიქრობდა საქართველოს შესახებ. დაშნაკებმა კი ამაზე ააგეს მთელი თავისი შემდგომი პოლიტიკა. მათემატიკური სიზუსტით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ მოკავშირეების წარმატებებთან ერთად, სომხეთის მთავრობის საბრძოლო ტემპერატურაც იწევდა საქართველოს წინააღმდეგ. და გადმოსხდომაც ვერ მოასწრეს ბათუმში გერმანელებზე გამარჯვების პირველმა მახარობელმა ინგლისელებმა და ფრანგებმა, რომ ყოველგვარი ომის გამოცხადების გარეშე, სომხები საქართველოს საზღვრებზე გადმოვიდნენ".[2]

მაგრამ ცდებოდნენ, მწარედ ცდებოდნენ დაშნაკთა პარტიული იდეოლოგები და სამხედრო ბელადები. მათ სწორად ვერ გათვალეს თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. ძალიან მალე გაცხადდება, რომ ბრიტანელთა პოლიტიკას ამიერკავკასიაში სულ სხვა ინტერესები განსაზღვრავდა.

სომხებმა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია 1918 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყეს, მაშინ, როცა უკვე ცხადი გახდა

ოთხთა კავშირის გარდაუვალი მარცხი I მსოფლიო ომში. საქართველოს წინააღმდეგ გაცილებით უფრო ადრე შემუშავებული აგრესიის სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის კი დაშნაკთა აზრით, შესაბამისი პოლიტიკური სიტუაცია სწორედ ოქტომბრის ბოლოსათვის მომწიფდა ამიერკავკასიაში.

სწორედ 1918 წლის 18 ოქტომბერს, თურქული ნაწილების გასვლის შემდეგ გადმოკვეთეს პირველად სომხურმა სამხედრო ნაწილებმა და დაშნაკურმა ბანდებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო საზღვრები და მისი გარკვეული ტერიტორიების ანექსია მოახდინეს, ხოლო მას შემდეგ, რაც ბაქოში და ოდნავ მოგვიანებით ბათუმში ბრიტანელთა საოკუპაციო საჯარისო კონტინგენტის ნაწილები გადმოსხდნენ, სომხურმა ქვედანაყოფებმა 1918 წლის 6 და 9 დეკემბრიდან სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები განაახლეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ნაშრომში წარმოდგენილი უამრავი ფაქტობრივი მონაცემისა და დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სომეხ დაშნაკთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული საომარი მოქმედებები ბრიტანელთა დიდი იდეოლოგიური მხარდაჭერითა და წაქეზებით განხორციელდა. როგორც შესაბამის თავში აღვნიშნეთ, ასევე დიდი იყო „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის" გენერალ დენიკინის მხარდაჭერა და მისი „დობროარმიის" დახმარების იმედი.

ისე ჩანდა, რომ 1918 წლის 17 ნოემბრიდან, ამიერკავკასიაში ბრიტანელთა მეორედ შემოსვლით, ბრიტანელები სომეხთა ილუზორული „მფარველი ანგელოზებიდან" რეალურ დამხმარე ძალად უნდა ქცეულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ამაში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი თავად დაშნაკი ლიდერები. მათი ღრმა რწმენით, ბრიტანელების, ამ „ზღვით მოვლენილი უფრთო ანგელოზების" „მეორედ შემოსვლა" ამიერკავკასიაში, მართლაც „მეორედ მოსვლად" უნდა ქცეულიყო მთელი ამიერკავკასიისა და იქ მაცხოვრებელი სხვა ხალხებისათვის, ხოლო სომეხთათვის აღთქმული ქვეყნის — „დიადი არმენიის" დაბადების წინაპირობად.

აი, ბატონი ირაკლი წერეთლის შეფასებაც: „ბატონებო, როცა ერევნის მთავრობა ჩვენ წინააღმდეგ წამოვიდა, ის ეყრდნობოდა არა მარტო მხედრულ ძალას და არა მარტო იარაღის იმედს. არა, მისი მეცადინეობა მდგომარეობდა იმაში, რომ განემარტოებინა საქართველო, დაეპირისპირებინა ჩვენთვის არა მარტო თავისი ჯარი, არამედ აგრეთვე გარეშე, უფრო ძლიერი ძალა. ეს, ბატონებო ბევრმა აღნიშნეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ წამოვიდა სომხის მთავრობა სწორედ იმ დროს და იმ ანგარიშით, რომ საშუალება მისცემოდა გარეშე ძალა ჩვენს წინააღმდეგ გამოეყენებინა... მთელი თავისი პრესისა და აგენტების მეშვეობით დაშნაკები არწმუნებდნენ მოსულ ძალას: თქვენ საქმე გაქვთ გერმანიის მოკავშირესთან, რომელიც ლამობდა გერმანიის თქვენზე გამარჯვება გამოეყენებინა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ".[3]

ძნელია შემთხვევითობას მიეწეროს ის ფაქტიც, რომ თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე, გოლოვინის პროსპექტზე განლაგებულ გერმანიის

სამპერატორო ჯარების კომენდატურას, 15 დეკემბერს, გერმანული გარნიზონის გასვლისთანავე გაუჩნდა ხანძარი და სრულიად დაიწვა. ,,კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს გოლოვინის პროსპექტზე სასტუმრო ,,პალას–ოტელს'', სადაც გერმანელთა კომენდატურაა მოთავსებული, ცეცხლი გაუჩნდა. საღამოს 7 საათიდან დამქრობი რაზმები აქრობდნენ ცეცხლს და ვერ გააქრეს. დაიწვა სასტუმროს ქვეშ სახლები. ზარალი გამოურკვეველია''.[4]

„პალას–ოტელისა'' და გერმანელთა კომენდატურის დაწვამ გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც შეიძინა. ამ აქტით დასრულდა სწორედ გერმანული პროტექტორატის ექვსთვიანი პერიოდი საქართველოში და ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკაც ახალი მძიმე განსაცდელის წინაშე დადგა.

რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკონ და ხმამაღლა ამტკიცონ სომეხმა პუბლიცისტებმა და სხვადასხვა ავტორებმა ბრიტანული და ცარისტული ფაქტორების არარსებობაზე დაშნაკურ აგრესიასთან მიმართებაში საქართველოს წინააღმდეგ – ფაქტი ფაქტად რჩება და ეს საკითხი დღესავით ნათელია. სომეხი და პროსომეხი ავტორების ამ მტკიცებებს სრული ობიექტურობისათვის ისევ და ისევ სომეხი ავტორის ციტატას დავუპირისპირებთ. სხვანაირად შეიძლება არაობიექტურობასა და ტენდენციურობაში დაგვდონ ბრალი.

ეს ავტორი, არც მეტი და არც ნაკლები – ოვანეს კაჩაზნუნია, დიახ, ივიე ოვანეს კაჩაზნუნი, არარატის რესპუბლიკის პირველი პრემიერი. მისი აღსარებითი ხასიათის მემუარს კი იგივე „The Armenian Revolutionary Federation (Dashnagtzoutiun) has hothing to do any more''–დან ბრიტანელებთან მიმართებაში შემდეგი სახე აქვს:

„მაისის ბოლოსათვის (აქ აშკარად შეცდომითაა დასახელებული ბრიტანელთა სამხედრო კონტინგენტის ბათუმში შემოსვლის თარიღი – ა. ჩ.) ბათუმში ინგლისელთა ჯარები გადმოსხდნენ – ჩვენი მოკავშირეების ჯარები. ჩვენ ახალი იმედები ჩაგვესახა. ისე ჩანდა, რომ ჩვენი მდგომარეობა ამიერკავკასიაში ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო. გამარჯვებულები და გერმანელთა შემცვლელები თბილისში ხომ ჩვენი მოკავშირეები იყვნენ. ჩვენ ხომ საერთო მტრის წინააღმდეგ ვიბრძოდით ერთად. ბუნებრივია, რომ ჩვენ ინგლისელთა განსაკუთრებული კეთილგანწყობით უნდა გვესარგებლა...''[5]. და „ისარგებლეს'' კიდეც დაშნაკებმა ,,ინგლისელთა განსაკუთრებული კეთილგანწყობით'' და ქართველთა სისხლი დაღვარეს.

ჩვენ არ მოგვეპოვება იმის დამადასტურებელი ცალსახა პირველწყაროები და პირდაპირი მტკიცებულებები, სადაც ერთმნიშვნელოვნად იქნებოდა გამომზეურებული ბრიტანელთა ის დირექტიული მითითებები დაშნაკებისადმი, რითაც ღია საომარი მოქმედებების ინიცირება მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ასეთი დოკუმენტი თუ ოდესმე არსებობდა კიდეც ბუნებაში, ცხადია, დღეს უკვე განადგურებული იქნება, ან უკიდურეს შემთხვევაში მკაცრად გასაიდუმლოებული და დაცულია თვით დაშნაკთა მიერ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ამ მოსაზრების მართებულობაზე

ზემოთ წარმოდგენილი მასალების გარდა, სხვა უამრავი ირიბი მტკიცებულება მიუთითებს. ელემენტარული ლოგიკაც ამას გვკარნახობს. სხვათა შორის, ეს ირიბი მტკიცებულებები თვით სომეხ ავტორთა ნაშრომებშიც უხვად მოიპოვება. რიჩარდ ოვანესიანი:

„ყარაქილისაში, ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების სატრანსპორტო ოფიცერმა, კაპიტანმა გრინმა (E. Green), რომელიც ბაქოდან იყო ჩამოსული, მედიატორობა შესთავაზა სომხურ მხარეს. სომხეთი დაუყოვნებლივ დაეთანხმა და დელეგაციაც დანიშნა, რომელსაც შეხვედრა უნდა მოეწყო კაპიტან გრინსა და ქართველ წარმომადგენლებს შორის. ეს ჯგუფი შედგებოდა მარტიროს არუთიუნიანის (თავმჯდომარე) და სუმბათ ხაჩატრიანის (დაშნაკი), სტეფან მამიკონიანის (უპარტიო), არშამ ხონთქარიანისა (სოციალ–რევოლუციონერი) და გრიგოლ ტერ–ხაჩატრიანისაგან (სახალხო პარტია). – ყველანი ხორურდის (სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტი – ა. ჩ.) წევრები. (სხვადასხვა პარტიების დასახელებით ავტორი დაშნაკური ფსევდოპარლამენტის ვითომ მრავალპარტიულობასა და დემოკრატიულობაზე ცდილობს აქცენტის გაკეთებას. პირწავარდნილი დაშნაკისტის, მარტიროს არუთიუნიანის პარტიულობას კი იგი არ ასახელებს და მას მხოლოდ „თავმჯდომარედ" მოიხსენიებს. თვით ოვანეს კაჩაზნუნის ნაშრომის შესაბამის თავში მოყვანილი აღსარებიდან ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი, თუ რას წარმოადგენდა რეალურად სომხეთის პირველი რესპუბლიკის ე.წ. „პარლამენტი" – ა. ჩ.)

ტიგრანიანმა ტელეგრაფით შეატყობინა ტფილისის მთავრობას, რომ დელეგაცია ყარაქილისაში მიემგზავრებოდა და თხოვა ქართველ ხელისუფალთ, რომ მათაც განეხილათ ეს საკითხი კაპიტან გრინთან. მან (დელეგაციამ – ა. ჩ.) კიდევ ერთხელ გამოთქვა წუხილი საქართველოს „იმპერიალისტური პოლიტიკის" გამო, რამაც აიძულა სომხეთი დაეცვა თავისი მოქალაქეები(?!) და იგი კიდევ ერთხელ გამოთქვამს რწმენას, რომ ეს ორმხრივი შეხვედრა დაასტაბილურებს სიტუაციას ორ ხალხს შორის, რომელთაც „ასე ბევრი ისტორიული ტრადიცია აქვთ, რომლითაც გამსჭვალულია მათი საერთო კულტურული იდეალები".

ეს ამონარიდი საარქივო მასალებზეა დაფუძნებული – სომხეთის რესპუბლიკის არქივი. ფაილი 65/1. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. 1918 წლის 18 დეკემბერი. მაგრამ ეს, ან მსგავსი ხასიათის დოკუმენტი არც ქართულ არქივთსაცავებში არ არის დაცული და არც ერთ ოფიციალურ ქართულ პუბლიკაციაში არ არის მოხსენიებული. ვგულისხმობთ „Документы и матеръялы Грузино–Армянскихъ отношеній" და „Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній". შემდეგ ავტორი აგრძელებს:

„ყარაქილისაში კაპიტანი გრინი და სომხური დელეგაცია ტყუილად ელოდა ქართველ წარმომადგენელს. შექმნილი მდგომარეობის გამო, გასაკვირიც იქნებოდა, რომ საომარ ზონაში, რომლითაც გაყოფილი იყო ორი მხარე, რომელიმე ქართველი გამოჩენილიყო. როგორც ჩანს, სრულად რომ

აერია თავგზა, კაპიტანი გრინი ბაქოში გაემგზავრა გენერალ–მაიორ ტომსონთან პატაკის ჩასაბარებლად, რომ შემდეგ დაბრუნებულიყო შემდგომი ინსტრუქციებით აღჭურვილი. მას შემდეგ იგი არც არავის უნახავს თვალით და არც არაფერი სმენიათ მის შესახებ."[6]

იმავე გვერდის სქოლიოში ავტორი, ჯამალიანის ნაშრომის „Hai–Wratsakan knjire". გვ. 193–194, დენიკინის „Очерки смуты". IV, გვ. 153–154, აგრეთვე ბრიტანეთის ომის არქივის WO 95/4955 და Cab. 27/39, E. C. 2980. მასალებზე დაყრდნობით გვამცნობს:

„შეხვედრა სანაინში უნდა შემდგარიყო, მაგრამ რადგან ქართულმა მხარემ წარმომადგენლობა არ გამოაგზავნა, გრინი ბაქოში დაბრუნდა 25 დეკემბერს, ვორჩესტერის მე–9 ბატალიონის საომარ მოქმედებათა საშტაბო დღიურის მონაცემებით. არც ბატალიონისა და არც 39–ე ბრიგადის შტაბების საომარ მოქმედებათა დღიურებში არ არის ნახსენები გრინის საქმიანობის შესახებ ყარაქილისაში. 1919 წლის 4 იანვარს კაპიტანი გრინი ბაქოს რაიონის რკინიგზის ტრანსპორტის ოფიცრად დაინიშნა".[7]

ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ ეს არცთუ ისე მოკლე ამონარიდი მოგვეყვანა. იგი საინტერესო ინფორმაციას შეიცავს და მნიშვნელოვანი ანალიტიკური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ვინ იყო კაპიტანი ე. გრინი? ოვანესიანის მიხედვით, ბრიტანულ საარქივო მასალებზე (Britain, WO 95/4955) დაყრდნობით, კაპიტანი ე. გრინი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების 39–ე ბრიგადის ვორჩესტერის პოლკის მე–9 ბატალიონის შტაბში მსახურობდა და მას სატრანსპორტო ოფიცრის თანამდებობა ეკავა. იგი ბაქოდან ალექსანდროპოლისისაკენ პირადად გენერალ ტომსონის დავალებით, 1918 წლის 6 დეკემბერს გამოემგზავრა, თუმცა ბატალიონის საბრძოლო მოქმედებების ჟურნალში არაა დაფიქსირებული მისი ამ ვოიაჟის მიზნების შესახებ. ასეთი რამეები კი საომარი მოქმედებების რაიონში, ან საოკუპაციო ზონაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილების საშტაბო საქმისწარმოებაში და ცირკულარების შედგენისას არ ხდება.

პირადი შემადგენლობის ნებისმიერი სახის აქტივობა და გადაადგილებები, ისიც არაკეთილმოსურნე ტერიტორიებზე, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ხორციელდება, რაც ფიქსირდება კიდეც საბრძოლო მოქმედებების ჟურნალში. კაპიტან გრინის შემთხვევაში კი მსგავს ფორმალობებს ადგილი არ ჰქონია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი სატრანსპორტო ოფიცერი იყო და გენერალ ტომსონის განსაკუთრებული ინტერესების სფეროს ბაქო–თბილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზის მონაკვეთი, ალავერდი–ახტალის ფერადი ლითონების საბადოები და რეგიონის სამრეწველო ინფრასტრუქტურა წარმოადგენდა, მაშინ საკმაო საფუძველი არსებობს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კაპიტანი გრინი ლორე–ბამბაკის რეგიონში სპეციალური, საიდუმლო მისიის შესასრულებლად იყო მივლინებული. სწორედ ამიტომ არაა დაფიქსირებული ცნობები ბატალიონის საომარ მოქმედებათა ჟურნალში მისი ამ ვოიაჟის მიზნის შესახებ.

ცნობილი ფაქტია, რომ მას ალექსანდროპოლისამდე არ ჩაუღწევია და იგი ყარაქილისაში, სომეხთა საომარი მოქმედებების მთავარ საველე შტაბში შეჩერდა, სავარაუდოდ 7–8 დეკემბრისათვის. ამ მომენტისათვის, 6 დეკემბერს დაწყებული აგრესიის შედეგად, სომხურ სამხედრო ნაწილებს უკვე ჰქონდათ ოკუპირებული ახალქალაქის მაზრის გარკვეული ნაწილი. ამავე დროს, კაპიტანი გრინი ყარაქილისაში შემოვლითი გზით ისე მოხვდა, რომ ქართულ მხარესთან არავითარ კონტაქტში არ შესულა. სწორედ ამ მომენტიდან, 9 დეკემბრიდან იწყება სომხური სამხედრო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების ღია შეიარაღებული აგრესიაც ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში დისლოცირებული ქართული საჯარისო ნაწილებისა და სასაზღვრო საგუშაგოების წინააღმდეგ. დამთხვევაა?

გარდა ამისა, კაპიტან გრინთან ერთად ამ მომენტისათვის ყარაქილისაში საფრანგეთის არმიის ოფიცერი, სომხური ენის მცოდნე, კაპიტანი ანტონ პოდებარიც (Antoine Poidebard) იმყოფებოდა, რომელიც გენერალ უილიამ ტომსონის საოკუპაციო ჯარებთან ერთად შემოვიდა ენზელიდან ბაქოში 1918 წლის 17 ნოემბერს.

თავად პოდებარის მემუარის – Voiages au Carrefour des routes de Perse. Paris. 1923. გვ. 126 – მიხედვით, იგი 13 დეკემბრისათვის უკვე ერევანში იმყოფებოდა. აქაც, ერთობ ნიშანდობლივია, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალებისადმი გაცემული გენერალური შეტევის სამთავრობო ბრძანება 1918 წლის 13 დეკემბრითაა დათარიღებული. ესეც დამთხვევაა? არა გვგონია.

ზუსტად ამ დღესვე, 13 დეკემბერს დატოვა გერმანიის საოკუპაციო ჯარების ძირითადმა კონტინგენტმა საქართველოს მიწა–წყალი ფოთის პორტით. სწორედ 13 დეკემბერს შემოვიდა ბაქოში ენზელიდან და კრასნოვოდსკიდან ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების ძირითადი კონტინგენტიც.[8]

გერმანელთა საქართველოდან გასვლით სომხებს ის უკანასკნელი შემაკავებელი ბარიერიც მოეხსნათ, რომელიც მათ ღია აგრესიას ეღობებოდა წინ, ხოლო ამიერკავკასიაში ბრიტანელთა ძირითადი ძალების შემოსვლით გამოწვეულმა სომეხთა გამბედაობამ პიკს მიაღწია. სწორედ 13 დეკემბრისათვის იმყოფებოდა ბრიტანეთის არმიის კაპიტანი გრინი ყარაქილისაში, ხოლო საფრანგეთის არმიის კაპიტანი პოდებარი ერევანში. აქაც დამთხვევაა? არა გვგონია. რატომღაც, ძალიან ბევრ დამთხვევებსა აქვს ადგილი.

კვლევის პროცესში ჩვენ მივაგენით ქართულ არქივთსაცავში დაცულ მასალებს, რომელიც ბრიტანელი ემისრის, კაპიტან გრინის „სამშვიდობო მისიას" ეხება. ესაა შვიდპუნქტიანი პროექტი უკვე დაწყებული „სომხურ–ქართული კონფლიქტის მოსაგვარებლად":

1. „14 დღიანი ზავის დადება.
2. ორივე მეომარი მხარე ტოვებს საკამათო ოლქებს ლორესა და ახალქალაქში.

3. გლეხებმა უნდა გააგრძელონ თავისი ჩვეული ცხოვრება და არავინ არ უნდა ჩაერიოს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.
4. რკინიგზის მუშაობა უნდა აღდგეს. უნდა განხორციელდეს როგორც ქართული, ასევე სომხური ეშელონების შეუფერხებელი სარკინიგზო მიმოსვლა.
5. ორივე მხარემ უნდა მოაწესრიგოს სანაინში თავიანთი წარმომადგენლები საკითხის ერთობლივად გადაწყვეტისათვის.
6. ჯავშანმატარებელი უნდა დარჩეს სანაინში, ქართულმა ეკიპაჟმა უნდა დატოვოს იგი, ხოლო მატარებელი უნდა გადაეცეს ბრიტანულ მისიას.
7. ლტოლვილთა საკითხის სომხური კომისია უნდა დარჩეს ახალქალაქში და შეუფერხებლად გააგრძელოს თავისი მუშაობა, ამავე დროს გაგრძელდეს სურსათის მიწოდება.

კაპიტანი გრინი."[9]

აი, ასეთი იყო ბრიტანელთა „სამშვიდობო" წინადადებების პაკეტი სომხეთ–საქართველოს ომის დაწყების პირველ ეტაპზე. დაწვრილებითი ანალიზის გარეშეც ნათლად ჩანს, რომ ბრიტანელები ყოველგვარი შეფარული ტექსტების გარეშე დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ ლორეს რაიონისა და ახალქალაქის მაზრის სასწრაფოდ გადაცემას ბრიტანელთა პირდაპირი მმართველობის ქვეშ. სამწუხაროდ, დოკუმენტი დათარიღებული არაა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, იგი სადღაც 14–15 დეკემბერისათვის უნდა იყოს შესრულებული. ამ დროისათვის სომხურ საჯარისო ნაწილებსა და საბრძოლო რაზმებს უკვე ჰქონდათ ოკუპირებული ვორონცოვკა–პრივოლნოეს ზონა მთლიანად, ხოლო მდინარე დებედას გასწვრივ, ზონა თითქმის აირუმამდე, ანუ, ზუსტად ის ტერიტორიები, რომლის სრული კონტროლის უფლებასაც თავიდანვე ასე არაორაზროვნად მოითხოვდნენ ბრიტანელები და რასაც საბოლოო ჯამში მიაღწიეს კიდეც.

ბატონ კაჩაზნუნის გამოხმაურებას კაპიტან გრინის წინადადებაზე შემდეგი სახე ჰქონდა:

„კარაკლისში. 15. 12. 18. 24 საათი და 00 წთ. მანასიანს, ასლი გენერალ სილიკოვს.

დაუყოვნებლივ გადაეცით დროს შემდეგი ტელეგრამა: მთავრობა პრინციპიალური გაგებით ეკიდება კაპიტანი გრინის წინადადებას, მაგრამ საბოლოო პასუხი მხოლოდ პარლამენტის მხრიდან დირექტივის მიღების შემდეგაა შესაძლებელი, რომლის ექსტრენული სხდომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხვალ საღამოსაა დანიშნული. პარლამენტზე მოსახსენებლად კაპიტანი გრინისაგან აუცილებელია ზოგიერთ. საკითხთან დაკავშირებით ახსნა–განმარტება მივიღოთ:

1. არის თუ არა იმის გარანტია, რომ დაზავების შემთხვევაში ქართული მხარე არ მოახდენს ჯარების კონცენტრაციას.

2. ეთნიკურ პრინციპსა და ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე, მთელი ახალქალაქის მაზრას და ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილს ჩვენ სომხეთის განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ, სადაოდ კი მხოლოდ მდინარე ხრამის ჩრდილოეთ მდებარე ტერიტორიებს ვთვლით.
3. ხომ არ არის შესაძლებელი სომხურ მხარეს გადაეცეს ჯავშნოსანი მატარებელი, რომელიც ჩვენ უკიდურესად გვჭირდება ერივანი–ჯულფას რკინიგზის დასაცავად სპარსელი ქურთების თავდასხმების აღსაკვეთად".[10]

პირველ და მეორე პუნქტთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია, სადაც დაშნაკები ისევ ყბადაღებულ „ეთნიკურ პრინციპსა და ხალხთა თვითგამორკვევაზე" საუბრობენ და „ახალქალაქის მაზრასა და ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილს სომხეთის განუყოფელ ნაწილად" მიიჩნევენ. მესამე პუნქტში კი კაჩაზნუნი გენერალ ნაზარბეგოვის მსგავსად, ისევ და ისევ მათთვის საბედისწერო და სანუკვარი №1 ქართული ჯავშანმატარებლის სომხებისათვის გადაცემას მოითხოვს, ვითომცდა ჯულფას რაიონში თავმოყრილი სპარსელი ქურთების აგრესიის აღსაკვეთად, რადგან ამჯერად თურქული აგრესიის ფაქტორი აღარ გამოდგებოდა. ნათლად ჩანს, რომ ბორჩალოს საკითხის წარმატებით მოგვარებისთანავე დაშნაკებს უკვე სამხრეთით, ირანის ტერიტორიებზე ჰქონდათ მორიგი სამიზნე შერჩეული.

ცხადია, კაპიტან გრინის „სამშვიდობო" წინადადებების განსახილველად სომხეთის ე.წ. „პარლამენტის" არავითარი სხდომა არც დაგეგმილა და არც შემდგარა. სომხეთის ფსევდოპარლამენტის მოხსენიებაც მორიგი პოლიტიკური ხარკის გაღების მცდელობა იყო მხოლოდ. დაშნაკთა პარტბიუროს მიერ ცალსახად იყო განსაზღვრული სომხური შეიარაღებული აგრესიის სტრატეგიაც და ტაქტიკაც საქართველოსთან მიმართებაში. დაშნაკებმა ამ შემთხვევაშიც მათთვის კარგად ნაცადი დროის გაყვანის ტაქტიკას მიმართეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმაო საფუძველი გვაქვს გავაკეთოთ ის დასკვნა, რომ სომეხთა ღია შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, სწორედაც რომ ბრიტანელთა მიერ იყო ვიზირებული, რომლის აღსრულებაც ბუნებრივია, გენერალ ტომსონს დაევალა, ხოლო საწყის ეტაპზე სომხურ მხარესთან მეკავშირე ოფიცრებს, მისი საიდუმლო ემისრები, „ორი კაპიტანი" – ბრიტანელი გრინი და ფრანგი პოდებარი წარმოადგენდნენ.

მიუხედავად სომეხთა დიდი იმედებისა, ბრიტანელები ნამდვილად არ იყვნენ იმისათვის შემოსულები ამიერკავკასიაში, რომ ან „მშვიდობის მტრედის" როლი ეთამაშათ, ან უფრო დაუჯერებელი – ზღვით მოსული ეს „უფრთო მფარველი ანგელოზები" „დიადი არმენიის" ნათლიებად მოევლინოდნენ თავიანთ „პატარა მოკავშირეს".

ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების მიერ ბაქოს დაკავებისთანავე, 1918 წლის დეკემბრის თვიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავარი ქალაქის, თბილისის ოკუპაციის საკითხიც დადგა დღის წესრიგში.

საწყის ეტაპზე კი, მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად, გენერალ უილიამ ტომსონის მითითებით, დეკემბრის შუა რიცხვებში ბაქოდან თბილისში მოკავშირეთა ბლოკის ოფიცრები, ბრიტანელი ვიცე–პოლკოვნიკი რიჩარდ პრაის ჯორდანი (Richard Price Jordan) და ფრანგი ვიცე–პოლკოვნიკი პიერ–ავგუსტ შარდინიე (Piere–Auguste Chardigny) იქნენ მიელინებულნი. პირველი მათგანი გლოჩესტერშაირის პოლკის მე–7 ბატალიონის მეთაური გახლდათ, (ოდნავ მოგვიანებით იგი დააწინაურეს და ბაქოში დისლოცირებული ბრიტანელთა 39–ე ქვეითი ბრიგადის მეთაურად დაინიშნა), მეორე კი – საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი ამიერკავკასიაში.[11]

მათ მთავარ ამოცანას თბილისი–ბაქო და თბილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზებზე საინსპექტორო ტურის ჩატარება შეადგენდა, გარდა ამისა – ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების 27–ე დივიზიის ქვედანაყოფებისა და ბრიტანული სამხედრო მისიის შტაბ–ბინის თბილისში განთავსების საკითხების დაზუსტება. მოკავშირეთა ბლოკის ოფიცერთა ამ ჯგუფს გენერალ–მაიორი სერ უილიამ ჰენრი რაიკროფტი (Sir William Henry Rycroft) – ბრიტანეთის სალონიკის არმიის გენერალ–კვარტერმეისტერის მოადგილე ხელმძღვანელობდა – Britain, Operations in Macedonia, II, 307.

ვიცე–პოლკოვნიკ ჯორდანის ხელმოწერით წაყენებულ ოფიციალურ მოთხოვნას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყოფის შესახებ, შემდეგი სახე ჰქონდა:

„23 დეკემბერი. 1918. საქართველოს მინისტრ–პრეზიდენტს.

თქვენო აღმატებულებავ, ბაქოში მყოფი მოკავშირეთა ჯარების უფროსის, გენერალ ტომსონისაგან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას განკარგულება მოახდინოს, რომ 1 ბრიგადა ქვეითი ჯარისათვის, 1 ბრიგადა არტილერიისათვის და 1800 ცხენისათვის სადგომი დამზადებულ იქნას და სათანადო სადგომი შტაბისათვის... მე დიდად მადლობელი ვიქნები, თუ ხვალ გამოგზავნით ავტომობილს და 1 ოფიცერს, რომელიც მოკავშირეთა ჯარებისათვის დანიშნულ ბინას დამათვალიერებინებს.

პოლკოვნიკი ჯორდანი".[12]

ეს წერილი 23 დეკემბერითაა დათარიღებული, მაგრამ ბრიტანელთა ძირითადი მოთხოვნა საქართველოს პრემიერისადმი უფრო ადრეა გადაცემული, თუმცა დოკუმენტურად ვერ ვასახელებთ მის ზუსტ თარიღს. საკითხი ბრიტანელთა განმეორებით ინიციატივას შეეხება სომხეთ–საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების სასწრაფოდ შეწყვეტის შესახებ. ქართულ არქივთსაცავებში ეს დოკუმენტი დაცული არ აღმოჩნდა. საქართველოს მთავრობის საპასუხო წერილიდან კი ჩანს, რომ იგი სადღაც 20–21 დეკემბრისათვის უნდა ყოფილიყო გაკეთებული, რადგან ამ

მოთხოვნაზე ქართული მხარის საპასუხო შეტყობინება 22 დეკემბრითაა დათარიღებული. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოხმაურებას შემდეგი სახე ჰქონდა:

„მის აღმატებულება ინგლისის დელეგაციის უფროსს, პოლკოვნიკ ჯორდანს. №5735. 22 დეკემბერი.

საქართველოს მთავრობას არ შეუძლიან დაადასტუროს სომხეთის მთავრობის მოქმედებანი, რომელსაც მიზნად აქვს გადასწყვიტოს სადავო საკითხები მეზობელ ხალხთა შორის იარაღით. შეწყვეტა სამხედრო მოქმედებებისა აღუდგენლად Status quo ante bellum–ისა იქნებოდა სანქცია მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაულობისა და საგულისხმოა, რომ როგორც საშიშარი და დამღუპველი პრეცენდენტი ეხლანდელი ამიერკავკასიის მდგომარეობაში.

მივმართავთ რა, თქვენი მთავრობის ჰუმანურ გრძნობებს, მე სრული იმედი მაქვს რომ თქვენი ინიციატივა მიგვიყვანს ჩვენ მშვიდობიან და სამართლიან ბოლომდე, საქართველოსა და სომხეთს შორის სამხედრო მოქმედებების შესაწყვეტად.

საგარეო საქმეთა მინისტრი".[13]

როგორც ვხედავთ, ბრიტანელთა „სამშვიდობო" ინიციატივა მეორედ მაშინ დაისვა, როცა დაშნაკ აგრესორთა მიერ უკვე ოკუპირებული იყო ბორჩალოს მაზრის მნიშვნელოვანი ტერიტორია სადგურ სადახლოს ჩათვლით, ხოლო ქართული შეიარაღებული ძალები კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. საქართველოს მთავრობა და პირადად ნოე ჟორდანია მყის გამოეხმაურა ბრიტანელთა ამ წინადადებას და სათანადო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას დაპირდა მათ, ბრიტანეთის მთავრობის „ჰუმანურ გრძნობებზე" აპელირებით. იმის მაგივრად, რომ ბატონ ჟორდანიას მთავრობას მთელი თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობა ფრონტებისა და საომარი მოქმედებებისაკენ გადაეტანა, მან დეკემბრის მთელი მეორე ნახევარი ფაქტობრივად სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას დაუთმო, რაც ასე დამახასიათებელი იყო ქართველი მენშევიკებისათვის.

უკვე 25 დეკემბრისათვის ბატონ ჯამალიანს გაცნობილი (და არა შეთანხმებული) საზავო მოლაპარაკებების პირობები გენერალ–მაიორ რაიკროფტის, ვიცე–პოლკოვნიკ შარდინიესა და ჟორდანიას ხელმოწერით არარატის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა: (ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამ მიმართვამ ჯამალიანის მკვეთრი პროტესტი გამოიწვია).

„25 დეკემბერი. 1918 წელი. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს კაჩაზნუნს.

ტფილისში მყოფ ბრიტანეთის გენერალ–მაიორმა რაიკროფტმა და ფრანგების სათავეში მყოფ პოლკოვნიკ შარდინიემ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უფალ ჟორდანიასთან ერთად, უფალ

ჯამალიანის თანდასწრებით, კონფერენციაზე დაადგინეს, რომ სამხედრო მოქმედებები დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

მიუხედავად უფალ ჯამალიანის პროტესტისა, გენერალ რაიკროფტმა, პოლკოვნიკ შარდინიემ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უფალ ჟორდანიამ დაადგინეს, რომ:

ინგლისელების, ფრანგების, ქართველების და სომხების წარმომად–გენლებისაგან შემდგარი შერეული კომისია, შეძლებისდაგვარი სიჩქარით უნდა გაემგზავროს ფრონტზე, შემდეგი შეთანხმების პირობების ცხოვრებაში გასატარებლად.

კომისია განსაზღვრავს გარნიზონების შემადგენლობას, რომელნიც უნდა დასტოვონ ქართველებმა ჩრდილოეთ მხარეში და სომხებმა სამხრეთით ბორჩალოს მაზრისა და ქართველებმა აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში.

ქართველების ჯარი იდგომება იმ ხაზზე, რომელზედაც ეხლა იმყოფება, სომხების ჯარი დაიხევს ომამდელს დისიხ – ჯალალ–ოღლის ხაზამდის.

ბრიტანელების პიკეტები დადგება რკინის გზაზე ქართველების და სომხების ჯარებს შუა ადგილზე, სადაც ადმინისტრაცია იქნება შერეული.

ქართველების ადმინისტრაციას ახალქალაქის მაზრაში თვალყურს ადევნებს მოკავშირეთა კომისია, რომელშიც შედიან ადგილობრივ მცხოვრებლების სომხების და მუსულმანების წარმომადგენლები.

საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოების წარმომადგენელნი ახლო მომავალში გაიგზავნებიან ევროპაში, სადაც დიდ სახელმწიფოთა მიერ გადაწყვეტილ იქნება ყოველი საკითხი საზღვრების შესახებ.

რაიკროფტი, შარდინიე, ჟორდანია. თბილისი. 25 დეკემბერი. 1918 წელი".[14]

ამ ეტაპისათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, სომხეთის „მინისტრმა–თავმჯდომარემ" და მთავრობამ თავი აარიდა სამშვიდობო კონფერენციის საკითხებზე მუშაობას და ისევ ნაცად მეთოდს – დროის გაყვანის ტაქტიკას მიმართა. სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა საქართველოში, ბატონმა არშაკ ჯამალიანმა კი კატეგორიულად არ მოაწერა ხელი აღნიშნულ წერილს, ერევანთან დამატებითი კონსულტაციების გარეშე. და ეს არც იყო გასაკვირი. 23–25 დეკემბრისათვის სომეხთა ავანგარდები ფაქტობრივად მდინარე ხრამის პოზიციებთან იმყოფებოდნენ. ცხადია, ასეთ მომენტში დაშნაკები არაფერს არ დათმობდნენ და მათთან ყოველგვარ სამშვიდობო ინიციატივებზე მოლაპარაკებების გამართვა წყლის ნაყვას ნიშნავდა. მხოლოდ 30 დეკემბრის საღამოსათვის, მაშინ, როცა უკვე დაწყებული იყო ქართველთა უძლიერესი შეტევითი ოპერაცია ბორჩალოს სომარ მოქმედებათა მთელ თეატრზე და ქართულ ნაწილებს უკვე აღებული ჰქონდათ სომეხთა მიერ ოკუპირებული ქალაქი შულავერი, დაღეთ–ხაჩინი, სოფელი შულავერი, აშაღა–სარალი, სამშვილდე, დამია–გიაურარხი, სიონი, იუხარი–სარალი, ოფრეთი, წერაქვი, ლამბალო, სადახლო და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, სომეხთათვის გაცხადდა, რომ დაშნაკური შეიარა–

ღებული ძალების ბედი გადაწყვეტილი იყო – ისინი თავის პოზიციებს ვეღარ შეინარჩუნებდნენ. მათ მყის აუღეს ალღო შექმნილ კრიტიკულ სიტუაციას და 30 დეკემბრის საღამოსათვის ყარაქილისადან სასწრაფო თანხმობის რადიოგრამა აფრინეს თბილისში, ბრიტანელთა ახალი რეზიდენტის, კაპიტან ჰერბერტ დუგლას–ვიტერსის ხელმოწერით:

„ტფილისი. ბრიტანეთის მისიას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გარეშე საქმეთა მინისტრს. გამოგზავნილია 30. 12. საღამოს 5 სთ. და 30 წუთი. მიღებულია 30. 12. საღამოს 6 სთ. და 45 წუთი. ყარაკლისიდან.

№4. რადიოგრამა.

სომხეთის მთავრობა თანახმაა სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და ჯარების უკან დაწევაზე ისე, როგორც გადაწყვეტილია გენერალ რაიკროფტის მიერ. ბრძოლა უნდა შეწყდეს მებრძოლ მხარეთა წარმომადგენლების შეთანხმებით 31 დეკემბრის 1918 წლის 24 საათს. სომხეთის ჯარის უკან დაწევის დღე გადაწყდება ტფილისში. გენერალ რაიკროფტის მიერ წამოყენებული ზოგიერთი მუხლები სომხეთის მთვრობისათვის გამოურკვეველია, მაგრამ ის პრინციპულად თანახმაა და პირობაზე ხელი მოაწერა. მას სურს მიიღოს უფრო სწორი განმარტებანი და ამიტომაც ამ საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად მოკავშირეთა მიერ ჩემთან ერთად დღესვე მოემგზავრებიან ტფილისში ორი დელეგატი: ერთი სამხედრო პირი და ერთი მოქალაქე. განვიხილე რა ეს საკითხები, სრულიად ვეთანხმები სომხეთის მთავრობას, რომ გენერალ რაიკროფტის მიერ წამოყენებული პირობის ფარგლებში მშვიდობიანი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭიროა ამ საკითხების ზოგიერთი დეტალის უფრო გარკვეული განმარტებანი. სომხეთის მთავრობა სიამოვნებით და გულწრფელად შეხვდა ზავის ჩამოგდებას. მოკავშირეთა სახელმწიფოების კომისია ყარაკლისში.

კომისიის თავმჯდომარე დუგლას ვიტერსი. 30 დეკემბერი. 1918 წელი".[15]

როგორც ვხედავთ, დაშნაკებმა აქაც არ უღალატეს თავიანთ „ურყევ პრინციპებს", საფრთხის მოახლოებისთანავე მყის რადიკალურად შეიცვალეს პოზიციები და დათმობების გზას დაადგნენ. ერთი შეხედვით, დაშნაკებმა თითქოს კიდევ ერთხელ მოახდინეს თავისი „ერთგულების" დემონსტრირება გენერალ რაიკროფტისა და ბრიტანელების წინაშე, სინამდვილეში კი აქ თვითგადარჩენის ყოვლადდამთრგუნველმა ინსტინქტმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. მიუხედავად იმისა, რომ სომხურ სარდლობასა და საველე მეთაურებს მოლაპარაკებებისა და ცეცხლის შეწყვეტის თარიღი და ზუსტი დრო სომხეთის მთავრობის მიერ ადრევე ზუსტად ჰქონდათ შეტყობინებული, მათ მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციაში, 1918 წლის 30 დეკემბრის საღამოსათვის დაადასტურეს ოფიციალურად ცეცხლის შეწყვეტაზე თანხმობა. ამ დასკვნას ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ უტყუარ დოკუმენტურ და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ვაკეთებთ.

მაშ, ასე. 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათისათვის სომხეთ—საქართველოს საომარ მოქმედებათა ფრონტებზე ცეცხლი შეწყდა. სომეხმა დაშნაკებმა ამ ეტაპზეც მოუგეს პატარა პოლიტიკური თამაში ქართველ მეზობლებს. შედეგად კი, სადახლოს ფრონტზე მათ არაადამიანური ძალისხმევის ფასად შეძლეს სოფელ ლამბალოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიების შენარჩუნება. ამ მომენტისათვისაც კი არ ივიწყებენ დაშნაკები და მათი „სახელოვანი ჰანიბალი" ჩვეულ ცბიერებასა და ცინიზმს და არა საბრძოლო მოქმედებებით, არამედ პოლიტიკურ—დიპლომატიური ფანდებით ისევ სადახლოს ებღაუჭებიან. ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა გენერალ დროს მორიგი ტელეგრამა ქართულ სარდლობას, რომელიც ცეცხლის შეწყვეტამდე სულ ნახევარი საათით ადრე, ე.ი. 1918 წლის 31 დეკემბრის 23^{30} საათზეა გამოგზავნილი.

„ტელეგრამა (უნომრო) კარაკლისიდან. 31. 12. 1918. 23 საათი. 30 წუთი. სამხედრო. ტფილისი. ქართულ სარდლობას. შულავერის რაიონში მოქმედ ქართულ რაზმს.

ახალქალაქის რაიონში ჩვენს განლაგებაში გამოცხადდა ქართველი პარლამენტიორი, რომელმაც განგვიცხადა, რომ საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს შორის შეთანხმებით, საბრძოლო მოქმედებები უნდა შეწყდეს 31 დეკემბრის 24 საათზე. თუ გაქვთ თქვენი სარდლობის მხრიდან მსაგავსი მითითებები, გთხოვთ გამოაგზავნოთ სადგურ სადახლოზე პარლამენტიორი და მითითებები, თუ სად იქნას გამოგზავნილი ჩვენი პარლამენტიორი.

ბორჩალოს რაზმის უფროსი — დრო. *სომხეთის ჯარი ახალ წელს ულოცავს საქართველოს ჯარს".* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).[16]

ამ მომენტიდან დაწყებული, გენერალმა დრომ პირდაპირი საკომუნიკაციო კავშირი დაამყარა გენერალ მაზნიაშვილთან:

„რადიო—ტელეგრამა №12. კარაკლისიდან. 01. 01. 1919. გადაეცა 3 საათზე. გენერალ იმნაძეს.

თქვენი რადიოგრამის პასუხად გაცნობებთ, რომ ბორჩალოს რაზმის უფროსმა, დრომ, ჩვენი ჯარების დაშორიშორებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, უშუალო კავშირი დაამყარა გენერალ მაზნიევთან. შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი შნეური".[17]

და აქვე გენერალ დროს პირდაპირი რადიოგრამა გენერალ მაზნიაშვილს, ჯარების დაშორიშორების თაობაზე:

„რადიოგრამა №10. კარაკლისიდან. 01. 01. 1919. 8 საათი და 50 წუთი. სამხედრო. თბილისი.

მის აღმატებულება გენერალ მაზნიევს. მივიღე თქვენი წერილი №139. გადაუდებლად მივიჩნიე ჩემი რაზმის ნაწილების უკან დახევა, რომლებიც უშუალო შეხებაში იმყოფებოდნენ თქვენ ჯარებთან. სრულიად დარწმუნებულნი იყავით იმაში, რომ ჩვენი მხრიდან ჯარების დაშორიშორების ყველა პუნქტი შესრულებული იქნება. ჩვენი ჯარების ნაწილობრივი დაშორიშორების

თანმიმდევრობის საკითხების გასარკვევად 1919 წლის 02. 01. თქვენთან ვაგზავნი ჩემი შტაბის უფროსს, პოდპოლკოვნიკ შნეურს. დრო".[18]

აი, ასეთი იყო „სომეხთა ჰანიბალის" მიერ ქართული სარდლობისათვის გამოგზავნილი ტელეგრამების შინაარსი ცეცხლის შეწყვეტის პერიოდში. ახალქალაქის ფრონტზე ვითომც ქართველი პარლამენტიორის მისვლის ფაქტით და სადგურ სადახლოზე ასევე ქართველი პარლამენტიორის გაგზავნის მოთხოვნით, გენერალი დრო მზაკვრულად ცდილობს სომხური ნაწილების მიერ ვითომცდა სადგურ სადახლოს ფლობისა და ახალქალაქის ისევ და ისევ პროსომხურობის დემონსტრირებას. რეალურად, ცხადია, არავითარი ქართველი პარლამენტიორები არსადაც არ გაგზავნილან.

სადახლოს ბრძოლების განხილვისას ჩვენ ვაჩვენეთ, რომ სადახლო, სოფელიც და სადგურიც, 31 დეკემბრის 24^{00} საათის მდგომარეობით, ქართველთა კონტროლს ექვემდებარებოდა. ასე, რომ გენერალ დროს მიერ შემოცურებული ეს თვალთმაქცური დეზინფორმაცია კარგად გათვლილი პატარა დიპლომატიური ხრიკი იყო. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ ქვემოთ, რომ გენერალი დრო შემდეგაც ცდილობს სადგურ სადახლოს შესახებ დეზინფორმაციის აგორებას და მსგავს ფანდს ისევ გაიმეორებს გენერალ იმნაძესთან თავისი მთავარი საველე შტაბის უფროსის, პოდპოლკოვნიკ შნეურის პირდაპირი სატელეფონო საუბრისას.

31 დეკემბერს გამოგზავნილ ტელეგრამას კი ცინიზმის აპოთეოზი – ქართველებისადმი ახალი წლის მოლოცვა აგვირგვინებს. დიახ, „სომხეთის ჯარი ახალ წელს ულოცავდა საქართველოს ჯარს". სავალალო რეალობა კი ის იყო, რომ მისალოცად საქმე ნამდვილად სომხებს ჰქონდათ – ახალი წელიც, გადარჩენაც და გამარჯვებაც.

საომარ მოქმედებათა სხვა ფრონტებზე კი 1918 წლის 31 დეკემბრის 24^{00} საათის მდგომარეობით შემდეგი ოპერატიული სურათი შეიქმნა. ქართული სარდლობის ზემოთ მოყვანილი №52 ტელეგრამის პასუხად, ქართული ნაწილების დისპოზიციის შესახებ სრულ ინფორმაციას გვაწვდის ქვემოთ წარმოდგენილი საფრონტო ოპერატიული ცნობები.

ეკატერინენფელდი – ბოლნის–ხაჩინის ფრონტის სარდალი, გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი:

„ტელეგრამა №22. *ეკატერინოვკიდან.* (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) 03. 01. 1919. 21 საათი და 25 წუთი. თბილისი. სამხედრო მინისტრს.

„ახლახანს მივიღეთ შეტყობინება პოლკოვნიკ ხიმშიევისგან, რომელიც კვალში უდგას მოწინააღმდეგეს ვორონცოვკის გზაზე და აგრეთვე შტაბის როტმისტრ ტარასოვისაგან პრიეოლნოეს გზაზე. პირველმა, რომლის მთავარი ძალებიც სოფელ ქოშქათელიაშია განლაგებული, 31–ის ღამის 12 საათისათვის მიაღწია სოფელ საათს, სადაც კოლონა შეჩერდა. შტ. როტმისტრმა ტარასოვმა 12 საათისათვის მიაღწია სოფელ ჯანდარას ჩრდილოეთით ერთნახევარ–ორ ვერსზე მდებარე პუნქტს. შეაჩერეს რა კოლონების წინსვლა, ორივე მეთაური გაეშურა მოწინააღმდეგის ჯარების

მეთაურთა მოსაძებნად, რათა შეატყობინონ დაზავების შესახებ. მოწინააღმდეგის დევნის დროს პოლკოვნიკ ხიმშიევის კოლონამ ხელში ჩაიგდო 124 მაშხანა და სურსათის მარაგი, ხოლო შტ. როტმისტრ ტარასოვის კოლონამ – ჭურვებით საკმე ოთხი ყუთი.

გენერალ–მაიორი ახმეტელოვი".[19]

ეს ოპერატიული მასალა არქივიდან არის ამოღებული. ტექსტის მიხედვით ტელეგრამა ეკატერინოვკიდანაა გაგზავნილი. აქ, აშკარად შეცდომაა დაშვებული. ასეთი დასახლებული პუნქტი – ეკატერინოვკა – საქართველოში არასდროს არ არსებობდა. უნდა იყოს – ეკატერინენფელდი, რადგან სატელეგრაფო შეტყობინება ამ რაიონში მხოლოდ ეკატერინენფელდში იყო.

პოლკოვნიკი არტემ ჯიჯიხია, სახალხო გვარდიის საველე შტაბის უფროსი:

„ტელეგრამა №33. *ეკატერინოვკიდან.* (აქაც იგივე შეცდომაა დაშვებული - ა. ჩ.) 04. 01. 1919. 21 საათი და 50 წუთი. გენშტაბს, სახალხო გვარდიის შტაბს, სამხედრო მინისტრს.

01. 01. 1919 წლის №0150 შეტყობინების პასუხად მოგახსენებთ, რომ 31 დეკემბრის ღამის 12 საათისათვის რაზმის ნაწილები ასეა განლაგებული:

პოდპოლკოვნიკ ხიმშიევის მარჯვენა კოლონა – კახელების 1–ლი ბატალიონი, 8 ქვემეხი, კავალერია – გერინჯუკში (დღევანდელი სოფელი ღუმანისი, დმანისი – ა. ჩ), 20 მხედრიანი ზასტავა – ქაშქათალაში (ზემოთ ხსენებულ ტელეგრამაში ნახსენები სოფელი ქოშქათელია – ა. ჩ), რაზიეზდები საათ–კამიშლოსა და ჯანდარაში. კაპიტან ცომაიას მარცხენა კოლონა – 1–ლი ბატალიონი და ორი სამთო ქვემეხი – ბოლნის–ხაჩინში. ქურულთა მე–4 ბატალიონი – ქურჯიმარში, სამტრედიელების მე–5 ბატალიონი – ჯანდარაში, 30 მხედრიანი რაზიეზდი ჯანდარა–ჩანახჩის ბაზზე. ეკატერინენფელდში – მე–2 ბატალიონის მე–2 ასეული და მე–2 სამთო–ცხენოსანი ბატარეა, 2 ასეული – დაღეთ–ხაჩინში. რაზმის შტაბი კოლნის–ხაჩინში იმყოფება.

პოლკოვნიკი ჯიჯიხია".[20]

რადგანაც ზემოთ წარმოდგენილი ტელეგრამები მხოლოდ 3 და 4 იანვარს იქნა გამოგზავნილი თბილისში, ამიტომ ამ შეტყობინებების საფუძველზე გარკვეული კორექტივები გაკეთდა ჯარების დაშორიშორებისა და სადემარკაციო ხაზის ზუსტი დადგენისათვის.

პოლკოვნიკ ნაცვლიშვილის ტელეგრამა გენერალ მაზნიაშვილს.

„04. 01. 1919. 5 საათი. უაღრესად სასწრაფო. აშალა სარალი. გენერალ მაზნიევს.

№01388 ტელეგრამის დამატებად სამხედრო მინისტრის ბრძანების შესაბამისად, გთხოვთ დაუყოვნებლივ შეატყობინოთ საფრანგეთის სამსახურის კაპიტანს, გასფელდს, რომ გენერალ ახმეტელოვის მიერ მიღებული შეტყობინებით ქართული ჯარების მიერ 1918. 31. 24 საათისათვის დაკავებული პუნქტების გამო, ვალდებულებების მესამე პუნქტი ბატონ დროს

მიერ უნდა შეიცვალოს. კერძოდ, მან თავისი ჯარები უნდა უკან დაწიოს იმ ხაზს იქით, რომლებიც ჩვენ ჯარებს ეჭირათ ფაქტიურად 24 საათისათვის, ე.ი. სოფლებს საათისა და ჯანდარას ხაზს იქით.

04. 01. 19. №01503. შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ნაცვალოვი".[21]

თბილისიდან ეკატერინენფელდში გაგზავნილ საპასუხო ტელეგრამაში კი გენერალი იმნაძე გენერალ ახმეტელაშვილს დამატებით ატყობინებს ჯარების დაშორიშორების წესსა და თანმიმდევრობას:

„ეკატერინენფელდი. გენ. ახმეტელოვს.

ამა წლის 2 იანვარს მოკავშირეთა კომისიამ ჩვენს წარმომადგენლებთან ერთად საბოლოოდ დაადგინა სომხური ნაწილების უკან დაწევის წესი და თანმიმდევრობა. ამის თანახმად, სომხებს ჩვენი ფრონტიდან გაჰყავთ თავისი ჯარები 5–ის დილისათვის პრიუოლნოეს, კარაკლისს, დიდ კარაკლისს ხაზს იქით. სომხური ნაწილების შემდგომ ზუსტ გაყვანაზე თვალყურის დევნება მოკავშირეთა კომისიას ევალება, რასაც დროდადრო გაცნობებთ.

04. 01. №01504. გენერალი იმნაძე".[22]

აი, ასეთი იყო ქართული ავანგარდების ოპერატიული დისპოზიცია ფრონტებზე ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის და ჯარების დაშორიშორების პირველადი ზღუდე. ფაქტობრივადაც სწორედ ამ პუნქტებზე გაიარა ჯარების დაშორიშორების სადემარკაციო ხაზმაც და ეს ხაზი იქცა სულ მალე ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონის" ჩრდილოეთ საზღვრად, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, გასაბჭოების შემდეგ, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრად. დღეს კი იგი უკვე დამოუკიდებელი სომხეთისა და საქართველოს ფაქტობრივ და იურიდიულ სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს.

ქართველ და სომეხ ოფიცერთა პირველადი სამუშაო შეხვედრა ქალაქ ყარაქილისაში, სომეხთა მთავარ შტაბში მოეწყო. პოლკოვნიკ (იმჟამად პოდპოლკოვნიკ) ვალიკო თევზაძის მემუარიდან:

„სწორედ ამ დროს ფრონტზე გვეწვია მთავარი შტაბის სამარაგო დარგის გამგე, გენერალური შტაბის *პოლკოვნიკი წაჩიტიშვილი*(?). თან ჩამოიყვანა *ინგლისელი პოლკოვნიკი*. მისი მოთხოვნილების ძალით გადაწყდა ომი შეგვეჩერებინა, სომხებთან მოლაპარაკებები დაგვეწყო ზავის ჩამოსაგდებად. ორივე ეს ოფიცერი ჩვენს მატარებელში დაბანაკდა. მეორე დღეს საქართველოს ჯარების მოქმედება შეწყდა და მოეწყო ინგლისელი პოლკოვნიკის თანდასწრებით სომეხი და ქართველი სარდლობის შეხვედრა. ძნელი წარმოსადგენია ჩემი განცვიფრება, როდესაც სომეხთა ჯარის მთავარსარდალი გენ. სილიკოვი დავინახე. იგი 1914–1915 წლებში პოლკის მეთაურის უფროსი თანაშემწე იყო კავკასიის მე–8 პოლკში, რომელშიც მე ვმსახურობდი. ძალიან მაფასებდა და ძლიერად ვუყვარდი. მისი ადიუტანტი მურადიანი 1916–1918 წლებში უმცროს ოფიცრად იყო ასეულში, რომლის უფროსიც მე ვიყავი. ერთმანეთს გულითადად მივესალმეთ. ორივეს ცრემლი გვადგა თვალებში. ნუთუ ჩვენში საბრძოლველი იყო რამე? გვეცხოვრა

კეთილმეზობლურად როგორც ეს წარსულში ყოფილა! (ისევ ქართული ლოიალობა – ა. ჩ.)

წარმომადგენლების მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილი განწყობილებით და სასურველი შედეგის ნიშნებს იძლეოდა. ერთი საათიც არ იყო გასული მოლაპარაკებების დაწყებიდან, რომ *ცხენდაცხენ მოვიდა სომეხთა გმირი, ძველი პარტიზანი, მასთან ერთად ჩემი მზვერავთა ასეულით კიბრძოდი ოსმალეთის ფრონტზე 1915–1916 წლებში.* დეკემბერში ბრძოლებით გავიარეთ ქ. მუში და ადუშკას ხეობა. დავუახლოვდით ამ ბრძოლებში და დავუმეგობრდით ერთმანეთს. აზრთა გაცვლა–გამოცვლის შემდეგ ინგლისელი პოლკოვნიკის თანდასწრებით სამხედრო მოქმედებები შეწყდა. დაიწყო მოლაპარაკებები საზღვრების საბოლოო სახის დასადგენად". (ხაზგასმები ჩემია – ა. ჩ.)[23]

რაც შეეხება პირველ ხაზგასმას. „პოლკოვნიკ წაჩიტიშვილთან" დაკავშირებით ცოტა რთულადაა საქმე. არავითარი სხვა ცნობებითა და მასალებით პოლკოვნიკი წაჩიტიშვილის არსებობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში არ დასტურდება. უფრო მეტიც, ჩვენის აზრით, ასეთი ქართული გვარი – წაჩიტიშვილი – ბუნებაში საერთოდ არ არსებობს. აქ ალბათ გენერალ წულუკიძის რაზმის საველე შტაბის უფროს, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკ (და არა პოლკოვნიკ) იოსებ ჩეჩელაშვილზეა მინიშნება, მაგრამ არავითარი სხვა დოკუმენტით პოდპოლკოვნიკ ჩეჩელაშვილის სომხურ სარდლობასთან პირველად მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღება არ დასტურდება.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ იგი ვერც არარსებულ „ინგლისელ პოლკოვნიკს" ჩაიყვანდა თან. ეს „ინგლისელი პოლკოვნიკი", რომელიც ყარაქილისაში, სომეხთა მთავარ საველე შტაბში ქართველ და სომეხ ოფიცერთა პირველად შეხვედრასა და მოლაპარაკებებში იღებდა მონაწილეობას, ბრიტანეთის არმიის საოკუპაციო ჯარების კაპიტანი, არჩიბალდ შოლტო ჯორჯ დუგლასი (Archibald Sholto George Douglas) იყო. სწორედ იგი დაინიშნა სულ მალე ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონის" პირველ გენერალურ ინსპექტორად და არა ვინმე „პოლკოვნიკი დუგლასი", როგორც მიუთითებს ამას ქალბატონი ნინო ვაშაყმაძე თავის ნაშრომში. არავითარი „პოლკოვნიკი დუგლასი" რეალურად არ არსებობდა.

კაპიტანი არჩიბალდ შოლტო ჯორჯ დუგლასი არ უნდა ავურიოთ კაპიტან ჰერბერტ ჰენრი დუგლას–ვიტერსთან (Herbert Henry Douglas–Withers), ბაქოში დისლოცირებული ბრიტანელთა 39–ე ქვეითი ბრიგადის ჯარების ტრანსპორტირებისა და განთავსების სამსახურის ოფიცერთან, რომელიც საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზე ყარაქილისაში იმყოფებოდა და სწორედ მისი ხელმოწერით გამოიგზავნა თბილისში სომხეთის მთავრობის სასწრაფო რადიოგრამა №4 საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე თანხმობით, რაც ზემოთ გექონდა განხილული. სწორედ მან შეცვალა გენერალ ტომსონის პირველი ემისარი, კაპიტანი ე. გრინი და იგი წარმოადგენდა ბრიტანული

სარდლობის ახალ რეზიდენტს ყარაქილისაში, სომეხთა მთავარ საველე შტაბში. სხვათა შორის, ამ მისიის შესრულებისთანავე მას მაიორის სამხედრო წოდებაც მიენიჭა.[24]

კაპიტან არჩიბალდ დუგლასთან და კაპიტან ჰერბერტ დუგლას–ვიტერსთან ერთად, მესამე უცხოელი ოფიცერიც მონაწილეობდა ამ შეხვედრაში – საფრანგეთის არმიის კაპიტანი ნიკოლას გასფელდი (Nicolas Gasfield). მაგრამ საქმე იმაშია, რომ ორივე კაპიტანი (ბრიტანელი დუგლასი და ფრანგი გასფელდი) თბილისიდან ყარაქილისაში ქართველი ოფიცრის, პოლკოვნიკ ჯაფარიძის თანხლებით ჩავიდა.

დიახ, ბედის ირონიაა ალბათ, რომ ფორმალურად უცხოელი „ორი კაპიტანი" იჩენდა საქართველოს გარკვეული ტერიტორიების შემდგომი მოწყობის ინიციატივას და საზოგადოდ, კაპიტნები იყვნენ ჩარეულნი ორივე სახელმწიფოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემების „მოგვარებაში". ყოველივე ამას კი დანაშაულებრივი თანხმობა თავიდანვე სწორედ საქართველოს პირველი რესპუბლიკის „დემოკრატიულმა" მთავრობამ მისცა. ჩვენი ეს დასკვნა, სამწუხაროდ, დოკუმენტურად და ისტორიულად დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს მთავრობის „პაციფისტური და ჰუმანური" ოპერაციების აღმსრულებელ ქართველ ემისარს კი შტაბის პოლკოვნიკი ჯაფარიძე წარმოადგენდა. აი, ზემოთ გამოთქმული დასკვნის დამადასტურებელი დოკუმენტიც:

საქართველოს სამხედრო მინისტრის 1919 წლის 11 ივნისის №6 ბრძანება.

„§2. მინდობილებისათვის შტაბ–ოფიცერმა სამხედრო სამინისტროსთან, პოლკოვნიკმა ჯაფარიძემ დამატებითი მოხსენებით შემატყობინა, რომ 1919 წელს 26 დეკემბერს პორუჩიკ ხერხეულიძით, ინგლის–საფრანგეთის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა სომხეთის რესპუბლიკაში სადგურ აქსტაფით, კარავან–სარაით და დელიჯნით და იმავე წელს 28 დეკემბერს მივიდნენ კარაკლისში, სადაც იმათ მოელოდათ კომისია შემდგარი სომხეთის პარლამენტის ხუთი წევრისაგან და მთავრობის წარმომადგენელი გენერალ–მაიორი ყორღანოვი. ასრულებისთანავე დავალებული მინდობილობისა დელეგაციასთან ერთად 30 დეკემბერს გამოემგზავრნენ და მოვიდნენ ქ. ტფილისში 30 დეკემბერს 1918 წელს. ამა წლის 1–ლ იანვარს იმავე დელეგაციასთან და თანხლებობით პორუჩიკი ხერხეულიძისა, პოლკოვნიკი ჯაფარიძე გაემგზავრა ჩვენი და სომხეთის ფრონტზე, გასაგებათ თუ რა ადგილას შეჩერდნენ ჩვენი მოწინავე ნაწილები 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათზე. საიდგანაც თანხმობის შემუშავების შემდეგ ამა წლის 3 იანვარს დაბრუნდა ქალაქ ტფილისში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე".[25]

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით (სამხედრო მინისტრის მოადგილის, გენერალ–მაიორ ზაქარია მდივანის 1918 წლის 23 დეკემბრის

№253 ბრძანება) პოლკოვნიკი ჯაფარიძე მე–2 ქვეითი დივიზიის მე–4 პოლკის ოფიცერი იყო.

რაც შეეხება მესამე ხაზგასმას. წარმოდგენილი ტექსტიდან არ ჩანს, თუ ვინ იყო ეს ინკოგნიტო პიროვნება – „სომეხთა გმირი, ძველი პარტიზანი“, რომელთან ერთადაც იბრძოდა პოლკოვნიკი (მაშინ კაპიტანი) ვ. თევზაძე I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1915–1916 წლებში, ქალაქ მუშის (ოტომანტა იმპერიის ერთ–ერთი აღმოსავლური ვილაიეთის ცენტრი) რაიონში. ეს ინკოგნიტო პიროვნება, არც მეტი, არც ნაკლები, გენერალი დრასთამატ კანაიანი–დრო იყო. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ სწორედ გენერალი დრო წარმოადგენდა რეალურად სომეხთა მთავარსარდალს სომხეთ–საქართველოს ომში, თუმცა ნომინალურად, ამ ომის მსვლელობისას, მას დილიჟანის, შემდეგ კი ყაზახისა და ლორე–ბორჩალოს საბრძოლო რაზმების მეთაურის თანამდებობები ეკავა. ალბათ მისი პარტიული მეტსახელი – დრო – ქართული ენისათვის დუალური მნიშვნელობის მქონე, გახდა სწორედ იმის მიზეზი, რომ ავტორის ორიგინალური ტექსტის რედაქტი–რებისას, ეს მთავარი სიტყვა საერთო ტექსტიდან ამოვარდა და მთლიანობაში მისი შინაარსობრივი დატვირთვაც დაიკარგა.

ცეცხლის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით, ერთობ საინტერესოა ბატონ ნოე ჟორდანიას მოსაზრებები, სადაც კიდევ ერთხელ ჩანს ქართველ სოციალ–დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმი და გადამეტებული ინტერნაციონალიზმი, ქართველ მენშევიკთა გამოუსწორებელი „დემოკრატო–ბაც“ და მათ მიერ რეგიონში არსებული სამხედრო–პოლიტიკური რეალობების ის არაადეკვატური აღქმაც, რამაც საბოლოო ჯამში სრულ კატასტროფამდე მიიყვანა კიდეც პირველი ქართული რესპუბლიკა. 1919 წლის 7 იანვრის საპარლამენტო გამოსვლის სტენოგრამა:

„...მე ვამბობ, რომ ომის გაგრძელება იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ არ გვქონდა პოლიტიკური პერსპექტივა, მაშინ როცა ამ ომში აღარ წყდებოდა ტერიტორიის საკითხი, ამ ომის გაგრძელება ამ შემთხვევაში ნიშნავდა არა ომს, არამედ ნიშნავს ურთიერთობის ჟლეტას და დახოცვას და სწორედ ასეთი დახოცვა და ჟლეტა უმიზნოდ ეს შეჰქმნიდა ჩვენში ისეთ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდებოდა შური და მტრობა საქართველოსა და სომხეთს შორის, (გაბაშვილი – ეს ხომ ჩაიდინეთ!)

– ბატონებო, თქვენთვის ეს არ არის საყურადღებო, მაგრამ ჩვენთვის, დემოკრატიისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზედ არის აწყობილი დემოკრატიული წყობილება. თქვენ იცით, რომ ჩვენ აუარებელი დეპეშები მოგვივიდა თვითონ სომხის ხალხისაგან დუშეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებიდან. ყველა ისინი გულისწყრომას გამოსთქვამენ ერევნის მთავრობის წინააღმდეგ, მოგვივიდა დეპეშები თანაგრძნობისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საქართველოში მართლაც რომ იქნება ისეთი ფრონტი, საქართველოს ფრონტი, მიუხედავად ეროვნებისა...

და აი ჩვენ ამ ფრონტს ვაფასებთ და ამ ფრონტზე უნდა იყოს აგებული ჩვენი დემოკრატიის წყობილება. აი, სწორედ ბატონებო, ეს ფრონტი არ მოგწონთ. აქ არის როგორც ვთქვი დემოკრატიული და ამავე დროს საერთაშორისო ნიადაგი, რომელზეც დგას საქართველო, და რომელზედაც აგებულია მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება.

აი, ეს ფრონტი არ მოგწონთ ნაციონალ დემოკრატებს და აქედან არის ჩვენ და მათ შორის სხვაობა. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს ომი არ შეწყვეტილა ან შიშით, ან შემთხვევით. გამოდის ისე, რომ მოვიდა ორი ან ხუთი ინგლისელი და მათ წინაშე შევშინდით. არა, ბატონებო, ჩვენ შიში რა არის არ ვიცით. ჩვენ გამოცდილები ვართ''.[26]

მაგრამ ცდებოდა, სამწუხაროდ, მწარედ ცდებოდა ბატონი ნოე. ამ ომში სწორედაც რომ ტერიტორიების საკითხი წყდებოდა. და ომის გაგრძელება არა ხოცვა–ჟლეტის გაგრძელებასა და ურთიერთობების მოსპობას, არამედ ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა და საქართველოს გამთლიანებას მოასწავებდა.

ის ქიმერული „საქართველოს ფრონტი'' (ინტერფრონტი) კი (ერთობ ნაცნობი სიტყვათა წყობაა), რომლითაც ასე ამაყობდა „დიდი ნოე'' ჯერ კიდევ 1919 წლის დასაწყისში, რეალურად იმ შენელებული მოქმედების ნაღმს წარმოადგენდა ქართულ სინამდვილეში, რომელმაც თავისი შხამიანი და მომაკვდინებელი ნაყოფი უკვე საქართველოს მესამე რესპუბლიკის არსებობისას გამოიღო XX საუკუნის 90–იან წლების დასაწყისში.

შეშინდა, დიახაც რომ შეშინდა ბატონი ნოე ჟორდანია, მაგრამ არა „ორი თუ ხუთი'' ინგლისელის, არამედ ტრიუმფატორი დიდი იმპერიის წინაშე და ამაში დასაძრახისიც არაფერი არ იყო. „ჩვენ გამოცდილები ვართო'' – ბრძანებდა იგი და ღიმილის მომგვრელია მისი ეს სიტყვები. მით უმეტეს, ღიმილის მომგვრელია მისი პოლიტიკური გამოცდილებით თავის მოწონება ბრიტანელებთან მიმართებაში.

სომეხ და ქართველ სამხედრო მეთაურთა ყარაქილისაში დაწყებული პირველადი მოლაპარაკებები, რომელიც მოკავშირეთა ბლოკის ოფიცერთა ჯგუფის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა, რამდენიმე დღეში თბილისში გაგრძელდა, სადაც იურიდიულად საბოლოოდ გაფორმდა კიდეც სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომის საზავო პირობები და მისი ოფიციალური დასასრული.

§2. სამმხრივი ბრიტანულ–სომხურ–ქართული სამშვიდობო კონფერენცია და სომხეთ–საქართველოს ომის დასასრული.

1919 წლის 9 იანვარს, თბილისში, სამმხრივი ბრიტანულ–ქართულ–სომხური მოლაპარაკებები დაიწყო სომხეთ–საქართველოს ომის შეწყვეტასა და საზავო პირობების შემუშავებაზე. მანამდე კი, 1919 წლის 3 იანვარს, ბრიტანელმა ჯარისკაცმა დაადგა ფეხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწას: „ფოთი. 3 იანვარს ღამე ჩამოვიდა ინგლისელთა რაზმი 300 კაცისაგან შემდგარი. მოელიან კიდევ ახალ რაზმებს. რაზმი ტფილისს მიემგზავრება".[27] – იტყობინებოდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" თავისი 7 იანვრის ნომერში.

სამმხრივი სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეს, რა თქმა უნდა ბრიტანელი ოფიცერი, ბაქოში დისლოცირებული ბრიტანელთა 39–ე ქვეითი ბრიგადის მე–2 სამთო–მსროლელი ბატალიონის მეთაური, ვიცე–პოლკოვნიკი რობერტ ნეილ სტიუარტი (Robert Neil Stewart) წარმოადგენდა. მცირე დეტალი – რობერტ სტიუარტი ვიცე–პოლკოვნიკი იყო და არა პოლკოვნიკი, როგორც მოიხსენიება იგი სხვადასხვა ავტორებთან და თვით ოფიციალურ ქართულ დოკუმენტებში, ისევე, როგორც ფრანგი ვიცე–პოლკოვნიკი პიერ–ავგუსტ შარდინიე და ბრიტანელი ვიცე–პოლკოვნიკი რიჩარდ პრაის უკორდანი. ჩვენის აზრით, მოკავშირეთა ბლოკის ოფიცერთა სამხედრო წრანგების აღმატებით ქართული მხარის მიერ ალბათ საკუთარი პრესტიჟის აამაღლებასა და ბრიტანული ფაქტორის მნიშვნელობას ესმებოდა ხაზი, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში არაფორმალურ დონეებზე იმ დროსაც მიღებული იყო და ახლაც მიღებულია ვიცე–პოლკოვნიკის პოლკოვნიკად მოხსენიება.

კონფერენციის წევრთა შემადგენლობა შემდეგი იყო:

„10 იანვრიდან ტფილისში დაიწყო სომხეთ–საქართველოს კონფერენციის მუშაობა. საკითხი ეხებოდა დროებით ზავს. კონფერენციის შემადგენლობა იყო ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ იყვნენ: პოლკოვნიკი სტიუარტი (კონფერენციის თავმჯდომარე), ელჩი დიურუა, კაპიტანი დუაბარი და სხვა.

საქართველოს მხრიდან იყვნენ: საქართველოს მთავრობის წარმომადგენლნი: ე. პ. გეგეჭკორი, ნ. ე. რამიშვილი, გ. დ. ჟურული, გენერალი გედევანოვი, კ. ბ. საბახტარიშვილი, კ. პ. კანდელაკი, ა. ვ. მდივანი, პოლკოვნიკი ჯაფარიძე.

სომხეთის მხრიდან: მ. მ. არუთიუნიანი, გენ. კორღანოვი, ს. ტ. მამიკონიანი, ა. ხაჩატრიანი, ტერ–ხაჩატრიანი და ა. ხონთქარიანი..."[28]

ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ მოკლედ მოვიყვანთ სამშვიდობო კონფერენციის მასალებს, ხოლო იმ მონაკვეთს, სადაც სომხეთ–საქართველოს ჯარების დაშორიშორების საკითხები და სადემარკაციო ხაზის აღწერაა წარმოდგენილი, უფრო გავშლით.

კონფერენცია 1919 წლის 9 იანვარს გაიხსნა, მუშაობა 10 იანვარს დაიწყო და 17 იანვარს დასრულდა. სულ ოთხი სხდომა შედგა. სწორედ 17 იანვრის, ბოლო, მეოთხე სხდომაზე მოეწერა საბოლოოდ სამთავრობო ხელშეკრულებას ხელი სომხეთ–საქართველოს ომის დასრულებასა და ე.წ. ,,ლორეს ნეიტრალური ზონის'' ფორმირების შესახებ დიდი ბრიტანეთის, სომხეთისა და საქართველოს მხარეების რწმუნებით აღჭურვილი პირების მიერ. გურამ მარხულიას მონაცემებით კი კონფერენცია შვიდი სხდომისაგან შედგებოდა და იგი 22 იანვარს დასრულდა.[29] ჩვენთვის უცნობი არის წარმოდგენილი დასკვნების წარმომავლობა.

კონფერენციის მასალებში, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დადგენილებას ე.წ. ,,ლორეს ნეიტრალური ზონის'' საზღვრების დემარკაცია და საზღვრისპირა ქართულ–სომხური საჯარისო გარნიზონების განსაზღვრა წარმოადგენდა. ამ ე.წ. ,,ნეიტრალური ზონის'' ჩრდილოეთ საზღვართან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს ბატონი გურამ მარხულია: ,,ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვრად ის ხაზი უნდა გამხდარიყო, რომელიც ქართულ ჯარებს ეკავათ 1918 წლის 31 დეკემბრის ღამის 12 საათის მდგომარეობით'', მაგრამ იმავე გვერდის სქოლიოში ავტორი აბსოლუტურად მცდარ ინფორმაციას იძლევა – *,,ქართული ჯარები 31 დეკემბრისათვის მდინარე ხრამთან შეჩერდნენ''*.[30]

ხაზგასმულ ფრაგმენტში არსებითი შეცდომაა დაშვებული – ,,ქართული ჯარები 31 დეკემბრისათვის მდინარე ხრამთან'' არ შეჩერებულან. ქართული საჯარისო ნაწილების დისპოზიცია 1918 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უტყუარ საარქივო ოპერატიულ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და ფაქტობრივი მონაცემებით, დაწვრილებით გვქონდა განხილული ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში და იგი ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი.

ლორეს ,,ნეიტრალური ზონის'' ჩრდილოეთ საზღვრის შესახებ დადგენილებას კი გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის'' მიხედვით შემდეგი სახე ჰქონდა:

,,დადგენილება საქართველოს საზღვრების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის, ღენ. მაიორ გედევანიშვილის, სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის, ღენ. მაიორ ყორღანოვის, საქართველოს ლაშქრის პოლკოვნიკის ჯაფარიძის მიერ შემდგარ კომისიამ, თანახმად სომხეთ–საქართველოს შორის მომხდარი კონფლიქტის გამოსარკვევად შემდგარ კონფერენციის თავმჯდომარე ინგლისის ლაშქრის პოლკ. სტიუარტის საბოლოო გადაწყვეტილებისა – დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრაში სადავო ზონის საზღვარი ჩრდილოეთით უნდა გახდეს იმ პუნქტების შემაერთებელ ხაზად, რომელიც ეჭირა საქართველოს ლაშქრის ნაწილებს 31 ქრისტეშობისთვის ახ. სტ. 1918 წ. 24 საათზე.

ბორჩალოს მაზრის სადავო ზონის ჩრდილოეთ საზღვრად სოფლების საზოგადოებათა მიერ მიწის დამუშავებით გამოწვეულ ადგილის

მიმართულების შეცვლამდის, ჩაითვალოს: დელლი–დაღის მთა, პირდაპირი ხაზი უღელტეხილზე ს. ირღანჩაიმდის, პირდაპირი ხაზი 798 სიმაღლიმდის; შემდეგ კულუდაშის სიმაღლიმდის (855,5) სიმაღლე 676, სოფ. საათი, სიმაღლე 694; სოფ. ახკერპი, პირდაპირი ხაზით სოფელ ოფრეთის სიმაღლე 4192, ხოჯორნის ახლოს სოფ. ბარაძორის ეკლესიის ნანგრევები, – სოფ. სადახლო, სადგ. სადახლო, სადახლოს ჩრდილოეთით მთის წვერი 1554, – შემდეგ 2660 სიმაღლიმდის (მთა ტანა დაღი), შემდეგ წყაროს წარწერამდის, რომელიც ბორჩალოს მთის ჰალუთლი–ბაში წარწერის ჩრდილოეთით არის. სოფლები ირღანჩაი, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეთი, ხოჯორნი, ბარაძორი, სადახლო – რჩებიან ჩრდილოეთ ნაჩვენებ ხაზში.

ამავე კომისიის წინადადებით დაადგინეს შემდეგი გარნიზონი საქართველოს და სომხეთის ლაშქრების ნაწილებისა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში:

ა) ქართული გარნიზონი ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში:

1. სანაპირო რაზმის ერთეულები საერთო შემადგენლობით არ აღემატება 200 კაცს და უჭირავს საგუშაგოები ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფ. ოფრეთამდე.
2. სადგურ აშაგა–სარალტან ბათალიონი სამი გუნდისაგან შემდგარი საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 ჯარისკაცისა, მათ რიცხვშია უმწყობრო ჯ.–კაცებიც, ტყვიისმფრქვეველის მეორე გუნდი 4 ტყვიის მფრქვეველით არა უმეტეს 50 კაცისა; ორი ზარბაზანი შესაფერი მოსამსახურეებით. ბათალიონს შეუძლიან წარგზავნოს ზერგები სოფ. ოფრეტში და სადახლოში, თითო ზერგში არა უმეტეს 60 კაცისა.
3. რაზმი მოდარაჯე ერთეულის საერთო რიცხვითა არა უმეტეს 50 კაცის წყაროს წარწერიდან, რომელიც იმყოფება კლდის, ხაჩაკალას წარწერის ჩრდილოეთით მდ. ხრამის მტკვრის შესართავამდის.

ბ) სომხეთის გარნიზონები ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში:

1. გუნდი არა უმეტეს 125 კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობრონიც, სადგ. კალაგერანისა და ს. შინიხის რაიონში.
2. ჯალალოღლის, გერგერის და ნიკოლაევკის რაიონში. ბათალიონი სამი გუნდის შემადგენლობით საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობროებიც. ტყვიის მფრქვეველი მცირე გუნდი 4 ტყვიის მფრქვეველით და არა უმეტეს 50 კაცისა, 2 ზარბაზანი შესაფერი მომსახურე პირებით.
3. გუნდი არა უმეტეს 125 ჯარის–კაცისა, მათ შორის უმწყობროებიც საუფლისწულო ქონების და ნოვოპოკროვკის რაიონში.

გ) საერთოდ საქართველოს გარნიზონმა ჩრდილოეთ ნაწილში და სომხეთისამ სამხრეთ ნაწილში არ უნდა გადაამეტოს 660 ყოველ ნაწილში ზარბაზნის მოსამსახურე პირების საჭირო შემადგენლობით.

დ) ორივე მხარეს უფლება აქვთ ქვეითთა ნაწილები შესაფერი რიცხვის ცხენოსანი ჯარისკაცებით შესცვალონ.''[31]

აი, ასეთი იყო ლორეს ე.წ. „ნეიტრალური ზონის" საზღვრები და ქართულ–სომხური სამხედრო გარნიზონების სრული რაოდენობა და დისპოზიცია, რომლებიც შესაბამისად ზონის ჩრდილოეთით და სამხრეთით განლაგდნენ. აქ აღწერილი სადემარკაციო ხაზი ზუსტად დღევანდელი სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს.

რაც შეეხება ზონის დემილიტარიზაციის საკითხს. ცალსახად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესი მხოლოდ სომხურ მხარეს შეეხო, რადგან 1918 წლის 17 დეკემბრიდან, ქართული საჯარისო ნაწილების მიერ ახტალა–აირუმის რაიონის დატოვების შემდეგ, აქ არც ერთი ქართველი ჯარისკაცი აღარ იმყოფებოდა. კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კი სომხური საჯარისო ფორმირებები მდინარე კამენკას ზღუდის სამხრეთით უნდა გადანაცვლებულიყვნენ. მცდარია ბატონ მარხულიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე „ამ ე.წ. „ნეიტრალური ზონიდან" თანდათან იქნენ გამოყვანილი ქართული ჯარები", და „რაიონში ქართული ჯარის მხოლოდ შეზღუდული კონტინგენტი რჩებოდა".[32] ეს საკითხები უტყუარ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ჩვენი ნაშრომის შესაბამის პარაგრაფებში გვქონდა განხილული, ამიტომ აქ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

ჯარების დემობილიზაციის საკითხებისა და ახალქალაქის მაზრის შესახებ კი შემდეგი ცნობებია:

– ორიენე მხარე კისრულობს მოყვანილი პირობების შესრულებას ახალი სტილით 14 იანვარს, 1919 წლის 24 საათზე.

– საქართველოს გარნიზონი ახალქალაქის მაზრაში არ აღემატება 225 ჯარისკაცს ქვეით ჯარსა (2 როტას) და ერთ ტყვიის მფრქვეველთა რაზმს, რომელსაც ორი ტყვიის მფრქვეველი ექნება.

დემობილიზაცია.

მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ დემობილიზაციას 15 იანვრიდან და გაათავონ ის 1919 წლის 21 იანვარს. ჯარი უნდა იყოლიონ იმდენი, რამდენიც იყო მშვიდობიანობის დროს.

შენიშვნა: საზღვრებისა და გარნიზონების განსაზღვრის დროს კონფერენცია ხელმძღვანელობდა იმ ქარტით, რომელიც გამოცემულია კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ – მასშტაბი ორი ვერსით".[33]

ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარებისა და დაშორიშორების საკითხთან დაკავშირებით ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ბრიტანელები კონფერენციის შედეგების ოფიციალურ გაფორმებას არც დალოდებიან, ისე დაიკავა საოკუპაციო ჯარების კონტინგენტმა ე.წ. „ლორეს სადავო ზონა" სამშვიდობო კონფერენციის გახსნამდე, სადაც 1919 წლის იანვრის პირველსავე რიცხვებში გაიგზავნა შესაბამისი ქვედანაყოფები, მაგრამ არა 1919 წლის 1 იანვარს, როგორც აღნიშნავს ამას ბატონი გურამ მარხულია,

რადგან პირველი ბრიტანული საჯარისო ქვედანაყოფები მხოლოდ 1919 წლის 3 იანვარს გადმოსხდნენ ფოთის პორტში.

თავისთავად ცხადია, ეს ე.წ. „სამშვიდობო კონფერენცია" აბსოლუტურად ფორმალური ღონისძიება იყო და მისი შედეგებიც ბრიტანელთა მიერ წინდაწინვე იყო ცალსახად განსაზღვრული. ფაქტობრივად, ე.წ „ლორეს ნეიტრალური ზონა" ქართული სახელმწიფოს ის ტერიტორია იყო, რომელიც ჯერ კიდევ კაპიტან გრინის „სამშვიდობო შეთავაზების" მიხედვით იყო შემოხაზული სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების პირველსავე ეტაპზე. „ტფილისიდან ერევანში გაემგზავრა რკინის გზის დასაკავებლად ინგლისის რკინის გზების ინსპექტორი. ტფილისიდან ინგლისელებმა გაგზავნეს ყარსის რკინის გზის ხაზზე პირველი და მეექვსე ინგლისის პოლკების ნაწილები სადგურ აირუმსა და კარაკლისის შუა საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო ტერიტორიების დასაჭერად".[34] — იტყობინებოდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" თავისი 10 იანვრის ნომერში.

კონფერენციის სხვა მასალებს კი შემდეგი სახე ჰქონდა:

„სომხეთ—საქართველოს კონფერენცია.

10 იანვრიდან ტფილისში დაიწყო სომხეთ—საქართველსო კონფერენციის მუშაობა...

კონფერენციას ოთხი სხდომა ჰქონდა. ყველა ძირითადი საკითხების გამო თვალწინ გაეშალა ღრმა წინააღმდეგობა საქართველოსა და სომხეთის თვალსაზრისს შორის. *გადამწყვეტი ხმა ყველა სადავო საკითხებში ეკუთვნოდა მოკავშირეთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, როგორც ნეიტრალურ მხარეს.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)

პირველი ეკუთვნოდა ხაზს, რომელზეც უნდა გაჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი.

საქართველოს დელეგაციამ კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ჯარმა უნდა შეინარჩუნოს ის პოზიციები, რომლებზეც იგი იდგა სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის დროს, 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე.

სომხეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ საქართველოს ჯარს დაეხია იმ ხაზზე, რომელზეც იგი იდგა „დროებითი ზავის შეკვრის დროს".

ორივე თვალსაზრისის გამორკვევის შემდეგ მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გამოაცხადეს თავისი თანხმობა საქართველოს დელეგაციის თვალსაზრისზე. ამისდამაგვარად მოხდა კონფერენციის დადგენილებაც. ამ დადგენილების წინააღმდეგ სომხეთის დელეგატებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს.

შემდეგი საკითხი, რომელმაც კონფერენციაზე მწვავე განხეთქილება გამოიწვია, შეეხებოდა ნეიტრალურ ზონაში ადმინისტრაციის მოწყობას. ამ საკითხის შესახებ სომხეთის დელეგატებმა წინადადება შეიტანეს: გამოიყოს კომისარიატი სამი პირისგან: ერთი — საქართველოს მთავრობისაგან, მეორე —

სომხების მთავრობისაგან, და მესამე — ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან არჩეული. ეს კოლეგია უნდა ექვემდებარებოდეს მოკავშირეთა მთავრობის ხელმძღვანელთა კონტროლს.

მოლაპარაკების დროს საქართველოს დელეგაციამ წარადგინა უბრალო სქემა კომისარიატის ორგანიზაციისა: ერთი წარმომადგენელი — საქართველოს მთავრობისაგან, მეორე — სომხეთისაგან და აღძრული სადავო საკითხები უნდა გაიშინჯებოდეს მოკავშირეთა მხედრობის ხელმძღვანელთა მიერ. ეს წინადადება კონფერენციამ მიიღო.

მესამე საკითხი, რომელიც კონფერენციამ გადაწყვიტა, ეხებოდა ნეიტრალური ზონის რკინის გზას. სომხეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა ამ რკინის გზაზე მოძრაობის გამგებელი იყოს შერეული კომისია, შედგენილი იმავე პრინციპით, როგორც სომხები მოითხოვდნენ ადმინისტრა–ციის შედგენის შესახებ.

საქართველოს დელეგაციამ წინადადება შეიტანა ნეიტრალური ზონის მთელი სარკინიგზო საქმე გადაეცეს საქართველოს რსუბლიკის გზათა სამინისტროს.

ამ წინადადების წინააღმდეგ სომხებმა გაილაშქრეს და განაცხადეს, რომ ამით სადავო ადგილის ნეიტრალობის პრინციპები ირღვევა და მისი მომავალი ბედი წინდაწინვე წყდებაო. მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მიიღეს რა მხედველობაში საქმის ინტერესი და სარკინიგზო მოძრაობის უზრუნველყოფა, გადაწყვეტით და უკამათოდ მოითხოვეს საქართველოს წინადადების მიღება.

ამგვარად გადაწყდა საკითხი და კონფერენციამ მიიღო საქართველოს დელეგაციის წინადადება. ამის გამო სომხეთის დელეგატებმა წერილობითი პროტესტი შეიტანეს.

კონფერენციის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა სტიუარტმა სთხოვა საქართველოს დელეგაციას დაუყოვნებლივ ზომები მიიღოს და კონფერენციის დადგენილება, რაც შეიძლება სწრაფად სისრულეში მოიყვანოს.

ამის შემდეგ სომხეთის დელეგაცია შეეცადა კონფერენციაზე საკითხად დაესვა ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციის მოწყობის საკითხი. მის წინააღმდეგ საქართველომ პროტესტი განაცხადა.

საქართველოს დელეგატებმა განაცხადეს, რომ საკითხები, რომლებიც ეხება ახალქალქის მაზრას, ეკუთვნის საქართველოს შინაური ცხოვრების საკითხებს და რომ ამ საკითხთან არავითარი სქმე არა აქვს არც სომხეთის მთავრობას და არც კონფერენციას. კერძოდ, საქართველოს დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ახალქალაქის მაზრაში შერეული საკონტროლო კომისიის შექმნას საქართველოს მთავრობა შინაურ მართვა–გამგეობის წესით მოახდენს. *მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლები დაეთანხმნენ საქართველოს დელეგაციის მიერ გამოთქმულ შეხედულებას და ახალქალაქის შესახებ საკითხი სრულიად მოიხსნა.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)

. მხარეთა შორის გარნიზონების რიცხვის განსაზღვრის საკითხზე შეთანხმება მოხდა. ამ საკითხის განხილვის დროს საქართველოს წარმომადგენელმა პოლკ. სტიუარტს შეკითხვა მისცა: მოკავშირეთა მხედრობის ხელმძღვანელები იმის გარანტიას იძლევიან, რომ სომხეთი ხელახლა თავს არ დაესხმის საქართველოს? ამაზე პოლკოვნიკმა სტიუარტმა შემდეგი უპასუხა: მოკავშირეთა სარდლობა საქართველოს ხელმძღვანელობას აძლევს მოთხოვნილ გარანტიას, რადგან სომხების მიერ ხელახალ თავდასხმას გავშინჯავთ, როგორც მიზეზს ომისას არა სომხეთსა და საქართველოს შორის, არამედ სომხეთსა და მოკავშირეთა სახელმწიფოებს შორის".[35]

ამ მასალების გაცნობისას ღიმილის მომგვრელია ბრიტანელთა „ნეიტრალურ მხარედ" წარმოდგენა, ხოლო ის ფაქტი, რომ მოკავშირეთა, რეალურად კი ბრიტანელთა ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სადავო საკითხების გადაჭრისას, თავისთავად და ყოველგვარი კონფერენციების მოწვევის გარეშეც ცხადი იყო. ეს ე.წ. „სამშვიდობო კონფერენცია" ბრიტანელთა მიერ სწორედ იმიტომ იყო ორგანიზებული, რომ საქართველოს „კონფერენციების მოყვარული" მთავრობის კიდევ ერთი ახირება დაეკმაყოფილებინა, ხოლო სომხეთის მთავრობისათვის ნათლად ეჩვენებინა, რომ მსოფლიო პოლიტიკისა და დიდი იმპერიებისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მერკანტილური ინტერესებიც არსებობს, ვიდრე პატარა ქვეყნების ქიმერული მიზნები და მათი ყოვლად უსაფუძვლო გათვლები.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ვხედავთ, სომხეთის დელეგაცია კონფერენციის თითოეული სადავო საკითხის გადაწყვეტას დიდი პროტესტითა და უკმაყოფილებით ხვდებოდა, ხოლო საბოლოო ჯამში, კონფერენციის შედეგებმა მათში დიდი იმედის გაცრუება გამოიწვია. სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ფაქტობრივად, სომხეთის ჯარი იმ საწყის ზღუდემდე დააბრუნეს, რომელიც მას საომარი მოქმედებების დაწყებამდე ეკავა და ის თავგანწირვა, რომელიც მან ბრძოლებში გამოიჩინა და ის მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო საომარ მოქმედებებში — ფაქტობრივად წყალში გადაყრილი აღმოჩნდა.

თუმცა, ყველაზე მთავარი და არსებითი მომენტი, რაც პირველ რიგშია ხაზგასასმელი, ის იყო, რომ სომხეთს სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებების საფუძველზე, საქართველოსაგან განსხვავებით, თავისი ტერიტორიები არ დაუთმია. ფაქტობრივად, სომხეთის შეიარაღებული ძალები დაბრუნდნენ იმ საწყის ზღუდეზე, რომლებზეც ისინი იმყოფებოდნენ საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებამდე. ე.ი. 1918 წლის 18 ოქტომბრამდე.

ქართული მხარის მიმართ ბალანსირების პოლიტიკიდან გამომდინარე ბრიტანელები გარკვეულ „დათმობებზე" წავიდნენ ახალქალაქთან მიმართებაში. არაფრით გამორჩეული ახალქალაქის მაზრის მართვის უფლება

სომეხთა დიდი პროტესტის მიუხედავად, ბრიტანელებმა ქართულ მხარეს დაუტოვეს და ამით საკუთარი იმიჯის გარკვეული რეაბილიტაცია მოახდინეს საქართველოს მთავრობის თვალში, თუმცა რიჩარდ ოვანესიანის მიხედვით იქ ბრიტანელთა მცირე საჯარისო კონტინგენტი მაინც იქნა გაგზავნილი:

„საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად, 28 იანვარს, იქ 82–ე ბრიგადის კორნუოლის მსუბუქ ქვეითთა პოლკის 4 ოფიცერი და 122 ჯარისკაცი გაიგზავნა, ვიცე–პოლკოვნიკ ალან მაკდუგალ რიჩის (Alan Macdougal Ritchie) მეთაურობით, რომელსაც ეს მისია 25 იანვრის ბრძანებით დაეკისრა".[36] მაგრამ ბრიტანულმა ე.წ. „სამშვიდობო კონტინგენტმა" ახალქალაქში ცუდი კლიმატური პირობების გამო 1919 წლის გაზაფხულამდე ვერც ჩააღწია. თუმცა, ავტორის ამ მოსაზრებას აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი საზავო მოლაპარაკებების დოკუმენტური მასალები, სადაც ახალქალაქის საკითხის დასმაც კი მოიხსნა საზავო კონფერენციის დღის წესრიგიდან. ახალქალაქის მითიური სომხური პოლკებისა და ქართველი პარლამენტიორებისა არ იყოს, სომეხი ავტორები ყოველგვარი ხერხებით ცდილობენ ახალქალაქის საკითხებზე აქცენტების ისევ და ისევ გაკეთებას, მისი „პროსომხურობის" მისანიშნებლად.

კონფერენციის დახურვამდე ერთი დღით ადრე, 1919 წლის 16 იანვარს, ქალაქ თბილისში ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების ახალი ხელმძღვანელი, გენერალ–მაიორი გ. ტ. ფორესტიე–უოკერი ჩამოვიდა თავის შტაბთან და დაცვის ქვედანაყოფთან ერთად, რომელსაც ქართულმა მხარემ სრული პატივით მოუწყო დახვედრა:

„იანვრის 16–ში ტფილისში ჩამოვიდა მეთაური ინგლისის მისიისა გენ. ფორესტიე ვოლკერი. გენერლის სპეციალური მატარებლიდან გამოსვლის დროს, რომლითაც ის მოვიდა, სადგური წარმოადგენდა ლამაზ სურათს. ერთის მხრივ გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, რომელიც შედგებოდა 1–ლი ქართული ცხენოსანი პოლკის „ეშელონისაგან", მის პირდაპირ იდგა ინგლისელ ჯარისკაცთა ყარაული, რომელიც გენერალს მოჰყვა. სადგურზე დასახვედრად მისულნი საქართველოს წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. ბ. საბახტარიშვილი და სამხედრო მინისტრის ამხანაგი გედევანიშვილი მიესალმნენ სტუმარს, რაზედაც გენ. ფორესტიე ვოლკერმა მილოცვითვე უპასუხა და მადლობა გადაუხადა შემხვედრებს. ამის შემდეგ გენ. ფორესტიე ვოლკერი მისთვის საგანგებოდ მოწყობილ ბინაზე წავიდა".[37]

სულ მალე კი თბილისში ბრიტანული საოკუპაციო ჯარების ძირითადი კონტინგენტიც განთავსდა: „თბილისში ჩამოვიდა ინგლისელების (სიპაიები) ჯარი, (გაერთიანებული სამეფოს ჯარების ინდური ქვედანაყოფები – ა. ჩ.) რიცხვით 1000 კაცი".[38]

აი, ასეთი იყო ბრიტანულ–ქართულ–სომხური სამშვიდობო კონფერენციის მასალები, რომლის შედეგებმა საბოლოო ჯამში განსაზღვრა კიდეც

სომხეთ–საქართველოს ომის შემდგომი ე.წ. ,,სადავო ტერიტორიების'' ბედიც და მისი ადმინისტრაციული მოწყობის წესიც. ფაქტი ისაა, რომ ამ კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქართველომ თავის ძირძველ ისტორიულ მიწაზე – ლორე–ბამბაკზე სუვერენული უფლებები დათმო.

,,საერთო ჯამში, ,,ლორეს ნეიტრალური ზონა'', რომელიც ალავერდის სპილენძით მდიდარ საბადოებს, ორმოცდასამ სოფელსა და სადახლო–შაღალის 50 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის ხაზს მოიცავდა ექვსი სადგურით, 1919 წლის 27 იანვრიდან ბრიტანელთა მიერ სამ ოლქად – უზუნლარის, ვორონცოვკისა და ალავერდის ადმინისტრაციულ რაიონებად დაიყო. საზავო მოლაპარაკებების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ე.წ. ,,ნეიტრალურ ზონაში'' მთავარ სამხედრო ინსპექტორად ბრიტანეთის სამოკუპაციო ჯარების ოფიცერი, კაპიტანი არჩიბალდ შოლტო ჯორჯ დუგლასი დაინიშნა, რომლის შტაბი ალავერდში განთავსდა მე–4 მსროლელი ბატალიონის ერთ ასეულთან ერთად''.[39]

დიახ, ,,ორი კაპიტნის'', ბრიტანელი გრინისა და ფრანგი პოდებარის შეტყობინებით განახლდა სომეხ დაშნაკთა მიერ სრულმასშტაბიანი სამხარი მოქმედებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1918 წლის 6 და 9 დეკემბერს და ისევ ,,ორი კაპიტნის'' (ოღონდ სხვა), ისევ ბრიტანელი დუგლას–ვიტერსისა და ფრანგი გასფელდის უშუალო ჩარევით იქნა შეწყვეტილი ღია სამხარი მოქმედებები ბრიტანელთათვის საჭირო დროსა და საჭირო ოპერატიულ ხაზზე...

და მოკავშირეების მხრიდან ისევ ბრიტანელი კაპიტანი, ამჯერად არჩიბალდ დუგლასი დაინიშნა ლორეს ,,ნეიტრალური ზონის'' პირველ გენერალურ ინსპექტორად 1919 წლის 27 იანვრიდან.

§3. სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომის საერთო შედეგები და სამხედრო–პოლიტიკური მნიშვნელობა.

„ასე დასრულდა ეს სამწუხარო ამბავი... სომხები ჩვენ საქართველოში დავასახლეთ, ჩვენ მათ ვეძმეთ, მათ მუდამ კარგად ვეპყრობოდით, გასაჭირში ვშველოდით და სომხის პოლიტიკოსებმა ჩვენი ამაგი ასე დააფასეს".[40] ეს სიტყვები ლეგენდარულ ქართველ ოფიცერსა და მეთაურს, ვალოდია გოგუაძეს ეკუთვნის...

ომი დასრულდა და აქვე ისმება ბუნებრივი კითხვა — რა შედეგებით დასრულდა იგი და როგორი იყო ამ ომის სამხედრო–პოლიტიკური მნიშვნელობა?

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ამ საკითხებით დაინტერესებულ ხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომის შედეგების შეფასებისას იმდენ უზუსტობასა და შეუსაბამობას ვაწყდებით, რომ დაუჯერებელიც კია თუ ისინი ერთი და იგივე საკითხის გაშუქებას ეხება. ზემოთქმულის დემონსტრირებისათვის ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს მოვიყვანთ. თითოეულ მათგანში ამ ომის საბრძოლო მოქმედებების საერთო შედეგები და გარკვეული სტატისტიკური მონაცემებია მოყვანილი.

პირველი მათგანი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ, „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ" გენერალ ანტონ დენიკინის „დობროარმიის" საველე შტაბის ოპერატიულ მასალებშია დაფიქსირებული:

„სომხები (ისევე როგორც ქართველები) მოუმზადებლები ჩაებნენ ომში. ყველა მონაცემი იმაზე მეტყველებდა, რომ ქართველებს საბოლოო გამარჯვების უფრო დიდი შანსი ჰქონდათ, ვიდრე სომხებს. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის პირველსავე დღეებში (10 დეკემბერი) უპირატესობა სომეხთა მხარეს აღმოჩნდა. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში სომეხთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი 1200 ჯარისკაცი და 100–დე ოფიცერი, ხოლო ალაფის სახით მოპოვებულ იქნა: 3 ჯავშანმატარებელი, 16 ქვემეხი, 35 ტყვიამფრქვევი, ათზე მეტი ორთქლმავალი, ასეულობით ვაგონი და ა.შ. და ა.შ. სომეხთა მეწინავე ნაწილები დაბლობზე 25 დეკემბრისათვის გავიდნენ და თბილისისაკენ ყველა გზა ხსნილი იყო. მიუხედავად ამისა, სომეხთა რეგულარული ნაწილების წინსვლა (3 ქვეითი პოლკი, მთავარი ძალები ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული, რადგან მობილიზაცია 30 დეკემბრისათვის სრულდებოდა) შეჩერებულ იქნა, მაგრამ არა ქართული სამხედრო ნაწილების, არამედ სომხეთის მთავრობის მიერ, სადაც იმ აზრმა გაიმარჯვა, რომ თბილისი არ აეღოთ. ამ ზღუდეზე სომხეთის ჯარი 31 დეკემბრამდე დარჩა, საზავო პირობების თანახმად კი იძულებული იყო უკან დაეხია..."[41]

ასეთია სომხეთ–საქართველოს ომის მიმდინარეობის მოკლე დინამიკა და სტატისტიკური მონაცემები დენიკინის „დობროარმიის" საველე შტაბის დოკუმენტაციით, რომელიც დეზინფორმაციისა და ტენდენციურობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. მაინც რა ჰუმანური ყოფილა თურმე ეს

სომხეთის მთავრობა, რომ ნება არ დართო თავის ჯარებს აეღოთ თბილისი. აქ კი, გენერალ დენიკინის საშტაბო დოკუმენტში წარმოდგენილი ცნობები ნამდვილად შეურაცხადის ნაბოდვარია და ადამიანური წარმოდგენის ყოველგვარ საზღვრებს ცილდება. ჩვენ არ შევუდგებით მოტანილი ციტატის რეციზირებას. ეს პროცესი დროისა და ფორმატის გაუმართლებელ ხარჯვას წარმოადგენს.

რიჩარდ ოვანესიანს კი, იგივე გენერალ ა. დენიკინის მემუარის „Очерки смуты" (IV, გვ. 154), აგრეთვე ა. ჯამალიანის ნაშრომის „Hai–Vratsakan kndjire" (1929. აპრილი, გვ. 140), სომხეთის ცენტრალური საისტორიო არქივის №666/3 ფაილის მასალების მიხედვით, შემდეგი მონაცემები მოჰყავს: „სტატისტიკურად სომხებს ცოცხალ ძალაში უფრო მცირე დანაკარგები ჰქონდათ, ვიდრე ქართველებს და სომეხ ტყვეთა რაოდენობაც მათზე ნაკლები იყო, მაშინ როცა მათ ხელში ჩაიგდეს 2 ჯავშნოსანი მატარებელი, 28 ქვემეხი, დაახლოებით 75 ტყვიამფრქვევი, 200 დატვირთული საბიდარი, 3000–ზე მეტი ქართველი ჯარისკაცი".[42]

მეორეს მხრივ, 1919 წლის 10 იანვრის ბრიტანული „Times"–ის ცნობით: „დაწყებული 19 დეკემბრიდან ქართულ და სომხურ ჯარებს შორის სამი დიდი ბრძოლა მოხდა: ახალქალაქის მაზრის საზღვრებზე, ეკატერინენფელდთან (ბორჩალოს მაზრაში) და სადგურ სადახლოსთან (თბილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზა). ყველა ბრძოლა სომეხთა სრული დამარცხებით დასრულდა. ქართველებმა მრავალი სომეხი ტყვე და საარტილერიო დანადგარი ჩაიგდეს ხელთ. უკანასკნელი მონაცემებით ქართველები უტევენ და აიძულეს სომხები დაეხიათ უკან, ალავერდისაკენ. ამასთან ერთად, ალაფის სახით *ქართველებმა ხელში ჩაიგდეს ჯავშანმატარებლები* და ტყვედ აიყვანეს სომეხი მეომრები, მათ შორის რუსი ოფიცრები". (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)[43] გაზეთ „Times"–ის ეს ცნობა გარკვეულწილად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ საერთო ჯამში, წარმოდგენილი მასალები სომხეთ–საქართველოს ომის შედეგებსა და მისი სტატისტიკური მონაცემების შესახებ, არაზუსტია.

ნაშრომის შესაბამის თავებში, ჩვენს მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი უტყუარი საარქივო მასალებისა და სხვა პირველწყაროების შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა საბრძოლო მოქმედებებისა და მასთან დაკავშირებული სხვა მოვლენების მეტ–ნაკლებად ობიექტური სურათის აღდგენა.

ჩვენ არ შევუდგებით ზემოთ წარმოდგენილი თითოეული მონაცემისა თუ პარამეტრის შესწორებას. ამ პროცესს ისიც ართულებს, რომ გასაგები მიზეზების გამო, საშუალება არ მოგვეცა გავცნობოდით სომხეთის საისტორიო არქივებში დაცულ მასალებს, მით უმეტეს მასალებს, რომლებიც დაშნაკთა პარტიის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების აქტივობას შეეხებოდა. როგორც წესი, მსგავსი სახის მასალები არასომეხი ეროვნების მკვლევარებისათვის დახურულია. ამის გამო, ჩვენ არ მოგვეპოვება სომხური

მხარის ოპერატიული საფრონტო მიმოწერა და სხვა მსგავსი ხასიათის საშტაბო დოკუმენტაცია, სომხური საჯარისო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების საომარი აქტივობის ამსახველი სხვა სომხური პირველწყაროები. თუმცა, ჩვენი ძირითადი მტკიცებულებებისა და დასკვნების არგუმენტირება— სათვის მაინც საკმარისი მონაცემების მოპოვება შევძელით.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი — პასუხი კითხვაზე, თუ ვინ მოიგო ომი, დადგენილი და ცალსახად ნათელია. მას ოდნავ ქვემოთ წარმოვადგენთ.

ქართველ სამხედრო მეთაურთა მწვავე მოხსენებების მიუხედავად, ფაქტობრივად, 1918 წლის 16 დეკემბრამდე ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და აღმასრულებელი ხელისუფლება სერიოზულად არ აღიქვამდა დაწყებულ სომხურ აგრესიას და ამ მოვლენებს ცალკეული დაშნაკური ბანდების გამოხდომებად აღიქვამდა მხოლოდ. მაგრამ არ ხუმრობდნენ დაშნაკელები და მათ ქართული სისხლი დაღვარეს. სწორედ ამის გამო მოხდა უკვე ომის მსვლელობისას მთელი ქართული საზოგადოების და არა მარტო მათი სრული კონსოლიდაცია, ხოლო ქართული სარდლობის მიერ სომხეთის არმიის სრული განადგურების ურყევი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ქართველ სამხედროთა საბრძოლო სულისკვეთება კი უდიდესი იყო. ისინი მზადაც იყვნენ და ძალაც შესწევდათ თავგანწირული ბრძოლისათვის სრული გამარჯვების მოსაპოვებლად. ეს აშკარაა. მოვიყვანთ რამდენიმე ´დოკუმენტს. წარმოდგენილი მასალები ქართული სარდლობის ოპერატიულ საფრონტო მიმოწერასა და პირდაპირი საუბრების სტენოგრაფიულ ჩანაწერებს წარმოადგენს, რაც უტყუარ პირველწყაროებს განეკუთვნება:

„1919 წლის 1 იანვარი. ეს ტელეფონოგრამა გადაეცა საველე შტაბის უფროსს 1 იანვრის დილის 3 საათზე. გენერალ იმნაძის შეტყობინებით პასუხი მიცემული იქნება 10 საათზე. პოდპოლკოვნიკი ჭილაევი.

პოდპოლკოვნიკ შნეურისა და გენერალ იმნაძის საუბარი.

— აპარატთან გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი შნეურია. Здравия желаю. (ჩვენ უმჯობესად ჩავთვალეთ არ გვეთარგმნა — ა. ჩ.) ბორჩალოს რაზმის მეთაურისაგან (მთავარსარდალი, გენერალი დრო — ა. ჩ.) მე დავალებული მაქვს შევიტყო, ხართ თუ არა საქმის კურსში საქართველოს უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობისაგან, რომ საომარი მოქმედებები ქართულ და სომხურ ჯარებს შორის უნდა შეწყდეს 31 დეკემბრის 24 საათისათვის. თუ ასეთი მითითება მიღებული გაქვთ, მაშინ *რაზმის უფროსი გთხოვთ გამოაგზავნოთ ქართველი პარლამენტიორი სადგურ სადაბლოზე* და თავის მხრივ იგი თქვენთან გამოაგზავნის პარლამენტიორს იმ ადგილას, სადაც თქვენ მიუთითებთ. გთხოვთ მიპასუხოთ. ვრჩები რადიოსადგურთან.

— რადიოსთან გენერალი იმნაძეა, ქართული სარდლობის შტაბის უფროსი. Доброго здравия. ქართული სარდლობა საქმის კურსშია საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ 31 დეკემბრის ზუსტად 24 საათისათვის.

შესაბამისი განკარგულებები გუშინ გადაეცათ ჯარებს 16–დან 18 საათამდე. *ქართული სარდლობა ზედმეტად მიიჩნევს თავისი პარლამენტიორების გამოგზავნას, მით უმეტეს სადაბლოში, რომელიც ჩვენს ჯარებს უჭირავთ.* თქვენთვის ალბათ ცნობილი უნდა იყოს, რომ შეთანხმების თანახმად სომხეთის ჯარები გაყვანილ უნდა იქნან მდინარე კამენკას იქით, ანუ დაიკავონ ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა საომარი მოქმედებების დაწყებამდე. ქართული სჯარისო ნაწილები რჩებიან იმ ხაზზე, რომელიც მათ დაიკავეს 31 დეკემბრის 24 საათის მდგომარეობით. *ქართული სარდლობა იტოვებს იმის უფლებას, რომ გააგრძელოს საომარი მოქმედებები იმ შემთხვევაში, თუ სომხური საჯარისო ნაწილები უმოკლეს დროში არ შეასრულებენ შეთანხმების პირობებს. ამიტომაც, ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, ქართული სარდლობა თხოვს სომხურ სარდლობას დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება თავისი ჯარების უკან დახევაზე მდ. კამენკას იქით.* ქართული სარდლობა მოლაპარაკებებს დაიწყებს სომხეთის დელეგაციასთან, რომელიც თბილისში ჩამოვა.

გენერალი იმნაძე". (ხაზგასმები ჩემია – ა. ჩ.)[44]

„ტელეგრამა. გენშტაბიდან. 01. 01. 1919. 13 საათი და 40 წუთი. სასწრაფო. გენერალ მაზნიევს, ახმეტელოვს, მაკაევს.

სარდალმა (მთავარსარდალი გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი – ა. ჩ.) *უბრძანა ყველა საჯარისო ნაწილს, იყვნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, რომ ბრძანების მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადავიდნენ შეტევაზე. ბატარეებმა დღეს დაიკავონ ისეთი პოზიციები, რომ ჩვენი ჯარების შეტევის დაწყებისთანავე შეძლონ დაუყოვნებლივი ცეცხლის გახსნა.* დღესვე იქნას გაგზავნილი „ლაზუტჩიკები" ადგილობრივი მოსახლეობიდან, მოწინააღმდეგის დაჯგუფების ზუსტი ადგილსამყოფელის დასადგენად. მიიღეთ ყოველგვარი ზომები ყველა მეწინავე ნაწილებს შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად და მოწინააღმდეგის ყოველგვარ გადაადგილებებზე მომახსენეთ დაუყოვნებლივ". (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)[45]

ფრონტებზე ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც, მიღებული განკარგულების თანახმად, ქართული ნაწილები არსებულ პოზიციებზე დარჩნენ და სრული საბრძოლო–ოპერატიული მზადყოფნა შეინარჩუნეს. ამონაწერი მე–5 ქვეითი პოლკის საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან: „2 იანვარი. 13 საათზე მივიღეთ მე–2 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის 1 იანვრის 11 საათის №143 ტელეფონოგრამა იმის შესახებ, რომ პოლკს შეენარჩუნებინა სრული საბრძოლო მზადყოფნა. 2–დან 7 იანვრამდე ტარდებოდა მეცადინეობები სამწყობრო და ტაქტიკურ მომზადებაში."[46]

„გენერალ მაზნიევისა და გენერალ იმნაძის საუბარი პირდაპირ ხაზზე. 06. 01. 1919. 13 საათი.

მაზნიევი: სადახლოდან ახლახანს მოკავშირეთა მისიისათვის ნეიტრალური ზონიდან სომხური ჯარის ევაკუაციის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად თბილისში ორთქლმავლით გამოემგზავრა საფრანგეთის

სამსახურის კაპიტანი (კაპიტანი ნიკოლას გასფელდი — ა. ჩ.). ამ კაპიტნის თხოვნით გუშინ მე გავაგზავნე თითოეულ სადგურზე 5—5 ჯარისკაცი, მაგრამ სომხეთის სარდლობა წინ აღუდგა ამას და განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში სომხებიც დატოვებენ თავიანთ დაცვას. *მე ამაზე არ დავთანხმდი და განვუცხადე, რომ თუ 7 იანვრის 12 საათისათვის თუნდაც ერთი სომეხი ჯარისკაცი დარჩება ნეიტრალურ ზონაში, მე გადავალ შეტევაზე და ძალის გამოყენებით დავიკავებ ყველა სადგურს.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.) ამის გამო, რკინიგზის მოსამსახურეთა მთელი პერსონალი სადგურ სადახლოში დავტოვე თქვენს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

იმნაძე: Доброго здравия. არმიის სარდალი მალე იქნება შტაბში. მოსვლისთანავე მოვახსენებ.

— (გენერალი გედევანიშვილი — ა. ჩ.) გენერალ მაზნიევს. სრულად ვეთანხმები თქვენს გადაწყვეტილებას არც ერთი სომეხი ჯარისკაცის დატოვების შესახებ ნეიტრალურ ზონაში და *ვუყურებ ყველაზე უფრო ენერგიულ პროტესტს მოკავშირეთა სარდლობას იმ მუქარით,* (ზუსტად ასეა ტექსტში — **Угрозой** — ა. ჩ.) *რომ 7 იანვრის 12 საათის შემდეგ აღნიშნულ ზონაში თუნდაც ერთი სომეხი ჯარისკაცის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ვიწყებ საბრძოლო მოქმედებებს.* (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.)

გენერალი გედევანოვი".[47]

როგორც ვხედავთ, ქართული სარლობის მიერ ურყევი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ნებისმიერი მცირე გადახრის შემთხვევაშიც კი, ქართულ ნაწილებს დაუყოვნებლივ გაეხსნათ ცეცხლი, გადასულიყვნენ შეტევაზე და განეახლებინათ საომარი მოქმედებები. ქართული სარდლობის მკაცრი ულტიმატუმები ცალსახად მეტყველებენ ამაზე.

სომხეთის შეიარაღებულ ძალებთან მიმართებაში კი ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ბრიტანელებმა ამ ომში ისინი გადაარჩინეს. გადაარჩინეს სრულ მარცხსა და განადგურებას. ეჭვს გარეშეა, რომ 28—31 დეკემბრის გამანადგურებელი ბრძოლების შემდეგ, სომხეთის რეგულარული ჯარი, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა. 1918 წლის 31 დეკემბრის ბოლოსათვის კი, სადახლოს მეორე ბრძოლის შემდეგ, იგი უკვე ქცეულიყო იმ უთაებოლო და მორალურად გატეხილ ლაშქრად, რაც ასე დამახასიათებელი იყო სომეხთათვის. გავიხსენოთ, მათი მოქმედებები თებერვალ—მარტში თურქთა შეტევის დროს არზრუმსა და ყარსზე, ალექსანდროპოლისა და ყარაქილი—საზე. თუნდაც მისი ერთ—ერთი შენაერთის „საბრძოლო დამსახურებები" და მისი პირადი შემადგენლობის მორალური მდგომარეობის საერთო სურათი ბაქოს აგვისტო—სექტემბრის მოვლენების დროს.

საქართველოს რეგულარული ჯარის ნაწილებისა და სახალხო გვარდიის ძლევამოსილი შეტევის შედეგად, დეკემბრის ბოლოსათვის, სომხებმა პანიკურად დაიხიეს უკან და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფაქტიურად სწორედ დეკემბრის ბოლოდან იწყებოდა ქართული საჯარისო ნაწილების სრული კომპლექტაცია მობილიზაციის საფუძველზე, ის ერთადერთი

სტრატეგიული, დიახ სტრატეგიული უპირატესობა, რაც სომხებს გააჩნდათ — სრულყოფილი საომარი სამზადისი და საქართველოს საზღვრების ქურდული იერიში — ქართული მხარის მიერ უკვე გაცამტვერებული იყო.

ქართული საჯარისო შენაერთებისა და სახალხო გვარდიის ნაწილების მიერ 1918 წლის 28 დეკემბრის 15 საათზე დაწყებული და 31 დეკემბრის 24 საათზე იძულებით შეწყვეტილი წარმატებული შეტევითი ოპერაციის საერთო ოპერატიულმა სიღრმემ სადახლოსა და ბოლნის–ხაჩინის მიმართულებებზე 20–30 კმ–ს მიაღწია, რაც საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით, ერთობ მცირედ მაჩვენებელს წარმოადგენს. უდავოა, რომ გენერლების — მაზნიაშვილისა და კვინიტაძის, გედევანიშვილისა და იმნაძის, ახმეტელაშვილისა და მაყაშვილის, ანდრონიკაშვილისა და სუმბათაშვილის, წულუკიძისა და ჩხეტიანის, მაღალაშვილისა და ბაქრაძის, ბენაშვილისა და გარდაფხაძის, ამ მართლაც სწორუპოვარი სარდლების მეთაურობით, ქართული ნაწილები მცირით შეეიდოდნენ არა მარტო ლორე–ტაშირსა და ბამბაკში, არამედ ერევანშიც...

„ჩვენს ძლევამოსილ ჯარს ველარაფერი აკავებს. იგი სწრაფად მიერეკება სომხის ჯარს წინ. მის სვლას ზღვარი არ უჩანს".[48]

დიახ, ორიოდე დღე სჭირდებოდა ქართულ სარდლობასა და შეიარაღებულ ძალებს იმისათვის, რომ მართლაც ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანათ დაშნაკთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული სისხლიანი ავანტიურა...

მაგრამ — „ამ დროს უსწრებს სწორედ მას ბრძანება ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. მძიმე გასაგონი იყო ჯარისათვის ეს ბრძანება, მაგრამ ყველას კარგად ესმის, რომ იგი ანაზღეულად არ წამოსცდენია ჩვენს მთავრობას, რომ იგი აუცილებელი გახდა იმისთვის, რომ სტრატეგიას პოლიტიკა უნდა ხელმძღვანელობდეს, და ჩვენი სანიმუშო ჯარი თავდაჭერილად იღებს მას".[49]

სომეხთა საერთო მორალური მდგომარეობისაგან განსხვავებით, ქართველთა მხრიდან დამოკიდებულება და განწყობა ამ ომისადმი მკვეთრად შეიცვალა და თავდაპირველი დიდი გაკვირვებიდან, უფრო დიდ აღტკინებასა და მრისხანებაში გადაიზარდა. ბატონი ივანე გომართელი:

„ჩვენო ჯარისკაცო! გაიხედე: საფრთხე აღიმართა ჩვენი მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის წინაშე. არარატის მდიდრებისა და კაციჭამიების, ძმათა სისხლის მღვრელების ჯარი თავს გვესხმის. რა უნდათ, რა სწყურიათ მათ? მათ უნდათ ჩვენი თავისუფლების მოსპობა. მათ უნდათ ჩვენი სოფლების განადგურება, ისე, როგორც მათ გაანადგურეს ჩვენი მეზობელი თათრების სოფლები. მათ უნდათ ძმათა სისხლის ღვრა გამოიწვიონ ჩვენშიც ისე, როგორც ეს ჩაიდინეს ბაქოში, ოსმალეთში, სპარსეთში და ყველგან, სადაც კი ფეხი შედგეს".[50]

შეიძლება არაორდინარულად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ სომხეთ–საქართველოს ომი ნამდვილ სამამულო ომად იქცა სრულიად საქართველო–

სათვის. იმდროინდელი პრესა გვამცნობს: „თამარის დროიდან ჩვენმა ისტორიამ არ იცის ქართველი ერის ასე ერთობით გამოსვლა. ბრძოლის ველზე გამოვიდა თუშ–ფშავ–ხევსური, ქართლ–კახეთი, სამეგრელო და გურია, სვანეთი და იმერეთი, მესხეთი, აჭარა და ჯავახეთი. ამ გამოსვლამ განამტკიცა აზრი, რომ ქართველობა გაჭირვებაში ერთი და განუყოფელია. ამ გარემოებით ფოლადდება იმედი, რომ ამიერიდან ველარ შეგვაშინებს ჩვენს გარშემო ურიცხვ მტერთა ჩვენს დასამონებლად კბილთა ღრჭენა''.[51]

დიახ, ასეთი იყო რეალურად სრულიად საქართველოს დამოკიდებულება ამ ომისადმი და ქართველთა ისტორიული ტრაგედიაა ალბათ ისიც, რომ მართლაც, თამარის ეპოქაში წარმოებული ომების შემდეგ, თვით დამოუკიდებელი ქართული სამეფოს უკანასკნელ ომშიც კი, აღა მაჰმად ხან ყაჯარის ურდოების შემოსევის დროს, ქართული საზოგადოების მიახლოებულ კონსოლიდაციასაც კი არ ჰქონია ადგილი და თბილისიც დაეცა...

მკითხველისათვის შეიძლება მოულოდნელიც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ შემდგომშიც, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში წარმოებულ არცერთ სხვა ომს, მსგავსი საზოგადოებრივი რეზონანსი აღარ გამოუწვევია. ქართული საზოგადოების ასეთ კონსოლიდაციასა და ეროვნული ერთიანობის ასეთ შეგრძნებას შემდგომში, სამწუხაროდ, ადგილი აღარც ჰქონია. საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა, განურჩევლად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, აღმსარებლობისა და პროფესიისა, ეროვნებისა (სომხების გარკვეული ნაწილიც კი) და პოლიტიკური მრწამსისა, ჩაერთო ამ ომში. მუშები, გლეხები, არისტოკრატია, სტუდენტობა, ინტელიგენცია — ერთი იდეისა და ერთი მიზნისათვის აღმოჩნდნენ დარაზმულები.

ომის საწყის ეტაპზე საქართველოს არც ოფიციალურ წარმომადგენლებს და არც მოსახლეობას, უშუალოდ საზღვარზე განლაგებული ქართული სამხედრო ქვედანაყოფების მეთაურებისა და პირადი შემადგენლობის გარდა, დიდხანს ნამდვილად არ ჯეროდათ, რომ სომხები გაბედავდნენ საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას, შესაბამისად, სომხეთის რეგულარული ჯარის მიერ დაწყებულ სამხედრო აგრესიას მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული „ბანდების'' მოქმედებებად თვლიდნენ. მოვლენების ასეთი წარმოუდგენელი სცენარით განვითარება იმდენად სცილდებოდა დასაშვები რეალობის საზღვრებს, რომ ქართველებს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ სომხების, ამ „დუქნის ბიჭების'' მიერ, მათი ომში გამოწვევა. ტიციან ტაბიძე:

— ვაი, სირცხვილო, ვაი, თავო და თავო,
— ვაი, საქართველო, ვის გაუგონია დუქნის ბიჭების ომი?..
ბავშვები ქუჩაში რაც ხმა აქვთ გაჰკივიან:
— ეკატერინოფელდში იმარჯვებს გვარდია.
ქართველი ჯარები ჩავლენ ერევანში,
მწარე იქნება ჩვენი რევანში...''

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ საარქივო მასალებში დაფიქსირებული ქართული სარდლობის ურყევი გადაწყვეტილების საპასუხოდ, სომხურმა

მხარემ საშიშროების მოახლოებისთანავე, ლაჩრულად ისევ თავის ჩვეულ ტაქტიკას მიმართა, ბრალდებისა და დასმენების ხელი ქართველებისაკენ გაიშვირა და გენერალ მაზნიაშვილის პირველივე ულტიმატუმის საპასუხოდ, მოკავშირეებს შესთხოვა ისევ დახმარება. აი, სომეხთა სამშვიდობო დელეგაციის რადიოგრამაც:

„რადიოგრამა №9. კარაკლისიდან. 01. 01. 1919. 2 საათი და 25 წუთი.

ანგლო–ფრანგულ მისიას. ასლი დელეგაციის თავმჯდომარე არტემონიანს ((უნდა იყოს არუთიუნიანს — ა. ჩ.), გენერალ ყორღანოვს.

გენერალმა მაზნიევმა წინადადება მისცა ჩვენს სარდლობას, რომ გაიყვანონ ჩვენი ჯარები დაკავებული პოზიციებიდან და ვადა დანიშნა — 1919 წლის 2 იანვრის დილის 10 საათი. იმის გამო, რომ მოკავშირეთა მიერ დადგენილი ჯარების დაშორიშორება მოკავშირეთა წარმომადგენლობის თანდასწრებით უნდა მოხდეს, სომხეთის სამშვიდობო დელეგაცია მეორედ ჩივის მოკავშირეთა წარმომადგენლების დაუყოვნებლივ მიელინებას ფრონტზე, არასასურველი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

სომეხთა სამშვიდობო დელეგაცია".[52]

სახელმწიფოთა I მსოფლიო ომის შემდგომი მოწყობის საკითხი კი ,ქართველთათვის ეფემერული პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის ;განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო. პატარა სახელმწიფოთა ეს დიდი პოლიტიკური სატყუარა — „პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია" და ამ კონფერენციაზე დემოკრატის რეპუტაციით წარდგომა იყო ორთოდოქსი ქართველი მარქსისტებისათვის ის საპირწონე, რამაც გამარჯვების პირზე მისული ომი შეაწყვეტინა ქართულ ჯარს და ჟორდანიასა და მის მთავრობას ძირძველი ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაათმობინა, როგორც დე ფაქტო, ასევე დე იურე. აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ჟორდანიას მიერ 1919 წლის 5 იანვარს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, სადაც იგი სომხეთ–საქართველოს ომის შედეგების თავისებურ ანალიზს ახდენს და მიღებულ გადაწყვეტილებასაც ამართლებს საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ:

„ჩვენი მთავრობის ხაზი გახლავთ ის, რომ რომ ჩვენ დავიცავით ჩვენი დამოუკიდებლობა და ამასთანავე დავიცავით ჩვენი დემოკრატიული წყობილება. ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ამ ორ გარემოებას ჩვენ არ გვინდა, იმისგან შორს ვართ. და აი, რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ ამ ომის დროს, ან ეხლა, ამ საქმეში ვმოქმედებთ აი, სწორედ ამ თვალთახედვის ისრით და მთავრობა დარწმუნებულია, იმ პოლიტიკას რომ გავყოლილიყავით ჩვენი დემოკრატია და დამოუკიდებლობა იქ, საერთაშორისო ტრიბუნალზე ჩავარდებოდა დიდ დანაკლისში".[53] „იმ პოლიტიკაში" ალბათ ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანაა ნაგულისხმევი.

დიახ, „ის პოლიტიკა" ნამდვილად არ წარმოადგენდა ქართველი მეშვეიკებისათვის პირველხარისხოვან ამოცანას. მათთვის ხომ მთავარი ყბადაღებული „სამშვიდობო კონფერენციების" ჩატარება, ან მათში

მონაწილეობის მიღება იყო. მთავარი ხომ ის იყო, რომ „იქ, საერთაშორისო ტრიბუნალზე არ ჩავარდნილიყო ჩვენი დემოკრატია დიდ დანაკლისში".

საფუძველშივე ეწინააღმდეგება ბატონ ნოე ჟორდანიას ამ გამოსვლის დედააზრს იგივე ჟორდანიას მიერ 1918 წლის 16 დეკემბრის საპარლამენტო გამოსვლისას წარმოთქმული სიტყვა, სადაც იგი სრულად ხდის ნიღაბს დაშნაკი ულტრანაციონალისტების ჩანაფიქრებს და ფაქტობრივად გამორიცხავს ყოველგვარი კომპრომისების დაშვებას დაშნაკებთან მიმართებაში:

„მე მგონია, ბატონებო, რომ კაჩაზნუნის მთავრობას ასეთი გენები აქვს. მას არ შეუძლია მეზობლებთან იყოს მშვიდობიან განწყობილებაში, მას უნდა ჰქონდეს მუდამ ვინმესთან ომი, შუღლი და ჩხუბი — აი, ეს არის მთავარი მიზეზი იმ ფაქტებისა, იმ სქემისა, რომელიც ხდება ბორჩალოს მაზრაში..."[54] აქ კი, ცალსახად ვეთანხმებით ბატონი ნოეს დასკვნას.

აშკარაა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1918 წლის 16 დეკემბრისა და 1919 წლის 5 იანვრის საპარლამენტო გამოსვლებიდან მოყვანილი ამონარიდები კიდევ ერთი ნიშანდობლივი მაგალითია მის მიერ ერთი და იგივე მოვლენის დიამეტრალურად განსხვავებული ხედვისა.

ახლა კი მცირე სტატისტიკა.

ნაშრომის შესაბამის თავში მოყვანილი უტყუარი პირველწყაროს, საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების საარტილერიო სექციის დასარიგებელი უწყისების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ზუსტად შეგვიძლია ვიმსჯელოთ სომხეთ—საქართველოს ომში მობილიზებული ქართული საჯარისო ნაწილების პირადი შემადგენლობის რიცხობრივი მონაცემების შესახებ 1918 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს პროცესი შესაძლებელი გახდა შესაბამისი ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების პირად შემადგენლობებზე გაცემული ინდივიდუალური სასროლი იარაღის, მოსინის სისტემის შაშხანების რაოდენობების დათვლით.

საერთო ჯამში, 1918 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე შემდეგი ქართული სამხედრო ნაწილები და საბრძოლო რაზმები იყო მობილიზებული:

1. გენერალ მაღალაშვილის შერეული მუსულმანური ბატალიონი — 500 კაცი;
2. მე—4 ქვეითი პოლკი — 1600 კაცი;
3. მე—5 ქვეითი პოლკი — 2500 კაცი;
4. მე—6 ქვეითი პოლკი — 1200 კაცი;
5. მე—2 ცხენოსანი პოლკი — 600 კაცი;
6. მანგლისის მე—2 სასაზღვრო რაზმი — 300 კაცი;
7. ჰაუბიცების ბატარეა — 350 კაცი;
8. მე—2 საარტილერიო ბრიგადა — 119 კაცი;
9. ქართული ლეგიონი — 640 კაცი;

10. ოფიცერთა განსაკუთრებული რაზმი – 450 კაცი;
11. მუსულმანთა რაზმი – 200 კაცი;
12. თელავის ცხენოსანი რაზმი – 100 კაცი;
13. სახალხო გვარდიის შენაერთი – 1300 კაცი;
სულ – 10000 კაცი.

ახალქალაქის საომარ მოქმედებათა თეატრზე:

1. 1–ლი ქვეითი პოლკი – 1850 კაცი;
2. მე–2 ქვეითი პოლკი – 1900 კაცი;
3. მე–3 ქვეითი პოლკი – 1200 კაცი;
4. ქართველ მუსულმანთა ბატალიონი – 500 კაცი;
5. ფხაკაძის რაზმი – 300 კაცი;
6. ჟორდანიას რაზმი – 250 კაცი;
7. ახალციხის ცხენოსანი რაზმი – 400 კაცი.

სულ – 6400 კაცი.

საერთო ჯამში, ქართული მხარის მიერ საომარი მოქმედებებისათვის სამხედრო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების სახით შეიარაღებულ იქნა – 16400 კაცი, ხოლო სულ, დამხმარე ქვედანაყოფების ჩათვლით – 18000–მდე. აი, ასეთი იყო ქართული მხარის მიერ 1918–1919 წლების სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობისას საქართველოს მხრიდან ომში მონაწილე პირად შემადგენლობაზე გაცემული იარაღის რაოდენობა. როგორც ვხედავთ, რიცხვი ერთობ შთამბეჭდავია. აქ, ერთ არსებით საკითხსაც უნდა გაუსვათ ხაზი. საარტილერიო სექციის უწყისებში წარმოდგენილია იმ სამხედრო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის რაოდენობა, რომლებზეც უკვე გაცემულ იქნა იარაღი სანდარი – აშაღი–სარალის მეწინავე საარტილერიო საწყობიდან. მოხალისეები და მობილიზებული პირადი შემადგენლობა ფრონტის ხაზამდე იარაღის გარეშე ჩამოდიოდა და მხოლოდ აქ, სანდარი/აშაღა–სარალში ხდებოდა მათზე იარაღის გაცემა.

ასე, რომ მთლიანად ფრონტებზე ჩასული პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობა, ცხადია, საარტილერიო უწყისებში დაფიქსირებულ რიცხვზე გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ დეკემბრის ბოლოსათვის მობილიზებულ თუნდაც ბაქოელ ქართველთა საბრძოლო რაზმს, ისევე როგორც ფრონტებზე ჩასულ სხვა საჯარისო ქვედანაყოფებსა და მოხალისეებს, ცეცხლის შეწყვეტის ბრძანების გამო, ომში მონაწილეობა საერთოდ აღარც მიუღიათ. ასე, რომ ომის დროს მობილიზებული ქართული მხარის პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობა საკმარისი მიახლოებით 20000–ზე მეტით უნდა შეფასდეს.

გაზეთ ,,სახალხო საქმეში'' რეგულარულად ქვეყნდებოდა სომხეთ–საქართველოს ომის მსვლელობისას დაფიქსირებული ქართული მხარის დანაკარგები დაჭრილების სახით. ჩვენს მიერ დათვლილი იქნა დაჭრილთა საერთო რაოდენობა და მათმა რიცხვმა მხოლოდ ამ გაზეთის მონაცემებით

ათასს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ვალიკო ჯულელის მიხედვით კი: „ჩვენს ლაზარეთებში დაახლოებით 1500 დაჭრილი და ავადმყოფი წევს".[55]

ერთობ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართული მხარის დაჭრილთა სიებში ჩვენ სომეხი ეროვნების მეომრებსაც შევხვდით, კერძოდ მე–4 ქართული ქვეითი პოლკის ჯარისკაცებს. ბუნებრივია, რომ გაზეთში მხოლოდ იმ დაჭრილ სამხედროთა სიები იქნებოდა გამოქვეყნებული, რომლებიც მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ჰოსპიტლებში იქნენ ევაკუირებულნი, ამიტომ, ცხადია, რომ ქართული მხარის დაჭრილ მეომართა საერთო რაოდენობა ზემოთ დასახელებულ რიცხვზე მეტი უნდა ყოფილიყო. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საკმარისი სიზუსტით, დაჭრილთა და ავადმყოფთა საერთო რაოდენობა 1600 კაცამდე უნდა ვივარუდოთ.

რაც შეეხება ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგებს ცოცხალ ძალაში დალუპულთა და დატყვევებულთა სახით. ზუსტი რიცხვის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ პირველ მიახლოებაში, არსებულ მასალებზე დაყრდნობით, დალუპულთა რაოდენობა 600–700 კაცით უნდა შეფასდეს. ამ რიცხვის ნახევარი უნდა ყოფილიყო დატყვევებულ ქართველ მეომართა რაოდენობა – 300–350. საერთო ჯამში – 1000 კაცი. ე.ი. ქართული მხარის საერთო დანაკარგი – ბრძოლის დროს მოკლულების, დაჭრილების, აგრეთვე ავადმყოფებისა და დატყვევებულთა სახით – 2600 კაცს შეადგენდა.

ქართველ სამხედრო ტყვეთა საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა ბატონ გურამ მარხულიას მოსაზრებები, სადაც აშკარად სუბიექტურადაა დახატული რეალური სურათი და ერთობ დამცრობილია ამ პერიპეტიების მასშტაბები: „ქართველ სამხედრო ტყვეთა რიცხვი 19–ს არ აღემატებოდა, თუ არ ჩავთვლით უგზოუკვლოდ დაკარგულებს, რომელთა რაოდენობა 14–ს შეადგენდა. სავარაუდოა, რომ დაშნაკებმა ისინი დახვრიტეს და ქართულ მხარეს არ გადასცეს. ორივე მხრიდან სამხედრო ტყვეების საერთო რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა, მხარეებს საომარ მოქმედებებს შორის ხანმოკლე შესვენებების პერიოდებში ტყვეთა გაცვლა რომ არ მოეხერხებინა".[56]

გაუგებარია წარმოდგენილი ცნობების წარმომავლობა, იმაში კი ნამდვილად ვეთანხმებით ავტორს, რომ როგორც წესი, საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილებსა და ტყვედ აყვანილ ქართველ მეომრებს სომხური მხარე ყოვლად არაადამიანური სიკვდილისათვის იმეტებდა, რაზეც ცალსახად მეტყველებს ჩვენს მიერ ნაშრომში წარმოდგენილი უამრავი დოკუმენტური მასალა. ასევე გაუგებარია საომარი მოქმედებების რომელ ხანმოკლე შეწყვეტებსა და ტყვეთა გაცვლის აქტებზეა საუბარი. სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების პერიოდი, 1918 წლის 9–31 დეკემბერი, პრაქტიკულად უწყვეტი ბრძოლების სერიას წარმოადგენდა და ჩვენს მიერ მოპოვებულ არცერთ საარქივო დოკუმენტსა თუ ცნობაში არავითარ ტყვეთა გაცვლის შესახებ არაა ინფორმაცია დაფიქსირებული. ასე,

რომ ვერაფრით ვერ გავიზიარებთ ავტორის მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს კიდეც, რომ ქართული მხარის დანაკარგები არც თუ ისე დიდი იყო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი, აქტიური საომარი მოქმედებების სულ რაღაც სამი კვირის განმავლობაში (9–31 დეკემბერი) 2600 კაციანი დანაკარგი ძალიან შთამბეჭდავი რიცხვია. მეორე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული მხარის ეს დანაკარგები მხოლოდ და მხოლოდ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ქართველ მეომრებზე მოდიოდა და არა მთლიანად საქართველოს მოსახლეობაზე, მაშინ ცალსახად შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ სომხეთ–საქართველოს ომი მთლიანობაში, ერთ–ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი ფურცელია საქართველოს ომების ისტორიიდან. უეჭველია, რომ საომარი მოქმედებების ქართველებით დასახლებულ რაიონებში წარმოების შემთხვევაში, სომეხთა მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტის ხარჯზე, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი, ომის მსხვერპლთა რიცხვი ათეულ ათასობით შეფასდებოდა. ისტორიული რეალობებიც ამაზე მეტყველებენ ცალსახად. ფაქტია, რომ ამ ომში სომხების მიერ პირისგან მიწისა იქნა აღგვილი ისტორიული ქართული სოფელი წერაქვი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დანამდვილებით შეიძლება განისაზღვროს 1918 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბრძოლო მწყობრში მყოფი ქართული მხარის ცოცხალი ძალის რაოდენობა – სულ მცირე 18000 კაცი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საყოველთაო მობილიზაცია სწორედ ამ დროისათვის შედიოდა თავის ძირითად ფაზაში, („31 დეკემბრის საღამოს უნდა დამთავრებულიყო გადმოტვირთვა კიდევ ექვსი ეშელონისა სადგურ იუზარი–სარალზე.”[57])

ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ 1918 წლის 31 დეკემბრის ბოლოსათვის ფრონტებზე თავმოყრილი ქართული საჯარისო შენაერთები ამ მომენტისათვის უკვე ძალიან სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ზემოთ მოყვანილი ოპერატიული საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირადი შემადგენლობის საერთო მორალური მდგომარეობისა და საბრძოლო სულისკვეთების მაჩვენებლებით, 28 დეკემბერს დაწყებული უძლიერესი შეტევითი ოპერაციის ფონზე, ქართული მხარე სრულ უპირატესობას ფლობდა სომხურ მხარესთან შედარებით.

სომხური მხარის მონაცემებით (რიჩარდ ოვანესიანი, ჰამლეტ გევორქიანი და სხვა) საომარი მოქმედებების მთელი პერიოდის განმავლობაში სომხური სამხედრო ნაწილების პირადი შემადგენლობის რაოდენობა ლორეს უბანზე მაქსიმუმ 7000 კაცი უნდა ყოფილიყო. ამას დავუმატოთ ახალქალაქის ზონაში მოქმედი სავარაუდოდ 1000 კაცი, სომხეთის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ მებრძოლი საქართველოს სომხური მოსახლეობა – 2000–2500 კაცი და ბაქოდან ჩამოსული სომხური რაზმი მსროლელი

პოლკის რიცხოვნობით (დაახლოებით 1500 კაცი), მივიღებთ სულ 12000 კაცს.

სომხური მხარის საერთო დანაკარგები მოკლულების, დაჭრილებისა და ავადმყოფების სახით (სწორედ ამ პერიოდში, რეგიონში სახადის – პარტახტიანი ტიფის ეპიდემია მძვინვარებდა. რიჩარდ ოვანესიანის ნაშრომში სომხური მხარის დანაკარგების შესახებ, სწორედ სახადზეა გაკეთებული აქცენტი და არა ქართული მხარის წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებზე. სხვათა შორის, დაშნაკთა პარტიის დამაარსებელთაგან უკანასკნელი მოჰიკანი და პარტიის იდეოლოგიური კურსის რუხი კარდინალი, სტეფანე ზორიანი – როსტომი სწორედ სახადმა იმსხვერპლა 1919 წლის 23 იანვარს და იგი თბილისში(?!) იქნა დასაფლავებული.[58]) ქართულ მხარესთან შედარებით გაცილებით მცირე, დაახლოებით 1500 კაცი უნდა ყოფილიყო. თუ სომეხთა საბრძოლო მწყობრში მყოფთა რაოდენობას, 12000–ს გამოვაკლებთ ზემოთ მოყვანილ რიცხვს, მივიღებთ 10500–ს. არსებობს მონაცემები, რომ სომეხთა სარდლობა გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ,,ბრიგადის'' გადმოსროლას აპირებდა ზანგეზურიდან ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე.[59] ასეთ შემთხვევაშიც, საერთო ოპერატიული სურათი საგრძნობლად არ შეიცვლებოდა, რადგან ამ მომენტისათვის ეს რაზმი სულ რაღაც 500 კაცისაგან შედგებოდა და იგი თავისი ჩვეული ,,საქმიანობით'' იყო დაკავებული ზანგეზურში და არა რეალური საომარი მოქმედებებით: ,,ანდრანიკას ჯარს, რომელიც შესდგება 500 კაცისაგან, ზანგეზურის მაზრაში მაჰმადიანთა 50 სოფელი აუკლია''[60] – იტყობინებოდა 28 დეკემბრის გაზეთ ,,საქართველოს'' №251.

ძალიან საეჭვოა, რომ გენერალი ანდრანიკ ოზანიანი ნამდვილ საომარ მოქმედებებში ჩაბმულიყო, რადგან იგი როგორც წესი, მხოლოდ მშვიდობიანი და უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებდა წარმატებით და აშკარა საომარ მოქმედებებს ყოველთვის არიდებდა თავს. ესეც ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. ეს საკითხები ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად განვიხილეთ ნაშრომის შესაბამის თავში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩრდილოეთისაკენ გადმოჯგუფებისა და ქართველთა წინააღმდეგ თავისი რაზმის საომარ მოქმედებებში ჩასაბმელად გენერალ ოზანიანს მთელი დეკემბრის თვე ჰქონდა, რაც მას არ გაუკეთებია. ამ ხნის განმავლობაში იგი მხოლოდ ყარაბაღისა და ზანგეზურის მშვიდობიანი მუსულმანური მოსახლეობის დარბევებითა და დემოციდით იყო დაკავებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სომეხთა მწყობრშ. მყოფი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა 1918 წლის ბოლოსათვის სულ 10500 კაცს შეადგენდა. ე.ი. მივიღეთ თანაფარდობა 18000/10500 – თითქმის ორმაგი უპირატესობა. ამ მაჩვენებლისა და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საომარი მოქმედებების გაგრძელების შემთხვევაში, ქართული შეიარაღებული ძალები გამანადგურებელ გამარჯვებას მიაღწევდნენ.

რა თქმა უნდა, სომეხი და პროსომხური ორიენტაციის ავტორები ყველგან ცდილობენ საწინააღმდეგო სურათის დახატვას და სომეხთა საბოლოო გამარჯვების დასაბუთებას. ზოგიერთი მათგანი კი საომარი მოქმედებების გაგრძელების შემთხვევაში, თბილისის გარდაუვალი აღების პროგნოზსაც აკეთებს. ეს მათი უფლებაა, მაგრამ ეს მოსაზრებები მათი სურვილები უფროა, ვიდრე რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული ფაქტების ანალიზის შედეგი.

ჩვენ გვესმის, რომ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ქართული მხარის უპირატესობის შესახებ, ძირითადში მაინც თეორიულ გათვლებზეა დაფუძნებული და უცილობელ ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს. მოვლენების ზემოთ აღწერილი სცენარით განვითარება, ანუ, ქართველთა მიერ სომხეთის არმიის განადგურება და ლორე–ბამბაკის რეგიონში ისევ ქართული სახელმწიფოს ფაქტობრივი ძალაუფლების აღდგენა, მით უმეტეს ქართული ჯარების ერევანში შესვლა, უკვე ნამდვილად აღარ შედიოდა ბრიტანელთა გეგმებში. და ბრიტანული სცენარის მიხედვით ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო...

ახლა კი პასუხი მთავარ კითხვაზე – ვინ მოიგო ომი?

ერთმნიშვნელოვნად ვამტკიცებთ, რომ ღია საომარი მოქმედებების შეწყვეტის მომენტისათვის, ე.ი. 1918 წლის 31 დეკემბრის 24^00 საათისათვის არსებული მდგომარეობით, სამხედრო–ოპერატიული თვალსაზრისით ქართულმა მხარემ გაიმარჯვა, მაგრამ არსებით პოლიტიკურ შედეგებს ვერ მიაღწია. ყველაზე მთავარი ფაქტორი სომხეთ–საქართველოს ომის შედეგების შეფასებისას კი ის არის, რომ ქართულმა სახელმწიფომ ანტანტის ქვეყნების ზეწოლით თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილზე – ისტორიულ ლორე–ბამბაკზე სუვერენული უფლებები დათმო, რომელიც ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ ამ საკითხზე დადგენილების მიღებამდე. ქართველთა პოლიტიკური წარუმატებლობის მიზეზი ამიერკავკასიაში შექმნილი სამხედრო–პოლიტიკური ვითარება და რაც მთავარია, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოებული, მაგრამ არა წინასწარ გამიზნული დანაშაულებრივი სამხედრო–პოლიტიკური კურსი იყო.

ზემოთ, ჩვენ ქართული მხარის დანაკარგები წარმოვადგინეთ ცოცხალ ძალაში. ცოცხალ ძალასთან ერთად, ქართული მხარის მიერ განცდილი მატერიალური ზარალიც უდიდესი იყო. საქართველოს შეიარაღებული ძალების განკარგულებაში მყოფი ექვსი ჯავშანმატარებლიდან ორი სომხებმა ჩაიგდეს ხელში. ისიც ფაქტია, რომ ქართული მხარის საერთო დანაკარგები მძიმე და მსუბუქ სასროლ იარაღში, არტილერიაში, საბრძოლო მასალებსა და აღჭურვილობაში, სურსათ–სანოვაგეში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებშიც მნიშვნელოვანი იყო.

ყველაზე მთავარი და არსებითი კი სომხეთ–საქართველოს ომის შედეგების შეფასებისას ის არის, რომ *ქართულმა სახელმწიფომ ამ ომის*

შედეგად თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილზე – ისტორიულ ლორე–ბამბაკზე სუვერენული უფლებები დათმო. მიუხედავად „პარიზის სამშვიდობო კონფერენციის" დიდი იმედებისა, ყბადაღებული Status quo ante bellum–ის აღდგენა ვეღარ მოხერხდა. დღეს ისტორიული ქართული მიწა – ლორე–ტაშირი, ანუ, სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომის მსვლელობისას სომეხთა მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიები სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია ჩართული, როგორც ფაქტობრივად, ასევე ფორმალურად. 1918 წლის ბოლოდან ქართველ ჯარისკაცს ლორე–ბამბაკის ტერიტორიაზე ფეხი აღარ დაუდგამს, თუ არ ჩავთვლით 1920–1921 წლების დეკემბერ–თებერვლის რაღაც ორთვენახევრიან პერიოდს, როცა საქართველომ სომხეთის გასაბჭოების გამო, დროებით შეძლო ამ ტერიტორიებზე თავისი დე იურე და დე ფაქტო იურისდიქციის აღდგენა. *ლორე–ტაშირის დათმობის ფაქტი არის სწორედ ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ფაქტორი სომხეთ–საქართველოს ომის საერთო შედეგების შეფასებაში.*

სომხური მხარის ფაქტობრივი დანაკარგები ყველა ასპექტში გაცილებით მცირე იყო ქართულთან შედარებით. განსაკუთრებით და ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგადად, სომეხ დაშნაკთა შეიარაღებული ექსპანსიების შედეგად, 1918–1920 და 90–იანი წლების დასაწყისში დროებით მოპოვებული სხვადასხვა ამიერკავკასიური ტერიტორიებიდან, საბოლოო ჯამში, დღეს სწორედ ლორე–ბამბაკი წარმოადგენს მხოლოდ სომხეთის სახელმწიფოს დე–ფაქტო და დე–იურე კუთვნილებას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ გადაჭრით ვამტკიცებთ, რომ *საერთო ჯამში, სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომი ქართული მხარის მარცხით დასრულდა. ასევე გადაჭრით ვამტკიცებთ, რომ ქართველ ჯარისკაცს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ეს ომი არ წაუგია. ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი და პარადოქსული შეფასებაა თითქოს, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ასეთი იყო მთლიანად, სომხეთ–საქართველოს ომის არსიც და მისი შედეგებიც.*

ბატონი ივანე გომართელის ლოზუნგად ქცეული ფრაზა – „საქართველოს მოქალაქენო! ჩამოდექით, გზა უტიეთ, – ვერა ჰხედავთ: ჩვენი ჯარის–კაცი მოდის. ქუდი მოვიხადოთ ყველამ, ვაშათი შევხვდეთ, ის გამარჯვებული გვიბრუნდება!".[61] დიახ, ერთდროულად – გამარჯვებული ქართველი ჯარისკაცი და დამარცხებული სამშობლო. ასეთი იყო სომხეთ–საქართველოს ომის პარადოქსული შედეგები და ის ისტორიული რეალობა, რითაც შეეგება საქართველო ახალი, 1919 წლის დადგომას.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის იმდროინდელ სინამდვილეში პრაქტიკულად ყველას ესმოდა, რომ საქართველო სომხეთთან ომში დამარცხდა, რადგან ვერ მოხერხდებოდა იმ ყბადაღებული Status quo ante bellum–ის აღდგენა, რაშიც ასე თავგამოდებით არწმუნებდა სრულიად საქართველოს მისი „მინისტრი პრეზიდენტი". მაგრამ ქართველი მარქსისტები

„დიდი ნოეს“ თავკაცობით ისტიბარს არ იტეხდნენ და ამაღლებულ ტონალობებში თხზავდნენ დითირამბებს „დემოკრატიისა“ და „რევოლუციის მშობიარობის“ დაცვაზე. ისინი ისევ და ისევ ქართველთათვის ეფემერულ „მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე“ ამყარებდნენ საქართველოს შემდგომი ტერიტორიული მოწყობის იმედებს.

ბატონ გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა, წარმოთქმული 1919 წლის 4 იანვრის საპარლამენტო სხდომაზე:

„რით დაბოლოვდა ომი? ქართული ჯარი არა სდგას იქ, როგორც იყო „სტატუს ქვო ანტე ბელუმ“. ეს ლიკვიდაცია არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი შეპირება, რომ სომხის ჯარი უკან დაიხევს, ეს ქაღალდზე დარჩება და სინამდვილეში არ განხორციელდება. საქართველო არ ელოდა ასეთ ლიკვიდაციას, რომელიც გამოიწვევს რეაქციას. ომის ასეთი დაბოლოება ჩვენი დიპლომატიის სისუსტეს მიეწერება. საქართველოს არსებობას ყოველთვის ექნება საფრთხე, თუ მას არ ექნება ბუნებრივი საზღვრები... მანამდის ჩვენი მიზანი არ იქნება განხორციელებული, ამ ორ ერს შორის არ იქნება არავითარი სოლიდარობა და ასეთი ინცინდენტები ხშირი იქნება. ომი იყო პოპულარული, რადგანაც ხალხმა გაიგო, რომ ეს იყო საქართველოს ბუნებრივი საზღვრების დაცვა, დედა–ქალაქის შენარჩუნება.“[62]

სამწუხაროდ, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ბატონი გრიგოლის სიტყვები. სწორედ სამხრეთის მორღვეული საზღვრები აღმოჩნდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საბედისწერო. სწორედ ლორე–ტაშირის რაიონიდან განხორციელდა ორ წელიწადში ბოლშევიკური აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ეს კიდევ ერთი დიდი თემაა, რომელიც ჩვენი ნაშრომის ფორმატს ცილდება და საფუძვლიან შესწავლა–განხილვის საგანს წარმოადგენს.

განცდილი მარცხის სიმწარე, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ამ ომის უშუალო მონაწილეებმა განიცადეს, როგორც კადრის სამხედრო ოფიცრებმა, განურჩეველად თანამდებობისა და წოდებისა, ასევე მოხალისეებმა. ყველასათვის გამაოგნებელი იყო ის ფაქტი, რომ 1918 წლის 28 დეკემბერს დაწყებული უძლიერესი შეტევითი ოპერაცია სამთავრობო ძალებით სასწრაფოდ იქნა შეწყვეტილი.

ნიკო კეცხოველი: „საავადმყოფოში წოლის დროს მოვიდნენ ნოე ჯორდანია და ნოე რამიშვილი, დაგვათვალიერეს.

– როგორ ხართ? – ნოე ცოტა ენას უკიდებდა.

– კარგად, მაგრამ რად დადეთ ხელშეკრულება, სანამ საზღვრამდე არ მიგადარეკდით, – ვეუბნები სომხეთთან დადებული ხელშეკრულების გამო, რომელიც ძალიან მწყინდა. ალავერდი, ვორონცოვკის პლატო სომხეთში რჩებოდა.

– ინგლისელებმა დაგვატანეს ძალა, ჩვენ გავათავეთ ომი, ეხლა თქვენ იწყებთ? თუ არა ინგლისელები, არ ვიზამდით.

— არა მგონია, მარტო ეგ იყოს, თქვენც ალბათ ადვილად დათანხმდით.

წინა დღით მქონდა ოპერაცია გაკეთებული, ვენების გადახსნის გამო და ცოტა განერვიულებული ვიყავ. ნოე მოვიდა ჩემს ტახტთან და წაიკითხა ტახტის თავზე გაკრულ ფურცელზე ჩემი გვარი.

— ყველა კეცხოველი ასე ერთნაირები როგორა ხართ? — თქვა და ღიმილით გავიდა, ხმა აღარ გაგვცა. (აქ აშკარად ლადო კეცხოველზეა მინიშნება — ა. ჩ.)

— კაცო, მთავრობის თავმჯდომარეს ეგრე როგორ ელაპარაკებოდი, — მეუბნებიან აქეთ—იქიდან ყველანი.

— სწორედ იმიტომ ველაპარაკებოდი, რომ თავმჯდომარეა, — ვუპასუხე და მივეც თავი ფიქრებს."[63]

დიახ, მძიმე იყო, ძალიან მძიმე დაუმსახურებელი მარცხის სიმწარე სრულიად საქართველოსათვის. ქართველი მარქსისტები კი ომში მიღწეულ წარმატებად და გამარჯვებად სწორედ საომარი მოქმედებების შეწყვეტას თვლიდნენ, რითაც ასე მოჰქონდათ თავი „მსოფლიო დემოკრატიის" წინაშე. თუმცა ტერიტორიების დაკარგვას, ცხადია ისინიც აღიარებდნენ, მაგრამ ამ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიას მხოლოდ დროებით მოვლენად და მეორეხარისხოვან პრობლემად მიიჩნევდნენ. მათთვის ხომ ასე უცხო იყო ეროვნულობისა და საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა მომავალი თაობების წინაშე.

ამონარიდი ბატონ ნოე რამიშვილის 1919 წლის 5 იანვრის საპარლამენტო გამოსვლიდან: „ჩვენ ერთის მხრივ ავირჩიეთ ის გზა, რომელიც საუსებით ადასტურებს დაშნაკელების დამარცხებას, ვინაიდან მათ სურდათ ყველა სადავო საკითხები გადაეჭრათ ხმლით. *ჩვენი ლოზუნგები თავიდანვე იყო არა ხმლით გადაჭრა სადავო საკითხებისა, არამედ შეთანხმებით, და თუ შეთანხმება არ მიხდებოდა, მაშინ არბიტრაჟით. აი ამ მხრივ ეს უცხო ძალა ჩვენ ნაადაგზე დაჯდა და საუსებით შეუერთდა ჩვენ მოთხოვნილებას. რაც შეეხება ჩვენ მეორე საკითხს, ჩვენ მართალია ვერ შევძელით ის მაქსიმუმი, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ Status quo ante bellum—ი საუსებით აღვადგინა... დღეს აქ იყო ლაპარაკი და გაზეთებშიც წერია, რომ ჩვენ დავკარგეთ ტერიტორია.* (ხაზგასმა ჩვენია — ა. ჩ.) მე ვამბობ რომ ეს საუსებით მცდარი აზრია. დროებით ჩვენ ბათუმიც დავკარგეთ, მაგრამ ის ჩვენი იქნება".[64]

ბათუმთან მიმართებაში კი ბატონო, მაგრამ საერთო ჯამში, ნამდვილად არ გამართლდა ბატონი ნოეს წინასწარმეტყველება. გაუმართლებელი პაციფიზმი, მსოფლიო ინტერნაციონალიზმი, დემოკრატია — აი ის ქიმერული ღირებულებები, რაზეც აკეთებდნენ გათვლებს ქართული დემოკრატიის მამები. ქართული ინტერნაციონალიზმის სიმბოლო, ვალიკო ჯუღელი კი თვით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს — 26 მაისს, ნაციონალისტურ დღესასწაულად მიიჩნევდა.

ბატონ ნიკო კეცხოველის მემუარიდან:

„ოცდაექვსი მაისია, ამ დღეს წლისთავი უნდა გადაიხადონ საქართველოს დამოუკიდებლობისა. შარშან, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ავადმყოფებმა მოვითხოვეთ წაყვანა. მოვიდა ვალიკო ჯუღელი, გვარდიის უფროსი.

— ჩვენ არ შეგვფერის ნაციონალისტების დღესასწაულზე წასვლა. ვის ეძახდა ნაციონალისტებს, ან ვის მოწყობილად მიაჩნდა მას ეს დღესასწაული, დღესაც არ ვიცი".[65]

აი, ასეთი შესაშური ინტერნაციონალური სულისკვეთებისა იყვნენ ქართველი მენშევიკები და სულაც არაა გასაკვირი, რომ ამ ომში განცდილ მძიმე პოლიტიკურ მარცხსა და ძირძველ ქართულ მიწებზე თავისი სუვერენული უფლებების დათმობას, ადეკვატურად ვერც აღიქვამდნენ.

სომხეთ—საქართველოს ომის სამხედრო—პოლიტიკური შედეგების საერთო შეფასებისას, ერთ ძალიან საინტერესო და არსებით საკითხსაც უნდა გავუსვათ ხაზი. საკითხი საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის მიერ საქართველოში მცხოვრები ანტიქართულად განწყობილი და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ჩართული სომეხი ეროვნების მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებულ კონტრზომებს შეეხება.

სომხეთ—საქართველოს ომის მსვლელობისას, დაშნაკთა და მათ მხარდამჭერთა ძირგამომთხრელი მუშაობისა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მკაცრი, მაგრამ ადეკვატური ზომების გატარება დაიწყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ეს ზომები ანტიქართული პროდაშნაკური ელემენტების ჩხრეკასა და დაპატიმრებებში გამოიხატებოდა. მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში მოქმედი დაშნაკური და პროდაშნაკური ორგანიზაციები, სხვადასხვა სომხური ნაციონალისტური წრეები და საზოგადოებები საქართველოს სომხურ მოსახლეობაში საომარ აგიტაციასა და ამ ომში სომხეთის მხარეზე ჩაბმის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ.

ფართოდ იყო გაჩაღებული აგრეთვე ყოველგვარი საბოტაჟის წარმოება (ძეგვის ხიდის აფეთქება, გერმანელთა კომენდატურის დაწვის ფაქტი და სხვა) და დივერსიული მოქმედებების ფართოდ გაშლა საომარ მოქმედებათა რაიონებში. ამ მხრივ ერთობ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ „ავლაბრის რაიონის სახალხო გვარდიელმა სომხებმა ფრონტზე წასვლაზე უარი განაცხადეს, რომლებთაც იარაღი აჰყარეს".[66]

ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი და დოკუმენტური მასალა იმდენად ბევრი და მრავალფეროვანია, რომ ფორმატის დაზოგვის მიზნით აქ მხოლოდ ერთს მოვიყვანთ. ამ საკითხებით დაინტერესებულ ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში პრაქტიკულად სრული სპექტრითაა განხილული აღნიშნული საკითხები.

„სომხეთ—საქართველოს კონფლიქტის დროს სომეხთა ეროვნული საბჭო, ზოგიერთი თბილისელი სომეხი ყველაფერს აკეთებდა საქართველოს

დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ, ეწეოდა ანტიქართულ აგიტაციას, აწყობდა დივერსიულ აქტებს. სომეხთა ეროვნული საბჭოს შენობაში (არამიანცის სახლი) ფარულად მიმდინარეობდა სომხეთის დასახმარებლად სომეხ მოხალისეთა შეგროვება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1918 წლის დეკემბერში დააპატიმრა ამ ანტიქართული კამპანიის ორგანიზატორები — ალექსანდრე ბარხუდარიანი და გიორგი ჯამაგოსიანცი, რომლებსაც აღმოაჩნდათ სომეხ და რუს მოხალისეთა სიები, ერევანში მათი მივლინების უწყისებით. 59 მოხალისეზე გამოყოფილი იყო 1475 მანეთი. ამ მოხალისეთა შორის იყვნენ: პოლკოვნიკები — ბაბაჯანოვი, ალიმოვი; კაპიტნები — ტროროიანცი, კალინკინი, შუბოვი, გუსევი, ტიხონოვი, შიროიანცი, ქოჩარიანცი; უმცროსი ოფიცრები — სოგოიანცი, აზარიანცი, შახბაზიანცი, მატიანცი, ტერ–პოღოსოვი და სხვა; დაპატიმრებულ იქნა 2 ათასამდე უმთავრესად სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქე".[67]

სწორედ ამ ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად მისი ხელმძღვანელის, ბატონ ნოე რამიშვილის, აგრეთვე თბილისის გენერალ–გუბერნატორის, ბატონ შალვა მაღლაკელიძის მიერ უდავოდ დროული და მართებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული დამნაშავე პირების მასობრივი დაპატიმრებების, მათი სამხედრო ტყვეებად გამოცხადებისა და გადასახლების შესახებ საომარ მოქმედებათა რაიონებიდან საქართველოს მოშორებულ რეგიონებში, კერძოდ, ქუთაისის გუბერნიაში. სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზეც, საბრძოლო მოქმედებების რაიონებიდან ჩამოყვანილი სომეხი ტყვეების გადაგზავნა ქუთაისის გუბერნიაში ხდებოდა:

„სამხედრო უწყების განკარგულებით ის ტყვეები, რომელნიც დღემდე თბილისში მიიყვანეს, ქუთაისში გაიგზავნება. ამიერიდან ბრძოლის ველიდან წამოყვანილი ტყვეები პირდაპირ ქუთაისში გაიგზავნებიან".[68] — იტყობინებოდა გაზეთი „საქართველო" თავის 24 დეკემბრის ნომერში.

ამ საკითხთან მიმართებაში არ შეიძლება პარალელი არ გაივლოს თურქეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრების, ოტომანთა იმპერიის სამხედრო მინისტრის, ისმაილ ენვერ ფაშასა და შინაგან საქმეთა მინისტრის, მეჰმედ თალაათ ფაშას მიერ მიღებულ მსგავს გადაწყვეტილებასთან, როცა 1915 წელს, I მსოფლიო ომის მსვლელობისას, რუსული შენაერთების შეტევით მოქმედებებთან უნისონში, მტრულ მოქმედებებში ჩაბმული და არასაიმედო სომეხი მოსახლეობის ნაწილის გადასახლება განხორციელდა ფრონტისპირა ზონიდან მოშორებულ თურქეთის შიდა ვილაიეთებში.

დაშნაკურმა იდეოლოგიურმა მანქანამ მოგვიანებით თურქეთის ხელისუფლების ეს იძულებითი ნაბიჯი თურქების მიერ განხორციელებულ „სომეხთა გენოციდად" მონათლა და მასზე პროპაგანდისტული ხმაური დღემდე გრძელდება, ხოლო ამ ე.წ. „გენოციდის მსხვერპლთა" რიცხვი წლების გასელასთან ერთად პერმანენტულად იზრდება გეომეტრიული

პროგრესიით. საქვეყნოდაა ცნობილი სტატისტიკური მონაცემებით მსგავსი მანიპულირების დაშნაკური მექანიზმები.

I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1915 წელს, თურქთა მიერ განხორციელებული ე.წ. ,,სომეხთა გენოციდი'' კიდევ ერთი საინტერესო და დიდი თემაა და მას აქ, ცხადია, ვერ განვიხილავთ. ერთი რამ კი ცხადია. კიდევ კარგი, რომ დღეს მსოფლიოში არაა საუბარი 1918 წელს ქართველების მიერ განხორციელებულ ,,სომეხთა გენოციდზე''. დღეს შეიძლება წარმოუდგენლადაც ჟღერდეს, მაგრამ დაშნაკთა ამ მორიგი პროპაგანდისტული კამპანიისათვის იმ პერიოდში ყოველგვარი წინაპირობა არსებობდა. სომხეთ–საქართველოს ომის დაწყებამდეც, მთელი 1918 წლის განმავლობაში, დაშნაკთა იდეოლოგიურ მანქანას უკვე მოსინჯული ჰქონდა ნიადაგის შემზადება ქართველთა მიერ სომხების წინააღმდეგ განხორციელებული ,,გენოციდის'' აფიშირებისა და პროპაგანდისათვის. ჩვენი ამ დასკვნის მართებულობაზე ცალსახად მეტყველებენ ჩვენს ხელთ არსებული და ნაშრომში გამოყენებული მასალები.

ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, შესაბამისი ზომების გატარების შედეგად, 1918 წლის ბოლოსათვის საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ადმინისტრაციული აპარატი სომხებისაგან განთავისუფლდა. დაშნაკური და პროდაშნაკური გაზეთები დაიხურა, თბილისის საკრებულოს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩაბმული დაშნაკი დეპუტატები დაპატიმრებულნი, ხოლო პარლამენტის წევრები გარეკილნი იქნენ. მდიდარ სომეხ ვაჭრებსა და საქმოსნებს, რომლებიც აშკარად აფინანსებდნენ დაშნაკთა ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს, ქონება ჩამოერთვათ. სომეხი დიდვაჭრებისა და მეწარმეების საბანკო ანგარიშები დაპატიმრებულ იქნა, რის გამოც მათ ფინანსურ ჰეგემონიას საგრძნობლად შეერყა საფუძველი. ამ მომენტიდან დაწყებული, სომეხთა დომინანტური ფინანსური და პოლიტიკური მდგომარეობა თბილისში დასრულდა.

სომხეთ–საქართველოს ომისა და მისი შედეგების რეალიების გათვალისწინებით, საქართველოს დედაქალაქმა, თბილისმა, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ეკონომიკური, ფინანსური, ადმინისტრაციული და პოლიტიკური თვალსაზრისითაც ფაქტობრივად სომხური ქალაქი იყო, სომხეთ–საქართველოს ომის გამო, 1919 წლიდან თანდათანობით დაიწყო თავისი ეროვნული სახის დაბრუნება. რიჩარდ ოვანესიანი: ,,ბოლოსდაბოლოს თბილისი ქართულ ქალაქად იქცა, რომელსაც ქართველები მართავდნენ. სომხებმა, რომლებსაც აქამდე ვერაფრით ვერ წარმოედგინათ სადმე სხვაგან ცხოვრება, გარდა კავკასიის დიდებული დედაქალაქისა, ამიერიდან თავისი მზერა ერევანისაკენ მიაპყრეს''.[69]

1918 წლისათვის კი, შაჰ–აბასის მიერ დაარსებული სახანოს ცენტრი, მიწურების ქალაქი ერევანი, ამიერკავკასიური საზომით, პატარა და ჭუჭყიან პროვინციულ დასახლებას წარმოადგენდა, სადაც მდიდარ და გავლენიან სომხებს ადრე ცხოვრებაც კი ვერ წარმოედგინათ.

დიახ, შესაძლებელი თუა ქართველთათვის სომხეთ–საქართველოს ომის დადებით შედეგებზე საუბარი, ერთადერთი მომენტი, რაც შეიძლება ამ კონტექსტში გამოიყოს, ისაა, რომ დაწყებული 1919 წლიდან, საქართველოს დედაქალაქი პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად ისევ ქართულ ქალაქად იქცა და ეთნოკულტურული თვალსაზრისითაც მან თანდათანობით დაიწყო თავისი ეროვნული სახის დაბრუნება.

დასკვნა

შექმნილი სამხედრო–პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ ძნელია უფრო მნიშვნელოვანი თარიღის დასახელება მსოფლიო პოლიტიკის სფეროდან, ვიდრე 1918 წელი იყო. მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში გლობალური სამხედრო–პოლიტიკური მოვლენები ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარდა, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილისათვის უკიდურესად რთული აღმოჩნდა ამ მოვლენების ადეკვატურად აღქმა, მასში სრულად გარკვევა და არსებული შედეგების ობიექტურად შეფასება.

ზემოთ თქმული თანაბარი სიმწვავით შეეხო ამიერკავკასიის რეგიონსაც, როგორც ერთის მხრივ პოსტცარისტული და მეორეს მხრივ, პოსტტოტალური უკიდურესი დაპირისპირების ასპარეზს. ამ ასპარეზით ამჯერად უკვე ევროპაც დაინტერესდა და ამიერკავკასია საკუთარი პოლიტიკური ინტერესების სფეროდ აქცია. მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის პოლიტიკურ–ადმინისტრაციული სახე რამდენჯერმე შეიცვალა. რუსეთის იმპერიის ამ ყოფილ ნაწილში ათწლეულობით დაგროვილმა ნაციონალურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა, იდეოლოგიურმა, ტერიტორიულმა და ყველა სხვა სახის გადაუჭრელმა პრობლემამ სწორედ ამ წელს იფეთქა განსაკუთრებული ძალით, რაც ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთ დაპირისპირებებში გამოიხატა.

კალეიდოსკოპური სისწრაფით ჩნდებოდნენ სახელმწიფოები და მთავრობები, გამალებით იქმნებოდნენ ეროვნული შეიარაღებული ძალები, მყარდებოდა და უმალ ირღვეოდა სხვადასხვა სამხედრო–პოლიტიკური ბლოკები და კავშირები, ღია თუ ფარული ალიანსები. რეგიონის გადაუჭრელმა ეთნო–ტერიტორიულმა და იდეოლოგიურმა საკითხებმა კი მრავალ ლოკალურ დაპირისპირებასა და ომს დაუდო სათავე.

სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომიც ერთ–ერთი მათგანი იყო. ამ წლებში თურქული, გერმანული, რუსული, ბრიტანული ჯარები და ქვედანაყოფები გაშლილი დროშებით, სააღლუმო სვლებითა და დიდი ზარ–ზეიმით შედიოდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ქალაქებში, ძალიან მალე კი ტოვებდნენ მათ და როგორც წესი, უჩუმრად, ყოველგვარი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე. ხშირად პანიკით, ღამის საფარქვეშ მიიწევდნენ მათთვის გამზადებული ვაგონებისა და გემებისაკენ და ცეცხლის ქვეშ სასწრაფოდ ეცლებოდნენ ახლადოკუპირებულ ტერიტორიებს.

ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის, და მათ შორის, რა თქმა უნდა საქართველოსათვის, 1918 წელი იმ დიდი და რთული გზის დასაწყისად იქცა, რომელმაც ეროვნული დამოუკიდებლობის მიძინებულ ინსტინქტსა და ქართული სახელმწიფოებრიობის დავიწყებულ შეგრძნებას მისცა ახალი ბიძგი და გამოუცნობი სირთულეების წინაშე დააყენა იგი. ამ სირთულეების

საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას კი ის წარმოადგენდა, რომ უკვე XIX საუკუნის ბოლოდან მსოფლიოს ახალმა იდეოლოგიურ–პოლიტიკურმა, რელიგიის დონემდე აყვანილმა ფილოსოფიურმა ტალღამ გადაუარა და ძირფესვიანად შეარყია აქამდე ისტორიულად მდგრადი ზოგადკაცობრიული ცნებების, ღირებულებებისა და იმ ცივილური ურთიერთობების სპექტრი, რაც მანამდე უცილობელ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული.

ამ ახალ იდეოლოგიას მარქსიზმი და ლენინიზმი დაერქვა სახელად, ბრძოლის სტრატეგიულ იარაღს – კლასთა ბრძოლის თეორია, ხოლო უკომპრომისო ბრძოლის მეთოდს – რევოლუცია. მის შეფარულ, ანტიეროვნულ, გაუთვითცნობიერებელ და დემოკრატიის სახელით შებურულ სწრაფვას გლობალიზმისაკენ – მისტიციზმამდე აყვანილი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპი, ხოლო საბოლოო მიზანს – კომუნიზმის აღთქმული ქვეყნის აშენება. ძველი და ახალი სამყაროს შეჯახებით, დიად ომად წოდებული I მსოფლიო ომი იქცა ახალი სამყაროს დაბადების წინაპირობად.

სწორედ რევოლუცია, დემოკრატია, სოციალიზმი აღმოჩნდა ის მარჯვე იდეოლოგიური შირმა დაშნაკი ულტრანაციონალისტებისათვის, რომლებმაც 1918 წლისათვის წამოიწყეს აშკარად თავისი „აღთქმული ქვეყნის" შეკოწიწება ამიერკავკასიაში და ამ სისხლინ ავანტიურას „ეთნიკური უმრავლესობისა" და „ხალხთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპების" იდეოლოგია დაუდეს საფუძვლად. სწორედ 1918 წლიდან მიაღწია დაშნაკი ულტრანაციონალისტების ექსპანსიონისტურმა მისწრაფებებმა თავის პიკს.

სომხეთის დაშნაკური მთავრობისა და მისი შეიარაღებული ძალების პოლიტიკურ და სამხედრო აქტივობის პროცესზე XIX საუკუნის 90–იანი წლებიდან XX საუკუნის პირველი მეოთხედამდე, განსაკუთრებით კი მთელი 1918 წლის პერიოდზე ტყუილუბრალოდ არ გაგვიმახვილებია ყურადღება. სომხეთ–საქართველოს ომის თითოეული ასპექტის სრულყოფილი ანალიზი– სათვის აუცილებლად მივიჩნიეთ სომხური ნაციონალური ექსტრემიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები ჩვენს ძირითად ფორმატთან მიმართებაში წარმოგვეჯგინა, რათა სრულად აგვესახა დაშნაკთა სეპარატისტული და ექსპანსიონისტური მოძრაობის განვითარების ის რევო– ლუციური და თუ გნებავთ ევოლუციური გზები, რაც ამ იდეოლოგიამ გაიარა XIX საუკუნის 90–იანი წლებიდან XX საუკუნის 20–იან წლებამდე.

ნაციონალიზმით დაბრმავებული, რეალობას მოწყვეტილი და ამიერკავკა– სიაში განვითარებული მოვლენების თავისთვის სასურველ ფერებში წარმოჩენით თავგზააბნეული არარატის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობა ნამდვილად ვეღარ აფასებდა ადეკვატურად რეგიონში განვითარებულ იმ უმნიშვნელოვანეს სამხედრო–პოლიტიკურ მოვლენებს, რომელიც I მსოფლიო ომის დასრულებას მოჰყვა.

სომხეთის მთავრობა გადამეტებით აფასებდა სომხური საბრძოლო რაზმების დამსახურებებს რუსეთისა და მოკავშირეების წინაშე I მსოფლიო ომის კავკასიისა და ანატოლიის ფრონტებზე წარმოებული საომარი მოქმედებების დროს და მათ საბრძოლო პოტენციალსაც მაჟორულ ფერებში ხატავდა. დაშნაკური სომხეთი ანტანტის წევრი ქვეყნების სრულფასოვან სამხედრო–პოლიტიკურ პარტნიორად და „პატარა მოკავშირედ" თვლიდა თავს. მთელი 1918 წლის განმავლობაში და უფრო ადრეც წარმოებული აგანტიურისტული საბრძოლო მოქმედებები, ფაქტობრივად კი რეგიონის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის და არა მარტო მათი, ძარცვა–გლეჯა და დემოციდი, სხვა არაფერი იყო, თუ არა დაშნაკთა მიერ „დიადი არმენიის" შექმნისათვის გადადგმული ექსპანსიონისტური ნაბიჯები.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მოგვიანებით, 1923 წლისათვის, თვით ოვანეს კაჩაზნუნი წერდა: „ვითხოვდით უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე, ყარაბაღიდან არაბეთის უდაბნომდე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული"... და აქვე სვამს რიტორიკულ კითხვას: „საიდან მომდინარეობდა ეს განსაცვიფრებელი მოთხოვნები?"[1] იგივე კაჩაზნუნი: „ჩვენ ილუზიების სქელი ატმოსფერო შევქმენით ჩვენს ცნობიერებაში. ჩვენი სურვილები ჩავუნერგეთ სხვებსაც. რეალობის ყოველგვარი შეგრძნება დავკარგეთ და ოცნებებში გავერთეთ... ჩვენ გადაჭარბებით ვაფასებდით სომეხი ხალხის შესაძლებლობებს, მის პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებას".[2] ნაგვიანები, მაგრამ სრულყოფილი და გულწრფელი აღსარებაა, ვერაფერს ვერ დავამატებთ.

ბოლო რვაასი წლის განმავლობაში არარსებულ ერთიან სომხურ სახელმწიფოს 1918 წლის მაისისათვის რეალურად არც თავისი ტერიტორიები გააჩნდა და არც საკუთარი დედაქალაქი. XX საუკუნის დასაწყისიდან დაშნაკთა მიერ „დიადი არმენიის" დედაქალაქად თურქეთის აღმოსავლური ვილაიეთის უდიდესი ქალაქი, არზრუმი, სომხური ნაციონალიზმისა და სეპარატისტული მოძრაობის ცენტრი მოიაზრებოდა, 1918 წლის ბოლოსათვის კი – „ამიერკავკასიის დიდებული დედაქალაქი" – თბილისი. მომავალი სომხური სახელმწიფოს ტერიტორიების „მოპოვებისათვის" კი აღნიშნული რეგიონების არასომეხი მოსახლეობისაგან „გაწმენდა" იყო საჭირო.

ასეთი იყო სომეხთა რევოლუციური ფედერაციის – დაშნაკთა სოციალისტური პარტიის იდეოლოგიური ბელადებისა და სამხედრო მეთაურების მიერ არჩეული მოქმედებების დიდი სტრატეგიული ხაზი. ამ იდიოზური მიზნების მისაღწევად ინფანტილურ სომხურ სახელმწიფოს „თავისი დიდი მოკავშირეების" – ცარისტული თუ ბოლშევიკური რუსეთების, ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, მოგვიანებით ამერიკის შეერთებული შტატების, ათასგვარი სოციალისტური და რევოლუციური ტიპის პარტიებისა თუ დაჯგუფებების, მდიდარი სომხური დიასპორების, მსოფლიო მუშათა

ინტერნაციონალისა, ხოლო 1918 წლის ბოლოსათვის კი დიდი ბრიტანეთის უეჭველი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა...

და აქ, ბატონი ნოეს ცნობილ ფრაზას ანტითეზას მივუსადაგებთ და... „მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო"... („მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო... შეურცხვა ჭაღარა ოვანეს კაჩაზნუნს..." — სწორედ ამ ფრაზით დაიწყო ბატონმა ნოე ჟორდანიამ თავისი ცნობილი საპარლამენტო გამოსვლა 1918 წლის 16 დეკემბერს, სადაც ქართული მხარის მიერ პირველად იქნა ოფიციალურად დეკლარირებული სომხეთ—საქართველოს ომის დაწყების ფაქტი).

1918 წლის 18 ოქტომბერს დაშნაკური სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა ომის გამოუცხადებლად დაარღვიეს პირველად საქართველოს დე ფაქტო სახელმწიფო საზღვრები და შეიარაღებული აგრესიის გზით მისი გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს. ამ ეტაპზე, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გერმანული სასაზღვრო ქვედანაყოფების მხარდაჭერით, მიუხედავად საქართველოს მთავრობის არაადეკვატური განწყობებისა, თავისი მაღალი პროფესიონალიზმისა და ტაქტიკურად ყოველმხრივ დახვეწილი მოქმედებებით შეძლეს დაშნაკური აგრესიის აღკვეთა.

მთელი ნოემბრის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკურ—დიპლომატიური მანევრების შემდეგ, 6 დეკემბრიდან ახალქალაქის, ხოლო 9 დეკემბრიდან ბორჩალოს მაზრაში, სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები განაახლეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ომის ამ ეტაპზე, უზუნლარი—სანაინი—სადახლოს მონაკვეთზე, ქართული მცირერიცხოვანი საჯარისო ქვედანაყოფები წინ ვერარ აღუდგნენ მტრის კარგად მომზადებულ, მრავალჯერ აღმატებულ ძალებს და მარცხი მარცხზე იწვნიეს. გააფთრებული სისხლიანი ბრძოლების შემდეგ მათ ქართული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დათმეს, ხოლო საბრძოლო დანაკარგებმა ასეულობით ქართველი ჯარისკაცი და დიდი მატერიალური ზარალი შეადგინა.

დეკემბერში მიმდინარე საომარი მოქმედებების პერიოდში, რა თქმა უნდა, გარკვეულ საბრძოლო ეპიზოდებში ქართველ მეთაურთა მიერაც იქნა ცალკეული ტაქტიკური შეცდომები დაშვებული, მაგრამ საერთო ჯამში, ომში მარცხის მთავარი მიზეზი საქართველოს მთავრობის საომარი მდგომარეობასთვის შეუფერებელი მოქმედებები და მის მიერ გატარებული დანაშაულებრივი სამხედრო—პოლიტიკური კურსი იყო.

ისევ ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ ქართველ ჯარისკაცს ომი არ წაუგია. ომის წაგებაზე პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე საქართველოს მთავრობას და პირადად მის თავმჯდომარეს მიეწერება. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ნაშრომში მოყვანილი უამრავი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალა იძლევა.

ბრიტანელთა უეჭველი მხარდაჭერის იმედით გათამამებული დაშნაკები კი ნაადრევად ზეიმობდნენ თავიანთ გამარჯვებას, რომელთა მოწინააღმდეგეს „გერმანელთა მოკავშირე და მეგობარი" — საქართველო წარმოადგენდა. ამისათვის კი ის მკაცრ სასჯელს იმსახურებდა. მაგრამ ამ ეტაპზე დაშნაკთა იმედებს ასრულება არ ეწერა.

I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ბრიტანელები ტრიუმფატორებად შემოვიდნენ ამიერკავკასიაში და შესაბამისად, მათი შემდგომი მოქმედებების სტრატეგიას ომში გამარჯვებულის სტატუსი განაპირობებდა. ეს სტატუსი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი კოლონიალური პოლიტიკის გატარება იქ, სადაც გერმანელთა და თურქთა აღმოსაველური პრეტენზიები უკვე აღკვეთილი იყო. ამ ბრიტანული სტრატეგიის მთავარ ამოსავალ წერტილს ამიერკავკასიაში, ბაქოს ნავთობისა და რეგიონის სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ფლობა, აგრეთვე მათი ტრანსპორტირების უსაფრთხო უზრუნველყოფა წარმოადგენდა დასავლეთისაკენ, ბათუმის პორტის გავლით.

სწორედ ამიტომ მოახდინეს ბრიტანულმა ქვედანაყოფებმა 17 ნოემბერს გენერალ–მაიორ უილიამ ტომსონის მეთაურობით ჯერ ბაქოს, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, ბათუმის ოკუპაცია ბრიგადის გენერალ გ. ტ. ფორესტიე–უკერის ძალებით. სწორედ ამიტომ გადმოვიდა სულ მალე, 1919 წელს, ბრიტანელთა სალონიკის არმიის ბალკანეთისა და ამიერკავკასიის გაერთიანებული სამხედრო სარდლობა თავისი შტაბ–ბინით ბალკანეთიდან ამიერკავკასიაში, თბილისში, გენერალ–მაიორ ჯორჯ ფ. მილნის სახით.

ამიერკავკასიისაგან განსხვავებით, 1918 წლის ბოლოსათვის ბალკანეთი უკვე აღარ წარმოადგენდა ბრიტანელებისათვის პირველი რიგის სტრატეგიული ინტერესების სფეროს. ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის დასავლეთის მიმართულებით კი, რეგიონის გამართული და საიმედო სატრანსპორტო, უპირველეს ყოვლისა სარკინიგზო ინფრასტრუქტურა იყო საჭირო. ამ კონტექსტში, ბრიტანელები, რა თქმა უნდა, არც ალავერდი–ახტალას სპილენძითა და ვერცხლით მდიდარი საბადოების კონტროლზე იტყოდნენ უარს. კასპიისპირეთის რეგიონში არსებული მძიმე და ფეთქებადსაშიში ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის ბრიტანელებმა სულ მალე აღიარეს მუსავატელთა პარტიისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დე–ფაქტო ხელისუფლების ლეგიტიმურობა ფათალი ხან ყოლის მეთაურობით. შესაბამისად, მისი კეთილგანწყობაც მოიპოვეს. ბრიტანელთა ეს პოლიტიკური განწყობა ფაქტიურად გენერალ ტომსონის ბაქოში შემოსვლიდან სულ მოკლე ხანში დაფიქსირდა.

ბათუმში კი ბრიტანელთა პირდაპირი სამხედრო მმართველობა დამყარდა, რითაც მათ მკაცრად აგრძნობინეს საქართველოს პროგერმანულ მთავრობას, თუ ვინ იყო რეგიონში ახლადშექმნილი მდგომარეობის სრული ბატონ–პატრონი. პრობლემად მხოლოდ ბაქო–თბილისი–ბათუმის რკინიგზის არტერიის სტაბილურობა და თბილისი–ალექსანდროპოლისის ხაზის

გამართული მუშაობა რჩებოდა. ისტორიული ლორე–ბამბაკი კი, ანუ, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონა, სომხეთ–საქართველოს შორის არსებული სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური დაძაბულობის კერას წარმოადგენდა.

ბრიტანელებმა, ისევე როგორც ოტომანთა იმპერიაში, შესანიშნავად ისარგებლეს ორ მეზობელ კავკასიურ ხალხსა და სახელმწიფოს შორის არსებული უთანხმოებებით და ამ დაძაბულობის ფორსირება მოახდინეს, ითამაშეს რა სომეხ დაშნაკთა ულტრანაციონალიზმსა და ექსპანსიონისტურ მისწრაფებებზე. ყოველივე ეს კი ღია საომარი მოქმედებების დაწყებაში გამოიხატა. ამიერკავკასიის ბრიტანელთა ინტერესების ეს რეგიონი, სულ მალე იქცა სომხეთ–საქართველოს შორის წარმოებული ომის საომარ მოქმედებათა თეატრად. 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებისათვის სომხური საჯარისო ნაწილების მიერ ბრიტანელთაგან დასახული მიჯნა – ალავერდი, მიღწეული იყო, 24 დეკემბრისათვის კი – სომეხთა პირველი სტრატეგიული ზღუდე – მდინარე ხრამი. საათივით აწყობილი დიდი იმპერია საათივით აწყობილ დიდ სამხედრო–პოლიტიკურ თამაშებს აწარმოებდა საუკუნეების განმავლობაში... რა მოსატანი იყო სადღაც, კავკასიის მაღალ მთებში ჩაკარგული ორი პატარა ქვეყანა და მათი ინტერესები.

საომარი მოქმედებების ბოლო ეტაპზე, 28–31 დეკემბრის ძლევამოსილი შეტევითი ოპერაციის შედეგად, ქართულმა შენაერთებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს და სომხურ ნაწილებს აირუმამდე დაახევინეს უკან. ფაქტობრივად, ახლა იწყებოდა ქართველთათვის ომი, მაგრამ... ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ აქ ბრიტანელები უკვე სასწრაფოდ აღკვეთდნენ სომხეთ–საქართველოს ომს და თან ისე, რომ მედიატორის საპატიო როლშიც აღმოჩენილიყვნენ. მოცემულ ეტაპზე არსებული მდგომარეობით, ბრიტანელებს რაიონში საიმედო ლეგიტიმური საფუძველი და მყარი სტაბილურობა სჭირდებოდათ. ყოველივე ამას კი საქართველოს მთავრობისა და პირადად მისი თავმჯდომარის დანაშაულებრივმა „პაციფისტურმა" მისწრაფებებმაც შეუწყო ხელი.

სომხეთის დაშნაკური მთავრობა, მისი სურვილისდა მიუხედავად, ცხადია, ბრიტანელთა ვერც ერთ გადაწყვეტილებას ვერ აღუდგებოდა წინ – აქ ყველაფერი ნათელი იყო. დაშნაკები ხომ ბრიტანელთა ყურმოჭრილ მონებს წარმოადგენდნენ.

საქართველოსთან მიმართებაში კი განსხვავებული მდგომარეობა იყო. აქ სულ სხვა მიდგომა იყო საჭირო. ჟორდანიას მთავრობა თავდაპირველად აშკარად გულცივად და ფრთხილად მოეკიდა ბრიტანელების საოკუპაციო ჯარების შემოსვლას ბაქოსა და ოდნავ მოგვიანებით ბათუმში. იგი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ბრიტანელთა საჯარისო კონტინგენტის შემოსვლას საქართველოს დედაქალაქშიც. ყოველივე ამან კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა „გერმანელთა მეგობრის", საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა და მომავალი პერსპექტივა.

ბრიტანელებმა თავისთვის სასარგებლოდ გამოიყენეს დაშნაკთა ზღვარსგადასული მადა და ამბიციები. მათი აშკარა თუ შენიღბული მხარდაჭერით შეგულიანებულმა სომხებმა ომის გამოუცხადებლად გადმოკვეთეს საქართველოს საზღვრები და საომარი მოქმედებებიც ქურდულად დაიწყეს. ბრიტანელები მხოლოდ მაშინ ჩაერთვნენ კატეგორიულად ომის შეწყვეტის სამუშაოში, როცა ფრონტებზე ქართველთათვის სიტუაცია დასტაბილურდა და მათ ძლიერი შეტევითი ოპერაცია წამოიწყეს.

ომის პირველ ეტაპზე განცდილი მძიმე მარცხი და ქართული მხარის დიდი დანაკლისები ჭკუის სასწავლებელი მაგალითი უნდა გამხდარიყო საქართველოსათვის ბრიტანული პოლიტიკის მიხედვით და რაც მთავარია... შედიატორის როლში გამოსულმა ბრიტანელებმა უშუალოდ მათ მიერ შემუშავებული საზავო პირობებით სრული, კანონიერი უფლება მოიპოვეს გაეკონტროლებინათ ალავერდი–ახტალას ფერადი ლითონების მდიდარი საბადოები და თბილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზის სადახლო–შაღალის მონაკვეთი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ალავერდში განლაგდა ე.წ. ,,ლორეს ნეიტრალური ზონის'' ბრიტანელთა გენერალური ინსპექციის შტაბიც.

სომხებთან მიმართებაში კი... ,,მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს''. ,,დიადი არმენიის'' აპოლოგეტები და ანტანტის ქვეყნების ,,პატარა პოკავშირის'' სახელმწიფო მესვეურნი, ბრიტანელმა გენერლებმა საიქს–პიკოს 1916 წლის შეთანხმების ანალოგიით, ისევ ხახამშრალი დატოვეს. სომხეთის დაშნაკურ მთავრობას ამჯერადაც მხოლოდ სტატისტის როლი ერგო წილად.

დამარცხდა, ნამდვილად დამარცხდა ბრიტანულ ლომთან დიდ პოლიტიკურ თამაშსა და ჭიდილში როგორც ქართული შუბოსანი, ასევე სომხური ლომ–არწივი. შემდეგ კი, ბატონ ლევან სანიკიძისა არ იყოს, ბრიტანელები მართლაც ,,ალბიონური სიდინჯით'', და დავამატებდით, სიბრძნით აწონ–დაწონილი პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ თავის მორიგ აზიურ კოლონიაში. ბრიტანელთა მიერ ერთი გასროლით ორი კურდღელი იქნა მოკლული – ლორე–ტაშირის ,,სადაო ტერიტორიები'' ფაქტობრივად მათ სრულ კონტროლქვეშ გადაეცა და თან ისე, რომ, როგორც ქართულმა, ასევე სომხურმა მხარეებმა ამ ფაქტს ლეგალური საფუძველი შეუქმნეს. და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია – ამ აქტით ბრიტანელებმა ამიერკავკასიაში მსოფლიო ,,მშვიდობისმყოფელების'' საპატიო როლიც ,,ღირსეულად'' ითამაშეს. ათასწლოვანმა იმპერიულმა პრინციპმა – divide et impera, აქაც შეუცდომლად იმუშავა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის თავლსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რა თქმა უნდა, ადასტურებს ბრიტანული ფაქტორის როლს სომხურ–ქართულ ურთიერთობებსა და სომხეთ–საქართველოს ომში, მაგრამ ამ ომის ძირითად მიზეზებს იგი მაინც რუსეთის იმპერიალისტურ განწყობებში ხედავს:

„ეს ომი იყო მხოლოდ ერთი ეპიზოდი და კოლოსალური პროვოკაცია მიმართული იქითკენ, რომ რუსეთს საერთოდ ამიერკავკასია დაებრუნებინა თავის მფლობელობის ქვეშ. საქმე იმაშია, რომ იმხანად ანტანტა და მათ შორის ინგლისის მთავრობა და სარდლობა მონდომებულნი იყვნენ რომ რუსეთი აღედგინათ დენიკინის არმიის საშუალებით. ამრიგად, დღის წესრიგში იდგა ამიერკავკასიის რუსეთზე მიკვრა, ხოლო ამისათვის პირველ ყოვლისა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. საუბედუროდ, ამ რუსულ—ინგლისური გეგმების ბადეში მოხვდა სომხეთი, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყო ეროვნულ—სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებული. მის პოლიტიკაზე გადამჭრელი გავლენა ჰქონდა ანტანტას, ხოლო ანტანტასა და პირველ ყოვლისა ინგლისის სარდლობის უმთავრესი მრჩეველი ამიერკავკასიის საკითხებში იყო დენიკინის შტაბი.

ამას დაემატა ისიც, რომ სომხეთის ახალგაზრდა ჯარში თითქმის მეტწილად რუსი ან გარუსებული აფიცრობა სარდლობდა. ეს მხედრობა ჯერ კიდევ არ იყო ეროვნულად ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი და მას თავის ლაშქრობის ერთ—ერთ არმიად სთვლიდა დენიკინის შტაბი. აი, ასეთ პირობებში რუსეთმა შესძლო იმ საშინელი საქმის ჩადენა, რომელსაც სომხურ—ქართული ომი ეწოდა".[3]

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ უარვყოფთ რუსული ფაქტორის როლს, მაგრამ ამავე დროს, ჩვენის აზრით, ავტორის ნააზრევში იმ დროისათვის ზედმეტად რუსოფობული განწყობები იგრძნობა, ხოლო დაშნაკური სომხეთი პირიქით — უბიწო მსხვერპლადაა წარმოდგენილი. აქ კი ზედმეტად მიმტევებლურია ბატონი გრიგოლის პოზიცია.

დიდ პოლიტიკას დიდი გათვლები სჭირდება, ამაში კი ბრიტანელებს არაფერი არ ეშლებოდათ არც ერთ დროს. სომეხ დაშნაკებს ულტრანაციონალისტური ექსტრემიზმის გრძნობა ახრჩობდათ, ქართველ მენშევიკებს კი — ინტერნაციონალური დემოკრატიის ავადმყოფური იდეა—ფიქსები. სომეხი დაშნაკებისათვის მთავარი მათი მომავალი სახელმწიფოს, „დიადი არმენიისათვის" მიწების „მოპოვება" და სომხური სახელმწიფოს შეკოწიწება იყო. ქართველი მენშევიკებისათვის კი — შეუბღალავ დემოკრატთა იმიჯის შექმნა „მსოფლიო დემოკრატიის" თვალში. რეალობა კი გაცილებით მარტივი და პროზაული იყო — გამარჯვებული ყოველთვის მართალია და მას არ ასამართლებენ.

სოციალიზმისა და რევოლუციების შხამიანი იდეოლოგიით დაავადებული საქართველოსა და სომხეთის მმართველი პოლიტიკური წრეები იმ სისხლიან დაპირისპირებაში აღმოჩნდნენ ჩართულნი, რომელმაც ახალი საბედისწერო განხეთქილება შეიტანა სომხურ—ქართულ ურთიერთობებში. დაშნაკური იდეოლოგიით მოწამლული საქართველოს ათასობით სომეხი ეროვნების მოქალაქე კი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში აღმოჩნდა ჩართული და „მეხუთე კოლონის" დანაშაულებრივ ორგანიზებას შეუწყო ხელი.

ამ კონტექსტში, საქართველოში მცხოვრებ და თავშეფარებულ სომეხთა მოღალატურ მოქმედებებთან დაკავშირებით, მეტად ნიშანდობლივია ოტომანთა მმართველი ტრიუმვირატის ერთ–ერთი წევრის, ზემოთ ხსენებული მეჰმედ თალაათ ფაშას შემდეგი სიტყვები: „(I მსოფლიო ომში – ა. ჩ.) ჩვენი მტრები რუსები იყვნენ და როდესაც ისინი გვესროდნენ, მათი ნასროლი ტყვიები ჩვენს ჯარისკაცებს ფეხებში ხვდებოდა. მაგრამ, როცა სომხებმა, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეებს წარმოადგენდნენ, გვესროლეს და სამშობლოს ულალატეს, მათი ნასროლი ტყვია გულში მოგვხვდა".[4]

ამ სიტყვებით მიმართა მეჰმედ თალაათ ფაშამ ავეტის აჰარონიანსა და ალექსანდ ხატისოვს 1918 წლის ივნისის თვეში გამართულ შეხვედრაზე, როდესაც ეს უკანასკნელნი საგარეო ტურნეს მართავდნენ ოსმალეთში, სომხეთისათვის კომპრომისებისა და დათმობების თხოვნით. ეს ციტატა რიჩარდ ოვანესიანის მონოგრაფიიდან „Armenia on the road of Independence 1918" არის მოყვანილი.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ის მეტამორფოზები, რასაც სომხები განიცდიდნენ და ახლაც განიცდიან დაშნაკური იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგად. ერთი შეხედვით, იდეოლოგიურად აბსულუტურად განსხვავებული და უფრო მეტიც, სამხედრო თვალსაზრისით დაპირისპირებული მხარეები, „დაშნაკური ჯადოსნური ჯოხის" დაქნევით დაბანგულები ყველაფერს ივიწყებენ და უმალ გარდაიქმნებიან ერთი დიდი სომხური იდეისათვის დარაზმულ საბრძოლო კოლონად. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა 1918 წლის 29 დეკემბრის გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილი სტატია, რომელშიც ვკითხულობთ:

„საქართველოში მობინადრე სომხობამ თითქო დაჰკარგა ყველა ეროვნული თვისებები: ენა, ზნე–ჩვეულება, ისტორიული ტრადიციის გრძნობა და გვარ–ტომობის მახსოვრობა. ჩვენ გვწამს, რომ რომელიმე გურჯაანელი ან ატოცელი სომეხი შეიძლება სრულიად გულწრფელად თავს საქართველოს მოქალაქედ გრძნობს და საუკეთესო სურვილებით მიდიოდეს რესპუბლიკის ლაშქარში. მაგრამ საკმაოა, რომ ის ბრძოლის ველს მიუახლოვდეს, საკმაოა ათასი წლის წინათ დაშორებული თანამემამულეები დაინახოს და მათი ყიჟინა გაიგონოს, რომ ერთ წუთში სრულიად გარდაიქმნას და „ანდრანიკისა" და „ჰაირენიკის" სახელების შთაგონებით მთვარეულივით ჰდროს ლაშქრის მხარეზე გადავიდეს. ამიტომაც დღეს მართლაც არც ერთი სომეხი არ არის სანდო. ის რაც ხდება დღეს, არ არის ღალატი ტრივიალური მნიშვნელობით..."[5]

დიახ, თურქეთის ღალატთან შედარებით, სომხების მიერ საქართველოზე ნასროლი ტყვია, მართლაც რომ ღალატზე ღალატი იყო, დიდი და არატრივიალური ღალატი. და ამაში გასაკვირიც არაფერია, რამეთუ ისტორიულად, სომხები თავისი . ულტრანაციონალისტური მიზნების განსახორციელებლად, როგორც წესი, მტრად ეკიდებოდნენ და ყოველთვის ღალატობდნენ იმ ქვეყნებსა და ხალხებს, ვის სახელმწიფოშიც და ვისთან

ერთადაც უწევდათ მათ საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრება. ჯერ კიდევ გიორგი XII აცხადებდა:

„ადვილად გამცემი ქვეყნისა, სომეხი ერთ გროშზედ გაჰყიდის მეფესა და მეფობასა. აქა ან სხვათა ქვეყანაში არა აქვს რა შესატკივარი გულისა, არცა კოშკი მამაპაპათა, არცა ციხე, არცა ხმალი წინაპართა, არცა დროშა, არც მატური მეფეთა. დღესაც მისაცდუნებლად სპარსთა და თურქთა, სადაც არიან გაბნეულნი მათნი რომელნივე, მარადის მოვისყიდით ჯაშუშად სომეხთა უნებურთა და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომეხთა. ასეა მათი ბუნება. დიდად მავნეა ჩემი სამეფოსათვის თესლი ესე გაბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოთა ნათესაობითა. ვითარც ვაჭარნი საჭირონი არიან, მაგრამ ქვეყნისა მცხოვრებნი დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი: არა მეომარნი, მხდალნი და მატურებელნი საწუთროსა, სად და ოდეს დაედგნენ და მიემხრონ ოსმალსა და ყიზილბაშსა".[6]

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი 1917–1918 წლებში, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II კი სომხებს ასე აფასებდა:

„ერი ზვავი, გაუგონარი, დიდმეთქავი, უსამართლონი, ტრაბახნი, ზარმაცნი, მატყუარანი, მექრთამენი, ცრუმედიდურნი".[7] მაგრამ არც თურქები იყვნენ პირველები და არც ქართველები უკანასკნელნი, ვისთვისაც კარგად იყო ცნობილი სომეხთა ხასიათის ეს მეტად ნიშანდობლივი შტრიხი და ვისაც მოღალატურად მოექცნენ სომხები. ჯერ კიდევ რომაელი ისტორიკოსი, ტაციტუსი აღნიშნავდა თავისი მეორე წიგნის „Ab excessu Augusti"–ის 53–ე აბზაცში:

„სომხები ნამდვილი ორსახოვანი ხალხია, თავისი ხასიათითა და თავისი გეოგრაფიული საცხოვრისით... ისინი ვერ იტანენ რომაელებს და შურთ პართიელებისა". მეთერთმეტე წიგნის 46–ე პარაგრაფში კი იგი აღნიშნავს, რომ „Satis cognitam Armeniorum perfidam" – „სომეხთა ვერაგობა საყოველთაოდ ცნობილია...", რუსი ისტორიკოსი ველიჩკო კი წერს:

„თუ აუცილებელი გახდება სხვა სიტყვის მოძებნა სომხეთის ისტორიაში მოთხრობილი ფაქტების აღწერისათვის, სიტყვა „ფიქციის" გარდა, რომელიც შესაძლებელია ამისათვის გამოვიყენოთ, არის სიტყვა – „ღალატი". სომხეთის, ამ მუდმივად ცვალებადი საზღვრების მქონე ქვეყნის ისტორიულად საეჭვო მმართველები ყოველთვის ძლიერ მეზობელ მონარქიებზე იყვნენ დამოკიდებულნი და სისტემატურად ღალატობდნენ მათ".

დაშნაკური იდეოლოგიით თავგზააბნეულ სომეხთა მოღალატურ ქმედებებთან დაკავშირებით კი დავამატებდით, რომ განურჩევლად მოქალაქეობისა და ქვეშევრდომობისა, სომეხთა მიერ საქართველოზე ნასროლი ტყვია ქართველ კაცს სულში მოხვდა, რამაც გამოუსწორებელი შედეგები იქონია შემდგომ და ეს საბედისწეროდ ნასროლი ტყვია მოგვიანებით, 1920 წლის ნოემბერ–დეკემბრის მოვლენების დროს ბუმერანგივით დაუბრუნდათ უკან დაშნაკებს. დიახ, 1920 წელს, სომეხთა მიერ დასავლეთისაკენ დაწყებული

მორიგი შეიარაღებული ექსპანსია, ქემალისტთა ახალგაზრდა თურქული რესპუბლიკის წინააღმდეგ, სისხლში იქნა ჩახრჩობილი ბოლშევიკურ—ქემალისტური ალიანსის მიერ. იმ ბოლშევიკების მიერ, რომლებთან ერთადაც დაიწყეს სომეხმა დაშნაკებმა დიდი ამიერკავკასიური საერთო სომხური სამეფოს შექმნა 1918 წლის გაზაფხულზე.

სომეხთათვის ამ საბედისწერო ჟამს კი საქართველოს პირველი რესპუბლიკა ნეიტრალური მაყურებლის როლს დასჯერდა მხოლოდ. და ეს იყო ის დიდი საზღაური, რაც სომხებმა მოიმკეს ქართველებთან წარმოებული ყოველად გაუმართლებელი ომის შედეგად. ამ საკითხთან დაკავშირებით კი ზუსტად აღნიშნავს რიჩარდ ოვანესიანი:

„სომხეთ—საქართველოს ომის ნეგატიური ასპექტები გაცილებით უფრო ღრმა აღმოჩნდა და იგი მოგვიანებით გახდა ნათელი, ვიდრე ის უბედურება, რაც საქართველოს სომხებს დაატყდათ თავს. (აქ საქართველოში მცხოვრები მოღალატე სომხების უფლებების შეკვეცაზეა მინიშნება — ა. ჩ.) ორივე რესპუბლიკისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ერთმანეთის მხარდაჭერა მაშინ, როცა ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებაში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი".[8]

აქ ავტორი სომხეთისათვის აშკარად უარყოფითად აფასებს დაშნაკთა მიერ ქართველებისადმი თავსმოხვეულ ომს და ირიბ მინიშნებას აკეთებს მის უარყოფით შედეგებზე, თუმცა ამ შემთხვევაში არ აკონკრეტებს იმ ისტორიულ რეალიებს, რაც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ. სამწუხაროდ, ასეთი იყო ისტორიული სინამდვილე... ნიშანდობლივია, რომ აქ ავტორი ერთობ საინტერესო ფრაზას ხმარობს: „ისინი (სომხეთი და საქართველო — ა. ჩ.) ერთმანეთთან დაპირისპირებაში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი..."

აქ კი ნამდვილად არაა გულწრფელი ავტორი. საქართველო არსადაც არ აღმოჩნდა ჩათრეული სომხეთისაგან განსხვავებით. დიახაც, სომხები თავისი „დიდი მოკავშირეების" მხრიდან ნაწილობრივ ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ამ ომში, მაგრამ ომის დაწყების მხოლოდ მათთვის გადაბრალება ნამდვილად არაა მართებული. დაშნაკთა ულტრანაციონალიზმსა და ექსპანსიონისტურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, დიდმა მოკავშირეებმა ამ ომის მხოლოდ ინიცირება მოახდინეს.

ომის გამომწვევი რეალური მიზეზები ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი, მეხუთე კოლონის — საქართველოს სომეხი მოსახლეობის როლი კი — გარკვეული. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავს სტეფან ჯონსი:

„საქართველოს სოციალ—დემოკრატიული მთავრობა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი მსხვილი ბიზნესისადმი, იზიარებდა ქართველი ნაციონალისტების ეჭვებს, რომ ის ნახევარი მილიონი სომეხი, რომელთაც დომინანტური მდგომარეობა ეჭირათ დედაქალაქში, დაკავებული ჰქონდათ სტრატეგიული სასაზღვრო ტერიტორიები და ეკონომიკის უმეტეს ნაწილს აკონტროლებდნენ, მეტისმეტად ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ახალი სომხური რესპუბლიკისადმი. ქართველების ეჭვები 1918 წლის ოქტომბრისა

და დეკემბრის მოვლენების დროს გამართლდა, როცა სომხებით დასახლებული საქართველოს სამხრეთის რაიონი ლორე, მათი დიდი მხარდაჭერით იქნა სომხეთის მთავრობის მიერ ოკუპირებული".[9]

და ისევ ოვანეს კაჩაზნუნი: „ჩვენ ნაწილობრივ მივაღწიეთ მიზანს, მაგრამ ამ ომმა ბევრ რამეზეც დაგვაფიქრა. ვიბრძოლეთ იმ მეზობელთან, რომელთანაც ყველაზე უფრო მჭიდრო ურთიერთობები უნდა გვქონოდა. ჩვენ საქართველოს გაველით ჯუკავშირებოდით გარე სამყაროს. ჩვენი გულწრფელი სურვილი იყო ქართველებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება, მაგრამ ეს ვერ შევძელით. ამაში, გარკვეული როლი საქართველოს მთავრობის პოზიციასთან ერთად, ჩვენმა უძლურებამ და პოლიტიკურმა განუვითარებლობამაც ითამაშა..."[10]

ასეთი არის ორი გამოჩენილი სომეხი მოღვაწის, რიჩარდ ოვანესიანისა და თვით ოვანეს კაჩაზნუნის მიერ სომხეთ–საქართველოს ომის შედეგების შესახებ გაკეთებული ზოგადი შეფასებები. ამ შეფასებებს ვერაფერს ვეღარ დავუმატებთ ახალს.

დღეს კი ბატონ ოვანეს კაჩაზნუნის დასკვნების საპირისპიროდ დგინდება, რომ „დაშნაკცუტიუნს თურმე კიდევ ბევრი აქვს საკეთებელი"... და თურმე, ნაადრევი ყოფილა მისი წინასწარმეტყველებანი.

ნაშრომის შესაბამის თავში წარმოდგენილი დაშნაკცუტიუნის 1907 წლის პარტიული პროგრამა მინიმუმი, რომელიც 1917 წელსაა თბილისში რუსულად გამოცემული, კიდევ არ არის ის რეალური იდეოლოგიური ქარტია, დაზედაც დღესაა დაფუძნებული სომეხთა რევოლუციო– ური ფედერაციის – დაშნაკთა სოციალისტური პარტიის ნამდვილი არსი და მოქმედების სრული სტრატეგია. ეს პროგრამა–მინიმუმი, დაშნაკთა პარტიის სამოქმედო პროგრამის შერბილებულ და შელამაზებულ, ასე ვთქვათ „ეიტრინულ" და „საცდელ" ვარიანტს წარმოადგენდა მხოლოდ.

ჩვენს მიერ საერთაშორისო საინფორმაციო–ელექტრონულ ქსელში მოპოვებულ იქნა სომეხთა რევოლუციური ფედერაციის ოფიციალური ვებ–გვერდის საარქივო განყოფილებაში დაცული პარტიის თანამედროვე სამოქმედო პროგრამა. პროგრამის დღევანდელ, სრულ ვარიანტში უკვე კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული დაშნაკთა სტრატეგიული მიზნები, ამ მიზნების მიღწევის გზები და მეთოდები. დასახულია უახლოესი და პერსპექტიული ამოცანები.

დაშნაკთა პარტიის ოფიციალურ ინტერნეტ ვებ–გვერდის საპროგრამო განყოფილებაში ვკითხულობთ: „სომეხთა რევოლუციური ფედერაცია თავისი მსოფლმხედველობითა და ტრადიციებით არსებითად არის ნაციონალური, სოციალისტური, დემოკრატიული და რევოლუციური ტიპის პარტია. (აბსოლუტურად გაუგებარი და არათავსებადი სიტყვების შეთავსებაა – ა. ჩ.)

პარტიის მიზანს შეადგენს:

– თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სომხეთის შექმნა. სომხეთი უნდა იყოს დემოკრატიული და სოციალისტური. *გაერთიანებული*

სომხეთის საზღვრები უნდა განისაზღვროს სევრის კონფერენციით ცნობილი საზღვრებით და მასში უნდა მოექცეს არწახის (მთიანი ყარაბაღი — ა. ჩ.), ჯავახეთის (!!!) (ახალციხე — ა. ჩ.) და ნახიჭევანის რეგიონები.

— თურქების მიერ სომეხთა წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის საერთაშორისო ცნობა და აღიარება, ამ მოვლენის მკაცრი გაკიცხვა, არსებულ ფონზე ოკუპირებული მიწების დაბრუნება და ერთდროულად მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

— მსოფლიოში დაფანტულ სომეხთა დაბრუნება გაერთიანებული სომხეთის მიწაზე.

— სომხური სახელმწიფოებრიობის გაძლიერება, დემოკრატიის ინსტიტუონალიზაცია, კანონიერების დამკვიდრება, ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვა და სოციალური სამართლიანობის დამყარება. ამ მიზნების განსახორციელებლად სომეხთა რევოლუციური ფედერაცია ხელმძღვანელობს შემდეგი პოლიტიკური პრინციპებით:

— დაიცვას არწახის გამარჯვებული ბრძოლების შედეგები, როგორც „დიადი არმენიის" შექმნის წინაპირობა და გარდამავალი ეტაპი.

— თითოეული სომეხის სტრატეგიული გადაწყვეტილებების ამოსავალი წერტილი და ღერძი უნდა იყოს „დიადი არმენია".

— გააძლიეროს სომხური დიასპორის ნაციონალური იდენტიფიცირება, ორგანიზება გაუკეთოს მათ პოლიტიკურ პოტენციალს და მიმართოს იგი სომხური სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ — „დიადი არმენიის" მისაღწევად.

— მისცეს ყველა სომეხს სომხეთის მოქალაქეობის გარანტია.

— მისცეს გარანტია თითოეულ ეთნიკურ სომეხს ქვემოთ მოყვანილ ფუნდამენტალურ კანონთა განუყოფლობაში:

ა) თითოეული მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე.

ბ) აზრის გამოთქმის, პრესის, პუბლიკაციის და სხვა გამოხატულების თავისუფლება.

გ) სინდისის, პოლიტიკური მოქმედებების, შეკრებებისა და გაღაადგილების თავისუფლება.

დ) დემონსტრაციებისა და გამოსვლების უფლება. ე)პიროვნების, უძრავი ქონების, სხვა საკუთრებისა და კომუნიკაციის საშუალებების დაცვა..." და ა.შ. და ა.შ.

თუ ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ ჯერ კიდევ 1919 წლიდან დაშნაკთა მიერ წამოყენებულ ლოზუნგს: „ერთი ერი — ერთი ბრძოლა", მივიღებთ პრაქტიკულად დასრულებულ სურათს, რასაც შეტად საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ.

მსოფლიო პოლიტიკის სფეროდან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ წარსულში თუ დღეს არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დასახელებებში, როგორც წესი, ერთვნულობა არ ფიგურირებს. ამ კუთხით „დაშნაკცუტიუნის" პარტია გამონაკლისს წარმოადგენს. თუით მისი დასახელება — „სომეხთა რევოლუციური ფედერაცია", ანუ დაშნაკთა

რევოლუციური სოციალისტური პარტია, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ეს არის სომეხთა, ანუ, მხოლოდ სომეხი ერის ეროვნული და სოციალის–ტური ტიპის პარტია, ე.ი. ნაციონალური და სოციალისტური ტიპის პარტია, რომელიც სოციალიზმის პირობებში სოციალურ კეთილდღე–ობას პირდება მხოლოდ და მხოლოდ ერთ ეთნიკურ ჯგუფს – სომხებს. და ამ ეროვნული კეთილდღეობის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლაა ყოველთა სომეხთა საყოველთაო რევოლუციის გზით. თუ „არმენაკანი" და „ჰუნჩაკი" თავის სამოქმედო პროგრამებში სომებთა „თვითგამორკვევისათვის" მსოფლიო პროპაგანდასა და ბრძოლას მხოლოდ ოსმალთა იმპერიის ტერიტორიებზე ისახავდა მიზნად – „დაშნაკთა" შემთხვევაში სხვა მდგომარეობაა. მისი ინტერესების, მეთოდებისა და პოტენციალური შეიარაღებული ექსპანსიის არეალი გაფართოებულია და იგი მოიცავს ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ტერიტორიებს, აგრეთვე ისტორიული მესოპოტამიის, ქილიკიის, ანატოლიისა და ირანის ნაწილსაც.

დროთა განმავლობაში დაშნაკებს მადაც ემატებათ და ისინი 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის კონფერენციის მიხედვით განსაზღვრულ ტერიტორი–ებსაც აღარ ჯერდებიან „დიადი არმენიისათვის". ისინი დამატებით მიწებსაც მოითხოვენ ჯავახეთის სახით.

დაშნაკთა პარტიის მთავარი ამოცანა და მიზანი სომეხთა ეროვნული ერთიანობისა და სოციალურ–ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნაა ყოველთა სომეხთათვის, ხაზს ვუსვამთ, ყოველთა სომეხთათვის, სხვა, სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიების ხარჯზე შექმნილ დიდ, მონოეთნიკურ სომხურ სახელმწიფოში. ეს არაა იმპერია – ესაა მკაცრად მონოეთნიკური საზოგადოებრივი ფორმაცია – რაღაც დიდი სომხური თემის მსგავსი რამ.

სომეხთა სახელმწიფოებრივმა იდეოლოგიამ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მსრივ რომ ფაქტობრივად უკვე მიაღწია პარტიის დასახულ მიზანს და ჩვენი დასკვნები უსაფუძვლო არაა, ამას თუნდაც უკვე დღეს შექმნილი ეთნიკური სურათი ადასტურებს დღევანდელ სომხურ სახელმწი–ფოში.

ამიერკავკასიაში ლორე–ბამბაკი და მთიანი ყარაბაღი უკვე მიღწეულია, შემდეგი სამიზნე კი „უეჭველი და ძირძველი სომხური ტერიტორიები" – ჯავახეთი და ნახიჭევანია. ამის შემდეგ კი, ყველა სხვა დანარჩენი... აღნიშნული ტრიტორიების სომხეთისათვის შემოერთება კი შეიარაღებული აგრესიის ე.ი. ომის გზით და ადგილობრივი, მკვიდრი, არასომხური ეთნოსის გასახლებით ან ლიკვიდაციის გზით უნდა განხორციელდეს ისევ და ისევ. ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი და თითქმის დავიწყებული ცნებებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვამტკიცებთ, რომ სომეხთა რევოლუციური ფედერაცია – დაშნაკთა სოციალისტური პარტია, რომელიც „სომეხთა საყოველთაო რევოლუციისა" და საომარი მოქმედებების პროპაგანდას ეწევა – ომის პარტიაა. რეზიუმეს სახით კი ცალსახად ვასკვნით, რომ დაშნაკთა იდეოლოგია და სტრატეგიული მოქმედებების

პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა ტიპიური ნაციონალ–სოციალიზმი, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ – ფაშიზმი, სომხური ფაშიზმი. მაგრამ სომხური ფაშიზმი კიდევ უფრო მეტია და უფრო საშიში, ვიდრე ფაშიზმი კლასიკური გაგებით. სისრულისათვის კი დავამატებდით, რომ თუ კლასიკური ფაშიზმისათვის კიდევ დასაშვები იყო გარკვეული ტოლერანტობის გრძნობა ზოგიერთი ერისა და სახელმწიფოსადმი, რაც ისტორიულადაც დასტურდება, ჩვენ შემთხვევაში, სომეხ დაშნაკათათვის ნებისმიერი მეზობელი პირდაპირ მტრად მოიაზრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სომხურ–დაშნაკური ფაშიზმი არანაკლებ საშიში იდეოლოგიური მოვლენაა, ვიდრე კლასიკური იტალო–გერმანული ფაშიზმი იყო.

მოკლე რეზიუმეს სახით ცალსახად ჩანს, რომ დაშნაკთა პარტიას, ბატონ კაჩაზნუნის 1923 წლის მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, სადაც იგი საეჭვოდ მიიჩნევდა პარტიის საქმიანობის მიზანშეწონილობასა და პერსპექტივებს, დგინდება, რომ სომეხ დაშნაკებს ისევ ის სტრატეგიული მიზანი აქვს დასახული, რაც ერთი საუკუნის წინ და ამ მიზნების მიღწევის გზებიც უცვლელია.

დიახ, დაშნაკთა პარტიას ისევ ის საუკუნოვანი მიზანი ამოძრავებს და მას კიდევ ბევრი ჰქონია თურმე გასაკეთებელი. ეს მიზანი ახალი რევანში და ახალი ბრძოლაა. ამ მიმართებით მეტად ნიშანდობლივია თანამედროვე სომეხი ავტორის, დოქტორ ჰ. ვართაპეტიანის ერთობ რომანტიკული და პათოსით აღსავსე სიტყვები, რომელიც გენერალ ანდრანიკ ტერ ოზანიანის, ამ პირსისხლიანი ჯალათისა და უკიდურესად რეაქციონერი დაშნაკელის, ყოველთა სომეხთა ლეგენდარული გმირისადმია მიძღვნილი:

„გმირები იბადებიან, მაგრამ არ კვდებიან. და თითოეულ სომეხს ჯერა, რომ დადგება დრო, როცა გამოჩნდება სხვა ანდრანიკი, რომელიც დიდი ანდრანიკის ხმალს აიღებს და მის დაწყებულ ბრძოლას გააგრძელებს მანამ, სანამ სრული სამართლიანობა არ აღდგება ყოველი სომეხისათვის".[11]

ეს მასალები საერთაშორისო საინფორმაციო–ელექტრონულ ქსელშია განთავსებული და მას მთელი მსოფლიო ეცნობა. დიახ, ავტორის მიხედვით, დღეს თითოეული სომეხი მეორე ანდრანიკისა და სრული სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია... თუ რას წარმოადგენს დაშნაკური გაგებით „სრული სამართლიანობის აღდგენა", ესეც კარგადაა უკვე ჩვენთვის ცნობილი.

სამართლიანობა კი მართლა უნდა აღდგეს, მაგრამ სამართლიანობა არა სომხურ–დაშნაკური გაგებით, არამედ ობიექტური, ისტორიული და გარდაუვალი სამართლიანობა. ისტორიული სამართლიანობა კი ის არის, რომ საქართველო მართლაც თავის ისტორიულ საზღვრებში უნდა აღდგეს და გამთლიანდეს. 1918–1919 წლების სომხეთ–საქართველოს ომის შედეგად, საქართველოს მენშევიკური მთავრობის უნიათობითა და მოკავშირეთა ზეწოლით დაკარგული, შემდეგ კი ბოლშევიკთა მიერ სომხეთისათვის მიკუთვნებული ქვემო ქართლის ლორე–ბამბაკის ტერიტორია მის კანონიერ მფლობელს – საქართველოს უნდა დაუბრუნდეს. აი, ეს იქნება ისტორიული

სამართლიანობის აღდგენა და ის გარდაუვალი რეალობა, რასაც ათასწლეულების განმავლობაში ამ ძირძველი ქართული მიწებისათვის დაღუპულ ქართველ მეომართა ხსოვნა და მათი აქ დაღვრილი სისხლი მოითხოვს. ამასვე მოითხოვს ქართველი და სომეხი ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენაც. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების აქტივობაც. ხოლო ის განწყობა და ენერგია, რაც აქამდე სომხებისადმი ყოვლად გაუმართლებელ დათმობებს ხმარდებოდა, საქართველოს ძირძველ მიწებზე ისევ ქართული ეროვნული სულის აღორძინებასა და სრულიად საქართველოს გამთლიანებისათვის ბრძოლას უნდა მოხმარდეს.

სომეხ დაშნაკთა ნაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგია და მათი აგრესიული მიზნები კარგად იყო ცნობილი საუკუნის წინაც, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. ქართველ სოციალ–დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის ორგანო, გაზეთი „ერთობა" ჯერ კიდევ 1918 წელს, თავის მოწინავე სტატიაში წერდა:

„დაშნაკელები, რომლებიც სოციალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს, სომხეთში მხოლოდ ხიშტის ტრიალს და თათრების ჟლეტას ანდომებენ მთელ თავის ენერგიას. ახლა ბორჩალოსაც მიადგნენ ამავე მიზნით. დაშნაკები მუდამ იყვნენ მეამბოხენი, მუდამ სისხლის მოციქულად ევლინებოდნენ ქვეყანას".[12] სწორად აფასებდა გაზეთი „ერთობა" დაშნაკური მოძრაობის დიდ სტრატეგიული ხაზს. ეს სიტყვები წინასწარმეტყველურიც კი აღმოჩნდა. მით უმეტეს გასაკვირია, საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარისა და საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტის ის დამთმობი და ლოიალური კურსი სომეხ დაშნაკებთან მიმართებაში, რომელსაც იგი მთელი 1917–1918 წლების განმავლობაში ატარებდა.

უკანასკნელ წლებში, მთიან ყარაბაღში დატრიალებული მოვლენები იმ დიდი დაშნაკური იდეოლოგიის გაგრძელებას წარმოადგენს, რაც ამ პარტიის ასწლიანი ისტორიის განუყოფელ და ორგანულ ნაწილს შეადგენს დღესაც. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ოთხმოცი წლის წინ, ხელსაყრელი საგარეო და საშინაო სამხედრო–პოლიტიკური ვითარებების დადგომისთანავე, სომხეთმა რუსეთის დახმარებით ღია სამხედრო აგრესია განახორციელა მეზობელი აზერბაიჯანის წინააღმდეგ და მისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ანექსია მოახდინა. ხოლო ჯავახეთის სომხეთისათვის მიერთების საკითხი არა თუ აქტუალურ, არამედ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს დაშნაკი იდეოლოგებისათვის დღესაც.

ჯავახეთთან მიმართებაში პირველი დიდი ნაბიჯი გადადგმულია. აქ სომეხთათვის ხელსაყრელი ეთნიკური სურათი უკვე დამყარებულია. დღეს ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის 95% საქართველოს სომეხი ეროვნების მოქალაქეებზე მოდის და მათი პრეტენზიული მოთხოვნებიც რეგიონის ქართული და სხვა არასომხური მოსახლეობის მიმართ დღითიდღე მძაფრდება.

XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის 10–იან წლებში თურქეთიდან გამოქცეულ და ქართველთა მიერ ჯავახეთში დიდსულოვნად შეფარებულ სომეხ ლტოლვილთა „მადლიერი" შთამომავლობა ახლა „ღირს პატივს" მიაგებს საქართველოსა და ქართველ ხალხს. დღეს, ისევე როგორც XX საუკუნის 10–იან წლებში, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი აღვირახსნილი სომხურ–დაშნაკური ისტერია ისევ სახეზეა. სომეხ და პროსომხური ორიენტაციის ავტორთა, გარკვეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა და „ვაი–მეცნიერთა", დაშნაკური იდეოლოგიის მესვეურთა და პროვოკატორთა მიერ კი ქართველთა შეურაცხმყოფელი პასკვილების რაოდენობა შეუნელებელი ტემპებით ითითხნება და მასიური ტირაჟებით იბეჭდება დღევანდელ სომხურ სახელმწიფოშიც და მთელ მსოფლიოშიც. ფაქტები უამრავია.

დღესაც, საქართველოშიც და მთლიანად ამიერკავკასიაშიც, ისევე როგორც წინა საუკუნის დასაწყისში, დაშნაკური სეპარატისტულ–ექსპანსიონისტური იდეოლოგიის მძლავრ საყრდენს რუსეთი წარმოადგენს. ის რუსეთი და ის რუსულ–იმპერიული სული, რომელთანაც ზუსტად ერთი საუკუნის წინ სამუდამო „სიყვარულის ფიცით" შეიკრნენ დაშნაკები. მართალია, დღევანდელი რუსეთი უბრალოდ „რუსეთია", არა ცარისტული, არა ბოლშევიკური, არა ესერული, არა კომუნისტური, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ეს იდეას არ ცვლის. მთავარი ხომ საბოლოო მიზნის მიღწევაა და არა ამ მიზნისაკენ მიმავალი გზებისა და საშუალებების რაობა. დღესაც ხომ იგივე იდეა ცოცხლობს რუსეთში, რაც საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობდა იქ.

დღესაც ხომ რუსული და პანსლავისტური იმპერიული მესიანიზმის სული ბობოქრობს იქ და ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეს მზირალი იგივე ფრთაგაშლილი ორთავიანი მონსტრი გამოხატავს რუსული ყოვლადმპყრობელობის იგივე დიად იდეას. აქ კი, კავკასიის გადმოღმა – იგივე მხარეებზე მომზირალი და რუსული მონსტრის გაშლილ ფრთებქვეშ საიმედოდ შეფარებული და შეყუჟული იგივე პატარა დაშნაკური ლომ–არწივი და იგივე დაშნაკური ულტრანაციონალისტურ–ექსპანსიონისტური იდეოლოგია ბატონობს დღევანდელ სომხურ სახელმწიფოსა და მსოფლიოს სომხურ საზოგადოებაში, როგორც ეს იმ ავბედით, 1918–1920 წლებში იყო.

თუ რა გაგრძელებებს პოულობდა შემდგომში ისტორიულად მსგავსი ალიანსები და სადამდე მიდიოდა დაშნაკ სეპარატისტთა და ულტრანაციონალისტთა პრეტენზიები, ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი. დაშნაკებს კი ისევ ვერ გამოაქვთ ისტორიის მწარე გაკვეთილებიდან შესაბამისი დასკვნები, ბედისწერას ეთამაშებიან და „დიად იდეასაც" ვერ თმობენ. ამ საკითხთან მიმართებასა და თურქულ–სომხურ ურთიერთობებთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავს დოქტორი ერდალ ილთერი:

„ჩვენის აზრით, თურქული და სომხური საზოგადოებისათვის უმჯობესია, თუ სომხეთის რესპუბლიკა ანგარიშს გაუწევს საერთაშორისო პოლიტიკას, მეგობრულ ხელს გამოგვიწვდის და ისტორიის გაკვეთილებიდან შესაბამის

დასკვნებს გამოიტანს".[13] მაგრამ ყველაზე საოცარი და სამწუხარო ისაა, რომ ვერც ქართველებმა გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები ისტორიის მწარე გამოცდილებიდან და ისევ მოყრუებისა და „ჩვენ არ გვეხებას" პრინციპით მოქმედებენ, უფრო ზუსტად კი, საერთოდ არ მოქმედებენ თავის ძირძველ ისტორიულ მიწებთან, ლორე–ბამბაკთან და ჯავახეთთან მიმართებაში. ისტორიის მოტყუება კი შეუძლებელია.

იგივე დოქტორ ილტერი: „ჩვენს დროშიც, დაშნაკცუტიუნი, მისი მსგავსი ორგანიზაციები და ინსტიტუტები ოცნებობენ ანატოლიის სომხური დიასპორისათვის მიწების შეერთებაზე დიადი სომხური სახელმწიფოს შექმნისათვის. ისინი ყოველგვარ ზომებს მიმართავენ ამისათვის, რითაც ანგარიშს არ უწევენ არსებულ ისტორიულ რეალიებს და ცდილობენ დაანგრიონ ის მეგობრული ურთიერთობები, რომელსაც საფუძველი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლის 23 სექტემბერს ჩაეყარა, თურქეთის რესპუბლიკის მიერ სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობით".[14]

გარკვეულწილად ვეთანხმებით დოქტორ ილთერის მოსაზრებასა და შეშფოთებას, მაგრამ თურქეთისაგან განსხვავებით, დასაფიქრებელი და შესაშფოთებელი საქართველოს უფრო აქვს, რადგან საქართველომ თავისი სისხლით მორწყული ძირძველი ისტორიული მიწა, ლორე–ბამბაკი, საერთო ჯამში, სომხეთის სასარგებლოდ უკვე დათმო როგორც დე–ფაქტო, ასევე დე–იურე.

საქართველოს კიდევ ერთ, ჯავახეთის რეგიონში კი დაშნაკთა მიერ სომხური ექსპანსიისათვის ბრძოლა (ჯერ–ჯერობით იდეოლოგიური) სომეხთა რევოლუციური ფედერაციის – დაშნაკთა სოციალისტური პარტიის პროგრამის ერთ–ერთ ცენტრალურ საკითხს შეადგენს დღესაც. და ისიც უდავო ფაქტია, რომ აქ დე–ფაქტო პროარმენული მდგომარეობა თითქმის უკვე დამყარებულია. ჩვენ კი გულხელდაკრეფილები ვსხედვართ და ველოდებით...

ჯერ კიდევ ასათი წლის წინათ მოძღვრავდა სომხებს დიდი იაკობ გოგებაშვილი:

„სომხები ქართველების მიმართ უნდა იჩენდნენ ისეთივე ძმურ, ჰუმანურ კეთილმოსურნეობას, როგორსაც ქართველები იჩენდნენ გადმოხვეწილ სომეხთა მიმართ იმით, რომ ძმურად შეიფარეს ისინი, ყველა უფლებებში გაათანასწორეს ქართველებთან და არც ერთი წუთით ოდნავადაც არ აგრძნობინებდნენ, რომ ისინი უცხო მხრიდან მოსული სტუმრები არიან...

კიდევ ერთი, მაგრამ უკანასკნელი შენიშვნა: სომხები არასდროს არ უნდა ივიწყებდნენ, რომ ქართველები კავკასიის ერთადერთი ხალხია, რომლისთვი–საც ჯერ კიდევ უცხოა სისტემატური მტრობის ის გრძნობა, რისი მატარებელნიც სომხების მიმართ არიან კავკასიის სხვა ტომები. ასე, რომ, თუ ქართველები აიძულეს რომ მათ სომეხთა მიერ ქართველთა დევნის საპასუხოდ არმენოფობობისა და ბოიკოტირების დროშა გაშალონ, მაშინ ამ დროშას სიხარულით შეუერთდება კავკასიის ყველა ხალხი. აქედან ცხადია,

რომ სომეხთა მიერ კეთილმეზობლური დამოკიდებულების პრინციპის დაცვა უწინარეს ყოვლისა მათი პირდაპირი, უაღრესად საარსებო, ყველაზე ძვირფასი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ჩვენ სრულიად გულწრფელად, სუფთა გულით ვუსურვებდით ჩვენს მეზობლებს ამ ინტერესების გამარჯვებას. სულითა და გულით გვწადია მათი თავისუფალი, შეუზღუდავი განვითარება, მაგრამ მხოლოდ სომეხი ეროვნების ბუნებრივ საზღვრებში...''[15]

საერთოდ, ისტორია ხშირად მეორდება...

სომხეთ–საქართველოს ომის მონაწილე ქართველი გენერლები

1. გენერალური შტაბის გენერალ–მაიორი ალექსანდრე გედევანიშვილი – სომხეთ–საქართველოს ომში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.
2. გენერალი ვლადიმერ იმნაძე – სომხეთ–საქართველოს ომში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი საველე შტაბის უფროსი.
3. გენერალური შტაბის გენერალ–მაიორი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი.
4. გენერალ–მაიორი ზაქარია (შაქრო) მდივანი – საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე.
5. გენერალ–ლეიტენანტი კირილე ქუთათელაძე – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განყოფილების საარტილერიო შეიარაღების სექციის უფროსი.
6. გენერალ–მაიორი ვარდენ წულუკიძე – სამხედრო სამინისტროს პიროვნული შემადგენლობის განყოფილების უფროსი.
7. გენერალ–მაიორი გიორგი მაზნიაშვილი – შულავერი–სადახლოს ფრონტის სარდალი.
8. გენერალ–მაიორი დავით სუმბათაშვილი – შულავერი–სადახლოს ფრონტის სარდლის მოადგილე.
9. გენერალი გიორგი კვინიტაძე – შულავერი–სადახლოს ფრონტის საველე შტაბის უფროსი.
10. გენერალ–მაიორი სტეფანე აზმეტელაშვილი – ეკატერინენფელდის ფრონტის სარდალი.
11. გენერალ–მაიორი აბელ (ბალო) მაყაშვილი – ახალციხე–ახალქალაქის მაზრების გენერალ–გუბერნატორი, ახალქალაქის ფრონტის სარდალი.
12. გენერალ–მაიორი გიორგი წულუკიძე – ბორჩალოს მაზრის გენერალ–გუბერნატორი, ქართული საჯარისო ჯგუფის უფროსი.
13. გენერალ–მაიორი გიორგი ციციშვილი – ვორონცოვკის საჯარისო ჯგუფის უფროსი.
14. გენერალ–მაიორი ქრისტეფორე ჩხეტიანი – შულავერის ფრონტის საჯარისო ჯგუფის უფროსი.
15. გენერალი ზაქარია (შაქრო) ბაქრაძე – ოფიცერთა განსაკუთრებული რაზმის უფროსი.
16. გენერალი ლევან (ლენკო) მაღალაშვილი – მოხალისეთა რაზმის უფროსი.
17. გენერალი ანდრია ბენაშვილი – მე–5 ქვეითი პოლკის მეთაური.

РЕЗЮМЕ

Представленная монография является исследованием военно-научного характера и основана на богатейшей базе источниковедения, из которой стоит выделить приказы и распоряжения военного министра первой Грузинской Республики, директивы и указания Генерального Штаба, шифротелеграммы, военные приказы командующих фронтами и командиров разных уровней, докладные, документы о взаимодействии различных родов и видов войсковых частей и подразделений, данные разведки и контрразведки и множество других интересных материалов. Проанализирован стратегический замысел противопоставленных сторон, их военные планы, формы боевой тактики.

Исторический экскурс труда освещает вопросы вхождения и отсева армянского этноса на исторических грузинских территориях. При этом, основываясь на материалах армянских и иностранных источников, представлены некоторые вопросы многовековых грузино-армянских отношений с древнейшего времени до начала XX века.

Подчёркивается, что к концу XIX века при поддержке шовинистической и империалистической политики царизма, в некоторых регионах Грузии армянам удалось создать демографический дисбаланс и установить искусственную картину этнического большинства. Отмечается и то, что процесс мирной демографической экспансии армян в период первой мировой войны носил необратимый характер, что, в конечном итоге, поставило Грузию перед большой угрозой. Эта угроза переросла в реальную опасность после того, как политические партии, действующие в Грузии и Армении вооружились марксистской идеологией. Одно из основных положений этой идеологии, «Демократический принцип реального населения и самоопределения народов», пользовалось особой популярностью именно среди армянского общества.

В книге представлены основные моменты националистическо-экспансионистической идеологии армян, и рассмотрены процессы формирования армянских националистических партий и вопросы их последующего развития. Основываясь на достоверных источниках и исторических фактах, раскрыт псевдосоциалистический характер дашнакской социалистической партии – революционной федерации армян, её крайне реакционная националистическая программа, которая практически выявлялась в активности дашнакских боевых отрядов и войсковых подразделений вооружённых сил Армении. А эта активность являлась ничем иным, как разбойничими действиями, направленными против мирного населения восточной Анатолии и Закавказья, беспощад-ным разбоем и резнёй.

Показано, что именно правящие круги Армении, заражённые дашнакской идеологией, начали войну против своих ближайших и самых преданных соседей, грузин. В связи с этим, на основании сравнения и соответствующего анализа как исторических документов, также армянской и европейской научной литературы, детально описывается стратегический замысел дашнаков, подготовка армянской стороны к войне, неожиданное и вероломное начало боевых действий без объявления войны. Охарактеризованы национальные вооружённые силы противодействующих сторон, их структуры и боевая организация, вопросы вооружения, боевой и морально-психологический настрой личного и командного состава.

Основное внимание в труде уделяется описанию боевых действий на важнейших участках театра военных действий. Боевые операции Екатериненфельда, Садахло, Шулавери и другие значительные операции освещены с точки зрения военно-стратегического, оперативного и тактического многообразия.

Должное место занимает описание боевых заслуг грузинских воинов, командиров и генералов. При этом, с армянских генералов сорвана маска незаслуженной легендарности.

Особое значение присуждается военно-политической оценке Армяно-Грузинской войны, что, в свою очередь, является полезным и необходимым предупреждением для экстремально настроенных и находящихся на политической платформе «Дашнакцутюна» армян. Нужно отметить тот факт, что Армяно-Грузинскую войну и её результаты негативно рассматривали и прогрессивно мыслящие армянские деятели.

В связи с вмешательством внешних сил, военно-политические результаты Армяно-Грузинской войны были нелогичны, почти парадоксальны... Впрочем, каким бы ни был результат этой войны, он всё равно был бы предосудителен с точки зрения доброжелательных отношений двух соседних народов.

SUMMARY

The submitted monography is a research of military-scientific character and is based on the richest sources, from which is necessary to allocate the orders and instructions of the military minister of the first Georgian Republic, directives and indication of the General Staff, encoding telegrams, military orders of the front and various rank commanders, decision, notices, documents on interaction of a various kind of army units and divisions, data of reconnaissance and counterespionage and a lot of other interesting materials. The strategic thoughts of the opposed parties, their military plans and the form of tactical struggle is analyzed.

The historical digression of work is directed on questions of entry and elimination of Armenian ethnic group in historical Georgian territories. Thus, basing on materials of the Armenian and foreign sources, certain questions of the centuries-old Georgian-Armenian relations from the most ancient time up to the beginning of the XXth century are submitted.

It is emphasized that by the end of the XIXth century at support of the chauvinistic and imperialistic politics of tsarism in some regions of Georgia the Armenians managed to create a demographic disbalance and to establish an artificial picture of the ethnic majority. It is marked also that the process of a peaceful demographic expansion of the Armenians during WWI carried an irreversible character, which in the end put Georgia in jeopardy. This jeopardy developed into a real danger, after the political parties acting in Georgia and Armenia had been armed with Marxism ideology. One of the basic statutes of this ideology, "Democratic principle of the real population and self-determination of nations", was especially popular among the Armenian community.

In the book the basic moments of a nationalistic-expansion ideology of the Armenians are submitted and the processes of formation of Armenian nationalistic parties and their subsequent development are considered. Basing on authentic sources and historical facts the pseudo-socialist character of a socialist party of Dashnaks – Armenian Revolutionary Federation and its extremely reactionary nationalistic program are disclosed, that program was practically revealed in the activity of Dashnak battle groups and army units. And this activity was nothing but predatory actions directed against the peaceful population of the Eastern Anatolia and Transcaucasia, ruthless robbery and slaughter.

It is shown that exactly the ruling circles of Armenia infected by this Dashnak ideology, began the war against the nearest and most devoted neighbors, the Georgians. In this case, on the basis of comparison and appropriate analysis of both historical documents and Armenian and European scientific literature, the strategic plan of the Armenian Dashnaks, preparation of

the Armenian side for war, unexpected and treacherous beginning of the military operations without the announcement of war, are described in detail. The national armed forces of the counteractive parties, their structure and military organization, questions of armament are characterized and also military and moral-psychological mood of the staff and commanders.

The most important attention in the work is paid to the description of the military operations in the major regions of the theatre of operations. The military operations of Ekaterinenfield, Sadakhlo, Shulaveri and other significant operations are covered from the point of view of military-strategic, operative and tactical variety.

The due place is occupied by the description of military merits of the Georgian warriors, commanders and generals. At that, the mask of undeserved fabulosity was taken away from the Armenian generals.

The special importance is conferred on a military-political estimation of the Armenian-Georgian war, which, in turn, is a useful and necessary warning for extremely adjusted Armenians and those, who take place on a political platform of "Dashnaktsiutun". It is necessary to note the fact, that the Armenian-Georgian war and its results are negatively considered by progressively thinking figures of the Armenian nation.

With interference of external powers, the military-political results of the Armenian-Georgian war were illogical, almost paradoxic... However, whatever the result of this war could be, it would be equally reprehensible from the view point of the benevolent relations of the two neighboring nations.

შესავალი

1. ჟურნალი „მხედარი". 1919. №7. გვ. 8.
2. სცია. 1878–19/გ–2–24.
3. ლევან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. თბილისი. „მერანი". 1989. გვ. 425–427.
4. შოთა ვადაჭკორია. „საქართველო–სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918–1920). გვ. 58.
5. Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция 1919 года и создание Лорийской нейтральной зоны. Всегрузинское историческое общество им. Эквтиме Такаишвили. Тбилиси. 2005. გვ. 4.
6. გაზეთი „საქართველო". 08. 02. 1995.
7. რ. ჯაფარიძე. ერის ინტერესები ერისკაცმა უნდა დაიცვას. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1994. 22 ივნისი.
8. იაკობ ახუაშვილი. ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები. საქართველოს ეროვნული აკადემია. სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირი „გვარიშვილობა". თბილისი. 2005. გვ. 108. იაკობ გოგებაშვილი. სიმართლე თბილისის შესახებ. 1897.
9. იქვე. გვ. 3.

თავი I

1. Армянскій вопросъ передъ Мирной Конференціей. გვ. 12.
2. იქვე. გვ. 16.
3. იქვე. გვ. 17.
4. იქვე. გვ. 25.
5. იქვე. გვ. 27.
6. იქვე. გვ. 29.
7. Анри Барби. Въ страиъ ужаса. Мученица Арменія. Изданіе С. Меликова. Тифлисъ. 1919. გვ. 4.
8. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 12–13.
9. Гр. Чалхушъянъ. Армянскій вопросъ въ Россіи. Ростовъ на Дону. 1905. გვ. 27.
10. იქვე. გვ. 25–26.

11. იქვე. გვ. 26.
12. იქვე. გვ. 31–32.
13. იქვე. გვ. 33.
14. იქვე. გვ. 23.
15. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 30.
16. იქვე. გვ. 42–43.
17. იქვე. გვ. 51.
18. Степан Папаянъ. Заслуги армянъ передъ Россіей. Ростовъ на Дону. 1912. გვ. 19.
19. Н. М. Грузинско–Армянскія претензии и Закавказская революция. Кіевъ. 1906. გვ. 28.
20. იქვე. გვ. 29.
21. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 43.
22. იქვე. გვ. 61–62.
23. Твердохлебов. Мемуары русского офицера. Архив генштаба Турецкой республики. (Шкаф Первой мировой войны, полка 401, д. 1578, лл. 1–24; 1–67;). Цит. По: История Азербайджана по документам и публикациям. Баку. Элм. 1990. с. 121–122.
24. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა – ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) თბილისი. 1989. გვ. 5–6.
25. გ. მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობს ისტორიის საკითხები (IV–XVIII სს). მეცნიერება. თბილისი. გვ. 17.
26. იქვე. გვ. 13.
27. გაზეთი „საქართველო". 1918 წ. გიორგობისთვის 9. №213.
28. Гурам Мархулия. Турция и Армяно–Грузинский вооруженный конфликт в октябре 1918 года. Сухумский филиал Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили. Тбилиси. 2005. გვ. 7.
29. Ив. Джавахишвили. Границы Грузии в исторческом и современном рассмотрений. Тифлис. 1919 г. გვ. 37.
30. იქვე. გვ. 40–41.
31. იქვე. გვ. 41.
32. დ. კოპორიძე. განახლებული მესხეთის ქალაქი. „საბჭოთა საქართველო". თბილისი. 1969. გვ. 202. გაზეთი „ივერია". 1891. №266.
33. იქვე. გვ. 202–203. ახალციხის მუზეუმი. ხელნაწერი №2227; №2370, ფურცელი 132.
34. ექვთ. თაყაიშვილი. დაბრუნება. ემიგრანტული ნაშრომები. „მეცნიერება". თბილისი. 1991. გვ. 40–41.
35. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

36. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
37. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
38. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა. ჟურნალი „მნათობი". 1998. № 3–4. გვ. 184.
39. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
40. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 444.
41. ქართული საბჭოთა ენციკლოპადია.
42. Ив. Джавахишвили. Границы Грузии... გვ. 44.
43. Richard Hovannisian. Armenia on the road to Independence 1918. University of California Press, Berkley and Los Angeles, 1969. გვ. 9.
44. შ. ვადაჭკორია. საქართველო–სომხეთის ურთიერთობების საკითხი... გვ. 42.
45. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 34.
46. იქვე. გვ. 55.
47. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 444.
48. Ив. Джавахишвили. Границы Грузии... გვ. 53.
49. იაკობ ახუაშვილი. ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები. საქართველოს ეროვნული აკადემია. სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირი „გვარიშვილობა". თბილისი. 2005. გვ. 39.
50. Luigi Vilari. Fire and Sward in the Caucasia. Fisher and Union. London. 1906. გვ. 109–110.
51. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 59.
52. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ. თბილისი, 2003. გვ. 15–16.
53. ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების ენციკლოპედია „ბრიტანიკა".
54. სცია. 1969–2–186–45.
55. Richard Hovannisian. Armenia on the road of Independence... გვ. 235.
56. გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995. გვ. 158–159.
57. ლ. სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. თბილისი. „მერანი". 1998. გვ. 243.
58. ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი. 2001. გვ. 14.
59. რეზო გაბაშვილი. დაბრუნება. თბილისი. 1992. გვ. 143.
60. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko–Caucasian border. 1828–1921. Cambridge. 1953. გვ. 167.
61. ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი. 2001. გვ. 19.
62. И. Г. Корсун. Первая мировая война на кавказском фронте. Воениздат. Москва. 1946 г. გვ. 31.

63. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields... გვ. 167.
64. რეზო გაბაშვილი. დაბრუნება. თბილისი. 1992. გვ. 152.
65. შოთა ვადაჭკორია. საქართველო–სომხეთის ურთიერთობის საკითხი... გვ. 26.
66. შ. თეთვაძე ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998. გვ. 83.
67. იქვე. გვ. 83.
68. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 11.
69. Enciclopedia „Britanica". A new Survey of Universal knowledge. Vol. 2. Chicago, London. Toronto. გვ. 379.
70. Firuz Kazemzadeh. The struggle for Transcaucasia (1917–1921). Philosophical Library. New York. 1951. გვ. 8. K. Mesrob. L'Armenie au point de vue geograpique, historique, ethnograpique, statistique, et culturel. Constantinople, 1919. გვ. 85.
71. Mikael Varandian. History of the A. R. Federation. Paris. 1932. გვ. 3.
72. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 25.
73. Гутор. М. Д. Новейшая история Турции и Персии. XVIII, XIX и XX столетия. Тифлис. 1913. გვ. 48.
74. The diplomacy of Imperialism. William L. Langer, Alfred A. Knopfe, New York, 1960. გვ. 159.
75. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 60.
76. Гурам Мархулия. Турция и Армяно-Грузинский вооруженный конфликт... გვ. 8.
77. Dr. Erdal Ilter. Armenian and Russian oppresions (194–1916). (Testimonies of witnesses). Series of social and strategical reserches. Ankara. 1999. გვ. 8.
78. WWW Armenian revolutionary Federation.
79. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 31. Варандян. М. История Арм. Рев. Дашнакцутюн. Том I. Париж. 1932. გვ. 85.
80. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 18.
81. K. S. Papazian. Patriotizm Perverted. Boston. 1934. გვ. 10.
82. Н. М. Грузинско–Армянскія претензии и Закавказская революция. Кіевъ. 1906. გვ. 41.
83. Б. Ишханянъ. Тенденции мусульманскаго движенія. Баку. Типографія „Труженикъ". 1919. გვ. 77.
84. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998. გვ.
85. ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება საბჭოთა საქართველოს მთავრობას 1925 წლის 2 ივლისს. – სახალხო განათლება. 1990. 11 ნოემბერი.

85. დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა – მიუნხენი. 1957. – ა. ჩ.) გვ. 29–30.

86. Программа минимумъ Армянской революціонной партіи Дашнакцутіонъ. Тифлисъ. Библіотека „Арачъ". №65.

87. Enciclopedia „Britanica". A new Survey of Universal knowledge. Vol. 2. Chicago, London. Toronto. გვ. 380.

88. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 136.

89. იქვე. გვ. 156. Атом. Наша вера в национальном вопросе. Константинополь. 1910.

90. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 158. Тонапетян Петрос (Вагинак). Армения и армянский народ через века. Том II. Париж. 1949. გვ. 359.

91. გაზეთი „ერთობა". 08. 11. 1918.

92. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 117.

93. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 22.

94. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 163.

95. გაზეთი „Hairenik". 20. 03. 1913. №34.

96. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 151. Documents Diplomatiques Français. 1871–1914. Vol. VII.

97. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 163. Архив Армянского филиала ИМЛ. ფონდი 4047.

98. Сабир Асадов. Миф о „Великой Армении". Баку. 1999. გვ. 222.

99. История I мировой войны. „Наука". Москва. 1975. გვ. 229.

100. WWW.ataa.org. Assembly of Turkish American Assosiation. The Armenian Revolutionary Movement. Louis Nalbandian.

101. გაზეთი „ჰუნჩაკი". 1914. 7 ნოემბერი. პარიზი. საფრანგეთი

102. Hrach Dasnabedian. History of the Armenian Revolutionary Federation-Dashnaktsutiun 1890/1924. Milan. 1989. გვ. 21.

103. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 28.

104. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcaucasia... გვ. 229.

105. Кариби. Красная книга. Тифлисъ. 1919 г. გვ. 30–31.

106. სომხეთი: მოგზაურობა ისტორიაში. დოქტორი ჰ. ვართაპეტიანი. გვ. 311–314.

107. Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник". 1999 г. №1–2. გვ. 5.

108. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcaucasia... გვ. 130.

109. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній. Государственная Типографія. Тифлисъ. 1919. გვ. 109.

110. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 12–13. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.463, გვ. 43.

111. იქვე. გვ. 12–13. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.463, გვ. 43.

112. იქვე. გვ. 13. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.512, გვ. 2.

113. იქვე. გვ. 6. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.513, გვ. 17.

114. ლეკან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. თბილისი. „მერანი". 1989. გვ. 232.

115. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 27–28.

116. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 112.

117. ვალოდია გოგუაძე. დაბრუნება. ქართულ ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. გვ. 429.

118. Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник". 1999 г. №1–2. გვ. 4.

119. იქვე.

120. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in... გვ. 113.

121. W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco–Caucasian border 1828–1921. Cambridge. 1953. გვ. 483.

122. О. Арутюнян. Воспоминания. Ереван. 1956. გვ. 47.

123. Ст. Степанян. Армения в политике империалистической Германии. „Айастан". Ереван. 1975. გვ. 191.

124. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 131. ЦГАОР АР, ф.894, оп.10, д.80, გვ. 101.

125. И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английсского командования на Закавказье. Заккнига. 1931. стр. 35–36. Архив русской революции. Том IX. გვ. 129.

126. Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник". 1999 г. №1–2. გვ. 5.

127. Henry Barby. Les exstravagances bolcheviques et l'epoppee Armenienne. Paris. 1921.

128. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 109.

129. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia... გვ. 133. Suren Shaumian. O Bakinskoi Komune, MS. Cited by Ratgauzer, op. cit., p. 137.

130. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 110. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. №223. გვ. 440–441.

131. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia... გვ. 141. Donohoe. Op. Cit. P. 213

132. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 122. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia (1917–1921). Philosophical Library. New York. 1951. გვ. 158.

133. Академик Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник". 1999г. №1–2.

134. იქვე. გვ. 7.

135. იქვე. გვ. 6.

136. იქვე. გვ. 4.

137. W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields... გვ. 476.

თავი II

1. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 114.

2. გ. კვინიტაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917–1921. მოგონებანი. გვ. 45.

3. სცია. 1878–2–19/გ–64.

4. გ. მაზნიაშვილი. მოგონებები 1917–1925. ბათუმი. 1990. გვ. 4.

5. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი „მხედარი". 1992. №2. გვ. 45.

6. შ. მაღლაკელიძე – მოგონებები. ვ. რცხილაძე. ჟურნალი „განთიადი". ქუთაისი. 1991. № 3. გვ. 136.

7. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. „მეცნიერება". თბილისი. 1990. გვ. 38.

8. ნიკო კეცხოველი. გამოუქვეყნებელი პირადი არქივი – „ნარ–ეკლებით მოფენილი გზა". გვ. 279.

9. გ. კვინიტაძე. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917–1921. მოგონებები. თბილისი. გვ 27.

10. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება" 1990. გვ. 29.

11. დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა მიუნხენი. 1957.) გვ. 71.

12. იქვე. გვ. 61–62.

13. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 23.

14. გ. მაზნიაშვილი. მოგონებები. ბათუმი. 1990. გვ. 144.

15. სცია. 1969–2–98–38.

16. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields... გვ. 452.

17. გაზეთი „საქართველო". 22 ოქტომბერი. 1918. №199.

18. Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник". 1999г. №1–2. გვ. 2.
19. WWW. htm. Eduard Abrahamian.
20. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება". 1990. გვ. 9.
21. ნიკო კეცხოველი. გამოუქვეყნებელი პირადი არქივი – „ნარ–ეკლებით მოფენილი გზა". გვ. 279.
22. W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields... გვ. 458–459.
23. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 114–115.
24. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields... გვ. 452.
25. WWW. htm. Eduard Abrahamian.
26. სცია. 1864–1–5–19.
27. გაზეთი „საქართველო". 24 ოქტომბერი. №201.
28. WWW. htm. Eduard Abrahamian.
29. W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields... გვ. 458.
30. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 28.
31. იქვე.
32. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი „მხედარი". 1992. №2. გვ. 45.
33. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. მეცნიერება. 1990. გვ. 25.
34. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 96.
35. დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები... გვ. 95–96.
36. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 21.
37. სცია. 1969–2–99–4.
38. სცია. 1969–2–99–10.
39. Ц. П. Агаян. Великий Октябрь и борьба трудящихся Армении за победу советской власти. АН Армянской ССР. Ереван. 1962. გვ. 93.
40. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 114–115.
41. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 6.
42. Анри Барби. „Въ странъ ужаса. Мученица Арменія..." გვ. 80–81.
43. Кариби. Красная Книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 187.
44. იქვე. გვ. 72.
45. იქვე. გვ. 76.
46. იქვე. გვ. 78.
47. იქვე. გვ. 79.
48. Сабир Асадов. Миф о „Великой Армении''. Баку. 1999. გვ. 223.
49. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 124. Лалаян. А. Контрреволюционный Дашнакцутюн и империалистическая война 1914–1918

г.г. В сб. История Азербайджана по документам и публикациям. Баку. Элм. 1990. გვ. 100.

50. Сабир Асадов. Миф о „Великой Армении". Баку. 1999. გვ. 222–223.

51. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 33.

52. Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. (I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 1–67).

53. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 99. Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. (I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578). ფურც. 131.

54. Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 137.

55. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 131. ЦГАОР АР, ф. 894, оп.10, д. 80, გვ. 38.

56. Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 137–138.

57. Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 147.

58. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 196.

59. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 191–194. Показаніе ген.–м. Андраника. Дъло. Разследованіе обстоятельств очищенія Эрзерума произвденное ген.–м. Герасимовымъ. Дъло. 1918.

60. Ц. П. Агаян. Великий Октябрь и борьба трудящихся Армении за победу советской власти. А. Н. Армянской ССР. Ереван. 1962. გვ. 150.

61. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 195. Показаніе ген.–м. Андраника. Дъло Разследованіе обстоятельств очищенія Эрзерума произвденное ген.–м. Герасимовымъ. Дъло. 1918.

62. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 198.

63. იქვე. გვ. 199.

64. იქვე. გვ. 197.

65. გაზეთი „სახალხო საქმე". №436. 20. 01. 1919.

66. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 131. ЦГАОР АР, ф.894, оп.10, д.80, გვ. 39–44.

67. გაზეთი „საქართველო". №244. ქრისტეშობისთვის 20. 1918.

68. სცია. 1878–1–3–14.

69. სცია. 1878–1–3–15.

70. სცია. 1878–1–3–18.

71. გაზეთი „საქართველო" №243. ქრისტეშობისთვის 19. 1918.
72. იოსებ იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 1920. №11.
73. W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields... გვ. 475.
74. ნიკო კეცხოველი. ნარ–ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 279.
75. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. რეზო გაბაშვილი. გვ. 234.
76. И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. გვ. 13.
77. იქვე. გვ. 14.
78. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება". 1990. გვ. 17.
79. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. თბილისი. 1998. გვ. 56.
80. И. Шахдин. Дашнакцютюн на службе... გვ. 5.
81. იქვე. გვ. 10–11.
82. იქვე. გვ. 5.
83. Армянский вопрос. Главная редакция Армянской энциклопедии. Ереван. 1991. გვ. 104.
84. დაბრუნება. ემიგრანტული ლიტერატურა. გრიგოლ ლორთქიფანიძე. თბილისი. 1992. გვ. 337.
85. მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942. გვ. 16.
86. История Первой Мировой Войны. Москва. „Наука". 1975 г. გვ. 438.
87. მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942. გვ. 85. („ბორბა". №149. 1918.)
88. В. Джугели. Тяжёлый крест. Тифлись. Типографія Правительства. 1920 г. გვ. 13.
89. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი „მხედარი". 1992. №2. გვ. 45.
90. Stephen. F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 114.
91. Communist Takeover and Occupation of Georgia. Special report. U. S. Government printing office. Washington. 1955. გვ. 9.
92. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. ვ. გოგუაძე. გვ. 426–427.
93. იქვე. გვ. 440.
94. მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942. გვ. 68.
95. „ბორბა". № 131. 31. 07. 1918.
96. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918–19121 წ.წ. თბილისი. 1990. გვ. 51–53. ნუგზარ გელოვანი.

სამხედრო–საჰაერო ძალები 1918–1921 წლების საქართველოში. ჟურნალი „მხედარი". 1994. №1–4. გვ. 43.

97. სცია. 1936–1–192–1–3.

98. გ. ვ. ხაჭაპურიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. პოლიტლიტერატურა. მოსკოვი. 1956. გვ. 140.

99. სცია. 1878–1–4–3.

100. ნუგზარ გელოვანი. სამხედრო–საჰაერო ძალები 1918–1921 წლების საქართველოში. ჟურნალი „მხედარი". 1994. №1–4. გვ. 46.

101. Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник". 1999г. №1–2. Стр. 4.

102. Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX – начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 107. Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917–1918 г.г. Баку. 1957. გვ. 518.

103. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 114.

თავი III

1. Richard Hovannisian. Armenia on the road of Independence... გვ. 231.

2. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 245. სომხეთის სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 222, აღწერა 1, საქმე 13, ფურც. 186–187.

3. Richard Hovannisian. Armenia on the road of Independence... გვ. 233.

4. სცია. 1878–1–4–5.

5. სცია. 1864–1–5–86.

6. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება". 1990. გვ. 27.

7. გ. ივანიძე, მ. ივანიძე. ბრძოლა მესხეთისათვის. თბილისი. 1998. გვ. 19–20.

8. გაზეთი „სახალხო საქმე". 09. 11. 1918.

9. საქართველოს რესპუბლიკა, დამატება №7. 1919 წლის აპრილი."

10. სცია. 1864–1–17–113.

11. Richard Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 58. (Republic of Armenia archivies. File 65/1, report of September 19 and 25. 1918. Khondkarian, „Opozitsian Hayastanum". II, 4, pg. 86.)

12. სცია. 1864–1–17–24.

13. სცია. 1864–1–17–25.
14. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcaucasia... გვ. 176–177. A. I. Denikin, Ocherki russkoi smuti, Vol. IV, 1924, pp. 152–154.
15. სცია. 1969–2–17–2.
16. გაზეთი „სახალხო საქმე" №395. 28. 11. 1918.
17. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" გიორგობისთვის 7. №211.
18. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998. გვ. 102. (გაზეთი „სახალხო საქმე". 9 ნოემბერი. 1918.)
19. გაზეთი „სახალხო საქმე". 24. 10. 1918. №365.
20. სცია. 1864–1–5–108.
21. სცია. 1878–2–19/Г–62.
22. სცია. 1878–1–3–12–17.
23. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. თბილისი. 1998. გვ. 117.
24. იოსებ იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 1920. №2.
25. გაზეთი „სახალხო საქმე". №409. 1918. 17 დეკემბერი.
26. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 72.
27. ი. იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 1920. №5.
28. გაზეთი „საქართველო". №196. 18. 10. 1918.
29. Ив. Джавахишвили. Границы Грузии... გვ. 41.
30. იქვე. გვ. 44.
31. А. Шахатунян. „Административный передѣль Закавказкаго края". Тифлисъ. 1918. გვ. 61.
32. В. Ляхов. Военно–статистическое описание Тифлиской губернии, Закатальского округа". სცია. 1878–1–1–7–8.
33. გურამ მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV–XVIII სს)". მეცნიერება. თბილისი. 1999. გვ. 112.
34. გაზეთი „საქართველო". №243. ქრისტეშობისთვის 19. 1918.
35. М. Ахов. Россія и армяне. С.–Петербургъ. 1897. გვ. 4–5.
36. უჩა ბლუაშვილი. არსებობს თუ არა არმენოფობია საქართველოში? გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი. 2006. გვ. 13–14. ლეონიდ ზაგურსკი. მგზავრობა ახალქალაქის მაზრაში. 1872 წ. ტფილისი, 1873. გვ. 64.
37. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 31. №253.
38. სცია. 1864–1–32–3.
39. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა. ჟურნალი „მნათობი". 1998. № 3–4. გვ. 177.
40. იქვე.
41. ვიქტორ ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი. 1989. გვ. 45.

42. შოთა ვადაჭკორია. საქართველო–სომხეთის ურთიერთობის საკითხი... გვ. 33.
43. რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. 1958. გვ. 103.
44. სცია. 1878–2–19/გ–42.
45. სცია. 1878–2–19/გ–48.
46. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისოვის 18. 1918. №242.
47. სცია. 1878–1–2–1.
48. სცია. 1878–1–2–14.
49. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 75.
50. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 01. 01. 1919.
51. მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში... გვ. 38. (11–11–493).
52. История Первой Мировой Войны. Москва. „Наука". 1975 г. გვ. 438.
53. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 7–8.
54. იქვე. გვ. 8–9.
55. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields... გვ. 478.
56. იქვე.
57. ვ. გოგუაძე. დაბრუნება. ემიგრანტული ლიტერატურა. გ. შარაძის რედაქციით. თბილისი. 1992. გვ. 448.
58. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній. Тифлисъ. 1919. გვ. 12–13.
59. გაზეთი „სახალხო საქმე". 13 ივნისი. 1918. №256.
60. Richard G. Hovanissian. The republic of Armenia... გვ. 71.
61. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 31. №253.
62. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. რ. გაბაშვილი... გვ. 228.

თავი IV

1. დაბრუნება. ვალოდია გოგუაძე. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა... გვ. 448–450.
2. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება". 1990. გვ. 27–28.
3. ალექსანდრე ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა... გვ. 54–55.
4. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №203. 19. 10. 1918.
5. სცია. 1864–1–5–22.

6. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній. Тифлисъ. 1919. გვ. 13.
7. სცია. 1969–2–17–9.
8. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 12. 10. 1918.
9. სცია. 1969–2–17–8.
10. სცია. 1864–1–17–2.
11. სცია. 1969–2–17–10.
12. სცია. 1969–2–17–1.
13. სცია. 1969–2–17–3.
14. სცია. 1969–2–17–115.
15. სცია. 1878–2–19–18.
16. სცია. 1969–2–17–11.
17. სცია. 1969–2–17–127.
18. სცია. 1878–2–19–19.
19. სცია. 1969–2–17–5.
20. სცია. 1969–2–17–152.
21. სცია. 1969–2–17–20.
22. სცია. 1969–2–17–92.
23. სცია. 1969–2–17–144.
24. В. Джугели. Тяжёлый крест... გვ. 6.
25. იქვე. გვ. 77.
26. სცია. 1864–2–17–8.
27. სცია. 1969–2–17–21.
28. სცია. 1969–2–17–22.
29. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній. Тифлисъ. 1919. გვ. 27.
30. იქვე.
31. სცია. 1969–2–17–24.
32. საქართველოს რესპუბლიკა. 24. 10. 1918. №201.
33. სცია. 1969–2–17–30.
34. სცია. 1969–2–17–37.
35. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 33.
36. სცია. 1969–2–17–38.
37. სცია. 1969–2–17–48.
38. სცია. 1969–2–17–88.
39. სცია. 1969–2–17–124.
40. სცია. 1969–2–17–50.
41. სცია. 1969–2–17–62.
42. რ. ცუხიშვილი. ინგლის–საქართველოს ურთიერთობა 1918–1920 წლებში. თბილისი. 1995. გვ. 38.
43. Richard Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 75.
44. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 175–176.

45. Mondros Armistice. Turkish Greek relations. Istanbul. 2004. გვ. 11.
46. ლ. სანიკიძე. მესამე დასის საქართველო... გვ. 426.
47. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 214–215.
48. DR. Erdal Ilter. Armenian and Russian oppressions... გვ. 99.
49. Бахтияр Наджафов. Лицо врага. გვ. 10–19. ЦГАОР АР, ф.894, оп.10, д.103. გვ. 111.
50. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №213.
51. ნინო ვაშაყმაძე. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო–სომხეთის ურთიერთობაში 1917–1921 წლებში". გამომცემლობა „საქართველო". ქუთაისის ფილიალი. 2002. გვ. 42. გაზეთი „ერთობა". 1918. №241.
52. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 215. „Описаніе боевыхъ дъйствій отд. Борч. Отряда въ періодъ войны армянъ съ грузинами". Докладъ ген.–м. Циціанова.
53. გაზეთი „საქართველო". 10. 11. 1918.
54. ვიქტორ ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი. 1989. გვ. 14.
55. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 10 გიორგობისთვე. №214.
56. გაზეთი „სახალხო საქმე". 20 ოქტომბერი. 1918. №361.
57. საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიში, №58. ტფ. 1918. გვ. 33.
58. გაზეთი „საქართველო" 20. 12. 1918. №244.
59. სცია. 1969–2–17–110.
60. Hovhannes Katchaznouni. „The Armenian Revolutionary Federation (Dashnagtzoutiun) Has Nothing To Do Any More". New York. 1955. გვ. 8–9.
61. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 94.
62. სცია. 1864–1–50–1.
63. სცია. 1864–1–50–3.
64. სცია. 1864–1–50–4.
65. დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები... გვ. 59.
66. ფ. ჟიჟიაშვილი. საქართველოს სამხრეთის საზღვრების პრობლემა ანუ სომხეთთან ურთიერთდამოკიდებულება 1918 წელს. გაზეთი „დრონი". 1993 წელი. №34.
67. სცია. 1864–1–50–6.
68. სცია. 1864–1–50–11.
69. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia... გვ. 176.
70. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 62.
71. გაზეთი „სახალხო საქმე". №403. 8. 12. 1918.
72. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia... გვ. 179.
73. И. Шахдин. Дашнакцютюн на службе... გვ. 37. Архив русской революции, том IX, 1923. გვ. 164.

74. სცია. 1864–1–50–12.
75. გაზეთი „სახალხო საქმე". 28. 11. 1918. №395.
76. სცია. 1969–2–17–159.
77. სცია. 1969–2–17–158.
78. სცია. 1969–2–17–88.
79. სცია. 1878–1–3–12.
80. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №51. 05. 03. 1919.
81. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. „ნარ–ეკლებით მოფენილი გზა". გვ. 186.
82. სცია. 1864–1–39–43.
83. სცია. 1864–1–50–28.
84. გაზეთი „სახალხო საქმე". 07. 12. 1918. №402.
85. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. „ნარ–ეკლებით მოფენილი გზა". გვ. 286–287.
86. სცია. 1864–1–50–38.
87. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 103.
88. მ. ვაშაყმაძე. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი... გვ. 44.
89. Документы Гуверского архива (США) о гражданской войне в СССР. Документ №2. Армяно–Грузинская война. Отечественный Архив. 1992. №1. გვ. 59.
90. Документы Гуверского архива (США) о гражданской войне в СССР. Документ №1. Советская Россия. Отечественный Архив. 1992. №1. გვ. 59.
91. იქვე.
92. Документы Гуверского архива (США) о гражданской войне в СССР. Документ №3. Из сообщения отдела пропаганды Особого совещания при Гавнокомандующем вооружёнными силами Юга Росси и по вопросу объединения ЮЖной и Северной Осетии. Отечественный Архив. 1992. №1. გვ. 61.
93. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 103.
94. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcaucasia... გვ. 181.
95. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". №7.
96. ი. იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 26. 05. 1919.
97. გაზეთი „სახალხო საქმე". 01. 01. 1919. № 422.
98. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 88.
99. იქვე. გვ. 125–126.
100. იქვე. გვ. 89.
101. იქვე.
102. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 12. №238.
103. სცია. 1864–1–50–38.
104. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 90.

105. სცია. 1878–2–19/Г–57.
106. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 90.
107. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 91.
108. სცია. 1864–1–50–57.
109. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ–ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 287–288.
110. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 92.
111. სცია. 1864–1–50–57.
112. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 93.
113. იქვე. გვ. 121.
114. სცია. 1864–1–50–62.
115. იქვე.
116. სცია. 1864–1–32–4.
117. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 111.
118. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 121–122.
119. სცია. 1878–2–19/Г–60.
120. სცია. 1969–2–98–38.
121. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა. ჟურნალი „მნათობი". 1998. № 3–4. გვ. 176.
122. იქვე. გვ. 177.
123. გაზეთი „კვირის პალიტრა". 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი. 2005.
124. Документы Гуверского архива (США) о гражданской войне в СССР. Документ №2. Армяно–грузинская война. Отечественный Архив. 1992. №1. გვ. 59.
125. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 102.
126. იქვე. გვ. 102.
127. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 104.
128. იქვე. გვ. 127–128.
129. იქვე. გვ. 128.
130. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 20. №247.
131. გაზეთი „სახალხო საქმე". 22 დეკემბერი. №414.
132. სცია. 1969–2–98–29.
133. ი. იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 18. 01. 1920. №2.
134. გაზეთი. „კვირის პალიტრა". 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი. 2005.
135. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 87.
136. სცია. 1878–1–3–12–17.
137. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. თბილისი. 1998. გვ. 119.
138. ნინო ვაშაყმაძე. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი... გვ. 59.
139. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 95.
140. იქვე. გვ. 95–96.

141. იქვე. გვ. 97.
142. იქვე.
143. იქვე. გვ. 122–123.
144. იქვე. გვ. 123.
145. გაზეთი „საქართველო". 26. 12. 1918.
146. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 123.
147. ნინო ვაშაყმაძე. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი... გვ. 64.
148. Изъ исторіи Армяно–Грузинскихъ отношеній... გვ. 100.
149. იქვე. გვ. 111.
150. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 18. №242.
151. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ–ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 289.
152. სცია. 1878–2–19/Г–60.
153. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ–ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 290–291.
154. სცია. 1878–2–19/Г–63.
155. სცია. 1878–2–19/Г–58.
156. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ–ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 292.
157. ვალოდია გოგუაძე. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა... გვ. 449–450.
158. გ. მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. ბათუმი. 1990. გვ. 119.
159. სცია. 1878–2–19/Г–68.
160. სცია. 1878–1–3–18.
161. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 75.
162. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 112–113.
163. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 17. №241.
164. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 20 დეკემბერი. 1918 წ.
165. სცია. 1878–19გ–2–60.
166. სცია. 1878–2–19/Г–59.
167. ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1918. №3. გვ. 11.
168. გაზეთი „სახალხო საქმე". 04. 01. 1919. №424.
169. გაზეთი „სახალხო საქმე". №412. 18. 12. 1918.
170. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 113.
171. გაზეთი „სახალხო საქმე". 04. 01. 1919. №424.
172. იქვე.
173. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 72.
174. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 113. Vratsian, Interventsia v Zakavkaz'e p. 196–197. Republic of Armenia Archives, File 65/1. გვ. 113.
175. სცია. 1878–19/Г–2–22.

176. გაზეთი „სახალხო საქმე". 10. 01. 1919. №427.
177. სცია. 1878–19/Г–2–24.
178. სცია. 1878–19/Г–2–23.
179. სცია. 1878–19/Г–2–64.
180. სცია. 1878–19/Г–2–22.
181. სცია. 1878–19გ–2–61.
182. სცია. 1878–2–19/Г–20.
183. გაზეთი „სახალხო საქმე". №430. 14. 01. 1919.
184. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. №7. გვ. 6.
185. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა! ჟურნალი „მნათობი". №3–4. გვ. 176.
186. სცია. 1878–2–19/Г–22.
187. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 113. Vratsian, Interventsia v Zakavkaz'e p. 196–197. Republic of Armenia Archives, File 65/1. გვ. 113.
188. სცია. 1969–2–98–38.
189. სცია. 1969–2–98–64.

თავი V

1. ფ. ჟიჟიაშვილი. საქართველოს სამხრეთის საზვრების პრობლემა, ანუ, სომხეთთან ურთიერთდამოკიდებულება 1918 წელს. გაზეთი „დრონი". 1993. №34.
2. გაზეთი „კვირის პალიტრა". 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი. 2005.
3. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა... გვ. 186.
4. მურად კეშულარია. ქვემო ქართლის ტოპონიმია. (დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მიხედვით). დისერტაცია. თბილისი. 1998. გვ. 12.
5. В. Джугели. Тяжёлый крест. Тифлись. Типографія Правительства. 1920. გვ. 75.
6. იქვე. გვ. 79.
7. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. რ. გაბაშვილი. თბილისი. 2001. გვ. 234.
8. В. Джугели. Тяжёлый крест. Тифлись. Типографія Правительства. 1920. გვ. 89.
9. იქვე.
10. იქვე. გვ. 90.
11. იქვე. გვ. 92.

12. გაზეთი „სახალხო საქმე“. 22. 12. 1918. №414.
13. იოსებ არიმათიელი. თეატრი და ცხოვრება. №1. გვ. 10.
14. ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“. 1919. №7. გვ. 6.
15. [illegible] გამარჯვების მნიშვნელობა. გაზეთი „საქართველო“. ქრისტეშობისთვის. 29. №252.
16. Richard G. Hovanissian. The republic of Armenia... გვ. 118.
17. იქვეა. 1969–2–98–29.
18. [illegible]
19. გაზეთი „საქართველო“. ქრისტეშობისთვის 29. №252.
20. В. Джугели. Тяжёлый крест. Тифлись. Типографія Правительства. 1920. გვ. 98.
21. იქვე. გვ. 104.
22. იქვე. გვ. 106.
23. იქვე. გვ. 104.
24. Richard. G. Hovanissian. The republic of Armenia... გვ. 114.
25. დაბრუნება. ვალოდია გოგუაძე. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა... გვ. 445.
26. სცია. 1878–19/Г–2–63.
27. ნინო ვაშაყმაძე. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი... გვ. 67.
28. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 77.
29. იქვე. გვ. 75.
30. სცია. 1969–2–98–52.
31. სცია. 1969–2–98–29.
32. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“. 1919. №7. გვ. 7.
33. სცია. 1969–2–98–32.
34. სცია. 1969–2–98–52.
35. სცია. 1969–2–98–34.
36. გაზეთი „საქართველო“. 20. 12 1918.
37. სცია. 1969–2–98–47.
38. გაზეთი „კვირის პალიტრა“. „გამარჯვებით გასრულებული სიკვდილისა და სისხლის ნადიმი...“
39. გ. მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. ბათუმი. 1990. გვ. 113.
40. იქვე. გვ. 124.
41. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 76–77.
42. სცია. 1969–2–99–83.
43. სცია. 1969–2–98–25.
44. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 78.
45. სცია. 1864–1–32–1.
46. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 78.
47. სცია. 1878–19/გ–2–68.

48. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 85.
49. გ. მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. ბათუმი. 1990. გვ. 128.
50. გაზეთი „სახალხო საქმე". 10. 01. 1919. №427.
51. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 85.
52. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. გვ. №7. გვ. 7.
53. სცია. 1864–1–39–42.
54. გაზეთი „სახალხო საქმე". №430. 14. 01. 1919.
55. გაზეთი „სახალხო საქმე". 10. 01. 1919. №427.
56. ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. № 13. გვ. 2.
57. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 86.
58. გაზეთი „სახალხო საქმე". №430. 14. 01. 1919.
59. ი. იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". №2.
60. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 87.
61. იქვე.
62. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 114.
63. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 85.
64. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა! ჟურნალი „მნათობი". №3–4. გვ. 176–177.
65. სცია. 1864–1–1–29.
66. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. თბილისი. 1998. გვ. 93.
67. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 450.
68. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 87.
69. იქვე. გვ. 86.
70. გაზეთი „სახალხო საქმე". 03. 01. 1919. №423.
71. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 86.
72. სცია. 1878–19გ–2–69.
73. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 118.
74. სცია. 1878–19/გ–2–69.
75. სცია. 1969–2–98–29.
76. გაზეთი „სახალხო საქმე". 03. 01. 1919. №423.
77. იქვე.
78. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა." №253. ქრისტეშობისთვის 31. 1918.
79. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. №7. გვ. 8.
80. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 88.
81. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. №7. გვ. 8.
82. გაზეთი „სახალხო საქმე". 03. 01. 1919. №423.
83. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 88.
84. W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields... გვ. 344.
85. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. №7. გვ. 8.

86. სცია. 1878–19გ–2–67. 02. 01. 1919. №5. პატაკი მე–5 პოლკის მეთაურს.
87. გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათუმი. 1990. გვ. 133.
88. სცია. 1878–19გ–2–67.
89. სცია. 1878–19გ–2–72.
90. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა! ჟურნალი „მნათობი". №3–4. გვ. 177.
91. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 91.
92. სცია. 1864–1–39–6.
93. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა! ჟურნალი „მნათობი". №3–4. გვ. 177.
94. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 92.
95. Бахтияр Наджафов. Лицо врага... გვ. 156. ЦГАПП и ОД АР, ф. 276, оп.9, д. 4. л. 31.
96. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 8.
97. სცია. 1878–19გ–2–72.
98. სცია. 1864–1–39–20.
99. სცია. 1864–1–39–21.
100. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 119. Vratsian. Hanrapetutiun, გვ. 205. Republic of Armenia Archives, File 66a/3.
101. სცია. 1878–19გ–2–73.
102. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები... გვ. 92.

თავი VI

1. ნინო ვაშაყმაძე. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი... გვ. 35.
2. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 216–217.
3. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 10. 01. 1919. №6.
4. გაზეთი „საქართველო". 20. 12. 1918.
5. Бахтияр Наджафов. „Лицо врага... გვ. 170–171.
6. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 110–111.
7. იქვე. გვ. 112.
8. გაზეთი „ერთობა". 19. 12. 1918. №274.
9. სცია. 1864–1–32–8.
10. სცია. 1864–1–32–3.
11. Richard Hovanniasian. Britain, Cab 27/38, E.C. 2655, 2690, 2721, 2726, 2770. Britain, WO, 95/4955.

12. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №4. კვირა. 1919 წ. 5 იანვარი.
13. იქვე.
14. იქვე.
15. გაზეთი „სახალხო საქმე". №372. 31. 12. 1918.
16. სცია. 1864–1–39–10.
17. სცია. 1864–1–39–12.
18. სცია. 1864–1–39–18.
19. სცია. 1864–1–39–23.
20. სცია. 1864–1–39–35.
21. სცია. 1864–1–39–29.
22. სცია. 1864–1–39–31.
23. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება". 1990. გვ. 27–28.
24. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia. .. გვ. 117.
25. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. №7. გვ. 3.
26. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 07. 01. 1919. №5.
27. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №5. კვირა. 7 იანვარი. 1919 წელი.
28. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 16. 01. 1919.
29. Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция ... გვ. 8.
30. იქვე. გვ. 10.
31. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 19. 01. 1919. №14.
32. Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция ... გვ. 6.
33. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 19. 01. 1919. №14.
34. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 10. 01. 1919. №6.
35. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 16. 01. 1919.
36. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 121. WO 95/4880. General Staff War Diary. January. 1919. Appendix IV.
37. გაზეთი „სახალხო საქმე". ინგლისის მისიის ჩამოსვლა ტფილისში. №432. 18. 01. 1919.
38. ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 03. 02. №7. გვ. 16.
39. Richard G. Hovanissian. The republic of Armenia,.. გვ. 122. Britain WO 95/4890, მე–4 ბატალიონის საომარ მოქმედებათა ჟურნალი.
40. ვალოდია გოგუაძე. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა... გვ. 450.
41. Документы Гуверского архива (США) о гражданской войне в СССР. Документ №2. Армяно–гузинская война. Отечественный Архив. 1992. №2. გვ. 61.
42. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 119.
43. З. Аваловъ. Независимость Грузіи въ международной политикъ. 1918–1919 г.г. Париж. 1924. გვ. 166.
44. სცია. 1864–1–39–2.

45. სცია. 1864–1–39–13.
46. სცია. 1878–19გ–2–73.
47. სცია. 1864–1–39–22.
48. ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919 წ. №7. გვ. 8.
49. იქვე.
50. ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". №4 გვ. 5. 1918.
51. გაზეთი „სახალხო საქმე". 14. 01. 1919. №430.
52. სცია. 1864–1–39–17.
53. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №5. 7 იანვარი, 1919.
54. გაზეთი „ერთობა". 19. 12. 1918. №274.
55. В. Джугели. Тяжёлый крест. Тифлись. Типографія Правительства. 1920. გვ. 109.
56. Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция... გვ. 9.
57. გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათუმი. 1990. გვ. 133.
58. გაზეთი „საქართველო". 23. 01. 1919. №17.
59. В. Джугели. Тяжёлый крест. Тифлись. Типографія Правительства. 1920. გვ. 109.
60. გაზეთი „საქართველო". 28 დეკემბერი. №251.
61. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". 1919. №7. გვ. 5.
62. გაზეთი „სახალხო საქმე". 07. 01. 1919. №426.
63. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ–ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 294.
64. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 07. 01. 1919. №5.
65. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ–ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 294–295.
66. გაზეთი „სახალხო საქმე". 21. 12. 1918. №413.
67. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998. გვ. 97–98.
68. გაზეთი „საქართველო". 24. 12. 1918. №247.
69. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 124.

დასკვნა

1. Hovhannes Katchaznouni. The Armenian Revolutionary Federation... გვ. 12.
2. იქვე. გვ. 15.
3. გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995. გვ. 149.

4. Richard Hovannisian. Armenia on the road of Independence... გვ. 231.
5. გაზეთი „საქართველო". №252. ქრისტეშობისთვის 29. 1918.
6. გაზეთი „საქართველო" №216. გიორგობისთვის 13.
7. იაკობ ახუაშვილი. „ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები"... გვ. 295. სერგო ვარდოსანიძე. კირიონ II უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი (1917–1918). ოზურგეთი. 1993. გვ. 11.
8. Richard G. Hovannisian. The republic of Armenia... გვ. 124.
9. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations... გვ. 449.
10. Hovhannes Katchaznouni. „The Armenian Revolutionary Federation... გვ. 35–36.
11. სომხეთი: მოგზაურობა ისტორიაში. დოქტორი ჰ. ვართაპეტიანი. გვ. 311.
12. გაზეთი „ერთობა". 19. 12. 1918. №274.
13. DR. Erdal Ilter. Armenian and Russian oppressions... გვ. 10.
14. იქვე. გვ. 9.
15. იაკობ ახუაშვილი. „ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები"... გვ. 109–110.

სარჩევი

რედაქტორისაგან 3
შესავალი 7

თავი I

§1. „სომხური საკითხის" ცნება და მისი გენეზისი. სომეხთა ექსპანსიონისტური მისწრაფებები და მითი „დიადი არმენიის" შესახებ 28
1§2. სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესი საქართველოში 41
§3. ქართველი „პროგერმანელები" და ქართული ლეგიონი 58
§4. ახალი რევოლუციური იდეოლოგია და სომხური ნაციონალისტურ–რევოლუციური პარტიები 63
§5. სომეხთა რევოლუციური ფედერაცია – დაშნაკთა სოციალისტური პარტია „დაშნაკცუტიუნი" და სომხური ულტრანაციონალიზმის შემდგომი განვითარება 72
§6. დაშნაკური მოძრაობის საბრძოლო–ტერორისტული რაზმები და მათი ლეგენდარული ბელადები 88
§7. დაშნაკთა შეიარაღებული ექსპანსიის დასაწყისი ამიერკავკასიაში. დაშნაკურ–ბოლშევიკური და დაშნაკურ–ესერული ალიანსების რეალური სახე 103

თავი II

§1. საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და ჯარების საორგანიზაციო–საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს 118
§2. სომხეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსი და სამეთაურო შემადგენლობა 1918 წელს 135
§3. სომხეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალური სახე და საბრძოლო სულისკვეთება 142
§4. სომხეთ–საქართველო და მათი მოკავშირეები 1918 წელს 157
§5. დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღება 164

თავი III

§1. დაპირისპირებულ მხარეთა სამზადისი ომისათვის 174
§2. საომარ მოქმედებათა თეატრის მოკლე სტრატეგიული მიმოხილვა 189
§3. დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიული გეგმები 199
§4. დაპირისპირებულ მხარეთა საომარი მობილიზაცია 209
§5. დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლა 218

თავი IV

§1. გამოუცხადებელი ომის დასაწყისი და საბრძოლო მოქმედებების პირველი ეტაპი . 277
§2. რეგიონში შექმნილი ახალი სამხედრო–პოლიტიკური ვითარება და სომხეთ–საქართველოს დიპლომატიური ომი 254
§3. სრულმასშტაბიანი ღია საომარი მოქმედებების დასაწყისი და უზუნლარი–სანაინის ბრძოლა 279
§4. საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრასა და ვორონცოვკის მიმართულებაზე 306
§5. ალავერდი–ახტალის თავდაცვითი ბრძოლები და ქართული ჯავშანმატარებლის მანევრი 325
§6. სადახლოს თავდაცვითი ბრძოლის ტაქტიკური ასპექტები 337

თავი V

§1. საომარ მოქმედებათა მეორე ეტაპი. ეკატერინენფელდის ბრძოლები 354
§2. ცვლილებები ქართული სარდლობის შემადგენლობაში და შულავერის ფრონტის სტაბილიზაცია 369
§3. შულავერის ოპერაციის მოსამზადებელი ბრძოლები 382
§4. შულავერის აღების ოპერაცია 392
§5. სადახლოს შტურმი 405

თავი VI

§1. ბრიტანული ფაქტორის როლი და საბრძოლო მოქმედებების შეჩერება 421
§2. სამმხრივი ბრიტანულ–სომხურ–ქართული სამშვიდობო კონფერენცია და სომხეთ–საქართველოს ომის დასასრული 441

§3. სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომის საერთო შედეგები და სამხედრო–პოლიტიკური მნიშვნელობა 449

დასკვნა 471
სომხეთ–საქართველოს ომის მონაწილე ქართველი გენერლები 490
რეზიუმე 491
გამოყენებული ლიტერატურა და დამოწმებული წყაროები 495
სარჩევი 520